მანანა ხვედელიძე

ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია

ქარჩხაძის
გამომცემლობა

მანანა ხვედელიძე
ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია

სამეცნიერო რედაქტორი:
ლევან გორდეზიანი

რედაქტორი:
ლია ლიქოკელი

ყდის დიზაინი:
მაია აბაშიძე

დიზაინი:
ნინო აფრიამაშვილი

ქარჩხაძის გამომცემლობა

© 2013 ქარჩხაძის გამომცემლობა

ყველა უფლება დაცულია

www.karchkhadze.ge

ISBN 978-99414-52-00-0

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს გადაბეჭდილი, გავრცელებული ან გამოქვეყნებული ელექტრონული, ფოტოგრაფიული, მექანიკური ან სხვა რაიმე საშუალებით, გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

დღეს, მრავალი საუკუნის გადასახედიდან, შეიძლება ითქვას, რომ ძველეგვიპ-ტური ცივილიზაცია ბევრი თვალსაზრისით უნიკალურია. ძველმა ეგვიპტელებმა პირველებმა კაცობრიობის ისტორიაში (დაახლ. 3000 წ. ჩვ.წ.-მდე) შექმნეს სახელმ-წიფო, სადაც ქვეყნის მთელი ტერიტორია ერთ ცენტრალიზებულ ძალაუფლე-ბას ექვემდებარებოდა და მისი შენარჩუნება თითქმის სამი ათასი წლის მანძილზე შეძლეს — ამ მოვლენას ჯერჯერობით ადამიანის ისტორიაში ანალოგი არა აქვს. ამ სამი ათასწლეულის განმავლობაში ძველი აღმოსავლეთის ბევრი დიდი ცივილი-ზაცია დაიბადა და აღიგავა პირისაგან მიწისა. სამწუხაროდ, ძველი ცივილიზაციები პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ თანდათან წყვეტდნენ არსე-ბობას. სწორედ ასეთი ბედი ეწია ერთ დროს ბრწყინვალე ხეთების ცივილიზაცია-საც, რომელიც სრულ დავიწყებას მიეცა და მხოლოდ XIX საუკუნეში იქნა „თავიდან" აღმოჩენილი. მათგან განსხვავებით, ძველი ეგვიპტის ცივილიზაცია განაგრძობდა არსებობას და კულტურულ განვითარებას თითქმის ათასი წლის განმავლობაში პოლიტიკური დამოუკიდებლობის საბოლოოდ დაკარგვის შემდეგ. იმდენად დიდი იყო ამ ბრწყინვალე ცივილიზაციის ხიბლი, რომ ყველა დამპყრობელი ერთგვარად მისი კულტურის შესისხლხორცებას ცდილობდა. ალექსანდრე მაკედონელი ოცნე-ბობდა, რომ ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ეკურთხებოდა მეფედ ეგვიპტური რიტუ-ალის ყველა წესის დაცვით და „ღმერთი გახდებოდა". პტოლემაიოსებმა ეგვიპტელ ქურუმებთან ერთად ახალი ღვთაება — სერაპისიც კი შექმნეს, რომელშიც ზევსის და დიდი ეგვიპტური ღვთაებების თვისებები იყო შერწყმული, რომ საერთო ღვთა-ების თაყვანისცემით ეგვიპტური და ბერძნული მოსახლეობის დაახლოება მომხ-დარიყო. ამ უაღრესად საინტერესო პერიოდს, როცა ეგვიპტური და დასავლური კულტურების შერწყმის პროცესში ორიეე კულტურა ერთგვარ ტრანსფორმირებას განიცდიდა და ახალი, უაღრესად საინტერესო კულტურა იქმნებოდა (ამის მაგა-ლითს თუნდაც ფაიუმის ცნობილი პორტრეტები წარმოადგენს), საბოლოო წერტი-ლი არაბების დაპყრობამ დაუსვა (ჩვ.წ. VII საუკუნეში). დღეს ძველი ეგვიპტელების მცირერიცხოვან შთამომავლებს ეგვიპტის არაბული რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრები ქრისტიანი კოპტები წარმოადგენენ.

ძველი ეგვიპტის ასეთი გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობის საიდუმლოს გარკვევა ბევრი მეცნიერული მონოგრაფიის საგანს წარმოადგენს. შესაძლოა, ერთი მიზეზი იყო ის, რომ ქვეყნის მართვაში ყოველთვის უდიდეს როლს თამაშობ-

და ეგვიპტური საზოგადოების ყველაზე უფრო განსწავლული ორი ფენა — ქურუმები და „გადამწერები", რომლებსაც დღეს ხშირად ქვეყნის „ინტელექტუალურ ელიტად" მოიხსენიებენ. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ძველი ეგვიპტის კიდევ ერთი თავისებურება — ყველაზე მაღალი თანამდებობებისაკენ გზა აქ უფრო ადამიანის ნიჭზე იყო დამოკიდებული, ვიდრე წარმოშობაზე. სამწუხაროდ, ეგვიპტის საგანმანათლებლო სისტემაზე ბევრი რამ ცნობილი არ არის, მაგრამ წერა-კითხვის სწავლა ტაძრებთან არსებულ სკოლებში ხდებოდა და სავარაუდოდ უფასო იყო, რადგან განათლების მიღება აქ ყველაზე დაბალი წარმოშობის ადამიანსაც შეეძლო. გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულები თანდათან სულ უფრო მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ და ხშირად ბრწყინვალე კარიერას იკეთებდნენ. ამდენად, ნიჭიერი ადამიანების გამოვლენა არა მხოლოდ არისტოკრატიული ფენიდან, არამედ ქვეყნის მთელი მოსახლეობიდან ხდებოდა. უბრალო წარმოშობის ეგვიპტელების მიერ უმაღლესი მდგომარეობის მოპოვების მაგალითებს წარმოადგენენ მომავალი თაობების მიერ ღვთაებად შერაცხული, პირველი პირამიდის არქიტექტორი და ექიმი იმხოტეპი და ფარაონი ამონემხატ I, რომლის ბრწყინვალე, ნოვატორული რეფორმებით ეგვიპტის ისტორიის ახალი ერა იწყება. ჯერ კიდევ შუა საუკუნეების ევროპაში ალბათ ასეთი სიმაღლეების მიღწევა ორივე მათგანისათვის შეუძლებელი იქნებოდა. ძველ ეგვიპტეში ადამიანისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ოთხი ათასზე მეტი წლის წინ მცხოვრები უცნობი გენიოსის სიტყვები გვამცნობს, რომლებითაც ის დიდი რას სახელით მოგვმართავს: „მე აღვასრულე ოთხი კარგი რამ ჰორიზონტის შუაგულში: მე შევქმენი ოთხი ქარი, რომ ყველას შეძლებოდა სუნთქვა თავის სიცოცხლეში. მე ავადიდე ნილოსი, რომ პატარა კაცს ჰქონოდა ისეთივე შეძლება, როგორიც დიდს; მე შევქმენი ადამიანები ისე, რომ ყველა თანასწორი ყოფილიყო; მე არ მიბრძანებია მათთვის, ჩაედინათ ბოროტება; მათი გულები აღმოჩნდა დახშული ჩემი ნათქვამის მიმართ".

ძველმა ეგვიპტელებმა შექმნეს პირველი სახელმწიფო, ააგეს პირველი ქვის ნაგებობა, პირველი თაღი. მათ გვასწავლეს ქაღალდზე (პაპირუსზე) მელნით წერა. აქ დაიწერა პირველი ზღაპარი, იგავი და მოთხრობა ჩვეულებრივი ადამიანის შესახებ. მსოფლიოს შვიდ საოცრებათაგან ჩვენამდე მხოლოდ ეგვიპტეში აგებულმა პირამიდებმა მოაღწია. ეგვიპტელები იყვნენ არაჩვეულებრივი მათემატიკოსები, ექიმები, არქიტექტორები და ასტრონომები. მათ მიერ აგებული გრანდიოზული ნაგებობების სიზუსტე დღესაც კი განცვიფრებას იწვევს. ეგვიპტელი ასტრონომებისაგან გვერგო მემკვიდრეობით 365 დღისაგან შემდგარი წელი და 24 საათიანი დღე-ღამე. ეგვიპტელ ქურუმებთან სწავლობდნენ სიბრძნეს პირველი ფოლოსოფოსი თალესი და დიდი პლატონი, მათემატიკოსი არქიმედე და ბევრი სხვა ანტიკური ბერძენი.

და ბოლოს, დღეს საზოგადოების განვითარების დონის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად ამ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობაა მიჩნეული. განსხვავებით სხვა ძველი ცივილიზაციებისაგან, ეგვიპტელ ქალს გააჩნდა უძრავი და მოძრავი

ქონების საკუთრების ფლობის და მისი საკუთარი ანდერძით განკარგვის უფლება, რომელსაც ის გათხოვების შემდეგაც ინარჩუნებდა. მას შეეძლო თავისი სურვილით გაყროდა არასასურველ ქმარს, აღეძრა სარჩელი ნებისმიერ საკითხზე და საკუთარი ინტერესების დასაცავად თავად გამოცხადებულიყო სასამართლოში. „სახლის ქალბატონად" სწორედ ქალი იყო მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტეში ჯერ კიდევ წინადინასტურ ეპოქაში მოხდა მეფის გაიგივება მამრ ღვთაებასთან, ხორთან, კრიტიკულ სიტუაციაში ქალის გამეფებაც იყო დასაშვები. მაგრამ ფარაონის ლეგიტიმირება უძველესი დროიდან ქალის ხაზით ხდებოდა.

ძველ ეგვიპტესთან მიმართებაში უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მცირემიწიან ქვეყანაში, რომელსაც ორივე მხრიდან უდაბნო ესაზღვრებოდა, სამარხებს სიცოცხლისათვის უვარგის უდაბნოში აგებდნენ, უდაბნოს მშრალი ქვიშა კი შესანიშნავი „კონსერვანტი" გამოდგა, ამიტომ ეგვიპტიდან შემონახული არქეოლოგიური მასალა ძირითადად სამარხებიდან მომდინარეობს და ერთგვარად ცალმხრივ ინფორმაციას გვაწვდის. ყველაფერი, რაც ძველი ეგვიპტელის ყოველდღიურ ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული, ნილოსის დაბლობის ნესტიანმა ნიადაგმა შთანთქა ან გრუნტის წყლების ქვეშ და თანამედროვე დასახლებების ქვეშ მოიძიება, რაც უდიდეს ხარჯებთან არის დაკავშირებული. გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან, ძველეგვიპტური ცივილიზაციის მიმართ ინტერესის საოცარი ზრდის ფონზე, დაიწყო არქეოლოგიური გათხრები საკუთრივ ნილოსის დაბლობში, რომლებმაც არა მარტო შეცვალა ბევრი უკვე ჩამოყალიბებული შეხედულება ძველ ეგვიპტეზე და მის ისტორიაზე, არამედ დაადასტურა ეგვიპტის გავლენა მინოსის (კრეტის) და კლასიკური საბერძნეთის ცივილიზაციებზე.

ერთ-ერთ გნოსტიკურ ტექსტში ჰერმეს ტრისმეგისტოსი გვამცნობს: „დადგება დრო, რომელიც ყველას აუწყებს, რა ამაოდ ეთაყვანებოდნენ ეგვიპტელები თავიანთ ღვთაებებს... ისინი ზეცას დაუბრუნდებიან, ეგვიპტე კი სამუდამოდ მიეცემა დავიწყებას" (Iversen, 1961, 56). მაგრამ სამგზის დიადი ჰერმესის წინასწარმეტყველება მცდარი აღმოჩნდა. ძველი ეგვიპტის ცივილიზაცია არასოდეს მისცემია დავიწყებას. ის ყოველთვის გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევდა და დღეს, XXI საუკუნეში, ინტერესი მისი ჯერ კიდევ ამოუცნობი საიდუმლოების მიმართ კიდევ უფრო იზრდება.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ილუსტრაციებზეც, რომლებიც გარკვეული კუთხით იქნა შერჩეული. ეგვიპტე ძირითადად გიგანტური პირამიდების და მონუმენტური სვეტებიანი ტაძრების ასოციაციას იწვევს, რომლებიც გარდაცვლილებთან და ღმერთებთან იყო ასოცირებული. მაგრამ ეგვიპტელები მარტო გიგანტური ქვის ნაგებობებს არ აგებდნენ. ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად არის ცნობილი ეგვიპტელების ყოველდღიური ცხოვრება, რომელიც ძალიან ლამაზი იყო, რადგან მას უაღრესად დახვეწილი ნივთები და ელეგანტური ქალბატონები ამშვენებდა.

ძველეგვიპტური საკუთარი სახელების გახმოვანების და ეგვიპტის ქრონოლოგიის შესახებ

ჩვენმა ცივილიზაციამ ძველი ეგვიპტე ანტიკური ავტორების ნაშრომებიდან გაიცნო, და ეგვიპტური საკუთარი სახელების „გაბერძნულებულმა“ გაჟღერებამ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ჯერ კიდევ ეგვიპტური იეროგლიფების წაკითხვამდე (XIX საუკუნის დასაწყისი). ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ეგვიპტოლოგიის, როგორც მეცნიერების დაბადების შემდეგაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში ფარაონებს უკვე შეჩვეული, ბერძნული გაჟღერებით მოიხსენიებდნენ. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან მეცნიერებაში დაიწყო მცდელობები საკუთარი ეგვიპტური სახელების გახმოვანება მაქსიმალურად მიახლოებულიყო ეგვიპტურთან – რა თქმა უნდა, შესაძლებლობების ფარგლებში. საქმე იმაშია, რომ ეგვიპტურ დამწერლობაში, სხვა სემიტური (მაგ. თანამედროვე არაბული) ენების მსგავსად, არ ხდებოდა ხმოვნების დაფიქსირება, და ეს ვითარება ბუნებრივად წარმოქმნის სიძნელეს, როცა საქმე ეხება მკვდარი ენის თავიდან წაკითხვას მრავალი საუკუნის შემდეგ. ეგიპტურ ენაში იყო ასევე ოთხი ნახევრად ხმოვანი ბგერა. ორი მათგანი დღეს ტრადიციულად იკითხება, როგორც „ა“. ესაა ბგერები, რომლებიც გამოიწერებოდა 𓄡 და 𓄿 ნიშნებით და შესაბამისად შეესატყვისება არაბულ ნახევარხმოვნებს „ალეფს“ და „აინს“. გვიპტური ენის თანამედროვე ტრნსლიტერაციაში ისინი „ȝ“ და „ʿ“ ნიშნებით აღინიშნება. როგორც „უ“ და „ი“ იკითხება 𓅱 (*w*), 𓇋(*i*) და 𓄿(*j*) ნიშნებით გამოწერილი ბგერები. ამათგან პირველ და მესამეს თანამედროვე ენებში შესატყვისი არ გააჩნია, მეორე კი ებრაული „იოდჰის“ შესატყვისია. სხვა შემთხვევაში, თუ სიტყვაში ერთი ან რამდენიმე ხმოვანი ერთმანეთის მიყოლებით დგას, მათ შორის, წარმოთქმის გასაადვილებლად, „ე“ ბგერის წარმოთქმაა მიღებული. მოხსენიებული უნდა იყოს კოდევ ოთხი ბგერა: 𓎛(*ḥ*), 𓐍(*ḥ*), 𓐠(*ḫ*)და 𓐡(*ḫ*). პირველი წარმოითქმებოდა, როგორც „ჰ“, მეორე, ემფატიური „ჰ“ ახლოს იყო არაბულ „*ḥā*“-სთან, მესამე, საკმაოდ ხორხისმიერი ბგერა, შეესატყვისება „ხ“-ს შოტლანდიურ სიტყვაში „loch“ და ბოლო, „ხ“-ს და „ჰ“-ს შორის, გერმანულ ბგერას სიტყვაში „ich“. დღეს ევროპულ ენებში, სადაც „ხ“ ბგერის აღმნიშვნელი ასო არ არსებობს, ეგვიპ-

ტური საკუთარი სახელების ამ ენებზე დაწერისას მიღებულია პირველი ორი ბგერის „h“ ასოთი, მეორე ორის კი „kh“ კომბინაციით გადმოცემა. რადგანაც ქართულში ამ ბგერების აღსანიშნავად გამოკვეთილი ასოები გაგვაჩნია, ვთავაზობთ მკითხველს სამი ემფატიური ბგერის „ხ“ ასოთი წაკითხვას, რაც უფრო გააადვილებს მათ წარმოთქმას, მაგ. ისეთ სახელებში, როგორიცაა „ხატხორი“ (და არა „ჰატჰორი“). რაც შეეხება მეფეების სახელებს, რომლებიც ძირითადად თეოფორულია, დღეისათვის მიღებულია სახელში შენარჩუნდეს ღმერთის სახელის ჟღერადობა (მაგ. „Imen“ და „Imenhetep“), ამდენად „ამონის“ თეოფორულ სახელებში „ამენხოტეპად“ გადაკეთება არ მიგვაჩნია მართებულად, უფრო უპრიანი იქნება ვიხმაროთ. „ამონხეტეპი“ და „ამონემხატი“. პირველი სახელის მნიშვნელობაა „ამონი მშვიდადაა“, სიტყვა „მშვიდი“ კი ეგვიპტურად გამოიწერება ბგერებით „*ḥtp*“. შესაბამისად, აქ ავტორი იცავს ეგვიპტოლოგიაში მიღებულ პრინციპს და ხმოვნების შემდეგ სვამს „ე“-ს. „ამონემხატში“, რომელიც ნიშნავს „ამონი არის წინ“ (*Ỉmn-m-ḥꜣt*), „ა“ ბოლო მარცვალში თვითონ ეგვიპტური ენით არის ნაკარნახები. მგვარად, ავტორი შეეცადა მაქსიმალურად მიეახლოებინა საკუთარი სახელები ეგვიპტურ წარმოთქმასთან ისე, რომ არ დაერღვია ისეთი ჟღერადობა, რომელსაც ქართულში უკვე ძალიან ღრმად აქვს გადგმული ფესვები (მაგ. იგივე „ამონი“ (*Ỉmn*) დღეს დასავლურ ლიტერატურაში უფრო ხშირად ჟღერს, როგორც „იმენი“).

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ქრონოლოგიაზეც, რადგან ეგვიპტის საოცრად ხანგრძლივ ისტორიაში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ლაკუნაა და აზრები ერთიანი ქრონოლოგიის ან ცალკეული ფარაონების მეფობის წლების შესახებ ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან. საქმე კონსენსუსიდან ისე შორს არის, რომ 1999 წელს გამოცემულ ეგვიპტის არქეოლოგიურ ენციკლოპედიაში (Bard (ed.), 1999), რომელიც მას შემდეგ უკვე რამდენიმეჯერ გამოიცა და რომლის ავტორები ძირითადად მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები არიან, წიგნის თავში მოცემული საერთო ქრონოლოგია ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა წლებს, რომლებსაც ცალკეული სტატიის ავტორი გვთავაზობს. წინამდებარე ნაშრომში ავტორი ძირითადად ეყრდნობა ქრონოლოგიას, რომელიც კანადის, ამერიკის, ინგლისის და ეგვიპტის წამყვანი ეგვიპტოლოგების კოლექტიურ ნაშრომშია მოცემული (O'Connor and Silvermann (ed.), 1994). მესამე გარდამავალი და გვიანდელი პერიოდის თარიღები ზოგ შემთხვევაში შესწორებულია კ. კიჩენის მიხედვით (Kitchen, 1973), რომელიც ამ ეპოქის საუკეთესო სპეციალისტად არის მიჩნეული.

აბატონი — წმინდა ადგილი კუნძულ ბიგეზე, ეგვიპტის სამხრეთში (ეგვ. *i3.t wʿb.t*, Wb I, 26; *iwwʿb*, Wb I, 47, „წმინდა კუნძული"), სადაც მდებარეობდა ოსირისის ერთ-ერთი წმინდა ნაწილის (ფეხის) სამარხი. დიოდორე (I. 22, 3) „აბატონს" თარგმნის, როგორც „წმინდა მინდვრებს". „აბატონი" ბერძნულიდან წარმოიშვა და ნიშნავს „შეუღწეველს", რადგან აბატონზე, რომელიც ოსირისის ერთ-ერთი წმინდა ნაწილის ნავსაყუდელი იყო, ყველა არ დაიშვებოდა. აქ არ შეიძლებოდა მუსიკის დაკვრა, ნადირობა ან თევზაობა. პლუტარქეს ცნობით, „იქ არ შეიძლება სიარული, ჩიტს არა აქვს დაფრენის, თევზს კი მის სიახლოვეს ცურვის უფლება" (Plutarch, 1970, 20). აბატონის უძველესი მოხსენიება დაფიქსირებულია ნექტანებოს I-ის მიერ მეზობელ კუნძულზე, ფილეზე ისიდასათვის აგებულ ტაძარში (ჩვ.წ.-მდე IV ს. დასასრული, Kees, 1980, 406), ასე რომ ეს შედარებით „ახალგაზრდა" მოსალოცი ადგილი იყო, მაგრამ გვიანდელ პერიოდში მან, როგორც ოსირისის თაყვანისცემის ცენტრმა, დაჩრდილა აბიდოსი. აქ უდიდესი როლი ითამაშა ისიდას მზარდმა პოპულარობამ და მისი ტაძრის სიახლოვემ მეზობელ ფილეზე. ქალღმერთის ქანდაკებას ყოველ ათ დღეში (ეგვიპტური თვე სამ ათდღიან „კვირად" იყო დაყოფილი) მიაბრძანებდნენ ოსირისის სამარხთან, რის გამოც მას „აბატონის" ან „სამარხის ქალბატონს" ეძახდნენ (*იხ. ასევე „ოსირისი", „ფილე"*).

აბიდოსი — (ეგვ. *ꜣbḏw* Wb I, 9, ბერძნ. — Abydos, თანამედრ. სახელი — ელ არაბა ელ მადფუნე), ეგვიპტის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი და უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრი ზემო ეგვიპტის მერვე ნომში, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე. ქალაქი ნეკროპოლისთან ერთად დაახლ. 10 კვ. კმ.-ს მოიცავდა. მისი უძველესი დასახლება, რომელიც დღეს ძირითადად გრუნტის წყლების ქვეშაა მოქცეული, წინადინასტიური პერიოდით თარიღდება (Petrie, 1902, 64). ეგვიპტური სახელმწიფოს ისტორია აბიდოსში იწყება, რადგან აბიდოსის ნეკროპო-

ლისში მდებარეობს ეგვიპტის უძველესი — ე.წ. ნულოვანი და I-II დინასტიების ფარაონების სამარხები, რომლებსაც ნომის დედაქალაქის — ტინისის მიხედვით ტინისელ ფარაონებს ეძახიან (მათ შორისაა ხორ-ახა, ნარმერი, ჯერი, ჯეტი, პერიბსენი, დედოფალი მერნეიტი. გრანდიოზულობით გამოირჩევა II დინასტიის ბოლო ფარაონის — ხასეხემუის სამარხი, რომლის კედლების სიგრძე 70 მეტრს აღწევს). აბიდოსის ნეკროპოლისში მდებარეობს კანიონი, რომელიც ეგვიპტელთა წარმოდგენით საიქიოში შესასვლელს წარმოადგენდა. დაახლ. XI-XII დინასტიების პერიოდიდან ქალაქი ხდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრი და ოსირისის თაყვანისცემის მთავარი ადგილი, რადგან ამ დროს კანიონთან მდებარე პირველი დინასტიის ფარაონის, ჯერის სამარხი ოსირისის თავის სამარხად იქნა მიჩნეული, და აბიდოსს მომლოცველები მთელი ეგვიპტიდან მოაწყდნენ. უდიდეს პატივად ითვლებოდა აბიდოსის სასაფლაოზე დაკრძალვა, ან, უკიდურეს შემთხვევაში, სასაფლაოზე გარდაცვლილისადმი მიძღვნილი პატარა სტელის აღმართვა. მომლოცველთა ნაკადმა, რომელიც თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში მოედინებოდა და დიდი ღვთაებისათვის მსხვერპლშესაწირი მოჰქონდა, ისეთი რაოდენობის ჭურჭელი დატოვა, რომ აბიდოსის ნეკროპოლისის ამ ნაწილს არაბებმა უმ-ელ-ქააბი — „ქოთნების დედა“ დაარქვეს. ბუნებრივია, რომ გათხრები აქ დღემდე მიმდინარეობს. შემორჩენილი ნაგებობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია აბიდოსის დიდ ტაძრად წოდებული სეტი I-ის (XIX დინასტია) ტაძარი. მის ძირითად დანიშნულებას ძველი ფარაონების თაყვანისცემა წარმოადგენდა, სწორედ ამიტომ ტაძრის ერთ-ერთ კედელზე სეტი I-მა მოათავსა ეგვიპტის ფარაონების სია, რომელიც დღეს ეგვიპტის ფარაონების აბიდოსის სიის სახელით არის ცნობილი (*იხ. „მეფეთა სიები“*). ტაძრის უკან მდებარე სეტი I-ის კენოტაფი დღეს ოსირეიონად არის წოდებული. მისმა კედლებმა შემოგვინახა სცენები „ჭიშკრის“ და „მკვდართა“ წიგნებიდან. ოსირისის დიდი ტაძარი I-II დინასტიებით დათარიღებულ ტაძრის ფუნდამენტზეა აგებული, რომელიც უძველესი ადგილობრივი ღმერთის — ხენტიიმენტიუსადმი იყო მიძღვნილი (Bonnet, 1952, 3). აღსანიშნავია აგრეთვე რამსეს II-ის (XIX დინასტია) ტაძარი და სამეფო საკულტო ნაგებობები ქალაქის სამხრეთ ნაწილში, განსაკუთრებით სენუსერტ II-ის (XII დინასტია) კაპელა და იახმეს III-ის (XVIII დინასტია) ნაგებობები. იახმეს III-მ აქ პატარა პირამიდაც ააგო. 1996 წ. აღმოჩენილია თოტმეს III-ის (XVIII დი-

ნასტია) ტაძარი (http://touregypt.net/tuthmosiiiabydos.htm). ძველ ქალაქს გარს ერტყა კედელი, რომელიც დღემდე დგას და მას კომ ეს-სულთანს უწოდებენ. ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით ნაპოვნია საცხოვრებელი უბნის ნაწილი (თარიღდება ძველი სამეფოს და პირველი გარდამავალი პერიოდით) — ვიწრო ქუჩის გასნვრივ დგას 7-10 ოთახისაგან შემდგარი აგურის სახლები ეზოებით და სახელოსნოები, მათ შორის ეგვიპტეში ნაპოვნი უძველესი ქაშანურის სახელოსნო (http://www.touregypt.net/featurestories/abydos.htm). ქალაქი აქტიურად შენდებოდა და იზრდებოდა XXX დინასტიამდე. აბიდოსის ყველაზე ახალგაზრდა ნაგებობა ამ დინასტიის ფარაონის — ნექტანებოსის მეფობით არის დათარიღებული. პტოლემაიოსების პერიოდიდან ქალაქი თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას, რომელიც მან XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიბრუნა. უცნაური დამთხვევით, აბიდოსში არა მარტო ეგვიპტური სახელმწიფოს, არამედ ეგვიპტის მეცნიერული შესწავლის ისტორიაც იწყება. ეგვიპტის არქეოლოგიური კვლევა პირველად აბიდოსში ჩატარდა და თანამედროვე მსოფლიომ ეგვიპტის ისტორიის გაცნობა სწორედ აბიდოსიდან დაიწყო (Wilkinson, 2000, 3).

აბუ გურაბი — ბორცვი მემფისის ნეკროპოლისის ჩრდილოდასავლეთ ნაწილში, სადაც V დინასტიის ფარაონმა ნიუსერრამ (XXIV ს.) რას ტაძარი ააგო (*იხ. „მზის ტაძარი“*).

აბუ როაში — მემფისის ნეკროპოლისის ყველაზე ჩრდილოეთი ნაწილი (სახელი მომდინარეობს ახლომდებარე არაბული სოფლიდან), სადაც ხეოფსის ერთ-ერთმა ვაჟმა — IV დინასტიის მესამე ფარაონმა ჯედეფრამ (*იხ.*) თავისი პირამიდა ააგო. ეს ფაქტი საინტერესოა იმიტომ, რომ ჯედეფრამ დაარღვია IV დინასტიის ფარაონების ტრადიცია, რომლებიც თავიანთ პირამიდებს გიზეს პლატოზე იგებდნენ (Helk, 1968, 55). აბუ-როაშის პირამიდა ეგვიპტის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პირამიდაა. საინტერესოა ისიც, რომ შიდა კონსტრუქციით იგი არა მის თანადროულ პირამიდებს, არამედ ჯოსერის პირამიდას ჰგავს. დაშორებული ადგილმდებარეობის გამო, პირამიდა საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა სამშენებლო ქვის წყაროს ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის და იმდენად გაიძარცვა, რომ დაუსრულებელი ეგონათ, მაგრამ არქეოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ეს ასე არ არის. გათხრები პირიმიდის ირგვლივ დღესაც მიმდინარეობს. 2001 წ. მ. ბოდმა (საფრანგეთის აღმო-

სავლური არქეოლოგიის ინსტიტუტი) პირამიდის სიახლოვეს ჯედეფრას ერთ-ერთი შვილის — ხორნიტის სამარხი აღმოაჩინა, რომელიც, როგორც ჩანს, ვეზირი იყო (http://touregypt.net/featurestories/aburowash.htm).

აბუ სიმბელი — რამსეს II-მ საკუთარი თავის განსადიდებლად და ეგვიპტური რელიგიის უფრო ფართოდ გასავრცელებლად ნუბიაში შეიდი კლდის ტაძარი ააგო. მათ შორის ყველაზე გრანდიოზულია ორი ტაძრისაგან შემდგარი კომპლექსი, რომელიც რამსესმა თავის თავს და საყვარელ მეუღლეს — ნეფერტარის მიუძღვნა. კომპლექსი დღეს მსოფლიო არქიტექტურის ერთ-ერთ შედევრად არის მიჩნეული. აბუ სიმბელი მდებარეობს დღევანდელ სამხრეთ ეგვიპტეში, ნილოსის პირველი ჭორომიდან 100 კმ. სამხრეთით, სუდანის საზღვართან. უფრო დიდ ტაძარში რამსესის გარდა ეთაყვანებოდნენ ამონ-რას, რა-ხორახტისა და პტახს, უფრო მცირე ტაძარში თაყვანს სცემდნენ ხატხორს და ნეფერტარის (Sauneron et Yoyotte, 1959, 1). ნეფერტარის ტაძარში შესასვლელის თავზე ამოკვეთილია წარწერა: „რამსესი, მან გამოკვეთა ეს ტაძარი კლდეში, მარადიული დახელოვნებით, თავისი მთავარი მეუღლის, ნეფერტარისათვის, ნუბიაში, სამარადისოდ, ნეფერტარისათვის, რომლისთვისაც ბრნყინავს თავად მზე". რამსესის ტაძრის სახელი იყო „ტაძარი რამსესის, რომელიც უყვარს ამონს" (ეგვ. ḥ w.t *Rᶜ-msś mrj Ỉmn*, M.Parsosns, http://www.touregypt.net/feature stories/abusimbel.htm). ტაძრის მშენებლობა რამსესმა გამეფებიდან მეხუთე წელს დაიწყო და მას ოცი წელი მოანდომა. ქვიშაში ჩამარხული ტაძრების ზედა ფრიზი 1813 წ. იპოვა შვეიცარიელმა აღმოსავლეთმცოდნემ ჯ. ლ. ბურკჰარდტმა, რომელმაც თავისი აღმოჩენის შესახებ იტალიელ მკვლევარს ჯ. ბელცონის შეატყობინა. ამ უკანასკნელმა 1817 წ. მოახერხა ტაძრების ქვიშიდან გათავისუფლება. გადმოცემით, აბუ სიმბელი ერქვა ადგილობრივ ბიჭს, რომელმაც თავის დროზე ბურკხარდტს ფრიზი აჩვენა, და მკვლევარებმა ტაძარს მისი სახელი დაარქვეს. XX საუკუნის სამოციან წლებში, როცა ასუანის კაშხალს აგებდნენ, ტაძრებს ხელოვნურ ნასერის ტბაში ჩაძირვის საშიშროება დაემუქრა. იუნესკოს ზედამხედველობით და დაფინანსებით ორივე კლდის ტაძარი 30-ტონიან ბლოკებად დახერხეს და ხელახლა ააწყვეს ძველ მდებარეობაზე 65 მეტრით მაღლა. ეგვიპტელმა არქიტექტორებმა ისე გათვალეს ტაძრის ღერძი, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ტაძრის გადატანამდე, წელიწადში ორჯერ — 20 ოქტომ-

ბერს და 20 თებერვალს, ყვალაზე ღრმად მდებარე ოთახის უკანა კედელთან დადგმულ რამსესის ქანდაკებას მზის სხივები აკაშკაშებდა. ტაძრის აწევის შემდეგ ამ მოვლენამ თითო დღით გადაინია.

აბუსირი — (ეგვ. *Bwsr* — „ოსირისის სახლი", ან „ტაძარი", ან „ადგილი"). აქ დაიწყეს სამარხების აგება V დინასტიის ფარაონებმა მას შემდეგ, რაც გიზე IV დინასტიის პირამიდებმა შეავსო. აქაა ფარაონების საჰურას, ნიუსერრას, ნეფერეფრას, ნეფერირკარას და დედოფალ ხენტკაუსის პირამიდები. აქვეა უსერკაფის, მისგან ჩრდილო-დასავლეთით კი, აბუ-გურაბის ბორცვზე, ნიუსერრას ცნობილი მზის ტაძრები. აბუსირი ცნობილია ეგვიპტოლოგიაში ასევე ე.წ. „აბუსირის პაპირუსებით". XIX ს. დასასრულს ნეფერირკარა (კაკაის) მოსახსენიებელ ტაძარში აღმოჩენილი იქნა ადმინისტრაციული პაპირუსების უზარმაზარი მასა. XX ს. დასასრულს ჩეხების ექსპედიციის მიერ ნაპოვნი იქნა სატაძრო ადმინისტრაციული დოკუმენტების ასევე დიდი მასა ნეფერეფრას და მისი დედის — ხენტკაუსის პირამიდების საკულტო კომპლექსებში. აბუსირის პირამიდები ზომით ძალიან ჩამოუვარდება III-IV დინასტიების ფარაონების პირამიდებს და თითქმის ყველა საფეხუროვანია (*იხ. ბუსირისი).*

ადრედინასტიური პერიოდი — დაახლ. 3400 წ. ჩვ.წ.-მდე მომავალი ეგვიპტის ტერიტორიაზე მომხდარი ძვრების შედეგად სრულიად ახალი ვითარება იქმნება. რთული ტომობრივი ხასიათის მქონე განვითარებული ნეოლითური კულტურის ადგილს ორი — ჩრდილოეთის და სამხრეთის საკმაოდ კარგად ორგანიზებული სამეფო იკავებს (Emery, 1961, 38). რამდენიმე საუკუნის შემდეგ სამხრეთის სამეფო სახლი იპყრობს ჩრდილოეთს. შედეგად, დაახლ. 3100 წ. ჩვ.წ.-მდე ეგვიპტელებმა შექმნეს პირველი სახელმწიფო დედამიწაზე, სადაც ქვეყნის მთელი ტერიტორია ერთ ცენტრალურ ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი, რომელიც ამ თარიღიდან დაახლ. 400 წელს და I-II დინასტიებს მოიცავს, ადრედინასტიური (ან არქაული) პერიოდის სახელით არის ცნობილი. ეგვიპტური ტრადიციის თანახმად, ჩრდილოეთ ეგვიპტური სამეფოს დამარცხება და ქვეყნის გაერთიანება მიეწერება სამხრეთ ეგვიპტის ქალაქის, ტინისის სამეფო სახლის ნარმომადგენელს, მენესს. მისი სახელით იწყება პირველი დინასტია ეგვიპტურ მეფეთა სიებში. მასვე მიეწერება

გაერთიანებული ეგვიპტის პირველი დედაქალაქის, მემფისის დაარსება ნილოსის დელტის წვერიდან 20კმ. სამხრეთით. ქალაქისათვის შერჩეულ ადგილს სტრატეგიულად იდეალური მდებარეობა გააჩნდა მთელ ქვეყანაზე კონტროლის დაწესების თვალსაზრისით. თანამედროვე შეხედულებით, არქაულ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს გვიანი წინადინასტიური პერიოდის, ე.წ. „ნულოვანი დინასტიის" მეფეებიც, რომელთა სამარხები აბიდოსში, I დინასტიის მეფეების სამარხების სიახლოვეს არის ნაპოვნი (Bard, 1999, 31), რადგან თანამედროვე მეცნიერება კრიტიკულად აფასებს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენის, როგორიც სახელმწიფოს შექმნაა, ერთი ადამიანის ქმედებით და ცხოვრებით დათარიღების შესაძლებლობას (Kaiser, 1959, 41-42; Helck, 1968, 23-24). დღეს კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ის ფაქტიც, რეალური პიროვნება იყო მენესი თუ მომავალი თაობების მიერ შექმნილი ლეგენდა, რადგან მისი სამარხი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის (Wilson, 1955, 45; Emery, 1961, 7; Wilkinson, 1999, 50). ზოგიერთი მეცნიერი კითხვის ქვეშ აყენებს ასევე ორი, ჩრდილოეთის და სამხრეთის წინადინასტიური ეგვიპტური სამეფოს არსებობის შესაძლებლობას (Trigger et al., 1999, 45), მაგრამ დღეს ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ თანდათან ნილოსის აუზის მოსახლეობა გაერთიანდა ორ, ჩრდილოეთის და სამხრეთის სამეფოში, რაც ერთგვარად გეოგრაფიული პირობებითაც იყო გამოწვეული, რადგან ნილოსის დაბლობი და მისი დელტა დღესაც ეგვიპტის ორ განსხვავებულ რეგიონს წარმოადგენს (Kaiser, 1961, 41). ამას ერთგვარად ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ეგვიპტე თავისი ისტორიის ბოლომდე იყო „ორი ერთში" — ეგვიპტელები მას „ორ მიწას" ეძახდნენ, ეგვიპტის ფარაონი კი მოიხსენიებოდა, როგორც „ზემო და ქვემო ეგვიპტის" ან „ორივე მიწის" ხელმწიფე. მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ერთიანი ეგვიპტე არ შექმნილა ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის შთანთქმის შედეგად. ეს იყო იმ ბუნებრივი პროცესის დასასრული, რომელმაც საბოლოოდ გააერთიანა ნილოსის დაბლობის ეთნიკურად ერთფეროვანი და ერთენოვანი ეგვიპტური მოსახლეობა. სწორედ ამიტომ გაერთიანების შემდეგ ჩრდილოეთის სამეფო სახლს არ უცდია გამოყოფა და დამოუკიდებელი ტერიტორიის აღდგენა, თუმცა ძალაუფლებისათვის ბრძოლა ერთიანი ეგვიპტის ფარგლებში წითელ ზოლად გასდევს არქაულ ეპოქას. ამ ბრძოლის დასასრულთან და ერთიანი ეგვიპტის საბოლოოდ ჩამოყალიბებასთან ერთად

სრულდება ადრედინასტიური პერიოდი და იწყება ეგვიპტის ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე, ძველი სამეფოს ეპოქა. ადრედინასტიური პერიოდი უმნიშვნელოვანესია ეგვიპტის ისტორიაში, რადგან სწორედ ამ დროს ხდება ქვეყნის თითქმის ყველა იმ ძირითადი თვისების ჩამოყალიბება, რომელიც შემდგომ ეგვიპტის დიდების საწინდარი გახდა. არქაულ პერიოდში ვითარდება დამწერლობა, რომლის წარმოშობა დაახლ. ქვეყნის გაერთიანებას ემთხვევა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო საკმაოდ რთული ადმინისტრაციული აპარატის ჩამოყალიბებას. ვითარდება ფარაონის ღვთაებრიობის იდეა, რომლის წარმოჩენა აქტიურად ხდება ხელოვნებაში და არქიტექტურაში. მეფე წარმოიდგინება, როგორც ქვეყნის გამაერთიანებელი და მებრძოლი ქაოსის წინააღმდეგ, რომელსაც უცხო ქვეყნები წარმოადგენენ (Wilkinson, 1999, 58). ამ პერიოდში ტარდება პირველი ექსპედიციები ნუბიაში, მყარდება სავაჭრო კონტაქტები აღმოსავლეთთან. ფორტიფიცირებულ ქალაქებში პალესტინაში სავარაუდოდ ცხოვრობდნენ ეგვიპტელი მოხელეები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფოს მიერ მართულ ვაჭრობას ამ რეგიონთან (Bard, 1999, 31) (*იხ. ასევე* I დინასტიის ფარაონები: *მენესი, ნარმერი, ხორ-ახა, ჯერი, ჯეტი, დენი, ანეჯიბი, სემერხეტი, კაა; II დინასტიის ფარაონები: ხეტეპსეხემუი, ნებრა, ნინეჩერი, უნეგი, პერიბსენი, სეხემიბ-პერენმაა, ხასეხემუი*).

ავარისი – (ეგვ. *Ḥ.t wꜥr.t*, Wb I, 287, ბერძნ. Auaris – ჰიკსოსების (იხ.) ბატონობის დროს მათი მთავარი ქალაქი და სამხედრო ბაზა. მდებარეობდა თანამედრ. თელ ელ დაბასთან, ნილოსის დელტის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქვემო ეგვიპტის მეთოთხმეტე, მეთვრამეტე, მეცხრამეტე და მეოცე ნომების შესაყართან (Baines&Malek, 1982, 15, 167). ავარისის ლოკალიზაცია და იდენტიფიცირება მოხერხდა ავსტრიული არქეოლოგიური ინსტიტუტის მიერ გასული საუკუნის სამოციან წლებში დაწყებული გათხრების მონაცემებით (ხელმძღვანელი – მ.ბიტაკი, Bietak, 1966). ქალაქის უძველესი ფენა XII დინასტიის დასაწყისით თარიღდება. ადგილის დასახლება დაიწყო სახელმწიფოს მიერ მართული კოლონიზაციის შედეგად (E.Czerny, http: //www.auaris.at/html/sttratum_e_en.htm), რომელიც აღმავლობას XIII დინასტიის დროს განიცდის. უცხოეთთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობისათვის ცენტრის შექმნის მიზნით ფარაონებმა დაიწყეს სირია-პალესტინიდან ე.ნ. ამორიტების და ქანაანელების ჩამოსახლება – ჯარისკაცების, მეზღვაურების,

გემთმშენებლების და სხვ. ამ დროს ეგვიპტეში ცენტრალიზებული მმართველობის თანდათანობით მოშლის პირობებში (მეორე გარდამავალი პერიოდი) ადგილობრივმა აზიური წარმოშობის დინასტიამ მოიპოვა კონტროლი ქალაქზე და შექმნა მომავალი ჰიკსოსური სამეფოს ბირთვი (Bietak in Bard (ed), 1999, 377). ქალაქის გათხრებმა აჩვენა, რომ ავარისი იყო კარგად განვითარებული სავაჭრო ცენტრი და მის პორტს ერთდროულად სამასზე მეტი გემის მომსახურება შეეძლო (Booth, 2005, 40). ჰიკსოსების მიერ აგებული ავარისის მთავარი ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპოვნია უამრავი ნივთი, რომლებიც ეგეოსურ წარმომავლობას ამჟღავნებს. თვითონ ტაძარში აღმოჩენილია მინოსური ტიპის ფრესკები, რომლებიც საოცრად ჰგავს კრეტაზე კნოსოსის ტაძრის ფრესკებს. თანადროულ ფენებში ეგეიდაში მრავლად არის ნაპოვნი შუა სამეფოს პერიოდით დათარიღებული ეგვიპტური ქანდაკებები (Booth, 2005, 12). ამ მონაცემებზე დაყრდნობით არსებობს ვარაუდი ავარისთან მიკენური კოლონიის არსებობის შესახებ (Duhoux, 1987). ქალაქი დაინგრა იახმესის (*იხ.*) მიერ ჰიკსოსების განდევნის შემდეგ და თანდათან იქნა მიტოვებული XVIII დინასტიის დროს.

ავი თვალი — ეგვიპტელებს სწამდათ ავი თვალის. „ორი ავი თვალის" წინააღმდეგ შელოცვას ჯერ კიდევ პირამიდების ტექსტებში ვხვდებით (PT1266). გვიანდელი პერიოდის ტექსტები გვამცნობს, რომ „ნეიტი ბოროტ თვალს ანადგურებს". ედფუს ტაძრის ბიბლიოთეკაში ინახებოდა შელოცვები „ავი თვალის" წინააღმდეგ (Bonnet, 1952, 122).

ავტობიოგრაფია — ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების გადახედვას წარმოადგენს. ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანის ცხოვრება მისთვის მაინც წარმოადგენს ფასეულობას, ამისათვის კი საკუთარი „მეს" შემეცნება და დაფასებაა საჭირო. ძველმა ეგვიპტელმა ეს ძალიან ადრე — ჩვ.წ.-მდე მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარში შეძლო. სწორედ ამ დროით არის დათარიღებული კერძო პირის უძველესი ავტობიოგრაფია, რომელიც პირველი (ჯოსერის) პირამიდის თანადროულად ჩნდება (ხვედელიძე, 2004, 144-149). თანადროული ცივილიზაციებისაგან ეგვიპტე ადამიანის უნარისა და ნიჭისადმი დამოკიდებილებით და განათლებული ადამიანის დაფასებით გამოირჩეოდა. სატაძრო სკოლებში, სადაც დამწერლობასთან ერთად სხვა საგნებიც (მათემატიკა, ასტრონომია, მედიცინა და სხვ.) ისწავლებოდა,

რიგითი (შესაძლოა ღარიბი) ოჯახების შვილებსაც შეეძლოთ განათლების მიღება. ეგვიპტურ ტექსტებში არ გვხვდება არავითარი მინიშნება რაიმე გადასახადის არსებობაზე, მაგრამ ხშირია, როცა მშობლები არიგებენ შვილს, რომ უნდა ისნავლოს, თუ არ უნდა მშობლების მსგავსად „ტალახი ზილოს მინდორში" (Коростовцев, 1962, 153). კარგი განათლების მიღების შემთხვევაში ეგვიპტელს გარანტირებული ჰქონდა სამსახური და შემდგომი კარიერა მთლიანად მის უნარზე იყო დამოკიდებული. ასეთი რიგითი ეგვიპტელი იყო იმხოტეპი (*იხ.*), რომელიც გახდა პირველი პირამიდის არქიტექტორი, ბრწყინვალე ექიმი და ბრძენი, და რომელსაც ეგვიპტელები ეთაყვანებოდნენ, როგორც ღვთაებას, გარდაცვალებიდან ორი ათასი წლის შემდეგ. ჩვეულებრივ ადამიანს შეიძლება ფარაონად გახდომის შანსიც კი მისცემოდა (მაგ. ამონემხატ I, ამასისი და სხვ.). შესაძლოა, რიგითი ადამიანის ნიჭისა და უნარის ასეთმა დაფასებამ მისცა ბიძგი ეგვიპტელში პიროვნული თვითშეგნების ძალიან ადრე განვითარებას. ეგვიპტის ისტორიის შექმნაში ძალიან დიდი როლი მიუძღვით სხვადასხვა თანამდებობის მქონე უბრალო წარმოშობის ეგვიპტელებს, რომლებიც, როგორც ჩანს, გრძნობდნენ სახელმწიფოსათვის თავიანთ მნიშვნელობას და მარადიულობისათვის შექმნილი სამარხების კედლებზე ამაყად ათავსებდნენ საკუთარი ცხოვრების აღწერას.

ათრიბი – ბერძნები ამ სახელით ორ ქალაქს მოიხსენიებდნენ: 1. ეგვ. *Ḥt-tꜣ-ḥr:t-ib* (ტაძარი ქვეყნის შუაგულში, Wb III, 3). ქვემო ეგვიპტის მეათე ნომის დედაქალაქი. ქალაქის ისტორია ძველი სამეფოდან იწყება. მდებარეობდა დღეს დამშრალი ნილოსის დელტის ტანიტის ტოტის აღმოსავლეთ ნაპირზე, კაიროს ჩრდილოეთით მდებარე თელ ათრიბის ადგილას, დელტის შუაგულში. ათრიბის ნომის მთავარი ღვთაება იყო ხარის სახის ღვთაება „დიდი შავი" (*Km wr*). ქალაქი, ისევე როგორც ნომი, ხშირად ამ სახელითაც მოიხსენიებოდა (Montet, 1957, 121). ქალაქის უძველესი მფარველი ღვთაება იყო ნიანგის სახის მქონე ხენტეხტაი (ეგვ. *Khentj-Khetj*). მისი სახელის მნიშვნელობა და წარმოშობა უცნობია. ახალი სამეფოდან ხენტეხტაი ხორის ერთ-ერთი გამოვლინება ხდება (ხორ-ხენტეხტაი, Kees, 1980, 16). ტალახიანი გრუნტის გამო გათხრები დიდი სირთულით მიმდინარეობს. ნაპოვნია ამონხეტეპ III-ის (XII დინასტია) და XXVI დინასტიის ფარაონის ამასისის ტაძრების ნანგრევები, ასევე შევარდნის მუმიების სამარხები და ბერძნულ-რომაული პერიოდის ვრცელი

ნეკროპოლისი (http;//www.touregypt.net/featurestories/niledeltaruins.htm.). ცალკე უნდა აღინიშნოს აქ მოძიებული რამსეს II-ის ვაჟიშვილის, მერნეპტახის სტელა (დღეს კაიროს მუზეუმში), რომელიც მერნეპტახის მიერ ლიბიელების და ზღვის ხალხების ალიანსზე გამარჯვების აღწერას წარმოადგენს (Breasted, 1962, § 596-601). 2. ათრიბი მეცხრე ზემოეგვიპტურ ნომში (ეგვ. *I.t Rpj.t*, კოპტ. Atripe, Bonnet, 1952, 58), ლომის სახიანი ქალღმერთის რეპიტის (ბერძნ. Triphis) ქალაქი, ამიტომ ბერძნები მას თრიპიონსაც ეძახდნენ. მდებარეობდა თანამედროვე სოფელ ვანინას ადგილას, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე. გათხრები დაიწყო ფ. პეტრიმ 1900 წ (Petrie, 1908). აღსანიშნავია პტოლემაიოსების მიერ თრიპისისადმი მიძღვნილი ტაძარი და ასკლეპიოსის კლდის ტაძარი.

აი — (ეგვ. *Ii*, ფარაონი, ჩვ.წ.-მდე 1323-1319 ან 1327-1323). ითვლება ამონხეტეპ III-ის მთავარი მეუღლის, ტეიეს ძმად და შესაძლოა ნეფერტიტის მამად. ამ მხრივ დასაფიქრებლად მიიჩნევა ფაქტი, რომ თავისი ხანმოკლე მეფობის დროს აიმ ტაძარი აუგო მინს ახმიმში, ტეიეს მშობლების ქალაქში (Hornung, Krauss and Warburton, 1994, 136), სადაც ტეიეს მამას, იუიას მინის მისნის და ტაძრის საქონლის ზედამხედველის თანამდებობები ეკავა (Hayes, 1959, 260). ზოგი მეცნიერის აზრით, ისიც იუიას შვილი იყო, მათი ფიზიკური მსგავსების გამო (Hyndley, 2006, 26). აის მდგომარეობა გამორჩეული იყო ამონხეტეპ IV-ის (ეხნატონის), შემდეგ კი ტუტანხამონის კარზე. უკვე ამონხეტეპის დროს მისი ერთ-ერთი წოდება იყო „ღვთაების მამა" (უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ვარაუდით ეს მისი დაბადების სახელი იყო, Clayton, 1994, 136). ითვლება, რომ აიმ ეს წოდება მოიპოვა, როგორც ეხნატონის სიმამრმა. აი ამაყობდა ამ წოდებით და მან ის ტახტზე ასვლის შემდეგაც შეინარჩუნა (Hayes, 1959, 307). ეხნატონის დროს აი ასევე ატარებდა წოდებას — „მისი უდიდებულესობის ყველა ცხენის ზედამხედველი" და მისივე მეფობის დროს დაიწყო საკუთარი სამარხის აგება ამარნაში (Hindley, 2004, 27). ტახტზე ავიდა ტუტანხამონის ქვრივზე, ანხესენპაამონზე ქორწინებით. მის მეფობაზე პრაქტიკულად არაფერია ცნობილი, რადგან აის გარდაცვალების შემდეგ ხორემხებმა (ტახტზე ავიდა აის შემდეგ) გაანადგურა მისი კვალი, სადაც ხელი მიუწვდა. მან წარწერებზე წაშალა აის სახელი, დაამსხვრია მისი სარკოფაგი და მიითვისა მისი მოსახსენიებელი ტაძარი (Porter — Moss, 1960-64, 550-551). მაგრამ სწორედ აის გავერანებული

სამარხის კედლებმა შემოგვინახა დღეისათვის ძველეგვიპტური ლიტერატურის შედეგრად წოდებული ნაწარმოების, ეხნატონის მიერ ატონისადმი მიძღვნილი ჰიმნის ყველაზე სრულყოფილი ვერსია.



აკერი, როგორც ლომების ნყვილი, რომლებსაც ცა უჭირავს.

აკერი – (ეგვ. *ꜣkr*; Wb I, 22) უძველესი ღვთაება, რომელიც მიწის განსახიერებას წარმოადგენდა და მიწისქვეშეთის დასავლეთ და აღმოსავლეთ ჭიშკრებზე ბატონობდა. ძველ ტექსტებში მიწის ნიშნით (𓍿) იყო დეტერმინირებული (PT 504, 658, 796). გამოისახებოდა მიწის ნიშნით, რომელსაც ორივე მხარეს ადამიანის თავი ჰქონდა. ახალი სამეფოდან მას ემატება ლომის თათები, და ხშირად ადამიანის თავი ლომის თავით არის შეცვლილი. კიდევ უფრო გვიან გამოისახებოდა, როგორც ორი ერთმანეთისაკენ ზურგით მჯდომი ლომი, რომელთა შორის ჰორიზონტის ნიშანი იყო მოთავსებული (მაგ. „მკვდართა წიგნის“ XVII თავის ილუსტრაციებში, Bonnet, 1952, 12). დასავლეთისაკენ მომზირალ ლომს ერქვა სეფი (ეგვ. *sf*, „გუშინ“, Wb IV, 113), აღმოსავლეთისაკენ – დუაუ (ეგვ. *dwꜣ.w*, „ხვალ“, „(ხვალინდელი) დილა“ Wb V, 422). ითვლებოდა, რომ აკერი რას ღამით მიწისქვეშეთის დასავლეთის, დილით კი აღმოსავლეთის ჭიშკრებს უღებდა. იგი იცავდა გარდაცვლილებს გველის შხამისაგან, რას კი აპოპისაგან (*იხ.*), ამიტომ მის გამოსახულებებს სამარხების შესასვლელებთან ათავსებდნენ. რამსეს VI-ის და რამსეს IX-ის სამარხებში ნაპოვნია „აკერის წიგნის“ ნაწყვეტები. ფრაგმენტულობის გამო სრული შინაარსის დადგენა ძნელია, მაგრამ მის ძირითად იდეას მეფის მიწისქვეშეთიდან აღზევება წარმოადგენს, რასაც საოცარ ემოციურობას ანიჭებს წიგნის ილუსტრაციები – მიწიდან ზეაწვდილი ხელები (West, 1995, 314).

აკშე – აკშესთან, ნილოსის მარცხენა ნაპირას, ვადი-ჰალფას ჩრდილოეთით, დღემდეა შემორჩენილი რამსეს II-ის ტაძრის ნანგრევები, რომელიც მან მიუძღვნა რას, ამონს და საკუთარ თავს. ესაა ერთ-ერთი იმ შვიდი ტაძრიდან, რომლებიც მან ნუბიაში ააგო (*იხ. აბუ-სიმბელი*).

ალექსანდრე დიდი – (ალექსანდრე მაკედონელი, 356-323 წწ. ჩვ.წ.-მდე) – მაკედონიის მეფის, ფილიპეს ვაჟი. ჩვ.წ.-მდე მეოთხე საუკუნის შუახანებამდე მაკედონია ბალკანეთის პატარა, უმნიშვნელო სახელმწიფო იყო. ალექსანდრეს მამამ, ფილიპე II-მ სულ რაღაც ოცდაოდ წლის განმავლობაში ის აღმო-

სავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის უძლიერეს სამხედრო ძალად გადააქცია. მან დაიპყრო ბალკანები დუნაიდან საბერძნეთის სამხრეთამდე და საბერძნეთის ქალაქი-სახელმწიფოები, და ეთნიკური კონფედერაციები გააერთიანა ალიანსში, რომელიც „კორინთეს ლიგის" სახელით არის ცნობილი. ლიგის მიზანს საბერძნეთში მაკედონიის პირველობის შენარჩუნება და სპარსეთის იმპერიაში შეჭრა წარმოადგენდა. თუმცა ჩვ.წ.-მდე 336 წლის დასაწყისში ფილიპემ დაინყო სამხედრო კამპანიების წარმოება სპარსეთის იმპერიის ანატოლიურ პროვინციებში, მისი საბოლოო მიზანი მაინც უცნობია, რადგან იმავე წლის ზაფხულში ტრაგიკულად იქნა მოკლული საკუთარი ქალიშვილის ქორწილში. ფილიპეს შექმნილ ერთობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა, მაგრამ ტახტზე ასულმა ოცი წლის ალექსანდრემ მოახერხა სამოქალაქო ომის თავიდან აცილება მაკედონიაში, და თავისი ბალკანელი და ბერძენი ქვეშევრდომების აჯანყების ჩახშობა. ამის შემდეგ მისი წარმატებული სამხედრო მარში აღარ შეჩერებულა. ალექსანდრემ დაპყრო მთელი იმდროინდელი სამყარო დასავლეთ ინდოეთამდე და რეალობად აქცია ბერძენი ინტელექტუალების თითქოსდა აუსრულებელი ოცნება — დაამარცხა სპარსეთი, რომელიც უკვე ორი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა დასავლეთ აზიასა და ეგვიპტეში (Burstein, 2004, 2). მაგრამ ალექსანდრემ არა მარტო შექმნა უდიდესი იმპერია. დამპყრობლის სრულიად ახალი, იქამდე უჩვეულო ხედვის წყალობით ბიძგი მისცა ახალი ეპოქის — ელინიზმის შექმნას. როცა ახალ რეგიონს იპყრობდა, ის ცდილობდა მაკედონელების ინტეგრირება მოეხდინა ადგილობრივ წეს-ჩვეულებებში და მოსახლეობაში; ის ადგილობრივ სამხედრო ძალებს თავის მაკედონიურ საჯარისო ნაწილებთან აერთიანებდა და ხშირად გარკვეული ოლქების მმართველებად ადგილობრივ დიდგვაროვნებს ნიშნავდა. მას უნდოდა, რომ მის ჯარისკაცებს ცოლად ადგილობრივი ქალები შეერთოთ და შეესაძლოა ისინი საკუთარი მაგალითითაც ნაახალისა (მისი ცოლი, როქსანა, ბაქტრიელი დიდებულის ქალიშვილი იყო). ალექსანდრე მოულოდნელად გარდაიცვალა ბაბილონში ჩვ.წ.-მდე 323 წ. ისე, რომ თავისი მემკვიდრე არ დაუსახელებია. დიოდორე სიცილიელის თანახმად, როცა მას სიკვდილის წინ ჰკითხეს, ვის უტოვებდა თავის იმპერიას, ალექსანდრემ უპასუხა: „საუკეთესო კაცს, რადგან მე ვხედავ ჩემს დაკრძალვას, როგორც ბრძოლის ველს ჩემი იმპერიისათვის". მისი სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა (Jones, 2006 (b), 3-5).

ალექსანდრია – ალექსანდრე დიდის ქალაქი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, რომელიც მან ძვ. წ. 332 – 331 წწ. დააარსა, როგორც საზღვაო ბაზა მომავალი ლაშქრობებისათვის პატარა ეგვიპტური ქალაქის, რაკოტეს გვერდით (ეგვ. *Rˁ-ḳdj.t*, Wb II, 403). ალექსანდრია იყო ასევე ეგვიპტის უკანასკნელი დედაქალაქი არაბების დაპყრობამდე ჩვ.წ. 641 წ. გადმოცემით, ალექსანდრეს ესიზმრა ჭაღარა კაცი, რომელმაც წაუკითხა სტრიქონები „ოდისეიდან" (4. 354-5). ეს სტრიქონები ეხება ფაროსს – კუნძულს ალექსანდრიის პორტში შესასვლელთან. ალექსანდრე, რომელიც უდიდესი მოწიწებით ეპყრობოდა ჰომეროსს, მაშინვე წავიდა ადგილის სანახავად. მან ნახა, რომ ფაროსი არაჩვეულებრივი სტრატეგიული ადგილი იყო პორტში შესასვლელის გასაკონტროლებლად, და განაცხადა, რომ ჰომეროსი იყო ყველაზე დიდი ბრძენი მშენებლებს შორის (Jones, 2006, 6). ალექსანდრეს დავალებით ქალაქის პროექტი შეადგინა არქიტექტორმა დინოკრატე როდოსელმა. თვითონ ალექსანდრე რამდენიმე თვეში წავიდა ლაშქრობაში და ცოცხალი უკან აღარ დაბრუნებულა (იგი ეგვიპტეში თავისმა გენერალმა, მომავალმა პტოლემაიოს I სოტერმა ჩამოასვენა). პტოლემაიოსებმა ალექსანდრია განათლების და მეცნიერების ქალაქად გადააქციეს. იგი გახდა ელინიზმის ცენტრი და ანტიკური სამყაროს სიდიდით მეორე ქალაქი რომის შემდეგ (დაახლ. 1 მილიონი მოსახლეობით). აქ მოხდა ბერძნული და ეგვიპტური სიბრძნის შერწყმა, ძველი სამყაროს თითქმის ყველა კულტურის სინთეზირება. ქალაქი სამი ძირითადი რაიონისაგან შედგებოდა: ბრუხეუმი (სამეფო და ბერძნული რაიონი), ებრაული რაიონი მის ჩრდილო-აღმოსავლეთით და რაკოტისი (ძველი ქალაქი), სადაც ეგვიპტელები ცხოვრობდნენ. ალექსანდრიის შემადგენლობაში შედიოდა ასევე კუნძული ფაროსი, რომელიც ქალაქთან ხელით აგებული 1260 მ. სიგრძის ე.წ. ჰეპტასტადიონით იყო დაკავშირებული. ჩვ.წ.-მდე 30 წ. იულიუს კეისარი ჩაერია პტოლემაიოს XIII თეოს ფილოსოფოსსა და მის მრჩეველებს შორის გამართულ ომში და ალექსანდრია დაიპყრო, თუმცა ქალაქის საბოლოოდ დაპყრობა და რომის იურისდიქციაში მოქცევა შეძლო ოქტავიანემ (მომავალმა იმპერატორმა ავგუსტემ) ჩვ.წ.-მდე 30 წელს. ბერძნულ-ებრაული სამოქალაქო ომის დროს ჩვ.წ. 115 წ. ქალაქის საგრძნობი ნაწილი დაინგრა, დაზიანდა ქალაქი ასევე ჩვ.წ. 365 წ. კრეტის მიწისძვრით გამოწვეული ცუნამის დროს. 365 წ. ალექსანდრიის პატრიარქმა თეოფილემ დაანგრია ყველა წარმართული ტაძარი, მათ შორის ულამაზესი სერაპისის

(*იხ.*) ტაძარი. 614 წ., თოთხმეტთვიანი ალყის შემდეგ, ალექსანდრია საბოლოოდ დაიპყრეს არაბებმა. ძველ სამყაროში ალექსანდრია განთქმული იყო თავისი ბიბლიოთეკით, შუქურით და კატაკომბებით (Kom al-soqqafa). ესაა უზარმაზარი მიწისქვეშა ლაბირინთი, რომაულ-ეგვიპტური ქანდაკებებითა და სვეტებით მორთული საკნებით და ნიშებით, სადაც მრავალი სარკოფაგია შემორჩენილი, და უზარმაზარი, რომაულ სტილში შესრულებული დარბაზით სამგლოვიარო ბანკეტებისათვის (Empereur, 1998; Haas, 1997).

ალექსანდრიის ბიბლიოთეკა — ძველი სამყაროს უდიდესი ბიბლიოთეკა. დაარსდა ჩვ.წ-მდე III საუკუნეში პტოლემაიოს I სოტერის და მისი შვილის, პტოლემაიოს II ფილადელფოსის დროს. სტრაბონის თანახმად, მისი იდეა ეკუთვნის ეგვიპტეში გადასახლებულ ბერძენ ორატორს და ფილოსოფოსს, დემეტრე ფალერელს (13, 608;17, 793–4). ბიბლიოთეკა იყო უფრო დიდი კომპლექსის — მუზეუმის (მუზების სასახლის) ნაწილი, სადაც შეისწავლებოდა მუსიკა, ხელოვნება, ფილოსოფია და მეცნიერება. ბიბლიოთეკის გარდა, აქ იყო ობსერვატორია, ზოოლოგიური და ბოტანიკური ბაღები, უამრავი დარბაზი მეცნიერთა შეხვედრებისა და საუბრებისათვის, სასადილო დარბაზი და სამკითხველო. პაპირუსების საცავ დარბაზში ამოკვეთილი იყო სიტყვები „სულის სამკურნალო ადგილი", რომლებიც გადმოცემით ძველი ეგვიპტის უძველეს — მემფისის ბიბლიოთეკის კედელს ამშვენებდა (Manguel, 2008, 26). პტოლემაიოსები აფინანსებდნენ წარმომადგენლობებს როდოსსა და ათენში ხელნაწერების ჩამოსატანად; ამას გარდა, ყველას, ვინც ალექსანდრიაში ჩამოდიოდა, ართმევდნენ წიგნებს და ბიბლიოთეკაში მათი კოპირება ხდებოდა (Erskine, 1995, 38-48). ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერების ზუსტი რაოდენობა დღეს დაუდგენელია. ცნობილია, რომ პტოლემაიოს II ფილადელფოსმა მიზნად დაისახა მათი რაოდენობა 500 000-მდე გაეზარდა (Tarn, 1928, 246-260). ხელნაწერების ნაწილი სერაპეუმის სატაძრო ბიბლიოთეკაში ინახებოდა. პტოლემაიოსები ბიბლიოთეკაში სამუშაოდ იწვევდნენ ცნობილ მეცნიერებს, სრულად აფინანსებდნენ მათ მგზავრობას და ალექსანდრიაში ცხოვრებას ოჯახებთან ერთად. სწორედ ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში მოხდა მეცნიერული მეთოდების ჩამოყალიბება და გამოყენება. აქ მოღვაწეობდნენ კალიმაქე, აპოლონ როდოსელი, ერატოსთენე (ჩვ.წ.-მდე III ს.), არისტოფანე ბიზანტიელი, არისტრახე სამოთრაკიელი (ჩვ.წ.-

მდე II ს.). და სხვ. თუმცა დღეს ბიბლიოთეკის განადგურებას ძირითადად არაბებს აბრალებენ, ბიბლიოთეკა მათ უკვე ძალიან გაძარცვული დახვდათ (Wilson, 1964, 4). პლუტარქეს ცნობით, როცა იულიუს კეისარმა დაწვა თავისი გემები ალექსანდრიაზე შეტევისას, ცეცხლი ბიბლითეკაზეც გადავიდა (49, 3), მაგრამ თანამედროვე გეოგრაფიული შესნავლით, ეს ვერ მოხდებოდა. შესაძლოა ამ დროს დაიწვა ფაროსზე მდებარე წიგნების საცავი (Vrettos, 2001, 93-94). ბიბლიოთეკის ფონდები დაზარალდა აურელიანეს მიერ 274 წ. ქალაქის აღებისას, როცა ის დედოფალ ზენობიას აჯანყებას ახშობდა. 391 წ. ქრისტიანმა იმპერატორმა თეოდოსემ ბრძანა ქალაქში წარმართული ტაძრების დანგრევა, რაც გულმოდგინედ შეასრულა ალექსანდრიის პატრიარქმა თეოფილემ. ამ დროს განადგურდა სერაპეუმის ტაძარი და იქ დაცული ხელნაწერები. ბიბლიოთეკის განადგურება დაასრულეს არაბებმა 641 წ. ხალიფ ომარ იბნ ალ ქათაბის განცხადების შემდეგ, რომ ხელნაწერები ან იმეორებდნენ ალაჰის სიტყვებს, ან ეწინააღმდეგებოდნენ მათ და ამიტომ არ იყო საჭირო მათი შენახვა. პაპირუსები წაიღეს აბანოებში წყლის გასათბობად, სადაც მათ ექვსი თვის განმავლობაში წვავდნენ (Lewis, 1990, 27).

ალექსანდრიის შუქურა — მიჩნეულია მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად. მდებარეობდა კუნძულ ფაროსზე. შუქურის აგების ინიციატივა ეკუთვნის პტოლემაიოს I-ლ სოტერს. არქიტექტორი იყო სოსტრატე კნიდოსელი. მშენებლობა 12 წელიწადს მიმდინარეობდა და პტოლემაიოს I-ის შვილის, პტოლემაიოს II ფილადელფოსის დროს დასრულდა. გადმოცემით, შუქურა 56 კმ. მანძილზე ანათებდა. 115-135 მ. სიმაღლის შუქურა წარმოადგენდა მსოფლიოში სიმაღლით მესამე ნაგებობას ხუფუს და ხაფრას პირამიდების შემდეგ. დაზარალდა მინისძვრების შედეგად 956, 1303 და 1323 წლებში. 1480 წელს სულთანმა ქაით ბეიმ ქვები შუქურის ნანგრევებიდან თავისი ფორტის ასაშენებლად გამოიყენა (Petersen, 1996, 188).

ამადა — სოფელი ასუანიდან 200 კმ სამხრეთით, სადაც მდებარეობს XVIII დინასტიის ფარაონების თოტმეს III-ის და ამონხეტეპ II-ის მიერ აგებული ცნობილი ამადას ტაძარი (9, 7x23, 6.მ), მიძღვნილი ამონ-რასა და რა-ხორახტისადმი. ტაძრის ფასადი დაასრულა სეტი I-მა, რომელმაც მას პატარა პილონი მიუშენა. 1964-1975 წწ. ასუანის კაშხალის აგებასთან დაკავშირებით

ტაძარი გადააადგილეს დაახლ. 65 მეტრით ზევით და 2 კილომეტრით უკან (Arnold, 2002, 80). პირველმა ტაძარი შეისწავლა ა.გოტიემ (Gauthier, 1913). ტაძრის კედლებზე მოთავსებულია ორი მნიშვნელოვანი წარწერა: ერთი მოგვითხრობს ამონხეტეპ II-ის მიერ შვიდი Takhesy-ს (სირია) ბელადის გაულეტის შესახებ (Oakes, 2003, 204), მეორე კი მერნეპტახის დროს ეგვიპტეში ლიბიელების შეჭრაზე (Baines and Malek, 1982, 182).

ამარნა (თელ-ელ-ამარნა) — ახეტატონის (*იხ.*) თანამედროვე სახელი.

ამარნას ეპოქა — პერიოდი, როცა ამონხეტეპ IV (ეხნატონმა) უარყო ეგვიპტის ღმერთები და გამოაცხადა, რომ ეთაყვანებოდა ერთადერთ ღვთაებას — ატონს, მზის დისკოს. მან ასევე ააგო ახალი ქალაქი — ახეტატონი, სადაც თებედან ქვეყნის დედაქალაქი გადაიტანა. ეს ეპოქა ცნობილია აგრეთვე, როგორც ეგვიპტის ხელოვნებისა და ლიტერატურის საოცარი აღმავლობის ხანა (*იხ. ატონი, ახეტატონი, ეხნატონი, ნეფერტიტი, ტეიე, ტუტანხამონი, სმენხკარა, აი და ხორემხები*).

ამარნას წერილები — ეგვიპტის ფარაონების (ამონხეტეპ III-ის (მეფობის ბოლო ათი წელი), ამონხეტეპ IV-ის, სმენხკარას, ტუტანხამონის და აის (1 წერილი) დიპლომატიური კორესპონდენციის არქივი (Moran, 1992, XXV). წერილები შესრულებულია თიხის ფირფიტებზე, აქადურ ენაზე. აღმოაჩინეს ყოფილი ახეტატონის ტერიტორიაზე ადგილობრივმა გლეხებმა XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში და დაიწყეს მათი გაყიდვა კაიროს სიძველეთა ბაზარზე, ამიტომ დღეს არქივი გაფანტულია სხვადასხვა მუზეუმებში — ბერლინის წინა აზიის მუზეუმშია 202/3, ოქსფორდის აშმოლეონის მუზეუმში — 23, ლონდონის ბრიტანულ მუზეუმში — 94/5, კაიროს ეგვიპტურ მუზეუმში — 44/5, ლუვრში — 7, მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში — 2 და თითო-თითო ფირფიტაა მოსკოვში, სტამბოლში და ბრიუსელში. ფირფიტების წარმოშობის ადგილის დადგენის შემდეგ დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. 21 ფირფიტა მოიძია ცნობილმა არქეოლოგმა ფ. პეტრიმ. ფირფიტების პირველი ფუნდამენტური გამოცემა, რომელიც დღეს „კლასიკურად" არის მიჩნეული, ეკუთვნის ნორვეგიელ ასირიოლოგს ი. ა. კნუდტცონს (Y. A. Knudtzon, Die El-Amarna Tafeln, Bds. I-II, 1907, 1915). მისი გამოცემის შემდეგ ნაპოვნია კიდევ 24 ფირფიტა, დღეისათვის

მათი საერთო რაოდენობა 378 შეადგენს. წერილებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი ისტორიის რეკონსტრუქციისათვის. გამოკვეთილია „დიდი“ მეფეები — ეგვიპტის, მითანის, ბაბილონის, ასურეთის და ხეთების, რომლებიც ერთმანეთს მიმართავენ, როგორც „ძმები“. სულ სხვა ინტონაციით არის შედგენილი ნაკლებად ძლიერი ქვეყნების — მაგ. არცავას, ალაშიას(კვიპროსი), სირიის ქალაქების მმართველების წერილები. აქ პირველად არიან დაფიქსირებული „ზღვის ხალხები“ — შარდანა(Moran, 1992, 150-151), დანუნა (*იქვე*, 201-202) და ლუკა (*იქვე*, 111-112), რომლებმაც შემდგომში რამდენიმე დიდი სახელმწიფო გაანადგურეს.

ამასისი — XXVI (საისური) დინასტიის მეხუთე ეგვიპტელი ფარაონის, იახმესის (ეგვ. *Ꞽꜥḥ-mś sꜣ Ni.t* — იახმესი, ნეიტის ვაჟი) ბერძნული სახელი. მეფობდა ჩ.ნ.-მდე 570-526 წწ. არასამეფო წარმოშობის გენერალმა, რომლის მოხსენიებასაც პირველად დინასტიის მესამე ფარაონის, ფსამტიხ I-ის დროს ნუბიაში მოღვაწეობისას ვხვდებით, გამოიყენა ეგვიპტურ ჯარში და მოსახლეობაში თავისი წინამორბედის, აპრიესის მიმართ აგორებული უკმაყოფილების ტალღა და ტახტის უზურპირება მოახდინა. მისი გამეფებისთანავე ასურელებმა ისარგებლეს შიდაარეულობით ეგვიპტეში და სცადეს ქვეყანაში შეჭრა, მაგრამ ამასისმა მოახერხა მათი უკუგდება. ამასისი ცნობილია თავისი მოქნილი პოლიტიკით ბერძენ ვაჭრებთან, რომლებსაც თავი მოუყარა ქალაქ ნავკრატისში (Gardiner, 1961, 36). მან ასევე თავისუფალი სავაჭრო პოსტის სტატუსი მიანიჭა ნავკრატისს, რამაც ბიძგი მისცა ვაჭრობის გასაოცარ აყვავებას დელტაში. მისი მეფობა ეგვიპტის აყვავების ხანად ითვლება, წარმატებული ვაჭრობით და მზარდი სოფლის მეურნეობით. ამასისი ბევრს აშენებდა — ელეფანტინაზე, მემფისში, ფილეზე, ედფუში, აბიდოსში, კოპტოსში და სხვ. ვარაუდობენ, რომ ეგვიპტის მოსახლეობის რიცხვმა ამ დროს 7.5 მილიონს გადააჭარბა, რაც თავისთავად უზარმაზარი რიცხვია იმდროინდელი ხმელთაშუაზღვისპირეთის მოსახლეობის რიცხვის გათვალისწინებით. თვითონ მას იხსენებდნენ, როგორც კარგი ხასიათის მქონე მმართველს. მის დიპლომატიურ ნიჭზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შეინარჩუნა კარგი დამოკიდებულება ბერძნებთან, მოიპოვა სამხედრო გამარჯვება რამდენიმე კვიპროსის ქალაქზე, რამაც საშუალება მისცა გამოეყენებინა კვიპროსის გემები სავაჭრო მიზნებისათვის. ამასისს ჰქონდა პარტნიორული ურთიერთო-

ბა ლიდიის მეფესთან — კრეზოსთან და სამოსის ტირანთან — პოლიკრატესთან. მაგრამ ამ დროს ძალას იკრეფდა სპარსეთი, რომელიც მალე ასურელებზე უფრო დიდ იმპერიად გადაიქცა. მეფობის ბოლო წლებში ამასისი დაკავებული იყო სპარსელების წინააღმდეგ ალიანსის შექმნით, მაგრამ კიროს II-ის მიერ ბაბილონის და ლიდიის დაპყრობის შემდეგ ფაქტობრივად მოკავშირეების გარეშე დარჩა. ეგვიპტეში სპარსელების შემოჭრა მცირე ხნით გადაიდო კიროს II-ის გარდაცვალების შემდეგ, მგრამ მისი მემკვიდრე კამბიზ II დაიძრა ეგვიპტისაკენ ჩვ.წ.-მდე 525 წ (Grimal, 2003, 363-364). ამასისი გარდაიცვალა სპარსელების შემოჭრამდე რამდენიმე თვით ადრე, მისი შვილი კი დამპყრობლებმა ჩაიგდეს ხელში და სიკვდილით დასაჯეს (Dodson and Hilton, 2004, 244, 247). ამასისის სხეულის შეურაცხსაყოფად კამბიზი თავად ჩავიდა საისში. ფარაონის მუმია გამოათრიეს სამარხიდან და როცა ცემით ბალზამირებულ სხეულს ვერაფერი დააკლეს, დაწვეს (ჰეროდოტე III, 16).

ამდუატი — (ეგვ. *Ỉmj dȝ.t*), წიგნი „იმის შესახებ, რაც დუატში (მიწისქვეშეთში) არის". წიგნის რეალური სათაურია „მიწისქვეშეთის საიდუმლო პალატის წიგნი" (Forman and Quirke, 1996, 117) ან „დამალული პალატის წიგნი", რადგან „ამდუატს" ეგვიპტელები ყველა მიცვალებულთა წიგნს ეძახდნენ (Hornung, 1999, 32). წიგნის უძველესი ვერსია (ნაწყვეტების სახით) დაფიქსირებულია თოტმეს I-ის სამარხში, უძველესი სრული ვერსია — თოტმეს I-ის და მისი ვეზირის, უსერამონის სამარხებში. ამდუატის წიგნი განსხვავდება სარკოფაგების და მკვდართა წიგნებისაგან იმით, რომ მისი ტექსტი ფიქსირებულია. ესაა ასევე პირველი ილუსტრირებული მიცვალებულთა წიგნი, სადაც ტექსტი და ილუსტრაციები ერთმანეთს ავსებს. XXI დინასტიამდე წიგნი მხოლოდ მეფეებისათვის და უმაღლესი მოხელეებისათვის იყო განკუთვნილი და მას დედოფლების სამარხებშიც კი არ ათავსებდნენ. XXI დინასტიის შემდეგ ის გვხვდება თებეშიც, ამონის ქურუმების სარკოფაგებზე. წიგნში მოთხრობილია რას თავგადასავლების შესახებ ღამის 12 საათის განმავლობაში, როცა დიდი ღვთაება ქვესკნელში ეშვება. ყოველ ახალ საათს თან ახლავს ახალი დაბრკოლება გველების, უფსკრულების და სხვადასხვა დემონების სახით. რა ყველას გადალახავს და მეთორმეტე სათის დასასრულს თავისი დილის იპოსტასის — ხეპრის სახით ისევ ამობრწყინდება ჰორიზონტზე. კულმინაციურია მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საათები. მეხუთე საათ-

ში რა მიაღწევს ოსირისის სამარხს და გამოდის იქიდან განახლებული, ხოჭო-სკარაბეოსის (ხეპრის) სახით, მეექვსე საათში რას ბა (სული) უერთდება თავის სხეულს, მეშვიდე საათში კი მას ებრძვის მუდმივი მტერი აპოპი, მაგრამ ისიდას, სეტხის და სელკეტის დახმარებით რა მასაც ამარცხებს. რას მინისქვეშეთიდან ამოსვლის მომენტში საიქიოს კარი წამიერად ღიაა, მაგრამ შუ მყისვე ლუქავს მას, რომ მიცვალებულთა სულებმა ვერ გამოაღწიონ მინისქვეშეთიდან (Hornung, 1999, 26-41). ამდუატის წიგნში ასახულია ეგვიპტელების სწრაფვა მარადიულობისაკენ, რომლის მიღწევა მათ მუდმივი განახლების გზით ჰქონდათ წარმოდგენილი.

ამონემოპე — (ეგვ. *Ïmn-m-ip.t,* „ამონი ოპეტის დღესასწაულში", ჩვ.წ.-მდე 993-984 წწ., თუმცა ამ პერიოდის ბრწყინვალე სპეციალისტ კიჩენი მისი მეფობის წლებს სავარაუდოდ 49-მდე ზრდის, Kitchen, 1973, § 22), XXI დინასტიის მეოთხე ფარაონი, ფსუსენეს I-ის შვილი. მისი მეფობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. ჩრდილოეთში, ტანისში, ფსუსენეესის მსგავსად, ამონის მთავარი ქურუმიც იყო. მას მეფედ აღიარებდნენ თებეშიც, ამონის სამფლობელოში, რადგან აღმოჩენილია თებეს ცხრა ქურუმის სამარხი, რომლებიც ამონემოპეს, როგორც მეფის, და მისი თანადროული ამონის მთავარი ქურუმის (თებეში), პაინოჯემ II-ის წლებით არის დათარიღებული (Kitchen, 1973, 268). ამონემოპეს და მისი მამის, ფსუსენეესის სამარხები ტანისში, ამონის ტაძრის გალავნის შიგნით, აღმოაჩინა ფრანგმა არქეოლოგმა პ. მონტემ 1940 წელს. ორივე სამარხი გაუძარცვავი იყო, თუმცა ამონემოპეს სამარხი (6მ. x 4.5მ.) ძალიან მოკრძალებულია მამის სამარხთან შედარებით როგორც ზომებით, ასევე მორთულობით. ამონემოპე დაკრძალული იყო ოქროს ფურცლებით დაფარულ ხის კუბოში, მისი ნიღაბი მოოქროვილია, თუმცა ბრინჯაოსაგან არის დამზადებული. მისი სამშენებლო მოღვაწეობა ძირითადად ტაძრების შეკეთებით და მცირედი მიშენებებით შემოიფარგლება. უნდა აღინიშნოს, რომ ამონემოპეს მეფობას უკავშირდება ბიბლიიდან ცნობილი ედომის უფლისწულის ისტორია. დაახლოებით ამ დროისათვის დავითმა (ჩვ.წ.-მდე 1010-970) გააერთიანა ებრაელები და იერუსალიმი თავის დედაქალაქად გადააქცია. მან მოახერხა ასევე ფილისტიის შევიწროვება, რის შედეგად ისრაელი გამოიკვეთა, როგორც რეგიონის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო. მეფობის პირველ ნახევარში დავითმა დაიპყრო ედომი. ბიბლიის თანახ-

მად, ედომის ჩვილი უფლისწული ჰადადი გააპარეს ეგვიპტეში, სადაც ფარაონმა მისცა სახლი და მიწები (1 მეფეთა II:14-22). როცა ჰადადი გაიზარდა, ის მიიღეს სამეფო კარზე და ცოლად ეგვიპტელი დედოფლის და გააყოლეს. კიჩენის აზრით, ეს ამბავი რეალური ისტორიის ანარეკლს წარმოადგენს და ქრონოლოგიურად ჰადადის ეგვიპტეში ჩამოყვანის დრო ამონემოპეს მეფობას ემთხვევა. ამონემოპეს მეფობის შემდეგ ტახტზე ადის ვინმე ოსორკონი (ასევე ოსოხორი), რომელსაც მოიხსენიებენ, როგორც ოსორკონ უფროსს (Kitchen, 1973, § 229).

ამონემხატი – (ეგვ. *Ỉmn-m-ḥỉt* – „ამონი არის წინ"). შუა სამეფოს (XII დინასტიის) ოთხი ფარაონის სახელი. **ამონემხატ I** (1991 – 1962) XII დინასტიის დამაარსებელი და ეგვიპტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფარაონი იყო. XI დინასტიის ბოლო ფარაონმა, მონტუხოტეპ IV-მ თავისი სარკოფაგისათვის ქვის ბლოკების ჩამოსატანად ნუბიაში გააგზავნა 10 000 კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია, რომელსაც სათავეში ედგა მონტუხოტეპის ვეზირი და სამხრეთ ეგვიპტის ზედამხედველი, უბრალო წარმოშობის მქონე ამონემხატი (Breasted, 1962, § 444-8). ეგვიპტეში დაბრუნების შემდეგ მან თავისი უზარმაზარი რაზმი ტახტის უზურპირებისათვის გამოიყენა. ამონემხატი უაღრესად გამჭრიახი და ენერგიული პიროვნება აღმოჩნდა. მისი ხორის სახელი, „დაბადების გამეორება" (ეგვ. *wḥm mśw.t*), რომელიც ეგვიპტურ ენაზე დაახლოებით „რენესანსს" ნიშნავს, ძველი სამეფოს ეგვიპტის დროინდელი, გაერთიანებული სახელმწიფოს ფასეულობებისაკენ ლტოლვის ხაზგასასმელად იყო არჩეული. გამეფების პირველივე დღიდან ამონემხატმა ქვეყანაში წესრიგის აღდგენა დაიწყო. შიდააშლილობის ხანგრძლივი პერიოდის დროს სამეფო ტახტის დაუმორჩილებლობას შეჩვეული ნომარქები, რომლებმაც უარი თქვეს ახალი ფარაონის მიმართ ლოიალობაზე, ტახტის ერთგული მოხელეებით შეცვალა. ქვეყნის დეცენტრალიზაციის დროს ძლიერი ნომარქების მიერ მიტაცებული მიწები მან ისევ ძველი ნომების საზღვრებში მოაქცია ძველი სამეფოს დროინდელი კადასტრის მიხედვით, რომლის ამოკვეთა ამონემხატმა ყველა მნიშვნელოვანი ტაძრის კედელზე ბრძანა. მენესის მსგავსად, სტრატეგიული მიზნით დააარსა ახალი ქალაქი იტ-ტაუი (ეგვ. *Ỉt-tȧwj*, „ორივე ქვეყნის დამპყრობელი"), თანამედროვე ლიშტის მახლობლად, მემფისიდან 18კმ. სამხრეთით, და დედაქალაქი თებედან აქ გადმოიტანა (Hayes, 1960, 171-2). ქვეყანაში წესრიგის დამყარების შემდეგ ფარაონმა თავისი ყურადღება საგარეო

საქმეებს მიაპყრო. ლიბიელების და სინაის მომთაბარე ტომების წინააღმდეგ ჩატარებული სადამსჯელო ლაშქრობებით შეწყვიტა მათი სასაზღვრო რაიონებზე თავდასხმა. აღმოსავლეთ საზღვარზე ააგო ფორტების ჯაჭვი „უფლისწულის კედელი". ნუბიაში აღადგინა ეგვიპტის ბატონობა ნილოსის მეორე ჭორომამდე და მის მიდამოში ააგო სემნას და კუბანის ფორტები, რითაც საფუძველი ჩაუყარა ნუბიაში ეგვიპტის ფორტების ჯაჭვს. მის ფართო სამშენებლო მოღვაწეობაზე მეტყველებს მისი ნაგებობები ბუბასტისში, ტანისში, კარნაკში, კოპტოსში, აბიდოსში, დენდერაში, მემფისში (პტახის ტაძარი) და სხვ. ეწეოდა აქტიურ ვაჭრობას ბიბლოსსა და ეგეოსის სამყაროსთან. საშუალო ფენის ეგვიპტელების სამარხები ამყღავნებენ რიგითი ეგვიპტელების ცხოვრების დონის ზრდას მისი მეფობის დროს (http://www.tour-egypt.net/featurestories/amenemhet.1.htm). ამონემხატის ლტოლვა ქვეყნისათვის ძველი დიდების დაბრუნებისაკენ მისი პირამიდის კომპლექსშიც იგრძნობა (თანამედრ. ელ-ლიშტთან), სადაც, ძველი სამეფოს მსგავსად, სამეფო პირამიდას მისი ახლო ნათესავების და მოხელეების სამარხები და მასტაბები ახლავს თან. დღეს, ბევრი მეცნიერის აზრით, რეალურად შუა სამეფოს ხანა არა XI დინასტიით, არამედ ამონემხატ I-ის მეფობით იწყება (Wildung, 1984, 83). მიუხედავად ასეთი წარმატებისა, ამონემხატი, თავისი არასამეფო და არაარისტოკრატიული წარმოშობის გამო, ეტყობა, შიშობდა დინასტიის შეცვლის შესაძლებლობაზე მისი სიკვდილის შემდეგ, ამიტომ მეფობის მეოცე წელს მან ტახტზე თანამმართველად აიყვანა თავისი მემკვიდრე სენუსერტი. ამონემხატის წინდახედულობა ალბათ ცხოვრებით იყო ნაკარნახები, რადგან მეფობის ოცდამეათე და სენუსერტის თანამმართველობის მეათე წელს ხანდაზმული ფარაონი სასახლის შეთქმულების მსხვერპლი გახდა. ეს ფაქტი აღწერილია ეგვიპტური ლიტერატურის ორი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებში — მოთხრობაში „სინუხეტის თავგადასავალი" და დიდაქტიკურ ნაწარმოებში „ამონემხატის დარიგება თავისი შვილისადმი". ამონემხატი მოიხსენიება კიდევ მესამე ლიტრატურულ ნაწარმოებში („ნეფერტის წინასწარმეტყვალებანი"), სადაც ბრძენი აღწერს იავარქმნილ ეგვიპტეს და წინასწარმეტყველებს, რომ „მოვა მეფე სამხრეთიდან, სახელად ამენი, ნუბიელი ქალის მიერ შობილი... აზიელები დაეცემიან მისი მახვილის წინაშე, ლიბიელები დაემხობიან მისი ცეცხლის წინაშე, შედრკებიან აჯანყებულები, აიგება „უფლისწულის კედელი" და იქნება წესრიგი." (Коростовцев, 1978, 247-8). ითვლება, რომ ეს ნაწარმოები

ამონემხატის დაკვეთას წარმოადგენს, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა თავისი მეფობის ლეგიტიმირებას (Lichtheim, 1973, 139). **ამონემხატ II** (1929-1892) ამონემხატ I-ის შვილიშვილი იყო. მისი მეფობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი გარდა მისი პირამიდისა, რომელიც მან დაშურში ააგო. როგორც ჩანს, მისი ძირითადი მოღვაწეობა ქვეყნის შიგნით მშენებლობებით შემოიფარგლებოდა (Hayes, 1960, 196). **ამონემხატ III** (1878-1797) (სენუსერტ III-ის ვაჟი), რომელსაც მემკვიდრეობით დაწყნარებული და აყვავებული ქვეყანა ერგო, ნაკლებად იყო დაინტერესებული სამხედრო ლაშქრობებით. იგი ცნობილია თავისი რეგულარული ექსპედიციებით სინაის მაღაროებში (სპილენძისათვის) და ვადი ჰამამატში (სამშენებლო ქვისათვის), და გრანდიოზული მშენებლობებით. მან ჩაატარა უდიდესი საირიგაციო სამუშაოები ფაიუმის ტბის მიდამოებში, სადაც ააგო 40კმ. სიგრძის დამბა და მოაწყო რთული შლუზების სისტემა, რომელთა წყალობით ჭაობს 80 კვ.კმ. მიწა გამოსტაცა. მან ასევე გათხარა 16 კმ. სიგრძის და 1.5 კმ. სიგანის არხი (დღეს ცნობილი ბაჰრ იუსუფის სახელით), რომელიც ნილოსის წყლებს ტბისაკენ გადაისროდა. არხს ეგვიპტელები „დიდ არხს" (ეგვ. *Mr-wr*) ეძახდნენ, საიდანაც წარმოიშვა ბეძნული Moeris (დღეს ტბის სახელი ბირკეტ ქარუნია). ამ გრანდიოზული სამუშაოების შედეგად ფაიუმის ოაზისი ეგვიპტის ყველაზე ნაყოფიერ რეგიონად გადაიქცა (Murray, 2004, 25). პირველი პირამიდის (ე.ნ. „შავი პირამიდა") აგება მან დაშურში დაიწყო, მაგრამ მოუხდა მშენებლობის მიტოვება კონსტრუქციული პრობლემების გამო (Verner, 2002, 427). საბოლოოდ თავისი პირამიდა ფაიუმთან ახლოს (ჰავარაში) ააგო. პირამიდის სამხრეთით ამონემხატ III-მ აიგო გრანდიოზული მოსახსენიებელი ტაძარი, რომელიც ლაბირინთის სახელით არის ცნობილი და რომელსაც აღფრთოვანებაში მოჰყავდა ბერძნები და რომაელები. ჰეროდოტეს აღწერით, ტაძარს, რომელსაც თორმეტი ბაღი და 3000 ოთახი ჰქონდა, ვერ შეედრებოდა „ყველეფერი რომ ერთად შეიკრიბოს ბერძნების მიერ აგებული" (II, 148). ფაიუმის რეგიონში ამონემხატს ეთაყვანებოდნენ, როგორც ღვთაებას. მისი კულტის არსებობა აქ დაფიქსირებულია გარდაცვალებიდან ორასი წლის შემდეგაც. მისი შთამომავლის, ამონემხატ IV-ის (1798 – 1790) ხანმოკლე მეფობის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. მის შემდეგ ტახტზე ადის ქალი-ფარაონი, ამონემხატ III-ის ქალიშვილი და **ამონემხატ IV**-ის მეუღლე სობეკ-ნეფრუ, რომლის სამწლიანი მეფობით ბრწყინვალე XII დინასტია სრულდება.

ამონი

ᲐᲛᲝᲜᲘ — ეგვიპტის ერთ-ერთი უდიდესი ღვთაება, რომელსაც ბერძნები ზევსთან აიგივებდნენ. ეგვიპტურად მისი სახელი (*Ꜥmn*) ნიშნავს „იდუმალს", „უხილავს" (Wb I.84). ამონის აღზევება თებეს რაიონიდან დაიწყო. უძველესი მოხსენიება დათარიღებულია ინტეფ I-ის მეფობით (პირველი გარდამავალი პერიოდი, დაახლ. ჩ.ნ.-მდე 2124-2118) და ამდენად, ეგვიპტისათვის ახალგაზრდა ღვთაებაა. მისი წარმოშობა დღემდე სადავოა. ზოგის აზრით, ამონის სამშობლო არ იყო თებე და თებეს ნომი, სადაც უძველესი დროიდან, როგორც მთავარ ღვთაებას, მინს (*იხ.*) ეთაყვანებოდნენ. ზეტე თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში (Sethe, 1976, 281-411) ავითარებს აზრს, რომ ამონი ჰერმოპოლისის ოგდოადის (*იხ.*) ერთ-ერთი (იგივე სახელის მქონე) წევრია, რომელიც გარდამავალი პერიოდის დროს თებეს ნომარქებმა თავის მთავარ ღვთაებად შერაცხეს. „დაძველებისათვის" ამონი უძველეს ადგილობრივ ღვთაებას — მინსაც დაუკავშირეს, რაც მისი სიმბოლიკიდანაც ჩანს — ამონის თავის სამოსი — ორი მაღალი ბუმბული — მინისაგან არის აღებული. მინთან მსგავსებას ამხელს ამონის ერთ-ერთი — იტიფალიური სახეც მათრახით ხელში და მისი სიმბოლო — ღორის ქადა (მცენარე). ამონმა მიიღო ასევე მინის ეპითეტი — „თავისი დედის ხარი" (ეგვ. *Kꜣ-m w.t. f*, Wb V, 95). ასეთი იტიფალიური ამონი ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც მინ-ამონი, ამიტომ ზოგიერთი მეცნიერი ამონს მინის ადგილობრივ, ლოკალურ ფორმად და არა ჰერმოპოლისიდან გადმოტანილ ღვთაებად მიიჩნევს (Bonnet, 1952, 32; Wainwright, 1963, 13-21, 21-24). ამონი იტიფალიური სახით ეგვიპტურ ტექსტებში მოიხსენიებოდა ასევე, როგორც ამონოპეტი (*Ꜥmn-ipt*, „ლუქსორის ამონი"). ამონოპეტი ხშირად მოიაზრებოდა, როგორც „კარნაკის ამონისაგან" დამოუკიდებელი ღვთაება და საკუთარი საკულტო ადგილი ჰქონდა „ოპეტში" (ეგვ. *Ꜥp.t*-"ქალების", „ცოლების სახლი", Wb I, 67), რომელიც ლუქსორის უზარმაზარი სატაძრო კომპლექსის ნაწილს შეადგენდა (Коростовцев, 1976, 94). „კარნაკის ამონს" არ ჰქონდა იტიფალიური სახე და მინთან მხოლოდ ბუმბულებიანი თავის სამოსი აკავშირებდა. თუმცა ამონი ძირითადად ანთროპომორფულად, ლურჯი კანით გამოისახებოდა, ზოომორფული სახეებიც ჰქონდა. მისი მთავარი ცხოველი ცხვარი იყო, და ხანდახან ცხვარის ან ცხვარისთავიანი ადამიანის სახით იყო წარმოდგენილი (Kees, 1980, 80, 371). მოგვიანებით (ძირითადად ახალი სამეფოდან) მას ბატის სახითაც წარმოადგენდნენ (Sethe, 1976, § 36; Kees, 1980, 351) და ყველა პირველქმნილი ღვთაების

იტიფალიური ამონი

მსგავსად, გველის სახითაც მოიაზრებოდა (Kees, 1980, 55, 347). ამონი ძალას იხვეჭს თებეს აღზევებასთან ერთად. განდიდებისათვის თებეს ქურუმებმა იგი რასთან გააიგივეს (*იხ.* „სინკრეტიზმი") და ამონი ხდება „დიდი ამონ-რა, ღმერთების მეფე, რომელიც იპეტ-სუტში (*Ỉp.t-šwt*, კარნაკის ტაძრის ეგვიპტური სახელი, Wb I.66) ცხოვრობს". იგი არის დემიურგი, სამყაროს შემოქმედი (Gardiner, 1905, 12-42), რომელსაც დიდი ენეადა ექვემდებარება. თებეს „ენეადას" (ეგვ. *Ỉpt-š w.t psḏt*), ჰელიოპოლისის ენეადის წევრების გარდა, მიაკუთვნებდნენ ხატხორს, ხორს, სუხოსს (სობეკს), ზენენეტს და იუნიტს, და ამდენად იგი 15 წევრისაგან შედგებოდა (*იხ.* „ენეადა"). ამონის რასთან გაიგივება XI დინასტიით არის დათარიღებული (Bonnet, 1952, 34). თანდათან მზის არსება დომინირებული ელემენტი ხდება ამონისათვის, რომელიც ასევე ჰაერთან იყო ასოცირებული, რაზეც მეტყველებს მისი ლურჯი ფერი და სახელი. ხშირად მოიხსენიება ასევე, როგორც ამონ-რა-ხორახტი, ატუმი და ხეპრი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამონში მზის ღვთაების ყველა ფორმა გაერთიანდა (მაგ. ჰიმნებში ამონისადმი, Erman, 1966, 283-7). გაიგივებული იყო ამონი პტახთანაც (Коростовцев, 1976, 79; Kees, 1980, 348). ერთ-ერთ ჰიმნში ნათქვამია: „ყველა ღმერთი სამია: ამონი, რა, პტახი, და არავინაა მათი მსგავსი" (Erman, 1966, 371). ამონის კიდევ ერთი თვისება მისი იდუმალება და უხილავობა იყო, რაც უკვე მის სახელში ჩანს და ამონის, როგორც უხილავი ჰაერის და ქარის არსებაში ვლინდება (Sethe, 1976, § 179). ეგვიპტელები სუნთქვას „სიცოცხლის ჩასუნთქვას" (*ỉ ˁw.n.ˁnḫ* Wb V, 72) ეძახდნენ, რადგან ჰაერს სიცოცხლის მატარებლად თვლიდნენ. ამიტომ ამონი იყო ყოვლისმომცველი ღვთაება, „სიცოცხლის სუნთქვა, რომელიც ყველა საგანში რჩება და ყველაფერს აცოცხლებს" (Sethe, 1976, § 217). ამონს ჰყავდა ოჯახიც, რომლის წევრებთან ერთადაც ტრიადას ქმნიდა — მეუღლე მუტი და ვაჟიშვილი ხონსუ. ამონის ტრიადას თებეში ტაძრები ჰქონდა (Коростовцев, 1976, 53, 96). ამონი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თებესთან და მისი არეალიდან გამოსულ დინასტიებთან, და მისი დიდება თებეს და მისი მეფეების აღზევებას უკავშირდება. გვიანდელ და ბერძნულ პერიოდებში, როცა პოლიტიკურმა ცენტრმა კვლავ ჩრდილოეთისაკენ გადაინაცვლა, ამონმა დაკარგა თავისი სრულიად ეგვიპტური მნიშვნელობა და ისევე, როგორც ისტორიის დასაწყისში, თებეს ლოკალურ ღვთაებად გადაიქცა.



ვერძისთავიანი ამონი

ᲐᲛᲝᲜᲘᲣᲛᲘ — *იხ. სივა.*

ამონემენესუ – (ეგვ. *Ꜣmn-m-nsw,* „ამონი მეფეა“, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1043-1039 წწ, თუმცა მისი მეფობის წლებზე აზრები ძალიან განსხვავდება), XXI (ტანისური) დინასტიის მეორე ფარაონი, სმენდესის შვილი. მისი მეფობის შესახებ არაფერია ცნობილი. აღსანიშნავია, რომ თავის ერთ-ერთ სახელად აირჩია „ნეფერკარა“ – სახელი, რომელიც გვიანი ძველი სამეფოს შემდეგ მხოლოდ რამსეს IX-ს ჰქონდა. სწორედ ამ სახელის ბერძნული ტრანსკრიპციით – Nephercheres – მოიხსენიებს მას მანეთონი (Manetho, 1960, 155). ამონემენესუს შემდეგ ტახტზე თებეს მთავარი ქურუმის, პაინოჯემის შვილი ფსუსენეს I ადის (თუმცა, შესაძლოა ისიც, რომ გარკვეული დროის მანძილზე ფსუსენესი ამონემენესუს თანამმართველიც იყო. ასევე, ზოგიერთი ვარაუდით ფსუსენეს I ამონემენესუს ძმა იყო).

ამონმეესე – (ეგვ. *Ꜣmn-msw,* „ამონის შობილი“, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1203-1200 წწ.), ფარაონი, მეფობდა XIX დინასტიის დასასრულს მერნეპტახის შემდეგ. სხვადასხვა ვარაუდით, იყო მერნეპტახის შვილი (და, შესაბამოსად, რამსეს II-ის შვილიშვილი), ან ერთ-ერთი რამსეს II-ის მრავალრიცხოვანი შვილებისაგან. რამსეს II-ის მრავალრიცხოვანმა ვაჟიშვილებმა „მეორე რიგის“ ცოლებისაგან და მათმა შვილებმა გაართულეს ვითარება XIX დინასტიის დასასრულს, და თვისებური დინასტიური კრიზისის მიზეზად გადაიქცნენ. ვითარებას ხელს არ უწყობდა ისიც, რომ რამსესის ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მისი ყველა პირდაპირი მემკვიდრე გარდაიცვალა (Rice, 1999, 17-18). რადგან ამონმესეს მომდევნო ფარაონის, სეტი II-ის სამარხში მისი სახელები წაშლილი და შემდეგ კვლავ აღდგენილია, არსებობდა ვარაუდი, რომ ამონმესემ ტახტის დროებით უზურპირება მოახდინა, შესაძლოა, როცა სეტი II ეგვიპტის გარეთ რაიმე კამპანიას აწარმოებდა. დღეს, უმეტესობის აზრით, სეტი II მერნეპტახის უშუალო მემკვიდრე იყო. ამ ვარაუდის თანახმად, ამონმესემ მოახდინა ტახტის უზურპირება სეტი II-ის მეფობის მეორე და მეოთხე წლებს შორის ზემო ეგვიპტეში და ნუბიაში, სადაც ამ პერიოდში წარწერებშია დაფიქსირებული, მაშინ, როცა ამ პერიოდში სეტი II-ის წარწერები ამ რეგიონებში არ გვხვდება. საბოლოოდ, სეტი II-მ მაინც მოახერხა უზურპატორის მოშორება (Hornung, Krauss and Warburton, 2006, 212-213). ამონმესეს სამარხი თებეში (KV 10) მიზანმომართულად არის განადგურებული, სავარაუდოდ, სეტი II-ის მიერ. მისი მუმია ნაპოვნი არ არის. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ არსებობს ვარაუდი ამონმესესა და

ბიბლიური მოსეს ისტორიებს შორის პარალელების არსებობის შესახებ (Krauss, 2001).

ᲐᲛᲝᲜ-ᲠᲐ — ამონის და რას სინკრეტული ერთობა (*იხ. ამონი, რა, სინკრეტიზმი*).

ᲐᲛᲝᲜᲮᲔᲢᲔᲞᲘ — (ეგვ. *Ỉmn-ḥtp* — „ამონი არის მშვიდად"). XVIII დინასტიის ოთხი ფარაონის სახელი. **ᲐᲛᲝᲜᲮᲔᲢᲔᲞ I** (ჩვ.წ.-მდე1550-1525) — ახალი სამეფოს პირველი ფარაონის, იახმესის და მისი დის და მთავარი მეუღლის, იახმეს ნეფერტარის ვაჟი (Hayes, 1959, 45). ტახტზე ძალიან ახალგაზრდა ავიდა, ამიტომ ნეფერტარი მეფობის პირველ წლებში რეგენტის მოვალეობას ასრულებდა. ითვლება მამის ღირსეულ მემკვიდრედ. პირადად ჩაატარა სამხედრო კამპანია ნუბიაში (Breasted, 1962, § 39), რომლის შედეგად გადასწია ეგვიპტის საზღვარი ნილოსის მესამე ჭორომამდე, სადაც საისთან (საი — კუნძული ნილოსზზე მეორე და მესამე ჭორომებს შორის) ტაძარი ააგო (Shaw&Nickolson, 1995, 289). მისი წარწერები ნაპოვნია სემნასთან და ურონარტისთან ნილოსის II ჭორომის სამხრეთით. წარმატებით იბრძოდა ლიბიელი ტომების წინააღმდეგ (Breasted, 1962, § 42). მეორე გარდამავალი პერიოდის და ჰიკსოსებთან ბრძოლის დროს ეგვიპტემ დაკარგა გავლენა დასავლეთის უდაბნოს ოაზისებზე (Hayes, 1959, 47), მაგრამ ამონხეტეპ I-ის დროის ერთ-ერთ სტელაზე მოხსენიებული ეგვიპტელი მოხელის წოდება „ოაზისების მმართველი" გვამცნობს, რომ მან მათი დაბრუნება მოახერხა (Grimal, 1988, 203). მისი არქიტექტორის, ინენის ავტობიოგრაფიიდან ვგებულობთ, რომ ამონხეტეპი ძალიან ბევრს აშენებდა კარნაკში (Breasted, 1962, §§44-45), ააგო და გაადიდა ტაძრები ელეფანტინაზე, კომ-ომბოში, აბიდოსში (Grimal, 1988, 203). ამონხეტეპმა მოახდინა რევოლუციური ცვლილება ფარაონის სამარხის კომპლექსში — დააშორა ერთმანეთს სამარხი და მოსახსენიებელი ტაძარი, რაც შემდეგ უკვე ტრადიციად იქცა. მისი ტაძარი დეირ ელ-ბაჰარიში დაანგრია ხატშეპსუტმა თავისი ცნობილი ტაძრის მშენებლობის დროს; თუმცა სამარხი მოხსენიებულია რამსეს IX-ის დროს ჩატარებულ აღწერაში, მისი ადგილმდებარეობა დღემდე არ არის დადგენილი. ამონხეტეპ I-ის მუმია აღმოაჩინეს მამამისის მუმიასთან ერთად დეირ ელ-ბაჰარის სამალავში. ამონხეტეპის დროს მოხდა წყლის საათის გამოგონება, რასაც მისი ასტრონომის ბიოგრაფიიდან ვიგებთ (Helk, 1975, 111-112). დედის რეგენტობის პერიოდში

მათ ერთად დააარსეს სამშენებლო სოფელი დეირ ელ მედინა (*იხ.*), რომელიც თებეს ნეკროპოლისს მრავალი საუკუნის განმავლობაში ემსახურებოდა. ამონხეტეპს და ნეფერტარის აქ ერთად ეთაყვანებოდნენ, როგორც ღვთაებებს. **ამონხეტეპ II** (ჩვ.წ.-მდე1427-1401) იყო დიდი თოტმეს III-ის ვაჟი მეორე რიგის ცოლის, მერიტრა-ხატშეპსუტისაგან. დაიბადა და გაიზარდა მემფისში და არა თებეში. ტახტზე ასვლამდე იყო სემ-ქურუმი და არმიის სარდალი (Gardiner, 1964, 198). თოტმესიდებში (ასე მოიხსენიებენ ამ დინასტიის ფარაონებს) გამორჩეული იყო სიმაღლით და აღნაგობით და თავისი ძალით და ათლეტიზმით იყო ცნობილი (Hayes, 1959, 141-142). წარმატებით გააგრძელა მამის საქმე, რაც ეგვიპტის იმპერიის შემდგომ განმტკიცებაში მდგომარეობდა. მეფობის მესამე წელს ჩაატარა ლაშქრობა აზიაში. ორონტის გადაკვეთისას დაესხა კატნას ჯარი, მაგრამ მან წარმატებით გაართვა თავი ბრძოლას და გამარჯვებასთან ერთად დიდი ალაფი მოიპოვა. უკანა გზაზე ქადეშთან პირადად მოკლა შვიდი აჯანყებული მმართველი, ბრძანა, ჩამოეკიდათ მათი სხეულები გემის კიჩოზე და ასე დაბრუნდა ეგვიპტეში (Grimal, 1988, 218). წარმატებული ექსპედიცია ჩაატარა ასევე ნუბიაში, სადაც მამის მსგავსად ჩავიდა ნაპატამდე და ქვეყნის საზღვარი ოფიციალურად აქ დააკანონა. კამპანიიდან დიდძალი ნადავლით დაბრუნდა. მეფობის მეშვიდე წელს მითანიმ მოახდინა სირიის ქალაქების აჯანყების ინსპირირება. ამ კამპანიის შედეგი მთლად ნათელი არ არის, მაგრამ ამის შემდეგ მითანის და ეგვიპტეს შორის სამხედრო შეტაკება აღარ მომხდარა (Redford, 1992, 162-163). კარნაკის ტაძარის წარწერა გვამცნობს, რომ ამონხეტეპთან მივიდნენ მითანის წარმომადგენლები მშვიდობის საძიებლად. შესაძლოა, მითანის სამეფო მართლაც ეძებდა ალიანსს ეგვიპტესთან მზარდი ხეთების სამეფოს წინააღმდეგ (Redford, 1992, 162). მესამე სირიული კამპანია ჩაატარა მეცხრე წელს, თუმცა გალილეის ზღვას არ გასცილებია(Manuelian, 1987, 61). აშენებდა მთელ ეგვიპტეში, ასევე ნუბიაში — ქასრ იბრიმში, სემნაში, კალაბშაში. დაასრულა მამის მიერ დაწყებული ამადას ტაძრის მშენებლობა, სადაც მოათავსა თავისი მესამე წლის კამპანიის აღწერა. სამარხი აიგო მეფეთა ველზე, მოსახსენიებელი ტაძარი — მამის ტაძრის სიახლოვეს, მის სამხრეთ-დასავლეთით (Hayes, 1959, 141). ამონხეტეპ III-ის სამარხი (KV 35 მეფეთა ველზე) და მისი მუმია აღმოაჩინა ფრანგმა არქეოლოგმა ვ. ლორემ 1898 წელს. სამარხში იყო სამალავი, რომელშიც აღმოჩნდა თოტმეს IV-ის, სეტი II-ის, რამსეს III-ის, რამსეს IV-ის და რამსეს

VI-ის მუმიები, რომლებიც აქ XXI დინასტიის დროს გადმოასვენა ამონის მთავარმა ქურუმმა პაინოჯემ II-მ, მათი მძარცველებისაგან დაცვის მიზნით. **ამონხეტეპ III** (ჩვ.ნ.-მდე 1386-1349) იყო თოტმეს IV-ის და მისი „მეორე რიგის" ცოლის, მუტემუიას ვაჟი (O'Connor&Cline, 1998, 3). მუტემუიას წარმომავლობა უცნობია. იგი არ არის არტატამას ქალიშვილი, როგორც ეს ადრე ეგონათ (Grimal, 1992, 221). XVIII დინასტიის მეომარმა ფარაონებმა ამონხეტეპ III-ს დაუტოვეს უზარმაზარი იმპერია, გადაჭიმული ჩრდილოეთ სირიიდან ნილოსის მეხუთე ჭორომამდე სამხრეთში. ეგვიპტე არასოდეს ყოფილა ასეთი მდიდარი. ჟურნალ „ფორბსის" 2008 წლის სიაში ამონხეტეპ III დასახელებულია კაცობრიობის ისტორიაში მეთორმეტედ ყველაზე მდიდარ ადამიანებს შორის (მისი ქონება შეფასებულია 155, 5 მლრდ. დოლარად 2007 წლის კურსის მიხედვით). ასურეთის მეფე ასურბანიპალი თავის წერილში სთხოვს ამონხეტეპს გაუგზავნოს მას ოქრო, „რომელიც შენ ქვეყანაში ჭუჭყია: დაიხრები და აიღებ" (Letter EA4, Moran, 1992, 8-9), რაც არ არის გასაკვირი, რადგან აღმოსავლეთ უდაბნოდან და ნუბიიდან ეგვიპტეში ყოველწლიურად 850-900 კგ ოქრო შედიოდა. ისტორიკოსებმა მას „ბრწყინვალე ამონხეტეპი" უწოდეს, თვითონ კი თავის თავს „ბრწყინვალე მზის დისკოს" (ეგვ. *Ꜣtnṯḥn*, Wb I, 393) უწოდებდა (O'Connor&Cline, 1998, 1). განსხვავებით მებრძოლი წინაპრებისაგან, ამონხეტეპი საგარეო საქმეებს დიპლომატიური ქორწინებებით აგვარებდა. მისი ცოლები იყვნენ გულიხეპა, მითანის მეფის შუტარნას ქალიშვილი (მეფობის მეათე წელი, Dodson&Hilton, 2004, 155), ტადუხეპა, მითანის მეფის თუშრატას ქალიშვილი (მეფობის ოცდამეთექვსმეტე წელი, Fletcher, 20 000, 156), არცავას და ორი ბაბილონის პრინცესა (O'Connor&Cline, 1998, 20). მაგრამ როცა ბაბილონის მეფემ სთხოვა ამონხეტეპს ცოლად ეგვიპტის პრინცესა, უარი მიიღო: „უხსოვარი დროიდან ეგვიპტის პრინცესა არ მიუციათ არავისათვის" (Letter EA4Moran, 1992, 8-9). თვითონ ამონხეტეპს ცხოვრების ბოლომდე უყვარდა თავისი მთავარი ცოლი ტეიე, უბრალო წარმოშობის მშობლების, უიას და ტუიას შვილი, რომელსაც განსაკუთრებული მდგომარეობა ეკავა არა მარტო ამონხეტეპ IV-ის, არამედ მათი შვილის, ეხნატონის დროსაც. ამონხეტეპმა მას მიუძღვნა ტაძარი ნუბიაში, სედეინგაში, სადაც მას ხატხორის სახით ეთაყვანებოდნენ (თავისთვის ამონხეტეპმა აიგო უფრო დიდი ტაძარი 15 კმ სამხრეთით, სოლებში). ამონხეტეპის მეფობის აღსანიშნავი თავისებურებაა მოზრდილი ზომის სკარაბეოსები, რომლებიც მრავლად

ამონხეტეპ III

არის ნაპოვნი არა მარტო ეგვიპტის, არამედ სირიისა და ნუბიის ტერიტორიაზე. მათ თავისებურ „ცნობის ფურცლებს" ეძახიან, რომელთა საშუალებითაც ფარაონს უნდოდა, გაევრცელებინა მნიშვნელოვანი პირადი ამბები მთელ მისდამი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე (Hayes, 1959, 231). სკარაბეოსებზე მოთხრობილია მისი და ტეიეს ქორწინებაზე და დასახელებულია მისი წოდებების არ მქონე შშობლები — უია და ტუია, თუმცა იქვე ნათქვამია, რომ ახლა ის „დიდი მეფის ცოლია". არის სკარაბეოსები ამონხეტეპის ლომებზე ნადირობის, გულიხეპას ჩამოსვლის (აღსანიშნავია, რომ ტეიეს ამ სკარაბეოსებზეც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია), ტეიესათვის შესანიშნავი ხელოვნური ტბის ამოთხრის და სხვა მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. აღსანიშნავია ამონხეტეპის მშენებლობებიც, რადგან აქამდე არც ერთ მეფეს არ უშენებია ამდენი, როგორც ეგვიპტეში, ისე ნუბიაში, და არც ერთი მეფისაგან არ შემონახულა ამდენი ქანდაკება. თავისთვის ამონხეტეპმა აიგო გრანდიოზული მოსახსენიებელი ტაძარი, სამწუხაროდ ძალიან ახლოს მიწის ნაყოფიერ ზოლთან, და უკვე ორასი წლის შემდეგ ის ნანგრევებად იქცა. მისგან გადარჩა მხოლოდ ორი (18 მ.სიმაღლის) ქანდაკება, რომელიც ტაძარში შესასვლელის ორივე მხარეს იდგა (ე.წ. „მემნონის კოლოსები"). სამარხისათვის აირჩია მეფეთა ველის აუთვისებელი, დასავლეთი ნაწილი. მისი მუმია იპოვეს 1898 წ. დეირ ელ-ბაჰარის სამალავში. თავის შვილს დაუტოვა ქვეყანა, რომელიც იყო სიმდიდრის და ძალაუფლების მწვერვალზე და ჰქონდა უზარმაზარი ავტორიტეტი საერთაშორისო არენაზე, მაგრამ ამონხეტეპ IV-მ შეაზანზარა ეგვიპტე და წინ წამონია მთავარი კითხვა — ფარაონი უფრო ძლიერი იყო თუ საშინაო წესრიგი, წარმოდგენილი ამონის ქურუმებით და მათი თვალუწვდენელი მამულებით (O'Connor&Cline, 1998, 21). **ამონხეტეპ IV** — *იხ. ეხნატონი.*

ამონხეტეპი (ბრძენი) — ამონხეტეპი, ხაპუს (ან ხუის) შვილი, იყო ამონხეტეპ III-ის მოხელე, რომელმაც თავისი ნიჭის წყალობით ბრწყინვალე კარიერა გაიკეთა: იყო გადამწერი, შემდეგ ჯარის გადამწერი, მეფის ყველა სამუშაოების ზედამხედველი (Hayes, 1959, 262). იგი იყო ასევე მკურნალი, რომელსაც ძალიან დიდ პატივს სცემდნენ თავისი სიბრძნის გამო. დეირ ელ მედინეს წარწერა გვამცნობს, რომ „არ შეიძლება არ დაემორჩილო მის ნათქვამს" (Bonnet, 1952, 21). სამწუხაროდ, მისი გამონათქვამები, რომლებსაც მისი გარდაცვალებიდან თორმე-

ტი საუკუნის შემდეგ ბერძნულად თარგმნიდნენ, არ შემონახულა (Hayes, 1959, 262). მისდამი უდიდესი პატივისცემის ნიშნად ამონხეტეპ III-მ მისი ქანდაკებები კარნაკის ტაძარში აღმართა (შვიდი ჩვენს დრომდე შემოინახა), რამაც შესაძლოა მისი კულტის ჩამოყალიბებას მისცა ბიძგი. მეფობის ოცდამეთერთმეტე წელს ფარაონმა ამონხეტეპს მოსახსენიებელი ტაძარი აუგო, რომელიც სამეფო ტაძრის ტოლი იყო (Kees, 1980, 116). შემოინახა მისი დაზიანებული სარკოფაგიც, რომელიც ასევე იმ დროის სამეფო სარკოფაგების ყაიდაზე არის შესრულებული. უკვე რამესიდების პერიოდში ამონხეტეპი თებეს ნეკროპოლისში დაკრძალულ მეფეებთან იყო გათანაბრებული. პტოლემაიოსების დროს მას იმხოტეპთან ერთად ეთაყვანებოდნენ კარნაკის პტახის ტაძარში, ქასრ ელ აგუცის, დეირ ელ-ბაჰარის და დეირ ელ აგუცის ტაძრებში, მიუხედავად იმისა, რომ მისი „ადამიანური წარმომავლობა“ არ იყო დავიწყებული, რასაც ტანსაცმელი და „ადამიანური ეპითეტები“ ამჟღავნებს. ამონხეტეპს ეთაყვანებოდნენ ჯერ კიდევ ჩვ.წ. II საუკუნეში, რასაც მოწმობს მრავალი ბერძნული გრაფიტო (ძირითადად დეირ ელ-ბაჰარიში) (Bonnet, 1952, 22).

ამულეტი — ეგვიპტელის წარმოდგენას ამულეტზე მისი ეგვიპტური სახელები გვკარნახობს: *wḏȝ.w* (Wb I, 401), *mk.t-ḥʿ* (Wb II, 161), *nh.t* (Wb II, 282), *sȝ* (Wb III, 414). ყველა ამ სიტყვას ერთი საერთო მნიშვნელობა აქვს — „დაცვა“. ეგვიპტეში ითვლებოდა, რომ ამულეტების მფარველობა ერთნაირად ესაჭიროებოდათ როგორც ცოცხლებს, ასევე გარდაცვლილებს. ისინი ძვირფასი მეტალების, შუშისა და ქაშანურისაგან მზადდებოდა. ბევრ შემთხვევაში ამულეტის ძალა დამოკიდებული იყო როგორც მეტალზე, რომლიდანაც ის იყო დამზადებული, ასევე ფორმაზე (Hayes, 1959, 179). იმისდა მიხედვით, თუ რისგან უნდა დაეცვა ადამიანი, ამულეტს შეიძლება ჰქონოდა რომელიმე ღმერთის, ან ადამიანის სახე. შეიძლება ყოფილიყო ცხოველი, მწერი, ან მცენარე და სხვ. ეგვიპტური ამულეტების მრავალფეროვნების თვალსაჩინო მაგალითია სკარაბეოსები თოტმეს III-ის სახელით, რომლებსაც ეგვიპტის დინასტიური ისტორიის ბოლომდე ამზადებდნენ, რადგან ითვლებოდა, რომ ამ წარმატებული მეფის სახელს თილისმის ძალა უნდა ჰქონოდა (Hayes, 1959, 126).



ამულეტები: ბრჭყალი, გული, ამომავალი მზე, სამეფო გვირგვინი

ამუნეტი — *იხ. ოგდოადა.*

ანატი

ანატი – უგარიტის და სირიის მეომარი ქალღმერთი. ეგვიპტეში შუა სამეფოს ეპოქიდან არის დაფიქსირებული. განსაკუთრებით პოპულარული ხდება რამესიდების დროიდან, როგორც ფარაონის დამცველი ბრძოლის დროს (Hart, 2005, 220). ამავე პერიოდში ჩნდება ანატის თეოფორული სახელები. აღსანიშნავია, რომ რამსეს II-ის მებრძოლ ძაღლს ერქვა „ანატი დამცველია" (Breasted, 1962, III, § 467). გამოისახებოდა ანთროპომორფულად, მაღალი ბუმბულების გვირგვინით. მის მეომარ ბუნებას ხაზს უსვამდა საომარი ატრიბუტები – ფარი, შუბი და საბრძოლო ნაჯახი. ანატი მოიხსენიება ფარაონის აღმზრდელად (ეგვ. *mhr*, Wb II, 116), რომელიც ძუძუს აწოვებს. ამ ფუნქციის წყალობით კუნძულ ფილეზე ანატი შეერწყა ისიდას და ხორის დედა გახდა. ტანისში, სეტხთან ერთად, მისი საკულტო ადგილი იყო (Bonnet, 1952, 37-38).

ანეჯიბი – (ასევე ენეზიბი, ეგვ. *ʿnḏ-ib*, „დაცული გული", ან „გული დაცულია"), I დინასტიის მეექვსე ფარაონი, დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXIX ს (Wilkinson, 1999, 78). მისი „ორი ქალღმერთის" სახელი იყო მერბაპენი, და ამდენად შეიძლება მიჩნეული იყოს მანეთონის მიებიდოსად (Miebidos, Manetho, 29), რომელმაც სავარაუდოდ 26 წელს იმეფა, თუმცა დღეს ბევრი მეცნიერი ასეთ ხანგრძლივ მეფობას საეჭვოდ მიიჩნევს არქეოლოგიური მასალის სიმწირის გამო. შესაძლოა, იყო დენის შვილი. ანეჯიბი არის პირველი ფარაონი, რომელიც მოხსენიებულია საქქარას მფეთა სიაში და ამდენად, შესაძლოა, არის პირველი ტინისელი (სამხრეთელი) ფარაონი, რომლის ლეგიტიმურობა ჩრდილოეთმა აღიარა. აღსანიშნავია, რომ შემონახულია ქვის ჭურჭელი, სადაც ანეჯიბის სახელი ამოშლილია მისი შთამომავლის, სემერხეტის მიერ, რომელიც, თავის მხრივ, არ არის მოხსენიებული საქქარას სიაში. ეს შეიძლება მიუთითებს დინასტიურ ბრძოლაზე მეფეებს შორის, რომლებსაც ჰქონდათ, ან არ ჰქონდათ ჩრდილოეთის მხარდაჭერა, თუმცა არქეოლოგიური მასალა არ იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ იყო რაიმე სერიოზული განხეთქილება ორ ეგვიპტეს შორის ანეჯიბის მეფობის დროს. მისი სამარხი უმ ელ-ქააბში ყველაზე პატარაა (14.4x9 მ.) აბიდოსის I-II დინასტიების მეფეთა სამარხებს შორის (Emery, 1961, 80). ორ ქვის ჭურჭელზე საქქარასა და აბიდოსში მოხსენიებულია ანეჯიბის ხებსედი. მისი სახელი ნაპოვნია სულ სამ ადგილას ეგვიპტეში (საქქარა, ჰელვანი, აბიდოსი) და შესაძლოა, ორ საბეჭდავზე ეგვიპტურ ნაგებობაში ელ ბესორ-

ში (პალესტინა). ანეჯიბის მეფობის უმნიშვნელოვანესი ძეგლია მასტაბა S3038 ჩრდილოეთ საქქარაში, შესაძლოა, აგებული უმაღლესი რანგის მოხელისათვის. მასტაბა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ნახტომს ეგვიპტური მიცვალებულთა კულტის არქიტექტურის და სიმბოლიზმის განვითარების თვალსაზრისით. თუმულუსს, რომელიც ფარავს საფლავის კამერას და თავის მხრივ მთლიანად დაფარულია სამარხის მინისზედა ნაგებობით, აქვს არა უბრალო ბორცვის, არამედ საფეხუროვანი სტრუქტურა და შესაძლოა III დინასტიის საფეხუროვანი პირამიდის წინამორბედს წარმოადგენს (Wilkinson, 1999, 78; Emery, 1954, I). შესაძლოა ასევე, რომ ანეჯიბი იყო პირველი ფარაონი, რომელმაც სამეფო ტიტულატირაში შეიტანა „ორი ქალღმერთის" (*nb. tj*) და „ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის" (*nś w.t bj.tj*) სახელები (*nb. „ფარაონის ტიტულატურა"*), თუმცა ეს უკანასკნელი დაფიქსირებულია ანეჯიბის წინამორბედის, დენის მეფობის დროსაც, მაგრამ სახელის გარეშე.

ანთეოპოლისი – (ეგვ. *Ṯbw*, „Tjebu", Gardiner, 1947, II, 49*) სავარაუდოდ მდებარეობდა ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე ზემო ეგვიპტის მეათე ნომში, თანამედრ. კაუ ელ ქებირთან. ქალაქში ეთაყვანებოდნენ სეტხს (Коростовцев, 1976, 55) და მოგვიანებით ანტიუის, მებრძოლ ღვთაებას, რომელიც სეტხის და ხორის, ან ორი ხორის ერთგვარ სინკრეტულ ერთობას წარმოადგენდა(ეგვ. *ʿntjwj*, „ორი ბრჭყალებიანი", Gardiner, 1947, II, 52*). ბერძნებმა ანტიუი ანთეოსთან გააიგივეს (Bonnet, 1952, 38-39). დიოდორეს ცნობით (I.21), აქ მოხდა ხორის და სეტხის შებრძოლება. ნომების ეგვიპტურ სიებში მეათე ნომის დედაქალაქად ან ტიებუ, ან მეორე ქალაქი, „*ḏw ḳꜣw*", ეგვ. „მაღალი მთა" არის დასახელებული (Gardiner, 1947, II, 50*). არაბული კაუ ელ ქებირი ამ უკანასკნელის გამოძახილს წარმოადგენს (Bonnet, 1952, 39). აქ მდებარეობდა პტოლემაიოს IV ფოლოპატორის მიერ ანთეოსისადმი მიძღვნილი ტაძარი, რომელიც კიდევ უფრო გაადიდა მარკუს ავრელიუსმა. ტაძარი დაინგრა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ნილოსის ადიდების დროს. დღეს კაუ ელ ქებირის ირგვლივ მდებარე კლდეები საინტერესოა ეგვიპტის XII-XIII დინასტიების მოხელეების სამარხების და კლდეზე გამოსახული ანტიუის და მისი მეუღლის, ნეფტიდას რელიეფების გამო. გათხრები გასული საუკუნის ოციან წლებში დაიწყო ფ. პეტრიმ (Petrie, 1930). ტიებუ მოხსენიებულია ასევე მკვდართა წიგნის 125 (ე.წ. „ცოდვების უარყოფის") თავში, სა-

დაც გარდაცვლილი მოახსენებს მიწისქვეშეთის 42 დემონს 42 ცოდვის ჩაუდენლობის შესახებ. ერთ-ერთი დემონის სახელია „შენ, ვინც შენი სურვილის მიხედვით მოქმედებ, ვინც მოდიხარ ტიებუდან" (Faulkner, 2001, 22).

ანთეოსი – ანთეოსთან ბერძნებმა გააიგივეს ეგვიპტური ღვთაება ანტიუი (ეგვ. *ꜣntjwj*, „ორი ბრჭყალებიანი" Wb I, 88), რომელიც ორი შევარდნის ან სხვა მტაცებელი ფრინველის სინკრეტულ სახეს წარმოადგენდა. გაიგივებული იყო ანტიუისთან სეტხიც, რომელსაც აქ უძველესი დროიდან ეთაყვანებოდნენ. ანთეოსთან გაიგივება, როგორც ჩანს, ფონეტიკურ მსგავსებაზე და ღვთაების მებრძოლ ხასიათზე იყო დამყარებული. ხორის კულტის გაძლიერებასთან ერთად ანიტუი, როგორც ბევრი სხვა შევარდნის სახის ღვთაება, შთანთქა ხორმა. თვითონ ანტიუი კი ალბათ იყო ერთ-ერთი ეგვიპტური ელემენტი, რომლის ინკორპორირებაც ბერძნულ-ეგვიპტურ ღვთაებაში, სერაპისში მოხდა (Bonnet, 1952, 39).

ანიბა – ეგვ. მიამი (*Miʿm*). ქალაქი ჩრდილოეთ ნუბიაში, ასუანიდან დაახლ. 230კმ. სამხრეთით. შედიოდა ეგვიპტელების მიერ შუა სამეფოს დროს ნუბიაში აგებული ფორტების ჯაჭვის მეორე ზოლში (Hamblin, 2006, 441). ახალი სამეფოს დროს იყო ჩრდ. ნუბიის უმნიშვნელოვანესი ქალაქი. ამ პერიოდში აიგო მიამის ცნობილი ხორის ტაძარი. ანიბაში მდებარეობდა ნუბიაში ეგვიპტის მეფისნაცვალის და მოხელეების რეზიდენცია (Bard, 1999, 589). ანიბას ნეკროპოლისის უაღრესად საინტერესო სამარხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რამესიდების პერიოდის მოხელის პენიუტის სამარხი. მის კედლებზე მოთავსებული ავტობიოგრაფია ამ ჟანრის ერთ-ერთ შედევრად არის მიჩნეული (Frood, 2007, 213-218). ანიბას არქეოლოგიური კვლევა უმნიშვნელოვანესად ითვლება ნუბიის ისტორიის შესწავლისათვის (Кацнельсон, 1970, 56).

ანტი

ანტი – (ეგვ. *ꜣntj*, „ბრჭყალებიანი", Wb I, 188). შევარდნის სახის ღვთაება, რომელსაც ჰიერაკონპოლისში, ზემო ეგვიპტის მეთორმეტე ნომის დედაქალაქში ეთაყვანებოდნენ და რომელიც ძალიან ადრე შეერწყა ხორს. განსაკუთრებით ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც სეტხზე გამარჯვებული და ამ სახით ეძახდნენ „შევარდენს ანტილოპას ზურგზე" (ანტილოპა სეტხის ერთ-ერთი ცხოველი იყო) (Junker, 1917, 39). ჰიერაკონპოლისთან

ანტი

შევარდენი ანტილოპას ზურგზე

გადიოდა საქარავნო გზები და ამდენად ანტი „უდაბნოს ბატონიც“ იყო. ამ ფუნქციის წყალობით იგი შეერწყა სეტხსაც. სწორედ სეტხის სახით არის წარმოდგენილი კლდეზე სინაის მაღაროებთან (Bonnet, 1962, 39-40).

ანტილოპა — თეთრი ანტილოპა ზემო ეგვიპტის მეთვრამეტე ნომის უძველესი ემბლემა იყო და შესაბამისად ამ რეგიონის უძველესი საკრალური ცხოველი (Montet, 1961, II, 157), მაგრამ ამ ნომში ხებენუს ხორის კულტის გავრცელების შემდეგ ნომის ემბლემა ანტილოპას ზურგზე მოთავსებული ხორი გახდა. „შევარდენი ანტილოპას ზურგზე“ ხორის ერთ-ერთ საბრძოლო ტიტულად გადაიქცა, ანტილოპამ კი სეტხის ერთ-ერთი იპოსტასის და ხორის თვალის მტრის სახე მიიღო (Junker, 1917, 37). როგორც ჩანს, ამის გამო ანტილოპა შესაწირი ცხოველიც გახდა. იმავდროულად, მესამე ზემოეგვიპტურ ნომში, ანტილოპა იყო ჭორომის მფარველი ქალღმერთების, ანუკეტის და სათისის საკულტო ცხოველი, და ეს უკანასკნელი ხშირად ანტილოპას რქებით გამოისახებოდა ხოლმე (Kees, 1980, 25).

ანტინოე — ქალაქი, რომელიც დაარსდა ჩვ.წ.130 წ. იმპერატორ ადრიანეს ბრძანებით ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე, თანამედრ. შეიხ აბადასთან (Bonnet, 1952, 40). ანტინოე, რომელიც იმპერატორის ფავორიტი იყო, ნილოსში დაიხრჩო. იმპერატორმა არა მარტო დააარსა ქალაქი მის პატივსაცემად, არამედ დანერგა მისი კულტი, რომელიც რომშიც გაავრცელა. რომში, მონტე პინჩიოს მოედანზე, დღემდე დგას ე.წ. „ბარბერინის ობელისკი“. ობელისკის ტექსტი ეგვიპტურ ენაზე, იეროგლიფური დამწერლობით არის შედგენილი და გვამცნობს, რომ ანტინოე იყო მკურნალი, რომელიც ძილით კურნავდა (Коростовцев, 1976, 45). ანტინოეში ეთაყვანებოდნენ ბაყაყის სახის ქალღმერთს ხეკეტს (Kees, 1980, 62). ქალაქის მიდამოებში შემორჩენილია რამსეს II-ის ტაძრის და ამონხეტეპ IV-ის კაპელის ნანგრევები. რომაულ პერიოდს ეკუთვნის ორი ტაძრის ნანგრევები, რომლებიც ისიდასა და სერაპისისადმი იყო მიძღვნილი (Bonnet, 1952, 40).

ანუბისი — (ეგვ. *Inpw*, Wb I, 96). ერთ-ერთი უძველესი ძაღლის ან მგლის სახის ღვთაება, დაფიქსირებულია უკვე წინადინასტიური და არქაული პერიოდის დროს (Mercer, 1949, 148). მოიხსენიებოდა, როგორც ბასტეტის, ან ოსირისის და ნეფტიდას



ანუბისი

ანუბისი

ანუკეტი

შვილი. პლუტარქეს თანახმად, ნეფტიდამ დაათრო ოსირისი და მისგან ანუბისი გააჩინა (Plutarch, 14:38). იგივე პლუტარქე მეორე ადგილას მას ისიდას და ოსირისის შვილად ასახელებს (Plutarch, 44). ასახელებდნენ ასევე, როგორც ერთ-ერთს რას ოთხი შვილიდან (Kees, 1980, 29). გამოისახებოდა დამჯდარი შავი ძაღლის ან ძაღლისთავიანი ადამიანის სახით. ზეტეს აზრით, „inpu" ეგვიპტურში „ძაღლის" მოფერებით სახელს წარმოადგენდა (Sethe, 1930, § 17). მთავარ საკულტო ადგილად ითვლება მეჩვიდმეტე ზემოეგვიპტური ნომი, რომლის მთავარ ქალაქს ბერძნებმა ლიკოპოლისი, ანუ ძაღლის ქალაქი დაარქვეს. ნომის ემბლემაც ანუბისის ძაღლი იყო (Montet, 1961, 164). ამავე ნომში და მის შემოგარენში ეთაყვანებოდნენ ანუბისის მდედრობით ნაირსახეობას (*Ꜣnpw.t*, Wb I, 96), რომელიც ოსირისის მფარველ ქალღმერთად ითვლებოდა. ანუბისის საკულტო ადგილები იყო ასევე გებელენი, რიფე, მემფისის ნეკროპოლისის მიდამოები და ტურა. მისი ყველაზე ხშირი ეპითეტები იყო „ის, ვინც თავის მთაზეა" (ეგვ. *tpj ḏ w.f*, Wb V, 543) და „წმინდა მიწის ბატონი" (*ḥntj tꜣ ḏśr*; დაფიქსირებულია Berlin 13 502/3, III დინასტია, Kees, 1980, 29). „წმინდა მიწა" ეგვიპტურ ენაში ნეკროპოლისს ნიშნავს (*tꜣ ḏśr*; Wb V, 228). ადრე მოიპოვა გარდაცვლილთა და ნეკროპოლისების მფარველი ღვთაების მდგომარეობა და მნიშვნელოვანი ადგილი გარდაცვლილთა კულტში, სადაც ძირითადად სხეულის განწმენდა და ბალზამირება ევალებოდა. უკვე პირამიდების ტექსტებში აღწერილია, როგორც პირველი მებალზამე, რომელმაც ოსირისის მუმია დაამზადა (PT. 1122c-d; 574; 221d). მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ასევე ოსირისის სამსჯავრიში, სადაც წონიდა გარდაცვლილის გულს და თოტთან ერთად იწერდა და აცხადებდა გარდაცვლილის განაჩენს „ორი მაატის" (სამართლის ან სიმართლის) დარბაზში. მისი კიდევ ერთი წოდება – „პირველი დასავლეთის მობინადრეთა (ე.ი. გარდაცვლილთა) შორის" ძალიან ადრე „მიითვისა" ოსირისმა (Mercer, 1949, 147).

ანუკეტი – (ეგვ. *ꜣnḳ.t*, Wb I, 206). მისი სახელი დაკავშირებულია წყლის მოქცევასთან, მცენარეების მორწყვასთან, ასოცირებული იყო სიცოცხლის მომგვრელ გრილ წყლებთან. საკულტო ცხოველი იყო ანტილოპა, თუმცა ანუკეტი ყოველთვის ანთროპომორფულად გამოისახებოდა. ბერძნებმა ანუკისი დაარქვეს და ჰერასთან გააიგივეს (Bonnet, 1952, 45). იყო ნილოსის პირველი ჭორომის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძულის – სეხელის ქალბატონი და ნილოსის პირველი ჭორომის მიდამოების

ქალღმერთი (Коростовцев, 1976, 51). სენუსერტ III-მ ანუკეტს მიუძღვნა არხი, რომელიც ნუბიაში ადვილად მიმოსვლისათვის ნილოსის პირველ ჭორომთან გათხარა (Breasted, 1962, I, § 643). ხნუმთან და სათისთან ერთად ქმნიდა ტრიადას, რომელსაც სენუსერტ I-მა ელეფანტინაზე ტაძარი მიუძღვნა (Breasted, 1962, II, § 500). ეთაყვანებოდნენ ნუბიაშიც. ამონხეტეპ II-ის ელეფანტინას სტელაზე მისმა უდიდებულესობამ ბრძანა „ერთი დღის დამატება მისი დედის, ანუკეტის დღესასწაულისათვის ნუბიაში" (Breasted, 1962, II, § 798). ესნას სამხრეთით ნაპოვნია ანუკეტისადმი მიძღვნილი ტაძრის ნანგრევები, და მის შემოგარენში — ანტილოპას და გაზელის მუმიები (Bonnet, 1962, 45).

ანცტი

ანცტი — (ეგვ. *ʿnḏtj*, Wb I, 207). მეცხრე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქის, ბუსირისის უძველესი ღვთაება, რომელიც ძალიან ადრე შეერწყა ოსირისს (პროცესი დასრულებულია უკვე პირამიდების ტექსტებში, Bonnet, 1952, 38) და მისი ერთ-ერთი სახელი გახდა (Wb I, 207). ამდენად, მისი არსების დადგენა ძალიან ძნელია, მაგრამ, როგორც ჩანს, დაკავშირებული იყო სამეფო ძალაუფლებასთან, რადგან ანცტი გამოისახებოდა ანთროპომორფულად, სამეფო ინსიგნიებით (Коростовцев, 1976, 140). პირამიდების ტექსტებში მოხსენიებულია, როგორც „აღმოსავლეთის ნომების ბატონი" (PT 220;1833). ბუსირისის ძველი ეგვიპტური სახელი ჯედი (*Ḏdw*, Wb V, 630) საკრალურ სიმბოლოსთან — ჯედ — სვეტთან არის დაკავშირებული.

ანხტაუი — მემფისის ნეკროპოლისის სახელი (*იხ. მემფისი*).

აპისი

აპისი — (ეგვ. *ḥp*, Wb III, 70; *wḥm n Pṯḥ*, Wb.I, 344). ნაყოფიერების ღმერთი, რომელსაც ცოცხალი შავი ხარის სახით ეთაყვანებოდნენ. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი გაღმერთებულ ცხოველებს შორის. პალერმოს ქვაზე მისი კულტი უკვე I დინასტიის დროს არის დაფიქსირებული (Shäfer, 1902, 21). აპისის კულტის სამშობლოდ მემფისი ითვლება. იგი მოიხსენიება, როგორც „პტახის სული" (*bꜣ*) ან „ორაკული" (*wḥm*) (Коростовцев, 1976, 15). ხარის ბუნებრივი სიძლიერის გამო აპისი ასოცირებული იყო ფარაონთან. ხებ-სედის რიტუალის ერთ-ერთ ფაზაში ფარაონი აპისის გვერდით მიაბიჯებდა (Hart, 2005, 30). გარდაცვლილი ფარაონის კულტის ოსირიანიზაციის შემდეგ მოხდა აპისის შერწყმა ოსირისთან ოსირის-აპისის სახით. პტოლემაიოსების დროს შექმნილი ეგვიპტურ-ბერძნუ-



აპისის რბოლა

ლი ღვთაების, სერაპისის ეგვიპტურ ნაწილს სწორედ ოსირის-აპისი წარმოადგენდა. ეგვიპტელებს მიაჩნდათ, რომ აპისის რიტუალური რბოლა ანაყოფიერებს მინდვრებს და ამრავლებს გარდაცვლილისადმი მიტანილ შესაწირს. მინდვრების გასანაყოფიერებლად უძველესი დროიდან ტარდებოდა აპისის მიერ მინდვრების რიტუალური შემოვლა, რომელსაც ზეიმის სახე ჰქონდა და „აპისის რბოლა"ეწოდებოდა (Shafer, op.cit.; Bonnet, 1952, 49). ჩვეულებრივ აპისის კულტი ერთ შავ ხარზე იყო კონცენტრირებული, რომელიც განსაკუთრებული ნიშნებით იყო შერჩეული. სიცოცხლეში აპისი ცხოვრობდა სპეციალურ საცხოვრისში, რომელსაც ბერძნები „აპეიონს" ეძახდნენ (ჰეროდოტე, II, 153; სტრაბონი XVII, 807). ის პტახის ტაძრის სიახლოვეს მდებარეობდა. აპისისადმი ბევრი დღესასწაული იყო მიძღვნილი. გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა ხარის მუმიფიცირება და დაკრძალვა სპეციალური რიტუალის მიხედვით, შემდეგ კი ქურუმები მთელ ეგვიპტეში დაეძებდნენ მომდევნო აპისს, რომელიც განსაკუთრებული ნიშნებით იყო გამორჩეული ყველა სხვა ცოცხალი ხარისაგან. 1851 წ. ფრანგმა ეგვიპტოლოგმა ო. მარიეტმა აღმოაჩინა აპისის ხარების სასაფლაო (სერაპეუმი) საქქარაში, მემფისის ნეკროპოლისში. ესაა გრანდიოზული მიწისქვეშა ნაგებობა, სადაც უზარმაზარ (80 ტონა) სარკოფაგებში საკრალური ხარების მუმიები განისვენებდა. ყველა მათგანი, ერთის გარდა, გაძარცვული აღმოჩნდა (Littleton, 2005, 1195).

აპისის ხარი მზის დისკოთი რქებს შორის

აპოლინოპოლისი — ბერძნებმა დაარქვეს რამდენიმე ქალაქს, სადაც მთავარი ღვთაებამათ მიერ აპოლონთან გაიგივებული ხორი. აღსანიშნავია: 1. **აპოლინოპოლისი მაგნა,** ზემო ეგვიპტის მეორე ნომის დედაქალაქი (*იხ. ედფუ*). 2. **აპოლინოპოლისი პარვა,** ეგვ. *Gsꜣ* (PT 308) ზემო ეგვიპტის მეხუთე ნომში, იგივე დიოკლეტიანოპოლისი, კოპტური კუსი (Gardiner, 1947, II, 24*). მდებარეობდა ძველი სამეფოს პერიოდში ნომის დედაქალაქის, კოპტოსის 10 კმ. და ნაქადას 5 კმ. სამხრეთით, ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე. სავარაუდოდ, მისი ისტორია წინადინასტიური პერიოდიდან იწყება და ნაქადას სამაროვნებთან იყო ასოცირებული. შესაძლოა, წარმოადგენდა საწყის პუნქტს ექსპედიციებისათვის, რომლებიც მიემგზავრებოდნენ აღმოსავლეთ უდაბნოს მაღაროების და წითელი ზღვისაკენ ვადი ჰამამატის გავლით. აქ მოძიებული ძეგლები ძირითადად მოიცავს პერიოდს VI დინასტიიდან ჰერაკლეოპოლისური პერიოდის

ჩათვლით (IX-X დინასტიები, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 20134-2040 წწ.). ნაპოვნია ასევე წარწერები ატონის და ნეფერტიტის კარტუშებით და რამსეს III-ის მეთექვსმეტე წლით დათარიღებული სტელა (Bard, 1999, 800). მთავარი ღვთაება იყო ხაროერისი (უფროსი ხორი), რომელმაც განდევნა უფრო ძველი ნენუნის კულტი. ხაროერისის და მისი დედის, ხეკეტის ტაძრიდან ნანგრევებია შემორჩენილი (Montet, 1961, 81-82). 3. **აპოლინოპოლისი მინორი.** ცნობილია მხილოდ ძალიან გვიანი წყაროებიდან. ზუსტი ლოკალიზაცია დადგენილი არ არის (Bonnet, 1952, 51).

აპოპი — ჰიკსოსების მეფე, *იხ. ჰიკსოსები.*

აპოპი — (ეგვ. *Ꜥpp* — „რას მტერი", „დიდი გველი", Wb I, 167). ყველაზე უარყოფითი დემონი ეგვიპტურ მითოლოგიაში და იმ დემონთაგან ერთ-ერთი, რომლებიც ებრძოდა რას ღამის 12 საათის განმავლობაში მისი მიწისქვეშეთში მოგზაურობისას (*იხ. ამდუატი*). აპოპი პირამიდების ტექსტებში მოხსენიებული არ არის. პირველად სარკოფაგების ტექსტებში ჩნდება (დაახლ. პირველი გარდამავალი პერიოდოდან, Kees, 1980, 55). იყო ქაოსის პირველადი ძალების და მუდმივი ბოროტების სიმბოლო. ეგვიპტის თითქმის ყველა სოლარული ჰიმნი შეიცავს შელოცვებს აპოპის წინააღმდეგ, მაგრამ თუმცა რა ამარცხებს აპოპის ყოველ ღამეს, თავს აღნევს წყვდიადს და ამობრწყინდება აღმოსავლეთის ჰორიზონტზე, მისი საბოლოო დამარცხება შეუძლებელია (Коростовцев, 1976, 69). შემდეგ საღამოს აპოპი ისევ ხვდება რას ბახუზე — დასავლეთის ყველაზე შორეულ მთაზე, სადაც ეგვიპტელთა წარმოდგენით რა მიწისქვეშეთში ეშვებოდა და სადაც აპოპი ცხოვრობდა, და თავიდან იწყებს მზის ღმერთთან ბრძოლას (Hart, 2005, 32). ეგვიპტელები აპოპის, სახელის გარდა, მაგიური, დასაწყეული სახელებითაც მოიხსენიებდნენ — „გასაქრობი", „დამსხვრეული ძალით" და სხვ (Kees, 1980, 55).

აპოპის წიგნი — ეგვიპტოლოგიაში ეწოდება ცალკეული გამონათქვამების კრებულს რას მიერ აპოპის და წყვდიადის დამარცხების შესახებ. პაპირუსის ცალკეული გამონათქვამები დასათაურებულია, როგორც „წიგნი აპოპის დასამარცხებლად". „წიგნი" შემოგვინახა დღეს ბრიტანეთის მუზეუმში დაცულმა ბრემნერ-რინდის პაპირუსმა, რომელიც ჩვ.წ.-მდე IV საუკუნეშია ჩაწერილი (Lexa, 1925, I), თუმცა წიგნის შინაარსი გაცილებით უფრო ძველი, სარკოფაგების ტექსტების და მკვდართა წიგნის

(თავი 15) იმ გამონათქვამების განვითარებას წარმოადგენს, სადაც მზის მიერ მინისქვეშეთის გველის სახის დემონების დამარცხებაზეა მოთხრობილი. პაპირუსის გამონათქვამები წარმოითქმებოდა კარნაკის ტაძარში ყოველდღიური რიტუალის დროს, რომელიც ბნელეთის ძალებზე რას გამარჯვებას ზეიმობდა. მსგავსი რიტუალი ბევრ ეგვიპტურ ტაძარში ტარდებოდა. ედფუს ტაძრის ბიბლიოთეკის კედელზე გამოსახულია ბრძენი იმხოტეპი, რომელიც ხორს წიგნს უკითხავს. წიგნის ქვეშ მოთავსებულია წარწერა: „რას დიდება, აპოპის დამარცხება" (Bonnet, 1952, 53-54).

აპრიესი – XXVI (საისური) დინასტიის მეოთხე ფარაონის (ჩვ.წ.-მდე 589-570 წწ.) ბერძნული სახელი. ეგვიპტური სახელია ხაიბრა ვახიბრა (*Ḥ ʿ-ib-Rʿ, Wʿḥ-ib-Rʿ* – „ზეიმობს რას გული, მუდმივია რას გული"). ფსამტიხ II-ის შვილი. ცნობები მის შესახებ საკმაოდ მწირია. გამეფებისთანავე მოუხდა ჩართულიყო იმ მოვლენებში, რომლებიც ზედეკიას აჯანყებას მოჰყვა. ნაბუქოდრესარ II-მ ალყაში მოაქცია იერუსალიმი, დაიპყრო სიდონი, თუმცა ვერ მოახერხა ტიროსის დაპყრობა, რადგან ქალაქს ზღვიდან აპრიესის გემები ამარაგებდა. მისი მცდელობის შედაგად ნაბუქოდრესარმა მოხსნა იერუსალიმის ალყა, მაგრამ საბოლოოდ ეგვიპტური ჯარები იძულებული იყო უკან დაეხია, და ნაბუქოდრესარმა დაანგრია და სასტიკად გაძარცვა ქალაქი ჩვ.წ.-მდე 573 წ (Gardiner, 1964, 360). მან ხელში ჩაიგდო ზედეკია და სამაგალითოდ დასაჯა: აყურებინა თავისი ვაჟიშვილის სიკვდილით დასჯისათვის, შემდეგ კი დააბრმავა და ტუსაღად ბაბილონში წაიყვანა. ამ დროს ეგვიპტური ჯარის დამარცხების გამო ელეფანტინას გარნიზონში აჯანყება დაიწყო. არეულობა ჩააწყნარეს, მაგრამ აპრიესის პრობლემები ამით არ დამთავრებულა (Clayton, 1994, 197). ამასისის საბოლოო დაცემის მიზეზებს დეტალურად აღწერს ჰეროდოტე (II, 161; IV, 159). ჩრდილოეთ აფრიკაში, ეგვიპტის დასავლეთით ძალიან სწრაფად ვითარდებოდა ბერძნული სავაჭრო კოლონია კირენი, რასაც თან სდევდა ბერძნების მიერ ლიბიელების მიწების მიტაცება. ლიბიელების ბელადმა, აპრიესის მოკავშირემ, ადიკრანმა დახმარება სთხოვა აპრიესს. პასუხად აპრიესმა ბერძნების წინააღმდეგ ეგვიპტური ჯარი გააგზავნა, რადგან არ იყო დარწმუნებული, რომ ბერძნული ჯარი თავისი თანამემამულეების წინააღმდეგ ლიბიელების მხარეს იბრძოლებდა. ამ ბრძოლაში ეგვიპტის ჯარმა სასტიკი დამარცხება განიცადა, რასაც ისევ მოჰყვა არეულობა ჯარში, რომელიც

გადაიზარდა სამოქალაქო ომში ერთი მხრივ ეგვიპტელ, მეორე მხრივ კი კარიელ და ბერძენ ჯარისკაცებს შორის. ეგვიპტელებს დიდი ხნის მანძილზე აღიზიანებდათ ის პრივილეგიები, რომლებითაც დაქირავებული უცხოელი ჯარისკაცები სარგებლობდნენ. იფეთქა სიძულვილმა აპრიესის მიმართაც. გენერალი ამასისი, რომელიც აპრიესმა ჯარის დასამშვიდებლად გააგზავნა, თავად ჩაუდგა მას სათავეში და დედაქალაქისაკენ დაიძრა. აპრიესი, რომელსაც მხოლოდ ბერძენი მოქირავნეები უჭერდნენ მხარს, იძულებული იყო გაქცეულიყო (Gardiner, 1964, 361). შესაძლოა, აპრიესსა და ამასისს შორის მოხდა ორი შებრძოლება. ე.წ. ელეფანტინას სტელის თანახმად, აპრიესი მეორე შეტაკების დროს დაიღუპა (Jelinkova-Reymond, 1957, 251-287), თუმცა, ჰეროდოტეს ცნობით, ის ტყვედ ჩავარდა, ამასისმა მას სიცოცხლე შეუნარჩუნა, მაგრამ იძულებული გახდა, დამორჩილებოდა ხალხის მოთხოვნას და აპრიესი მათთვის გადაეცა. ხალხის მიერ სიკვდილით დასჯილი აპრიესი ამასისმა სათანადო პატივით დაასაფლავა საისში (ჰეროდოტე II, 169). ზოგიერთი ცნობით, აპრიესმა ჯერ თანამმართველად დანიშნა ამასისი, მაგრამ სამი წლის შემდეგ შეაგროვა 30 000 კარიელი და ბერძენი მასთან საბრძოლველად. ამ ვითარებაში ეგვიპტელები მთლიანად ამასისის მხარეს დადგნენ და დაამარცხეს აპრიესის ჯარი (Law, 2002, 97). მიუხედავად ასეთი მშფოთვარე მეფობისა, აპრიესი ძალიან ბევრს აშენებდა. გასული საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს აპრიესის გრანდიოზული სასახლე მემფისში (Petrie, 1909). მის მიერ საისში აღმართული ობელისკი ჩვ.წ. III საუკუნეში იმპერატორმა დიოკლეტიანემ გადაიტანა რომში, სადაც დღეს სანტა მარია სოპრა მინერვას ეკლესიის წინ არის აღმართული.

ᲐᲠᲔᲜᲜᲣᲤᲘᲡᲘ – (ეგვ. *Ꜣrj-ḥmꜣ-nfr* – „მშვენიერი მეგობრის“ Wb I, 105, II, 254 ბერძნული ფორმა). ანთროპომორფული ნუბიური ღვთაება ბუმბულებიანი გვირგვინით. ჩნდება ეგვიპტის სამხრეთ ტაძრებში მეროეს ცივილიზაციის ჩამოყალიბების თანადროულად. პტოლემაიოს IV ფილოპატორმა და მეროეს მეფემ, არკამანიმ (ერგამენეს II) ფილეზე კიოსკი აუგეს (დაახლ. 220 წ. ჩვ.წ.-მდე, Hart, 2005, 32). მისი ეგვიპტური სახელი არაფრის მთქმელია, გარდა იმისა, რომ ალბათ „კეთილი“ ღვთაება იყო. ეძახდნენ ასევე „ნუბიიდან მოსულს“, „ლომს, ძლიერს ფეხებით“ (ხანდახან მას ლომის სახეც ჰქონდა) ან „მშვენიერ მონადირეს, პუნტის ბატონს“. აღიქმებოდა ასევე, როგორც ნუბიური ღვთაების, დედუნის ერთ-ერთი ფორმა (Bonnet, 1952, 54).

არქაული პერიოდი – *იხ. ადრედინასტიური პერიოდი*

არწივი – არ იყო ეგვიპტეში საკრალური ფრინველი, თუმცა სტრაბონი (17.812) და დიოდორე (I. 87) მოგვითხრობენ, რომ თებეში არწივს ეთაყვანებოდნენ. მცირერიცხოვანი არწივის მუმიები, რომლებიც სვავების და შევარდენების სასაფლაოებზეა აღმოჩენილი, აქ იმიტომ მოხვდა, რომ ეგვიპტელები მათ ერთი ოჯახის ფრინველებად თვლიდნენ და შევარდნის სახელი ახომი (*ꜣḫm*, Wb.I, 226) კოპტურში არწივის აღმნიშვნელი სიტყვა გახდა (Hopfner, 1913, 108).

ასიუტი – *იხ. ლიკოპოლისი.*

ასკეზა – ეგვიპტური რელიგიისათვის უცხო იყო ასკეზის ცნება. მართალია, ქურუმებს ეკრძალებოდათ გარკვეული საკვები და ხანდახან უბინობაც მოეთხოვებოდათ, მაგრამ ეს ყოველთვის საკულტო სისუფთავესთან იყო დაკავშირებული და დროის მცირე მონაკვეთს მოიცავდა, რადგან ტაძარში შესვლის და რიტუალის ჩატარებისას ყოველმხრივ სუფთა უნდა ყოფილიყვნენ. ასეთ დროს ისინი რამდენიმეჯერ განიბანებოდნენ ტაძრის საკრალურ ტბაში, რომელიც ალეგორიულად პირველყოფილი წყლების განსახიერებას წარმოადგენდა (Bonnet, 1952, 55). რიგითი ქურუმების მოვალეობის შესასრულებლად ტაძრებში ხშირად „როტაციის" წესით მსახურობდნენ რიგითი ეგვიპტელები ერთი ან სამი თვის განმავლობაში და შემდეგ მათ სხვები ცვლიდნენ. ქურუმის თანამდებობა იმდენად არ ითხოვდა განსაკუთრებული ცხოვრების წესს, რომ უმაღლესი რანგის ქურუმსაც კი შეიძლებოდა სხვა, საერო ან სამხედრო სამსახურიც კი ჰქონოდა.

ასტარტა – სიყვარულის და იმავდროულად ომის სირიული ქალღმერთი. მისი კულტი ეგვიპტეში XVIII დინასტიიდან ჩნდება. განსაკუთრებით პოპულარული გახდა მემფისში, სადაც პტახის ქალიშვილად იყო გამოცხადებული. აქ ძირითადად არაეგვიპტური მოსახლეობა ეთაყვანებოდა. ჰეროდოტე ასტარტას „უცხოურ აფროდიტას" ეძახის. მისი ცნობით, ასტარტას ტაძარი მემფისის ფინიკიელების უბანში მდებარეობდა (II, 112). როგორც ომის ქალღმერთს, ასტარტას „ცხენის და ეტლის ქალბატონს" ეძახდნენ და ის გვევლინება ხორის გვერდით ფარაონის მტრების წინააღმეგ ბრძოლაში (Roeder, 1915, 123). როგორც

სიყვარულის ქალღმერთი, ხატხორთან გახდა ასოცირებული და მოიპოვა მისი „ზეცის და ღმერთების ქალბატონის“ ნოდება და რას ქალიშვილი და მისი „მთვარის თვალი“გახდა (Erman, 1934, 77). სტრაბონის თანახმად, ასტარტას მემფისის სელენას ეძახდნენ (17, 807). ხატხორის და ისიდას კულტების დაახლოვების გამო ის ისიდასთანაც გახდა ასოცირებული (Mercer, 1949193).

ასტრონომია — ასტრონომიით დაინტერესება ეგვიპტეში, პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, ძალიან ადრე მოხდა და მიწათმოქმედების განვითარებასთან იყო დაკავშირებული, რადგან ეგვიპტის სოფლის მეურნეობა მთლიანად ნილოსის ადიდებაზე იყო დამოკიდებული. დიდი მდინარე რეგულარულად, ჩვენი კალენდრით იელისში დიდდება აბისინიის მთიანეთში და დიდი ტბების მიდამოებში ტროპიკული წვიმების სეზონის გამო, მაგრამ ეგვიპტელების დაკვირვებით, ეს მოვლენა ცაზე კაშკაშა ვარსკვლავის — სირიუსის გამოჩენას ემთხვეოდა. როგორც ჩანს, ასეთი დამთხვევის დაფიქსირების შემდეგ (ან, შეიძლება, უფრო ადრეც) ეგვიპტელები დაინტერესდნენ ვარსკვლავების გადაადგილებით და მათი დაკვირვება დაიწყეს, რაშიც ხელს უწყობდა ეგვიპტის ყოველთვის კაშკაშა და მოწმენდილი ცა. თანდათან ეგვიპტელების ცოდნა იმდენად გაიზარდა, რომ მათ შექმნეს საოცრად პრაქტიკული, 12-თვიანი მთვარის კალენდარი სასოფლო-სამეუნეო საქმიანობისათვის, და მოგვიანებით, ვარსკვლავების კანონზომიერი გადაადგილებისა და მონაცვლეობის აღმოჩენის შემდეგ, დაყვეს ჯერ ღამე, შემდეგ კი დღე თორმეტსაათიან მონაკვეთებად და ამგვარად შექმნეს ის 24-საათიანი დღე-ღამე, რომელშიც დღესაც ვცხოვრობთ (*იხ. „კალენდარი“*). ეგვიპტელები ძალიან კარგად ერკვეოდნენ თვალით ხილულ ვარსკვლავებში, იცოდნენ ამა თუ იმ ვარსკვლავის ამოსვლის, კულმინაციის (ციური მერიდიანის გადაკვეთის) და ჩასვლის დრო. ვარსკვლავები დააჯგუფეს თანავარსკვლავედებში და მისცეს იმ ცხოველების სახელები, რომლებსაც, მათი აზრით, ეს თანავარსკვლავედები ჰგავდა — მაგ. დიდი დათვის თანავარსკვლავედს ისინი „სეტხის ბარკალს“ ეძახდნენ (Kees, 1980, 147). ეგვიპტური სამარხების, ტაძრების და სასახლეების ჭერზე თავსდებოდა ცის რუკები, რომელთა სიზუსტე გაოცებას იწვევს. განსაკუთრებით აღსანიშნავია სენმუტის სამარხში (XVIII დინასტია), სეტი I-ის კენოტაფში (XIX დინასტია), რამსეს II-ის სასახლეში (რამესეუმში, XIX დინასტია), რამსეს III-ის მოსახსენიებელ ტაძარში (XX დინასტია) და

ზოგიერთი რამესიდის (XX დინასტია) სამარხებში მოთავსებული რუკები. აქაა ცის რუკები, ვარსკვლავების ცხრილები ღამის დროის დასადგენად, ვარსკვლავების მიერ ცის მერიდიანის გადაკვეთის გათვლები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სენმუტის სამარხი, სადაც გამოსახულია სამხრეთი და ჩრდილოეთი ცის რუკები, დიდი დათვის თანავარსკვლავედის „Eta" და „Zeta" ვარსკვლავების და მცირე დათვის თანავარსკვლავედის „Beta" ვარსკვლავის კულმინაციები (Стучевский, 1976, 270-271). დღის დროს ეგვიპტელები ე.წ. „ჩრდილის საათებით" განსაზღვრავდნენ. ჩრდილის საათი ორი ხის ფირფიტისაგან შედგებოდა. ერთი ფირფიტა დაყოფილი იყო 12 სეგმენტად, მეორე თავსდებოდა პირველის პერპენდიკულარულად, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ორიენტაციით. ჩრდილი, რომელიც სეგმენტებიან ფირფიტაზე ვარდებოდა, დღის საათს უჩვენებდა (Clagett, 2004, 83-94). დღის დროს ეგვიპტელები „მზის საათებითაც" (sundials) იგებდნენ. მათი საშუალებით იზომებოდა მზის ჩრდილის კუთხის ცვალებადობა დღის განმავლობაში მზის მოძრაობის დროს (Clagett, 2004, 95-97). ეგვიპტელების დიდ ტექნიკურ მიღწევად ითვლება „წყლის საათის" გამოგონება, რომლებსაც ბერძნები „კლეფსიდრს" ეძახდნენ. ისინი ყველაზე გვიან ახალი სამეფოს დროს შეიქმნა, რადგან ცნობილია, რომ ამონხეტეპ I-ის ერთ-ერთმა მოხელემ, „მეფის ბეჭდის მატარებელმა" ამენემესმა უკვე „გაუმჯობესებული წყლის საათი" გამოიგონა (Стучевский, 1976, 273). წყლის საათი წარმოადგენდა ორ ერთმანეთში ჩადგმულ ჭურჭელს, სადაც ერთიდან მეორეში წყალი გადმოედინებოდა. ჭურჭლის შიგნითა მხარეს მოთავსებული დანაყოფებით შეიძლებოდა საათის გაგება (Clagett, 2004, 77-83). ეგვიპტელები თავიანთ ტაძრებს და პირამიდებსაც ზუსტი ასტრონომიული ორიენტაციით აგებდნენ, რომლის მნიშვნელობა ჩვენთვის ყოველთვის არ არის გასაგები (Neugebauer and Parker, 1969, 46-47). ასტრონომიით ეგვიპტეში განსწავლული ქურუმები იყვნენ დაკავებული, რომლებიც განათლებას სატაძრო სკოლებში იღებდნენ.

ასუანი — ეგვ. *Swnw*, *იხ.* „*ელეფანტინა*".

ატონი — „ერეტიკოსი ფარაონის", ამონხეტეპ IV (ეხნატონის) ღვთაება, რომელიც მან ერთადერთ ღმერთად გამოაცხადა და უარყო ეგვიპტის ძველი ღმერთები. თვითონ სიტყვა „ატონი" (ეგვ. *Itn* — „მზის დისკო") ეგვიპტური ენისათვის

ატონის პირველადელი სახე

შედარებით ახალი სიტყვაა, დაფიქსირებულია მხოლოდ შუა სამეფოს დროიდან (Wb I, 145). თანდათან ხდება მზის ამ სახით გაღმერთება (დაახლ XVIII დინასტიიდან, Bonnet, 1952, 59), რაც, მზის ყველა ფაზის გაღმერთების გათვალისწინებით, ეგვიპტისათვის ბუნებრივი მოვლენა იყო. თოტმეს IV-ის დროს ატონი უკვე გამოკვეთილი იდენტურობის მქონე ღვთაებაა. თავის სკარაბეოსზე ფარაონი გვამცნობს: „მე ვიბრძოდი, და ჩემს წინ იყო ატონი. მე ვიბრძოდი იმისათვის, რომ უცხოელები გახდნენ, (როგორც) ეგვიპტელები, და ემსახურონ ატონს მარად“ (Wilson, 1957, 210). ღმერთის ნიშნითაა გამოწერილი ატონი ასევე ამონხეტეპ III-ის სასეირნო გემზე „ატონი ბრწყინავს“ (Breasted, 1962, § 869). იმავე ამონხეტეპ III-ის დროს ვინმე რამოსე ერთდროულად ასრულებდა ამონის ქურუმის და „ატონის ტაძრის“ სტიუარდის მოვალეობებს, ხოლო ვინმე პენ-ბუი, ატონის ტაძრის საჭურჭლის გადამწერი, სთხოვს მსხვერპლშესანირს ამონ-რას (*იქვე*). თავად ამონხეტეპ III ხელს უწყობდა თავის კარზე ატონის თაყვანისმცემლების ჯგუფს (Kees, 1980, 368). ე.ი. ატონი გაღმერთებული იყო უკვე ამონხეტეპ IV-ის ტახტზე ასვლამდე, საკუთარი ტაძარიც კი ჰქონდა, მაგრამ „მშვიდობიანად თანაცხოვრობდა“ ეგვიპტის პანთეონის ურიცხვ ღმერთებთან. ატონის სახე — მზის დისკო, რომლის სხივები ადამიანის გაშლილი ხელებით მთავრდებოდა, ასევე არ იყო ახალი ეგვიპტისათვის. მზის სხივების გაშლილ ხელებთან გაიგივებას ჯერ კიდევ პირამიდების ტექსტებში ვხვდებით (PT,324). ამონის რასთან შერწყმის შემდეგ ამონ-რას მოიხსენიებდნენ, როგორც „ერთადერთს, ბევრი ხელებით“ (Erman, 1934, 331). ცნობილი ფრაზა ეხნატონის ჰიმნიდან: „შენ, ერთადერთო ღმერთო, რომლის გვერდით არავინაა“ (ეგვ. *pꜣ-nṯr-wʿ nn kj ḥr wꜣf* Davies, 1908, pl.XXVI, 8) ასევე წარმოადგენს უკვე დიდი ხნით ადრე კლიშედ გადაქცეულ ფრაზას, რომელსაც თითქმის ყველა დიდი ღვთაების ჰიმნში ვხვდებით. ეგვიპტისათვის არც ის იყო ახალი, რომ ამონხეტეპ IV-მ პოლიტიკური ბრძოლისათვის ნინ „ახალი“, ძველ ისტორიას მოკლებული ღვთაება წამოსწია. მსგავსი „ბიოგრაფიები“ ჰქონდათ რას და შემდეგ ამონს. მაგრამ ორივე ძველი ღმერთი თავიანთი ისტორიის დასაწყისში ქურუმებმა ძველ, დიდი ტრადიციების მქონე ღმერთებთან გააიგივეს. როცა რა ატუმს შეერწყა და შედეგად ახალი ღვთაება — რა-ატუმი წარმოიშვა, ეგვიპტელის ცნობიერებაში ეს ერთი დიდი ღვთაების ორ გამოვლინების ფორმას წარმოადგენდა. იგივე იყო უფრო გვიან, როცა რას და ამონის შერწყმა მოხდა. ეგვიპტეში ყველა დიდი

ატონი

ღვთაება „ერთადერთად" მოიხსენიებოდა, მაგრამ ამას არასოდეს შეუშლია ხელი მის გვერდით მრავალი „დიდი" და „პატარა" ღმერთის თანაარსებობისათვის. რაც უფრო დიდი იყო ღვთაება, მით უფრო მეტი გამოვლინების ფორმები მიეწერებოდა. ეხნატონის რეფორმის რევოლუციურობა იმაში მდგომარეობდა, რომ მან ერთი ხელის მოსმით უარყო ეგვიპტის ღმერთები და ატონი — მზის დისკო ეგვიპტის ერთადერთ ღვთაებად გამოაცხადა, ყოველგვარი გამოვლინების ფორმების გარეშე. ატონის მეორე დიდ განსხვავებას ეგვიპტური ღმერთებისაგან მისი სახე წარმოადგენდა. უძველესი დროიდან ეგვიპტურ ღმერთებს ზოომორფული ან ანთროპომორფული სახე ჰქონდათ. ატონი იყო ხილული მზის დისკო, რომელსაც არავითარი ადამიანური თვისებები აღარ გააჩნდა (Kemp, 1989, 263). ეხნატონის ადრეულ წარწერებში ატონი მოიხსენიება, როგორც „ცოცხალი რა-ხორახტი, რომელიც ბრწყინავს თავის სახელში როგორც „შუ", რომელიც არის „ატონი" (Bonnet, 1952, 60). ამ დროს ატონი ჯერ კიდევ გამოიყურება, როგორც შევარდნის თავიანი ადამიანი თავზე მზის დისკოთი (Mercer, 1949, 165). ხებ-სედის შემდგომ, რომელიც ფარაონმა გამეფებიდან მეექვსე წელიწადს გადაიხადა, ღმერთის იკონოგრაფია იცვლება და ის იღებს მზის დისკოს სახეს, სხივებით, რომლებიც ადამიანის გაწვდილი ხელებით მთავრდება. ატონი უკვე მოიხსენიება, როგორც „ცოცხალი რა (ე.ი. მზე), ორივე ჰორიზონტის ბატონი, რომელიც ბრწყინავს ჰორიზონტზე, როგორც რას მამა, რომელიც არის ატონი" (Bonnet, 1952, 63). ეგვიპტეში უძველესი დროიდან ახალი ღმერთის აღზევების უკვე ტრადიციულად ქცეული ხერხისაგან განსხვავებით, აქ ატონი რასთან კი არ არის გაიგივებული, არამედ რა (რა-ხორახტი) არის ატონის სახით მოვლენილი, შუ კი საერთოდ ქრება (Hari, 1985, 5). ღვთაებას, რომელსაც ასეთი სახე გააჩნდა, ვერ გამოსახავდი სამგანზომილებიან ქანდაკებაში და ეს არც იყო საჭირო. ატონი თავად ამობრწყინდებოდა ზეცაზე და მთელი დღის განმავლობაში იქ გადანაცვლდებოდა. ეგვიპტელისათვის ესეც უცხო იყო, რადგან ეგვიპტური ღვთაების საცხოვრისად მისი ტაძარი წარმოიდგინებოდა, სადაც წმინდათა წმინდა საკანში მისი ქანდაკება იყო დაბრძანებული, რომელსაც ღვთაების უხილავი სულიერი საწყისი სურვილისამებრ „სტუმრობდა". ეგვიპტელები ლოცულობდნენ თავიანთ ღვთაებებზე, როცა დღესასწაულების დროს ქურუმები მათ ქანდაკებებს თავიანთი ტაძრებიდან გამოაბრძანებდნენ ხოლმე. ახლა ვითარება სრულებით შეიცვალა — ატონზე ეხნატონი

ლოცულობდა, რიგითი ეგვიპტელები კი ატონის ვაჟიშვილზე — თავად ეხნატონზე, სწორედ ამიტომ იდგა ამარნაში ყველა ეგვიპტელის უკანა ეზოში ეხნატონის გამოსახულება. ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის ქურუმებმა კონტრრეფორმაცია ჩაატარეს და ეხნატონის ღმერთი მალე მიეცა დავიწყებას, რასაც მრავალი ახსნა გააჩნია. ცოცხალ ადამიანზე დამყარებული კულტის მისი გარდაცვალების შემდეგ შენარჩუნება საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია. ამას გარდა, ეგვიპტეში ერთი ღვთაებისადმი ლტოლვა უძველესი დროიდან შეიმჩნევა, მაგრამ ეგვიპტელმა ქურუმებმა მოახერხეს „ერთის" და „მრავალის" თავისებური შერიგება იმ წარმოდგენით, რომ უძველესი დროიდან მრავალი განსხვავებული სახე ერთი ღვთაებრივი სანყისის სხვადასხვა გამოვლინებად აღიარეს. ასეთ ვითარებაში ეგვიპტური რელიგია თანდათან უახლოვდებოდა ერთღმერთიანობას (სწორედ ამიტომ მიიღო ეგვიპტელმა ქრისტიანობა), მაგრამ იმავდროულად, რიგით ეგვიპტელებს არავინ ართმევდა უფლებას თავიანთ საყვარელ ღმერთებზე ელოცა — უფლებას, რომელიც ეხნატონმა ერთი ხელის მოსმით წაართვა (*იხ. ასევე ეხნატონი, ეხნატონის რეფორმა, ახეტატონი, ატონის ჰიმნი, სინკრეტიზმი*).

ატონის ჰიმნი — ჰიმნი, მიძღნილი ატონისადმი, რომლის ავტორობა ეხნატონს მიეწერება. ჰიმნის ტექსტის რამდენიმე ვერსია დაფიქსირებულია ახეტატონში, დიდებულების სამარხების კედლებზე. ყველაზე სრულად აის სამარხში მოთავსებული ვარიანტი ითვლება (Коростовцев, 1978, 283). ატონის ჰიმნში ეხნატონის ღმერთი გამოცხადებულია ერთადერთ ღვთაებად, რომელმაც შექმნა სამყარო თავისი სურვილის და ნების შესაბამისად. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ატონის ჰიმნი ეგვიპტის თითქმის ორი ათასი წლის რელიგიური და ლიტერატურული ტრადიციის ნაყოფია (Ellis, 2004, 39). „ერთისადმი" ლტოლვა ეგვიპტის რელიგიაში უძველესი დროიდან შეიმჩნევა. ეგვიპტური რელიგიისათვის დამახასიათებელი სინკრეტიზმის წყალობით, ხშირად ორი ან მეტი ღვთაება ერთი ღვთაებრივი არსების სხვადასხვა მანიფესტაციად იყო გამოცხადებული, და ატონისადმი მიმართულ ფრაზას „შენ ერთადერთი ხარ, რომლის გვერდით არ არის მეორე" (Коростовцев, 197, 253) თითქმის ყველა დიდი ეგვიპტური ღვთაების ჰიმნში შეეხვდებით. ბევრი ღმერთის იდეა ეგვიპტეში საბოლოოდ ყოველთვის „ერთამდე" იყო დასული, მაგრამ ეგვიპტელი ქურუმები, ეგვიპტური აზ-

როვნებისათვის ჩვეული მომრიგებლობის და კომპრომისულობის გამო, ცდილობდნენ არ ეძალადათ წარსულის ტრადიციებზე, და „ერთის" და „მრავლის" შეწყობას თავისებური ხერხებით ცდილობდნენ. ცნობილ ლიტანიაში რასადმი, რომელიც თებეს ნეკროპოლისის სამარხების კედლებმა შემოგვინახა, რა, „ერთადერთი", თავისი 75 სახელით არის მოხსენიებული. ყველა ეს „სახელი" ისეთი დიდი ღმერთებია, როგორიცაა ატუმი, შუ, ტეფნუტი, გები, ნუტი და სხვ. ეხნატონმა მოახდინა ეს „ძალადობა" წარსულზე, რაც მან, როგორც ჩანს, აუცილებლად ჩათვალა. ამიტომ ატონის ჰიმნი განსხვავდება სხვა ეგვიპტური ჰიმნებისაგან იმით, რომ ატონის გვერდით უკვე არც ერთი ღმერთის სახელი აღარ არის მოხსენიებული (Kemp, 2004, 262-263). ატონის ჰიმნის და 104 ფსალმუნის საოცარი მსგავსების გამო მეცნიერებაში ბევრი იწერება ეგვიპტურ გავლენაზე, რომელიც ძველ აღთქმაში იგრძნობა (Nigosian, 2004, 133). ამას გარდა, ბიბლიური გენეზისის და ატონის ჰიმნის საოცარ შინაარსობრივ მსგავსებასთან ერთად, ყურადღებას ამახვილებენ ასევე ძირითადი ელემენტების აღმნიშვნელი სიტყვების საოცარ მსგავსებაზე (მაგ. „ad"- „ნისლი", „ბურუსი" და ეგვ."adj", „naphach" – „სუნთქვა" და ეგვ. „nef" და სხვ., Ellis, 2004, 39). აღსანიშნავია, რომ ის მეცნიერებიც კი, რომლებიც თვლიან, რომ „როცა ისრაელის შვილები დასახლდნენ ქანაანში და საკუთარი ცხოვრების წესის ჩამოყალიბება დაიწყეს, მათი წინგადადგმული ნაბიჯები რელიგიაში მხოლოდ საკუთარი ეროვნული რელიგიური გამოცდილების წყალობით იქნა მიღწეული", ვერ უარყოფენ ეგვიპტის საოცარ გავლენას და მიიჩნევენ, რომ „როცა ებრაელებს საკუთარი იდეების სიტყვით გადმოცემა დასჭირდათ, მათ ეგვიპტელისაგან ისესხეს ფორმა, რომლითაც საკუთარი იდეების გადმოცემა იყო შესაძლებელი" (Wilson, 1959, 227).



ატუმი

ატუმი – (ეგვ. *Itmw*, Wb.I, 144). ანთროპომორფული სახის უძველესი ღვთაება, ჰელიოპოლისის ენეადის უძველესი დემიურგი. მოხსენიებულია პირამიდის ტექსტების ე.წ. „კანიბალურ ჰიმნში", რომელიც წინადინასტიურ დროს შექმნილად არის მიჩნეული (PT 273-274, 359b). იგივე პირამიდების ტექსტებში ეძახიან „დიდი ენეადის ბატონს" (PT 601, 1660c) და „ღმერთების მამას" (1521a, 1546a). სიტყვა „ატუმი" (*tm*) ერთ-ერთი ურთულესია ეგვიპტურ ენაში (Wb V, 301-305).შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ჯერ არ წარმოქმნილი", „სამყარო", „დასრულებული" (Schott, 1945, 22), „მთლიანობა", „ჯერ არ არსებული" (Sethe, 1930, 95),

ატუმი

„თავის თავში ყველაფრის (ე.ი. სამყაროს ყველა ელემენტის) შემცველი“ (Clark, 1959, 38). ითვლება, რომ ატუმი, როგორც ყველა ეგვიპტური ანთროპომორფული ღმერთი, რომელსაც არავითარი ზოომორფული ელემენტი არ გააჩნია, ქურუმების ქმნილებაა. ჰელიოპოლისის კოსმოგონიის თანახმად, ატუმი იყო პირველქმნილი, ავტოხტონური ღვთაება, რომელიც საკუთარი ძალისხმევით გამოეყო პირველყოფილ ქაოსურ წყლებს (ნუნს) და შექმნა სამყარო, რადგან ატუმი იყო „იქამდე, სანამ წარმოიშვა ღმერთები, ადამიანები და სიკვდილი“ (PT 571, 1466b-1466d). ატუმთან გაიგივებული იყო ჰელიოპოლისის ასევე უძველესი, ხოჭოს სახის ღვთაება ხეპრი, რომლის სახელი ეგვიპტურად „წარმოქმნას“ ნიშნავს. პირამიდების ტექსტებში სამყაროს შექმნის დასაწყისი ასეა მოხსენიებული: „დიდება შენ, ატუმ, დიდება შენ, ხეპრი, რომელიც წარმოიშვი თვითონ. შენ აღზევდი შენს სახელში „ბორცვი“ (PT 1587a-d). სხვაგან ნათქვამია, რომ ატუმი ამოვიდა პირველყოფილი ქაოსის წყლებიდან, როგორც „ბორცვი“ (PT 600, 1952a). ეგვიპტელების წარმოდგენით, ქაოსური წყლებიდან პირველყოფილი ბორცვის გამოჩენა სამყაროს დასაწყისის მაუწყებელი იყო. როცა ჰელიოპოლისში ახალი ღმერთის — რას აღზევება დაიწყო, მოხდა მისი შერწყმა ძველი ტრადიციების მქონე ატუმთან რა-ატუმის სახით, რის შედეგად იქამდე ხტონიურმა ატუმმა სოლარული ღვთაების ფუნქციები შეიძინა. ატუმი, რა-ატუმის სახით, „ყოველდღე ბრწყინავს ჰორიზონტზე“ (PT 606, 1694a). თანდათან ატუმი გადაიქცა ჩამავალი მზის სიმბოლოდ მოხუცი ანთროპომორფული ღვთაების სახით (PT 606, 1995c).

აფროდიტოპოლისი — ამ სახელით ბერძნები მოიხსენიებდნენ რამდენიმე ქალაქს ხატხორის კულტით, რომელთანაც მათ აფროდიტა გააიგივეს. ცნობები გაგვაჩნია: 1. ოცდამეორე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი *Tp-iḥt*, „ძროხების წინამძღოლი“, თანამედრ. ატფიჰი. ქალაქის სასაფლაოზე ნაპოვნია საკრალური ძროხების სამარხი (Montet, 1961, 203). უძველეს დროში აქ ეთაყვანებოდნენ ძროხის სახის ქალღმერთს ხესატს, რომელიც, როგორც ყველა ძველი ძროხის სახის ქალღმერთი, ხატხორს შეერწყა. აღიქმებოდა ასევე, როგორც ისიდას ერთ-ერთი ფორმა (Bonnet, 1952, 46). სტრაბონის თანახმად, აქ საკრალური ძროხა თეთრი ფერის იყო (17, 809). ზოგიერთ ეგვიპტურ ტექსტში ეს ქალაქი ოსირისის დახრჩობის ადგილად არის მოხსენიებული (Bonnet, 1952, 2). 2. მეათე ზემოეგვიპტუ-

რი „კობრას“ ნომის დედაქალაქი (ეგვ. სახელი *Pr wꜣdt* — „უაჯეტის (კობრას ქალღმერთის) სახლი“. აქ უძველეს დროში კობრას სახის ქალღმერთს ეთაყვანებოდნენ, რომელიც მოგვიანებით ხატხორს შეერწყა (Bonnet, 1952, 46). პაპირუს ჩესტერ ბიტის ქალაქების ჩამონათვალში „უაჯეტი“ „სეტხის ქალაქებს“ შორის არის მოთავსებული. ლოკალიზაცია დადგენილი არ არის (Montet, 1961, 116-118).

აში — (ეგვ. *ꜣš*, Wb I, 20). შესაძლოა იყო ლიბიური წარმომავლობის ღვთაება. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ადრედინასტიური და ძველი სამეფოს ტექსტებში. მისი ეპითეტი იყო „ლიბიელების ბატონი“. ჩვეულებრივ გამოისახებოდა შევარდნის, ან სეტხის ცხოველის თავით, უფრო იშვიათად — სრულიად ანთროპომორფულად, ხშირად ლიბიელებისათვის დამახასიათებელი ბუმბულების მორთულობით. ხანდახან წარმოდგენილი იყო, როგორც ლიბიური ხორი ან სეტხი. როგორც სეტხის ნაირსახეობა, დაფიქსირებულია გვიანდელ ტექსტებშიც (Bonnet, 1952, 55). სეტხთან ასეთი სიახლოვის გამო (აშს ეძახდნენ ასევე *nwb.tj* — „ომბოსელი“, რაც სეტხის ხშირი ეპითეტი იყო) დასაშვებია, რომ აში უძველესი სამშობლო იყო ომბოსი, საიდანაც იგი უფრო ახალგაზერდა სეტხმა „გააძევა“. იყო დასავლეთის უდაბნოს ოაზისების მოსავლის მფარველი, ასოცირდებოდა ასევე დასავლეთ დელტის ვენახებთან (Hart, 2005, 33).

ახალი სამეფო — (დაახლ. 1550-1070 ჩვ.წ.-მდე, XVIII — XX დინასტიები). მესამე აღმავლობის ხანა ეგვიპტის ისტორიაში. ახალ სამეფოს წინ უძღოდა ეგვიპტის უცხოელი დამპყრობლების (ჰიკსოსების) მიერ დაპყრობა და ქვეყნის დაქუცმაცება, რამაც ძირეულად შეცვალა ეგვიპტელის ფსიქოლოგია. ამიტომ ახალი სამეფო ეგვიპტის ისტორიაში თვისობრივად ახალ ფურცელს წარმოადგენს. თუ აქამდე ეგვიპტე ძლიერებას თავის იზოლირებულობაში ხედავდა, რადგან არ არსებობდა არავითარი გარეშე ძალა, რომელიც მისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, ახალი სამეფოს დროიდან ეს წარმოდგენა იცვლება. ამიერიდან ეგვიპტე თავისი დიდების წყაროს თავისი ძალაუფლების ქვეყნის გარეთ ექსპანსიაში ხედავს. ახალი სამეფოს და ახალი (XVIII) დინასტიის ათვლა იახმეს I-ით იწყება. თუმცა აქ რეალურად დინასტიურ წყვეტასთან არ გვაქვს საქმე, მაგრამ იახმესმა ბრწყინვალედ დააგვირგვინა თავისი წინაპრების, თებელი ნომარქების ოჯახის საქმე და არა მარტო

განდევნა ჰიკსოსები ეგვიპტიდან, არამედ სდია მათ შარუხ-ენამდე (ჰიკსოსების ბაზა აზიაში) და იქიდანაც გააძევა, რომ თავიდან აეცილებინა ქვეყანაში მათი ხელმეორედ შემოჭრის საშიშროება. იახმესის დიდმა მემკვიდრეებმა — ამონხეტეპებ-მა, თოტმესებმა და რამსესებმა აზიაში წარმატებული ომებით ქვეყანა დიდ იმპერიად გადააქციეს და საოცრად განამტკიცეს თავიანთი ძალაუფლება ნუბიაში, ეგვიპტის უძველეს კოლონი-აში. ეს პერიოდი ეგვიპტის ისტორიაში ხშირად „ეგვიპტის ფარ-აონების დიდების ხანად" მოიხსენიება, რადგან ახალი სამეფოს ეგვიპტის დიდება სწორედ ამ ენერგიული ადამიანების შედეგს წარმოადგენს. აზიური კოლონიებიდან და ნუბიიდან ეგვიპტეში მოედინება აურაცხელი სიმდიდრე, რაც, პოლიტიკური სტაბი-ლურობის ვითარებაში, საშუალებას აძლევს ქვეყანას, აწარ-მოოს გრანდიოზული მშენებლობები. ამ პერიოდში იქმნება შესანიშნავი ლიტერატურული ნაწარმოებები და ხელოვნების ნიმუშები. დაახლ. XX დინასტიის მეორე ნახევრიდან ქვეყანა იწ-ყებს დაღმასვლას. ერთ-ერთ მიზეზად სახელდება ის გარემოე-ბა, რომ ეგვიპტეს არ გააჩნდა რკინის საბადოები და ბრინჯაოს ხანაში დარჩა, რაც ართულებდა მის ბრძოლას ახალი იარაღით აღჭურვილ არმიებთან. მაგრამ ალბათ უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი ქვეყნის შინაგან განვითარებაში იმალებოდა. რამსეს III-ის რვა უფერული მემკვიდრის დროს (ჩვ.წ.-მდე 1194 — 1070) ქვეყანაში თავი იჩინა ეგვიპტის ტრადიციულმა წინააღმდე-გობებმა — ერთი მხრივ ფარაონის, მეორე მხრივ კი დიდგვარო-ვან არისტოკრატიას შორის, რომელსაც ქურუმობაც ეკუთვნო-და. სატაძრო მეურნეობების სიმდიდრემ კულმინაციას მიაღწია, მაშინ, როცა სამეფო რეზიდენციის კუთვნილი მინები იმდენად შემცირდა, რომ მათ არ შეეძლოთ საკმაო მინების გამოყო-ფა თავიანთი სამარხების კომპლექსებისათვის და გარდასულ დროთა ფარაონების მინების მიტაცება დაიწყეს. ბოლო რამსე-სის მეფობა უკვე წმინდა ნომინალურ ხასიათს ატარებს. ზემო ეგვიპტეში ძალაუფლება ხელთ ეპყრა თებეში ამონის მთავარ ქურუმს ხერიხორს, ქვემო ეგვიპტის ფაქტიური ერთპიროვნუ-ლი მმართველი კი ჩრდილოეთის მთავარი ვეზირი და ამონის ქურუმი ნესიბანებჯედი (სმენდესი) იყო, წარმოშობით ტანისი-დან. ამ ორი ფაქტიური მბრძანებლის ფონზე უფერულად დას-რულდა ბოლო რამსესის მეფობა და მასთან ერთად ერთ დროს ბრწყინვალე ახალი სამეფოს ხანა. რამსესის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტეში ფაქტიურად ორხელისუფლებიანობის დრო დაიწყო — ფარაონი ქვეყნის ჩრდილოთს განაგებდა, ამონის

მთავარი ქურუმი თებეში კი სამხრეთს (*იხ. ასევე* ფარაონები *იახმეს I, ამონხეტეპ I, II, III, IV, თოტმეს I, II, III, IV, ხტშეპსუტი, აი, ხორემხები, სმენხკარა, ტუტანხამონი; დედოფლები ნეფერტიტი და ტეიე*).

ახეტატონი — (ეგვ. *ꜣḫt Ꜥtn* „მზის" ან „ატონის ჰორიზონტი", Wb I, 17) — ეხნატონის ქალაქი, რომელიც მან თავის ღმერთს, ატონს მიუძღვნა. მდებარეობდა ნილოსის ორივე ნაპირზე, გებელ შეიხ-საიდის სამხრეთით. ფართობი დაახლ. 800-1200x 7000მ მოიცავდა (Arnold, 2003, 9). ქალაქის ბუნებრივ საზღვრებს წარმოადგენდა კლდეები, რომელთაგან ერთ-ერთში ნაპრალით იწყებოდა გზა ცნობილი ჰატნუბის სამტეხლოებისაკენ (Montet, 1961, 153). „ამარნა" აქაურობას უკვე ჩვენს დროში დაერქვა, აქ დასახლებული მომთაბარე ტომის სახელის მიხედვით (Posener, 1959, 7). ნაქალაქარის გასნვრივ მდებარეობს თანამედროვე სოფლები ეთ-ტილი, ჰაგ-კანდილი და ელ ჰავატა. დღემდე შემორჩა ეხნატონის 16 სტელა — დასავლეთით 3, აღმოსავლეთით 13. თოთხმეტი სტელა აღმოაჩინა ფ.პეტრიმ XIX საუკუნის დასასრულს, ერთი — ნ. დევისმა 1901 წ (Davies, V, 19). მეთექვსმეტე სტელა 2004 წ. არის აღმოჩენილი (http://www.amarnaproject. com). ეს სტელები, რომლებიც ნილოსის ორივე მხარეს კლდეებში იყო ამოკვეთილი, ქალაქის საზღვრებს განსაზღვრავდა (Kemp, 2004, 267). აღმოსავლეთის მეოთხე სტელაზე, რომელიც მეფობის მეოთხე წლითაა დათარიღებული, აღწერილია ქალაქის დაარსების მიზეზი და დაგეგმილი და უკვე დაწყებული მშენებლობები. დანარჩენი სტელები მეფობის მეექვსე, ფარაონის ახეტატონში გადმოსახლების წელს მიეკუთვნება. მათ ტექსტებში ეხნატონი საზეიმოდ უძღვნის ქალაქს ატონს და ფიცს დებს, რომ არასოდეს მიატოვებს მას. ის ამბობს, რომ ყველაფერი, რაც ამ სტელებს შორისაა, „ეკუთვნის ჩემს მამას, ატონს: მთები, უდაბნო, მდელოები, კუნძულები, მაღალი მიწა და დაბალი მიწა, წყალი, სოფლები, ადამიანები, ცხოველები, და ყველაფერი, რასაც ჩემი მამა ატონი ქმნის და რასაც აცოცხლებს მარად. მე არ დავივიწყებ ამ ფიცს მამაჩემის, ატონის მიმართ მარად." ასევე გვამცნობს, რომ თუ ის, ან მისი ოჯახის წევრები გარდაიცვლებიან ახეტატონის გარეთ, მათ ჩამოასვენებენ და აქ დაკრძალავენ (Kemp, 2004, 267). ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ, როცა მისი რეფორმა დაგმო ოფიციალურმა ეგვიპტემ და დედაქალაქი ისევ თებეში იქნა გადატანილი, სახელმწიფო შენობები დაილუქა და ქალაქი თანდათან დაცარიელდა. ქვის

ტაძრები და ნაგებობები მთლიანად დაშალეს რამსეს II-ის მეფობის დროს და გამოიყენეს მასალად ჰერმოპოლისში მიმდინარე მშენებლობებში (Arnold, 2003, 9). იმის გამო, რომ ქალაქი ასე სწრაფად იქნა მიტოვებული და უდაბნოში მდებარეობდა, დღეისათვის ყველაზე კარგად არის შემონახული ეგვიპტურ ქალაქებს შორის. ჩრდილოეთიდან ქალაქი სამეფო სასახლით იწყებოდა. მისგან სამხრეთით იდგა კიდევ ერთი სასახლე, რომელიც ეხნატონის უფროსი ქალიშვილისათვის იყო განკუთვნილი. სასახლესთან იწყებოდა პირველი დასახლებული უბანი, რომელსაც დღეს „ჩრდილოეთ გარეუბანს" უწოდებენ. მის სამხრეთით მდებარეობდა ცენტრალური უბანი, რომლის დასავლეთით იდგა ფარაონის მთავარი სასახლე (თანამედროვე სოფელ ეთ თილის სამხრეთით). ჩრდილოეთის და მთავარი სამეფო სასახლეები ერთმანეთთან დაახლ. 30მ. სიგანის გზით იყო დაკავშირებული. აქვე იყო ატონის დიდი ტაძარი და აღმოსავლეთით, კლდეებში სამეფო ოჯახის და კარის დიდებულების სამარხები. ამავე ზონაში მდებარეობდა ბიუროკრატიული ნაგებობები, მათ შორის ღვინის სახლი, სასახლე ფარაონის კორესპოდენციისათვის, სადაც ცნობილი ამარნას არქივია აღმოჩენილი, და შენობები პოლიციისათვის, რომელიც მრავლადაა წარმოდგენილი ამარნას ფრესკებზე, როგორც ეხნატონის თანმხლები ძალა მისი ქალაქში გადაადგილების დროს (O'Connor in: O'Connor and Silvermann, 1994, 284-285). ეგვიპტური ტაძრების აუცილებელ ატრიბუტს უძველესი დროიდან ღმერთის ბარკები (გემები) წარმოადგენდა. მათი საშუალებით ღმერთის ქანდაკებები, რომლებშიც, ეგვიპტელის რწმენით, ღვთაების სული სახლობდა, გადაადგილდებოდნენ სხვადასხვა დღესასწაულების დროს. რადგანაც ეხნატონის ღმერთი რეალურად თავად „გადაადგილდებოდა" ზეცაში, ხოლო მისი გამოსახულებები მხოლოდ კედელზე თავსდებოდა და მისი ქანდაკებები არ არსებობდა, ითვლება, რომ ახეტატონის სამეფო ნაგებობების დაგეგმარება მიზანმიმართულად მოხდა და ერთი სასახლიდან მეორე სასახლეში სამეფო ოჯახის საზეიმო სვლას ღმერთების პროცესიების როლი უნდა შეესრულებინა. ამ სიმბოლური მსვლელობით, რომლისთვისაც ქალაქს ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ფართე გზე კვეთდა, (მას დღეს „სამეფო გზას" ეძახიან), სამეფო ოჯახი ფიზიკურად და სიმბოლურად ემიჯნებოდა დანარჩენ სამყაროს (Kemp, 2004, 279). ცენტრალური უბნის სამხრეთით მდებარეობდა ატონის მცირე ტაძარი და „სამხრეთი გარეუბანი", სადაც ცხოვრობდნენ მოხელეები, ქურუმები და სამ-

ხედროები. ამ უბნის აღმოსავლეთით იყო განლაგებული სოფლის ტიპის დასახლებები მხატვრებისა და ხელოსნებისათვის. ქალაქის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი ფარაონის ოჯახის დასასვენებელ ზონას წარმოადგენდა ბაღებით, საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობებით (O'Connor in: O'Connor and Silvermann, 1994, 285-286). ქალაქის მოსახლეობა დაახლ. ოცდაათი ათას კაცს შეადგენდა. მოსახლეობის უმეტესობა ორ საცხოვრებელ უბანში ცხოვრობდა — ჩრდილოეთ გარეუბანში და ცენტრალურ ნაწილში. განსხვავებით სამეფო და სატაძრო ნაგებობებისაგან, საცხოვრებელ უბნებს დაგეგმარება საერთოდ არ ეტყობა. ფართე, მაგრამ დაკლაკნილ ქუჩებს, რომლებიც ნილოსის პარალელურად მიემართებოდა, უფრო ვიწრო ქუჩები კვეთდა. ამ ქუჩებზე, სახლების განსხვავებული ზომიდან გამომდინარე, მდიდრები და ღარიბები ერთად ცხოვრობდნენ. სახლების შიდა დაგეგმარება, ზომის მიუხედავად, ერთნაირი იყო: ცენტრში მდებარეობდა მოზრდილი, ოთხკუთხედი, სვეტებიანი მისაღები ოთახი, მის ირგვლივ განლაგებული იყო სხვა ოთახები: კიდევ ერთი მისაღები, რამდენიმე ოთახი ოჯახისათვის და საკუჭნაო. ერთი მოზრდილი საძინებელი ცალკე აბაზანით და ტუალეტით, როგორც ჩანს, ოჯახის უფროსისათვის იყო განკუთვნილი. ყველა მოზრდილი სახლის უკანა ეზოში იყო სამლოცველო, სადაც სამეფო ოჯახის წევრებზე უნდა ელოცათ, მაგრამ დღეს ძნელია იმის გაგება, თუ რამდენად რეალურად ლოცულობდნენ ეხნატონზე ახეტატონის მცოვრებნი. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ეზოებში ნაპოვნი ეხნატონის ქანდაკებები შორსაა იმ გროტესკული სტილისაგან, რომლითაც ამარნას ხელოვნებაა ცნობილი (Kemp, 2004, 294-301). დღეს ქალაქისაგან ძირითადად ფუნდამენტებია დარჩენილი. ქალაქის გათხრა დაიწყო ფ. პეტრიმ (Petrie, 1892) და გერმანულმა მისიამ (1914 წლამდე), შემდეგ აქ მუშაობა ინგლისურმა მისიამ გააგრძელა(Peet, Frankfort, Pendlebury, 1923-1951). გათხრები ახეტატონში დღესაც მიმდინარეობს ბ. კემპის ხელმძღვანელობით.

ᲐᲮᲘ — (ეგვ. *ꜣḫ*, „ახი", მრ. *ꜣḫw*- „ახუ"), სულიერი საწყისი, პერსონიფიცირებული სული, ასევე უფრო დაბალი რანგის ღმერთები და განწმენდილი გარდაცვლილები (Wb I, 15-16). გარდაცვლილთან დაკავშირებულ ლიტურგიაში ჩართული იყო სხეულის განწმენდასთან დაკავშირებული სპეციალური გამონათქვამები, რომლებიც უნდა დახმარებოდა მიცვალებულს, გარდაქმნილიყო ახად (Clark, 2004, 301). უნისის პირამიდის ტე-



ახი

ქსტებში ვკითხულობთ, რომ „სხეული მინას ეკუთვნის, სული (*ḫḫ*) — ზეცას" (PT 305, 474a). თვითონ სიტყვა „ახი" ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია „ნათებასთან", „ბრწყინვალებასთან", რაც ახის არსებას მიწიერის საპირისპიროდ „გაბრწყინებულ" გარემოში ათავსებს. ახი ასოცირდებოდა მარადიულ ბრწყინვლებასთან, რომელსაც სივრცეში და დროში გადანაცვლების უნარი გააჩნდა (Clark, 2004, 301). ახი გამოიწერებოდა ფრინველის, იბისის (ibis comata) იეროგლიფით. ეგვიპტელები, რომლებიც თავიანთ აბსტრაქტულ ცნებებს ადვილად ანიჭებდნენ მატერიალურ სახეს, როგორც ჩანს, ახუს ამ ფრინველში ინკორპორირებულად თვლიდნენ (Bonnet, 1952, 4). პირამიდების ტექსტებში არის ბევრი გამონათქვამი, რომლებიც უნდა დაეხმაროს ფარაონს „ახად" გარდასახვაში, მაგრამ გარდაცვლილ ფარაონს იმავდროულად გააჩნდა „ბა" და იგი „ოსირისად" და „ღმერთად" გარდაისახებოდა. პირამიდების ეპოქაში ეს მხოლოდ ფარაონის პრეროგატივად ითვლებოდა. მისი დიდებულების იმქვეყნიური მარადიულობა მათ „ახად" გარდასახვაზე იყო დამოკიდებული (Wilson, 1959, 84). სამარხების შესასვლელთან ათავსებდნენ გარდაცვლილის პირით შედგენილ წარწერებს: „მე ვარ ახი, რომელმაც იცის ყველა საჭირო მაგია" (Sethe, 1924, 263). არსებობს ასევე ვარაუდი, რომ ახი გარდაცვლილის „კას" (მისი სასიცოცხლო ძალის) და „ბას" (მისი სულის) შერწყმის შედეგად წარმოიქმნებოდა (Allen, 2005, 7).

ᲐᲮᲛᲘᲛᲘ — *იხ. პანოპოლისი*

ᲐᲮᲝᲛᲘ — (ეგვ. *ꜣḫm*, Wb I, 226). კას, ბას და ახის საპირისპიროდ, რომლებიც ადამიანის არსების სულიერ საწყისად წარმოიდგინებოდნენ, ახომი უკვე ძველად ღვთაებრივი არსების სხეულს განასახიერებდა. მეფის სხეული პირამიდების ტექსტებში ახომად არის მოხსენიებული (PT 407). როგორც ჩანს, ახომები შევარდენთან იყვნენ ასოცირებულნი, რადგან სიტყვა შევარდნის ნიშნით გამოიწერებოდა. ახალი სამეფოს დროიდან ახომს ღმერთების გამოსახულებებს ეძახდნენ, გვიანდელი პერიოდიდან — გარდაცვლილთა მუმიებსაც. იმავე პერიოდში ახომი შევარდნის აღმნიშვნელი სიტყვაც გახდა (Bonnet, 1952, 5).

ᲐᲮᲢᲝᲘ — (ეგვ. *Ḥtj*, ხეტი), ჰერაკლეოპოლისური პერიოდის რამდენიმე ფარაონის სახელი (IX-X დინასტიები, პირველი გარდამავალი პერიოდი, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2134-2040 წწ.). ძველი სამეფოს დაშლის შემდეგ, დაახლოებით ნახევარ საუკუნეს

ქვეყანაში ანარქია სუფევდა, რის შემდეგ ეგვიპტის ტახტი დაიპყრო ჰერაკლეოპოლისის ნომარქმა ახტოიმ (**ახტოი I**, Gardiner, 1961, 107). მანეთონმა (27.8) მას უწოდა „უფრო სასტიკი, ვიდრე ყველა მისი წინამორბედი", მაგრამ დღეს ითვლება, რომ ესაა გამოძახილი მისი მცდელობის, დაემორჩილებინა ნომარქები, რომლებმაც ძველი სამეფოს დასასრულს ფაქტიური დამოუკიდებლობა მოიპოვეს, რის შედეგადაც ეგვიპტე ფეოდალურ სახელმწიფოდ გადაიქცა (Hamblin, 2006, 370). მან მოახერხა ეგვიპტის ცენტრალური ნაწილის გაერთიანება და მისი ძალაუფლება ნომინალურად მაინც ვრცელდებოდა სამხრეთზე, რადგან მისი წარწერა ნაპოვნია ასუანთან, თუმცა მალე სამხრეთი ფაქტიურად დამოუკიდებელი გახდა და ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო. დელტა ამ დროს ლიბიელების (დასავლეთში) და აზიელების (აღმოსავლეთში) ხელში იყო. ახტოი I და მისი შთამომავლები თავს VI დინასტიის ლეგიტიმურ მემკვიდრეებად თვლიდნენ (Rice, 1999, 6); შესაძლოა, ეს იყო პეპი II-ის მემკვიდრეების უმცროსი შტო, რადგან მისი წარმომადგენლები ტრადიციულად ჰელიოპოლისის ნომარქები იყვნენ (Humblin, 2006, 370). მანეთონის თანახმად, ახტოი I გაგიჟდა და ნიანგმა მოკლა (Rice, 1999, 6). დაასაფლავეს მემფისში, რაც მიუთითებს, რომ ძველი დედაქალაქი ჰერაკლეოპოლისელების ხელში იყო (Humblin, 2006, 370). **ახტოი II** ასევე IX დინასტიის ფარაონი იყო, შესაძლოა რიგით მეოთხე. მისი მეფობა ბუნდოვანია, მაგრამ ითვლება, რომ ის გამოყვანილია ცნობილ მოთხრობაში „მჭვერმეტყველი გლეხი" (Erman, 1966, 116-130), რომელიც ეგვიპტური ლიტერატურის ერთ-ერთ ღირშესანიშნავ ნაწარმოებად არის მიჩნეული (Rice, 1999, 6). **ახტოი III**-ს (X დინასტია, დაახლ. ჩვ.წ.-მდე.2075 წ., Rice, 1999, 7) საკმაოდ ხანგრძლივი, და, სავარაუდოდ, მძიმე მეფობა ჰქონდა. მისი სამხრეთელი მოკავშირის, ასიუტის ნომარქის დახმარებით ის, როგორც ჩანს, შეეცადა დაემორჩილებინა სამხრეთი (Breasted, 1962, §§393-397), სადაც უკვე გამოიკვეთა თებეს ნომარქების (XI დინასტია) უპირატესობა, მაგრამ მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, ვერ შეძლო თებელების სრული დამარცხება და როგორც ჩანს, ეგვიპტის ორ მმართველ დინასტიას შორის დროებითი დაზავება მოხდა დაახლ. 2060 წ (Humblin, 2006, 382). ამის შემდეგ ახტოიმ ყურადღება დელტას მიაპყრო, სადაც ორი სამხედრო კამპანია ჩაატარა. თავიდან მან დალაშქრა დასავლეთ დელტის დაუმორჩილებელი ნომარქები და ლიბიელები, რომლებიც ჩასახლდნენ ამ რეგიონში არეულობის წლებში და არ ემორჩილებოდნენ

ეგვიპტის ფარაონის მმართველობას, შემდეგ კი შეუტია სინაის და ქანაანის მომთაბარე ტომებს, რომლებსაც ფაქტიურად დაპყრობილი ჰქონდათ აღმოსავლეთი დელტა (Humblin, 2006, 380). უცხოელების განდევნის შემდეგ მას მიეწერება ახალი ეგვიპტური კოლონიების დაარსება მთელ დელტაში (Rice, 1999, 7). დელტის უცხოელი მიგრანტებისაგან განმენდით და ქვეყნის ჩრდილოეთი და ცენტრალური ნაწილების საბოლოო გაერთიანებით ახტოი III-მ სერიოზული საფუძველი ჩაუყარა ეგვიპტის სრულ გაერთიანებას, თუმცა ეს საბოლოო გამარჯვება უკვე თებეს ნომარქებს ერგოთ (Humblin, 2006, 380). ახტოი III-ს მიეწერება ეგვიპტური დიდაქტიკური ლიტერატურის ერთ-ერთ შედევრად მიჩნეული ნაწარმოები „დარიგება უფლისწულ მერიკარასადმი", რომელიც გასაოცარი პესიმიზმით არის განმსჭვალული (Коростовцев, 1978, 207-218).



ბა



ბა

ბა – (ეგვ. *bꜣ*). ჰორაპოლონი (I. 7) თარგმნის, როგორც psyche, ეგვიპტური ენის ლექსიკონი როგორც „სულს“ (die Seele, Wb I, 411). ითვლება, რომ „ბა“ ახლოს დგას ქრისტიანული „სულის“ ცნებასთან, რომელიც ყველა ადამიანს უნიკალურ პიროვნებად ხდის (Allen, 2005, 7). მისი იეროგლიფი გვამცნობს, რომ ნარმოედგინათ წეროს მაგვარი ფრინველის სახით, უფრო გვიან ბას ადამიანისთავიანი ფრინველის სახე ჰქონდა. ამდენად, ბას და ახის არსება საკმაოდ ახლოს იყო ერთმანეთთან. მაგრამ უძველესი წარმოდგენით „ბა“ არ იყო დაკავშირებული ადამიანთან, პირიქით, ეს იყო ცნება, რომელზეც გავლებული იყო ზღვარი ადამიანსა და ღვთაებას შორის (Kees, 1980, 46). ძველი სამეფოს დროს „ბა“ ღმერთების გარდა მხოლოდ ფარაონს გააჩნდა. ბას უკავშირდებოდა წარმოდგენა არსებობაზე და ფუნქციონირებაზე გარდაცვალების შემდეგ, იგი ღვთაებრივი არსების გარკვეულ მხარეს წარმოადგენდა და რადგან ძირეულად იყო დაკავშირებული ღვთაებრიობასთან, ღმერთების გარდა შეიძლებოდა ჰქონოდა მხოლოდ ფარაონს და არა ჩვეულებრივ მოკვდავს (Wilson, 1957, 86). ფარაონს და ღვთაებას არა ერთი ბა შეიძლებოდა ჰქონოდათ. პირამიდების ტექსტებში ზეცის ქალღმერთზე ნათქვამია, რომ „ათასია მისი ბა“ (PT 785). ამ პერიოდის ლიტერატურაში ღვთაებები მოიხსენიებიან, როგორც „ჰიერაკონპოლისის ბაუ (სულები)“, „ნეხენის ბაუ“ და ა.შ (Bonnet, 1952, 74). პირველი დინასტიის ფარაონს უდიმუს, ტექსტების თანახმად, 7 ბა და 14 კა ჰყავდა (Kees, Gotterglaube, 158). ძველი სამეფოს დაშლის შემდეგ, როცა მოხდა საიქიო სამყაროსთან დაკავშირებული წარმოდგენების დემოკრატიზაცია, შეიქმნა ახალი წარმოდგენა, რომლის თანახმად ბა უკვე რიგით მოკვდავებსაც გააჩნდათ. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ეგვიპტური ლიტერატურის შედეგრად მიჩნეული, პესიმიზმით განმსჭვალული „თვითმკვლელის საუბარი თავის ბასთან“ სადაც ცხოვრების ამაოებით დაქანცული ადამიანი, რომელსაც თვითმკვლელობა განუზრახავს, ევედრება თავის ბას, არ მიატოვოს სიკვდილის შემ-

ბა

ბა

დეგ (Erman, 1966, 86-91). აქ უნდა აღინიშნოს, რომ მოკვდავის ბა მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ მოიხსენიება. თვით ფარაონის ბაზეც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდგომ არის ლაპარაკი (PT 472), მისი სხეულის რიტუალური განწმენდის შემდეგ, რადგან ბა ხდება ადამიანის არსების ის ელემენტი, რომელსაც უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სწორედ გარდაცვალების მერე ეკისრება. სწორედ ბას საშუალებით ხდება კავშირის შენარჩუნება ერთი მხრივ ახის (რომელიც გარდაცვალების შემდეგ იმქვეყნიურ სამყაროშია), და მეორე მხრივ სხეულს, სამარხს და მიწაზე დარჩენილებს შორის (Wilson, 1957, 112-113). ამ წარმოდგენების ჩვეულებრივ მოკვდავებთან დაკავშირება პირველად სარკოფაგების ტექსტებში ჩნდება. ამ დროს ხდება ცვლილებები ბას არსებაში — ის ადამიანთან და მის ბედთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნება ხდება, რომელიც იცავს გარდაცვლილის ძალას, რადგან ეს ძალა გარდაცვალების შემდეგ „ხორცთან ერთად" ტოვებს (CT 99 — 104). ამგვარად ტრანსფორმირებული ბა ზრუნავს გარდაცვლილზე, და ითვლება, რომ იგი არსებობს, სანამ მას თავისი ბა ახლავს თან (CT 197). განსხვავებთ სხეულისაგან, რომელსაც სამარხის დატოვება არ შეუძლია, ადამიანის ბას გადანაცვლება არ არის შეზღუდული. ეგვიპტელისათვის ეს ნიშნავდა „მარად ცოცხალ სულს", რომელსაც — ფარაონთან მიმართებაში — უკვე პირამიდების ტექსტებში ვხვდებით (PT 1098). ბას ადამიანისთავიანი ჩიტის სახით, რომელიც „საკუთარი" გარდაცვლილის სხეულის თავზე დაფრინავს, ხშირად ათავსებდნენ სამარხების კედლებზე (Clark, 2004, 299). იმისათვის, რომ ბად ტრანსფორმირება შესაძლებელი გახდეს, მკვდართა წიგნში სათანადო გამონათქვამი არსებობდა (85 თავი), რომელსაც „მარად ცოცხალ სულად გადაქცევა" ერქვა. სხეულისა და სულის ცნებების ასეთმა გაყოფამ თავისებური გამოძახილი ღმერთებისადმი მიძღვნილ ტექსტებშიც პოვა. ახალი სამეფოს ამონისადმი მიძღვნილ ჰიმნში ნათქვამია: მისი სული (*bꜣ*) ზეცაშია, მისი სხეული — დასავლეთში" (Erman, 1966, 370).

ბაალი — ღვთაება ეგვიპტეში შემოიტანეს ჰიკსოსებმა და მათვე გააიგივეს სეტხთან. მალე ისინი ისე შეერწყა ერთმანეთს, რომ ბაალი სეტხის სინონიმი გახდა. რამესიდების დროს, როცა სეტხის კულტი კვლავ მოძლიერდა, ბაალის მოხსენიებაც გახშირდა. მას ადარებდნენ მეფეს ბრძოლის დროს (Bonnet, 1952, 77). XVIII დინასტიიდან ეგვიპტეში ბაალის ქურუმებიც არის დაფიქსირებული (Wilson, 1957, 192).

ბადარიული კულტურა – უძველესი სოფლის მეურნეობის მქონე კულტურა ზემო ეგვიპტეში (Trigger, 2003, 5). აღმოაჩინეს გასული საუკუნის ოციან წლებში გ. ბრანტონმა და გ. კატონ-ტომსონმა (Brunton and Katon-Thomson, 1928). ბადარიული კულტურის ფენები გათხრილია ელ-მატმარსა და ელ-ელმანიეს შორის ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე. ამას გარდა, ბადარიული დასახლებები ნაპოვნია ელ-მატმართან, ელ-მოსტაგედასთან, ელ-ბადარისთან, არმანტში, ჰიერაკონპოლისში და ვადი ჰამამატში. გათხრილია ასევე სტრატიფიცირებული ბადარიული დასახლება ელ ჰამამიასთან (Kantor, 1965, 4). შესაძლოა, ბადარიული კულტურა უკვე არსებობდა ჩვ.წ.-მდე 5000 წ., თუმცა 4400-4000 წწ. უფრო დანამდვილებით არის დასახელებული (Shaw, 2003, 36). მიცვალებულებს ბადარიელები ასაფლავებდნენ დასახლებების გარეთ, უდაბნოში, მოხრილ მდგომარეობაში, თავით სამხრეთით, დასავლეთისაკენ მიტრიალებული სახეებით, აფარებდნენ მოწნულ ან ტყავის გადასაფარებლებს. სამარხში ატანდნენ საკვებს, ქვის კოსმეტიკურ პალეტებს, სპილოს ძვლის კოვზებს და მცირე ზომის ჭურჭელს, სავარცხლებს, ასევე თიხის ან სპილოს ძვლის ფიგურებს. სამარხები სხვადასხვა ზომისაა, მაგრამ სოციალური დიფერენცირება არ იგრძნობა (Trigger, 2003, 27). ბადარიელების ეკონომიკა სოფლის მეურნეობაზე და მეცხოველეობაზე იყო დამყარებული. მარცვლეული კულტურები, რომლებიც სავარაუდოდ სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიიდან იქნა შემოტანილი, ძალიან კარგად მოერგო ნილოსის დაბლობს და გახდა არა მარტო ბადარიული კულტურის ეკონომიკის, არამედ იმ დიდი ეკონომიკური პოტენციალის საფუძველი, რომელმაც ეგვიპტე გაერთიანებამდე მიიყვანა და ისტორიული ეგვიპტის ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენდა (Bard, 1999, 23). ბადარიელები ზრდიდნენ ხორბალს, ქერს, სელს, ქსოვდნენ ტილოს ქსოვილებს და ჰყავდათ მოშინაურებული ცხვარი, თხა და მსხვილფეხა საქონელი. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეთევზეობასაც. ბადარიულ ფენებში ნაპოვნი ისრის თავები, ნაჯახები, ნამგლები და სხვ. ქვის იარაღის წარმოების საკმაოდ მაღალ განვითარებაზე მეტყველებს. ბადარიელები ხმარობდნენ ძვლის და სპილოს ძვლის სამკაულებს და სავარცხლებს. მცირე რაოდენობით ნაპოვნია ჩაქუჩით დამუშავებული სპილენძი. ბადარიული კერამიკა დამზადებულია მეთუნის ბორბლის გარეშე, გამომწვარია ღუმელში, არის სპეციფიური ნითელი ფერის, კიდეების ირგვლივ შავი ზოლით (Shaw, 2003, 37). ბადარიული კერამიკისთვის დამახასიათებე-

ლია ე.წ. „ტალღოვანი“ ზედაპირი. თიხის ჭურჭელი თითქოს „დავარცხნილი“ იყო გამოწვის წინ. კერამიკა დეკორირებული იყო მარტივი მცენარეული დიზაინით ან გეომეტრიული ფიგურებით. განსაკუთრებით ბევრია ნაპოვნი მძივები, სარდიონის, ალებასტრის, ეშმის, სპილოს ძვლის, ასევე სპილენძის და სტეატიტის. სპილოს ძვლისაგან ამზადებდნენ ასევე სამაჯურებს, ცილინდრული ფორმის ჭურჭელს კოსმეტიკისათვის, კოვზებს ცხოველების ფორმის ტარებით და ბადარიული კულტურისათვის დამახასიათებელ გრძელკბილებიან სავარცხლებს სტილიზებული ცხოველების გამოსახულებებით. ჩნდება ასევე თიხის და სპილოს ძვლისაგან დამზადებული ადამიანის ფიგურები. ნაპოვნია ასევე საკუთარ სამარხებში დასაფლავებული ანტილოპები, ცხვრები და ძაღლები, მაგრამ მათ საფლავებში არ-ავითარი ნივთები არ არის ჩაყოლებული (Midant-Reynes, 200, 154-155). ცხოვრობდნენ ბადარიელები პატარა, სოფლის ტიპის დასახლებებში, მსუბუქ საცხოვრისებში. ნაპოვნია საქონლის სადგომებიც (Shaw, 2003, 37-39).

ბანებჯედი – (ეგვ. *Bꜣ nb ḏd.t,* Wb I, 414). ითარგმნება, როგორც „წმინდა ვერძი, მენდესის ბატონი“. ვერძის სახის ნაყოფიერების ღვთაება, რომელსაც მენდესში ეთაყვანებოდნენ. ერთ-ერთ სტელაზე რამესეუმის კომპლექსში მოთხრობილია, რომ პტახმა ბანებჯედის სახე მიიღო და მოკვდავ ქალს შვილი ჩაუსახა, რის შემდეგ დაიბადა მომავალი ფარაონი რამსეს II. ბერძნებმა გააიგივეს პანთან. ძლიერად გამოკვეთილი ეროტიკული თვისებების გამო განსაკუთრებით მოიძულეს ადრექრისტიანულ პერიოდში. თხისთავიანი კაცის სახით შევიდა დასავლურ ტრადიციაში, როგორც ეშმაკისეული პერსონაჟი და კუდიანების თხის რქებიანი მეფე (Pinch, 2002, 114-115). ბანებჯედის თხად „გარდასახვა“ გამონვეულია იმით, რომ ბერძნები მის ცხოველს ყველგან მოიხსენიებენ, როგორც თხას, და მას თხის სახით გამოხატავდნენ ბერძნულ მონეტებზეც, მაგრამ ეგვიპტურ გამოსახულებებში ბანებჯედს ყოველთვის ვერძის სახე აქვს. უძველესი დროიდან ის წარმოიდგინებოდა, როგორც ცხვრის ძველი ჯიშის ნარმომადგენელი, გრძელი ფეხებით და ბეწვით და ჰორიზონტალურად გაშლილი რქებით (ე.წ. Ovis longipes palaeoaegyptiacus), რომელიც უკვე შუა სამეფოს დროისათვის გადაშენებული იყო, და ბერძნებში მენდესის ცხვარმა, თავისი რქების გამო, თხის ასოციაცია გამოიწვია (Gardiner, 1947, II, 152*).



ბარკა

ბარკა – (ღვთაბის გემი). ბარკას უდიდესი ადგილი ეკავა ეგვიპტის რელიგიაში, რადგან ეგვიპტელის წარმოდგენით ზეცა ციურ წყლებს წარმოადგენდა. უპირველეს ყოვლისა, ბარკასთან დაკავშირებული იყო მზის გადანაცვლება ზეცაში. დილიდან დაბნელებამდე რა თავის „ღლის ბარკაში" (ეგვ. *mʿnḏ.t,* Wb.II, 48) მიცურავდა ზეცაში, ღამით, მიწისქვეშა წყლებში კი „ღამის ბარკით" (ეგვ. *Mškt.t,* Wb. II, 150). ტაძრებში ღვთაებებს საკუთარი ბარკები ჰქონდათ (ე.წ. „ღვთაების ბარკა"). რიტუალური პროცესიების დროს ისინი ამ ბარკებით გადაადგილდებოდნენ. ღმერთების ბარკები ორგვარი იყო: სახმელეთო, რომლებიც ქურუმებს ზურგზე შედგმული მიჰქონდათ პროცესიების დროს (ღმერთის ქანდაკება ამ დროს ბარკას ცენტრში მოთავსებულ ნაოსში იდგა). ასეთ ბარკებს პროცესიების ბარკები ჰქვია. წყალზე გადაადგილებისათვის ტაძრებს დიდი საზეიმო ბარკები ჰქონდათ, რომელზეც ჩვეულებრივ სახმელეთო ბარკას ათავსებდნენ. ასეთი ბარკები ძალიან დიდი ზომის შეიძლებოდა ყოფილიყო – მაგ. რამსეს III-ის მიერ ამონის და პტახისათვის აგებული ბარკები 130 წყრთის სიგრძის იყო (Breasted, 1962, IV, §§209, 331). დიდ საზეიმო ბარკებს სახელებიც ჰქონდათ. ითვლებოდა, რომ ღმერთის ღვთაებრიობა მათ ბარკებზეც გადადიოდა, მაგ. ნეშმეტს (ეგვ. *nšm.t*, Wb.II, 339), ოსირისის ბარკას, ღვთაებასავით ეთაყვანებოდნენ (Bonnet, 1952, 80).

ბასტეტი

ბასტეტი – ბუბასტისის უძველესი ქალღმერთი. მოხსენიებულია უკვე ადრედინასტიურ წარწერებში და II დინასტიის დროს ძალიან მნიშვნელოვანი როლი ეკავა (Wilkinson, 2000, 340). ეგვიპტურად „*Bȝšt*" ერქვა ქალაქ ბუბასტისს, „*bȝš*" კი ნიშნავს „მალამოს ჭურჭელს", ამდენად ბასტეტის სახელი (*Bȝšt.t*) ითარგმნება როგორც „ის, ვინც ბუბასტისიდანაა" (Wb. I, 423), ასევე „მალამოს ქალღმერთი" (Kees, 1960, 28), ან „ის, ვინც მალამოს ჭურჭლიდანაა" (Pinch, 2002, 115). აქ უნდა აღინიშნოს, რომ ბასტეტის მთავარი ქურუმის წოდება ბუბასტისში იყო „დიდი მკურნალი" (Коростовцев, 1976, 164). დაახლ. მეორე ათასწლეულის დასასრულამდე ბასტეტი ლომის სახის ქალღმერთი იყო და ხშირად ლომის თავიანი ქალის სახით იყო წარმოდგენილი. ძველი სამეფოს დროს შეერწყა ასევე ლომის იკონოგრაფიის მქონე ქალღმერთებს ტეფნუტს და სახმეტს. მემფისის სახმეტთან შერწყმის შედეგად ის მემფისის ნეკროპოლისის მფარველი გახდა. ტეფნუტთან გაიგივებით ბასტეტი ხდება რას ქალიშვილი და შესაბამისად რას თვალი. იმავდროულად ბასტეტი

წარმოგვიდგება რას მეუღლედ, რომელთანაც ჰყავს შვილი, ლომის სახის ღმერთი მიხისი (Bonnet, 1952, 81). როგორც ლომის ქალღმერთს, ბასტეტს შეიძლებოდა ორი სახე ჰქონოდა — მძვინვარე შურის მაძიებელის და დამცველის. ორივე ასპექტი უკვე პირამიდების ტექსტებში გააჩნდა. XII დინასტიის ტექსტში მეფე შედარებულია სახმეტთან, როცა ის მტრებს ანადგურებს და ბასტეტთან, როცა საკუთარ ქვეშევრდომებს მფარველობს. ითვლებოდა მეფის გამზრდელად და მისი მტრების გამანადგურებლად (Pinch, 2002, 115). მოგვიანებით იგი კატის იკონოგრაფიას იძენს და როგორც კატა-ღვთაება, სიხარულის და ბედნიერების ქალღმერთი ხდება. კატის სახის მქონე ბასტეტის კულტი განსაკუთრებულ პოპულარობას ეხვეჭს XXII (ლიბიური) დინასტიის დროს, რომელიც ბუბასტისთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამ დროიდან თარიღდება კატების სასაფლაოები ბუბასტისთან, მემფისთან და სხვა ქალაქებში (Bonnet, 1952, 81). ჰეროდოტეს (II, 60) თხრობით, ბასტეტის დღესასწაულზე ბუსირისში, სადაც, ბავშვების ჩაუთვლელად, 70 000 კაცი გროვდებოდა, სვამდნენ მეტ ღვინოს, ვიდრე მთელი წლის განმავლობაში. მისივე თხრობით (II, 137-138), ბასტეტს ბუბასტისში ულამაზესი ტაძარი ჰქონდა, რომელიც კუნძულზე მდებარეობდა. ბერძნები ბასტეტს ბუბასტისს ეძახდნენ და არტემიდასთან აიგივებდნენ.

ბატა — ღმერთს ამ სახელით ეთაყვანებოდნენ კასაში (კინოპოლისი), მეჩვიდმეტე ზემოეგვიპტურ ნომში, რომელიც ანუბისის მთავარი საკულტო ადგილი იყო. ბატას ხარის იკონოგრაფია ჰქონდა (Kees, 1980, 73). მის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, მაგრამ იგი საინტერესოა, რამდენადაც ცნობილ ეგვიპტურ ზღაპარში ორი ძმის შესახებ ძმებს ბატა და ანუბისი ჰქვიათ (Коростовцев, 1978, 46-61).

ბატი — უძველეს დროში არსებობდა ბატის სახის ქალღმერთი სერეტი, რომელმაც უკვე ძველი სამეფოს დროს ლომის სახე მიიღო (Bonnet, 1952, 199). გვიანი ახალი სამეფოს დროიდან ბატი ამონის ერთ-ერთი გამოვლინების ფორმა გახდა. მას მიმართავენ, როგორც „ამონ-რას, მშვენიერ ბატს", ბატი კი „ამონის მშვენიერი ბატი" ხდება (Sethe, 1976, § 36). ამონი მოიხსენიება, როგორც „დიდი ყიყინა", რომელიც უძველეს დროში „პირველყოფილი კვერცხიდან" გამოიჩეკა (Hopfner, 1913, 122). იმავდროულად ბატი, როგორც ჩანს, სუფთა ხორცის გამო, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაწირი ფრინველი იყო.

ბაყაყი – როგორც ხტონიური ცხოველი, რომელიც შლამში და ჭაობში ცხოვრობდა, ბაყაყი ეგვიპტეში წარმოშობასა და დაბადებასთან იყო ასოცირებული. ბაყაყის ან ბაყაყისთავიანი ადამიანის სახით წარმოიდგინებოდა ჰერმოპოლისის ოგდოადის ოთხი პირველქმნილი მამრი ღვთაება: ნუნი – პირველყოფილი წყლები, ხუხი – უსასრულობა, კუკი – წყვდიადი, ამონი – უხილავობა (Sethe, 1976, 241-411). ეთაყვანებოდნენ ასევე ბაყაყისთავიან ქალღმერთს ხეკეტს, რომელიც შემოქმედი ღვთაების, ხნუმის მეუღლე და ყოველი არსებულის დედად ითვლებოდა (Kees, 1980, 62). ბაყაყი იმდენად იყო ასოცირებული სიცოცხლის მომცემ ძალასთან, რომ ახალი სამეფოდან „სოცოცხლის გამეორება" (*wḥm ʿnḫ*), ანუ მარადიულობა განახლების გზით, გამოიწერებოდა ბაყაყის ნიშნით (Bonnet, 1952, 199). ყველაფერ ამის გამო, ბაყაყი იყო უმნიშვნელოვანესი ამულეტი გარდაცვლილთათვის (Kees, 1980, 62). ბაყაყის სახის უძველეს ამულეტებს ჯერ კიდევ წინადინასტიური პერიოდის სამარხებში ვხვდებით (Petrie, 1901, pl.IV).

ბაჰრია – (ეგვ. *ḏśdś*, Wb.V, 487, *wḥȝ.t mḥj.t*, „ჩრდილოეთის ოაზისი", Wb.I, 347). ოაზისი ფაიუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ლიბიის უდაბნოში, რომელიც ცნობილი იყო თავისი ბაღებით და ვენახებით (Bonnet, 1952, 78). ბახრიას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა დასავლეთიდან ეგვიპტეში შემოჭრის საშიშროების დროს. თებეს ნომარქმა კამოსემ (მეორე გარდამავალი პერიოდის დასასრული) ჰიკსოსების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურების დროს ბაჰრიაში სპეციალური სამხედრო რაზმი გააგზავნა დასავლეთ საზღვრებთან არეულობის ასაცილებლად (Hayes, 1959, 9).

ბედი – ეგვიპტელებს სწამდათ ბედის და ის მათთვის ბედის ღვთაებაში იყო ინკორპორირებული (*იხ. შაი*). ითვლებოდა, რომ ღვთაებები ადამიანის ბედს დაბადებისას განსაზღვრავდნენ (მაგ. თოტი ბავშვის წლებს დაბადებისას წერდა). ინსინგერის პაპირუსში, რომელმაც ელინისტური პერიოდის ეგვიპტის სიბრძნე შემოგვინახა, ვკითხულობთ: „ბედი და შემთხვევაა ადამიანის ცხოვრება. ღმერთია, ვინც მათ განაგებს" (Bonnet, 1952, 680).

ბენბენი – (ეგვ. *bnbn*, Wb.I, 459). ობელისკის ფორმის უძველესი ქვის ფეტიში ჰელიოპოლისში. ითვლებოდა ატუმის პირველ-

ქმნილ სახედ, როცა ის პირველყოფილი წყლებიდან ამოვიდა ბორცვის სახით. ატუმის რასთან შერწყმის შემდეგ რას სიმბოლოც გახდა (Kees, 1980, 96, 130). მზის ტაძრები, რომლებსაც V დინასტიის ფარაონები რას უგებდნენ, შემოღობილ ეზოში, ღია ცის ქვეშ მდგომ ბენბენის ფორმის ობელისკებს წარმოადგენდა. წმინდათა წმინდა საკანს მზის ტაძარში, სადაც ჩვეულებრივ რას ქანდაკება იდგა, „ბენბენის სახლი" (ეგვ. *ḥ.t bnbn*, Wb.I, 459) ერქვა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ „ბენბენის სახლი" ეხნატონის ატონის ტაძარშიც კი იყო (Breasted, 1962, § 935).

ბენბენი

ბენუ – (ეგვ. *bnw*, Wb I, 458), ჰელიოპოლისის წარმოდგენების თანახმად, უძველესი ფრინველი (წეროს სახით), რომელიც პირველყოფილი ქაოსიდან ამოსულ ბორცვზე დაფრინდა. ეგვიპტელთა წარმოდგენით, ბენუს ფრინველიც ატუმის გამოვლინება იყო, რადგან ბენბენი იყო პირველქმნილი ბორცვი, ბენუს ფრინველი კი პირველი სიცოცხლე, რომელიც ამ ბორცვზე დაეშვა (Kees, 1980, 218). პირამიდების ტექსტების თანახმად (PT 600, 1652a-c), სამყაროს შექმნა ასე დაიწყო: „ო, ატუმ-ხეპრი, შენ აღზევდი, როგორც ბორცვი (*ḳ33*), შენ გაბრწყინდი, როგორც ბენუ ბენუს ტაძარში (*ḥ.t bnw*) ჰელიოპოლისში, (და) გადმოაფურთხე შუ (ჰაერი, სიცარიელე) (და) გადმოაფურთხე ტეფნუტი (სისველე)". უფრო გვიანდელი წარმოდგენით, ბენი წითელ-ოქროსფერი ფრინველი იყო, რომელიც ხუთას წელიწადში ერთხელ თავს ინვავდა, რომ კვლავ აღმდგარიყო, ახალი ძალებით სავსე (LaViolette, 2004, 101). აქ გამოკვეთილია ეგვიპტელთა იდეა მარადიულობაზე, რომლის მიღწევა მათ მხოლოდ მუდმივი განახლებით ჰქონდათ წარმოდგენილი. ბერძნულ ენაში „ბენუ" „ფენიქსი" გახდა (Kees, 1980, 217). ზემო ეგვიპტის XVII ნომში მდებარეობდა ქალაქი, რომელსაც „ბენუს სახლი" (ეგვ. *Ḥ.t bnw*) ერქვა (Montet, 1961, 74).

ბენუ

ბესეტი – ქალი-დემონი, ბესის მეუღლე (Bonnet.1952, 116).

ბესი – (ეგვ. *Bš*, Wb I, 476, დაფიქსირებულია ახალი სამეფოს დასასრულიდან). ეგვიპტელთა წარმოდგენით, არსებობდა დემონები ჯუჯა ტანით, მხიარული სახით, ცხოველის ყურებითა და კუდით. ერთ-ერთი ასეთი იყო ბესი. შესაძლოა, ისინი სახალხო რელიგიის ღმერთები იყო. მათი არსების დადგენა შეუძლებელია ტექსტობრივი მასალის არარსებობის გამო,

ბესი

თუმცა მათი გამოსახულებები ძალიან ბევრია. მათთან ასოცირებული იყო ღრეობა (Bonnet, 1952, 101).

ბეხდეტი — ქ. ედფუს საკრალური სახელი (*იხ. აპოლინოპოლისი*, ედფუ).

ბეჰემოტი — როგორც ნილოსის ერთ-ერთი საშიში ბინადარი, გაღმერთებული იყო უძველესი დროიდან. წინადინასტიურ ეგვიპტეში ბეჰემოტი ცხოველური დიზაინის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულარულ ელემენტს წარმოადგენდა (Petrie, 1920, pl.2.12;9, 28-31, 19, 71-72;23, 1-2). ამავე დროით თარიღდება ბეჰემოტის სახის მრავალი ამულეტი (Kees, 1980, 13). დინასტიურ პერიოდში მისი პოპულარობა კლებულობს. ჰეროდოტეს (II, 71) ცნობით, ის საკრალურ ცხოველად მხოლოდ პაპრემისის ნომში (დასავლეთ დელტაში) ითვლებოდა, თუმცა პტოლემაიოსების დროით დათარიღებულ ფაიუმის პაპირუსში თეთრი ბეჰემოტი ხატხორის ერთ-ერთ გამოვლინებად არის მიჩნეული. ამავე დროს მას ოქსირინხოსშიც ეთაყვანებოდნენ. გვიანდელ პერიოდში ბეჰემოტის ამულეტებს ჩვეულებრივ სარდიონისაგან ამზადებდნენ. სარდიონის მოწითალო ფერი შესაძლოა ეთანხმება ედფუს ტაძრის კედლებზე მოთავსებულ მითს ხორის შესახებ, რომელსაც სეტხი ბეჰემოტის სახით ებრძვის (Kees, 1980, 14). წითელი ფერი ეგვიპტეში უდაბნოს, სეტხის და მტრის ფერად იყო მიჩნეული. იმავდროულად, ბეჰემოტის სახე ჰქონდა ქალღმერთ თოერისს, რომელიც მშობიარე ქალების მფარველად ითვლებოდა.

ბორცვი (პირველყოფილი) — პირველყოფილი ბორცვი (ეგვ. *ḳꜣꜣ*, Wb.V, 5; *ḥr.t*, Wb III, 239) ყველა ეგვიპტური კოსმოგონიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა. ეგვიპტელთა რწმენით, სამყაროს შექმნამდე „არ იყო არც ღმერთები და არც ხალხი“ (PT 709), იყო მხოლოდ სიბნელე და ქაოსური წყლები. „პირველი ჯერის“ დროს (ეგვიპტელები სამყაროს წარმოშობის — ან წარმოშობის დაწყების მომენტს „პირველ ჯერს“ (ეგვ. *sp tpj*, Wb, III, 438; V, 278) ეძახდნენ), ბნელი წყლებიდან იშვა მაღალი ბორცვი, რომელსაც დაეცა პირველი მზის სხივი და გაანათა სამყარო. ეს ძირითადი ქარგა სხვადასხვა ვარიაციებით ყველა ეგვიპტურ კოსმოგონიაში მეორდება და ყველა ქალაქს, რომელსაც საკუთარი კოსმოგონია ჰქონდა, „თავისი“ პირველყოფილ ბორცვის სწამდა. ჰელიოპოლისში ბორცვთან ჰელიოპოლისის

დემიურგი, ატუმი იყო გაიგივებული (PT.1587, 1652), მემფისის დემიურგის, პტახისადმი მიძღვნილ ჰიმნში პტახი მოხსენიებულია, როგორც „ბორცვი", „ამოწეული მიწა" (Stolk, 1929, 26). ჰერმოპოლისში ესაა „ცეცხლოვანი კუნძული", საიდნაც „პირველი ჯერის დროს წარმოიშვა მზე" (Sethe, 1976, §§93-96). უფრო გვიან, თებეში, კარნაკის ტაძარს მოიხსენიებდნენ, როგორც „პირველი ჯერის გაბრწყინებულ ბორცვს" (Sethe, 1976, § 251). ითვლება, რომ პირამიდებიც პირველყოფილი ბორცვის სიმბოლოს წარმოადგენდა (LaViolette, 2004, 101).

ბუბასტისი — (ეგვ (*Pr-Bꜣs.t.t*) — „ბასტეტის სახლი", Wb I, 423, საიდანაც წარმოიშვა ბერძნული „ბუბასტისი"). ქალაქი მდებარეობდა ნილოსის დელტის პელუსიურ ტოტზე, დღევანდელი ქ.ზაგაზიგის გვერდით (თელ-ბასტა). შესაძლოა ბასტეტის, და ასევე ქალაქის სახელი ნიშნავს „მალამოს". ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ბუბასტისის მთავარ ქურუმს მოგვიანებით „მთავარი ექიმის" და „მალამოს ნამსმელის" წოდება ჰქონდა (Helck, 1980, 83). ჰეროდოტემ (II, 137-138) აღწერა ბუბასტისი და მისი ბასტეტის ტაძარი, როგორც ერთ-ერთი ულამაზესი ეგვიპტეში. XIX საუკუნის შუახანებში, ევროპელი მეცნიერის ჯ.გ. ვილკინსონის აღწერით, ტაძარი გამოიყურებოდა ისევე, როგორც ჰეროდოტეს დროს. დღეს ქალაქისაგან აღარაფერია დარჩენილი. ბუბასტისი დასახლებული იყო გვიანი წინადინადინასტიური დროიდან ჩვ.წ.-ის VII საუკუნემდე; ეგვიპტის არაბების მიერ დაპყრობის შემდეგ (დაახლ.642 წ.) ქალაქი თანდათან დაცარიელდა (Van Siclen III, 1996, 140). ძველი სამფეოს დროიდან, ბასტეტის კულტის აღზევებასთან ერთად, ბუბასტისი თანდათან იხვეჭს მნიშვნელობას. ნანგრევების ბლოკებზე მოძიებული წარწერების თანახმად, ქალაქში აქტიური მშენებლობა მიმდინარეობდა ფარაონების ხეოფსის, ხეფრენის და პეპი I-ის დროს (Montet, 1957, 174). გათხრილია ასევე ამავე პერიოდის სასაფლაო, სადაც კერძო პირები და ადგილობრივი მოხელეები არიან დაკრძალული. სავარაუდოდ, ძველ სამეფოში აქ უკვე არსებობდა ბასტეტის ტაძარი, მაგრამ აღმოჩენილია მხოლოდ ნაგებობა, რომელიც შენდებოდა XII დინასტიის ფარაონების — ამონემხატ I-ის, სენუსერტ I-ის და სენუსერტ III-ის დროს. შუა სამეფოთია დათარიღებული ასევე დიდი ადმინისტრაციული სასახლე, რომელიც მოიცავდა მოხელის საცხოვრებელ აპარტამენტებს, სახელმწიფო დანიშნულების ოთახებს და საკუჭნაოებს. დიდი

ხანძარი, რომლის შედეგად სასახლე დაიწვა დაახლ. XIII დინასტიის დროს, შესაძლოა დელტაში ჰიკსოსების შემოჭრასთან არის დაკავშირებული (Van Siclen III, 1996, 137). ახალი სამეფოდან ქალაქის მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება. ის ხდება XVIII ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი, მაგრამ ინფორმაცია მის შესახებ ძალიან მწირია. ჯ. ბრესტედის აზრით, სავარაუდოდ, ბასტეტის ტაძრის კედლებზე მოთავსებული იყო ისეთივე მატიანე ნუბიაში ეგვიპტელების სამხედრო ექსპედიციების შესახებ, როგორიც შემოინახა კარნაკის ტაძარმა ეგვიპტის ომებზე აზიაში. სამწუხაროდ, დღეს მხოლოდ წარწერის მცირე ნაწილია გადარჩენილი (Breasted, 1962, §§846-850). ამონხეტეპ IV-ის დროს აქ აიგო პატარა ტაძარი ატონისადმი. XXII (ლიბიური) დინასტიის დროს ბუბასტისი სამეფო რეზიდენცია ხდება. ლიბიელმა ფარაონებმა, განსაკუთრებით ოსორკონ I-მა და II-მ აქ დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარეს. ლიბიური დინასტიის დაცემის შემდეგ, ქალაქმა საბოლოოდ დაკარგა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა, თუმცა თავისი ისტორიის ბოლომდე მან მნიშვნელოვანი სავაჭრო და რელიგიური ცენტრის სტატუსი შეინარჩუნა. ბუბასტისის მდებარეობამ უმნიშვნელოვანესი სავაჭრო მარშრუტების გადაკვეთაზე განაპირობა მისი საოცარი სიმდიდრე. ოსორკონ I-ის წარწერის თანახმად, მან მხოლოდ ამონის ტაძარს 250 000კგ. ვერცხლი და ამდენივე ელექტრუმი (ოქროს და ვერცხლის შენადნობი) შესწირა (Van Siclen III, 1996, 138). 1906 წელს ბასტეტის ტაძრის სიახლოვეს აღმოჩენილი იქნა დიდი განძი — ოქროს სამკაულები და ჭურჭელი (Hayes, 1959, 358). როგორც ბასტეტის ქალაქი, ბუბასტისი დაკავშირებული იყო სიყვარულის დღესასწაულებთან და ღრეობასთან. შემთხვევითი არაა, რომ ადრეელინისტურ ეგვიპტურ მოთხრობაში რამსეს II-ის ბრძენი ვაჟიშვილის, სატნე-ხამუასის შესახებ მას ეროტიკული თავგადასავალი სწორედ ბუბასტისში გადახვდება თავს, ბასტეტის მისნის ქალიშვილის ოქროს ჭურჭლით სავსე სახლში, სადაც იატაკებიც კი ლილაქვის იყო (Lichtheim, 2006, 134-136).

ბუბასტისის პერიოდი — *იხ. ლიბიური პერიოდი*

ბუზი — ბუზების ფიგურებიდან გაკეთებული ჯაჭვები ეგვიპტეში წინადინასტიური დროიდან გვხვდება (Petrie, 1914, pl.II). მათი დანიშნულება ნათელი არ არის. შესაძლოა, ბრძოლასთან დაკავშირებული ამულეტების როლს თამაშობდნენ, რადგან

ახალი სამეფოს ტექსტების მონაცემებით ბუზის ოქროს ფიგურებით მებრძოლებს აჯილდოებდნენ (Bonnet, 1952, 195).

ბუსირისი — არაბული აბუსირი, ბერძნული Busiris, წარმოიშვა ეგვ. *Pr-Wšir*-დან (ოსირისის სახლი). დღეს ჰქვია ცხრა დასახლებულ პუნქტს, რომელთა ადგილას ძველ ეგვიპტეში სავარაუდოდ ოსირისის თაყვანისცემის საკულტო ადგილები იყო. 1. **სოფელი აბუსირი** მემფისის ნეკროპოლისთან, სადაც იყო ოსირისის ტაძარი, სახელად *Pr Wšir nb Rȝstȝw*. „ოსირისის, რასეტაუს (მემფისის ნეკროპოლისის) ბატონის ტაძარი" (Montet, 1957, 47). დღეს მის სიახლოვეს მდებარე ნეკროპოლისის ნაწილსაც აბუსირს ეძახიან. ნეკროპოლისის ამ ნაწილის ათვისება დაიწყო V დინასტიიდან, როცა დინასტიის პირველმა ფარაონმა, უსერკაფმა, აქ თავისი მზის ტაძარი ააგო. აქ მდებარეობს ასევე შეპსესკარას, საჰურას, ნიუსერრას, ნეფერეფრას, ნეფერირკარას და დედოფალ ხენტკაუსი II-ის (ნეფერირკარას მეუღლე და ნიუსერრას და ნეფერეფრას დედა) პირამიდები. გვიანდელ პერიოდამდე იყო დიდგვაროვან და საშუალო კლასის ეგვიპტელთა სასაფლაო. უსერკაფის მზის ტაძრის ჩრდილო-დასავლეთით, აბუ-გურაბის ბორცვზე, ნიუსერრას ცნობილი მზის ტაძარი მდებარეობს. აბუსირი ცნობილია ეგვიპტოლოგიაში ასევე ე.წ. „აბუსირის პაპირუსებით". XIX ს. დასასრულს ნეფერირკარას (კაკაის) მოსახსენიებელ ტაძარში აღმოჩენილი იქნა ადმინისტრაციული პაპირუსების უზარმაზარი მასა. XX ს. დასასრულს ჩეხების ექსპედიციის მიერ ნაპოვნი იქნა სატაძრო ადმინისტრაციული დოკუმენტების ასევე დიდი მასა ნეფერეფრას და მისი დედის — ხენტკაუსის პირამიდების საკულტო კომპლექსებში. აბუსირის პირამიდები ზომით ძალიან ჩამოუვარდება III-IV დინასტიების ფარაონების პირამიდებს და თითქმის ყველა საფეხუროვანია. 2. **დღევანდელი აბუსირ ელ-მელექი** ფაიუმში შესასვლელთან, სადაც მეჩეთში პტახ-სოკარ-ოსირისის ტაძრის ქვის ბლოკებია აღმოჩენილი. მდებარეობდა ზემო ეგვიპტის XX ნომში (Montet, 1961, 191-192). ოსირისის კულტი აქ, როგორც ჩანს, უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან მას ჩრდილოეთის აბიდოსს ეძახდნენ (Petrie, 1891, pl.77). აბუსირ ელ მელექის მიდამოებში ნაპოვნია ასევე წინადინასტიური პერიოდის სასაფლაო (დაახლ. 3600-3499 წწ. Hayes, 1953, 8). 3 **(ასევე ცნობილი, როგორც თაპოსირის აგნა)**. ალექსანდრიიდან 45კმ. დასავლეთით, მნიშვნელოვანი ქალაქი პტოლემაიოსების დროს, სადაც იყო ისიდას დიდი ტაძარი და

საკრალური ცხოველების ნეკროპოლისი. აქ დღემდე შემორჩენილ შუქურაზე ამბობენ, რომ ის ალექსანდრიის შუქურის მომცრო ასლია. ბოლო წლებში ისიდას ტაძართან ჩატარებული გათხრების მონაცემებზე დაყრდნობით ეგვიპტელი არქეოლოგი ზაჰი ჰავაზი ვარაუდობს, რომ კლეოპატრა და მარკუს ანტონიუსი სწორედ აქ არიან დასაფლავებული (http://edition.cnn.com/2009/world/africa/04/17/ cleopatra/tomb/index/html. 4. ამ ქალაქებიდან ყველაზე ცნობილი მდებარეობდა **დღევანდელი აბუსირ ელ ბანას ადგილას**, ნილოსის დელტის ცენტრში, ნილოსის დამიეტის ტოტის მარცხენა ნაპირზე. ქალაქის უძველესი სახელი იყო *Ḏdw* (Wb V, 630) უძველესი ღმერთის ჯედუს და მისი სიმბოლოს, ჯედ-სვეტის გამო. ჯედუ მალე შთანთქა ადგილობრივმა ღვთაებამ ანცთიმ, რომელიც თავის მხრივ ოსირისს შეერწყა. ქალაქის სახელიც გახდა *Pr Wsir nb Ḏd* — „ოსირისის, ჯედ-სვეტის ბატონის სახლი". ეს ადგილი ოსირისის დაბადების ადგილად ითვლებოდა და უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა ეგვიპტის ისტორიაში. უძველესი მოხსენიება პირამიდების ტექსტებშია დაფიქსირებული. ოსირისის მითის აქ მოყვანილი ვერსიის თანახმად (PT 1008) ოსირისი სეტხის მიერ სწორედ აქ იქნა მოკლული. იყო IX ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი (Montet, 1957, 102). **დანარჩენი ხუთი ბუსირისის** შესახებ ჯერ-ჯერობით არაფერია ცნობილი. ესენია: ბუსირისი ქუფთის (ძველი კოპტოსი) სიახლოვეს ზემო ეგვიპტეში, ბუსირისი ელ აშმუნეინთან (Hermopolis magna), ფაიუმთან (დღეს აბუსირ დიფინუ), ალექსანდრიის აღმოსავლეთით (შესაძლოა Taposiris parva) და დელტაში აბუსირ ბანას სამხრეთით (დღეს ბანა აბუსირი) (Bard, 1999, 179).

ბუტო — ცნობილია ორი ქალაქი ამ სახელით 1. **ბუტო ქვემო ეგვიპტის მეექვსე ნომში** (ეგვ. სახელებია *Pr Wꜣḏ.t* — „(ქალღმერთ) უტოს სახლი", Wb I, 268, რამესიდების დროიდან და (ძველი სახელი) *P*, Wb I, 489). ითვლება, რომ იყო წინადინასტიური ჩრდილოეთ ეგვიპტის სამეფოს დედაქალაქი, საიდანაც ჩრდილოეთ ეგვიპტის მეფე დელტას მართავდა (Hayes, 1960, 27), თუმცა ბოლო დროის არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით გამოთქვამენ ეჭვს, რომ „ბუტოს სამეფო" ოდესმე არსებობდა. პოლიტიკური მნიშვნელობა ქალაქმა უკვე ძველი სამეფოს დროს დაკარგა, შუა სამეფოს ტექსტებში საერთოდ არ არის მოხსენიებული, ისევ ჩნდება XVIII დინასტიიდან, პტოლემაიოსების დროს კი „უაჯეტის მიწის ნომის" დედაქალაქი

გახდა. უძველესი ფენები მეოთხე ათასწლეულით თარიღდება და ნაქადა II-ის პერიოდს შეესაბამება, მაგრამ არტეფაქტები აელენს, რომ თავდაპირველად ბუტო უფრო ჩრდილო ეგვიპტის (მაადის ტიპის) კულტურას ეკუთვნოდა, რომელსაც დღეს მაადი-ბუტოს კულტურის სახელით მოიხსენიებენ (Bard, 2000, 182). მდებარეობდა ნილოსის დელტის სებენიტოსის ტოტთან, თითქმის დელტის წვერთან, ბუტოს ტბის სამხრეთ ნაპირზე. ინგლისელმა არქეოლოგმა ფ.პეტრიმ 1888 წ. პირველმა დაადგინა, რომ სამი ბორცვი თანამედროვე თელ ელ-ფარაუნთან გვერდიგვერდ მდებარე უძველესი ქალაქების პეს და დეპის (ეგვ. *Dp*, Wb I, 489) ნაქალაქარს წარმოადგენდა. პირამიდების ტექსტებში მოხსენიებული არიან ქვემო (ჩრდილოეთ) ეგვიპტის მეფეები, „რომლებიც იყვნენ პეში". დინასტიურ ეგვიპტეში ისინი გაღმერთებული იყვნენ, როგორც „ბუტოს სულები" (ეგვ. *bȝw n P*) და შევარდნის თავიანი ადამიანების სახით გამოისახებოდნენ (Sethe, 1930, §§172-173). პეში ეთაყვანებოდნენ ხორს, დეპში — გველის სახის ქალღმერთს, უაჯეტს, რომელიც ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე ჩრდილოეთ ეგვიპტის სიმბოლო იყო. სამხრეთის ქალღმერთთან, ნეხბეტთან ერთად მას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ფარაონის ტიტულატურაში და სამეფო გვირგვინზე, სადაც ორივე ქალღმერთის თავის გამოსახულებები თავსდებოდა. თანდათან პე და დეპი გაერთიანდა და ქალაქს პერ-უაჯეტი დაერქვა, საიდანაც ბერძნული ბუტო წარმოიშვა. ოსირისის მითის თანახმად, ისიდამ ჩვილი ხორი ბუტოსთან დამალა (Grimal, 1988, 42). სპარსელების ბატონობის დროსაც კი ბუტოს ტაძარი უზარმაზარ მინებს ფლობდა, რომლებსაც „უაჯეტის მინა" ერქვა (Lloid in: Ancient Egypt, 2001, 302). ჰეროდოტე (II, 155) აღწერს ბუტოს გრანდიოზულ, ულამაზეს ტაძარს, განთქმულს თავისი ორაკულით. მისივე ცნობით, ბუტოში იყო ასევე ტაძარი, მიძღვნილი ხორისა და ბასტეტისადმი. დასახლებული იყო ბუტო რომაულ დროშიც. გათხრები ბუტოში მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო. 60-იან წლებში გაითხარა გვიანდელი, ელინისტური და რომაული პერიოდების ფენები. 80-იან წლებში, ურთულეს პირობებში დაიწყო წინადინასტიური ფენების გათხრა, რომლებიც გრუნტის წყლების დონეზე დაბლა მდებარეობს. ბუტოს უძველესი ფენა ნაქადა I-ის კულტურის თანადროულია და მაადის კულტურის ნაწილს წარმოადგენს. აქ აღმოჩენილი ურუკის ტიპის (მესოპოტამია) მოსაპირკეთებელი „თიხის ლურსმნებიანი" აგურის (ე.წ. „Grubbenkopfnagel") და სირიული და ქანაანური ტიპის კერა-

მიკის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ დელტის მოსახლეობას უკვე იმ დროში ჰქონდა კავშირი მესოპოტამიასა და აღმოსავლეთ აზიასთან (Rice, 2003, 29). სამხრეთული, ნაქადას კულტურის ჩრდილოეთისაკენ გავრცელების შედეგად ბუტოშიც ადგილობრივი კულტურული ფენის თავზე ნაქადა I და II-ის ფენებია ნაპოვნი. მათ თავზე აღმოჩენილია დიდი აგურის ნაგებობა, რომელიც სავარაუდოდ ტაძარს წარმოადგენდა (Shaw, 2003, 65). დინასტიურ პერიოდში ბუტო არ თამაშობდა არავითარ პოლიტიკურ როლს, მაგრამ მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრის მნიშვნელობა ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე შეინარჩუნა. 2. **ბუტო მეცხრამეტე ქვემოეგვიპტურ ნომში**, ეგვ. იმეტი (*Ỉm.t*, Wb I, 78), მდებარეობდა ტანისის სამხრეთ აღმოსავლეთით. ძველად იყო ნომის დედაქალაქი. გამოიწერებოდა დეტერმინატივით, რომელიც წარმოადგენდა ბავშვს ქვემო ეგვიპტის გვირგვინით თავზე, რომელიც მალე ახალგაზრდა ხორთან გაიგივდა. ქალღმერთს, რომელიც მის დედად იყო წარმოდგენილი, ეძახდნენ „მას, ვინც იმეტიდანაა". „იმეტელი ქალღმერთი" ძალიან ადრეულ პერიოდში შეერწყა უაჯეტს. შემორჩენილია XIX დინასტიის ტაძრის ნანგრევები, ასევე ამასისის მიერ უაჯეტისადმი მიძღვნილი ტაძარი (Bonnet, 1952, 130).

ბუხისი – ასე ეძახდნენ ბერძნები ჰერმონთისის საკრალური ხარს (ეგვ. *bḥ*, Wb I, 472), რომელიც მონტუსთან იყო ასოცირებული. თუმცა ის ხანდახან მოწითალო-მოყავისფრო ფერითაც არის გამოსახული, საკრალური ბუხისის ფერები თეთრი და შავი უნდა ყოფილიყო. ჰერმონთისის ახლოს აღმოჩენილია ბუხისის ხარების ნეკროპოლისი. მათი კულტი განსაკუთრებით პოპულარული იყო XXX დინასტიის და პტოლემაიოსების დროს (Коростовцев.1976, 16). ცნობილ ზღაპარში ორი ძმის შესახებ ერთ-ერთი ძმა სწორედ *bḥ* ხარად გადაიქცევა (Коростовцев, 1978, 46-61).

ბუჰენი – ყველაზე ჩრდილოეთი იმ რვა ფორტიდან, რომლებიც ეგვიპტემ ქვედა ნუბიაში შუა სამეფოს დროს ააგო. ფორტების მშენებლობა სავარაუდოდ სენუსერტ I-ის და სენუსერტ II-ის დროს დაიწყო, მაგრამ ძირითადი მშენებლობები სენუსერტ III-ის დროს ჩატარდა (Clayton, 1994, 87). როგორც ჩანს, ბუჰენის ტერიტორია გაცილებით უფრო ადრეც მნიშვნელოვან ადგილს წარმოადგენდა ეგვიპტის ნუბიაში მოღვაწეობისათვის, რადგან აქ მოძიებული უძველესი სპილენძის

გამოსადნობი ღუმელები ძველი სამეფოს დროით თარიღდება (Bard, 1999, 524). მდებარეობდა ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, მეორე ჭორომის ჩრდილოეთით, თანამედროვე ვადი-ჰალფას პირდაპირ. შესაძლოა, ბუჰენში ეგვიპტური კოლონია უკვე II დინასტიის დროს არსებობდა (Trigger, 1965, 79-80, Drower, 1970, 16-17). ძველი სამეფოს დროს აქ იყო პატარა კოლონიური ქალაქი, შემოვლებული აგურის მასიური კედლით. ძირითადი მიზანი, შესაძლოა, სპილენძის მოპოვება იყო. ამ ფენაში მოძიებული კერამიკა მხოლოდ ეგვიპტურია, ნაპოვნია ხეფრენის და მენკაურას საბეჭდავები (Adams, 1977, 170). შუა სამეფოს დროს აქ აიგო გრანდიოზული ფორტიფიცირებული ქალაქი, რომელიც შუა საუკუნეების ევროპის გამაგრებებს არ ჩამოუვარდებოდა. შიდა ციტადელის ირგვლივ იყო ღია სივრცე, რომელსაც გარს ერტყა 5 მ. სისქის და 8 ან 9 მ. სიმაღლის გარე კედელი. გარეთა კედლის გაყოლებაზე აღმართული იყო კოშკები ამბრაზურებით და კატაპულტისათვის საჭირო აღჭურვილობით. შენობები შიდა ციტადელში (ქვის კონსტრუქციის, ხის დეტალებით) ჩამწკრივებული იყო იგივე პრინციპით, როგორც რომაულ სამხედრო ბანაკებში 2000 წლის შემდეგ. ხმელეთის მხრიდან ფორტს შემოვლებული ჰქონდა 3 მ. სიღრმის წყლით სავსე თხრილი, რომელზეც ასაწევი ხიდები იყო გადებული. ფორტში იყო საიდუმლო არხი, რომლითაც ალყის შემთხვევაში მდინარის წყლის მინოდება იყო შესაძლებელი (Gates, 2003, 101). ნუბიის ფორტები ერთდროულად წარმოადგენდა სავაჭრო პოსტებს და სამხედრო ბაზებს ნუბიის გასაკონტროლებლად და ამ მხრივ ბუჰენი უმნიშვნელოვანესი ფორტი იყო დაახლ. 200 წლის განმავლობაში. მეორე გარდამავალი პერიოდის დროს, როცა ეგვიპტეში ჰიკსოსები გაბატონდნენ, ბუჰენზე, როგორც ჩანს, შეტევა განხორციელდა და მისი დიდი ნაწილი დაიწვა. ახალი სამეფოს პირველმა ფარაონმა, იახმესმა, დაიბრუნა ბუჰენი და მისი რეკონსტრუქცია მოახდინა. ფორტი და დასახლება კიდევ უფრო გაიზარდა. იახმესის და მისი მემკვიდრეების დროს ფორტის შიგნით აიგო ორი ტაძარი – სამხრეთის და ჩრდილოეთის. ამონხეტეპ II-ის შემდეგ, როცა ეგვიპტის გავლენა ნუბიაზე ნილოსის მეოთხე ჭორომს გასცდა, ბუჰენმა დაკარგა თავისი სამხედრო მნიშვნელობა, როგორც მთავარმა სასაზღვრო ფორტმა, მაგრამ ინარჩუნებდა წამყვან პოზიციას ნუბიაში, როგორც ადმინისტრაციული და სავაჭრო ცენტრი. ბოლო ფარაონი, რომელმაც აქ სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა, იყო ტახარკა (VII ს.ჩვ.წ-მდე). ეგვიპტის სპარსელების მიერ დაპყრობის შემდეგ ბუჰენი თანდათან

დაცარიელდა. ნასერის ტბის გათხრამდე ბუხენის ნანგრევები კიდევ იდგა ნილოსის ნაპირზე. ამ დროისათვის მოხდა მისი სამხრეთი, უფრო მცირე ტაძრის დემონტაჟი და ის ქარტუმში, ნაციონალურ მუზეუმში გადაიტანეს. ბუჰენის დანარჩენი ნაწილი დღეს ნასერის ტბის ქვეშაა (Caminos, 1974, I, 3).

გადამწერები — ახალი სამეფოს ეპოქიდან შემოინახა თავისებური ტექსტების კრებული, (Erman, 1966, 193-198), სადაც ყველა ხელობაზე მაღლა (გლეხის, ჯარისკაცის, მეეტლის, მცხობელის, დაბალი რანგის ქურუმისაც კი (ეგვ. *wꜣb*, Wb I, 282), გადამწერის ხელობაა დაყენებული, ამიტომ მოწაფეს მოუწოდებენ, ისწავლოს წერა-კითხვა და გახდეს „გადამწერი", რადგან გადამწერი თვისუფალია მძიმე შრომისაგან და თავის თავს ეკუთვნის. ეგვიპტეში სახელმწიფოს შექმნა და დამწრლობის წარმოშობა ქრონოლოგიურად ერთმანეთს ემთხვევა, და შესაბამისად, მაშინვე გაჩნდა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანებზე მოთხოვნილება. სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად, ეს მოთხოვნილება იზრდებოდა, მაღლდებოდა გადამწერების კვალიფიკაცია და განათლება. თანდათან მათგან წარმოიშვა განათლებული ფენა, რომლის წარმომადგენლები არა მარტო ადგენდნენ ადმინისტრაციულ დოკუმენტებს, არამედ ქმნიდნენ ლიტერატურულ ნაწარმოებებს, ახდენდნენ სატაძრო ბიბლიოთეკებში დაცული პაპირუსების რესტავრაციას და კოპირებას. ეგვიპტეში, სადაც სიტყვა ადამიანის ყველაზე ძლიერ იარაღად იყო მიჩნეული (ჯერ კიდევ ჰერაკლეოპოლისის პერიოდის დროს (ჩვ.წ.-მდე 2134-2040 წწ.) დაწერილ დარიგებაში მეფე არიგებს თავის ვაჟს, რომ „სიტყვა ყველაზე ძლიერი იარაღია", Коростовцев, 1978, 207), გადამწერები სულ უფრო მეტი პატივისცემით სარგებლობდნენ. მართალია, გადამწერი (თუ ის სათანადო წარმოშობის არ იყო), სოციალურად უმაღლეს კლასს არ მიეკუთვნებოდა, რადგან არ გააჩნდა შემოსავლის საკუთარი წყარო და მუშაობდა, როგორც სახელმწიფო ანაზღაურებაზე მყოფი ადმინისტრაციის მოხელე, მაგრამ, განსხვავებით სხვა მსგავსი მოსამსახურეებისაგან, ის არ იყო ვინმეზე დაქვემდებარებული (Roccati, 1997, 70). გადამწერის პროფესია ასევე წარმოადგენდა ერთგვარ ტრამპლინს ნიჭიერი ადამიანისათვის, რადგან ეგვიპტეში ხშირია შემთხვევები, როცა უბრალო წარმოშობის ადამიანმა უმაღლეს მდგომარეობას მიაღწია

თავისი ნიჭის და განათლების წყალობით, რომლის მიღებაც, ეგვიპტური ტექსტების თანახმად, საკმაოდ ღარიბ ადამიანსაც შეეძლო (ხვედელიძე, 2002, 465-472).

გაზელი – ეთაყვანებოდნენ მესამე ზემოეგვიპტურ ნომში, როგორც ქალღმერთ ანუკეტის საკრალურ ცხოველს. კოპტოსში, სადაც ის ისიდასთან იყო დაკავშირებული, ელიანეს თანახმად, თეთრ გაზელს ეთაყვანებოდნენ (Kees, 1980, 25). XI დინ. წარწერის თანახმად, გაზელმა სამტეხლოებისაკენ გზა გაუკვლია ექსპედიციას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვეზირი ამონემხატი, მომავალი ფარაონი ამონემხატ I (Breasted, 1962, I, § 436).

ხორი და სეტი განწმენდენ ფარაონს

განწმენდის რიტუალი – „განწმენდას" ეგვიპტეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ქურუმების საერთო სახელი „სუფთა, წმინდა" (*wꜣb*, Wb.I, 282) იყო. ყოველი ღვთაების მსახურება განწმენდის რიტუალით იწყებოდა. განწმენდა იწყებოდა სხეულის განბანვით. ამ დროს გამოიყენებოდა ნატრონის სოდა, განსაკუთრებით პირის გასუფთავებისას. ამის შემდეგ ხდებოდა საკმეველის შეკმევა და არაცხოველური წარმოშობის ქსოვილის ჩაცმა, რადგან ცხოველი უსუფთაო იყო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა საკულტო ინვენტარის და თითების სისუფთავეს, რადგან საკრალური ქმედება ხელით უნდა ჩატარებულიყო. ჭურჭელს, რომლითაც განბანვა ხდებოდა, სიცოცხლის ნიშნის ფორმა ჰქონდა. მეფის რიტუალური განწმენდისათვის ტაძარში განსაკუთრებული სენაკიც კი არსებობდა, რომელსაც „დილის სახლი" (ეგვ. *Pr dwꜣ.t*, Wb V, 425) ერქვა. განწმენდა მნიშვნელოვანი იყო გარდაცვლილთათვისაც. როგორც ცოცხალი ქურუმი ტაძარში შესვლის წინ, გარდაცვლილი საიქიოში გადასვლისას უნდა განწმენდილიყო. ითვლებოდა, რომ მუმიის დამზადების შემდეგ მასზე „განწმენდის რიტუალის" ჩატარების გარეშე გარდაცვლილი ვერ მიაღწევდა სამუდამო ნეტარებას. პირამიდების ტექსტებში ვკითხულობთ, როგორ ხვდებიან გარდაცვლილ ფარაონს განსაბანად ოთხი ჭურჭლით (PT 1180), ან როგორ ბანაობს ის რასთან ერთად წმინდა ტბაში (PT 519). ამ სისუფთავეს სიცოცხლე მოჰქონდა, რადგან გარდაცვლილის განწმენდის სცენებს ყოველთვის სიცოცხლის ნიშანი ახლავს თან. ითვლებოდა, რომ განწმენდის შემდეგ გარდაცვლილი აღსდგებოდა სამარხიდან (PT 2008-9). ტაძრის და სამარხის შესასვლელთან ჩვეულებრივ ათავსებდნენ წარწერას, რომ აქ უსუფთაოს შესვლა ეკძალებოდა (Bonnet, 1952, 633-636).

გარდამავალი პერიოდი — ეგვიპტოლოგიაში ეწოდება დროის იმ მონაკვეთებს, როცა ქვეყანაში ირღვეოდა ცენტრალური ძალაუფლება. ამავე პერიოდებს ემთხვევა ძირეული ცვლილებები ეგვიპტელის ფსიქოლოგიაში. ყოველი გარდამავალი პერიოდის შემდეგ ეგვიპტე კვლავ გაერთიანებული, მაგრამ თვისობრივად განსხვავებული ხდებოდა.**1. პირველი გარდამავალი პერიოდი** მოიცავს დაახლ. 230 წელს VII დინასტიიდან XI დინასტიის შუახანებამდე. VII-VIII დინასტიებს ხან მოიხსენიებენ ასევე, როგორც გვიან ძველ სამეფოს (დაახლ. 2150-2134 წწ. ჩვ.წ.-მდე), IX-X დინასტიებს კი როგორც ჰერაკლეოპოლისურ პერიოდს (დაახლ. 2134-2040 წწ.ჩვ.წ-მდე, O'Connor and Silverman, 1995, XXX). გარდამავალი პერიოდების მეფეების სახელები და მათი თანმიმდევრობა სრულად ცნობილი არ არის. IX-X დინასტიების ცნობილი მეფეებია რამდენიმე ახტოი (იგივე ხეტი), მერიკარა, იტი. XI დინასტია (პირველი ნახევარი) უკვე თებეს სამეფო სახლით არის წარმოდგენილი. ცნობილი ფარაონებია ინტეფ I, II და III და მონტუხეტეპ I. თებეს დინასტია დაახლოებით ჩვ.წ.-მდე 2134-2040 წლებით თარიღდება, რადგან ამ დროს, როცა ქვეყანა გახლეჩილი იყო, ჩრდილოეთში და სამხრეთში სხვადასხვა სამეფო სახლები მეფობდნენ. ითვლება, რომ ეს პერიოდი მოიტანა ტახტის მიერ სიმდიდრის თანდათანობით დაკარგვამ და ძალაუფლების დათმობამ, რაც დაახლ. V დინასტიიდან დაიწყო და კულმინაციას პეპი II-ის მსოფლიო ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი, თითქმის ასწლიანი მეფობის დასასრულს მიაღწია (Bard, 1999, XXVIII, 42). ამ პერიოდს წინ უძღოდა ქვეყნის ეკონომიკისათვის წამგებიანი გრანდიოზული პირამიდების მშენებლობა, მათი ქალაქებისათვის მიწების გამოყოფა, რომლებიც უკვე აღარ იყო შემოსავლის მომტანი სახელმწიფოსათვის, ასევე მიწების გამოყოფა სატაძრო მეურნეობებისათვის და მათი გადასახადებისაგან განთავისუფლება. ეგვიპტეში ყოველთვის ცდილობდნენ ინიციატივის მქონე, მოტივირებული მოხელეების წახალისებას, რაც ძველი სამეფოს ეგვიპტის ძლიერების ერთ-ერთ ფაქტორად არის მიჩნეული, მაგრამ ტახტის დასუსტების ფონზე ამ პროცესმა ცენტრალიზებული ძალაუფლებისათვის არასასურველი შედეგი მოიტანა — ნომარქებმა, რომლებიც ძველი სამეფოს დასაწყისში ფარაონის მიერ ინიშნებოდნენ და იმართებოდნენ, თანდათან თავიანთი თანამდებობები მემკვიდრეობითად გადააქციეს და თავიანთი ნომების ერთპიროვნული მმართველები გახდნენ. ისინი სამარხებს უკვე არა სამეფო პირამიდის სიახლოვეს, არა-

მედ საკუთარ ნომებში იგებდნენ. ამ დროისათვის ეგვიპტე რეალურად ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, სადაც ნომები ფარაონს მხოლოდ ნომინალურად ექვემდებარებოდა. პეპი II-ის რამდენიმე ეფემერული მემკვიდრის შემდეგ ქვეყანაში სრული ანარქია იწყება. ამის ანარეკლია მანეთონის ცნობები, რომ VII-VIII დინასტიები მოიცავდა 70 მეფეს, რომლებმაც 70 დღე იმეფეს. თუმცა თანამედროვე რეკონსტრუქციით ამ ორმა (მემფისის) დინასტიამ დაახლ. 16 წელი იმეფა, რამდენიმე ფარაონის გამოცვლაც კი დროის ამ მონაკვეთში სერიოზულ არასტაბილურობაზე მეტყველებს. ამ დროს, მოშლილი ძალაუფლების და დაუცველი საზღვრების ფონზე, იწყება აზიელი მომთაბარეების მიგრაცია და ჩასახლება აღმოსავლეთ დელტაში, რომელიც თანდათან ავტონომიურ წარმონაქმნად გადაიქცა (Wilson, 1957, 104-110). მალე ხდება მემფისის დინასტიის ახალი, ჰერაკლეოპოლისის დინასტიით შეცვლა. თუ როგორ განხორციელდა ეს ცვლილება, ნათელი არ არის. მისი დამაარსებელი ახტოი ენერგიულად შეუდგა დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებას და შეძლო მემფისის რაიონის, ფაიუმის და შუა ეგვიპტის გაერთიანება, თუმცა დელტა უცხოელების ხელში რჩებოდა. სანამ ჰერაკლეოპოლისელები აზიელებთან ბრძოლით იყვნენ დაკავებული, თებეში აღზევდა ნომარქების ოჯახი, რომელმაც ენერგიულად დაიწყო სამხრეთის გაერთიანება. რაღაც პერიოდის განმავლობაში თებეს და ჰერაკლეოპოლისს შორის მშვიდობა სუფევდა, რადგან ორივე თავისი პრობლემებით იყო დაკავებული — თებე სამხრეთი ნომების გაერთიანებით, ჰერაკლეოპოლისი კი ქვეყნის უცხოელებისაგან გაწმენდით, მაგრამ თებეს დინასტიის მეხუთე წარმომადგენელმა, მონტუხეტეპ II-მ ერთი მეორის მიყოლებით აიღო ჩრდილოეთის რამდენიმე ქალაქი და ბოლოს ჰელიოპოლისიც. ჰერაკლეოპოლისელები ერთხანს კიდევ იბრძოდნენ თებელების წინააღმდეგ, მაგრამ ამაოდ. მონტუხეტეპ II-ის მეფობის დაახლოებით შუახანს ქვეყნის გაერთიანება დასრულდა. ამ მოვლენის აღსანიშნავად მონტუხოტეპი იღებს ახალ სახელს, „ორივე ქვეყნის გამაერთიანებელი" (ეგვ. *smꜣ tꜣwj*, Wb III, 449). მისი გამეფებით იწყება ახალი ერა ქვეყნის ისტორიაში — შუა სამეფოს პერიოდი. უნდა აღინიშნოს ჰერაკლეოპოლისელების წვლილიც, რომლებმაც მას უცხოელებისაგან გაწმენდილი დელტა ჩააბარეს (Bard, 1999, 44-46). ძველი სამეფოს ეგვიპტეს განონასწორებულობა და თვითრწმენა ახასიათებდა. ქვეყანას არ ჰქონდა განცდილი არც შინაგანი კონფლიქტი და არც გა-

რეშე საფრთხე, რამაც საოცარი დაცულობის შეგრძნება წარმოშვა. ეგვიპტელს გათვითცნობიერებული ჰქონდა, რომ საკუთარი ნიჭით, შრომით და ფარაონის კეთილგანწყობით გარანტირებული ჰქონდა სიმშვიდე. ამ წონასწორობის საძირკველს მიუწვდომელ სიმაღლეზე მყოფი ღვთაება-ფარაონი წარმოადგენდა (Wilson, 1959, 104-106). გარდამავალი პერიოდის ანარქიამ ეგვიპტელის ცნობიერებაში ორი ძირეული ცვლილება მოიტანა: სამეფო ძალაუფლებისადმი რწმენის შერყევასთან ერთად ეგვიპტელს დაუცველობის შეგრძნება გაუჩნდა, რაც ამ დროს შექმნილი ლიტერატურული ნაწარმოებების საოცრად პესიმისტურ განწყობაშიც არის ასახული. ეგვიპტელის სიმშვიდის გარანტი — ფარაონის ღვთაებრიობა ერთგვარად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. აბიდოსის მეფეთა სიაში მოხსენიებული ფარაონების სახელები, მაგ. შემაი (*Šmʿj*), ხენდუ (*Ḫndw*), ტერერუ (*Tererw*) მიუთითებს იმაზე, რომ ისინი უმდაბლესი ფენიდან იყვნენ, შესაძლოა იმ სამხედროების წინამძღოლები, ვინც არეულობებში იღებდა მონაწილეობას. ისინი ანგრევდნენ და ძარცვავდნენ მეფეების და დიდებულების სამარხებს, და შემდეგ ნახევრად უწიგნური ენით წერდნენ მათ კედლებზე თავიანთი ტრიუმფის შესახებ. ფარაონების მიწებზე მომუშავეები თავისუფალ გლეხებად გადაიქცნენ, რომლებმაც მიწები ერთმანეთში გაიყვეს. მოიშალა საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული წესრიგი (Helck, 1968, 76-79). ამ დროის ნაწარმოებებში („იპუვერის წინასწარმეტყველება") ვკითხულობთ, რომ „ქვეყანა თავდაყირა დადგა... მათხოვარი გახდა ბატონი... ქალბატონები სდუმან, როცა მოახლეები ლაპარაკობენ... დიდებულების ბავშვები ქუჩაში არიან დაყრილი... ალბათ, ეს ადამიანების დასასრულია... ხალხი აუჯანყდა სამეფო გვირგვინს, რომელსაც სიწყნარეში ჰყავდა ქვეყანა. მეფის საასახლე შეიძლება უცებ გასწორდეს მიწასთან...ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის საიდუმლო ქუჩაშია დაგდებული" (Коростовцев, 1978, 226-240). ფარაონის დევალვაციასთან ერთად მოხდა დიდგვაროვნების და რიგითი ეგვიპტელების ამაღლება, მათი პიროვნული თვითშეგნების განვითარება და საკუთარი შესაძლებლობების დაფასება, რამაც სოციალურად საკმაოდ ფართო ფენები (გადამწერები და ხელოსნებიც კი) მოიცვა (Helck, 1968, 77). ეს განსაკუთრებით თვალნათლივ „საიქიო სამყაროზე" წარმოდგენის დემოკრატიზაციაში იგრძნობა. ძველი სამეფოს დროს მხოლოდ ფარაონი იყო ღვთაება და რჩებოდა ღვთაება გარდაცვალების შემდეგ. ახლა ყველა, ვისაც შესაბამისი სა-

მარხის მოწყობა შეეძლო, შეიძლებოდა გამხდარიყო ღმერთი გარდაცვალების შემდეგ. დიდებულებმა, რომლებმაც ფარაონისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებლად იგრძნეს თავი ამ დროში, დაიწყეს პირამიდების ტექსტების გადაწერა თავიანთ სარკოფაგებზე. ეს ტექსტები ადრე მხოლოდ ფარაონის „საკუთრებას" წარმოადგენდა. მაგრამ მარტო სამარხი აღარ იყო საკმარისი. ამ საოცარ დროში ეგვიპტელმა გამოსცადა, რომ თვალით დანახული ფასეულობა შეიძლება უეცრად გაქრეს და თვალით დაუნახავი ფასეულობების მნიშვნელობა შეიგრძნო. სწორედ ამ დროს მოხდა იმქვეყნიური სამუდამო ნეტარების ამქვეყნიურ ცხოვრებაში გარკვეული მორალური ნორმების დაცვასთან დაკავშირება (Wilson, 1959, 116-121). ჩვენთვის უცნობი ჰერაკლეოპოლისელი ფარაონი ასე არიგებს თავის შვილს, მერიკარას: „აირჩიე ადამიანი არა მდგომარეობის, არამედ შეძლების მიხედვით... ნუ ჩაიდენ ბოროტებას... მიეცი შენი სიყვარული ყველას... თუ გაგიხსენებენ, შენი სიყვარულის გამო... იყავი მომთმენი" (Коростовцев, 1978, 207-219). პირველი გარდამავალი პერიოდის დროს ეგვიპტელმა, იუდეველზე და ბერძენზე ათასი წლით ადრე, დააფასა ინდივიდუალიზმის, პიროვნული შესაძლებლობების და სოციალური სამართლის მნიშვნელობა. მათალია, ახალი სამეფოს იმპერიალისტურმა ბუნებამ უფრო მნიშვნელოვანი სახელმწიფოს დისციპლინარული ერთიანობა გახადა, მაგრამ ამ პირველი ანარქიის დრომ სამუდამოდ შეცვალა არა მარტო ეგვიპტის, არამედ მისი ფარაონის სახე (Wilson, 1959, 120, 122). **2. მეორე გარდამავალი პერიოდით** მოიხსენიებენ შუა სამეფოს რღვევისა და ეგვიპტის უცხოელი დამპყრობლების — ჰიკსოსების ქვეშ ყოფნის დროის მონაკვეთს. ეს პერიოდი XIII-XVII დინასტიებს და დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1795-1550 წლებს მოიცავს. ბრწყინვალე XII დინასტიის შემდეგ ეგვიპტეში XIII დინასტია გამეფდა (დაახლ.1795-1650 წწ.ჩვ.წ.-მდე, Bard, 1999, XXVIII), რომელიც დაახლ. 65 მეფეს მოიცავს. თუ როგორ მოხდა დინასტიური ცვლილება, დღეისათვის უცნობია. მიუხედავად იმისა, რომ ტურინის სამეფო პაპირუსში და მანეთონთან ისინი ერთ დინასტიად არიან გაერთიანებული, XIII დინასტიაში თავმოყრილი ფარაონები არ იყვნენ ერთი ოჯახის წარმომადგენლები და ბევრი მათგანი, როგორც ჩანს, უზურპატორი იყო; სახელებიდან გამომდინარე, მათ შორის აზიელებიც იყვნენ, რომლებსაც, შესაძლოა, ტახტის დაპყრობამდე მაღალი თანამდებობები ეკავათ (Helck, 1968, 118). შუა სამეფოს რღვევის მიზეზები დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშაა.

ერთ-ერთი შეიძლება ყოფილიყო ისიც, რომ ის თავიდან ფეოდალური სახელმწიფო იყო და მისი გარკვეული ელემენტები ბოლომდე შეინარჩუნა, ასეთი სახელმწიფოს ერთიანობა კი ძლიერ მეფეს საჭიროებს. XII დინასტიის ფარაონები ძლიერი მმართველები იყვნენ, მაგრამ ბევრი არაფერია ცნობილი დინასტიის ბოლო მეფეებზე. ეგვიპტის დაშლა ჰიკსოსების შემოჭრამდე ორი თაობით ადრე დაიწყო. მეცამეტე დინასტიის პარალელურად ქვეყანაში სხვა ნომარქებიც აცხადებდნენ მეფობაზე პრეტენზიას, თუმცა არ არის ნათელი, რომელი დინასტია რამდენ ხანს ბატონობდა თავისი გავლენის სფეროზე და რამდენად სინქრონულები იყვნენ ისინი ერთმანეთთან მიმართებაში. თებეს სამეფო სახლი ალბათ მთელი ამ დროის მანძილზე არსებობდა. პერიოდის დასაწყისში დაფიქსირებულია ასევე დინასტია ქსოისში, რომელიც გაქრა ჰიკსოსების შემოჭრის შემდეგ (Wilson, 1959, 154). დაახლ 1700 წელს ჩრდილო-აღმოსალეთ დელტაში ჩამოყალიბდა პატარ-პატარა სამეფოები, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამეფო ცენტრით ავარისში (Bard, 1999, 54). აქ უცხოეთთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობებისათვის ცენტრის შექმნის მიზნით ჯერ კიდევ XII დინასტიის ფარაონებმა დაიწყეს სირია-პალესტინიდან ე.წ. ამორიტების და ქანაანელების ჩამოსახლება. შექმნილ ვითარებაში აზიური წარმოშობის დინასტიამ მოიპოვა კონტროლი ქალაქზე და მომავალი ჰიკსოსური სამეფოს ბირთვი შექმნა (Bard, 1999, 377). ჰიკსოსების დაპყრობის შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან თანადროული ეგვიპტური წყაროები არაფერს წერს ამის შესახებ. მხოლოდ მანეთონი გვამცნობს, რომ მათ ეგვიპტე უბრძოლველად დაიპყრეს. დღევანდელი რეკონსტრუქციით, ეს „უბრძოლველობა" ძალზე ხანმოკლე ბრძოლას ნიშნავდა, რადგან ეგვიპტელების იარაღი აქამდეც ყოველთვის ჩამორჩებოდა მესოპოტამიურს, სადაც ომი თითქმის მუდმივად მიმდინარეობდა, მაგრამ ჰიკსოსები მათ მართლაც მომავლის იარაღით ებრძოდნენ. მათი რთული საბრძოლო მშვილდი, რომელიც ხის, რქების და ტყავის კომბინაციას წარმოადგენდა, თითქმის ორჯერ უფრო შორს ისროდა გაუმჯობესებულ თავებიან ისრებს. ჰიკსოსებს ჰქონდათ ბასრი ბრინჯაოს იარაღი, მათ შორის დაშნები და ხანჯლები, ბრინჯაოს ჯაჭვის პერანგი და საბრძოლო ეტლი ცხენით (ცხენი ეგვიპტელებს აქამდე არც ენახათ). თავიანთ ეტლებზე ამხედრებულები, ისინი თავბრუდამხვევი სისწრაფით გარს უვლიდნენ უაბჯრო ეგვიპტელებს და მუსრს ავლებდნენ. ამ არათანას-

წორ ბრძოლაში ეგვიპტელებმა მალე გაათვითცნობიერეს დამარცხება და უკან, სამხრეთისაკენ დაიხიეს. ჰიკსოსები დარჩნენ დელტაში, რადგან სამხრეთით ნილოსის დაბლობი ძალიან ვიწრო იყო ეტლებით ბრძოლისათვის და მთელი ტრანსპორტირება ნავებით ხორციელდებოდა. თებელი ნომარქები მათთან, როგორც ჩანს, ერთგვარ ვასალურ დამოკიდებულებაში იყვნენ. მაგრამ ეგვიპტე ვერ შეეგუა უცხოელების ბატონობას. მათ ისწავლეს ცხენის და ეტლის ტარება, აითვისეს ჰიკსოსების მშვილდი და ბრინჯაოს იარაღი. ამისათვის ასი წელი დასჭირდათ (Weir, 2005, 34). ამ ასი წლის განმავლობაში დელტაში ჰიკსოსური (XV) დინასტია მეფობდა (დაახლ.1650-1550 წწ. ჩვ.წ-მდე, მეფეები სალათისი, ხაიანი, აპოპი და ხამუდი, Bard, 1999, XXVII). თანდათან, როგორც ეს უკვე ერთხელ მოხდა ეგვიპტის ისტორიაში, დაიწყეს მომძლავრება თებეს ნომარქებმა. აპოპის მეფობის დროს ისინი თავის თავს უკვე მეფეებს ეძახდნენ. მართალია, ამ „მეფეების" ძალაუფლება მხოლოდ თებესა და მის რაიონზე ვრცელდებოდა, მაგრამ ტურინის მეფეთა სია და მანეთონი მათ ერთხმად ასახელებენ, როგორც XVII დინასტიას. დინასტიის ბოლო ორი ფარაონი უკვე აქტიურ ბრძოლას იწყებს ჰიკსოსების წინააღმდეგ – ჯერ სეკენენრა ტაო II, და შემდეგ მისი ვაჟიშვილი კამოსე. მართალია, ისინი იღუპებიან ბრძოლებში, მაგრამ კამოსეს უმცროსმა ძმამ, იახმესმა, არა მარტო საბოლოოდ განდევნა ჰიკსოსები ეგვიპტიდან, არამედ სდია შარუხენამდე, სადაც მათი აზიური ბაზა იყო, და სამწლიანი ალყის შემდეგ ისიც აიღო (Wilson, 1959, 165). ჰიკსოსებმა უდიდესი კვალი დატოვეს ეგვიპტელის ფსიქოლოგიაში. ეგვიპტელებისათვის, რომლებიც, რომაელების მსგავსად, თავის თავს სხვა ხალხებისაგან განსხვავებულ სახელს ეძახდნენ (*rmṯ*, Wb II, 423), შოკის ტოლფასი გამოდგა თვით ფაქტი, რომ მათ ქვეყანაზე არაეგვიპტელი გაბატონდა. ამის ყველაზე თვალსაჩინო დასტურია ის, რომ არ არსებობს არავითარი თანადროული ეგვიპტური წყარო, სადაც ჰიკსოსების დაპრობის პერიოდია აღბეჭდილი. ეგვიპტელები, რომლებსაც ძალიან უყვარდათ თავიანთი ისტორიის აღწერა არა მარტო პაპირუსებზე – კლდეებზე, სტელებზე, ტაძრების კედლებზე – სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, დაუღალავად აღწერდნენ თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან და არც თუ ისე მნიშვნელოვან მოვლენებს, მაგრამ ჰიკსოსებზე არ დაწერილა არც ერთი სტრიქონი. მათთვის წარმოუდგენელი იყო ამ უდიდეს დამცირებაზე რაიმეს დაწერა. მხოლოდ მომდევნო თაობების

ეგვიპტელები იგონებდნენ ამ დროს, როგორც საშინელებას, როცა ქვეყანა „რას გარეშე" იმართებოდა (Wilson, 1959, 160). ჰიკსოსებმა შეარყიეს ეგვიპტელების რწმენა ეგვიპტის უცხოელების მიერ დაპყრობის შეუძლებლობაში, გზა გაუკაფეს ეგვიპტისაკენ აზიური კულტურის მონაპოვრებს, რომლებიც, ასიმილირებული და ტრანსფორმირებული ეგვიპტის ნიადაგზე, ერთგვარად სტიმულის მიმცემი იყო ეგვიპტური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის. მათ აზიარეს ეგვიპტელები იმ დროისათვის სუკეთესო მონაპოვრებს სამხედრო საქმეში. ჰიკსოსებამდე ეგვიპტელი ნუბიის კოლონიზაციას სჯერდებოდა. აზიაში „კულტურული და კომერციული იმპერიალიზმით" კმაყოფილდებოდა, რადგან მის ხელში იყო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონის მთელი ვაჭრობა (*იქვე*, 155). განცდილი დამცირების შემდეგ ეგვიპტელში აგრესიული იმპერიალისტის სულისკვეთებამ გაიღვიძა. ეგვიპტის ფარაონებმა ახალი იარაღით აღჭურვილი, კარგად განვრთნილი არმია სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ წარმართეს და ეგვიპტე უზარმაზარ იმპერიად გადააქციეს. კელავ შეიცვალა ეგვიპტელი ფარაონის სახეც. შუა სამეფოს ფარაონების ძირითად საქმიანობას ქვეყნის შენება და ცხოვრებისეულ სიბრძნეზე მსჯელობა წარმოადგენდა, ახალი სამეფოს ფარაონები კი თავისი ფიზიკური ძალის და სამხედრო წარმატებების აღწერით არიან დაკავებული. 3. გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ეგვიპტოლოგიაში ახალმა ტერმინმა — **მესამე გარდამავალმა პერიოდმა** დაიწყო დამკვიდრება. მოიცავს დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1069-653 წლებს ე.წ. „ბრწყინვალე" საისურ პერიოდამდე, როცა ეგვიპტემ ხანმოკლედ და უკანასკნელად დაიბრუნა თავისი დიდება (XXI (ტანისური), XXII და XXIII (ლიბიური), XXIV (საისური) და XXV კუშიტური (ნუბიური) დინასტიები). მათ პარალელურად სხვაგან კიდევ იყო ადგილობრივი დინასტიები, რომელთა გავლენის სფეროები საკუთარი რეგიონებით შემოიფარგლებოდა. ეს პერიოდი ბოლო რამსესის (რამსეს XI, XX დინასტია) გარდაცვალების შემდგომი დროით იწყება, როცა ეგვიპტე ფაქტიურად ორად გაიყო. ჩრდილოეთში (ტანისში) ტახტზე XXI დინასტია ადის, სამხრეთს კი თებედან ამონის მთავარი ქურუმი მართავს. თუმცა ამ პერიოდზე ფუნდამენტური მონოგრაფიის ავტორმა კ.კიჩენმა იმედი გამოთქვა, რომ მისი წიგნი თვითონ გააუქმებდა საკუთარ სათაურს (The Third Intermediate Period in Egypt), რადგან დროის ამ მონაკვეთს არ ახლავს პირველი ორი გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი ქაოსურობა

და ამდენად, არ შეიძლება „გარდამავლად" მივიჩნიოთ (Kitchen, 1973, XI), ტერმინმა მტკიცედ დაიმკვიდრა თავი. ამ დროის ეგვიპტეს „ჩატეხილსაც" ეძახიან, რადგან ქვეყანამ უკვე ვეღარასოდეს მოხერხდა მტკიცედ გაერთიანება დროის მნიშვნელოვანი პერიოდის მანძილზე, რაც საბოლოოდ სპარსელების, შემდეგ კი ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობით დამთავრდა (Wilson, 1959, 288-290). რამსეს XI-ის მეფობის დროს სიტუაცია ქვეყანაში თანდათან გამოდის კონტროლიდან. სამხრეთი პრაქტიკულად თებეს ქურუმების ხელშია და არ ემორჩილება ტახტს. ამონის მთავარმა ქურუმმა ამონემხატმა უკვე რამსესის მეფობის პირველ ნახევარში საკუთრი თავი წარმოადგინა კარნაკის ტაძრის კედელზე, როგორც ფარაონმა, სრული რეგალიებით. მართალია, ის გადასახლებაში გაუშვეს, მაგრამ ეს პრეცედენტი თავისთავად ბევრზე მეტყველებს. სავარაუდოდ, სამხრეთ ეგვიპტეში შიმშილიც იყო. დაიწყო არეულობა, რომლის დროსაც ქვეყანაში შემოიჭრა მეფისნაცვალი კუშში, პანეხსი, რომელმაც თავისი ჯარით გაიარა თებე და მიაღწია მის ჩრდილოეთით მდებარე ჰარდაიმდე. რასაკვირველია, მეფისნაცვალს პირადი ინტერესები და გარკვეული ტერიტორიის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევის სურვილი ამოძრავებდა. ამ ბუნდოვან პერიოდში, რამსეს XI-ის მეფობის დაახლ. მეცხრამეტე წელს, თებეში ჩნდება ამონის ახალი მთავარი ქურუმი ხერიხორი. მისი წარმომავლობა უცნობია, სავარაუდოდ, ლიბიური ოჯახის წარმომადგენელი იყო. წარწერებში, რომლებიც კარნაკში, ხონსუს ტაძრის კედლებზეა მოთავსებული, კარგად ჩანს, თუ როგორ მატულობს მისი წოდებები ძალაუფლების ზრდასთან ერთად. საბოლოოდ, მან ფარაონის თითქმის სრული ტიტულატურა მიითვისა და წლების ათვლა თავიდან დაიწყო, როგორც ეს ყოველი ახალი ფარაონის გამეფებისას ხდებოდა. ეს იყო ე.წ. „რენესანსის" დასაწყისი, (ეგვ. *whm mśwt* „დაბადების გამეორება"), ტერმინი, რომელსაც ადრე მხოლოდ ახალი დინასტიის დამაარსებლები იყენებდნენ. ხერიხორი აკონტროლებდა ზემო ეგვიპტის ჯარსაც და ნუბიაში განლაგებულ გარნიზონებსაც, რამაც, სავარაუდოდ, ეგვიპტე ნუბიის საბოლოო დაკარგვამდე მიიყვანა. ჩრდილოეთში ამავე პერიოდში იკვეთება ასევე უცნობი წარმომავლობის მქონე ვინმე სმენდესი, რომელიც დელტას პი-რამსესიდან აკონტროლებდა. თუმცა რამსესი ნომინალურად ცხოვრების ბოლომდე ფარაონად ითვლებოდა, ქვეყანას რეალურად სმენდესი და ხერიხორი აკონტროლებდნენ. რამსეს XI დაკრძალეს სამარხში, რომელიც დამთავრე-

ბულიც კი არ იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის ნომინალური გაყოფა ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებად რეალობად იქცა. ჩრდილოეთში სმენდესმა თავი მეფედ გამოაცხადა. მან დააარსა ახალი, XXI დინასტია და ახალი დედაქალაქი, ტანისი. სამხრეთს განგებდნენ ამონის ქურუმები ამონის მთავარი ქურუმის მეთაურობით, სადაც კარნაკის ტაძარი და მისი სამფლობელოები უკე XX დინასტიის დასასრულისათვის ფარაონზე გაცილებით მდიდარი იყო (Grimal, 2003, 291-292). ხერიხორმა შექმნა ახალი ინსტიტუტი, რომელმაც ფარაონის ბატონობა ნომინალურად გადააქცია. მან ამონი ეგვიპტის ერთადერთ ბატონად გამოაცხადა, ფარაონები და ამონის მთავარი ქურუმები თებეში კი მის მიერ დანიშნულ მმართველებად ითვლებოდნენ, რომლებსაც დიდი ღვთაება თავის გადანყვეტილებებს კარნაკის ტაძარში ორაკულის საშუალებით ამცნობდა. სამხრეთი მთლიანად თებეს ხელში იყო, და საზღვარი ქვეყნის ორ ნაწილს შორის გადიოდა ელ-ჰიბასთან, ფაიუმის სამხრეთ შესასვლელთან, სადაც ამონის ქურუმებმა, რომლებიც იმავდროულად ქვეყნის მთავარსარდლებიც იყვნენ, ფორტი ააგეს. ტანისი აშენდა, როგორც თებეს ჩრდილოეთი ასლი. აქ აიგო თებეს ტრიადის — ამონის, მუტის და ხონსუს ტაძრები. მის, როგორც ნმინდა ქალაქის მნიშვნელობას ხაზს უსვამდა ისიც, რომ XXI დინასტიის ფარაონების სამარხები ამონის ტაძრის გალავნის შიგნით აიგო. რამდენად იყო ის პოლიტიკური ცენტრი, ცნობილი არ არის, რადგან ჯერჯერობით აქ არ არის აღმოჩენილი საცხოვრებელი სახლები და კერძო პირების ძეგლები. სმენდესის დეკრეტები მემფისიდან არის გაცემული, და სავარაუდოდ, ეს ძველი ქალაქი კიდევ ერთხელ გახდა ადმინისტრაციული ცენტრი (Shaw (ed.), 2003, 327). XXI დინასტიის დაახლ. 130-წლიანი მეფობის შემდეგ ქვეყანას ლიბიური წარმოშობის ფარაონები დაეპატრონნენ (XXII-XXIV დინასტიები, *იხ. შეშონკი, ოსორკონი, ტაკელოტი, ტეფნახტი*), რომლებიც გრაკვეული დროის მანძილზე ერთმანეთის პარალელურად მეფობდნენ. ამ დინასტიების დასასრულისათვის დელტის რუკა საოცრად დანაწევრებულად გამოიყურება. აღმოსავლეთში სულს ღაფავდა XXII დინასტია, რომელიც მხოლოდ ტანისს, ბუბასტისს და მათ მიმდებარე ტერიტორიას აკონტროლებდა. ლეონტოპოლისში XXIII დინასტიის ბოლო ფარაონი მეფობდა. დასავლეთი დელტა XXIV დინასტიის ხელში იყო. ამას გარდა, დელტის გარკვეულ ტერიტორიას ლიბიელების ოთხი ბელადი განაგებდა. შუა ეგვიპტეში თავისი „მეფეები" ჰყავდა ჰერმოპო-

ლისს და პერაკლეოპოლისს (Kitchen, 1973, § 328). ასეთ ვითარებაში ნუბიაში, რომლისთვისაც ეგვიპტეს უკვე აღარ ეცალა, მომძლავრდა ადგილობრივი სამეფო ოჯახი, რომელმაც პრეტენზია ეგვიპტის ტახტზეც გამოაცხადა. ჩვ.წ.-მდე 770 წ. მისმა წარმომადგენელმა – კაშტამ მოახერხა ეგვიპტის ტახტზე ასვლა. მისი გამეფებით იწყება XXV ნუბიური (კუშიტური) დინასტია, რომელმაც თავისი მმართველობის ქვეშ მთელი ეგვიპტე მოაქცია. შემდგომ პერიოდს (XXVI დინასტიიდან) უკვე ეგვიპტის გვიანი პერიოდი ჰქვია.

ღალმერთება – თუმცა ეგვიპტელის წარმოდგენით ღმერთის არსება ადამიანისაგან განსხვავებული იყო, მას სჯეროდა, რომ შეეძლო, მიახლოებოდა ღმერთს და სიკვდილის შემდეგ, ახად გარდასახულს, ღმერთების სამყაროში მოხვედრილიყო. ფარაონი, რომელიც ოფიციალური დოგმის თანახმად ღვთაება იყო, სიცოცხლეში გარდაისახებოდა ღმერთად, რადგან მემკვიდრედ ყოფნის დროს ის ადამიანთა მოდგმას განეკუთვნებოდა და მეფედ კურთხევის შემდეგ ხდებოდა ღმერთი. ახალი სამეფოდან სამარხებში მოთავსებულ წარწერებში ხშირად ვკითხულობთ ღმერთზე, „რომელიც არის ადამიანში". ერთ-ერთი ასეთი წარწერის მფლობელი გვამცნობს კიდევაც: „მე ვიცოდი ღმერთი, რომელიც ადამიანშია" (Bonnet, 1952, 225). ამ წარმოდგენას ეხმიანება მემფისის თეოლოგიური ტრაქტატის ტექსტი, რომელიც გვიყვება, რომ „პტახი (მემფისის კოსმოგონიის შემოქმედი ღვთაება) არის ყოველ ღმერთში, ყოველ ადამიანში, ყოველ ცხოველში და მწერში" (Junker, 1939). ახალი სამეფოდან, გარდაცვლილთა კულტის დემოკრატიზაციის შედეგად შექმნილი წარმოდგენების თანახმად, გარდაცვალების შემდეგ ღმერთად (ოსირისად) რიგითი ეგვიპტელებიც გარდაისახებოდნენ.

გებელ ადე – აბუ-სიმბელის სამხრეთით, თანამედრ. სოფ. აბაჰედასთან ფარაონმა ხორემხებმა ააგო კლდის ტაძარი, რომელიც ამონ-რას და თოტს მიუძღვნა. ამ ღვთაებებს ეთაყვანებოდნენ სიახლოვეს მდებარე დასახლებაში სახელად *Imn hrj ib* – „ამონი კმაყოფილია". აქვე ეთაყვანებოდნენ ანუკეტს და ხორის ოთხ გამოვლინებას, რომლებიც ნუბიის ოთხი მხარის ბატონებად იყვნენ წარმოდგენილი. ბიზანტიის იმპერიის დროს ტაძარი ეკლესიად იქნა გადაკეთებული და ბევრი ეგვიპტური რელიეფი დღესაც ქრისტიანული სიუჟეტის ფრესკებით არის დაფარული (Bonnet, 1952, 203).

გებელ ბარკალი – „წმინდა მთა“ ნუბიაში. ნუბიის უკიდურეს სამხრეთში, ნილოსის მეოთხე ჭორომიდან 20 კმ. ჩრდილოეთით და ნილოსიდან ერთი კმ. დაშორებით, მდებარეობს დაახლ. ერთი კმ. შემოწერილობის, სამკუთხედი მოხაზულობის, 90 მ. სიმაღლის კლდოვანი პლატო. მის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში დგას ბუნებრივად წარმოქმნილი მაღალი კლდის სვეტი. ამ უცნაური ფორმის მთას ეგვიპტელებმა რელიგიური მნიშვნელობა მიანიჭეს. ქანდაკების მსგავს ბუნებრივ სვეტს, სხვადასხვა კუთხიდან დანახულს, ისინი აღიქვამდნენ, როგორც ურეუსს ქვემო ეგვიპტის თეთრი გვირგვინით, ურეუსს მზის დისკოთი ან ამონის, ან რა-ატუმის ფალოსს. მთას ისინი უყურებდნენ, როგორც სამყაროს შექმნის წყაროს და იმავდროულად რას ურეუსის, ასევე ფარაონის ურეუსის სახლობის ადგილს და შესაბამისად მეფობის წყაროს. ეგვიპტელებმა მთა ნუბიაში ამონის მთავარ საცხოვრისად გამოაცხადეს და XVIII დინასტიიდან „წმინდა მთას“ (ეგვ. *pꜣ ḏw wʿb*) ეძახდნენ (Kendall in Bard, 1999, 325). მთის ძირში ეგვიპტელებმა დააარსეს ქალაქი ნაპატა, რომელიც ჩვ.წ.-მდე VIII საუკუნიდან ნუბიის (კუშის) სამეფოს დედაქალაქი გახდა (Bonnet, 1952, 503). ითვლება, რომ სახელი „ნაპატა“ წარმოიშვა ამონის ლუქსორის ტაძრის ეგვიპტური სახელიდან „*ipt*“ (Wb.I, 66). XIX დინასტიიდან აქაურ ღმერთს „ნაპატას ამონს“, მოგვიანებით კი „ამანაპატას“ ეძახდნენ. ეგვიპტელების აქტიურობა გებელ ბარკალთან თოტმეს III-ის დროიდან არის დაფიქსირებული. მისი მეფობის ორმოცდამეშვიდე წლითაა დათარიღებული აქ აღმართული სტელა, სადაც მოხსენიებულია როგორც ადგილობრივი დასახლება, ასევე ახლად აშენებული ეგვიპტური ფორტი. მანვე ააშენა ამონის პირველი სამლოცველო. ამონხეტეპ II-ის ამადას სტელაზე პირველად არის მოხსენიებული ქალაქი ნაპატა, რომლის კედელზე ამონხეტეპმა, როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობის დასაშინებლად, დამარცხებული სირიელი ბელადის ცხედარი ჩამოკიდა. ტაძრების მშენებლობა გაგრძელდა თოტმეს IV-ის დროსაც. ამონის სახელი მეთოდურად იყო განადგურებული ამარნას ეპოქაში, მაგრამ კვლავ აღდგა ტუტანხამონისა და ხორემხების დროს, რომლებმაც აქ ამონისადმი მიძღვნილი ტაძარი ააგეს. სეტი I-მა და განსაკუთრებით რამსეს II-მ ტაძარი გაადიდეს იმდენად, რომ ის სავარაუდოდ ამონის კარნაკის ტაძრის ნუბიური ანალოგი უნდა გამხდარიყო. XX დინასტიის დასასრულიდან (III გარდამავალი პერიოდი) ეგვიპტელთა აქტივობა ნუბიაში წყდება და ტაძრები მიტოვებულია ნაპატას სამეფოს ჩამოყალიბებამდე დაახლ.

ჩვ.წ.-მდე 800-750 წწ. ამონის კულტი კვლავ იქნა აღდგენილი ადგილობრივი ნუბიელი მეფეების მიერ, რომელთა სასაფლაო აქვე არის აღმოჩენილი და რომლებიც, როგორც ჩანს, უკვე საკმაოდ ეგვიპტიზირებულები იყვნენ. ნაპატას ელ-კურუს და ნურის ნეკროპოლისებზე სამეფო პირამიდებში დაკრძალული არიან ეგვიპტის XXV დინასტიის ნუბიელი ფარაონები და მათი დედოფლები. აქვეა უფრო ძველი, ტუმულუსიანი სამარხები, რომლებიც ნუბიის მეფეების დაახლ. ექვს თაობას ეკუთვნის (Adams, 1977, 256). პირველი აგურის ტაძარი ქვის სვეტებით ნაპატაში ალარამ ააგო. ალარა ნაპატას პირველი მეფეა, რომლის სახელის იდენტიფიცირება დღეისათვის ხერხდება (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 760-747 წწ). ტაძარი გაადიდა კაშტამ, პირველმა ნუბიელმა მეფემ, რომელიც ეგვიპტეშიც მეფობდა (დაახლ. 760-747). მისმა მემკვიდრემ პიემ (პიანხიმ) განაახლა და გაადიდა ეგვიპტური ტაძარი. კაშტას და პიეს მეფობით, რომელთა ძალაუფლება ეგვიპტეზე თებეს რეგიონის ჩათვლით ვრცელდებოდა, იწყება ეგვიპტის XXV (ნუბიური, კუშიტური ან ეთიოპური) დინასტია (O'Connor and Silverman(editors), 1994, XXXIII). პიეს ვაჟიშვილმა და მესამე მემკვიდრემ — ტახარკამ, რომელიც უკვე მთელი ეგვიპტის ფარაონი იყო, ნაპატაში ააგო ტაძრები, მიძღვნილი ხატხორის, მუტის, ტეფნუტის და სახმეტისადმი. მანვე მოათავსა ქანდაკება და ოქროთი მოვარაყებული წარწერა კლდის სვეტზე (Breasted, 1962, IV, § 897-900). ეგვიპტის ბოლო ნუბიელმა მეფემ ტანტამანიმ ააგო კიოსკი, მიძღვნილი ამონის, ნუბიური მეფის — დედუნის და გარდაცვლილი მეფეებისადმი (Kendall in:Bard, 1999, 326). მალე ამის შემდეგ ტაძრები დანვეს და ქანდაკებები გაანადგურეს. ეს და ნუბიის სხვა ფორტების თანადროული განადგურება მიეწერება ეგვიპტის XXVI დინასტიის ფარაონის, ფსამტიხ II-ის ჯარების შემოჭრას ნუბიაში ჩვ.წ.-მდე 593 წ. სავარაუდოდ, იგივე დარბევის გამო მოხდა ნუბიის სამეფო კარის უფრო სამხრეთით, მეროეში გადატანა (Kendall in:Bard, 1999, 327). ჩვ.წ.-მდე IV საუკუნეში ნუბიის მეფეებმა, ხარსიოტეფმა და შემდეგ ნასტასენმა, კვლავ მოახდინეს ძველი ტაძრების რესტავრაცია და აღმართეს სტელები, სადაც აღწერეს მათ მიერ ჩატარებული სამუშაოები. დღეს გებელ ბარკალის ტექსტები, კავას ტექსტებთან ერთად, წარმოადგენს პრაქტიკულად ერთადერთ ტექსტობრივ მასალას ნუბიის ისტორიის შესასწავლად (Кацнельсон, 1970, 9). ნუბიის მთელი ისტორიის მანძილზე გებელ ბარკალმა შეინარჩუნა უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრის მნიშვნელობა. მეროეს სამეფოს დაცე-

მის შემდეგ (ჩვ.წ. IV ს.) აქ ქრისტიანები დასახლდნენ (Kendall in-:Bard, 1999, 327). თვითონ ქალაქი ნაპატა, ნუბიის დედაქალაქის მეროეში გადატანის მიუხედავად, ძალიან დიდხანს ინარჩუნებდა ქვეყნის რელიგიური ცენტრის მდგომარეობას და ნუბიის მეფეები ჩამოდიოდნენ აქ მეროედან, რომ ნაპატას ამონს ისინი მეფობაზე „ეკურთხა".

გებელ ელ-სილსილა — (ეგვ. *Ḫnj,* Gardiner, 1947, II, 8*, სავარუდოდ სიტყვიდან *ḥnw* „ნიჩბოსანი", Wb III, 375), ადგილი ასუანიდან 40 კმ. ჩრდილოეთით, სადაც მოიპოვებოდა უმაღლესი ხარისხის სამშენებლო ქვა, ამიტომ აქაური სამტეხლოები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. დიდი რაოდენობით ტალატატი ამარნასათვის სწორედ აქ იყო მოჭრილი. იმავდროულად, მიეკუთვნებოდა ერთ-ერთ ადგილს ნილოსზე, სადაც კლდეებით შევიწროებული დიდი მდინარის წყლები განსაკუთრებით სწრაფად მოედინებოდა და ამდენად, ეგვიპტელების რწმენით წარმოადგენდა ერთ-ერთ სათავეს, სადაც ნილოსის წყლები მინიდან მოსჩქეფდა (Коростовцев, 1976, 141). ალბათ ამიტომ ახალი სამეფოდან ეგვიპტელებმა დაიწყეს აქ თავიანთი ოჯახების მოსახსენიებელი მცირე ზომის სამლოცველოების კლდეში გამოკვეთა. დასავლეთ ნაპირზე გამოკვეთილია ხორემხების, სეტი I-ის, რამსეს II-ის და მერნეპტახის სამლოცველოები (Caminos and James, 1963).

გებელენი — (ეგვ. *Ꜣnrtj,* — „ორივე კლდე", Gardiner, 1947, II, 18*), ადგილი ზემო ეგვიპტეში, ესნასა და ერმონტს შორის, ნილოსის მარცხენა ნაპირზე. აქ მდებარეობს მთა, რომელსაც თითქოს ორად გახლეჩილი კლდე ადგას თავზე. ჯერ კიდევ III დინასტიის დროს აქ აიგო ხატხორისადმი მიძღვნილი ცნობილი ტაძარი, რომლის რესტავრაცია XI დინასტიის დროს გაკეთდა. პტოლემაიოსების დროს ძველი ტაძრის ბლოკები, როგორც ჩანს, ახალი ტაძრის ასაგებად იქნა გამოყენებული (Breasted, 1962, I, § 423H). ხატხორს აქ ეთაყვანებოდნენ, როგორც „ორივე კლდის ქალბატონს (*Ḥtḥr nbt Ꜣnrtj*). გებელენის სიახლოვეს მდებარეობდა ქალაქი, რომელსაც ეგვიპტელები „ხატხორის სახლს" (*Pr Ḥtḥr*, Gardiner, 1947, II, 17*) ბერძნები კი პათირისს (Pathyris) ეძახდნენ. გებელნთან იყო ასევე ანუბისის საკულტო ადგილი, რომელსაც აქ მოიხსენიებდნენ, როგორც „თეთრი მიწის ბატონს" (Bonnet, 1952, 204, 585).

გები თავისი ნიშნით (იეროგლიფი Gb) თავზე



გების ბატი

გები – (ეგვ. *Gbb*, Wb.V, 164), გაღმერთებული კოსმიური ძალა, მიწის სიმბოლო, ჰელიოპოლისის ენეადის წევრი. ჰქონდა ანთროპომორფული სახე. ეგვიპტეში არ აშენებულა გებისადმი მიძღვნილი ტაძარი და ჰელიოპოლისის გარეთ არ გააჩნდა საკულტო ადგილი, მაგრამ იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთაება მთელ ეგვიპტეში და თითქმის ყველა მითში თვალსაჩინო ადგილი ეკავა (Коростовцев, 1976, 63). დასახელებული იყო იმ ათ ღმერთს შორის, რომლებიც ტურინის სამეფო პაპირუსის თანახმად უძველეს, „ღმერთების დროს" ეგვიპტის მეფეები იყვნენ და შესაბამისად, ეგვიპტის ტახტი და მიწა მისი, როგორც ეგვიპტის უძველესი მეფის და მიწის ღვთაების საკუთრებად და მემკვიდრეობად იყო მიჩნეული (Sethe, 1930, 74). ეგვიპტის ფარაონის ტახტს „გების ტახტი" (ეგვ. *Nś.t Gbb*, Wb II, 322) ეწოდებოდა. ტაძრის კურთხევის დროს მეფეს ეკავა ე.წ. „მეკეს სკიპტრა", რომელიც „გების მემკვიდრეობად" ითვლებოდა (Kees, 1980, 227). მემფისის კოსმოგონიური სისტემის პოლიტიკურ ნაწილში გები, როგორც ღმერთების ბატონი, მეთაურობს კრებას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს დავა ხორს და სეტხს შორის გების მემკვიდრეობასთან (ე.ი. ეგვიპტის მიწასთან) დაკავშირებით, და გები თავის ტახტს ხორს გადასცემს (Junker, 1941, 31). პირამიდების ტექსტებში ფარაონზე ვკითხულობთ, რომ მან „გების მემკვიდრეობა მიიღო" (PT 689d). გების სიმბოლო იყო ბატი, რომელიც ეგვიპტურად ჟღერდა ასევე „*gbb*" (Wb V, 164), რის გამოც მას ხანდახან მოიხსენიებდნენ, როგორც „დიდ ყიყინას", რომელმაც სოლარული კვერცხი დადო. ჰელიოპოლისის ერთ-ერთი მითის თანახმად, გებმა და ნუტმა შექმნეს კვერცხი, საიდანაც იშვა რა ბენუს სახით (Mercer, 1949, 265).

გემ-ატონი – *იხ. კავა.*

გეოგრაფია – ეგვიპტელები საკმაოდ კარგი გეოგრაფები იყვნენ. სწორედ მათ მიერ შედგენილმა ეგვიპტის ცალკეული რეგიონების აღწერამ მისცა საშუალება თანამედროვე მეცნიერებს, შეედგინათ ეგვიპტის გეოგრაფიული ლექსიკონები. ეგვიპტელების დიდ მიღწევად ითვლება გეოგრაფიული რუკების შედგენა, რომლებზეც ეგვიპტის, ნუბიის და მიმდებარე უდაბნოების ცალკეული მონაკვეთები იყო ასახული. ჩვენს ხელთ არსებული ოქროს საბადოების რუკა ხუთი ფერით არის შეფერილი და მასზე აღნიშნულია გზები, ნაგებობები და ჭები. გეოგრაფიული ინფორმაცია სპეციალურ სიტყვანებში თავს-

დებოდა. მაგ. ე.წ. რამესეუმის სიტყვანში (XIII-XIV დინ.) მოცემულია ჩრდილოეთ ნუბიის ციხე-სიმაგრეების და ზემო ეგვიპტის ქალაქების ჩამონათვალი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სიტყვანი, შედგენილი რამსეს IX ან XI-ის დროს ამენემოპეს ვაჟის, ამენემოპეს მიერ. აქ ტერმინები თემების მიხედვით არის დაჯგუფებული — ზეცა, წყალი, მიწა, მცენარეები, ცხოველები, უცხო ტომები, საკვები და სხვ. ასეთი მრავალფეროვნების გამო ის, როგორც ჩანს, დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რადგან მისი სხვადასხვა ხელნაწერის ბევრი ნაწყვეტია შემორჩენილი. დღეს მას უძველეს ენციკლოპედიას ეძახიან (Gardiner, 1947, I).

უაჯეტი, როგორც X ზემოეგვიპტური ნომის ნიშანი

გველი — ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცხოველი ეგვიპტის რელიგიასა და მითოლოგიაში. გველები ეგვიპტელისათვის ხტონიურ, პირველქმნილ შემოქმედ ძალებთან ასოცირდებოდნენ. იმავდროულად, გველი იყო შხამიანი ცხოველი, და ეგვიპტელებს ძალიან ეშინოდათ მისი კბენის. ცნობილი მითი ისიდას და რას შესახებ გვამცნობს, რომ შხამიანი გველის თავად რას ეშინოდა (Erman, 1934, 301-302). ეგვიპტელების „ოქროს ხანა", რომელსაც ეგვიპტური ტექსტები „ღმერთების დროს" ეძახდნენ, იმითაც იყო მომხიბვლელი, რომ იმ დროს „არ არსებობდა გველების კბენა" (Kees, 1933, 176). იმავდროულად, ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ლოცვით და შელოცვით შეიძლებოდა გველების მომაკვდინებელი ძალის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება. ამიტომ ეგვიპტურ მითოლოგიაში გველები როგორც კეთილ, ასევე ბოროტ საწყისს წარმოადგენდნენ. ორივე საწყისის მატარებლად გვევლინება გველის (კობრას) სახის ქალღმერთი — უაჯეტი (ეგვ. *Wꜣḍ.t*, Sethe, 1930, § 178), რომელიც წინადინასტიური ჩრდილოეგვიპტური სამეფოს დედაქალაქის, ბუტოს მფარველი იყო, გაერთიანებულ ეგვიპტეში კი, როგორც ურეუსის გველი, ფარაონის გვირგვინის სიმბოლო გახდა. მის გამოსახულებას ფარაონი, როგორც დამცველს, შუბლზე ატარებდა. როცა ფარაონს თავზე ურეუსიანი გვირგვინი ედგა, მას ქურუმი საკმეველს უკმევდა კობრის დასაწყნარებლად. ითვლებოდა, რომ ურეუსის ცეცხლოვანი შხამი ფარაონის მტრებისათვის მომაკვდინებელი იყო. ურეუსის გველის „ცეცხლოვანებამ" დააკავშირა ის მზესთან და მითოლოგიურ წარმოდგენებთან შევარდნის, როგორც გიგანტური ჩიტის შესახებ, რომლის თვალები მზე და მთვარე იყო. თანდათან ურეუსის გველი გახდა „ხორის ცეცხლოვანი თვალი", რომელიც ჰერაკლეოპოლისური პერიოდის სარკოფაგების ტექსტებში

მოიხსენიება, როგორც „ხორის ცეცხლოვანი თვალი, რომელიც წარმოქმნა ძრწოლამ და ცეცხლმა, შიშის ქალბატონი, რომელსაც სახე მისცა რამ“ (Kees, 1980, 53-54). უაჯეტი იყო ასევე მეათე ზემოეგვიპტური ნომის ნიშანი, სადაც იგივე სახელის ქალაქიც არსებობდა (Montet, 1961, 115-117). სარკოფაგების ტექსტების დროიდან (დაახლ. პირველი გარდამავალი პერიოდი) ჩნდება გველის სახის ბოროტი დემონი აპოპი, რომელიც ყოველ ღამე ებრძვის რას, როცა ციური მნათობი მიწისქვეშეთში ეშვება. აპოპის გარდა, რას მიწისქვეშეთში გველის სახის მქონე მრავალი მოწინააღმდეგე ებრძოდა. პირველქმნილ ღმერთებს ასევე გველის სახე ჰქონდათ. უკვე პირამიდების ტექსტებში ვხვდებით უძველეს გველის სახის ღვთაებას ნეხებკაუს, რომელიც ატუმის „მეტოქედაც“ კი გვევლინება, თუმცა ატუმს, ისევე როგორც ხეპრის, შეეძლო გველის სახის მიღება (Kees, 1980, 55). გველის სახე ჰქონდათ ჰერმოპოლისის ოგდოადის პირველქმნილ ქალღმერთებს ნუნეტს, კუკეტს, ხუხეტს და ამუნეტს (Sethe, 1976, 241-411). და ნაყოფიერების ქალღმერთს, თერმუტისს (Bonnet, 1952, 803). გველის სახის ქალღმერთი მერეტსეგერი, რომელსაც თებეს ნეკროპოლისში ეთაყვანებოდნენ, უფრო მფარველი, და არა საშიში ღვთაება იყო. პტოლემაიოსების დროის სატაძრო კულტტოპოგრაფიული ცხრილების თანახმად კი გვიანდელ პერიოდში ყველა ტაძარს თავისი მფარველი გველს სახის ღვთაება ჰყავდა (Kees, 1980, 57). ეგვიპტელების მიერ გველების მისტიურ ცხოველებად აღქმა იქიდანაც ჩანს, რომ სიტყვა „ქალღმერთი“ (*nṯr.t*) შეიძლებოდა გველის ნიშნით ყოფილიყო გამოწერილი ან გველის დეტერმინატივე ჰქონოდა(Wb II, 362).

ზემო ეგვიპტის გვირგვინი

გვირგვინები (ფარაონის) – ეგვიპტის ფარაონს რამდენიმე გვირგვინი ჰქონდა, რომლებშიც ეგვიპტის ხანგრძლივი და რთული ისტორიაა ასახული. მაღალი ქუდის მსგავსი **თეთრი გვირგვინი** წინადინასტიური **ზემოეგვიპტური სამეფოს** მეფეების გვირგვინი იყო. მას წინადინასტიური, ნულოვანი დინასტიის სამხრეთელი მეფეები ატარებდნენ. მისი სახელები იყო *ḥḏ.t* „თეთრი“ (Wb III, 211) და *wrr.t* (Wb I, 333), რაც ითარგმნება, როგორც „ვინც სულ უფრო დიადი ხდება“ (Sethe, 1930, 197). თეთრ გვირგვინთან იდენტიფიცირებული იყო ზემო ეგვიპტის მფარველი ქალღმერთი ელ-ქაბიდან, სვავის სახის მქონე ნეხბეტი, რომელსაც ეძახდნენ „თეთრს ელ-ქაბიდან“. სამხრეთის პოლიტიკური გამარჯვება ჩრდილოეთ ეგვიპტეზე ასახულია თეთრი გვირგვინის ეპითეტში „ძლევამოსილი თეთრი“. ფარაო-

ქვემო ეგვიპტის გვირგვინი



ზემო და ქვემო ეგვიპტის გაერთიანებული გვირგვინი



შუტ-გვირგვინი სირაქლემას ბუმბულებით

შუტ-გვირგვინი შევარდნის ბუმბულებით

ნის გარდა, თეთრ გვირგინს ატარებდნენ ღვთაებები ხორი და მინ-ამონი (Abubakr, 1937, 29, 37). ჩრდილოეთ ეგვიპტის წინადინასტიურ მეფეებს ასევე ქუდის მსგავსი, დაბალი **წითელი გვირგვინი** ჰქონდათ, ძალიან ანეული უკანა ნაწილით, რომელზეც წინ წამოშვერილი, დახვეული მავთულის მსგავსი ელემენტი იყო მიმაგრებული. მისი სახელები იყო *dšr.t* „წითელი“ (Wb V, 493) და *n.t* (Wb II, 198). მეორე სახელი ქალღმერთ ნეიტთან იყო დაკავშირებული. **ქვემო ეგვიპტის** გვირგვინთან იდენტიფიცირებული იყო ჩრდილოეთ ეგვიპტის მფარველი, კობრას სახის ქალღმერთი უაჯეტი, და ამიტომ ამ გვირგვინს, წითელი ფერის მიუხედავად, ხან „მწვანესაც“ ეძახდნენ (*wr̓ḏ.t*, Wb I, 268). უწოდებდნენ ასევე „დიადს“ (*wr.t* Wb I, 332). ღვთაებებიდან წითელ გვირგვინს ვხვდებით საისის ქალღმერთ ნეიტზე და სეტხზე (Abubakr, 1937, 56). სამხრეთის მიერ ჩრდილოეთის დაპყრობის და ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ სამხრეთის და ჩრდილოეთის გვირგვინებიც გაერთიანდა და **ერთიანი ეგვიპტის მეფეების გვირგვინი** ორივე გვირგვინის კომბინაციას წარმოადგენდა. ამ ორმაგი გვირგვინის სახელები იყო „ორივე ქალღმერთი“ (ეგვ. *Nb.tj*, Wb II, 233), რადგან მასში ნეხბეტი და უაჯეტი იყვნენ შერწყმული, და „დიადი მაგიით“ (ეგვ. *wrt ḥkꜣw*, Wb I, 328). ღვთაებებიდან ორმაგი გვირგვინით გამოისახებოდნენ ატუმი, რა და ხორი (Abubakr, 1937, 61). ქვემო ეგვიპტეში წინადინასტიურ დროს იყო კიდევ ორი გვირგვინი, რომლებიც ერკემალის და/ან ძროხის რქების და ბუმბულების კომბინაციას წარმოადგენდა. მათი საერთო სახელია **შუტ-გვირგვინი** (ეგვ. *šw.t*, Wb IV, 423). რაც ეხმიანება იგივე ულერადობის სიტყვას „ბუმბული“. განსხვავება მათ შორის ბუმბულებშია. ერთ მათგანს „ანცტის გვირგვინსაც“ ეძახიან, რადგან ამ გვირგვინის უძველესი გამოსახულება მეცხრე ქვემოეგვიპტური ნომის მფარველი ღმერთის, ანცტის თავზეა დაფიქსირებული (Sandri, 2006, 114). ერკემლის და ძროხის რქების კომბინაციას აქ სირაქლემას ორი ბუმბული ამშვენებს. მეორე შუტ-გვირგვინს წინადინასტიურ ჰელიოპოლისს უკავშირებენ. აქ რქებზე შევარდნის კუდის ბუმბულებია მოთავსებული. დინასტიურ ეგვიპტეში ეს გვირგვინები ყველაზე ადრე მეოთხე დინასტიის ფარაონის, სნოფრუს მეფობის დროს არის დაფიქსირებული. განსაკუთრებით ხშირია შუტ-გვირგვინი პტოლემაიოსების დროს, როცა მან ძალიან რთული სახე მიიღო: ის ჩვეულებრივ მზის დისკოებით და რამდენიმე ურეუსით არის დამშვენებული. ღვთაებებიდან ეს გვირგვინი გვხვდება პტახზე, ონურისზე, ამონ-რაზე, ხორზე და სობეკზე (Abubakr, 1937, 38-

ატეფ გვირგვინი



ატეფ გვირგვინი

ხეპერეშ გვირგვინი

ჰემჰემ გვირგვინი

46). ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ ზემო და ქვემო ეგვიპტის სამეფო ინსიგნიების კიდევ ერთი კომბინაცია შედგა — შეიქმნა ე.წ. **ატეფ-გვირგვინი** (ეგვ. *ꜣtf*, Wb I, 23), რომელიც შუტ-გვირგვინის და თეთრი გვირგვინის მსგავსი ზემო ეგვიპტის გვირგვინის (ე.წ. „ლერწმის გვირგვინის") კომბინაციას წარმოადგენს. ატეფ გვირგვინში ლერწმის გვირგვინი შუტ-გვირგვინის რქებზეა მოთავსებული და მას ორი მხრიდან ბუმბულებიც ამშვენებს. მისი უძველესი გამოსახულება მეოთხე დინასტიით არის დათარიღებული. შუა სამეფოდან ატეფ-გვირგვინის ფორმა თანდათან იცვლება — რქებზე და/ან მწვერვალზე მზის დისკოს გამოსახულება ჩნდება, „ლერწმის გვირგვინის" ადგილს კი თეთრი გვირგვინი იკავებს. ატეფ-გვირგვინი ღმერთების გვირგვინი იყო. განსაკუთრებით ხშირად ატეფ-გვირგვინით ოსირისი გამოისახებოდა. მას ასევე ატარებდნენ ხორი, რა, ამონი, სობეკი, პტახი, ხორსაფესი, მინი, ხატხორი, ისიდა. მეფეებიდან პირველად ატეფ გვირგვინი დაიდგა ხატშეპსუტმა (XVIII დინასტია), რის შემდეგ მისი გამოსახულებები ფარაონებზე ჩვეული გახდა. XVIII დინასტიიდან სიტყვა „ატეფი" იძენს „გვირგვინის დასხმის" მნიშვნელობას, თუმცა თვითონ სიტყვა „ატეფის" მნიშნელობა ბუნდოვანია (Abubakr, 1937, 20-21). ლურჯი **ხეპერეშ-გვირგვინი** (ეგვ. *ḫprš*, Wb III, 268) პირველად ახალი სამეფოს დროს გამოჩნდა, მაგრამ შემდეგ თითქმის ყველა გვირგვინზე უფრო ხშირად გვხვდება. ლურჯ გვირგვინს ხშირად ატარებდა ახალგაზრდა ფარაონი, განსაკუთრებით როცა ქალღმერთებთან ერთად იყო გამოსახული, ამიტომ ითვლება, რომ მასთან განახლება და ნაყოფიერება იყო დაკავშირებული (Sandri, 2006, 117). თუმცა, თითოეული გვირგვინის კონკრეტული დანიშნულება ბუნდოვანია, რადგან ერთი და იმავე საქმიანობისას (მაგ. მტრების დამარცხების სცენებში) სხვადასხვა ფარაონი შეიძლება სხვადასხვა გვირგვინით იყოს გამოსახული (Abubakr, 1937, 66-67). ახალი სამეფოდან (პირველად დაფიქსირებულია თოტმეს III-ს ხეპერეშ-გვირგვინზე) გვირგვინებზე ჩნდება უკან მიბმული ორი ლენტი. თანდათან მათი ხეპერეშ-გვირგვინთან ხმარება ხშირდება. ეხნატონთან ისინი წითელ გვირგვინზეც ჩნდება, ხორემხებთან — თეთრ გვირგვინზეც. ბოლო გვრგვინი, რომელზეც ეს ატრიბუტი თავს იმკვიდრებს, ორმაგი გვირგვინია (სეტი I). მათი დანიშნულება ბუნდოვანია (*იქვე*, 58-59). ბერძნული პერიოდიდან ჩნდება ე.წ. **ჰემჰემ-გვირგვინი** (*ḥmḥm*, Wb II, 491). ის წარმოადგენს სამი ატეფ-გვირგვინის კომბინაციას. სამივე წვერზე ზის ხორი, რომელსაც თავის მხრივ მზის დის-



დედოფლის გვირგვინი

კოები ადგას თავზე. **დედოფლის გვირგვინი** წარმოადგენდა ნეხბეტის ფრინველის სახის ქუდს, რომლის ფრთები ყურებზე იყო ჩამოშვებული. გვირგვინს მაღალი რქები და სირაქლემას ბუმბულები ამშვენებდა. ერთ-ერთი ტექსტის თანახმად (Brit. Mus.574), გარკვეულ ქურუმს ევალებოდა გვირგვინის (ამ შემთხვევაში თეთრი გვირგვინის) ყოველდღე დამზადება. ამის საფუძველზე არსებობს ვარაუდი, რომ სამეფო გვირგვინები ტილოს, ტყავის ან თექის მსგავსი ქსოვილებისაგან მზადდებოდა. როგორც ჩანს ეგვიპტელები, რომლებიც თითქმის ყველაფერში მარადიულობასთან აპელირებდნენ, არ განიხილავდნენ სამეფო გვირგვინებს ასეთი კუთხით და ისინი წარმავალი მასალისაგან მზადდებოდა. ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის არქეოლოგიურად არ არის მოძიებული (პრაქტიკულად ხელუხლებელ ტუტანხამონის სამარხშიც კი) არც ერთი სამეფო გვირგვინი (Abubakr, 1937, 25). მიუხედავად იმისა, რომ გვირგვინები წარმავალი მასალისაგან მზადდებოდა, ეგვიპტელებს სწამდათ, რომ მათში ღვთაებები (ნეხბეტი და ეჯო) იყვნენ ინკორპორირებული და სამეფო დიადემებს ჰიმნებს უწერდნენ (Erman, 1966, 10-11).

გიზე – შუა საუკუნეების არაბული ქალაქი. მისი სახელი ფართოდაა ცნობილი IV დინასტიის სამი დიდი პირამიდის გამო (ხეოფსის, ხეფრენის და მიკერინის), რომლებიც მის სიახლოვეს მდებარეობენ. აქვე იყო მემფისის ნეკროპოლისის მფარველის, მემფისის გარდაცვლილთა ღვთაების, სოკარის ტაძარი, დიდი სფინქსი (ხარმახისი), ისიდას ტაძარი, რომელიც სავარაუდოდ XXI დინასტიის დროს აიგო უფრო ძველი (დაახლ. XVIII დინასტია) ხატხორის ტაძრის ადგილას (Porter-Moss, 2003, 5); სფინქსის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა „ოსირისის, როსეტაუს ბატონის" ტაძარი (ეგვიპტური წარმოდგენით როსეტაუ მიცვალებულთა ერთ-ერთი სამყოფელი იყო).

გომბეშო – დანით განგმირული გომბეშო შუა სამეფოს მაგიურ კვერთხებზე იყო მოთავსებული. არსებობდა გომბეშოს ამულეტებიც. მათი დანიშნულება ბუნდოვანია (Bonnet, 1952, 400).

გული – მუმიფიცირების ტრადიციის გამო ეგვიპტელებმა ძალიან კარგად იცოდნენ ანატომია და შესაბამისად, გულის მნიშვნელობა ადამიანის ორგანიზმისათვის. ცნობილი სამედიცინო პაპირუსი გვამცნობს, რომ „გული სხეულის ყველა ნაკვთის შესახებ ლაპარაკობს" (Pap. Ebers 99). გულს იმდენად

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ ის იყო ერთადერთი ორგანო, რომელსაც მუმიას სხეულში უტოვებდნენ. პირამიდების ტექსტებში ვხვდებით სპეციალურ გამონათქვამებს, რომლებიც უნდა დაეხმარონ მიცვალებულს, რომ მას გული დაუბრუნდეს (PT. 3, 828-35, 2178, 1640). მაგრამ ეგვიპტელისათვის გული არა მარტო ფიზიოლოგიურად იყო მთავარი ორგანო, იგი აზროვნების და ემოციების წყაროც იყო. სია, შემეცნების ღმერთი, მათი წარმოდგენით გულში სახლობდა. ეგვიპტელს სწამდა, რომ შემეცნება, აზროვნება, შეყვარება, სიძულვილი და ა.შ. გულის საშუალებით ხდებოდა. მემფისის კოსმოგონიური სისტემის თანახმად, ამ სისტემის მთავარი ღვთაება პტახი სამყაროს შექმნისას ხმამაღლა წარმოთქვამს სამყაროს ყველა იმ ელემენტის სახელს, რომელსაც ჯერ თავის „გულში" მოიაზრებს, და ამგვარად ქმნის სამყაროს (Junker, 1940). აღსანიშნავია, რომ ეგვიპტელებს გულის აღმნიშვნელი ორი სიტყვა ჰქონდათ — „*ib*" (Wb I, 59) და „*ḥꜣ.tj*" (Wb III, 26). არსებობს მოსაზრება, რომ ეს ორი სახელი გულის ორ ფუნქციას შეესატყვისებოდა (Piankoff, 1930). საიქიო სამყაროში გარდაცვლილის განსჯა გულის ანონით ხდებოდა, რადგან ეგვიპტელები თვლიდნენ, რომ ცოდვები გულში გროვდებოდა და ამძიმებდა მას. ახალი სამეფოს დროს, როცა ე.წ. „მკვდართა წიგნში" საიქიოზე წარმოდგენებმა უფრო ჩამოყალიბებული სახე მიიღო, გულთან დაკავშირებული გამონათქვამები (BD 26-30) ისეთივე მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული, როგორც 125-ე თავი, რომელიც გარდაცვლილის განსჯასთან იყო დაკავშირებული, და წიგნის ყველა ვერსიაში თავსდებოდა (Hornung, 1999, 17).



გულის სკარაბეოსი

გულის სკარაბეოსი — უამრავი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელიც ეგვიპტელის წარმოდგენაში გულთან იყო დაკავშირებული, გადაჯაჭვულია ამულეტთან, რომელსაც „გულის სკარაბეოსი" ჰქვია. ეს იყო გულის ფორმის სკარაბეოსი, ხშირად ადამიანის თავით, რომელიც ჩვეულებრივ ქვისაგან მზადდებოდა და მას გარდაცვლილის კისერთან ათავსებდნენ. დღეს ჩვენს ხელთ არსებული უძველესი ნიმუში ეკუ თვნის ფარაონ სობეკემსაფს, რომელიც ჰიკსოსების დროს ცხოვრობდა (Bonnet, 1952, 297). ახალი სამეფოს დროიდან გულის სკარაბეოსზე, რომელიც ნეფრიტისაგან მზადდებოდა და ოქროში იყო ჩასმული, თავსდებოდა გულთან დაკავშირებული გამონათქვამი (BD 30B), რომელსაც ეგვიპტელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ. გამონათქვამი წარმოადგენდა გარდაცვლილის

მიმართვას თავისი გულისადმი: „ჩემო გულო, რომელიც მე ჩემი დედისაგან მაქვს... ჩემო გულო, რომელიც მე სხვადასხვა ასაკში მქონდა... ნუ იქნები მტრულად განწყობილი ჩემ მიმართ სამსჯავროზე... ნუ იტყვი ტყუილს ჩემ შესახებ ღმერთების თანდასწრებით, რომ გავეშუროთ იქით, საითაც ორივე მივილტვით (ე.ი. „სამუდამო ნეტარებისაკენ"). ეგვიპტური ტექსტების თანახმად, ეს უძველესი გამონათქვამი იყო, რომელიც გარდასულ დროთა ბრძენმა, ხორჯედეფმა (ხორჯედეფი ხეოფსის ერთ-ერთი ვაჟიშვილი და ბრძენი იყო, რომელსაც მკვდართა წიგნის ეპოქაში თავისი სიბრძნისათვის ეთაყვანებოდნენ) თოტის ტაძარში, ღვთაების ქანდაკების ქვეშ აღმოაჩინა (Faulkner, 1985, 14, 27). ეს ლეგენდა ხაზს უსვამს გულის სკარაბეოსის მნიშვნელობას, რადგან ეგვიპტელისათვის „სიძველე" დიდი ღვთაების ან ბრძნული გამონათქვამის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა.

დაბადება – ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ფეხმძიმობისას და მშობიარობისას ქალი და ბავშვი შეიძლებოდა ბოროტ ძალებს ემსხვერპლათ და ამიტომ მათ დაცვა ესაჭიროებოდათ. ამას მოწმობს უამრავი შელოცვა მშობიარეს და ბავშვის დასაცავად და იმისათვის, რომ მშობიარეს რძე ჰქონოდა (Lexa, 1925, II, 61). ითვლებოდა, რომ მშობიარეს ქალღმერთი თოერისი მფარველობდა. ეგვიპტური ნარმოდგენით, დაბადებისას თოტი ახალშობილის ცხოვრების წლებს მშობიარობის აგურზე წერდა (*იხ. მესხენტი*), შვიდი ხატხორი მის იღბალს განსაზღვრავდა, ხნუმი ბავშვის სხეულს ძერწავდა, ხეკეტი, კაუ და ხემსუტი კი ბავშვს მფარველობდნენ. მშობიარეს ისეთი დიდი ღმერთებიც შეიძლებოდა დახმარებოდნენ, როგორიც იყვნენ შუ და ამონი. ისინი „სიციცხლის სუნთქვას" ბავშვს უკვე დაბადებამდე ჩაპბერავდნენ. მშობიარობის შემდეგ ქალი უნდა განწმენდილიყო. ეს პროცესი 14 დღეს გრძელდებოდა (Bonnet, 1952, 208-209).

დაბადების სახლი – ბერძნული დროიდან ტაძრებში, სადაც ღმერთების ტრიადებს (მამა-დედა-შვილი) ეთაყვანებოდნენ, ჩნდება პერიპეტროსის ტიპის, შედარებით მომცრო ზომის ნაგებობა. მას ჩვეულებრივ მთავარი ტაძრის გვერდით აგებდნენ. ამ ნაგებობას უკავშირდება „დაბადების სახლის" ფუნქცია, სადაც ბავშვი-ღვთაება იბადებოდა და იზრდებოდა. შესაბამისი არაბული სიტყვის მიხდვით მას ასევე „მამიზის" (Mammisi) უწოდებენ. დაბადების სახლის წარმოშობა ბუნდოვანია, რადგან უფრო ძველ დროში მათი დანამდვილებით იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. დღეისათვის შემორჩენილი დაბადების სახლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი არქიტექტურული და რელიგიური თვალსაზრისით ედფუს, დენდერას და ფილეს ტაძრების დაბადების სახლები ითვლება (Bonnet, 1952, 209).

დაკე – მდებარეობს ფილედან 105 კმ. სამხრეთით, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე (ძველი პსელხისი, ეგვ. *Pr-srḳt* – „მორიე-

ლის სახლი"). მისი მთავარი ღვთაება იყო თოტი, რომელსაც ნუბიის მთავარმა ერგამენესმა (პტოლემაიოს IV-ის მეფობის დროს) კაპელა მიუძღვნა. თოტთან ერთად ეთაყვანებოდნენ ბიგეს და ფილეს ღვთაებებსაც, განსაკუთრებით ისიდას და ოსირისს. შემდეგი პტოლემაიოსების დროს კაპელა ტაძრად იქნა გადაკეთებული (Bonnet, 1952, 145). ჯერ კიდევ XIX საუკუნის მოგზაურები აღნიშნავდნენ ტაძრის საოცრად დახვეწილ არქიტექტურულ ფორმებს, მის მსგავსებას ფილეს ცნიბილ ტაძართან და მაღალმხატვრულად შესრულებულ წარწერებს, როგორც ეგვიპტური იეროგლიფებით, ასევე ბერძნულ ენაზე. გასული საუკუნის 60-იან წლებში იუნესკოს ეგიდით მოხდა დაკეს ტაძრის გადატანა, რადგან მას ნასერის ტბის ქვეშ ჩაძირვა ემუქრებოდა.

დაკრძალვა — გარდაცვალებასა და დაკრძალვას შორის დროის მონაკვეთს (რაც ეგვიპტეში მინიმუმ 70 დღეს — მუმიის დამზადებისათვის აუცილებელ ვადას მოიცავდა), მიცვალებულზე მრავალი რიტუალი ტარდებოდა. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ მათ გარეშე მიცვალებული ვერ გააგრძელებდა არსებობას საიქიო სამყაროში და ყველაზე უფრო ამ რიტუალების გარეშე, უცხო ქვეყანაში გარდაცვალების ეშინოდათ. სამგლოვიარო პროცესიები უკვე ბალზამირების დროს იწყებოდა. დიოდორეს (I.91) ცნობით, გარდაცვლილის ახლობლები სამგლოვიარო პროცესიებით ქალაქს უელიდნენ. დაკრძალვის დღეს სარკოფაგს, ბარკაზე დასვენებულს, საკრალურ ტბაში შეაცურებდნენ. ნაპირზე ამ დროს ნათესავები და „მსაჯული" იყვნენ შეკრებილნი, რომლებიც გარდაცვლილს დაიტირებდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ „ტბის გადაცურვა" დაკრძალვის დღეს უკვე ძველი სამეფოს ტექსტებშია დაფიქსირებული (Erman, 1923, 472). შუა სამეფოს დროს, ოსირისის კულტის აღზევებასთან ერთად, მუმიის აბიდოსში, ოსირისის სამარხთან ჩასვენების ტრადიცია ჩამოყალიბდა. მუმია, ბარკაზე დასვენებული, ნილოსით მიჰყავდათ. ეს ტრადიცია ხანმოკლე აღმოჩნდა, მაგრამ მის გამოძახილს ახალ სამეფოშიც ვხვდებით. ამ დროის გამოსახულებებზე ვხედავთ ბარკაზე მოთავსებულ სარკოფაგს ან მიცვალებულის ქანდაკებას, რომელსაც მიაცურებენ კუნძულთან საკრალურ ტბაში. კუნძულზე გამოსახული სარკოფაგი, რომელსაც ისიდა და ნეფტიდა დასტირიან, უდაოდ ოსირისის საფლავის სიმბოლო უნდა იყოს (Wrescinski, Atlas I.3, 260, 278). სამარხისაკენ მიცვალებულის სარკოფაგს ასევე ბარკაზე დასვენებულს მიასვენებდ-

ნენ. საზიდარზე დასვენებულ ბარკას ახალ სამეფომდე წითელი ხარები ეზიდებოდნენ, რაც წინადინასტიური ქვემო ეგვიპტის რიტუალის გამოძახილია (წითელი ქვემო ეგვიპტის ფერი იყო). ახალი სამეფოდან ისინი თეთრმა ძროხებმა შეცვალა (თეთრი ზემო ეგვიპტის ფერი იყო), რომლებიც ალბათ ღვთაებრივი ხესატ-ძროხის სიმბოლოს წარმოადგენდნენ. მიცვალებულის წინ გზას მათ რძეს აპკურებდნენ, რაც განწმენდისათვის და „გზის გახსნისათვის" იყო საჭირო. მიცვალებულს უკან მიჰყვებოდა ქურუმი, რომელიც საკმეველს აკმევდა. მას მისდევდნენ ნათესავები და ახლობლები, ქალები ჩვეულებრივ ტიროდნენ. პროცესიას ასრულებდა საზიდები კანოპებით, გარდაცვლილის ქანდაკებებით და მსახურები, რომლებსაც სამარხის მოწყობილობა მიჰქონდათ. განსაკუთრებული ადგილი სამარხისაკენ მიმავალ პროცესიაში ეკავა „ცხრა მეგობრის ჯგუფს", რაც სამეფო რიტუალიდან იქნა გადმოღებული. ისინი გარდაცვლილს უკანასკნელ სამსახურს უწევდნენ. მათ შეჰქონდათ სამარხში მოწყობილობა, ქანდაკებები და ყველაფერს გეოგრაფიული მხარეების შესაბამისად ანაწილებდნენ (Sethe, 1928, 222, 256). სამარხში შეტანამდე სარკოფაგს სამარხის წინ დაასვენებდნენ და დატირების ფონზე მუმიაზე „პირის გაღების რიტუალი" ტარდებოდა, რომელსაც ჩვეულებრივ სამსხვერპლო ლიტურგია ასრულებდა. საქონელი, რომელიც სარკოფაგს მიეზიდებოდა, მსხვერპლად იწირებოდა.

იეროგლიფური დამწერლობა

დამწერლობა — ეგვიპტური **იეროგლიფური დამწერლობა** მოიცავდა დაახლ. 1000 ნიშანს ძველი სამეფოს დროს, მათი რიცხვი 750-მდე შემცირდა ეგვიპტური ენის განვითარების ე.ნ. „კლასიკურ პერიოდში" (II ათასწლეული ჩვ.წ.მდე) და პტოლემაიოსების დროს კვლავ გაიზარდა რამდენიმე ათასამდე (Loprieno, 1995, 12). ყველაზე ადრეულ წარწერებში (გვიან წინადინასტიური პერიოდი, დაახლ 3300-3200 წწ.ჩვ.წ.-მე) ეგვიპტური დამწერლობა უკვე ამჟღავნებს თავის ძირითად მახასიათებლებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესად ნიშნების ფონეტიკური პრინციპით გამოყენებაა მიჩნეული. იდეა, რომ რაიმე საგნის გამოსახულება შეიძლება იყოს გამოყენებული არა მარტო ამ კონკრეტული საგნის აღსანიშნავად, არამედ იმ ბგერის (ან ბგერების) გადმოსაცემად, რომელიც ამ საგნის სახელს წარმოადგენს, ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესია კაცობრიობის ისტორიაში (აქ უპრიანი იქნებოდა მოგვეყვანა ა. გარდინერის ცნობილი მაგალითი, რომ ეგვიპტური დამწერლობის

იეროგლიფები

პრინციპით, ინგლისური სიტყვა „belief" (რწმენა) ფუტკრის (bee) და ფოთლის (leaf) გამოსახულებებით იქნებოდა შერულებული). რადგან ეგვიპტური დამწერლობა თითქოსდა ერთბაშად, ყოველგვარი ევოლუციის გარეშე ჩნდება ასეთი ჩამოყალიბებული სახით, ის გენიოსის გამოგონებად არის მიჩნეული, და ამდენად ეგვიპტური იეროგლიფების პირველი გამოჩენის დრო დღეისათვის მათი შექმნის დროდ ითვლება (Iversen, 1961, 12). ეგვიპტური იეროგლიფები გამოიყენებოდა, როგორც იდეოგრამები, ფონოგრამები და დეტერმინატივები. მზის გამოსახულება (𓇳) შეიძლება ნიშნავდეს „მზეს", და მაშინ ის იდეოგრამას წარმოადგენს. როგორც ფონოგრამა (𓇳) ის შეიძლება გამოყენებული იყოს, მაგ., სახელებში „რამსესი", „რახოტეპი" და ყველა იმ სიტყვაში, სადაც „რა" კომბინაცია არსებობს. იგივე მზის ნიშანი, გამოწერილი ისეთი სიტყვის ბოლოს, როგორიცაა, მაგ., „სინათლე", ან „დღე", არ იკითხება, მაგრამ დამატებით ინფორმაციას იძლევა სიტყვის მნიშვნელობაზე, და მაშინ ის დეტერმინატივს წარმოადგენს. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ სემიტური (მაგ. არაბული) ენების მსგავსად, ეგვიპტური ნიშნები მხოლოდ ენის თანხმოვნებს ასახავდნენ. ნიშნები ერთ, ორ და სამბგერიანია. ერთბგერიანი ნიშნების გამოგონებით, რომლებიც სრულად ასახავს დამწერლობაში დაფიქსირებულ ყველა ენის თანხმოვანს, ეგვიპტელებმა შექმნეს თეორიული შესაძლებლობა, მიეტოვებინათ ყველა სხვა ნიშანი და ფაქტობრივად ალფაბეტური დამწერლობა ჰქონოდათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, რაც იმით აიხსნება, რომ ისინი სიტყვას ენის უმცირეს კომპონენტად აღიქვამდნენ (Iversen, 1961, 18). იეროგლიფური ტექსტი შეიძლებოდა დაწერილიყო ჰორიზონტალური სტრიქონებით ან ვერტიკალურ სვეტებად, ორივე შემთხვევაში მარჯვნიდან მარცხნივ, ან მარცხნიდან მარჯვნივ. წაკითხვის მიმართულებას განსაზღვრავდა ადამიანების და ფრინველების გამოსახულებები, რომლებიც წაკითხვის მიმართულების საპირისპიროდ „იყურებოდნენ". ეგვიპტელები, რომლებიც თავიანთი დამწერლობის ერთ-ერთ თვალსაჩინო თვისებად მის დეკორატიულობას მიიჩნევდნენ, ფართოდ გამოიყენებდნენ იეროგლიფური წარწერის მიმართულების ასეთ მოქნილობას წარწერების (განსაკუთრებით ქვაზე) სიმეტრიული განთავსებისათვის სხვადასხვა გამოსახულებების ირგვლივ (Allen, 2001, 3). ეგვიპტის სპარსელების მიერ დაპყრობის შემდეგ (525 ნ.ჩვ.წ.-მდე), როცა ქვეყანამ საბოლოოდ დაკარგა დამოუკიდებლობა, იეროგლიფური ნიშნების რიცხვი თანდათან იზრდება,

რაც კულმინაციას პტოლემაიოსების დროს აღწევს და ამდენად „პტოლემაიოსების დამწერლობა", როგორც მას უწოდებენ, დღეს დამოუკიდებელ ორთოგრაფიულ სისტემად არის მიჩნეული ნიშნების კატასტროფული რიცხვის გამო, თუმცა თვითონ დამწერლობას სისტემური ცვლილება არ განუცდია. ეს იმ ფსიქოლოგიური მომენტით აიხსნება, რომელიც უცხოელი დამპყრობლების ქვეშ ყოფნამ გამოიწვია. ეგვიპტელი ქურუმები და გადამწერები, რომლებიც ამ დროისათვის იეროგლიფური დამწერლობის ცოდნის ერთადერთი მატარებლები იყვნენ, ამ ცოდნას თავიანთი პროფესიის ერთ-ერთ საიდუმლოდ მიიჩნევდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება „მითიური" და მიუწვდომელი გაეხადათ უცხოელი დამპყრობლებისათვის. ასეთი დამოკიდებულებით ეგვიპტელმა ქურუმებმა სამწუხარო გავლენა მოახდინეს შემდგომ დასავლურ ტრადიციაზე, რომელიც დიდხანს აღიქვამდა იეროგლიფებს, როგორც ალეგორიულ დამწერლობას (Iversen, 1961, 23-24). თავიანთ დამწერლობას ეგვიპტელები „ღმერთის სიტყვებს", ან „ღმერთის სიტყვის დაწერას" ეძახდნენ (ეგვ. *Mdw nṯr; sš n mdw nṯr*, Wb II, 181). ანალოგიით, ბერძნებმა მათ ჯერ „წმინდა ასოები" (hiero grammata), შემდეგ კი „ამოკვეთილი წმინდა ასოები" (ta hieroglyphica) დაარქვეს, საიდანაც მოდის ჩვენი „იეროგლიფები". იეროგლიფებით შესრულებული უკანასკნელი წარწერა, რომელიც ჩვ.წ.-ის 394 წლით თარიღდება, ნაპოვნია კუნძულ ფილეზე. იეროგლიფებს არა მარტო კვეთდნენ ან ფერადი საღებავებით ხატავდნენ ტაძრების და სამარხების კედლებზე. როგორც ჩვეულებრივი დამწერლობა, ის გამოიყენებოდა სხვადასხვა ადმინისტრაციული და სამეურნეო მასალის ჩასაწერად პაპირუსზე, ტყავზე, ოსტრაკონებზე და ხის დაფებზე. ამისათვის იყენებდნენ მელანს და ლერწმის ღეროსაგან დამზადებულ ფუნჯს. ფუნჯით სწრაფად წერის დროს იეროგლიფები ბუნებრივად კარგავდა იმ დეტალებს, რომლებიც ქვაზე წერისას აუცილებლად გამოინერებოდა, და შედეგად წარმოიქმნა ე.წ. **იეროგლიფების კურსივი**. კურსივით შესრულებული უძველესი იეროგლიფები I დინასტიით თარიღდება, მაგრამ ის საბოლოოდ III-V დინასტიის დროს ჩამოყალიბდა. ძველი სამეფოს დასასრულისათვის კურსივით უკვე წერდნენ სარკოფაგებზე და მან, როგორც კალიგრაფიულმა ხელწერამ, იცოცხლა თითქმის ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე რელიგიური ტექსტების (მაგალითად „მკვდართა ნიგნის") ჩასაწერად (Allen, 2001, 6). იეროგლიფების კურსივს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიული თვალსაზრის-



იეროგლიფების კურსივი



იერატიული დამწერლობა XII დინასტია

ით, რადგან ის წარმოადგენს შუალედურ რგოლს საკუთრივ იეროგლიფებსა და დამწერლობის გრაფიკული განვითარების შემდეგ, უმნიშვნელოვანეს ფაზას შორის, რომელიც **იერატიული დამწერლობის** სახელით არის ცნობილი და მსოფლიოში უძველესი ქიროგრაფიის (ხელწერის) განვითარებას წარმოადგენს. ტერმინი, რომელიც მოდის ბერძნული სიტყვიდან „hieratikos" („წმინდა", ან „ქურუმის"), პირველად იხმარა კლემენს ალექსანდრიელმა ჩვ.წ.-ის II საუკუნეში, როცა იერატიული დამწერლობა ყოველდღიური მოხმარებისათვის აღარ გამოიყენებოდა და ის კიდევ უფრო ახალგაზრდა ნოტაციამ, დემოტიურმა შეცვალა. მაგრამ თავისი არსებობის უმეტესი დროისათვის (იერატიული დამწერლობა კურსივის თითქმის თანადროულია), უფრო ზუსტად კი XXII დინასტიამდე, სახელი „იერატიული" მას არ შეეფერება, რადგან ყოველდღიური, რუტინული მიზნებისათვის გამოიყენებოდა (Iversen, 1961, 28). სისტემური განსხვავება იეროგლიფურ, იეროგლიფურ კურსივსა და იერატიულ დამწერლობას შორის არ არის და თანამედროვე წარმოდგენით ისინი ისეთივე მიმართებაში არიან ერთმანეთთან, როგორც დაბეჭდილი შრიფტი (იეროგლიფები), კალიგრაფიული ხელწერა (კურსივი) და სწრაფი ხელწერა (იერატიული). იერატიულით შესრულებულ ლიტერატურულ ტექსტებში პირველად ჩნდება პუნქტუაცია, როცა აზრის დამთავრებას ნერტილი მოჰყვება. კურსივი გამოიყენებოდა უფრო ოფიციალური ტექსტებისათვის, რომლებიც „მარადიულობისათვის" იყვნენ განკუთვნილი, მაგ. წარწერებისათვის სამარხში ან ლიტერატურული ტექსტებისათვის, იერატიული — ყოველდღიური მოხმარებისათვის (Allen, 2001, 6). დამწერლობის განვითარების პროცესში თანდათან ჩამოყალიბდა განსხვავება იერატიულის ტრადიციულ ლიტერატურულ ფორმას და კიდევ უფრო სწრაფად შესრულებულ ადმინისტრაციულ და სამეურნეო დოკუმენტებს შორის. ეს განსხვავება ახალი სამეფოს დროს იჩენს თავს და დაახლ. XXI დინასტიისათვის ძალიან მკვეთრი ხდება. ლიტერატურული და რელიგიური ტექსტები ისევ ძველი სტილის იერატიულით სრულდება, რომელმაც ამ დროისათვის იეროგლიფური კურსივის ფუნქცია იტვირთა და რეალურად გახდა „წმინდა დამწერლობა". ამ მიზნით ის ჩვ.წ.-ის III საუკუნემდე გამოიყენებოდა. ყოველდღიურმა ხელწერამ ძალიან სწრაფად დაიწყო განვითარება. იერატიულ დამწერლობაში ყოველი ნიშანი, თუნდაც ძალიან სქემატურად გადმოცემული, შესაბამისი იეროგლიფის ტრანსკრიფცია უნდა ყოფილიყო. ახალმა სწრაფწერამ



იერატიული დამწერლობა XX დინასტია



დემოტიური დამწერლობა

„დაივიწყა“ ეს წესი და დაიწყო ლიგატურების და შემოკლებების გამოყენება, თანდათან მოხდა ახალი ორთოგრაფიული წესების ჩამოყალიბება, რის შედეგად შეიქმნა ახალი გრაფიკული სისტემა, რომელიც **დემოტიური დამწერლობის** სახელით არის ცნობილი. ტერმინი „დემოტიური“ (ბერძნ. demotikos, „სახალხო“ ან „საერთო“) პირველად ჰეროდოტემ იხმარა. სისტემური თვალსაზრისით ახალმა დამწერლობამ შეინარჩუნა ძველი დამწერლობების ძირითადი თვისებები, მაგრამ ის უდავოდ წარმოადგენს მიღწევას, ძირითადად გამარტივების თვალსაზრისით. მართალია, დემოტიურმა შეინარჩუნა ფონოგრამები, იდეოგრამები და დეტერმინატივები, მაგრამ ძირითადად ერთ და ორ ბგერიან ფონოგრამებს იყენებდა, თვითონ ნიშნები კი მაქსიმალურად არის გამარტივებული. დემოტიური დამწერლობით ყოველთვის წერდნენ ჰორიზონტალური სტრიქონებით, მარჯვნიდან მარცხნივ. ყველაზე გვიანდელი დემოტიური გრაფიტოები, დათარიღებული ჩვ.წ. 452 წ., ნაპოვნია კუნძულ ფილეზე, ისიდას ტაძრის სიახლოვეს (Iversen, 1961, 29-30). ამის შემდეგ, თუმცა ეგვიპტური ენა ჯერ კიდევ ცოცხლობდა, ეგვიპტური დამწერლობის ყველა სახეობა დავიწყებას მიეცა, რადგან ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ საბოლოოდ დასრულდა ეგვიპტურ ენაზე ბერძნული ალფაბეტის „მორგების“ პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ ელინისტურ ხანაში დაიწყო. შედეგს წარმოადგენდა ე.წ. კოპტური, სახელი, რომლითაც დღეს ეგვიპტური ენის განვითარების ბოლო ფაზას და მის დამწერლობას მოიხსენიებენ. კოპტური ალფაბეტი მოიცავს 31 ასოს (ბოჰაირული დიალექტი 32-ს), მათგან 25 ბერძნულია, 6 ასო (ბოჰაირულში 7) ნაწარმოებია დემოტიურიდან სპეციფიურად ეგვიპტური ბგერებისათვის. კოპტური ენა და დამწერლობა აქტიურად გამოიყენებოდა ქვეყანაში ჩვ.წ. პირველი ათასწლეულის დასასრულამდე, ვიდრე ის საბოლოოდ არ განდევნა არაბულმა (Loprieno, 1995, 11), თუმცა ღვთისმსახურება კოპტურ ქრისტიანულ ტძრებში ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში კოპტურ ენაზე მიმდინარეობდა.

დასავლეთი – ეგვიპტელთა წარმოდგენით, გარდაცვლილთა სამუდამო განსასვენებელი დასავლეთის მხარეში მდებარეობდა, სადაც, როგორც ისინი თვლიდნენ, ყოველდღე ჩაესვენებოდა ქვესკნელში მზე, რომ შემდეგ, განახლებული, თავიდან აღზევებულიყო ყოველ დილას.

დაფის თამაშები — ეგვიპტეში უძველესი დროიდან არსებობდა. ერთ-ერთი თამაში — სენეტი (ეგვ. *sn.t*, Wb III, 453) უკვე ნინადინასტიურ პერიოდში და I დინასტიის დროს არის დაფიქსირებული. სენეტის დაფა, რომელიც შაშის წინამორბედად არის მიჩნეული, ოცდაათი უჯრედისაგან შედგებოდა, რომელზეც ფიგურები კამათელზე დამჯდარი რიცხვის შესაბამისად გადაადგილდებოდა. ეგვიპტის ისტორიის ყველა პერიოდიდან შემონახულია დაფის თამაშების მოთამაშეთა გამოსახულებები. ისინი იმდენად პოპულარული იყო, რომ გარდაცვლილსაც ატანდნენ სამარხში და დღეისათვის ორმოცდაათამდე ასეთი დაფაა ნაპოვნი. ტუტანხამონის სამარხში სპილოს ძვლის და ებენის ხისაგან დამზადებული სენეტის ოთხი დაფაა აღმოჩენილი (http://www.kingtutshop.com). ახალი სამეფოდან, როცა ეგვიპტური რელიგია ძალიან გართულდა და გაჩნდა უამრავი წიგნი საიქიოზე (ამდუატი, ქვაბულების წიგნი და სხვ.), სენეტი, რომელიც აქამდე უბრალო გასართობი თამაში იყო, იმქვეყნიური სამყაროს სიმბოლოდ გადაიქცა, სადაც ყველა უჯრედს სპეციფიკური დატვირთვა ჰქონდა. პირველ უჯრედს „თოტის სახლი" დაერქვა, რადგან ითვლებოდა, რომ ის აცხადებდა საიქიოში ახალი გარდაცვლილის ჩასვლის შესახებ. ბოლო უჯრედი რა-ხორახტის ეკუთვნოდა, რადგან ყოველ დილას ქვესკნელიდან კვლავ ცაში აღზევდებოდა. მოთამაშეები, რომლებიც თამაშის დასრულებისას რიტუალურად უერთდებოდნენ მზის ცაში აღზევებას თავიანთ სიცოცხლეში, გარდაცვალების შემდეგაც უფრო დაზღვეულებად მოიაზრებოდნენ (Piccione, 1980, 55-58). დაფის თამაშები მითებშიც არის მოხსენიებული. მითის თანახმად, თოტმა მთვარეს სწორედ დაფის თამაშში მოუგო წლის ის დრო, რომლისგანაც ეგვიპტური წლის ხუთი ეპაგომენალური დღე შექმნა (Bonnet, 1952, 806).

ორი ეგვიპტელი თამაშის დროს

დაშური — მემფისის ნეკროპოლისის ყველაზე სამხრეთი ნაწილი, საქქარადან 10 კმ. დაშორებით. ადგილს სახელი დაერქვა ორი ახლომდებარე არაბული სოფლის მიხედვით (დაშური და მინსატ-დაშური), რომლებიც თავის მხრივ კოპტური ტაჰსურის (Tahsur, ბერძნ. Takuris) გამოძახილს წარმოადგენს. აქაა პირამიდა ადრე ძველი სამეფოდან — ე.წ. „მოხრილი" ან „მოლუნული" („bent") პირამიდა, რომელიც III დინასტიის ფარაონს, ჰუნის მიეწერება, და IV დინასტიის ფარაონის, სნოფრუს ე.წ. „რომბოიდული" და „წითელი" პირამიდები. „წითელი" პირამიდა, რომელიც წითელი ქვით არის მოპირკეთებული, ამ ტიპის პირველი

ნაგებობაა, სადაც პირამიდამ თავისი კლასიკური ფორმა მიიღო. დაახლოებით ამავე პერიოდში დაშურში აიგო რამდენიმე კერძო პირის სამარხი; მათ შორის სნოფრუს ერთ-ერთი ვაჟიშვილის, კანეფერის სამარხი საკმაოდ ახლოსაა სნოფრუს წითელ პირამიდასთან. ამის შემდეგ დაშურში წყდება მშენებლობები შუა სამეფომდე. მრავალი საუკუნის შემდეგ, ადგილი თავისი პირამიდისათვის XII დინასტიის ფარაონმა ამონემხატ II-მ კანეფერის სამარხის სიახლოვეს შეარჩია. მისი პირამიდის დასავლეთით, სამეფო ოჯახის წევრების სამარხებს შორის, აღმოჩენილია მისი ორი ქალიშვილის სამარხი, სადაც დიდი რაოდენობით ძვირფასეულობა იქნა ნაპოვნი. მის შემდეგ, სნოფრუს პირამიდის ჩრდილოეთით, ააგო პირამიდა სენუსერტ III-მ, უფრო სამხრეთით კი თავისი პირამიდის აგება ამონემხატ III-მ დაიწყო, მაგრამ მან მიატოვა მშენებლობა, თუმცა ამონემხატის ე.წ. „შავი" პირამიდა, სნოფრუს პირამიდების შემდეგ, დაშურის უმნიშვნელოვანეს ღირშესანიშნაობად არის მიჩნეული, მისი პირამიდიონი კი კაიროს მუზეუმშია გამოფენილი. მის სიახლოვეს მდებარეობს XIII დინასტიის ფარაონის, ხორის პირამიდა, რომელიც ნაწილობრივ იყო გაძარცვული, და ქალბატონის (შესაძლოა მისი ქალიშვილის), ნებხეტეპ-ხერედის სრულიად ხელუხლებელი სამარხი. დაშურში XIII დინასტიის კიდევ რამდენიმე პირამიდაა, რომელთაგან ჯერ მხოლოდ ფარაონ ამენი-ქემაუს ნახევრად დანგრეული პირამიდაა გათხრილი. სენუსერტ III-ის და ამონემხატ III-ის პირამიდებს შორის იყო პირამიდების ქალაქი, რომელიც დიდი პრივილეგიებით სარგებლობდა ჯერ კიდევ პეპი I-ის დროს. XIII დინასტიის შემდეგ დაშურის, როგორც სამეფო ნეკროპოლისის ფუნქციონირება წყდება. მის ჩრდილოეთ ნაწილში ნაპოვნია ახალი სამეფოს პერიოდით დათარიღებული კერძო პირების სასაფლაო (http://www.ancient-egypt.org).

დახლა – დახლას ოაზისი, ხარგას ოაზისთან ერთად, ქმნის დიდ ოაზისს ეგვიპტის სამხრეთ-დასავლეთით, ლიბიის უდაბნოს სამხრეთში. ბერძნულ-რომაულ დროში მათ „დიდ ოაზისს" (oasis major) ეძახდნენ (Bonnet, 1952, 145). ოაზისები ერთმანეთთან დაახლ. 120კმ. საქარავნო გზით იყო დაკავშირებული. მეორე, ჩრდილო-დასავლეთით მიმავალი საქარავნო გზა დახლას ფარაფრას, სივას, ბაჰრიას და ფაიუმის ოაზისებთან აკავშირებდა. უძველესი დროიდან განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენებოდა მესამე გზა, რომელიც დახლას ოაზისიდან უშუალოდ ნილოსის დაბლობამდე მიდის. ეგვიპტის კავშირი დახლას ოაზისთან უკვე

არქაული პერიოდიდან არის დაფიქსირებული. ეგვიპტელები უძველესი დროიდან იყვნენ დაინტერესებული სამხრეთით მდებარე ოაზისებით მათი ნუბიასთან სიახლოვის გამო. VI დინასტიისათვის დახლას ოაზისი უკვე სრულად იყო ანექსირებული და ის ეგვიპტის ადმინისტრაციული ქსელის ნაწილი გახდა (Grimal, 2003, 87). გვიანი ძველი სამეფოს დროისათვის ადგილობრივი (ე.წ. შეიხ მუფტას) კულტურა სრულებით ქრება. გადასახადებს ოაზისი იხდიდა ღვინით, ხილით, მინერალებით და ქსოვილებით. ახალი სამეფოდან ოაზისის დედაქალაქი იყო მუტი (დღეს მუტ ელ-ხარაბი). აქ მდებარეობდა სეტხის დიდი ტაძარი, რომელიც უდაბნოს და ოაზისების ღმერთი იყო. ტაძრის გრანდიოზული გალავნის (8მ. სიმაღლის და 5მ. სიგანის) ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. გავრცელებული იყო ასევე ამონის კულტიც, რადგანაც ამონი ყველა ოაზისის მფარველ ღვთაებად იყო მიჩნეული. დღეს ძნელი დასადგენია, თუ რამდენად ცნობდა ადგილობრივი ლიბიური მოსახლეობა ეგვიპტის ღმერთებს, მაგრამ ლიბიელებთან კონფლიქტი, რომელიც სხვადასხვა სიმძაფრით იჩენდა თავს ეგვიპტის ისტორიის მანძილზე, მუდმივ პრობლემებს ქმნიდა დასავლეთ ოაზისებშიც, რომლებზეც მუდმივი კონტროლი იყო დაწესებული (Hope, 2001, 29-46)

დეგოდი – მდებარეობს ასუანიდან 15 კმ. სამხრეთით. ჩვ.წ.-მდე II საუკუნის დასაწყისში ნუბიის მეფემ აზეხრამონმა აქ ააგო მცირე ზომის კაპელა, რომელიც ტაპეტის ამონს (*t3-ḥ.t*, შესაძლოა ამ ადგილის ძველი დასახელება) და ისიდას მიუძღვნა. პტოლემაიოს VI-მ კაპელა გაადიდა და ტაძრად გადააკეთა. ტაძრის მორთულობა დაასრულეს რომის იმპერატორებმა ავგუსტემ და ტიბერიუსმა (Bonnet, 1952, 149). ასუანის კაშხალის აგების დროს, როცა ბევრ ეგვიპტურ ტაძარს წყლის ქვეშ ჩაძირვა დაემუქრა და იუნესკოს ეგიდით ბევრი ტაძარი მიმდებარე ტერიტორიაზე გადაიტანეს, ეგვიპტის მთავრობამ დებოდის ტაძარი ესპანეთს აჩუქა იმ დიდი დახმარებისათვის, რომელიც ესპანეთის მთავრობამ გაუწია ეგვიპტეს გრანდიოზული აბუ სიმბელის ტაძრის გადასარჩენად. ტაძარი გადაიტანეს ესპანეთში, მადრიდში, როზალესის პარკში, სამეფო სასახლის სიახლოვეს, სადაც ის 1972 წლიდან ყველასათვის ღიაა (http://www.ancient-egypt.co.uk/debod/index/htm).

დედოფალთა ველი – ახალი სამეფოს ფარაონების ცოლების და შვილების ნეკროპოლისი, რომელმაც ფუნქციონირება

XVIII დინასტიიდან დაიწყო. ადგილის არაბული სახელია ბიბან ელ-მელეკატი ან ვადი ელ-მელეკატი, „დედოფალთა ჭიშკარი" ან „დედოფალთა ველი". მდებარეობს დასავლეთ თებეს სამხრეთ ნაწილში, მედინეტ ჰაბუს სამხრეთ დასავლეთით. აქ დღემდე მოჩქეფს ჩანჩქერი, რომელსაც ეგვიპტელები „ციურ წყლებს" (*mw n p.t*) ეძახდნენ. ადგილის ეგვიპტური სახელი *„t3 št nfrw"* ტრადიციულად ითარგმნება, როგორც „მეფის შვილების ადგილი", რადგან დედოფალთა ველზე არა მარტო დედოფლები, არამედ მეფის შვილებიც (ქალიშვილები და ვაჟიშვილები) იმარხებოდნენ, მაგრამ შეძლება ითარგმნოს ასევე, როგორც „ლამაზი ადგილი" ან „სამეფო სამარხების ადგილი", რადგან XVIII დინასტიიდან *„nfrw"*-მ „სამეფო სამარხის" მნიშვნელობაც მიიღო. დღეისათვის დედოფალთა ველის ძირითად ტერიტორიაზე 90-მდე სამარხია აღმოჩენილი. მის ჩრდილოეთით, პატარა მდელოზე, არის კლდეში გამოკვეთილი ტაძარი, მიძღვნილი ჰტახის და მერეტსეგერისადმი. ამავე მიდამოში მდებარეობს „სამი შახტის ველი", სადაც თოტმესიდების პერიოდის სამარხებია აღმოჩენილი. აქვეა ბიზანტიური პერიოდის მონასტერი (დეირ ელ-რუმია), აგებული რომაული დროის სამლოცველოს ფუნდამენტზე. დედოფალთა ველის სამხრეთ ნაწილს უფლისწულ იახმესის ველი ეწოდება. აქ არის ახალი სამეფოს დასაწყისის დროინდელი სამარხები. არქეოლოგიური სამუშაოები დედოფალთა ველზე დაიწყო იტალიურმა მისიამ 1903-1905 წწ., რომელმაც რამსეს II-ის საყვარელი მეუღლის, ნეფერტარის და მისი ვაჟიშვილების, ამონჰერხოფშეფის, ხაემუასეტის და სეტჰერხოპშეფის სამარხები (XIX დინასტია) აღმოაჩინა. იტალიურმა მისიამ გაასუფთავა ასევე XVIII დინასტიის სამარხები, რომლებიც ეკუთვნოდა ვეზირ იმხოტეპს, XVII დინასტიის ფარაონის, ტაო II-ის ქალიშვილს იახმესს, სამეფო საჯინიბოების ზედამხედველს ნებირის და უცნობ უფლისწულ იახმესს. არქეოლოგიური სამუშაოები დედოფლის ველზე განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. დედოფალთა ველის უძველესი სამარხები XVIII დინასტიით თარიღდება. ამ დროის სამარხები შედგება კლდეში გამოკვეთილი რამდენიმე განყოფილებისაგან. ყველა დასრულებულია, მაგრამ მათი კედლები მოხატული არ არის. XIX დინასტიიდან, როცა აქ დეირ ელ მედინას ხელოსნები იწყებენ მუშაობას, სამარხებს მეტი ყურადღება ექცევა. ეს მდიდრულად მოხატული სამარხები (მათ სიუჟეტებს ძირითადად მკვდართა წიგნის თემატიკა წარმოადგენს) საოცარ კონტრასტს ქმნის XVIII დინასტიის სადა სამრხებთან შედარე-

ბით. აქ არის რამსეს I-ის მეუღლის, სიტრას სამარხი და სეტი I-ის მიერ გამოკვეთილი რამდენმე სამარხი. მისი მეფობით არის დათარიღებული ასევე რამდენიმე დედოფლის და მეფის ასულის სამარხი, რომლებიც იდენტიფიცირებული არ არის. რამსეს II-ის ოჯახის წევრების სამარხები დედოფალთა ველის ჩრდილოეთ ნაწილშია გამოკვეთილი. ნეფერტარის გარდა, აქ აღმოჩენილია მისი დედის, ტუის, და მისი ქალიშვილების – ნებეტტაუის, ნებეტამონის, ბენტანტას, ჰენეტმირას და ჰენუტტაუის სამარხები, ამას გარდა კიდევ ერთი მეფის ასულის სამარხი, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება და რომელიც შემდეგ რამსეს IV-ის დედოფლის, დუატენიპეტის სამარხად გადაკეთდა. დედოფალთა ველის შუაგულში აღმოჩენილია რამსეს II-ის მეფობით დათარიღებული სოფელი, რომელშიც, როგორც ჩანს, ცხოვრობდნენ დეირ ელ-მედინას ხელოსნები განსაკუთრებით აქტიური სამუშაოების პერიოდებში. რამსეს III-ის მეფობის დროს სამარხებს კვეთდნენ უფრო დაბლა, კლდის ფერდობის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისი მეფობით თრიღდება რამდენიმე უფლისწულის (ამონჰერჰოპსეფის, რამსეს-მერიამონის, ხაემუასეტის და სხვ.) და მისი ორი დედოფლის, ისიდას (რამსეს IV-ის დედა) და ტიტის სამარხები, რომელიც, სავარაუდოდ, ზემოთ მოხსენიებული უფლისწულების დედა იყო. ტურინის პაპირუსში დასახელებულია ექვსი სამარხი, რომლებიც რამსეს VI-ის დროს არის გამოკვეთილი, მაგრამ ჯერჯერობით ისინი აღმოჩენილი არ არის. XXI დინასტიის შუახანებიდან, როცა ეგვიპტის ეკონომიკური მდგომარეობა შეირყა, გახშირდა სამარხების ძარცვა და დედოფალთა ველზეც ბევრი სამარხი გაიძარცვა (მათ შორის დედოფალ ისიდას სამარხიც), ქურუმებმა, როგორც ჩანს, გადამალეს დედოფლების და მათი შვილების მუმიები სამალავებში, შესაძლოა ველის გარეთ, როგორც ეს მოხდა ფარაონების მუმიების შემთხვევაში, რომლებიც დეირ ელ-ბაჰარის სამალავში იქნა აღმოჩენილი. ამით ხსნიან ფაქტს, რომ XIX-XX დინასტიების სამარხებში არ იქნა აღმოჩენილი არც ერთი მუმია. XXI დინასტიიდან და შემდგომ, დაცარიელებულ სამარხებში დაიწყეს თებეს ამონის ტაძრის უმცროსი რანგის ქურუმების, მომღერლების, მებაღეების, მეყვავილეების და სხვ. დაკრძალვა. განსაკუთრებით აქტიურად იყენებდნენ სამარხებს რომაულ პერიოდში. ზოგიერთ სამარხში 100-ზე მეტი რომაული მუმია იქნა აღმოჩენილი (Bard, 1999, 833-836).

დედოფალი – განსხვავებით ფარაონისაგან, რომელიც ღვთაე-

ბა იყო, დედოფალი „ღვთაების დედად", „ღვთაების მეუღლედ" ან „ღვთაების შვილად" იყო მიჩნეული, რადგან მისი ფარაონი მამის, შვილის ან ქმრის ღვთაებრიობა მის ძალაუფლებასთან, და არა მის პიროვნებასთან იყო დაკავშირებული (Bonnet, 1952, 388). მაგრამ შესაძლოა გამომდინარე იმ მაღალი მდგომარეობიდან, რომელიც ეგვიპტეში ქალს ეკავა, დედოფლის ფაქტორი უდიდესი იყო სამეფო მემკვიდრეობითობისათვის. მონოგამიურ ეგვიპტეში ფარაონს პოლიტიკური და რელიგიური მიზეზების გამო ბევრი მეუღლე, მაგრამ მხოლოდ ერთი დედოფალი ჰყავდა. ტახტის ლეგიტიმურ მემკვიდრეებად მხოლოდ მთავარი მეუღლის (დედოფლის) შვილები ითვლებოდნენ. დედოფალი ჩვეულებრივ „ღვთაების (ე.ი. ფარაონის) შვილი" უნდა ყოფილიყო, და ამდენად ფარაონის და, ან ნახევარი და იყო. ფარაონის ვაჟიშვილი „მეორე რიგის" ცოლისაგან არ ითვლებოდა ტახტის კანონიერ მემკვიდრედ და მისი ლეგიტიმირება მხოლოდ დედოფლის ქალიშვილზე ქორწინებით იყო შესაძლებელი, რადგან თუმცა თვითონ დედოფალი არ ითვლებოდა ღვთაებად, ეგვიპტელთა წარმოდგენით, „ღვთაებრიობა" ფარაონზე სწორედ დედოფლის ხაზით გადადიოდა. ასეთი წარმოდგენის გამო ეგვიპტურ სამეფო ოჯახებში დამკვიდრდა „შიდა ოჯახური" ქორწინებები და ხშირად მომხდარა კონფლიქტები, როცა ფარაონს და დედოფალს საერთო ვაჟიშვილი არ ჰყავდათ. ყველაზე ცნობილი ასეთი კონფლიქტებიდან არის კონფლიქტი ხატშეპსუტსა და თოტმეს III-ს შორის, როცა იმ მიზეზით, რომ თოტმეს III-ის დედა „ღვთაებრივი სისხლის" გადამცემი დედოფალი არ იყო, ხატშეპსუტმა მოახერხა მისი ტახტიდან ჩამოგდება და თითქმის ჩვიდმეტ წელს იმეფა, როგორც ფარაონმა. დედოფალს ჰქონდა რეგენტის სტატუსი მცირეწლოვანი ფარაონის მეფობის დროს, რაც უკვე I დინასტიის დროს არის დაფიქსირებული, როცა დედოფალი მერნეიტი მცირეწლოვანი დენის რეგენტი იყო, და ასეთი შემთხვევები ბევრია. მეფის ინსტიტუტი (შესაძლოა კი ეგვიპტელის აზროვნება) იმდენად მოქნილი აღმოჩნდა, რომ თუმცა ის თავისი არსებით მამაკაც მეფეებს ითვალისწინებდა, რადგან ფარაონი ჯერ კიდევ წინადინასტიური დროიდან მამრ ღვთაებასთან, ხორთან იყო გაიგივებული, მან ქალი-ფარაონის ლეგიტიმურობაც დაუშვა. ასეთი შემთხვევები, ბუნდოვანი ნიტოკრისის გარდა (ძველი სამეფო), სულ სამია ცნობილი: სობეკნეფრუ (XII დინასტიის დასასრული), ხატშეპსუტი (XVIII დინასტია) და ტაოსრეტი (XIX დინასტიის დასასრული).

დედუნი – (ეგვ. *ḏdwn*, Wb V, 502), ნუბიური წარმოშობის ღვთაება, რომელიც ეგვიპტეში უკვე პირამიდების ტექსტებში გვხვდება. მისი ეპითეტი იყო „ზემო ეგვიპტის ყრმა, რომელიც ნუბიიდან მოდის". მისი წარმოშობა ბუნდოვანია. შესაძლოა, ჰქონდა რომელიმე მტაცებელი ფრინველის სახე და ეგვიპტეში ამიტომ ხორის შევარდნის სახე მიიღო. ითვლებოდა, რომ მას მოჰქონდა საკმეველი სამხრეთიდან (Morenz, 1972, 234). უკვე პირამიდების ტექსტებში იყო საკმევლის ბატონი, რომელსაც „დედუნის სურნელს" ეძახდნენ (PT 803). ითვლებოდა ასევე, რომ მას სამხრეთიდან ფარაონებისათვის ძვირფასეულობა მოჰქონდა და ეხმარებოდა ნუბიის დაპყრობაში. კარნაკის ტაძრის ერთ-ერთ პილონზე მოთავსებულ გამოსახულებაზე დედუნი თოტმეს III-ს 115 დამარცხებული ნუბიური დასახლებული პუნქტის სიას წარუდგენს (Breasted, 1962, II, § 646). ეგვიპტეში დედუნს არ ჰქონდა საკულტო ადგილი, მაგრამ შუა სამეფოს დროს ეგვიპტელებმა აუგეს ტაძარი სემნაში, რომელიც მაშინ ნუბიაში ეგვიპტის გავლენის სამხრეთ საზღვარს წარმოადგენდა. აქ მას ეთაყვანებოდნენ, როგორც ტრიადის წევრს, რომლის წევრებიც მის გარდა ხნუმი და გაღმერთებული ფარაონი სენუსერტ III იყვნენ (Коростовцев, 1976, 318). მოგვიანებით მას ჰქონდა საკულტო ადგილები აბუ სიმბელში და ფილეზეც, სადაც ეთაყვანებოდნენ, როგორც არენსნუპისის ერთ-ერთ ფორმას, რამაც ალბათ გავლენა მოახდინა მის იკონოგრაფიაზე. აქ ის გამოისახებოდა ან ლომის თავით, ან ანთროპომორფულად, ღმერთის წვერით (Bonnet, 1952, 153).

დეირ-ელ-ბაჰარი – ადგილი თებეს ნეკროპოლისში, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, ლუქსორის მოპირდაპირე მხარეს. პირველმა აქ თავისი მოსახსენიებელი ტაძარი ააგო XI დინასტიის და შუა სამეფოს პირველმა ფარაონმა, მონტუხოტეპ II-მ, რომელმაც საბოლოოდ გაამთლიანა ეგვიპტე ხანგრძლივი დაქუცმაცების პერიოდის შემდეგ. მისი ტაძარი უჩვეულო კონსტრუქციის იყო. ის ტერასებად იყო განლაგებული კლდის ფერდობზე და 16მ. სიგანის გზით დაკავშირებული მეორე, დაბლობზე აგებულ ტაძართან. მის შემდეგ აქ ააგო თავისი მოსახსენიებელი ტაძარი XVIII დინასტიის დედოფალმა ხატშეპსუტმა. ნიშანდობლივად არის მიჩნეული, რომ დედოფალმა, რომელიც თავისი კონსერვატიული, წარსულის მოდელზე აგებული სახელმწიფოს მართვის პოლიტიკით არის ცნობილი, ადგილი წარსულის დიდების შარავანდედით მოსილი მონტუხოტეპის ტაძრის გვერდით აირჩია

და თავისი ნაგებობისათვის მისი მსგავსი, ტერასებიანი კონ-სტრუქცია შეარჩია (Wilson, 1957, 166, 175). ტაძრის არქიტექტორი იყო ხატშეპსუტის ფავორიტი სენმუტი. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი დღეს ძალიან დაზიანებულია (მისი დაზიანება უკვე თოტმეს III-მ დაიწყო, როცა ტახტის დაბრუნების შემდეგ შურს იძიებდა ხატშეპსუტზე, Wilson, 1957, 177), დღეს ხატშეპსუტის ტაძარი მსოფლიოს ერთ-ერთ ულამაზეს ტაძრად არის მიჩნეული. ამ ორი ტაძრის უკან, დაახლოებით მათ შორის, მდებარეობს თოტმეს III-ის მიერ ამონისადმი მიძღვნილი სატაძრო კომპლექსი. ის იმდენად იყო დაფარული ღორღით და ნაგვით, რომ მხოლოდ 1961 წ. იქნა აღმოჩენილი. დეირ-ელ-ბაჰარისთან უკვე ჩვენი დროის სენსაციაც არის დაკავშირებული. XIX საუკუნის 70-იან წლებში კაიროს ბაზარზე დაიწყო გამოჩენა საოცრად დახვეწილმა, მაღალმხატვრულად შესრულებულმა ნივთებმა. მაშინდელი ეგვიპტური სიძველეების სამსახურის უფროსი, ცნობილი ეგვიპტოლოგი გ. მასპერო დარწმუნებული იყო, რომ ნივთები რომელიმე ფარაონის უცნობი სამარხიდან იყო, მაგრამ მძარცველების კვალს ვერაფრით ვერ მიაგნეს. საბოლოოდ, ოჯახში მომხდარი განხეთქილების გამო, ერთ-ერთმა ქურდმა თვითონ გაუმხილა ეგვიპტურ პოლიციას სამალავის შესახებ. XXI დინასტიის დროს დასუსტებული სახელმწიფოს ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას გარდასურ დროთა ფარაონების საფლავების საოცრად გახშირებული ძარცვა წარმოადგენდა. ფარაონების მუმიების გადასარჩენად, ქურუმებმა ისინი სხვადასხვა ადგილას გადამალეს: თოთხმეტი მუმია მოათავსეს ამონხეტეპ II-ის სამარხში მეფეთა ველზე, ოცი კი განსაკუთრებულ სამალავში დეირ-ელ-ბაჰარის სამხრეთ ნაწილში. სწორედ ამ სამალავს მიაგნო აპმედ აბდ ელ-რასულმა დაკარგული თხის ძებნაში. სხვათა შორის, სამალავში აღმოჩენილი იქნა იახმეს I-ის, ამონხეტეპ I-ის, სამი თოტმესის (I, II და III), სამი რამსესის (I, II, IX) და სეტი I-ის მუმიები. ცოტა მოგვიანებით დეირ ელ-ბაჰარიში აღმოაჩინეს სამალავი, სადაც 153 ქურუმის მუმია იყო გადამალული (Mysliwiec, 2000, 35-40). პტოლემაიოსების დროს ხატშეპსუტის ტაძრის ნიშებში დაარსდა წმინდანებად შერაცხული, გარდასულ დროთა ორი ბრძენის სამლოცველო: ჯოსერის საფეხუროვანი პირამიდის არქიტექტორის, იმხოტეპის და ამონხეტეპის, ხაპუს შვილის, რომელიც ამონხეტეპ III-ის სამშენებლო სამუშაოების არქიტექტორი იყო. ქრისტიანულ პერიოდში აქ იყო კოპტური მონასტერი. სწორედ მისმა სახელმა (ad-dayr al-bahri, „ჩრდილოეთის მონასტერი") მისცა ამ ადგილს

სახელი, რომელსაც დღეს ვეძახით (http://www.touregypt.net/ featurestories/bahri.htm).



ქერძო პირთა სამარხები დეირ-ელ-მედინაში (რეკონსტრუქცია)

დეირ-ელ-მედინე — (არაბული სახელი) ადგილი უდაბნოში თანამედროვე ლუქსორის დასავლეთით, ნილოსის მარცხენა ნაპირზე, კულტივირებული მინიდან თითქმის ერთი კილომეტრის დაშორებით, სადაც ახალი სამეფოს დროს (XVIII-XX დინასტიები) სამეფო სამარხების ხელოსნების სოფელი მდებარეობდა. დღეს ძველი ეგვიპტის ქალაქების და სოფლების უმეტესი ნაწილი გრუნტის წყლების ან თანამედროვე დასახლებების ქვეშ არის მოქცეული, და ამდენად დეირ ელ მედინე, რომელიც თავისი სპეციფიური დანიშნულების გამო უდაბნოში იყო განთავსებული და თითქმის იდეალურად არის შენახული, თავისთავად უნიკალური მოვლენაა. მისი წყალობით გაირკვა, რომ ხელოსნები, რომლებიც ფარაონების სამარხებში მუშაობდნენ, თანამედროვე გაგებით საშუალო ფენას განეკუთვნებოდნენ (Lesko (ed), 1994, 13). თუმცა მათ არ ჰქონდათ საკუთარი მიწები, იმდენად შეძლებულები იყვნენ, რომ საკუთარი მსახურებიც კი ჰყავდათ (Hodel-Hoenes, 2000, 241). პირველი პაპირუსები სოფლის ტერიტორიაზე 1840-იან წლებში იპოვეს. 1905-1951 წლებში აქ ჯერ იტალიური, შემდეგ კი ფრანგული მისია მუშაობდა. გაითხარა მთელი სოფელი, სოფლის სასაფლაო და სანაგვე. აქ აღმოჩენილმა მასალამ, მათ შორის პაპირუსებმა, ურიცხვი რაოდენობის ოსტრაკონმა და სოფლის მცხოვრებთა სამარხებმა (მათ შორის იყო ხელშეუხებლებიც) ერთი ეგვიპტური სოფლის გასაოცარი 400-წლიანი ისტორია გაამჟღავნა. სოფლის ეგვიპტური სახელი იყო *Š.t Mꜣʿ.t* — „მაატის ადგილი". ის დაახლ. 6600 კვ.მ. მოიცავდა და მაღალი (დაახლ. 6 მ. სიმაღლის და 1.5 მ. სისქის) გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გალავნის შიგნით დაახლ. 70 სახლი იყო განლაგებული, მის გარეთ — კიდევ 40-50 სახლი. სახლები 3-4 ოთახისაგან შედგებოდა. მათ ჰქონდათ უკანა ეზო, რომელიც სამზარეულოს ფუნქციასაც ასრულებდა. ჩრდილოეთის ჭიშკართან მდებარეობდა ჭა, რომელსაც წყლის მზიდავები ავსებდნენ (Bierbrier, 2003, 65). სოფელი თებეს ნეკროპოლისის სამხრეთ ნაწილს ეკუთვნოდა და დაახლ. მეფეთა და დედოფალთა ველებს შორის იყო მოქცეული. სამხრეთი ჭიშკარი უყურებდა მედინეტ ჰაბუს, სადაც რამსეს III-ის დიდი ტაძარი იყო. ამ ჭიშკრიდან ხელოსნები დედოფალთა ველზე სამუშაოდ მიდიოდნენ. ჩრდილოეთი ჭიშკარი იყო უახლოესი გზა კულტივირებული მიწისაკენ, სადაც ისინი საყიდლებზე ან სხვა

საჭიროებისათვის დადიოდნენ. აქედან იწყებოდა გზა მეფეთა ველისაკენ, რომელიც მათ მთავარ სამუშაო ადგილს წარმოადგენდა. სავარაუდოდ, სოფელი თოტმეს I-ის დროს დაარსდა, რადგან გალავანში არის აგურები მისი სახელით, მიტოვებული იყო ეხნატონის დროს, მაგრამ შემდეგ ისევ დაიწყო აქტიური ფუნქციონირება. სოფლის მოსახლეობას წარმოადგენდა სახელმწიფო სამსახურში მყოფი ქვის მთლელები, მხატვრები და არქიტექტორები თავიანთი ოჯახებით. აქვე ცხოვრობდნენ სამუშაოების უფროსები, რომლებიც მოსახლეობისაგან შემდგარ ორ სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ, და ერთი ან ორი გადამწერი. აქვე იყვნენ დურგლები, მჭედლები, მექოთნეები და ექიმი, რომელიც აქ „ნახევარ განაკვეთზე" მსახურობდა. მომსახურე პერსონალს შეადგენდნენ წყლის მზიდავები, მეთევზეები, მებაღეები, მრეცხავები და ფქვილის დამფქველები. გასამრჯელოს ისინიც სახელმწიფო ხაზინიდან იღებდნენ. მომსახურე პერსონალი გალავნის გარეთ ცხოვრობდა. თვითონ სოფელი მედინეტ ჰაბუს ადმინისტრაციის მიერ იმართებოდა. თუმცა დაძაბული მუშაობის პერიოდებში სოფელს ახალი სამუშაო ძალა ემატებოდა, ძირითადად მისი მოსახლეობა სტაბილური იყო და მამები თაობების განმავლობაში სამუშაო ადგილებს თავიანთ შვილებს გადასცემდნენ. მათ არ ჰქონდათ არავითარი ნათესავური კავშირი სამეფო ან არისტოკრატიულ ოჯახებთან და მათი სამუშაო უდავოდ მძიმე იყო, მაგრამ გასამრჯელო – აშკარად საკმაოდ მაღალი, რასაც ემატებოდა შემოსავალი „კერძო" დაკვეთებიდან სამარხებისათვის ავეჯის, სტელების და სხვ. დასამზადებლად. სოფლის სასაფლაოზე (იქვე ახლოს მდებარე კლდეებში) საკუთარი ოჯახური სამარხების გამოკვეთის და მოხატვისათვის ხელოსნები იყენებდნენ მეფეების და დედოფლების სამარხებისათვის განკუთვნილ ძვირადღირებულ სპილენძის იარაღებს და საღებავის პიგმენტებს. ცნობილი არ არის, ეს ნებადართული იყო თუ თვითნებურად ხდებოდა (Leskо(ed.), 1994, 12-13). სამარხებში ნაპოვნი ავეჯი და სხვა მონყობილობა ასევე ცხოვრების მაღალ დონეზე მეტყველებს. სამარხების კედლებზე მოთავსებულია სცენები მკვდართა წიგნიდან, სადაც საიქიოს მინდვრებში თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, სამკაულებით და ყვავილების დიადემებით მორთული ხელოსნები და მათი ცოლებია გამოსახული. აქვეა ნაპოვნი ეგვიპტური ხიზუსტით წარმოებული ადმინისტრაციული ჩანაწერები, საიდანაც ვიგებთ, რომ ხელოსნები ისვენებდნენ ყოველ მეათე დღეს (ეგვიპტური თვე სამი აღდლიანი „კვირისაგან" შედგე-

ბოდა) და დღესასწაულების დროს. მათ ასევე შეეძლოთ მოეთხოვათ დასვენება ავადმყოფობის გამო. ზოგიერთ შემთხვევაში ეგვიპტური გადამწერის მიერ მითითებულია: „დაეზარა წასვლა“ (Hodel-Hoenes, 2000, 246). სოფელში ნაპოვნი ლიტერატურული პაპირუსები და ოსტრაკონები ხელოსნების მიერ ერთმანეთისათვის მიწერილი ბარათებით მეტყველებს იმაზე, რომ მოსახლეობის საკმაო ნაწილი წერა-კითხვის მცოდნე იყო (Bierbrier, 2003, 78). რამესიდების ეპოქაში, როცა ეგვიპტის ეკონომიკური მდგომარეობა შეირყა და ხელოსნებს უგვიანებდნენ გასამრჯელოს, ისინი აწყობდნენ გაფიცვებს, რომლებიც მსოფლიო ისტორიაში უძველესია. ერთ შემთხვევაში საქმეში ვეზირიც (ქვეყანაში მეორე კაცი ფარაონის შემდეგ) კი ჩაერია. მისი საგანგებო ბრძანებით გაიხსნა კარნაკის ტაძრის საწყობები გაფიცულების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად (ხვედელიძე, 2009). XXII დინასტიის შემდეგ, როცა სამეფო რეზიდენცია თებედან ჩრდილოეთით, ტანისში იქნა გადატანილი, სოფელი ავტომატურად გაუქმდა.

დეკანები (დეკანების მნათობები) — (ეგვ. *bꜣk.tj*, Wb I, 430). ეგვიპტური საერო კალენდრის მიხედვით წელიწადი 12 ოცდაათდღიანი თვისგან შედგებოდა, რომელსაც 5 ეპაგომენალური დღე ჰქონდა დამატებული (30x12+5=365). ყოველი თვე სამ ათდღიან „კვირად“ იყო დაყოფილი. ყოველი ახალი კვირის დასაწყისის დადგენა ეგვიპტელებმა ძალიან ადრე, უკვე მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარში დაიწყეს, ვარსკვლავების საშუალებით. ცა მათ 36 ნაწილად დაყვეს და თითოეულ ნაწილს თითო ვარსკვლავი ან ვარსკვლავთა ჯგუფი შეუსაბამეს. თითოეული მათგანის კულმინაცია (უმაღლეს წერტილზე ასვლა) ახალი დეკადის მაუწყებელი იყო, რის გამოც მათ ბერძნებმა „დეკანები“ დაარქვეს. ეგვიპტელები ყოველ დეკანს თავის სახელს ეძახდნენ. მათი სახელები წერილობით პირველად ჰერაკლეოპოლისური პერიოდის (პირველი გარდამავალი პერიოდი) დროის სარკოფაგებზეა დაფიქსირებული (Bonnet, 1952, 153), მაგრამ, სამწუხაროდ, უმეტესი მათგანის იდენტიფიცირება დღეს ვერ ხერხდება (Ruggles, 2005, 12). ბერძნები დეკანებს „36 ღმერთსაც“ ეძახდნენ, რაც ასევე ეგვიპტური ტრადიციის გამოძახილი იყო, რადგან დეკანების უძველეს ეგვიპტურ ცხრილში ისინი „ზეცის 36 ღმერთად“ არიან მოხსენიებულნი (Lacau, 1906, 109) (*იხ.* კალენდარი).

დემონები – ეგვიპტელებს სწამდათ არსებების, რომლებიც ღმერთებს და ადამიანებს შორის მოიაზრებოდნენ და გარკვეული ძალებით იყვნენ დაჯილდოებულნი. სპეციალური სიტყვა მათი სახელისათვის არ იყო. მოიხსენიებოდნენ, როგორც წითელთვალიანები, თეთრკბილებიანები და სხვ. წერისას უსვამდნენ ღმერთის დეტერმინატივს (Bonnet, 1952, 146). ყველაზე მეტი ინფორმაცია მიწისქვეშეთის 42 დემონზე გაგვაჩნია. ისინი ქმნიდნენ მსაჯულთა ტრიბუნალს ოსირისის სამსჯავროზე, რომლის წინაშეც, ეგვიპტელთა წარმოდგენით, გარდაცვალების შემდეგ ყველა წარსდგებოდა. თვითეულ მათგანს ერთი ცოდვის „ჩადენის" ან „არ ჩადენის" საკითხი უნდა „გაერკვია", მიცვალებულს კი უნდა დაემტკიცებინა, რომ მას არ ჰქონდა ჩადენილი ის 42 ცოდვა, რომლებიც ეგვიპტური მორალის კოდექსს ეწინააღმდეგებოდა (Yoyotte, 1961, 59-61). თუ გარდაცვლილის უცოდველობა დამტკიცდებოდა, მას ენიჭებოდა წოდება „მართალი ხმით" (ეგვ. *mꜣʿ ḫrw*, Wb II, 15). ასეთ გარდაცვლილს მარადიული ნეტარება ელოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას გადაყლაპავდა „დიდი მშთანთქმელი" და სამუდამოდ წყვეტდა არსებობას, „არ-არსებული" ხდებოდა, რისიც ეგვიპტელებს ყველაზე უფრო ეშინოდათ. ეგვიპტელების შიშს 42 დემონის მიმართ მათი სახელებიც ამჟღავნებს: „ნისკარტიანი", „სახით საშიში", „ძვლის მსხვრეველი", „სისხლის მშთანთქმელი" და ა.შ (Hart, 2005, 33).

დენდერა – (ეგვ. *Ṯwn wꜥt*, Wb I, 54), მეექვსე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი და ხატხორის თაყვანისცემის მთავარი საკულტო ადგილი. ხატხორს „დენდერას ქალბატონს" ეძახდნენ. დენდერას ტაძრის კედელზე წარწერის თანახმად, რამ, რომელიც ხატხორის მამა იყო, შეუქმნა მას დენდერა ჰელიოპოლისის სანაცვლოდ (ჰელიოპოლისის ეგვ. სახელია *Ṯwnw*, „t" ეგვიპტურში მდედრობითი სქესის ნიშანია). ბერძნულ დროში ქალაქს მოიხსენიებდნენ ასევე, როგორც „ქალღმერთს" (ეგვ. *Tꜣ-nṯr.t*), საიდანაც წარმოიშვა ბერძნული Tantyra და თანამედროვე დენდერა. დღეს ძველი დენდერას ნაქალაქარის სიახლოვეს პატარა არაბული ქალაქი დენდერა მდებარეობს (Коростовцев, 1976, 107). დენდერა დასახლებული იყო უკვე წინადინასტიური დროიდან, მაგრამ დღეს ის თავისი ულამაზესი ხატხორის ტაძრის გამო არის ცნობილი. ტაძრის მშენებლობა დაიწყო ბოლო პტოლემაიოსების დროს (ჩვ.წ.-მდე I საუკუნეში), ძველი ტაძრის ფუნდამენტზე. ტაძრის მშენებლობა იმპერატორმა ტიბერიუსმა დაასრულა. ტაძარს შემოვლებული აქვს აგურის გალავანი,

რომლის ოთხივე კედელი 280მ. სიგრძისაა. გალავნის გარეთ აღმოჩენილია წინადინასტიური და პირველი გარდამავალი პერიოდის სასაფლაოები, ასევე XVII დინასტიის და ბერძნულ-რომაული დროის სამარხები და VI დინასტიით დათარიღებული დიდი მასტაბა. დენდერაში იყო ხატხორის საკრალური ძროხების სასაფლაო, რომელიც ჯერ აღმოჩენილი არ არის. ტაძრის მინისქვეშა განყოფილების კედელზე მოთავსებული წარწერის თანახმად, მისი ნახაზი, რომელიც „ღმერთების დროს" შეადგინეს, შემთხვევით იპოვეს ზანდუკში, მეფის სასახლეში, ფარაონ ხეოფსის დროს. ტაძრის რესტავრაცია მოახდინეს ჯერ პეპი I-მა (VI დინასტია), შემდეგ კი თოტმეს III-მ (XVIII დინასტია). აქვე ჩამოწერილი დენდერას დღესასწაულები ეთანხმება ამონხეტეპ I-ის დეკრეტში მოხსენიებულ დღესასწაულებს. ის, რომ ტაძარი აქ უძველესი დროიდან იდგა და მისი რესტავრაცია მუდმივად ხდებოდა, ჩანს სხვადასხვა ფარაონების დროინდელი ბლოკებიდან, რომლებიც ახალ ნაგებობაშია გამოყენებული, თუმცა ფარაონ ხეოფსის კვალი ნაპოვნი არ არის. ერთადერთი მთლიანი ნაგებობა, რომელიც ახალ ტაძარზე ძველია, არის ნექტანებოს I-ის (XXX დინასტია) მიერ აგებული დაბადების სახლი. აქ ეთაყვანებოდნენ ასევე ისიდას, რომელსაც საკუთარი ტაძარი ჰქონდა გალავნის შიგნით, სამხრეთ მხარეს. თვითონ ხატხორის ტაძრის სახურავზე აგებულია ოსირისის ექვსი პატარა სამლოცველო, სადაც მისი აღდგომის დღესასწაულს ზეიმობდნენ (Bard, 1999, 252-254).

დენი – (ეგვ. *Dn* ასევე უდიმუ, Emery, 1961, 73, ჩვ.წ.-მდე XXIX ან XXVIII ს.), I დინასტიის მეხუთე ფარაონი. მეფობდა ჯეტის შემდეგ. მისი სახელის მნიშვნელობა და წაკითხვა დადგენილი არ არის, თუმცა ზოგი თარგმნის, როგორც „გაშლილი ფრთებით" (Helck, 1968, 32). ბგერების ეს კომბინაცია „წყლით ავსებასთანაც" არის დაკავშირებული (Wb V, 464). ითვლება I დინასტიის უმნიშვნელოვანეს ფარაონად, რომლის მეფობა წინგადადგმული ნაბიჯია კულტურული და პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. ფარაონის ტიტულატურაში პირველად ჩნდება ელემენტი, რომელიც ითარგმნება, როგორც „ორმაგი მეფე" ან „ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფე" (ეგვ. *nsw.t bj.tj*, Wb.II, 330), რაც უდავოდ ფარაონის კულტთან დაკავშირებულ ცელილებებზე მეტყველებს. სავარაუდოდ, მის დროს ჩნდება ორმაგი გვირგვინი, რომელიც ქვემო ეგვიპტის თეთრი და ზემო ეგვიპტის წითელი გვირგვინების კომბინაციას წარმოადგენს, თუმცა

ზოგიერთის აზრით ეს სიახლე შესაძლოა მისი წინამორბედის, ჯეტის დროს უკვე არსებობდა (Wilkinson, 1999, 76). მისი მეფობის დროს წარწერებზე ჩნდება მისი „დაბადების სახელიც" (*იხ. „ტიტულატურა"*, Helck, 1968, 32). უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს შემდეგი: დენის მეფობამდე ფარაონის და რაიმე უწყების მოხელის სახელები ერთად იყო მოთავსებული საბეჭდავებზე, მაგრამ ახლა მოხელის სახელი ქრება და ფარაონის სახელის გვერდით მხოლოდ მისი მოხელის თანამდებობა შეიძლება მოთავსდეს (Helck, 1968, 32). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ფარაონის „ღვთაებრიობის ხარისხი" იზრდება. იგი იმდენად დიდი ღვთაება ხდება, რომ მისი სახელი არ შეიძლება ჩვეულებრივი მოკვდავის სახელის გვერდით მოთავსდეს. დენის სამარხში, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია აბიდოსის სამარხებს შორის, ასევე ჩნდება სიახლე — კიბე, რომელსაც შესასვლელიდან დასაკრძალ კამერამდე მივყავართ. ეს ცვლილება, რომელიც აადვილებდა სამარხის მოვლას, ამის შემდეგ დაინერგა როგორც სამეფო, ისე კერძო პირების სამარხებში. სამარხის იატაკი წითელი და შავი გრანიტის ფილებით არის მოპირკეთებული. ეს არის მაგარი ქვის სამშენებლო სამუშაოებში გამოყენების პირველი შემთხვევა ეგვიპტეში. მისი სამარხის ირგვლივ ნაპოვნია 136 ქალის და მამაკაცის საფლავი, რომლებიც, სავარაუდოდ, ფარაონს „გააყოლეს" საიქიოში. ეს ტრადიცია I დინასტიის დასასრულთან ერთად ქრება და ფარაონებს სამარხებში უკვე ადამიანის ფიგურებს ატანენ. დენის დროს იწყება ასევე რიცხვების აღმნიშვნელი იეროგლიფების გამოყენება სხვადასხვა მიზნებისათვის (მაგ, გადასახადების დათვლისას და სხვ.) დენის დროს დრამატულად იზრდება ელიტური სამარხების რიცხვი (მოძიებულია 30-ზე მეტი), რამაც გამოიწვია აუცილებლობა, გახსნილიყო ახალი სასაფლაო მემფისის ნეკროპოლისის ჩრდილოეთ კიდეზე, აბუ როაშში. მოხელეების ასეთი რაოდენობა, რომლებსაც შეეძლოთ აეგოთ გრანდიოზული, მდიდრულად მორთული სამარხები, მიუთითებს არა მარტო დენის ხანგრძლივ მეფობაზე, არამედ ცვლილებებზეც სახელმწიფოს მართვაში და ადმინისტრაციულ მოწყობაში. ცალკე უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი დიდებულის, ჰემაკას უზარმაზარი სამარხი, რომელსაც, სავარაუდოდ, ფარაონის კარზე უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. აქ მოძიებულ ძვირფას ნივთებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრგვალი ხის ყუთი, რომელშიც ისტორიაში უძველესი პაპირუსის გრაგნილებია აღმოჩენილი (წარწერის გარეშე) (Emery, 1938). დენის ინტერესე-

ბის სფერო სცილდებოდა ეგვიპტეს. ნაპოვნია ხუთი ფირფიტა, რომლებიც მოგვითხრობს მის სამხედრო რეიდებზე სამხრეთ პალესტინაში, თუმცა დღეს შეუძლებელია დადგენა, ეს რეალური თუ რიტუალური რეიდებია. დენი არის პირველი ფარაონი, რომელიც დაფიქსირებულია სინაიზე (Wilkinson, 1999, 76). საკმაოდ ბევრია მოთხრობლი მის შესახებ პალერმოს ქვაზეც, თუმცა ჩვენს ხელთ არსებულ ნაწილზე მისი მეფობის მხოლოდ მეორე ნახევარია მოთავსებული. სხვადასხვა წლებში აქ ლაპარაკია მთელი მოსახლეობის აღრიცხვაზე (რაც შესაძლოა ასევე მიუთითებს ადმინისტრაციულ ცვლილებებზე), ტაძრის საფუძვლის ჩაყრაზე, სახელად „ღმერთების ტახტები", ამავე ტაძრის ტბის საზეიმო გახსნაზე, რომელსაც თან ახლდა რიტუალური „ბეპემოტის მოკვლა". x + 10 წელს დაარბიეს ადგილი სახელად Werka, რომლის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. მოხსენიებულია ასევე ქალღმერთების სეშატის და მაფდეტის დაბადების ზეიმი და აპისის რბოლა (Schäfer, 1902, 18-21). როგორც ჩანს, დენის მეფობა ხანგრძლივი იყო, რადგან ახლად აღმოჩენილ ქვის ჭურჭლის ფრაგმენტზე მოხსენიებულია მისი მეორე ხებსედი (Wilkinson, 1999, 76). დენს აიგივებენ მანეთონის უსეფაიდოსთან, რომელსაც მანეთონი 20 წელს ანიჭებს, თუმცა თანამედროვე რეკონსტრუქციით მას მეფობის 42 წელს მიაწერენ (Helck, 1987, 160-162). ტახტზე ალბათ ძალიან ახალგაზრდა ავიდა, რადგან მეფობის პირველ წლებში რეგენტის ფუნქციას მისი დედა, დედოფალი მერიტნეიტი ახორციელებდა. მისი მეფობა, სავარაუდოდ, ყველაზე წარმატებული იყო I დინასტიის დროს და ის მრავალი საკუნის შემდეგაც ახსოვდათ. 1500 წლის შემდეგ შედგენილ ებერსის სამედიცინო პაპირუსში ერთ-ერთი რეცეპტი დენის მეფობით არის დათარიღებული, და ის ახალი სამეფოს დროს შედგენილი „მკვდართა წიგნის" 64-ე თავშიც არის მოხსენიებული (Emery, 1961, 80).

დერი – კოროსკოდან 16 კმ. დაშორებით (ქვედა ნუბიაში) რამსეს II-მ ააგო კლდის ტაძარი, სახელად „რამსესის ტაძარი რას სახლში", რომელიც რას და თავის თავს მიუძღვნა. ეს არის ერთადერთი კლდის ტაძარი, რომელიც ფარაონმა ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე ააგო. ტაძრის პილონი დაკარგულია. ის შედგება ორი ჰიპოსტილური დარბაზის და სამგანყოფილებიანი წმინდათა წმინდა საკნისაგან, სადაც რას, პტახის და რამსეს II-ის ქანდაკებები იყო მოთავსებული (Baines and Malek, 1982, 183). ასუანის კაშხალის აგებისას დერის ტაძარს ემუქრებოდა ჩაძირ-

ვა ნასერის ტბაში, ამიტომ ის სხვა, უფრო ამაღლებულ ადგილზე გადაიტანეს.

ДІОСПОЛІСІ — ბერძნები ეძახდნენ რამდენიმე ქალაქს. 1. **Diospolis magna** (*იხ. თებე*). 2. **Diospolis parva** იყო მეშვიდე ზემოეგვიპტური ნომის მთავარი ქალაქი. მდებარეობდა ნაქადადან 45 კმ. ჩრდილო-დასავლეთით. ქალაქის ეგვიპტური სახელი იყო ხუტ სეხემუ (*Ḥwt Šḫmw*), მოგვიანებით — ხუტ სეშეშეტი (*Ḥwt Šššt*). ორივე სახელი „სისტრუმის სახლს" ნიშნავს. ეგვიპტური სახელი არეკლილია თანამედრ. არაბული დასახელების სახელში „ჰუ". თვითონ ნომის სახელიც სისტრუმის ნიშნით გამოიწერებოდა (Montet, 1961, 93). ადგილობრივი ქალღმერთი ძალიან ადრე შეერწყა ხატხორს, რომელიც ქალაქის მთავარი ღვთაება გახდა. მოგვიანებით ქალაქი ნეფტიდას დაბადების ადგილად შერაცხეს, რომელსაც ისიდასთან ერთად აქ თავისი საკულტო ადგილი ჰქონდა. ქალაქში იყო ამონის კულტი და ნიანგის კულტი, რომელსაც უძველესი ისტორია ჰქონდა (Bonnet, 1952, 158). ნინადინასტიურ პერიოდში ქალაქი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დასახლება იყო, რაც ნარმოჩნდა 1898-9 წწ. ამ მიდამოებში ფ. პეტრის მიერ წარმოებული სამუშაოებით, როცა გაითხარა ნაქადა III-ის დროინდელი ექვსი სასაფლაო და სოფელი (Bard, 1999, 25). დღეს ქალაქიდან მხოლიდ ბერძნულ-რომაული პერიოდის ორი ტაძრის ნანგრევია შემორჩენილი (Petrie, 1901). 3. **Diospolis Inferior** იყო ქალაქი XVII ქვემოეგვიპტურ ნომში, ნილოსის დელტის დამიეტის ტოტის სამხრეთ-დასავლეთით, თანამედროვე თელ ელ-ბალამუნის ადგილზე, რომელშიც არეკლილია ქალაქის ეგვიპტური სახელი *Pꜣ Iw Ꜥmn*, „ამონის კუნძული". ქალაქის მთავარი ღვთაებები იყვნენ ამონი და მუტი. აქ შემორჩენილი რამესიდების დროინდელი ტაძრის ნანგრევები შესწავლილი არ არის (Bonnet, 1952, 158).

ДОДЕКАСХОІНІ — 130 კმ. სიგრძის ტერიტორია ჩრდილოეთ ნუბიაში, დაახლ. ნილოსის პირველ და მეორე ჭორომებს შორის, კუნძულ ფილედან მახარაკამდე. როგოც ჩანს, ნექტანებოს I-ის დროიდან ეს ტერიტორია ოსირისის და ისიდას სამფლობელოდ ითვლებოდა. ამ დროისათვის მათი უმნიშვნელოვანესი ტაძრები ეგვიპტის უკიდერეს სამხრეთში, ფილეზე და ბიგეზე მდებარეობდა. პტოლემაიოსების პერიოდში დოდეკასხოინის მთელი შემოსავალი შედიოდა ისიდას ტაძარში კუნძულ ფილეზე. პტოლემაიოსები დაინტერესებულები იყვნენ დოდეკასხოინზე

კონტროლით, რადგან მახარაკადან გადიოდა საქარავნო გზები ვადი ალაკის ოქროს მაღაროებისაკენ, რომლებსაც ინტენსიურად ამუშავებდნენ ელინისტურ პერიოდში (Кацнельсон, 1970, 201, 203).

დუატი — (ეგვ. *dꜣ.t*, Wb V, 415), მიცვალებულთა ერთი-ერთი ადგილსამყოფელი. პირამიდების ტექსტებში მისი მდებარეობა ბუნდოვანია — იგი ხან ქვესკნელში მოიხსენიება, ხან ზეცაში. ახალი სამეფოდან ეს არის ქვესკნელი, რომელიც ეგვიპტური სამყაროს ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ითვლებოდა, რომ ნილოსი დუატიდან მოედინება, მზე კი საღამოს დუატში ჩაესვენება. ახალი სამეფოს დროს იქმნებოდა წიგნები იმის აღწერით, თუ რა ხდებოდა დუატში (*იხ. ამდუატი*).

დღესასწაულები — ეგვიპტელებს ძალიან ბევრი დღესასწაული ჰქონდათ. ისინი იყო რელიგიური ან საერო, საერთო მთელი ქვეყნისათვის ან მხოლოდ გარკვეულ ტაძართან ან ადგილთან დაკავშირებული. შესაბამისად, ყოველი ტაძრის სადღესასწაულო კალენდარი განსხვავებული იყო. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეგვიპტეში დღესასწაულები, რომლებიც ქვეყნისათვის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებთან იყო გადაჯაჭვული, როგორიცაა ნილოსის ადიდება, მოსავლის აღება, ცაში სირიუსის გამოჩენა. ზეიმობდნენ ასევე წლის, სეზონის, თვის და დეკადის დასაწყისს. მთვარესთან დაკავშირებული იყო ახალი, მეოთხედი, სავსე და ბოლო მეოთხედი მთვარის და ახალი სინათლის დღესასწაულები. ზეიმობდნენ ასევე წლის დამასრულებელ დღეს. მას ჩვეულებრივ ხუთი დიდი ღვთაების დაბადების დღეებად მიჩნეული ეპაგომენალური დღეების დღესასწაულები მოყვებოდა. მენესის მიერ დაარსებული „კედლის შემოვლის“ დღესასწაული, რომელიც მის მიერ დაფუძნებული მემფისის გარშემო საზეიმო მსვლელობას წარმოადგენდა და ქვეყნის გაერთიანების აღსანიშნავად იყო ჩაფიქრებული, გვიანდელ პერიოდამდე შემორჩა. ყოველწლიურად აღინიშნებოდა ფარაონის მეფედ კურთხევის თარიღი. „სამეფო“ დღესასწაული იყო ასევე ხებსედი. ღმერთებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები მათ კულტებთან და მითებთან იყო დაკავშურებული. ახალ წელს ტაძრებს ჩვეულებრივ თავიდან აკურთხებდნენ. ამ დროს ღმერთის „ტანსაცმლის გამოცვლა“ და მისი „გასეირნება“ ხდებოდა. „ნეკროპოლისის დღესასწაული“ გარდაცვლილებისადმი იყო მიძღვნილი. ამ დღეს მათთან განსაკუთრებული შესაწირი

მიჰქონდათ. დღესასწაულებთან (განსაკუთრებით ღმერთების დღესასწაულებთან) დაკავშირებული იყო პროცესიები, ილუმინაციები და სადღესასწაულო ქმედებები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ღვინის როლი. ამ დროს ეწყობოდა ადგილები, სადაც ღვინის დალევა იყო შესაძლებელი. ღვინო, როგორც ჩანს, იმდენად იყო ასოცირებული დღესასწაულებთან, რომ ბევრ მათგანს „დალევის დღეს" ეძახდნენ. დღესასწაული ჩვეულებრივ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა და მისი ხანგრძლივობა ფიქსირებული არ იყო (Bonnet, 1952, 185-187). მაგრამ მიუხედავად მათი სიმრავლისა და ხშირი მოხსენიებისა, ზუსტი ცნობები დღესასწაულებზე მაინც არ გაგვაჩნია. შედარებით კარგად არის შემორჩენილი ინფორმაცია პტოლემაიოსების პერიოდის ტაძრებიდან, როგორიცაა დენდერა, ედფუ, ესნა, ფილე, რომლებიც უფრო კარგად არის შემონახული, რადგან ეგვიპტური ტაძრები ჩვეულებრივ სადღესასწაულო კალენდარს თავიანთ კედლებზე ათავსებდნენ. ერთ-ერთი უძველესი დღესასწაული იყო „ვაგი" (wꜥg, Wb I, 263), რომელიც უკვე მეოთხე დინასტიიდან არის დაფიქსირებული. ის მიცვალებულებთან არის დაკავშირებული. ახალი სამეფოს „ველის ლამაზი დღესასწაულის" დროს კარნაკის ტაძრიდან გამოაბრძანებდნენ ღვთაებრივი ოჯახის – ამონის, მუტის და ხონსუს ქანდაკებებს და მათ დეირ ელ-ბაჰარიში გადააბრძანებდნენ, რომელიც ზუსტად კარნაკის ტაძრის პირდაპირ, ნილოსის მეორე, დასავლეთ ნაპირზე მდებარეობდა. ამ დღეს კერძო პირებიც გადადიოდნენ ნილოსის მეორე ნაპირზე და თავიანთი წინაპრების სამარხებთან სადღესასწაულო სუფრას მართავდნენ. ყოველ მეათე დღეს (ეგვიპტეში თვე სამი ათდღიანი „კვირისაგან" შედგებოდა და ყოველი მეათე დღე დასვენების დღე იყო) ოპეტის ამონს (ლუქსორიდან) საზეიმოდ მიაბრძანებდნენ მედინეტ ჰაბუში, რომელიც პირველყოფილი ბორცვის განსახიერებას წარმოადგენდა (Kemp, 2004, 210). XVIII დინასტიიდან არის დაფიქსირებული მრავალდღიანი ოპეტის დღესასწაული, რომელიც ფარაონის გაღმერთებასთან იყო დაკავშირებული. დღესასწაულის კულმინაციას ამონის მიერ ფარაონისათვის თავისი ძალის გადაცემა წარმოადგენდა (Silverman and O'Connor (ed.), 2003, 70). წინადინასტიურ ეგვიპტეში მთვარის კალენდარი ჰქონდათ, რომელიც 12 თვის და 354 დღისაგან შედგებოდა. დინასტიურ პერიოდში მთვარის კალენდარს ყოველ სამ წელიწადში კორექციისათვის მეცამეტე თვე ემატებოდა. რელიგიური დღესასწაულები მთვარის კალენდრის მიხედვით თარიღდებოდა http://www.touregypt.net.featurestories/festival.htm).

ასკარ-ნარმერი ფერაგონის სეტი I-ის სამარხიდან (XIX დინასტია, XIV-XII სს. ჩვ.წ.-მდე). ლეკვაბნელების ცის რეკების სიზუსტე დღესაც გაოცებას ინვევს. ვარსკვლავები მათ დაჯგუფებული პლიადად თანავარსკვლავედებში, რომლებსაც მიხცეს იმ ცხოველების სახელები, რომლებსაც, ალბათ აზრით, ეს თანავარსკვლავედები ჰგავდა.

ედფუ – (ეგვ. ბეხდეტი – *Bḥd.t* – ძველი სამეფო, Wb I, 470 და ჯება – *Ḏbꜣ*-შუა სამეფო, Wb V, 562, კოპტური Etbo (Bonnet, 1952, 51). მეორე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი (Montet, 1961, 31) ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, ესნასა და ასუანს შორის. უმნიშვნელოვანესი ქალაქი ძველი სამეფოს დროიდან. ედფუსთან მდებარეობდა მინათმოქმედებისათვის ვარგისი მინდვრების დიდი ფართობი, ამას გარდა, ახლოს იყო ნუბიის საზღვარი. აქ ინყებოდა საქარავნო გზები ხარგეს ოაზისისაკენ, აღმოსავლეთ უდაბნოს მაღაროებსა და წითელი ზღვის ნაპირებისაკენ. ქალაქი უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ როლს თამაშობდა ჰერაკლეოპოლისური პერიოდის დროს, როცა ჰერაკლეოპოლისის და თებეს ნომარქები ერთიანი ეგვიპტის ტახტისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ. ედფუს ნომარქმა, ჰერაკლიოპოლისის მეფის ნეფერკარას (X დინასტია) მოკავშირემ, ანხტიფიმ მოახერხა სამი სამხრეთული ნომის გაერთიანება და სასტიკად ებრძოდა თებელებს (Hayes, 1960, 148). ქალაქის ტერიტორიაზე ნაპოვნია III დინასტიით დათარიღებული კერამიკა, დღეისათვის მოძიებულ უძველეს ნაგებობებს V დინასტიის მასტაბები წარმოადგენს (Kurt in: Bard, 1999, 270). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს VI დინასტიის ფარაონის, ჯედკარას მოხელის, მოსამართლის და სამეფო არქივების უფროსის, ისის მასტაბა, რომელიც პეპი I-ის დროს გარდაიცვალა. ისი წმინდანად იყო შერაცხული და მას შუა სამეფოს დროსაც ეთაყვანებოდნენ. დღეს ედფუ ყველაზე ცნობილია აქაური ხორის – ბეხდეტელი ხორისადმი (*Ḥr bḥd.tj,* Wb I, 470) მიძღვნილი ულამაზესი ტაძრით, რომელიც პტოლემაიოსების დროს აშენდა და პრაქტიკულად ხელუხლებლად შემოინახა, რადგან 1856 წლამდე, როცა ის ფრანგმა არქეოლოგმა ო. მარიეტმა გაასუფთავა, ტაძარი ქვიშაში იყო ჩამარხული. ამ გრანდიოზული ტაძრის კედლებზე მოთავსებულ, უზარმაზარ (300 მ. სიგრძის) ტექსტში მოთხრობილია მისი ისტორია და მითი ბეხდეტელი ხორის შესახებ, რომელსაც ტაძრის ქურუმები გარკვეულ დღეებში რიტუალური

დრამის სახით ათამაშებდნენ. ეს ხდებოდა ყველაზე დიდი ზეიმის დროს, როცა ბეხდეტელ ხორთან მის მეუღლეს, ხატხორს ჩამოაბრძანებდნენ ხოლმე დენდერადან. ედფუს კიდევ ორი მნიშვნელოვანი ზეიმი იყო საკრალური შევარდნის კორონაცია და ახალი წლის ზეიმი, რომლის დროსაც ღვთაების ქანდაკებებს ტაძრის სახურავზე ააბრძანებდნენ ხოლმე (Kurt in Bard, 1999, 270). ტაძრის მშენებლობა ჩვ.წ.-მდე 237 წ. პტოლემაიოს III ევერგეტის დროს დაიწყო და ის პტოლემაიოს X ალექსანდრეს დროს (ჩვ.წ.-მდე 107-88) ამოქმედდა. საბოლოო სახე ტაძარმა პტოლემაიოს XIII დიონისეს დროს (ჩვ.წ.-მდე 47 წ.) მიიღო (Коростовцев, 1976, 132). ტაძარი უფრო ძველი, ახალი სამეფოს დროინდელი ტაძრის ადგილზე აშენდა. გასული საუკუნის პირველ ნახევარში აღმოჩენილი და გათხრილი იქნა ამ უკანასკნელის პილონი, რომელიც რამესიდების პერიოდით არის დათარიღებული. თვითონ ქალაქის ტერიტორიაზე გათხრების წარმოება შეუძლებელია აქ განთავსებული თანამედროვე დასახლების გამო, მაგრამ ადგილი იმდენად საინტერესოა, რომ გათხრების საწარმოებლად მოსახლეობის გაყვანაა დაგეგმილი (Kurt in:Bard, 1999, 271).

ეთიოპია – *იხ. ნუბია*

ეთიოპური პერიოდი – *იხ. ნუბიური პერიოდი*

ეილეითიასპოლისი – *იხ. ელქაბი*

ელეფანტინა – (ეგვ. „აბუ", *3bw*, Wb I.7), პირველი ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი. მდებარეობდა იმავე სახელწოდების კუნძულზე ნილოსის პირველი ჭორომის ჩრდილოეთ შესასვლელთან, ეგვიპტის სამხრეთ საზღვარზე (Montet, 1961, 15). ქალაქის გათხრები, რომლებიც გასული საუკუნის დასასრულს დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს, თანდათან ავლენს ქალაქის 4000-წლიან ისტორიას, რომელიც ასე უწყვეტად ეგვიპტეში სხვაგან არსად არ შემონახულა. მომავალი ქალაქის ტერიტორიის დასახლება მეოთხე ათასწლეულის შუახანებში, კუნძულის აღმოსავლეთი ნაწილიდან დაიწყო. მდებარეობიდან გამომდინარე, თავიდანვე უნდა ყოფილიყო სავაჭრო პუნქტი სამხრეთთან, რაზეც მიუთითებს ქალაქის სახელი, რომელიც „სპილოს" და „სპილოს ძვალს" ნიშნავს (Wb I, 7). დაახლ. ჩვ.წ.-მდე 3200 წლით თარიღდება სამ გრანიტის საყრდენს შორის აგურით აგებული ტაძარი, მიძღვნილი ელეფანტინას უძველესი ქალღმერთის –

სატეტისადმი (Kaiser in: Bard, 1999, 283). ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ ვაჭრობა სახელმწიფო კონტროლის ქვეშ გადავიდა, რაზეც მოწმობს უკვე I დინასტიით დათარიღებული ფორტი კუნძულის აღმოსავლეთით, II დინასტიის დროს კი ქალაქს უკვე შემოვლებული ჰქონდა აგურის კედელი, რაც ნათლად ჩანს ქალაქის სახელის დაწერაშიც, რომელსაც თან „კედლის" ნიშანი ახლავს. ქალაქს ფორტის სტატუსი XVIII დინასტიამდე მაინც გაჰყვა (Montet, 1961, 15). ძველი სამეფოდან ქალაქი ძალიან მჭიდროდ დასახლებული ხდება და შეიმჩნევა მისი ზრდა დასავლეთისკენ. განირჩევა ადმინისტრაციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი უბნები (Kaiser in:Bard, 1999, 284). პეპი I-ის დროს (VI დინასტია), სატეტის ტაძარში დაფიქსირებულია ხნუმის, როგორც „სტუმარი ღვთაების" კულტი, რომელმაც თანდათან, ხნუმის საერთო ეგვიპტური პოპულარობის ზრდის ფონზე, ელეფანტინას მთავარი ღვთაების როლი მოიპოვა (Roeder, 1915, 180). 1906 წ. ფრანგმა არქეოლოგებმა ელეფანტინაზე ბერძნულ-რომაული პერიოდით დათარიღებული ხნუმის ცხოველის – ვერძის სასაფლაო აღმოაჩინეს (Коростовцев, 1976, 22). შუა სამეფოს დროს, როცა XII დინასტიის ფარაონებმა ნუბია ნილოსის მეორე ჭორომამდე დაიპყრეს, ელეფანტინამ დაკარგა თავისი, როგორც სასაზღვრო ქალაქის როლი და სამხრეთის სავაჭრო ცენტრად გადაიქცა. სენუსერტ I-მა სატეტის აგურის ტაძარი მდიდრული ქვის ნაგებობით შეცვალა და მიაშენა ეზო, რომელიც მოსახლეობის მიერ ნილოსის დღესასწაულის საზეიმოდ იყო გამიზნული (ეგვიპტელთა ნარმოდგენით, ნილოსი ელეფანტინადან მოედინებოდა). ამავე დროს ქალაქის ცენტრში საკუთარი ტაძარი აუგეს ხნუმს (Kaiser in:Bard, 1999, 285). ამ დროს აიგო მესამე სამლოცველოც, მიძღვნილი ჰეკა-იბისადმი, რომელიც VI დინასტიის დასასრულს ქალაქის ნომარქი იყო. ეტყობა ამ ბუნდოვან დროს, როცა ძველი სამეფოს ეგვიპტემ დაშლა დაიწყო და ქვეყანაში ქაოსმა დაისადგურა, ნომარქმა ისეთი თვისებები გამოიჩინა, რომ შთამომავლობა მას ეთაყვანებოდა, როგორც წმინდანს. სამლოცველო გათხარა ლ. ჰაბაშიმ 1946 წ (Montet, 1961, 15). ახალი სამეფოს დროს ქალაქის მოსახლეობა კიდევ უფრო იზრდება, რასაც ბუნებრივად თან სდევს ადმინისტრაციული და სატაძრო ტერიტორიების ზრდა, და შედეგად მოსახლეობა იწყებს დასახლებას კუნძულის პირდაპირ, ეგვიპტის მთავარ მინაზე, და ამ დასახლებით (ეგვ.სიენა) დასაბამს აძლევს მომავალ ასუანს (Kaiser in Bard, 1999, 288). თვითონ სახელი „სიენა" (ეგვ. Sunu) იძლევა განმარტებას ამ არეალის

ძირითადი საქმიანობისათვის ("sun.t" ეგვიპტურად „ვაჭრობას" ნიშნავს, Montet, 1961, 17). ჩვ.წ-მდე VII საუკუნეში კუნძულზე ჩნდება ებრაელთა კოლონია, რომლებიც იახვესთან ერთად ხნუმსაც ეთაყვანებოდნენ. არამეულ ენაზე შედგენილ ელეფანტინაზე ნაპოვნ ოსტრაკონზე ავტორი „ხნუმის და იახვეს სახელით" ლაპარაკობს (Коростовцев, 1976, 272-273; Dupont-Somer, 1945, 17). ქალაქი აქტიურად ვითარდება ბერძნულ-რომაულ დროშიც (აქ ნაპოვნია თოტმეს III-ის და ხატშეპსუტის, ნექტანებოსის, ტრაიანის და სხვ ნაგებობების ნაშთები), მაგრამ გაერანებას იწყებს არაბების დაპყრობის შემდეგ, როცა სამხრეთთან სავაჭრო ურთიერთობა წყდება.

ელექტრუმი – შენადნობი, რომელსაც ეგვიპტელები ხშირად თავიანთი ნაკეთობებისათვის იყენებდნენ. მის შემადგენლობაში შედიოდა ოქრო (75%), ვერცხლი (22%) და სპილენძი (3%).

ელ-ქაბი – (ეგვ. ნეხები, *Nḫb*, Wb. II, 309), ბერძნული ეილეითიასპოლისი. ეგვიპტის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, რომელიც მის გვერდით მდებარე ნეხენთან ერთად წინადინასტიური ზემო ეგვიპტის სამეფოს დედაქალაქად ითვლება (Bonnet, 1952, 165). ელქაბის მთავარი ქალღმერთი, სვავის იკონოგრაფიის მქონე ნეხბეტი წინადინასტიური ზემოეგვიპტური სამეფოს მფარველი და ზემო ეგვიპტის თეთრ გვირგვინში ინკორპორირებული ღვთაება იყო, რაც მის ეპითეტში – „ნეხენის თეთრშიც" აირეკლა (Sethe, 1930, § 194). ნეხბეტი ფარაონის დედად ითვლებოდა, ელქაბის მთავარი ქურუმის წოდება კი „თეთრი გვირგვინის მსახური" იყო (Kees, 1980, 37). ქალაქში ეთაყვანებოდნენ ასევე ნიანგის სახის სობეკს. XVIII დინასტიიდან ელქაბი III ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი გახდა (Montet, 1961, 43). მოხსენიებულია პირამიდების ტექსტებში (PT 729a;1566a). ელქაბი და მისი შემოგარენი უმდიდრესი მასალაა არქეოლოგიური კვლევისათვის – აქ არის ნატაძრალები, ნეკროპოლისები, კლდეში გამოკვეთილი სამარხები და კლდეზე მოთავსებული მრავალი ნახატი და წარწერა. შთამბეჭდავია ასევე დიდი აგურის კედელი, რომელიც დღემდე შემორჩა. ქალაქის მიდამოებში ნაპოვნი კაჟის იარაღები ადასტურებს ადამიანის აქტივობას ჯერ კიდევ ქვედა პალეოლითის დროს. კლდეებზე გამოკვეთილი გამოსახულებები ნაქადა I-II და წინადინასტიური პერიოდით თარიღდება. 1997-1999 წლებში ბელგიურმა ექსპედიციამ გათხარა ნაქადა III-ით დათარიღებული სასაფლაო, სადაც 100 სამარ-

ხია ნაპოვნი (Bard, 1999, 289). I-II დინასტიები წარმოდგენილია აგურით ნაშენები მასტაბას ტიპის სამარხებით და გრანიტის ბლოკებით, რომლებიც ფარაონ ხასეხემუის (II დინასტია) ნაგებობისაგან შემორჩა (Quibell, 1898). ძველი სამეფოს ისტორიის შესწავლისათვის შესანიშნავი მონაპოვარია მეზობელ კლდეებზე მოთავსებული, ძირითადად VI დინასტიით დათარიღებული დაახლ. 600 წარწერა, რომლებიც ნეხბეტის ტაძრის ქურუმებს ეკუთვნის (Bard, 1999, 290), მაგრამ ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად ელქაბიდან ითვლება ვინმე იახმესის, ებანას ვაჟის ავტობიოგრაფია, რომელიც მან თავის კლდეში გამოკვეთილი სამარხის კედლებზე მოათავსა. ამ ფარაონ იახმეს I-თან დაახლოვებული სამხედროს ბიოგრაფია დღეისათვის წარმოადგენს ფაქტობრივად ერთადერთ მასალას, რომელიც ჰიკსოსების საბოლოო განდევნას ეხება (Breasted, 1962, §§1-3, 4-16, 38-39, 78-82, 38-53). ამ პერიოდის ისტორიისათვის საინტერესოა მეორე დიდებულის, იახმეს პენ-ნეხბეტის ავტობიოგრაფია, რომელმაც იახმეს I-ის, ამონხეტეპ II-ის და სამი თოტმესის (I, II, III) დროს იცხოვრა. მისი ავტობიოგრაფია, შესაბამისად, მთელ ამ პერიოდს მოიცავს (Breasted, 1962, §§17-25, 40-42). ხელოვნების ისტორიისათვის უფრო საინტერესოა თოთმეს III-ის მოხელეების პახერის (ზემოთხსენებული იახმესის შვილიშვილის) და პენის ულამაზესი სამარხები (Bard, 1999, 290). ქალაქის ორი უმნიშვნელოვანესი ტაძარი გვერდიგვერდ იყო აშენებული. მთავარი ტაძარი ნეხბეტისადმი იყო მიძღვნილი, მეორე — პტახის და სობეკისადმი. XVIII დინასტიის დროს ორივე მათგანს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, მაგრამ დღეს მათგან მხოლოდ ფუნდამენტებია შემორჩენილი. თოტმეს III-ის ულამაზესი ტაძარი, რომელიც თითქმის ხელუხლებელი იყო ნაპოლეონის ექსპედიციის დროს, დაანგრიეს 1828 წელს. რადიოკარბონული კვლევით დადგინდა, რომ საფორტიფიკაციო კედელი ნექტანებოს II-მ ააგო, შესაძლოა სპარსელების წინააღმდეგ გასამაგრებლად, მაგრამ მისი გარდაცვალების და ეგვიპტის ალექსანდრე დიდის მიერ დაპყრობის შემდეგ ელქაბი თანდათან გავერანდა. რომაულ პერიოდში აქ ააგეს პატარა ფორტი და შემდგომში იყო კოპტური სოფელი, მაგრამ არაბული დასახლება აქ არ განვითარდა (Bard, 1999, 291).

ენა — ეგვიპტური ენა წარმოადგენს აფრაზიურ ენათა მაკროოჯახის განცალკევებით მდგომ ენას. ტექსტები ცნობილია ჩვ.წ.-მდე XXX საუკუნიდან. გამოიყოფა განვითარების ექვსი

ძირითადი საფეხური: ძველი ეგვიპტური, საშუალო ეგვიპტური, გვიანი საშუალო ეგვიპტური, ახალი ეგვიპტური, დემოტიკური და კოპტური. ძველი ეგვიპტური – ძველი სამეფოსა და პირველი გარდამავალი პერიოდის ენა (ჩვ.წ.-მდე 3000-2000 წწ). ცნობილია პირამიდების ტექსტებით და ავტობიოგრაფიებით, რომლებიც ამოკვეთილი იყო ადმინისტრაციული ელიტის სამარხების კედლებზე; საშუალო (კლასიკური) ეგვიპტური – შუა სამეფოსა და XVIII დინასტიის დროინდელი ენა (ჩვ.წ.-მდე 2000-1300 წწ). წარმოადგენს ეგვიპტური ლიტერატურის კლასიკურ ენას. საშუალო ეგვიპტურზე დაწერილია ოთხი ძირითადი ლიტერატურული ჟანრის ტექსტები: 1. სამგლოვიარო ტექსტები (განსაკუთრებით ცნობილია ადმინისტრაციული ელიტის სარკოფაგებზე ამოკვეთილი ტექსტები), 2. დარიგებები (განსაკუთრებით ცნობილია მერიკარას, იპუვერისა და ვეზირ პტაჰოტეპის დარიგებები), 3. მოთხრობები და ზღაპრები (განსაკუთრებით ცნობილია მოთხრობა სინუჰეტის შესახებ და გემის დაღუპვას გადარჩენილი მეზღვაურის ზღაპარი), 4. ჰიმნები – რელიგიური შინაარსის პოეტური ტექსტები (განსაკუთრებით ცნობილია „ნილოსის ჰიმნი“ და „სენუსერტ III-ის ჰიმნი“). საშუალო ეგვიპტური ადმინისტრაციული დოკუმენტების (კაჰუნის პაპირუსები) და ისტორიული ჩანაწერების ენასაც წარმოადგენს. გვიანი საშუალო ეგვიპტური – რელიგიური ტექსტების (რიტუალური, მითოლოგიური, ჰიმნების) ენა ახალი სამეფოდან ეგვიპტური ცივილიზაციის დასასრულამდე. ათასწლეულზე მეტ ხანს თანაარსებობდა გვიან ეგვიპტურთან დიგლოსიის პირობებში. ინარჩუნებს კლასიკური ენის გრამატიკულ სტრუქტურას, მაგრამ გრაფიკული თვალსაზრისით, განსაკუთრებით ბერძნულ-რომაულ პერიოდში იზრდება იეროგლიფური ნიშნების რაოდენობა; ახალი ეგვიპტური – ახალი სამეფოს გვიანი და მესამე გარდამავალი პერიოდის (ჩვ.წ.-მდე 1300-700 წწ) ენა. ახალ ეგვიპტურზე არის დაწერილი XIX დინასტიის დროინდელი მდიდარი ლიტერატურა, რომელიც შეიცავს ბრძნულ და ნარატიულ ტექსტებს (განსაკუთრებით ცნობილია „ორი ძმის ზღაპარი“, „უნამონის მოგზაურობა ბიბლოსში“, „ანის დარიგება“, „ამონხეტეპის დარიგება“), ასევე ახალი ლიტერატურული ჟანრები: მითოლოგიური ზღაპრები და სასიყვარულო პოეზია. გვიანი ეგვიპტური წარმოადგენდა რამესიდების კანცელარიის, თებეს ნეკროპოლისში აღმოჩენილი საბუთებისა და სასკოლო ტექსტების ენას. ადმინისტრაციული ტექსტებისგან განსხვავებით, ლიტერატურულ ტექსტებში

იგრძნობა კლასიკური ენის დიდი გავლენა; დემოტიკური — გვიანი სამეფოსა და მომდევნო პერიოდის (ჩვ.წ.-მდე VII ს. ჩვ.წ.-ით V ს.) ადმინისტრაციისა და ლიტერატურის ენა. გრამატიკულად ახლოს დგას ახალ ეგვიპტურთან, რომლისგანაც განსხვავდება გრაფიკული სისტემით. განსაკუთრებით ცნობილია სატნიხ-ემუასის და პეტუბასტისის ნარატიული ციკლები, ინსინგერისა და ონხოშეშონკის დარიგებები. ადრეული (ძველი, საშუალო და გვიანი საშუალო) ეგვიპტური სალიტერატურო ენა — ქვემო ეგვიპტეში, სადაც მდებარეობდა დედაქალაქი მემფისი, ხოლო გვიანი (ახალი ეგვიპტური და დემოტიკური) ეგვიპტური სალიტერატურო ენა ჩამოყალიბდა ზემო ეგვიპტეში, სადაც მდებარეობდა ახალი სამეფოს დედაქალაქი თებე. მორფოლოგიურად არსებით სახელებში, გამოიხატება სქესი და რიცხვი ზმნებში — პირი, სქესი, რიცხვი, ასპექტი, კილო, დინამიკურობა/სტატიკურობა, გვარი, კაუზატივი. ლინგვისტური თვალსაზრისით ადრეული ეგვიპტური ხასიათდება სინთეზური წყობით. მაგ., არსებითი სახელი სუფიქსურად გამოხატავს სქესსა და რიცხვს: მ. მხ. *nṯr:ø* „ღმერთი", მდ. მხ. *nṯr:t* „ქალღმერთი", მ. მრ. *nṯr:w* „ღმერთები", მდ. მრ. *nṯr:wt* „ქალღმერთები". სინტაქსურად ინარჩუნებს VSO (შემასმენელი-ქვემდებარე-დამატება) წყობას. გვიანმა ეგვიპტურმა განივითარა ანალიზური წყობა: არსებით სახელში სუფიქსურად გამოხატული სქესი და რიცხვი გამოიხატება არტიკლის საშუალებით: *p3-nṯr* „ღმერთი", *t3-nṯr* „ქალღმერთი", *n3-nṯr* „ღმერთები". წინადადების VSO წყობა შეიცვალა SVO წყობით (ზ. ბარათაშვილი).

ენეადა — ჰელიოპოლისში შექმნილი ეგვიპტის უძველესი კოსმოგონიური სისტემა. ყველაზე ძველი ტექსტი, სადაც ჰელიოპოლისის ენეადის ღმერთებია მოხსენიებული, ჯოსერის მეფობით არის დათარიღებული (Schott, 1945, 11; Weill, 1911/12, 9). ჰელიოპოლისის ქურუმებმა შექმნეს გენეზისის სქემა, რომელიც კლასიკური გახდა ეგვიპტისათვის, რადგან ყველა შემდგომი სისტემა იგივე პრინციპით არის შექმნილი. მათ ასევე პირველებმა მოახდინეს ღმერთების დაჯგუფება გარკვეული კანონზომიერების შესაბამისად და ღმერთების სიმრავლის წესრიგში მოყვანა. მათი მცდელობის შედეგია ცხრა ღმერთისაგან შექმნილი იერარქიული სისტემა, რომლის სათავეში დგას ავტოგენური ღვთაება-დემიურგი. იგი ქმნის თავის თავს, დანარჩენ ღმერთებს და სამყაროს და ამყარებს წესრიგს. ჰელიოპოლისის კოსმოგონიის თანახმად, თავდაპირველად არსებობდა

მხოლოდ ქაოტური წყლები — ნუნი (ეგვ. *Nnw*, Wb II, 214). ნუნს სამყაროს შექმნასთან არავითარი კავშირი არა აქვს. ის წარმოდგენილია, როგორც ინერტული მასა. ეგვ. „*Nnw*" დაკავშირებულია ზმნასთან *nnj* — „პასიურად ყოფნა" (Sethe, 1976, § 145). მართალია, მას მოიხსენიებდნენ, როგორც „ღმერთების მამას", მაგრამ ამ ეპითეტში იგულისხმებოდა არა შემოქმედებითი ასპექტი, არამედ მისი არსებობა ყველაზე და ყველაფერზე ადრე (Morenz, 1973, 171). პირველი აქტიური ძალა, რომელიც ამ ინერტული წყლებიდან გამოდის, არის ავტოგენური შემოქმედი ღვთაება. „პირველი ჯერის" დროს (ეგვ. ტექსტები სამყაროს შექმნის დროს „პირველ ჯერს" (*śp tpj*, Wb V, 278) ეძახდნენ), „როცა არ იყო ზეცა, არ იყო მიწა, არ იყო ადამიანები, ღმერთები და არ იყო სიკვდილი" (PT 571, 1466c-d), დემიურგი შორდება ნუნის წყლებს და საკუთარ ფორმას იძენს. ენეადის უძველესი დემიურგი იყო ხტონიური ატუმი (ეგვ. *Ꜣtmw*, Wb I, 144). „ატუმი" ეგვიპტური ენის ერთ-ერთი რთულად სათარგმნელი სიტყვაა. მას თარგმნიან, როგორც „დასრულებული", „თავის თავში ყველაფრის შემცველი" (Sethe, 1930, 95, Clark, 1959, 38). პირამიდების ტექსტებში ვკითხულობთ: „დიდება შენ, ატუმ, რომელმაც შექმენი შენი თავი" (PT 587, 1587a). ნუნისაგან გამოყოფის შემდეგ, ატუმი იწყებს ღმერთების (სამყაროს) შექმნას. თავისი თავიდან ის ქმნის პირველ წყვილს — შუს (მამრობითი საწყისი, სივრცე, სიცარიელე, ეგვ. *Šw*, Wb IV, 429) და ტეფნუტს (მდედრობითი საწყისი, სისველე, ეგვ. *Tfn.t*, Wb V, 299). ღმერთების ამ წყვილმა გააჩინა გები (მამრობითი საწყისი, მიწა, ეგვ. *Gbb*, Wb V, 164) და ნუტი (მდედრობითი საწყისი, ზეცა, ეგვ. *Nw.t*, Wb II, 214), რომლებმაც თავის მხრივ გააჩინეს ოსირისი და ისიდა, სეტხი და ნეფტიდა (ეგვ. *Wśir*, Wb I, 359; *Ś.t*, Wb IV, 8; *Śtḫ*, Wb IV, 345; *Nb.t*, Wb II, 233). პირამიდების ტექსტებში ენეადის ღმერთების (ეგვ. *psḏ.t nṯrw*, Wb I, 558) სრული ჩამონათვალია მოცემული: „დიდი ენეადა ჰელიოპოლისში — ატუმი, შუ, ტეფნუტი, გები ნუტი, ოსირისი, ისიდა, სეტხი, ნეფტიდა, შექმნილი ატუმის მიერ. მისი გული ხარობს მისივე ქმნილების გამო, რომელიც არის ცხრა" (PT 600, 1655a-1655c). IV დინასტიიდან ჰელიოპოლისში დაიწყო რას აღზევება, და V დინასტიიდან მზის რელიგია ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე გაბატონებული ხდება ქვეყანაში. ამ ვითარებში რას ბუნებრივად უნდა დაეკავა ატუმის, როგორც ჰელიოპოლისის დემიურგის ადგილი, მაგრამ ეგვიპტე არასოდეს ივიწყებდა ძველ რელიგიურ ტრადიციებს და ღმერთებს. სხვა ვითარებაში რას შეიძლება უბრალოდ ჩაენაცვლებინა ატუმი, ეგვიპტე-

ში ეს შეუძლებელი იყო. სინკრეტიზმის წყალობით აქ შეიქმნა ახალი ღვთაება რა-ატუმი, რის შედეგად ძველმა ხტონიურმა ღვთაებამ სოლარული ღვთაების თვისებები შეიძინა, ახალმა ღმერთმა კი ძველ ღვთაებასთან დაკავშირებული ტრადიციები. პირამიდების ტექსტებში ვკითხულობთ: „შენთვის წარმოთქვამენ შელოცვას, რომელსაც წარმოთქვამენ რა-ატუმისათვის, რომელიც ბრწყინავს ჰორიზონტზე ყოველდღე" (PT 606, 1694a). ატუმის, შემდეგ კი რა-ატუმის ენეადას „დიდი ენეადა" ერქვა (PT 2c, 14c, 1177a, 370a, 626c, 770a, 845b და სხვ). პირამიდების ტექსტებში მოხსენიებულია ასევე: ერთხელ „მცირე ენეადა" (PT 178a), ორჯერ „სამი" (PT 278c, 1061b) და ერთ ადგილას „შვიდი" (PT 511c) ენეადა. მათ შესახებ არაფერია ცნობილი. იერარქიული პრინციპით დაჯგუფებული ღმერთების სისტემა იმდენად იყო ეგვიპტელის ცნობიერებაში ასოცირებული „ენეადასთან", რომ უფრო გვიანდელ პერიოდებში იყო შემთხვევები, როცა „ენეადას" ეძახდნენ ღმერთების ჯგუფებს, რომელთა რიცხვი ცხრაზე მეტი ან ნაკლები იყო. მაგ. თებეს ენეადა 15, აბიდოსის კი 11 წევრისაგან შედგებოდა (Mercer, 1949, 276).

ეპაგომენები (ეპაგომენალური დღეები) — ეგვიპტელებს უძველესი დროიდან მთვარის კალენდარი ჰქონდათ, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის შეიქმნა და ნილოსის ადიდების ციკლთან იყო დაკავშირებული (*იხ.* „კალენდარი"), მაგრამ ეგვიპტის ერთიან ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ მთვარის კალენდარი, რომელიც მუდმივ ასტრონომიულ დაკვირვებას საჭიროებდა და ორი-სამი წლის გამოშვებით ხან თორმეტ, ხან კი ცამეტ თვეს შეიცავდა, ვერ დააკმაყოფილებდა ქვეყნის ბიუროკრატიულ და ფისკალურ მოთხოვნებს. სწორედ ამ მოთხოვნებისათვის შეიქმნა საერო კალენდარი, რომელიც თორმეტი ოცდაათდღიანი თვისაგან შედგებოდა. რადგან წელიწადში 365 დღეა, ეგვიპტელებმა თორმეტ თვეს 5 „ეპაგომენალური" (ეგვ. *ḏj ḥrjw rnp.t* Wb II, 430) დღე დაამატეს. ამიტომ ეგვიპტურ საერო წელს „წელიწადი და ხუთი დღე" ერქვა (*rnp.t ḏj ḥrjw*, Wb II, 430). ეპაგომენალური დღეები, რომლებიც საერო წელიწადს ასრულებდა, ეგვიპტის დიდი ღმერთების — ოსირისის, უფროსი ხორის (ხაროერისის), სეტხის, ისიდას და ნეფტიდას დაბადების დღეებად ითვლებოდა და საზეიმო დღეები იყო. ეპაგომენალურ დღეებთან მითიც იყო დაკავშირებული, რომლის თანახმად რამ აუკრძალა თავის დედას ნუტს (ზეცას) შვილების გაჩენა რომელიმე თვეში.

თოტმა, რომელიც თავისი ჭკუით და ეშმაკობით იყო განთქმული, ეთამაშა მთვარეს დაფის თამაში. ფსონზე თითო მოგებაზე დღის ერთი სამოცდამეათედი ნაწილი იყო. ბრძენმა თოტმა ხუთი დღის სამყოფი დრო მოიგო. სწორედ ამ დღეებში გააჩინა ნუტმა ხუთი ღმერთი (Plutarch, De Iside et Osiride, 12; Sethe, 1930, §§ 72-75).

ესნა — (ეგვ. *Twnj.t*, Wb.I, 54, ბერძნული Latopolis), ქალაქი მესამე ზემოეგვიპტურ ნომში, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, ლუქსორიდან 60კმ. სამხრეთით. მოგვიანებით ქალაქს უფრო ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც *Tꜣ-sꜣnj* (Gardiner, 1947, II, 11*), საიდანაც წარმოიშვა თანამედრ. „ესნა". გებელ სისლსილაზე აღმოჩენილ წარწერაში ხნუმი მოხსენიებულია, როგორც „ტა-სნის ბატონი იუნიტის გულში". ქალაქის მთავარი ღვთაებები იყვნენ ვერძისთავიანი ხნუმი, მისი მეუღლე მენხიტი და ვაჟიშვილი ხიკე. უცნობია, როდის მოხდა აქ საისის ქალღმერთის, ნეიტის კულტის გავრცელება, რომელმაც ხნუმის მეუღლის ადგილი დაიკავა, ამიტომ ესნას „ზემო ეგვიპტის საისსაც" ეძახდნენ (Коростовцев, 1976, 98). პტოლემაიოსების დროს ესნა გახდა ნომის დედაქალაქი ძველი ელ-ქაბის შემდეგ. თუმცა ქალაქი უკვე პირამიდების ტექსტებშია დაფიქსირებული, ჯერ-ჯერობით მოძიებული ყველაზე ძველი არქეოლოგიური მასალა შუა სამეფოს პერიოდით არის დათარიღებული. ჯერ კიდევ ბერძნულ-რომაულ პერიოდში აქ რამდენიმე ტაძარი იყო, მაგრამ ყველა განადგურდა შუა საუკუნეების დროს და XIX საუკუნეში, და დღეისათვის მხოლოდ ბერძნულ-რომაულ დროს აგებული ხნუმისადმი მიძღვნილი ტაძარი შემორჩა (Bard, 1999, 349). ტაძრის მშენებლობა პტოლემაიოსების დროს, ჩვ.წ.-მდე 150 წ. დაიწყო და რომაელების დროს დასრულდა (West, 1985, 409). ტაძრის მთავარი ნაგებობა (ნაოსი) თითქმის დანგრეულია. გადარჩენილია პრონაოსი — 24 სვეტიანი შთამბეჭდავი დარბაზი მოხატული კედლებით (დაახლ. 230 სიუჟეტი). ტაძარში იყო ასევე ნეიტის კულტი. ესნას ტაძრის ტექსტების თანახმად, ხნუმი და ნეიტი იყვნენ სამყაროს ერთადერთი შემოქმედნი, რომლებმაც გააჩინეს რა. აქვეა ტაძრის ზეიმების ჩამონათვალი. ერთ-ერთი ეძღვნებოდა ხნუმის მიერ სამყაროს შექმნას, როცა მან დააშორა ერთმანეთისაგან მიწა და ზეცა და დადგა მეთუნის ბორბალი, რომელზეც ადამიანებს და ღმერთებს ქმნიდა. აღწერილია ასევე დღესასწაული, მიძღვნილი ნეიტისადმი. ამ დროს ზეიმობდნენ ნეიტის გამოსვლას პირველყოფილი წყლებიდან,

როცა მან წარმოთქვა შვიდი წინადადება, რომელთა დახმარებითაც შექმნა სამყარო (Bard, 1999, 349). ესნას სასაფლაოებზე ნაპოვნია ქორჭილას მუმიები (Lates Niloticus), რაც ეხმიანება სტრაბონის (XVII, 1, 47) მონაცემებს, რომ ქალაქში ეთაყვანებოდნენ ლატოს-თევზს და ათენას (ნეიტის ბერძნ. სახელი). ქორჭილას თაყვანისცემის გამო, რომელიც ნილოსში მცხოვრები 52 სახეობიდან ყველაზე დიდი თევზი იყო, ბერძნებმა ქალაქს ლატოპოლისი (Laton polis) დაარქვეს (Gardiner, 1947, II, 10*-11*). შთამბეჭდავია ხნუმის ტაძრის ნანგრევები, რომლებიც გვიანი ახალი სამეფოს ხანით არის დათარიღებული. კიდევ ერთი ტაძარი, მიძღვნილი ხნუმის, მენხიტის და ნეიტისადმი, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთით (ედ დერის ბორცვზე) მდებარეობდა, დღეს პრაქტიკულად აღარ არსებობს. იგივე მდგომარეობაშია გვიანბერძნული პერიოდის ხატხორის ტაძარი (Bonnet, 1952, 416).

ეხნატონის პროფილი

ეხნატონი – (ამონხეტეპ IV, ჩვ.წ.მდე 1353-1335 წწ.), ამონხეტეპ III-ის და მისი მთავარი მეუღლის, ტეიეს ვაჟი. ტახტის მემკვიდრე გახდა უფროსი ძმის, თოტმესის გარდაცვალების შემდეგ. შესაძლოა მიიღო განათლება ჰელიოპოლისის ქურუმებთან (Hari, 1985, 5). აღნიშნავდა, რომ კარგად იცნობდა ძველ სატაძრო დოკუმენტებს (Redford, 1984, 172). მამამისის მეფობის ბოლო წლებით არის დათარიღებული სტელა, სადაც ეხნატონი ეთაყვანება ატონს და მის გვერდით გამოსახულია მისი საკუთარი ქურუმი, რაც მიუთითებს, რომ უკვე ამ დროიდან ემზადებოდა თავისი როლისათვის, როგორც ატონის განსახიერებისათვის მიწაზე (Hari., 1985, 6). შესაძლოა გამეფებამდე, ან ტახტზე ასვლისთანავე მისი მთავარი მეუღლე ხდება მშვენიერი ნეფერტიტი, რომელიც სავარაუდოდ მისი დედის, ტეიეს ძმისშვილი იყო და რომელმაც ექვსი ქალიშვილი გაუჩინა (Hayes, 1959, 281). ცნობილია ასევე მისი მეორე მეუღლის, კიას სახელი, რომელიც, როგორც ჩანს, გარკვეულ როლს თამაშობდა ეხნატონის ცხოვრებაში. მისი სატახტო სახელი უაენრა (ეგვ. *Wˢ-n- Rᵉ* – „ერთადერთი, ვინც ეკუთვნის რას“) უკვე ერთგვარი გამონვევა იყო ამონის ქურუმებისადმი (Helck, 1968, 170). გამეფების პირველივე წელს კარნაკში ატონს აუგო ტაძარი, სადაც, ძველი მზის ტაძრების მსგავსად, იდგა ბენბენის სვეტი და მსხვერპლშეწირვა ღვთაებისადმი ღია ეზოებში ხდებოდა (Hayes, 1959, 281). მეფობის დაახლ. მეექვსე წლიდან, სახელის შეცვლის და ახეტატონში გადასახლების შემდეგ, ეხნატონი განსაკუთრებული ენერგიით იწყებს თავისი დოქტრინის დანერგვას და ცდი-

ლობს მის აბსოლუტურ ნორმად გადაქცევას, რაც დღეს მისი რელიგიის საბოლოო წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად სახელდება, რადგან ეგვიპტეში ურთიერთსაწინააღმდეგო წარმოდგენების შეთანხმება და კომპრომისი უმაღლეს სიბრძნედ იყო მიჩნეული (Helck, 1968, 171). ეხნატონის ქმედებებმა (მაგ. ამონის ტაძრების ქონების კონფისკაციამ) ქვეყანაში უდიდესი ეკონომიკური რყევები გამოიწვია, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებდა მიკერძოებული დამოკიდებულება ქვეყნის მართვის და მოხელეების შერჩევისადმი, რომლებიც ატონისადმი ერთგულნი უნდა ყოფილიყვნენ. ამარნაში ეხნატონის გვერდით ძირითადად „ახალი" ეგვიპტელები არიან, რომლებიც აღიარებენ, რომ მათ „არც დედა და არც მამა ჰყავდათ" და მხოლოდ ახალი რელიგიისადმი ერთგულების წყალობით გახდნენ დიდებულები (Davies, VI, 2/10). მეფობის მეთორმეტე წელს, როგორც ჩანს, ეხნატონი თავისი ძალაუფლების მწვერვალზე იმყოფებოდა, რაც ჩანს მისი ერთ-ერთი დიდებულის, მერირა II-ის სამარხის კედლებზე მოთავსებული ნახატებიდან, სადაც გამოსახული არიან ეხნატონი, ნეფერტიტი და მათი ექვსი ქალიშვილი. მათ წინ, თაყვანისცემის პოზაში, ეგვიპტური ჯარია, ჯარის ორივე მხარეს კი უცხოელი დიდებულები ხარკით — ნუბიელები, სირიელები, ლიბიელები და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ხეთები, რომლებიც აქ პირველად ჩნდებიან ეგვიპტურ ძეგლზე (Breasted, 1962, II, § 981). ამის შემდეგ ყველაფერი დაღმა სვლით მიემართება. დაახლ. მეცამეტე წელს იღუპება ეხნატონის მეორე ქალიშვილი, მეკეტატენი. იმავე წელს ქრება მისი დედის, ტეიეს მოხსენიება, რომელიც უდიდეს როლს თამაშობდა როგორც თავისი ქმრის, ამონხეტეპ III-ის, ასევე ეხნატონის დროს. დაახლ. შემდეგი წლიდან ასევე გაუჩინარდნენ ნეფერტიტი და კია. „მთავარი დედოფალი" ხდება ეხნატონის უფროსი ქალიშვილი მერიტატენი, რომელიც ქორწინდება ბუნდოვან ფიგურაზე — სმენხკარაზე. შესაძლოა, სმენხკარა რაღაც პერიოდი ეხნატონის თანამმართველი იყო (http://www.heptune.com/aken.html). მალე გარდაიცვალა თვითონ ეხნატონიც, რადგან მისი მეფობის ბოლო დაფიქსირებული წელი მეჩვიდმეტეა (Helck, 1968, 171; Murnane, 1995, 17). მის ამარნას სამარხში მხოლოდ წითელი გრანიტის სარკოფაგის ნამსხვრევები აღმოაჩინეს. ეხნატონის მეფობის უკანასკნელ წლებში მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური ვითარება აზიაში. ძალას იკრებს ხეთების სამეფო, რომელიც ცდილობს საზღვრების გაფართოებას. იწყება დიპლომატიური და სამხედრო დაპირისპირება ხეთებსა და მითანის შორის,

რომელიც უკვე მესამე თაობის განმავლობაში ეგვიპტის მოკავშირედ ითვლებოდა, და ბუნებრივად მითანის მეფე დახმარებას სთხოვს ეხნატონს. დახმარებას სთხოვენ მას ასევე ეგვიპტისადმი ჯერ კიდევ ერთგული სირიული ვასალები, მაგრამ ეხნატონი გულგრილი რჩება ამ მოთხოვნებისადმი. შედეგად, ხეთების სამეფო თანდათან აფართოვებს თავის ტერიტორიას, მათ შორის ეგვიპტის კოლონიების ხარჯზე და მითანის ნაცვლად, ეგვიპტის ჩრდილოეთი მეზობელი ხდება (Helck, 1968, 173-174). მორანი, რომელმაც შეისწავლა ამარნას არქივი, ასკვნის, რომ ეხნატონი უგულებელყოფდა ეგვიპტის საერთაშორისო პოლიტიკას და დაპყრობილ ტერიტორიებს და მხოლოდ საკუთარი რეფორმებით იყო დაკავებული (Moran, 1992, XXVI). მისი ერთადერთი ლაშქრობა ქვეყნის გარეთ დაფიქსირებულია ნუბიაში, მეფობის მეთორმეტე წელს, მაგრამ ნუბია ამ დროისათვის უკვე გამოსული იყო კონტროლიდან და ოქროს ნაკადი – შემცირებული. ეხნატონი არ აქცევდა დიდ ყურადღებას ეგვიპტეს ამარნას გარეთ (Hayes, 1959, 298). მისი გარდაცვალების შემდეგ ვითარება ქვეყანაში ძალიან არასტაბილური იყო: ეგვიპტის საერთაშორისო პრესტიჟი დაეცა, ქვეყანამ დაკარგა თავისი კოლონიების ნაწილი. ეხნატონის რელიგია ძალიან მალე იქნა მიტოვებული, თვითონ ეხნატონი კი, რომელიც ეგვიპტელებმა შეაჩვენეს და არ შეიტანეს თავიანთ მეფეთა სიებში, თანდათან დავიწყებას მიეცა. მისი არსებობის შესახებ არ იცოდნენ არც მანეთონმა და არც ანტიკურმა ავტორებმა. იგი თავიდან იქნა აღმოჩენილი XIX საუკუნეში (Hornung, 1999, 2). შესაძლოა, ეხნატონის თავისებური ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ ის თავის დროზე წინ იდგა და იმავდროულად ცუდი სახელმწიფო მოღვაწე იყო (Kees, 1980, 366).

ეხნატონის რეფორმა – XVIII დინასტიის დროს, როცა ეგვიპტის იმპერია კულმინაციის ფაზაში იმყოფებოდა, ამოპნხეტეპ IV-მ „დაივიწყა" ეგვიპტის ფარაონის უკვე ტრადიციად ქცეული მოვალეობა და მთელი თავისი ძალაუფლება და უზარმაზარი სიმდიდრე რელიგიურ რეფორმას მოანდომა (Kemp, 1989, 262). მან რეალობად აქცია ეგვიპტის რელიგიის მრავალსაუკუნოვანი ტენდენცია და ამ რეალობის სამეფო ძალაუფლების სასარგებლოდ გამოყენება სცადა. მზის დისკო ეგვიპტეში ჯერ კიდევ წინადინასტიური დროიდან გაღმერთებული სიმბოლო და ნომის ემბლემა იყო (Petrie, 1939, pl.X). V დინასტიიდან, რას აღზევების შემდეგ, მზის თაყვანისცემა ეგვიპტეში სახელმ-

ნიფო რელიგიად გადაიქცა. სამეფო ურეუსით გარშემორტყმული მზის დისკო დიდი ღმერთის საცხოვრისად წარმოიდგინებოდა (Mercer, 1949, 166). ეგვიპტელებს გაღმერთებული ჰყავდათ არა მარტო რა, არამედ მისი ცალკეული ფაზებიც, რომლებსაც ეთაყვანებოდნენ, როგორც რას სხვადასხვა გამოვლინების ფორმებს (მაგ. რა-ხორახტი, ხეპრი და სხვ), და იმავდროულად, როგორც დამოუკიდებელ ღვთაებებს. ის მომენტი, რომ რასთან, მისი მთავარ ღვთაებად გადაქცევის შემდეგ, ხდებოდა სხვადასხვა ღმერთების შერწყმა და შედეგად ერთი ღვთაების შექმნა (რა-ატუმი, ამონ-რა, ამონ-რა-ხორახტი, სობეკ-რა და სხვ.), უმნიშვნელოვანესია ეხნატონის რეფორმის უკეთ გასაგებად. ამგვარი სინკრეტიზმის წყალობით, როცა რამდენიმე ღვთაება ერთი ღვთაების სხვადასხვა გამოვლინებად გადაიქცეოდა, ეგვიპტე თითქოსდა მონოთეიზმამდე უნდა მისულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ეგვიპტელები (რაც ჩვეულებრივ მათი კონსერვატიულობით აიხსნება), ვერ „ელეოდნენ" თავიანთ ღმერთებს და სინკრეტულად გაერთიანებული ღმერთები იმავდროულად თავის იდენტურობასაც ინარჩუნებდნენ. ახალი სამეფოს პერიოდის თებეს სამარხებში მოთავსებულია ლითანია რასადმი, სადაც რა „თავისი" 75 სახელით არის მოხსენიებული. ეს „სახელების" ჩამონათვალი ეგვიპტის ისეთი დიდი ღმერთების ჩამოთვლას წარმოადგენს, როგორიც არიან ატუმი, შუ, გები, ტეფნუტი, ნუტი და ა.შ. ეგვიპტელი ყოველთვის ეძებდა გზას, როგორმე შეეთავსებინა შეუთავსებელი — ღმერთების ისტორიული სიმრავლე და ღვთაებრივი არსების „ერთადერთობის" იდეა, და „ახერხებდა ამას წარსულზე ძალადობის გარეშე; ეხნატომა, როგორც ჩანს, ასეთი ძალადობა საჭიროდ ჩათვალა" (Kemp, 1989, 262). მან ეგვიპტური რელიგიის „წყალქვეშა" ტენდენციები რეალობად აქცია (Hari, 1985, 3) — ერთი ხელის მოსმით უარყო ეგვიპტის ღმერთები და ატონი — მზის დისკო ეგვიპტის ერთადერთ ღვთაებად გამოაცხადა, ყოველგვარი „სახელების" გარეშე. „მოსეს და იესოს მსგავსად, ეხნატონს არ შეუქმნია ახალი რელიგია. მან ახალი მნიშვნელობა მიანიჭა ძველ იდეებს და მათ თავისი პიროვნების დაღი დაასვა" (Mercer, 1949, 166). მეფობის მეექვსე წელს ორ მნიშვნელოვან მოვლენასთან გვაქვს საქმე — ამონხეტეპ IV იცვლის თავის სახელს (ეგვ. *Ỉmn-ḥtp* — „ამონი კმაყოფილია") და ეხნატონი (ეგვ. *ỉḫ.n.Ỉn* — „ატონის მსახური", „ატონის სიამოვნება") ხდება, თვითონ კი ტოვებს თებეს და მის მიერ აშენებულ ახალ დედაქალაქში, ახეტატონში გადადის. ამის შემდეგ უკვე ყველაფერი ძალიან

განსხვავებული, „არაეგვიპტური“ ხდება (Hari, 1985, 5). ტრადიციულ ეგვიპტურ ტაძარში ღვთაების გამოსახულებები დაცული იყო წმინდათა წმინდა საკანში, სადაც ყველა რანგის ქურუმსაც კი არ შეეძლო შესვლა. ატონი ყველასათვის ხილული იყო ზეცაში, ამიტომ მისი ტაძარი ღია, გაშლილ სივრცეს წარმოადგენდა, რადგან მზის დისკოს თაყვანისცემისათვის იყო განკუთვნილი (Kemp, 1989, 262). მიტოვებული იქნა ღვთაების სახის უძველესი – ადამიანის და/ან ცხოველის იკონოგრაფია, ატონის სახის ღვთაების ქანდაკების შექმნა კი შეუძლებელი იყო. ღვთაების ქანდაკება ტრადიციულ ეგვიპტურ რელიგიაში უმნიშვნელოვანესი იყო და მრავალი საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ღვთისმსახურების რიტუალში უმთავრესი როლი ჰქონდა დაკისრებული. ითვლებოდა, რომ ღმერთის ქანდაკებაში, რომელზეც ჩვეულებრივ „პირის გაღების რიტუალი“ ტარდებოდა, ღვთაებრივი არსების ნაპერწკალი, მისი „კა“ ფეთქავდა (Hari, 1985, 5). ახალი დოქტრინის მიხედვით, ღვთაების ქანდაკებები არც იყო საჭირო, რადგან თავად ფარაონი ერთადერთი ღვთაების ცოცხალი განსახიერება, მისი ცოცხალი „კა“ იყო მიწაზე (Silverman in:O'Connor and Silverman, 1994, 78). ბუნებრივად გაუქმდა საკრალური ქორწინების ინსტიტუტი, როცა დიდი რა ადამიანის სახით მოევლინებოდა ფარაონის დედას (ეგვიპტრში მას „ღვთაების დედას“ ეძახდნენ), რომ მომავალი ფარაონი ჩაესახა (Kemp, 1989, 263). სხვა ღმერთებთან ერთად, დავიწყებას მიეცა ოსირისი და ეგვიპტელის ოცნება მარადიულ ნეტარებაზე გარდაცვალების შემდეგ. ეგვიპტელი შეჩვეული იყო ღვთაებასთან სიახლოვეს სიცოცხლეში და მასთან გაერთიანების იდეას სიკვდილის შემდეგ. ახლა ასეთი ტრანსფორმირება ადამიანისათვის წარმოუდგენელი გახდა. თავად ეხნატონს კი ეს ტრანსფორმირება არ სჭირდებოდა, რადგან იგი უკვე იყო ღმერთი დედამიწაზე, რომელიც „თავიდან იბადებოდა ყოველდღე იმისათვის, რომ შერწყმოდა ერთადერთ ღმერთს“ (Silverman in:O'Connor and Silverman, 1994, 76). ეხნატონის ახალი დოქტრინები განსხვავებული ენით იწერებოდა. ზოგიერთის აზრით, ეს ენა სალაპარაკოსთან მიახლოებული იყო (Aldred, 1968, 15), მაგრამ თუმცა ეხნატონის ტექსტები არ არის დაწერილი კლასიკურ სტილში, ახალი სამეფოს არალიტერატურულ ტექსტებთან შედარება ამჟღავნებს, რომ ეს არც სალაპაკო ენა იყო. გარკვეული გრამატიკული ელემენტების გამოჩენა ამარნას ტექსტებში იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ ისინი პირველად ჩნდება ოფიციალურ ტექსტებში და ამდენად აქ გამჟღავნებულია ეხნატო-

ნის სურვილი, განევითარებინა საკუთარი, ექსკლუზიური ენა თავისი დოქტრინების ჩასანერად. ამას შეიძლება მოეძებნოს ანალოგი მისი დროის ერთგვარად „მანერულ" ხელოვნებაშიც. ამ გროტესკამდე მისული სტილით მრავლად შეიძლებოდა ფარაონის ქანდაკებების შექმნა, რადგან ის, ატონის მსგავსად, იყო კოსმოგონიურო ღვთაება და „ერთი" ატონთან და სამყაროსთან ერთად. როგორც ჩანს, ფარაონი თვლიდა, რომ მის ფიზიკურ არსებობას მიწაზე და მის ქანდაკებებს უნდა შეევსოთ ის სიცარიელე, რომელიც ეგვიპტელს საყვარელი ღვთაებების და მათთან კონტაქტის წართმევის შემდეგ გაუჩნდა (Silverman, in: O'Connor and Silverman, 1994, 77-78). ფარაონის პროგრამა შეიცავდა ახალ რელიგიურ წარმოდგენებს, ახალ სახელს, ახალ დედაქალაქს, ახალ არქიტექტურას, ახალ ხელოვნებას და ახალ სალიტერატურო ენას. ასეთი „რეგნოცენტრისტული" მიმართულებით ის კიდევ უფრო ადასტურებდა თავისი დოქტრინის მთავარ იდეას, რომ ატონი იყო ერთადერთი შემოქმედი, ფარაონი კი იყო იგივე ატონი მიწაზე (Silverman, in:O'Connr and Silverman, 1994, 78). მთელი ეგვიპტის მასშტაბით იწყება ძველი ღმერთების დევნა, მათი სახელები იშლება წარწერებიდან, იკრძალება მათი მოხსენიება. წარწერებიდან იშლება სიტყვა „ღმერთებიც". ეხნატონის გვერდით ამ დროს „ახალი ეგვიპტელები" არიან, რაც იმის მანიშნებელია, რომ ძველი არისტოკრატიული ოჯახები დარჩა თებეში, ამონის და მისი ქურუმების გვერდით. ატონმა ვერც რიგით ეგვიპტელებში მოიპოვა პოპულარობა. ეხნატონის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ახეტატონი თანდათან დაცარიელდა და ახლა თავად ერეტიკოსად შერაცხული ფარაონის სახელი იდევნებოდა ისევე, როგორც ადრე თვითონ დევნიდა ეგვიპტის ღმერთებს. ეს შემოტრიალება საკმაოდ ადვილად განხორციელდა, რადგან რიგითმა ეგვიპტელმა, რომლისთვისაც უცხო იყო რელიგიური დოგმატიზმი, ვერ მიიღო ახალი ღმერთი, რომელმაც ერთი ხელის მოსმით წაართვა უფლება, თავის ძველ ღმერთებზე ელოცა. ვერ შეეგუა ეგვიპტელი ვერც იმქვეყნად მარადიულ ცხოვრებაზე ოცნების წართმევას. ეხნატონის რეფორმა ნაადრევი იყო ეგვიპტისათვის, რომელიც არ იყო მზად თავისი მრავალი ღმერთის იდენტურობის რეალური გაუქმებისათვის და სიმრავლის „ერთამდე" დაყვანისათვის, რაც მოხდა ეხნატონის გარდაცვალებიდან მრავალი საუკუნის შემდეგ, როცა ეგვიპტემ ქრისტიანობა მიიღო. მაგრამ ეხნატონის რეფორმა, პირველად კაცობრიობის ისტორიაში, ახალი რელიგიის შეგნებულ დაფუძნებას წარმოადგენს, (Hornung,

1999, 2), რომელიც, ასევე ისტორიაში პირველად, მონოთეისტური იყო (Hari, 1985, 3). ბოლო დროს ეგვიპტოლოგიურ ლიტერატურაში ყურადღებით სარგებლობს ზ. ფროიდის იდეა, რომ ბიბლიური გამოსვლა, რომელსაც ზოგი მეცნიერი მერნეპტახის მეფობით (1225 წ.ჩვ.წ-მდე) ათარიღებს, შესაძლოა უფრო ადრე, სეტი I-ის დროს (დაახლ.1310 წ.) მოხდა. მოსემ, რომელიც შესაძლოა ეგვიპტელი იყო („*mꜣ*" ეგვიპტური ენის უძველესი ძირია), გაიყვანა ეგვიპტიდან ერთღმერთიანობის ერთგული მრევლი. მიმდევრებს შორის დიდი იყო ებრაული მოსახლეობის რიცხვი, რომელმაც ატონის კულტი ეგვიპტელზე უფრო ადვილად მიიღო. ამ თეორიის მომხრეები ატონის ცნობილი ჰიმნის და 104 ფსალმუნის საოცარ მსგავსებას იშველიებენ (Hari, 1985, 3).

ვარსკვლავები — ეგვიპტეში ღვთაებრივ არსებებად იყო მიჩნეული. ისინი მინის ღვთაების და ცის ქალღმერთის შვილებად ითვლებოდნენ. ეგვიპტელთა წარმოდგენით, ღამით ისინი დაცურავდნენ თავიანთ ბარკაში „ზღვაში, რომელიც მათი დედის სხეულის ქვეშ არის" (PT 802; ეგვიპტელებს სწამდათ, რომ ცა ციურ ნყლებს წარმოადგენდა). ძველი მითის თანახმად, ზეცის ქალღმერთი ნუტი, მათი დედა, ვარსკვლავებს ყოველ დილას ყლაპავდა და საღამოს თავიდან შობდა, რამაც გამოიწვია კონფლიქტი ნუტსა და მის მეუღლეს, მინის ღმერთ გებს შორის. მზე, ზეცის ბატონი, ვარსკვლავების ბატონიც იყო და ისინი მის ბარკას „აცილებდნენ". ასევე თან სდევდნენ ოსირისსაც (PT 749). როგორც გარდაცვლილთა მეფე, ოსირისიც მათ ბატონად ითვლებოდა, რადგან უძველესი წარმოდგენით გარდაცვლილთა სულები ვარსკვლავებად გარდაისახებოდა (PT 759 — 60), რაც სარკოფაგებზე ვარსკვლავების მოთავსებაშიც არის ასახული. შუა სამეფოდან დეკანები (*იხ.*) არა მარტო სარკოფაგების, არამედ სამრხების და ტაძრების მოხატულობაშიც ჩნდება. ეგვიპტელებმა ადრე მიაქციეს ყურადღება იმ მოხაზულობებს,



ჩრდილოეთი ცის თანავარსკვლავედების გამოსახულება სეტი I-ის სამარხიდან

რომლებსაც ვარსკვლავების ჯგუფები ქმნიდნენ. მაგ. დიდი დათვის თანავარსკვლავედს ისინი „*mšḫtjw*" – „კაუჭს" (Wb II, 149) ეძახდნენ, რომელიც პირის გაღების რიტუალის დროს გამოიყენებოდა და ასევე „ხარის", ან „სეტხის ბარკალს". გვიანდელ პერიოდში ეგვიპტელებმა ვარსკვლავებს ადამიანის ბედის განსაზღვრაც დაუკავშირეს. ამ დროიდან უკვე ტრაქტატებიც იწერებოდა, რომელთაგან ერთ-ერთი ჩვ.ნ.-მდე III საუკუნით არის დათარიღებული და მისი ავტორობა ჰერმეს ტრისმეგისტოსს მიეწერება (შემონახულია ლათინურ თარგმანში). ამ დროიდან ჩნდებიან ასევე ცნობილი ასტრონომები, რომელთაგან აღსანიშნავია პეტოსირისი, ჩვენთვის უცნობი მეფის – ნეხეფსოს მრჩეველი. დაახლ. ამ პერიოდიდან იწყება ასევე ჰოროსკოპების შედგენა (Bonnet, 1952, 349-351).

ამონის ვერძი

ვერძი – ვერძის სახე ბევრ ეგვიპტურ ღმერთს ჰქონდა. ესნაში, პიპსელისში, ჰერურში (ანთინეოპოლისი) და ზემო ეგვიპტის ოცდამეერთე ნომში ეთაყვანებოდნენ ვერძის სახის ხნუმს; ვერძის სახე ჰქონდა ასევე ჰერაკლეოპოლისის (მაგნა) ჰერიშეფს და ლატოპოლისის ხერტის. მენდესში იყო თვითონ ვერძის ცხოველის კულტი. ამას გარდა, არსებობდა უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ვერძის კულტები. მაგ. ლიკოპოლისსა და კუსას შორის მდებარე ხაიტში ეთაყვანებოდნენ ვერძის სახის ღვთაებას, სახელად „მერიმუტეფი" (*Mrj mw.t.f*, „ის, ვინც (თავის) დედას უყვარს"). ვერძი ამონის ერთ-ერთ გამოვლინებადაც ითვლებოდა, თუმცა ამონის ვერძი განსხვავებული ჯიშის იყო. უძველესი ვერძის სახის ღვთაებები გამოიცნობა ჰორიზონტალურად გაშლილი რქებით, რაც დამახასიათებელია ძველი აფრიკული ჯიშისათვის (ovis longipes palaeoaegyptiacus, ეგვ. *šf.t*, Wb IV, 456), რომელიც ძველი სამეფოს დროისათვის უკვე გადაშენებული იყო, და მას ჩაენაცვლა ამონის ვერძი, სპირალურად ქვევით დახრილი რქებით (ovis platyra aegyptiaca, ეგვ. *rhnj*, Wb.II, 441). ამიტომ, თუმცა ძველი ღმერთები ბოლომდე ჰორიზონტალური რქებით გამოისახებოდა, მათ „ცოცხალ განსახიერებას", ყოველ შემთხვევაში ახალი სამეფოდან, ამონის ცხოველის ჯიშიდან არჩევდნენ, როგორიცაა, მაგ., ელეფანტინაზე ნაპოვნი ხნუმის ცხოველის მუმიები, თუმცა მენდესში ძველ ჯიშს ჩაანაცვლეს განსაკუთრებული თხის ჯიში (hircus mambrinus), ხნუმის ვერძის ტიპის, ჰორიზონტალური რქებით (Hopfner, 1913, 89). ვერძი, როგორც ჩანს, უძველესი დროიდან იყო დაკავშირებული სამეფო ძალაუფლებასთან, რადგან სნორედ ვერძის ჰორიზონტალუ-

რად გაშლილი რქები წარმოადგენდა სამეფო ატეფ-გვირგვინის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს. მენდესის ვერძი ბერძნებმა თავიანთ პანთან გააიგივეს. მას არ ჰქონდა თავისი სახელი, და მოიხსენიებდნენ, როგორც „ვერძს, მენდესის ბატონს" (ეგვ."*bꜣ nb Ḏd.t*" ან, უფრო გვიან, „*bꜣ nb ʿnm.t*". *Ḏd.t*, „ჯედეტი", მოგვიანებით კი *ʿnm.t*, „ანმეტი" მენდესის ეგვიპტური სახელებია, Wb I, 192; V, 630). მენდესის ვერძი ქალაქის უძველესი და მთავარი ღვთაება იყო. ითვლება, რომ ვერძის გაღმერთება მის ნაყოფიერებასთან და მამაკაცურ ფუნქციასთან იყო დაკავშირებული. მინდვრების ნაყოფიერებისათვისაც მას უხდიდნენ მადლობას. ამიტომ ითვლებოდა, რომ ოსირისის დანაწევრებული სხეულის ფალოსი სწორედ მენდესში ინახებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ დედოფალი იახმესი, ხატშეპსუტის დედა, მენდესის ვერძის უმაღლესი ქურუმი იყო, ხოლო ერთ-ერთი ტექსტის თანახმად, პტახი დედოფალს სწორედ ვერძის სახით გამოეცხადა საკრალური ქორწინების დროს (Kees, 1980, 78-81).

ᲕᲘᲠᲘ — თუმცა უკვე ადრეულ სამარხებში გვხვდება დასაფლავებული ვირები, ვირი არასოდეს ყოფილა გაღმერთებული ცხოველი ეგვიპტეში. მიუხედავად ამისა, მთელ რიგ „საშიშ" დემონებს ვირის სახით წარმოიდგენდნენ და არსებობდა მრავალი წყევლა, რომელიც ვირის „სახელით" იყო შედგენილი. ასოცირებული იყო ვირი სეტხთანაც (Kees, 1980, 70, 72, 387).

ზავიეტ ელ-არიანი – მემფისის ნეკროპოლისის ერთი ნაწილის სახელი. აქ მხოლოდ პირამიდების ორი კომპლექსია – ე.წ. „ფენოვანი პირამიდა“ (არაბულად ჰარამ ელ მედუვარა – „მრგვალი პირამიდა“), რომელიც სავარაუდოდ III დინასტიის ფარაონს – ხაბას ეკუთვნოდა (M.Verner, 2001, p.67) და ე.წ. „დანგრეული პირამიდა“. ნეკროპოლისის ეს ნაწილი პრაქტიკულად არ არის შესწავლილი.

თავის გადაპარსვა — ძველი სამეფოს ტექსტებში ქურუმების გარკვეული, დღეს დაუდგენელი კატეგორია „შიშველთავიანებად" არის მოხსენიებული. ახალი სამეფოდან ეს წესი ქურუმების სულ უფრო ფართო წრეებს მოიცავს. XVIII დინასტიის გამოსახულებებში ქურუმები ძირითადად თავგადაპარსულები არიან, გვიანდელ პერიოდში კი ეს უკვე აბსოლუტური წესი ხდება. თმის გადაპარსვა უძველესი დროიდან საკულტო სისუფთავესთან იყო დაკავშირებული (Bonnet, 1952, 389).

თებე — (ეგვ. *W3ṣt*, Wb I, 259; *N w.t*, Wb II, 211), ქალაქი, რომელიც შუა სამეფოს დროიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ეგვიპტის დედაქალაქი იყო. მდებარეობდა ზემო ეგვიპტის მეოთხე ნომში, რომელსაც იგივე სახელი (*W3ṣt*, ეგვ. „სკიპტრა") ერქვა, ხმელთაშუა ზღვიდან 800. კმ სამხრეთით, თანამედროვე ქ. ლუქსორის ადგილზე. როცა ის ეგვიპტის დედაქალაქი გახდა, ძველი, ჩრდილოეთით მდებარე დედაქალაქის — მემფისისაგან განსასხვავებლად „სამხრეთის ქალაქს" (*nw.t rśwt*), ან უბრალოდ „ქალაქს" (*njwt* ან *nwt*) ეძახდნენ (Montet, 1961, 56). მოიხსენიებდნენ ასევე, როგორც „უასეტს, ამონის ქალაქს, ყველა ქალაქის ქალბატონს" (*niwt W3ṣt nt Ỉmn ḥnwt nt dmi nb* Gardiner, 1947, II, 24*). დადგენილი არ არის, თუ რატომ დაარქვეს ბერძნებმა თებეს თავიანთი დიდი ბეოტიური ქალაქის სახელი, რაც პირველად ჰომეროსთან („ილიადა", წიგნი IX) არის დაფიქსირებული, რომელიც გვიყვება ბრწყინვალე ქალაქზე ასი კარიბჭით. ითვლება, რომ ბერძნებმა ეგვიპტური ქალაქის (ან მისი ნაწილის) სახელის ჟღერადობა მიამსგავსეს საკუთარი ქალაქის სახელს (Thebais). შესაძლოა, ეს იყო „*T3 Ỉpt*", ლუქსორის ტაძრის ეგვიპტური სახელი (*იქვე*, გვ. 25*). თებეს აღზევება ქვეყნის პოლიტიკურმა ისტორიამ განაპირობა. მართალია, ადგილი ჯერ კიდევ წინადინასტიურ პერიოდში იყო დასახლებული, მაგრამ ძველი სამეფოს პერიოდში მისი ისტორია ბუნდოვანია, რადგან, თუმცა ის ნომის დედაქალაქი იყო, თავისი მნიშვნელობით მესამეხარისხოვან, პა-

ტარა პროვინციულ ქალაქს ნარმოადგენდა (Shaw, 2003, 123). თებეში ძველი სამეფოს პერიოდის მხოლოდ ორი სამარხია ნაპოვნი. სავარაუდოდ, ეს იყო პატარა დასახლება, რომელსაც საკუთარი სახელიც კი არ ჰქონდა, და როცა ზრდა დაიწყო, ნომის სახელი დაარქვეს (Коростовцев, 1976, 85-86). მაგრამ ორჯერ ეგვიპტის ისტორიაში სწორედ თებეს ნომარქებმა მოახდინეს დაქუცმაცებული ეგვიპტის თავიდან გაერთიანება. პირველი გარდამავალი პერიოდის ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ თავისი წინაპრების საქმე დააგვირგვინა მონტუხეტეპ II-მ (დაახლ. 2040 წ.ჩვ.წ.-მდე, XI დინასტია), რომლის მეფობით იწყება შუა სამეფოს პერიოდი, ახალი სამეფო კი ისევ თებელის, იახმეს I-ის (დაახლ. 1550 ჩვ.წ.-მდე, XVIII დინასტია) მიერ ჰიკსოსების საბოლოოდ განდევნით იწყება. შუა სამეფოს დროიდან გამარჯვებულმა ფარაონებმა დაიწყეს თებეს აღზევება. მას „გამარჯვებულს, ყველა ქალაქის ქალბატონს" ეძახდნენ. მოხდა მისი, როგორც მეომარი ქალღმერთის პერსონიფიცირება, და გამოისახებოდა მშვილდით, ისრებით და ხანჯლით ხელში (Vernus and Yoyotte, 2003, 197). XII დინასტია ამონემხატ I-ით იწყება. „ამონემხატი" ეგვიპტურად ნიშნავს „ამონი არის წინ". ეს აქამდე ბუნდოვანი ღმერთის პირველი თვალსაჩინო გამოჩენაა. ამიერიდან ამონი, როგორც მმართველი ოჯახის ღმერთი, საოცარი სისწრაფით იხვეჭს პოპულარობას და უკანა პლანზე სწევს მინს, უძველეს ლოკალურ ღმერთს. ის შეერწყა რას (ამონ-რა) და არა მარტო თებაიდის, არამედ მთელი ეგვიპტის უზენაესი ღვთაება ხდება, იძენს დემიურგის თვისებებს. იქმნება ახალი კოსმოგონიური სისტემა, რომლის თანახმად სამყაროს შექმნა ამონ-რას მიერ სწორედ თებეში მოხდა (Коростовцев, 1976, 88). თებე შუა სამეფოს და XVIII დინასტიის ბრწყინვალე ფარაონების სამშობლო იყო და იმავდროულად ეგვიპტის უზენაესი ღმერთის, ამონის ქალაქად მოიაზრებოდა. აქ მდებარეობდა ამონის გრანდიოზული ტაძრები. აქ, შუა სამეფოდან მოყოლებული, უზარმაზარი სამშენებლო სამუშაოები ტარდებოდა. ქალაქში დაგროვილი იყო აურაცხელი სიმდიდრე. მიუხედავად ამისა, თავისი მდებარეობით ქვეყნის ღრმა სამხრეთში თებეს არ ჰქონდა სტრატეგიულად კარგი მდებარეობა ქვეყნის დედაქალაქისათვის, და ამიტომ, პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ფარაონებს ქვეყნის მართვა სხვა, სტრატეგიულად უფრო მოხერხებული ქალაქებიდან ერჩიათ: შუა სამეფოს დროს ეს იყო იტ-ტაუი (თანამედროვე ლიშთტან), ახალი სამეფოს დროს ისევ მემფისი და შემდეგ პი-რამსესი. მესამე გარდამავალი პერიოდის დროს, როცა ეგვიპტეში ფაქტობ-

რივად ორხელისუფლებიანობა ჩამოყალიბდა, და ჩრდილოეთს ფარაონები, სამხრეთს კი თებეს ქურუმები განაგებდნენ, თებე ამონის თეოკრატიის დედაქალაქი გახდა, რომელიც მოიცავდა ზემო და შუა ეგვიპტეს ელ-ჰიბამდე, XXIII დინასტიიდან კი მას ამონის „ღვთაებრივი მეუღლეები" მართავდნენ, რომელთა დროსაც თებემ თანდათან დაკარგა თავისი პოლიტიკურ მნიშვნელობა. თებე ნილოსის ორივე ნაპირზე იყო განლაგებული. ქალაქის ძირითადი საცხოვრებელი ნაწილი აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობდა. აქვე, ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობდა მინის, მუტის, ხონსუს და სხვა ღმართების ტაძრები და ამონის კარნაკის ტაძარი, რომელიც დაახლ. სამ კილომეტრიანი გზით იყო დაკავშირებული სამხრეთით მდებარე იტიფალიური ამონის ლუქსორის ტაძართან. დასავლეთ ნაპირზე მდებარეობდა XI და XVIII -XX დინასტიების ფარაონების მოსახსენიებელი ტაძრები, რომელთა ჯაჭვი იწყება სეტი I-ის ტაძრით (გურნა) ჩრდილოეთში და სამხრეთში რამსეს III-ის ტაძრით (მედინეტ ჰაბუ) მთავრდება. მედინეტ ჰაბუს სამხრეთით მდებარეობს ამონხეტეპ III-ის ცნობილი სასახლე ელ-მალკატასთან. აქვეა დეირ-ელ-ბაჰარის ტაძრები და მეფეთა და დედოფალთა ველები, ასევე კერძო პირთა უზარმაზარი ნეკროპოლისი (Vernus amd Yoyotte, 2003, 197).

თევზი – საკრალური თევზების კულტი ეგვიპტეში უძველესი დროიდან არსებობდა, ყველა დროში იყო გავრცელებული ასევე თევზის სახის ამულეტები, მაგრამ ცნობები მათზე ბევრი არ არის. სავარაუდოდ, ისინი უფრო სახალხო რელიგიას მიეკუთვნებოდა, ვიდრე ოფიციალურს, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთ უსუფთაო საკვებად იყო მიჩნეული, რომელიც არ შეიძლებოდა შეწირულიყო ღმერთებს და გარდაცვლილებს. თუმცა არსებობდა გამონაკლისი, რადგან ტანისში აღმოჩენილ შუა სამეფოს პერიოდით დათარიღებულ გამოსახულებაზე მეფე, ძველებურ ტანსაცმელში, ღმერთებს თევზს სწირავს. ნილოსის კობრის (Cyprinus Lepidotos) კულტის მთავარი ადგილი იყო ლეპიდონტოპოლისი, ტინიტის ნომში. ქალაქის ტაძარში, რომელიც მიძღვნილი იყო ონურისის და მეხიტისადმი, მრავლად არის აღმოჩენილი ამ თევზის ბრინჯაოს ფიგურები. ის მეხიტის საკრალურ ცხოველად ითვლებოდა. მთელ ეგვიპტეში ეთაყვანებოდნენ ოქსირინხოსს (Mormyrus kannume, ეგვ. *ḥ3.t*, Wb III, 359), თუმცა მისი განსაკუთრებული კულტი იყო მისივე სახელის ქალაქში, და ლატოპოლისში (ესნა). სხვადასხვა თევზების კულტები ზოგადად მთელ ეგვიპტეში იყო (Kees, 1980, 63-70).

თერმუტისი – ქალღმერთ რენენუნეტის (* იხ.*) ბერძნული სახელი.

თვის ღვთაებები – ეგვიპტეში თითოეულ თვეს გარკვეულ ღმერთს უკავშირებდნენ, რომელიც ამ თვის მფარველად ითვლებოდა, მაგრამ სხვადასხვა დროის თვეების ცხრილში ეს შეიძლებოდა სხვადასხვა ღმერთი ყოფილიყო. მაგ. რამესიდების დროინდელ ცხრილში ეს ისეთი ცნობილი ღმერთებია, როგორიცაა რა-ხორახტი, სახმეტი, მუტი. უფრო გვიანდელ ცხრილებში 12 თვეს თოერისის 12 სახე შეესაბამება და ა.შ. (Bonnet, 1952, 470).


თოერისი

თოერისი – (ეგვ. *Rr.t*, Wb II, 438). მიეკუთვნებოდა დაბალი რანგის ღვთაებებს. იყო ხალხური რელიგიის ქალღმერთი, რომელსაც ძუ ბეჰემოტის სახით ეთაყვანებოდნენ. ითვლებოდა ქალის ნაყოფიერების მფარველად, მფარველობდა ქალს მშობიარობისას. უნდა აღინიშნოს, რომ მის სახელთან დაკავშირებული იყო ისეთი სიტყვები, როგორიცაა „ფეხმძიმედ ყოფნა", „აღზრდა" (*rr*, Wb II, 439) და „ძიძა" (*იქვე*). თებეში ეძახდნენ ოპეტს, დაკავშირებული იყო ისიდასთან და ხორის ძიძად ითვლებოდა. აქ მას პატარა ტაძარიც ჰქონდა კარნაკში, ხონსუს ტაძრის გვერდით, რომელსაც XX-XXI დინასტიების დროს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა (Kees, 1980, 355-356).

თოტი

თოტი – (ეგვ. *Ḏḥ w.tj*, Wb V, 606), ერთ-ერთი უძველესი და ურთულესი ღვთაება, რომელსაც უკვე ძველი სამეფოს დროს ეკავა უმნიშვნელოვანესი ადგილი ეგვიპტის პანთეონში. სიბრძნის, დამწერლობის, მაგიის ღმერთი. გამოისახებოდა იბისის, მაიმუნის ან იბისისთავიანი ადამიანის სახით. მისი სახელის მნიშვნელობა და კულტის წარმოშობა უცნობია. სავარაუდოდ, ეს იყო დელტა, სადაც იბისს ბევრგან ეთაყვანებოდნენ და მეთხუთმეტე ნომის სახელი იბისის იეროგლიფით გამოიწერებოდა (Montet, 1961, 137). შესაძლოა, მეთხუთმეტე (სასაზღვრო) ნომთან კავშირის გამო ძველი სამეფოს დროს იგი მოიხსენიება, როგორც „ბედუინების" და „უცხო ქვეყნების" ბატონი (Borchardt, 1913, II, 82-83). დინასტიურ ეგვიპტეში თოტის მთავარი საკულტო ქალაქი ჰერმოპოლისი მაგნა გახდა. მისი კულტის აქ გავრცელების დრო უცნობია. ჰერმოპოლისში უძველესი დროიდან ეთაყვანებოდნენ პავიანის სახის ღვთაებას, პეცურს. პეცურმა ძალიან მალე დაკარგა იდენტურობა და შეერწყა

თოტი იბისის სახით

თოტი პავიანის სახით

თოტს, რომელმაც, პავიანის სახესთან ერთად, ჰეცურის სხვა თვისებებიც შეისისხლხორცა. თოტი გახდა „თეთრი ტაძრის ღმერთების წინამძღოლი" და სპიკერი, რომლებიც სამეფო დღესასწაულების დროს ზემო ეგვიპტის ღმერთების „წარმომადგენლების" როლს ასრულებდნენ. ჰეცურს უკავშირდება წოდება „ხუთის ბატონი", რომელიც არა მარტო თოტის, არამედ ჰერმოპოლისის მთავარი ქურუმის წოდებაც გახდა (Sethe, 1976, §§73-74). შემდგომში ეს წოდება დაუკავშირდა ხუთ ღვთაებას, რომლებიც ხუთ ეპაგომენალურ დღეს იშვა. პლუტარქეს ცნობით (De Iside, 12), რამ აუკრძალა თავის დედას, ნუტს მშობიარობა წლის ნებისმიერ დღეს. თოტმა მთვარეს დაფის კამათლებიანი თამაში ეთამაშა, სადაც თითო მოგებაში დღის 1/70 ნაწილს იღებდა და მოიგო ხუთი დღე-ღამის დრო. ეს ხუთი (ე.წ.ეპაგომენალური) დღე, ეგვიპტის თორმეტთვიან კალენდარს დაემატა (თითო ეგვიპტურ თვეში 30 დღე იყო). ნუტმა ხუთი ეპაგომენალური დღის განმავლობაში ხუთი შვილი გააჩინა: ოსირისი, ხაროერისი („დიდი ხორი", მას ასხვაევებდნენ „პატარა ხორისაგან", რომელიც ისიდას შვილი იყო), სეტხი, ისიდა და ნეფტიდა. თუმცა თოტი არ იყო ჰერმოპოლისის კოსმოგონიური სისტემის (ოგდოადის) წევრი, როგორც ჰერმოპოლისის მთავარი ღვთაება, ის დროთა განმავლობაში ჰერმოპოლისის ოგდოადის ბატონი გახდა, და მოიხსენიებოდა, როგორც „რვის ბატონი". დაკავშირებული იყო თოტი მთვარესთანაც, რაც უკვე ძველი სამეფოს დროს არის დაფიქსირებული (PT 128-130, 329). ამბობდნენ, რომ მან გამოიგონა მთვარის კალენდარი, რომლის მიხედვითაც დღესასწაულები ტარდებოდა. ახალი სამეფოდან ხდება მისი შერწყმა მთვარის ღვთაებასთან — იახთან იახ-თოტის სახით. კიდევ უფრო ძველია თოტის, როგორც „მთვარის თვალის ბატონის" სახე. ამ სახით ის გვევლინება მითებში, რომლებიც დაკავშირებულია მთვარის ციკლიურ შემცირებასთან. მთვარის თვალს (რომელიც, ეგვიპტური მითის თანახმად, ხორის მარცხენა თვალი იყო), შეუტია სეტხმა, მოვლენილმა შავი ღორის სახით, და გადაყლაპა. თოტმა მოიძია თვალი, აიძულა სეტხი გადმოეფურთხებინა ის, და მოაშუშა ჭრილობები თავისი ნერწყვით (Pinch, 2002, 167). ზოგიერთი მითის თანახმად, თოტი, პირიქით, მთვარის თვალის დაზიანების მონაწილეა, რაც კიდევ უფრო ძველ წარმოდგენებთან არის დაკავშირებული (Kees, 1980, 261, 265). მთვარესთან კავშირიდან გამომდინარე, თოტი „დროის ბატონად" და „წლების დამთვლელად" იყო მიჩნეული, რომელმაც დრო თვეებად და წლებად დაყო (ეგვიპტელთა უძველესი

კალენდარი მთვარის იყო). შესაბამისად, თოტის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს წლის აღმნიშვნელი იეროგლიფი წარმოადგენდა. მეფედ კურთხევის ცერემონიალის დროს თოტი ამ ნიშანზე ახალი ფარაონის მეფობის წლებს და ხებ-სედის რაოდენობას წერდა. არსებობდა წარმოდგენაც, რომ თოტი ადამიანისათვის განკუთვნილ სიცოცხლის წლებს წერდა ერთ-ერთ აგურზე, რომელზეც მშობიარე ქალი იდგა. იყო ასევე რიცხვების, ზომის და დამწერლობის ბატონი. ითვლებოდა, რომ მფარველობდა ბიბლიოთეკებს და არქივებს, რომლებიც ეგვიპტეში უმნიშვნელოვანეს დაწესებულებებად იყო მიჩნეული და ამიტომ ყველა ტაძარს მდიდარი ბიბლიოთეკა გააჩნდა. მისი ერთ-ერთი წოდება „წიგნების ბატონი" იყო. ითვლებოდა ასევე გადამწერების მფარველად, რომლებიც, თავის მხრივ, „თოტის ერთობად" იყვნენ მიჩნეული. გვიანდელ პერიოდში სიტყვა „გადამწერი" თოტის მაიმუნის ნიშნით გამიწერებოდა (Rocatti, 1997, 67). შესაბამისად, თოტი „დამწერლობის ბატონიც" იყო. იყო ასევე კანონების და ჯადოსნური შელოცვების შემქმნელი და ყველა იმ საიდუმლოს მცოდნე, რომელსაც მინა და ზეცა მოიცავს, ასე რომ მასში მთელი სიბრძნე იყო თავმოყრილი. ერთი ეგვიპტური ენციკლოპედიის ტიპის თხზულება, დაწერილი ვინმე ამონემოპეს მიერ, იწყება სიტყვებით: „სწავლების დაწყება გონების გასანმენდად, ყველაფერ იმის შესასწავლად, რაც არსებობს, რაც პტახმა შექმნა და თოტმა ჩაწერა" (Gardiner, 1947, I, 1-2). ამას გარდა, ითვლებოდა, რომ თოტის სიტყვებს მაგიური ძალა გააჩნდა. ამდენად, იყო „ჯადოსნობის ბატონი" და მედიცინის მფარველი, რომელიც ექიმებს სამკურნალო რეცეპტებით ამარაგებდა. როგორც მთვარე, ყველაზე ახლოს იყო რასთან. ის „რას გადამწერი" და „ენეადის წერილების დამწერი" იყო (Erman, 1966, 337). „ძროხის წიგნში" ნათქვამია, რომ თოტი, როგორც მთვარის ღმერთი, რამ თავის შემცვლელად დანიშნა ღამის დროს და რომ მთვარე რას მარცხენა თვალია (Коростовцев, 1976, 69). წინააღმდეგობრივია თოტის კავშირი ოსირისთან. უფრო არქაული წარმოდგენების თანახმად იგი ოსირისის მკვლელობის თანამონაწილედ და სეტხის ძმად იყო მიჩნეული (PT 163, 173-175; Kees, 1980, 265). მოგვიანებით, პირიქით, ის ოსირისის მშველელი ხდება, რომელიც ოსირისის დანაწევრებულ ნაწილებს აგროვებს და კურნავს მას (PT 639, 830). დაკავშირებული იყო თოტი ასევე ხორთან. ხორისა და სეტხის ორთაბრძოლაში ხან ნეიტრალურ ღვთაებად გვევლინება, რომელიც ცდილობს შეარიგოს და დაანყნაროს ხორი და სეტხი (PT 273), ხან კი რო-

თოტი, როგორც მთვარის ღვთაება

გორც ხორის გვერდით მდგომი, რომელიც სეტხის მიმდევრებს ატყვევებს (PT 635). სინკრეტულად თოტი მაინც მხოლოდ მთვარის ღვთაებებთან, იახთან და ხონსუსთან იყო დაკავშირებული. თოტის მეუღლეებად სხვადასხვა ტექსტების მიხედვით გვევლინებიან ქალღმერთები მაატი და სეშატი. ბერძნებმა თოტი ჰერმესთან გააიგივეს (Boylan, 1922).

თოტმესი – (ეგვ. *Ḏḥwtj mś* – „თოტის შობილი"), XVIII დინასტიის ოთხი ფარაონის სახელი. პირველივე თოტმესის მეფობით იწყება ეგვიპტის სამხედრო ბრწყინვალების, ტერიტორიული ექსპანსიის და უდიდესი მატერიალური კეთილდღეობის ხანა. მისი და მისი მემკვიდრეების – ე.წ. თოტმესიდების დროს დინასტიის პირველი ორი ფარაონის მონაპოვარი კიდევ უფრო იზრდება ბრწყინვალე სამხედრო გამარჯვებებით, რასაც ხელი შეუწყო თავისი დროის ყველაზე მძლავრმა და მოძრავმა არმიამ და ფარაონებმა, რომლებიც ახალი ტრადიციის თანახმად ბავშვობიდან იყვნენ გაწვრთნილი სამხედრო საქმეში. **თოტმეს I**-ის (ჩვ.წ.-მდე 1504-1492 წწ.) წარმომავლობა ნათელი არ არის. ამონხეტეპ I-ის და მისი დის და მთავარი მეუღლის, იახმეს მერიტამონის ერთადერთი ვაჟიშვილი, ამონემხატი ბავშვობაში გარდაიცვალა (Hayes, 1959, 52; Grimal, 1988, 190). შესაძლოა, მათ დარჩათ ქალიშვილი იახმესი, რომელიც ამონხეტეპმა თავის სამხედროზე, თოტმესზე დააქორწინა (Gardiner, 1964, 176). იმავდროულად, იახმესი არსად არ სახელდება, როგორც „მეფის ქალიშვილი", ამიტომ ზოგიერთის აზრით ის თვითონ თოტმესის (Bleiberg, 2001, 400), ან ამონხეტეპ I-ის (O'Connor, 2006, 21) დაა. თოტმესი და ამონხეტეპი ერთად არიან მოხსენიებული ამონხეტეპის გარდაცვალებამდე გაცილებით ადრე. ვარაუდს, რომ თოტმესი თავის მემკვიდრედ თავად ამონხეტეპმა აარჩია (Hayes, 1959, 75; Grimal, 1988, 203), ის ფაქტიც ამყარებს, რომ თოტმესი შესანიშნავი სამხედრო იყო. თოტმესის მამის სახელი უცნობია, დედა – სენესენები უბრალო წარმოშობის ქალი იყო (Gardiner, 1964, 176). გასაკვირი არაა, რომ მდგომარეობის გასამტკიცებლად თავისი გამეფების დღეს თოტმესმა გაუგზავნა სპეციალური წერილი ყველა მაღალი თანამდებობის პირს. ის მათ ამცნობდა თავის ტახტზე ასვლის ფაქტს, სრულ ტიტულატურას და მოითხოვდა, რომ ყველა ფიცი მისი სახელით ყოფილიყო დადებული (Breasted, 1962, §§55-60; Hayes, 1959, 75). მეფობის მეორე წელს თოტმესმა მოაწყო ლაშქრობა ნუბიაში, რომლის დროსაც წაინია კერმას სამხრეთით, კუნძულ არგომდე ნილო-

სის მესამე და მეოთხე ჭორომებს შორის. პირადად მოკლა ბრძოლაში აჯანყებული ნუბიელების ბელადი, რომელიც უკან დაბრუნებისას გემის კიჩოზე ჰყავდა ჩამოკიდებული (Breasted, 1962, § 80; Hayes, 1959, 75). მეორე ექსპედიციის დროს (მეფობის მესამე წელს) მან გააწმენდინა სენუსერტ III-ის მიერ გაყვანილი არხი ნილოსის პირველ ჭორომთან გადანაცვლების გასაადვილებლად. მიაღწია მესამე ჭორომამდე, სადაც ტომბოსთან ააგო ფორტი და აღმართა სტელა (Breasted, 1962, §§67-73; Oakes, 2003, 207). მეფობის მეორე წელს მოაწყო წარმატებული ლაშქრობა აზიაში, გადაკვეთა ევფრატი და დაამარცხა მითანის სამეფოს ჯარი. წარმატება აღნიშნა სტელის აღმართვით ევფრატის ნაპირზე (Shaw&Nickolson, 1995, 289) და სპილოებზე ნადირობით სირიაში (Gardiner, 1964, 179). მეოთხე წელს გაემართა ნუბიაში აჯანყების ჩასახშობად და ჩავიდა მეოთხე ჭორომზე სამხრეთით, სადაც კურგუსთან მისი წარწერაა ნაპოვნი (Shaw&Nickolson, 1995, 289). ამის შემდეგ მან ააგო ნუბიაში ფორტების ჯაჭვი და დააწესა ისეთი ადმინისტრაციული სისტემა (ნუბია ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულად დაყო), რომლის წყალობით ნუბია მოექცა ეგვიპტის დაქვემდებარებაში მიმდევნო 500 წლის განმავლობაში. თოტმესის სამხედრო ლაშქრობების შედეგად, ეგვიპტის მიერ დაპყრობილი ტერიტორია გავრცელდა სამხრეთით ნილოსის მეოთხე ჭორომამდე და ჩრდილო–აღმოსავლეთით – ევფრატის ნაპირებამდე. თავისი კამპანიებით ზემო ნუბიასა და დასავლეთ აზიაში თოტმეს I ამტკიცებს, რომ იგი იყო შესანიშნავი სარდალი და თითქმის არ ჩამოუვარდებოდა თავის განთქმულ შვილიშვილს, თოტმეს III-ს. დაპყრობილი ტერიტორიებიდან ეგვიპტეში აურაცხელი სიმდიდრის შემოდინება დაიწყო, ამიტომ გაკვირვებას არ იწვევს თოტმესის მშენებლობები ნუბიაში, აბიდოსში, არმანტში, ომბოსში, ელ ჰიბაში, მემფისში და ედფუში, მაგრამ ყველაზე მასშტაბური მშენებლობები მან კარნაკის ტაძარში ჩაატარა (Grimal, 1988, 300; Breasted, 1962, §§102-105). თოტმეს I იყო პირველი ფარაონი, რომელმაც აიგო სამარხი ვადი ელ-ბიბან ელ-მულუქში – ე.წ."მეფეთა ველზე". მისი მოსახსენიებელი ტაძარი ნაპოვნი არ არის. თოტმეს I-ის მუმია აღმოჩნდა 1881 წ. ცნობილ სამალავში დეირ ელ-ბაჰარიში. **თოტმეს II** – (ჩვ.წ-მდე1492-1479 წწ.). თოტმეს I-ის ორი უფროსი ვაჟიშვილი მისი დედოფლის, იახმესისაგან, გარდაიცვალა მისი მეფობის დროს, ამიტომ თოტმეს I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა თოტმეს I-ის ვაჟიშვილი „მეორე რიგის" ცოლის, მუტ-ნეფრეტისაგან, ისიც თოტმესი,

რომელიც ჯერ კიდევ ბავშვი იყო. მდგომარეობის გასამტკიცებლად თოტმეს II-ს ცოლად შერთეს თოტმეს I-ის და იახმესის ქალიშვილი ხატშეპსუტი. მისი გამეფებისთანავე დაიწყო აჯანყება ნუბიაში, რომელიც წარმატებით ჩაახშეს თოტმესის მამის გაწვრთნილმა გენერლებმა (Breasted, 1962, §§121-122). თვითონ თოტმესის მონაწილეობას სამხედრო ექსპედიციებში ხელს არ უწყობდა სუსტი ჯანმრთელობა, მაგრამ მან, შესაძლოა, მაინც ჩაატარა ერთი ექსპედიცია შაშუ ბედუინების წინააღმდეგ სინაიზე (Breasted, 1962, § 124; Gardiner, 1964, 180) და ერთი – სირიაში (Breasted, 1962, § 125). თოტმესი ძალიან ახალგაზდა გარდაიცვალა. მოსახსენიებელი ტაძარი აიგო მედინეტ ჰაბუში, სამარხი – მეფეთა ველზე. მისი მუმია, ნაპოვნი დეირ-ელ-ბაჰარის სამალავში, მძიმე ავადმყოფობის ნიშნებს ამჟღავნებს. **თოტმეს III** (1479-1425) ძველი ეგვიპტის უდიდეს სამხედროდ და მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ სტრატეგად არის მიჩნეული. მას, შესაძლოა მომცრო ტანის გამო, ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „ძველი ეგვიპტის ნაპოლეონს" (Breasted, 1912, 85) და, ასევე, როგორც „ენიგმატურ ფარაონს" (O'Connor, 2006, 1). მისი ბიოგრაფია თავისებურად გამორჩეულია ეგვიპტის ფარაონების გრძელ მწკრივში (O'Connor, 2006, 1-38). თოტმეს II-ის გარდაცვალებისათვის თოტმეს III ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ამიტომ რეგენტობა მისმა დედინაცვალმა, ხატშეპსუტმა იტვირთა. თვითონ თოტმეს III-ის დედა იყო თოტმეს II-ის „მეორე რიგის ცოლი", არასამეფო წარმოშობის მქონე ისიდა, (ხატშეპსუტისაგან თოტმეს II-ს დარჩა მხოლოდ ქალიშვილი ნეფრურა), ამიტომ თოტმეს III-ის მდგომარეობა არ იყო მტკიცე, მით უფრო ისეთი რეგენტის ხელში, როგორიც იყო ხატშეპსუტი, თუმცა პოზიციების განსამტკიცებლად ისიც, მამის მსგავსად, დედოფლის ქალიშვილზე, ნეფრურაზე დააქორწინეს. პირველ ხანებში ხატშეპსუტი არ სცილდებოდა თავის უფლებებს (Hayes, 1959, 82), მაგრამ თოტმესის გამეფების მეშვიდე წელს თავი ეგვიპტის ფარაონად გამოაცხადა (O'Connor, 2006, 5). ამის შემდეგ ორი მეფე თითქოსდა გვერდიგვერდ მეფობდა, მაგრამ რეალურად ძალაუფლება ხატშეპსუტის ხელში იყო. გამეფებიდან მეთექვსმეტე წელს ხატშეპსუტი ქრება არენიდან და თოტმესი ისევ იბრუნებს ტახტს. თოტმესის"ხელმეორედ გამეფების" შემდგომი 20 წელი ასევე უჩვეულოა, რადგან ამ მონაკვეთში მან 17 წარმატებული სამხედრო კამპანია ჩაატარა აზიაში და რამდენიმე – ნუბიაში (O'Connor, 2006, 6). მეფობის დაახლ. მეორმოცე წელს (თოტმეს III-ის მეფობის წლებს მისი ტახტზე პირველად

ასვლის წლიდან ითვლიან) თოტმესმა დაიწყო თავისი აზიური კამპანიების აღწერის მოთავსება კარნაკის ტაძრის კედელზე (Redford, 2003, 3). ეს ანალები, რომლებიც 223 სტრიქონს მოიცავს (Breasted, 1962, §§391-573), შესრულებულია თოტმესის მემატიანის, ჩანინის მიერ (რეალური ისტორიული პიროვნება, რომლის სამარხი ნაპოვნია). თოტმესის დროისათვის აზიაში ორი დომინირებული ძალა იყო გამოკვეთილი. ცენტრალურ ანატოლიაში მომძლავრებული ხეთების სამეფო მიიწევდა სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, სირიისაკენ. ჩრდილოეთ მესოპოტამიაში აღზევდა კიდევ ერთი ექსპანსიური სახელმწიფო — მითანი. ანგარიშგასაწევი იყო ასევე ისეთი ქალაქები, როგორც იყო ქადეში, მეგიდო და ტუნიპი. ახალი სამეფოს ეგვიპტელები იაზრებდნენ პოტენციურ საშიშროებას აზიიდან და იცნობდნენ იქაურ გეოპოლიტიკურ სტრუქტურას, რაც ჩანს იახმესის, ამონხეტეპ I-ის და თოტმეს I-ის აზიური ლაშქრობებიდან, მაგრამ თოტმეს III-ის ლაშქრობებამდე ოცდაათი წლის განმავლობაში აქ არავითარი ეგვიპტური აქტივობა არ არის დაფიქსირებული (O'Connor, 2006, 13). მეორედ გამეფებიდან თვენახევრის შემდეგ თოტმესმა, დიდი არმიის სათავეში, გადალახა ეგვიპტის საზღვარი და იერიში მეგიდოზე მიიტანა. შესანიშნავი სტრატეგიული გეგმის წყალობით (გაატარა ჯარი ვიწრო და საშიშ გასასვლელში მთებს შორის, რასაც მოწინააღმდეგე არ ელოდა (Steiddorf & Seele, 1942, 53-54; Gardiner, 1964, 192) იგი პირდაპირ ქანაანის ძალების არიერგარდში აღმოჩნდა (Redford, 1992, 157). დამარცხებულმა ჯარმა დაიხია მეგიდოში, მაგრამ შვიდთვიანი ალყის შემდეგ თოტმესმა ქალაქი აიღო (Steindorf&Seele, 1942, 46). ამ კამპანიამ ძირფესვიანად შეცვალა პოლიტიკური ვითარება აზიაში. თოტმესმა მოიპოვა კონტროლი მთელ ჩრდილოეთ ქანაანზე და სირიელი უფლისწულები იძულებული გახდნენ, გაეგზავნათ ეგვიპტეში ხარკი და შვილები მძევლებად (Steindorf&Seele, 1942, 56), ბაბილონის, ასურეთის და ხეთების მეფეებმა კი თოტმესს საჩუქრები გაუგზავნეს (Gardiner, 1964, 193). ამის შემდეგ იგი ყოველ წელს აწყობდა ლაშქრობებს. ჯახუში დააყენა გარნიზონი, რომლითაც უზრუნველყო უპრობლემო და სწრაფი საზღვაოსნო მიმოსვლა ეგვიპტესა და სირიას შორის (Redford, 2003, 219). მან ძალზე გაზარდა ეგვიპტის ფლოტიც. ბიბლოსში აგებდა გემებს, რომლებიც საჭიროების მიხედვით ოთხთვალებით გადაპქონდა ხმელეთზე „შემდეგ" მდინარემდე, რითაც ძალზე აჩქარებდა არმიის გადანაცვლებას. ამგვარი ხერხით მეშვიდე ლაშქრობის

დროს მან სწრაფად გადაცურა ევფრატი და მოულოდნელად დაესხა თავს მითანის მეფეს. ამ უკანასკნელმა დაიხია ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარე სტეპების სილრმეში, მაგრამ თოტმესმა დააყაჩაღა ქვეყანა და ბაბუის, თოტმეს I-ის მსგავსად, აღმართა სტელა ევფრატის სანაპიროზე (Redford, 1992, 225). მეფობის 35-ე და 42-ე წლებში მან კვლავ დაამარცხა მითანის ჯარი, გამოგზავნილი მითანის მეფის მიერ სირიის ქალაქებიდან ეგვიპტელთა გასაძევებლად. ამის შემდეგ ბრძოლა ამ ორ თავისი დროისათვის ყველაზე მძლავრ სახელმწიფოს შორის შეწყდა. ნუბიაში თოტმესმა მიაღწია კაროის, მეოთხე ჭორომის სამხრეთით და ამ ტერიტორიაზე ჩაუყარა საფუძველი ფორტიფიცირებულ ქალაქ ნაპატას. ასე სამხრეთით არ ჩამოსულა არც ერთი ეგვიპტელი ფარაონი (Hayes, 1959, 115). თოტმესის რკინისებური ნებისყოფა და ენერგია იგრძნობოდა ქვეყნის მართვაშიც. ბევრ ცენტრალურ თანამდებობაზე მან დანიშნა მასთან პირადად დაახლოებული პირები, რომლებიც სამხედრო კამპანიებში გამოსცადა. ქვეყნის მთავარი ვეზირის თანამდებობა თოტმესმა ორად გაყო — ამიერიდან ეგვიპტეს ორი, ჩრდილოეთის და სამხრეთის ვეზირი ჰყავდა — უკეთესი მეთვალყურეობისათვის. თოტმესი ფართო სამშენებლო მოღვაწეობასაც ეწეოდა. ძირეულად გადააკეთა კარნაკის ტაძარი, რომელსაც პირველმა მისცა გრანდიოზულობის ელფერი. თოტმესამდე ტაძარს, რომელიც ძირითადად ღია ეზოებისაგან შედგებოდა, დაახლ. ერთი ჰექტარი ფართობი ეკავა, მან კი 1,6 ჰექტარამდე გაზარდა. მან გადახურა ეზოები და სვეტები შემოავლო მათ, ააგო რამდენიმე პილონი. მისი კამპანიების შედეგად ეგვიპტეში ისეთი აურაცხელი სიმდიდრე შემოვიდა, რომ მან კარნაკში ორი ელექტრუმის (*იხ.*) ობელისკი აღმართა, რომლებიც, სხვა აურაცხელ სიმდიდრესთან ერთად, გაიტაცეს ასურელებმა, როცა XXV (ნუბიური) დინასტიის ფარაონის, ტანტამანის (ჩვ.წ.-მდე 664-657) დროს ასურბანიპალის მიერ თებეს ცნობილი დაყაჩაღება მოხდა (O'Connor, 2006, 18). თითო ობელისკი დაახლ. 42 კგ.-ს იწონიდა (Desroches-Noblecourt, 1963, 34). მან ასევე აღმართა ორმოცდაათამდე ტაძარი მთელ ეგვიპტეში (Redford(ed), 2003, 401-403). თავისი მოსახსენიებელი ტაძარი ააგო დეირ-ელ-ბაჰარიში, მონტუხეტეპის და ხატშეპსუტის ტაძრებს შორის, სამარხი — მეფეთა ველზე. მისი მუმია აღმოჩენილია დეირ-ელ-ბაჰარის სამალავში. **თოტმეს IV** (1401-1391) იყო ამონხეტეპ II-ის და ტიაას ვაჟი. მისი მეფობა წარმოადგენს გარდატეხის პერიოდს, როცა ეგვიპტე უკვე არა ძალაზე, არამედ

დიპლომატიურ მოლაპარაკებებზე იყო ორიენტირებული. მის დიდ დიპლომატიურ მიღწევად ითვლება მითანის მეფის, არტატამას ქალიშვილზე ქორწინება (O'Connor&Cline, 2001, 27). თოტმესი ცნობილია ასევე თავისი „სიზმრის სტელით", საიდანაც გვამცნობს, რომ უფლისწულად ყოფნისას, უდაბნოში ჯირითობით დაღლილს, მას ცნობილი გიზეს სფინქსის ჩრდილში ჩაეძინა. ძველი სამეფოს დროს აღმართული სფინქსი თოტმესის დროს უკვე კისრამდე ქვიშაში იყო ჩაფლული. სიზმარში თოტმესს მოევლინა ხორმახისი-ხეპრი-რა-ატუმი, რომელმაც გამეფება აღუთქვა, თუ ქვიშიდან გაანთავისუფლებდა მას, რაც თოტმესმა, რასაკვირველია, შეუსრულა, და სფინქსის თათებს შორის აღმართა სტელა, რომელზეც ეს ამბავია მოთხრობილი (Shaw, 2000, 25). თოტმესი არ იყო ამონხეტეპ II-ის ტახტის პირდაპირი მემკვიდრე, ამიტომ დღეს ფიქრობენ, რომ მან უფროსი ძმის ტახტის უზურპირება მოახდინა და თავისი გამეფების ერთგვარად „გასამართლებლად" სიზმრის სტელა აღმართა (Clayton, 1994, 113-114). სავარაუდოდ, მას მხარს უჭერდა ამონის ქურუმობა, რადგან ამონის ტაძარში დიდი ღმერთის პროცესიის დროს ამონმა მოულოდნელად „შეიცვალა" სვლის მიმართულება და ტაძრის ბნელ კუთხეში მდგარ თოტმესთან „მიბრძანდა". სწორედ ასე მოხდა მისი გამეფება (Desroches-Noblecourt, 1963, 35-36). როგორც ყველა თოტმესიდი, ბევრს აშენებდა. დაამთავრა თოტმეს III-ის დაწყებული საქმე – აღმართა იმ დროისათვის ყველაზე მაღალი (32მ. სიმაღლის) ობელისკი, რომელსაც „უნიკალური ობელისკი" დაარქვა (Clayton, 1994, 114). ჩვ.წ.357 წ. იმპერატორმა კონსტანტინე II-მ ობელისკი რომში გადაიტანა, სადაც დღესაც ამშვენებს პიაცა სან ჯოვანის ვატიკანში და ლატერანულ ობელისკად მოიხსენიება (Grimal, 1992, 303). ააგო ასევე უნიკალური სამლოცველო კარნაკის მთავარი ტაძრის უკანა კედელთან. ეს იყო სამლიცველო იმ ხალხისათვის, ვისაც არ ჰქონდა ტაძარში შესვლის უფლება. თოტმესი გარდაიცვალა ახალგაზრდა, დაკრძალული იყო მეფეთა ველზე, შემდეგ მისი მუმია გადაიტანეს ცნობილ დეირ ელ-ბაჰარის სამალავში, სადაც აღმოაჩინეს 1898 წ.

თოტმესი – უფლისწული, ამონხეტეპ III-ის ვაჟიშვილი და ამონხეტეპ IV (ეხნატონის) უფროსი ძმა. მას ეკავა სემ-ქურუმის და მემფისის მთავარი ქურუმის თანამდებობები. განსაკუთრებით ცნობილი გახდა საყვარელი კატის (სახელად *tꜣmjw*, „კატა-გოგონა") სარკოფაგის გამო, რომელიც მის სამარხში

აღმოაჩინეს. სავარაუდოდ, მამაზე ადრე გარდაიცვალა (O'Connor and Cline (editors), 1998, 8).

თრიპისი – ქალღმერთი. პანოპოლისში იყო მინის ცოლი (Gardiner, 1947, 40*).

იარუს მინდვრები – (ლელიანის მინდვრები) ეგვიპტელთა წარმოდგენით იდეალიზირებული საიქიო განსასვენებელი იყო. რას და გარდაცვლილ ფარაონს დოლაობით იარუს ტბაში უნდა ებანავათ (PT 519). ახალი სამეფოს დროიდან ეს „ჩვეულებრივ" მიცვალებულთათვისაც გახდა შესაძლებელი.

იახმესი – (ეგვ. *Ꜥḥ ms,* „მთვარის შობილი). ორი ფარაონის სახელი. 1. **იახმეს I**-ის (1550-1525) მეფობით იწყება XVIII დინასტია და ახალი სამეფოს ხანა. იყო XVII დინასტიის ბოლო ფარაონის, კამოსეს ძმა. ითვლება, რომ მათი მამა, ტაო II სეკენენრა დაიღუპა ჰიკსოსებთან ბრძოლაში, რასაც ადასტურებს უმძიმესი ჭრილობები მის მუმიაზე (Shaw, 2000, 199). სამი წლის შემდეგ დაიღუპა კამოსეც, (Grimal, 1988, 192), რომელზეც ცნობილია, რომ მიიტანა იერიში ავარისზე (*იხ.*) (Shaw, 2000, 199). იახმესი ტახტზე დაახლ. ათი წლის ასაკში ავიდა და თავიდან მისი რეგენტი იყო დედა, იახხეტეპი (Grimal, 1988, 194). მოვლენების შემდგომი განვითარების თანმიმდევრობა და ქრონოლოგია დღემდე არ არის დაზუსტებული მასალის სიმწირის გამო, მაგრამ აშკარაა, რომ იახმესი უაღრესად ენერგიული ფარაონი და შესანიშნავი სტრატეგი აღმოჩნდა. ე.წ. რინდის მათემატიკური პაპირუსის verso-ს ტექსტის თანახმად, ჰელიოპოლისის აღების შემდეგ მან შეტევა მიიტანა ტარუზე (იგივე სილე, მთავარი სასაზღვრო ფორტი ე.წ. „ხორის გზაზე", რომელიც ეგვიპტეს ქანაანთან აკავშირებდა (Spalinger, 2005, 23; Redford, 1992, 128). ტარუს აღებით მან გადაჭრა ტრანსპორტის მიმოსვლა ქანაანსა და ავარისს შორის და ავარისი ბლოკადაში მოაქცია. შემდეგი ინფორმაციის წყაროა ფარაონის მეზღვაურების უფროსის, ასევე იახმესის, ებანას ვაჟის ბოიგრაფია (Breasted, 1962, §§9-12). რამდენიმე შეტევის შემდეგ ფარაონმა აიღო ავარისი, მაგრამ არ დასჯერდა ჰიკსოსების ეგვიპტიდან განდევნას. იგი დაედევნა მათ აზიაშიც, სადაც ალყა შემოარტყა შარუხენს, ჰიკსოსების სამხედრო ბაზას სამხრეთ პალესტინაში, რომელიც ექვსწლიანი

(Breasted, 1962, § 13) ან სამწლიანი (Grimal, 1988, 193; Redford, 1967, 46-49) ალყის შემდეგ დანებდა. შემდეგ ენერგიულმა იახმესმა მათ სირიის ჩრდილოეთამდე სდია. ამით მან ერთხელ და სამუდამოდ განდევნა დამპყრობლები ეგვიპტიდან და მომავალი თაობების მიერ ახალი ერის დამწყებად იქნა შერაცხული. მანეთონმა ჰიკსოსების განდევნა იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ თუმცა დინასტიური წყვეტა არ ყოფილა, იახმესით ახალი დინასტიის და ახალი ეპოქის ათვლა დაიწყო (Redford, 1967, 28). დამპყრობლების განდევნის შემდეგ იახმესმა ყურადღება ნუბიას მიაპყრო, რომელიც ჰიკსოსების ბატონობის დროს გამოვიდა ეგვიპტის მორჩილებიდან. მან აღადგინა ეგვიპტის გავლენა ნილოსის მეორე ჭორომამდე და დააარსა ახალი ადმინისტრაციული ცენტრი ბუხენში (Grimal, 1988, 190), მან ასევე დაანესა ნუბიის მმართველის თანამდებობა, რომელსაც მიანიჭა წოდება „მეფის ვაჟი, სამხრეთის ქვეყნების ზედამხედველი" და პირველ მმართველად თავისი ვაჟი — იახმეს სიტაიტი დანიშნა. ამის შემდეგ „მეფის ვაჟი" (მოგვიანებით — „მეფის ვაჟი კუშში") ეგვიპტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რგოლი გახდა, თუმცა იახმესის შვილის და შვილიშვილის შემდეგ ის უკვე არასამეფო წარმოშობის მოხელეებს ეკავათ. საგარეო საქმეების მონესრიგების შემდეგ იახმესმა არეულობის წლებში დაზარალებულ ტაძრებს მიხედა და ფართო სამშენებლო მოღვაწეობა გააჩაღა. იგი იყო ბოლო ეგვიპტელი ფარაონი, რომელმაც პირამიდა აიგო. მისი პირამიდის ნანგრევები აღმოაჩინეს აბიდოსში 1899 წ.; მათი იდენტიფიცირება 1993 წ. მოხერხდა. იქვე იყო დიდი პირამიდის ქალაქი, მოსახსენიებელი ტაძარი და უზარმაზარი მიწისქვეშა სამარხი (Lehner, 1997, 190). ითვლება, რომ აბიდოსის პირამიდა მისი კენოტაფი იყო, თავად კი დაასაფლავეს მეფეთა ველზე თებეს დასავლეთით (Lehner, 1997, 191), სადაც 1881 წ., დეირ ელ-ბაჰარის ცნობილ სამალავში, აღმოაჩინეს მისი მუმია სხვა ფარაონების მუმიებთან ერთად (Hayes, 1959, 44). მისი სამარხი აღმოჩენილი არ არის. **იახმეს II** — *იხ. ამასისი.*

იბისი, როგორც ნიშის ემბლემა

ИБИСИ — თეთრი იბისი ფრთებზე შავი ბუმბულით (ibis comata) საკრალური ჩიტი იყო და თოტის ერთ-ერთ გამოვლინებად იყო მიჩნეული. მას ეგვიპტელები „ბრნყინვალეს", „მანათობელს" ეძახდნენ (ეგვ. *ꜣḫ.t*, Wb I, 18). შავი იბისი (plegadis falcinellus) გლოვასთან იყო დაკავშირებული, და მას სხვა სახელიც ერქვა (*gm.t*, Wb V, 166). ეგვიპტის ერთ-ერთი დიდი ბრძენის, იპ-

უვერის დარიგებებში პირველი გარდამავალი პერიოდი), სადაც ქვეყნის უმძიმესი მდგომარეობაა აღწერილი, ხალხი სწორედ გემეტ-ჩიტთან (შავ იბისთან) არის შედარებული (Коростовцев, 1978, 227). უნდა აღინიშნოს, რომ ორივე იბისი აღწერილი აქვს ჰეროდოტეს (II, 76). იბისი იყო ასევე მეთხუთმეტე ქვემოეგვიპტური ნომის ნიშანი (Montet, 1957, 137).

იმხოტეპი — ისტორიულად დაფიქსირებული პირველი ინჟინერი, არქიტექტორი და ექიმი, რომელიც III დინასტიის ფარაონის, ჯოსერის კარზე მოღვაწეობდა. მისი ისტორიულობა დამტკიცებულია იმ მნიშვნელოვანი ფაქტით, რომ მისი სახელი, თანამდებობებთან ერთად, ფარაონ ჯოსერის ქანდაკებაზეა მოთავსებული (რაც თავისთავად უდიდესი პატივი იყო). იმხოტეპმა ააგო პირველი (საფეხუროვანი) პირამიდა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს უძველეს ქვის ნაგებობას დედამიწაზე. მას ეთაყვანებოდნენ ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე, არა მარტო როგორც არქიტექტორს, არამედ როგორც ბრძენს და ექიმს. მას მიეწერება ედვინ სმიტის სამედიცინო პაპირუსის ავტორობა, სადაც 48-ზე მეტი სხეულის დაზიანებაა აღწერილი. იყო უბრალო წარმოშობის, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან მალე გაიკეთა ბრწყინვალე კარიერა თავისი ნიჭის წყალობით. გვიანდელმა ეგვიპტელებმა ღვთაებად შერაცხეს (XXVI დინასტიიდან ის პტახის შვილად გამოცხადდა), ბერძნებმა კი ასკლეპიოსთან გააიგივეს (Kemp, 2004, 159). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი მნიშვნელოვანი ფაქტი: იმხოტეპს არასოდეს ეკავა პოლიტიკური თანამდებობა: ის იყო ჰელიოპოლისის მთავარი ქურუმი, ქურუმი-დეკლამატორი და კარის მთავარი არქიტექტორი, რაც შეესაბამება ლეგენდას მისი განსაკუთრებული სიბრძნის შესახებ, და რომ მომდევნო თაობების ეგვიპტელებმა ღვთაებად შერაცხეს არა ჯოსერი (მიუხედავად მისდამი პატივისცემისა), არამედ მისი პირამიდის არქიტექტორი. ტრადიციის თანახმად, იმხოტეპი ცხოვრობდა ჰუნის დროსაც (ე.ი. III დინასტიის ბოლომდე, Grimal, 2003, 65-66). დღეს იმხოტეპის ქანდაკება დგას „უკვდავთა დარბაზში" ჩიკაგოში, ქირურგების საერთაშორისო კოლეჯში.

ინმუტეფი — ეგვიპტური ღვთაება, რომელიც უკვე პირამიდების ტექსტებშია დაფიქსირებული (PT 1593). სახელი ითარგმნება, როგორც „თავისი დედის სვეტი" (*Ỉwn mw.t.f*, Wb I, 53), რადგან, ეგვიპტელთა წარმოდგენით, მას თავისი დედა

– ზეცის ღვთაება ეჭირა. ახალი სამეფოდან მისი ეს თვისება ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამ დროს ხდება ინმუტეფის დაკავშირება ფარაონთან. ის თან „ახლავს" მას და ყველანაირ სამსახურს უნევს. სეტი I-ის გამარჯვებების აღმნიშვნელ წარწერაში ამონი მას „აძლევს" ინმუტეფს, რომ ის ფარაონს გამარჯვებებისაკენ გაუძღვეს (Breasted, 1962, III, § 155). თანდათან ინმუტეფის, როგორც ფარაონის დამხმარის ფუნქცია ისეთ მნიშვნელობას იძენს, რომ ინმუტეფმა მიიღო სემ-ქურუმის სახე, რომელიც რიტუალურ ქმედებებში ფარაონის ნაცვლად ან მის გვერდით იღებდა მონაწილეობას. ინმუტეფი, სემ-ქურუმის მსგავსად, გამოისახებოდა ლეოპარდის ტყავის მოსასხამით და ახალგაზრდობის ნაწნავით (Bonnet, 1952, 325). თუმცა ხდება მისი შერწყმა ხორთან ხორ-ინმუტეფის სახით, აბიდოსის „ენეადაში", რომელიც თერთმეტი ღმერთისაგან შედგებოდა, ორივე ღმერთი ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი (Kees, 1980, 151).

ინტეფი – თებეს ნომარქების სახელი, რომლებიც პირველი გარდამავალი პერიოდის დროს იბრძოდნენ ეგვიპტის გაერთიანებისათვის და საფუძველი დაუდეს შუა სამეფოს XI დინასტიას. ძველი სამეფოს დასასრულისათვის, თუმცა ის უკვე იყო მეოთხე ნომის დედაქალაქი ძველი ჰერმონთისის ნაცვლად, თებე პატარა, შესაძლოა სოფლის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა თანამედროვე ლუქსორის სიახლოვეს. მიუხედავად ამისა, სწორედ მის ნომარქებთან მოუხდათ ბრძოლა ჰერაკლეოპოლისის ნომარქებს ერთიანი ეგვიპტის ტახტისათვის და ამ ბრძოლაში საბოლოოდ თებელები გამოვიდნენ გამარჯვებულები. VII – X დინასტიების დროს (დაახლ. XXII –XXI ს.ს. ჩვ წ.-მდე) თებეს მართავდა ნომარქების ოჯახი, რომელთა რამდენიმე თაობა ინტეფის სახელს ატარებდა. ქრონოლოგიურად **პირველი ინტეფი** იყო „მემკვიდრეობით დიდებული, სკიპტრას (უასეტის, იგივე თებეს) ნომის დიდი ბატონი, ქურუმების ზედამხედველი, სამხრეთის ჭიშკრის (ელეფანტინას) ზედამხედველი, ინტეფი". ეს ინტეფი თავის თავს „მეფის ნდობით აღჭურვილს" უწოდებს და ამდენად, როგორც ჩანს, ცნობს ფარაონებს ქვეყნის ჩრდილოეთში (Hayes, 1960, 148). სავარაუდოდ, ის არის იგივე „დიდი ინტეფი, იკუს ვაჟი", რომელიც დასახელებულია XI დინასტიის წინაპრად თოტმეს IV-ის „სამეფო წინაპრების კაპელაში" კარნაკში (Shaw, 2003, 123). მის შემდეგ კიდევ ორი ინტეფის დროს თებე იმდენად ზრდის თავისი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიას ქვეყნის სამხრეთში, რომ შემდეგმა ინტეფმა თავი „ზემო

და ქვემო ეგვიპტის" მეფედ, „რას ვაჟიშვილად" გამოაცხადა და მიიღო ხორის სახელი „ორივე ქვეყნის დამაწყნარებელი", რითაც ჰერაკლეოპოლისის მეფეები უკვე აშკარად გამოინვია საბრძოლველად. მართალია, ვერც მან და ვერც მისმა სამმა მომდევნო მემკვიდრემ ვერ შეძლეს ჩრდილოეთის დაპყრობა და ეგვიპტის ორმაგი გვირგვინის მოპოვება, მაგრამ მომდევნო ეგვიპტურმა ტრადიციამ იგი ეგვიპტის ლეგიტიმურ მეფედ და მეთერთმეტე დინასტიის დამაარსებლად აღიარა (Hayes, 1960, 148). **ინტეფ I**-მა თავისი გამეფების შემდეგ სულ რამდენიმე წელინადს იცხოვრა, მაგრამ დატოვა გრანდიოზული სამარხი თებეს ნეკროპოლისის ჩრდილოეთ ნაწილში (საფ დაბა), რომელიც დღემდე თებეს ერთ-ერთ ღირსშესანიშნაობად არის მიჩნეული. ესაა 300მ. სიგრძის და 54 მ. სიგანის კლდის სამარხი. მისი წინა ნაწილი დანგრეულია, მაგრამ კარგად შემოინახა კლდეში გამოკვეთილი სვეტები და სამი კაპელა (სავარაუდოდ ერთი თავისთვის და ორი მეუღლეებისათვის). სამრხი კიდევ იმიტომ არის აღსანიშნავი, რომ ახლმა დინასტიამ დაიწყო განსხვავებული სამეფო სამარხების აგება, რაც მარტო თებეს რაიონის რელიეფის სპეციფიკით არ იყო გამონვეული. ამ სამარხებში, რომლებსაც თებეს ტიპის სამეფო სამარხებს უწოდებენ (ე.წ. საფ-სამარხები, „saff-tombs") და სადაც კლდის სამარხების ადგილობრივი ტრადიცია გაგრძელდა, ერთგვარად მეფის ინსტიტუტის ახალი თავისებურებებია ასახული. თებელები არა მარტო არ ცდილობდნენ ძველი სამეფოს მეფეების სამარხების კოპირებას, ისინი არ მიილტვოდნენ სამეფო სამარხის განსაკუთრებული ლოკალიზაციისათვის. მეფის სამარხი არა მარტო თავისი მოხელეების სამარხებით იყო გარშემორტყმული, ის რიგითი თებელების სასაფლაოს სიახლოვესაც მდებარეობდა (Seidlmayer in Shaw (ed), 2003, 124). ინტეფ I-ის მემკვიდრემ, **ინტეფ II**-მ თითქმის 50 წელს იმეფა, და მთელი ეს დრო ჰერაკლეოპოლისთან ბრძოლაში გაატარა. თუმცა არ მიუღია ეგვიპტის ფარაონის სრული (ხუთი ელემენტისაგან შემდგარი) ტიტულატურა, თავის თავს ისიც „ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფეს" და „რას ვაჟიშვილს" უწოდებს, რითაც პრეტენზიას აცხადებს ღვთაებრივ წარმოშობაზე. თავისი სამარხის შესასვლელთან ელ-ტარიფში ინტეფ **II**-მ აღმართა სტელა, რომელზეც თავის საყვარელ ძაღლებთან ერთად არის გამოსახული. სტელის ტექსტი მისი მეფობის გარკვეული ეტაპების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. მან დაიპყრო ტინიტის სასაზღვრო ფორტი და აბიდოსის ნომი, რომელიც ყოველთვის ზემო ეგვიპტის

უმნიშვნელოვანეს ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა, შემდეგ განახორციელა შეტევა ზემო ეგვიპტის მეათე ნომზე, რაც უკვე ჰერაკლეოპოლისელი მეფეების აშკარა გამოწვევა იყო. ამის შემდეგ თებეს და ჰერეკლეოპოლისს შორის ბრძოლა რამდენიმე დეკადის განმავლობაში მიმდინარეობდა აბიდოსსა და ასიუტს შორის ტერიტორიაზე. მისი მემკვიდრე, **ინტეფ III** სავარაუდოდ ტახტზე ასაკოვანი ავიდა და მხოლოდ რამდენიმე წელიწადს იმეფა. მაგრამ მისმა ვაჟიშვილმა, მონტუხეტეპ II-მ, საბოლოოდ დაამარცხა ჰერაკლეოპოლისი და გააერთიანა ეგვიპტე. ამ მოვლენის აღსანიშნავად მან მიიღო ახალი ხორის სახელი, „ქვეყნის გამაერთიანებელი". ამიტომ, თუმცა XI დინასტიის ისტორია ინტეფ I-ით იწყება, ქვეყნისათვის ახალი ეპოქის (შუა სამეფო) დასაწყისის ხანად მონტუხოტეპ II-ის მეფობაა აღიარებული, რომელმაც საბოლოოდ დაამარცხა ჰერაკლეოპოლისის მეფეები და მთელი ქვეყნის გაერთიანება მოახერხა. ეს მოვლენა ქრონოლოგიურად XI დინასტიის შუა პერიოდს ემთხვევა (Hayes, 1960, 151-152).

ირიგაცია – რადგან ეგვიპტეში სარწყავი წყლის ერთადერთ წყაროს ნილოსი წარმოადგენდა, ეგვიპტელებმა ძალიან ადრე ისწავლეს დიდი მდინარის წყლების „დაკავება" მიმდებარე ტერიტორიაზე, თავიდან მარტივი მიწაყრილების საშუალებით. თანდათან ქვეყანაში განვითარდა საკმაოდ რთული საირიგაციო სისტემა. ნილოსის დაბლობი მდინარის ნაპირიდან უდაბნოს ამაღლებულ ტერიტორიამდე დაყოფილი იყო მიწაყრილებით, ჯებირებით და დამბებით. მათი საშუალებით ხდებოდა წყლის „შენახვა" და საჭირო მიმართულებით გაშვება. არხები და დამბები უკვე ადრედინასტიურ გამოსახულებებში გვხვდება და მოხსენიებულია პირამიდების ტექსტებში (Савельева, 1976, 47-48).

ისდესი – (ეგვ. *Ìsds*, Wb I, 134), ეგვიპტური ღვთაება, რომელიც შუა სამეფოს დროიდან „დასავლეთის ბატონი" და გარდაცვლილთა მსაჯული იყო. ახლოს იყო თოტთან და მოგვიანებით მას შეერწყა. ბერძნულ-რომაულ პერიოდში ამ სახელით მოიხსენიებდნენ თოტსაც და ანუბისსაც (Bonnet, 1952, 325). „მკვდართა წიგნის" 109-ე თავში ოსირისი, ანუბისი და ისდესი მოხსენიებული არიან, როგორც „ახალი მთვარის დღესასწაულის სულები" (Kees, 1980, 152).

ისიდა

ИСИДА – (ეგვ. *Ś.t*, Wb IV, 8; *Ꜣst*, Faulkner, 1962, 5), უძველესი ქალღმერთი. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, თავზე ნიშნით, რომელიც „სამეფო ტახტს“ ან „ადგილს“ ნიშნავს (ასევე „*Ś.t*, Wb IV, 2). არასოდეს ყოფილა ასოცირებული რაიმე საკრალურ ცხოველთან. თუმცა პირამიდების ტექსტებზე დაყრდნობით (PT 309-310), სადაც ის „ბუტოს ქალბატონად“ არის აღიარებული, ვარაუდობენ, რომ მისი სამშობლო ბუტოა (Erman, 1934, 444), მისი წარმომავლობა ბუნდოვანია, რადგან ძალიან ადრე საერთო ეგვიპტური ქალღმერთი გახდა. ჰელიოპოლისის ენეადის თანახმად, ისიდა, ნეფტიდა, ოსირისი და სეტხი გების და ნუტის შვილები იყვნენ. იყო ოსირისის მეუღლე და ხორის (ხორსიესის) დედა. სწორედ ოსირისთან არის დაკავშირებული მისი გასაოცარი აღზევება. უკვე პირამოდების ტექსტებში, სადაც დაფიქსირებულია ოსირისის და ისიდას მითის დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული უძველესი ვერსია (PT 1008), იგი მოხსენიებულია, როგორც მოყვარული დედა და ერთგული მეუღლე. მისი მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია მისი „დიდი ჯადოქრობა“. ამ თვალსაზრისით იგი „დიდ მაგთან“ – თოტთან არის გატოლებული. სწორედ ამ ძალის წყალობით ისიდა ახერხებს დაღუპული ოსირისის დროებით გაცოცხლებას და მისგან შვილის (ხორის) ჩასახვას. ასევე ცნობილი მითის თანახმად ისიდამ გადაწყვიტა, გაიგოს რას საიდუმლო სახელი, და როცა დიდმა ღმერთმა ის არ გაუმხილა, ისიდამ დაამზადა რას ნერწყვით და მიწით გველი, რომელმაც მზის ღვთაება დაგესლა. ტკივილისაგან გატანჯული რა საბოლოოდ გაუმხელს ისიდას თავის ნამდვილ სახელს, და ჯადოსანი ქალღმერთი მაშინვე განკურნავს მას. ტექსტში ნათქვამია ასევე, რომ ისიდა „უფრო ჭკვიანია, ვიდრე მილიონი ღმერთი“ (Hart, 2005, 82). როგორც მოყვარული დედა, ერთგული მეუღლე და დიდი ჯადოქარი, რომელსაც შეუძლია შვება მოუტანოს სნეულს, ისიდა საოცრად პოპულარული გახდა არა მარტო ეგვიპტეში, არამედ მთელ ძველ სამყაროში, და ელინისტურ ეგვიპტეში მას ბერძნებიც ეთაყვანებოდნენ. აპულეოსის „ოქროს ვირში“ ერთ-ერთი პერსონაჟი მიმართავს ისიდას: „შენ ხარ წმინდა და ადამიანთა მოდგმის მარადიული მშველელი“. ჩვ.წ.-მდე 50 წელს, როცა გადაწყდა რომში ისიდას ტაძრის დანგრევა, ვერ მოიძებნა საკმაო რაოდენობის ადამიანი ამ სამუშაოს შესასრულებლად (Copenhaver, 1992, XXIII). ბერძნულ – რომაულ ეპოქაში ისიდას ტაძარში კუნძულ ფილეზე არ ნყდებოდა არა მარტო ეგვიპტელი, არამედ ბერძენი და რომაელი მომლოცველების ნაკადი (შემონახულია უამრავი გრაფი-

ისიდა

ტო), და ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც არ შემწყდარა, რამაც აიძულა ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე ჩვ.წ. – ით 535 წელს ადმინისტრაციული წესით მოეხდინა მისი ლიკვიდირება (Коростовцев, 1976, 130, 51). ბერძნები ისიდას დემეტრასთან აიგივებდნენ (ჰეროდოტე, II, 59).



ისიდას სისხლი

ისიდას სისხლი – ერთ-ერთი უძველესი ღმერთების სიმბოლოებს შორის, რომლის ისტორია წინადინასტიურ პერიოდამდე მიდის. ეგვიპტელები ეძახდნენ ტიტს (*tj.t*, Wb V, 238). წარმოადგენს სიცოცხლის იეროგლიფის ვარიანტს. ყველაზე უფრო დაკავშირებული იყო ჯედ-სვეტთან (მარადიულობის სიმბოლო) და უას-კვერთხთან (კეთილდღეობის სიმბოლო). ახალი სამეფოდან ის უკავშირდება ისიდას და მოიხსენიებენ, როგორც „ისიდას კვანძს“ ან „ისიდას სისხლს“. მას ხმარობდნენ, როგორც ამულეტს, რომელსაც შეეძლო გადაერჩინა ბოროტი შელოცვებისაგან და დაეცვა გარდაცვლილები. „მკვდართა წიგნის“ 156-ე თავში, რომელიც ამულეტებს ეხება, ნათქვამია: „შენი სისხლი შენ გეკუთვნის, ისიდა“. თუმცა არსებობს სხვა ფერის ამულეტებიც, ძირითადად „ისიდას სისხლს“ წითელი ფერის ნახევრად ძვირფასი ქვებისაგან ამზადებდნენ, როგორიცაა სარდიონი და წითელი იასპი. ზუსტი დანიშნულება ბუნდოვანია (Bonnet, 1952, 332).

ისტორია – თუმცა ეგვიპტეში არ ჩამოყალიბებულა ისტორიული აზროვნება თანამედროვე გაგებით, რაც წარსულის ანალიტიკურ გააზრებას გულისხმობს, ეგვიპტელებმა ძალიან ადრე დაიწყეს თავიანთი ისტორიის დაფიქსირება. ეს მოიცავდა მეფეთა სიების შედგენას, უმნიშვნელოვანესი მოვლენების, ფარაონების და ნომარქების საომარი, სამშენებლო და სხვა მოღვაწეობის აღწერას. ეს ნაწერები უდავოდ ძალიან დიდ მასას შეადგენდა, რომლის ძალზე მცირე ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე. ჯერ კიდევ V დინ. დროს შედგენილი პალერმოს ქვა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მონაცემებს, როგორიცაა პირველი ხუთი დინასტიის და წინადინასტიური ფარაონების მეფობის წლები, ნილოსის სიმაღლე ამა თუ იმ წელს, ტაძრების და გემების მშენებლობა, ექსპედიციების აღწერა, ოქროს და მოსავლის გადათვლა და ა.შ. ასეთი მატიანეს შედგენა მხოლოდ დიდ საარქივო მასალაზე დაყრდნობით არის შესაძლებელი და დღეს ფასდაუდებელი იქნებოდა პირველი ხუთი დინასტიის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის, მაგრამ ჩვენამდე პალერმოს ქვის მხ-

ოლოდ ფრაგმენტმა მოაღწია. ახალი სამეფოს ფარაონებს უკვე საკუთარი მემატიანეები ჰყავდათ, რომლებიც მათ ცხოვრებას აღწერდნენ. აბდ ელ-კურნაში, თებესთან, აღმოჩენილი იქნა თოტმეს III-ის მემატიანის, ჩანინის სამარხი, რომელიც ადრე რეალური ისტორიული პიროვნება არცკი ეგონათ. სწორედ ასეთ საარქივო მასალაზე დაყრდნობით შეძლო ბერძნული განათლების მქონე ეგვიპტელმა ქურუმმა მანეთონმა, რომელიც ჩვ.წ.-მდე III-IV საუკუნეებში, პირველი ორი პტოლემაიოსის დროს ცხოვრობდა, შეედგინა თავისი ქვეყნის ისტორია. დაბადებით ეგვიპტელი, ის თავისუფლად კითხულობდა სატაძრო არქივების პაპირუსებს. მან შეძლო იმდენად ზუსტად აღედგინა ეგვიპტის ისტორია უძველესი დროიდან, რომ თანამედროვე ეგვიპტოლოგიაში დღემდე მიღებულია მანეთონის მიერ ქვეყნის ისტორიის სამ (ძველი, შუა და ახალი სამეფოები) ძირითად პერიოდად დაყოფა და ფარაონების 30 დინასტიად დაჯგუფება. უძველესი პერიოდიდან ისტორიული ფაქტების ასეთი დაფიქსირების წყალობით ეგვიპტელებმა ყოველთვის კარგად იცოდნენ თავიანთი წარსული და პატივისცემოთ მოიხსენიებდნენ არა მარტო გარდასულ დროთა გამორჩეულ ფარაონებს, არამედ მშენებლებს, ექიმებს და სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებს.

ITj-tAwj – (ეგვ. *Itj tAwj*, „ორივე მინის დამპყრობი“, Wb I, 150), ქალაქი, რომელიც ააგო ამონემხატ I-მა (XII დინასტია) სტრატეგიული მიზნით. მან ეგვიპტის დედაქალაქი თებედან აქ გადმოიტანა. მისი ლოკალიზაცია დღემდე ვერ მოხერხდა. სავარაუდოდ, მდებარეობდა მემფისიდან 18 კმ. სამხრეთით, თანამედროვე ელ-ლიშტის სიახლოვეს. ეს ვარაუდი ეყრდნობა იმ მოსაზრებას, რომ ეგვიპტის ფარაონები სამარხებს თავიანთი დედაქალაქის მიდამოებში იგებდნენ, ლიშტის სიახლოვეს კი ამონემხატ I-ის და სენუსერტ I-ის პირამიდები მდებარეობს (http://www.ancientegypt.org/index.htm).

Ix – (ეგვ. *Ixj*, Wb I, 121), სისტრუმის და მუსიკის ახალგაზრდა ღმერთი, ხატხორისა და ედფუს ხორის შვილი. მისი სამშობლო იყო დენდერა, მისი ატრიბუტი – სისტრუმი (Kees, 1980, 151). ეგვიპტურ ენაში მისი სახელით გადმოიცემოდა სიტყვები „მუსიკოსი“ და „მუსიკა“ (Wb I, 120).

IxneuMwn – ფარაონის თაგვი (Mungos Ichneumon) ეგვიპტეში საკრალური ცხოველი იყო. იხნეუმონად გადაიქცეოდნენ

ხოლმე დიდი ღმერთები (რა-ატუმი აპოპს იხნეუმონად ქცეული ანადგურებს). ახალი სამეფოდან შავი იხნეუმონი ხორთან არის გაიგივებული (Bonnet, 1952, 321).

ᲘᲣᲜᲣ — *იხ. ჰელიოპოლისი*



კა

კა – (ეგვ. *kꜣ*, Wb V, 86), ყოველი ადამიანის ინდივიდუალური სასიცოცხლო ძალა, რომელიც ცოცხალ და მკვდარ სხეულს ერთმანეთისაგან განასხვავებს. ყოველი ცოცხალი არსების კა ღმერთისაგან იყო მოვლენილი და გარდაცვალების შემდეგ ისევ ღმერთებს უერთდებოდა (Allen, 2004, 7). ის მოიაზრებოდა, როგორც სულიერი ორეული, მისი სიმბოლო ორი ზეაღმართული ხელი იყო. კას არსებობა დაფუძნებული იყო რწმენაზე, რომ სოცოცხლე არ არის მხოლოდ სხეულის ფუნქცია. ის მომდინარეობს უფრო მაღალი ძალიდან, რომელიც სხეულში არსებობს და სიცოცხლის წყაროს წარმოადგენს. მაგრამ განსხვავებით სხეულისაგან, კას არსებობა მარადიულად წარმოიდგინებოდა. კა ერთნაირად გააჩნდათ ღმერთებსაც და ადამიანებსაც. მეფეს შეიძლებოდა ჰქონოდა რამდენიმე კა და ასევე მისი მდედრობითი „ნახევარი" – ხემსუტი, რომელიც მხოლოდ სამეფო წარმოშობის დედით გადაიცემოდა და ფარაონის ღვთაებრივი გენეალოგიის გაგრძელებას უზრუნველყოფდა. ეგვიპტელთა წარმოდგენით, კა ჰქონდა ყველაფერს – მცენარეებს, ცხოველებს, ვარსკვლავებს, ტაძრებს და, რასაკვირველია, ღმერთებს. ითვლებოდა, რომ ღმერთის კასადმი მიმართვა მის ტაძარში შეიძლებოდა. ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი კა გარდაცვლილის სამარხში იდებდა ბინას, მის კა-ქანდაკებაში, რომელსაც განსაკუთრებული ქურუმი – კას ქურუმი აკურთხებდა (Clark, 2004, 296).

კაპა – ქალაქი, დაარსებული კერმას კულტურის მიერ. გახდა მნიშვნელობით მეორე ქალაქი ამ პერიოდში. ნუბიის ამ რეგიონის ეგვიპტელების მიერ დაპყრობის შემდეგ, ამონხეტეპ III-მ კავაში ამონის ტაძარი ააგო. კავას ეგვიპტური სახელი „ატონი ხილულია" (*Gm-pꜣ-Ꜥtn*) შესაძლოა ქალაქს დაერქვა ამონხეტეპ III-ის მეფობის ბოლო წლებში, როცა ატონის კულტი უკვე ძალას იკრეფდა, ან ამონხეტეპ IV (ეხნატონის) დროს. ამონის კულტის რესტავრაციის შემდეგ, როცა ეგვიპტეში ატონის დევნა და-

იწყო, სავარაუდოდ იგივე მოხდა კავაშიც, რადგან აქ არ არის მოძიებული არც ერთი ბლოკი ეხნატონის სახელით, მაგრამ სახელი დარჩა. შემდგომში აქ შაბაკამ (XXV დინასტია) ააგო ტაძარი ან სამლოცველო, მიძღვნილი ანუკეტისადმი, მაგრამ ტაძრის გრანდიოზული მშენებლობა ტახარკასთან (XXV დინასტია) არის დაკავშირებული. მისივე თქმით, როცა ის ოცი წლის ასაკში მისმა უფროსმა ძმამ და ფარაონმა ნაპატადან ეგვიპტეში გამოიძახა, გზაზე შეიარა კავაში (კავა ნაპატას ჩრდილოეთით მდებარეობს) და დაითრგუნა, რადგან ტაძარი მიტოვებული და ქვიშაში ჩაფლული იყო (Macadam, 1955, 12-14). გამეფების შემდეგ ტახარკამ, რომელიც ბევრს აშენებდა ეგვიპტეში და ნუბიაში, არ დაივიწყა კავა და იქ შესანიშნავი ტაძარი ააგო. კავას ტაძარი, რომლის მშენებლობას ტახარკამ ათი წელი მოანდომა, ნუბიელი ფარაონების ეგვიპტის ძველი და კლასიკური პერიოდების ხელოვნებისადმი მიბრუნების ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენს. ტაძრის წარწერებიდან ვიგებთ, რომ ტახარკამ კავაში გააგზავნა არქიტექტორები მემფისიდან, რომლებმაც, სავარაუდოდ, ნიმუშებისათვის სათანადო „წიგნები" წაიღეს თან, რადგან ტაძრის გამოსახულებები ძველი სამეფოს ტაძრების (მაგ. სახურას ტაძრის) ოდნავ სახეშეცვლილ ასლებს წარმოადგენს. ქანდაკებები ძირითადად ახალი სამეფოს სტილით არის შექმნილი. აქ არის ასევე XVIII დინასტიისათვის დამახასიათებელი ვერძისთავიანი სფინქსების ალეაც (Tait (ed.), 2003, 81). შემდგომში კავამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა და თანდათან უმნიშვნელო დასახლებად გადაიქცა.

კაა – პირველი დინასტიის ბოლო ფარაონი (დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXVII-XVIIIსს.). მისი სახელის წაკითხვა და მნიშვნელობა დადგენილი არ არის. მისი მეფობის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. ის არ არის დაფიქსირებული ჩვენს ხელთ არსებული პალერმოს ქვის ფრაგმენტებზე. მანეთონი, რომელიც დინასტიის ბოლო ფარაონად უბიენთესს ასახელებს, მის შესახებ ასევე არავითარ ცნობას არ გვაწვდის (Manetho, 1960, 33), თუმცა მანეთონის მიერ დასახელებული მეფობის წლების რაოდენობა (26) არ არის სწორად მიჩნეული (Emery, 1961, 86). კაას სამარხი აბიდოსში, რომელიც არქიტექტურის საოცარ განვითარებაზე მეტყველებს, აგებულია იგივე პრინციპით, როგორც მისი ნინამორბედის (სემერხეტი), და ასევე ტოვებს მეფესთან ერთად დაკრძალული ცოლების და მსახურების მოკვდინების შთაბეჭდილებას (Wilkinson, 2001, 80). უნდა აღინიშნოს, რომ საფეხ-

ეროვანი პირამიდის მიდამოებში და აბიდოსში აღმოჩენილია ფირფიტები რამდენიმე ფარაონის სახელით, რომლებიც ქრონოლოგიურად დინასტიის დასასრულს და შემდეგი დინასტიის დასაწყისს ემთხვევა. ამდენად არსებობს ვარაუდი, რომ ქვეყანაში დაიწყო არეულობა და II დინასტიის მეფეებს ჰყავდათ მონინააღმდეგეები (Helck, 1968, 35).

კალენდარი – უძველესი კალენდარი ეგვიპტეში, მსგავსად სხვა ძველი ხალხებისა, მთვარის იყო და სასოფლო-სამეურნეო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ჯერ კიდევ წინადინასტიურ ეპოქაში შეიქმნა (Ruggles, 2005, 9). ეგვიპტელების სიცოცხლისუნარიანობა ნილოსის ყოველწლიურ ადიდებაზე იყო დამოკიდებული და მათ ძალიან ადრე შეამჩნიეს, რომ ეს მოვლენა ცაზე სირიუსის ჰელიაკალურ ამოსვლას ემთხვევა. წლის რაღაც პერიოდში სირიუსი (ეგვიპტელების მიერ ქალღმერთად შერაცხული სოთისი ან სოპდეტი) „ქრება“ ციდან, რადგან ძალიან უახლოვდება მზეს, და 70 დღის შემდეგ ისევ ჩნდება აღმოსავლეთ ჰორიზონტზე, ცისკრის ცაზე, მზის ამოსვლის წინ. ეს დღე იულიანური კალენდრის 20 ივლისს შეესაბამება. ეგვიპტური მთვარის წელი სეზონების მიხედვით ბუნებრივად დაიყო სამ ოთხი თვისაგან შემდგარ სეზონად: „ადიდების“, როცა ნილოსი კალაპოტიდან იყო გადმოსული (ეგვ. *ꜣḫ.t*, Wb I, 13), „გამოსვლის“, „თესვის“ ან „ზრდის“, (ეგვ. *pr.t*, Wb I, 530) და „დაბალი წყლის“, ან „მოსავლის აღების“ (ეგვ. *šmw*, Wb IV, 480). თვის ათვლა იწყებოდა მთვარის იმ ფაზით, როცა სავსე მთვარე აღარ ჩანდა ცაზე მზის ამოსვლის წინ და ერთი თვე მთვარის ერთ ფაზას შეესაბამებოდა. რადგან მთვარის ფაზებზე დამყარებული 12 თვისაგან შემდგარი მთვარის წელი მზის წელზე მოკლეა და 354 დღისაგან შედგება, 2-3 წლის ინტერვალით ამატებდნენ მეცამეტე, დამატებით თვეს სეზონების მონაცვლეობის დასარეგულირებლად. ამისათვის გამოიყენებოდა სირიუსის ამოსვლა, რომელიც ყოველთვის მეთორმეტე თვის დასასრულს უნდა დამთხვეოდა. თუ სირიუსი ბოლო თვის მეთერთმეტე დღეს ჩნდებოდა, წელს დამტებითი თვე ემატებოდა, რომ შემდეგ წელს მისი ამობრწყინება ისევ „თავის დროზე“ მომხდარიყო (Parker, 1974, 52). სოთისის ამოსვლით ეგვიპტელები ახალ წელს ითვლიდნენ. „სოთისის ამოსვლა“ და „ახალი წელი“ (ეგვ. *wp rnp.t*, Wb I, 300, სიტყვა-სიტყვით „წლის გახსნა“), ეგვიპტურ ენაში ერთსა და იმავეს ნიშნავდა. მთვარის წელი გამოიყენებოდა ეგვიპტეში ქრისტიანობის გავრცელებამდე, როგორც ლიტურგიული წელი,

და მისი საშუალებით ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო ციკლის და სეზონური რელიგიური დღესასწაულების განსაზღვრა. მაგრამ ეს კალენდარი, რომელიც მოსახერხებელი იყო სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობისათვის, ვერ აკმაყოფილებდა ფისკალურ და ბიუროკრატიულ მოთხოვნებს, რადგან მუდმივ ასტონომიულ დაკვირვებას საჭიროებდა და არ იძლეოდა ადმინისტრაციული ჩანაწერების ზუსტი თარიღებით წარმოების საშუალებას, მით უფრო, რომ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ ასეული კილომეტრებით გაწელილ ეგვიპტეში სირიუსის მოვლინება ერთსა და იმავეს დროს არ ხდებოდა. ამიტომ ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ძალიან მალე ეგვიპტელებმა მეორე, მთვარის კალენდრისაგან დამოუკიდებელი საერო კალენდარი შემოიღეს, რომელიც საშუალებას იძლეოდა, საქმეები ზუსტად გაწერილიყო რამდენიმე წლითაც კი. სამოქალაქო კალენდარი შედგებოდა თორმეტი ოცდაათდღიანი თვისაგან, რომლებსაც ხუთი ეპაგომენალური დღე ჰქონდა დამატებული (Ruggles, 2005, 11). მთვარის კალენდრის მიხედვით თვე ოთხ „კვირად" იყო დაყოფილი თვეში მთვარის სხვადასხვა ფაზების შესაბამისად, რაც ძნელი იყო სტანდარტული ოცდაათდღიანი თვის შემთხვევაში, და ამიტომ საერო კალენდარში ეს თვეები სამ ათდღიან „კვირად" დაიყო, რომლებსაც უფრო გვიან ტექსტებში „პირველს", „საშუალოს" და „ბოლოს" უწოდებენ. მთელ წელიწადში იყო 36 „კვირა" ან „დეკანი" + 5 ეპაგომენალური დღე (Parker, 1974, 53). თუმცა საერო კალენდრის არსებობა დოკუმენტურად ნეფერირკარას (V დინასტია) მეფობის პირველი წლით არის დადასტურებული, სავარაუდოდ ის უკვე 2937-2821 წლებს შორის მონაკვეთში იყო შემოღებული (Clagett, 2004, 29, 36). რადგან სამოქალაქო კალენდრის მიხედვით სირიუსის ამოსვლა გახდა ახალი წლის დასაწყისი, მის ორ ამოსვლას შორის კი 365¼ დღე იყო, ყოველი ოთხი წლის შემდეგ ახალი წელი ერთი დღით ადრე დგებოდა. შესაბამისად, ამ კალენდრით სირიუსის ამოსვლა თანდათან შორდებოდა ახალი წლის დღეს, სანამ ისევ არ ხდებოდა მათი დამთხვევა 1461 წლის შემდეგ საერო კალენდრის მიხედვით, რომლის ციკლი სირიუსის 1460 წელს შეესაბამებოდა. ამ ხანგრძლივ პროცესს დღეს „სოთისის ციკლს" უწოდებენ. სწორედ სოთისის ციკლის გამოა, რომ ეგვიპტურ ტექსტებში სირიუსის ამოსვლა სხვადასხვა წელს სხვადასხვა დღეს არის დაფიქსირებული (Clagett, 2004, 6). ბუნებრივია, ეგვიპტელებმა იცოდნენ ამ შეუსაბამობის შესახებ, მაგრამ, როგორც ჩანს, საერო კალენდარმა იმდენად გაამართლა

თავისი დანიშნულება და ისე მოერგო ყოველდღიურ საჭიროებებს, რომ როცა პტოლემაიოს III შეეცადა, შეესწორებინა ვითარება და დაემატებინა მეექვსე ეპაგომენალური დღე ყოველ მეოთხე წელს (კანოპეს დეკრეტი, 280 წ.ჩვ.წ.-მდე), მას ერთნაირად შეეწინააღმდეგა ქურუმებიც და მოსახლეობაც (Evans, 1998, 176). საერო კალენდრით ეგვიპტელები ათარიღებდნენ თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს და მეფეების წლებს, რომლებსაც ყოველი ახალი გამეფებიდან თავიდან იწყებდნენ. ჩვეულებრივ ფიქსირდებოდა გამეფების წელი, სეზონი, თვე და დღე (მაგ: X მეფობის მეხუთე წელი, ადიდება, მეორე თვე, მეათე დღე). დაახლოებით შუა სამეფოდან დაიწყო თვეების დასახელებების ჩაწერაც; მათი სახელების გვიანდელი ფორმები ელინისტური ხანის ბერძნულ ტექსტებზე დაყრდნობით არის აღდგენილი: Thoth, Phaophi, Athyr, Choiak, Tybi, Mechir, Phamenoth, Pharmuthi, Pachons, Payni, Epiphi, Mesore (Clagett, 2004, 5). შესაძლოა, უკვე მესამე ათასწლეულში ეგვიპტელებმა დაადგინეს 36 ვარსკვლავი და ვარსკვლავების ჯგუფი, რომელთა ჰელიაკალური ამოსვლა ხდებოდა თანმიმდევრობით, დაახლ. ათი დღის ინტერვალით და საერო კალენდრის ათდღიანი კვირის ციკლებს შეესაბამებოდა. ამ სისტემამ, რომელსაც დეკანების სისტემას ეძახიან, ბიძგი მისცა საათის შეგრძნების ჩამოყალიბებას. ეგვიპტელებმა დაყვეს ღამე 12 „საათად", რასაც დღის დროის 12 საათად დაყოფაც მოჰყვა და შექმნეს დღე-ღამის 24-საათიანი ციკლი (Ruggles, 2005, 11). ამ ფენომენის ზუსტი ქრონოლოგია ცნობილი არ არის. ახალი სამეფოს ტექსტებში (მაგ. ამდუატის წიგნში) აღწერილია რას მოგზაურობა დუატში (მიწისქვეშეთში), სადაც ის გაივლის დუატის 12 დანაყოფს, რომელთაგან თითოეული ღამის ერთ საათს შეესაბამება. მაგრამ სიტყვა „საათი" (ეგვ. *wnw.t*, Wb I, 316) გაცილებით ადრე, მეხუთე დინასტიის ბოლო ფარაონის, უნისის პირამიდის ტექსტებშია მოხსენიებული (PT 269a; 320, 515a), სადაც მას ვარსკვლავის აღმნიშვნელი დეტერმინატივი ახლავს თან, რაც მიუთითებს, რომ ღამის საათებია ნაგულისხმევი, რადგან მოგვიანებით დღის საათების დეტერმინირება მზის ნიშნით ხდებოდა (Clagett, 2004, 49). შესაბამისად, პირამიდების ტექსტებზე დაყრდნობით, ჩვ.წ.-მდე XXIV საუკუნეში ღამის საათები უკვე არსებობდა. XIII საუკუნიდან მათი რაოდენობა ნამდვილად თორმეტია, რაც მტკიცდება სარკოფაგების სახურავების შიგნითა მხარეს მოთავსებული „ვარსკვლავური საათებით". ასეთი საათების მექანიზმს წარმოადგენდა გარკვეული ვარსკვლავების („დეკანების") გა-

მოჩენა 12 ინტერვალში ღამის და 10-დღიან ინტერვალში წლის განმავლობაში. ვარსკვლავი, რომელიც ამოდის ჰელიაკალურად (ზუსტად მზის ამოსვლის წინ) და დილას გვაუწყებს, არ რჩება იმავე ადგილზე დედამიწის მზის ირგვლივ ბრუნვის გამო, და ამოდის უფრო ადრე და ამდენად, უფრო მაღლა რაღაც დროის შემდეგ. სანაცვლოდ, დილის მაუწყებლად უკვე სხვა ვარსკვლავი გვევლინება. ითვლება, რომ ათდღიანი კვირის და დილის ვარსკვლავების მონაცვლეობამ ბიძგი მისცა III ათასწლეულში მცხოვრებ უცნობ გენიოსს, შეემუშავებინა ღამის საათებად დაყოფის მეთოდი (Parker, 1974, 53). სეტი I-ის აბიდოსის კენოტაფის ტექსტიდან ვგებულობთ, რომ დეკანებად შერჩეული იყო ვარსკვლავები, რომლებიც, სირიუსის მსგავსად, გამოჩენის წინ დაახლ. 70 დღით „გაუჩინარდებოდნენ" ხოლმე, რაც მათი გამოჩენის დაფიქსირებას აადვილებდა (Clagett, 2004, 51). ვარსკვლავი, რომელიც ამოდიოდა ჰელიაკალურად დეკადის პირველ დღეს და ღამის დასასრულს აუწყებდა, 10 დღის შემდეგ უკვე გაცილებით უფრო ადრე გამოჩნდებოდა ცაზე, ინტერვალი „ახალ" და „ძველ" დილის ვარსკვლავს შორის კი ერთი „საათი" იყო. ღამის განმავლობაში დეკანების მონაცვლეობზე დაკვირვებით მთელი ღამის მონაკვეთებად დაყოფა შეიძლებოდა. თეორიულად, ბუნიობის დროს, როცა მზის ამოსვლას და ჩასვლას შორის ზუსტად თორმეტი საათია, 18 იდეალურად არჩეული დეკანი უნდა ამოსულიყო დაახლ. ორმოცი წუთის ინტერვალებით, მაგრამ რეალობაში, წლის მანძილზე ღამის სიგრძე იცვლება და საღამოს და დილის ბინდში პირველი და ბოლო დეკანი უჩინარია, და ამიტომ ერთ ღამეში მხოლოდ თორმეტი დეკანის დანახვაა შესაძლებელი, რამაც ეგვიპტელები ბუნებრივად მიიყვანა დღე-ღამის 24-საათიან ციკლად დაყოფამდე, ე.ი. ჩვენს 24-საათიან დღე-ღამეს ძველ ეგვიპტელებთან მივყავართ. უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ მეცნიერებაში ყველა დეკანი იდენტიფიცირებული არ არის (Ruggles, 2005, 12). 24-საათიანი დღე-ღამის გარდა, ეგვიპტელებმა პირველებმა გამოიგონეს კალენდარული წელი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იყო მთვარის ციკლისაგან და იულიანურ და გრეგორიანულ კალენდრებამდე მიგვიყვანა. მათი კალენდარი იმდენად მოხერხებული გამოდგა ასტრონომიული კვლევისათვის, რომ შუა საუკუნეების ასტრონომების მიერაც გამოიყენებოდა. ცნობილია, რომ კოპერნიკმა თავისი ცხრილები არა იულიანურ, არამედ ეგვიპტურ კალენდარზე დაყრდნობით შექმნა (Evans, 1998, 175). თუმცა ეგვიპტურ ტექსტებში ამის დოკუმენტური დადას-

ტურება არ გაგვაჩნია, დღეს ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ეგვიპტელებმა ისიც იცოდნენ, რომ ერთი წელი 365 დღეზე მეტს – 365, 25636 დღეს მოიცავდა და მათ მესამე, ძალიან ზუსტი ასტრონომიული კალენდარიც ჰქონდათ, რომლის მიხედვითაც ტაძრებს აგებდნენ. მხოლოდ ასტრონომიული კალენდრის სიზუსტის გამო იყო შესაძლებელი, რომ კლდეში გამოკვეთილ აბუ-სიმბელის ტაძარში, შესასვლელიდან 55 მ. სიღრმეში მდგომ რამსეს II-ის ქანდაკებას 3200-ზე მეტი წლის განმავლობაში მზის სინათლე ერთსა და იმავე დროს (ჩვენი კალენდრით – 22 თებერვალს) ეცემოდა და აკაშკაშებდა, სანამ ასუანის კაშხალის მშენებლობის გამო ტაძარი სხვა ადგილზე გადაიტანეს.

კამოსე – XVII (თებეს) დინასტიის და მეორე გარდამავალი პერიოდის ბოლო ფარაონი (დაახლ. XVI ს.-ის მეორე ნახევარი), რომელმაც განახორციელა აქტიური შეტევა ჰიკსოსებზე. შემონახულია ორი სტელა კარნაკში, რომლებიც კამოსეს ბრძოლებზე მოგვითხრობს. ტექსტის დასაწყისში გაღიზიანებული კამოსე ამბობს, რომ ჩრდილოეთში ზის აზიელი, სამხრეთში კი ნუბიელი (როგორც ჩანს, ჰიკსოსების დროს ეგვიპტე სათანადოდ ვეღარ აკონტროლებდა ნუბიას), თითოეულს ეგვიპტის ნაწილი უკავია და თვითონ ის კი იტანს თანამმართველობას აზიელთან და ზანგთან. ამის შემდეგ, მისი მრჩეველების წინააღმდეგობის მიუხედავად, კამოსე იწყებს ბრძოლას (Erman, 1966, 52-54). ის იპყრობს ჰიკსოსების ფორტებს ჰიკსოსების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის სიღრმეში, შემდეგ ხელში იგდებს ჰიკსოსების გემებს, დატვირთულს „რეჩენუს (სირია-პალესტინა) ყოველგვარი კარგი ნივთებით", იპყრობს ასევე კინოპოლისის ნომს, რომელიც ფაიუმის ოაზისიდან მხოლოდ 100 კილომეტრით იყო დაშორებული, და აგზავნის ჯარს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ბახრიას ოაზისში. კამოსეს მეორე სტელაზე პირველად არის დაფიქსირებული სიტყვა „ცხენი" ეგვიპტურ ტექსტში. თავისი ბრძოლებით კამოსემ მოამზადა ნიადაგი ჰიკსოსების საბოლოო განდევნისათვის, მაგრამ ეს მოახერხა უკვე მისმა მემკვიდრემ და უმცროსმა ძმამ, იახმეს I-მა, რომლის გამეფებითაც ახალი სამეფოს ეპოქა იწყება (Hayes, 1959, 9).

კამუტეფი – მინი და მასთან გაიგივებული იტიფალიური ამონი ხშირად მოიხსენიებოდნენ, როგორც კამუტეფი (ეგვ. *K3 mw.t.f* – „თავისი დედის ხარი", Wb V, 95), რომელიც სქესობრივ კავშირში შედიოდა თავის დედასთან. ამ კავშირის მიზანი საკუ-



კანოპების ყუთი

კანოპები ხორის შვილების თავების გამოსახულებით

თარი თავის დაბადება იყო. ეპითეტი ჩნდება ახალი სამეფოდან. კამუტეფი ასევე „თავისი მამის შემქმნელად" არის მოხსენიებული (Sethe, 1976, § 24). კამუტეფში თავისებური განხორციელება იპოვა ეგვიპტური დემიურგის ეპითეტმა „თავისი თავის შემქმნელი".

კანოპი — ოთხი ჭურჭელი, ან ოთხ სექციად გაყოფილი ყუთი, სადაც მუმიფიცირების დროს სხეულიდან ამოღებული შიგნეულობა თავსდებოდა. დაფიქსირებულია IV დინასტიიდან. კანოპების მფარველებად ხორის ოთხი ვაჟიშვილი ითვლებოდა. კანოპის სახურავები ჩვეულებრივ მათი თავის გამისახულებებს წარმოადგენდა — ადამიანის (ამსეტი, ეგვ. *Ꜣmś.tj*, Wb I, 88), მაიმუნის (ხაპი, ეგვ. *Ḥpj*, Wb III, 70), ტურის (კებეხსენუფი, *Ḳbḥ śnw.f*, Wb V, 31 და შევარდნის (დუამუტეფი, ეგვ. *Dwꜣ mw.t.f*, Wb IV, 529). ოთხივე მათგანი ჯერ კიდევ პირამიდების ტექსტებშია დაფიქსირებული. ჩვეულებრივ ამსეტის კანოპში ღვიძლი, ხაპის — ფილტვები, დუამუტეფის — კუჭი და კებეხსენუფის — ნაწლავები ინახებოდა (გულს მუმიას უტოვებდნენ) (Bonnet, 1952, 365-366). სიტყვა „კანოპი" დაკავშირებულია ქალაქ კანოპუსთან, სადაც ოსირისს ძალიან თავისებური ფორმით ეთაყვანებოდნენ — ეს იყო ლარნაკი ადამიანის თავით. ვიზუალური მსგავსების გამო, ეგვიპტილიგიაში გარდაცვლილის შიგნეულობის შესანახ ჭურჭელს კანოპი დაარქვეს.

კანოპუსი — (ეგვ. პეგუატი), სანაპირო ქალაქი ალექსანდრიიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ნილოსის დელტის კანოპის ტოტზე, თანამედრ. აბუ კირი. იყო უმნიშვნელოვანესი სავაჭრო პორტი ალექსანდრიის დაარსებამდე. ლეგენდის თანახმად, მენელაოსის საყვარელმა შტურმანმა კანოპუსმა ტროაში დაბრუნებისას მიატოვა ეგვიპტის ფარაონის ქალიშვილი, რის გამოც გველმა უკბინა და გარდაიცვალა. კანოპუსი აქ დაასაფლავეს, მენელაოსმა კი საყვარელ შტურმანს ძეგლი დაუდგა, რომლის ირგვლივ თანდათან ქალაქი გაშენდა (Bonnet, 1952, 369). სავარაუდოდ, დასახლება ქალაქის ტერიტორიაზე ჩვ.წ.-მდე VI საუკუნეში დაიწყო. კანოპუსში ხელი მოენერა ცნობილ კანოპუსის დეკრეტს პტოლემაიოს III ევერგეტსა და ეგვიპტელი ქურუმების დიდ კრებას შორის. შემონახულია ამ დეკრეტის ტექსტის ორი ვარიანტი. ის შედგენილი იყო ეგვიპტურ ენაზე (ჩანერილია იეროგლიფებით და დემოტიური დამწერლობით) და ახლდა პარალელური ტექსტი ბერძნულ ენაზე.

როზეტას ქვის შემდეგ, ამ დეკრეტმა შეასრულა უდიდესი როლი ეგვიპტური დამწერლობის წაკითხვაში, რადგან ის გაცილებით მეტ ნიშნებს მოიცავს. კანოპუსში მდებარეობდა სერაპისის უმნიშვნელოვანესი ტაძარი (სტრაბონი, 17, 801).

კარნაკი – (ეგვ. *Ỉp.t ṣw.t*, „ბრწყინვალე ადგილები". Wb I, 66; ბერძნულ პერიოდში ეძახდნენ *p.t ḥrś t3*, „ზეცა დედამიწაზე", Wb I, 491), ძველი ეგვიპტის და მსოფლიოს ყველაზე დიდი სატაძრო კომპლექსი. მდებარეობდა თებეში და მიძღვნილი იყო ამონის და მისი „ოჯახის", მუტისა და ხონსუსადმი. ეგვიპტისათვის კარნაკი ახალგაზრდა ტაძარი იყო, რადგან მისი შენება შუა სამეფოს დასაწყისიდან დაიწყო, როცა თებეს ნომარქებმა კვლავ გააერთიანეს ეგვიპტე და ფარაონები გახდნენ, ამონმა კი ქვეყნის უზენაესი ღვთაების ტახტი დაიპყრო. ამ პერიოდამდე თებე პატარა, უმნიშვნელო დასახლება იყო, ამონის ისტორია კი ბურუსით არის მოცული. შუა სამეფოდან მოყოლებული, კარნაკი ეგვიპტის თავისებურ მატიანედ გადაქცა. ყველა ფარაონი ცდილობდა ტაძარი თუ არა, რაიმე დეტალი მაინც შეემატებინა მისთვის. კარნაკის კედლებზე ჩაწერილია ეგვიპტის ისტორია, რადგან ფარაონები თავიანთი საგმირო საქმეების ამსახველ ტექსტებს და გამოსახულებებს კარნაკის კედლებზე ათავსებდნენ. აქ მოხსენიებულია ეგვიპტის პრაქტიკულად ყველა ფარაონი, ერთი კარტუშით მაინც. ამ ბრწყინვალე ტაძრის დაღმასვლა ეგვიპტეში ქრისტიანობის გავრცელებიდან დაიწყო. მიტოვებული ტაძარი საუკუნეების განმავლობაში იძარცვებოდა და თანდათან დავიწყებას მიეცა (Bard (ed.), 1999, 403). თანამედროვეობისათვის კარნაკი XVIII საუკუნის დასაწყისში თავიდან აღმოაჩინა ფრედერიკ ნორდენმა. მასვე ეკუთვნის ტაძრის პირველი ჩანახატები. ნაპოლეონის ცნობილი ექსპედიციის დროს მოხდა ტაძრის პირველი სერიოზული შესწავლა. 1828 წ. კარნაკი მოინახულა ჟ.ფ. შამპოლიონმა. XIX საუკუნის დასაწყისში მოჰამედ ალიმ დაიპყრო ეგვიპტე და ეგვიპტის ფაშა გახდა. მან მოიზიდა დასავლური ძალები და დაიწყო ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა. ასობით შაქრის, ბამბის, შუშის და სხვ. ქარხნის ასშენებლად საჭირო იყო მასალა, და ძველეგვიპტური ტაძრები სამტეხლოებად გადაიქცა. ამ მშენებლობებმა, ბევრი სხვა ტაძარის გარდა, კარნაკის ამონის შუა სამეფოს ტაძარი შეიწირა. მეცნიერების ატეხილი განგაშის საპასუხოდ მოჰამედ ალიმ, რომელიც ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა ევროპელებთან, 1835 წ. გამოსცა დეკრეტი ძველეგვიპტური სიძველეების დასაცავად, მაგრამ

ხუთი წლის შემდეგ ქვები კარნაკის ტაძრის პილონებიდან კიდევ მიჰქონდათ სამშენებლო მასალად. 1843 წ. კარნაკის „წინაპართა დარბაზი" ლუვრში გადაიტანეს. მხოლოდ 1858 წ. დაარსდა ეგვიპტის სიძველეთა სამსახური, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ეგვიპტოლოგი ო. მარიეტი. მას შემდეგ დღემდე მეცნიერები მუშაობენ კარნაკში, თუმცა ბევრი რამ კიდევ შესწავლილი არ არის (Grimal, 2003, 293-295). კარნაკის ტაძარს უმნიშვნელოვანესი რელიგიური დატვირთვა ჰქონდა. ეგვიპტელისათვის ეს იყო ადგილი, სადაც დიდმა ამონ-რამ პირველყოფილი ქაოსური წყლების ადგილას მიწის პირველი ბორცვი შექმნა. ეგვიპტური წარმოდგენით, ღვთაების მარადიული არსებობისათვის სათანადო მსახურება იყო საჭირო. ამონ-რას მიერ შექმნილი სამყარო იარსებებდა, სანამ ამონის კულტს სათანადო პატივი მიეგებოდა კარნაკში. მაგრამ კარნაკი არ იყო მხოლოდ ქვეყნის უზენაესი ღვთაების მთავარი საცხოვრისი მიწაზე. ის წარმოიდგინებოდა, როგორც ყველა ეგვიპტური მეფის ლეგიტიმირების წყარო. აქ ხდებოდა მეფის, როგორც „ამონის საყვარელი შვილის" აღიარება უმაღლესი ქურუმების მიერ. აქ ტარდებოდა კორონაცია და ხებსედი. ამონის მთავარი ქურუმი ყველა სამეფო დეკრეტის საქმის კურსში იყო. იმავდროულად, კარნაკის ტაძრის უზარმაზარ ადმინისტრაციულ ნაწილში, მის მინებზე და საძოვრებზე მრავალი ათასი კაცი იყო დასაქმებული. კარნაკი სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი და ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი იყო. კარნაკში აგებული ყველა ძეგლი, პილონი თუ ტაძარი მიიჩნეოდა შვილის მადლიერების გამოხატვად თავისი ღვთაებრივი მამისადმი, რის საპასუხოდ დიდი ღვთაების კეთილგანწყობა მოიპოვებოდა. უმნიშვნელოვანესად ითვლებოდა თვითონ მიძღვნის ფაქტი, ამიტომ ფარაონები კარნაკში გაუთავებლად ანგრევდნენ და თავიდან აგებდნენ, იყენებდნენ ძველ ბლოკებს ახალი ნაგებობების და პილონებისათვის. ამის გამო დღეს პრაქტიკულად შეუძლებელია კარნაკის ხანგრძლივი არქიტექტურული ისტორიის აღდგენა, რთულია ასევე რეკონსტრუქცია, თუ რა თანმიმდევრობით იყო აგებული ესა თუ ის დარბაზი (Bard (ed.), 1999, 400). სავარაუდოდ, უძველესი ტაძარი მოიცავდა წმინდათა წმინდა ოთახს, სადაც ამონ-რას ქანდაკება იყო დაბრძანებული, და ორ დარბაზს, რაც ეგვიპტური ტაძრის ძირითად კომპონენტებს შეადგენს. ამ ნაგებობის დიდ ტაძრად გადაკეთება, ასევე სავარაუდოდ, თოტმეს I-მა დაიწყო თავისი ცნობილი არქიტექტორის, ინენის დახმარებით, თუმცა დღეს ძნელია აღდგენა, თუ რო-

გორ გამოიყურებოდა ტაძარი თოტმეს I-ის დროს. ინენის სამარხში, თებეს ნეკროპოლისში, მოთავსებულია იმ ნაგებობების გამოსახულებები, რომლებიც მან მეფეს აუგო. მათ თანახმად, ინენიმ ტაძარს მაღალი გალავანი შემოავლო. ეზოში დღევანდელი განლაგების მიხედვით მეხუთე პილონიდან შედიოდნენ. გალავნით შემოვლებულ ეზოს, ასევე სავარაუდოდ, ოსირისის გიგანტური ქანდაკებები ერტყა გარს. მეხუთე პილონის ეზოდან იწყებოდა დარბაზი, რომელსაც თავად ინენი აღწერს, როგორც „ბრწყინვალე დარბაზს პაპირუსის ფორმის კოლონებით". მთელ კომპლექსს შემოვლებული ჰქონდა კიდევ ერთი გალავანი, რომლის შესასვლელს მეოთხე პილონი წარმოადგენდა. დასავლეთი ფასადის წინ, სადაც იმ დროისათვის ტაძრის მთავარი შესასვლელი მდებარეობდა, თოტმეს I-მა აღმართა ორი ობელისკი, რომელთაგან დღეს მხოლოდ ერთია შემორჩენილი. კარნაკის რეკონსტრუქციის მეორე მნიშვნელოვან ეტაპს ხატშეპსუტის და თოტმეს III-ის მეფობა წარმოადგენს, თუმცა თოტმესმა გაანადგურა ბევრი დეტალი, რომელიც მისმა დედინაცვალმა ააგო. დასავლეთი ფასადის გასწვრივ ხატშეპსუტმა ააგო ოთახები მსხვერპლის შესაწირად და მცირე ზომის კაპელა ღვთაების ბარკის დასაბრძანებლად, რომელიც დღეს ნითელი კაპელის სახელით არის ცნობილი. მეხუთე პილონის წინ, თოტმეს I-ის ჰიპოსტილურ დარბაზში, მან აღმართა ასუანის ვარდისფერი გრანიტის ორი ობელისკი, რომლებიც ელექტრუმით დაფარა. დღეისათვის მხოლოდ ერთია შემორჩენილი (რასაკვირველია, ელექტრუმის გარეშე). თოტმეს I-ის გალავნის აღმოსავლეთ მხარეს ხატშეპსუტმა აღმართა სამლოცველო, მიძღვნილი ამომავალი მზისადმი, რომელიც ასევე ობელისკებით შეამკო, მაგრამ სამლოცველოს ადგილი მალე თოტმეს III-ს სადღესასწულო დარბაზმა დაიკავა. თოტმეს III-მ კარნაკში გრანდიოზული ცვლილებები მოახდინა: ხატშეპსუტის ობელისკებს შემოაველო ქვიშაქვის კედელი და ეს ნაგებობა მეხუთე პილონს დაუკავშირა; სამჯერ გაზარდა თოტმეს I-ის კოლონების რიცხვი და დარბაზის ხის სახურავი ქვის სახურავით შეცვალა. მეხუთე პილონის აღმოსავლეთით მან კიდევ ერთი, სადღეისოდ მეექვსე პილონი აღმართა, რომელზეც მოათავსა მეგიდოში თავისი ტრიუმფის ამსახველი სცენები (Grimal, 2003, 300-301). ძველი ტაძრის უკან მან ააშენა თავისებური ტაძარი-ფორტი და მუტის ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე აღმართა მერვე პილონი, რომლის ირგვლივ რამდენიმე სამლოცველო ააგო. ამონხეტეპ III-მ აღმართა IV პილონი და დაიწყო გრანდიოზული ჰიპოსტილური დარბა-

ზის მშენებლობა, რომელიც რამესიდების ეპოქაში დასრულდა (Helck, 1968, 158, 168). თანამედროვე რეკონსტრუქციით, ამონხ-ეტეპ IV (ეხნატონმა) კარნაკში ოთხი ნაგებობა ააგო. მათი რა-ოდენობის აღდგენა შესაძლებელი გახდა ეხნატონის ცნობილი საშენი მასალის, ე.წ. „ტალატატის" ბლოკების შეჯერებით, რომ-ლებიც შემდეგ სხვადასხვა ნაგებობაში გამოყენებული იპოვეს. ჯერჯერობით მხოლოდ ერთის (სახელად *Gmpꜣtn*, „მზის დისკო ნაპოვნია") მდებარეობაა დადგენილი. ტაძარი ნაწილობრივ არის შესწავლილი. ეხნატონმა ის ააგო კარნაკის ტაძრის აღმოსავლე-თით, იქამდე აუთვისებელ ტერიტორიაზე. ტაძრის სიგანე 210 მეტრია, სიგრძის დადგენა დღეს შეუძლებელია. დასავლეთი კედლის ცენტრალური ნაწილიდან იწყებოდა ოთხი მეტრის სიგანის კორიდორი, რომელიც ტაძარს XVIII დინასტიის სამეფო სასახლესთან აკავშირებდა. ტაძარი საავარაუდოდ მეფის იუბილესათვის აიგო (Bard (ed.), 1999, 391-393). კარნაკი საგრძ-ნობლად გადააკეთა ხორემხებმა, რომელმაც სამი პილონი ააგო და გზა მეათე პილონსა და მუტის ტაძარს შორის სფინქსებით მორთო. სეტი I-მა ააგო გრანდიოზული სვეტებიანი დარბაზი, რომელიც, პილონებთან ერთად, დღეს კარნაკის სახეს წარმოად-გენს. მისი მორთულობა რამსეს II-მ დაასრულა. დარბაზის კე-დლების შიდა მხარე მორთულია ტაძრის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიის და მსხვერპლშეწირვის სცენებით. გარედან მათ ამშვენებს სეტი I-ის ბრძოლების სცენები სირია-პალესტინაში და ლიბიელების და ხეთების წინააღმდეგ (ჩრდილოეთი კედელი) და რამსეს II-ის ბრძოლები პალესტინაში და ქადეშში (სამხრეთი კედელი). რამსეს II-მ ააგო ასევე ვერძისთავიანი სფინქსების ალეა, რომელიც მიდიოდა სანაპირომდე, სადაც ღვთაების დიდი ბარკა იდგა (Grimal, 2003, 304-305). განსაკუთრებით უნდა აღინ-იშნოს XXV (ნუბიური) დინასტიის ფარაონის, ტახარკას მიერ გაშენებული უზარმაზარი ტბა და ტაძარი კარნაკის ჩრდი-ლო-დასავლეთით. მანვე ააგო სვეტებიანი პავილიონები დიდი ტაძრის აღმოსავლეთ და დასავლეთ შესასვლელებთან და ხონსუს ტაძრის წინ. ნექტანებოს I-მა (XXX დინასტია) ტაძარს შემოავლო 12 მ. სისქის და 25 მ. სიმაღლის აგურის გალავანი ჰორიზონტალური ტალღოვანი ორნამენტით, რომელიც პირვე-ლყოფილი ნუნის იმიტაციას წარმოადგენდა. ამავე დროს დაი-წყო დღევანდელი განლაგებით პირველი პილონის აგება, მაგრამ ის დასრულებული არ არის. პტოლემაიოსების დროს ტაძარი ფუნდამენტურად იქნა შეკეთებული ((Bard (ed.), 1999, 403). მაგრამ კარნაკი არ იყო მარტო ამონის ტაძარი. აქ მისი ღვთა-

ებრიეი მეუღლის, მუტის და მათი შვილის, ხონსუს ტაძრებიც იდგა. ამას გარდა, კარნაკში იყო პტახის და მონტუს ტაძრები და ოპეტის დღესასწაულისადმი მიძღვნილი კაპელა, რომელიც XXVI დინასტიიდან ოსირისის სასახლედ გადაიქცა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაატისადმი მიძღვნილი ტაძარი. ეს ქალღმართი სიმართლის, სამართლიანობის და სამყაროს წესრიგის პერსონიფიკაცია იყო, რომელთა დაცვა ეგვიპტური წარმოდგენით ფარაონს ევალებოდა. ასეთი აბსტრაქტული ცნებების პერსონიფიკაციებს ეგვიპტეში ტაძრები არ ჰქონდათ, და გამონაკლისს არც მაატი წარმოადგენდა. ალბათ გასაკვირი არ არის, რომ მისი ერთადერთი ტაძარი სწორედ კარნაკში იყო. XVIII დინასტიიდან მოყოლებული, ყველა ფარაონი კარნაკს კაპელას, ქანდაკებას, ტაძრისათვის საჭირო ინვენტარს და სხვ. სნირავდა. დაგროვილი ქანდაკებების რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ პტოლემაიოსების დროს, როცა ტაძარი ფუნდამენტურად შეკეთდა, ის „დაალაგეს" და „ზედმეტი" ნივთები ტაძრის ეზოში დამარხეს. ეს სამალავები აღმოჩენილი იქნა 1903 წ. და 1903-1905 წლებში რვაასზე მეტი ქანდაკება და სტელა და 17 000 ბრინჯაოს ნაკეთობა იქნა ამოთხრილი. ისინი ამხელენ იმ უზარმაზარ სიმდიდრეს, რომელსაც დაეპატრონნენ ამონის ქურუმები, როცა რამსეს XI-ს გარდაცვალების შემდეგ თებე და კარნაკის ტაძარი საბოლოოდ მათ განკარგულებაში გადავიდა (Grimal, 2003, 304-308).



კარტუშის პირვანდელი სახე



კარტუში

კარტუში — (ეგვ. „წრე", *šnw*, Wb IV, 491). მეორე დინასტიიდან ფარაონის ოქროს ხორის სახელთან ასოცირებული იყო წრე, რომელიც მეფობის მარადიულობის სიმბოლოს წარმოადგენდა. III დინასტიის დასასრულის ფარაონ სანახტის საბეჭდავებზე კარტუშში ფარაონის სატახტო სახელია ჩასმული, რომელიც ტიტულატურაში „ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის" შემდეგ იწერებოდა. კარტუშში მეფის სახელის ჩასმამ მისი „დაგრძელება" გამოიწვია და მან წრის ფორმა დაკარგა. სანახტის შემდეგ ეს ტრადიცია აღარ დარღვეულა. V დინასტიიდან, როცა ფარაონი „რას ვაჟი" გახდა და ტიტულატურას ახალი — „რას ვაჟის" სახელი დაემატა, ისიც კარტუშში მოთავსდა (Wilkinson, 2001, 188). კარტუშის აღმნიშვნელი ეგვიპტური სიტყვა სამყაროს საზღვრებს გულისხმობს და შესაძლოა მისი კომბინაცია მეფის სახელთან ასევე ნიშნავდა მეფის დომინირებას სამყაროზე, მაგრამ მოგვიანებით მან დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და უბრალოდ მეფის სახელის აღსანიშნავად გამოიყე-

ნებოდა. შუა სამეფოს შემდეგ დედოფლების და მეფის შვილების სახელებიც შეიძლებოდა კარტუშში ყოფილიყო ჩასმული. გვიანდელ პერიოდში მას ამულეტის დანიშნულება ჰქონდა (Allen, 2009, 65).

კას სახლი – (ეგვ. *ḥ.t k3*). ამ სახელით ეგვიპტელები მოიხსენიებდნენ ადგილებს, რომლებსაც კას საცხოვრისად წარმოიდგენდნენ. ასეთი იყო საფლავები, გარდაცვლილის მოსახსენიებელი ტაძრები და ა.შ. მემფისის (პტახის საკულტო ქალაქის) საკრალური სახელი „პტახის კას სახლი" იყო (ეგვ. *Ḥ.t-k3 Pṯḥ*, Wb III, 5). სწორედ აქედან წარმოიშვა ბერძნული „Aigyptos".

კატა – კატის, როგორც საკრალური ცხოველის კულტი ეგვიპტეში შედარებით გვიან გავრცელდა. ბასტეტი, რომელსაც ძველი სამეფოს დროს ლომის იკონოგრაფია ჰქონდა, ახალი სამეფოს დასასრულისათვის კატა-ქალღმერთი ხდება. მკვდართა წიგნის მეჩვიდმეტე თავში მზის ღვთაება სწორედ კატის სახით ებრძვის თავის მტრებს ჰელიოპოლისში. უფრო გვიანდელი მკვდართა წიგნის ვინიეტებში (Naville, Tb.I, Taf.30) დახატულია დიდი კატა დანით ხელში, რომელიც აპოპის თავს აჭრის (Kees, 1980, 36; 82). წარმოდგენამ კატაზე, როგორც მზის ღვთაების ერთ-ერთ სახეზე, გამოიწვია მისი გაიგივება მზის თვალთან. ამ გაიგივების შედეგად კატის სახე მიიღეს იმ ქალღმერთებმა, რომლებიც მზის თვალთან იყვნენ გაიგივებული. ხატხორს და ტეფნუტს ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც კატებს. საისში, ნეიტის ტაძარში, კატას ეთაყვანებოდნენ. ბერძნულ-რომაულ პერიოდში კატის მოკვლა უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. გვიანდელი პერიოდით დათარიღებული კატების მუმიები მთელ ეგვიპტეშია ნაპოვნი (Bonnet, 1952, 371-373).

კაჰუნი – *იხ. ლაჰუნი.*

კებხუტი – (ეგვ. *Ḳbḥw.t*, PT 1180), „სუფთა წყლების" ქალღმერთი, რომელსაც ურეუსის გველის იკონოგრაფია ჰქონდა. დაკავშირებული იყო გარდაცვლილთა კულტთან, რადგან გარდაცვლილისათვის რიტუალურად დასხმულ წყალთან იყო ასოცირებული. პირამიდების ტექსტებში ანუბისის ქალიშვილად არის მოხსენიებული, რომელიც ზეციურ „სიცოცხლის მინდვრებში" (ეგვ. *ḳbḥw*) გარდაცვლილებს სუფთა წყლით განბანს (Kees, 1980, 56).

ᲙᲔᲛᲐᲢᲔᲤᲘ — ბერძნულ-რომაულ დროში თებეს კოსმოგონიაში ამონს წარმოაჩენდნენ, როგორც პირველქმნილ გველს, კემატეფს, რომელიც პირველყოფილი ნუნის წყლებიდან გამოვიდა. ამონის ეს გამოვლინება დააკავშირეს ოგდოადასთან, და მათი საკულტო ადგილი მედინეტ ჰაბუს ტაძარში იყო (Bonnet, 1952, 373).



კემური, როგორც ნომის ემბლემა

ᲙᲔᲛᲣᲠᲘ — (ეგვ. *Km-wr,* Wb V, 125) — „დიდი შავი", შავი ხარის სახელი, რომელსაც ძალიან ძველ დროში მეათე ქვემოეგვიპტურ ნომში და მის მთავარ ქალაქში — ათრიბში ეთაყვანებოდნენ. ადრე შეერწყა შევარდნის იკონოგრაფიის მქონე ხენტეხტაის და ამდენად მისი არსება ბუნდოვანია, მაგრამ ბოლომდე დარჩა ნომის და მისი დედაქალაქის სიმბოლო (Montet, 1957, 119-120).

ᲙᲔᲜᲢᲐᲤᲘ — (ეგვ. *mʿḥʿ.t*, Wb.II, 49). შუა სამეფოს შუახანებამდე ეგვიპტის ფარაონები ჩვეულებრივ ორ სამარხს იგებდნენ, ჩრდილოეთსა და სამხრეთში, რაც ეგვიპტური სახელმწიფოს დუალისტური სტრუქტურით აიხსნება. ამ ტრადიციას პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. სამარხს, სადაც სხეული არ იყო დასვენებული, კენტაფი (ცრუ სამარხი) ჰქვია. ეს ტრადიცია არასამეფო წარმოშობის ეგვიპტელებშიც გავრცელდა. ბევრი დიდებული იგებდა მცირე ზომის ცრუ სამარხს თავისი ფარაონის პირამიდის სიახლოვეს, იმ იმედით, რომ მეფის მოსახსენიებელი რიტუალის ჩატარებისას გარკვეული მადლი მათზეც გადმოვიდოდა. ოსირისის კულტის აღზევების შემდეგ კენტაფებს ასევე აღმართავდნენ აბიდოსში, დიდი ღმერთის სამარხის სიახლოვეს (Bonnet, 1952, 374).

ᲙᲔᲠᲛᲐ — (ეგვ. *Ꞅnbw Ꞅmn-m-ḥꞅt* — ამონემხატის კედელი) — კუშიტური (ნუბიური) სახელმწიფოს ცენტრი ნილოსის მესამე ჭორომის სამხრეთით. ადგილი შეისწავლა ჰარვარდის უნივერსიტეტის და ბოსტონის ხელოვნების მუზეუმის ექსპედიციამ 1913-1916 წლებში. მეორე და მესამე ათასწლეულებში კუშიტური სამეფო, რომელიც ნილოსის მესამე ჭორომის მიდამოებში მდებარეობდა, იყო ეგვიპტის მეტოქე ნუბიაზე ბატონობაში. სავარაუდოდ, მათი სახელმწიფოს ცენტრი მდებარეობდა კერმასთან, დონგოლას სიახლოვეს. ამ მიდამოებში ნილოსის დაბლობი ძალიან ფართოვდება და სოფლის მეურნეობის წარმატებით განვითარების საშუალებას იძლევა. თვითონ ქალაქი ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. ქალაქის ცენტრალური

ნაწილი, რომელიც დაახლ. 0.5 კვ. კმ.-ს მოიცავს, შემოვლებულია თხრილით და დამცავი კედლით. დასახლება გავრცელებულია სამხრეთ-დასავლეთით და შესაძლოა მოიცავდა საკულტო ნაგებობებს და სატაძრო სახელოსნოებს. ნილოსთან სავარაუდოდ ქალაქის პორტი იყო. ქალაქის ცენტრში მდებარეობდა ტაძარი (50მ. x 25მ., დღეისათვის სიმაღლე 20 მ.). ტაძრის სიახლოვეს აღმოჩენილია დიდი სასახლე, რომელიც ადგილობრივი და ეგვიპტური არქიტექტურის ელემენტებს ამჟღავნებს. ქალაქიდან სამი კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით აღმოჩენილია სასაფლაო დაახლ. 30 000 საფლავით. ნუბიური ტრადიციის თანახმად, მიცვალებულები არ არიან მუმიფიცირებული. ისინი დაკრძალულია მოხრილ მდგომარეობაში, ხანდახან ლოგინზე, დიდი ბორცვის ქვეშ. კერმაში ეს ბორცვები დეკორირებულია შავი და თეთრი ქვებით შედგენილი გეომეტრიული ორნამანტებით და თხების, გაზელების და საქონლის თავის ქალებით. საფლავში ატანდნენ სხვადასხვა ნივთებს, შეწირულ ცხოველებს და ადამიანებს. შესაწირისათვის, რომელიც საფლავის გარეთ თავსდებოდა, აგებდნენ პატარა სამლოცველოებს, რომლებიც თანდათან დიდმა აგურის ნაგებობამ შეცვალა. თანამედროვე ვარაუდით, დიდი ბორცვები კერმას მეფეების საფლავებია, რომლებიც ქრონოლოგიურად ეგვიპტის პირველ გარდამავალ პერიოდს ემთხვევა. ბოლო წლებში ჩატარებული გათხრების საფუძველზე, კერმას კულტურა რამდენიმე ფაზად არის დაყოფილი. ე.წ. KA (არქაული კერმა) პირველი გარდამავალი პერიოდის და ადრე შუა სამეფოს თანადროულია, KM (შუა პერიოდის კერმა) შუა სამეფოს დროისაა, KC (კლასიკური კერმა) კულტურის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს და მეორე გარდამავალ პერიოდს ემთხვევა, KR (გვიანი ან პოსტ-კლასიკური კერმა) ეწოდება პერიოდს, როცა ადრეული ახალი სამეფოს დროს ეგვიპტემ ნუბიის დაბრუნება დაიწყო. მეორე გარდამავალი პერიოდის დროს კერმას სამეფომ თავისი გავლენა სამხრეთ ეგვიპტეზეც გაავრცელა და, ეგვიპტური წყაროების თანახმად, გახდა ჰიკსოსების მოკავშირე ეგვიპტეზე გავლენის სფეროების გასანაწილებლად. ჰიკსოსების განდევნის შემდეგ, ეგვიპტემ საბოლოოდ მოსპო კერმადან მომდინარე საშიშროება ადრე XVIII დინასტიის ფარაონების სამხედრო კამპანიების შედეგად, მაგრამ კერმაში აღმოჩენილი ნაპატას და მეროეს პერიოდების ფენები მიუთითებენ, რომ კერმამ შეინარჩუნა მნიშვნელობა უფრო გვიანდელი ნუბიური კულტურებისათვის (Bard (ed.), 1999, 404-405).

პტახი ქმნის სამყაროს კვერცხს.

კვერცხი — როგორც სიცოცხლის ჩანასახს, კვერცხს თვალსაჩინო ადგილი ეკავა სამყაროს შექმნის მითებში. ძველი მითის თანახმად, პირველი ღმერთი პირველყოფილ შლამში კვერცხიდან იშვა (Erman, 1954, 62). მკვდართა წიგნში ასევე მოხსენიებულია ბუნდოვანი „დიდი ყიყინას" პირველქმნილი კვერცხი. „დიდი ყიყინა" ამონის ერთ-ერთი გვიანდელი ეპითეტი იყო (*იხ. ბატი*). საკრალური „პირველქმნილი კვერცხის" ნაჭუჭი ინახებოდა ჰერმოპოლისში, სადაც მზე კვერცხიდან შობილ „ოგდოადის პირმშოდ" ითვლებოდა (Sethe, 1976, §§157, 160). უფრო გვიანდელი ვერსიით, ამ კვერცხიდან თავად ოგდოადა წარმოიშვა, ხოლო თვითონ კვერცხი პტახის შექმნილად არის მოხსენიებული (*იქვე*, § 122). კვერცხი იხმარებოდა, როგორც ამულეტი, განსაკუთრებით წყლის ცხოველების წინააღმდეგ. კვერცხების ამულეტებს ატანდნენ ასევე გარდაცვლილებს. როგორც სიცოცხლის სიმბოლო, ის მიცვალებულთათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შესაწირიც იყო. გვიანდელი პერიოდის ეგვიპტეში ქურუმებს კვერცხის ჭამა ეკრძალებოდათ, რადგან კვერცხის გატეხვა სიცოცხლის ხელყოფად, და ამდენად მკრეხელობად იყო მიჩნეული (Bonnet, 1952, 162-163).

კინოპოლისი — ასე ეძახდნენ ბერძნები ძაღლის სახის ანუბისის საკულტო ადგილებს. 1. **ქალაქი მეჩვიდმეტე ზემოეგვიპტურ ნომში** (ნომსაც ანუბისის, ან შავი ძაღლის სახელი ერქვა, Montet, 1961, 164) და ბერძნულ პერიოდში ნომის დედაქალაქი იყო. ქალაქის ეგვიპტური სახელი იყო საკა (*Sꜣkꜣ*). აქვე იყო ხარის სახის ღმერთის ბატას კულტი, რომელიც ანუბისის ძმად ითვლებოდა (*იქვე*, 166). პლუტარქეს (de Iside, 72) ცნობით, დაპირისპირება კინოპოლისის და მეზობელი ოქსირინხოსის მცხოვრებლებს შორის სისხლისღვრამდე მივიდა, რადგან კინოპოლისელები ოქსირინხოსის საკრალურ თევზს ჭამდნენ და ამის გამო ოქსირინხოსის მოსახლეობამ ბევრი ძაღლი გაწყვიტა (Kees, 1980, 446). ქალაქიდან არაფერია შემორჩენილი. 2. ბერძნები იცნობდნენ კიდევ ორ კინოპოლისს დელტაში, ერთი სავარაუდოდ ბუსირისის სიახლოვეს მდებარეობდა, მაგრამ მათი ადგილმდებარეობა ცნობილი არ არის (*იქვე*, 30).

კიოსკი — ეგვიპტოლოგიაში კიოსკი კოლონებით შემოვლებულ ოთხკუთხედი ან მართკუთხედი ფორმის საკრალურ ნაგებობას ეწოდება.



კლდის სამარხში შესასვლელი



კლდის სამარხის საკნების განლაგება კლდის შიგნით

კლდის სამარხი – პირველი კლდის სამარხები ეგვიპტში IV დინასტიის დროს ჩნდება. თანდათან მათი რიცხვი მატულობს და ახალი სამეფოს დროს უკვე სამარხის ყველაზე გავრცელებული ფორმაა. უძველესი კლდის სამარხები მასტაბას გამოძახილს წარმოადგენს. მუმია აქ ყველაზე ღრმად მოთავსებულ კამერაში ესვენა, წინა სექციების განლაგება კი მასტაბისას შეესაბამებოდა და საკულტო დანიშნულება ჰქონდა. ეს იყო შედარებით დიდი წინა ოთახი, რომლის უკანა კედელზე, სამარხში შესასვლელი კარის პირდაპირ, ცრუ კარიან ნიშაში ჩვეულებრივ სამარხის ქვა ან მიცვალებულის ქანდაკება თავსდებოდა. უფრო მოზრდილ სამარხებს კიდევ ერთი, წინა დარბაზი ჰქონდათ. თავისებური იყო თებეს კლდის სამარხები, რომლებიც დაახლ. XI დინასტიის დროს ჩნდება. კამერების განლაგება და ფორმა T ასოს შეესაბამება, ჩვეულებრივ მათ შესასვლელს კოლონები ამშვენებდა, თავზე კი პატარა პირამიდას ადგამდნენ. განსხვავებულია ასევე მეფეთა კლდის სამარხები. კერძო პირების სამარხებისაგან განსხვავებით, მათ საკულტო დანიშნულების განყოფილებები არ გააჩნდათ, რადგან მეფეებთან ამ როლს ცალკე მდგომი მოსახსენიებელი ტაძარი ასრულებდა (Bonnet, 1952, 182-184).

კლეოპატრა – ამ სახელს ეგვიპტის პტოლემაიოსების დინასტიის რამდენიმე დედოფალი ატარებდა. ყველაზე ცნობილია კლეოპატრა VII (69-30 წწ. ჩვ.წ.-მდე), რომელიც ეგვიპტის უკანასკნელ მეფედ არის მიჩნეული, რადგან მისი გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტე რომის პროვინცია გახდა. კლეოპატრა პტოლემაიოს XII აულეტოსის და (სავარაუდოდ) მისი დის და ცოლის, კლეოპატრა VI ტრიფენას ქალიშვილი იყო. როგორც საოცრად ცუდი მმართველი, ალექსანდრიელებმა აულეტოსი გააძევეს და ტახტზე მისი ქალიშვილი, ბერენიკა დასვეს. აულეტოსი ჩავიდა რომში პომპეოსთან, რომელიც მას ტახტის დაბრუნებაში დაეხმარა. ალექსანდრიაში დაბრუნების შემდეგ აულეტოსმა სიკვდილით დასაჯა ბერენიკა და მისი ქმარი, მაგრამ თვითონაც მალე გარდაიცვალა. მას დარჩა კიდევ ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი. უფროსი ქალიშვილი, 18 წლის კლეოპატრა დააქორწინეს თავის ათი წლის ძმაზე, პტოლემაიოს XIII-ზე. თავისი ძმის და ქმრის ასაკის გამო კლეოპატრა, რასაკვირველია, რეალური მმართველი გახდა, მაგრამ ძმის მომხრეებმა კლეოპატრა აიძულეს, სირიაში გაქცეულიყო. ვითარება დრამატულად შეიცვალა მას შემდეგ, რაც პტოლემაიოს XIII-ს მომხ-

რეებმა მოღალატურად მოკლეს ფარსალოსიდან გამოქცეული პომპეოსი, რომელმაც იულიუს კეისართან დამარცხების შემდეგ პელუზიუმს შეაფარა თავი. კლეოპატრა დაბრუნდა ალექსანდრიაში ჩვ.წ.-მდე 48 წელს, და მოახერხა იულიუს კეისრის კეთილგანწყობის მოპოვება, რომელიც, პომპეოსის დამარცხების შემდეგ, ამ დროისათვის რომში ყველაზე გავლენიანი კაცი გახდა. იულიუს კეისარმა თითქოს შეძლო ძალთა დაბალანსება კლეოპატრას და მის ქმარს შორის, მაგრამ კლეოპატრასათვის ეს არ იყო საკმარისი. მან ისე მოაწყო საქმე, რომ ქმარი თავის მომხრეებს მოაკვლევინა. პტოლემაიოს XIII-ის გარდაცვალების შემდეგ კლეოპატრა დაქორწინდა თავის შემდეგ ძმაზე, პტოლემაიოს XIV-ზე. ცოლ-ქმარი, ისევე როგორც პირველი ქორწინების დროს, თანამმართველებად მოიაზრებოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში კლეოპატრამ, როგორც იულიუს კეისრის საყვარელმა და მოკავშირემ, თავიდანვე ხელში აიღო მართვის სადავეები. 47 წელს კლეოპატრამ გააჩინა ვაჟიშვილი, რომელსაც ცეზარიონი დაარქვა. ამ სახელის დარქმევით მან ყველას გააგებინა, თუ ვინ იყო ბავშვის ნამდვილი მამა. 46 წ. კლეოპატრა ჩავიდა რომში კეისართან ერთად, მაგრამ მისი მოკვლის შემდეგ ისევ ალექსანდრიაში დაბრუნდა, სადაც თავისი მეორე ქმარი მოაკვლევინა. ჩვ.წ.-მდე 41 წ. კლეოპატრას ხვდება მარკუს ანტონიუსი. მას სჭირდებოდა სამხედრო ძალები სამხედრო კამპანიებისათვის აღმოსავლეთში და კონფლიქტის მოსაგვარებლად იულიუს კეისრის მემკვიდრესთან, ოქტავიანესთან. მარკუს ანტონიუსი და კლეოპატრა მოკავშირეები და საყვარლები გახდნენ. რომაელისაგან კლეოპატრამ სამი შვილი გააჩინა: ტყუპები, ალექსანდრე ჰელიოსი და კლეოპატრა სელენა და შემდეგ ვაჟიშვილი, პტოლემაიოს ფილადელფოსი. მაგრამ ოქტავიანემ მოახერხა რომის განწყობა წყვილის წინააღმდეგ. ის განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ კლეოპატრა, ქალი და უცხოელი, იბრძოდა რომზე გარკვეული ძალაუფლების მოსაპოვებლად. კონფლიქტმა ოქტავიანეს და ანტონიუსს შორის კულმინაციას მიაღწია ჩვ.წ.-მე 31 წელს, აქტიუმთან ბრძოლაში, რომლის დროსაც კლეოპატრას ფლოტი სასტიკად დამარცხდა. კლეოპატრა და ანტონიუსი გაიქცნენ ალექსანდრიაში, საიდანაც აგრძელებდნენ ბრძოლას, მაგრამ 30 წელს ორივემ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ანტონიუსმა დანით მოიკლა თავი, რადგან მიიღო ყალბი შეტყობინება კლეოპატრას გარდაცვალების შესახებ, თავის მხრივ კლეოპატრამ აღარ ისურვა სიცოცხლე ანტონიუსის შემდეგ და, გადმოცემის თანახმად, გველს დააგესლინა

თავი. კლეოპატრას შესახებ მრავალი სამეცნიერო ნაშრომი და ლიტერატურული ნაწარმოებია დაწერილი. მას ახასითებენ, როგორც ღვთაებას და ურჩხულს, გმირს და მსხვერპლს. ალბათ, მას მრავალი სახე ჰქონდა. ამ არაორდინარულმა ქალმა მოახერხა, დაეპყრო ორი გამოჩენილი რომაელის გული, გამხდარიყო ეგვიპტის ერთპიროვნული მმართველი და როცა მიხვდა, რომ საკუთარი სიცოცხლის მმართველი ვეღარ იქნებოდა, სიცოცხლეს სიკვდილი არჩია (Jones, 2006, XIII-XV).

კომ-ელ ჰისნი — (არაბულად „ფორტის ბორცვი"), თანამედროვე დასახლება დელტის დასავლეთ საზღვარზე, კაიროსა და ალექსანდრიას შორის, ძველი ნავკრატისის სამხრეთით, სადაც აღმოჩენილია რამსეს II-ის მიერ სახმეტ-ხატხორისადმი მიძღვნილი ტაძრის ნანგრევები. მათ წარწერებზე დაყრდნობით, სავარაუდოდ, აქ მდებარეობდა III ქვემოეგვიპტური ნომის უძველესი დედაქალაქი იამუ (Petrie, 1888, II., 77, 82). ქალაქის საკულტო სახელი იყო „იამუს ხეების ქალბატონის სახლი" (ეგვ. *Pr-nbt Ỉ3mw*, Gardiner, 1962, II, 170*), რაც მიუთითებს, რომ აქ უძველეს დროში იამუს ხეების საკრალური ჭალა იყო და იამუს ქალღმერთს ეთაყვანებოდნენ, რომელიც თავზე სამი იამუს ხით გამოისახებოდა. ის ძალიან ადრე შეერწყა ხატხორს, რადგან მოხსენიებულია მხოლოდ კარნაკის ქალღმერთების სიაში, ხატხორი კი „იამუს ქალბატონი" გახდა (*იქვე*, 39*). ქალაქი არსებობდა XXVI დინასტიაშიც, რადგან ამ დროის ტექსტში მისი ტაძარია მოხსენიებული (Breasted, 1962, IV, § 956).

კომ ომბო — *იხ. ომბოსი.*

კოპტები — ძველი ეგვიპტელების შთამომავლები, რომლებიც კოპტურ ენაზე ლაპარაკობდნენ და ქრისტიანული რელიგია მიიღეს. მათი შთამომავლები დღემდე ცხოვრობენ ეგვიპტის არაბულ რესპუბლიკაში.

კოპტოსი — (ეგვ. *Gbtjw*, Wb V, 163, თანამედრ. კიფტი), მეხუთე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი (Montet, 1961, 76). უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული ცენტრი ძველი სამეფოს დროიდან, რასაც ხელს უწყობდა მისი მდებარეობა ნილოსის მარჯვენა ნაპირზე. აქ იწყებოდა ორი უმნიშვნელოვანესი საქარავნო გზა აღმოსავლეთ უდაბნოს სამტეხლოებისაკენ და წითელი ზღვისკენ, საიდანაც ექსპედიციები მიემგზავრებოდნენ

პუნტში და აფრიკის სიღრმეში ეგზოტიკური საქონლის ჩამოსატანად (Hayes, 1960, 67, 71). ქალაქის მთავარი ღვთაებები იყვნენ ნაყოფიერების ღმერთი მინი და ისიდა, რომელიც აქ მის დედად იყო მიჩნეული, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოხდა მინის შერწყმა ხორთან ხორ-მინის ან მინ-ხორის სახით (Gardiner, 1947, II, 28*). მინის ტაძრის გათხრებისას აღმოჩენილია უმნიშვნელოვანესი სატაძრო დეკრეტები, რომლებიც ქრონოლოგიურად მოიცავს პერიოდს პეპი I-ის მეფობიდან დაახლ. VIII დინასტიის დასასრულამდე. ეს დეკრეტები (ე.წ. Koptos A-T) წარმოადგენს დღემდე მოძიებული ამ ტიპის დოკუმენტების ყველაზე ვრცელ ნაკრებს და უმნიშვნელოვანესი წყაროა გვიანი ძველი სამეფოს ისტორიის შესასწავლად (Strufwick, 2005, 105-113). ქალაქში შემორჩენილია პტოლემაიოსების პერიოდის მინის ტაძრის ნანგრევები, აგებული უფრო ძველი ტაძრის ფუნდამენტზე (ნაპოვნია ამონემხატ I-ის, სენუსერტ I-ის, თოტმეს III-ის და სხვ ნარწერები). ქალაქში ნაპოვნია ასევე კლეოპატრა VII-ის და მისი შვილის, პტოლემაიოს XV ცეზარიონის სამლოცველო და სხვა ნანგრევები (Portes and Moss, 1939, 123).

კოპტური ენა – (არაბულად ḳibtī, ḳubtī „ეგვიპტური"), ეგვიპტური ენის განვითარების ბოლო საფეხური. ცნობილია ჩვ.წ.-ით III საუკუნიდან, ბერძნული ანბანის (და დემოტიკური დამწერლობიდან აღებული ექვსი-შვიდი ნიშნის) საფუძველზე შედგენილი კოპტური ანბანით ჩაწერილი ტექსტებით. ძველი, საშუალო და ახალი ეგვიპტურისგან განსხვავებით კოპტური არასდროს ყოფილა სახელმწიფო ენა (Еланская, 1991, 298). გამოყოფენ ცხრა დიალექტს, რომელთა გავრცელებას წარმოადგენენ შემდეგი თანმიმდევრობით (ზემო ეგვიპტიდან ქვემო ეგვიპტემდე): საიდური (ძველი თებეს რეგიონი), ახმიმური (თებეს ჩრდილოეთით, ახმიმის (პანოპოლისის) შემოგარენში), სუბახმიმური (იგივე ლიკოპოლიტანური, ასიუტური; ახმიმსა და ოქსირინქოსის შორის მდებარე ტერიტორია), შუა ეგვიპტური (ოქსირინქოსის ჩრდილოეთით ფაიუმის რეგიონამდე), აშმუნეიური (აშმუნეის რეგიონი), ე.წ. P დიალექტი (დაუდგენელი ლოკალიზაციის), ფაიუმური (ფაიუმის ოაზისი), ბაშმურიული (დელტა) და ბოჰაირული (იგივე მემფისური; ასევე დელტა) (Четверухин, Хосроев, 1986, 7). განსხვავება დიალექტებს შორის ძირითადად ფონოლოგიური და ლექსიკურია (Еланская, 1991, 299). ბერძნული ანბანით ეგვიპტური ენის ჩანერა დაიწყეს ჩვ.წ.-მდე III ს (ჰამბურგის პაპირუსი 627). დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება ბერ-

ძნულ-ეგვიპტური ლექსიკონი, რომელშიც ეგვიპტური სიტყვები ჩაწერილია ბერძნული ანბანით; ასევე შემორჩენილია ჩვ.წ.-მდე II ს. დათარიღებული გრაფიტო და ცხრა ეგვიპტური მაგიური შინაარსის ტექსტი, რომლებსაც ათარიღებენ ჩვ.წ.-მდე II ს. – ჩვ.წ.-ით IV ს. ამ ტექსტებს პირობითად უწოდებენ ძველი კოპტური პერიოდის ტექსტებს, რადგან კოპტური დამწერლობა, როგორც ერთიანი სისტემა, აღნიშნულ ტექსტებში ჯერ კიდევ არ ჩანს ჩამოყალიბებული (Четверухин, Хосроев, 1986, 9).კოპტური დამწერლობა ბერძნული ანბანის საფუძველზე შეიქმნა ჩვ.წ.-ით II-III სს. ამ პერიოდს განეკუთვნება ბიბლიის კოპტური თარგმანიც. IV ს. ჩნდება კოპტური ენის საიდურ დიალექტზე შექმნილი ორგინალური ნაწარმოებები: პახომის დარიგებები და კოპტური ენის კლასიკოსის, არქიმანდრიტ შენუტეს ეპისტოლეები და ქადაგებები. ამის გამო საიდური დიალექტი ასრულებდა სალიტერატურო ენის ფუნქციას (თუმცა ლიტერატურული ნანარმოებები იქმნებოდა სხვა დიალექტებზეც) (Четверухин, Хосроев, 1986, 14). მას შემდეგ, რაც არაბებმა ეგვიპტე დაიპყრეს, იწყება კოპტური ენის შევიწროების პროცესი. I ათასწლეულის ბოლოს, ფაქტობრივად, ეს პროცესი სრულდება. კოპტურის ფუნქციები შეიზღუდა – მას იყენებენ მხოლოდ ღვთისმსახურების ენად. ამის გამო მთავარ დიალექტად იქცა ბოჰაირული, რადგან ეგვიპტის საპატრიარქოს ცენტრი (ჯერ კაირო, ხოლო შემდეგ ალექსანდრია) მდებარეობდა ქვემო ეგვიპტეში. ბოჰაირულ დიალექტზე იქმნებოდა საეკლესიო დანიშნულების ლიტერატურა XX საუკუნემდე (Еланская, 1991, 299). კოპტურ ენას ქრონოლოგიურად ყოფენ შემდეგ საფეხურებად: ძველი კოპტური (ჩვ.წ.-მდე III – ჩვ.წ.-ით V სს), კლასიკური კოპტური (III-XI სს), გვიანი კოპტური (XI-XVIII სს), ახალი კოპტური (ნეოკოპტური; XIX-XX სს). არსებობს უფრო დეტალური კლასიფიკაცია და პერიოდიზაცია, რომელიც დაფუძნებულია ბიბლიის კოპტური ვერსიების ნარმოშობასა და განვითარებაზე (Четверухин, Хосроев, 1991; ელანსკაია, 1964; Еланская, 1991) (ზ. ბარათაშვილი).

კროკოდილოპოლისი – ნიანგის კულტის გავრცელების გამო ბერძნებმა კროკოდილოპოლისი რამდენიმე ეგვიპტურ ქალაქს დაარქვეს. 1. **ქალაქი ფაიუმში**, ფაიუმის პროვინციის დედაქალაქი (ეგვ. შედეტი, *Šdt*, Montet, 1961, 215), თანამედრ. მედინეტ ელ-ფაიუმი, სადაც სობეკის მთავარი საკულტო ადგილი იყო. გადმოცემის თანახმად, ქალაქი მენესმა დააარსა (დიოდორე, I, 89). მისი სახელი გვხვდება ნარმერის ბეჭედზე (Petrie, 1913,

pl.2, no.4). ქალაქის აღმავლობა დაიწყო XII დინასტიიდან, როცა დინასტიის ფარაონებმა ჭაობების დაშრობა დაიწყეს და ფაიუმი ეგვიპტეში მიწათმოქმედების უმნიშვნელოვანეს რეგიონად გადაიქცა. ცნობილი ჰარისის პაპირუსის თანახმად, სობეკის ტაძარი შედეტში რამსეს III-ის დროსაც ერთ-ერთი უმდიდრესი ტაძარი იყო (Breasted, 1962, IV, § 369). დიდი ტბა ტაძრის გვერდით, სადაც სობეკის საკრალური ცხოველი — ნიანგი ცხოვრობდა, აღნერილი აქვს სტრაბონს (XVII.38). პტოლემაიოს II ფილადელფოსმა თავისი დის და მეუღლის, არსინოე II-ის პატივსაცემად, ქალაქს არსინოე დაარქვა (ჩვ.წ.-მდე III საუკუნე.). დღეს ქალაქიდან მხოლოდ ბერძნულ-რომაული პრიოდის ნანგრევებია შემორჩენილი (McKenzie, 2007, 152). 2. **ქალაქი გებელენის სიახლოვეს**. ქალაქის ეგვიპტური სახელი (*Iwmiirw*, „კუნძული მდინარეში") მიუთითებს, რომ ქალაქი კუნძულზე მდებარეობდა. ზუსტი ადგილი უცნობია (Gardiner, 1947, II, 21*).

კუ — ეგვიპტელთა წარმოდგენით, მზის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე იყო, რომელიც მას ზეცაში მოძრაობისას ხელს უშლიდა (Roeder, 1915, 105). XVIII და XIX დინასტიების სარკოფაგებზე ხშირად ათავსებდნენ გამონათქვამს „ცოცხლობდეს მზე, დაიღუპოს კუ". ეგვიპტელთა წარმოდგენით, როგორც ჩანს, კუს შეეძლო, ხელი შეეშალა გარდაცვლილთათვის ზეცაში აღზევებისას, ამიტომ ამის საწინააღმდეგოდ მკვდართა წიგნში შელოცვაც კი არსებობდა (Naville, Tb. Kap. 36; Bonnet, 1952, 661).

კუბანი — ადგილი ნუბიაში, საიდანაც გზა უხვევდა ვადი ალაკის ოქროს მაღაროებისაკენ. მის დასაცავად შუა სამეფოს დროს ეგვიპტელებმა ააგეს ციხე-სიმაგრე, რომელიც კიდევ უფრო გაზარდეს და გაამაგრეს ახალი სამეფოს დროს. აქვე აღმოჩენილია შუა სამეფოს პერიოდით დათარიღებული სპილენძის გამოსადნობი ღუმელები (Bard (ed.), 524, 580). აქ ეთაყვანებოდნენ ხორს, როგორს „ბაკის ბატონს". შემორჩენილია სამი ტაძრის ნანგრევიც, რომელთაგან ერთი რამსეს II-ის უნდა იყოს (Bonnet, 1952, 402).

კუკი და კუკეტი — *იხ. ოგდოადა*

კუმა — *იხ. სემნა*

კურდღელი — უძველეს დროში იყო ნაყოფიერების სიმბოლო

კურდღელი როგორც XV ზემოეგვიპტური ნომის ემბლემა

და მეთხუთმეტე ზემოეგვიპტური ნომის ნიშანი. იმავდროულად იყო ამ ნომის უძველესი ქალღმერთის, უნუტის (*Wnw.t,* Kees, 1980, 49) ცხოველი. უნდა აღინიშნოს, რომ წერილობით დაფიქსირებულ ეგვიპტურ ენაში „უნუტს" „კურდღელის" მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. საკულტო მნიშვნელობა უნუტმა დინასტიური პერიოდის დასაწყისისათვის დაკარგა. შემონახულია კურდღლის ამულეტები, მაგრამ მათი დანიშნულება ბუნდოვანია (Bonnet, 1952, 276). დროთა განმავლობაში ის გარდაიქმნა მიწისქვეშეთის დემონად კურდღლისყურებიანი ლომის სახით (Kees, 1980, 130-131).

კუსა – (ეგვ. *Ḳjś*, Wb V, 17, თანამედრ. ელ-კუსია), მეთოთხმეტე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი. მდებარეობდა ნილოსის მარცხენა ნაპირზე. უძველეს დროში ეთაყვანებოდნენ ხის ქალღმერთს (*Ndft pḥ(t),* „დაბალი ნეჯეფეტ-ხე", უფრო გვიან – „ატეფ-ხე", Gardiner, 1947, 77*), რომელიც ძალიან ადრე შეერწყა ხატხორს. სავარაუდოდ, ჰიკსოსების მიერ დაკავებული ტერიტორიის საზღვარი კუსას სამხრეთით გადიოდა, ასე რომ ის ჰიკსოსების მიერ დაპყრობილ ტერიტორიაში იყო მოქცეული. დღეს VI და XII დინასტიებით დათარიღებული ადგილობრივი ნომარქების სამარხების გარდა (თანამედრ. მეირთან), ქალაქიდან არაფერია შემორჩენილი (Montet, 1961, 142-143). სამარხების წარწერებიდან ჩანს, რომ ადრე შუა სამეფოდან მაინც აქ მთავარი ქალღმერთი ხატხორი იყო, და მას მოიხსენიებდნენ, როგორც „კუსას ქალბატონს" და „ოქროს". დედოფალმა ხატშეპსუტმა კუსას მიდამოებში აუგო კლდის ტაძარი ლომის სახის ქალღმერთს პახეტს, რომელიც ასევე ხატხორის მძვინვარე სახის განსახიერებად ითვლებოდა. ტაძარი ცნობილია თავისი ბერძნული სახელით (speos Artemidos), რადგან ბერძნებს ხატხორთან არტემიდა ჰყავდათ გაიგივებული (Lesko, 1999, 96).

ლაბირინთი — ასე ეძახნენ მომავალი თაობები ამონემხატ III-ის (XII დინასტია) მოსახსენიებელ ტაძარს, რომელიც დღეს აღარ არსებობს. მისი აღწერა დაგვიტოვა ჰეროდოტემ (II, 148), რომელსაც შეცდომით ეგონა, რომ ლაბირინთი ეგვიპტის ნუბიური დაპყრობის შემდეგ აშენდა, როცა დელტა ცალკეულ სამთავროებად იყო დაქუცმაცებული (*იქვე*, 147). მისი თქმით, „ლაბირინთის აღწერა შეუძლებელია. რომ შეგროვდეს ერთად ელინების მიერ აგებული კედლები და ნაგებობები, აღმოჩნდება, რომ მათზე ნაკლები ფული და შრომაა დახარჯული, ვიდრე ერთ ლაბირინთზე, თუმცა ეფესოში და სამოსზე მშვენიერი ტაძრებია. რა თქმა უნდა, პირამიდები უზარმაზარი ნაგებობებია, და თითოეული მათგანი შეედრება ზომით ელინების მიერ აგებულ ბევრ ნაგებობას, მაგრამ ლაბირინთი პირამიდებზე დიდია. აქ არის თორმეტი ეზო ჭიშკრებით, რომლებიც ერთმანეთის პირისპირ არის განლაგებული, მათგან ექვსი ჩრდილოეთით, ექვსი სამხრეთით. გარედან მათ ერთი საერთო კედელი აქვთ შემოვლებული. ამ კედლის შიგნით 3000 ოთახია, 1500 მიწის ზემოთ, 1500 მიწის ქვეშ. მე თვითონ დავიარე მიწისზედა ოთახები, მიწისქვეშა ოთახების შესახებ კი მხოლოდ მომიყვნენ: ეგვიპტელებმა მითხრეს, რომ იქ არის იმ მეფეების სამარხები, რომლებმაც ლაბირინთი ააგეს, და ასევე წმინდა ნიანგების... ზედა ოთახები აღემატება ყველაფერს, რაც ადამიანის ხელმა შექმნა. გასასვლელები ოთახიდან ოთახში და მიხვეულ-მოხვეული გზები ეზოებში იმდენად ჩახლართულია, რომ გაოცებას ინვევს: ეზოებიდან ხვდები ოთახებში, ოთახებიდან — კოლონებიან გალერეებში, იქიდან კვლავ ოთახებში, და ისევ ეზოებში. ყველა სახურავი, ისევე როგორც კედლები, ქვისაა, და კედლები მრავალრიცხოვანი რელიეფებით არის მორთული. ყველა ეზოს გარს შემოვლებული აქვს თეთრი, გასაოცრად მოპირკეთებული ქვის კოლონები. ლაბირინთის კუთხეში აღმართულია პირამიდა, 40 ორგიის სიმაღლის, რომელსაც მიწისქვეშა შესასვლელისაკენ მივყავართ". ინგლისელმა არქეოლოგ-

მა ფ. პეტრიმ პირამიდასთან და მიმდებარე ტერიტორიაზე მუშაობისას ზედაპირიდან 5მ. სილრმეში აღმოაჩინა 304 x 244მ ქვის „იატაკი", რომელიც მან განადგურებული „ლაბირინთის" ფუნდამენტად მიიჩნია (Petrie, 1912).

ლაგიდები — *იხ. პტოლემაიოსები*

ლატოპოლისი — *იხ. ესნა*

ლაჰუნი (ასევე კაჰუნი) — ადგილი ფაიუმის ოაზისის შესასვლელთან, სადაც მდებარეობს შუა სამეფოს დროის დიდი დასახლება. თანამედრ. „ლაჰუნი" წარმოიშვა ეგვიპტური რა-პენეტიდან (*rꜣ-ḥnt*, „არხის სათავე", Wb II, 398; Bonnet, 1952, 413). სახელი „კაჰუნი" ძველ ქალაქს დაარქვა ცნობილმა ინგლისელმა არქეოლოგმა ფ. პეტრიმ, როცა ის აქ გათხრებს ანარმოებდა 1888 და შემდეგ 1914 წლებში (Petrie, 1891). კონტექსტიდან გამომდინარე, ქალაქის დაარსების მიზანი ეჭვს არ იწვევს. ქალქთან მდებარეობს სენუსერტ II-ის მოსახსენიებელი ტაძრის ნანგრევები, მათგან 11080მ. დასავლეთით კი მისი პირამიდა. ქალაქი აგებულია ისეთივე ორიენტაციით, როგორც პირამიდა. ეს არის არაჩვეულებრივად დიდი პირამიდის ქალაქი, სადაც ცხოვრობდნენ ქურუმები და საერო პერსონალი, რომლებიც გარდაცვლილი ფარაონის კულტის მსახურები იყვნენ. ამას ადასტურებს ქალაქში ნაპოვნი პაპირუსებიც, რომლებმაც მიცვალებულის კულტის ადმინისტრაციული არქივი შემოინახა. პაპირუსებმა გაამხილა ქალაქის ეგვიპტური სახელიც, *Ḥtp-Sn-Wsrt*, „სენუსერტი დაწყნარებულია". იმის გამო, რომ ის საკმაოდ კარგად შემოინახა და აქ ბევრი პაპირუსი იქნა ნაპოვნი, კაჰუნი ერთგვარ წარმოდგენას ქმნის შუა სამეფოს დროის ქალაქზე. მას ოთხკუთხედის მოხაზულობა ჰქონდა. სამი მხრიდან კედელი აქვს შემოვლებული. მეოთხე კედელი სავარაუდოდ ჩამოინგრა და ჩაირეცხა ნილოსის ადიდებების დროს. შიგნიდან ქალაქი ასევე კედლით იყო გაყოფილი ორ არათანაბარ ნაწილად. მომცრო ნაწილში, ერთმანეთზე მიდგმული ერთოთახიანი სახლები იდგა (დაახლ. 220). უფრო დიდი ნაწილი, რომელიც უფრო შემაღლებულ ადგილზე იყო განლაგებული, მრავალოთახიან სახლებს ეკავა, რომელთა რიცხვი დაახლ. ოცჯერ ნაკლები იყო. ქალაქის მთავარ ნაგებობას ე.წ. „აკროპოლისი" წარმოადგენს, დიდი სვეტებიანი შენობა (შესაძლოა ქალაქის მმართველის). მმართველის გარდა, აქ იყო ვეზირის სახლი, სადაც საკანონმდე-

ბლო განხილვები იმართებოდა, მაგრამ ვეზირი, სავარაუდოდ, ქალაქის მუდმივი მაცხოვრებელი არ იყო და პერიოდულად ჩამოდიოდა დედაქალაქიდან. ქალაქში იყო კიდევ ერთი ადმინისტრაციული დანესებულება, ე.წ. „ჩრდილოეთის უბანი", და დანესებულება მნიშვნელოვანი მოხელისათვის, ე.წ. „მომხსენებლისათვის", სადაც კანონდამრღვევთა გასამართლება მიმდინარეობდა. ქალაქში იყო ციხე. შემონახულია ასევე სენუსერტის კულტის ქურუმის ოჯახის და მსახურების ჩამონათვალი, რომლებიც მას, როგორც ქურუმს, სამსახურეობრივად ეკუთვნოდნენ. მათ შორის ჩამოთვლილი მამაკაცები დახასიათებულია, როგორც „ბავშვის მომვლელი", „მასწავლებელი", „მზარეული", „მინდვრის მუშა" და სხვ. ქალები ძირითადად ტანსაცმლის მკერავები და მებაღეები არიან. სავარუდოდ, ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი დამოკიდებული იყო დიდ სახლებში მცხოვრებ მოსახლეობაზე, რაზეც მიუთითებს დიდი მარცვლეულის ბეღლები, რომლებიც ყველა დიდ სახლს გააჩნდა. კაპუნი დაგეგმილი იყო იმ წარმოდგენის შესაბამისად, რომელიც მოსახლეობას ორ ძირითად ფენად ყოფდა: უმაღლეს მოხელეებად და „დანარჩენებად" (Kemp, 2004, 149-157). კაპუნში აღმოჩენილი პაპირუსებიდან, ადმინისტრაციულის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია მათემატიკური და სამედიცინო პაპირუსები. 2010 წლის 23 მაისს ეგვიპტის სიძველეთა დაცვის საბჭომ გააკეთა განცხადება, რომ კაპუნთან აღმოჩენილია 57 სამარხი, რომლებიც I-II დინასტიებით, შუა სამეფოს პერიოდით და XVIII დინასტიით არის დათარიღებული. აქ ნაპოვნია ასევე XXII-XXV დინასტიების სამარხები (http://www.redorbit.com/news/science/1869258/ archaeologists_find_new_ tombs_ in_ Egypt_ /index.html).

ლელიანი — *იხ. იარუს მინდვრები*

ლეონტოპოლისი — ლეონტოპოლისს ბერძნები უნოდებდნენ იმ ქალაქებს, სადაც ლომის სახის ღვთაებებს ეთაყვანებოდნენ. ლეონტოპოლისს ხანდახან ეძახდნენ ალექსანდრიას და ბუტოს (Bonnet, 1952, 423). ამას გარდა, ცნობილია ორი ქალაქი ამ სახელით: 1. **მეთერთმეტე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი**, თანამედროვე თელ ელ-მოკდამთან (ეგვ. *Tꜣ-rmw*, „თევზების მიწა", Montet, 1957, 131 ან *Tꜣt-ḥnw*, Gardiner, 1947, II, 186*), სადაც ეთაყვანებოდნენ ლომის სახის მქონე ღმერთს მისისს და მის დედას, ბასტეტს. XXIII დინასტიის დროს იყო სატახტო ქალაქი. პირველმა რეზიდენცია აქ პეტუბასტის I-მა გადმოიტანა

(Grimal, 1988, 33). შესაძლოა, იყო დელტის სამეფოს დედაქალაქი III გარდამავალი პერიოდის დროს (ჩვ.წ.-მდე 1069-664). დღეს აქ გათხრებს ანარმოებს ბერკლის უნივერსიტეტი. აღმოჩენილია მისისის ტაძარი და დიდი რაოდენობით ლომის სახის ამულეტები (http://www.touregypt.net/featurestories/niledeltaruins3.htm). 2. **ქალაქი ჰელიოპოლისიდან 18 კმ. ჩრდილოეთით** (ეგვ. *Nꜣj-ꜣ-Ḥ wr*, Gardiner, 1947, II 145*), სადაც ეთაყვანებოდნენ შუს და ტეფნუტს, ლომების წყვილის სახით (*rw.tj*, Wb II, 403), თანამედროვე თელ ელ-იაჰუდია (ებრაელების ბორცვი). ჩვ.წ.-მდე დაახლ. 160 წელს აქ აშენდა იაჰვეს ტაძარი (Bard, 1999, 791). ტაძარი წარმოადგენდა იერუსალიმის ტაძრის ასლს და იყო ერთადერთი ტაძარი იერუსალიმის გარეთ, სადაც მსხვერპლშენირვა ხდებოდა. ააგო იერუსალიმის მთავარი ქურუმის, ონიას III-ის შვილმა, ონიას IV-მ, რომელიც მამის (ჩვ.წ.-მდე 170 წ.) ანტიოქიაში მკვლელობის შემდეგ ეგვიპტეში გაიქცა (jewish enciclopedia. com-leontopolis). ებრაული წყაროების თანახმად, ნებართვისათვის ონიასმა თხოვნით მიმართა პტოლემაიოს IV ფილომეტორს. თხოვნაში აღნიშნული იყო ისაიას წინასწარმეტყველებაც (ისაია, 19.19), რომ ეგვიპტის შუაგულში ღმერთისათვის სამსხვერპლო აღიმართებოდა (Jewish Antiquities, 13, 64-68, Modrzejewski, 1995, 126). ქალაქის მიმდებარე ტერიტორიას „ონიასის მიწას" ეძახდნენ. ტაძრის დაარსება ასოცირდება ასევე დიდი ებრაული სამხედრო კოლონიის ჩამოყალიბებასთან, რომელსაც ონიასი ხელმძღვანელობდა (Modrzejewski, 1995, 128). ტაძრის ფუნქციონირების პერიოდში მთელ ნომში სარდლები მხოლოდ ებრაელები იყვნენ (Kasher, 1985, 125). აქვე ხდებოდა ებრაელი ჯარისკაცების დაქირავება ეგვიპტური ჯარისათვის (Momigliano, 1994, 57). ებრაული კოლონია წარმატებული იყო დაახლ. სამი საუკუნის განმავლობაში, სანამ ვესპასიანემ დაანგრია ტაძარი ებრაული ომის დროს (Bard, 1999, 791). ებრაული ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით გათხრილია ჰიკსოსების ფორტი, რაც ადგილის სტრატეგიული მდებარეობით აიხსნება. ფორტიდან კონტროლდებოდა სინაიდან მემფისზე მიმავალი გზა და ტრანსპორტის მოძრაობა ნილოსის პელუზიურ ტოტზე. რამესიდების დროს ადგილი უკვე ნანგრევებს წარმოადგენდა, მაგრამ რამსეს III-მ (XX დინასტია) აქ ააგო მოსახსენიებელი ტაძარი, აღწერილი ჰარისის პაპირუსში (Breasted, 1962, IV, §§274, 283) და ასევე სასახლე, რომლის ულამაზესი, მოხატული ქაშანურის ფილები დღეს ბევრ მუზეუმშია გაბნეული (Bard, 1999, 792).

ლეოპარდი — ქალღმერთ მაფდეტის ცხოველი იყო. ძველ სამეფოში დიდებულები (როგორც ქალები, ასევე მამაკაცები) ლეოპარდის მოსასხამებს ატარებდნენ. ლეოპარდის ტყავს, მოსართავის სახით, ატარებდა ასევე ქურუმთა გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით პირის გაღების რიტუალის და დაკრძალვის დროს. ლეოპარდის ტყავს აფარებდნენ სარკოფაგებს და კანოპებს. ახალი სამეფოს ფარაონების სამარხებში ჩვეულებრივ ორი ლეოპარდის ფიგურას ათავსებდნენ. ლეოპარდის ორ თავს ატარებდნენ ქამარზე ამულეტის სახით. ზუსტი დანიშნულება ბუნდოვანია (Bonnet, 1952, 581-582).

ლეპიდოტონპოლისი — ქალაქი ზემო ეგვიპტეში, ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე, ძველი ტინისის მიდამოებში, თანამედრ. სოფელ მეშეხის ადგილას. შემორჩენილია რამსეს II-ის ტაძრის ნანგრევები, მიძღვნილი ონურისის და მისი მეუღლის მეხიტისადმი, რომელთა კულტები, როგორც ჩანს, მახლობელი ტინისიდან გავრცელდა. ორივე ლომის თავით გამოისახებოდა. ლეპიდოტონი (ნილოსის კობრი, Cyprinus lepidotos), რომელმაც ქალაქს ბერძნული სახელი მისცა, მეხიტის საკრალური თევზი იყო. თევზის ბრინჯაოს ფიგურები მრავლად იქნა ნაპოვნი ტაძრის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით საისური პერიოდის ნაოსში. ეგვიპტელები აღმოსავლეთ ბეხდეტს ეძახდნენ (Bonnet, 1952, 423).

ლეტოპოლისი — (ეგვ. *Ḫm*, Wb III, 280), თანამედრ. აუსიმი. მეორე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი. მდებარეობდა კაიროდან 12კმ. ჩრდილო-დასავლეთით, ნილოსის დელტის როზეტას და დამიეტას ტოტებს შორის. ქალაქი ძალიან ძველია და უკვე ძველი სამეფოს ტექსტებშია დაფიქსირებული. იყო შევარდნის სახის ღვთაების ხენტი-ირტის (იგივე ხენტიხემის) სამშობლო, რომელიც ადრე შეერწყა ხაროერისს. მასთან ერთად ეთაყვანებოდნენ ხატხორს, რომელსაც „რას თვალს" ეძახდნენ, ამიტომ მოხდა მისი გაიგივება ურეუსთან და უტოსთან (Junker, 1917, 44, 149). ბერძნებმა, რომლებიც უტოს თავიანთ ლეტოსთან აიგივებდნენ, ლეტოპოლისი დაარქვეს. საკულტო ნაგებობებიდან გვიანდელი პერიოდის მწირი ნანგრევებია შემორჩენილი (Gardiner, 1947, 165*).

ლიბიელები — ამ სიტყვით დღეს მოიხსენიებენ ეგვიპტის დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, რომელიც, სავარაუდოდ, დაახლოებით ემთხვევა თანა-

მედროვე ლიბიის ტერიტორიას. ამ ტერიტორიის საზღვრები, ისევე როგორც ეგვიპტის დასავლეთი საზღვრები, დღეს დანამდვილებით ცნობილი არ არის, თუმცა ეგვიპტელები დასავლეთ უდაბნოს ოაზისებს უკვე ძველი სამეფოს დროიდან აკონტროლებდნენ. ტერიტორია პრაქტიკულად არ არის შესწავლილი არქეოლოგიურად და ინფორმაცია ლიბიის შესახებ XXVI დინასტიამდე გაგვაჩნია მხოლოდ ეგვიპტური წყაროებიდან, რადგან თვითონ ლიბიელებს არ გააჩნდათ დამწერლობა. ლიბიის ტერიტორია, ასევე სავარაუდოდ, სახვადასხვა ეთნიკური ჯგუფებით იყო დასახლებული, მაგრამ ახალ სამეფომდე ლიბიელებიც და მათი ტერიტორიაც ეგვიპტურ წყაროებში მოიხსენიება, როგორც „*Ṯhnw*" (I დინასტიიდან, Wb V, 394) და „*Ṯmḥ*" (ძველი სამეფოდან, Wb V, 368). ახალი სამეფოდან ჩნდება სხვა სახელებიც, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია *mšwš* (Wb II, 157). ტემეხი, სავარაუდოდ, უფრო სამხრეთ ლიბიის მოსახსენიებლად იხმარებოდა, რადგან ფარაონ მერენრას (VI დინასტია) ერთ-ერთი მოხელე, რომელიც ხელმძღვანელობდა ექსპედიციას ნუბიაში, თავის ავტობიოგრაფიაში გვამცნობს, რომ ნუბიის ერთ-ერთი ტომის ბელადი აპირებდა ტემეხის დაპყრობას, რასაც მან ხელი შეუშალა (Breasted, 1962, I, § 335). ამ პერიოდის ლიბიის შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი, რადგან განსხვავებით ნუბიისაგან, ის არ იყო მდიდარი მინერალური რესურსებით და ეგვიპტელების ინტერესები ლიბიის მომთაბარე ტომების ეგვიპტის საზღვრებს მიღმა შეკავებით და ამ მიზნით ჩატარებული სამხედრო ექსპედიციებიდან საქონლის და მონების ჩამოყვანით შემოიფარგლებოდა. შედარებით მეტია ინფორმაცია XVIII დინასტიიდან. ამ დროს ჩნდება ლიბიაში მცხოვრები ტომების ახალი სახელებიც, მათ შორის *Libw* (Bard (ed.), 1999, 445), შესაძლოა ეს იყო ახალი ტომები, რომლებიც ამ დროს ხელთაშუაზღვისპირეთის აუზში დაწყებულმა ხალხთა დიდმა მიგრაციამ (ზღვის ხალხები) მოიყვანა. ეგვიპტელების აღწერით, ორივე ტომში იყო როგორც შავთმიანი, ასევე წითურთმიანი და ლურჯთვალება ხალხი და ისინი ჩაცმულობით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ განსხვავების მიუხედავად, ერთად მოქმედებდნენ (O'Connor in:Trigger et Al., 2001, 277). სავარაუდოდ, ამავე დროიდან დაიწყო ლიბიელების ჩასახლება დასავლეთ დელტაში. ისევ, ამ „ემიგრანტების" შესახებ არა არქოლოგიურად, არამედ ეგვიპტური ტექსტებიდან ვგებულობთ, რადგან ისინი, როგორც ჩანს, მიდრეკილი იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი კულტურის ის ელემენტები, რომ-

ლებიც არქეოლოგიურ კვალს ტოვებს. არაფერია ცნობილი ლიბიური კერამიკის ან სახლების შესახებ III გარდამავალი პერიოდის დროს. თუმცა ეგვიპტური წერილობითი წყაროებიდან ცნობილია, რომ ისინი იქ ცხოვრობდნენ, ინარჩუნებდნენ თავიანთ ენას სალაპარაკოდ, მათ არასოდეს უცდიათ რაიმე ჩაენერათ ამ ენაზე. მაგრამ ლიბიელების დიდი ჯგუფები აშკარად სახლდებოდნენ ეგვიპტის ტერიტორიაზე და თანდათან დასავლეთ დელტაში საკმაოდ დიდ ტერიტორიებს დაეპატრონნენ. ეს ტომები, რომლებიც აქამდე პასტორალური ცხოვრების წესს მისდევდნენ, თანდათან გარდაიქმნენ მებრძოლებად, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ბრინჯაოს პერიოდის ხმელთაშუაზღვისპირეთისათვის ტიპიური იარაღით, ასევე ეტლით და ცხენით. სავარაუდოდ, მათ მშიდობიანი მიგრაციით მოპოვებული ტერიტორიის გაფართოება სურდათ. ჩამოყალიბდნენ პოლიტიკურადაც, რადგან შექმნეს კავშირი ზღვისიქითა ხალხებთან (Aqawasha, Tursu, Luku, Sherden, Shekelesh). ლიბიური საზოგადოების ასეთი გარდაქმნის მიზეზი ჩვენთვის უცნობია (Kemp, 2010, 44). ამ კოალიციასთან, რომელსაც მოუძღოდნენ ლიბიელების მეფეები — მარიუ (პირველი ომის დროს) და კეპერი (მეორე ომის დროს), მოუხდათ შებრძოლება მერნეპტახს (XIX დინასტია) და რამსეს III-ს (XX დინასტია). ეგვიპტური ტექსტების თანახმად, ლიბიელები მოვიდნენ ცოლებით, შვილებით და თავიანთი ქონებით და მათ მიზანს აქ სამუდამოდ დარჩენა ნარმოადგენდა. ასევე ეგვიპტური წყარობიდან ვგებულობთ, რომ ბრძოლები ორივე ფარაონის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა (პირველი ლიბიური ომი: Breasted, 1962, III, §§569-617; მეორე ლიბიური ომი: იქვე, IV, §§83-114). მაგრამ ეგვიპტური ტექსტების ტრიუმფალური ტონის მიუხედავად, ლიბიელების მიგრაცია გრძელდებოდა, და მალე ქვეყნის დიდი ნაწილი მათი მმართველობის ქვეშ აღმოჩნდა. თუმცა ეგვიპტურ წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, ლიბიური ექსპანსიის მასშტაბებიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, მათ რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს ეგვიპტურ ჯარზე და ძირითადი ქალაქები დაიკავეს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ეგვიპტური ადმინისტრაციული სისტემის შესაბამისად მოქმედებდნენ და, როგორც ჩანს, გარკვეული რელიგიური წოდებები მათთვის განსაკუთრებით მიმზიდველი იყო. მაგ. თებეში ამონის მთავარი ქურუმის (ხერიხორ I) და მისი მეუღლის (ნეჯმეტი) სახელები ეგვიპტურია, მაგრამ მათი ცხრამეტი ვაჟიშვილიდან ხუთს ლიბიური სახელები ჰქონდათ. ამიტომ, სავარაუდოდ, ხერიხორი

იყო ერთ-ერთი წარმატებული ლიბიელთაგანი, ან მათი შთამომავალი (Kemp, 2010, 44-46). ამგვარად, თანდათან ამონის ქურუმებმა თებეში და სამეფო ტახტმა ტანისში დაკარგეს გავლენა მათზე დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე. მთელი რიგი პროვინციების დაკავების შემდეგ, უფრო გავლენიანმა მაშვაშებმა (ან მოკლედ „მა", როგორც მათ ეგვიპტური ტექსტები მოიხსენიებენ), დაიწყეს ზეგავლენა მოვლენების განვითარებაზე როგორც ტანისში, ისე თებეში. ფორტთან, რომელიც ამონის თეოკრატიული სახელმწიფოს საზღვარს იცავდა, მაშვაშებმა საკუთარი ფორტი ააგეს და დაიმორჩილეს ისეთი უმნიშვნელოვანესი ქალაქი, როგორიც იყო ჰერაკლეოპოლისი. მალე ამ მოვლენების შემდეგ შეშონკი, მაშვაშების ერთ-ერთი ლიდერი და XXII (ლიბიური) დინასტიის დამაარსებელი, თებეში შევიდა (Mysliwiec, 2000, 41). ლიბიელების ეგვიპტურ ტახტზე ასვლა მათი ხანგრძლივი ინფილტრაციის და დასავლეთ დელტაში ჩასახლების კულმინაციური წერტილი იყო, რადგან აშკარაა, რომ მათი ინფილტრაცია მერნეპტახის და რამსეს III-ის დიდი გამარჯვებების შემდეგაც გრძელდებოდა. ეს მიგრაცია გააადვილა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ და ქვეყნის ორად გაყოფამ (ტანისში მჯდომი ფარაონები ფაქტობრივად ჩრდილოეთ ეგვიპტის მეფეები იყვნენ, სამხრეთი თებეს და ამონის მთავარი ქურუმის ხელში იყო) და ასევე ეგვიპტელების ტრადიციულმა შეხედულებამ, რომ დასავლეთ დელტა ქვეყნისათვის ნაკლებად მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა. ამგვარად, ეგვიპტის ლიბიური პერიოდი ხანგრძლივი პროცესების შედეგი იყო (O'Connor in:Trigger et Al., 2001, 277).

ლიბიური ანარქია – ასე მოიხსენიებენ ლიბიური პერიოდის დასასრულს, როცა ქვეყანამ თანდათან დაიწყო დანაწევრება და ტახტზე ერთდროულად რამდენიმე ადამიანი აცხადებდა პრეტენზიას. პერიოდი იწყება დაახლ. ჩვ.წ.-მდე 818 წელს, როცა XXII დინასტიის ფარაონის, შეშონკ III-ის პარალელურად ჩნდება ახალი, XXIII დინასტია დასავლეთ დელტაში. შემდეგი, XXIV დინასტიის დროს (ფარაონები ტეფნახტი და ბაკენენრეფი, ჩვ.წ.-მდე 727-715 წწ.) ქვეყანა სულ უფრო იშლება, სანამ ახალი, ნუბიური დინასტია ისევ გააერთიანებს მას.

ლიბიური პერიოდი – ეგვიპტის XXII-XXIV დინასტიები, როცა ქვეყანას ლიბიური წარმოშობის ფარაონები მართავდნენ (*იხ.* შეშონკი, ოსორკონი, ტაკელოტი).

ლიკოპოლისი – (ეგვ. *Sꜣwtj*, Montet, 1961, 136), თანამედრ. ასიუტი, მეცამეტე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი. მდებარეობდა ნილოსის მარცხენა ნაპირზე. ქალაქის მფარველი ღვთაება უძველესი დროიდან იყო უპუატი. მას მალე შეუერთდა ანუბისი, რომელსაც ეთაყვანებოდნენ, როგორც ნეკროპოლისის მფარველს (Bonnet, 1952, 430). ასიუტის ნეკროპოლისის სახელი იყო „გამოქვაბულის გასაღები" (ეგვ. *Rꜣkrt*) და აქ ნაპოვნი ყველაზე ძველი სამარხები პირველი გარდამავალი პერიოდით არის დათარიღებული (Montet, 1962, 136). უპუატს და ანუბისს ძაღლისებრი ოჯახის ცხოველების სახე ჰქონდა, თუმცა ბერძნებმა ქალაქს „ლიკოპოლისი" (მგლის ქალაქი) დაარქვეს განსხვავებით სხვა ქალაქებისაგან, სადაც ასევე ძაღლისებრი სახის ღმერთების კულტი იყო, რომლებსაც „კინოპოლისს" (ძაღლის ქალაქს) ეძახდნენ (Коростовцев, 1976, 23). უპუატთან დაკავშირებულ სახელებს ბერძნები ასევე თარგმნიდნენ, როგორც „likos"" (მგელი), თუმცა ქალაქის ნეკროპოლისში ნაპოვნი მუმიები ან ჩვეულებრივი ძაღლისაა, ან განსაკუთრებული ჯიშის (kanis lupaster), რომელიც ძაღლის და პატარა ტურის შეჯვარებით იყო მიღებული. მგლები ეგვიპტეში არ იყო (Gardiner, 1947, II, 75*). თავისი ბუფერული მდებარეობის გამო ჩრდილოეთ და სამხრეთ ეგვიპტეს შორის, ლიკოპოლისი ყოველთვის მნიშვნელოვან ქალაქად იყო მიჩნეული, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ეგვიპტის ისტორიის ჩვენთვის ბუნდოვანი ჰერაკლეოპოლისური პერიოდის დროს, როცა ჰერაკლეოპოლისი ეგვიპტის სატახტო ქალაქი იყო და იქ დაბინავებულ ეგვიპტის მეფეებს მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილი ემორჩილებოდა, სამხრეთში კი თებეს ნომარქები იბრძოდნენ ქვეყნის გაერთიანების და ერთიანი ეგვიპტის გვირგვინისათვის. ამ დროს ჰერაკლეოპოლისელი მეფეები ძალიან იყვნენ დამოკიდებული ასიუტის ნომარქებზე, რომლებიც მათთან ერთად ებრძოდნენ თებელებს (Hayes, 1953, 144). ასიუტის ნომარქების სამარხებში მოთავსებული ავტობიოგრაფიები დღეს პრაქტიკულად ერთადერთი წყაროა იმ დროის ისტორიის რეკონსტრუქციისათვის (Breasted, 1962, §§391-414). ერთ-ერთი სამარხის წარნერის თანახმად, ქალაქში იყო უპუატის და ანუბისის ტაძრები (Montet, 1961, 136) და ოსირისის ტაძარი (Коростовцев, 1976, 106). ასიუტში იყო ასევე ეხნატონის მიერ ატონისადმი მიძღვნილი ტაძარი, რომლის ბლოკები შემდეგ რამსეს II-მ თავისი ტაძრისათვის გამოიყენა. ჰარისის პაპირუსის თანახმად (Pap.Harris I, 58, 12-59, 4), რამსეს III-მ „თავისი მამის", უპუატის ტაძარში დიდი სამშენებ-

ლო სამუშაოები ჩაატარა (Montet, 1961, 137). დღეს ასიუტიდან პრაქტიკულად არაფერია შემორჩენილი.

ლიტერატურა – ეგვიპტური ლიტერატურა მკვეთრად განსხვავდება სხვა ძველი აღმოსავლური ლიტერატურებისაგან იმით, რომ მას გააჩნია თითქმის ყველა თვისება, რომელიც ითვლება კრიტერიუმად მხატვრული ლიტერატურისათვის თანამედროვე გაგებით. აქ დაიწყო ისეთი ნაწარმოებების შექმნა, რომლებსაც არ ჰქონდათ არავითარი ფუნქციონალური (საკულტო, რელიგიური და ა.შ.) დატვირთვა და მათ ერთადერთ დანიშნულებას ადამიანის გართობა წარმოადგენდა. ეგვიპტეში დაიწყო ჩამოყალიბება ავტორობის ცნებამაც, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს ლიტერატურული ნაწარმოებების „მითვისების“ (პლაგიატის) მცდელობები. ეგვიპტელს განვითარებული ჰქონდა ასევე ლიტერატურული სტილის შეგრძნებაც, რაზეც ეგვიპტურ ლიტერატურაში მრავალი მითითება არსებობს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხახეპერრასენების სიტყვები: „ღმერთო, მომეცი სიტყვა, რომელიც არ უთქვამთ ადრე. ხშირი ხმარებით სიტყვა ცვდება და შენ არა ხარ საქები, თუ ვერ იტყვი ისე, როგორც აქამდე არავის უთქვამს“. ეგვიპტელმა უძველესი დროიდან შეიგრძნო სიტყვის ძალა, რადგან უამრავ ტექსტშია გაბნეული გამონათქვამები სიტყვის სიძლიერის შესახებ, იმის შესახებ, რომ ადამიანის ყველაზე ძლიერი იარაღი მოსწრებულად ნათქვამი სიტყვაა. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტელებმა ძალიან ადრე (შუა სამეფოდან) დაიწყეს წერა პროზით. აქ შეიქმნა პირველი ზღაპარი, მოთხრობა უბრალო ადამიანის შესახებ, ჩამოყალიბდა სხვადასხვა სიუჟეტის საერთო ჩარჩოთი ერთ ნაწარმოებად შეკვრის ხერხი, და დაიწერა ულამაზესი სასიყვარულო ლირიკის (მათ შორის ქალის სახელით დაწერილი) უძველესი ნიმუშები. ბევრი ცნობილი ბერძნული იგავის სიუჟეტი ასევე უფრო ძველ ეგვიპტურ ნიმუშებშია დაფიქსირებული. ყველაფერ ამის გამო ეგვიპტურ ლიტერატურას შეიძლება დავარქვათ გარდამავალი ხიდი ადამიანის ლიტერატურული განვითარების გზაზე, რომელსაც ძველი აღმოსავლეთის ლიტერატურიდან ანტიკურ ლიტერატურამდე მივყავართ.

ლიშტი – *იხ. იტ-ტაუი*

ლომი – ლომის კულტი მთელ ეგვიპტეში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. ამ სახით 65 ღვთაებას ეთაყვანებოდნენ

(De Wit, 1951, 292-371). თუმცა ლომთან ძირითადად ქალღმერთები იყო ასოცირებული (სახმეტი, მატიტი, მეხიტი, მენტიტი, ბასტეტი და სხვ.), იყო დიდი ლომის სახის ღმერთებიც, განსაკუთრებით დელტაში (მისისი). ლომის სახე შეიძლებოდა მიეღო რას, ამონს და ხორს. მკვდართა წიგნში გარდაცვლილი ამბობს: „მე ვარ, ვინც ზეცას გადაკვეთს, მე ვარ რა, მე ვარ ლომი" (Naville, Totb.Kap.62). ლომის და რას დაახლოება განსაკუთრებით ბერძნულ დროში მოხდა. ამ დროის მაგიურ პაპირუსებში რა თავისი ღამის მგზავრობის მეხუთე და მეექვსე საათებში ლომის სახით არის წარმოდგენილი (Bonnet, 1952, 427). ჰელიოპოლისში შუს და ტეფნუტს ეთაყვანებოდნენ, როგორც „ლომების წყვილს". ლომის (განსაკუთრებით ძუ ლომის) კულტები მრავლად იყო უდაბნოსაკენ მიმავალი ვადის მიდამოებში, საიდანაც ქარავნების მარშრუტები იწყებოდა და მექარავნეები გრძელი გზის დასაწყისში „უდაბნოს დაბლობების ქალბატონს" მოილოცავდნენ. სწორედ ასეთი მოსალოცი ადგილები იყო ამონხეტეპ III-ის ტაძარი უდაბნოში ელ ქაბის აღმოსავლეთით, მეშეხი ლეპიდონტოპოლისთან ტინიტურ ნომში, დერ ელ გებრავი ასიუტთან, სპეოს არტემიდოსი ბენი ჰასანის სამხრეთით და სხვ (Kees, 1980, 7). ლომი დაკავშირებული იყო სამეფო ძალაუფლებასთან და მეფის განსახიერებად ითვლებოდა. ამ ნარმოდგენამ შექმნა სფინქსი — ფარაონის პორტრეტი ლომის სახით (de Wit, 1951, 18-19).

ლოტოსი — ლოტოსის ყვავილთან ეგვიპტეში რთული რელიგიური და მითოლოგიური სიუჟეტები იყო გადაჯაჭვული. ბევრ კოსმოგონიურ მითში ლოტოსი სამყაროს შექმნის ერთ-ერთი მონაწილეა. იმავდროულად ლოტოსის ყვავილი, თავისი სურნელების გამო, გამოიყენებოდა არომატული ზეთების დასამზადებლად და მასთან დაკავშირებული ღმერთი ნეფერტუმი პარფიუმერიის ღმერთიც გახდა (Kees, 1980, 89). მემფისის კოსმოგონიური სისტემის ტექსტი: „პტახი-ლოტოსი-ნეფერტუმი რას ცხვირთან ყოველდღე" (Junker, 1940, 16) თითქმის ანალოგიურია პირამიდების ტექსტების ტექსტთან: „ის არის როგორც ნეფერტუმი, როგორც ლოტოსის ყვავილი რას ცხვირთან", (PT 249, 266a-b). კოსმოგონიებში ხშირად ლოტოსთან დაკავშირებული ეს ორი წარმოდგენაა გაერთიანებული (Morenz und Schubert, 1954, 15). ლურჯი ლოტოსი (nymphea caerulea), რომელიც მშვიდ წყლებში იზრდება და იშლება მზის სხივების ამოსვლის დროს, ეგვიპტელებმა სამყაროს დასაწყისს დაუკავშირეს.

ეს ლოტოსი ხოჭოების საშუალებით ნაყოფიერდება, რაც მას აახლოებდა პირველქმნილ ღმერთთან, ხეპრისთან. ითვლებოდა ასევე, რომ ლურჯი ლოტოსის ყნოსვით გარდაცვლილებს ახალი სიცოცხლის ძალა უნდა შეესუნთქათ (Pinch, 2002, 158). კოსმოგონიური მითი ლოტოსზე ერთ-ერთი უძველესია ეგვიპტურ კოსმოგონიურ სისტემებს შორის. მის ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია და რეკონსტრუქცია სხვადასხვა ტექსტებში გაბნეული ნაწყვეტებიდან ხერხდება: პირველყოფილი მატერიიდან ჩნდება პირველქმნილი ლოტოსის ყვავილი, რომელიც იზრდება და იშლება და ანათებს სამყაროს. დგება დილა და ვრცელდება სუფთა, სურნელოვანი ჰაერი. გაშლილ ლოტოსს თან მოჰყავს „უძველესი ღმერთი", „ღმერთი ყვავილზე", რომელიც ქმნის ღმერთებს და ადამიანებს (Clark, 1959, 63-67). განსხვავებით პირველყოფილი ნუნისაგან, რომელიც ქაოსურად ყველა მიმართულებით ვრცელდებოდა, ლოტოსის კოსმოგონიაში პირველყოფილ მატერიას სიბნელეში გახვეული მშვიდი წყლები ან ბრტყელი მიწა წარმოადგენდა, ზოგიერთ ტექსტში კი ორივეა მოხსენიებული: „დიდი ღმერთი, გამოსული მინიდან, რომელმაც თავი წყლებიდან გაითავისუფლა" (Kees, 1922, 97). ლოტოსის კოსმოგონია, როგორც ჩანს, რამდენიმე ქალაქში არსებობდა. ზოგი მას ნინადინასტიურ ჰელიოპოლისს უკავშირებს (Anthes, 1957, 3). ჰერმოპოლისში ასევე არსებობდა კოსმოგონია პირველყოფილ ტბაზე, ლოტოსზე, რომელიც ცურავდა ამ ტბაზე და ღმერთზე, სახელად „ლოტოსის ფურცელი" (Erichsen und Schott, 1954, 15). ღმერთი-ლოტოსი არსებობდა ჰერაკლეოპოლისშიც. მას მოიხსენიებდნენ, როგორც ხარსაფესს (*Ḥr-šꜣf*, -"ის, ვინც თავის ტბაზეა", ან *Ḥr-šꜣf sššn ntj nbw*, — „ის, ვინც თავის ტბაზეა, ოქროს ლოტოსი, Morenz und Schubert, 1954, 22). ითვლება, რომ კოსმოგონია, სადაც ყველაფრის დასაწყისში ცხოვრების ბუნებრივი განვითარებაა წარმოდგენილი (წყლიდან ან მინიდან მცენარის დაბადება), განსხვავდება უფრო ხელოვნური, აბსტრაქტულ ცნებებზე დამყარებული ენეადებისა და ოგდოადებისაგან და შესაბამისად, უფრო ძველია (*იქვე*, 73). თანდათან მოხდა პირველყოფილი ლოტოსის დაკავშირება სხვა ღმერთებთან, რაც ეგვიპტური რელიგიისათვის ბუნებრივი პროცესი იყო. შესაძლოა, ყველაზე ადრე ლოტოსი შეერწყა ნეფერტუმს, როგორც სურნელების ღმერთს (Munro, 1968, 15), რადგან ეს კავშირი უკვე V დინასტიის დროს არის დაფიქსირებული. რას აღზევების შემდეგ, როცა მასთან განსხვავებული კოსმოგონიების და ღმერთების გაიგივება დაიწყო, მისი კავში-

რი ლოტოსთან ნეფერტუმის საშუალებით მოხდა. დაახლ. XIV საუკუნიდან ახლადამოსული მზე გამოისახებოდა, როგორც შიშველი ბავშვი ლოტოსის შიგნით (Pinch, 2002, 158).

ლუქსორი – (ეგვ. *Ꜣpꜣ.t*, „ცოლების სახლი“, Wb I, 68), ამონის, როგორც ნაყოფიერების ღმერთის ტაძარი თებეში. მდებარეობს ამონ-რას კარნაკის ტაძრის სამხრეთით, მისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. ლუქსორის ამონი, ან ამონემოპეტი (ეგვ. *Ꜣmn(m)Ꜣpꜣ.t*, Wb I, 69), არ არის დაფიქსირებული XVIII დინასტიამდე. ლუქსორის ტაძარიც იგივე პერიოდით არის დათარიღებული, თუმცა ამაღლება, რომელზეც ის მდებარეობს, ჯერჯერობით არქეოლოგიურად შესწავლილი არ არის. სავარაუდოდ, აქ მდებარეობდა „ამონის ცოლების“ პატარა სამლოცველოები, რომლებიც ამონხეტეპ III-მ დაანგრია და მათ ადგილზე ტაძარი ააგო (Helck, 1968, 168). თოტმესიდების პერიოდიდან ყველაზე კარგად შემონახულია სამგანყოფილებიანი სამლოცველო ტაძრის პირველი ეზოს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში. სამლოცველო ფუნდამენტურად იქნა რეკონსტრუირებული რამსეს II-ის დროს, მაგრამ ბლოკებზე ნარწერების თანახმად ის თოტმესის და ხატშეპსუტის ერთობლივი მეფობის დროს ააგეს. ამავე ეზოს კედელი და პილონი ააგო რამსეს II-მ. მანვე აღმართა ორი ობელისკი პილონის წინ, დღეს ერთ-ერთი მათგანი პარიზში კონკორდის მოედანზე დგას, სადაც ის 1835-6 წლებში გადაიტანეს. სამგანყოფილებიან სამლოცველოში რამსესმა ააგო პლატფორმები ამონის (შუა ოთახში), მუტის და ხონსუს ბარკებისათვის. ამ ღვთაებებს კარნაკიდან წელიწადში ერთხელ, ტაძრის ყველაზე ბრწყინვალე, „ოპეტის მშვენიერი დღესასწაულის“ დროს მოაბრძანებდნენ. ამავე ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ადრექრისტიანულ ხანაში ააგეს ეკლესია, XIII საუკუნეში მის ადგილზე აიგო მეჩეთი, მიძღვნილი ლუქსორის მუსულმანური წმინდანის, აბუ'ლ ჰაგაგისადმი. მეჩეთი დღემდე ფუნქციონირებს. პირველი ეზოდან გასასვლელი კორიდორის ორივე მხარეს ამშვენებს ამონხეტეპ III-ის მიერ დამზადებული პაპირუსის ფორმის თორმეტი გრანდიოზული სვეტი, მაგრამ გამოსახულებების და წარწერების გამოკვეთა ამონხეტეპმა ვაღარ მოასწრო. მის გარდაცვალებას მოჰყვა ამარნას პერიოდი, როცა მშენებლობა შეჩერდა. სამუშაოები კვლავ გაგრძელდა ტუტანხამონის, შემდეგ აის და ხორემხების დროს და სეტი I-ის დროს დასრულდა. სვეტებიანი გასასვლელი გადის ტაძრის მეორე („მზის“) ეზოში. ეზოს ბოლოში, საკუთრივ ტაძარში

შესასვლელის ორივე მხარეს აღმართულია სამლოცველოები, რომლებიც სტუმრობდნენ აქ მობრძანებული ღმერთის გამოსახულებებს დღესასწაულის დროს. ტაძრის პირველი დარბაზი სრულიად გადაკეთებული და თავიდან მოხატულია დიოკლეტიანეს მიერ, რომელმაც აქ თავისი გამოსახულებაც მოათავსა. რომაელების მიერ გადაკეთებული დარბაზი კედელში გაჭრილი გასასვლელით უერთდება ტაძრის მეორე დარბაზს, რომელსაც ხშირად „შესაწირ" დარბაზს უწოდებენ მის კედლებზე გამოსახული რიტუალური ინსტრუმენტების გამო. უკანა კედელში მოთავსებული პორტალით დარბაზი უერთდება ტაძრის წმინდათა წმინდა განყოფილებას, სადაც ბარკაზე ამონის გამოსახულება იყო დაბრძანებული. ამონხეტეპ III-ის მიერ აგებულ დიდი ზომის დარბაზში ალექსანდრე დიდმა ჩააშენა მეორე, უფრო პატარა მოცულობის ოთახი. ტაძრის ამ გაყნოფილებიდან გასასვლელს მივყავართ ოროთახიან „საკორონაციო" ნაწილში, სადაც ტარდებოდა ოპეტის დღესასწაულის კულმინაციური ცერემონია — ფარაონის, როგორც ამონის ვაჟიშვილის ყოველწლიური „დაბადება". ვიწრო გასასვლელით საკორონაციო განყოფილება უერთდება „სამხრეთის სამლოცველოს", ან საკუთრივ „ოპეტს", რომელიც თითქოს დამოუკიდებელ მინიატურულ ტაძარს წარმოადგენს, სადაც განიერი სვეტებიანი დარბაზის უკან საკულტო განყოფილებებია მოთავსებული. ოპეტის ტაძარი ერთი მხრივ იყო ჩვეულებრივი ტაძარი, სადაც ღვთაება ცხოვრობდა, მაგრამ მეორე მხრივ ის იყო მოსახსენიებელი ტაძარი, სადაც მისი შვილი, ფარაონი, ოპეტის დღესასწაულის დროს ყოველწლიურად თავიდან „აცოცხლებდა" მას პირის გაღების რიტუალით. სავარაუდოდ, გზა, რომელიც ლუქსორის ტაძარს კარნაკის ტაძართან აკავშირებდა, თოტმეს III-ის და ხატშეპსუტის მეფობის დროს აიგო, მაგრამ ცნობილი სფინქსების ალეა, რომელიც მათ დღესაც აკავშირებს, ნექტანებოს I-ის მეფობით (XXX დინასტია) არის დათარიღებული. ოპეტის ტაძრის თანამედროვე სახელი ლათინური წარმომავლობისაა. რომაულ პერიოდში ტაძარი გადაკეთდა სამხედრო ბანაკად, და მის ირგვლივ ჩვ.წ. მეოთხე საუკუნის დასაწყისში რომაელებმა ფორტი ააგეს. ლათინური castra ჯერ არაბულ ელ-აქსარად, შემდეგ კი ლუქსორად გადაიქცა (Bard (ed), 1999, 449-452).

მაადი – ადგილი ჩრდილოეთ ეგვიპტეში, კაიროს სამხრეთით, სადაც აღმოჩენილი იქნა ჩრდილოეთ ეგვიპტის წინადინასტიური კულტურული ფენა, რომელსაც დღეს მაადის კულტურას ეძახიან. მაადის გარდა, ამ კულტურული ფენის ნიშნები ნაპოვნია ბუტოში, თელ იბრაჰიმ ავადში, თელ ელ-რუბენთან, თელ ელ-ფახრასთან და ფაიუმთან (Shaw, 2003, 58). ქრონოლოგიურად მაადის კულტურა დაახლ. ბადარიულის დასასრულს ემთხვევა და ნაქადა II-ის პერიოდით თარიღდება (4000-3300/3200 ჩვ.ნ.-მდე). ცნობები მაადის დასახლებებზე და მათ ხასიათზე, დელტის ჭაობიანი ნიადაგის გამო, უკიდურესად მწირია (Bard, 1999, 23). აღმოჩენილია ორი ტიპის სახლები: ოვალური ან მრგვალი ფორმის, მიწაში ჩარჭობილ ჭოკებს შორის მანძილები თიხით შელესილი მოწნული კედლებით იყო შევსებული. კერა სახლის შიგნით იყო. უფრო გვიანი სახლები ისეთივე კონსტრუქციისაა, მაგრამ ოთხკუთხედ ფორმას იღებს (Hayes, 1960, 50). მაადის სამაროვნები, განსხვავებით ნაქადას სამაროვნებისაგან, ძალიან ღარიბია და არ იძლევა საზოგადოების ფენებად დაყოფის წარმოდგენის საშუალებას (Bard, 1999, 28). ნაპოვნია ასევე ძაღლების და გაზელების სამარხები. ნადირობა უკვე ნაკლებ მნიშვნელოვანია. საკმაოდ განვითარებული სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის გარდა, იგრძნობა სპეციალიზაცია ხელოსნობაში, რასაც მოწმობს დახვეწილი ქვის იარაღი და ბაზალტის ლარნაკები. მაადიში ნაპოვნია სპილენძის ნაჯახები და ამდენად, ეს უძველესი კულტურაა ჩრდილოეთ ეგვიპტეში, სადაც ნაპოვნია მეტალი (Trigger, 2003, 25-26). მაადიში ნაპოვნია დიდი რაოდენობით ადრებრინჯაოს ხანის კერამიკა პალესტინიდან, რაც მიუთითებს მაადის მოსახლეობის კავშირზე სინაის ნახევარკუნძულსა და დასავლეთ აზიასთან (Kantor, 1065, 9). ნაქადას კულტურის გავრცელებასთან ერთად მაადის კულტურა თანდათან ქრება. ნაქადა I-ის დასასრულის და მაადის კულტურის არტეფაქტების აღმოჩენამ ფაიუმის რეგიონში დასაშვები გახადა ვარაუდი, რომ სწორედ

აქ მოხდა პირველად სამხრეთ და ჩრდილოეთ ეგვიპტური კულტურების შეხვედრა. ამის შემდეგ ნაქადას კულტურა თანდათან ვრცელდება ჩრდილოეთით და მაადის კულტურა ქრება, მისი ფენის ზემოთ კი მხოლოდ ნაქადა II-ის დასასრულის და ნაქადა III-ის ფენებია ნაპოვნი (Shaw, 2003, 58).



მაატი

მაატი — (ეგვ. *Mꜣʿt*, Wb II, 20), უძველესი ქალღმერთი. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, ბუმბულით თავზე (ბუმბული ეგვიპტეში სიმართლის და უცოდველობის სიმბოლოც იყო). ეკუთვნის იმ ეგვიპტური ღვთაებების რიცხვს, რომლებიც აბსტრაქტული ცნებების ღმერთებს წარმოადგენდნენ, არასოდეს ყოფილან დაკავშირებული რაიმე კონკრეტულ ადგილთან და რომლებსაც მთელ ეგვიპტეში ერთნაირად ეთაყვანებოდნენ. „მაატი" შეიძლება ითარგმნოს, როგორც „სიმართლე", „ჭეშმარიტება", „სამართლებრივი წესრიგი", „ეთიკური ნორმა" და ა.შ. იყო შემოქმედი ღვთაების მიერ შექმნილი კოსმოსური ჰარმონიის („წესრიგის") პერსონიფიცირება. დემიურგის მიერ სამყაროს შექმნა აღიქმებოდა, როგორც წესრიგის (მაატის) დამყარება და პირველყოფილი ქაოსის გაუქმება. ეგვიპტური ტექსტები გვამცნობენ, რომ მაატი ჩამოვიდა დედამიწაზე მათ (ღმერთების) დროს (Коростовцев, 1976, 142). „ღმერთების დროს" ეგვიპტეში ეძახდნენ დროს, როცა შეიქმნა ეგვიპტე და დამყარდა წესრიგი. იმ უძველეს დროში ეგვიპტელთა წარმოდგენით ეგვიპტის მეფეები ეგვიპტის დიდი ღმერთები იყვნენ. მაატის მნიშვნელობა ეგვიპტელისათვის იქიდანაც ჩანს, რომ ის იყო ერთადერთი ქალღმერთი, რომელიც დასახელებულია ტურინის სამეფო პაპირუსში ღმერთების პირველი დინასტიის ათ მეფეს შორის (Kees, 1980, 380). სახელმწიფო წესრიგი ეგვიპტეში ღვთაებრივ წესრიგად იყო წარმოდგენილი, მაატთან ასოცირდებოდა და ფარაონს, რომელიც დედამიწაზე მოვლენილ ღვთაებად იყო გამოცხადებული, მაატის დაცვა ევალებოდა (Wilson, 1957, 50). „პირამიდების ტექსტებში" რა აცხადებს, რომ მან აღადგინა მაატი (წესრიგი) დედამიწაზე (PT 265). ამ შემთხვევაში მაატი წარმოგვიდგება, როგორც უზენაესი ღვთაების ნება. იგივე პირამიდების ტექსტებში ფარაონზე ნათქვამია, რომ „ზეცა კმაყოფილია, დედამიწა ზეიმობს, რადგან მან (ფარაონმა) აღადგინა წესრიგი (მაატი) იქ, სადაც იყო არეულობა" (PT 1775b), და უკვე საერო ტექსტში (ე.წ „რესტავრაციის სტელა", Kairo no.34183), სადაც მოთხრობილია XVIII დინასტიის ფარაონის — ტუტანხამონის მიერ ეხნატონის რეფორმის ანიჰილაციის

და ძველი წესრიგის აღდგენის შესახებ, ტუტანხამონზე ნათქვამია, რომ „მან გააძევა უწესრიგობა და აღადგინა წესრიგი (მაატი). ტყუილი გახდა აუტანელი და ქვეყანა გახდა ისეთი, როგორიც იყო ადრე" (Коростовцев, 1976, 142). მაატის კონცეფცია ეგვიპტური ეთიკის ძირითად რგოლს წარმოადგენდა. ქვეყნის მთავარი ვეზირი V დინასტიიდან მაატის ქურუმად ითვლებოდა, მოსამართლეები ყელზე მაატის გამოსახულებას ატარებდნენ. ყოველი ღვთისმსახურების შემდეგ ქურუმები ღვთაებას მაატის ფიგურას „უწვდიდნენ" იმის ხაზგასასმელად, რომ ისინი მხარს უჭერენ ღვთაების მიერ დედამიწაზე დამყარებულ წესრიგს (Коростовцев, 1976, 142, 170). ეგვიპტური ტექსტების თანახმად, სიყალბეს არა აქვს ხანგრძლივი დღე, მაატი კი მარადიულია, ის ადამიანს სამარეშიც მიჰყვება, და მაატის მატარებელი ადამიანი არ ივიწყება დაკრძალვის შემდეგ. დარბაზს, სადაც მიცვალებული ოსირისის სამსჯავროზე წარსდგებოდა, „ორი მაატის" დარბაზი ერქვა (ეგვ. *m3ʿ.tj*, დაფიქსირებულია პირამიდების ტექსტების დროიდან, Wb II, 21). გარდაცვლილის უცოდველობის შესამოწმებლად მაატის სიმბოლოს — ბუმბულს იყენებდნენ. ითვლებოდა, რომ თუ გარდაცვლილი უცოდველი იყო, მისი გული ბუმბულს არ გადაწონიდა. რას ორივე ბარკას, რომლებითაც ის დღისით (ზეცაში) და ღამით (მიწისქვეშეთში) მოგზაურობდა, მაატი ერქვა (PT 1315, 1785). ამგვარად, ძველი სამეფოს დროიდან მაატი მჭიდროდ იყო დაკავშირებული რასთან (როგორც სამყაროს და ე.ი. წესრიგის შემოქმედთან) და ოსირისთან, რომელსაც „მაატის ბატონს" ეძახდნენ. XVIII დინასტიიდან მაატი რას ქალიშვილიც ხდება (Hart, 2005, 89).

მაგია — მაგია ეგვიპტელთა სულიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. რელიგია და ყოველდღიური ცხოვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაგიასთან და მის გარეშე არ მოიაზრებოდა. მაგიის ისტორია ეგვიპტეში ოთხი ათასზე მეტ წელს მოიცავს. უძველესი ეგვიპტური ამულეტები მეოთხე ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. მაგიური ტექსტები ჩნდება მესამე ათასწლეულის შუახანებში და ყველაზე ახალგაზრდა ჩვ.წ.-ის მეხუთე საუკუნით არის დათარიღებული. მაგია განუხრელად ახლდა თან ყოველდღიურ ცხოვრებას. ნებისმიერი ნაგებობის აგებისას, მისი ზუსტად დაგეგმარების პარალელურად, მას მაგიური შელოცვაც „ესაჭიროებოდა". სამედიცინო პაპირუსებში, თავისი დროისათვის ანატომიის საოცრად ზუსტი ცოდნის და დიაგნოსტიკის

ფონზე, წამლებთან და სამედიცინო მკურნალობასთან ერთად, ავადმყოფს მაგიურ „შელოცვებსაც" უნიშნავდნენ. ეგვიპტური სიტყვა, რომელიც ითარგმნება, როგორც „მაგია", არის „*ḥkꜣ*" (Wb III, 175). ხეკა პერსონიფიცირებული იყო, როგორც ღვთაება (*იქვე*, 177). ის წარმოადგენდა იმ ერთ-ერთი საწყისის პერსონიფიკაციას, რომლის საშუალებითაც შემოქმედმა შექმნა სამყარო. ხეკას ხანდახან მზის ღმერთის ბასაც (სულს) ეძახდნენ, თუმცა „ძროხის წიგნიდან" ვიგებთ, რომ მაგიის ხანდახან თავად რას ეშინოდა (Hart, 2005, 98). სხვა პერსონიფიკაციების მსგავსად, ხეკას არ ჰქონდა დიდი ტაძრები, მაგრამ ჰქონდა სამლოცველოები და ჰყავდა თავისი ქურუმები. „დიადი მაგიით" (*wr.t ḥkꜣw*, Wb I, 328) იყო ეპითეტი, რომლითაც ზოგიერთ, მაგიაში „განსწავლულ" ქალღმერთებს (მაგ. ისიდას და სახმეტს) მოიხსენიებდნენ, მაგრამ „დიადი მაგიით" იყო ასევე განსაკუთრებული ქალღმერთი. მას ლომისთავიანი ქალის ან დიდი გველის სახე ჰქონდა. ურეტ ხეკაუ მოიაზრებოდა, როგორც ფარაონის ძიძა და ითვლებოდა, რომ ის ფარაონის გვირგვინებში იყო ინკორპორირებული, ამიტომ „ურეტ ხეკაუ" ეგვიპტის ფარაონის გვირგვინების ერთ-ერთი სახელიც იყო (*იქვე*). ეგვიპტელის წარმოდგენით, ყველა ღმერთს და დემონს თავისი ხეკა გააჩნდა. ფარაონს, რომელიც ღვთაებად იყო შერაცხული, ასევე ჰქონდა ხეკა. ითვლებოდა, რომ ხეკა გააჩნდა ასევე ყველა მიცვალებულს, რადგან, ოფიციალური ეგვიპტური წარმოდგენების თანახმად, გარდაცვალების შემდეგ ადამიანის სული ღვთაებრივ სამყაროს უერთდებოდა (Pinch, 1994, 9-12).

მაგდოლა – დასახლებული პუნქტი ფაიუმში. მისი ნანგრევები თანამედროვე გარაბის ჩრდილო-აღმ. მდებარეობს. ნაპოვნია ნიანგების სასაფლაო, რაც სობეკის კულტის გავრცელებაზე მიუთითებს. პტოლემაიოს II-ის მიერ აგებული ტაძარი სერაპისისადმი იყო მიძღვნილი (Bonnet, 1952, 435). სახელი „მაგდოლა" სემიტური წარმოშობის სიტყვად არის მიჩნეული. მსგავსი სახელი (მიგდალი) ერქვა ერთ-ერთ დასახლებას პელუზიუმის სიახლოვეს. ფარაონების ეგვიპტეში სიტყვა „მაგდოლა" სავარაუდოდ ფორტებთან და სამეთვალყურეო კოშკებთან იყო დაკავშირებული. იგივე მნიშვნელობით გამოიყენებოდა პტოლემაისების დროს. სამთვალყურეო კოშკების მცველებს მაგდოლოფილაკები (magdolophilakes) ენოდებოდა, ხოლო გადასახადს, რომელიც სოფლებში მათ შესანახად იკრიფებოდა, მაგდოლოფილაკეია (magdolophilakeia). ჩვ.წ.-მდე მესამე

საუკუნის დასასრულისათვის ფაიუმში განლაგებული ჯარის სარდლობა (strategos) მაგდოლაში იყო განლაგებული (Kasher, 1985, 149).

მათემატიკა – რინდის მათემატიკური პაპირუსის გამომცემლის, ა. ჩეისის თქმით, ერის ცივილიზებულობის ხარისხს მისი ზუსტი აზროვნების უნარი განსაზღვრავს, ზუსტი აზროვნების შეფასების საუკეთესო კრიტერიუმს კი მათემატიკის განვითარების დონე წარმოადგენს. ასეთი მიდგომით, ჩვ.წ.-მდე მეცხრამეტე საუკუნეში ეგვიპტელებს ძალიან განვითარებული ცივილიზაცია ჰქონდათ (Gillings, 1981, 3). უკვე შუა სამეფოს დროისათვის ეგვიპტეში არსებობდა ტრაქტატები, რომლებსაც უნდა გაეადვილებინა არა მარტო ბუღალტერების, გადასახადების ამკრეფების, უძრავი ქონების შემფასებლების და მშენებლების, არამედ მცხობელების და ლუდის მხარშავების შრომა საჭირო დათვლების საწარმოებლად. არსებობდა ასევე უამრავი ტაბულა გამოთვლების დასაჩქარებლად. მაგრამ მათემატიკური პაპირუსებიდან სულ რამდენიმეა შემორჩენილი: 1. **რინდის მათემატიკური პაპირუსი.** ჩაწერილია ჰიკსოსების მეფის, აპოპის (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1585-1542ნნ) ოცდამეცამეტე წელს, მაგრამ ტექსტის გადამწერი გვამცნობს, რომ პაპირუსი XII დინასტიის ფარაონის, ამონხეტეპ III-ის (1844-1799 ნნ.) დროინდელი ვერსიიდან არის გადაწერილი. რინდის პაპირუსი ყველაზე გრძელია ჩვენამდე მოღწეულ მათემატიკურ პაპირუსებს შორის და შინაარსობრივადაც ყველაზე მრავალფეროვანია. ის მოიცავს ორზე გამრავლებას და გაყოფას, 2/3 -ის მოძებნას, წილადების გამრავლებას, ათზე გამრავლებას, მინდვრის ან დახრილი კალთის ფართობის გამოანგარიშებას, შენობის ფართობის გამოანგარიშებას, ასევე ისეთ საკითხებს, რომელსაც დღეს შეიძლება ალგებრული (უცნობის გამოანგარიშება) ან გეომეტრიული (სფეროს მოცულობის გამოანგარიშება) ვუნოდოთ. 2. **მოსკოვის მათემატიკური პაპირუსი** ჩაწერილია XIII დინასტიის დროს (დაახლ. 1743-1640 ნნ.), მაგრამ ისიც XII დინასტიის დროს შექმნილად ითვლება. პაპირუსი ნაკვეთილი პირამიდის მოცულობის და ნახევარსფეროს ზედაპირის ფართობის გაანგარიშებას ეხება. 3. **კაჰუნის მათემატიკური პაპირუსი** XII დინასტიის მეორე ნახევარშია შექმნილი. აქ მოცემულია წილადების შემცირება, რომელთა მრიცხველია 2, და არითმეტიკული პროგრესია. 4. **ბერლინის პაპირუსი 6619** ასევე XII-XIII დინასტიების დროისაა. ეხება უცნობის მოძიების პრობლემას.



ფრაგმენტი მოსკოვის მათემატიკური პაპირუსიდან

5. ე.წ. **ბრიტანეთის მუზეუმის მათემატიკური ტყავის გრაგნილი**. დათარიღებულია ჩვ.წ.-მდე XVII საუკუნით. შეიცავს დასახმარებელ ნიმუშებს წილადებით ოპერირების დროს. 6. **რაისნერის I პაპირუსის** G – I ნაწილი, ჩაწერილია სენუსერტ I-ის (ჩვ.წ.-მდე 1971-1928 წწ., XII დინასტია) დროს. ეს პაპირუსი შინაარსით დანარჩენებისაგან განსხვავებულია. აქ მოცემულია მშენებლობის დროს სამშენებლო მასალის მოცულობის და შრომადღეების დათვლა (Clagett, 1999, 15-18). ეგვიპტელები აწარმოებდნენ ოთხივე არითმეტიკულ მოქმედებას, მათთვის ცნობილი იყო არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიები, წილადები, ფესვი, კვადრატული ფესვი, შეეძლოთ სამკუთხედის და წრის ფართობის გამოანგარიშება. წრის ფართობის გამოსაანგარიშებლად ხმარობდნენ რიცხვს 3.16, რაც ძალიან ახლოს არის 3.1416-თან (π). ეგვიპტელებმა ასევე იცოდნენ, რომ სამკუთხედს, რომლის გვერდები შეესაბამებოდა ერთმანეთს, როგორც 3 : 4 : 5 ჰიპოტენუზის პირდაპირ მართი კუთხე ჰქონდა. ისინი ითვლიდნენ სფეროს, პირამიდის და წაკვეთილი პირამიდის მოცულობას. ეგვიპტელები აგებდნენ თაღებსაც, მათ მიერ აგებული პირველი თაღი უძველესია მსოფლიოში. მართალია, ჩვენამდე შემონახულ პაპირუსებში არ გვხვდება პრობლემების ანალიზი, რადგან ეგვიპტელებს მათემატიკა პრაქტიკული მიზნებისათვის ესაჭიროებოდათ: მათ უნდა გაეზომათ დრო, ნილოსის ადიდების ყოველწლიური სიმაღლე, მინების ფართობი და გადასახადები. უკვე მესამე ათასწლეულის დასაწყისში მათ შეეძლოთ უზუსტესი გაანგარიშებების წარმოება, რომელთა გარეშე შეუძლებელი იქნებოდა პირამიდების და გრანდიოზული ტაძრების ასეთი სიზუსტით აგება (Selin (ed.), 2001, 115-137).



ფრაგმენტი მათემატიკური პაპირუსიდან

მაიმუნი – პავიანი (Kynokephalos) ეგვიპტეში უძველესი დროიდან საკრალური ცხოველი იყო. ჰიერაკონპოლისში და აბიდოსში მისი გამოსახულებები არქაული პერიოდის ფენებშია ნაპოვნი. უძველესი ღმერთი მაიმუნის იკონოგრაფიით იყო ხეჯური (*hd wr*) – „დიდი თეთრი", რომელიც „თეთრი (ე.ი. ზემოეგვიპტური) სამლოცველოს" ბატონი იყო. ამ მაიმუნის სახის ღმერთს ტინისურ სამეფო რიტუალში გარკვეული ადგილი ეკავა, მაგრამ ხეჯური უკვე ძველი სამეფოს დასაწყისში „შთანთქა" სიბრძნის ღმერთმა თოტმა, რადგან ის უკვე პირამიდების ტექსტებში (PT 1724/5) თოტის ერთ-ერთ გამოვლინების ფორმად არის დასახელებული. პავიანი თოტის ერთ-ერთ გამოვლინებადაც ითვლებოდა. შესაბამისად, მაიმუნი გადამწერების მფარველადაც იყო მიჩ-

ნეული. მაიმუნის კულტი დაკავშირებული იყო მზესთან. უკვე პირამიდების ტექსტებში (PT 608c; 1437c) მზის გარემოცვაში მოხსენიებულია მაიმუნების წყვილი, როგორც „მზის საყვარელი ვაჟიშვილები", ან მაიმუნი, როგორც „მზის უფროსი შვილი". ახალი სამეფოს პერიოდის მკვდართა წიგნის ილუსტრაციებში მზის ამოსვლის სცენებში ხშირად არიან გამოსახული მაიმუნები, რომლებიც წინა თათებით მზეს ეგებებიან (Kees, 1980, 20-21). მზის მიწისქვეშეთში ჩასვლისას მას ასევე მაიმუნები ხვდებიან: ცხრა მაიმუნი ჭიშკარს უღებს, და კიდევ ცხრა ჰიმნს უმღერის. ღამის მეათე საათში გადასვლისას მზე თვითონ იღებს პავიანის სახეს. მაიმუნების დიდი სასაფლაო აღმოჩენილია დასავლეთ თებეში და ჰერმოპოლისში (Bonnet, 1952, 7-8).

მამისი – დაბადების სახლის სახელი ეგვიპტოლოგიაში, არაბული სიტყვიდან.

მანდულისი – (ეგვ. *Mrwr*, Wb II, 109), ნუბიური ღვთაება, რომელსაც კალაბშაში ეთაყვანებოდნენ, როგორც უზენაეს ღვთაებას. პოპულარული იყო ასევე ფილეზე. ჰქონდა ორი სახე – ბავშვის და ზრდასრული ღმერთის. ნუბიის ტაძრებში ეთაყვანებოდნენ ტრიადას ოსირისის, ისიდას და ხორის შემადგენლობით. კალაბშაში ოსირისის ადგილი მანდულისს ეკავა (Коростовцев, 1976, 312).

მანეთონი – ძველეგვიპტელი ქურუმი და ისტორიკოსი (IV-III სს.ჩვ.წ.-მდე). დაწერა ეგვიპტის ისტორია ბერძნულ ენაზე, რომელიც სრული სახით ფასდაუდებელი შენაძენი იქნებოდა ეგვიპტოლოგიისათვის, მაგრამ დღეს ჩვენ გაგვაჩნია მხოლოდ ნაწყვეტები იოსების და ქრისტიანი ისტორიკოსების, აფრიკანუსის და ეუსებიუსის შრომებში. ამას გარდა, მანეთონის ცალკეული გამონათქვამები გაბნეულია პლუტარქეს, თეოფილოსის, ელიანეს, პორფიროსის, დიოგენე ლაერტელის, თეოდორეტოსის, ლიდოსის, მალალას შრომებში, პლატონის სქოლიოებში და Etymologycum Magnum-ში. მას სხვა ნაშრომებიც მიენერება, მაგრამ ისინი არ შემონახულა. მანეთონის რელიგიური ნაწარმოებები მხოლოდ პლუტარქეს „ისიდასა და ოსირისში" მოყვანილი ამონარიდებით არის ცნობილი. ცნობები მანეთონის შესახებ ძალიან მწირია. სახელი „მანეთონი" შესაძლოა ნიშნავს „თოტის სიმართლეს". სავარაუდოდ, ის დაიბადა სებენიტოსში, ნილოსის დელტის დამიეტის დასავლეთ ნა-

პირზე და გახდა უმაღლესი ქურუმი ჰელიოპოლისში. მანეთონი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სერაპისის კულტის შექმნაში და ბერძენ ტიმოთეოსთან ერთად ამ საკითხში პტოლემაიოს სოტერის მრჩეველი იყო. მანეთონის კალამს ძველი ავტორები რვა ნაშრომს მიანერდნენ: Aigyptiaca (ეგვიპტის ისტორია), სოთისის წიგნი, წმინდა წიგნი, ეპიტომე ფიზიკურ დოქტრინებზე, დღესასწაულებზე, კიფის დამზადების შესახებ (kyphi, საკმეველის ნაირსახეობა) და ჰეროდოტეს კრიტიკა. ამ ნაშრომებიდან, დღეს სოთისის წიგნი არ არის მიჩნეული მის ნაწარმოებად, და საეჭვოდ ითვლება მას დაეწეროს ცალკე ნაშრომი ჰეროდოტეს შესახებ, თუმცა იოსებიდან ცნობილია (Contra Apionem, I.73), რომ მანეთონი ჰეროდოტეს უზუსტობაში ადანაშაულებდა. დღეისათვის მიჩნეულია, რომ ექვსი დარჩენილი სათაურიდან მანეთონს ნამდვილად შექმნილი აქვს ეგვიპტის ისტორია, ეპიტომე ფიზიკურ დოქტრინებზე და წმინდა წიგნი, ხოლო დანარჩენი სამი წმინდა წიგნის ცალკეული ნაწილების დასახელებაა. მანეთონის ეგვიპტის ისტორია ორი სახის ნაწყვეტებით არის შემონახული. პირველია ნაწყვეტები მანეთონის ორიგინალური ნაწარმოებიდან იოსებთან, თუმცა აქაც არის ფსევდომანეთონური პასაჟები. ებრაელები მანეთონის შემდეგ ძალიან დაინტერესებული იყვნენ მისი ეგვიპტის ისტორიით მათი წინაპრების ეგვიპტესთან კავშირის გამო. ისინი ცდილობდნენ, თეორიები ებრაელთა წარმოშობის და სიძველის შესახებ ორიგინალურ ეგვიპტურ წყაროებთან დაეკავშირებინათ. მართალია, მანეთონთან იყო მათთვის არასახარბიელო ცნობები ებრაელების კეთროვანებიდან წარმოშობის შესახებ, მაგრამ სამაგიეროდ მათ თავიანთი წინაპრები ჰიკსოსებს დაუკავშირეს, მათი განდევნა ეგვიპტიდან კი ებრაელთა გამოსვლას, რამაც ხშირად მანეთონის ტექსტის გადაკეთებაც კი გამოიწვია (მაგ. იოსების Contra Apionem I). მეორე სახის ნაწყვეტები მანეთონის ისტორიის შეკვეცილი ვერსიიდან (ე.წ. Epitome) არის შემონახული. ეს ვერსია არ არის შექმნილი თვითონ მანეთონის მიერ და წარმოადგენს დინასტიების ჩამონათვალს მოკლე კომენტარებით განსაკუთრებით გამორჩეულ მეფეებზე ან მოვლენებზე. ეპიტომეში მანეთონის 30 დინასტიას დამატებული აქვს 31-ე, სპარსული დინასტია არტაქსერქსედან დარიუს III-მდე, რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა დაამარცხა ეგვიპტის დაპყრობის დროს. ეპიტომეს ნაწყვეტები შემოგვინახეს ქრისტიანმა ავტორებმა აფრიკანუსმა (დაახლ. ჩვ.წ. 160-240) და ეუსებიუსმა (დაახლ. ჩვ.წ. 260-340), რომლებიც მიზნად ისახავდნენ შეედ-

არებინათ აღმოსავლეთის ავტორების ქრონოლოგია ბიბლიასთან. ამ ორი ვერსიიდან, აფრიკანუსის ვერსია უფრო ზუსტია. თავის „Ekloge Khronographias"-ში, ისტორიის აღწერაში ადამიდან დიოკლეტიანამდე, მანეთონი გამოყენებული აქვს ასევე გიორგი ბერს (Syncellus), რომელიც მსახურობდა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან, ტარასესთან დაახლ. ჩვ.წ.-ით 800 წელს. ამდენად, მანეთონის ტექსტის შესწავლა დღეს ბევრ პრობლემასთან არის დაკავშირებული. სავარაუდოდ, ჯერ კიდევ იოსებამდე მისი ნაშრომი გამოყენებული იყო პოლემიკაში ეგვიპტელებს და ებრაელებს შორის, რომლის დროსაც მოხდა ნაშრომში დამატებების ჩართვა. მათგან ზოგიერთი ებრაელებისთვის არასასურველი იყო. ამდენად, იოსებმა სასტიკად გააკრიტიკა მანეთონი და შეეცადა, შეელახა მისი ავტორიტეტი, რისთვისაც მანეთონის ტექსტი ხშირად თავის სასარგებლოდ აქვს შეცვლილი. თავის მხრივ, „ეპიტომეც" შეცვლილია ელინისტური პერიოდის უცნობი ებრაელის მიერ ებრაული ქრონოლოგიის მანეთონისეულთან დამთხვევის მიზნით. ეპიტომეს ორიგინალური ვერსია გამოყენებული აქვს აფრიკანუსს, გადაკეთებული — ეუსებიუსს. აფრიკანუსის „ქრონიკა" (ხუთ წიგნად) დაკარგულია და შემონახულია სინკელის მიერ გამოყენებული ნაწყვეტების სახით. ეუსებიუსის ბერძნული ტექსტის ნაწყვეტები ასევე სინკელთან არის ციტირებული, მაგრამ ნაშრომი სრულად არის შემონახული ორიგინალური ბერძნული ტექსტიდან შესრულებულ სომხურ თარგმანში (ჩვ.წ. V ს.) და იერომის (Jerome) მიერ შესრულებულ ლათინურ ვერსიაში (ჩვ.წ.-ის IV ს. დასასრული). მანეთონი იყო უმაღლესი რანგის ქურუმი. დღეს ქურუმების ეს კატეგორია ეგვიპტის ინტელექტუალურ კლასად არის მიჩნეული უკვე შუა სამეფოს პერიოდში. ამას გარდა, იმ პერიოდის გათვალისწინებით, რომელშიც მას ცხოვრება მოუწია, მას შესანიშნავი ბერძნული განათლებაც ჰქონდა მიღებული. სწორედ ამიტომ დაავალა მას პტოლემაიოს II-მ ეგვიპტის ისტორიის დაწერა ბერძნულ ენაზე. ნაშრომის მიზანს ქვეყნის ისტორიის იმდროინდელი ცივილიზებული მსოფლიოსათვის გაცნობა წარმოადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეგვიპტელებმა უძველესი დროიდან დაიწყეს თავისი ისტორიის დაფიქსირება, მანეთონის განკარგულებაში იყო უამრავი პაპირუსი სატაძრო არქივებიდან (ჰეროდოტე (II, 100) გვიყვება პაპირუსზე, რომელზეც 331 მეფის ჩამონათვალი იყო მოთავსებული. დიოდორე (I, 44:4) გვამცნობს ჩანაწერებზე „წმინდა წიგნებში", სადაც მოთხრობილი იყო ყველა მეფეზე, მის ხასიათზე, საქმეებზე და მეფო-

ბის ხანგრძლივობაზე. რამდენიმე მეფეთა სია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არ წარმოადგენს იმ მასალის მწირ ნაწილსაც კი, რომელიც ხელენიფებოდა მანეთონს. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ითვლება, რომ მანეთონის ნაშრომს თავიდანვე გააჩნდა ნაკლოვანებები და ჩვენამდე სრულად მოღწევის შემთხვევაშიც კი ის არ იქნებოდა უფრო ფასეული, ვიდრე მისი წყაროები (Page in Manetho, 1956, VII-XVIII). ითვლება, რომ მისი მეფეთა დინასტიებად დაყოფის პრინციპი ბუნდოვანია, რადგან ხან ერთ დინასტიაში გაერთიანებული მეფეები ნამდვილად მიეკუთვნება ერთ ოჯახს, ხან კი არა. მიუხედავად ამისა, მანეთონმა უდიდესი გავლენა მოახდინა ეგვიპტოლოგიაზე და მეცნიერები დღესაც ეგვიპტის ისტორიას მისი დინასტიური ჩონჩხის ფარგლებში მოიაზრებენ. იმავდროულად უნდა გვახსოვდეს, რომ თუმცა მანეთონმა თავისი ისტორია ბერძნულად დანერა, ის ეგვიპტელი იყო და მისი ნაშრომი უფრო ეგვიპტურ ტრადიციას ასახავს, რაც დღეს ასევე ფასეულია (Bard, 1999, 464). მანეთონის რელიგიური ნაწარმოებების ციტირება კლასიკურ ავტორებთან იმდენად ხშირია, რომ ისინი სავარაუდოდ „ეგვიპტის ისტორიაზე" უფრო პოპულარული იყო, მაგრამ ეს ამონარიდები არ იძლევა საშუალებას, წარმოდგენა ვიქონიოთ ამ შრომებზე. „წმინდა წიგნი" უდავოდ წარმოადგენდა უაღრესად საინტერესო მასალას ეგვიპტის რელიგიაზე და ეგვიპტური თეოლოგიის მითოლოგიურ ელემენტებზე. იგრძნობა ასევე პტოლემაიოს სოტერის რელიგიური სინკრეტიზმის პოლიტიკის აქტიური მხარდაჭერა მანეთონის მიერ. მისი „ეპიტომე ფიზიკურ დოქტრინებზე" ეგვიპტური მეცნიერების აღწერას წარმოადგენდა და დღეს ძნელია იმის თქმა, მანეთონს ამ ნაშრომით სურდა ბერძნებისათვის გაეცნო ეგვიპტური მეცნიერება თუ ის მან თავისი მოწაფეებისათვის დაწერა (Page in Manetho, 1956, XXVI-XXVII).



მარცვლის მუმია

მარცვლის მუმია – ოსირისის მისტერიების დროს მინისგან ძერწავდნენ ოსირისის ფიგურას, რომელსაც ხორბალს ატანდნენ. ამ მარცვლის მუმიიდან ახალგაზრდა ხორბლის ამოსვლა დაკავშირებული იყო ოსირისის მკვდრეთით აღდგომის მაგიურ რწმენასთან. მსგავს ქმედებას აწარმოებდნენ ასევე გარდაცვლილისათვის, რომელიც ახალი სამეფოს დროიდან, ეგვიპტური წარმოდგენით, ოსირისად გარდაიქმნებოდა. ცერემონია ნილოსის ადიდების სეზონის მეოთხე თვის ბოლოს ტარდებოდა. ფიგურა სამარხის საკულტო განყოფილებაში თავსდებოდა, სადაც შემდეგ წლამდე ტოვებდნენ, როცა ის ახლით იცვლებოდა.

ტრადიცია დაახლ. XVIII დინასტიიდან არის დაფიქსირებული (Bonnet, 1952, 391).

მანუ – (ეგვ. *mꜣnw*, Wb II, 29), მთის ქვეყანა, სადაც, ეგვიპტელთა წარმოდგენით, მზე ჩაესვენებოდა და სადაც გარდაცვლილებიც იმყოფებოდნენ. შესაძლოა, „მანუდ" მოიაზრებოდა მთები ლეტოპოლისის დასავლეთით, რადგან ამ ქალაქის ღმერთი ხენტი-ირტი მოიხსენიებოდა, როგორც „ხორი მანუდან". ხშირად ასე უნოდებდნენ დასავლეთსაც (Bonnet, 1952, 440).



მასტაბა

მასტაბა – სამარხი ნაგებობა პირამიდის შექმნამდე. არქიტექტურულად წარმოადგენს ტუმულუსის განვითარებას, რომლითაც ჯერ კიდევ წიადინასტიურ ეგვიპტეში ფარავდნენ სამარხში ჩასასვლელ შახტას. ტუმულუსი თავის მხრივ წარმოშვა იდეამ პირველყოფილი ბორცვის შესახებ. უძველესი ტუმულუსი სავარაუდოდ იყო ქვიშის და ღორღის ბორცვი, რომელსაც ფორმას ქვის ან ხის ჩარჩო უნარჩუნებდა. დასაკრძალ ოთახში მიცვალებულთან ათავსებდნენ სხვადასხვა ნივთებს, რომელიც მისთვის იმქვეყნიურ არსებობაში აუცილებლად ითვლებოდა. კერამიკული ჭურჭლის გარდა, სადაც შესაწირი საკვები თავსდებოდა, ნივთების რაოდენობა და ხარისხი გარდაცვლილის სიმდიდრეზე იყო დამოკიდებული. ეს შეიძლება ყოფილიყო ქვის ლარნაკი, ძვირფასეულობა და სხვ. პირველი ორი დინასტიის დროს სამარხის მინისქვეშა განყოფილებები და მიწისზედა ნაგებობა კლასიკურ მასტაბად გადაიქცა. ის წარმოადგენდა როგორც გარდაცვლილის საცხოვრისს, ასევე საკულტო ნაგებობას. მის შიგნით მრავალი არსებობის და სიცოცხლის სიმბოლო თავსდებოდა. მისი საკულტო მხარე გამოხატული იყო ნიშებით, რომლებშიც ათავსდებდნენ სტელებს გარდაცვლილის სახელით. ეს ტრადიცია უკვე ტინისური პერიოდისათვის იყო ჩამოყალიბებული. თავდაპირველად მასტაბას ტიპის სამარხი ფარაონის პრეროგატივას წარმოადგენდა, მაგრამ ძალიან მალე (უკვე I დინასტიის დროს) მასტაბების აგება დიდგვაროვანმა მოხელეებმაც დაიწყეს. თანდათან სტელაზე გარდაცვლილის სახელთან ერთად შესაწირი საკვების ჩამონათვალიც ჩნდება. სტელის წინ შესაწირი უნდა მოთავსებულიყო. მალე ის არქიტექტურულად ე.წ. „ცრუ კარში" იქნა ინკორპორირებული. „ცრუ კარი" ვიზუალურად გამოიყურებოდა, როგორც სახლში შესასვლელი კარი, და წარმოადგენდა ზღვარს გარდაცვლილთა და ცოცხლებს შორის. მიწისზედა ნაგებობაში, რომელსაც გარ-

დაცვლილს სახლის იმიტაციის დანიშნულება ჰქონდა, ოთახების რაოდენობა გარდაცვლილის სიმდიდრეზე იყო დამოკიდებული. მისი გარეთა კედლები ჩვეულებრივ პილასტრებით და ნიშებით იყო დეკორირებული და სასახლის ფასადის შთაბეჭდილებას ქმნიდა. ასეთი ნაგებობა, ოდნავ დაქანებული კედლებით და ბრტყელი სახურავით, არაბული სკამის (მასტაბას) შთაბეჭდილებას ტოვებდა, და ეს სახელი მას გათხრებზე მომუშავე არაბმა მუშებმა შეარქვეს. მასტაბას ტიპის სამარხებს აგებდნენ ტინისურ პერიოდში და ძველი სამეფოს დროს, და ძალიან იშვიათად შუა სამეფოს პერიოდში. შემდეგ მასტაბები ქრება (Grimal, 2003, 102-105).

მატიტი — (ეგვ. *M3tj.t,* Wb II, 34). ლომის იკონოგრაფიის მქონე უძველესი ქალღმერთი. მისი დაბადების შესახებ მოთხრობილია პალერმოს ქვაზე (Kamil, 1994, 49). ეთაყვანებოდნენ ჰიერაკონპოლისში და ტინისში. იყო იმავე ქალაქის შევარდნისთავიანი ღმერთის, ანტის თანამებრძოლი. გვიანდელ თეოლოგიაში ასოცირდებოდა ისიდასთან (Junker, 1917, 39).



მაფდეტი

მაფდეტი — (ეგვ. *M3fd.t,* Wb II, 29), კატის ოჯახის გაურკვეველი ცხოველი, შესაძლოა გარეული კატა, მანგუსტა ან სხვ. მისი სახით ეთაყვანებოდნენ იგივე სახელის ქალღმერთს. ადრეულ პერიოდში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა და მის დაბადების დღეს სეშატთან ერთად ზეიმობდნენ (Schäfer, 1902, 21). გამოისახებოდა თავისებურ იარაღთან ერთად, რომელიც წვეტიანი დანით მთავრდებოდა (Petrie, 1902, II, pl.7). მაფდეტი იყო მებრძოლი ქალღმერთი, „ბასრი ბრჭყალებით" (PT 1212d) და მოიაზრებოდა, როგორც ბოროტი გველების და მორიელების გამანადგურებელი. მას იშველიებდნენ შხამიანი გველების წინააღმდეგ შელოცვებში (PT 230c, 440c, 677d,). იქვე აღწერილია, როგორ ახტება ის გველს ზურგზე, როგორ უჩხაპნის თვალებს და ურტყამს სახეში (PT 440d, 438a).

მედამუდი — (ეგვ. *M3dw,* Wb II, 35), ადგილი კარნაკიდან 5კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით, ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე. შედიოდა თებეს (მეოთხე ზემოეგვიპტურ) ნომში. მედამუდი მიძღვნილი იყო მონტუსადმი, რომელსაც შევარდნის თავიანი ადამიანის ან ხარის სახით გამოსახავდნენ. მედამუდთან ასოცირებული იყვნენ მისი ტრიადის ნევრები — მეუღლე რატტაუი და ვაჟიშვილი ჰარპოკრატოსი (ხორი-ჩვილი). მედამუდი

არ არის სათანადოდ შესწავლილი. ყველაზე ძველ ნაგებობას წარმოადგენს პირველი გარდამავალი პერიოდით დათარიღებული აგურის სამლოცველო, ყველაზე ძველი წარწერები სენუსერტ III-ის (XII დინასტია) დროისაა. ბევრია XIII დინასტიის წარწერები. მედამუდში აქტიურად აშენებდნენ თოტმეს III და ამონხეტეპ II (XVIII დინასტია), თუმცა დღეს მხოლოდ ამონხეტეპ II-ის გრანიტის კარიბჭეა შემორჩენილი. ტაძრის ჩვენამდე მოღწეული ნაწილი ბერძნულ-რომაული პერიოდისაა (Bard, 1999, 475-476). მედამუდი ითვლებოდა უკანასკნელ ადგილად, სადაც დაისვენეს ოგდოადის ღმერთებმა, სანამ მიაღწევდნენ ჯემეს (მედინეტ ჰაბუს), მათი საბოლოო განსასვენებლის ადგილს (*იქვე*, 486). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამონხეტეპ IV (ეხნატონის) მშენებლობა მედამუდში. სავარაუდოდ მან თავისი მეფობის დასაწყისში მონტუს პატარა ტაძარი აუგო, რადგან აქ მოძიებულ ფრაგმენტებზე მონტუს გარდა, ატონის სახელის ადრეული ფორმაა ნაპოვნი (Bonnet, 1952, 445).

მედინეტ-ელ-ფაიუმი — *იხ. კროკოდილოპოლისი*

მედინეტ მადი — („წარსულის ქალაქი“), მდებარეობს მედინეტ ელ-ფაიუმიდან 30კმ. სამხრეთ-დასავლეთით. ქალაქის ძველი სახელი იყო ნარმუთისი. არქეოლოგიურმა გათხრებმა აქ ორი ქალაქი აღმოაჩინა, მაგრამ დღეისათვის შემორჩენილი ნაგებობებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ამონემხატ III-ის და IV-ის (XII დინასტია) მეფობის დროს აგებული ტაძარი, მიძღვნილი სობეკის, ხორის და რენენუნეტისადმი. ტაძარი ძალიან საინტერესოა არქიტექტურის ისტორიის თვალსაზრისითაც, რადგან ჩვენამდე შემორჩენილი შუა სამეფოს პერიოდის ტაძრები ძალიან ცოტაა. პატარა სვეტებიანი დარბაზი გადის სამ სამლოცველოში, სადაც სამი ღვთაების და ორი მეფის ქანდაკება იყო მოთავსებული. XII დინასტიის თითქმის ნაშლილ რელიეფებზე გაირჩევა ამონემხატ III და მისი შვილი და თანამმართველი ამონემხატ IV, რომლებიც ღმერთებს მსხვერპლს სნირავენ. ტაძარი გაარესტავრირეს XIX დინასტიის დროს და გააფართოვეს ბერძნულ-რომაულ პერიოდში. შუა სამეფოს ტაძარზე მიშენებულია პტოლემაიოსების ნაგებობა, სადაც შემორჩენილია საკურთხეველი. აქვეა სობეკის გამოსახულება და ბერძნულ ენაზე შესრულებული წარწერები. პტოლემაიოსების პერიოდს ეკუთვნის ასევე სამხრეთისაკენ მიმავალი მოპირკეთებული გზა, ორივე მხრიდან სფინქსებით, და ლომე-

ბის ქანდაკებები (http://egyptsites.wordpress.com/2009/02/15/medinet-madi).

მედინეტ-ჰაბუ — დღეს იმ თანამედროვე ქალაქის სახელია, რომელიც რამსეს III-ის მოსახსენიებელი ტაძრის გალავნის ირგვლივ გაშენდა. მდებარეობს ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, ძველი თებეს (თანამედრ. ლუქსორის) პირდაპირ. ქალაქის სახელში, შესაძლოა, აირეკლა გალმერთებული ბრძენის, ამონხეტეპის, ჰაპუს შვილის სახელი, რადგან მისდამი მიძღვნილი ტაძარიც აქ მდებარეობდა. ამონხეტეპი ჩვ.წ.-მდე XIV საუკუნეში ცხოვრობდა, მაგრამ მისი კულტი განსაკუთრებით

მნიშვნელოვანი ბერძნულ-რომაულ პერიოდში გახდა. ძველი ნაგებობებიდან შემორჩენილია XVIII დინასტიის დროინდელი პატარა ტაძარი, რამსეს III-ის მოსახსენიებელი ტაძარი და მასთან ასოცირებული კაპელები და ქალაქი ჯემე (Bard (ed), 481)1999). XVIII დინასტიის დროს ხატშეპსუტმა და თოტმეს III-მ ერთობლივად ააგეს პატარა ტაძარი, სახელად „ადგილით წმინდა" (*ḏśr ś.t,* Wb IV, 5), უფრო ძველი ტაძრის ფუნდამენტზე. ეს სახელი ამ ადგილის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მეტყველებს. მას მოიხსენიებდნენ ასევე, როგორც „პირველი ჯერის (ე.ი. სამყაროს შექმნის) წმინდა ადგილს" (*ś.t.f ḏśr.t nt* śp tpj). განსაკუთრებით საგულისხმოა მისი კიდევ ერთი სახელი *Ꜣ.t Ṯꜣm.t,* რომელშიც ეგვიპტელებისათვის „*ṯꜣw*", „მამაკაცები" და „*mw.t*", „დედები" იყო გაერთიანებული, და სახელი „მამაკაცების და დედების ბორცვს" ნიშნავდა, რადგან ეგვიპტელთა წარმოდგენით, ჰერმოპოლისის ოგდოადის რვა პირველქმნილი ღვთაება (ოთხი მამრი და ოთხი მდედრი), სამყაროს შექმნის შემდეგ სწორედ ამ ბორცვზე მოვიდა, აქ გარდაიცვალა და დაიკრძალა. მათი წარმოდგენით, აქვე იყო დაკრძალული დიდი პირველქმნილი გველის სახის ღვთაება კემატეფი. „*Ṯꜣm.t*" შემდეგში „ჯემედ" გადაიქცა, და სწორედ ამ სახელით მოიხსენიებდნენ მედინეტ ჰაბუს გვიან და ბერძნულ პერიოდებში. ათ დღეში ერთხელ აქ მოაბრძანებდნენ ლუქსორის ამონს (ამონემოპეტს), რომ მას აქ დაკრძალული ღმერთებისათვის პატივი მიეგო და, იმავდროულად, გარკვეული რიტუალების წყალობით კვლავ გაახალგაზრდავებულიყო (Sethe, 1976, §§103-112). ამ ტაძრის სიახლოვეს, რამსეს III-მ ააგო თავისი მოსახსენიებელი ტაძარი, და მთელ ტერიტორიას გალავანი შემოავლო. კედლის შიგნით მოექცა არა მარტო ტაძრები, არამედ სატაძრო სახელოსნოები, საკუ-

ჭნაოები, ადმინისტრაციული დანესებულებები და ქურუმების და მოხელეების სახლები. აქვეა ხორემხების მოსახსენიებელი ტაძარი, რომელიც მან აისაგან მიითვისა. რამსეს III-ის ტაძარი, სახელად „მილიონი წლის სახლი", მოიცავს ფართობს 3000მ. x 2100მ. მისი კედლების მოხატულობის საერთო ფართობი 2225 კვ.მეტრია. ტაძარი ახლომდებარე რამესეუმის, რამსეს II-ის ტაძრის ოდნავ მცირე ასლს წარმოადგენს. ტაძრის პილონები ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავია ეგვიპტეში. პილონებზე გამოსახულია რამსეს III-ის ბრძოლა ზღვის ხალხების და ლიბიელების ნინაალმდეგ. ტაძრის პირველ ეზოში მოთავსებული იყო ოსირისის სახით წარმოდგენილი ფარაონის ქანდაკებები. ქანდაკებები მეორე ეზოში განადგურდა ადრე ქრისტიანულ პერიოდში, როცა ეს ადგილი ეკლესიად გადაკეთდა, თუმცა რელიეფები კარგად არის შემონახული. ისინი გადმოსცემენ მინთან დაკავშირებულ რიტუალებს, აქვეა გამოსახული ფარაონის მრავალი შვილი. ძალიან დაზიანებულია ჰიპოსტილური დარბაზები. მეორე დარბაზის მარცხენა მხარეს მდებარეობდა რამსეს III-ის განსასვენებელი ოთახი. ტაძრის ღერძი ფოკუსირებულია ამონის სამლოცველოზე. ეს ოთახი მოპირკეთებული იყო ელექტრუმით, კარის ჩარჩო ჰქონდა ოქროსი, თვითონ კარი კი სპილენძის, ძვირფასი თვლებით. ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობდა მეფის სასახლე, რომელიც მის მთავარ სასახლეზე ბევრად მცირე ზომის იყო. გალავნის შიგნით, აღმოსავლეთი ჭიშკრის მარცხნივ, XXIII-XXVI დინასტიების „ამონის ცოლების" განსასვენებელი კაპელებია განლაგებული. თავისი ძლიერი ფორტიფიკაციების გამო, მედინეტ ჰაბუს ხშირად თავშესაფრად იყენებდნენ. აქ გადმოსახლდნენ დეირ ელ-მედინეს მცხოვრებლები, და ერთ-ერთი მათგანის სახლი დღემდეა შემორჩენილი. ადრექრისტიანულ პერიოდში, მედინეტ ჰაბუ გადაიქცა კოპტურ ქალაქ ჯემედ. ხალხი ცხოვრობდა მთავარი ტაძრის შიგნითაც კი, და მისი მეორე ეზო ეკლესიად იყო გამოყენებული, რამაც, რასაკვირველია, ტაძარი ძალიან დააზიანა. ტაძრის ბლოკებით, მის სიახლოვეს კოპტური ტაძარი ააგეს. ჩვ.წ.-ით მეცხრე საუკუნეში, გაურკვეველი მიზეზების გამო, ქალაქი მიტოვებული იქნა (Bard, 1999, 481-485).

მედიცინა – ეგვიპტური მედიცინა თავისი დროისათვის უაღრესად განვითარებული იყო. ჰეროდოტეს (II, 84) ცნობით, ეგვიპტეში ყოველი ექიმი ერთ გარკვეულ სნეულებას მკურნალობდა, და ამიტომ „მთელი ქვეყანა ექიმებით არის სავსე.

სხვადასხვა ექიმი მკურნალობს თვალს, თავს, კბილებს, კუჭს და შინაგან სნეულებებს". ასეთი სპეციალიზაცია, რაც თავისთავად მედიცინის მაღალ განვითარებაზე მეტყველებს, ეგვიპტურ სამედიცინო პაპირუსებში უკვე მესამე ათასწლეულშია დაფიქსირებული. ეგვიპტელი ექიმები განთქმული იყვნენ მთელ იმდროინდელ სამყაროში და ბევრი ქვეყნის მეფე ხშირად სთხოვდა ფარაონს, ექიმები გაეგზავნა მისთვის. ექიმები დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ თვითონ ეგვიპტეშიც. ცნობილი ექიმები ჩვეულებრივ ფარაონთან დაახლოებული პირები იყვნენ, და განსაკუთრებით გამორჩეულებს გაღმერთებაც კი ხვდათ წილად, როგორც მაგ. ჯოსერის საფეხუროვანი პირამიდის არქიტექტორს, ცნობილ ექიმს და ბრძენს, იმხოტეპს. მისი კულტი ბერძნულ პერიოდშიც კი, გარდაცვალებიდან ორი ათას წელზე მეტი ხნის შემდეგ, იყო პოპულარული და ბერძნებმა ის ასკლეპიოსთან გააიგივეს. ეგვიპტელები ატარებდნენ არაინვაზიურ ქირურგიულ ოპერაციებს, კიდურების ამპუტაციას და პროტეზირებას, ასწორებდნენ და კურნავდნენ მოტეხილ ძვლებს, ხიდებით ამაგრებდნენ მორყეულ კბილებს, ატარებდნენ ყბა-სახის ქირურგიულ ოპერაციებს და სხვ. სხეულის მუმიფიცირების ტრადიციის გამო ეგვიპტელებმა თავისი დროისათვის კარგად იცოდნენ ანატომია. მათ იცოდნენ პულსის და მისი გულთან კავშირის შესახებ. კლემენს ალექსანდრიელის მიხედვით (ჩვ.წ. II ს.) ეგვიპტელებს ჰქონდათ 42 წიგნი, რომლებშიც „ადამიანისათვის საჭირო ცოდნა" იყო აღწერილი, მათგან ექვსი სამედიცინო იყო: 37. სხეულის აღნაგობა. 38. სნეულებანი. 39. ექიმების ინსტრუმენტები. 40. წამლები. 41. თვალები და მათი დაავადებები. 42. ქალთა დაავადებები. სამწუხაროდ, არც ერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია (Nunn, 2002, 24). ეგვიპტელებს ასევე ჰქონდათ ძალიან მდიდარი ფარმაკოპეა. თუმცა ხშირად მას მოიხსენიებენ, როგორც ბუნდოვანს და მაგიასთან დაკავშირებულს, ეგვიპტური წამლების ბიოსამედიცინო შესწავლამ დაადგინა, რომ ისინი ხშირად საკმაოდ ეფექტური იყო და ცნობილი წამლების 67%-ის ფორმულა არ ეწინააღმდეგება 1973 წლის ბრიტანეთის ფარმაკოპეის კოდექსს (Pain, 2007, 42). პირამიდების მშენებლების რაციონში შედიოდა ძალიან დიდი რაოდენობით ბოლოკი, ნიორი და ხახვი, რაზეც ხაზინიდან განსაკუთრებული თანხა გამოიყოფოდა. ანტიბიოტიკების აღმოჩენის შემდეგ დადგინდა, რომ ბოლოკის ბოლქვის ექსტრაქტი შეიცავს რაფანინს (Raphanin), რომელიც ეწინააღმდეგება სტაფილოკოკების გავრცელებას და ინარჩუნებს ამ თვისებას 30 წუთის

განმავლობაში დულილის შემთხვევაში. ნიორი შეიცავს ალიცინს (Allicin), გოგირდის შემცველ ორგანულ შენაერთს, რომელიც ანტიბაქტერიული და სოკოს საწინააღმდეგო თვისებების გარდა, ანტითრომბოზულ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებას წარმოადგენს. ნიორი და ხახვი შეიცავს ასევე ალისტატინს (Allistatin), ანტიბაქტერიული მოქმედების ნივთიერებას, რომელიც კარგია გაციების და ანთების დროს. ასეთი თვისებების მქონე მცენარეები უდავოდ სჭირდებოდათ მშენებლობებზე, სადაც ტრავმები და ინფექცია ხშირია. მშენებლები განსაკუთრებული სამედიცინო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, და სამუშაოების დროს მიღებული ტრავმების საფასურს ჩვეულებრივ სახელმწიფო ხაზინიდან იხდიდნენ (http://arabworldbooks.com/articles8c.htm). მკურნალობისას ეგვიპტურ სამედიცინო ტექსტებში დაფიქსირებულია ავადმყოფის გასინჯვა, დიაგნოზის დასმა, პროგნოზი და მკურნალობა. ცნობილი ედვინ სმიტის სამედიცინო პაპირუსის თანახმად, ეგვიპტური სამედიცინო ეთიკა მოითხოვდა, რომ ავადმყოფისათვის ეთქვათ დიაგნოზი, რომლის სამი ვარიანტი არსებობდა. ექიმს უნდა ეთქვა: „ავადმყოფობა, რომელსაც ვუმკურნალებ", „ავადმყოფობა, რომელსაც შევებრძოლები", ან „ავადმყოფობა, რომლის მორჩენა არ შეიძლება" (Стучевский, 1976, 258). როგორც ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფერო, ეგვიპტური მედიცინა გადაჯაჭვული იყო მაგიასთან. ამიტომ წამლებთან ერთად ეგვიპტელმა ექიმებმა უამრავი შელოცვაც იცოდნენ, რომლებსაც წამალთან ერთად „უნიშნავდნენ" თავიანთ პაციენტებს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი სამეფოს დროს, როცა მედიცინა უკვე ძალიან განვითარებული და სპეციალობებად დაყოფილი იყო, მაგია გაცილებით ნაკლებად „მონაწილეობდა" მკურნალობაში, ვიდრე გვიანდელ პერიოდში, რასაც ზოგადად პესიმიზმით და თვითრწმენის დაკარგვით ხსნიან (Nunn, 2002, 11). ეგვიპტელი ექიმები ჩვეულებრივ სახმეტის ქურუმები იყვნენ, რომელსაც მიენერებოდა დიდი უნარი, განედევნა ბოროტი ძალები სნეული სხეულიდან. მედიცინის მფარველად ითვლებოდა თოტი. სიტყვა „ექიმი" დაფიქსირებულია მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან (ეგვ. *swnw*, Wb III, 427). არსებობდა ასევე „ექიმების ზედამხედველები", „ფარაონის ექიმები" და ექიმი ქალები. ჩვენამდე სულ რამდენიმე სამედიცინო პაპირუსმა მოაღწია. მათგან ყველაზე ძველია კახუნის სამედიცინო პაპირუსი (Pap. med Kahun, ჩვ.წ.-მდე 1850 წ.), რომელიც ძირითადად ქალურ დაავადებებს და აკუშერის ხელოვნებას ეხება. ედვინ სმიტის პაპირუსი (Pap.

Edwin Smith, ჩვ.წ.-მდე 1550 წ.) თავის ტრავმების აღწერით ინ-ყება და გადადის კისრის, ლავიწის ძვლების, გულმკერდის და ხერხემლის ტრავმების აღწერაზე. პაპირუსის დასასრული არ შემონახულა. იგივე პერიოდით არის დათარიღებული ებერსის პაპირუსი (Pap. Ebers), რომელიც უმნიშვნელოვანესია ეგვიპ-ტური მედიცინის შესწავლისათვის. პაპირუსი იყიდა ედვინ სმიტმა, შემდეგ მისგან იქნა შესყიდული გეორგ ებერსის მიერ, რომელმაც ის 1875 წ. გამოსცა. ეს 20 მ. სიგრძის პაპირუსი წარ-მოადგენს ამონანერებს 40 სხვა სამედიცინო პაპირუსიდან და მედიცინის თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. პაპირუსის 877 პარაგრაფში აღწერილია ციებ-ცხელება, დიზენტერია, სისხლდ-ენები, შეშუპებები, ანევრიზმები, ღვიძლის დაავადებები, კუჭის დაავადებები, თიაქარი, ხველება, ანგინა, ფილტვების ანთება, წყლული, სიმსივნეები, კანის დაავადებები და სხვ. აქვეა რჩევ-ები სხვადასხვა შხამიანი მწერის ნაკბენის სანინააღმდეგოდ და კოსმეტიკური ნაწილი, რომელიც შეიცავს რჩევებს ნაოჭების და ხალების მოშორების, თმების და წარბების შეღებვის და ა.შ. შესახებ. პაპირუსის ბოლოს მოცემულია რჩევები გულისა და სისხლძარღვების შესახებ, რაც ეგვიპტური მედიცინის უდიდეს მიღწევად არის მიჩნეული. ჰერსტის პაპირუსში (Pap. Hearst), რომელიც შესაძლოა ებერსის და სმიტის პაპირუსებზე ოდნავ ახალგაზრდაა, აღწერილია ძვლების დაავადებები. ბერლინის პაპირუსში (Pap.Berlin 3038), რომელიც დაახლ 1300 წლით არის დათარიღებული, ძირითადად რევმატიულ და სისხლძარღვთა დაავადებებზეა მოთხრობილი. ჩესტერ ბიტის პაპირუსში (Pap. Chester Beatty VI, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1300 წ.) აღწერილია სწორი ნაწლავის დაავადებები, კარლსბერგის პაპირუსი (Pap. Carlsberg VIII, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1200 წ.) თვალის დაავადებებს და გინეკო-ლოგიას ეხება, ლონდონის პაპირუსი (Pap. med. London 10059, დაახლ.ჩვ.წ.-მდე 1350) ძირითადად შელოცვებისაგან შედგება (Grapow, 1959, 83-95). ამას გარდა, ჩვენს ხელთ არის რამესეუმის პაპირუსები (Pap.Ramesseum III, IV, V, დაახლ.ჩვ.წ.-მდე 1700 წ.), რომლებიც გინეკოლოგიას, ოფტალმოლოგიას და პედიატრიას მოიცავს, ბრუკლინის პაპირუსი (Pap. Brooclyn Snake, ჩვ.წ.-მდე 300 წ.) გველის ნაკბენებზე და ჩვ.წ. 150 წლით დათარიღებული კროკოდილოპოლისის პაპირუსი, რომელიც ზოგად საკითხებს ეხება (Nunn, 2002, 25).

მეიდუმი – ადგილი, სადაც ფარაონმა სნოფრუმ (IV დინასტია) ააგო ერთ-ერთი თავისი სამი პირამიდიდან. სნოფრუს არქიტე-

ქტორები, სავარაუდოდ, სრულყოფილი პირამიდის ფორმის ძიებაში იყვნენ და საბოლოოდ ააგეს „მეიდუმის პირამიდა", რომელიც თავისი ფორმით პირველი გეომეტრიულად სრულყოფილი პირამიდა იყო. მდებარეობს კაიროდან დაახლ. 75კმ. სამხრეთით, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, ვიწრო უდაბნოს ზოლში ნილოსის დაბლობსა და ფაიუმის ოაზისს შორის. დასრულებული სახით ეს პირამიდა, რომელიც სიდიდით მეხუთეა პირამიდებს შორის, 94.5 მ. სიმაღლის იყო, მისი ოთხივე კედლის სიგრძე კი 144მ მეტრის. მაგრამ დღეს მას „ყალბ პირამიდას" (Haram el Kaddab) ეძახიან, რადგან იმდენად გაიძარცვა ქვის მძარცველების მიერ ჯერ კიდევ ფარაონების დროს, რომ დღეს, თავისი ბრტყელი თავით, ფორტს მოგვაგონებს. მისი ძარცვა სამშენებლო მასალად, მეცნიერთა აზრით, დაახლ. რამსეს II-ის (XIX დინასტია) დროიდან დაიწყო. მეიდუმის პირამიდა სნოფრუს კიდევ ერთ, დაშურის (ე.წ. „მოხრილი", ან „მოღუნული") პირამიდის თითქმის თანადროულად დასრულდა (Friedman, 1996, 508-509). მეიდუმში ასევე პირველად გვხვდება ის ხუთი ელემენტი, რომელიც შემდეგ ძველი სამეფოს პირამიდის კომპლექსის აუცილებელ ელემენტებად გადაიქცა: მთავარი პირამიდა, თანმხლები პირამიდა (ან პირამიდები), გალავანი, მოსახსენიებელი ტაძარი, მოპირკეთებული გზა, რომელიც პირამიდის გალავანთან იწყებოდა და აკავშირებდა მას მოსახსენიებელ ტაძართან, რომელიც დაბლობში, კულტივირებული მიწის კიდესთან იდგა. მეიდუმში ასევე მდებარეობს პირამიდასთან ასოცირებული სასაფლაო, სადაც ფარაონის ოჯახის წევრები და დიდებულები იყვნენ დაკრძალული. მათ მასტაბებში მოძიებულია უამრავი კედლის ნახატი და ქანდაკება, რომელიც ამ პერიოდის შედევრად არის მიჩნეული. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჰელიოპოლისის ქურუმის და მთავარსარდლის, რაჰოტეპის და მისი მეუღლის, ნოფრეტის ქანდაკებები (Bard (ed.), 1999, 528).

მეკესი – (ეგვ. *mkś*, Wb II, 163), პატარა ცილინდრის ფორმის სიმბოლური ნივთი, რომელიც ორივე მხარეს მერცხლის კუდის მსგავსი გაორებით მთავრდებოდა. მეკესი ფარაონს ეკავა ხელში ხებსედის რიტუალური ცეკვის დროს. ის წარმოიდგინებოდა, როგორც ოსირისის მემკვიდრეობის სიმბოლო, რომელიც ოდესღაც გებმა ხორს (ფარაონს) გადასცა. ამდენად, ეს იყო ერთ-ერთი სიმბოლო, რომელიც ფარაონს წარმოაჩენდა, როგორც ხორს (Bonnet, 1952, 446).

მემნონის კოლოსები — ამონხეტეპ III-ის ორი 17.9 მ. სიმაღლის ქანდაკება. ქანდაკებები, რომლებიც ფარაონს დამჯდარს წარმოგვიდგენენ, ამშვენებდა ფარაონის მოსახსენიებელი ტაძრის შესასვლელის ორივე მხარეს დასავლეთ თებეში. ტაძარი დღეს სრულებით დანგრეულია. მათი, ისევე როგორც ტაძრის არქიტექტორი იყო შემდგომში ბრძენად შერაცხული ამონხეტეპი, ჰაპუს შვილი. ჩვ.წ.-მდე 27 წ. მომხდარი მიწისძვრის დროს ჩრდილოეთით მდგომი ქანდაკება დაზიანდა და მზის ამოსვლისას ხმას გამოსცემდა. ამ ფაქტის გამო ქანდაკებები ბერძენი და რომაელი ტურისტების საყვარელ ადგილად გადაიქცა. მათი წარმოდგენით კოლოსები ეთიოპიის ლეგენდარული მეფის, მემნონის გამოსახულებები იყო, რომელიც ტროას ომში აქილევსთან ბრძოლაში დაეცა. სავარაუდოდ, ეს დაკავშირება მოხდა იმის გამო, რომ თებეს ნეკროპოლისის იმ ნაწილს, რომელიც კოლოსებს ესაზღვრებოდა, მემნონეიას ეძახდნენ. კოლოსები მოინახულეს გერმანიკმა (ჩვ.წ. 19 წ.) და იმპერატორმა ადრიანემ (ჩვ.წ. 130 წ.). 199 წ. სეპტიმუს სევერუსმა, მათი მონახულების შემდეგ, კოლოსების რესტავრირება ბრძანა, რის შემდეგაც ისინი „დამუნჯდნენ". ითვლება, რომ მზის ამოსვლისას, როცა ქანდაკებებს უდაბნოს მზე ახურებდა, ნაპრალში ქვის ნაწილაკები ინყებდა ჩამოფცქვნას, რაც თავისებური ხმის გამოცემას ინვევდა (Helck und Otto, 1950, 219-220).

მემფისი — ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფოს პირველი დედაქალაქი. მდებარეობდა დელტის წვერიდან 25 კმ. სამხრეთით, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, პირველ ქვემოეგვიპტურ ნომში. ეგვიპტური ტრადიციის თანახმად, ქალაქი გაერთიანებული ეგვიპტის პირველმა ფარაონმა, მენესმა დააარსა სტრატეგიული მიზნით, რადგან ეს ადგილი ჩრდილოეთ და სამხრეთ ეგვიპტის ბუნებრივ საზღვართან მდებარეობდა და აქედან გაცილებით ადვილი იყო ორივე ეგვიპტეზე კონტროლის დანესება მათი გაერთიანების შემდეგ, ვიდრე შორეული სამხრეთული ტინისიდან, რომელიც გამარჯვებული სამხრეთეგვიპტური სამეფოს მეფეების სამშობლო იყო. თუმცა დღეს მენესის ფიგურა ბუნდოვანია, და ერთიანი ეგვიპტის პირველი ფარაონის ვინაობაზე განსხვავებული აზრი არსებობს, მაგრამ ქვეყნის გაერთიანების და ქალაქის დაარსების დრო (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 3100 წ.) ერთმანეთს ემთხვევა, რადგან იგივე პერიოდით თარიღდება მემფისთან, უდაბნოს კიდეზე მდებარე უძველესი სასაფლაოები. პირველი დინასტიით თარიღდება ასევე ქალაქის

მფარველი ღვთაების, პტახის უძველესი გამოსახულება (Petrie, 1913, pl.3, 37). პტახის გარდა, მემფსის უმნიშვნელოვანესი ღვთაებები იყვნენ მისი ტრიადის წევრები, მეუღლე სახმეტი და ვაჟიშვილი ნეფერტუმი. უმნიშვნელოვანესი იყო ასევე აპისის კულტი, რომელიც პტახის კას ცოცხალ გამოვლინებად ითვლებოდა. ჰეროდოტეს ცნობით (II, 99), მენესმა ააგო დიდი ჯებირი, შეუცვალა კალაპოტი ნილოსს და მდინარისაგან მიტაცებულ მინაზე ქალაქის მშენებლობა დაიწყო. მანვე გათხარა დიდი რეზერვუარი ტბისათვის, რომელიც ნილოსით იკვებებოდა. ქალაქის არაჩვეულებრივად მომგებიანმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ორი ეგვიპტის საზღვარზე და იმავდროულად სავაჭრო მარშრუტების გადაკვეთაზე საჰარას უდაბნოდან, ნითელი ზღვიდან და ლევანტიდან მისი მუდმივი ადმინისტრაციული მნიშვნელობა განაპირობა. ის იყო ეგვიპტის დედაქალაქი ძველი სამეფოს დროს. პირველი გარდამავალი პერიოდის ბუნდოვან წლებში მან ცოტა ხნით დაუთმო პრიორიტეტი ისეთ პროვინციულ ქალაქებს, როგორიც იყო ჰერაკლეოპოლისი, ჰერმოპოლისი და თებე, მაგრამ ამონემხატ I-ის მიერ ახალი სამეფო რეზიდენციის ლიშტთან დაარსების შემდეგ კვლავ იბრუნებს თავის მნიშვნელობას. ახალი სამეფოს დროს, როცა ქვეყნის დედაქალაქი თებე გახდა, ის ქვემო ეგვიპტის უმნიშვნელოვანეს ქალაქად ითვლება. მემფისი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას მესამე გარდამავალი პერიოდის დროსაც, რადგან ტანისელი ფარაონებისათვის მაინც მთავარი ადმინისტრაციული ცენტრი იყო. გვიანი პერიოდის დროს ის კვლავ სამეფო რეზიდენცია ხდება. მემფისის დაპყრობას ცდილობდა ყველა უცხოელი, რომელიც ეგვიპტეს თავს ესხმოდა. ასურელებმა პირველი შემოტევის დროს, მემფისის დაპყრობის შემდეგ თავიანთი მისია შესრულებულად ჩათვალეს, დელტის ქალაქებში თავისი ერთგული მმართველები დანიშნეს და ქვეყანა დატოვეს. სპარსელების ბატონობის დროს სპარსეთის სატრაპმა აქ დაიდო ბინა. პტოლემაიოსების დროს მემფისი მნიშვნელობით მეორე ქალაქი იყო ალექსანდრიის შემდეგ. თვითონ პტოლემაიოსების მეფედ კურთხევა მემფისში ხდებოდა. რომაული პერიოდის ტექსტები ქალაქის გრანდიოზულ სასახლეებს და ტაძრებს აღწერენ. ქალაქის დაკნინება ეგვიპტის არაბების მიერ დაპყრობით იწყება და განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს ელ-ფუსტატის (ძველი კაიროს) დაარსების შემდეგ, როცა მემფისის ტაძრები ახალი ქალაქისათვის საჭირო საშენი მასალის სამტეხლოებად გადაიქცა. დღეს ოდესღაც

ბრწყინვალე ქალაქი წარმოჩენილია დაახლ. 600 ჰექტარი ნანგრევების სახით თანამედროვე პატარა ქალაქებს — მით რაპინესა და აზიზიას შორის (Bard, (ed.), 1999, 488). ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ძველი სიდიადისაგან შემორჩა, არის რამსეს II-ის კოლოსალური ქანდაკება (დღეს წაქცეული) და ალებასტრის სფინქსი. ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში ქალაქს რამდენიმე სახელი ჰქონდა. ქალაქის უძველესი სახელი, „თეთრი კედელი" (ეგვ. *Inb ḥḏ*), ძველი სამეფოს ტექსტებშია დაფიქსირებული (de Garis Davies, 1901, II, pl. 4, 10, 13, 15). იგივე სახელი ერქვა ნომსაც (თეთრი ორი ეგვიპტის გამაერთიანებლების — სამხრეთის მეფეების ფერი იყო). ჰერაკლეოპოლისური პერიოდის დროს ქალაქს მოიხსენიებდნენ VI დინასტიის ფარაონის, ტეტის პირამიდის სახელით „მტკიცე (თავისი) ადგილებით" (ეგვ. *Ḏd isw.t,* Pap. de l'Ermitage 116A, 101). მოგვიანებით მას VI დინასტიის კიდევ ერთი ფარაონის, პეპი I-ის პირამიდის სახელი დაერქვა — „ძლიერი მშვენიერებით" (ეგვ. *Mn nfr*, Wb II, 63, საიდანაც წარმოიშვა ბერძნული „მემფისი"). პირველმა ნაქალაქარი ფრანგმა მოგზაურმა ჟან დე ტევენოტმა (1633-1667) შეამჩნია. პირველი გათხრები ჩაატარეს ფ. პეტრიმ (Petrie, Memphis, vols.I-III, London, 1909-1910) და ო. მარიეტმა (Mariette, Monuments divers, pl.30-35). გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა დიდი რაოდენობით არქეოლოგიური მასალა — ჭურჭელი, სტელები, ფიგურები, მაგრამ გადარჩენილი ნაგებობების რიცხვი ძალიან მწირია. ეგვიპტური ტრადიცია ჯერ კიდევ ახალი სამეფოს დროს ქალაქის მფარველი ღვთაების, პტახის ტაძრის დაარსებას მენესს მიაწერდა (Bonnet, Reallexikon, p.446), მაგრამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ რამსეს II-ის და მერნეპტახის მიერ აგებული კედლების ნანგრევებმა და რამსეს III-ის ნაოსმა, რომელიც მან მემფისის ტრიადას — პტახს, სახმეტს და ნეფერტუმს მიუძღვნა (Breasted, Ancient Records IV, § 311-334). ტაძრის სამხრეთ კარებთან ნაპოვნია რამსეს II-ის ორი კოლოსალური (4მ. სიმაღლის) ალებასტრის ქანდაკება. გათხრილია ასევე სეტი I-ის მომცრო ზომის კაპელა და აპრიესის სასახლის ნანგრევები, რომელშიც სენუსერტ I-ის პილონის ბლოკებია გამოყენებული. პტახის ტაძრის ჩრდილოეთით მერნეპტახის, აღმოსავლეთით კი სიამუნის ტაძრების ნანგრევებია. პტახის ტაძრის სამხრეთით მდებარეობდა აპისის ტაძარი, რომელიც ნექტანებოს II-მ ააგო. ნაპოვნია ასევე საკრალური ტბა ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში. ეგვიპტური ტექსტების მონაცემებით ქალაქი „რას დროიდან" არსებობდა და შუა სამეფოს დასაწყისისათვის აქ 10 000

მცხოვრები იყო. ჩენდლერის აზრით, მემფისში 30 000 ადამიანი ცხოვრობდა (Chandler, 1987, 57). ბარდი უფრო მოკრძალებულ რიცხვს – 6000-ს ასახელებს (Bard, 1999, p.250). პიანხის მეფობის დროს ქალაქს გარს ერტყა მაღალი კედელი და ფორტები (Montet, 1957, p.30). მონტე ასახელებს მემფისის რამდენიმე უბანს: 1. **ხუტკაპტახი** (ეგვ. *Ḥ.t k3 Pṯḥ-* „პტახის კას ტაძარი"). პირველად მოხსენიებულია ახალი სამეფოს დროს. აქ ცხოვრობდა რამსეს II თავისი ქალაქის, პერ-რამსესის აშენებამდე. არსებობს ასევე აზრი, რომ ჰუტკაპტაჰი იგივე პტახის ტაძრის და ქალაქის საკრალური სახელი იყო (Bonnet, 1952, 446), მაგრამ რამსეს III-ის ჰარისის დიდი პაპირუსის ტექსტში ცალ-ცალკეა მოიხსენიებული სამუშაოები, რომლებიც მან პტახის ტაძარში და ჰუტკაპტახში ჩაატარა (Pap. Harris I, 47, 6-7, Montet, 1957, 32). მანეთონი, რომელიც მემფისს, როგორც ჰიკაპტახს მოიხსენიებდა, მის სახელს ბერძნულად წერდა „Ai-gu-ptos", რამაც ეგვიპტეს მისცა სახელი, რომელსაც დღეს ვეძახით (Gardiner, 1947, II, 122*-124*). 2. **ნეჰეტი** (ეგვ. *Nht,* „სიკომორა"). ეს უბანი მიძღვნილი იყო „სიკომორას ქალბატონის", ქალღმერთ ხატხორისადმი და ჰარისის პაპირუსის თანახმად თეთრი კედლის სამხრეთით იმყოფებოდა (Pap. Harris I.47, 1). 3. **სობეკის კედელი** (ეგვ. *inb Sbk,* Pap Harris I.47, 1; 68, 9; 49, 7), სადაც ნიანგის სახის ღვთაების, სობეკის ტაძარი უნდა ყოფილიყო ჯერ კიდევ პეპი I-ის დროს. 4. **ჩენენეტი** (ეგვ. *Ṯ nnt*), სადაც იყო ტაძარი, მიძღვნილი პტახის და ასევე სოკარის და ოსირისისადმი, რომლებიც მემფისის ნეკროპოლისის მფარველები იყვნენ. 5. **ანხტაუი** (ეგვ. *ꜣnḫ tꜣwj* – „ორივე ქვეყნის სიცოცხლე"). მონტეს აზრით, აქვე მდებარეობდა სიამუნის სტელაზე მოხსენიებული „მემფისის ბაღები" (*bꜥht nt Mnnfr*). ბონე მიიჩნევს, რომ ანხტაუი მემფისის ნეკროპოლისის, ან მისი ერთი ნანილის სახელი იყო (Bonnet, 1952, 448). სტელა, რომელიც სმენდესის მეფობით არის დათარიღებული (Louvre C119), გვამცნობს მემფისში სირიული კოლონიის არსებობის შესახებ, რასაც მოწმობს ქალაქში ბაალის და ქადეშის კულტების გავრცელება (Montet, 1957, 32). **მემფისის ნეკროპოლისი** ქალაქის დასავლეთით, ლიბიის პლატოზე მდებარეობდა. აქ იგებდნენ პირამიდებს ძველი და შუა სამეფოს ფარაონები. მათ გვერდით მათი დიდებულების სამარხებია განლაგებული. აქვე მდებარეობს მემფისის სერაპეუმი და ნიუსერრას განთქმული მზის ტაძარი. მართალია, ახალი სამეფოდან სამეფო სამარხები მეფეთა ველზე იქნა გადატანილი, მემფისის ნეკროპოლისი, როგორც კერძო პირთა სასაფლაო, პტო-

ლემაიოსების ეპოქის დროსაც ფუნქციონირებდა. მემფისის ვრცელი ნეკროპოლისის სხვადასხვა ნაწილს დღეს იმ არაბული სოფლების და ქალაქების სახელებით მოიხსენიებენ, რომლებიც მათ სიახლოვეს იმყოფებიან. ესენია (ჩრდილოეთიდან სამხრეთით): **აბუ როაში, გიზე, ზავიეტ ელ არიანი, აბუსირი და საქქარა** (იხ.). ჩეხების ექსპედიციამ 1990-იან წლებში გათხარა გალავანი (გისრ ელ-მუდირი, 650მ.x350მ.), მაგრამ მისი მშენებელი და დანიშნულება ჯერ დადგენილი არ არის. აქ ნაპოვნი კერამიკა II დინასტიით (და შესაძლოა ხასეხემუის მეფობით) თარიღდება და ამ ვარაუდის დადასტურების შემთხვევაში ჯოსერის პირამიდა აღარ იქნება მსოფლიოს უძველესი ქვის ნაგებობა.

მემფისის კოსმოგონია — მემფისის კოსმოგონიამ ჩვენამდე XXV (ნუბიური) დინასტიის ფარაონის, შაბაკას წყალობით მოაღწია. მისი ბრძანებით ტექსტი გადაწერილი იქნა გრანიტის ფილაზე პაპირუსიდან, „რომელიც ჭიებმა ნახევრად შეჭამეს" (Sethe, 1928, 20). მართალია, ფილა არაბებმა წისქვილის ქვად გამოიყენეს და ამდენად, ტექსტის ცენტრალური ნაწილი დაზიანებულია, გადარჩენილი ნაწილი ეგვიპტოლოგიისათვის მაინც ძალიან დიდ მონაპოვარს წარმოადგენს. ენის ანალიზზე და ტექსტის ტენდენციაზე დაყრდნობით, კოსმოგონია IV-V დინასტიების დროით არის დათარიღებული, როცა მემფისი ეგვიპტის დედაქალაქი იყო და ჩრდილოეთ ეგვიპტის ძველ რელიგიურ ცენტრს, ჰელიოპოლისს უპირისპირდებოდა კულტურული და რელიგიური პირველობისათვის ბრძოლაში. ბუნებრივია, მემფისს წინა პლანზე თავისი მფარველი ღმერთის, პტახის წამოწევა უნდოდა (*იქვე*, 5). ნუბიელმა ფარაონმა შემოგვინახა ტექსტი, რომელიც დღეს სამყაროს შექმნის მსოფლიოში უძველეს ფილოსოფიურად გააზრების მცდელობად არის მიჩნეული (Breasted, 1901, 39). კოსმოგონიაში პტახი არა მარტო უძველეს ღვთაებად და შეომქმედად არის შერაცხული. ესაა პირველი მცდელობა ეგვიპტურ რელიგიაში, ყველა დიდი ღვთაება და თვით პირველყოფილი ქაოსური წყლები (ნუნი) ერთადერთი ღმერთის, პტახის სხვადასხვა გამოვლინებად იყვნენ გამოცხადებული. ჰელიოპოლისის დიდი ღვთაებები პტახის გამოვლინების ფორმებად არიან წარმოდგენილი. პტახი ყველაფრის და ყოველის ბატონია, რადგან ის არის არა მარტო ყველა ღმერთში, არამედ ყოველივე ცოცხალში, და საერთოდ ყველაფერში, რაც არსებობს. განსხვავებით სხვა ეგვიპტური კოსმოგონიებისაგან, სადაც სამყაროს შექმნამდე არსებობდა პირველყოფილი ქაო-

სი, ნუნი, და სამყაროს შექმნა დემიურგის ნუნიდან გამოსვლით ინყება, მემფისის კოსმოგონიაში პტახი თავად არის გაიგივებული პირველყოფილი ქაოსის ნყლებთანაც. ღირსშესანიშნავია პტახის შემოქმედების მეთოდიც. აქ შემოქმედებითი ძალით ღვთაების გული (ე.ი. გონება, რადგან ეგვიპტელი გულს აზროვნების წყაროდ მიიჩნევდა) და მის მიერ ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვა არიან დაჯილდოებული. ყველაფერი არსებობდა პტახის გონებაში და რეალობა ღმერთის მიერ ხმამაღლა დასახელებით შეიძინა. „ენეადა მხოლოდ კბილები და ტუჩებია მის (პტახის) პირში, რომელმაც ყველაფერი წარმოთქვა... თვალთა ხედვა, ყურთა სმენა, ჰაერის შესუნთქვა — ყველაფერი მისი (პტახის) გონების შექმნილია. გონებამ მოიფიქრა, პირმა კი ხმამაღლა წარმოთქვა ყველაფერი... ასე შეიქმნა კაუ და ხემსუტი, ყველა მსხვერპლშესაწირის და საკვების შემქმნელები, ამ სიტყვით, რომელმაც შექმნა სიყვარული და სიძულვილი. ასე მიეცა სიცოცხლე მოსიყვარულეს და სიკვდილი — მოძულეს. ასე შეიქმნა ყველა სამუშაო და ხელოვნება... მან შექმნა ღმერთები, ქალაქები, გაანაწილა ღმერთები თავიანთ საკულტო ადგილებში... და კმაყოფილი იყო პტახი მის მიერ შექმნილით (Хведелидзе, 1979, 147). მემფისის კოსმოგონია სამყაროს შექმნის ძველი აღქთმისეული წესის (ღმერთის მიერ სიტყვების ხმამაღლა წარმოთქმის) და ლოგოსის ქრისტიანული ცნების წინამორბედად არის მიჩნეული (Lesko in: Shafer (ed.), 1991, 96). მაგრამ ასეთი აბსტრაქტული ღვთაების ბუნდოვანმა სახემ ვერ აჯობა ყოვლისმომცველ მზეს, და V დინასტიიდან რამ (და შესაბამისად პელიოპოლისის იდეოლოგიამ) წამყვანი რელიგიის როლი დაიმკვიდრეს ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებამდე, თუმცა მემფისის ქურუმების მცდელობით პტახი ეგვიპტის ერთ-ერთი უდიდესი ღვთაება გახდა და ყოველთვის ამონთან და რასთან ერთად მოიხსენიებოდა.

მენატი — (ასევე მენიტი, ეგვ. *mnj.t,* Wb II, 75), მარგალიტების ან მეტალის ჯაჭვის მძივი, რომელიც ჩვეულებრივ ხელში ეჭირათ მომღერალ ქალებს. დაფიქსირებულია შუა სამეფოდან. მენატი საკრალური მუსიკალური ინსტრუმენტი და ხატხორის ფეტიში იყო. როგორც ფეტიში, მოიხსენიებოდა ასე: „დიდი მენატი, რომელიც მენატის სახლში ცხოვრობს". საკრალურ ცეკვებს ჩვეულებრივ მენატის ჟღარუნი ახლდა. ხატხორის გარდა, მენატი ბევრი ღმერთისათვის ითვლებოდა ძალის მიმცემ ამულეტად, მაგრამ „მენატის ქალბატონებს" (ეგვ. *nb.t mnj.t,* Wb, იქვე)



მენატი

მუტს და ხატხორს ეძახდნენ. ბერძნული პერიოდიდან თვითონ ხატხორს მოიხსენიებდნენ, როგორც „მენატს“ ან „მენატის სახლს“ (ეგვ. *ḥw.t mnj.t,* Wb II, 76). გვიანი ახალი სამეფოს დროიდან მენატს გარდაცვლილების კისერზეც ვხვდებით, როგორც ჩანს, მას ამულეტის დანიშნულება ჰქონდა.

მენდესი — (ეგვ. *ʿnp.t,* Wb I.192 და *Ḏd.t*, Wb V, 630), ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ დელტაში, ნილოსის დელტის მენდესურ ტოტზე. იყო მეთექვსმეტე ქვემო ეგვიპტური ნომის დედაქალაქი. დღეს მის ადგილზეა ორი ბორცვი, თელ ელ-რუბა და თელ ტიმაი. დასახლებული იყო ჯერ კიდევ წინადინასტიური დროიდან და ბორცვების არქეოლოგიური შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია ეგვიპტური სახელმწიფოს ფორმირების პერიოდის შესასწავლად. მენდესი მოიხსენიებოდა ორივე სახელით ეგვიპტის გრძელი ისტორიის განმავლობაში: „ანეპეტი“ დაფიქსირებულია უკვე ჯერის (I დინასტია) მეფობის დროს, „ჯედეტი“, რომელიც უფრო ხშირად გვხვდება და საიდანაც ბერძნული „მენდესი“ წარმოიშვა, IV დინასტიიდან (Bard (ed.), 1999, 499). მენდესში უძველესი დროიდან ეთაყვანებოდნენ ვერძის სახის ნაყოფიერების მომტან ღვთაებას — ბანებჯედს და მის ცოლს, თევზის სახის ქალღმერთს — ხატმეხიტს (*Ḥ3.t mḥj.t*, „თევზების ქალბატონი“). ამდენად, მენდესს ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც „ბას (ან ვერძის), მენდესის ბატონის სახლს“ (ეგვ. *Pr bꜣnb-Ḏd.t.*), თვითონ ღვთაების სახელი კი „ჯედეტის ბატონის სულს“ ნიშნავს. ქალაქის სახელი შემონახულია ახლომდებარე სოფლის, ჯემა ელ-აბდიდის სახელში (Gardiner, 1947, II, 150-152*). ამ წყვილის მნიშვნელობაზე უძველეს დროში ისიც მეტყველებს, რომ ხატმეხიტის სახელი დაერქვა მეთექვსმეტე ნომს. მოგვიანებით, ოსირისის კულტის გავრცელებასთან ერთად, ბანებჯედის და ხატმეხიტის შვილად ხარპოკრატოსს მოიხსენიებდნენ (Helck, 1976, 65). წარმოშობით მენდესიდან იყო ეგვიპტის უკანასკნელი ეგვიპტური (XXIX) დინასტია (Helck und Otto, 1956, 222). ბერძნულ პერიოდში, როცა სავარაუდოდ მენდესური ტოტი დაშრა, ქალაქმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა და ნომის დედაქალაქი მეზობელი თმუისი გახდა. გათხრები მენდესში ძირითადად XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მიმდინარეობს. აღმოჩენილია ძველი სამეფოს ნეკროპოლისი, სადაც 9000 სამარხია დაფიქსირებული. ახალი სამეფოს ტაძრის გათხრების დროს მოძიებულია მერნეპტახის (XIX დინასტია) ნეგებობის ნაშთები. სავარაუდოდ, ტაძარს ოთხი პილონი ჰქონდა, რომელთა კონსტრუქცია შუა

სამეფოს დროს დაიწყო. მოძიებულია აგურები თოტმეს III-ის (XVIII დინასტია) სახელით და ნივთები რამსეს II-ის, რამსეს III-ის და მერნეპტახის სახელებით. აღმოჩენილია ასევე ნეფერიტეს I-ის სამარხი, რომელიც სავარაუდოდ სპარსელებმა დაარბიეს. მენდესის ბორცვებზე ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა უწყვეტი სტრატიფიკაცია I დინასტიამდე, ასე რომ, გათხრები აქ დღესაც მიმდინარეობს (Bard (ed), 1999, 497-500).

მენესი — მანეთონის და ეგვიპტური ტრადიციის თანახმად, გაერთიანებული ეგვიპტის პირველი მეფე. ასევე ეგვიპტური გადმოცემის თანახმად, მან იმეფა 60 წელინადს, ჩაატარა ექსპედიცია ქვეყნის გარეთ და დიდი აღიარება მოიპოვა. დაიღუპა ნადირობისას ბეპემოტის მიერ მიყენებული ტრავმებისაგან (Manetho, 1956, 31). რადგან მენესის სამარხი დღემდე არ არის ნაპოვნი, იეროგლიფების კომბინაცია „mn" კი ორი მეფის — ნარმერის და ხორ ახას წარწერებშია მოძიებული, მეცნიერების აზრი გაყოფილია. ზოგიერთი ვერსიის თანახმად, მენესი იგივე ნარმერია, სხვების აზრით — ხორ-ახა. არსებობს ისეთი ვარაუდიც, რომ ნარმერი და ხორ-ახა რეალურად ერთი და იგივე პიროვნება იყო. ვ. ემერი, რომელიც დღემდე ამ პერიოდის ეგვიპტის საუკეთესო სპეციალისტად არის მიჩნეული და თავად ატარებდა გათხრებს აბიდოსში, ხორ-ახას სასარგებლოდ იხრება (Emery, 1961, 37). მეორე მხრივ, ყველა ძირითადი მეფეთა სია (საქქარას სიის გამოკლებით, რომელშიც მეფეთა ჩამოთვლა რამდენიმე მეფით გვიან იწყება), პირველ ფარაონად მენესს ასახელებს. დინასტიური ეგვიპტის ერთ-ერთ მახასიათებელს ნარმოადგენს ჩანაწერების შედგენა, სადაც აღწერილი იყო ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა მეფეების წლების მიხედვით. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი, V დინასტიაში შედგენილი პალერმოს ქვის ანალები სწორედ ასეთ ჩანაწერებზე დაყრდნობით იყო შედგენილი, ამიტომ დასაფიქრებელია, რომ ეს ჩანაწერები იწყება იმ მეფეებით, რომლებსაც დღეს I დინასტიას მიაკუთვნებენ. შესაძლოა, მენესი (ხორ-ახა ან ნარმერი), რომლის მეფობაც ეგვიპტური სახელმწიფოს ფორმირების დამაგვირგვინებელ ფაზას დაემთხვა, იყო პირველი მეფე, რომელიც წერილობით იქნა დაფიქსირებული ასეთ ქრონიკებში. პალერმოს ქვაზე, მენესის ზემოთ, ცალ-ცალკე დანაყოფებში მოთავსებულია მეფეთა სახელები და მათი დამჯდარი ფიგურების გამოსახულებები. ზოგიერთ მათგანს თავზე ქვემო ეგვიპტის, ზოგიერთს კი ორმაგი გვირგვინი აქვს დადგმული. მათ

არ ახლავს არავითარი მოვლენების აღწერა, რადგან უკვე V დინასტიის დროს მათ შესახებ მეტი არაფერი იყო ცნობილი. მათ ეგვიპტური ტრადიცია მოიხსენიებს, როგორც „სულებს", რომლებიც მეფობდნენ ღმერთების შემდეგ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მათგანი ორმაგი გვირგვინის მფლობელია, შეიძლება მიუთითებს იმაზე, რომ ადრეული პერიოდის ეგვიპტელები არ მიიჩნევდნენ მენესს ერთიანი ეგვიპტის პირველ ფარაონად, რაც უკეთ ერგება ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფოს ფორმირების უფრო გახანგრძლივებულ პერიოდს, რომელსაც არქეოლოგიაც გვკარნახობს (Kemp, 1991, 46).

მენკაუხორი — (ეგვ. *Mn-kȝw-Ḥr,* „ძლიერია ხორის კა"), მეხუთე დინასტიის მეშვიდე ფარაონი (დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXIV ს.). შესაძლოა, ნიუსერრას შვილი. იმეფა დაახლ. ათ წელინადს. მისი მეფობის შესახებ არაფერია ცნობილი. წარწერების თანახმად, იყო ბოლო ფარაონი, რომელმაც ააგო მზის ტაძარი, მაგრამ ის ნაპოვნი არ არის. არ არის ნაპოვნი არც მისი პირამიდა, თუმცა აღმოჩენილია მისი პირამიდის ქურუმების სამარხები, და მათ მდებარეობაზე დაყრდნობით, ვარაუდობენ, რომ ის, ქვიშით დაფარული, სადღაც სამხრეთ აბუსირსა და ჩრდილოეთ საქქარას შორის მდებარეობს (Malek In Shaw (ed.), 2003, 100). ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ჩრდილოეთ საქქარაში ახალი სამეფოს დროს მისი კულტი არსებობდა (Grimal, 2003, 78). მენკაუხორის მცირე ზომის ქანდაკება ნაპოვნია მემფისში. სინაიზე მისი მეფობით დათარიღებული წარწერებით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ მის დროს გრძელდებოდა სინაის მაღაროების დამუშავება. მენკაუხორის დროს ხდება უდიდესი ძვრები რელიგიაში და წარმოდგენებში მიცვალებულთა კულტის შესახებ. კერძო პირების სამარხების წარწერებში ჩნდება ახალი ღმერთი, რომელიც ზრუნავს გარდაცვლილებზე — ოსირისი. IV დინასტიაში ეს გარდაცვლილი ფარაონის ფუნქციას წარმოადგენდა, რადგან ფარაონი გარდაცვალების შემდეგაც უზენაეს ღვთაებად რჩებოდა. V დინასტიიდან მისი ეს ფუნქცია რას დაეკისრა. მაგრამ თანდათან რა ამქვეყნიური სამყაროს ღმერთი გახდა, და მიცვალებულების დაცვა სხვა ღმერთს დაეკისრა. ოსირისის კულტის გამოჩენას მოჰყვა დიდი ცვლილებები ეგვიპტელის ცხოვრებაში და წარმოდგენებში. ამ დროს ემთხვევა პიროვნული თვითშეგნების საოცარი ზრდაც. პროვინციელი მოხელეები აღარ ცდილობდნენ, თავიანთი მასტაბები ფარაონის სიახლოვეს აეგოთ, რომლის

მმფარველობის ქვეშ ისინი დაცულად გრძნობდნენ თავს. ახალა ისინი იგებდნენ სამარხებს ეგვიპტის იმ რაიონებში, სადაც ცხოვრობდნენ და მსახურობდნენ, და გარდაცვალების შემდეგ მფარველად უკვე არა ფარაონი, არამედ ოსირისი ჰყავდათ წარმოდგენილი. ამავე პერიოდს ემთხვევა მოხელეების პირველი მცდელობები, მემკვიდრეობითად გადაექციათ თავიანთი თანამდებობები, რამაც ბიძგი მისცა არისტოკრატიული ფენის ჩამოყალიბებას. მათ დაიწყეს ძველი, ხშირად დავიწყებული ნოდებების მიღება, რომლებსაც ადრე მხოლოდ უფლისწულები ატარებდნენ (Helck, 1968, 68-69).

მენკერეტი – (ეგვ. *Mnkr.t,* Wb II, 91), ლომის სახის ქალღმერთი, დაკავშირებული იყო დაკრძალვის რიტუალთან. ამდუატის მეათე საათში მოიხსენიება იმ ღმერთებს შორის, რომლებიც ხორის თვალს იცავენ (Bonnet, 1952, 452).

მენქეტი – (ეგვ. *Mnḳ.t,* Wb II, 90), ლომის ან ლომის თავიანი სახის ქალღმერთი, რომელიც მკვდართა წიგნში გარდაცვლილთა მფარველად გვევლინება. ასევე, ამზადებდა გარდაცვლილთათვის ლუდს და მსხვერპლად სწირავდა (Roeder, 1915, 269). ბერძნულ პერიოდში ძირითადად ეთაყვანებოდნენ, როგორც ლუდის ქალღმერთს.

მენტი – (ეგვ. *Mn.t,* Wb II, 68), ქალღმერთი ლომის იკონოგრაფიით. ნარმოშობის ადგილი უცნობია. გვიანდელ პერიოდში შეერწყა მეიტს, პახეტს, სახმეტს და ტეფნუტს (Bonnet, 1952, 455).

მენხეპერრა – ამონის მთავარი ქურუმი თებეში XXI დინასტიის დროს, პაინოჯემ I-ის, ასევე მთავარი ქურუმის შვილი, რომელმაც თავი მეფედ გამოაცხადა და ფაქტობრივად ტანისელი ფარაონების თანამმართველი გახდა. ცნობილი „გასახლების სტელის" ("Banishment Stela", Louvre C.256) თანახმად, მენხეპერრა თებეში თავად ამონის ორაკულმა „გამოიძახა", რომ მას „დაეწყნარებინა ქვეყანა და დაესაჯა მისი (ამონის) მტრები". სავარაუდოდ, პაინოჯემის ქმედებებმა თებეში ყველა უმაღლეს თანამდებობაზე თავისი ძმების და შვილების დანიშვნასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოიწვია თებეს ძველ ოჯახებში, რომლებიც თავიანთ ისტორიას ჯერ კიდევ რამესიდების პერიოდიდან ითვლიდნენ. არეულობა ჩახშობილი იქნა და ლიდერები დასავლეთ ოაზისებში გაასახლეს, მაგრამ მენხეპერრა, როგორც

ჩანს, შეეცადა შემრიგებლური პოლიტიკა ეწარმოებინა თებეს არისტოკრატიულ ოჯახებთან, და კვლავ ამონის ორაკულით „წახალისებულმა", გადასახლებულები უკან დააბრუნა. როგორც ჩანს, რაღაც კონსენსუსი შედგა, და ამის შემდეგ თებეში მშვიდობა იყო. მენხეპერრას, მამისაგან განსხვავებით, სერიოზული პრეტენზია მეფობაზე აღარ განუცხადებია. მართალია, მის მიერ ელ-ჰიბეში აგებული შენობების აგურებზე გვხვდება წოდება „ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფე", მაგრამ მას არასოდეს გამოუყენებია კარტუში. უნდა აღინიშნოს, რომ აგურებზე ასევე მისი ცოლის, ისტემხების სახელიც იყო ამოტვიფრული, რის გამოც ელ-ჰიბეს „ტეუჯოი"-საც ეძახიან, რაც „მათ კედლებს" ნიშნავს. ელ-ჰიბეს სამხრეთით მენხეპერრამ ააგო კიდევ ერთი ფორტი, რომელიც მას საშუალებას აძლევდა, გაეკონტროლებინა მდინარის მთელი ტრანსპორტი შუა ეგვიპტის ჩრდილოეთ ნაწილში. თებაიდის ჩრდილოეთით, კუსასთან მან ააგო ფორტი, რომელიც აკონტროლებდა თებეში ვადი ჰამამატიდან მიმავალ ტრანსპორტს. თებეს სამხრეთით ასევე მოძიებულია მენხეპერრას და ისტემხების აგურებით ნაგები ფორტი, რომელმაც ტერიტორია თებესა და ასუანს შორის მისი მეთვალყურეობის ქვეშ მოაქცია. მისი ორი შვილი, სმენდესი და პაინოჯემი მისი გარდაცვალების შემდეგ ასევე ამონის მთავარი ქურუმები იყვნენ (Kitchen, 1973, §§217-218, 226-227).

მენხიტი – (ეგვ. *Mnḥ.t*, Wb II, 84), ლომის ან ლომისთავიანი ქალის იკონოგრაფიის მქონე ბრძოლის ქალღმერთი. ეთაყვანებოდნენ ლეტოპოლისში. ხშირად აიგივებდნენ მუტთან, სახმეტთან და ბასტეტთან. ბერძნულ პერიოდში ასე მოიხსენიებდნენ ხატხორსაც (*იქვე*). სეტი I ბრძოლის სცენებში მოიხსენიება, როგორც „ის, ვინც უყვარს მენხიტს". იყო ლეტოპოლისის მთავარი ღვთაების, ხნუმის მეუღლე და ხიკეს დედა (Bonnet, 1952, 451).

მერენრა – (ეგვ. *Mr-n-Rʿ*, „ვინც უყვარს რას", დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2287-2278 წწ.), VI დინასტიის ფარაონი, პეპი I-ის უფროსი ვაჟიშვილი და მემკვიდრე. ტურინის მეფეთა სიაში მისი მეფობის წლების მოხსენიების ადგილას ლაკუნაა და შემორჩენილია მხოლოდ ცნობები მოსავლის მეხუთე და მეექვსე გადათვლის შესახებ, რაც დაახლოებით ემთხვევა მანეთონის მიერ დასახელებულ მეფობის შვიდ წელს (Manetho, 1960, 55). სავარაუდოდ, მერენრა ძალიან ახალგაზრდა, თითქმის ბავშვის ასაკში გარდაიცვალა და მისმა მეფობამ ექვს წელს (Helck, 1968,

74), ან დაახლოებით ათ წლამდე გასტანა, რასაც მისი პირამიდის დაუსრულებელი მდგომარეობაც ადასტურებს, რომელიც მან სამხრეთ საქქარაში, მამის პირამიდის სიახლოვეს ააგო (Grimal, 2003, 86). ექსპედიციებზე ნუბიაში გვამცნობენ მერენრას დროის წარწერები (Breasted, §§316-318) და მოხელეების, უნის და ხარხუფის ბიოგრაფიები. უნი, რომელიც ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამსახურის შემდეგ (მერენრა მისთვის მესამე ფარაონი იყო, რომლის დროსაც ის გარდაიცვალა) სამხრეთ ეგვიპტის მმართველად იქნა დანიშნული, თავად ხელმძღვანელობდა ხუთი არხის გათხრას ნილოსის პირველ ჭორომთან. არხებს უნდა გაეადვილებინა გემების მიმოსვლა ნილოსის ამ ნავიგაციისათვის რთულ მონაკვეთში (*იქვე*, §§319-324). ხარხუფი თავის ავტობიოგრაფიაში გვამცნობს ნუბიაში სამი ექსპედიციის შესახებ, რომელსაც ის ხელმძღვანელობდა (*იქვე*, §§325-336). ამ დროისათვის ნუბიაში უკვე ჩამოყალიბებული იყო სამთავროები: ვავატი, (ეგვ. *Wȝwȝt*), თანამედრ. კოროსკოს მიდამოებში; ირეჩეტი (ეგვ. *Irṯ.tj*) თომასთან; საჩუ (ეგვ. *Sṯȝw*) ფარასთან და იამი (ეგვ. *Ỉꜣm*) ნილოსის პირველ და მეორე ჭორომებს შორის. ამ რაიონებში ეგვიპტის საქარავნო გზები გადიოდა. ნუბია, როგორც ჩანს, უკვე ეწინააღმდეგებოდა ეგვიპტურ კოლონიზაციას, რაზეც მეტყველებს ეგვიპტელი ნაცვალების წერილები, რომლებიც ეგვიპტეს სამხედრო დახმარებას სთხოვდნენ (Helck, 1968, 74). ხარხუფის ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ მისი მესამე ექსპედიციის დროს ერთი ნუბიური სამთავრო (იამი) მეორესთან საბრძოლველად ემზადებოდა, რასაც შეიძლებოდა ამ პოლიტიკური ნარმონაქმნების გაერთიანება მოჰყოლოდა, რაც არ აწყობდა ეგვიპტეს. ხარხუფმა, რომელიც კარგად ერკვეოდა ეგვიპტის პოლიტიკურ ინტერესებში, სასწრაფოდ მიიღო გადაწყვეტილება და დიპლომატიური ხრიკებით ეს ბრძოლა ჩაშალა (Breasted, 1962, §§335-336). სავარაუდოდ, მერენრას დროს არა მარტო მოხდა ნუბიის დაწყნარება, მისი ნაცვალები ნილოსის მესამე ჭორომის სამხრეთითაც იყვნენ (Grimal, 2003, 85).

მერიმდეს კულტურა – ჩრდილოეთ ეგვიპტის ნინადინასტიური კულტურა, ყველაზე დიდი დასახლება აღმოჩენილია მერიმდესთან, დასავლეთ დელტაში. ქრონოლოგიურად მოიცავს მეხუთე ათასწლეულის დასასრულს და მეოთხე ათასწლეულის დასაწყისს, და დაახლოებით ემთხვევა ნაქადა I-ლ (ამრატიულ) კულტურას სამხრეთ ეგვიპტეში (Trigger, 2003, 8). კავშირი იგრძნობა ფაიუმის A ჯგუფის კულტურასთან და

ასევე დასავლეთ აზიასთან. მოსახლეობა ცხოვრობდა პატარა ქოხებში. მერიმდეს კერამიკა არ არის დეკორირებული, ნაპოვნია დიდი რაოდენობით ქვის იარაღი (Bard, 1999, 501-503). მიცვალებულებს ასაფლავებდნენ დასახლების შიგნით, სამარხებში თითქმის არ ატანდნენ ნივთებს. მეტალი ნაპოვნი არ არის (Trigger, 2003, 24).

მერნეპტახი — (ეგვ. *Mr-n-Pṯḥ*, „ვინც უყვარს პტახს", დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1224-1214), XIX დინასტიის ფარაონი, რამსეს II-ის ვაჟიშვილი. რამსეს II-ის ხანგრძლივი (67წელი) მეფობის დასასრულისათვის მისი უფროსი შვილები გარდაცვლილები იყვნენ და მერნეპტახი, რიგით მეცამეტე, თავის მექვსე ან მეშვიდე ათწლეულში გადასული. ხანდაზმული ფარაონი ტახტზე უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში ავიდა, როცა საშიშროება ერთდროულად დაემუქრა ეგვიპტეს ჩრდილო-აღმოსავლეთის, ჩრდილო-დასავლეთის და სამხრეთის მხრიდან, მაგრამ მერნეპტახმა გაამართლა თავისი დიდი მამის სახელი. მისი გამეფების პირველ ან მეორე წელს დაიწყო არეულობა ქანაანში, ასე რომ მერნეპტახმა მოაწყო ლაშქრობა ამ მიმართულებით. მან ჩაახშო არეულობა სანაპირო ზოლზე და უფრო სიღრმეშიც (ასკალონში და გეზერში), დასავლეთის მთებში (ისრაელში) და უფრო ჩრდილოეთითაც, გალილეაში (იენოამში). უკვე მეხუთე წელს მერნეპტახს ლიბიელების და ზღვის ხალხების კოალიციასთან მოუხდა შებრძოლება. სახელი „ზღვის ხალხები" დაფიქსირებულია მერნეპტახის დროინდელ წარწერებში („ზღვის უცხო ხალხები"). უფრო დაწვრილებით მერნეპტახის გადამწერები მოიხსენიებენ მათ, როგორც ტურშა, შერდენი, შეკელეში და აკაივაშა. ამ კოალიციის ბელადები იმდენად ჩახედულები იყვნენ ეგვიპტის შინაურ საქმეებში და იმდენად გარკვეული ომის ხერხებში, რომ ეგვიპტეზე შემოტევის თანადროულად მათ ჩაატარეს მოლაპარაკება ნუბიელებთან იმ მიზნით, რომ არეულობა ნუბიაში კოალიციის ეგვიპტეზე თავდასხმის პარალელურად დაწყებულიყო. მერნეპტახმა ისეთი სწრაფი რეაგირება მოახდინა კოალიციის შემოტევაზე და იმდენად სწრაფად გაანადგურა მისი ჯარები, რომ ნუბიელებმა ვერც მოასწრეს აჯანყების ორგანიზება. როცა არეულობა ნუბიაში მაინც დაიწყო, ის ადვილად ჩაახშო მეფის ნაცვალმა (Kitchen, 2003, XXV). მერნეპტახის მეფობიდან შემოინახა მისი სასახლის ნანგრევები მემფისში (O'Connor an Silverman (editors), 1995, 290) და ტექსტები, რომლებშიც ის თავის საგმირო საქმეებს აღწერს. მერნეპტახის

ერთ-ერთ ასეთ წარწერაში (ე.წ. „ისრაელის“, ან „გამარჯვების სტელა“) პირველად (და ერთხელ ახალი სამეფოს დროს) მოხსენიებულია „ისრაელი“. გრანიტის სტელა (2.5 მ. x 1 მ., დღეს დაცულია კაიროს მუზეუმში) აღმოაჩინა ფ. პეტრიმ მერნეპტახის სამარხში მეფეთა ველზე. სტელაზე მოთავსებული ტექსტი ხოტბას ასხამს მერნეპტახის გამარჯვებებს სირია-პალესტინაზე და ლიბიელებზე. ის ასევე წარმოადგენს ერთადერთ არგუმენტს იმის სასარგებლოდ, რომ ისრაელი ჩამოყალიბებული იყო ჩვ.წ.-მდე 1250 წლისათვის და „გამოსვლას“ ადგილი ჰქონდა რამსეს II-ის მეფობის დროს (Matthews and Benjamin, 1997, 91). მოგვიანებით იგივე ტექსტი აღმოჩენილი იქნა კარნაკშიც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის, ვინც უარყოფს ბიბლიის ასეთ სიძველეს, არსებობს კრიტიკული აზრი მერნეპტახის „ისრაელის“ და ებრაული „ისრაელის“ იდენტურობის შესახებ (Sparks, 1998, 96). მერნეპტახის გარდაცვალების შემდეგ ტახტს იპყრობს უზურპატორი ამონემესი, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მერნეპტახის მემკვიდრე, სეტი II მაინც ახერხებს ტახტზე ასვლას (Grimal, 2003, 269).

მეროე – ნუბიის (კუშის) დედაქალაქი ნაპატას შემდეგ. მდებარეობდა ნაპატასაგან 450 კმ. სამხრეთით, ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე. არქეოლოგიური მონაცემებით, ქალაქის ისტორია ჩვ.წ.-მდე VII საუკუნიდან იწყება. მეროე ნუბიის ყველაზე დიდი დასახლება იყო. კლასიკური ავტორები (დიოდორე, I, 33; სტრაბონი, I, 2), რომლებსაც მეროე თავისი თვალით არ უნახავთ, მას მოიხსენიებენ, როგორც კუნძულს, რაც დღემდე იწვევს გაუგებრობას. სინამდვილეში ქალაქი იდგა ნილოსის მაღალ ნაპირზე, და არა კუნძულზე. კუნძულს წარმოადგენს მეზობელი ბუტანას რეგიონი, ნილოსსა და მის შესართავ ატბარას შორის, რომელსაც მეროეს კუნძულს ეძახიან. ქალაქის აღმოსავლეთით რელიეფი ტერასებით ინევა უდაბნოს დაბალი გორაკებისაკენ. ამ გორაკების ძირში განლაგებულია ცნობილი მეროეს პირამიდები. პირამიდებს და ქალაქს შორის მდებარეობს მეროეს „არასამეფო“ სასაფლაო. ბევრი მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, თუ რატომ დააარსეს ნუბიელებმა ქალაქი ასე შორს თავიანთი დედაქალაქისაგან და შემდგომ რატომ გადაიტანეს იქ დედაქალაქი. ზოგიერთის აზრით, ეს უკეთესი კლიმატური პირობებით იყო გამოწვეული, რადგან მეროე ყოველწლიური ზაფხულის წვიმების სარტყელში მდებარეობს და მიწათმოქმედების და მესაქონლეობისათვის ვარგისი მი-

წების ზოლი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ნაპატასთან. თუმცა ეს ადგილი ნაკლებ ხელსაყრელი იყო ეგვიპტესთან ვაჭრობისათვის, ის გაცილებით უფრო მომგებიანი იყო სოფლის მეურნეობისათვის, უფრო ახლოს ცენტრალური და სამხრეთ სუდანის მდიდრული საქონლის წყაროებთან. შესაძლოა ასევე, რომ ქალაქის სამხრეთით დაარსების მიზეზი არა ფიზიკური, არამედ „ადამიანური გეოგრაფიის" სფეროშია საძებნი. მსგავსად ყველა დიდი ქალაქისა, მეროეს სიმდიდრის წყარო საგარაუდოდ უფრო ვაჭრობა იყო, ვიდრე ბუნებრივი რესურსები. თავის დროზე ნაპატამ და კავამ მნიშვნელობა მოიპოვეს, როგორც უმნიშვნელოვანესი საქარავნო მარშრუტის (მეპეილას გზის) ტერმინალურმა პუნქტებმა. მეროე ამ მარშრუტის შემდგომ, უფრო მნიშვნელოვან გაგრძელებას წარმოადგენს. ქალაქი მდებარეობს დიდი საქარავნო გზის ბოლოში, რომელიც კვეთს ბაიუდას სტეპს ისე, რომ გვერდს უვლის ნილოსის მძიმე მეოთხე და მეხუთე ჭორომებს. ამ გზის განვითარებამ მოხსნა ჭორომების პრობლემა და ცენტრალურ სუდანამდე მიაღწია. ასეთ შემთხვევაში მეროე თავის არსებობას ამ გზას უნდა უმადლოდეს, რადგან მარშრუტმა კუშის ჩრდილოეთი და სამხრეთი დააკავშირა, ნაპატა და მეროე კი მისი ორი ტერმინალი იყო (Edwards, 1977, 294-303). ზოგიერთი მოსაზრებით, ეგვიპტის ფარაონის, ფსამტიხ II-ის სამხედრო კამპანიის დროს კუშში ჩვ.წ.-მდე VI ს. დასასრულს, ნუბიის მეფის, ასპალტას დროს, ნაპატა ძალიან დაინგრა, რასაც დედაქალაქის ქვეყნის სიღრმეში გადატანა მოჰყვა. ქრონოლოგიურად დედაქალაქის მეროეში გადატანა სწორედ ასპელტას მეფობას ემთხვევა (Shinnie, 1967, 33). კუშში, ეგვიპტის მსგავსად, ძალაუფლებას აწონასწორებდა ერთგვარი ძალთა ბალანსი მეფეს და ქურუმებს შორის. ამდენად, შესაძლოა ასევე, რომ კუშიტური მეფეები „გაეცალნენ" ქურუმებს და მეროე იყო ერთგვარი გეოგრაფიული კომპრომისი ქურუმებს და მეფეებს შორის, რადგან მას შემდეგ, რაც მეროე ქვეყნის საერო დედაქალაქი გახდა, ნაპატამ მრავალი საუკუნის განმავლობაში შეინარჩუნა ქვეყნის რელიგიური დედაქალაქის სტატუსი. დედაქალაქის მეროეში გადატანის შემდეგ ნუბიის მეფეები მაინც ნაპატაში, ელ- კურუს და ნურის ნეკროპოლისებში იკრძალებოდნენ. ასევე ნაპატაში, ამონის ტაძარში ხდებოდა მეროეს მეფეების „აღიარება" დიდი ღვთაების მიერ. შემოინახა ნასტასენის, ნაპატას ნეკროპოლისში დაკრძალული უკანასკნელი მეფის წარწერა, სადაც ის გვამცნობს, თუ როგორ „გამოიძახა" ის ნაპატაში „თავისმა მამამ, ამონმა". მეროეში

მეფის დაკრძალვა (არაკაკამანი, ჩვ.წ.-მდე 295-275) მოხდა ასპელტას მეფობიდან მხოლოდ სამი საუკუნის შემდეგ, ამიტომ ზოგიერთი მეცნიერი მისი, და არა ასპელტას მეფობით ითვლის მეროეს ეპოქის დასაწყისს (Edwards, 1977, 294-306). სამეფო ნეკროპოლისის მეროეში გადატანა უდავოდ დაკავშირებული იყო ჩვენთვის უცნობ პოლიტიკურ ცვლილებებთან. შესაძლოა, ნაპატას ამონმა დაკარგა თავისი ძალა, რომელმაც ამ დროისათვის მეროეს ამონის ტაძარში გადაინაცვლა. ამავე პერიოდიდან შეიმჩნევეა ცვლილებები კულტურაში, და ჩნდება ე.წ. მეროისტული სტილით შესრულებული არტეფაქტები. დედაქალაქის მეროეში გადატანა უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა კუშიტური ცივილიზაციისათვის. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო გამოჩენა ეროვნულმა ელემენტებმა „გაეგვიპტელებულ" ნუბიაში, ასე რომ ლაპარაკი სპეციფიურ „მეროეს" ცივილიზაციაზე სწორედ ამ დროიდან არის შესაძლებელი. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ ქალაქის დაარსებამდე აქ სოფლის ტიპის დასახლება იყო, და შესაძლოა მეროეს კულტურის ახალი ელემენტები, რომლებიც მომდევნო საუკუნეებში ჩამოყალიბდა, აქ მცხოვრები ხალხის გავლენის შედეგიც იყო. მეროე ცნობილია ასევე რკინის წარმოებით და პირველი ალფაბეტით, რომელიც აფრიკაში შეიქმნა. ეს 23 ნიშნისაგან შემდგარი დამწერლობა, რომელსაც ეგვიპტური იეროგლიფები დაედო საფუძვლად, უკვე ნუბიურ ენაზე წერისათვის შეიქმნა, რომელიც დღემდე არ არის წაკითხული. მეროეს სამეფოს ჩვ.წ. IV საუკუნის შუახანებში წერტილი დაუსვა აკსუმის მეფემ, რომელმაც მეროე თავისი სამეფოს ნაწილად გადააქცია (Shinney, 2002, 210-265).

ზემო და ქვემო ეგვიპტის მერტი

მერტი – (ეგვ. *Mrr.t,* Wb II, 107), სატაძრო მუსიკის და საკულტო სიმღერის ქალღმერთი. განსაკუთრებული როლი ეკავა ხებსედის დღესასწაულში, რომლის დროსაც მისი „გაორება" ხდებოდა: ქვემო ეგვიპტის მერტი თავზე პაპირუსით (ქვემო ეგვიპტის სიმბოლო) გამოისახებოდა, ზემო ეგვიპტის მერტი ლელქაშით (ზემო ეგვიპტის სიმბოლო). გვიანდელ პერიოდში მერტის როლში გვეელინებიან სხვადასხვა ქალღმერთები, განსაკუთრებით ისიდა და ხატხორი. „ორი მერტი" ასევე ჩვილი ფარაონის აღმზრდელებად წარმოიდგინებოდა.

მერტსეგერი

მერტსეგერი – (ეგვ. *Mr ŝgr,* „სიჩუმის მოყვარული", Wb 104), თებეს ნეკროპოლისის ქალღმერთი ქალისთავიანი გველის იკონოგრაფიით. ეგვიპტელთა წარმოდგენით, სახლობდა მთებ-

ში დეირ ელ-მედინეს თავზე, და იყო როგორც ცოცხლების (განსაკუთრებით ნეკროპოლისებში მომუშავე ხელოსნების), ასევე გარდაცვლილების მფარველი (Kees, 1980).

მერცხალი — ეგვიპტელთა წარმოდგენით, მიცვალებულის სული დროდადრო ტოვებდა სამარხს და ამ დროს რომელიმე ფრინველის სახეს იღებდა. მერცხალი ერთ-ერთი ამ ფრინველთაგანი იყო (PT 1770). თებეს ნეკროპოლისის XVIII დინასტიით დათარიღებული წარწერიდან ჩანს, რომ მერცხალს აქ ეთაყვანებოდნენ, როგორც საკრალურ ფრინველს (Bonnet, 1952, 689).

მესხენტი

მესხენტი — (ეგვ. *Mšḫn.t,* Wb II, 148), მშობიარობის ადგილი, აგურები, რომლებზეც მშობიარე იდგა, ასევე მშობიარობის ქალღმერთი. ეგვიპტელთა წარმოდგენით აგურებს, რომლებზეც ჩაცუცქული მშობიარე იდგა, მისი დაცვა შეეძლო, თოტი კი მათზე ახალშობილის სიცოცხლის წლებს წერდა. ამიტომ მათ შელოცვებს ეუბნებოდნენ და მსხვერპლს წირავდნენ. მათ ამულეტების სახითაც ამზადებდნენ. თანდათან მოხდა მათი ქალღმერთად პერსონიფიცირება. ითვლებოდა, რომ მესხენტი ბავშვს უკვე დედის მუცელში კას ჩაუსახავდა, დაბადებისას კი მის ბედს განსაზღვრავდა. აბიდოსში მესხენტი ოთხ ქალღმერთად გადაიქცა, რომელთა მბრძანებელი ისიდა იყო. ამ ოთხ მესხენტს თვისი ეპითეტები ჰქონდა, „დიდი", „მშვენიერი", „ლამაზი" და „ის, ვისაც ახსოვს". გვიანდელ დროში ისინი შეერწყა ტეფნუტს, ნუტს, ისიდას და ნეფტიდას. ასევე ითვლებოდნენ პირველი, მეორე, მეოთხე და მეხუთე ეპაგომენალური დღეების მფარველებად. როგორც ყველა პერსონიფიკაციას, მესხენტს ანთროპომორფული სახე ჰქონდა.



მესხენტი

მესენი — ასე მოიხსენიებოდა ორი ქალაქი: ედფუ სამხრეთ ეგვიპტეში და ადგილი ქვემო ეგვიპტეში, ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვართან. ქვემო ეგვიპტის მესენი მდებარეობდა ფორტთან სახელად *Pr ḫtm n Ṯ ỉrw* „ტარუს (ჩარუს) ფორტი", დღეს სუეცის ყელის აღმოსავლეთით (თანამედრ. თელ აბუ სეფა ან ეტ-თელ ელ-აჰმარი), ტანისიდან 50 კმ. დაშორებით. აქედან იწყებოდა სამხედრო გზა პალესტინისაკენ, რომელსაც „ხორის გზას" ეძახდნენ (Gardiner, 1947, II, 202*-203*). რადგან ტექსტებში „ხორი, მესენის ბატონი" მოხსენიებულია, როგორც ქვემო ეგვიპტის ღვთაება, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ შესაბამის კონტექსტ-

ში ქვემო ეგვიპტის ქალაქია ნაგულისხმევი, მაგრამ მაინც ვერ ვიქნებით ამაში დარწმუნებული, რადგან ეგვიპტელები ძალიან ხშირად იყენებდნენ სიმბოლურ გეოგრაფიას. იგივე შეიძლება ითქვას ხორთან დაკავშირებულ მეორე ქალაქზე, ბეხდეტზე: ამ სახელით მოიხსენიებდნენ როგორც ქალაქს ქვემო ეგვიპტეში, ასევე ედფუს სამხრეთ ეგვიპტეში (Kemp, 2006, 37). ედფუს მითის თანახმად, სეტხი და მისი მიმდევრები (რომლებსაც ამ ბრძოლაში ბეპემოტის სახე ჰქონდათ), ბეხდეტელმა ხორმა და მისმა მიმდევრებმა ჰარპუნებით დახოცეს (ეგვ. „ჰარპუნით ნადირობა" – *ms̓n*, Wb II, 145). ამ ამბის აღსანიშნავად ტარდებოდა დღესასწაული, რომლის დროსაც ქურუმები ჰარპუნებით კლავდნენ ბეპემოტს. ადგილებს, სადაც ეს დღესასწაული ტარდებოდა, „მესენად" მოიხსენიებდნენ, თვითონ ხორმა კი „მოიპოვა" კიდევ ერთი ეპითეტი — „მესენის ბატონი" (Roeder, 1915, 123).

მეხიტი – (ეგვ. *Mḥy.t*, Wb II, 127), ტინისის ქალღმერთი, ონურისის მეუღლე ლომის იკონოგრაფიით. იყო სასტიკი ქალღმერთი, რომელიც გვერდით ედგა ონურისს ბრძოლებში, ამიტომ ხშირად აიგივებდნენ გამანადგურებელ, ცეცხლის მფრქვეველ ურეუსთან და რას თვალთან (Junker, 1917, 56). ტინისში მეხიტი მთვარის თვალთან იყო გაიგივებული (Kees, 1980, 10). ონურისის და შუს შერწყმის გამო მოხდა მისი გაიგივება ტეფნუტთან, შუს მეუღლესთან. მათი საკულტო ქალაქი იყო ლეპიდონტიპოლისი. წყვილს ეთაყვანებოდნენ ასევე დელტაში, თუმცა აქ მათ გამოკვეთილი საკულტო ადგილი არ გააჩნდათ. მისი სახელი დაკავშირებულია სიტყვასთან „სავსე" (mḥ, Sethe, 1905, § 23).

მეფედ კურთხევა – მეფედ კურთხევის ძირითადი დანიშნულება ფარაონის ღვთაებრიობის წარმოჩენა იყო. რასაკვირველია, ყველას ახსოვდა, რომ ტახტზე ასვლამდე ფარაონი ჩვეულებრივ მოკვდავთა რიცხვს განეკუთვნებოდა, და ალბათ ამას არც ივიწყებდნენ, მაგრამ რიტუალის წყალობით, რომლის დროსაც მას აკურთხებდნენ, როგორც მეფეს, ხდებოდა მისი შერწყმა ამ მარადიულ ინსტიტუტთან. რიტუალის შემდეგ ფარაონი მეფობასთან ასოცირებული ღვთაებრივი ატრიბუტების მფლობელი ხდებოდა (Silverman in O'Connor and Silverman (editors), 1994, 66). რიტუალის სრულ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, და მისი რეკონსტრუქცია სხვადასხვა პერიოდიდან შემორჩენილი ნაწყვეტებით გაკეთდა (ყველაზე სრულყოფილი ამ მხრივ ხატშეპსუტის კორონაციის ტექსტია, Naville, 1895-



ხორი და სეტხი „ორივე მინის გაერთიანების" ცერემონიის დროს.

1908, III.pl. 56-64). ცერემონიის დასაწყისში ქურუმები ფარაონის ტიტულატურის „დიდ სახელებს" აცხადებდნენ. შემდეგ ფარაონი „წარდგებოდა" რას წინაშე, რომელიც აღიარებდა მას თავის შვილად და მემკვიდრედ და მიესალმებოდა, როგორც ხორს (PT 220-221, 222), რაც უკვე შესაძლებელს ხდიდა, მისთვის გვირგვინები დაედგათ. ღმერთები რიტუალურად განწმენდნენ მას და ხორი და სეტხი (ან ხანდახან თოტი), როგორც ორი ეგვიპტის სიმბოლო, თავზე ორივე ეგვიპტის გვირგვინს ადგამდნენ. ამის შემდეგ უმნიშვნელოვანესი იყო „ორივე ქვეყნის გაერთიანების" ცერემონია. ხორს და სეტხს ფარაონი გაერთიანების ნიშანთან (*sm3*, Wb III, 446) მიჰყავდათ, სადაც სხვადასხვა გამოსახულებების მიხედვით მას, დამდგარს ან დაჩოქილს, სიმბოლურად ორივე ეგვიპტე გადაეცემოდა. ამას მოჰყვებოდა სხვადასხვა ცერემონიები, მათ შორის „ჯედ-სვეტის აღმართვა", რომელსაც მეფობის ხანგრძლივობა უნდა უზრუნველეყო. ცერემონია სხვა ქალაქებშიც გრძელდებოდა და ყოველ წელიწადს აღინიშნებოდა (*იხ. ასევე „მისტერიები"*).

მეფეთა ველი — არაბ. ბიბან ელ მულუქი, „მეფეთა ჭიშკრების ველი", თებეს ნეკროპოლისის ნაწილი, სადაც დაახლ. ჩვ.ნ.-მდე XVI საუკუნიდან 500 წლის განმავლობაში ეგვიპტის ფარაონებს კრძალავდნენ. მდებარეობს ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, თანამედრ. ლუქსორის პირდაპირ. ადგილის შერჩევა სავარაუდოდ რამდენიმე მიზეზით მოხდა. ველი გარშემორტყმულია ციცაბო კლდეებით, რომლებსაც პირამიდის მსგავსი მწვერვალი ასრულებს. ეს მწვერვალი თებეს ნეკროპოლისის მფარველი ქალღმერთის, მერეტსეგერის ადგილსამყოფელად იყო მიჩნეული. მეფეთა ველი შედარებით პატარაა და მისი დაცვა ძნელი არ არის. თუმცა მას მოიხსენიებენ, როგორც მეფეთა ველს, აქ იკრძალებოდა მათი დედოფლები, შვილები და წარჩინებული დიდებულები. სამარხების უმეტესი ნაწილი მეფეთა ველის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. დასავლეთი ნაწილი უფრო პატარაა და ფარაონებიდან აქ ჯერ მხოლოდ ამონხეტეპ III-ის და აის სამარხებია აღმოჩენილი. დღეისათვის მეფეთა ველში 64 სამარხია ნაპოვნი. მათგან ზოგი ძალიან პატარაა და სულ ერთი ოთახისაგან შედგება, ზოგი კი 122 ოთახს მოიცავს. მასიური ძარცვა მეფეთა ველზე ჯერ კიდევ რამესიდების პერიოდში დაიწყო. ამ დროს ფარაონების მუმიები ჯერ ამონხეტეპ I-ის და II-ის სამარხებში გადამალეს, შემდეგ კი დეირ ელ-ბაჰარის ცნობილ სამალავში, სადაც XIX ს. დასასრულს ორმოცი ფარაონის მუმია

იქნა აღმოჩენილი. დღეისათვის მეფეთა ველზე აღმოჩენილია ერთადერთი თითქმის ხელუხლებელი სამარხი, რომელიც XVIII დინასტიის ფარაონს, ტუტანხამონს ეკუთვნოდა. აღმოაჩინა ინგლისელმა არქეოლოგმა ჰ. კარტერმა 1922 წ.

პალერმოს ქვა

მეფეთა სიები — ძველი ეგვიპტიდან შემოინახა ეგვიპტის მეფეების რამდენიმე სია. მათგან ყველაზე ძველი V დინასტიის დროს იქნა ჩაწერილი ბაზალტის ფილაზე, რომელმაც ჩვენამდე ნამსხვრევების სახით მოაღწია. ყველაზე დიდი ნატეხი პალერმოს მუზეუმშია დაცული და პალერმოს ქვის სახელით არის ცნობილი. მეორე შედარებით დიდი ნატეხი (ე.წ. კაიროს ფრაგმენტი) კაიროს მუზეუმშია. კიდევ რამდენიმე ნატეხი ინახება კაიროში და ლონდონში. მეფეების ჩამოთვლა იწყება მითიური მეფეების მმართველობით ვიდრე ხორამდე, რომელმაც თავისი ძალაუფლება უკვე ხორციელ ფარაონს, მენესს გადასცა. აქვე მოთავსებულია პირველი ხუთი დინასტიის ფარაონების სია და უმნიშვნელოვანესი მოვლენები, რომლებიც მათი მეფობის დროს მოხდა (Wilkinson, 2001, 64). აბიდოსში, სეტი I-ის ტაძრის კედელზე სეტი I და მისი ვაჟიშვილი მსხვერპლს სწირავენ თავიანთ 76 წინამორბედს (მენესიდან სეტიმდე). XIII-XVII დინასტიები აქ გამოტოვებულია. ეს სია აბიდოსის სიის სახელით არის ცნობილი. ამ სიის ასლს წარმოადგენს ე.წ. მეორე აბიდოსის სია, რომელიც ასევე აბიდოსში, რამსეს II-ის ტაძარშია ნაპოვნი და დღეს ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული. კარნაკის მეფეთა სიაში (ინახება ლუვრში) ჩაწერილია სამოცდაერთი მეფის სახელი, მენესიდან თოტმეს III-ის ჩათვლით. განსხვავებით აბიდოსის სიებისაგან, კარნაკის სიაში ბუნდოვანი XIII-XVII დინასტიების ფარაონების საკმაოდ ბევრი სახელია მოცემული. აბიდოსის და კარნაკის სიებში ზემო ეგვიპტის ტრადიციაა ასახული. საქქარას სია საქქარაში, ერთ-ერთი მოხელის სამარხშია აღმოჩენილი და დღეს კაიროს მუზეუმშია. ამ სიის 58 კარტუშიდან გადარჩენილია 47. სია I დინასტიის VI ფარაონით იწყება და რამსეს II-ით მთავრდება (ჩრდილოეთი გარკვეული პერიოდის მანძილზე არ ცნობდა სამხრეთელ მეფეებს). აბიდოსის სიის მსგავსად, ის არ მოიცავს XIII-XVII დინასტიებს. საქქარას სია, ისევე როგორც ტურინის პაპირუსი, ქვემო ეგვიპტის ტრადიციას ასახავს. ტურინის პაპირუსი, რომელიც ტურინის მუზეუმშია დაცული, უმნიშვნელოვანესია მეფეთა სიებს შორის. სია მოთავსებულია პაპირუსის verso-ზე, recto-ზე რამსეს II-ის დროის მოვლენებია მოთხრობილი, რაც პაპირუსის დაახლ. რამსეს II-ის მეფობით



აბიდოსის მეფეთა სიის ფრაგმენტი



ტურინის მეფეთა სიის ფრაგმენტი

საქქარას მეფეთა სიის ფრაგმენტი

დათარიღების საშუალებას იძლევა. პირვანდელი სახით პაპირუსი შესრულების თვალსაზრისითაც დახვეწილ ნიმუშს წარმოადგენდა, ულამაზესი იერატიული დამწერლობით. სამწუხაროდ, ის ძალიან დაზიანებულია, რადგან ევროპაში ტრანსპორტირებისას ეს სრულიად მთელი პაპირუსი მრავალ ნაწილად დაიმსხვრა. მეფეების ჩამონათვალი, მანეთონის მსგავსად, ღმერთების დინასტიებით იწყება, რომლებსაც ასევე დინასტიებად გაერთიანებული მეფეები მოჰყვება. პაპირუსში მოცემული მეფეების სახელები (სულ სამასამდე) ზოგ შემთხვევაში ჯგუფებად არის გაერთიანებული და მათი მაფობის საერთო ვადაა აღნიშნული, რაც მანეთონის დინასტიებს ემთხვევა. ამას გარდა, პაპირუსში მითითებულია ყოველი ფარაონის მეფობის ხანგრძლივობა წლების, თვეების და დღეების ჩათვლით. ტურინის პაპირუსში მოხსენიებულია ასევე ეფემერული მეფეები და ისეთი მმართველები, რომლებიც ქვეყნის დაშლის პერიოდებში გარკვეულ ტერიტორიას მართავდნენ. ისინი ჩვეულებრივ არ არიან მოხსენიებული სხვა წყაროებში და დღეს ჩვენთვის მხოლოდ ტურინის პაპირუსიდან არიან ცნობილი. აქ დაფიქსირებულია ასევე ჰიკსოსი მეფეები, თუმცა მათი სახელები არ არის ჩასმული კარტუშებში და დამატებული აქვთ ნიშანი, რომელიც გვამცნობს, რომ ისინი უცხოელები იყვნენ (Gardiner, 1959; Malek, 1982,). ამ ჩამონათვალს უნდა დაემატოს ე.წ. სამხრეთ საქქარას ქვა. ესაა პეპი II-ის დედოფლის, ანხესენპეპის სარკოფაგის თავსახური, აღმოჩენილი გ. ჟეკიეს მიერ 1932 წ. დედოფალ იპუტ II-ის პირამიდაში, პეპი II-ის პირამიდის კომპლექსში. მასზე V და VI დინასტიების ფარაონების სახელები და ამ დროის მნიშვნელოვანი მოვლენებია მოთავსებული. საქქარას ქვა პეპი II-ის მეფობით არის დათარიღებული (Baud and Dobrev, 1995, 23-94).

მეფის სახელი — *იხ. ტიტულატურა*



მზის დისკო — ნომის ემბლემა

მზე — მზის დისკო ერთ-ერთი უძველესი ნომის ემბლემა იყო ეგვიპტეში და შესაბამისად მისი საკრალური ძალით დაჯილდოება უკვე წინადინასტიურ ეპოქაში მოხდა (Petrie, 1939, pl.27, 118). ამაზე მეტყველებს მზის ბარკებიც I დინასტიის ფარაონთა სამარხებში (Emery, 1961, 119), მზესთან დაკავშირებული მითები და კოსმოგონიური სისტემები. მზის რელიგია განსაკუთრებით იკრებს ძალას ძველი სამეფოს დროიდან და V დინასტიიდან ეგვიპტეში ქრისტიანობის გავრცელებამდე ეგვიპტის ოფიციალური რელიგია ხდება.

მზის ბარკა — გემი, რომლითაც მზე ცაზე მიცურავდა. ეგვიპტელთა წარმოდგენით, სამყაროს შექმნამდე არსებობდა მხოლოდ პირველყოფილი ქაოსური წყლები. როცა შემოქმედმა ღვთაებამ შექმნა სამყარო და დაამყარა წესრიგი, ქაოსურმა წყლებმა დაიხია, და მათი კიდე იყო ცა, რომელიც, ასეთი ნარმოდგენიდან გამომდინარე, წყლების დინება იყო. იგივე ნარმოდგენამ შექმნა მზის სახე, რომელიც ცაზე თავისი ღვთაებრივი ბარკით მიცურავდა. ეგვიპტელის რწმენით, მზეს ორი ბარკა ჰქონდა — დილის და დღის (მანეჯეტი, ეგვ. *mʿnḏ.t,* Wb II, 48) და საღამოს და ღამის (მესეკტეტი, ეგვ. *mśkt.t,* Wb II, 150). პირამიდების ტექსტების თანახმად, ისინი ააგეს ღმერთებმა, მათი სიგრძე 700 წყრთა იყო და ოქროთი იყვნენ გაბრწყინებული (PT 602, 1209). ნახატებზე ჩანს, რომ ეგვიპტელთა ხედვით თავად მზე ბარკის ცენტრში, ტახტზე იჯდა, მას თან ახლდნენ თოტი, რომელიც მის ვეზირად ითვლებოდა, და პერსონიფიკაციები (ხუ, სია, მაატი). ვარსკვლავები მზის მხლებლებად ითვლებოდნენ. საღამოს, დასავლეთის ჰორიზონტზე, მზე იცვლიდა ბარკას და ღამის ბარკაში გადადიოდა, ღამით მზე დასავლეთიდან აღმოსავლეთით, ქვედა ცაზე მიცურავდა, რომელიც, ეგვიპტელთა რწმენით, ამოპირქვავებული, ქვემოდან აკრავს მიწას (*იხ. ნუნეტი*). წარმოდგენა მზის ბარკების შესახებ ძალიან სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. მათ გამოსახულებებს და მზის ერთი ბარკიდან მეორეში გადასვლის სცენებს ბერძნულ და რომაულ პერიოდშიც ვხვდებით. XVIII დინასტიაში მოხდა მათი სახელების გაცვლა (დღის ბარკა მესეკტეტი გახდა და პირიქით). მიზეზი ბუნდოვანია. მზის ბარკებს აიგივებდნენ მზის და მთვარის თვალთან და ასევე შუსთან და ტეფნუტთან. ეძახდნენ მათ ასევე „*mɜʿ.tj*“, (PT 1315, 1785), რაც შესაძლოა „ორივე მაატს“ ნიშნავს. მზის ბარკების მოდელები ტაძრებში და მეფეების სამარხებში თავსდებოდა.

მზის გადასვლა ღამის ბარკაში



მზის თვალი — (ეგვ. *ḫ.t*, Wb I, 17; *ỉmj.t*, Wb I, 75; *wꜥ.t*, Wb I, 278). ერთ-ერთი უძველესი ეგვიპტური მითის თანახმად, ზეცა დიდი შევარდენი იყო, მისი თვალები კი მზე და მთვარე. მითოლოგიური ციკლების ურთიერთგადახლართვის პროცესში მზე და მთვარე შევარდნის სახის ღმერთის, ხორის თვალები გახდა, რას რელიგიის აღზევების შემდეგ რა თვალის მითსაც დაუკავშირდა, და შედეგად მზე და მთვარე ასევე რას თვალებად შეიძლებოდა ყოფილიყო წარმოდგენილი. მაგრამ თანდათან „მზის თვალი" რას თვალი გახდა, რადგან რა თავად იყო მზე (Kees, 1980, 241-243). ეგვიპტურ ენაში სიტყვა „თვალი" (*ỉr.t*, Wb I, 106) მდედრობითი სქესის იყო, და ღვთაების თვალის პერსონიფიკაცია ქალღმერთად. მოხდა რას თვალთან იყო გაიგივებული ხატ-ხორი, ბასტეტი, მუტი და სხვა, ძირითადად ლომის სახის მქონე ქალღმერთები. რას თვალი წარმოიდგინებოდა, როგორც მისი ქალიშვილი და დამცველი, და მასთან წყალი და ცეცხლი ასოცირდებოდა. მისი ცრემლები ქმნიდა სიცოცხლეს, მისი ცეცხლი კი ღვთაებრივი წესრიგის მტრებს ანადგურებდა. ერთ-ერთი მითის თანახმად ატუმი (რომელიც რას ერთ-ერთი სახე იყო) ასევე დაკავშირებულია რას თვალთან. მას შემდეგ, რაც ატუმმა დაიწყო სამყაროს შექმნა, მას დაეკარგა პირველყოფილი ქაოსის, ნუნის წყლებში მის მიერ შექმნილი ღმერთების პირველი წყვილი — შუ და ტეფნუტი. ატუმმა გააგზავნა თავისი თვალი, რომ მას გაენათებინა წყვდიადი და მოეძებნა ღმერთები. თვალმა მოიყვანა შუ და ტეფნუტი, მაგრამ ამასობაში ატუმს ახალი, „ბრწყინვალე" თვალი გაეზარდა, და „ძველმა თვალმა" სიბრაზისაგან ტირილი დაიწყო. მითის ერთი ვერსიის თანახმად, ადამიანები გაბრაზებული თვალის ცრემლებისაგან შეიქმნა, მეორე ვერსიით — ბრწყინვალე თვალის სიხარულის ცრემლებისაგან (Roeder, 1915, 108). ატუმმა მოახერხა გაბრაზებული თვალის დაწყნარება — თავის შუბლზე დაისვა, როგორც ურეუსი. ამგვარად, მზის თვალი ურეუსიც იყო და ამ იპოსტასში, როგორც კობრას სახის ქალღმერთს, ყველაზე უფრო დამანგრეველი ძალა ჰქონდა. მეორე მითის თანახმად, მზის თვალი ანადგურებს ადამიანებს, რომლებიც მზეს აუჯანყდნენ (*იქვე*, 142). მზის თვალი ასევე მზის გამანადგურებელი სიცხის განსახიერებაც იყო. მას შეეძლო სიცოცხლის მომტანი წყლის დაშრობა და მინის უდაბნოდ გადაქცევა. ერთ-ერთი მითის თანახმად, რას თვალი განაწყენდება თავის მამაზე და მიდის უდაბნოში. რას ენატრება ქალიშვილი და იმავდროულად ესაჭიროება ის, რადგან თვალმა რა ქაოსის ძალებისაგან უნდა დაიცვას. ის აგზავნის ღმერთებს

მძვინვარე ქალღმერთის მოსაყვანად. თოტი, შუ ან ონურისი (მითის რამდენიმე ვერსია არსებობს), ახერხებენ მზის თვალის დაწყნარებას და ის ბრუნდება ეგვიპტეში, რაც საყოველთაო ზეიმს იწვევს. ამის შემდეგ ის რას ცოლი ხდება და აჩენს ჩვილს, რომელიც რას განახლებულ სახედ არის წარმოდგენილი (Pinch, 2002, 128-130).



მზის ტაძარი

მზის ტაძარი — III დინასტიიდან რა თანდათან იხვეჭს ძალას (Коростовцев 1941, 41) და IV-V დინასტიების მიჯნაზე ეგვიპტის პანთეონის უზენაესი ღვთაება ხდება, ხოლო ფარაონი, რომელსაც აქამდე ეპყრა ეს ტახტი, ამიერიდან „რას ვაჟიშვილად" (ეგვ. *sꜣ Rʿ*,) და შესაბამისად, „მეორე თაობის" ღვთაებად გარდაისახა (*იხ.* „*ტიტულატურა*"). ამ რელიგიური და შიდაპოლიტიკური ძვრების მასშტაბებზე მეტყველებს გასაოცარი ცვლილებები სამეფო არქიტექტურაში: ფარაონის პირამიდები ერთბაშად იკლებს ზომაში, და იმავდროულად ჩნდება სრულიად ახალი ტიპის საკულტო ნაგებობები — მზის ტაძრები, რომლებმაც, სავარაუდოდ, პირამიდის ადგილი დაიკავა. ეს იყო კედლით შემოღობილ ეზოში ღია ცის ქვეშ მდგომი ობელისკი, რომელიც ჰელიოპოლისის მზის ღვთაების უძველესი სიმბოლოს — ბენ-ბენის ქვის (*იხ.*) ვარიანტს წარმოადგენდა. ობელისკი განასახიერებდა მინის პირველ წერტილს, რომელიც პირველყოფილი ქაოსიდან გამოჩნდა და რომელზეც მზის დისკო ყოველ დილას ეშვება (Helck, 1968, 63). ეს ღია ცის ქვეშ მდგომი სიმბოლო განსხვავდებოდა სხვა ღმერთების ტაძრებისაგან, რადგან ეგვიპტური ტაძარი ჩვეულებრივ მოიაზრებოდა, როგორც „ღვთაების სახლი" (ეგვ. *ḥ.t nṯr*; Wb III, 4), სადაც წმინდათა წმინდა საკანში ღვთაების ქანდაკება სახლობდა. მზის ტაძრები V დინასტიის ექვსმა ფარაონმა ააგო — უსერკაფმა, საჰურამ, ნეფერირკარამ, რანეფერეფმა, ნიუსერრამ და მენკაუხორმა, მაგრამ ყველაზე კარგად შემოინახა ნიუსერრას ტაძარი (Borchardt, Bissing, Kees, 1905-1928) აბუ-გურაბის ბორცვზე (*იხ.*). 20 მ. სიმაღლის გრანიტის პედესტალზე იდგა დაახლ. 50 მ. სიმაღლის ბოძი, რომელიც პირამიდიონით მთავრდებოდა. ობელისკს გარს ერტყა ქვის კედლით შემოღობილი ეზო, რომლის სიგრძე 100მ., სიგანე 76მ. იყო. ამგვარი ტაძრების მშენებლობა V დინასტიასთან ერთად წყდება, მაგრამ მზის ტაძრის წმინდათა წმინდა ადგილს (ამ მხრივ არც ატონის ტაძარი წარმოადგენდა გამონაკლისს) ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე „ბენბენის სახლი" ერქვა (Kees, 1980, 231), ხოლო ობელისკი, რომელმაც უფრო დახვეწილი სახე

მიიღო, ფართოდ გამოიყენებოდა საკულტო და სამეფო არქიტექტურაში.

მზის ფრთოსანი დისკო — მზის ერთ-ერთი სახე. მისი უძველესი გამოსახულება I დინასტიით არის დათარიღებული (Petrie, 1939, pl.II, 6;XII, 5).

მთვარე — მთვარე „ღამის მზედ", „მზის შემცვლელად" (Boylan, 1922, 81) ან რას ერთ-ერთ ფორმად (PT 709) მოიაზრებოდა. შესაბამისად, მასზე ბევრი მზესთან დაკავშირებული წარმოდგენის გადატანა მოხდა. რას მსგავსად, ისიც ბარკით მისრიალებდა ცაში, და პავიანები ადიდებდნენ (Petrie, 1890, pl.23, 75). გამოისახებოდა, როგორც ნამგალზე მოთავსებული დისკო, რაც მთვარის ორივე სახეს გადმოსცემდა. იყო დაბადების და ზრდის სიმბოლო. მთვარის უმნიშვნელოვანეს თავისებურებას ეგვიპტელისთვის წარმოადგენდა ცვლილებები, რომლებსაც ის ყოველთვიურად განიცდიდა, რაც სხვადასხვა მითში აისახა. უმნიშვნელოვანესია მთვარის დაკავშირება ხორის თვალთან, რომელიც მან სეტხთან ბრძოლაში დაკარგა და შემდეგ ისევ დაიბრუნა. უკვე პირამიდების ტექსტებში ვკითხულობთ, რომ სეტხმა ხორის თვალი ან შეჭამა, ან მოიტაცა, ან დააზიანა (PT 36a, 39a, 61a, 65b, 73). მთვარის ფაზები დაკავშირებული იყო ადამიანის სიცოცხლის ციკლთან ბავშვობიდან სიბერემდე. რადგან სისავსეს და გაქრობას მუდმივად ახალი მთვარე მოსდევდა, ის მუდმივი განახლების სიმბოლოც იყო. ითვლებოდა ასევე, რომ ამოსვლისას მთვარე და ვარსკვლავები გარდაცვლილებს გზას უნათებდნენ. შესაძლოა, მუდმივი განახლების გამო, ის ჩასახვას და ნაყოფიერებასაც დაუკავშირეს. მთვარეს მოიხსენიებდნენ, როგორც „ვნებიან ხარს, რომელიც ქალებს აფეხმძიმებს". ახალი მთვარის ნამგალი წარმოიდგინებოდა, როგორც ბასრი იარაღი მთვარის ღმერთის ხელში, ან როგორც ფეხი, რომელიც ოსირისის ერთ-ერთ რელიქვიად გადაიქცა. თვითონ მთვარის კულტი ძალიან გავრცელებული არ იყო, და ღმერთი იახი (ეგვ. *Ꜥḥ*, Wb I, 42), რომელშიც მთვარე იყო ინკორპორირებული, ასევე არ იყო დიდი ღვთაება. მთვარესთან დაკავშირებული იყნენ ასევე ხონსუ და მინი. ყველაზე მნიშვნელოვანი მთვარის და თოტის კავშირი იყო. დაახლ. ახალი სამეფოს დროიდან მოხდა მთვარის ფაზების დაკავშირება ოსირისის კვდომასთან და აღდგომასთან. პლუტარქეს (Plutarch, 1970, 42) თანახმად, ოსირისის სხეულის თოთხმეტ ნაწილად დანაწევრე-

ბა დაკავშირებული იყო მთვარის შემცირების ფაზის თოთხმეტ დღესთან, ხოლო მისი მეფობის ან სიცოცხლის ოცდარვა წელი – მთვარის თვის დღეების რიცხვთან. ბერძნულ პერიოდში მოხდა მთვარის, იქამდე მამრობითი ღვთაების, დაკავშირება ქალღმერთებთან – ისიდასთან და ნეხბეტთან, რომლებიც სელენასთან გააიგივეს (Kees, 1980, 38).

მთვარის დღესასწაულები – უძველესი ეგვიპტური კალენდარი მთვარის იყო. იგი ძალიან ადრე შეიცვალა მზის კალენდრით, მაგრამ სიტყვა „თვეს" მთვარის სახელი შერჩა (ეგვ. *ʿIbd,* Wb I, 65) მთვარეს კი – დროის დამთვლელის. მთვარის კალენდრის თვეები ნაწილობრივ შემორჩა კულტმსახურებაში. ჯერ კიდევ შუა სამეფოს დროს ქურუმების საზღაურს მთვარის კალენდრის მიხედვით ითვლიდნენ. მთვარის დღესასწაულებმა მტკიცედ დაიმკვიდრეს თავი „ცის დღესასწაულებს" შორის. ამ დროს გარდაცვლილებთანაც განსაკუთრებული შესაწირი მიჰქონდათ. მთვარის დღესასწაულები მთვარის ფაზებთან იყო დაკავშირებული. თვის პირველ დღეს „ახალ მთვარეს" ზეიმობდნენ, მეორე დღეს „ახალ სინათლეს", მეექვსე და მეშვიდე დღეს „პირველ მეოთხედს", მეთხუთმეტე დღეს „სავსე მთვარეს", ოცდამესამე დღეს კი „ბოლო მეოთხედს". ამ დღესასწაულების შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. თითოეულ მათგანთან მითოლოგიური მოვლენები იყო დაკავშირებული. პირველ და მეორე დღეს მთვარის დაბადებას ზეიმობდნენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „მეოთხედის" დღესასწაულები, რადგან ამ დროიდან მთვარის შევსება იწყებოდა. მედინეტ ჰაბუს სადღესასწაულო კალენდრის მიხედვით, ახალი მთვარის და მეოთხედის დღესასწაულების დღეებში შესაწირისათვის განსაკუთრებით დიდი თანხა გამოიყოფოდა (Bonnet, 1952, 474-475).

᾽᾽მთვარის თვალი – (ეგვ. *nḫ.t,* დაფიქსირებულია უკვე პირამიდების ტექსტებში, Wb II, 366. დანარჩენი სახელები დაფიქსირებულია ბერძნული პერიოდიდან: *ʿpr.t,* Wb I, 181; *wḏ.t,* Wb I, 268; *ḫnm.t,* Wb III, 381; *ššm.t,* Wb IV, 292). უძველესი წარმოდგენით, ცა მინაზე გადაფარებული შევარდნის ორი ფრთა იყო. ასეთი „ცის" უძველესი გამოსახულება I დინასტიის ფარაონის, ჯეტის მეფობით დათარიღებულ სავარცხელზეა მოთავსებული. ცოტა მოგვიანებით, ცა წარმოიდგინებოდა როგორც შევარდენი. ამ შევარდნის მარჯვენა თვალი – მზე, მარცხენა კი მთვარე იყო (Kees, 1980, 43). ხორი იყო უძველესი ღმერთი, რომელიც

ამ შევარდენთან ასოცირდებოდა. რას კულტის აღზევების და მასთან ხორის ერთ-ერთი გამოვლინების (ხორახტი) შერწყმის შემდეგ ციურ შევარდენს მზის ღმერთიც დაუკავშირდა. მთვარეს და მზეს მოიხსენიებდნენ, როგორც „რას თვალებს", და იმავდროულად, როგორც „ხორის თვალებს", ან, სხვა ტექსტებში, მზე — რას, მთვარე კი ხორის თვალი იყო. მთვარე განსაკუთრებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხორთან და ხორის და სეტხის ორთაბრძოლასთან, თუმცა ნაწყვეტები ამ მითის შესახებ მრავალ ტექსტშია გაბნეული. სეტხთან სასტიკ ბრძოლაში ხორმა თვალი დაკარგა. სეტხი ხორის თვალს მოიტაცებს და გადაყლაპავს, რის შემდეგ ღამის ცაზე წყვდიადი დაისადგურებს. ხორის მიერ თავისი მთვარის თვალის დაკარგვა ზეცაში მთვარის „გაქრობის" ფაზასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ხორი იბრუნებს თვალს, ამაში მას სხვა ღმერთებიც ეხმარებიან. ისინი ამოჭრიან თვალს სეტხის მუცლიდან. ყველაზე მეტ მზრუნველობას ამ დროს თოტი იჩენს. თოტი არა მარტო დაეხმარა ხორს თვალის დაბრუნებაში, მან „დაჭრილი" თვალი განკურნა. ახალი მთვარე არ არის სავსე, იმიტომ, რომ ის დაჭრილია, მაგრამ თოტი თანდათან მკურნალობს და „ავსებს" მას (Junker, 1917, 125-131). ერთ-ერთი ვერსიით, რომელიც მზის თვალის ამბავს მოგვაგონებს, მთვარე განაწყენდება ხორზე და გაექცევა მას, მაგრამ ღმერთები დააბრუნებენ (*იქვე*, 157). ზოგი ვარიანტის თანახმად, მთვარის თვალი, სეტხის შიშით, თოტის ფრთაში დაიმალება და თავს ზეცაში გაქცევით უშველის (PT 594, 947).

მიკერინი — (ასევე მენკაურა, ეგვ. *Mn-kꜣw-Rʿ*, „ძლიერია რას კა"), ეგვიპტის IV დინასტიის ფარაონი (დაახლ.ჩვ.წ.-მდე 2532-2503 წწ.), ხეფრენის ვაჟი და მემკვიდრე, გიზეში სიდიდით მესამე პირამიდის მფლობელი. ტურინის პაპირუსის თანახმად, იმეფა დაახლ. 18 წელიწადს. მისი მეფობის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. მისი პირამიდის ზომის საგრძნობი შემცირება ხეოფსის და ხეფრენის პირამიდებთან შედარებით (სიმაღლე — 66 მ., კედლის სიგრძე — 108,4 მ.), სავარაუდოდ, ფარაონ-ზეღვთაების იდეის ჩასვენების დასაწყისზე, და ამ ტახტის სულ უფრო აღმავალი რას კულტის მიერ დაკავებაზე მეტყველებს, რადგან ითვლება, რომ გიგანტური პირამიდების მშენებლობის ერთ-ერთ ბიძგს სწორედ ამ ორ ღვთაებას შორის დაპირისპირებით გამოწვეული დაძაბულობა წარმოადგენდა (Helck, 1968, 56). მანეთონის ცხრილში (Manetho, 1960, 47) ხეფრენს და მიკერინს შორის კიდევ ერთი ფარაონი (ბიხერისი ან

ბაეფრა) არის დასახელებული, რომელსაც XII დინასტიის წყაროები ჯედეფხორის მომხრედ ან მიმდევრად ასახელებენ. შესაძლოა, ეს არის იგივე ნებკა. ნებკას დაუმთავრებელი პირამიდა აღმოჩენილია ზავიეტ ელ არიანში და ის მოხსენიებულია, როგორც ფარაონი, „ხეოფსის ვაჟიშვილების ზღაპრებში" (Коростовцев, 1978, 21), თუმცა მის შესახებ მეტი არავითარი ინფორმაცია არ არსებობს. მიკერინის უფროსი ვაჟიშვილი მის სიცოცხლეში გარდაიცვალა და ტახტზე მომდევნო ვაჟი, შეპსესკაფი ავიდა, რომელმაც დაასრულა მიკერინის პირამიდის მშენებლობა (Grimal, 2003, 74). თუმცა მისი პირამიდის მოსაპირკეთებლად გამოყენებული იყო გრანიტი, რომელიც კირქვაზე უფრო პრესტიჟულ სამშენებლო მასალად ითვლებოდა, თვითონ პირამიდის ზომები V დინასტიის საოცრად შემცირებული და გაცილებით უხარისხოდ აგებული პირამდების მახარობლად არის მიჩნეული (Malek in Shaw (ed.), 2003, 91). მიკერინის მრავალრიცხოვანი ქანდაკებები დღეს მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებშია დაცული. მათ შორის ყველაზე ცნობილია მიკერინის ქანდაკება თავის დედოფალთან, ხამერერნებტისთან ერთად, აღმოჩენილი ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გათხრების დროს 1910 წელს.

მინი – (ეგვ. *Mnw,* Wb II, 72), ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ეგვიპტური ღვთაება, ჩასახვის და ნაყოფიერების ღმერთი. თავდაპირველად ეთაყვანებოდნენ, როგორც ფეტიშს (ორი ჰარპუნის მსგავსი ისრისაგან შედგენილი კომპოზიცია), რომელიც იმავდროულად იყო მისი ნომის (მეცხრე ზემოეგვიპტური ნომის) ემბლემა (Montet, 1961, 108) და რომლის არსი დადგენილი არ არის. როგორც ჩანს, ეს ფეტიში მინის არსებას გამოხატავდა, რადგან მისი სახელის დაწერისას ფეტიშის ნიშანი ყოველთვის გამოიწერებოდა. მინს ეთაყვანებოდნენ ასევე კოპტოსში (ზემო გვიპტის მეხუთე ნომი). მინის ანთროპომორფიზაცია ჯერ კიდევ წინადინასტიურ დროს მოხდა. მისი გამოსახულებები, რომლებიც ნაქადას კულტურის გერზეული პერიოდით არის დათარიღებული, ეგვიპტური ღმერთის ანთროპომორფული სახით გამოსახვის უძველეს ნიმუშს წარმოადგენს (Kees, 1980, 107). ისინი წარმოადგენენ ასევე ღმერთის უძველეს ქანდაკებებს ეგვიპტეში. ამ ორმეტრიან კოლოსებს, რომლებიც კოპტოსთან იქნა ნაპოვნი, უკვე აქვთ ის სახე, რომელიც მინმა ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე შეინარჩუნა. ის გამოისახებოდა ერეგირებული ფალოსით, ზემოთ აღმართული

მინი



მინის მცენარე (ლორის ქადა)

მინის ფეტიში

მარჯვენა ხელით, რომელშიც მათრახი ეკავა (Schäfer und Andrä, 1929, 182). მინის სხეული ჩვეულებრივ შავი ფერის იყო, რადგან ეს ფერი ეგვიპტელისათვის ნაყოფიერ მიწასთან ასოცირდებოდა. მის ქუდს ორი მაღალი ბუმბული ამშვენებდა. მას მოიხსენიებდნენ, როგორც „ხელაპყრობილს" და „მაღალ ბუმბულებიანს". მინის ატრიბუტი იყო ლორის ქადა (მცენარე, Lactuca sativa). ეგვიპტელის წარმოდგენით, ამ მცენარის რძიანი ფურცლები მამაკაცურ საწყისს აძლიერებდა (Kees, 1980, 91). კოპტოსის ადგილმდებარეობის გამო მინი აღმოსავლეთ უდაბნოს ბატონიც იყო. ითვლებოდა, რომ ის ქმნიდა მაღაროების მშვენიერ ქვებს (Breasted, 1962, I, § 442), და მას მაღაროელების და მონადირეების მფარველად აღიქვამდნენ, მაგრამ მისი ძირითადი ფუნქცია მაინც ნაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული. მინის ქანდაკებები გამოჰქონდათ მინდვრებში, რომ მას ისინი დაელოცა, და პირველი მოსავალი ჩვეულებრივ მას შეეწირებოდა (Pinch, 2002, 164). მოსავლის დიდი დღესასწაულის პროცესიაში მინის ქანდაკებას წინ მიუძღოდა ბუმბულებით მორთული თეთრი ხარი, რომელიც ასევე ნაყოფიერებასთან იყო დაკავშირებული. უკვე ძველი სამეფოს დროიდან მინი ასოცირებული იყო ხორთან, თებეში კი მოხდა მისი ამონთან დაახლოება (Bonnet, 1952, 465, 467). მინი დაკავშირებული იყო ასევე ოსირისის მისტერიებთან (Roeder, 1960, 230). ბერძნებმა მინი პანთან გააიგივეს.

მირგისა – ყველაზე დიდი ფორტი იმ ფორტების ჯაჭვიდან, რომელიც ეგვიპტემ შუა სამეფოს დროს ნუბიაში, ნილოსის გაყოლებით ააგო. მდებარეობს ნილოსის მარცხენა ნაპირზე, ნილოსის მეორე ჭორომის ყველაზე საშიშ ჩქერთან, სადაც ნავები დღემდე იკარგება. თვითონ ფორტი, ოთხკუთხედი ფორმის, იდგა ნილოსის მაღალ ნაპირზე და ორმაგი კედლით იყო გარშემორტყმული. ფორტის ჩრდილოეთ მხარეს განლაგებული იყო ნაკლებად ფორტიფიცირებული დასახლება, რომელიც სავარაუდოდ პორტის ფუნქციას ასრულებდა (Trigger, 1976, 72). ერთ-ერთ შუა სამეფოს სამარხში ფ. პეტრიმ აღმოაჩინა პაპირუსი, სადაც ნუბიის 14 ფორტის ჩამონათვალია მოცემული (Gardiner, 1916, 184-192). ბევრი მათგანის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, მაგრამ მირგისა მოიაზრება, როგორც „იკენი". იკენი იყო ფორტი, სადაც უნდა გამოცხადებულიყო ყველა ნუბიელი, რომელსაც ნებას დართავდნენ წასულიყო სემნას ჩრდილოეთით სავაჭროდ ან ეგვიპტელ მოხელეებთან შესახვედრად. ამდენად, მირგისა იყო ნუბიასთან ვაჭრობის ცენტრი, რამაც ასევე განაპირობა მისი

სიდიდე (Trigger, 1976, 72). მირგისასთან აღმოჩენილია დაახლ. 3 ათ. ე.წ. „გასაცურებელი გზა", რომელზეც სავარაუდოდ ამოპყავდათ გემები ნავიგაციისათვის უაღრესად საშიში ნილოსის მეორე ჭორომის თავიდან ასაცილებლად. ამ „გზაზე", რომელზეც მუდმივად „ინახავდნენ" ტალახს, აცურებდნენ გემებს იმ ადგილამდე, სადაც ნილოსი ისევ სანავიგაციო ხდებოდა. სავარაუდოდ, ასე ახდენდნენ ეგვიპტელები დიდი ქვის ბლოკების და ქანდაკებების ტრანსპორტირებას (Adams, 1977, 184).

მისისი

მისისი – (ეგვ. *Mijsis,* Kees, 1980, 470), ლომის სახის „შემაძრნუნებელი" ღმერთი, „ველურად მომზირალი ლომი", ეთაყვანებოდნენ მეათე ზემოეგვიპტურ ნომში, სადაც ბასტეტის ვაკიშვილად იყო მიჩნეული. გვიანდელ პერიოდში მისი კულტი გავრცელდა დელტაში, სადაც მისი მთავარი საკულტო ადგილი ლეონტოპოლისი იყო (*იქვე*, 7, 83).

მისტერიები – (ეგვ. *Bs šti,* Wb I, 473). ასე მოიხსენიებენ სხვადასხვა რელიგიური დღესასწაულების დროს ღმერთებთან დაკავშირებული მითოლოგიური სიუჟეტების დრამატული სახით გათამაშებას. მისტერიები ეგვიპტეში ძირითადად ოსირისთან იყო დაკავშირებული, რადგან პრაქტიკულად ყველა ჩვენამდე მოღწეულ ტექსტში ოსირისი ფიგურირებს. მონაწილეები ჩვეულებრივ ქურუმები იყვნენ. ოსირისის მისტერიების აღწერა სენუსერტ III-ის მეფობის მეცხრამეტე წლით დათარიღებულ ტექსტში (ე.წ. იხერნოფრეტის სტელა, დღეს დაცულია ბერლინის მუზეუმში, Berlin no.1204) მისტერიების დროს მოვლენათა თანმიმდევრობის რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. იხერნოფრეტი იყო სენუსერტის მეჭურჭლეთუხუცესი, რომელიც ფარაონმა აბიდოსში გააგზავნა. მას უნდა დაედგა ოსირისის ქანდაკებები და მოერთო ოქროთი ოსირისის ტაძრის წმინდათა წმინდა ოთახი, რომელშიც ღმერთის ქანდაკება იყო დაბრძანებული. თავისი საქმიანობის აღწერა იხერნოფრეტმა დაგვიტოვა სტელაზე, რომელიც აბიდოსში აღმართა. ოსირისის ქანდაკების ძვირფასეულობით მორთვის გარდა, მან მონაწილეობა მიიღო ოსირისისადმი მიძღვნილ დრამატულ ცერემონიებში. მისტერია იწყებოდა უპუატის „გამოსვლით". ეს ნიშნავს, რომ „გზების გამხსნელი" ღმერთის ქანდაკება ტაძრიდან გამოპქონდათ. ის გზას უჩვენებდა ოსირისს (რომელიც აქ მის მამად არის მოხსენიებული) და მისი პირველი მეომარიც იყო. შემდეგი იყო ოსირისის „გამოსვლა". ოსირისს გამოაბრძანებდ-

ნენ ტაძრიდან თავისი ბარკით (ნეშმეტით). მას თავს ესხმოდნენ მტრები, მათ იგერიებდნენ (ამ როლებს ქურუმები ასრულებდნენ), მაგრამ ოსირისს მაინც კლავდნენ. ღმერთის მოკვლას მისი დატირების ცერემონია მოჰყვებოდა, შემდეგ მოკლული ოსირისი თოტს თავისი ბარკით სამარხში გადაჰყავდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის აბიდოსში ოსირისის სამარხად მიჩნეული იყო I დინასტიის ფარაონის, ჯერის სამარხი, და სავარაუდოდ სწორედ აქ მიასვენებდნენ ხოლმე ღმერთის ქანდაკებას მისტერიების დროს. ამის შემდეგ ხდებოდა ოსირისის მტრების დახოცვა ადგილზე, რომელიც მოხსენიებულია, როგორც „ნედიტი". მისტერიებს ასრულებდა ღმერთის მკვდრეთით აღდგომა, საყოველთაო სიხარული და ღმერთის ქანდაკების ტაძარში დაბრუნება (Breasted, 1962, §§663-669). მისტერიებს იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ იხერნოფრეტი, რომელსაც ძალიან მაღალი საერო თანამდებობა ეკავა, მაგრამ აბიდოსში მისიის დროს მოქმედებდა, როგორც სემ-ქურუმი (*იქვე*, § 68), თავად იყო მათი მონაწილე. ის გვამცნობს, თუ როგორ მიჰყავდა მას თოტის გემი და იგერიებდა ოსირისის მტრებს მისტერიების დროს. შემორჩენილია ასევე XIII დინასტიის დროინდელი ტექსტი, სადაც ამ დინასტიის ფარაონი, ნეფერხოტეპი, ასევე თავად ღებულობს მონაწილეობას ოსირისის მისტერიებში (*იქვე*, § 755-763). უაღრესად საინტერესოა მისტერიის ტექსტი, შემონახ'ული პაპირუსზე, რომელიც სესუსერტ I-ის კორონაციას აღწერს. ტექსტი ილუსტრირებულია ნახატებით, სადაც მისტერიის უმნიშვნელოვანესი მომენტებია გადმოცემული. ტექსტი ასევე მოიცავს მოქმედ პირთა გამონათქვამებს, მითითებებს, რომლებიც დღევანდელ სასცენო რემარკებს მოგვაგონებს, და ძირითადი რეკვიზიტის ჩამონათვალს. ამ მისტერიის მთავარი მოქმედი გმირია ახალგაზრდა ფარაონი-ხორი, რომელსაც მეფედ აკურთხებენ. ოსირისი არ წარმოთქვამს არც ერთ სიტყვას, რამაც წარმოშვა ვარაუდი, რომ მის „როლში" გარდაცვლილი ფარაონის მუმია ფიგურირებდა. მისტერიის კულმინაცია ფარაონის კორონაცია იყო, და ის ფარაონის დაკრძალვით სრულებოდა (Коростовцев, 1976, 127-128). ძველი სამეფოს დროით არის დათარიღებული მისტერია, რომელიც ასევე მოიცავს მთავარი მოქმედი პირების გამონათქვამებს და „სცენიურ მითითებებს". ეს არის მემფისის ტრაქტატის ტექსტის ე.წ. „პოლიტიკური ნაწილი". გები იბარებს ენეადის ღმერთებს, რომ დაასრულოს დავა მემკვიდრეობაზე (ე.ი. ეგვიპტის ტახტზე) ხორსა და სეტხს შორის. ის აძლევს ხორს ჩრდილოეთ ეგვიპტის,

სეტხს კი სამხრეთ ეგვიპტის გვირგვინს. მაგრამ შემდეგ გები დაფიქრდება, და ამბობს, რომ მთელი მემკვიდრეობა თავისი პირველი შვილის (ოსირისის) ერთადერთ შვილს (ხორს) უნდა გადასცეს. ამის შემდეგ მოთხრობილია ოსირისის დახრჩობის შესახებ, რასაც ისიდას და ნეფტიდას დატირება მოჰყვება (Junker, 1941, 20-50). ითვლება, რომ ეგვიპტური მისტერიები თავისი სტრუქტურით სცილდება რელიგიური მისტერიის ფორმას და ისინი უნდა აღვიქვათ, როგორც უძველესი დრამატული ნაწარმოებები (Sethe, 1928, 18).

მიცვალებულთა კულტი — მიცვალებულებზე ზრუნვა ეგვიპტეში ოჯახის, განსაკუთრებით უფროსი ვაჟიშვილის მოვალეობად ითვლებოდა. მათ განსაკუთრებული, მიცვალებულთა ქურუმები ემსახურებოდნენ. ღმერთების მსგავსად, მათთანაც შესაწირი მიჰქონდათ, რადგან ეგვიპტური წარმოდგენით ისინი ნახევრად ღვთაებრივ არსებებად ითვლებოდნენ.

მინა — მინას ეგვიპტელები რამდენიმე ღმერთის სახით ეთაყვანებოდნენ. ესენი იყვნენ გები, აკერი, ტატენენი და უძველესი ღმერთი პეგა (*Pgꜣ*, Wb I, 562). მისი სახელი „გაშლასთან“ და „გაფართოებასთან“ არის დაკავშირებული და გაშლილი მკლავის იეროგლიფით გამოიწერებოდა (PT 604). გვიანდელი პერიოდის ტექსტებში ასევე გვხვდება მინის ღვთაება, რომლის სახელი ორი გაშლილი მკლავის ნიშნით იყო გამოწერილი. მისი სახელი უცნობია.

მინის თოხნა — (ეგვ. *ḫbsṯꜣ*, Wb III, 256), უძველესი საკრალური ქმედება, რომელიც ტარდებოდა ხვნა-თესვის სეზონის წინ, ზამთრის დასაწყისში (ხოიაკის თვის ბოლო დღეს) და საფუძვლის ჩაყრის ცერემონიების დროს. წარმოადგენდა თოხით და გუთნით მინის გაფხვიერების და თესლის მობნევის საკრალურ ქმედებას. მინის თოხნის ცერემონიის ჩატარება მეფის მიერ

მინის თოხნის ცერემონია

გამოსახულია ერთ-ერთ წინადინასტიურ ფირფიტაზე. მინის თოხნის ცერემონია მოხსენიებულია ასევე პირამიდების ტექსტებში მიცვალებულთათვის მსხვერპლშეწირვის დროს (112, 817, 1138). განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ოსირისის კულტში. ზუსტი დანიშნულება დღეს ბუნდოვანია.

მკვდართა წიგნი – დღეს ასე მოიხსენიებენ ტექსტების კორპუსს მიცვალებულთათვის, რომელიც ამ სახის ტექსტების განვითარების მომდევნო საფეხურს წარმოადგენს სარკოფაგების ტექსტების შემდეგ. ის 200-მდე გამონათქვამს (ან თავს) მოიცავს, რომელთაგან ნახევარზე მეტი პირამიდების და სარკოფაგების ტექსტების გამონათქვამებზე არის დამყარებული (Shaw, 2003, 473). კორპუსის თანამედროვე სახელი მომდინარეობს ტექსტების 1842 წ. რ. ლეპსიუსის გამოცემიდან, რომელმაც გამოაქვეყნა ტურინის მუზეუმში დაცული პტოლემაიოსების პერიოდის პაპირუსები და კრებულს „მკვდართა წიგნი" (Todtenbuch) დაარქვა (Lepsius, 1842). თვითონ ეგვიპტელები ამ კორპუსს ეძახდნენ „გამონათქვამებს დღისით გამოსასვლელად" (ეგვ. *Rw nw prt m hrw*) სამი უმნიშვნელოვანესი გამონათქვამის მიხედვით, რომლებიც მკვდართა წიგნის ყველა ვერსიაში აუცილებლად იყო შეტანილი: „გამოსვლა დღისით დაკრძალვის შემდეგ" (BD 1), „გამოსვლა დღისით ყველა მტერზე გამარჯვებულის" (BD 17) და „გამოსვლა დღისით სხვადასხვა სახედ ტრანსფორმირების შემდეგ" (BD 64). მკვდართა წიგნის წარმოდგენებით, გარდაცვლილის „ახი" გაატარებდა მარადიულობას ვარსკვლავებს შორის, მისი სხეული და „კა" მიჯაჭვული იქნებოდა სარკოფაგის საკანთან, მისი „ბა" კი შეძლებდა ცოცხლების სამყაროს მონახულებას, ზეცაში გადანაცვლებას, მიწისქვეშეთში ჩასვლას და „ლელიანის მინდვრებში" მარადიულ ნეტარებას, რომლებიც ეგვიპტელისათვის სამოთხის ეკვივალენტი იყო. ამიტომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი „დღისით გამოსვლა" (Faulkner, 1985, 14). მკვდართა წიგნის გამონათქვამები იწერებოდა ძირითადად პაპირუსზე, თუმცა ადრეული ნიმუშები ნაპოვნია ასევე მუმიების სახვევებზე და სარკოფაგებზე, მოგვიანებით კი სამარხების კედლებზეც. მისი უძველესი ეგზემპლარები XVII დინასტიით არის დათარიღებული, მაგრამ წიგნის ფართოდ გამოყენება დაახლ. თოტმეს III-ის მეფობიდან იწყება, ცოტა ხანს წყდება ამარნას ეპოქაში, თუმცა ისევ ჩნდება უკვე ტუტანხამონის სამარხში. მერნეპტახის მეფობიდან მკვდართა წიგნის გამონათქვამები ფარაონების სამარხების კედლებზეც თავსდება, გან-

ფრაგმენტი მკვდართა წიგნიდან (ანის პაპირუსი)

საკუთრებით გამონათქვამი 125, რომელიც გარდაცვლილთა იმქვეყნიურ განსჯასთან არის დაკავშირებული. „გულის" გამონათქვამები (BD 26-30, განსაკუთრებით 30B) სკარაბეოსებზეც თავსდებოდა. XXII-XXV დინასტიების დროს მკვდართა წიგნის გამოყენება ძალიან იშვითი ხდება, მაგრამ XXVI დინასტიიდან მისი ნამდვილი გაფურჩქვნის პერიოდი იწყება. ამ დროიდან მას ემატება ახალი გამონათქვამები, ხდება მათი თანმიმდევრობის კანონიზირება და რიცხვის(192) დაფიქსირება (Hornung, 1999, 12). ამ რედაქციას ჩვეულებრივ „საისურს" უწოდებენ, განსხვავებით წინა, ჩამოუყალიბებელი ვერსიისაგან, რომელიც „თებეს რედაქციის" სახელით არის ცნობილი. ამ ვერსიაში 1-16 გამონათქვამები მოიცავს გარდაცვლილის შესვლას სამარხში, ჩასვლას მიწისქვეშეთში. გარდაცვლილს უბრუნდება გადანაცვლების და მეტყველების უნარი. 17-63 გამონათქვამების დახმარებით გარდაცვლილს შეუძლია, იყოს კვლავ დაბადებული რასთან ერთად. 64-129 გამონათქვამები მოიცავს გარდაცვლილის მოგზაურობას ზეცაში რასთან ერთად და საღამოს მწისქვეშეთში ჩასვლას. 130-189 გამონათქვამები აღწერს გარდაცვლილის, როგორც ერთ-ერთი ღმერთის არსებობას სამსჯავროზე გამართლების შემდეგ (Faulkner, 199914). წიგნი პოპულარული იყო რომაულ პერიოდშიც. ამ დროიდან შემოინახა დემოტიური დამწერლობით შესრულებული ეგზემპლარებიც, თუმცა ძირითადად გამონათქვამების ჩაწერა ხდებოდა ე.წ „იეროგლიფური კურსივით" (ე.წ. „Totenbuch-kursiv", რომელიც წარმოადგენს შუალედურ ფორმას საკუთრივ იეროგლიფებსა და იერატიულ დამწერლობას შორის), ან იერატიული დამწერლობით. მკვდართა წიგნი ფართოდ გამოიყენებოდა ეგვიპტის მოსახლეობის ყველა ფენის მიერ, ვისაც მატერიალურად შეეძლო მისი შეძენა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი სამეფოს დროს ფარაონებისათვის შეიქმნა განსაკუთრებული ლიტერატურული ნაწარმოებები „იმქვეყნიური მოხმარებისათვის" (როგორც, მაგ. „ამდუატის წიგნი" და „ლითანია რასადმი"), მკვდართა წიგნის გამონათქვამების გარკვეული ნაწილი სამეფო სამარხებში ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე გამოიყენებოდა. მკვდართა წიგნის ერთ-ერთ განსხვავებას პირამიდების და სარკოფაგების ტექსტებისაგან მისი ილუსტრაციები, ე.წ „ვინიეტები" (vignettes) წარმოადგენს. თავიდან ისინი მცირერიცხოვანია, მაგრამ XXI დინასტიიდან რომელიმე გამონათქვამის მაგივრად შეიძლება უკვე მისი ილუსტრაცია მოთავსებულიყო. ამ დროიდან მკვდართა წიგნის პაპირუსები ძირითადად წარმოდგენილია ილუსტრა-

ციებით, რომელთა ქვეშ შესაბამისი გამონათქვამის ტექსტია მოთავსებული. ახალი სამეფოს და გვიანდელი პერიოდის დროს ილუსტრაციები კაშკაშა, ნათელი ფერებით იყო შესრულებული, პტოლემაიოსების დროიდან ფერები აღარ გამოიყენებოდა. მკვდართა წიგნის გამონათქვამები გამოყოფილია ერთმანეთისაგან სათაურებით და კოლოფონებით, რომლებიც წითელი მელნით გამოიწერებოდა. სარკოფაგების ტექსტებთან შედარებით, აღსანიშნავია გამონათქვამების მკვეთრად შემცირებაც (დაახლ. 1200-დან დაახლ. 200-მდე), თუმცა სხვადასხვა სამარხში მათი რაოდენობა სხვადასხვა იყო (მაგ ტურინის ხას პაპირუსში 33 გამონათქვამია, ცნობილი ანის პაპირუსი 65 გამონათქვამს მოიცავს, ნუს — 137). განსხვავდება ასევე ცალკეული გამონათქვამების სიგრძე, რომელიც რამდენიმე სტრიქონიდან 400-მდე მერყეობს. წიგნის ენა კლასიკური შუა ეგვიპტურია. თუმცა მკვდართა წიგნის დანიშნულებას მიცვალებულის საიქიოში დახმარება წარმოადგენს, მისი ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი იდეა გარდაცვლილთა განსჯაა. აქ უკვე დახვეწილი ფორმა აქვს მიღებული გარდაცვლილის მიერ ოსირისის სამსჯავროზე წარმოთქმულ „ცოდვების უარყოფის სიას", რომელიც ჩვეულებრივ 42 „არ ჩადენილი" ცოდვის ჩამონათვალს წარმოადგენს (მაგ. „მე არ ვყოფილვარ ყალბი ადამიანების მიმართ... არ ჩამიდენია ბოროტება... არ მიმიყენებია ტკივილი... არ მომიკლავს... არ მიბრძანებია, რომ მოეკლათ... არ ჩამიდენია მრუშობა..." Faulkner, 1985, 29-31). ეს გამონათქვამი (BD 125) მკვდართა წიგნის პრაქტიკულად ყველა კრებულში იყო გამოყენებული. ამას გარდა, უმნიშვნელოვანეს გამონათქვამებად ითვლებოდა BD 1, სადაც ხდებოდა გარდაცვლილის იდენტიფიცირება თოტთან, რომ მას შეეცნო ყველა სიბრძნე; BD 6, „უშებტის გამონათქვამი", რომელიც უზრუნველყოფდა უშებტის ფიგურების მიერ გარდაცვლილისათვის სამუშაოების ჩატარებას; BD 25, რომლის წყალობით გარდაცვლილს არ უნდა დავიწყებოდა საკუთარი სახელი, რაც საშინელი უბედურების საწინდარი იყო; BD 26-30, „გულის გამონათქვამები", რომლებიც დაეხმარებოდა გარდაცვლილს, სრულ ჰარმონიაში ყოფილიყო თავის გულთან (ე.ი. გონებასთან); BD 39 და 108, სადაც გადმოცემულია ბრძოლა აპოპისთან; BD 42, სადაც ხდება გარდაცვლილის სხეულის გაღმერთება, ასე რომ ის ღვთაება ხდებოდა; BD 44, რომელიც ნეკროპოლისში ხელმეორედ სიკვდილისაგან იცავდა; BD 77-78, რომლის დახმარებით გარდაცვლილს სხვადასხვა არსებად შეეძლო ტრანსფორმირება (მაგ.შევარდე-

ნად, ატუმად, პტახად, პირველქმნილ ბენუ-ფენიქსად და სხვ.); BD 104, რომელიც დაეხმარებოდა გარდაცვლილს დასახლებულიყო ღმერთებს შორის; BD 144-147, რომლებიც შეეხებოდა საიქიოს ჭიშკრებს (რომლებიც სხვადასხვა ვერსიით ან 7, ან 21 იყო) და მათ საშიშ მცველებს, რადგან მათი სახელების არცოდნის შემთხვევაში გარდაცვლილი ვერ შეძლებდა მათ გადალახვას, და ა.შ. გამონათქვამები უზრუნველყოფდა გარდაცვლილს ყველაფრით, რაც შეიძლებოდა მიცვალებულს იმქვეყნად დასჭირვებოდა – ჰაერით, წყლით, ბოროტი სულების და ცხოველებისაგან დაცვით; არ იყო დავიწყებული ისეთი ელემენტარული მოთხოვნილებაც კი, როგორიც საწერი მასალაა (Hornung, 1999, 17-19). 1874 წ., ორიენტალისტთა II კონგრესზე, გადაწყდა მკვდართა წიგნის თავების შეკრება და გამოცემა. პროექტი დაევალა ე. ნავილს, რასაც მოყვა მისი სამტომეულის გამოცემა (E.Naville, Das aegyptische Todtenbuch der XVIII bis XX Dynastie, 3 Bde, Berlin, 1886). ცოტა ხნის შემდეგ ე. ა. ვ. ბაჯმა გამოაქვეყნა ბრიტანეთის მუზეუმის ანის პაპირუსის ტექსტი, რომელიც არ გამოუყენებია ნავილს (E. A. W. Budge, The Papyrus Ani of the British Museum, London, 1895). ეს ორი გამოცემა დღემდე ეგვიპტური ტექსტის საუკეთესო გამოცემად არის მიჩნეული.

მნევისი – (ეგვ. *Mrwr*, Wb II, 106; *whm n Rʿ*, Wb I, 344), ჰელიოპოლისის საკრალური შავი ხარი. მისი კულტის რეკონსტრუქცია XVIII დინასტიამდე ვერ ხერხდება (*იქვე*), თუმცა სავარაუდოდ იგი გაცილებით უფრო ძველია, რადგან „ჰელიოპოლისის ხარი" უკვე პირამიდების ტექსტებშია მოხსენიებული (PT 716). მის დედად ატფიჰის თეთრი ძროხა ითვლებოდა (Kees, 1980, 153). ახალი სამეფოს ტექსტები მას მოიხსენიებენ, როგორც რას მახარობელს, „რომელსაც სიმართლე მიაქვს ატუმთან" (*იქვე*, 232). მნევისი იმდენად მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული მზესთან, რომ რაღაც სახით ეხნატონმაც კი მიიღო მისი კულტი და ამარნაში სამარხი აუგო (Davies, 1907, 21). მნევისი დაკავშირებული იყო ოსირისთანაც. პლუტარქეს თანახმად, მნევისი ოსირისის საკრალური ხარი იყო (de Iside, 33). გამოისახებოდა, როგორც ხარი რქებს შორის მზის დისკოთი. ჰელიოპოლისის ჩრდილოეთით აღმოჩენილია რამსეს II-ის და რამსეს VII-ის მეფობით დათარიღებული მნევისის ხარების სამარხები.

მონტუ – (ეგვ. *Mnṯw*, Wb II, 92), ამონის აღზევებამდე თებეს ნომის (მეოთხე ზემოეგვიპტური ნომი) მთავარი ღვთაება.

მონტუ

გამოისახებოდა შევარდნის თავით, თავზე ურეუსით გარშემორტყმული მზის დისკოთი და მაღალი ბუმბულების წყვილით. მოიხსენიებდნენ, როგორც „თებეს ხორს“ და „ხორს, ძლიერს მკლავით“, რაც მის ომის მოყვარე ბუნებაზე მიუთითებს. მონტუ ხარის კულტთანაც იყო დაკავშირებული, როგორც „მონტუ — ხარი ჰერმონთისიდან“. მისი ცხოველის სახელი იყო ბუხისი (ეგვ. *bḫ*, Wb I, 472, სახელის მნიშვნელობა უცნობია). ბუხისს ეთაყვანებოდნენ თეთრი ხარის სახით. ჰერმონთისთან ნაპოვნია ამ ხარების სასაფლაო, სადაც მათ XXX დინასტიიდან კრძალავდნენ (Helck und Otto, 1956, 230). თუმცა მონტუ მოხსენიებულია პირამიდების ტექსტებში (PT 1081b), შუა სამეფომდე მის შესახებ, ისევე, როგორც ზოგადად თებეს ნომის შესახებ, პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. მას ეთაყვანებოდნენ ნომის ქალაქებში ჰერმონთისში, ტუფიუმში (ელ-თოდში), მედამუდში და კარნაკში. მოიხსენიებდნენ, როგორც „თებეს ბატონს“. პირველი გარდამავალი პერიოდის თებეს ნომარქების ოჯახისათვის (ინტეფები) მონტუ სავარაუდოდ მთავარი ღვთაება იყო, რომელსაც ისინი ჰელიოპოლისის რა-ხორახტის საპირისპიროდ მოიხსენიებდნენ, როგორც „დიდ ღმერთს, ზეცის ბატონს“. მონტუ ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა თებეში ასევე ინტეფების ოჯახის წარმომადგენლის, XI დინასტიის დამაარსებლის, მონტუხეტეპ I-ის დროს, მაგრამ ამონემხატ I-ის გამეფების შემდეგ (XII დინასტია) მონტუმ პირველობა ამონს დაუთმო, თუმცა შეინარჩუნა დიდი ღმერთის მდგომარეობა და კარნაკში საკუთარი ტაძარიც ჰქონდა. XXII დინასტიიდან მონტუს ქურუმებს ამონის სამფლობელოში თვალში საცემად მნიშვნელოვანი მდგომარეობა ეკავათ. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ მონტუ თავისი არსებით ჰელიოპოლისის მზის ღმერთის ერთგვარ დაპირისპირებად იყო მოაზრებული. ჰერმონთისში მონტუს გვერდით იყო ორი ქალღმერთი, რომლებთან ერთადაც ის ტრიადას ქმნიდა. ესენი იყვნენ იუნიტი (*Ỉwnj.t*, „ჰერმონთისელი) და ჩენენეტი (*Ṯnn.t*, „აღზევებული“). ორივე მონტუს ცოლად იყო მიჩნეული. უფრო გვიან ჩენენეტი შეერწყა რატს (ან „ორივე მიწის რატს“). რატი აშკარად თებეს ან ჰერმონთისის ქურუმების ქმნილება იყო და წარმოიდგინებოდა, როგორც მდედრობითი მზე, ან მზის თვალი (Kees, 1980, 340-343).

მონტუხეტეპი- (ეგვ. *Mnṯw-ḥtp*, „მონტუ მშვიდად არის“), პირველი გარდამავალი პერიოდის და მეთერტმეტე დინასტიის ოთხი ფარაონის სახელი. თებეს ნომარქები, შემდეგში კი სამეფო სახ-

ლის ნარმომადგენლები, რომლებიც ჰერაკლეოპოლისის მეფეებს ერთიანი ეგვიპტის ტახტისათვის ებრძოდნენ. **მონტუხეტეპ I** (დაახლ.ჩვ.წ.-მდე 2061-2040 წწ.) პირველი გარდამავალი პერიოდის ფარაონია. სავარაუდოდ, იყო „დიდი ინტეფის, იკუს შვილის" მემკვიდრე და ინტეფ I-ის მამა. მის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი, თუმცა ის არის თებეს ნომარქების ოჯახის პირველი ნარმომადგენელი, რომელიც შემდგომმა ტრადიციამ მეფედ აღიარა. იმავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ხორის სახელი, რომლითაც მას შემდეგში მოიხსენიებდნენ, „წინაპარს" ნიშნავს (ეგვ. *tpj'*, Wb I, 157), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მისი მეფედ აღიარება გარდაცვალების შემდეგ, მომდევნო თაობების მიერ მოხდა (Seidlmayer in Shaw (ed), 2003, 124). **მონტუხეტეპ II**-ის (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2040-2010 წწ.) მეფობით იწყება ახალი ერა — შუა სამეფოს ხანა. ის გამეფებისთანავე იწყებს ომს ჩრდილოეთის წინააღმდეგ და გამარჯვებას გამარჯვებაზე იხვეჭს. იგი ამარცხებს ჰერაკლეოპოლისის მოკავშირეებს — ასიუტის ნომარქებს, ჰერმოპოლისის ნომარქებს და გამეფებიდან მეცხრე წელინადს უტეევს ჰერაკლეოპოლისს. ამ ბრძოლაში იგი ბრნყინვალე გამარჯვებას მოიპოვებს და კვლავ გაერთიანებული ეგვიპტის ფარაონი ხდება. ამ გამარჯვების შემდეგ მონტუხოტეპი იღებს ხორის ახალ სახელს, „ორივე ქვეყნის გამაერთიანებელი" (ეგვ. *Smꜣtꜣwj*,). აღსანიშნავია, რომ მან პატივი მიაგო თავის დიდ წინაპარს — ინტეფს, იკუს ვაჟს, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ჰერაკლეოპოლისელთა წინააღმდეგ, და მის პატივსაცემად სტელა აღმართა. თავისი ბრნყინვალე მეფობის დროს იგი არ შემოფარგლულა ეგვიპტის ტახტის მოპოვებით: ერთიმეორის მიყოლებით აწარმოებს მრავალ სამხედრო კამპანიას, და აღადგენს ეგვიპტის ბატონობას ნუბიაში, წესრიგს ამყარებს დასავლეთის უდაბნოში, სადაც ამარცხებს ლიბიელთა ტომებს, და სინაიზე. მისი ნარნერები ნაპოვნია ნილოსის პირველ ჭორომთან, აბისკოსთან, ჰატნუბის და ვადი ჰამამატის სამტეხლოებთან და სხვ. მონტუხეტეპის სამშენებლო მოღვაწეობა ძირითადად ზემო ეგვიპტით შემოიფარგლებოდა: ბგებელენში ააგო სამლოცველო ხატხორის ძველ ტაძარში, ტოდში გადააკეთა მონტუს ძველი ტაძარი, დენდერაში ააგო სამლოცველო, მიძღვნილი ხატხორის, ხორის, ხორახტის და მინისადმი, მიაშენა ახალი ნაგებობები ოსირისის ტაძარს აბიდოსში. შაგრამ მის ყველაზე შთამბეჭდავ ნაგებობას მისი სამარხი ნარმოადგენს, რომელიც მან დეირ-ელ-ბაჰარიში, თავისი წინაპრების სამარხებიდან დასავლეთით, დაახლ. 2 კმ.-ის დაშორებით



მონტუხოტეპის მოსახსენიებელი ტაძარი დეირ-ელ-ბაჰარიში, რომელიც ხატშეპსუტის ცნობილი ტერასებიანი ტაძრის პროტოტიპად არის მიჩნეული.

ააგო. ეს კლდეზე ტერასებად განლაგებული ნაგებობა, რომელსაც თავზე სვეტებით გარშემორტყმული პირამიდა ადგას, ხატშეპსუტის ცნობილი ტაძრის ერთგვარ პროტოტიპად არის მიჩნეული (Hayes, 1953, 152-166). მონტუხეტეპის დამსახურებას ეგვიპტის კვლავ გაერთიანების საქმეში თვითონ ეგვიპტელები აღიარებდნენ, და მრავალი საუკუნის შემდეგაც, XX დინასტიის კერძო პირების სამარხებში მრავლად არის წარწერები, რომლებიც ხოტბას ასხამს მას (Callender im Shaw (ed), 2003, 139). მონტუხეტეპ II-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ადის მისი ვაჟი, **მონტუხეტეპ III** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2010-1998 წწ.). გამეფების დროისათვის იგი უკვე შუახანს გადაცილებული კაცი იყო და არაორდინარული მამის მიერ მოწესრიგებული ქვეყნის ტახტზე თორმეტი მშვიდი წელი გაატარა. თუმცა ახალგაზრდობის დროინდელ გამოსახულებებში იგი მეომრად არის წარმოდგენილი, გამეფების შემდეგ ძირითადად აღმშენებლობითი სამუშაოებით იყო დაკავებული. მის მიერ აგებული ტაძრები და მათ კედლებზე მოთავსებული რელიეფები ეგვიპტის ხელოვნების ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალად არის მიჩნეული. მისი გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ადის მისი უფროსი ვაჟი სენუსერტი, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი იმდენად მალე გარდაიცვალა, რომ მისი ოფიციალურად მეფედ კურთხევაც კი ვერ მოესწრო. მის გარდაცვალებას მოჰყვა რაღაც პერიოდი, რომლის ისტორიის რეკონსტრუქცია პრაქტიკულად ვერ ხერხდება, რის შემდეგ ეგვიპტის ფარაონი ხდება **მონტუხეტეპ IV** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1898?-1980 წწ.), რომელიც ასრულებს XI დინასტიას. ეს მეფე ცნობილია გრძელი წარწერებიდან ვადი ელ-ჰამამატის ქვის საბადოებში და ლარნაკით (მეტროპოლიტენის მუზეუმში), სადაც მის გვერდით მოხსენიებულია ამონემხატი, რომელიც შემდეგი, XII დინასტიის დამაარსებლად არის მიჩნეული. მონტუხოტეპ IV-ის დედა იყო უბრალო წარმოშობის ქალი, სახელად იემი და მიუხედავად იმისა, რომ თავად ფარაონი მონტუხეტეპის სახელს ატარებდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ის არ იყო XI დინასტიის სამეფო ოჯახის წარმომადგენელი. შექმნილი ვითარებით სარგებლობს ვეზირი ამონემხატი (მომავალში მეთორმეტე დინასტიის დამაარსებელი ამონემხატ I) და ტახტის უზურპირებას ახდენს (Hayes, 1953, 166-167).

მორიელი – მორიელს ეგვიპტელები ორაზროვნად აღიქვამდნენ. არსებობდა უამრავი შელოცვა მის წინააღმდეგ და მისი ნაკბენის მოსარჩენად (PT 227, 233-234). იმავდროულად ითვლე-

ბოდა, რომ მორიელი თავისი ძალით ღმერთებს ემსახურებოდა. ლეგენდის თანახმად, შვიდი მორიელი ისიდას სდევდა თან მისი მოწინააღმდეგეების მოსაგერიებლად (Roeder, 1915, 88).ხანდახან თვითონ ისიდა მორიელის სახით გამოისახებოდა. მორიელის ფიგურები ამულეტების სახით ნაპოვნია გვიან წინადინასტიურ და ადრედინასტიურ ფენებში (Bonnet, 1952, 723). მორიელის სახე ჰქონდა ასევე ქალღმერთ სელკეტსაც. ძველად არსებობდა კიდევ ერთი მორიელის სახის ქალღმერთი ხედედეტი, რომელიც პირამიდების ტექსტებში (1876) და მკვდართა წიგნში (Naville, Tb. Kap. 419) რას შვილად არის მოხსენიებული. თუმცა მორიელის მაგიური ძალა ძირითადად ქალღმერთებთან იყო დაკავშირებული, წინადინასტიურ პერიოდში „მორიელი" ერქვა ფარაონს, და იმ დროის არქეოლოგიური მასალა გვამცნობს, რომ იმ პერიოდში მორიელი სამეფო ძალაუფლებასთან იყო ასოცირებული (Quibell, 1900, pl.17, 19-20).

მრავალფეხა — მრავალფეხა, როგორც ყველაზე ნაკლებ შხამიანი ცხოველი სხვა მინაში მცხოვრებ შხამიან ცხოველებს შორის, ეგვიპტელებს უფრო თავისი ხტონიური თვისებების გამო ჰყავდათ გაღმერთებული ღმერთ სეპას სახით (Roeder, 1915, 92). მისი უძველესი თაყვანისცემის ადგილები ჰელიოპოლისის ნავსადგურის და ნილომეტრის მიდამოები იყო (Kees, 1980, 60).

მსხვერპლშეწირვა — ეგვიპტელს სჯეროდა, რომ ღმერთს შესანირად საკვები ესაჭიროებოდა და ის დღეში სამჯერ მიდიოდა თავის საკვებთან (Junker, 1913, 20). დილის შესანირი ღმერთის გამოსახულების განწმენდის რიტუალს მოსდევდა. სხვა მხრივ მსხვერპლშეწირვის შესახებ ბევრი რამ ბუნდოვანია, რადგან ჩვენს ხელთ არ არსებობს არავითარი მასთან დაკავშირებული ტექსტი, და ის ცალკეული გამოსახულებებით და მათ ქვეშ მოთავსებული მოკლე წარწერებით არის რეკონსტრუირებული. ჩვეულებრივ ცერემონია შესაწირის საკურთხეველზე მოთავსებით იწყებოდა. მას მოჰყვებოდა შესაწირის „აწევა", როცა შემწირავი ორივე ხელით ზევით სწევს, თითქოს სთავაზობს ღმერთს შესაწირს (Davies, 1904, pl.20). ამის შემდეგ მსხვერპლშეწირვის რიტუალს არულებდა სიტყვები „მიემართება ღმერთი თავისი საკვებისაკენ", რასაც საკმეველის კმევა და შეპკურება მოსდევდა. შესაწირი საკვები უმეტესად მცენარეული იყო. ხორცი — ძირითადად საქონლის და ბატის — იწირებოდა ზეიმების დროს. განსაკუთრებით დიდი ზეიმების დროს შეიძლება ანტი-



სეტი I შესაწირს მიართმევს ღმერთებს

ლოპის ან საქონლის მთლიანი სხეული შეწირულიყო. საქონლის სისუფთავეზე განსაკუთრებული ქურუმები, სფრაგისტები ზრუნავდნენ. საქონელს განწმენდნენ, აკურთხებდნენ, საკმეველს აკმევდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ კლავდნენ.

მუმია – გარდაცვლილის სხეული, რომელშიც, ქსოვილების ბუნებრივი ან ხელოვნური გამოშრობის გამო, არ მიმდინარეობს გახრწნის პროცესი. „მუმია" (mumia) ლათინური სიტყვაა სპარსული „mum"-იდან და ნიშნავს „ბიტუმს" ან „კუპრს". რადგან მუმიფიცირებული სხეული დროთა განმავლობაში შავდებოდა, ეგონათ, რომ მის დასამზადებლად კუპრს იყენებდნენ. თვითონ ეგვიპტელები მუმიფიცირებულ სხეულს „სახს" (ეგვ. *sꜣḥ*, Wb IV, 51) ეძახდნენ. ეგვიპტეში, სადაც ნაყოფიერი მიწის სიმწირის გამო ადამიანებს უძველესი დროიდან უდაბნოში მარხავდნენ, ცხელი ქვიშა და მზე ბუნებრივად აშრობდა სხეულს. მაგრამ უკვე მეოთხე ათასწლეულის შუახანებისათვის ცხოვრების განვითარებამ მოიტანა სამარხები და სარკოფაგები, სადაც ეს ბუნებრივი გარემო აღარ მოქმედებდა და მიცვალებულის სხეულმა გახრწნა დაიწყო, რაც შეუფარდებელი იყო ეგვიპტურ წარმოდგენასთან ადამიანის უკვდავი სულის შესახებ, რომელიც ყველაზე ადრე ეგვიპტეში ჩამოყალიბდა. ეგვიპტელებს სწამდათ, რომ გარდაცვალების მომენტში სული შორდებოდა სხეულს და მისგან დამოუკიდებლად განაგრძობდა არსებობას, მაგრამ სხეული სულის ნავსაყუდელად იყო მიჩნეული და ამიტომ სხეულის დაზიანების შემთხვევაში სული მიუსაფარი რჩებოდა. ამ წარმოდგენებმა ბიძგი მისცა სხეულის უკვე ხელოვნურად მუმიფიცირების ტრადიციას, რომელიც დინასტიური პერიოდის დასაწყისს ემთხვევა. მუმიფიცირებული მკლავი ჯერ კიდევ I დინასტიის მესამე ფარაონის, ჯერის სამარხშია ნაპოვნი (Petrie, 1902, II, pl.I). თავიდან მხოლოდ მეფეების და დიდებულების სხეულების მუმიფიცირება ხდებოდა, მაგრამ თანდათან ეს ტრადიცია ძალიან გავრცელებული გახდა და მას მიმართავდა ყველა ოჯახი, რომელსაც ამის საშუალება ჰქონდა (David, 1998, 159). მუმიფიცირების ტექნიკის შესახებ ტექსტებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჰეროდოტეს (II, 86-88) ცნობით, გასამრჯელოს შესაბამისად, მუმიფიცირების სამი სხვადასხვა მეთოდი არსებობდა, მაგრამ სამივე შემთხვევაში სხეულს 70 დღით დებდნენ ნატრონის სოდაში. მუმიფიცირებისათვის საჭირო 70 დღე ემთხვევა 70-დღიან პერიოდს, როცა ღამის ცაზე ყოველი მომდევნო დეკანის გაუჩინარება ხდებო-

და (Clark, 2004, 289). არქეოლოგიური მონაცემებით, თავიდან, როცა მუმიფიცირების ტექნიკა არ იყო დახვენილი, სახვევების დანიშნულებას წარმოადგენდა სხეულის ნაკვთების აღდგენა, რაც კუპრის ან თაბაშირის გამოყენებით ხდებოდა. სხეულის ნამდვილი მუმიფიცირება დაახლ. მეოთხე დინასტიიდან დაიწყო, როცა აღმოჩნდა, რომ ნატრონის სოდით სხეულის გამოშრობა იყო შესაძლებელი. ნატრონის სოდა არის სოდიუმის კარბონატის და სოდიუმის ბიკარბონატის ბუნებრივი ნაერთი, რომელსაც ხშირად ერთვის მარილი. მისი, ისევე როგორც „ნატრიუმის" სახელი მომდინარეობს ეგვიპტური სიტყვიდან „*ngrj*" (Wb II, 366). ხეოფსის დედის, ხეტეპხერესის სამარხში აღმოჩენილ ყუთში შიგნეულობა ნატრონის სოდით იყო დამუშავებული (Silverman (gen.ed.), 2003, 138). მებალზამეს, რომელიც სხეულს შუცლის მარცხენა მხარეს კვეთდა, დიოდორესთან (I, 91) ჰქვია პარაშისტი. სიტყვის ეგვიპტური ექვივალენტის დადგენა ვერ ხერხდება. დიოდორეს თქმით, სხეულის გაკვეთის შემდეგ პარაშისტი გარბოდა, რადგან მას ნათესავები ქვებს ესროდნენ. ამ ფაქტს ეთანხმება ეგვიპტური ტექსტების მონაცემებიც (Spiegelberg in Bonnet, 1952, 583). შიგნეულობას (გულის გარდა, რომელიც იმდენად მნიშვნელოვან ორგანოდ ითვლებოდა, რომ მას მუმიას უტოვებდნენ) იღებდნენ სხეულიდან, ასევე ამუშავებდნენ ნატრონის სოდით და ცალკე ყუთში დებდნენ. მალე შიგნეულობის შესანახად ჩნდება ოთხი კანოპი. XXI დინასტიიდან შიგნეულობას სახვევებში ახვევდნენ და ისევ სხეულში აბრუნებდნენ, XXVI დინასტიიდან კვლავ ჩნდება კანოპები, XXVI დინასტიის შემდეგ კი შიგნეულობას მუმიის ფეხებს შორის ათავსებდნენ. შუა სამეფოს დროიდან იღებდნენ ტვინსაც. სახის ნაკვთებს მაქსიმალურად ანიჭებდნენ პორტრეტულ მსგავსებას გარდაცვლილთან, რისთვისაც თაბაშირს და საღებავს იყენებდნენ. პირველი გარდამავალი პერიოდიდან ჩნდება ნიღბები, რომაული პერიოდიდან კი ნიღაბს ცვლის გარდაცვლილთა პორტრეტები, რომლებიც დღეს „ფაიუმის პორტრეტების" სახელით არის ცნობილი (Silverman (gen.ed), 2003, 139). გამოშრობის შემდეგ სხეულს არომატული ზეთებით რეცხავდნენ. ჭრილობა მუცლის მარცხენა მხარეს, რომელიც პარაშისტის მიერ სხეულის გაკვეთის შემდეგ რჩებოდა, იკერებოდა და მასზე ოქროს ან ცვილის ფირფიტას დებდნენ. ამის შემდეგ სხეულს ავსებდნენ და შემდეგ ახვევდნენ ზეთებით გაჟღენთილ სახვევებში, რომელთა სიგრძე შეიძლება რამდენიმე ასეული მეტრი ყოფილიყო. სხეულზე და სახვევებში ჩვეულებრივ ამულეტები თავსდებოდა,

რომელთა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა ახალი სამეფოს დროიდან. მუმიას ატანდნენ მკვდართა წიგნსაც. მებალზამეს, რომელიც სხულს აბალზამებდა, ერქვა უტი. სიტყვა პირამიდების ტექსტებშია დაფიქსირებული (*wt,* Wb.I, 379). თვითონ მუმიფიცირების პროცესს „*kšt wt*", „ბალზამირების სამუშაოები"ერქვა (*იქვე*). ეგვიპტური წარმოდგენების თანახმად, მუმიფიცირების პროცესი რიტუალად წარმოიდგინებოდა, ამიტომ უტს ქურუმის რანგი ჰქონდა. ყოველ ნახვევს თავისი მაგიური სახელი ერქვა და და მუმიფიცირების პროცესში გარკვეული ტექსტების წარმოთქმა ხდებოდა. ახალი სამეფოდან უტს, რომელსაც ანუბის-უტსაც ეძახდნენ, ანუბისის ნიღაბი ეკეთა. ადგილს, სადაც მუმიფიცირება ხდებოდა, ძველი სამეფოდან „წმინდა ადგილი" (ეგვ. *s.t wʿb.t,* Wb I, 284), შუა სამეფოდან კი „მშვენიერი სახლი" (ეგვ. *Pr nfr,* Wb I, 517) ერქვა და ის ჩვეულებრივ ნეკროპოლისის სიახლოვეს მდებარეობდა. ითვლებოდა ასევე, რომ მუმიფიცირება გარდაცვლილს განწმენდილთა რიგში ათავსებდა (Roeder, 1915, 297). მუმიფიცირებას თან სდევდა პროცესიები. პტოლემაიოსების დროინდელი ტექსტის თანახმად პარაშისტის მიერ სხეულის გახსნის შემდეგ 36 დღის განმავლობაში 8 პროცესია უნდა ჩატარებულიყო. მათ მოსდევდა ტბის ცერემონია (*იხ. დაკრძალვა*), და შემდეგ კიდევ პროცესიები (სულ 17, რიცხვი, რომელიც შეესაბამებოდა ნმინდა ნაწილების რიცხვს, რომლებზეც ოსირისის დანაწევრება მოხდა). ეს ცერემონიები, რომლებიც 70 დღეს გრძელდებოდა, „თავის შვიდგზის გახსნის" რიტუალით სრულდებოდა, რომელსაც მუმიას სამარხში შესვენების წინ უტარებდნენ (იგულისხმება თვალების, ყურების, ნესტოების და პირის გახსნა, Bonnet, 1952, 486). მუმიფიცირების ტექნიკა ძალიან დაიხვეწა უკვე ძველი სამეფოს დასასრულს, მაგრამ თავის მწვერვალს XXI დინასტიის დროს მიაღწია. ამ დროს დაიწყეს სხეულის კანქვეშა დამუშავება, რომ მისთვის ცოცხალ სხეულთან მაქსიმალურად დაახლოვებული სახე მიეცათ. უფრო დახვეწილად გამოიყენებოდა კოსმეტიკა, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფრჩხილების და თმის მოწესრიგებას, უკეთესად შენახვის მიზნით (Shaw (ed.), 2003, 359).

მუსიკა – მუსიკას ეგვიპტელთა სიცოცხლეში დიდი ადგილი ეკავა, რაზეც მეტყველებს მომღერლების, დამკვრელების და მოცეკვავეების უამრავი გამოსახულება. ეგვიპტურ ნადიმს ან გართობას ყოველთვის მუსიკა ახლდა თან. მუსიკასთან იყო დაკავშირებული ეგვიპტის უდიდესი ქალღმერთი ხატხორი.

მუსიკასთან ასოცირდებოდა ასევე ხატხორის ვაჟი იხი, რომელიც მან ედფუს ხორისაგან გააჩინა (თვითონ სიტყვა მუსიკაც ჟღერდა, როგორც „იხი“, „*ỉḥj*“, Wb I, 22). ამას გარდა, მუსიკა პერსონიფიცირებული იყო ქალღმერთ მერტში. პროფესიულ მუსიკოსებს ეგვიპტეში უკვე ძველი სამეფოს დროიდან საპატიო ადგილი ეკავათ, ისინი დიდებულების გვერდით, ფარაონის პირამიდის სიახლოვეს იკრძალებოდნენ. მსოფლიო მუსიკის ისტორიაში დაფიქსირებული უძველესი პროფესიონალი მუსიკოსი, ხუფუ-ანხი ეგვიპტელი იყო. ის ფარაონ უსერკაფის (V დინასტია) კარზე მოღვაწეობდა, როგორც ფლეიტისტი და კომპოზიტორი. მის შემდეგ, ბევრი ეგვიპტელი მუსიკოსის სახელია დაფიქსირებული, არსებობდა ასევე მუსიკოსთა მთელი დინასტიებიც (Helck und Otto, 1956, 237). სატაძრო მომღერლების (როგორც ქალების, ისე მამაკაცების) რიცხვი, რომელიც ეგვიპტური ტაძრების მომსახურე პერსონალის სიებშია დაფიქსირებული, მიუთითებს მუსიკის მნიშვნელობაზე ღვთისმსახურების დროს. სატაძრო მომღერალ ქალებს „ღმერთის მომღერალი ქალების“ ნოდება ჰქონდათ. ჰელიოპოლისში მათი უფროსის წოდება იყო „უდიდესი მუსიკოსი ქალებს შორის“. არ იყო აუცილებელი, რომ „ღმერთის მომღერალი ქალები“ ქურუმები ყოფილიყვნენ. თებეში მუსიკოსი ქალების უფროსად „ღმერთის მეუღლე“ ითვლებოდა (Breasted, 1962, IV. § 521). მომღერალი მამაკაცებიც შეიძლება ქურუმები ან სხვა დასაქმების ხალხი ყოფილიყო, თუმცა კლემენს ალექსანდრიელი მათ უდაბლესი რანგის ქურუმებად მოიხსენიებს (Bonnet, 1952, 491-492). გადამწერისადმი ერთ-ერთ დარიგებაში ნათქვამია, რომ მას უნდა შეეძლოს „ფლეიტაზე დაკვრა, ლირაზე დამკვრელის თანხლება და სიმღერა მუსიკალური ინსტრუმენტის ნეხტის თანხლებით“, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეგვიპტურ სკოლებში მუსიკის სწავლება სასნავლო პროგრამაში შედიოდა და ეგვიპტური განათლების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა (Коростовцев, 1976, 416).



არფა

მუსიკალური ინსტრუმენტები — ეგვიპტური მუსიკალური ინსტრუმენტები ოთხ ჯგუფად არის დაყოფილი: იდეოფონები (სისტრები, ჟღარუნები, ზანზალაკები), მემბრანოფონები (სხვადასხვა ტიპის დასარტყამი ინსტრუმენტები), სასულე ინსტრუმენტები (სხვადასხვა ტიპის ფლეიტები, ჰობოები, ვერცხლის და ოქროს საყვირები), სიმებიანი ინსტრუმენტები (სხვადასხვა ტიპის არფები, ლუტნები და სხვ.) (Коростовцев, 1976, 416).



მუტი

მუტი – (ეგვ. *Mw.t,* Wb II, 53). კარნაკის ამონის ტაძრის სამხრეთით მდებრეობდა იშერუს ტბა (ეგვ. *Ỉšrw,* Kees, 1980, 352). ამავე მიდამოებში ეთაყვანებოდნენ სვავის სახის ქალღმერთს მუტს, რომელსაც „იშერუს ქალბატონს" ეძახდნენ. მუტის ანთროპომორფიზაცია ძალიან ადრე მოხდა. მისი ძველი სვავის სახე შემორჩა სვავის ფორმის თავსაფარში, რომელზეც ქალღმერთს ჩვეულებრივ ეგვიპტის ორმაგი გვირგვინი ედგა. ამ თავსაფარს ეგვიპტის დედოფალი ატარებდა. მუტის წარმოშობა და ბუნება ბუნდოვანია. მისი აღზევება თებეს და ამონის აღზევებასთან იყო დაკავშირებული. მუტი იყო ამონის ცოლი, და ღვთაებრივი წყვილი, თავიანთ ვაჟიშვილთან, ხონსუსთან ერთად ღვთაებრივ ტრიადას ქმნიდა. ახალი სამეფოს დროს ყველაზე მდიდრული შეწირულობები ამ ღვთაებრივ ოჯახს მისდიოდა (Коростовцев, 1976, 59). შუა სამეფოს ტექსტებში მუტი იშვიათად გვხვდება, თუმცა მონტუხეტეპ IV-ის სტელაზე ის მოხსენიებულია, როგორც „დიდი გრძნეული" ისეთ დიდ ღვთაებებთან ერთად, როგორებიც არიან ისიდა და მინი (Breasted, 1962, I, § 441). მუტის მოხსენიება ტექსტებში ძირითადად ახალი სამეფოდან იწყება. ეგვიპტური ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, ხდება მისი შერწყმა ძველი დედაქალაქის, მემფისის ქალღმერთებთან სახმეტთან, ბასტეტთან და ხატხორთან, რაც ეგვიპტელისათვის მუტის „დაძველებასაც" ნიშნავდა. მუტი-ხატხორი „თებეს ქალბატონიც" ხდება (Breasted, 1962, II, § 622). ფარაონთან დაკავშირებულ მითებში, საკრალური ქორწინების დროს ეგვიპტის დედოფალი მუტთან იყო გაიგივებული, რომელსაც თავისი მეუღლის, ამონისაგან ღვთაებრივი ბავშვი, მომავალი ფარაონი ჩაესახებოდა. ითვლებოდა, რომ ყოველი ახალი ფარაონი თავის ძალას დედის, მუტის რძით იძენდა (Pinch, 2002, 168). თებეს და ამონის აღზევებასთან ერთად, მუტი სულ უფრო დიდი ქალღმერთი ხდება. ჰელიოპოლისში მუტს მოიხსენიებდნენ, როგორც „ღმერთის ხელს, რომელმაც ენეადა გააჩინა", ჰერმონთისში მას „ჰერმონთისის ქალბატონს" ეძახდნენ. აქ ის შეერწყა ადგილობრივ ქალღმერთს რატ-ტაუის, რომელიც „მზის დედა" იყო, და შედეგად მუტიც „მზის დედა" ხდება. ეგვიპტური რელიგიისათვის დამახასიათებელი შეუთავსებელის შეთავსების წყალობით ის იმავდროულად ხდება რას თვალი, და, შესაბამისად, რას ქალიშვილი. ახალი სამეფოს შუახანებიდან მუტს მოიხსენიებენ, როგორც „დედების დედას", და მისი სახელის მსგავსება სიტყვა „დედასთან" (*m w.t,* Wb II, 54) განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს (Bonnet, 1952, 493). ითვლებოდა ასევე, რომ მუტს შეეძლო

შავი ჭირის და სხვა საშიში ავადმყოფობების როგორც მოტანა, ისე თავიდან აცილება, „მუტის ალი“ კი ერთ-ერთ ყველაზე შემზარავ ღვთაებრივ იარაღად იყო მიჩნეული (Pinch, 2002, 168).

მღვიმეების წიგნი — (The Book of Caverns), გარდაცვლილთა ლიტერატურის ერთ-ერთი ილუსტრირებული ნაწარმოები. სახელი წიგნმა მიიღო იმ „მღვიმეებისაგან“ (ეგვ. *ḳrr.t*, Wb V, 62), რომლებიც, ეგვიპტელის წარმოდგენით, საიქიო სამყაროს ნანილს წარმოადგენდა. გარდაცვლილებს და საიქიოში „მცხოვრებ“ ღმერთებს ხშირად მოიხსენიებდნენ, როგორც „მათ, ვინც მღვიმეებში არიან“ (ეგვ. *ḳrr.tj*, იქვე). „მღვიმეების წიგნის“ ყველაზე ძველი ტექსტი აღმოჩენილია სეტი I-ის კენოტაფში (ოსირეიონში), შესასვლელი კორიდორის მარცხენა კედელზე, „ჭიშკრის წიგნის“ ტექსტის პირდაპირ. წიგნი აღარ გვხვდება მომდევნო მეფეების სამარხებში, თუმცა შესაძლოა, ტექსტს ათავსებდნენ პატარა, მოოქროვილი სამლოცველოების კედლებზე, რომლებსაც სამარხებში ათავსებდნენ და რომლებიც ჩვენთვის დაკარგულია. მერნეპტახის, ტაოსრეტის (XIX დინასტიის უკანასკნელი ფარაონი-ქალი) და რამსეს III-ის სამარხების დასაკრძალი ოთახის კედლების მორთულობაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს მინიჭებული წიგნის დასასრულ ნანილს. ნაწყვეტები პირველი ორი ნანილიდან გამოყენებულია რამსეს IV-ის სამარხის მესამე კორიდორში, სადაც ჩვეულებრივ ამდუატის წიგნი თავსდებოდა. თითქმის სრული ტექსტი კვლავ ჩნდება რამსეს VI-ის სამარხში, ისევ „ჭიშკრის წიგნის“ მოპირდაპირე კედელზე. ამონარიდები წიგნიდან მოთავსებულია ასევე რამსეს VII-ის და რამსეს IX-ის სამარხების კედლებზე. წიგნის ნანილები შემონახულია ე.წ. ნეჯმეტის პაპირუსზე (XXI დინასტია), ვინმე პეტამენოფისის სამარხში (გვიანი პერიოდი) და ასევე, გვიანი პერიოდის სარკოფაგებზე. წიგნში, ისევე როგორც ამ ჟანრის ნანარმოებების უმეტეს ნანილში, აღნერილია მზის ღამის მოგზაურობა ქვესკნელში. სხვა წიგნებთან შედარებით, აქ უფრო წამოწეულია ოსირისის ფიგურა. ბუნდოვანია ოსირისის და რას ურთიერთდამოკიდებულება, რადგან ორივე უფრო ერთი ღვთაების სხვადასხვა გამოვლინებად არის წარმოჩენილი. ასევე, მიმდინარე მოქმედება არ არის განაწილებული ღამის საათებს შორის. ძირითად მოტივს წამოადგენს რას მიერ ოსირისის სხეულში „გავლა“ (მესამე ნაწილში), რის შემდეგაც იწყება მზის ღმერთის „გაახალგაზრდავება“ და „აღდგენა“ (მეოთხე ნანილიდან). ამდუატის და ჭიშკრის წიგნებისაგან

განსხვავებით, არ არის გამახვილებული ყურადღება აპოპისთან ბრძოლაზე. წიგნი ძირითადად ოსირისის მტრების განადგურებას ეძღვნება. წიგნის ბოლოს მზე, გაახალგაზრდავებული და ახალი ძალებით სავსე, ამოდის ქვესკნელიდან. ილუსტრაციაზე, რომელიც წიგნის დასასრულს ახლავს, მზე აღზევდება ორი ბორცვიდან, რომელთაგან თითოეულს იცავს ღვთაება. ორივე მხრიდან მას ეგებება შვიდ-შვიდი ღმერთი, თორმეტი ღმერთი კი მის ბარკას მიაცურებს. თვითონ ბარკა ჯერ კარგად არ ჩანს, მაგრამ უკვე ჩანან მისი ბა, სკარაბეოსი, და ცხვრისთავიანი მზის ღმერთი. აქვე გამოსახულია ორი სამკუთხედი, რომლებიც თითქოს გადმოგვცემენ, თუ რისგან შედგება საიქიო: მათი ნახევარი შავია (სიბნელე), ნახევარი კი ლურჯი (წყალი). მგზავრობის დასასრულს მზე აღზევდება აღმოსავლეთის მთაზე და კიდევ ერთხელ ანათებს ქვეყანას (Hornung, 1999, 83-90).

(ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲣᲠ ᲑᲐᲡᲚᲔᲢᲖᲔ. ᲜᲐᲜᲐᲠᲘ ᲗᲘᲗᲔᲚᲘ ᲓᲘᲓᲘᲡᲞᲔᲚᲘᲡ, ᲜᲐᲮᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘᲓᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡ IV-ᲘᲡ ᲨᲔᲤᲝᲗᲐ, XVIII ᲓᲘᲜᲐᲡᲢᲘᲐ, XIV Ს. ᲠᲒ. ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ.)

ძველ ეგვიპტელებს ოთეთისი ნიგნების ლამაზად ეფორმლება უყვარდათ. ამას ადასტურებს „მკვდრანთა ნიგნის" ფრაგმენტი (XVIII დინასტია), სადაც ძოკვლელებულს ანუბისის, ლულამანაკოფია ოსირისი – ფარაონ კულის ანუბისა ანუბის ეგზამენეგენელი. ნანმოთის ეფით მზარეს ეკუთვნა, ძეფრეკ მზარეს – სამართლის ქალღმერთია. ბალანსზე ზის ოთეთი, ბრიტანელი ეგიპტოლოგის სამოთი ანუბის ძოკვლელი. ოთეთის ფეხქვეშ ჯიბის ეკვილი ანუბი ბრძანი ჩანაბეჭდავს ცარცი. ოთეთის უკან ძოკვლელი ანუბის ოთეთ ანუბის ქალაქს ეს.

ნავკრატისი – საპორტო ქალაქი დასავლეთ დელტაში, ნილოსის დელტის როზეტის ტოტზე, ნაპირიდან დაახლ. 100 კმ. დაშორებით. ფსამტიხ II-მ (XXVI დინასტია) ნება დართო ბერძნებს, დაეარსებინათ კოლონიები დელტაში, მაგრამ მოგვიანებით ამასისმა, რომლის ტახტზე ასვლას ერთგვარად ბერძნების მიმართ ეგვიპტელების გაღიზიანებამ შეუწყო ხელი, თავისებურად შეზღუდა მათი უფლებები. მისი განსაკუთრებული ბრძანებულებით საბერძნეთთან ვაჭრობა მხოლოდ ამ პორტიდან უნდა ყოფილიყო წარმოებული, რის შემდეგაც ქალაქი თანდათან ეგვიპტეში უმნიშვნელოვანეს ბერძნულ კოლონიად გადაიქცა. ქალაქში აშენდა ბერძნული ტაძრები და დანესებულებები, და თითქმის ყველა ბერძნულ პოლისს აქ თავისი წარმომადგენლობა ჰქონდა. ამით ნავკრატისი განსხვავდებოდა სხვა ბერძნული კოლონიებისაგან, რომლებიც ერთი ქალაქის მიერ დაარსებულ დამოუკიდებულ პოლისებს წარმოადგენდნენ. მან თავიდანვე დაიწყო განვითარება, როგორც ვაჭრების დასახლებამ, და მალე კოსმოპოლიტურ ქალაქად გადაიქცა, სადაც ჩადიოდა მოსახლეობა ეგეიდიდან, მცირე აზიიდან და კვიპროსიდან (Law, 2002, 94). სავარაუდოდ, „ნავკრატისი" (Naukratis) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „გემის ძალას", ან „საზღვაოსნო ადგილს". არქეოლოგიური მასალის და წერილობითი წყაროების თანახმად, საბერძნეთსა და ეგვიპტეს შორის საკმაოდ აქტიური სავაჭრო ურთიერთობა არსებობდა ჩვ.წ.-მდე 500-600 წლებს შორის. საბერძნეთიდან ძირითადად შემოდიოდა ვერცხლის მადანი და მონები, ასევე ზეთისხილი და ღვინო. ეგვიპტიდან ბერძენ ვაჭრებს გაჰქონდათ ძირითადად ხორბალი, ასევე ქსოვილები, პაპირუსი და ეგვიპტური ფუფუნების საგნები. როგორც ყველა საპორტო ქალაქი, ნავკრატისი ცნობილი იყო თავისი გასართობი ადგილებით. ბერძენი ქალი-პოეტი საფო თავის ლექსში განიცდის, რომ მისი ძმა ნავკრატისში ცნობილი ჰეტერას გავლენის ქვეშ მოექცა, რომლის გამოც მთელი ქონება გაფლანგა. ამასისის დროს ნავკრატისი ინარჩუნებდა ავტონომიას, მაგრამ

ეგვიპტის სპარსელების მიერ დაპყრობის შემდეგ, როცა საბერძნეთთან ვაჭრობა შეფერხდა, ქალაქმა გაღარიბება დაიწყო, ალექსანდრე დიდის მიერ ალექსანდრიის დაარსების შემდეგ კი მან თითქმის დაკარგა თავისი მნიშვნელობა (Sacks, 1995, 152). ქალაქი უკანასკნელად მოიხსენიება ჩვ.წ. III საუკუნეში. ნაქალაქარის ბორცვს ყურადღება მიაქცია ფ. პიტრიმ 1880-იან წლებში. იმ დროისათვის ადგილობრივი პროექტის თანახმად ბორცვი უნდა გაეთხარათ და მიწა მოეხმარათ, როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწების იაფი გამანაყოფიერებელი. პეტრიმ სასწრაფოდ ჩაატარა გათხრები, და სწორედ მის მიერ იქნა აღმოჩენილი ბერძნული (და ასევე ეგვიპტური) ნაგებობების ნაშთები. თვითონ ქალაქის დაგეგმარება უფრო ეგვიპტური იყო, ვიდრე ბერძნული. დღეს ნავკრატისის ნაქალაქარი პრაქტიკულად აღარ არსებობს (Kemp, 2006, 367).

ნაოსი – საცავი, სადაც ინახებოდა ღმერთების გამოსახულებები, ქანდაკებები და საკრალური სიმბოლოები. წარმოადგენდა პატარა, ერთოთახიანი სალოცავის ტიპის ნაგებობას და ამით უძველეს, წინა- და ადრედინასტიურ ტაძრებს მოგვაგონებს (Bonnet, 1952, 504).

ნაპატა – *იხ. გებელ ბარკალი*

ნარეფი – (ეგვ. *Nꜣrrf*, Gardiner 1947, II, 114*), ოსირისის საკულტო ადგილი. ასოცირებული იყო ჰერაკლეოპოლის მაგნასთან, თუმცა მდებარეობდა აბუსირ ელ მელექის სიახლოვეს, ჰერაკლეოპოლისიდან 20 კმ. ჩრდილოეთით. შესაძლოა, სახელი ნიშნავს „ის არ დამხრჩვალა (ეგვ. *nꜣrf*, „*ꜣr*", „დახრჩობიდან", Wb I, 11). მკვდართა წიგნის მეთვრამეტე თავის თანახმად, აქ ინახებოდა ოსირისის ნაწილები (თავი, ფეხები და ნეკნები). ხორის და სეტხის მითის თანახმად მათი ორთაბრძოლის ადგილი იყო.

ნარმერი – წინადინასტიური სამხრეთ ეგვიპტის უკანასკნელი მეფე, ან პირველი დინასტიური ფარაონი, თუ ის, როგორც ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, არის იგივე მენესი. ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე ფაქტი: ჰიერაკონპოლისში აღმოჩენილ ცნობილ „ნარმერის პალეტზე", რომელზეც ასახულია სამხედრო გამარჯვებები, ნარმერი გამოსახულია როგორც ქვემო, ასევე ზემო ეგვიპტის გვირგვინებით. ჰიერაკონპოლისში მოძიებულ ცნობილ „ნარმერის კვერთხის"

თავზე ნარმერი ქვემო ეგვიპტის გვირგვინით არის გამოსახული. აბიდოსში ნაპოვნ დოქებზე ნარმერის სახელის გვერდით მოთავსებულია იეროგლიფები, რომლებიც იკითხება, როგორც „მენ" (*mn*, „მენესი"). აბიდოსში ნაპოვნ ფირფიტაზე ხორ-ახა, რომელიც არქეოლოგიური მონაცემების თანახმად ნარმერის შემდეგ მეფობდა, სამგლოვიარო ცერემონიისათვის კარავს უგებს გარდაცვლილ მამას, რომლის ერთ-ერთი სახელი არის „მენ" (Emery, 1961, 33-35). თუ ნარმერი იგივე მენესია, ეგვიპტური ტრადიციის თანახმად, ის მემფისის დამაარსებელიც არის. ჰეროდოტეს ცნობით (II, 99), მენესმა ააგო ჯებირი, რომელმაც შეუცვალა დინება ნილოსს და მდინარისაგან გამოტაცებულ მინაზე ქალაქი დააარსა. კერამიკული ნამსხვრევები ნარმერის სახელით ნაპოვნია სამხრეთ პალესტინაში, რაც შესაძლოა მიუთითებს ვაჭრობაზე ამ რეგიონთან. აზიასთან კონტაქტის არსებობის დამადასტურებელია ასევე აბიდოსში, ნარმერის სამარხში (B 17) ნაპოვნი სპილოს ძვლის ფირფიტა. ფირფიტაზე გამოსახულია აზიელი, რომელიც პატივს მიაგებს ეგვიპტელ მეფეს. სხვადასხვა არტეფაქტი ნარმერის სახელით ნაპოვნია ასევე დელტაში (მინშატ აბუ ომართან და ბუტოსთან), მემფისის რაიონში (ზავიეტ ელ არიანთან, ტურასა და ჰელვანთან), თარხანთან (ფაიუმის შესასვლელთან), აბიდოსში, ნაქადაში და ჰიერაკონპოლისში — პრაქტიკულად ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე. აღმოსავლეთ უდაბნოში, რომელიც უძველესი დროიდან იზიდავდა ეგვიპტელებს თავისი მინერალების და ძვირფასი სამშენებლო ქვების გამო, ნარმერის მეფობიდან შემოინახა ორი კლდის წარწერა, რომელთაგან ერთ-ერთი შეიცავს სერეხს მისი სახელით (Wilkinson, 2001, 67-70).

ნაქადა — წინადინასტიური კულტურა, რომელიც ქრონოლოგიურად ბადარიული კულტურის (*იხ.*) შემდეგ ფაზას წარმოადგენს. სახელი მომდინარეობს თანამედროვე დასახლებიდან, რომლის სიახლოვეს ამ კულტურის ყველაზე დიდი დასახლება იქნა აღმოჩენილი. ნაქადას კულტურასთან დაკავშირებულია ეგვიპტური სახელმწიფოს შექმნა. კულტურა სამ ფაზას მოიცავს (ნაქადა I, II და III). ნაქადა I (იგივე ამრატიული, დაახლ 3800 ნნ. ჩვ.წ.-მდე, Bard (ed.), 1999, 23) პერიოდის კულტურა იმდენად მსგავსია ბადარიულის, რომ სავარაუდოდ ბადარიულის შემდგომ, უფრო განვითარებულ ფაზად არის მიჩნეული (Kantor, 1965, 3-4; Grimal, 1988, 23). მიცვალებულები ასევე სამხრეთი ორიენტაციით არიან დაკრძალული ოვალური ფორმის სამარხებში,

დასავლეთით მიმართული სახეებით. წვანან ფარდაგებზე, თავები ტყავის ან თივის ბალიშზე აქვთ მოთავსებული და გადაფარებული აქვთ ტყავის (გაზელის ან თხის) საფარი. მოგვიანებით ჩნდება უფრო მოზრდილი და უფრო ძვირფასად მორთული სამაროვნები, ხის და თიხის კუბოებით. სიდიდით (დაახლ. 2.5მ.x1.8მ.), ოთხკუთხედი ფორმით და მდიდრული მორთულობით გამოირჩევა ნაქადა I-ის სამაროვნები ჰიერაკონპოლისში. ისინი განსაკუთრებით განსხვავდებიან ბადარიული სამაროვნებისაგან სამარხში მოთავსებული ნივთების მრავალფეროვნებით. აქ ასევე ძალიან საგრძნობია სოციალური დივერსიფიკაცია. ორ სამარხში ნაპოვნია პორფირის გურზი, რომელიც აშკარად ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენს (Midant-Reynes, 2000, 170). ამ დროისათვის ნაკლები სიხშირით გვხვდება შავ კიდეებიანი და ტალღოვან ზედაპირიანი კერამიკა, სამაგიეროდ, საოცარ განვითარებას განიცდის ახალი, პრიალა ზედაპირიანი წითელი, თეთრად მოხატული კერამიკა, ძირითადად გეომეტრიული, ცხოველური და მცენარეული მოტივებით. ჩნდება გემების ნახატებიც, რომლებიც უკვე ლაიტმოტივს წარმოადგენს ნაქადა II-ის დროს. ბადარიულთან შედარებით, მრავლდება ადამიანების ფიგურები ორი ძირითადი მოტივით – გამარჯვებული მეომარი და მონადირე (Shaw(ed.), 2003, 45). ნაქადა II-ის (იგივე გერზეული, დაახლ. 3600-3300 ჩვ.წ.-მდე, Bard(ed.), 1999, 23) სამაროვნები თითქმის არ განსხვავდება ნაქადა I-ის სამაროვნებისაგან, მაგრამ კერამიკაზე დომინირებს გემის მოტივი. აშკარაა, რომ გემი უკვე უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ისეთი ეგზოტიკური საქონლის მოპოვებაში, როგორიცაა სპილოს ძვალი, ოქრო, ებენის ხე, საკმეველი, არომატული ზეთები და ძვირფასი ტყავები. ეს ყველაფერი მოედინებოდა ძირითადად ელიტისათვის, რომელიც უკვე გამოიკვეთა, როგორც ცალკე ფენა. საოცრად დაიხვენა ქვის დამუშავების ტექნიკა. ალებასტრი, მარმარილო, ბაზალტი, დიორიტი და სხვ., როგორც ჩანს, მოიპოვებოდა და მუშავდებოდა ნილოსის დაბლობის მთელ გაყოლებაზე. აშკარაა, რომ ნაქადა II-ის დროს უკვე არსებობდა ხელოსნების ფენა, რომელიც ელიტარულ ფენას ემსახურებოდა, რაც თავისთავად ეკონომიკის განვითარებაზე მეტყველებს. დაფიქსირებულია სამი დიდი ქალაქი: ნაქადა (ეგვ. *Nwb.t*, – „ოქროს ქალაქი"), ჰიერაკონპოლისი და აბიდოსი. პეტრიმ და ქვიბელმა ნაქადაში აღმოაჩინეს ორი საცხოვრებელი უბანი – ე.წ. „სამხრეთის" და „ჩრდილოეთის ქალაქი" (Petrie and Qibell, 1896). სამხრეთის ქალაქში

აღმოჩენილია ოთხკუთხედი, 50მ. x 30მ. ზომის აგურის ნაგებობა, რომელიც შეიძლება ყოფილიყო მეფის სასახლე ან ტაძარი. ნაქადა II-ის საცხოვრებელი სახლები ცნობილია ტერაკოტის მოდელებით, რომლებიც სამარხებშია ნაპოვნი. ამ დროს ეგვიპტელებმა დაიწყეს აგურის სახლების აგება, აგურის ღობეებით (Grimal, 1988, 27). ნაქადა III (იგივე სემაინური, დაახლ. 3200-3000 წწ. ჩვ.წ.-მდე, Bard(ed.), 1999, 23) წინადინასტიური ეგვიპტის ბოლო ფაზაა. ამ დროს ხდება ქვეყნის პოლიტიკური კონსოლიდაცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქვეყნის გაერთიანებას და ადრედინასტიური ეგვიპტის (I-II დინასტიები) ძირითად პოლიტიკურ ორიენტაციას. ნაქადა III-ის ბოლო ფაზის მეფეების სამარხები, რომლებსაც დღეს მოიხსენიებენ, როგორც ნულოვან დინასტიას, აბიდოსში, I დინასტიის მეფეების სასაფლაოს სიახლოვესაა აღმოჩენილი. პალერმოს ქვაზე I დინასტიის მეფეების ზემოთ, დაზიანებულ განყოფილებაში მოთავსებული დამჯდარი მეფეების გამოსახულებები და მათი სახელები მიგვანიშნებს, რომ ეგვიპტელებმა იცოდნენ „მენესამდელი" მეფეების შესახებ. მაგრამ დღეს არ არის ნათელი, თუ რა გზით და როდის მოხდა ეგვიპტის გაერთიანება. ბუნდოვანია ასევე ნულოვანი დინასტიის წარმოშობის საკითხი (Shaw(ed.), 2003, 57). ნაქადა II –ის დასასრულს და შემდგომ სამარხები ზემო ეგვიპტეში (მაგრამ არა ქვემო ეგვიპტეში) ძალიან დიფერენცირებულია სიმდიდრის თვალსაზრისით. ელიტარულ სამარხებში გვხვდება დიდი რაოდენობის და ძალიან მრავალფეროვანი ნივთები, ხშირად ოქრო და ლილაქვა, რაც უდავოდ მიუთითებს იერარქიული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. როგორც ჩანს, ხდება ეგზოტიკურ ნედლეულზე კონტროლის კონცენტრირება ნინადინასტიური ცენტრების ბელადების ხელში. იმავდროულად, თუმცა ნაქადას კულტურის ძირითად ბირთვს სამხრეთი ნარმოადგენდა, უკვე ნაქადა II-ის დროს იწყება მისი გავრცელება ჩრდილოეთში. ნაქადა II-ის სასაფლაო აღმოჩენილია ელ გერზასთან ფაიუმის რეგიონში (სადაც ალბათ პირველად მოხდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ეგვიპტის კულტურების შეხვედრა, Bard(ed.), 1999, 27) და უფრო ჩრდილოეთით, მინშატ აბუ ომართან დელტაში, რაც მიუთითებს ნაქადას კულტურის თანდათან გავრცელებაზე ჩრდილოეთის მიმართულებით (Shaw(ed.), 2003, 57). ამ პერიოდის ნაქადას კულტურის ნიშნები ნაპოვნია ეგვიპტის გარეთაც, ჩრდილოეთ ნუბიაში, მაგრამ ეს უფრო სავაჭრო ურთიერთობებს მიენერება (Bard(ed.), 1999, 23). შესაძლოა, ჩრდილოეთისაკენ მიგრაცია თავდაპირველად გამოწვეული იყო

სავაჭრო იტერესებით და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთან მომგებიან ვაჭრობაზე კონტროლის დამყარების სურვილით. დიდი სტიმული იყო ასევე ლევანტთან (ლიბანთან) ვაჭრობა, საიდანაც ეგვიპტეს შემოჰქონდა კედარი გემების ასაგებად – მასალა, რომელიც ეგვიპტეში არ იყო და სასიცოცხლოდ საჭირო იყო ამ ნილოსზე მიბმული ქვეყნისათვის. მაადის კულტურული ფენა (*იხ.*) მიგვანიშნებს, რომ ჩრდილოეთში არ იყო კულტურული ვაკუუმი, და შესაძლოა ნაქადას კულტურის მატარებლებს დახვდათ რაღაც წინააღმდეგობა, მაგრამ არქეოლოგიური მასალა ამჟღავნებს მაადის კულტურის მხოლოდ თანდათანობით, მშვიდობიან შეცვლას ნაქადას კულტურით. მაადის კულტურული ფენის ზემოთ, თუმცა არ ჩანს ბრძოლების ნიშნები, ნაქადა II-ის და შემდეგ ნაქადა III-ის ფენებია გათხრილი. ჩრდილოეთის კულტურა თანდათან გაქრა და მისი ადგილი სამხრეთულმა დაიკავა. თვითონ მაადიში, ადგილობრივი კულტურული ფენა ნაქადა III-ის შუა ფაზაში ქრება (Shaw(ed.), 2003, 58). თუ გავითვალისწინებთ ნაქადა II-ის დასასრულისათვის ელიტარული სამარხების არსებობას სამ ძირითად ცენტრში (ნაქადაში, აბიდოსში და ჰიერაკონპოლისში), შესაძლებელია დავუშვათ, რომ სამხრეთში ამ დროისათვის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ალბათ ძალაუფლებისათვის მოქიშპე რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება არსებობდა. ასევე შესაძლებელია, რომ ბრძოლებით და მოლაპარაკებებით ნაქადა III-ის დასაწყისში რომელიმე მათგანმა მოახერხა მთელ სამხრეთზე გაბატონება, რასაც ნაქადა III-ის დასასრულისათვის სამხრეთის და ჩრდილოეთის გაერთიანება და ნულოვანი დინასტიის ნარმოშობა მოჰყვა. ნაქადა III-ის დროს ქ. ნაქადას ელიტარული სამარხების საოცარი გაღარიბება ნაქადა II-თან შედარებით და იმავდროულად ნულოვანი, შემდეგ კი პირველი დინასტიის ფარაონების სამარხების აღმოჩენა აბიდოსში, ალბათ მიუთითებს ძალაუფლების აქ კონცენტრირებაზე. ყურადსაღებია აგრეთვე, რომ ადრედინასტიური პერიოდის დროს ქ.ნაქადა არავითარ როლს არ თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაშინ, როცა აბიდოსს უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა გარდაცვლილი ფარაონის კულტში, ჰიერაკონპოლისი კი იყო უმნიშვნელოვანესი ცენტრი, ასოცირებული ხორთან – ცოცხალი მეფის სიმბოლოსთან (Shaw(ed.), 2003, 60). ამდენად შესაძლოა, რომ აბიდოსის მმართველებმა მოიპოვეს ძალაუფლება მთელ ეგვიპტეზე, მაგრამ მათ იმავდროულად ჰქონდათ რაღაც შეთანხმება ჰიერაკონპოლისის „ხორის მიმდევრებთან", რადგან ჰიერაკონ-

პოლისი მდებარეობდა სამხრეთის გზაზე, საიდანაც უმნიშვნელოვანესი ნედლეული მოედინებოდა და იმ დროისათვის ხორის თაყვანისცემის მთავარი ადგილი იყო. თუმცა არქეოლოგიური მასალა არ ავლენს ბრძოლის ნიშნებს ქვეყნის საბოლოო გაერთიანებისათვის, ალბათ მაინც უნდა დავუშვათ, რომ მთელ ქვეყანაზე პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებას თან ახლდა ბრძოლები ჩრდილოეთში. მაგრამ თუ ადრე ეგონათ, რომ წინადინასტიური კულტურული მემკვიდრეობის მიუხედავად, ეგვიპტური სახელმწიფო „უეცრად", უცხო რასის შემოჭრის შედეგად წარმოიშვა, გათხრებმა გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან დღემდე აჩვენა, რომ უცხოური კონტაქტების მიუხედავად, უკვე მეოთხე ათასწლეულის დასასრულისათვის, ეგვიპტური სახელმწიფოს შექმნა ადგილობრივი კულტურების ეტაპობრივი განვითარების შედეგს წარმოადგენს. უნიკალური ეგვიპტეში იყო ის, რომ განსხვავებით სხვა თანადროული ცივილიზაციებისაგან (ნუბიის, მესოპოტამიის, სირია-პალესტინის) მოხდა ქვეყნის მთელი ტერიტორიის გაერთიანება ერთი ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ, რომელსაც, როგორც ჩანს, უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული ბიუროკრატიული აპარატი და საგადასახადო სისტემა ჰქონდა. იმდროინდელ სახელმწიფო საქონელზე მოთავსებული წარწერებიანი იარლიყებიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს მართვის სისტემაში აქტიურად ხდებოდა ახლად წარმოქმნილი დამწერლობის გამოყენება (Shaw, 2003, 64).

ნაძადა – (ქალაქი), *იხ. ომბოსი*

ნებკა – (ეგვ. *Nb-kꜣ*, „კას ბატონი"?), მესამე დინასტიის და ძველი სამეფოს პირველი ფარაონი (დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXVII ს. შუა პერიოდი). მის შესახებ პტაქტიკულად არაფერია ცნობილი. სავარაუდოდ, ის არის ფარაონი, რომელიც მოხსენიებულია ვესტკარის პაპირუსის ცნობილ ზღაპარში (Grimal, 2003, 63). ტურინის პაპირუსის თანახმად, იმეფა 19 წელი; პალერმოს ქვის თანახმად, სადაც მისი მეფობის ბოლო წლებია შემორჩენილი, მისმა მეფობამ 18 წელს და რამდენიმე თვეს გასტანა. აღსანიშნავია პალერმოს ქვის ინფორმაცია, რომ ნებკამ დაუდგა სპილენძის ქანდაკება თავის წინამორბედს, ხასეხემუის, რაც დინასტიების მშვიდობიან ცვლაზე მიუთითებს. ნებკას სამარხი ნაპოვნი არ არის (Helck, 1968, 46).

ნებრა – (ან რანები, ეგვ. *Nb-Rʿ*, დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXIX ს.), მეო-

რე დინასტიის მეორე ფარაონი. მისი მეფობის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სახელი, რომელშიც პირველად ჩნდება ელემენტი „რა" და რომელიც ითარგმნება, როგორც „რას ბატონი", ან „რა ბატონია". ყველაზე ცნობილი არტეფაქტი მისი მეფობიდან არის ვარდისფერი გრანიტის მოსახსენიებელი სტელა, რომელიც ნაპოვნი იქნა მით რაჰინესთან. სავარაუდოდ, ის იდგა ნებრას საქქარას სამარხის წინ. ნებრას სამარხი ნაპოვნი არ არის. შესაძლოა ასევე, რომ მან მოახდინა წინამორბედის, ხეტეპსეხემუის სამარხის უზურპირება. წარწერა ნებრას სერეხით ნაპოვნია დასავლეთ უდაბნოში არმანტის უკან, სადაც გადიოდა ძველი სავაჭრო მარშრუტი, ამდენად, მან სავარაუდოდ მოანყო ექსპედიცია ეგვიპტის საზღვრებს გარეთ (Wilkinson, 2001, 84).

ნებტუ — (ეგვ. *nb.t* 𓋴𓏏; Wb II, 232), „მინდვრის ქალბატონი". ხან აიგივებდნენ ნაყოფიერ მინდორთან. ეთაყვანებოდნენ ლეტოპოლისში (ესნა), სადაც მენხიტის მსგავსად ხნუმის მეუღლედ ითვლებოდა. იყო „სისხლის მოყვარული ლომი". გაიგივებული იყო ისიდა-ხატხორთან (Bonnet, 1952, 506).

ნედიტი — ან „ნედიტის ნაპირი" (ეგვ. *ndj.t*, Wb II, 367) იყო ადგილი ბუსირისის სიახლოვეს, სადაც, ეგვიპტელთა წარმოდგენით, ოსირისი დაიღუპა სეტხთან ბრძოლის შემდეგ და სადაც, როგორც ითვლებოდა, იმყოფებოდა მისი ერთ-ერთი სამარხი. გვიპტურ ენაზე „*ndj*" (*იქვე*) ნიშნავს „დანარცხებას", და სწორედ ამ ზმნასთან არის ის დაკავშირებული „პირამიდების ტექსტებში" (PT 1256), სადაც შესაძლოა „მოკვლის ადგილს" ნიშნავს. იქვე (PT 1008) ოსირისზე ვკითხულობთ: „შენმა დამ გიპოვა შენ მწოლიარე ნედიტის ნაპირზე" (Kees, 1980, 254).

ნეიტი

ნეიტი — (ეგვ. *N.t*, Wb II, 198), საისის ომის ქალღმერთი, რომელიც ბერძნებმა ათენასთან გააიგივეს. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, ქვემო ეგვიპტის გვირგვინით (ასევე *n.t*, იქვე). შესაძლოა დაკავშირებული იყო გვირგვინთან. საისში იყო „ფუტკრის სახლი" (ფუტკარი ქვემო ეგვიპტის სიმბოლო იყო), რომელიც ოსირისს ეკუთვნოდა, და მისი „ზედამხედველი" ნეიტი იყო (Bonnet, 1952, 513). როგორც ჩანს, იყო უმნიშვნელოვანესი მებრძოლი ქალღმერთი წინადინასტიურ ჩრდილოეგვიპტურ სამეფოში, და ყველაზე მნიშვნელოვანი ქალღმერთი დინასტიური პერიოდის დასაწყისში. მისი სიმბოლო იყო ორი



ნეიტის სიმბოლოები

გადაჯვარედინებული ისარი, ხანდახან ფართან ერთად, ან ორი გადაჯვარედინებული მშვილდი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის დაფიქსირებული სამლოცველოს უძველესი გამოსახულება (სპილოს ძვლის ფირფიტაზე), მოძიებული ფარაონ ხორ-ახას სამარხში, სწორედ ნეიტის სამლოცველოს წარმოადგენს (Lesko, 1999, 45-46). საისში ნეიტს მოიხსენიებდნენ, როგორც „მას, ვინც გააჩინა რა მაშინ, როცა ჯერ არც ერთი ბავშვი არ იყო გაჩენილი". ახალი სამეფოდან ნეიტს ეძახდნენ „ყველაფრის დედას და მამას". ესნას ტაძრის კედლებზე მოთავსებული კოსმოგონიის თანახმად (რომაული პერიოდი) ნეიტმა შექმნა სამყარო შვიდი მაგიური სიტყვის წარმოთქმით. როგორც პირველყოფილი წყლების პერსონიფიკაცია, ის ასევე ქვენარმავლების დედად ითვლებოდა. ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც სობეკის, ნიანგის სახის ღვთაების დედა. ითვლებოდა ასევე, რომ მისი ფურთხისაგან გაჩნდა რას მუდმივი მტერი, გველის სახის დემონი აპოპი, თუმცა ნეიტი თვითონ ებრძოდა მას თავისი ისრებით (Pinch, 2002, 170).

ნეკერი – (ან ნეკელი). ამ სახელით ეგვიპტეში მოიხსენიებდნენ ბაბილონის ღვთაებას ნინგალს.

ნენუნი – შევარდნის იკონოგრაფიის ღვთაება, რომელსაც ეთაყვანებოდნენ უძველეს დროში კუსაში (აპოლინოპოლისი პარვა). ძალიან ადრე შეერწყა ხაროერისს (Sethe, 1930, § 47).

ნეპერი – ეგვიპტურად *Npr* ნიშნავს პურის მარცვალს და იმავდროულად ღმერთს, რომელიც მასში იყო ინკორპორირებული (Wb II, 249). მისი ზეიმი იმართებოდა პახონსის თვეში, მოსავლის აღების დროს.

ნეფერეფრა – (ან რანეფერეფი, ეგვ. *Nfr.f-Rˁ*, „მშვენიერია რა", დაახლ.ჩვ.წ.-მდე 2419-2416 წწ.), V დინასტიის მეხუთე ფარაონი, შესაძლოა შეპსესკარას ძმა. სავარუდოდ, იმეფა რამდენიმე ნელიწადს (Malek in Shaw, (ed.), 100). მისი პირამიდა აბუსირში დასრულებული არ არის, მაგრამ 1980-1986 წლებში მის მოსახსენიებელ ტაძარში აღმოჩენილი იქნა დიდი რაოდენობით პაპირუსები, რომლებიც, ნეფერირკარას პაპირუსების შემდეგ, უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ამ პერიოდის ეგვიპტის შესასწავლად. ამას გარდა, ამ პერიოდის გათხრების დროს მოძიებულმა ხის გემებმა და ტყვეების და თვითონ მეფის ქან-

დაკებებმა შეცვალეს აზრი ნეფერეფრას, როგორც მეორეხარისხოვანი ფარაონის შესახებ (Grimal, 2003, 77).

ნეფერირკარა (კაკაი) – (ეგვ. *Nfr-ir-k3-Rʿ*, „რაც ჩაიდინა რას კამ, მშვენიერია", დაახლ. 2446-2426 წწ.), V დინასტიის მესამე ფარაონი, სავარაუდოდ, სახურას ძმა. იმეფა დაახლ. ოც წელიწადს (Helck, 1968, 66; Malek in Shaw (ed.), 100). ცნობები მისი მეფობის შესახებ ძალიან მწირია. პირამიდა ააგო აბუსირში, სახურას პირამიდის სიახლოვეს. პალერმოს ქვიდან ცნობილია, რომ მან ასევე ააგო მზის ტაძარი, რომელიც ნაპოვნი არ არის (Helck, 1968, 66). სავარაუდოდ, პალერმოს ქვის ანალების შედგენა და ქვაზე ამოკვეთა მისი მეფობის დროს მოხდა (Grimal, 2003, 77). ნეფერირკარას პირამიდის მოსახსენიებელ ტაძარში აღმოჩენილია უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული შინაარსის პაპირუსები, რომლებშიც დეტალურად არის აღწერილი პირამიდის ყოველდღიური მომსახურება, მინოდებული პროდუქტების რაოდენობა, ქურუმების სია, რომლებიც ასრულებდნენ მოვალეობას, სატაძრო ინვენტარის აღწერა და ა.შ., და ასევე წერილები. თვითონ პირამიდის კომპლექსი დაუსრულებელია, და მასთან მისასვლელი გზა და ქვედა მოსახსენიებელი ტაძარი შემდეგში თავისი კომპლექსისათვის გამოიყენა ნიუსერრამ (Malek in Shaw (ed.), 100). ნეფერირკარას მეფობის უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს ეგვიპტელი მოხელეების ავტობიოგრაფიების გამოჩენა, რომლებიც III დინასტიის დროს ჩნდება და ქრება IV დინასტიის დროს, ზეღვთაება-ფარაონის აღზევების კულმინაციურ პერიოდში. ეს მოვლენა უდავოდ მეტყველებს პიროვნული თვითშეგნების ზრდაზე რიგით ეგვიპტელებში (Breasted, 1962, §§242-249; Helck, 1968, 66).

ნეფერტიტი – (ეგვ. *Nfr.t-itj*, „ლამაზი მოვიდა", ამონხეტეპ IV (ეხნატონის) მეუღლე და კლეოპატრასთან ერთად ეგვიპტის ყველაზე ცნობილი დედოფალი განთქმული ბიუსტის გამო, რომელიც გერმანელმა არქეოლოგმა ლ. ბორხარდტმა 1912 წ., ახეტატონის გათხრების დროს აღმოაჩინა. მისი წარმომავლობა ბუნდოვანია, მაგრამ ითვლება, რომ ნეფერტიტი იყო ამონხეტეპ III-ის მთავარი მეუღლის, ტეიეს ძმის, აის (შემდეგში ფარაონის) შვილი და მას ჰყავდა უმცროსი და მუტნოჯემი, რომელიც ფარაონ ხორემხების მეუღლე იყო (http://www.lnd.org.zu.history/egyptiansite/Yuyu.htm). ეგვიპტეში ქალს ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, და ეს განსაკუთრებით

თვალში საცემი გახდა XVIII დინასტიის დროს, მაგრამ ნეფერტიტის მდგომარეობა ეგვიპტისათვისაც გამორჩეული იყო, და აქ არ იგულისხმება მხოლოდ ფარაონის განსაკუთრებული სიყვარული, რომელიც მათ გამოსახულებებში იგრძნობა. ის და ეხნატონი ყოველთვის ერთნაირ ზომებში გამოისახებოდნენ, და ნეფერტიტის გამოსახულებები, განსაკუთრებით მეფობის პირველ ნახევარში, გაცილებით მეტია, ვიდრე ფარაონის. ნეფერტიტი გამოსახულია ასევე სცენაში, რომელიც ეგვიპტეში იქამდე მხოლოდ ფარაონის „პრეროგატივას" წარმოადგენდა — საბრძოლო კვერთხით ხელში, ის ანადგურებს ეგვიპტის მტრებს (Dodson and Hilton, 2004, 156). ეხნატონის დოქტრინის შესწავლისას არ შეიძლება თვალში არ მოგხვდეს მისი ერთ-ერთი თავისებურება: მის ერთადერთ ღმერთს — ატონს მხოლოდ ფარაონი და მისი ოჯახის წევრები ეთაყვანებოდნენ, ამარნის მოსახლეობა კი თავად ეხნატონს (Wilson, 1959, 223). ამგვარ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ხშირად ნეფერტიტი მარტოა გამოსახული ატონის თაყვანისცემის დროს. ამიტომ ითვლება, რომ ცხოვრება ახეტატონში ფოკუსირებული იყო არა მხოლოდ ატონზე, არამედ ტრიადაზე ატონი-ფარაონი-დედოფალი და რომ შესაძლოა ეს ტრიადა უნდა იყოს აღქმული, როგორც ერთი ღმერთის სამი სახე (Silverman in: O'Connor and Silverman, 1995, 294). ეხნატონის მეფობის ბოლო და მისი შემდგომი წლები განსაკუთრებით ბუნდოვანია, რადგან ახეტატონი საძირკვლამდე იქნა განადგურებული. ბუნდოვანია ასევე შემდეგი ფარაონის, სმენხკარას პიროვნება. ის ფაქტი, რომ მისი გამოჩენა ნეფერტიტის გაქრობას ემთხვევა და მან ერთ-ერთ სახელად ნეფერტიტის სახელი — ნეფერ-ნეფრუ-ატონი (ეგვ. *Nfr-nfrw-Itn*, „მშვენიერია ატონის მშვენება") აირჩია, აფიქრებინებს ზოგიერთ მეცნიერს, რომ სმენხკარა იგივე ნეფერტიტი იყო. ამ თეორიის მომხრენი ე.წ. „თანარეგენტობის სტელას" იშველიებენ. ამ სტელის შვიდი ფრაგმენტი ამარნას ერთ-ერთ სამარხშია ნაპოვნი. სტელაზე გამოსახული არიან ეხნატონი, ნეფერტიტი და მათი უფროსი ქალიშვილი მერიტატონი, მაგრამ ნეფერტიტის სახელი წაშლილია და ზემოდან დაწერილია „ანხხეპრურა ნეფერნეფრუატონი" — სმენხკარას სახელები (Krauss, 1978). იმავდროულად, ბრუკლინის და ლუვრის მუზეუმებში დაცულ უშებტის ფრაგმენტებზე დაყრდნობით, არსებობს ვარაუდი, რომ ნეფერტიტი ეხნატონზე ადრე გარდაიცვალა და შესაძლოა, ის იმსხვერპლა შავმა ჭირმა, რომელიც მაშინ მთელ ახლო აღმოსავლეთში მძვინვარებდა (Dodson and Hilton, 156).

ნეფერტუმი

ნეფერტუმი – (ეგვ. *Nfrtm*, Wb II, 257), ღმერთი-ლოტოსი, სავარაუდოდ ჰელიოპოლისის ქურუმების ქმნილება, რომელიც უძველესი დროიდან მზის კულტთან იყო დაკავშირებული. შესაძლოა ასევე, რომ მისი სახელი ნიშნავს „ატუმი იბადება თავიდან" (Anthes, 1957, 1, 4). მოგვიანებით ის მემფისის ტრიადის წევრი ხდება, როგორც პტახის და მისი მეუღლის, სახმეტის ვაჟიშვილი, და „მკვდართა წიგნში" მოიხსენიებენ, როგორც „მემფისში წარმოქმნილს" (Sandman-Holmberg, 1946, 193). ნეფერტუმი იყო უძველესი ღმერთი, დაკავშირებული კოსმოგონიურ მითთან ლოტოსის შესახებ (Varga, 1962, 63). ამ მითის თანახმად, პირველყოფილი ქაოსური წყლებიდან წარმოქმნილ ბორცვზე იშლება ლოტოსის ყვავილი, რომელიც ანათებს წყვდიადში მყოფ სამყაროს. ლოტოსში, რომელიც აფრქვევს სასიამოვნო სურნელს, ზის პირველქმნილი „ღმერთი ყვავილზე", რომლის დაბადებასთან ერთად იქმნება სამყარო (Clark, 1954, 67). დროთა განმავლობაში რა, როგორც უზენაესი ღვთაება, ეგვიპტელებმა თითქმის ყველა კოსმოგონიურ სისტემას დაუკავშირეს. მზის ღმერთის ასიმილირება მითთან ლოტოსის შესახებ ნეფერტუმის საშუალებით მოხდა. ამ კავშირის შედეგი იყო წარმოდგენა მზეზე, როგორც რა-ნეფერტუმზე, რომელიც სამყაროს შექმნის დროს ზეცაზე პირველყოფილი ლოტოსის ყვავილიდან აღზევდება (Munro, 1968, 35). პირამიდების ტექსტებში ნეფერტუმი ორჯერ არის მოხსენიებული, და ორივეჯერ რასთან კავშირში. ერთი გამონათქვამის თანახმად, „როცა რა ორივე ენეადის ბატონი იყო, ნეფერტუმი ადამიანებზე ბატონობდა" (PT 307, 483a-b), მეორე გამონათქვამი გვამცნობს, რომ „ნეფერტუმი, ლოტოსის ყვავილი, რას ცხვირთანაა, როცა ის აღზევდება ზეცაში ყოველ დილას" (PT 249, 266a-b). სავარაუდოდ, აქ ნეფერტუმი გვევლინება, როგორც კოსმოგონიური სისტემის მთავარი წევრი, როგორც პირველქმნილი ლოტოსი (Anthes, 1957, 83). ამ წარმოდგენის თანახმად ითვლებოდა, რომ რა ყოველ საღამოს ლოტოსის ყვავილში იდებდა ბინას, და დილით, როცა ყვავილი გაიშლებოდა, მოევლინებოდა სამყაროს განახლებული, ჩვილი ბავშვის სახით. ლოტოსის სურნელთან კავშირის გამო ნეფერტუმი ასევე პარფიუმერიის და სურნელოვანი ზეთების ღმერთი გახდა, რასაც ეგვიპტეში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა (West, 1995, 68). ნეფერტუმი გამოისახებოდა ანთროპომორფულად, ხანდახან ლომის თავით ან დამჯდარ ლომზე მდგომი, თავზე ლოტოსის ყვავილით. მისი ატრიბუტი იყო ხმალი (Turner and Coulter, 2001, 340).

ნეფტიდა

ნეფტიდა – (ეგვ. *Nb.t ḥ.t,* „სახლის ქალბატონი", Wb II, 233), ჰელიოპოლისის ენეადის ბოლო თაობის ქალღმერთი და სეტხის მეუღლე, მაგრამ განსხვავებით სხვა ღმერთების წყვილებისაგან, მათი კავშირი სუსტი იყო, შვილიც არ ჰყოლიათ, რაც ნეფტიდას უშვილობით აიხსნებოდა (PT 1273), თუმცა, უფრო გვიანდელი ტრადიციის თანახმად, ანუბისის დედად იყო მიჩნეული. პლუტარქეს ცნობით, მან ანუბისი ოსირისისაგან გააჩინა, რამაც ისიდა ძალიან დაანაღვლიანა. ნეფტიდამ შვილი მიატოვა, და ის ისიდამ გადაარჩინა და გაზარდა (Plutarch, De Iside, 14;). სეტხის და ოსირისის კონფლიქტში ოსირისის გულშემატკივრად გვევლინება და თავის დასთან, ისიდასთან ერთად ეძებს ოსირისის სხეულს. ისინი ერთად ესწრებიან ოსირისის სხეულის მუმიფიცირებას. ისიდა და ნეფტიდა, ჩვეულებრივ მათი სახელის აღმნიშვნელი იეროგლიფებით თავზე, ტრადიციულად გამოისახებოდნენ ერთად, როგორც მგლოველები, ოსირისის მუმიასთან. ითვლებოდა, რომ ისინი ყარაულობდნენ გარდაცვლილი ოსირისის სხეულს, რომ მას კვლავ არ დასხმოდა სეტხი. ოსირისისადმი მიძღვნილ მისტერიებში მათ როლებს ჩვეულებრივ ახალგაზრდა ქალები ასრულებდნენ. როცა შედარებით გვიანდელი წარმოდგენების თანახმად ითვლებოდა, რომ ყველა გარდაცვლილი ოსირისად გარდაისახებოდა, ისიდა და ნეფტიდა გარდაცვლილთა დამცველი ქალღმერთები გახდნენ, და მათი გამოსახულებები ხშირად თავსდებოდა მიცვალებულის სარეცლის ან მუმიის გამოსახულებებთან (Pinch, 2002, 171). ნეფტიდას არასოდეს ჰქონია კავშირი არც ერთ საკულტო ადგილთან, და რადგან მისი ფუნქციები ძირითადად ისიდასთან ერთად ოსირისის გლოვით შემოიფარგლება, არსებობს აზრი, რომ ის ფაქტობრივად ხელოვნურად იყო შექმნილი, როგორც ისიდას წყვილი (Helck und Otto, 1956, 245), ან როგორც სეტხის მეუღლე, ჰელიოპოლისის ენეადისათვის დასრულებული სახის მისაცემად (Sethe, 1930, § 118).

ნეფტიდა

ნექტანებოსი – ორი ეგვიპტური ფარაონის სახელი. **ნექტანებოს I** (ჩვ.წ.-მდე 380-362) და **ნექტანებოს II** (360-343) არიან ეგვიპტის უკანასკნელი ეგვიპტელი ფარაონები და თეოსთან (363-360) ერთად ქმნიან უკანასკნელ (XXX) ეგვიპტური ფარაონების დინასტიას, რომლის შემდეგაც ეგვიპტე ისევ სპარსელების ხელში გადადის. მათ საკმაოდ მძიმე და არეულ პრიოდში მოუხდათ მეფობა. სპარსელების ბატონობის შემდეგ ქვეყანა არეული იყო, და სპარსელების მიერ ქვეყნის ხელმეორედ დაპყრობის

საშიშროება – რეალური. ამ პირობებში ბუნებრივი იყო დაახლ. ოცდაოთხი წლის განმავლობაში ორი დინასტიის შეცვლა. XX-VIII დინასტიის ერთადერთ ფარაონად ამირტეოსი ითვლება, XXIX დინასტია კი ოთხი უზურპატორისაგან შედგება. ჩვ.წ.-მდე 380 წ. მხედართმთავარმა სებენიტოსიდან, ნექტანებოსმა, მოახერხა XXIX დინასტიის ბოლო ფარაონის, ნეფერიტეს II-ის ტახტიდან ჩამოგდება. ის ადის ტახტზე, როგორც ნექტანებოს I, და აარსებს ახალ, XXX დინასტიას. 373 წ. ნექტანებოს I-მა მოიგერია არტაქსერქსე II-ის შემოტევა. მან გამოიყენა ნილოსის ადიდება და მოახერხა სპარსელების უკუგდება ეგვიპტის საზღვრიდან. შემდეგ გაამაგრა დასავლეთი საზღვრები, და მშვიდობიანად დაასრულა მეფობა (Dodson, 2002, 197). მართალია, ეს პერიოდი ვერ მიუახლოვდა ბრწყინვალე საისურ ხანას, მაგრამ ამ დროის ლიტერატურის და ხელოვნების ხარისხი მაინც კულტურულ აღორძინებაზე მიუთითებს. ნექტანებოს I ძალიან ბევრს აშენებდა. მან ჩაატარა დიდი სარესტავრაციო სამუშაოები კარნაკის ტაძარში და ააგო (დღევანდელი ათელით) პირველი პილონი, დაიწყო ისიდას ტაძრის მშენებლობა კუნძულ ფილეზე. ის აშენებდა ასევე ელქაბში, ჰერმოპოლისში, მემფისში და ტანისში (Grimal, 2003, 377). მის დროს დამზადებული მრავალი ქანდაკება შემდგომში გადატანილი იქნა ალექსანდრიაში, და მოგვიანებით რომში. უნდა აღინიშნოს, რომ ნექტანებოსი მოშორდა ეგვიპტური ხელოვნების კლასიკურ კანონებს, და მის დროს დაიწყო ის ახალი ტალღა, რომელიც ეგვიპტის ბერძნული პერიოდის ხელოვნებასთან არის ასოცირებული. რაც შეეხება ტიტულატურას, ნექტანებოსი შორეული წარსულისაკენ მიბრუნდა და სენუსერტ I-ის (XII დინასტია) სატახტო სახელი მიიღო. თავისი მეფობის დასასრულს ნექტანებოსი შეეცადა, განეახლებინა კონტაქტები ათენსა და სპარტასთან, როგორც მოკავშირეებთან, სპარსელების ახალი შემოტევის რეალური საშიშროების გამო. სავარაუდოდ, ნექტანებოს I დაიკრძალა სებენიტოსში, მაგრამ მისი სამარხი ნაპოვნი არ არის. ცნობილია რამდენიმე უშებტი მისი სამარხიდან, და მისი სარკოფაგის ნანილები, რომლებიც გამოყენებული იქნა, როგორც სამშენებლო მასალა, მოძიებულია რამდენიმე სახლში კაიროში. ნექტანებოს I-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ადის მისი ვაჟიშვილი თეოსი (ტახოსი), რომელიც მამის თანამმართველი იყო ნექტანებოს I-ის მეფობის ბოლო წლებში. გამეფების შემდეგ თეოსი სათავეში ჩაუდგა ჯარს არტაქსერქსე II-ზე შესატევად. თეოსის ჯარში იყო ძალიან ბევრი ბერძენი დაქირავებული ჯარისკაცი

სპარტის მეფის, აგესილაოსის და ათენელი მხედართმთავრის, ხაბრიასის მეთაურობით. ომის საწარმოებლად თეოსი იძულებული იყო, დიდი გადასახადებით დაებეგრა თავისი ქვეშევრდომები, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია. სიტუაციით ისარგებლა ეგვიპტეში დარჩენილმა თეოსის შვილმა, ტაჰეპიმუმ, რომელმაც დაიწყო ბრძოლა ფარაონის წინააღმდეგ. მან გამოიძახა თავისი შვილი, ნექტანებოსი, რომელიც თეოსთან ერთად სირიაში იბრძოდა. ნექტანებოსმა მოახერხა თავის მხარეზე გადაებირებინა როგორც ეგვიპტელები, ასევე ბერძნები, და ავიდა ტახტზე, როგორც ნექტანებოს II. თეოსი იძულებული იყო, გაქცეულიყო თავის მოწინააღმდეგესთან, არტაქსერქსე II-თან, რომელმაც ის დიდი პატივისცემით მიიღო. ნექტანებოს II-ის გამეფების შემდეგ იყო მისი ტახტიდან ჩამოგდების მცდელობები, ჯერ, სავარაუდოდ, XXIX დინასტიის შთამომავლის მიერ მენდესიდან (მისი სახელი უცნობია), შემდეგ კი თეოსის მიერ, რომელიც მოქმედებდა, როგორც სპარსეთის მოგზავნილი, მაგრამ ორივე შემთხვევაში ნექტანებოს II-ეს დაეხმარნენ ბერძნები, განსაკუთრებით კი მის მიმართ მეგობრულად განწყობილი სპარტის მეფე. ქვეყნის შიგნით ნექტანებოს II-მ გააგრძელა ნექტანებოს I-ის მშენებლობები, და მუდმივი სპარსული მუქარის მიუხედავად, ის ბევრს აშენებდა მთელ ქვეყანაში (Dodson, 2002, 200). ნექტანებოს II-ის გამეფების დროიდან ვითარება იცვლება სპარსეთში. არტაქსერქსე II-ის გარდაცვალებამდე (ჩვ.წ.-მდე 359 წ.) ცოტა ხნით ადრე ოხოსმა, მომავალმა არტაქსექსე III-მ, დალაშქრა სირია, მაგრამ სასწრაფოდ გაეშურა შინ არტაქსერქსე II-ის გარდაცვალების გამო. დაახლ. ათი წლის განმავლობაში არტაქსერქსე III დაკავებული იყო საკუთარ იმპერიაში პრობლემების მოგვარებით, ჩვ.წ.-მდე 350 წლის ზამთარში კი პირადად გაუძღვა ჯარს ეგვიპტისაკენ, მაგრამ თავის მიზანს ვერ მიაღწია. არტაქსერქსეს დამარცხებას ძალიან დიდი რეზონანსი ჰქონდა, და 343 წლამდე მოხდა რამდენიმე აჯანყება სპარსელების წინააღმდეგ სიდონში, კვიპროსზე და სხვ. თავიდან აჯანყებულების საქმე წარმატებით მიდიოდა, მაგრამ თანდათან სპარსეთი დაეუფლა სიტუაციას, და ჩვ.წ.-მდე 343 წ. არტაქსერქსე III პირადად გაუძღვა ჯარს ეგვიპტისაკენ. მან მოახერხა ჩრდილოეთ ეგვიპტის დაპყრობა. ნექტანებოს II გაიქცა მემფისიდან ზემო ეგვიპტეში, საიდანაც სცადა კონტრიერიშის განხორციელება არტაქსექსე III-ის სპარსეთში დაბრუნების შემდეგ, მაგრამ კვლავ დამარცხდა, და ამჯერად გაიქცა ნუბიაში, სადაც, სავარაუდოდ, ადგილობრივ სამეფო კარს შეა-

ფარა თავი (Grimal, 2003, 380). საინტერესოა ნექტანებოს II-ის სარკოფაგის ისტორია. რასაკვირველია, გაქცევისას მან ვერ შეძლო, თან წაელო თავისი მასიური ქვის სარკოფაგი, რომლის მზადებას ფარაონები ტახტზე ასვლისთანავე იწყებდნენ. XVII საუკუნეში ის აღმოჩნდა ალექსანდრიაში, ატარიას მეჩეთში, სადაც რიტუალური აბაზანის როლს ასრულებდა, 1800 წელს კი, ბრიტანელების მიერ მოპოვებულ სიძველეებთან ერთად (მათ შორის იყო ასევე როზეტას ქვა), ინგლისში იქნა გადატანილი, სადაც დღეს ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული (Dodson, 2002, 196-201).

ნეშმეტი — (ეგვ. *Nšm.t,* Wb II, 339), ოსირისის საპროცესიო ბარკის სახელი, რომლითაც მას ჩვეულებრივ ტაძრიდან გამოაბრძანებდნენ. ნეშმეტს თავისი საკუთარი კულტი ჰქონდა, რადგან ცნობილია ქურუმები, რომლებიც მას ემსახურებოდნენ. ხანდახან გამოისახებოდა, როგორც ქალღმერთი, ბარკით თავზე (Bonnet, 1952, 521).

ნეხბეტი შროშანის ყვავილებზე. შროშანი ზემო ეგვიპტის სიმბოლო იყო.

ნეხბეტი — (ეგვ. *Nḫb.t,* Wb II, 309), უძველესი ზემოეგვიპტური ქალღმერთი. ეთაყვანებოდნენ თეთრი სვავის სახით, ამიტომ ეძახდნენ „თეთრს ნეხენიდან". იყო თეთრი ზემოეგვიპტური გვირგვინის სიმბოლო (Kees, 1980, 36). წინადინასტიურ ეპოქაში ზემოეგვიპტური სამეფო რეზიდენციის (ნეხები და ნეხენი) მფარველი ქალღმერთი იყო. ნარმერის პალეტზე გამოსახულია ფარაონის თავზე, როგორც მისი მფარველი (Quibell, 1890, pl.26). ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ ზემო ეგვიპტის გვირგვინის ქალბატონი ხდება და თავის მეწყვილესთან ერთად (ქალღმერთი უაჯეტი) მტკიცედ იკავებს ადგილს ფარაონის გვირგვინზე და ტიტულატურაში. როგორც ფარაონის დამცველი, ხშირად გამოისახებოდა ანთროპომორფულად, თუმცა ბოლომდე შეინარჩუნა ასევე თავისი ცხოველური სახე.

ნეხები — *იხ. ელ ქაბი*

ნეხენი — *იხ. ჰიერაკონპოლისი*

ნეხებკაუ — (ეგვ. *Nḫb-kȝw,* Wb II, 292), გველის იკონოგრაფიის მქონე დემონი, რას თანმხლები, რომელიც მის კარზე ცხოვრობდა და რას მზის ბარკით მოგზაურობისას თან ახლდა (PT 340). ასევე პირამიდების ტექსტების თანახმად, ის სელკეტის შვილი

იყო (PT 489). იგივე სახელი ერქვა ეგვიპტური „გამოსვლის“, ან ნილოსის ადიდების (*prt*) სეზონის პირველ დღეს (*იქვე*), როცა ნეხებკაუს დღესასწაულს ზეიმობდნენ (Kees, 1980, 295).

ნეხმეტ-ავაი – (ეგვ. *Nḥm.t ʿwȝj*,), ქალღმერთი, თოტის მეუღლე ჰერმოპოლისში (Wb II, 297). მისი სამშობლო იყო ჰერმოპოლისი (მაგნა). მოიხსენიება, როგორც „ქალაქის“, „ცეცხლოვანი კუნძულის“ და „მაღალი ბორცვის“ ქალბატონი, რაც მას სამყაროს შექმნის ადგილებთან აკავშირებს (Bonnet, 1953, 512). ხანდახან გვევლინება, როგორც ხატხორის ერთ-ერთი გამოვლინების ფორმა, რადგან გამოისახება სისტრუმით თავზე და შემკულია ხატხორის ეპითეტებით. მეორე მხრივ, ამონის კარნაკის ტაძარში, გამოსახულებაზე, სადაც ხატხორი და თოტი ერთად არიან წარმოდგენილი, ხატხორი მოხსენიებულია, როგორც „ნეხმეტ ავაი, ზეცის ქალბატონი“. ხანდახან ნეხმეტ-ავაი სეშატის სახედ არის წარმოდგენილი, მაგრამ სეშატიც ხშირად გვევლინება, როგორც ხატხორის ერთ-ერთი სახე. ამიტომ, სავარაუდოდ, ნეხმეტ-ავაი არის ხატხორის, როგორც სამართლის მფარველის სახე. ამ სახით ის დაკავშირებულია თოტთან და მოიხსენიებოდა თოტის ყველა მთავარ საკულტო ადგილებში (Boylan, 1922, 209).

ნეხო – ეგვიპტის ნომის მმართველის (ნეხო I) და ფარაონის (ნეხო II, XXVI საისური დინასტია) სახელი (ეგვ. *n-Kʿw*). ჩვ.წ.-მდე 671 წ. ასურელებმა გააძევეს ეგვიპტის ნუბიური დინასტიის ფარაონი, ტახარკა, ჩრდილოეთ ეგვიპტიდან, და დელტის მმართველები თავიანთ ვასალებად გადააქციეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო საისის მმართველი ნეხო, ცნობილი, როგორც **ნეხო I**. ნეხო I რეალურად ასურელების მთავარი ნაცვალი იყო ჩრდილოეთ ეგვიპტეში. ასურელები დიდხანს არ დარჩენილან ეგვიპტეში, რადგან ამ ქვეყნის მართვის პირდაპირი კონტროლი, როგორც მათ სავარაუდოდ მიიჩნიეს, ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, და ეს საქმე ჯერ კიდევ მათ შემოჭრამდე დაქუცმაცებული დელტის „მეფეებს“ მიანდეს, რომლებიც, მათი ვარაუდით, მათდამი ერთგულები იქნებოდნენ. მაგრამ ასურელების ნასვლისთანავე დელტის მმართველები კვლავ ტახარკას მიუბრუნდნენ. ასურელების რეაქცია ძალიან სწრაფი იყო: მათ დაატყვევეს დელტის მმართველები, მათ შორის საისის, მენდეესის და პელუზიუმის მმართველი ელიტა, და სიკვდილით დასაჯეს, ზოგი ეგვიპტეში, ზოგი კი ნინე-

ვიაში. გადარჩა მხოლოდ საისის მმართველი ნეხო I, რომელიც ასურელებმა, სავარაუდოდ იმის გამო, რომ ის არ გადავიდა ტახარკას მხარეს, საისის მმართველად დატოვეს, მისი ვაჟიშვილი ფსამტიხი კი დანიშნეს ათრიბის მმართველად (Grimal, 2003, 351). 669 წ. ტახარკას მემკვიდრემ, ტანუტამუნიმ, რომელიც ჩრდილოეთ ეგვიპტეზე მარშით წამოვიდა ასურელებთან საბრძოლველად, მოკლა ნეხო, სავარაუდოდ, ასურელებთან კავშირის გამო. მაგრამ ასურელებმა დაამარცხეს ტანუტამანი, და ნეხოს ვაჟიშვილი ფსამტიხი (მომავალი ფსამტიხ I) ამჯერად უკვე მთელი ჩრდილოეთ ეგვიპტის მმართველად დანიშნეს. ამით ჩაეყარა საფუძველი XXVI (საისურ) დინასტიას (Law, 2002, 90). **ნეხო II** (ჩ.წ.-მდე 610-595) XXVI დინასტიის დამაარსებლის, ფსამტიხ I-ის ვაჟიშვილი და მემკვიდრეა. შესულია ისტორიაში, როგორც არაორდინარული პიროვნება. სირიაში ნაიყვანა მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელსაც პირადად ედგა სათავეში. როცა მედესმა და ბაბილონმა აიღეს ჰარანი, ეგვიპტის ჯარი, რომელმაც თავი ევფრატის დასავლეთ ნაპირს შეაფარა, დაბრუნდა სირიაში და შეეცადა ჰარანის აღებას, მაგრამ უშედეგოდ. ქალაქი დარჩა მედესის ხელში, რომელსაც სავარაუდოდ ის სჭირდებოდა, როგორც ბაზა დასავლეთისაკენ ლაშქრობებისათვის. მაგრამ ნეხომ ისარგებლა შექმნილი ვაკუუმით, რომელიც ასურეთის იმპერიის ადგილზე შეიქმნა. პირველ ხანებში მისი მიღწევები საგრძნობი იყო (Grimal, 2003, 359). მან მოიპოვა კონტროლი იუდეაზე და ფინიკიაზე, მაგრამ 605 წელს, ქარხემიშთან, ნაბუქოდონოსორთან დამარცხდა. ამ დამარცხებამ დააკარგვინა გავლენა სირიაში, მაგრამ წარმატებით მოიგერია ბაბილონის შეტევა ეგვიპტეზე 601 წ. ნეხომ ძალიან გააძლიერა ეგვიპტის საზღვაო ძალები, მას ჰყავდა ძლიერი ფლოტი როგორც ხმელთაშუა, ასევე წითელ ზღვაში. მის ფლოტში, ისევე, როგორც ჯარში, უამრავი ფინიკიელი და ბერძენი მექირავნე მსახურობდა. ნეხომ გაჭრა არხი ნილოსსა და წითელ ზღვას შორის ვადი ტუმულატის გასწვრივ, თუმცა არსებობს აზრი, რომ მან ვერ მიიყვანა სამუშაო ბოლომდე, და დარიუსს თავიდან მოუხდა სამუშაოების ჩატარება. სავარაუდოდ, არხს პერიოდულად გაწმენდდა და განახლება სჭირდებოდა და დარიუსმა სწორედ ეს სამუშაოები ჩაატარა. ბერძენ ვაჭრებზე დაყრდნობით ნეხომ საგრძნობლად განავითარა საგარეო ვაჭრობა. მისი დავალებით პირველად მოხდა აფრიკის საზღვაო გზით შემოვლა, რაც მან ფინიკიელ მეზღვაურებს დაავალა (Law, 2002, 95).

ნიანგი – მისი კულტი მთელ ეგვიპტეში იყო გავრცელებული, თუმცა ჰროდოტე (II, 69) ნიანგის თაყვანისცემის ცენტრებად სამართლიანად ასახელებს ფაიუმის ოაზისს და თებეს რეგიონს. ნიანგის სასაფლაოები აღმოჩენილია ომბოსთან, გებელენთან, კოპტოსთან, ასასიფთან და სხვ. დელტაში, ბუსურუსში მისი კულტი სავარაუდოდ ასევე უძველესია. ნიანგის თაყვანისცემა ამ ცხოველით გამოწვეულ შიშზე იყო დაფუძნებული. ამას მოწმობს უამრავი შელოცვა მის წინააღმდეგ, რომლებსაც მიცვალებულების დასაცავად სამარხებშიც კი ათავსებდნენ. ამ შელოცვებში ნიანგი დამანგრეველი ძალის მატარებლად არის ნარმოჩენილი, რის საფუძველზეც ხდება მისი გადახლართვა სეტხთან. ედფუში ბეხდეტელი ხორის მოწინააღმდეგეები ნიანგებად მოიაზრებოდნენ. მეორე მხრივ, ნიანგის უკან იდგა ნიანგის სახის მქონე დიდი ეგვიპტური ღმერთი სობეკი, რომელიც მზის კულტთან იყო დაკავშირებული, რამაც თავის მხრივ ნიანგისა და შევარდნის კულტების ურთიერთგადახლართვა გამოიწვია და შევარდნის თავიანი ნიანგების გამოსახულებები ნარმოშვა (Bonnet, 1952, 392-393). იმ ადამიანის სხეულს, რომელიც სიკვდილს ნიანგის კლანჭებში ნახავდა, ისეთივე პატივისცემით ეპყრობოდნენ, როგორც ნილოსში დამხრჩვალს (Mojsow, 2005, 40).

ნიაუ და ნიაუტი – *იხ. ოგდოადა*

ნილოსი – (ეგვ. *ḥ'pj,* Wb III, 42). ამ მდინარეს ეგვიპტისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ერთნაირად აისახა მითოლოგიაში და პოლიტიკაში. ნილოსის ადიდებაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის საკვებით მომარაგება, და ეგვიპტელებმა უძველესი დროიდან დაიწყეს მდინარის წყლის სიმაღლის გაზომვა, რაც პალერმოს ქვაზეც არის დაფიქსირებული. ძველი ლეგენდის თანახმად, ნილოსი მოედინებოდა დუატიდან და ელეფანტინასთან ორი ხვრელიდან ამოდიოდა მინიდან. ჰელიოპოლისთან (ნილოპოლისში) ნილოსს „აჩერებდა" დიდი გველი, აქ მას „ანყავდნენ", და მხოლოდ ამის შემდეგ აგრძელებდა დინებას. ასე ის „ელეფანტინას ნილოსიდან" „ჰელიოპოლისის ნილოსად" გადაიქცა (ჰელიოპოლისის იდეოლოგია ამ დროს მმართველი იდეოლოგია იყო). კიდევ უფრო ადრე, წინადინასტიურ პერიოდში, სწამდათ, რომ ნილოსი მიწიდან გებელ სილსილეს მიდამოებში მოჩქეფდა. ეს ადგილი მაშინ „სამყაროს დასასრულად" იყო წარმოდგენილი. გებელ სილსილესთან ნილოსს მსხვერპლს

ნილოსი, როგორც ღვთაებრივი პერსონიფიკაცია

ჯერ კიდევ გვიანდელ პერიოდში სწირავდნენ. ეგვიპტელთა წარმოდგენით, ნილოსი სათავეს პირველყოფილი წყლებიდან, ნუნიდან იღებდა, საიდანაც მიწა იშვა და წარმოქმნის შემდეგ ნუნზე განისვენებდა. ნილოსი პერსონიფიცირებული იყო, როგორც ღვთაება (ხაპი). თავისი „წარმოშობის" გამო ხაპი ხშირად გაიგივებული იყო პირველყოფილ ქაოსურ წყლებთან, ნუნთან და მის მსგავსად „ღმერთების მამას" ეძახდნენ. მიუხედავად გაღმერთებისა, ნილოსს არ ჰქონდა თავისი ტაძრები. მისი წყლები ერთ-ერთ პერსონიფიკაციად წარმოიდგინებოდა, და საკვების, როგორც საჩუქრის მომტანად ითვლებოდა. როგორც სხვა პერსონიფიკაციებს, ხაპის ანთროპომორფული იკონოგრაფია ჰქონდა. ჯერ კიდევ ახალი სამეფოს დროს გარდაცვლილის სხეულის ნილოსში გადაგდება სასტიკად ისჯებოდა, მაგრამ გვიანდელ პერიოდში ჩამოყალიბდა წარმოდგენა, რომ ნილოსში დახრჩობა ბედნიერი და ნეტარი სიკვდილი იყო, რაც ოსირისის ნილოსში დახრჩობასთან იყო დაკავშირებული (Helck und Otto, 1956, 246). ადამიანის სხეულს, რომელიც ნილოსში დაიხრჩობოდა, განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ: „არავის შეუძლია, შეეხოს მას — არც მის მეგობრებს და არც ნათესავებს, მხოლოდ ნილოსის ქურუმებს. ისინი მოამზადებენ მის სხეულს დასაკრძალავად, ისე, რომ მოეპყრობიან მას ჩვეულებრივი ადამიანის სხეულისაგან განსხვავებულად, და თვითონ შეიტანენ სხეულს სამარხში (Mojsow, 2005, 40).

ნილოპოლისი — (ეგვ. *Pr ḥ'pj*, „ნილოსის სახლი", Gardiner, 1947, II, 139*), ქალაქი ჩრდილოეთ ეგვიპტეში. მისი ზუსტი ადგილმდებარეობა დადგენილი არ არის. ზოგიერთის აზრით, ეს არის ქალაქი კუნძულ როდაზე, ძველი კაიროს პირდაპირ, რომელიც ხშირად მოიხსენიება მეორე დასახლებულ პუნქტთან, ხერახასთან (*Ḥr-ḥꜣ*) კავშირში. აქ უძველესი დროიდან მდებარეობდა ნილომეტრი ნილოსის ადიდების სიმაღლის გასაზომად (Sethe, 1930, § 109). სხვა მოსაზრებით, არ შეიძლება ნილოპოლისის როდას კუნძულზე ლოკალიზება, რადგან პტოლემაიოსების ნილოპოლისი ჰერაკლეოპოლისის ნომში მდებარეობდა. მართალია, როდას კუნძულზე დღემდე არის ნილომეტრი, აგებული ჩვ.ნ.-ით 861 წ., რომელმაც უფრო ძველი, ჩვ.წ-ით 716 წ. აგებული ნილომეტრის ადგილი დაიკავა, მაგრამ უფრო ძველი ინფორმაცია როდას კუნძულის შესახებ არ არსებობს. იგივე მოსაზრებით, ერთადერთი ფარაონების პერიოდის ქალაქი, რომელსაც ბერძნები ნილოპოლისის სახელით მოიხსენიებენ, შეიძლება იყოს

ადგილი, მოხსენიებული დიოდორეს მიერ (I, 85). აქ მოჰყავდათ ახალგაზრდა აპისის ხარი, სანამ მას მემფისში დააბინავებდნენ (Gardiner, 1947, II, 140*). აქედან გამომდინარე, დიოდორეს მიერ მოხსენიებული ნილოპოლისი შესაძლოა მემფისის და პელიოპოლისის სიახლოვეს მდებარეობდა, შესაძლოა თანამედრ. ატარ-ენ-ნაბისთან, სადაც აღმოჩენილია ხაპის ტაძრის ნანგრევები. ასეთ შემთხვევაში ძნელია მისი იდენტიფიცირება „ბაბილონთან" (ასე მოიხსენიებდნენ ძველ კაიროს). შესაბამისად,პრობლემა იმაშია, რომ თუმცა ბაბილონი არის ძველი კაირო, და ეს სახელი არის ეგვიპტური „პერ ხაპის" ბერძნული ვარიანტი, პერ-ხაპი მაინც, როგორც ჩანს, მდებარეობდა ატარ-ენ-ნაბისთან და იყო ბერძნული ნილოპოლისი. იმავდროულად, რადგან ატარ-ენ-ნაბისთან ლოკალიზაცია მაინც საბოლოოდ დადგენილი არ არის, სავსებით შესაძლებელია დავუშვათ, რომ ნილოპოლისი და ბაბილონი ერთი და იმავე ადგილის სახელია, რადგან „ბაბილონი" ეგვიპტური სახელის შეცვლილი ვარიანტია, ხოლო „ნილოპოლისი" — თარგმანი ეგვიპტურდან (Burton, 1972, 246).

ნინეჩერი — (*n-Nḏr*; „ღმერთის"), მეორე დინასტიის მესამე ფარაონი (დაახლ. XXVII?ს.ჩვ.წ.-მდე). პალერმოს ქვაზე მოთავსებული ინფორმაცია მისი მეფობის შესახებ მეცხრამეტე ნლით ნყდება, მაგრამ სხვადასხვა ქვის ჭურჭელზე მოხსენიებულია მის დროს ჩატარებული „ხორის მეჩვიდმეტე გაცილება" (ტარდებოდა ორ ნელიწადში ერთხელ). სავარაუდოდ, ნინეჩერმა იმეფა სულ ცოტა 35 ნელი. მისი სამარხი აღმოჩენილია საქქარაში, ხეტეპსეხემუის სამარხიდან დაახლ. 130 მეტრის დაშორებით. პალერმოს ქვის თანახმად, მისი მეფობის დროს ჩატარებული რელიგიური დღესასწაულები, ნეხბეტისადმი მიძღვნილი დღესასწაულის გარდა, დაკავშირებულია მემფისის რეგიონის ღმერთებთან (სოკარის დღესასწაული, აპისის რბოლა და სხვ), რაც შესაძლოა ნიშანდობლივია, რადგან თუ არ ჩავთვლით ნინეჩერის ქვის ჭურჭელს, რომელიც ნაპოვნია (ხელახალი გამოყენების მიზნით) პერიბსენის და ხასეხემუის სამარხებში აბიდოსში, მისი არტეფაქტები საერთოდ არ არის მოძიებული მემფისის რეგიონის გარეთ. შესაძლოა, ამ დროს ქვეყანაში დაიძაბა სიტუაცია და სამეფო კარის მოქმედების არეალი შეზღუდული იყო. პალერმოს ქვაზე მოხსენიებულია „შეტევა ჩრდილოეთზე", რასაც ხსნიან, როგორც აჯანყებას ქვემო ეგვიპტეში. სავარაუდოდ, ქვეყანაში დაწყებული არეულობის გამო ვერ

ჩატარდა ნინეჩერის ხებსედიც. გარდა მრავალი ქვის ჭურჭლისა, ნინეჩერის მეფობიდან შემორჩენილია ორი არტეფაქტი მისი სახელით: სპილოს ძვლის ჭურჭელი საქქარადან და მცირე ზომის ალებასტრის ქანდაკება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეგვიპტის ხელოვნებისათვის, რადგან ეს არის უძველესი მთლიანი და დადასტურებული სამგანზომილებიანი მეფის ქანდაკება, (ნინეჩერი გამოსახულია ზემო ეგვიპტის გვირგვინით), დღემდე მოძიებული ეგვიპტეში (Wilkinson, 2001, 85-87). ვ. ემერი აიგივებს ნინეჩერს მანეთონის ბინოთრისთან (Emery, 1961, 93), რომლის დროსაც, მანეთონის ცნობით, დაშვებული იქნა, რომ ქალებმა შეიძლება იმეფონ. მანეთონი მას მეფობის 47 წელს მიანერს (Manetho, 1960, 37).

ნიტოკრისი — მანეთონის მიხედვით, ძველი სამეფოს ბოლო ფარაონი, რომელსაც ის ასახელებს, როგორც ულამაზეს ქერა ქალს, რომელმაც 12 წელს იმეფა და გიზეს მესამე პირამიდა (რომელიც რელურად მიკერინის იყო) ააგო (Manetho, 1960, 55). აქ საინტერესოა ის, რომ ნიტოკრისი არის პირველი ქალი, რომელიც დასახელებულია მანეთონის ფარაონების სიაში, როგორც სრულუფლებიანი ფარაონი. ლეგენდები მის შესახებ ეგვიპტეში მრავალი საუკუნის შემდეგაც არსებობდა, რადგან ჰეროდოტეს თქმით, ქურუმები მას ნიტოკრისის ისტორიას მოუყვნენ. თითქოს მან შური იძია ძმაზე, რომელიც მის ნინ მეფობდა და მოკლული იქნა. მართალია, ძმის შემდეგ ტახტზე აიყვანეს, მაგრამ მან ჩაიფიქრა საშინელი შურისძიება: ნიტოკრისმა უზარმაზარი მიწისქვეშა დარბაზი ააგო, სადაც თითქოსდა ნადიმზე დაპატიჟა ყველა, ვინც მისი ძმის მკვლელობაში იღებდა მონაწილეობას, და დარბაზში წყალი შეუშვა ამისათვის სპეციალურად გათხრილი საიდუმლო არხიდან. ამის შემდეგ მან თითქოს თავი მოიკლა (II, 100). ეს ქალი, რომელსაც ტურინის მეფეთა სიაც ასახელებს მერენრას შემდეგ, როგორც ზემო და ქვემო ეგვპტის ფარაონს, დღეისთვის პირველ ფარაონ-ქალად არის მიჩნეული. პტოლემაიოსების დროს ის გახდა ლეგენდარული როდოფისი, „მესამე პირამიდის" ლეგენდარული მშენებელი. სამწუხაროდ, მის შესახებ არავითარი არქეოლოგიური მასალა არ არსებობს (Grimal, 2003, 89), და ბევრი მეცნიერის აზრით, ნიტოკრისის ისტორია მხოლოდ ლამაზი ლეგენდაა.

ნიუსერრა — (ეგვ. *n-wśr-Rʿ*, „ძლევამოსილია რას ძალით", დაახლ.ჩვ.წ.მდე 2445-2421 წწ.), V დინასტიის მეექვსე ფარ-

აონი, სავარაუდოდ, ნეფერირკარას შვილი და შეფსესკარას და ნეფერეფრას ძმა. იმეფა დაახლ. ოცდახუთ წელიწადს (Grimal, 2003, 77). ბოლო ფარაონი, რომელმაც პირამიდა აბუსირში ააგო. თავისი პირამიდის კომპლექსისათვის მან გამოიყენა ნეფერირკარას პირამიდის კომპლექსის დაუსრულებელი კონსტრუქციები. ძალიან კარგად არის შემონახული მისი მზის ტაძარი, აბუსირის ჩრდილოეთით, აბუ გურაბის ბორცვზე. ესაა V დინასტიის ფარაონების მიერ აგებული ერთადერთი მზის ტაძარი, რომელიც მთლიანად ქვით არის ნაგები. კედლებზე გამოსახულია რას მიერ სამყაროს შექმნა და ფარაონის ხებსედის ამსახველი სცენები, რაც ასევე ხანგრძლივ მეფობაზე მიუთითებს. ნიუსერრას მოსახსენიებელი ტაძრის კედლებზე შემორჩენილია ინფორმაცია სამხედრო ექსპედიციების შესახებ ლიბიელების და სინაის ბედუინების წინააღმდეგ, და შესაძლოა, სამხრეთ პალესტინაში. მისი წარწერები შემონახულია ასევე სინაიზე, სპილენძის და ფირუზის საბადოებთან (Hayes, 1960, 66-67). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მისი მეფობის დროს პირამიდების მოვლა, რაც ადრე ირგვლივ მცხოვრებ რიგით ეგვიპტელებს ევალებოდათ, ქვეყნის უმაღლესი მოხელეების ხელში გადავიდა (Helck, 1968, 67). მნიშვნელოვან ინფორმაციას დინასტიის მეორე ნახევარში გაჩენილ ტენდენციებზე გვანდის ნიუსერრას მეფობის დროს გარდაცვლილი მოხელის, ტის მასტაბა საქქარაში. მასტაბის ზომები, მორთულობის და მოხატულობის სიმდიდრე და ხარისხი გვამცნობს მოხელეების და პროვინციული არისტოკრატიის მიერ უზარმაზარი სიმდიდრის და ძალაუფლების მოხვეჭის, ასევე ფარაონისაგან ერთგვარი დამოუკიდებლობის შეგრძნების შესახებ. ამ ტენდენციამ თანდათან საფრთხე შეუქმნა ცენტრალურ ხელისუფლებას. ტი იყო „მეფის ოჯახის მთავარი დალაქი", ნეფერირკარას და ნეფერეფრას პირამიდების კომპლექსების ზედამხედველი, ასევე ტბების და კულტივირებული მინების ზედამხედველი, მაგრამ მიუხედავად ასეთი წოდებებისა, ვერცერთი კერძო პირი ვერ შეძლებდა თავისთვის ასეთი ზომის და მორთულობის სამარხის აგებას IV დინასტიის დროს, ვერც მატერიალური და ვერც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (Grimal, 2003, 78).

ნომი – (ეგვ. *sp.t*, Wb IV, 99; ახალი სამეფოდან ასევე *ꜣꜣ*, Wb IV, 97), ეგვიპტის ადმინისტრაციული ერთეულების ბერძნული სახელი (nomos). როდის მოხდა ეგვიპტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა, ცნობილი არ არის. ნომების და მათი

მთავარი მოხელეების წოდებების სახელები უკვე ჯოსერის (III დინასტია) პირამიდაშია აღმოჩენილი (Bard (ed.), 1999, 573). ნომების უძველესი სია მოძიებულია V დინასტიის ფარაონის, ნიუსერრას მზის ტაძარში (Helck, 1974, 2). ტრადიციული მოსაზრებით, ნომების საზღვრებს საფუძვლად წინადინასტიური პოლიტიკური გაერთიანებების საზღვრები დაედო. ამ მოსაზრებას ამყარებს ასევე ნომის ნიშანი, რომელიც ყველა ნომს საკუთარი ჰქონდა. თუმცა მათი იდენტიფიცირება არ ხერხდება ჯოსერამდე, ნომების ნიშნებს წინადინასტიურ პერიოდამდე მივყავართ. ისინი, სავარაუდოდ, წარმოადგენდნენ იმ უძველესი დინასტიების ტერიტორიებს, რომლებმაც შეინარჩუნეს ერთგვარი ინდივიდუალურობა და დამოუკიდებლობა ტრადიციულ ტოპოგრაფიულ ცხრილებში (Grimal, 2003, 58). ყველა ჩვენამდე შემონახულ, ეგვიპტელების მიერ შედგენილ ნომების ცხრილში, რომელთაგან უძველესი ძველი სამეფოს დროით თარიღდება, ყველაზე ახალი კი პტოლემაიოსების პერიოდით, 22 ზემო ეგვიპტის ნომი ერთნაირად არის დასახელებული. ქვემო ეგვიპტის ნომების რიცხვი თავიდან 16 იყო, ახალი სამეფოდან მათი რიცხვი 20-ს აღწევს (Montet, 1957, 24). ტრადიციული ნომი, გამონერილი ნომის ნიშნით, ადმინისტრაციულ ერთეულს მხოლოდ ძველი სამეფოს პერიოდში წარმოადგენდა. მათ დაკარგეს თავიანთი ადმინისტრაციული მნიშვნელობა, განსაკუთრებით ქვეყნის სამხრეთში, პირველი გარდამავალი პერიოდის დროს, ქვეყნის შიდაამლილობის და დაქუცმაცების გამო. შუა სამეფოს დროს მათი ადგილი დაიკავა ახალმა ადმინისტრაციულმა ერთეულებმა, ქალაქებმა თავიანთი მიმდებარე ტერიტორიით. ნომის მთავარი ქალაქის სახელი მისი ადმინისტრაციული ერთეულის სახელადაც გამოიყენებოდა. მიუხედავად ამისა, ძველი ნომების ნიშნები ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე გამოიყენებოდა როგორც გეოგრაფიულ, ასევე რელიგიურ კონტექსტში. ტრადიციული ნომების ყველაზე სრული სიები შემორჩენილია ბერძნულ-რომაული პერიოდის ტაძრებში, სადაც გამოსახულია ღვთაებები, რომლებიც ნომების პერსონიფიკაციებს წარმოადგენდნენ, ჩვეულებრივ, მსხვერპლის შეწირვის დროს (Bard, 1999, 573). თავისი არსებით, ნომი სახელმწიფოს მცირე ასლი იყო. მას ჰქონდა საკუთარი ხაზინა, სასამართლო, სამსახური სარწყავებზე კონტროლისათვის, ჰყავდა საკუთარი პოლიცია და მის დანესებულებებში მსახურობდა უამრავი გადამწერი, რომლებიც ნომის არქივებს ადგენდნენ ყველა სფეროში. ნომი დამოკიდებული იყო ცენტრალურ ხელისუფლებაზე, ძირითადად გადასახა-

დების გამო. ცენტრალური ადმინისტრაციის მოხელეები რეგულარულად ჩამოდიოდნენ ნომში მინდვრების მდგომარეობის შესაფასებლად, და გადასახადის სიდიდის დასადგენად, რომელიც ხშირად ნილოსის ადიდების მოსალოდნელ სიდიდეზე იყო დამოკიდებული. დაახლ. VI დინასტიისათვის ნომები დაჯგუფდა უფრო დიდ ერთეულებად, რომლებსაც ერთი ზედამხედველი კურირებდა (Brewer and Teeter, 2003, 72). ნომის მმართველს ეგვიპტოლოგიაში ნომარქს უწოდებენ, ბერძნული სიტყვიდან nomarchos. „ნომარქის" შესატყვისი ეგვიპტური სახელებია *„ḥk3 sp.t"*. „ნომის უფროსი" (Wb IV, 98) და *"ḥrj tp ʿ3 n sp.t"*, „ნომის დიდი ზედამხედველი" (*იქვე*) და სხვ. თავიდან ნომარქები ფარაონის მიერ დანიშნული მოხელეები იყვნენ, მაგრამ თანდათან უმეტესმა მათგანმა თანამდებობა მემკვიდრეობითად გადააქცია, რამაც ბიძგი მისცა მსხვილი სამიწათმფლობელო არისტოკრატიის ჩამოყალიბებას და ეგვიპტის (დაახლ. ძველი სამეფოს დასასრულიდან) ფეოდალურ სახელმწიფოდ გარდაქმნას.

ნომის ნიშანი — თითოეულ ნომს თავისი ნიშანი ჰქონდა. ძირითადად ეს იყო მისი მთავარი ღვთაება, ან უძველესი ფეტიში. ნომის ნიშანი ისეთივე შტანდარტზე გამოიწერებოდა, რომელზეც ღმერთების სახელებს ათავსებდნენ. დღემდე უმეტესი მათგანის წაკითხვა ვერ ხერხდება (Strudwick, 2005, 33).

XV ზემოეგვიპტური ნომის ღმერთი

ნომის ღმერთი — თითოეული ნომის ღმერთები ორ კატეგორიად იყოფა. ეს იყო ნომის პერსონიფიკაციები, რომლებიც ყოველთვის ანთროპომორფულად გამოისახებოდა, ნომის ნიშნით თავზე, და ნომის დედაქალაქის და სხვა ქალაქების ღვთაებები, რომლებიც ხშირად თავისი ფესვებით წინადინასტიურ პერიოდამდე მიდიოდა.

ნუბიელები — ნუბია (კუში) არის ძირითადად გეგრაფიული დასახელება, რომელიც მოიცავს ნილოსის დაბლობს ნილოსის პირველი ჭორომიდან სამხრეთით, თეთრი და ცისფერი ნილოსის შერწყმამდე, წითელ ზღვასა და ლიბიის უდაბნოებს შორის. ეგვიპტელები ტერიტორიას თავისი ქვეყნის სამხრეთით ძირითადად კუშს ეძახდნენ ("*K3š*", დაფიქსირებულია XII დინასტიიდან, Wb V, 109), თუმცა პირამიდების ეპოქაში ის მოიხსენიება ასევე, როგორც *„Stj"* (Wb III, 488). კუშს ეძახდნენ თავიანთ ქვეყანას თვითონ ნაპატას და მეროეს მეფეები, იგივე სახელით მოიხსენიებს მას ბიბლია. მეცნიერებაში ხმარებაში მყოფი სახელი „ნუბია"

ნუბიის დიდებულები პატივს მიაგებენ ეგვიპტის მეფის ნაცვალს.

მომდინარეობს ბერძნებიდან. „Nubai" პირველად დაფიქსირებულია ერატოსთენესთან. იგივე ტერმინს ხმარობს პტოლემაიოს II (Кацнельсон, 1970, 103-106). ნუბიის ტერიტორია, რომელიც სხვადასხვა ნეგროიდული ტომებით იყო დასახლებული, უძველესი დროიდან მოექცა ეგვიპტის ინტერესების სფეროში. აქ გადიოდა საქარავნო მარშრუტები აფრიკის სიღრმეში, საიდანაც ეგვიპტელებს ეგზოტიკური ზეთები, ებენის ხე, სპილოს ძვალი, გუმფისი, საკმეველი, ეგზოტიკური ცხოველები (განსაკუთრებით ჟირაფები და მაიმუნები), ლეოპარდის ტყავები და სხვ. ჩამოჰქონდათ. თვითონ ნუბია ოქროს და დიორიტის ულევ წყაროს წარმოადგენდა. გასაკვირი არ არის, რომ ეგვიპტე დაინტერესებული იყო ამ ტერიტორიაზე კონტროლის დაწესებით. უკვე ძველი სამეფოს დროს ეგვიპტელებმა დაიპყრეს მისი ჩრდილეთი ნაწილი, XII დინასტიის ფარაონებმა კი მიაღწიეს ნილოსის მეოთხე ჭორომამდე, ააგეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში ფორტები, სადაც ეგვიპტური გარნიზონები ჩააყენეს, და ნუბიის მმართველად ეგვიპტელი მოხელე დანიშნეს. ეგვიპტის მეორე გარდამავალი პერიოდის დროს, როცა ქვეყანაში ქაოსი სუფევდა და ჩრდილოეთში ჰიკსოსები ბატონობდნენ, ნუბიამ ეგვიპტისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა (Iversen, 1961, 31). ამ დროს ნუბია პირველად ჩნდება ძველი აღმოსავლეთის დიდი პოლიტიკის არენაზე. ჰიკსოსების მეფემ, აპოპიმ გააგზავნა ნუბიაში შიკრიკი, რადგან უნდოდა დახმარება ეგვიპტის ფარაონის, კამოსეს წინააღმდეგ საბრძოლველად. ეგვიპტელებმა შეძლეს შიკრიკის დაკავება, და წერილის ტექსტი კამოსემ უკვდავჰყო კარნაკში აღმართულ სტელაზე (Кацнельсон, 1970, 103). XVIII დინასტიის აგრესიულმა ფარაონებმა კვლავ დაიპყრეს ნუბია, და ეგვიპტის მეფის ნაცვალის და იქ განლაგებული ეგვიპტური გარნიზონების საშუალებით მკაცრად აკონტროლებდნენ მას. მესამე გარდამავალი პერიოდის დროს, ეგვიპტის პოლიტიკური დასუსტების ფონზე, ნუბია ისევ წყდება ეგვიპტეს. ჩვენს ხელთ არსებული ბოლო ინფორმაცია ნუბიის შესახებ თარიღდება XXI დინასტიით, როცა მეფის ნაცვალმა ნუბიაში, პანეხსიმ, გადაწყვიტა, ესარგებლა ეგვიპტის დასუსტებით და დაეპყრო თებაიდა. ის ებრძოდა პიანხის, ხერიხორის მემკვიდრეს ამონის მთავარი ქურუმის თანამდებობაზე. თებაიდის მიერთება მან ვერ შეძლო, მაგრამ სავარაუდოდ დაბრუნდა ნუბიაში და ნუბიის დამოუკიდებლობის შენარჩუნება მოახერხა. ამის შემდეგ ინფორმაცია ნუბიაზე დაახლ. 250 წლით წყდება (Helck, 1968, 232). ნუბიასთან დაკავშირებული ერთადერთი ცნობა ამ პერიოდის

განმავლობაში არის XXII დინასტიის დამაარსებლის, შეშონკ I-ის (ჩ.ნ.-მდე 945-924 წწ.) რეიდი ასუანის სამხრეთით, პანეხსის აჯანყებიდან ერთი საუკუნის შემდეგ. შესაძლოა მისი მიზანი ნუბიის დაბრუნება იყო. მისი რეიდის შედეგი ბუნდოვანია, მაგრამ ფაქტია, რომ ამიერიდან ნუბია უკვე ეგვიპტისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა. აქ ყალიბდება ნაპატას სამეფო (*იხ.*). არქაული პერიოდიდან ნუბია იყო ადამიანური რესურსის წყარო მშენებლობებისათვის და ქვეყანაში პოლიციური კონტროლისათვის. ნუბიელები ეგვიპტის პოლიციის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ. ნუბიელების ასეთ ინტეგრირებას ეგვიპტეში დაემატა XVIII დინასტიის ფარაონების პოლიტიკა, რომელიც ქვეყანაში ეგვიპტური კულტების დანერგვასაც ითვალისწინებდა, და შედეგად ნაპატას სამეფოს ნუბიელები უკვე ძალიან გაეგვიპტელებულები იყვნენ. ნაპატას სამეფოს წარმოშობის შესახებ არაფერია ცნობილი, მაგრამ ამონის ტაძარი გებელ ბარკალში სამეფოს ცენტრი იყო, და მისი მმართველობა და ადმინისტრაცია მიზანმიმართულად იყო აგებული თებეს XXI დინასტიის თეოკრატიის მოდელის მიხედვით. ამონის ქურუმები ნუბიაში თაობების განმავლობაში დიდი გავლენით სარგებლობდნენ, და იმ დროისათვის, როცა ისინი ადგილობრივ სამეფო დინასტიად გარდაიქმნენ, მიიღეს ფარაონის რეგალიები, ჩაცმულობა და ამონის ორთოდოქსული კულტი, რომელიც მთლიანად იყო დაფუძნებული თოტმეს III-ის მიერ ნუბიაში დაფუძნებულ ამონის კულტზე. ამონს ეთაყვანებოდნენ, როგორც მთავარ ღვთაებას, და თელიდნენ ღვთაებრივ მმართველად, რომლის ორაკულები კანონს წარმოადგენდა. ქვეყნის ოფიციალური ენა, რომელზეც ნუბიელი მეფეები თავიანთ წარწერებს ადგენდნენ, იყო ეგვიპტური, და ნუბიელი მეფეები ღიად ამაყობდნენ თავიანთი დამოკიდებულებით ეგვიპტურ კულტურაზე (Iversen, 1061, 32). პირველი კუშიტური მეფე, რომლის სახელმაც ჩვენამდე მოაღწია, იყო ალარა. მის შესახებ არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ იყო დინასტიის საავარაუდოდ მეშვიდე წარმომადგენელი და დაახლ. ჩ.ნ.-მდე 780-760 წწ. მეფობდა. აქედან გამომდინარე, ნუბიური დინასტია დაახლ. X საუკუნის დასასრულს ან მეცხრე საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. გაცილებით მეტია ცნობილი მისი ძმის და მემკვიდრის, კაშტას შესახებ, რომელიც ტახტზე დაახლ. 760 წ. ავიდა. მან დაიპყრო მთელი ქვედა ნუბია და მიაღწია ასუანამდე, რადგან აქ აღმართა ხნუმისადმი მიძღვნილი სტელა, სადაც მიღებული აქვს ფარაონის ტიტულატურა, ეგვიპტური საკორონაციო სახელით „მაატრა“, მაგრამ თებესთან მისი კონტაქტი

დაფიქსირებული არ არის. კაშტას რამდენიმე შვილი ჰყავდა, რომელთაგან ორი მისი ტახტის მემკვიდრე გახდა – ჯერ პიანხი და შემდეგ შაბაკა. პიანხიმ ცოლად შეირთო ალარას ქალიშვილი და ტახტზე ჩვ.წ.-მდე 751 წ. ავიდა. თავისი მეფობის პირველი ათი წლის განმავლობაში ის განაგრძობდა ნუბიის ექსპანსიას ჩრდილოეთით. ვითარება ეგვიპტეში ამ დროისათვის ძალიან რთული იყო. XXII დინასტიის ფარაონის, შეშონკ III-ის (ჩვ.წ.-მდე 825-773) მეფობით დაწყებული, ბევრი ადგილობრივი მმართველი, განსაკუთრებით დელტაში, ავტონომიური გახდა, და ზოგიერთმა მათგანმა თავი მეფედაც კი გამოაცხადა. პირველი იყო პედუბასტი (ჩვ.წ.-მდე 818-787წწ). მისი რეზიდენციის ადგილი უცნობია, მაგრამ თებე აღიარებდა უკვე მას და მის შთამომავლებს, და არა XXII დინასტიას. 730 წლისათვის დელტაში იყო ორი მეფე (ბუბასტისში და ლეონტოპოლისში), ერთი ჰერმოპოლისში და ერთი ჰერაკლეოპოლისში, ზემო ეგვიპტეში. მათ გარდა, აღსანიშნავია „დასავლეთის ბატონი" საისიდან, ტეფნახტი, რომელმაც დაიქვემდებარა თითქმის მთელი დასავლეთი დელტა და მემფისი, და მიიწევდა სამხრეთისაკენ. ამ ვითარებაში პიანხიმ უბრძოლველად აიღო თებე (შესაძლოა, მას მოლაპარაკება ჰქონდა XXIII დინასტიის ფარაონებთან) და სამხრეთ ეგვიპტის ჩრდილოეთი ქალაქები, მაგრამ არ დანებდა მემფისი, რომელიც პიანხიმ ბრძოლით აიღო. პრაქტიკულად მთელ ეგვიპტეზე გამარჯვების შემდეგ, პიანხი რატომღაც დაბრუნდა ნუბიაში, და სიტუაცია ეგვიპტეში პრაქტიკულად უცვლელი დარჩა. შემდეგი ათწლეულის განმავლობაში ტეფნახტი გახდა მეფე (ჩვ.წ.-მდე 727-720), და ის და მისი შვილი ბაკენენრეფი (ჩვ.წ.-მდე 720-715) დღეს XXIV დინასტიად არიან მიჩნეული. მათი რეზიდენცია იყო საისში, და ბაკენენრეფს ცნობდა მთელი დელტა და სამხრეთი ჰერაკლეოპოლისამდე. მაგრამ პიანხის მემკვიდრემ, შაბაკამ (ჩვ.წ.-მდე 720-706) კვლავ შეუტია ეგვიპტეს. ამჯერად მოხდა ეგვიპტის სრული ანექსია, და დღეს პიანხი და მისი მემკვიდრეები – შაბაკა, შებიტკუ, ტახარკა და ტანტამანი – აღიარებული არიან, როგორც ეგვიპტის XXV ნუბიური (ან კუშიტური) დინასტია (Grimal, 2003, 334-335). მიუხედავად იმისა, რომ ნუბიური პერიოდის დროს ქვეყანას იურიდიულად ერთი ფარაონი მართავდა, რეალურად ნუბიური ძალაუფლება თებეზე და მის რაიონზე ვრცელდებოდა. ჩრდილოეთის ქალაქებს და მთელ რეგიონებს თავიანთი საკუთარი მმართველები განაგებდნენ. ნუბიური პერიოდისათვის დამახასიათებელია ეგვიპტის ძველი და შუა სამეფოს პერიოდის ხელოვნებისაკენ მიბრუნება. დაკრძალვის წესე-

ბი, რომლებიც ერთგვარად მარტივდება XXI-XXII დინასტიების დროიდან, ისევ ძველ სახეს იღებს, და სამარხებში ბრუნდება „მკვდართა წიგნი". შესაძლოა, უცხოელი მმართველების არქაიზმისაკენ მისწრაფება გამონვეული იყო მათი სურვილით, რომ ისინი ეღიარებინათ, როგორც ეგვიპტელები ან ეგვიპტის კულტურის მატარებლები (Shaw (ed.), 2003, 351). ამ პერიოდს ასურეთის საოცარი აღზევების ხანა დაემთხვა, და ნუბიელების ბატონობას ეგვიპტეში სწორედ ასურეთმა დაუსვა წერტილი.

ნუბიის დაპყრობა — ეგვიპტური იმპერიალიზმი ნუბიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც 2000 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ეგვიპტური სახელმწიფოს განვითარებასთან ერთად იზრდებოდა მოთხოვნა სხვადასხვა სახის საქონელზე, რომელსაც ეგვიპტე დასავლეთ აზიისაგან ძირითადად ვაჭრობით იძენდა, მაგრამ ნუბია ეგვიპტის კოლონია იყო ქვეყნის თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე. ნუბიიდან ეგვიპტეში მოედინებოდა სხვადასხვა სახის ფუფუნების საგნები და, რაც მთავარია, ოქრო, რომლის საბადოები იმ ხანად ნუბიაში ულევი იყო. ნუბიაში ეგვიპტური იმპერიალიზმის სხვადასხვა ფაზა, რომლებიც ძირითადად ეგვიპტის ისტორიის ძველი, შუა და ახალი სამეფოს პერიოდებს შეესაბამება, თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ძველი სამეფოს ეპოქას შეიძლება ნუბიის გაცნობის პერიოდი დაერქვას. ამ დროს ძირითადად სავაჭრო ექსპედიციები ტარდებოდა, და ნაკლებად შეიმჩნევა პოლიტიკური კონტროლის, ან მუდმივი კონტაქტების დამყარების მცდელობა, თუ არ ჩავთვლით უშუალოდ ეგვიპტესთან მოსაზღვრე ტერიტორიების ბელადებს. შუა სამეფო უკვე შეიარაღებული სავაჭრო მონოპოლიის პერიოდი იყო. ვაჭრობაზე კონტროლი ქვეყნის ტერიტორიაზე დაფუძნებული მუდმივი სავაჭრო პოსტებიდან ხორციელდებოდა. მაგრამ ტერიტორიის ან ხალხის დაპყრობა არ შედიოდა ეგვიპტის ინტერესებში, და წარმოება (მინერალების გარდა) ადგილობრივი მოსახლეობის ხელში იყო. ფუფუნების საგნების მოძიებას და გაყიდვას ადგილობრივი მოსახლეობა (სავარაუდოდ, ბელადები) აკონტროლებდა. არ შეიმჩნევა ასევე ეგვიპტური მოსახლეობის მიგრაცია სამხრეთისაკენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გამოიყენებოდა უზარმაზარი სამხედრო ძალა სავაჭრო მარშრუტების დასაცავად და ეგვიპტის სავაჭრო მონოპოლიის შესანარჩუნებლად, რაზეც მეტყველებს გრანდიოზული ფორტების ჯაჭვი, რომელიც ეგვიპტელებმა ამ პერიოდში ნუბიაში ნილოსის გას-

წვრივ ააგეს. ახალი სამეფოს დროს, როცა ეგვიპტემ ძალის ექსპანსია დაიწყო და დიდი იმპერია შექმნა, მისმა ინტერესებმა ნუბიაში უკვე პოლიტიკური სფეროც მოიცვა. ეგვიპტური ინტერესები უკვე ნუბიის ტერიტორიაზე და ხალხზეც ვრცელდება. აქამდე ეგვიპტელები კმაყოფილდებოდნენ ადგილობრივ ბელადებთან სავაჭრო ურთიერთობით. ახლა მათ ეგვიპტელი მოხელეები ცვლიან. ნედლეულის მოპოვება და დამუშავება, და სავარაუდოდ, სოფლის მეურნეობა, მთლიანად ეგვიპტელების ხელში გადადის, და ნუბიელები უკვე ეგვიპტელებისათვის მუშაობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ნუბიის კოლონიზაციის ამ ეტაპს ამსგავსებენ დასავლეთ ევროპის კოლონიალურ ექსპანსიას XV-XIX საუკუნეებში (Adams, 1977, 165-166).

ნუბიური ფორტები – XII დინასტიის ფარაონების მიერ ნუბიაში აგებულ გრანდიოზული ფორტების ჯაჭვს არა აქვს ანალოგი მთელ ძველ სამყაროში. გასული საუკუნის შუახანებამდე, აშენებიდან ოთხი ათასი წლის შემდეგ, თოთხმეტი ფორტი (დაახლ. 12 მ. სიმაღლის) კიდევ იდგა ნილოსის გასწვრივ, სანამ ისინი ასუანის კაშხალით ადიდებულმა ნილოსის წყლებმა დაფარა. მათგან ყველაზე შთამბეჭდავ ჯგუფს ქმნიდა ე.წ. ნილოსის მეორე ჭორომის ათი ფორტი, რომლებიც 60 კმ. მანძილზე იყო განლაგებული (ბუხენი, კორი, დორგინარტი, მირგისა, დაბენარტი, ასკუტი, შელფაკი, ურონარტი, სემნა და კუმა). ყველა ეს ფორტი, კუმას გამოკლებით, მდებარეობდა ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, ან კუნძულებზე, რომლებისკენაც ნავიგაცია დასავლეთის მხრიდან იყო შესაძლებელი. მეორე ჭორომის ფორტები აიგო დაახლ. 100 წლის განმავლობაში, სენუსერტ I-ის, სენუსერტ II-ის და სენუსერტ III-ის მეფობის დროს. სტრატეგიული თვალსაზრისით ისინი აშკარად ჩაფიქრებული იყო, როგორც ერთიანი კომპლექსი, რომელიც, სავარაუდოდ, საერთო მმართველობას ექვემდებარებოდა. არქიტექტურული მსგავსება გვკარნახობს, რომ რამდენიმე მათგანი ერთი არქიტექტორის მიერ იყო დაგეგმილი და ერთდროულად შენდებოდა. ბევრი ვარაუდი არსებობს იმის შესახებ, თუ რა მიზნით ააგეს ეგვიპტელებმა ასეთი გრანდიოზული ფორტები. ზოგიერთის აზრით, ფორტების სიდიდე და მათი მოწყობილობა მეტყველებს იმაზე, რომ ეგვიპტელებს საქმე ჰქონდათ კარგად ორგანიზებულ და მძლავრ მოწინააღმდეგესთან (Emery, 1965, 149). მაგრამ შემორჩენილი ინფორმაციის თანახმად, ნუბია, და განსაკუთრებით ქვემო ნუბია, არასოდეს წარმოადგენდა სერიოზულ საშიშროებას ეგვიპტური პოლიტიკური

ან ეკონომიკური ინტერესებისათვის, მით უმეტეს, რომ ფორტეები აგებულია საკმაოდ შორს დასახლებული ადგილებიდან და ამდენად, ნაკლებად გამოდგებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დასამორჩილებლად. სტრატეგიული თვალსაზრისით, ძნელად წარმოსადგენია ასევე, ისინი აგებული იყოს ეგვიპტის გარეშე მტრისაგან დასაცავად. ყველაზე კარგად ფორტები აღიქმება ნილოსთან, უფრო ზუსტად კი ნილოსის ჭორომებთან კავშირში, რადგან განლაგებულია განსაკუთრებით საშიში ჩქერების სიახლოვეს, სადაც საქონელი დიდი გემებიდან მომცროზე, ან ხმელეთზე უნდა გადაეტვირთათ. საინტერესოა ასევე სენუსერტ III-ის სემნასთან აღმართული ე.წ. „სასაზღვრო სტელის" ტექსტი (სემნა იმ დროისათვის ნუბიაში ეგვიპტის გავლენის საზღვარი იყო), რომელიც გვამცნობს, რომ „არც ერთმა ზანგმა არ უნდა გადმოკვეთოს საზღვარი, წყლით ან ხმელეთით, ან ზანგების კუთვნილი ჯოგებით, გარდა იმ ზანგისა, რომელიც ივაჭრებს მირგისაში". ამდენად, ნილოსის მეორე ჭორომის ფორტები იცავდა სავაჭრო მარშრუტს და იმავდროულად საბაჟოების ფუნქციას ასრულებდა. მათი დანიშნულება იყო ეგვიპტური კონტროლის ქვეშ ყოფილიყო ნილოსი, და არა ნუბიის მოსახლეობა. ფორტები, აგებული ბუხენის ჩრდილოეთით, დაშორებული იყო ნილოსის ჩქერებს, და მათ, სავარაუდოდ სხვა დანიშნულება ჰქონდათ. ანიბა, რომელიც ასევე ნილოსის დასავლეთ ნაპირზე მდებარეობდა, ნაყოფიერ დაბლობზე, სავარაუდოდ ადგილობრივი მოსახლეობის კონტროლისათვის აიგო; კუბანი — აღმოსავლეთ ნაპირზე, ვადი ალაკის თავში — აშკარად უმდიდრესი ოქროს მაღაროებისაკენ მიმავალი გზის დასაცავად და გასაკონტროლებლად. უფრო ბუნდოვანია ფარასის (აღმოსავლეთ ნაპირზე) და სერას (დასავლეთ ნაპირზე) ფორტების დანიშნულება, რადგან ისინი შორს არიან როგორც სავაჭრო მარშრუტებისაგან, ასევე დასახლებული პუნქტებისაგან და ჭორომებისაგან. ნებისმიერ შემთხვევაში, გაოცებას ინვევს მათი გრანდიოზული ზომები, რომლებიც არ შეიძლება ადეკვატურად ჩაითვალოს მათი ნებისმიერი დანიშნულების გათვალისწინებით. ახალი სამეფოს დროს, გაცილებით უფრო რეალური საფრთხის წინაშე, ეგვიპტეს მსგავსი არაფერი აუგია. ამიტომ ითვლება, რომ ეს ფორტები ერთგვარად არის შუა სამეფოს ეგვიპტის სახე, ისევე, როგორც პირამიდები — ძველი, ხოლო კარნაკის ამონის ტაძარი — ახალი სამეფოს ეგვიპტის სახეა. შუა სამეფოს ნაკლებად ახლდა თან ის შემოქმედებითი აღმავლობა, რომლითაც ძველი და ახალი სამეფოების ეგვიპტეა ცნობილი. ეს იყო დაძაბული სტაბილურობის

პერიოდი ქვეყანაში ორსაუკუნოვანი ქაოსის შემდეგ, და ნუბიური ფორტები ერთგვარად ქვეყნის განწყობას გამოხატავდა (Adams, 1977, 175-188; Arkell, 1965, 55-79).

ნუნეტი – (ეგვ. *Nn.t*, Wb II, 274), ჰერმოპოლისის კოსმოგონიის თანახმად, პირველყოფილი ქაოსური წყლების, ნუნის მდედრობითი ნყვილი. ნუნეტი წარმოიდგინებოდა, როგორც „მიწისქვეშა ზეცა", რომელიც მიწისზედა ზეცის საპირისპიროდ, ქაოსური ნუნის და მასზე მოთავსებული მიწის ქვეშ მდებარეობდა. ამ „ქვედა ზეცაზე" ჩასრიალდებოდნენ ხოლმე მზე და მთვარე ჰორიზონტზე ჩასვენების შემდეგ. ნუნეტის არსებას გადმოსცემს მისი დეტერმინატივიც, რომელიც ზეცის დეტერმინატივის „ამოტრიალებულ" ვარიანტს წარმოადგენს.

ნუნი – (ეგვ. *Nn*, Wb II, 274), პირველყოფილი ქაოსური წყლები, რომლებიც სამყაროს შექმნამდე არსებობდა. თითქმის ყველა ეგვიპტური კოსმოგონიის თანახმად, სამყაროს შემოქმედი ნუნიდან წარმოიშობოდა. მემფისის კოსმოგონიაში შემოქმედი ღვთაება, პტახი, თავად იყო გაიგივებული ნუნთან. ჰერმოპოლისის ოგდოადაში ნუნი თავის მდედრობით მეწყვილესთან – ნუნეტთან ერთად ღმერთების პირველ წყვილს ქმნის. ჰელიოპოლისში ატუმი ნუნიდან წარმოიქმნა. მაგრამ ნუნს ეძახდნენ „ღმერთების მამას" მხოლოდ იმიტომ, რომ ის პასიურად არსებობდა ყველაზე და ყველაფერზე ადრე (Morenz, 1973, 171). სამყაროს შექმნასთან მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა. ის იყო ინერტული მატერია, რომელშიც ჩაისახა პირველი აქტიური ძალა – შემოქმედი ღვთაება (Sauneron et Yoyotte, 1959, 25). უფრო გვიანდელ ტექსტებში მისი სახელი „პასიურობასთან", „ინერტულობასთან" არის დაკავშირებული (Sethe, 1976, § 145). სანამ „პირველი ჯერი" დადგებოდა, დემიურგი ნუნის წყლებში განისვენებდა (ეგვიპტელები სამყაროს შექმნის მომენტს „პირველ ჯერს" ეძახდნენ, რადგან მათი წარმოდგენით სამყაროს მარადიულობა „პირველი ჯერის" გამეორებაზე და სამყაროს განახლებაზე იყო დამოკიდებული). „პირველი ჯერის" მომენტში დემიურგი საკუთარი ძალისხმევით შორდებოდა ნუნს და იწყებდა სამყაროს შექმნას. მაგრამ ეგვიპტელის წარმოდგენით, ნუნის არსებობა არ წყდებოდა სამყაროს შექმნის და წესრიგის დამყარების შემდეგ. ის გარს იყო შემოვლებული სამყაროს, და სამყარო და წესრიგი მის შიგნით არსებობდა. ნუნი იყო ვარსკვლავების ზემოთ და მიწისქვეშეთის უფსკრულის ძირში.

მზე ყოველ ღამეს ნუნში ეშვებოდა, რომ იქიდან ყოველ დილას განახლებული აღზევებულიყო (Pinch, 2002, 172).

ნუნი და ნუნეტი – *იხ. ოგდოადა*

ნუტი – (ეგვ. *N w.t,* Wb II, 214), ზეცის ქალღმერთი, ჰელიოპოლისის ენეადის თანახმად შუს და ტეფნუტის ქალიშვილი და გების და, და იმავდროულად, მეუღლე. მათი შვილები იყვნენ ოსირისი, ისიდა, სეტხი და ნეფტიდა. სიტყვა „ნუტი" ეგვიპტურად ნიშნავს „ცას" (*იქვე*). გამოისახებოდა ანთროპომორფულად, ფეხის ნვერებით და თითებით მინაზე დაყრდნობილი, მისი სხეული დედამინას დაჰყურებდა, ან როგორც ძროხა, ვარსკვლავებით მოხატული ტანით. პირამიდების ტექსტების აღწერით, „მთელი დედამინა მის ქვეშ ძევს და ყველაფერს მისი მკლავები აქვს შემოხვეული" (PT 782). ნუტთან მრავალი, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი მითი იყო დაკავშირებული. ერთი წარმოდგენის თანახმად, ის ყოველ დილას ყლაპავდა ვარსკვლავებს და საღამოს თავიდან ბადებდა მათ, ამიტომ ხშირად ადარებდენ ღორს, რომელიც საკუთარ შვილებს ჭამს. მისი მინისაგან დაშორებაც ამ ნარმოდგენას უკავშირდებოდა. ადრე გები (მინის ღმერთი) და ნუტი არ იყვნენ დაშორებული, მაგრამ გები ეჩხუბებოდა ნუტს, რადგან ის თავის შვილებს ყოველდღე ყლაპავდა. მათ მამას, შუს (ჰაერის ღმერთი) მობეზრდა შვილების გაუთავებელი დავა, და ნუტის სხეული მაღლა აიტაცა. ერთ-ერთი მითის თანახმად, ნუტი იყო „მზის დედა, რომელიც ყოველდღიურად ბადებს მზეს" (PT 1688). ამ მითის თანახმად, ის მზესაც, ვარსკვლავების მსგავსად, ყოველ საღამოს ყლაპავდა და დილას თავიდან ბადებდა. ეს წარმოდგენა ანგრევდა ჰელიოპოლისის ენეადის ლოგიკას, რადგან ამ სისტემის თანახმად, მისი უძველესი დემიურგის,



ნუტი



ნუტი, როგორც ცა. მის ფეხებთან ახალშობილი მზეა ხეპრის სახით, პირთან – საღამოს მზე, რომელსაც ის ყლაპავს.

ატუმის და რას შერწყმის შემდეგ რა (მზე) სამყაროს შემქმნელი და შუს და ტეფნუტის მამა იყო, მაგრამ ეგვიპტელებს, მათი მომრიგებლური ფსიქოლოგიიდან გამომდინარე, არასოდეს უცდიათ სხვადასხვა წარმოდგენების ერთიან სისტემაში მოყვანა, რადგან ამგვარ მცდელობას შეიძლებოდა კონფლიქტი გამოეწვია სხვადასხვა რელიგიურ სისტემებს შორის. დროს, სანამ შუ ნუტის სხეულს მაღლა აიტაცებდა და გები და ნუტი ჩახუტებულები იყვნენ, პირამიდების ტექსტები აღწერენ, როგორც დროს, როცა ჯერ კიდევ „არ არსებობდა ცა" (PT 782). სხვა მითის თანახმად, შუმ გები და ნუტი ატუმის ბრძანებით დააცილა ერთმანეთს (Kees, 1980, 226). როგორც ვარსკვლავების დედა, ნუტი მიცვალებულთა კულტთანაც იყო დაკავშირებული, რადგან უძველესი წარმოდგენების თანახმად მიცვალებულთა სულები ვარსკვლავებად გარდაიქმნებოდნენ. ამიტომ ეგვიპტელი ევედრებოდა ნუტს, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი „შვილების" რიცხვში ყოფილიყო მიღებული, რაც მის თავიდან, მარადიული არსებობისათვის დაბადებას ნიშნავდა (PT 785, 823). ეს წარმოდგენა, რომ მიცვალებულებს ნუტი, როგორც ვარსკვლავებს, „თავიდან ბადებდა", საიქიო სამყაროს ოსირისთან დაკავშირების შემდეგაც შემორჩა, როცა, ახალი წარმოდგენებით, მიცვალებული ოსირისად გარდაიქმნებოდა, რადგან ჰელიოპოლისის კოსმოგონიური სისტემის თანახმად, ოსირისი ნუტის შვილი იყო. ასევე ითვლებოდა, რომ ნუტი მიცვალებულებს სუფთა, გრილი წყლით ამარაგებდა, ამიტომ მისი სიმბოლო ქოთნის ფორმის წყლის ჭურჭელი იყო (Kees, 1980, 84). სარკოფაგების ტექსტებში ნუტი მოხსენიებულია, როგორც „ხუთი ეპაგომენალური დღის დედა". ამ ეპითეტის განმარტება არ შემოგვინახა ეგვიპტურმა ტექსტებმა, მაგრამ პლუტარქეს თანახმად, როცა ნუტი ფეხმძიმედ იყო, მზე გაბრაზდა მასზე და დაწყეველა ისე, რომ მას არ შეეძლო შვილების გაჩენა წლის არც ერთ დღეს. მაშინ თოტმა ითამაშა დაფის თამაში მთვარესთან, და მოიგო ხუთი დამატებითი დღის დრო. ამ ხუთ დღეში, ნუტმა ხუთი შვილი გააჩინა: ოსირისი, ხაროერისი (უფროსი ხორი), სეტხი, ისიდა და ნეფტიდა (Pinch, 2002, 174). საკუთარი საკულტო ტაძარი ნუტს არ ჰქონია. როგორც ჰელიოპოლისის კოსმოგონიის წევრს, მას მიჩენილი ჰქონდა ადგილი ჰელიოპოლისის ძველ სამლოცველოში, რომელსაც „მყლაპავის სახლი" ერქვა (ეგვ. *ḥ.t šnj.t,* PT 1664, Kees, 1980, 226). ბერძნებმა ნუტი რეასთან გააიგივეს.

ობელისკი

ОБЕЛИСКИ — (ეგვ. *Mnw,* Wb II, 71; ბერძნ. obeliskos) გარეგნული მსგავსებისა და მზის ღვთაებასთან კავშირის გამო აშკარაა, რომ ობელისკი ბენბენის ქვის ვარიანტს წარმოადგენდა. იყო მზის საკულტო სიმბოლო, რომელიც მზის ტაძრებში იდგა. XVIII დინასტიიდან ობელისკებს იდგამდნენ მეფეებიც. ეს ტრადიცია ხებსედის დღესასწაულთან იყო დაკავშირებული (Bonnet, 1952, 539). თანამედროვე ასტრონომების აზრით, ობელისკის ფორმა ინსპირირებული იყო ასტრონომიული ფენომენით, რომელსაც მზის ჩასვლის დროს აქვს ადგილი, ე.წ. „მზის სვეტებით". დღეისათვის შემორჩენილია 29 ეგვიპტური ობელისკი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაშია მიმოფანტული. ეგვიპტეში ნახევარზე ნაკლებია დარჩენილი. ოცდამეათე, ნახევრად დასრულებული, ასუანის სამტეხლოებშია ნაპოვნი. დღეისათვის ცნობილი ყველაზე ძველი, წითელი გრანიტის ობელისკი დღემდე დგას თავის ორიგინალურ ადგილზე, ალ-მატარიასთან, ჰელიოპოლისში. მისი სიმაღლე 20.7 მეტრია და 120 ტონას იწონის. ობელისკი XII საუკუნის ფარაონს, სენუსერტ I-ს ეკუთვნოდა. ეგვიპტეში დღეს 9 ობელისკია დარჩენილი. ესენია: სენუსერტ I-ის ობელისკები ელ-მატარიაში, ჰელიოპოლისში (კაიროსთან) და ფაიუმში, თოტმეს I-ის, ხატშეპსუტის და სეტი II-ის — კარნაკის ტაძარში, რამსეს II-ის — ლუქსორში, რამსეს III-ის — ლუქსორის მუზეუმში, რამსეს II-ის — გეზირას კუნძულზე კაიროში, რამსეს II-ის — კაიროს საერთაშორისო აეროპორტში. საფრანგეთში ერთი ობელისკია (რამსეს II-ის), პარიზში, კონკორდის მოედანზე. ობელისკის ფორმამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რომაელებზე, და მათ თავად დაიწყეს მათი დამზადება. დღეს იტალიაში 18 ობელისკია, მათგან ეგვიპტურებია (რომში): პიაცა სან ჯოვანის ობელისკი — ვატიკანში (დღეს ლატერანულ ობელისკად მოიხსენიება. ობელისკის დამზადება თოტმეს III-მ დაიწყო და თოტმეს IV-მ დაასრულა); სეტი I/რამსეს II-ის — დელ პოპოლოს მოედანზე; ფსამტიხ II-ის — მონტეჩიტორიოს მოედანზე; რამსეს II-ის — როტონდას მოედანზე; რამსეს II-ის

— ვილა ჩელიმონტანასთან, წმინდა პეტრეს მოედანზე (წარმოშავლობა უცნობია); აპრიესის, სანტა მარია მინერვას მოედანზე (მისი წყვილი ურბინოში დგას), და რამსეს II-ის — დიოკლეტიანეს აბანოებთან. პოლონეთში, პოზნანში დგას რამსეს II-ის ობელისკი; სტამბოლში — თოტმეს III-ის, ოთხი ობელისკია დიდ ბრიტანეთში (მათ შორის ერთი — წითელი გრანიტის ცნობილი თოტმეს III-ის ობელისკი, რომლის წყვილი ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში დგას). თოტმეს III-ის ეს ორი ობელისკი „კლეოპატრას ნემსების" (Cleopatra's Needles) სახელით არის ცნობილი.

ოგდოადა — (ეგვ. *ḫmn.t,* Wb III, 282), რვა ღმერთისაგან შემდგარი კოსმოგონიური სისტემა, რომელიც ჰერმოპოლისში შეიქმნა (Hermopolis Magna). ქალაქის ეგვიპტური სახელი იყო „*Ḫmnw*", (თანამედრ. აშმუნეინი). „ხმენუ" ნიშნავს „რვას" (Wb III, 283). ამ კოსმოგონიის თანახმად, პირველყოფილი ქაოსიდან გამოვიდა პირველქმნილი ღმერთების ოთხი წყვილი (თითო წყვილი მამრი და მდედრი ღვთაებებისაგან შედგება), რომლებიც ქმნიან სამყაროს. ოგდოადა თავისი არსებით განსხვავდება ეგვიპტის სხვა კოსმოგონიური სისტემებისაგან, სადაც საწყის ძალად ერთი შემოქმედი გვევლინება (die Einheit), მის საწყისს ბუნებაში არსებული სიმრავლე (die Vielheit) წარმოადგენს. ბუნებასთან ახლოა ასევე ოგდოადის ღმერთების სახე. განსხვავებით ეგვიპტის სხვა დემიურგებისაგან, რომლებსაც ანთროპომორფული სახე აქვთ, ოგდოადის მამრი წევრები ბაყაყებად, მდედრები კი გველებად არიან წარმოდგენილი (Kees, 1980, 167). ოგდოადის ღმერთებია ნუნი (ეგვ. *Nn,* Wb II, 274, განსხვავებით *Nnw*-საგან, რომელიც პირველყოფილი ქაოსური წყლების სახელია, იქვე) და ნუნეტი (*Nn.t,* იქვე. „-t" სუფიქსი ეგვიპტურ ენაში მდედრობითი სქესის მაჩვენებელია), რომლებიც პირველქმნილ წყლებს განასახიერებდნენ, ხუხი (*Ḥḥw*, Wb III, 152) და ხუხეტი (*Ḥḥ w.t*, იქვე) — უსასრულობა, კუკი (*Kkw,* Wb V, 144) და კუკეტი (*Kk.t,* იქვე) — წყვდიადი. მეოთხე წყვილი შეიძლება იყვნენ ამონი (*'Imn,* Wb I, 85) და ამუნეტი (*'Imn.t,* იქვე) — უხილავობა. მაგრამ ჰერაკლეოპოლისური პერიოდის სარკოფაგების ტექსტებში, (ე.ი. იმ დროს, როცა ამონის, როგორც გვიპტის უდიდესი ღვთაების ზეასვლა იწყება), ამონის და ამუნეტის ნაცვლად ვხვდებით ღმერთების სხვა წყვილს, ნიაუს (*Njꜣw*) და ნიაუტს (*Njꜣw.t*), რაც „უარყოფას" ნიშნავს (Sethe, 1976, § 143). ამ ცვალებადობის მიზანი ბუნდოვანია. ღმერთების არსება უარყოფითთან, სიცარიელესთან და წყვდიადთან არის დაკავშირებული, რაც ერთგვარად აახ-

ლოებს მათ ჰელიოპოლისის ატუმთან, რომლის სახელი „ჯერ არ წარმოქმნილს“ ნიშნავს, და მის პირველ ქმნილებასთან, შუსთან (სიცარიელე), და ერთგვარად ახასიათებს ეგვიპტელის წარმოდგენას იმ დროზე, როცა სამყარო და წესრიგი ჯერ არ იყო შექმნილი. მათ განასხვავებს ის, რომ ჰელიოპოლისის კოსმოგონიის სათავეში ერთი საწყისია, აქ კი სიმრავლესთან (4x2) გვაქვს საქმე. „პირველყოფილი ბორცვის“ მაგივრად ჰერმოპოლისში საქმე გვაქვს „ცეცხლოვან კუნძულთან“, რომელზეც მზის ღმერთი იბადება (PT 265). „ცეცხლოვანი კუნძული“ არის ადგილი, სადაც წარმოიშვა მზე, როცა მიწა ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ნუნიდან (Kees, 1980, 310). ოგდოადასთან დაკავშირებული იყო თოტიც, მაგრამ რა კავშირი ჰქონდა ჰერმოპოლისის მთავარ ღვთაებას ოგდოადასთან, ნათელი არ არის.

ომბოსი – ცნობილია ორი ქალაქი ამ სახელით: 1. ომბოსი (ეგვ. *Nb.t* „ოქროსი“, Wb II, 242) ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, 26 კმ. ლუქსორის ჩრდოლოეთით. დღეს აქ მდებარეობს თანამედროვე ქ. ნაქადა, რომელმაც მისცა სახელი ეგვიპტის წინადინასტიურ კულტურას. დინასტიურ ეგვიპტეში იყო სეტხის მნიშვნელოვანი საკულტო ადგილი. არქეოლოგიური მონაცემებით, ქალაქი არსებობდა ყველაზე ადრე ნაქადა II-ის პერიოდიდან (დაახლ. 36000 წ. ჩვ.წ.-მდე). XVIII დინასტიიდან (ან უფრო ადრე) აქ იყო სეტხისადმი მიძღვნილი ქვის ტაძარი. წინადინასტიურ პერიოდში ნაქადა ნილოსის დაბლობის ერთ-ერთი უდიდესი დასახლება იყო, კედლით შემოღობილი ქალაქით და სასაფლაოებით. ერთ-ერთ სასაფლაოზე (ე.წ. T სასაფლაო) ნაპოვნია ძალიან მდიდრული სამარხები, რომლებიც (რაც უჩვეულოა ნინადინასტიური პერიოდისათვის) აგურით იყო შემოღობილი. სავარაუდოდ, ისინი ნაქადას მმართველ ოჯახს ეკუთვნოდა. ისტორიული პერიოდის ქალაქს გაცილებით უფრო პატარა ფართობი უჭირავს, და ის ნაკლებად მნიშვნელოვანიც არის პოლიტიკური თვალსაზრისით. არქეოლოგიური მასალა საფუძველს გვაძლევს, ვივარაუდოთ, რომ წინადინასტიურ პერიოდში ნაქადა პატარა სახელმწიფოს დედაქალაქი იყო (Kemp, 1991, 35). 2. ომბოსი პირველ ზემოეგვიპტურ ნომში, დღევანდელ კომ ომბოსთან. მასაც ერქვა „ოქროს ქალაქი“ (*Nwb.t*). მდებარეობდა 50 კმ. ასუანის ჩრდილოეთით, რაც ერთგვარად საშუალებას აძლევდა, გაეკონტროლებინა სავაჭრო მარშრუტები ნუბიისაკენ. მთავარი ღვთაება იყო ნიანგის სახის ღმერთი სობეკი. დღეისათვის ყველაზე ძველი ნაგებობის ნარჩენები ქალაქში

თოტმეს III-ის მიერ სობეკისადმი მიძღვნილი ტაძრის ქვიშაქვის ჭიშკარია (Hicheins, 2008, 82). ქალაქში მდებარეობს ასევე პტოლემაიოსების პერიოდით დათარიღებული ხაროერისის და ისიდას ტაძრები. ნაპოვნია ნიანგების სასაფლაო.

ონი — ეგვ. *Iwnw, იხ. ჰელიოპოლისი*

ონურისი — (ეგვ. ინხარი, *Inḥr.t,* Wb I, 91), ტინისის მებრძოლი ხასიათის მქონე ღვთაება, „გმირი მონადირე" ანთროპომორფული იკონოგრაფიით. იყო ნადირობის მფარველი. მისი სახელი ნიშნავს „რომელმაც შორს მყოფი მოიყვანა", რაც ერთგვარად ეხმიანება წარმოდგენას, რომ მან თავისი ცოლი, ლომის სახის მქონე მეხიტი, ნუბიიდან ჩამოიყვანა. მეხიტიც ასევე მებრძოლი ქალღმერთი იყო (Kees, 1980, 10). ონურისის ერთ-ერთი სიმბოლო იყო ჰარპუნი, და ის ხშირად გამოისახებოდა, როგორც ჰარპუნით მონადირე (*იქვე*, 105). მათი ვაჟიშვილი იყო ინმუტეფი. თუმცა ონურისი უკვე ძველი სამეფოდან არის დაფიქსირებული, ის განსაკუთრებით პოპულარული ახალი სამეფოდან ხდება. XVIII დინასტიიდან ონურისს მოიხსენიებენ, როგორც „ტინისის ბატონს, რომელიც თავისით წარმოიშვა", ან როგორც „ღმერთების ღმერთს, ზეცის ბატონს, რომელიც ადამიანებს სინათლეს აძლევს". ამგვარად, ონურისმა სოლარული ღმერთის თვისებებიც მოიხვეჭა, მაგრამ მებრძოლი ღმერთის თვისებები არ დაუკარგავს. ის არის „სისხლისღვრის გმირი", რომელსაც ბრძოლა სიხარულს ანიჭებს. მებრძოლი ბუნებიდან გამომდინარე, ონურისი დაუკავშირდა მითს მზის თვალის დაბრუნების შესახებ, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მისი გაიგივება შუსთან (ონურის-შუს სახით), მეხიტი, შესაბამისად, ტეფნუტთან გააიგივეს. ონურისს და მეხიტს ეთაყვანებოდნენ ასევე ქვემოეგვიპტურ სებენიტოსში, როგორც მთავარ ღვთაებებს. ბერძნებმა ონურისი თავის ომის ღმერთთან, არესთან გააიგივეს (Bonnet, 1952, 545-546).

ორი გზის წიგნი — ტექსტების კრებული, რომელიც უნდა დახმარებოდა გარდაცვლილს იმქვეყნიურ სამყაროში გზის „გაკვლევაში". მისი პირველი ნიმუშები ნაპოვნია ჰერაკლეოპოლისური პერიოდის (XI — XII დინასტიები) სარკოფაგებზე ელ ბერშესთან, ჰერმოპოლისის ნომში. წიგნის ტექსტი ჩვეულებრივ ხის სარკოფაგების ძირზე, შიდა მხარეს თავსდებოდა. სხვადასხვა სარკოფაგში განსხვავებულია წიგნის მოცულობა

და „ილუსტრაციების“ (ე.წ. “ვინიეტების“) რაოდენობა, რომლებსაც უკეთეს ვარიანტში საკმაოდ დიდი ადგილი უკავია. მაგრამ „ორი გზის წიგნის“ ყველა ვერსიას აერთიანებს საიქიო სამყაროს ერთნაირი წარმოდგენა: დიდი ცეცხლოვანი ნაკადის ორივე მხარეს გარდაცვლილს დახვდება ორი გზა, ერთი წყლისაკენ, მეორე ხმელეთისაკენ მიმავალი. ისინი სავსეა საშიშროებით, ცეცხლოვანი ჭიშკრები და შემაძრწუნებელი დარაჯები იცავენ საიქიოს გზებს და გზას ულობავენ გარდაცვლილს, მაგრამ მას განსაკუთრებული გამონათქვამები დაიცავს. ამ გამონათქვამებში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა თოტსაც, რაც სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ სარკოფაგები „ორი გზის წიგნით“ ჰერმოპოლისთან არის ნაპოვნი (Bonnet, 1952, 882). „ორი გზის წიგნს“ ასევე თან ახლავს ზეცის უძველესი რუკები, რომლებიც უნდა დახმარებოდა გარდაცვლილის სულს, გზა გაეკვლია საიქიოში (ამ დროს, პირამიდების ტექსტების მსგავსად, ეს ადგილი ზეცაში წარმოიდგინებოდა). რუკებზე აღნიშნულია თოტის დარბაზების, რას მარშრუტის, როსეტაუს და სხვ. ადგილები ზეცაში. განსხვავებით ძველი სამეფოს პირამიდების ტექსტებისაგან, რომლებიც ფარაონებისათვის იყო შექმნილი, „ორი გზის წიგნის“ დანიშნულებას იმქვეყნიურ სამყაროში რიგითი ეგვიპტელების დახმარება წარმოადგენდა. თავდაპირველად „ორი გზის წიგნი“ ოსირისის მიმდევრებისათვის იყო შექმნილი, მაგრამ თანდათან მნიშვნელოვან ადგილს წიგნში რა იკავებს. წიგნის შინაარსიდან გამოდიოდა, რომ ყველა გარდაცვლილს, რომელმაც შესაბამისი გამონათქვამები იცოდა (რომლებიც რას რელიგიასთან იყო დაკავშირებული), შეეძლო, ფარაონის მსგავსად, რას ღვთაებრივ ბარკაში მოხვედრილიყო, ან დუატში ოსირისთან ერთად (იმ კოსმოლოგიური რუკის თანახმად, რომელიც „ორი გზის წიგნს“ ახლდა თან, დუატი ზეცაში, მის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა). წიგნი ასევე შეიცავს გამონათქვამებს, რომლებიც უნდა დახმარებოდა რიგით ეგვიპტელს, გარდაცვალების შემდეგ გარდაქმნილიყო ვარსკვლავად, და თოტის (როგორც მთვარის ღმერთის) სიახლოვეს ყოფილიყო. „ორი გზის წიგნის“ მრავალი გამონათქვამი გამოყენებულია გარდაცვლილთა ლიტერატურის ბევრ ნაწარმოებში — მკვდართა წიგნში, ჭიშკრის წიგნში, ამდუატის წიგნში და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია რას სიტყვები, რომლებიც ასრულებს „ორი გზის წიგნს“ და რომლებმაც შემდგომში მკვდართა წიგნის 1130-ე გამონათქვამი შეადგინა: „მე აღვასრულე ოთხი კარგი რამ ჰორიზონტის შუაგულში: მე

შევქმენი ოთხი ქარი, რომ ყველას შეძლებოდა სუნთქვა თავის სიცოცხლეში. მე ავადიდე ნილოსი, რომ პატარა კაცს ჰქონოდა ისეთივე შეძლება, როგორიც დიდს; მე შევქმენი ადამიანები ისე, რომ ყველა თანასწორი ყოფილიყო; მე არ მიბრძანებია მათთვის, ჩაედინათ ბოროტება; მათი გულები აღმოჩნდა დახშული ჩემი ნათქვამის მიმართ". იგივე ტექსტის თანახმად, ღმერთები რამ თავისი ოფლიდან, ადამიანები კი თავისი ცრემლებიდან შექმნა (Lesko in Shafer(ed), 1991, 102)

ორიონი — ორიონის თანავარსკვლავედს (ეგვ. *sꜣḥ,* Wb IV, 22), სადაც ვარსკვლავების განლაგება ადამიანის სილუეტს ჰგავს, ეგვიპტელებმა ძალიან ადრე მიაქციეს ყურადღება. ჯერ კიდევ პირამიდების ტექსტებში მასზე ნათქვამია: „წინ განეული ფეხით, ფართე ნაბიჯით, მბრძანებლობს ზემო ეგვიპტეში" (PT 959). ეგვიპტური წარმოდგენით, გარდაცვალების შემდეგ ოსირისი ორიონად გადაიქცა (Bonnet, 1952, 567). თანამედროვე ასტრონომების დაკვირვებით, ორიონის „სარტყელი" (სამი ვარსკვლავის განლაგება მის შუაში) აბსოლუტურად არის გამეორებული გიზეს სამი დიდი პირამიდის განლაგებაში.

ოსირეიონი — სეტი I-ის დასაკრძალი კომპლექსის ნაწილი აბიდოსში. სავარაუდოდ, ეს ნაგებობა მიშენებულია სეტი I-ის მოსახსენიებელი ტაძრის უკანა მხარეზე იმ მიზნით, რომ მას მეფეთა ველის სამარხის ფორმა მიეღო (Bard (ed), 1999, 114). რადგან შენობის ამ ნაწილის ფუნდამენტი ტაძრის ძირითადი ნაწილის ფუნდამენტზე უფრო დაბლა მდებარეობს, ის მიწით იყო დაფარული, და ამდენად, არ იყო ცნობილი 1902 წლამდე, როცა აღმოჩენილი იქნა ფ. პეტრის მიერ გათხრების დროს. ნაგებობის გაწმენდაზე მუშაობდნენ პეტრის მეუღლე და მ. მურეი, მისი გათხრები დაასრულა ჰ. ფრანქფორტმა 1926 წ. სახელი „ოსირეიონი" ნაგებობას დაარქვა ფ. პეტრიმ, რომელმაც, უნიკალური სტრუქტურის გამო, ნაგებობა წარმოიდგინა, როგორც ოსირისის სიმბოლური სამარხი (http://www.egyptarchive.co.uk/html/osireion_index.html).

ოსირისი — (ეგვ. *Wsꜣ.ir,* Wb I, 359), ეგვიპტის უძველესი დიდი ღვთაება. ჰელიოპოლისის კოსმოგონიური სისტემის თანახმად, ღმერთების მესამე თაობას მიეკუთვნებოდა (იყო გების და ნუტის ერთ-ერთი შვილი). მისი ძმა იყო სეტხი, დები — ნეფტიდა და ისიდა, რომელიც იმავდროულად მისი ცოლიც იყო. ოსირისის



ოსირისი

კულტის განვითარების ადრეული საფეხურები ბუნდოვანია. საეარაუდოდ, უძველესი დროიდან იყო აღმოსავლეთ დელტის ლოკალური ხტონიური ღვთაება, ასოცირებული სოფლის მეურნეობასთან და ბუნების ყოველწლიურ ციკლთან. ასეთ შემთხვევაში, იყო იდეალური არჩევანი თავისი მომავალი როლისათვის, რადგან მის მკვდრეთით აღდგენასთან დაკავშირებულ მითებში თითქოს არეკლილი იყო ეგვიპტის მიწის ყოველწლიური შევსება ახალი სასიცოცხლო ძალით ნილოსის ადიდების შემდეგ (Malek in Shaw (ed.), 103). ოსირისის დაკავშირება მიცვალებულთა კულტთან პირველად V დინასტიის დასასრულის დიდგვაროვანი მოხელეების სამარხების წარწერებში ხდება. ტექსტებში, რომლებშიც გადმოცემულია მიცვალებულების ვედრება, რომ მათი მგზავრობა „დასავლეთისაკენ" მშვიდობიანი იყოს, და დღესასწაულების დროს ყოველთვის მიიღონ შესანირი, ძველ მიცვალებულთა ღმერთთან, ანუბისთან ერთად ოსირისიც ჩნდება. VI დინასტიის დასაწყისისათვის ის უკვე მტკიცედ იმკვიდრებს ადგილს მიცვალებულთა ლოცვებში. თავდაპირველად ოსირისს მოიხსენიებდნენ, როგორც „ბუსირისის ბატონს", ცოტა მოგვიანებით ის შეერწყა აბიდოსის მიცვალებულთა ღმერთს, ხენტიიმენტიუს (რომელიც მან შთანთქა), და მიიღო მისი ეპითეტები „აბიდოსის ბატონი" და „დასავლეთის ბატონი". ამის შემდეგ ოსირისი თანდათად სულ უფრო დიდი ღვთაება ხდება. მას აიგივებენ ყველა ძველ, მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებულ ღვთაებასთან — „გზების გამხსნელ" უპუატთან (PT 630), მემფისის სოკართან (PT 620c), და საიქიო სამყაროს ერთპიროვნული ბატონი ხდება (Kees, 1980a, 132). ის იკავებს უძველესი მიცვალებულთა ღმერთის და საიქიოს ბატონის, ანუბისის ადგილს, რომელსაც მიცვალებულთა კულტის რიტუალების ზედამხედველის და მთავარი მებალზამის შედარებით მოკრძალებული როლი დარჩა, ოსირისი კი საიქიო სამყაროს მეფედ გადაიქცა, რასაც მისი სამეფო ინსიგნიებიც ადასტურებს. ამის შემდეგ ბუნებრივად მოხდა გარდაცვლილი ფარაონის ოსირისთან გაიგივება. პირველი გარადამავალი პერიოდის შემდეგ, როცა მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებულმა ნარმოდგენებმა სერიოზული დემოკრატიზაცია განიცადა, ოსირისთან წარჩინებული ეგვიპტელების გაიგივებაც ხდებოდა, ახალი სამეფოს შემდეგ კი ეს ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის, ვისაც მუმიფიცირებასთან და დაკრძალვის შესაბამის რიტუალებთან დაკავშირებული ხარჯების გაღება შეეძლო. ღმერთები, რომლებიც ოსირისთან ერთად ერთ ოჯახს



ოსირისი

ქმნიდნენ, იყენენ სეტხი (მისი ძმა), ისიდა (მისი და და ცოლი), ნეფტიდა (მისი და), ხორი (მისი ვაჟიშვილი). თანდათან ამ ჯგუფთან დაკავშირებული მითი, რომელიც სამეფო ძალაუფლების მემკვიდრეობითობას დაუკავშირდა (გარდაცვლილი ფარაონი ყოველთვის ოსირისთან ასოცირდებოდა, მისი მემკვიდრე კი ხორთან), რეალურად ეგვიპტის მთავარი მითი გახდა, რომელიც სამეფო ძალაუფლების მემკვიდრეობითობასთან იყო დაკავშირებული (Silverman in Shafer (ed.), 1991, 44). ეგვიპტურ ტრადიციაში ოსირისის მითი არასოდეს ყოფილა დაფიქსირებული, როგორც ერთი მთლიანი ამბავი (ყოველ შემთხვევაში, ასეთ ტექსტს ჩვენამდე არ მოულწევია), მაგრამ მითზე ალუზიები მრავლად არის გაბნეული სხვადასხვა ტექსტში. ეს ალუზიები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ოსირისის მითი ეგვიპტურ ტრადიციაში წარმოიდგინებოდა არა როგორც ერთი მთლიანი ამბავი, არამედ როგორც მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებული ცალკეული სცენების კრებული. ოსირისის მითის „სრული" ვერსია მოთხრობილია დიოდორესთან, და განსაკუთრებით, პლუტარქესთან (De Iside et Osiride, 12-21), მაგრამ ამბისათვის დასრულებული სახის მიცემის მცდელობამ ორივე ავტორი საკმაოდ შორს წაიყვანა ეგვიპტური ორიგინალისაგან. მითის დასაწყისს წინ უძღოდა წინაისტორია, რომელიც არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ ეგვიპტურ ნაწყვეტში არ არის დაფიქსირებული, მაგრამ მისი ცოდნა აუცილებელია მითის არსებაში გასარკვევად (Assman, 2005, 24). მითის წინაისტორია მოთხრობილია პლუტარქესთან. ოსირისი გახდა მეფე, როგორც თავისი მამის, გების მემკვიდრე, მაგრამ განსხვავებით თავისი წინაპრებისაგან (რა, შუ და გები) მას ჰყავდა ძმა და მეტოქე – სეტხი. ქალღმერთმა, რომელსაც პლუტარქე რეას ეძახის (ეგვიპტური ნუტი), წლის უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში გააჩინა კრონოსისაგან (გები) ხუთი შვილი. პირველ დღეს დაიბადა ოსირისი, და ხმამ ზეციდან ამცნო სამყაროს, რომ დაიბადა მეფე. მეორე დღეს დაიბადა ხორი (ხაროერისი, ან „უფროსი ხორი"), შემდეგ ტიფონი (ეგვიპტური სეტხი), ისიდა და ნეფტიდა. ოსირისს და ისიდას ჯერ კიდევ დაბადებამდე შეუყვარდათ ერთმანეთი. ტახტზე ასვლის შემდეგ ოსირისი გამორჩეული მეფე გახდა. ის ზრუნავდა არა მარტო ეგვიპტელებზე, არამედ სხვა ხალხებზეც. როცა სხვა ქვეყნებში მოგზაურობდა, მისი ცოლი, ისიდა მართავდა ეგვიპტეს. მაგრამ ტიფონს (სეტხს) შურდა ძმის. ერთხელაც, სეტხმა და მისმა თანამზრახველებმა მოგზაურობიდან დაბრუნებულ ოსირისს საზეიმო შეხ-

ვედრა მოუწყვეს. იქვე გამოცხადდა, რომ სპეციალურად გამზადებული ულამაზესი სკივრი გახდებოდა მისი საკუთრება, ვისაც სიმაღლეში მოერგებოდა. სინამდვილეში, სეტხმა სკივრი სპეციალურად დაამზადებინა, ოსირისის სიმაღლის შესაბამისად. სკივრის მსურველი ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ არავის არ მოერგო, ოსირისის გარდა. როგორც კი ოსირისი ჩაწვა სკივრში, სეტხმა და მისმა თანამზრახველებმა სახურავი დაჭედეს და ნილოსის ტანისური ტოტით ზღვისაკენ გაუშვეს. ზღვამ სკივრი ფინიკურ ქალაქ ბიბლოსთან გამოაგდო, და აქ მოხდა სასწაული: სკივრიდან გაიზარდა ულამაზესი ხე, რომელმაც სკივრი თავისი ფესვებით დაფარა. ისიდამ გაათავისუფლა სკივრი ფესვებისაგან და წაიღო დელტაში, ქალაქ ბუტოს სიახლოვეს, მაგრამ ბოროტმა სეტხმა იქაც მიაღწია. მან ოსირისის სხეული 14 ნაწილად დაანაწევრა, რომლებიც მთელ ეგვიპტეში მიმოფანტა. ისიდამ მოიძია ყველა ნაწილი, ფალოსის გარდა, რომელიც ნილოსში თევზმა გადაყლაპა. ეს ყველაფერი ოსირისის მეფობის ოცდამერვე წელს მოხდა. პლუტარქეს ვერსიის ძირითადი ხაზი ემთხვევა ეგვიპტური ტექსტების მონაცემებს, და ის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას მოთხრობილი აქვს მითის წინაისტორია. მაგრამ უკვე საკუთრივ მითის ამბავი ეგვიპტურ ტექსტებში გაცილებით უფრო მრავალფეროვანია. მითის უძველესი ვარიანტი პირამიდების ტექსტებშია დაფიქსირებული (PT 1008, 819a, 1256b). ეგვიპტის მეფე ოსირისი მოკლა ძმამ, სეტხმა. ისიდამ და ნეფტიდამ მოძებნეს მისი სხეული, და ისიდამ, როგორც დიდმა ჯადოსანმა, მაგიური შელოცვებით ცოტა ხნით გააცოცხლა ოსირისი და ჩაისახა მისგან შვილი, ხორი, რომელიც დელტაში, დამალულ ადგილას გაზარდა. ჰელიოპოლისში იკრიბებიან ღმერთები გების მეთაურობით. ისინი ადანაშაულებენ სეტხს, მაგრამ ის ყველაფერს უარყოფს. ტახტის კანონიერ მემკვიდრედ ღმერთები ასახელებენ ხორს. აქვე მოთხრობილია ხორის თვალის შესახებ, რომელსაც სეტხი ორთაბრძოლის დროს ართმევს ხორს, მაგრამ საბოლოოდ ხორი თავის თვალს იბრუნებს. ეს ვარიანტი ახლოსაა პლუტარქესთან. მემფისის თეოლოგიური ტრაქტატის პოლიტიკურ ნაწილში მოცემულია მითის მეორე ვარიანტი. აქ არაფერია ნათქვამი ოსირისის მკვლელობაზე. ხორი და სეტხი დავობენ მემკვიდრეობაზე (ეგვიპტის ტახტზე), რომელსაც გები საბოლოოდ ხორს მიანიჭებს, როგორც თავისი უფროსი ვაჟიშვილის ვაჟს. ოსირისი იხრჩობა მემფისის სიახლოვეს, ხორს, ისიდასა და ნეფტიდას ამოაქვთ მისი სხეული წყლიდან (Junker, 1941, 21-50).

ოსირისი

ოსირისი მითში არ წარმოგვიდგება, როგორც გმირი, რომელიც ამარცხებს მტერს. მისი როლი პასიურია. მას ესაჭიროება დახმარება, რომ აღსდგეს მკვდრეთით მაგიური ძალით, და ამას მის გვერდით მყოფი ისიდა ახერხებს, მისი შვილი ხორი კი შურს იძიებს სეტხზე. სწორედ ამიტომ იყო ცოცხალი ფარაონი იდენტიფიცირებული ხორთან (Lesko in:Shafer(ed), 1991, 93). ცოცხალი ფარაონი არასოდეს არ არის იდენტიფიცირებული ოსირისთან, გარდაცვლილი კი ხორთან, რაც ასევე ავლენს ოსირისის პასიურ ბუნებას. ამიტომ ოსირისის „მკვდრეთით აღდგენა" ძალიან პირობითია. ის სამუდამოდ რჩება საიქიოში, და ტახტზე ცვლის ხორი. ბერძნულ-რომაულ პერიოდში, როცა ისიდა და ოსირისი ძალიან პოპურალური ხდებიან, მნიშვნელოვანი ხდება ოსირისის, როგორც მცენარეული ღმერთის ასპექტი (Коростовцев, 1976, 128). მიჩნეულია, რომ კონფლიქტში სეტხსა და ოსირისს შორის ასახულია ეგვიპტელისათვის ძალიან თვალსაჩინო ბრძოლა ერთი მხრივ ნილოსის დაბლობის შავ, ნაყოფიერ მიწას შორის (ეგვ. *Kmt* (Wb V, 126), „კემეტი", „შავი მიწა", „ეგვიპტე") და მეორე მხრივ უდაბნოს სასტიკ სიმხურვალესა და ქვიშას შორის (ეგვ. *dšr.t* (Wb V, 494) „დეშერეტ", „წითელი მიწა", „უდაბნო"), ან ნილოსის სასურველ, ყოველწლიურად განსაზღვრულ დროს მოსულ, ნაყოფიერების მომტან ადიდებას (ოსირისი) და წინასწარ განუსაზღვრავ, არასასურველ, დამანგრეველ უდაბნოს ქვიშიან შტორმს (სეტხი) შორის. მეორე დონეზე (რაც შედარებით უფრო გვიანი დროის ტექსტებში ფიქსირდება), ამ დაპირისპირებაში აისახა კონფლიქტი ორ მემკვიდრეს შორის, რომლებიც მამის მემკვიდრეობის გამო უპირისპირდებიან ერთმანეთს. შესაძლოა ასევე, რომ ამ ისტორიის შექმნას ბიძგი მისცა შვილის ბრძოლამ მამის მემკვიდრეობისათვის გარდაცვლილი მამის ძმის წინააღმდეგ (Lesko in: Shafer (ed), 1991, 93). ოსირისი გამოისახებოდა ანთროპომორფულად, მუმიის სახით, თავზე ატეფ-გვირგვინით, რომელსაც ორი ბუმბული ამშვენებდა. მისი სხეული შეფერილი იყო ან მწვანედ, რომელიც განახლების ფერად ითვლებოდა, ან შავად, რაც ნილოსის ნაყოფიერ მიწასთან კავშირზე მიუთითებდა. ხელში ჩვეულებრივ მათრახი და კაუჭის ფორმის კვერთხი ეკავა.

ოსირისის სამარხი — როცა სეტხმა ოსირისის სხეული დაანაწევრა და მთელ ეგვიპტეში მიმოფანტა, ისიდა გაემართა ნაწილების საძებნელად. ის მარხავდა ყველა ნაწილს იქ, სადაც პოულობდა, ამიტომ ოსირისის სამარხი ბევრი იყო ეგვიპტეში.

მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამარხები აბიდოსში, ბუსირისში, და კუნძულ ბიგეზე (Коростовцев, 1976, 121).



ანუბისი წონის გულს, სასწორზე ზის თოტის პავიანი. აქვეა დემონი, რომელიც შთანთქავს ცოდვილს.

ოსირისის სამსჯავრო — პირველი გარდამავალი პერიოდის დროს, როცა იწყება მიცვალებულთა კულტის დემოკრატიზაცია და მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებული ტექსტების შექმნა არასამეფო მიცვალებულთათვის, რადიკალურად იცვლება წარმოდგენა საიქიო სამყაროზე და მარადიულ არსებობაზე გარდაცვალების შემდეგ. მარადიული არსებობა გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტეში ჯერ კიდევ ძველი სამეფოდან ადამიანის სულიერ საწყისთან იყო დაკავშირებული, რომელიც გარდაცვალების მომენტში სხეულს შორდებოდა. თანდათან ჩამოყალიბდა წარმოდგენა, რომ მარადიული ნეტარება შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მათთვის, ვინც ცხოვრებას გარკვეული მორალური ნორმების შესაბამისად გაატარებდა. ასეთმა წარმოდგენებმა წარმოშვეს „განმსჯელის" საჭიროება, რომელიც გარდაცვლილთა სულის განსჯას უხელმძღვანელებდა. ეს როლი ბუნებრივად დაეკისრა ოსირისს, რომელიც ამ დროისათვის უკვე საიქიო სამყაროს მბრძანებლად და ყველა ნეკროპოლისის მთავარ მფარველ ღვთაებად იყო მიჩნეული. განსაკუთრებით დეტალურად ოსირისის სამსჯავრო ახალი სამეფოს პერიოდის „მკვდართა წიგნშია" აღწერილი, მაგრამ ის სათავეს შუა სამეფოს პერიოდის მიცვალებულთა ტექსტებში იღებს. ეგვიპტელის წარმოდგენით, მიცვალებულის განსჯა შემდეგნაირად ხდებოდა: განსჯის დარბაზში დაშვებამდე, მას უნდა გაეცა პასუხი რამდენიმე კითხვაზე, რომლებიც ავლენდა, თუ რამდენად გააზრებული ჰქონდა მას, თუ სად მოვიდა. ამ დარბაზს ეგვიპტელები „ორივე მაატის დაბაზს" (ეგვ. *wšḫ.t nt mꜣʿ.tj* Wb II, 21) ეძახდნენ. განსჯის დარბაზში ოსირისი თავის ტახტზე იყო დაბრძანებული. მის გარშემო იყო 42 მოსამართლე. ეს რიცხვი, სავარაუდოდ, ეგვიპტის 42 ნომს შეესაბამებოდა. ოსირისის წინ იდგა სასწორი, რომელზეც გარდაცვლილის გული უნდა აეწონათ. სასწორის მეორე თეფშზე იდო ბუმბული, რომელსაც წონა არ ჰქონდა. იმავდროულად, ბუმბული სიმართლის ქალღმერთის, მაატის სიმბოლოც იყო. უცოდველი და მართალი გული (ეგვიპტელს სჯეროდა, რომ გული აზროვნების წყარო იყო), ეგვიპტელის წარმოდგენით, ისეთი მსუბუქი უნდა ყოფილიყო, რომ ბუმბულს არ გადაწონიდა. სასწორის მეთვალყურე იყო თოტი, ამ შემთხვევაში როგორც მაგიის და რიცხვების ბატონი. გარდაცვლილი დარბაზში ანუბისს შემოჰყავდა. იქვე

იყო საშინელი დემონი, „შთანმთქმელი“, რომელიც შთანთქავდა მათ, ვინც ცოდვებით დამძიმებული აღმოჩნდებოდა. ოფიციალური რწმენის თანახმად, სწორედ ეს ნიშნავდა მეორედ და სამუდამოდ სიკვდილს. თოტი გარდაცვლილს ოთხ კითხვას უსვამდა, რომლებზეც მას პასუხი უნდა გაეცა. მათი შინაარსი იყო, რომ გარდაცვლილი მოვიდა ოსირისთან, რომ განაცხადონ მის შესახებ, და რომ ის თავისუფალია ცოდვებისაგან. ამის შემდეგ თოტი საზეიმოდ აცხადებდა, რომ მიცვალებული „განცხადებულია“. ამის შემდეგ მიცვალებულს უნდა წარმოეთქვა სიტყვა, რომელსაც ეგვიპტოლოგიაში „ცოდვების უარყოფის სიტყვა“ ეწოდება. ის შედგებოდა იმ 42 ცოდვის უარყოფისაგან, რომლებიც, ეგვიპტელის თვალში, ყველაზე დიდ ბოროტებას განასახიერებდა. მიცვალებული ამბობდა, რომ მას არ მოუკლავს, არ მოუპარავს, არავინ აუტირებია, არ უღალატია ცოლისათვის (ან ქმრისათვის), არ მიუცია ყალბი ჩვენება და ა.შ. ის ასევე ამბობდა, რომ აძლევდა წყალს მწყურვალეს, საჭმელს მშიერს და ტანსაცმელს შიშველს (Faulkner, 2001, 29-33). სიტყვის შემდეგ მის გულს სასწორზე დებდნენ. თუ ცოდვილი გამოდგებოდა, სამუდამო ნეტარების ნაცვლად სამუდამოდ გაქრობა ელოდა. რეალურად, ოსირისი არ განსჯიდა მათ, ის უბრალოდ ესწრებოდა მათ განსჯას. ცოდვილები და ბოროტები ისჯებოდნენ თავიანთი ბოროტების გამო, და არა იმიტომ, რომ მათ ოსირისი სჯიდა (Mojsov, 2005, 47-49). ოსირისის სამსჯავრო კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ მნიშვნელობას, რომელსაც ეგვიპტელი გულს ანიჭებდა. „მკვდართა წიგნი“, რომელსაც მიცვალებულს სამარხში ატანდნენ, მოიცავდა ბევრ გამონათქვამს, რომელიც მიცვალებულს უნდა „დახმარებოდა“. გარდა ყველაზე მნიშვნელოვანი 125-ე თავისა, რომელიც ცოდვების უარყოფას შეიცავდა, აქ იყო თავები, რომლებიც უნდა დახმარებოდა მიცვალებულის სულს გამოსულიყო საფლავიდან დღისით (თავი 1, Faulkner, 2001, 34), რომ არ ემუშავა საიქიოში (თავი 5, იქვე, 36), რომ ის არ შეეჭამა გველს საიქიოში (თავი 35, იქვე, 58) და ა.შ., მაგრამ განსაკუთრებულ ემოციებს იწვევს თავი 30B, რომელიც შეიცავს თხოვნას საკუთარი გულისადმი: „ჩემო გულო, რომელიც მე დედამ გადმომცა, ჩემო გულო, რომელიც მე სხვადასხვა ასაკში მომყვებოდი, ნუ დადგები მოწმედ ჩემ წინააღმდეგ, ნუ განეწყობი ჩემდამი მტრულად სასწორის მეთვალყურესთან, ნუ იტყვი ტყუილს ჩემ შესახებ ღმერთის წინაშე (*იქვე*, 27).

ოსირისის სვეტი — *იხ. ჯედ-სვეტი*

ოსორკონი – (ეგვ. *W3sIr-kn*), XXI (ტანისური) და XXII და XXIII (ლიბიური) დინასტიების რამდენიმე ფარაონის სახელი. ე.წ. ოსორკონ უფროსი (**ოსორკონ I**, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 984-978 წწ.) XXI დინასტიის ფარაონია, რომელიც ტახტზე XXI (ტანისური) დინასტიის დროს ავიდა, სავარაუდოდ, ტანისური ხაზის დასუსტების გამო. მისი მამის, მაშვაშების ბელადის სახელი იყო შეშონკი. ორივე სახელი ავლენს მათ ლიბიურ წარმომავლობას. მის შემდეგ XXI დინასტიაში ისევ ტანისური ხაზი გრძელდება (Shaw (ed.), 2003, 328). სავარაუდოდ, ის XXII დინასტიის დამაარსებლის, შეშონკ I-ის ბიძა იყო (Vernus and Yoyotte, 2003, 130). **ოსორკონ II** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 924-909 წწ.) XXII დინასტიის დამაარსებლის, შეშონკ I-ის შვილი იყო. მან გააგრძელა ქურუმების მიმართ მამის კეთილგანწყობილი პოლიტიკა, გამოუყო დიდი თანხები მემფისის, ჰელიოპოლისის, ჰერმოპოლისის და კარნაკის ტაძრებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა ბუბასტისში, რომელიც ლიბიელების ფორპოსტი და მისი მშობლიური ქალაქი იყო. აქ მან აუგო ტაძრები ატუმს და ბუბასტისის მფარველ ქალღმერთს, ბასტეტს. შეშონკის მიერ ჰერაკლეოპოლისზე დანესებული კონტროლი გაამყარა ტაძრების მშენებლობით ელ ჰიბაში (ფორტი ჰერაკლეოპოლისთან) და ახლომდებარე ატფიჰში, რომელიც ისიდას მიუძღვნა. მან დააარსა სამხედრო ბანაკი ფაიუმში მიმავალი ტრანსპორტის გასაკონტროლებლად (Grimal, 2003, 323). როგორც თავისი მთავარი დედოფალი, ცოლად შეირთო XXII დინასტიის ბოლო ფარაონის, ფსუსენეს II-ის ქალიშვილი, რაც ეხმიანება ლიბიელების საერთო ტენდენციას მაქსიმალურად შერწყმოდნენ ეგვიპტურ ტრადიციებს, ეს ჩანს ასევე მათ დამოკიდებულებაში ეგვიპტური ღმერთების მიმართ, რომლებიც, შეძლება ითქვას, თავისად აღიარეს (Mysliwiec, 2000, 43). სავარაუდოდ, გააგზავნა ჯარი იუდეაში. კამპანიას ხელმძღვანელობდა კუშიტური წარმოშობის მხედართმთავარი ზერა, მაგრამ ეგვიპტური ჯარი დამარცხდა და გაძევებული იქნა იუდეიდან, თუმცა ეგვიპტემ, ასევე სავარაუდოდ, შეინარჩუნა გავლენა ბიბლოსზე, რადგან ცნობილია, რომ ბიბლოსის მთავარმა ელი ბაალმა ოსორკონ II-ს ქანდაკება მიუძღვნა ბაალატ-გებალის სამლოცველოში. კარნაკში ოსორკონმა გადააყენა ამონის მთავარი ქურუმის თანამდებობიდან თავისი ძმა იუპუტი და მის ადგილზე თავისი შვილი და მემკვიდრე, შეშონკი დანიშნა, მაგრამ შეშონკი მამაზე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა, და ოსორკონმა ტახტი გადაუღოცა თავის შვილს „მეორე რიგის" ცოლისაგან, ტაკელოტს

(Grimal, 2003, 323-324). **ოსორკონ III** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 883-855 წწ.) ოსორკონ II-ის შვილიშვილი იყო. მის დროს უკვე გამოიკვეთა მძაფრი დაპირისპირება თებეში ამონის ქურუმობას, და სამეფო ტახტს შორის, რომელმაც მისი წინამორბედის, ტაკელოტ I-ის დროს იჩინა თავი. ოსორკონმა ნება დართო თავის ბიძაშვილს, შეშონკ II-ის ვაჟიშვილს, ხორსიესეს, გამხდარიყო ამონის მთავარი ქურუმი თებეში, რაც მის უდიდეს შეცდომად არის მიჩნეული. ამით მან დაუშვა მემკვიდრეობითობის პრეცედენტი, რომლის შედეგად ხორსიესემ გადაწყვიტა მამის კარიერის გამეორება, და ოსორკონ III-ის გამეფების მეოთხე წელს თავი მეფედ გამოაცხადა. ამ ვითარებაში ოსორკონის ძალუფლება არ ვრცელდებოდა სამხრეთზე, ხორსიესე მალე გარდაიცვალა. უნდა აღინიშნოს, რომ მან თავისი სამარხი მედინეტ ჰაბუში, რამსეს III-ის მოსახსენიებელი ტაძრის გალავნის შიგნით აიგო (Mysliewec, 2000, 50-51). მისი გარდაცვალების შემდეგ ოსორკონმა თებეს მთავარი ქურუმის მოვალეობაზე დანიშნა თავისი ვაჟიშვილი ნიმლოტი, რომელიც იქამდე ჰერაკლეოპოლისის გარნიზონის უფროსის მოვალეობას ასრულებდა. ამის შემდეგ გადააყენა მემფისის მთავარი ქურუმი, და მის ადგილზე ასევე თავისი ვაჟიშვილი, შეშონკი დანიშნა. ის იმდენად ცდილობდა, ყველა მნიშვნელოვან თეოკრატიული ცენტრი თავისი ოჯახის ხელში მოექცია, რომ ტანისის მთავარი ქურუმის თანამდებობაზე ასევე თავისი ვაჟიშვილი, იმ დროისათვის პატარა ბავშვი, ხორნახტი დანიშნა, რომელიც ათი წლის ასაკში გარდაიცვალა. ოსორკონ III-ის მეფობა XXII დინასტიის უკანასკნელი წარმატებული მეფობა იყო. მან გაზარდა და გაალამაზა ბასტეტის ტაძარი თავის მშობლიურ ბუბასტისში, მიუშენა ახალი ეზო თავისი ხებსედისათვის. ხებსედის დროს განაცხადა ტაძრების გადასახადებიდან განთავისუფლების შესახებ (თავის დროზე იგივე გააკეთა ამონხეტეპ III-მ). ოსორკონის ეს ქმედება ეგვიპტის ინსტიტუციური ტრადიციების გაგრძელებაზე მიუთითებს. ოსორკონი აგებდა ასევე ლეონტოპოლისში, მემფისში და ტანისში. თებეში ააგო სამლოცველო და აღუდგინა პრივილეგიები ამონის ქურუმებს. საგარეო პოლიტიკაში ოსორკონი აგრძლებდა უკვე ტრადიციად ქცეულ კავშირს ბიბლოსთან, მაგრამ ამ დროს არენაზე თანდათან გამოდის ახალი ძალა – ასურეთის სამეფო. ასურნასირპალ II-მ, რომელიც ტახტზე ჩვ.წ.-მდე 883 წ. ავიდა, დაიპყრო ჩრდილოეთ მესოპოტამია, სირია, ორონტის დაბლობი და ევფრატის და ამურუს ნაპირები. მისი შვილი შალმანესარ III ჩვ.წ.-მდე 859-824 წწ. მეფობდა და

შესაბამისად, ოსორკონ III-ის და ტაკელოტ II-ის თანამედროვე იყო. მთელი ამ წლების განმავლობაში ის ცდილობდა, სრული კონტროლი მოეპოვებინა ჩრდილოეთ სირიაზე. 853 წელს ჰამათის, დამასკოს და ისრაელის სამეფოები გაერთიანდნენ მის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლისათვის, რომელიც შედგა კარკართან, ორონტზე, ბიბლოსმა 500, ეგვიპტემ კი 1000 კაცი გააგზავნა. ბრძოლის შედეგი ცნობილი არ არის, და შესაძლოა, შალმანესარმა გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ამის შემდეგ მისი აგრესია დასავლეთის მიმართულებით შეწყდა. ეგვიპტის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი ამ დროიდან სირია-პალესტინის მხარდაჭერა იყო, რადგან ისინი წარმოადგენდნენ უკანასკნელ ფორპოსტს ეგვიპტეს და ასურეთის იმპერიულ ზრახვებს შორის, მაგრამ დაახლ. ოცი წლის შემდეგ ეს სამეფოები მაინც დაეცნენ შალმანესარის წინაშე, და ისრაელის მეფე ამის შემდეგ ხარკს უხდიდა ასურეთს. შალმანესარის შემდგომ გეგმას ეგვიპტეზე შეტევა წარმოადგენდა, მაგრამ ამას ხელი შეუშალა შიდააშლილობამ და პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა საკუთარ ქვეყანაში (Grimal, 2003, 324-326). **ოსორკონ IV** (ჩვ.წ.-მდე 787-759) XXIII დინასტიის ფარაონია, რომელიც XXII დინასტიის პარალელურად მეფობდა. უნდა აღინიშნოს, რომ მათ თებეს დინასტიასაც ეძახიან (Bard (ed.), 1999, XXIX), რადგან ამ დროისათვის თებე აღიარებდა მათ, და არა ტანისელ ფარაონებს. ოსორკონ IV ტახტზე XXII (ტანისური) დინასტიის ფარაონის, შეშონკ III-ის მეფობის დაახლ. მეორმოცე წელს ავიდა. ის აღიარეს ფარაონად ასევე მისი მეზობელი მენდეესის მაშვაშების (ლიბიელების) ბელადებმა. მისი აქტივობა შეიმჩნევა მემფისშიც, და შუა ეგვიპტეში მოძიებული მასთან დაკავშირებული არქეოლოგიური მასალა მეტია, ვიდრე ტანისელი ფარაონების. თავისი მეფობის რაღაც პერიოდში მან მოახერხა, გაეძევებინა XXII დინასტიის ოჯახის წარმომადგენლები ელ ჰიბას ფორტიდან, რომელიც მათ ჯერ კიდევ შეშონკის დროიდან ეკავათ, და იქ თავისი ვაჟიშვილი ტაკელოტი დასვა, რაც ფაქტობრივად ჰერაკლეოპოლისის მმართველობასაც ნიშნავდა. მისი გარდაცვალების დროისათვის მის დინასტიას ეგვიპტის გაცილებით მეტი ტერიტორია ეკავა, ვიდრე ტანისურს. **ოსორკონ V** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 735-715/13?) შეშონკ V-ის შვილი და XXII დინასტიის უკანასკნელი ფარაონია. მისი ძალაუფლება ფაქტობრივად ნომინალური იყო და ტანისს, ბუბასტისს და მათ ირგვლივ მცირე რეგიონს მოიცავდა აღმოსავლეთ დელტაში (Grimal, 2003, 330). პიანხი ცნობილ „გამარჯვების სტელაში" მოიხსენიებს

ოსორკონს, რომელიც მას ეახლა (Breasted, 1962, IV, § 872). პიანხის მიერ ეგვიპტის დაპყრობა ქრონოლოგიურად ოსორკონ V-ის მეფობის წლებს ემთხვევა. ჩვ.წ.-მდე 720 წ., როცა სარგონმა ჩაახშო აჯანყება სირიაში და დაიპყრო პალესტინა გაზამდე, ოსორკონმა გაუგზავნა თავისი მთავარსარდალი და ჯარი გაზას მეფეს, მაგრამ მოკავშირეები დამარცხდნენ, გაზა დაეცა, მთავარსარდალმა კი ეგვიპტეში გამოქცევით უშველა თავს. 716 წ., როცა სარგონმა კვლავ დაარტყა პალესტინას და დაიძრა ეგვიპტის მიმართულებით, მან დაამარცხა ადგილობრივი არაბები (რომლებიც აქ პირველად არიან მოხსენიებული) და დასვა თავისი ვასალი ნაჰალ მუსირთან, ბიბლიურ „ეგვიპტის ვადისთან". ახლა ასურელები ტანისიდან დაახლ. ორასი კილომეტრით იყვნენ დაშორებული, ეგვიპტის სასაზღვრო ფორტ სილედან კი კიდევ უფრო ნაკლებით. ოსორკონმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა საშიში მეზობლის გულის მოგება, და სარგონის ცნობით, გაუგზავნა მას თორმეტი საუკეთესო დიდი ეგვიპტური ცხენი, „რომელთა მსგავსი არ არის ასურეთში". ამის შემდეგ, 715 წ. ოსორკონი ქრება თვალთახედვიდან და მასთან ერთად სრულდება XXII დინასტია. თითქმის თანადროულად, იუპუტ II-თან ერთად, სრულდება მისი პარალელური XXIII დინასტიაც, და ეგვიპტის ტახტზე ახალი ფარაონი — შაბაკა ადის.

ოძროს ხორი — *იხ. ტიტულატურა*

ოქსირინხოსი

ოქსირინხოსი — (ეგვ. *Pr-mḏd*, „შეხვედრების სახლი", Wb II, 191), მდებარეობდა ნილოსის ბაჰრ იუსუფის ტოტზე. დღეს ქალაქი თანამედროვე სოფლის, ბაჰნასას ქვეშ არის მოქცეული. ბერძნები ეძახდნენ პემპტეს (Pempte), მაგრამ ქალაქისათვის საკრალური თევზის, ოქსირინხოსის (Mormyrus kannume) გამო, მას ოქსირინხოსი დაერქვა. ოქსირინხოსის თევზისადმი მიძღვნილ სამლოცველოს აღწერს სტრაბონი (17, 812). ქალაქის მთავარი ღვთაება იყო სეტხი, რომელიც რამსეს III-ის წარწერაში „ოქსირინხოსის ბატონად" არის მოხსენიებული (Breasted, 1962, IV, § 368). ეს ერთგვარად ხსნის ქალაქში თევზის კულტის არსებობას, რადგან თევზებს ეგვიპტელები ბოროტ ძალებს უკავშირებდნენ. სეტხის კულტი ოქსირინხოსში მოხსენიებულია ედფუს ტაძრის წარწერებშიც, სადაც ხორის და სეტხის ორთაბრძოლაზეა მოთხრობილი. ქალაქში ეთაყვანებოდნენ ასევე ტაურეტს, აშს, თერმუტისს, ოსირისს და ჰარპოკრატოსს (Bonnet, 1952, 577). ოქსირინხოსზე არაფერია ცნობილი ახალი

სამეფოს დასასრულამდე. უძველესი მოხსენიება დაკავშირებულია ფარაონ პიიესთან (XXV დინასტია). XXVI დინასტიის ფარაონის, ფსამტიხ I-ის ქალიშვილის, ნიტოკრისის სტელის თანახმად, ამ დროისათვის ოქსირინხოსი XIX ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი გახდა ძველი სეპერმერუს ნაცვლად. თუმცა ქალაქიდან პრაქტიკულად არაფერია შემორჩენილი (Petrie, 1939, 12, pl.35-37), XIX საუკუნის დასასრულს აქ აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით ბერძნული პაპირუსები, რომლებიც დღეს ოქსირინხოსის პაპირუსების სახელით არის ცნობილი. ეს უზარმაზარი ნაკრები შეიცავს ლიტერატურულ, ისტორიულ, ბიოგრაფიულ ტექსტებს, ოფიციალურ ჩანაწერებს, კერძო დოკუმენტებს და წერილებს (Bard, 1999, 718).

პაინოჯემი — ამონის ორი მთავარი ქურუმის სახელი თებეში XXI (ტანისის) დინასტიის დროს. **პაინოჯემ I**-მა თანამდებობა ჩვ.წ.-მდე 1070 წ. თავისი მამის, ასევე მთავარი ქურუმის, პიანხის შემდეგ მიიღო. ამ დროისათვის წონასწორობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის უკვე დამყარებული იყო. თებეს ქურუმები აღიარებდნენ ჩრდილოეთის ფარაონებს, თუ, თავის მხრივ, ისინიც აღიარებდნენ ხერიხორის მიერ დაარსებულ თებეს მთავარი ქურუმის ინსტიტუტს (რომელიც, იმავდროულად, სამხრეთ ეგვიპტის მთავარსარდალიც უნდა ყოფილიყო). ამ თავისებური ალიანსის გამყარება ქორწინებების საშუალებითაც დაიწყო. პაინოჯემ I-მა ცოლად შეირთო სმენდესის და ტენტამუნის ქალიშვილი ხენტტაუი. იმავდროულად, ის შესაძლოა სმენდესის ნათესავიც იყო. ამ პერიოდისათვის ფარაონების სამარხების ძარცვა იმდენად ჩვეული გახდა, რომ პაინოჯემს წილად ერგო თოტმეს II-ის, ამონხეტეპ I-ის და რამსეს I-ის, II-ის და III-ის გადასვენება დეირ ელ-ბაჰარის სამალავში. ელ ჰიბეს-თან, რომელიც ამ დროისათვის ფარაონის და თებეს სამფლობელოების საზღვარს წარმოადგენდა, მან დაიწყო საფორტიფიკაციო კედლის შენება, რომელიც ჩვენ დრომდეა შემორჩენილი. თავის ქალიშვილს, მაატკარას, პაინოჯემმა ამონის ცოლის თანამდებობა მიანიჭა. მისი სამი ძმა ასრულებდა ამონის მეორე მისნის, ამონის ტაძრის მნეს და მედინეტ ჰაბუს მნეს მოვალეობებს. ამ დროისათვის მისი ამბიციები თანდათან იზრდება. მართალია, მან ჩაატარა მცირედი სამუშაოები კარნაკში და მედინეტ ჰაბუში, მაგრამ „მიითვისა" რამსეს II-ის მიერ დაგებული სფინქსების ალეა (გადააწერა ზემოდან თავისი სახელი) და ამაყად განაცხადა, რომ გააკეთა „ის, რაც არც ერთ მეფეს არ ჩაუდენია". სმენდესის მეფობის მეთხუტმეტე წლისათვის პაინოჯემი უკვე ღიად აცხადებს პრეტენზიას მეფობაზე და იწყებს სამეფო რეგალიების მითვისებას. ხონსუს ტაძარში, სადაც მან დაასრულა პილონის მორთვა, პაინიჯემს მიღებული აქვს ხორის სახელი და თავს „ზემო და ქვემო ეგვიპტის" მეფედ

აცხადებს. მისი „მეფობა" დადასტურებულია ბევრ წარწერაში კარნაკში, აბიდოსში, კოპტოსში, ელ ჰიბეში და ტანისშიც კი, ე.ი. მისი „მეფობა" აღიარა ტანისმაც. რატომ „გაბედა" პაინოჯემმა თავისი თავის მეფედ გამოცხადება მაინცდამაინც სმენდესის მეფობის მეთხუტმეტე წელს, და რატომ იქნა მისი გამეფება ასე ადვილად მიღებული, ნათელი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ასეთმა „თანამმართველობამ" თავისი შედეგი გამოიღო. „გამეფების" შემდეგ სმენდესმა ამონის მთავარ ქურუმად დანიშნა თავისი შვილი მასაჰარტა, მისი გარდაცვალების მერე – შემდეგი შვილი, ჯედხონსეფანხი, მაგრამ, სავარაუდოდ ისიც მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ამონის მთავარი ქურუმის მოვალეობის შესასრულებლად თებეში ჩადის პაინოჯემის უმცროსი შვილი მენხეპერრა, რომელიც თავად ამონის ორაკულმა „გამოიძახა". მენხეპერრა, უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, სამხრეთ ეგვიპტის მთავარსარდალიც ხდება. 1043 წ., სმენდესის გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ადის მისი შვილი ამენემისუ, რომელიც, სავარაუდოდ, უკვე ხანდაზმული კაცი იყო და მალე გარდაიცვალა. როგორც ჩანს, მას მემკვიდრე არ დარჩენია, რადგან შემდეგი ფარაონი ტანისში ხდება ფსუსენეს I, პაინოჯემის კიდევ ერთი ვაჟიშვილი. ითვლება, რომ მის გამეფებას პაინოჯემის „მეფობამ" და ჩრდილოეთთან „თანამმართველის" სტატუსმა შეუწყო ხელი. ფსუსენეს I-ის გამეფების შემდეგ პაინოჯემი მალე გარდაიცვალა. ის მეფისათვის შესაფერისი პატივით დაკრძალეს თებეში, თოტმეს I-ის სარკოფაგში (Kitchen, 1973, §§215-219; Grimal, 2001, 312-314). **პაინოჯემ II** – მენხეპერრას ვაჟიშვილი და პაინოჯემ I-ის შვილიშვილი, გახდა ამონის მთავარი ქურუმი ფარაონ ამონემოპეს დროს, თავისი უფროსი ძმის, სმენდესის შემდეგ, რომელიც თანამდებობის მიღებიდან მალე გარდაიცვალა. ჰყავდა ორი მთავარი ცოლი – თავისი და ისტემხები და ძმიშვილი ნესიხონსი. განსაკუთრებით ისტემხების თანამდებობები ნათლად მეტყველებს, თუ როგორ დაეუფლა თებეს მმართველი ოჯახი პრაქტიკულად ყველა ძალაუფლების ბერკეტს და შემოსავლის წყაროს. ისტემხები იყო ამონის ცოლების სახლის უფროსი, მუტის და ხონსუს მისანი, ასევე ორივე ღვთაების ტაძრების მნე. ამას გარდა, თებეს გარეთ ის იყო ამონის მისანი იუ-რუდში (ქალაქი მეთექვსმეტე ზემოეგვიპტურ ნომში), ხატხორის მისანი კუსაში, მინის, ხორის და ისიდას მისანი ახმიმში, ოსირისის, ხორის და ისიდას მისანი აბიდოსში, ონურის-შუს მისანი ტინისში და ნეხბეტის მისანი ელ-ქაბში. ნესიხონსს, რომელიც ასევე იყო ამონის ცოლების

სახლის უფროსი, ეკავა ხნუმის და ამონის მისნის თანამდებობები მედინეტ ჰაბუში. ამას გარდა, პაინოჯემი იყო სამხრეთის ქვეყნების ზედამხედველი და მეფის ნაცვალი ნუბიაში. რასაკვირველია, შეუძლებელი იყო ყველა ამ თანამდებობაზე რეალურად მოვალეობის შესრულება, მაგრამ ისინი უდავოდ უზარმაზარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა. პაინოჯემ II გარდაიცვალა შემდეგი მეფის, სიამუნის მეათე წელს (Kitchen, 1973, § 232).

პანოპოლისი – (ეგვ. *Ꜣpw,* Wb I, 69 ან *Ḫnt-Min*, Gardiner, 1947, II, 40*). ბერძნები ეძახდნენ ხემისს (ჰეროდოტე, II, 91) ან პანოპოლისს (სტრაბონი, XVII, 1, 41). თანამედრ. სახელი – ახმიმი. მეცხრე ზრმოეგვიპტური ნომის დედაქალაქი, ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე, მინის სამშობლო, რომელსაც ბერძნები პანთან აიგივებდნენ. მისი ცოლი აქ იყო თრიპისი, ათრიბის ქალღმერთი. ეთაყვანებოდნენ ასევე ხორს (ხაროერისის სახით) და ისიდას (Breasted, 1962, IV, § 366). XXI დინასტიის დროს ქალაქ იპუში დაფიქსირებულია მინ-ხორის და ისიდას მისანი. ჰეროდოტე აღწერს ხემისს, როგორც ძალიან დიდ ქალაქს, სადაც, განსხვავებით სხვა ეგვიპტური ქალაქებისაგან, პატივს სცემდნენ ბერძნულ კულტურას პერსეოსის გამო, რომელიც აქ ჩამოვიდა გორგონას გულისათვის. მას შემდეგ ის რამდენიმეჯერ ჩამოვიდა ქალაქში და მისი სტუმრობა ქალაქისათვის ყოველთვის იღბლის მომტანი იყო (II, 91). ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ პანოპოლისი ელინისტური კულტურის ბასტიონი და პაგანიზმის ცენტრი იყო (Grillmeier, 1996, 90).

პაპირუსი – (ეგვ. *wꜣḏ,* Wb I, 263; *ḏ.t,* Wb V, 511 და სხვ.). მცენარე, რომლის ნახვა დღეს მხოლოდ კაიროს ბოტანიკურ ბაღში შეიძლება, ერთ დროს ეგვიპტური ლანდშაფტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. ნადირობის და თევზაობის სცენები, რომლებიც ეგვიპტელი დიდებულების სამარხების კედლებს ამშვენებს, უფრო ხშირად სწორედ პაპირუსის ბარდების ფონზეა წარმოდგენილი. პაპირუსი ძირითადად ნილოსის ნაპირებზე, დამდგარ წყლებში და ფაიუმის ტბის შემოგარენში იზრდებოდა და 3-6 მეტრის სიმაღლეს აღწევდა. განსაკუთრებით ბევრი იყო პაპირუსი უფრო ჭაობიან ჩრდილოეთ ეგვიპტეში და შესაძლოა ამიტომ პაპირუსის მცენარე ჩრდილოეთ ეგვიპტის სიმბოლოც გახდა. პაპირუსი იყო ასევე სიმწვანის, ზრდის და კეთილდღეობის სიმბოლო. „მწვანე ფერის" სახელი ეგვიპტურად ანალო-

გიურად ყღერდა (*wꜣḏ*, Wb I, 267). კუსაში ეთაყვანებოდნენ ღმერთ უხს, რომელსაც ლენტებით და ბუმბულით მორთული პაპირუსის მცენარის სახე ჰქონდა. პირამიდების ტექსტებში (PT 1875) ღმერთი უაჯი დიდი ქალღმერთის, უაჯეტის ვაჟიშვილად არის მოხსენიებული (Bonnet, 1952, 582). პაპირუსის მცენარის ფართე საყოფაცხოვრებო გამოყენების შესახებ ეგვიპტური ნახატები და ჰეროდოტე (II, 37, 92, 96) მოგვითხრობენ. მცენარის ქორფა ღეროები საკვებად გამოიყენებოდა. ქურუმებს, რომლებსაც მხოლოდ მცენარეული მასალისაგან დამზადებული ტანსაცმლის ტარება შეეძლოთ, პაპირუსის სანდლები ეცვათ. პაპირუსისაგან ამზადებდნენ იალქნებს და კანაფებს ეგვიპტური ხომალდებისათვის. ამას გარდა, ძალიან გავრცელებული იყო პაპირუსისაგან დამზადებული პატარა, ორადგილიანი მსუბუქი ნავები, რომლებიც სათევზაოდ და წყლის ფრინველზე სანადიროდ გამოიყენებოდა. მაგრამ დღეს პაპირუსის მცენარე ყველაზე უფრო იმის გამოა ცნობილი, რომ სწორედ პაპირუსიდან დაამზადა ეგვიპტელმა უძველესი „ქაღალდი", რომელზეც ადამიანმა მელნით და ფუნჯით დაიწყო წერა. სიტყვა „ქაღალდს" ბევრ ევროპულ ენაში დღემდე „პაპირუსის" სახელი ჰქვია (ინგლ. paper, გერმ. Papier, ფრანგ. papier და სხვ.), რაც ბერძნული სიტყვიდან „papiros" მომდინარეობს. სწორედ ასე ეძახდნენ ბერძნები როგორც მცენარეს, ისე მისგან დამზადებულ საწერ მასალას. სიტყვა ბერძნულ ენაში თეოფრასტეს დროიდან (ჩვ.წ.-მდე IV-III სს.) არის დაფიქსირებული (Černy, 1952, 4). ითვლება, რომ ბერძნული "papiros" მომდინარეობს ეგვიპტური *pꜣprꜣ*-დან, რაც „სამეფოს" ნიშნავს. პტოლემაიოსების დროს პაპირუსზე სამეფო მონოპოლია იყო დაწესებული და ის სამეფო მცენარედ ითვლებოდა (Christensen, 1938, 205). პაპირუსისაგან სანერი მასალის დამზადება საკმაოდ რთული პროცესი იყო. ყვავილის და ფესვის მოკვეთის შემდეგ მცენარის ღერო გრძელ, თხელ ზოლებად იჭრებოდა. შემდეგ ამ ნაჭრებს ერთმანეთის გვერდით ათავსებდნენ ისე, რომ ყოველი ზოლის კიდე ოდნავ გადადიოდა მომდევნოზე, ვიდრე ფურცლის სასურველ სიმაღლეს მიიღებდნენ. ამის შემდეგ უკვე დაწყობილ ზოლებზე იდებოდა მეორე ფენა, სადაც მცენარის გრძივი ბოჭკოები პირველ ფენასთან მიმართებაში ვერტიკალურად ლაგდებოდა. შემდეგ ეტაპს ამ „ნედლი ფურცლის" ძლიერი წნეხის ქვეშ მოთავსება და გამოშრობა წარმოადგენდა. ამგვარად, პაპირუსის ფურცელი ორი ფენისაგან შედგებოდა. ფურცლის იმ მხარეს, სადაც ზოლები ჰორიზონტალურად იყო დალაგებული, დღეს recto

ეწოდება, მეორე, ვერტიკალურად დალაგებულ მხარეს კი verso. პაპირუსისაგან დამზადებული ფურცლის სიმაღლე და სიგრძე სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული იყო. მაგ. ძველი სამეფოს დროს ფურცლის სიმაღლე 21-27 სმ. შეიძლებოდა ყოფილიყო, შუა სამეფოს დროს — 29-33 (თუმცა ძალიან იშვიათად გვხვდება 6-9 სმ. სიმაღლის ეგზემპლარები), ახალი სამეფოს დროს – 41-43 სმ. ფურცლის სიგრძე 16-დან 42 სანტიმეტრამდე მერყეობდა. პაპირუსის ფურცლის სისქე 0, 10-0, 15 მმ. იყო (თანამედროვე საწერი ქაღალდის სისქე საშუალოდ 0, 075 მმ.-ია). პაპირუსის გრაგნილის მისაღებად გამზადებულ ფურცლებს ერთმანეთზე აწებებდნენ სახამებლის საშუალებით. ამას ეგვიპტელები ისე ოსტატურად ახერხებდნენ, რომ ჩვეულებრივ ძნელია გადაწებების ადგილის მოძებნა. გრაგნილი იხვეოდა ისე, რომ მის შიგნითა მხარეს ფურცლების recto მხარე იყო მოქცეული. დღეისათვის ნაპოვნი ყველაზე გრძელი გრაგნილებია ებერსის (Pap. Ebers, 20 მეტრი) და ჰარისის (Pap. Harris no1, 45 მეტრი). მასალის სიძვირის გამო ხანდახან ძველ პაპირუსებზე მოთავსებულ ტექსტს შლიდნენ, და მასზე ახალ ტექსტებს წერდნენ. ასეთ პაპირუსებს დღეს პალიმფსესტებს უწოდებენ. პაპირუსის გრაგნილებს ჩვეულებრივ ხის ყუთებში ან თიხის ჭურჭელში ინახავდნენ. პაპირუსზე წერდნენ ფუნჯით და წითელი და შავი მელნით. შავი მელანი ჭვარტლისაგან მზადდებოდა, წითელი – ჟანგმიწისაგან. „მელანი" ფხვიერი მასა იყო, რომელშიც წყალში დასველებულ ფუნჯს აწებდნენ. წითელი მელნით ჩვეულებრივ წერდნენ პირველ სიტყვას (ან სიტყვებს), როცა ტექსტში ახალი აზრი იწყებოდა (თანამედროვე ტექსტში წითელი მელნით დაწყებულ ადგილებს აბზაცი შეესაბამება). ფუნჯის დასამზადებლად იყენებდნენ ლელქაშის მსგავსი მცენარის (Junctus maritimus) ღეროს. როგორც ძალიან მოსახერხებელი საწერი მასალის, პაპირუსის ღირსებები დააფასეს ბერძნებმა და ის ძალიან მალე ანტიკური სამყაროს ყველაზე გავრცელებული საწერი მასალა გახდა. გამოიყენებოდა პაპირუსი შუა საუკუნეების ევროპაშიც, სანამ (VIII საუკუნიდან) ის თანდათან ჩინეთიდან შემოტანილმა ქაღალდმა განდევნა (Коростовцев, 1963, 19-27).

ᲞᲐᲞᲠᲔᲛᲘᲡᲘ — ქალაქი ჩრდილოეთ ეგვიპტეში, ზუსტი მდებარეობა დადგენილი არ არის. სავარაუდოდ მდებარეობდა დასავლეთ დელტაში, საისის სიახლოვეს (Helck und Otto, 1956, 263). ჰეროდოტეს ცნობით, ქალაქში ეთაყვანებოდნენ ნიანგის სახის ღმერთს (II, 70) და აქ ტარდებოდა ხორისადმი მიძღვნილი

ყოველწლიური დღესასწაულები (II, 59, 63). როცა არტაქსერქსე I-ის დროს ეგვიპტელები აუჯანყდნენ სპარსელებს, მათმა წინამძღოლმა ინაროსმა, რომელიც სავარაუდოდ ეგვიპტის ფარაონის, უკანასკნელი ფსამტიხის შვილი იყო, სწორედ პაპრემისთან დაამარცხა სპარსელები, თუმცა საბოლოოდ აჯანყება წარუმატებელი გამოდგა (Grimal, 2003, 371).

პარაშისტი — *იხ. მუმია*

პახეტი — (ეგვ. *Pȟ.t*, Wb I, 499), ქალღმერთი მძვინვარე ლომის იკონოგრაფიით. მოიხსენიებოდა, როგორც „მახვილ თვალიანი და ბასრ ბრჭყალებიანი" (Roeder, 1915, 203), გამოისახებოდა, როგორც ლომის, ან გარეული კატის თავიანი ქალი. ეთაყვანებოდნენ შუა ეგვიპტეში, თანამედროვე ბენი ჰასანის მიდამოებში, სადაც ხატშეპსუტმა კლდის ტაძარი აუგო. ბერძნებმა, რომლებიც ეგვიპტის მებრძოლ ქალღმერთებს არტემიდასთან აიგივებდნენ, ტაძარს „Speos Artemidos"-ი დაარქვეს. ხატშეპსუტმა და მისმა ქალიშვილმა ნეფრუ-რამ პახეტის დიდი ტაძრის სიახლოვეს ქალღმერთისათვის მეორე, უფრო პატარა ტაძრის აგება დაიწყეს, რომელიც მხოლოდ პტოლემაიოსების დროს დასრულდა. სპეოს არტემიდოსის კატაკომბებში უამრავი კატის და შევარდნის მუმიაა ნაპოვნი, რაც მიუთითებს პახეტის ერთგვარ კავშირზე ხორთან. პახეტი მოიაზრებოდა, როგორც ხატხორის ადგილობრივი სახე, რაზეც მეტყველებს სპეოს არტემიდოსის ხატხორითავიანი სვეტები. პახეტის ერთ-ერთი სახელი იყო „ვადის ქალბატონი". აღსანიშნავია, რომ მისი ტაძრები სწორედ ვადის სიახლოვეს მდებარეობს (http://www. ladyoftheflame.co.uk/deities.htm).

პედუბასტი — (ჩვ.წ.-მდე 833-828 წწ.), XXIV დინასტიის დამაარსებელი, რომელიც XXIII დინასტიის პარალელურად მეფობდა. პედუბასტმა თავი მეფედ შეშონკ III-ის გამეფებიდან დაახლ. მეშვიდე წელს გამოაცხადა. თუმცა მანეთონი მას ტანისურს ეძახის, ტანისში არავითარი მასთან დაკავშირებული მასალა მოძიებული არ არის. პედუბასტი შესაძლოა XXII დინასტიის ფარაონების ნათესავიც კი იყო. მისი რეზიდენციის ადგილი უცნობია, მაგრამ თებე ცნობდა მას, და არა ტანისელ ფარაონებს (Shaw (ed)., 2003, 331). „პედუბასტი" ეგვიპტურად „ბასტეტის საჩუქარს" (*Pȣdj-Bȣst.t*) ნიშნავს. ბუბასტისის ლიბიელების ქალაქად გადაქცევის შემდეგ ბუბასტისის მფარვე-

ლი ქალღმერთი ბასტეტი ლიბიელი ფარაონების მფარველი გახდა. თანადროული ეგვიპტური ტექსტების თანახმად, ვინმე პედუბასტი, „ბასტეტის შვილი", მეფობდა შეშონკ III-ის თანადროულად, როცა ქვეყანაში არეულობა იყო. ამ პედუბასტს აღიარებდნენ ბუბასტისში, ჰერაკლეოპოლისში, მემფისში და თებეში (Vernus and Yoyotte, 2003, 133).

პელუზიუმი – ქალაქი ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვართან, ნილოსის დელტის პელუზიურ ტოტზე, თანამედროვე ელ-ფარამას ადგილზე (პორტ-საიდიდან 40 კმ. სამხრეთ-აღმოსავლეთით, Gardiner, 1947, II, 156*). მისი ეგვიპტური სახელები იყო პერამონი (*Pr Imn*, „ამონის სახლი", საიდანაც წარმოიშვა თანამედრ. „ფარამა") და სუნი (Bonnet, 1952, 585; „*swn*" ეგვიპტურად ნიშნავს „ფორტს" (*swn.w*, Wb IV, 69). პელუზიუმის იქით, სტრაბონის ცნობით (XVII, I, 21), უკვე ახალი ქვეყანა იწყებოდა. ამგვარად, პელუზიუმი იყო ეგვიპტის კარიბჭე. იგივე სტრაბონის ცნობით, ჭაობების გამო ჯარის გავლა აქ საკმაო სირთულესთან იყო დაკავშირებული, და ადგილის სახელი მომდინარეობს სიტყვიდან „pelos" (ტალახი). გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე პელუზიუმთან, როგორც სასაზღვრო ქალაქთან, ბევრი ბრძოლა და ლეგენდაა დაკავშირებული და აქ რამდენჯერმე გადაწყდა ეგვიპტის ბედი. ჰეროდოტეს თანახმად (II, 141), პელუზიუმთან დაბანაკებულ სინაქერიბის ჯარს თაგვებმა ერთ ღამეში გადაუხრეს მშვილდები, და ასურელები იძულებულები გახდნენ, გაქცეულიყვნენ. ქრონოლოგიურად ეს ამბავი ემთხვევა XXV დინასტიის პერიოდს, როცა შებიტკუს მეფობის დროს სინაქერიბმა ჯარი მოულოდნელად დააბრუნა ნინევიაში, რასაც სავარაუდოდ ეპიდემიის გავრცელებით ხსნიან (Kitchen, 1973, § 346). ჩვ.წ.-მდე 525 წ. კამბიზ II-მ პელუზიუმთან დაამარცხა ფსამტიხ III-ის ჯარი, და ამ დამარცხების შედეგად ეგვიპტე სპარსეთის სატრაპიად გადაიქცა. ორი საუკუნის შემდეგ (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 373 წ.) უკვე არტაქსერქსე III-მ დაამარცხა ნექტანებოს II-ის ჯარი პელუზიუმთან, და ამ დამარცხების შედეგად ეგვიპტე მეორეჯერ აღმოჩნდა სპარსული უღელის ქვეშ (Grimal, 2003, 364, 380). ჩვ.წ.-მდე 333 წ. სწორედ პელუზიუმმა გაუღო ჭიშკარი ალექსანდრე დიდს. ეგვიპტელები შეეგებნენ მას, როგორც სპარსული უღელისაგან განმათავისუფლებელს. ამ ქალაქიდან დაიწყო მისი ბრწყინვალე მარში ეგვიპტეში და ახალი ფურცელი ქვეყნის ისტორიაში. დაახლ. ჩვ.წ.-ით I საუკუნეში ნილოსის პელუზიური

ტოტი შლამით ამოივსო და დღეს ქალაქის ნანგრევები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან 4 კმ-ით უფრო დაშორებულია, ვიდრე ძველად, და უდაბნოში მდებარეობს.

პეპი – (ეგვ. *Ppj*), VI დინასტიის ორი ფარაონის სახელი. მათ შორის მეფობდა მერენრა, პეპი I-ის შვილი და პეპი II-ის ნახევარი ძმა. 1. **პეპი I** (დაახლ.ჩვ.წ.-მდე 2289-2255 წწ.) სავარაუდოდ VI დინასტიის პირველი ფარაონის, ტეტის და V დინასტიის ბოლო ფარაონის, უნისის ქალიშვილის, იპუტის ვაჟი იყო. მანეთონი და ტურინის მეფეთა სია პეპის ორმოცდაათი წლის მეფობას მიაწერს, მაგრამ სავარაუდოდ მან დაახლ. 40 წელი იმეფა (Grimal, 2003, 82). თუ უსერკარა, რომელიც ტეტის და პეპის შორის მეფობდა, უზურპატორი იყო (ზოგიერთი მეცნიერი მის მეფობას არც აღიარებს), პეპი I-ის მომხრეებმა შეძლეს მისი მოშორება და პეპის ტახტზე აყვანა. მაგრამ მისი ტახტზე ასვლის შემდეგ ადგილი ჰქონდა შეთქმულებას, რომელსაც, სავარაუდოდ, მისი ერთ-ერთი ცოლი ედგა სათავეში. ამის შესახებ გვატყობინებს თავის ავტობიოგრაფიაში მოხელე უნი, რომელიც სამი მეფის – ტეტის, პეპი I-ის და მერენრას დროს მსახურობდა. ადამიანისთვის ბუნებრივი სისუსტით უნი გვამცნობს, რომ მეფე ენდობოდა მას, როგორც არავის, და ამიტომ მან (ის დანიშნული იყო მოსამართლედ ნეხენში) მარტო ჩაატარა ლეგალური პროცედურა (სავარაუდოდ, დაკითხვა), როცა აღიძრა ეჭვები დედოფალ იმტესის წინააღმდეგ (Breasted, 1962, I, § 310). აშკარაა, რომ საქმე გვაქვს პეპის მკვლელობის მცდელობასთან მისი ერთ-ერთი დედოფლის მიერ, რომელსაც, სავარაუდოდ, ტახტზე თავისი შვილის აყვანა უნდოდა. მიუხედავად ასეთი სირთულეებისა, პეპი, როგორც ჩანს, საკმაოდ ენერგიული ფარაონი იყო, მისი მშენებლობებიდან შემორჩენილია ნაშთები აბიდოსში, ელეფანტინაზე, დენდერაზე, ბუბასტისში და ჰიერაკონპოლისში (ჰიერაკონპოლისში აღმოჩენილია მისი ნატურალურ ზომაში შესრულებული სპილენძის ქანდაკებაც). ის აგზავნიდა ექსპედიციებს სინაის მაღაროებში, პალესტინაში, ნუბიაში, და ებრძოდა ბედუინებს, სავარაუდოდ სინაიზე (Helck, 1968, 73). მისი წარწერები (მათ შორის მისი ხებსედის აღმნიშვნელი) აღმოჩენილია სინაიზე, ვადი ჰამამატთან და ჰატნუბის სამტეხლოებთან (Breasted, 1962, I, §§295-305). მეფობის დაახლოებით ბოლო მესამედში პეპიმ ცოლად შეირთო აბიდოსის დიდგვაროვანის, ხუის ორი ქალიშვილი. როგორც ჩანს, ორივე დას ქორწინების შემდეგ სახელები გადაარქვეს (მათ ორივეს ერქვა ანხენესმერირა, ეგვ. *ʿnḫ-n-s Mrj-Rʿ* „მერირა ცხოვრობს მისთ-

ვის". მერირა პეპის მეორე, სატახტო სახელი იყო). არჩევანის აბიდოსის ოჯახზე შეჩერება უდავოდ გამოწვეული იყო ფარაონის სურვილით, აღდგენილიყო დასუსტებული კავშირი სამეფო კარს და შუა და სამხრეთ ეგვიპტეს შორის, სადაც ძალიან გავლენიანი არისტოკრატიული ფენა ჩამოყალიბდა. იმავდროულად, ამ ქორწინებაში ჩანს სასახლის შეთქმულების გამოძახილი, რადგან სწორედ აბიდოსელი დედების შვილები გახდნენ შემდეგში პეპის მემკვიდრეები. ანხესენმერირა I იყო მერენრას, ანხესენმერირა II კი პეპი II-ის დედა. პეპი II-ის დედოფალი ნეიტი ასევე ანხესენმერირა I-ის ქალიშვილი იყო. მათი ძმა დიაუ იყო ვეზირი მერენრას და პეპი II-ის დროს (Grimal, 2003, 83). თავისი საკმაოდ მოკრძალებული ზომის პირამიდა (კედლის სიგრძე – 76 მ., სიმაღლის გაგება დღეს შეუძლებელია), რომლის კედლებზე ასევე მოთავსებული იყო პირამიდების ტექსტები, პეპიმ ააგო მემფისის პტახის ტაძრის სიახლოვეს, სამხრეთ საქქარაში. მისი პირამიდის სახელი იყო მენ-ნეფერ-პეპი (ეგვ. *Mn nfr Ppj*, „პეპის მშვენება ხანგრძლივია"). პეპის და მისი დედოფლების პირამიდის კომპლექსის სიახლოვეს (ჯერჯერობით აღმოჩენილია ოთხი დედოფლის პირამიდა) თანდათან დაიწყო ქალაქის ჩამოყალიბება, და იმავდროულად ამ მიმართულებით იზრდებოდა მემფისი, რომელსაც ამ დროს „თეთრი კედელი" (ეგვ. *Ỉnb ḥḍ*) ერქვა. თანდათან პეპის პირამიდის სახელით დაიწყეს მთელი ქალაქის მოხსენიება, რაც ბერძნულ ენაში „მემფისად" გადაიქცა. 2. **პეპი II** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2246-2152 წწ.) ტახტზე დაახლ. ექვსი ან რვა წლის ასაკში ავიდა და თითქმის ას წლამდე იცოცხლა, ასე რომ მისი მეფობა ყველაზე ხანგრძლივია არა მარტო ეგვიპტის, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც. ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი მეცნიერები მას 64 წლის მეფობას „მაინც" მიაწერენ (Verner, 2001, 341). პეპის მეფობის დასაწყისში მისი დედა, ანხესენმერირა II რეგენტის მოვალეობას ასრულებდა, მისი ძმა და პეპის ბიძა, დაუ კი ვეზირის. პეპის მეფობის მეორე წლით დათარიღებული წერილში, რომელიც მან მისწერა თავის მოხელეს, ხარხუფს (მან პეპის ნუბიიდან (იამიდან) მოცეკვავე პიგმეი ჩამოუყვანა), ფარაონის ჯერ კიდევ ბავშვური ბუნება ჩანს (ხვედელიძე, 2004, 17). ხარხუფმა, რომელიც წინა ორი ფარაონის დროსაც მსახურობდა, პეპის მეფობის დროს ნუბიაში თავისი მეოთხე ექსპედიცია ჩაატარა. მისი წარწერები შემონახულია სინაის მაღაროებთან (Breasted, §§337-343). კიდევ ერთი მოხელის, პეპინახტის (მეტსახელად ხეკაიბის) ავტობიოგრაფიაში მოთხრობილია მის მიერ ნუბიაში ჩატარებული ორი ექსპედიციის და აზიაში (სავარაუდოდ

ბიბლოსის მიდამოებში) სამხედრო რეიდის შესახებ. აზიიდან მას უნდა ჩამოეტანა ქარავნის უფროსის სხეული, რომელიც ხელმძღვანელობდა გემების აგებას პუნტში გასამგზავრებლად, მაგრამ მოკლული იქნა (*იქვე*, §§ 335-360). ნუბიაში ექსპედიციების შესახებ მოთხრობილია კიდევ ერთი მოხელის, სებნის ავტობიოგრაფიაში (*იქვე*, §§ 362-374). მიუხედავად ასეთი აქტიურობისა მეფობის დასაწყისში, მეფობის ოცდამეცამეტე წლის შემდეგ ცნობები პეპის მეფობაზე წყდება, რაც ალბათ შემთხვევითი არ არის, რადგან მისი მეფობის მეორე ნახევრიდან ქვეყანაში ნათლად შეიმჩნევა დეცენტრალიზაციის ტენდენციები. ნომარქები უკვე გამიყურებიან, როგორც პატარა სუვერენები თავიანთ ნომებში, რომლებსაც ფარაონისაგან დამოუკიდებლად მართავენ და ხშირად თავიანთი ლოკალური ღვთაებების უმაღლესი ქურუმების თანამდებობებიც უკავიათ. ბედის ირონიით, დეცენტრალიზაციის პროცესი სამხრეთ ეგვიპტიდან დაიწყო, რომლის მეფეებმაც, უკვე მრავალი საუკუნით ადრე, ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფო შექმნეს. ერთ-ერთი დიდგვაროვანის ნარწერაში აღნერილია მდგომარეობა ქვეყანაში: თავის ნომებში ნომარქები ბატონობენ, მიწები მიიტაცეს გლეხებმაც, ხშირია შეტაკებები გლეხებს და დიდებულებს და თვითონ ნომარქებს შორის. ფარაონის მიწებზე მომუშავე გლეხებმაც დაიტაცეს ეს მიწები და თავიანთ საკუთრებად გადააქციეს. ქვეყანაში მძვინვარებს შიმშილი, რადგან ერთიანი საირიგაციო სისტემა, რომელსაც ცენტრალიზებული მოვლა სჭირდებოდა, მწყობრიდან გამოვიდა. პეპი II-ის გარდაცვალების შემდეგ მოხსენიებულია ვინმე ნეფერკარას მეფობა (ტურინის პაპირუსის *მიხ.* მისმა მეფობამ ერთ წელს და ერთ თვეს გასტანა), რომელიც მოკლული იქნა. მის შემდეგ ტახტზე ადის დედოფალი ნიტოკრისი (რამდენიმე თვის მეფობით). მისი ბედი უცნობია. ქვეყანაში დაიწყო ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც პირველი გარდამავალი პერიოდის სახელით არის ცნობილი (Helck, 1968, 77-78). პეპის პირამიდა, რომელიც მან სამხრეთ საქქარაში აიგო, მისი მეფობის მეთერთმეტე წელს დასრულდა. ის მნიშვნელოვანია ეგვიპტის არქიტექტურის ისტორიისათვის, რამდენადაც წარმოადგენს უკანასკნელ პირამიდას, რომელიც ძველი სამეფოს კანონების მიხედვით არის აგებული. ფარაონის პირამიდის სიახლოვეს მისი დედოფლების – ნეიტის, იპუტ II-ის და უჯებტენის პირამიდები მდებარეობს. ყველა მათგანის კედლებზე პირამიდების ტექსტებია მოთავსებული (Verner, 1997, 362).

პერიბსენი – (*Pribsn*, დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXVIს.), მეორე დინასტიის ფარაონი. დინასტიის მესამე ფარაონის, ნინეჩერის შემდეგ, როგორც ჩანს, ვითარება ქვეყანაში უკვე საგრძნობლად აირია, რაზეც მეტყველებს რამდენიმე ეფემერული ფარაონის მეფობა, რომელთაგან ზოგიერთი შესაძლოა, ერთდროულად აცხადებდა პრეტენზიას ტახტზე. შესაძლოა, ამის მიზეზი გახდა ნებრას ახალი რელიგიური ორიენტაცია, რომელიც ჩრდილოეთის სასარგებლოდ სერიოზულ გადახრას ნიშნავდა. შესაძლოა ასევე, რომ სამხრეთი აღარ ექვემდებარებოდა მემფისის ფარაონებს, რომლებიც ეგვიპტეში ტრადიციულად ლეგიტიმურ სამეფო დინასტიებად იყვნენ მიჩნეული (Grimal, 2003, 56). ნიშანდობლივია ასევე, რომ ინფორმაცია ამ დროის შესახებ საოცრად ბუნდოვანია. გარკვეული ინტერვალის შემდეგ, შედარებით მეტია ცნობილი პერიბსენის შესახებ, რომელთანაც ბევრი უაღრესად საინტერესო გამოცანაა დაკავშირებული. მეორე დინასტიის პირველი ფარაონები მემფისის ნეკროპოლისში იკრძალებოდნენ. პერიბსენმა დაარღვია ეს ტრადიცია და შორეული წინაპრების, I დინასტიის ფარაონების მსგავსად, თავისი საკმაოდ მოკრძალებული სამარხი აბიდოსში აიგო. ტახტზე ავიდა, როგორც სეხემიბი, და სერეხს მისი სახელით წინადინასტიური პერიოდიდან ტრადიციად ქცეული ხორის გამოსახულება ამშვენებს (Helck, 1968, 41; Bard in:Shaw(ed), 2003, 79), მაგრამ თავისი არცთუ ისე ხანგრძლივი მეფობის დროს (სავარაუდოდ 17 წელი) დღეს უცნობი (შესაძლოა, პოლიტიკური) მიზეზების გამო შეიცვალა რელიგიური ორიენტაცია და გახდა პირველი ფარაონი, რომელმაც თავი სეტხთან გააიგივა. ამისათვის მან მიიღო ახალი სახელი, პერიბსენი. სერეხის თავზე პერიბსენის სახელით უკვე არა ხორის, არამედ სეტხის გამოსახულებას ვხედავთ, რაც თავისთავად უნიკალური მოვლენაა. მან ნაშალა ძველი სახელი თავისი სამარხის წინ აღმართულ ორ სტელაზე და ახალი სახელით შეცვალა. ცნობების სიმწირის მიუხედავად, თითქმის აშკარაა, რომ ასეთი დრამატული ცვლილება მეფის სახელში და არსებაში (ფარაონი, რომელიც აქამდე ხორად იყო მიჩნეული, სეტხი გახდა) სერიოზულმა რელიგიურმა ცვლილებებმა გამოიწვია; შესაძლოა ასევე, რომ პოლიტიკური გავლენა მოიპოვა მოსახლეობამ, რომელიც სეტხის მიმდევარი იყო (Emery, 1961, 95-96). ასევე, სავარაუდოდ, ხორის და სეტხის დაპირისპირებაში, რომელიც უფრო გვიანდელი პერიოდიდან ეგვიპტური მითოლოგიის ერთ-ერთ მთავარ სიუჟეტს წარმოადგენს, და სადაც ტრადიციულად სეტხი ზემო, ხორი კი – ქვემო

ეგვიპტის სიმბოლოებად არიან წარმოჩენილი, რეალური ისტორიული მოვლენებია ასახული (Bard in: Shaw(ed.), 2003, 79). დაპირისპირება და დაძაბულობა შესაძლოა II დინასტიის დასაწყისიდან გამძაფრდა, რაზეც სავარაუდოდ II დინასტიის პირველი ფარაონის, ხეტეპსეხემუის სახელიც მეტყველებს (ეგვ. *Ḥrsḫmwy*, ორივე ძალა მშვიდად არის", Wb III, 192; IV, 259). ეს „ორი ძალა" ყველაზე რეალურად სეტხი და ხორი შეიძლება ყოფილიყო. ეს იყო დაპირისპირება, რომელსაც შეეძლო გამოეწვია ქვეყნის ორ – ჩრდილოეთ და სამხრეთ ეგვიპტედ დაშლა, და ამიტომ სამხრეთის სამეფო სახლი ცდილობდა, მჭიდრო კავშირი დაემყარებინა ჩრდილოეთთან, და განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა ჩრდილოეთის ღვთაებებს (Grimal, 2003, 55). მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ პერიბსენი-სეტხი აბიდოსში დაიკრძალა, ის, როგორც ჩანს, ამ სახელით მემფისიდან მეფობდა, რადგან მოხსენიებულია მეფეთა სიებში, რომლებშიც მხოლოდ მემფისის მიერ ლეგიტიმურად მიჩნეული მეფეებია დაფიქსირებული (Helck, 1968, 41). მისი კულტი მემფისში IV დინასტიის დროსაც არსებობდა (Emery, 1961, 97). სიტუაცია გაურკვეველია პერიბსენის შემდეგაც. მისი მემკვიდრის, სენედის (ან სენჯის) სამარხი ნაპოვნი არ არის, და ის დაფიქსირებულია მხოლოდ ერთადერთ, გიზეში ნაპოვნ ქვის ჭურჭელზე, თუმცა, როგორც ჩანს, ეგვიპტელები მას (სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო) მნიშვნელოვან მეფედ მიიჩნევდნენ, რადგან მისი კულტი გვიანობამდე არსებობდა და ნაპოვნია მისი ბრინჯაოს ქანდაკება, დამზადებული XXVI დინასტიის დროს (Emery, 1961, 97). ამავე პერიოდით თარიღდება ასევე პრაქტიკულად უცნობი მეფეების სახელები (ნეფერკა, ნუბ-ნეფერი და სხვ.), მაგრამ ვითარება რადიკალურად იცვლება დინასტიის ბოლო ფარაონის, ხეტეპსეხემუის დროს.

ამონხეტეფ III-ისპერიპეტროსი ელეფანტინეზე

პერიპეტროსი – ერთგანყოფილებიანი საკრალური ნაგებობა, გარშემორტყმული სვეტებით, რომლებსაც სახურავი უჭირავთ. მოიაზრებოდა არა როგორც ღვთაების საცხოვრისი, არამედ როგორც დროებითი სამყოფელი ადგილი. ჩნდება შუა სამეფოს ეპოქაში.

პერსონიფიკაცია – ეგვიპტეში არსებობდა ღვთაებები, რომლებიც აბსტრაქტული წარმოდგენების პერსონიფიკაციებს წარმოადგენდნენ. მათ ყოველთვის ანთროპომორფული იკონოგრაფია ჰქონდათ და არ გააჩნდათ საკულტო ადგილები,

რადგან საერთო ეგვიპტურ ღმერთებად აღიქმებოდნენ. ასეთები იყო მაგ. ცხოვრების და ბედის ღმერთი შაი (ბერძნ. ფსაისი), სამართლის, წესრიგის და სამართლიანობის ქალღმერთი მაატი, სიბრძნის ღმერთი ხუ, აღქმის, გაგების ღმერთი სია, ჯადოსნობის და მაგიის ღმერთი ხიკე და სხვ.

პეტოსირისი – თოტის მთავარი ქურუმი, განთქმული ასტრონომი და წინასწარმეტყველი ჰერმოპოლისიდან (ჩვ.წ.-მდე IV ს.). წარმოშობით პეტოსირისი ქურუმების ძველი ოჯახიდან იყო. სავარაუდოდ, ალექსანდრე დიდის მეფობის დროს გარდაიცვალა. მისი კარგად შემონახული სამარხი ტუნა ელ-გებელთან ეგვიპტური და ბერძნული არქიტექტურული სტილის შერწყმის ერთ-ერთი პირველი ნიმუშია. ბერძნული წარწერები მის სამარხზე გვამცნობს, რომ მას, როგორც ბრძენს, ჩვ.წ. II საუკუნის შუახანებშიც ეთაყვანებოდნენ (Helck und Otto, 1956, 268).

პესიმიზმი – ძველი სამეფოს დაშლამ და ანარქიამ, რომელმაც ქვეყანაში დაისადგურა, სერიოზული ძვრები მოახდინა ეგვიპტელის ფსიქოლოგიაში. რიგითმა ეგვიპტელებმა თავისი თვალით დაინახეს, რომ მეფობის ინსტიტუტიც კი, რომელიც ოფიციალური დოქტრინის თანახმად ღვთაებრივ სფეროს განეკუთვნებოდა, არ იძლეოდა ხელშეუხებლობის გარანტიას. ამ პერიოდის „იპუვერის გოდებაში" (Pap. Leiden 334) ავტორი ტირის, რომ სახეები შიშისაგან გაფითრებულია (2.2), ვისაც სანდლები არ ჰქონდა, მდიდარი გახდა (2.5), უბედურებამ დაისადგურა მთელ ქვეყანაში, ყველგან სისხლია (2.6), ეგვიპტელები მიუსაფარებად გადაიქცნენ (4.1), პატარები და დიდები ამბობენ: „სიკვდილი გვინდა", ბავშვები კი მოთქვამენ: „ნეტავ არ დავბადებულიყავით" (4.2-3) (Коростовцев, 1978, 243-250). ამგვარი განწყობის ფონზე ჩნდება ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც დიამეტრულად ეწინააღმდეგება ოფიციალურ დოქტრინას გარდაცვალების შემდეგ იარუს მინდვრებში სამუდამო ნეტარების შესახებ. მათი ძირითადი აზრია, რომ ცივი და ბნელია სიკვდილი, არავინ დაბრუნებულა დასავლეთის ქვეყნიდან, და ამიტომ ადამიანმა რაც შეიძლება მეტი უნდა ისიამოვნოს სიცოცხლის დროს. ამ მიმართულების ყველაზე ღირსშესანიშნავ ნაწარმოებებად ითვლება ე.წ. „არფისტის სიმღერები" და „თვითმკვლელის საუბარი თავის ბასთან" (Erman, 1966). ოფიციალური იდეოლოგიის მიმართ კრიტიკული განწყობის წყალობით, რომელიც ძველი სამეფოს ეგვიპტის

თითქოს ურყევი ბრწყინვალების რღვევამ მოიტანა, არა მარტო შეიქმნა უამრავი ლიტერატურული შედევრი, არამედ ეგვიპტის განვითარების მიმართულება შეიცვალა.

პიანხი – (ასევე პიიე, ეგვ *Pʿnḫj,* დაახლ. ჩვ.წ.-მდე 750-712), ეგვიპტის ნუბიური დინასტიის პირველი მეფე, რომელმაც დაიპყრო ეგვიპტე. თავისი მეფობის პირველი ათი წლის განმავლობაში გააგრძელა თავისი წინამორბედის, კაშტას ექსპანსია ჩრდილოეთით (უნდა ითქვას, რომ ზოგი მეცნიერი ნუბიური დინასტიის პირველ ფარაონად პიანხის მამას, კაშტას ასახელებს, მაგრამ თუმცა კაშტამ ნამდვილად მიაღწია ასუანამდე, მის უფრო ჩრდილოეთით აქტივობაზე ცნობები არ არის. *იხ. „ნუბია“*), დაიქვემდებარა თებე და იმდროინდელ ამონის ცოლს, შეპენუპეტ I-ს აშვილებინა თავისი და, ამენერდისი, რომელიც, აქედან გამომდინარე, შეპენუპეტის მემკვიდრე და ამონის შემდეგი ცოლი უნდა გამხდარიყო. ეს მოხდა დაახლ. XXIII დინასტიის მეფის, იუპუტ II-ის დროს (ჩვ.წ-მდე 754-720 ან 715 წწ.), რომელსაც ცნობდა თებე. ამ დროისათვის ნუბიელები, როგორც ჩანს, აკონტროლებდნენ მთელ სამხრეთ ეგვიპტეს, შესაძლოა ჰერმოპოლისამდე და ჰერაკლეოპოლისამდე, რადგან შემდგომში პიანხი ღალატში ადანაშაულებს მათ მმართველებს. ნუბიელების მიერ ეგვიპტის სულ უფრო მეტი ტერიტორიის დაპყრობის ფონზე, ან შეიძლება ამ ვითარებით წაქეზებული, საისის ბატონი ტეფნახტი აერთიანებს ჩრდილოეთს და იწყებს სამხედრო მარშს სამხრეთისაკენ, მაგრამ პიანხი თვითონ უძღვება ჯარს და ამარცხებს ჩრდილოეთის კოალიციას (Grimal, 2003, 335). ამ ბრწყინვალე სამხედრო კამპანიის ისტორია შემოგვინახა ცნობილმა პიანხის სტელამ, (ე.წ. „გამარჯვების სტელა“), რომელიც მან გებელ ბარკალის (ნაპატა) ამონის ტაძარში აღმართა. ვარდისფერი გრანიტის, შესანიშნავად შესრულებული და შენახული სტელა (სიმაღლე – 180სმ., სიგანე – 184სმ., სისქე – 43სმ.) დღეს კაიროს მუზეუმშია გამოფენილი. ტექსტის თარგმანი გამოცემულია ბრესტედის მიერ (Breasted, 1962, IV, §§814-883). სტელის თანახმად, პიანხის მეფობის ოცდამეერთე წელს მისმა ვასალებმა სამხრეთ ეგვიპტეში შეატყობინეს მას, რომ ტეფნახტმა დაიპყრო მთელი დელტა და ასევე სამხრეთ ეგვიპტის ჩრდილოეთი ნაწილი. მხოლოდ ჰერაკლეოპოლისი იყო მის წინააღმდეგ. პიანხიმ, რომელსაც სურდა, მტერი რაც შეიძლებოდა სამხრეთით შემოეტყუებინა, გზავნილი უპასუხოდ დატოვა. მეორე შეტყობინება (§§819-820) ამცნობს პიანხის, რომ

ნიმლოტი, ჰერმოპოლისის მმართველი, გადავიდა ტეფნახტის მხარეს. ამის შემდეგ პიანხი აგზავნის ჯარს დავალებით, რომ ალყა შემოარტყან ჰერმოპოლისს, და სასწრაფოდ ადევნებს მეორე ჯარს. მეორე ჯარი, თებედან გასვლისას, ხვდება ტეფნახტის გემებს, და ატყვევებს მათ. ამის შემდეგ ის უტევს ტეფნახტის ჯარს, რომელსაც ალყა აქვს შემორტყმული ჰერაკლეოპოლისზე, და ამარცხებს მას ხმელეთზეც და წყალზეც. ჯარი გარბის ბაჰრ იუსუფისაკენ (ნილოსის ტოტი, რომელიც ფაიუმისაკენ მიედინება), მაგრამ მეორე დილას პიანხის ჯარი უტევს მას, და ჯარი იხევს დელტისაკენ. ამ დროს ნიმლოტი ბრუნდება ჰერმოპოლისში (§§821-831). პიანხი საშინლად ბრაზდება, როცა იგებს, რომ ტეფნახტის ჯარს დელტაში გაქცევის საშუალება მისცეს, მაგრამ რადგან უკვე წლის დასასრული იყო, მან გადაწყვიტა სახლში შეხვედროდა ახალ წელს, შემდეგ ედღესასწაულა ოპეტის დღესასწაული თებეში (წლის მესამე თვეს) და პირადად გაძღოლოდა ჯარს ჩრდილოეთთან საბრძოლველად. ამასობაში მისი ჯარი იპყრობს მთელ რიგ ქალაქებს, მაგრამ ჰერმოპოლისი კვლავ მის წინააღმდეგ არის (§§835-839). პიანხი მართლაც ზეიმობს ოპეტის დღესასწაულს თებეში და შემდეგ პირადად უძღვება ჯარს ჰერმოპოლისის დასაპყრობად. ის იპყრობს მას, და შეშინებული ნიმლოტი, რომელიც უკვე თავის სიცოცხლეზე ფიქრობს, აგზავნის თავის დედოფალს პიანხის ქალებთან დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის. ამ ხრიკმა გაჭრა, და პიანხი ნიმლოტს სიცოცხლის შენარჩუნებას პირდება. ამის შემდეგ ის შედის ქალაქში, სადაც ნიმლოტი მთელ განძს პიანხის და ამონის ტაძარს გადასცემს (§§840-850). ჰერაკლეოპოლისის მეფე, დაღლილი ტეფნახტის ჯარის ალყით, თავად ეახლება პიანხის და ერთგულებას აღუთქვამს. ამის შემდეგ პიანხი მიემართება დელტისაკენ, და იმორჩილებს ყველა ქალაქს, კროკოდილოპოლისის (ფაიუმში) და აფროდიტოპოლისის (ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე) გარდა, რომლებიც დაშორებული იყვნენ მისი მარშრუტიდან მემფისისაკენ. ყველა ქალაქში ის მსხვერპლს სწირავს ღმერთებს, და მოაქვს განძი თავისი ხაზინის და ამონის ტაძრისათვის (§§852-857). მემფისი, რომელიც კარგად გამაგრებული ქალაქი იყო, პიანხის ჯარის დანახვაზე ხურავს ჭიშკარს. პიანხი შემოუვლის მემფისს ჩრდილოეთიდან, და გაკვირვებულია მისი კედლის სიმაღლით. ის მაინც გადაწყვეტს, შეუტიოს ქალაქს მდინარის მხრიდან, მაღალი წყლის მიუხედავად. პიანხი აგზავნის თავის ფლოტს, რომელიც ატყვევებს მემფისის ყველა გემს. ამის შემდეგ პი-

ანხი თვითონ უძღვება შეტევას, განალაგებს გემებს აღმოსავლეთ კედელთან, მათი დახმარებით ჯარი გადაძვრება კედელზე და ძალიან სწრაფად იპყრობს ქალაქს. გაიმართება სასაკლაო, მაგრამ ტაძრებს არავინ არ ეხება, და პტახი აღიარებს პიანხის მეფედ (§§857-866). პიანხის ნებდება მთელი მემფისის რაიონი, და მასთან საჩუქრებით მოდიან ასევე დელტის ქალაქების მმართველები. მემფისის განძის პტახის და ამონის ტაძრებს შორის გაყოფის შემდეგ, პიანხი მიდის ჰელიოპოლისში, სადაც შედის რას ტაძრის წმინდათა წმინდა ოთახში, რომ ღმერთმა, ძველი ტრადიციის თანახმად, მეფედ აღიაროს. მას ნებდება ოსორკონ IV (XXII დინასტიის ბოლო ფარაონი), თვითონ ტეფნახტი, რომელიც იმალება შორეულ ნილოსის კუნძულზე, უთვლის მას დანებების შესახებ, და როცა აფროდიტოპოლისის და კროკოდილოპოლისის მეფეებიც მოდიან მასთან საჩუქრებით, ნუბიელი ფარაონი მთელი ეგვიპტის ბატონი ხდება (§§867-882). ამის შემდეგ პიანხი ჯდება თავის გემზე და ბრუნდება ნაპატაში. თუტმეს III-ის ანალების და რამსეს II-ის ქადეშის ბრძოლის აღწერასთან ერთად პიანხის სტელა ითვლება სამხედრო კამპანიის საუკეთესო აღწერად, რომელმაც ჩვენამდე ძველი ეგვიპტიდან მოაღწია (Brasted, 1962, IV, § 809). თავის დედაქალაქში, „წმინდა მთის", გებელ ბარკალის ძირში, პინხიმ საგრძნობლად გააადიდა ამონის ტაძარი, რომელიც აგებული იყო ახალი სამეფოს დროს, ხუთასზე მეტი წლით ადრე. მიაშენა მას პილონი და დიდი კოლონებიანი დარბაზი. მოგვიანებით მიაშენა ტაძარს სვეტებიანი ეზო და მის წინ მეორე პილონი დადგა. დიდ დარბაზში მან თავისი გამარჯვების სტელა აღმართა. ნაპატასთან, ელ კურუს ნეკროპოლისში, პიანხიმ ააგო პირამიდა და სამარხები თავისი ხუთი დედოფლის და ორი ქალიშვილისათვის (Kitchen, 1973, 369). ნაპატას მეფეების პირამიდები, რომლებსაც უკვე დიდი ხანია აღარ აგებდნენ ეგვიპტეში, ასევე მეტყველებს ნუბიელების დიდ პატივისცემაზე ეგვიპტის ტრადიციების მიმართ. თავის ძეგლებზე პიანხიმ მოათავსა თავისი აბსოლუტურად ეგვიპტურ ყაიდაზე შედგენილი სახელები, რომლებიც ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ მიიღო: „ორი ქვეყნის გამაერთიანებელი", „ორი ქვეყნის დამაწყნარებელი", „ორივე ქვეყნის ხარი", „ის, ვისაც გვირგვინი თებეში დაადგეს". მან მოახდინა ასევე თავისი იდენტიფიცირება ორ დიდ ეგვიპტურ ფარაონთან, თუტმეს III და რამსეს II-თან მათი სატახტო სახელების მიღებით (მენხეპერრა და უსერმაატრა). მეცნიერები ბევრს ფიქრობენ იმაზე, თუ რატომ დაბრუნდა პიანხი ნაპატაში ასეთი ტრიუმფალური გამარ-

ჯვების შემდეგ. რასაკვირველია, ტეფნახტმა მაშინვე განაახლა თავისი ბრძოლა ეგვიპტის გვირგვინისათვის. შესაძლოა, ის თვლიდა, რომ ეგვიპტის და ნუბიის დედაქალაქი ნაპატა იყო, ან კმაყოფილდებოდა გავლენით თებეს რეგიონზე და დასავლეთის სავაჭრო გზებზე, სადაც დახლას ოაზისში მეფობის ოცდამეოთხე წელს არის დაფიქსირებული. თავის მეორე სტელაზე გებელ ბარკალში პიანხი გვამცნობს: „ღმერთებს შეუძლიათ, შექმნან მეფე. ადამიანებსაც კი შეუძლიათ შექმნან მეფე. მაგრამ მე მეფედ შემქმნა ამონმა“ (Grimal, 2003, 340).

პიანხი — ამონის მთავარი ქურუმი თებეში და სამხრეთის მთავარსარდალი ხერიხორის შემდეგ, სავარაუდოდ მისი ვაჟიშვილი ან სიძე. თანამდებობას იღებს რამსეს XI-ის მეფობის ოცდამეხუთე წელს (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1074 წ.) მის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი, მაგრამ მან ამონის ორაკულის მეშვეობით, ამონის მეორე მისნის თანდასწრებით, დანიშნა ვინმე ნესამონი ამონის ტაძრის საკუჭნაოების გადამწერად, ხოლო თავისი უფროსი შვილი პაინოჯემი (პაინოჯემ I) — თავის მემკვიდრედ. აქ საქმე გვაქვს ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენასთან: ამონის ორაკულის საშუალებით შემდეგში თებეს მთავარი ქურუმი ხშირად მეფეებსაც ხელმძღვანელობდა. იმავდროულად, საქმე გვაქვს თებეს მთავარი ქურუმების და მთავარსარდლების დინასტიის ჩამოყალიბებასთან. მაგრამ პიანხის მმართველობის დროს აღდგა წლების დათარიღება რამსეს XI-ის მეფობის წლებით, და არა ხერიხორის მიერ დაწყებული ე.წ. „რენესანსით“ (*whm mś w.t,* „დაბადების გამეორება“), როცა რამსესის გამეფებიდან მეცხრამეტე წელს ხერიხორმა თავიდან დაიწყო წლების ათვლა. პიანხის ქურუმობის პერიოდით დათარიღებულ აბიდოსის სტელაზე, რამსეს XI-ის ოცდამეშვიდე, და არა რენესანსის მეცხრე წელია მოხსენიებული (Kitchen, 1973, § 211).

პითომი — (ეგვ. *Pr Tm,* „ატუმის სახლი“), მერვე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი (Otto und Helck, 1956, 271). ბიბლიაში (გამოსვლა, I:11) პითომი და პი-რამსესი ერთად არიან დასახელებული, როგორც ქალაქები, სადაც ეგვიპტის ფარაონი ისრაელის შვილებს ამუშავებდა. ამდენად, ეს ორი ქალაქი ქრონოლოგიურად ერთ ჩარჩოში არის მოქცეული, მაგრამ პითომის (თანამედრ. თელ ელ-მასხუტასთან) გათხრებმა ცხადყო, რომ პითომი დააარსა ფარაონმა ნეხო II-მ ჩვ.წ.-მდე 609-606 წლებს შორის. ამ დროისათვის პი-რამსესი უკვე ფაქტობრივად აღარ არსებობდა

და მისი ქანდაკებები და ნაგებობები ტანისში იყო გადატანილი. შესაბამისად, ებრაელების მუშაობა პითომში ეგვიპტიდან გამოსვლამდე ანაქრონიზმია. მეორე მხრივ, სავსებით დასაშვებია, რომ ომის ტყვეები ისრაელის ყოფილი ტერიტორიიდან ან იუდეიდან, რომლებიც ნეხომ სავარაუდოდ თავისი 609 წლის კამპანიიდან ჩამოიყვანა, მუშაობდნენ სამშენებლო სამუშაოებზე ჩრდილო-აღმოსავლეთ ეგვიპტეში. შესაძლოა ასევე, რომ ებრაელები, რომლებიც უკვე ცხოვრობდნენ ეგვიპტეში, აყვანილი იყვნენ ასეთი სამუშაოებისათვის. რადგან პი-რამსესი და პითომი არ არსებობდნენ ერთდროულად, დღეს ბიბლიური ცნობის ორი ახსნა არსებობს: ან „გამოსვლაში" მეორე და პირველი ათასწლეულების ამბებია არეული, ან რამსესის ქალაქად მოხსენიებულია ტანისი, სადაც რამსეს II-ის კულტი ჯერ კიდევ ელინისტურ პერიოდში არსებობდა (Lemche, 1999, 398-399).

პირამიდა – (ეგვ. *Mr*; Wb II, 94), ფარაონის სამარხი ნაგებობა. იყო ამ ტიპის ნაგებობის განვითარების მომდევნო სტადია მასტაბას შემდეგ. პირველი, ჯოსერის პირამიდა საფეხუროვანი იყო და რამდენიმე ერთმანეთზე დადგმულ მასტაბას წარმოადგენდა. თავიდან ჯოსერის სამარხი დაგეგმილი იყო, როგორც ტრადიციული მასტაბა. გაითხარა 28 მ. სიღრმის შახტა, დაკავშირებული გრანიტით მოპირკეთებულ ოთახთან, რომელიც გარშემორტყმული იყო საკუჭნაოებად გამიზნული გალერეებით და დასაკრძალი ოთახებით. შახტაზე, რომელიც დაკრძალვის შემდეგ ქვის ბლოკით უნდა დახურულიყო, ააგეს ჩვეულებრივი მასტაბა. მისი სიმაღლე 8 მ., კედლის სიგრძე კი 60 მ. იყო. შემდგომში გაითხარა ახალი შახტები მასტაბას აღმოსავლეთ მხარეს, სავარაუდოდ ფარაონის ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც მასზე ადრე გარდაიცვალნენ. ამ შახტების დასაფარავად მასტაბა გაიზარდა აღმოსავლეთით. ამ მომენტიდან რადიკალურად შეიცვალა ნაგებობის გეგმა. ითვლება, რომ ამ იდეას ბიძგი მისცა სურვილმა, სამარხი შორი მანძილიდანაც ყოფილიყო დანახული, რადგან 8 მ. სიმაღლის მასტაბა დაიმალებოდა დასაკრძალი კომპლექსის კედლის მიღმა. თავიდან ჯოსერის არქიტექტორმა, იმხოტეპმა ორიგინალურ მასტაბას ოთხი „მასტაბა" დააშენა, რომელთაგან ყოველი მომდევნო ქვედა „მასტაბაზე" უფრო მომცრო ზომის იყო, შემდეგ კი საფეხურების რიცხვი ექვსამდე გაზარდა, რის შედეგადაც პირამიდის სიმაღლემ 60 მეტრს მიაღწია. მისი მცდელობის შედეგს პირველი, ე.ნ. „საფეხუროვანი" პირამიდა წარმოადგენს. ამის შემდეგ პირამი-

ჯოსერის საფეხუროვანი პირამიდა

სნოფრუს მეიდუმის პირამიდა

და თანდათან იცვლიდა ფორმას, და თავისი შემდეგი სახე სნოფრუს მეიდუმის პირამიდაში მიიღო. სნოფრუს პირამიდის საწყისი გეგმა სავარაუდოდ წარმოადგენდა მასტაბას, რომელიც საფეხუროვანი პირამიდით უნდა დაფარულიყო, მარამ სხვა მხრივ უკვე განსხვავდებოდა III დინასტიის პირამიდებისაგან: მის საფუძველს ჰქონდა ოთხკუთხედის ფორმა, შესასვლელი (უფრო სწორად კი ჩასასვლელი) მოთავსებული იყო ჩრდილოეთით, მინის ზედაპირიდან გარკვეულ სიმაღლეზე. ოთახები, რომლებიც ზოგი მინის ქვეშ, ზოგი კი მინის ზემოთ მდებარეობდა, ასევე სხვანაირად იყო განლაგებული. გარეგნულად, მეიდუმის პირამიდა წარმოადგენს გარდამავალ ფაზას „საფეხუროვან" და „ნამდვილ" პირამიდებს შორის. თავიდან ის, ჯოსერის პირამიდის მსგავსად, შვიდსაფეხუროვან ნაგებობად იყო ჩაფიქრებული. მის ბირთვს დააშენეს ექვსი „მასტაბა" რომლებსაც 75°დახრა ჰქონდათ. მიღებულ შვიდ საფეხურს დაემატა მერვე, შემდეგ სივრცე საფეხურებს შორის ამოავსეს და ნაგებობა ტურას კირქვით მოაპირკეთეს. შედეგს წარმოადგენდა თითქმის „ნამდვილი" პირამიდა, კედლის 51°52´ დახრით. პირამიდის სიმაღლე 92 მ., თითოეული კედლის სიგრძე კი 144.32 მ. იყო. სნოფრუ სავარაუდოდ არ დარჩა კმაყოფილი თავისი პირამიდით. მან კიდევ ორი პირამიდა აიგო, რომლებშიც პირამიდის აგების პრინციპი და ფორმა სულ უფრო იხვეწებოდა. მისი შემდეგი პირამიდა „რომბოიდული", „მოღუნული" ან „მოხრილი" (bent) პირამიდის სახელით არის ცნობილი. ეს სახელი პირამიდამ იმიტომ დაიმსახურა, რომ კედლების დახრა, რომელიც თავიდან 55° იყო, ნაგებობის სიმაღლეში ზრდასთან ერთად 43°-მდე შემცირდა, რაც, სავარაუდოდ, თავდაპირველი გათვლების უზუსტობის ან მშენებლობის პროცესში ნაგებობის სიმაღლის შემცირების გადაწყვეტილების გამო მოხდა. ამ პირამიდაში უკვე მიტოვებულია პირველი პირამიდების საფეხუროვანი სტრუქტურა. შეცვლილია შიდა დიზაინიც — ოთახები უფრო გაზრდილია, და პირამიდას ორი შესასვლელი აქვს — დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან. სნოფრუს უკანასკნელი, ე.წ. „წითელი პირამიდა" თითქოს ნაკლებ შთამბეჭდავია, მაგრამ ის ბოლომდე შესწავლილი არ არის. თუ გავითვალისწინებთ, რომ სნოფრუს სარკოფაგი არ არის ნაპოვნი, ბევრი მეცნიერის აზრით, წითელ პირამიდაში ბევრი საიდუმლო საკანია და შესაძლოა, ფარაონის სარკოფაგიც სწორედ აქ ელის თავის აღმომჩენს. საბოლოოდ დასრულებული, კლასიკური ფორმა პირამიდამ ხეოფსის პირამიდაში მიიღო. ამ ყველაზე დიდი და ცნობილი პირამიდის კედლის სიგ-

სნოფრუს „მოღუნული" პირამიდა



კლასიკური პირამიდა

რძე 146.9 მეტრია, დახრა — 51°52′, სიმაღლე — 146.59 მ., რასაც უნდა დაემატოს „დაკარგული" პირამიდიონის სიმაღლე, რომელიც, შესაძლოა, გრანიტის იყო, მთელი ნაგებობა კი მოპირკეთდა ტურას კირქვით იმგვარად, რომ ნაგებობამ თითქმის კლასიკური გეომეტრიული პირამიდის ფორმა მიიღო (Verner, 2001; Grimal, 2003, 107-112). პირამიდებს ფარაონები ძირითადად ძველი სამეფოს დროს იგებდნენ, მათი ზომები მატულობს პირველი პირამიდიდან ხეოფსამდე და შემდეგ კლებას იწყებს. V დინასტიიდან, როცა ფარაონმა ქვეყნის უზენაესი ღვთაების ტახტი რას დაუთმო, პირამიდები უკვე საგრძნობლად იკლებს ზომაში და ისინი გაცილებით ნაკლები რუდუნებით არის შესრულებული. იგივე შეიძლება ითქვას შუა სამეფოს პირველი მეფეების „პატარა პირამიდებზე". შემდეგ მათი რაოდენობა (და ზომები) კიდევ უფრო მცირდება და ახალი სამეფოს დროიდან მათ ადგილს კლდის სამარხი იკავებს.

პირამიდების ტექსტები — ეგვიპტიდან შემონახული უძველესი რელიგიური ტექსტების კრებული. აღმოაჩინა 1880 წ. ფრანგმა ეგვიპტოლოგმა გ. მასპერომ პეპი I-ის (VI დინასტია) პირამიდის სარკოფაგის კამერაში, და ცოტა მოგვიანებით უნისის (V დინასტია), ტეტის, მერენრას და პეპი II-ის (VI დინასტია) პირამიდებში. 1920-1936 წწ. მათ დაემატა შვეიცარიელი მეცნიერის, გ. ჟეკიეს მიერ პეპი II-ის დედოფლების უჯებტენის, ნეიტისა და იპუტ II-ის, ასევე VIII დინ. ფარაონის, იბის პირამიდებში აღმოჩენილი კორპუსები (Mercer, 1952, 4). 2000 წ. ეგვიპტოლოგიის VIII საერთაშორისო კონგრესზე კაიროში გაცხადდა ახალი (პეპი I-ის დედოფლის, ანხესენპეპი II-ის) პირამიდის აღმოჩენის შესახებ, რომელშიც ასევე ნაპოვნია ტექსტები (http://www.touregypt.net/featurestories/pyramidtext.htm). შესაბამისად, დღეისათვის ცნობილი პირამიდების ტექსტები ქრონოლოგიურად მოიცავს დაახლ. ჩვ.ნ.-მდე 2353-2107 წწ. ისინი ჯერ ფარაონების, ცოტა მოგვიანებით კი დედოფლების პირამიდებში ჩნდება. შუა სამეფოს ფარაონების პირამიდებში ტექსტები აღარ თავსდებოდა, მაგრამ ძველი სამეფოს დასასრულიდან ისინი გვხვდება არასამეფო წარმოშობის ეგვიპტელების სამრხეებში კედლებზე, სარკოფაგებზე, კანოპეპზე, პაპირუსებზე, სტელებზე. ამ დროიდან ხმარებაში შემოდის ასევე ტექსტების რედაქტირებული ვარიანტი, რომელიც დღეს „სარკოფაგების ტექსტების" სახელით არის ცნობილი, მაგრამ თვითონ პირამიდების ტექსტები ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებამდე გამოიყენებოდა (Allen, 2005,

1). 1932 წელს ლიშტის ნეკროპოლისში, XII დინასტიის ფარაონის, სენუსერტ I-ის პირამიდის სიახლოვეს, ერთ-ერთი დიდებულის (სენუსერტ-ანხის) სამარხის კედლებზე უნისის პირამიდის ტექსტების თითქმის უცვლელი ვარიანტი იქნა მოძიებული (Mercer, 1952, 6). ხშირია ისინი ახალი სამეფოს დიდებულების სარკოფაგებზეც (Hayes, 1935). პირამიდების ტექსტების კორპუსი, რომელიც განსხვავებული სიგრძის, შინაარსის და დანიშნულების გამონათქვამებისაგან შედგება, ამოკვეთილი იყო პირამიდის მიწისქვეშა კამერების და დერეფნების კედლებზე ვერტიკალურ სვეტებად. უნისის პირამიდაში მათ მხოლოდ სარკოფაგის კამერაში ვხვდებით (დასავლეთი კედლის გარდა), მაგრამ თანდათან ისინი ვრცელდება ფარაონის სარკოფაგზე, სარკოფაგის კამერის მიმდებარე ოთახის და შესასვლელი კორიდორის კედლებზე. იეროგლიფები მწვანედ იყო შეფერილი. ამ ფერს ეგვიპტელი აღდგომას და განახლებას უკავშირებდა. 355-ე გამონათქვამის გარდა („ზეციის ორმაგი კარიბჭის გახსნა"), გამონათქვამები არ არის დასათაურებული, მაგრამ თითოეულ მათგანს წინ უძღვის ფრაზა „სიტყვები წარმოსათქმელად" (უნისის პირამიდაში ეს ფრაზა ერთხელ არის მოთავსებული მთელი კორპუსის წინ) და ასრულებს „სახლის" ნიშანი, რომელიც ეგვიპტურად ჩვენი „თავის" ან „ნაკვეთის" შესაბამისიც არის. გამონათქვამების თანმიმდევრობა დღემდე არ არის დადგენილი. კამათი მიმდინარეობს იმაზეც, ისინი ფარაონის დაკრძალვის დროს გამოიყენებოდა თუ გარკვეული რიტუალის დროს პირამიდის შიგნით (Hornung, 1999, 4-5). ქრონოლოგიურად ცალკეული გამონათქვამები ასევე არ არის ერთგვაროვანი. ზოგიერთ გამონათქვამებში მოხსენიებულია ქვიშაში დამარხვის ტრადიცია (PT 662), რასაც წინადინასტიურ პერიოდამდე მივყავართ, არის გამონათქვამები აგურის სამარხზე (PT 355), რაც I-II დინასტიებზე მიუთითებს (Faulkner, 2001, 10). გამონათქვამები პირამიდის დასაცავად (PT 600-601) უდავოდ პირამიდების ეპოქაშია შექმნილი (Mercer, 1952, 1). ტექსტების ენა ზოგადად არქაულია, თითქოს „დაძველებულიც" თანადროულ ტექსტებთან შედარებით. თუმცა ყოველ შემდეგ პირამიდაში ზოგიერთი გამონათქვამი დამატებული ან შეცვლილია, ეს არის ერთი კორპუსი, რომელიც თითქოს კიდევ უფრო დიდი კორპუსის ნაწილს წარმოადგენს, საიდანაც გარკვეული გამონათქვამები გარკვეული მიზნით იყო შერჩეული (Hornung, 1999, 5). რიტუალური გამოათქვამები, რომლებიც ჩვეულებრივ გარდაცვლილისადმია მიმართული და ამდენად, მეორე პირშია შედგენილი, შეიძლება სამ ძირითად ჯგუ-

ფად დაიყოს: მსხვერპლშესანირის და ინსიგნიების, აღდგომის და დილის რიტუალები. მსხვერპლშესანირის და ინსიგნიების რიტუალების ტექსტები, რომლებიც პირამიდებში ჩვეულებრივ ერთ რიტუალად არის გაერთიანებული, სარკოფაგის კამერის ჩრდილოეთ კედელზე თავსდებოდა. ის წარმოადგენდა დიდი ტრაპეზისათვის სამზადისს, რომელიც ლიბაციით ინყებოდა და პირის გაღების რიტუალსაც მოიცავდა. ამას მოჰყვებოდა გარდაცვლილისათვის სამეფო ტანისამოსის და რეგალიების გადაცემა, რის შემდეგ აც ის ღმერთების წინაშე·უნდა წარმდგარიყო. აღდგომის რიტუალის დახმარებით, რომელიც სარკოფაგის კამერის სამხრეთ კედელზე თავსდებოდა, გარდაცვლილის სული უნდა განთავისუფლებულიყო სხეულთან და მიწასთან კავშირისაგან, რომ შეძლებოდა გამგზავრება ღმერთებთან შესაერთებლად. დილის რიტუალში ასახულია ის ცერემონიები, რომლებიც თან ახლდა ფარაონის გაღვიძებას, ჩაცმას და დანაყრებას სიცოცხლის დროს. პირამიდებში ის სხვადასხვა კამერაში, მაგრამ ყოველთვის აღმოსავლეთ კედელზეა მოთავსებული. გამონათქვამები, რომლებიც პირველ პირშია შედგენილი, ნაკლებად რიტუალური ხასიათისაა. ისინი წარმოადგენს გარდაცვლილის მიმართვას ღმერთებისადმი. მათი დახმარებით გარდაცვლილის სული ყოველ დილას უნდა გამოსულიყო სამარხიდან, რომ დღე ღმერთებს შორის გაეტარებინა. თუმცა პირამიდების ტექსტებში სხვა კოსმოგონიებიც მოიხსენიება, ძირითადად ისინი ჰელიოპოლისის კოსმოგონიური სისტემით არის გაჟღენთილი და მათ ძირითად თემას გარდაცვლილის ორ ღმერთთან — ოსირისთან და მზესთან კავშირი წარმოადგენს. მზე ეგვიპტელისათვის სიცოცხლის ყოველდღიური წყარო იყო. მზის ყოველდღიურ გადანაცვლებას ზეცაში ეგვიპტელები წარმოიდგენდნენ, როგორც მგზავრობას დაბადებიდან სიკვდილისაკენ, და მისი ხელახალი დაბადება ყოველ დილას შესაძლებელი იყო მხოლოდ ოსირისის წყალობით, რომელიც ეგვიპტელისათვის ახალი სასიცოცხლო ძალის მომცემი იყო, თუმცა თვითონ მას მუმიის სახე ჰქონდა და იმქვეყნიურ სამყაროზე ბატონობდა. თავისი ღამის მოგზაურობის დროს, მზე რაღაც მომენტში ერწყმოდა ოსირისს და მისგან ახალ სასიცოცხლო ძალას იღებდა, რის შემდეგ, ყოველ დილას, თავიდან იბადებოდა. ეგვიპტელის წარმოდგენით, მარადიული არსებობა იმქვეყნიურ სამყაროში მხოლოდ ასეთი ციკლიური განახლების გზით იყო შესაძლებელი. რას მსგავსად, გარდაცვლილის სული (მისი ბა) ყოველ ღამით უნდა შეერთებოდა თავის მუმიას, რომ მისგან ახალი

სასიცოცხლო ძალა მიეღო, და რადგან გარდაცვლილის სულის გადანაცვლება მზის ციკლთან იყო დაკავშირებული, ის რას თანამგზავრად იყო წარმოდგენილი. პირამიდების ტექსტების ძირითად დოქტრინას გარდაცვლილის სულის სიკვდილიდან სიცოცხლისაკენ ყოველდღიური სწრაფვა წარმოადგენდა, თვითონ ტექსტების დანიშნულება კი იყო დახმარება ამ სწრაფვის განხორციელებაში (Allen, 2005, 6-9). ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენადაც პირამიდების ტექსტების შემქმნელებს ფარაონი იმქვეყნიურ სამყაროში რას თანამგზავრად ჰყავდათ წარმოდგენილი, მათ ასტრალური, სელესტიალური საიქიოს რწმენა ჰქონდათ, რაც შემდგომში იცვლება, როცა ოსირისი მინისქვეშეთის მეფე ხდება (Faulkner, 2001, 10). პირამიდების ტექსტებში მოხსენიებულია მრავალი ღმერთი და სხვადასხვა კოსმოგონიური სისტემა, ასევე ოსირისის მითის ყველაზე ძველი ვარიანტი, და ამდენად, ისინი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს წყაროს ძველი სამეფოს ეგვიპტის რელიგიური აზროვნების შესასწავლად. იმავდროულად, დახვეწილი ენის და ლიტერატურული ფორმის გამო ისინი ეგვიპტური ლიტერატურის უძველეს ნიმუშად არის მიჩნეული. ორიგინალური ეგვიპტური ტექსტების საუკეთესო გამოცემად დღემდე მიჩნეულია კ.ზეტეს გამოცემა, რომელიც უნისის, ტეტის, პეპი I-ის, მერენრას და პეპი II-ის პირამიდების ტექსტებს ეყრდნობა და 714 გამონათქვამს მოიცავს (Die altägyptischen Pyramidentexte, nach den Papierabdrücken und Photographien des Berliner Museums, neu herausgegeben und erläutert von Kurt Sethe, Bds. I-III, Hildesheim, 1960).

პირამიდის ძალაძი — პირამიდას ემსახურებოდა ქურუმების დიდი ჯგუფი. ამას გარდა, ყოველი პირამიდისათვის გამოყოფილი იყო მიწები მოსავლის მოსაწევად და ცხოველებისათვის, რომლებიც მსხვერპლად უნდა შეწირულიყვნენ. ყანებს და საქონელს ასევე თავისი მომვლელები ჰყავდა. ყველაფერი ეს საკმაოდ მოზრდილ დასახლებას ქმნიდა, რომელთაგან თითოეულს თავისი სახელი ჰქონდა. დღეს უმეტესი მათგანის სახელი დაკარგულია და ისინი ზოგადად „პირამიდის ქალაქის" სახელით მოიხსენიება.

პირამიდების ხანა — ეგვიპტოლოგიაში პირამიდების ხანას ძველი სამეფოს პერიოდს უწოდებენ.

პირამიდიონი — ახალი სამეფოს პერიოდიდან გარდაცვლილებს სამარხში პატარა ქვის პირამიდებს — ე.წ. „საფლავის

პირამიდებს" ან პირამიდიონებს ატანდნენ. პირამიდიონი პირამიდის ბოლო ქვის განსახიერებას წარმოადგენდა (რომელსაც ხანდახან ასევე „პირამიდიონს" უწოდებენ). შუა სამეფოს დროიდან პირამიდიონი საკრალურ ქვად ითვლებოდა და მასზე გარდაცვლილისათვის ლოცვებს ათავსებდნენ. იყო ასევე მზის სიმბოლო (Bonnet, 1952, 623).

პი-რამსესი — იგივე პერ-რამსესი, (ეგვ. *Pr Rʿ-mssʿ ꜥꜣ ꜥꜣtw*, „სახლი რამსესის, (რომელიც არის) დიდებული გამარჯვებებით" (Kitchen, 2003, 255) — რამსეს II-ის მიერ აგებული სამეფო რეზიდენცია. მდებარეობდა აღმოსავლეთ დელტაში, კაიროდან დაახლ. 100 კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჰიკსოსების დედაქალაქის, ავარისის 1 კმ. ჩრდილოეთით, თანამედროვე კანტირის ადგილას. სამი ათასზე მეტი წლის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. 1930-იან წლებში პ. მონტემ აღმოაჩინა ტანისის ნანგრევები. რამსეს II-ის უამრავი ქანდაკების გამო ქალაქი შეცდომით მიიჩნიეს პი-რამსესად. ვარაუდი მისი ლოკალიზაციის შესახებ ეკუთვნის ეგვიპტელ მეცნიერს ლ. ჰაბაშის, რაც დამტკიცდა დაახლ. 50 წლის შემდეგ არქეოლოგიური გათხრებით (Bard, 1999, 788). XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ავსტრიულმა ექსპედიციამ მ. ბიტაკის ხელმძღვანელობით დანვრილებით შეისწავლა ნილოსის დელტა ახალი მეთოდების გამოყენებით. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ დელტის ტანისური ტოტი რამსესის დროს არ არსებობდა და ყველაზე აღმოსავლეთით პელუზიური ტოტი მიედინებოდა. გათხრების შედეგად აღმოაჩინეს ავარისი და პი-რამსესი (Bietak, 1995). რამსესის მიერ რეზიდენციის აქ გადმოტანა სავსებით ბუნებრივია. ეს იყო მისი ნინაპრების სამშობლო, სადაც მამამისმა, სეტი I-მა უკვე აიშენა საზაფხულო რეზიდენცია; იმავდროულად, ეს იყო ეგვიპტის აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, მუდმივ კონტროლს საჭიროებდა — აღმოსავლეთის დაპყრობილი ტერიტორიებიდან მოედინებოდა ხარკი, და თავდასხმის საშიშროებაც მუდმივი იყო. უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნებოდა ისიც, რომ მეზობელ ავარისს, რომელიც რამსეს II-ის დროსაც აქტიური სავაჭრო ცენტრი იყო, უზარმაზარი პორტი ჰქონდა. ქალაქის ცენტრში მდებარეობდა დიდი ტაძარი, ქუჩები გეომეტრიულად იყო დაგეგმილი. ბიტაკის გუნდმა აღმოაჩინა ასევე მრავალი არხი და ტბა, რის გამოც მათ პი-რამსესს ეგვიპტის ვენეცია უწოდეს. ითვლება, რომ რამსესის სასახლე თანამედროვე სოფელ კანტირის

ქვეშაა. ქალაქში აღმოჩენილია ასევე ძველი სამყაროს უდიდესი თავლა 460 ცხენისათვის, რომელიც 17000 კვ. მეტრს ფარავდა. მასთან იყო ვრცელი, სვეტებიანი სანვრთნელი მოედანი და სახელოსნოები. სავარაუდოდ, ეს იყო ეტლოსანთა რაზმის ტერიტორია (Kitchen, 2003, 255). გათხრების უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად ითვლება დაახლ. 3000 კვ.მ. მეტალის (ბრინჯაოს) დასამუშავებელი სახელოსნოების უბნის აღმოჩენა და ქალაქში ხეთების და მიკენელების ყოფნის დადასტურება. თავლის ტერიტორიაზე მოძიებულია ხეთური და მიკენური იარაღი და სხვა არტეფაქტები, განსაკუთრებით მრავლად — მიკენური კერამიკა. ეს ყველაფერი ამტკიცებს, რომ ხათუსილი III-ს და რამსეს II-ს შორის მშვიდობიანი გარიგების შემდეგ ხეთი ჯარისკაცები და ხელოსნები მრავლად იყვნენ პი-რამსესში. ნაპოვნია ასევე კერამიკა კვიპროსიდან, ლევანტიდან და ხეთური ანატოლიიდან (Bard, 1999, 788). ქალაქის სტრატიგრაფია მოიცავს პერიოდს XVIII დინასტიის დასაწყისიდან მესამე გარდამავალ პერიოდამდე. პი-რამსესის ტერიტორია დაახლ 30 კვ.კმ.-ს მოიცავდა. ის იყო უმდიდრესი ქალაქი 30 000 მოსახლით. მოსახლეობა ეთნიკურად ძალიან მრავალფეროვანი იყო — ნუბიელები, ლიბიელები, ქანაანელები და სხვ. ქალაქი აყვავებული იყო რამსესის გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგაც. ახალი კვლევებით დამტკიცდა, რომ ნილოსის პელუზიურმა ტოტმა ამოვსება დაიწყო და ქალაქი უწყლოდ დარჩა, თუმცა მდინარემ გაიკვლია გზა ახალი მიმართულებით და წარმოქმნა ტოტი, რომელსაც დღეს ტანისურს უწოდებენ, რის გამოც XXI დინასტიის ფარაონებმა ქალაქი ამ ტოტთან გადაიტანეს. მათ გადაიტანეს ასევე რამსეს II-ის ყველა ქანდაკება, ობელისკი, სფინქსი, რომელთაგან უმძიმესი 200 ტონას იწონიდა. ტაძრები დაშალეს და თავიდან ააწყვეს ახალ ადგილზე, რამაც შეიყვანა შეცდომაში მეცნიერები, როცა ტანისი პი-რამსესი ეგონათ (Kitchen, 2003, 255-256). დღეს მიჩნეულია, რომ ბიბლიური ქალაქი რაამსესი (გამოსვლა, 1:11; 12:37) სნორედ პი-რამსესი იყო (Kitchen, 1982, 230).

პირის გაღების რიტუალი — (ეგვ. *wp.tꜣ*, Wb I, 300), მაგიური რიტუალი, რომელიც ტარდებოდა ღვთაების ან გარდაცვლილის ქანდაკებაზე და მუმიაზე, რომ მათში სიცოცხლე ჩასახულიყო. ოფიციალური ეგვიპტური წარმოდგენით, მარადიული არსებობისათვის გარდაცვალების შემდეგ გარდაცვლილის სხეული უნდა შენახულიყო, რამაც ბიძგი მისცა სხეულის მუმიფიცირების ტრადიციის ჩამოყალიბებას. მაგრამ თუ რაიმე გაუთვალის-

პირის გაღების რიტუალის სცენა. უკან სემ ქურუმი ლეოპარდის ტყავით.

ნინებელი ვითარების გამო სხეული მაინც დაზიანდებოდა, მისი მაგივრობა გარდაცვლილის ქანდაკებას უნდა გაეწია. ამის გამო ეგვიპტელები მუმიას ეპყრობოდნენ, როგორც ქანდაკებას, და ქნდაკებას – როგორც მუმიას, ამიტომ პირის გაღების რიტუალი ტარდებოდა როგორც გარდაცვლილის მუმიაზე, ასევე მის ქანდაკბაზე, მაგრამ ქანდაკების პირის გაღების რიტუალი უფრო ძველია. თავდაპირველად რიტუალი ტარდებოდა სამარხში მოსათავსებელ ქანდაკებაზე მის „გასაცოცხლებლად". მისი წყალობით ქანდაკება, რომელიც მხოლოდ მოქანდაკის მიერ შექმნილ საგანს წარმოადგენდა, გარდაიქმნებოდა სხეულად, რომელიც შეიძლებოდა „გაეცოცხლებინა" ღვთაების ან გარდაცვლილის სულს. რიტუალი ჩვეულებრივ მოქანდაკის ან ოქრომჭედლის სახელოსნოში ტარდებოდა (ქანდაკებაზე) ან სამრხში შესვენების წინ (მუმიაზე), როცა მუმიას უკანასკნელად ამოიყვანდნენ სარკოფაგიდან და ააყუდებდნენ სამარხში შესასვლელთან, სახით სამხრეთისაკენ. ჩვენამდე მოღწეული რიტუალთან დაკავშირებული უძველესი მასალა ახალი სამეფოს პერიოდს ეკუთვნის, მაგრამ რიტუალი გაცილებით უფრო ძველია. რიგი გამონათქვამებისა დაფიქსირებულია უკვე პირამიდების ტექსტებში, და ზოგიერთი სცენის ლექსიკა პირველი ორი დინასტიის პერიოდზე მიგვითითებს. რიტუალი იწყებოდა განწმენდით. ოთხჯერ წარმოითქმებოდა შესაბამისი გამონათქვამი, ქანდაკებას ოთხჯერ ატრიალებდნენ, ამ დროს ხდებოდა საკმევლის კმევა და ლიბაცია. ამის შემდგომ სემ-ქურუმი, რომელიც რიტუალში გარდაცვლილის ვაჟიშვილს წარმოადგენდა, ჯერ ვარდებოდა მედიტაციაში, რომლის დროსაც გარდაცვლილის იერსახე წარმოუდგებოდა, რის შედეგაც ნებას რთავდა მოქანდაკეებს, საბოლოო სახე მიეცათ ქანდაკებისათვის, რომელიც სემ-ქურუმს უნდა ელიარებინა, როგორც „მამის" ნამდვილი პორტრეტი. ამ დროს მას განსაკუთრებული ტანისამოსი, ე.ნ. *qnj* – გულსაფარი ჰქონდა შემოცმული. შემდეგ ის იცვლიდა სამოსს (იცვამდა სემ-ქურუმის ლეოპარდის მოსასხამს), და იწყებოდა რიტუალის შემდეგი ეტაპი. ამისათვის მოჰქონდათ ახლად დაკლული ხარის ფეხი და გული, და ასევე ახლად დაკლული ბატის და თხის თავები. ყველაფერ ამას სემ-ქურუმი და ქურუმი-დეკლამატორი ქანდაკების ფეხებთან აწყობდნენ. ამ მომენტს ადრე ხსნიდნენ, როგორც მსხვერპლშეწირვას, მაგრამ დღეს ესეც პირის გაღების და თვალის ახელის რიტუალად არის მიჩნეული. ამის შემდეგ შვილის „როლს" ასრულებდა სხვა ქურუმი (*jrjpˁ.t*), რომელიც სემ-ქურუმს შეჰყავდა სამარხში.



პირის გაღების რიტუალ ფარაონის ქანდაკებაზე.

იქვე იდგა ქურუმი-დეკლამატორი და, რასაკვირველია, ქანდაკება, რომელიც ყველა სცენაში მონაწილეობდა. დეკლამატორი წარმოთქვამდა: „მე მოვიყვანე შენთან შენი შვილი, რომელიც გააღებს პირს შენთვის", რის შემდეგ „შცილი" ასრულებდა საკუთრივ „პირის გაღების" რიტუალს *ḏdf.t* ხელსაწყოთი და ელექტრუმისაგან დამზადებული თითით. შემდეგ ხდებოდა პირის გაღება „პატარა თითით" (სემ-ქურუმი ქანდაკების ტუჩებს თავისი თითით ეხებოდა), რასაც მოსდევდა პირის და თვალების გაღება და განწმენდა სხვადასხვა ხელსაწყოთი, რომელთაგან ბევრი დღეს ბუნდოვანია. რადგანაც სამგლოვიარო პროცესია მებალზამეების სახელოსნოდან დილით გამოდიოდა, სამარხამდე ალბათ დაახლოებით შუადღისას მიაღწევდა. შესაძლოა, ამიტომ ჩამოყალიბდა მუმიის სახით სამხრეთისაკენ აყუდების ტრადიცია, რომ მას „შეეხედა" მზისათვის და მზეში განბანილიყო. ტექსტებში ხშირად არის ნათქვამი, რომ „მუმია აღმართულია რასათვის". პირის გაღების რიტუალს თან ახლდა ასევე შემზარაეი მსხვერპლშეწირვა, რომელიც პირველად ამარნას პერიოდის შემდგომი „მკვდართა წიგნის" პაპირუსებში ჩნდება. ცოცხალ ხბოს კვეთდნენ წინა ფეხს ისე, რომ მისი დედა მის უკან იდგა. მოკვეთილი ფეხი ქურუმს სირბილით მიპქონდა მუმიასთან, სანამ ჯერ კიდევ სიცოცხლის სითბო ჰქონდა შერჩენილი. ასევე შეიძლებოდა შეეწირათ გული. ამ შესაწირს არ ჰქონდა კავშირი საკვების შეწირვასთან. ეს ხდებოდა სამგლოვიარო ბანკეტის დროს, რომელიც დაკრძალვის ცერემონიის ბოლო სეგმენტს წარმოადგენდა. პირის გაღების რიტუალის დასრულების შემდეგ ქანდაკებები შეჰქონდათ სამარხში, მუმიას კი ისევ სარკოფაგში ათავსებდნენ და დასაკრძალ ოთახში შეჰქონდათ. რიტუალის დროს ბევრი გამონათქვამის წარმოთქმა ხდებოდა, მაგრამ მის ძირითად მიზანს — სიცოცხლის ნაპერწკლის ჩაბერვას უსულო საგანში — გადმოსცემს შემდეგი: „მე ვაღებ შენს პირს, რომ ლაპარაკი შეგეძლოს, თვალებს, რომ რას დანახვა შეგეძლოს, ყურებს, რომ გარდასახვა გაიგო, რომ შენმა ფეხებმა სიარული შეძლონ, რომ შენს გულს და მკლავებს მტრის მოგერიება შეეძლოთ" (Assman, 2005, 310-329).

პოეზია (სასიყვარულო) — ახალი სამეფოდან ეგვიპტურ ლიტერატურაში ახალი ჟანრი — სასიყვარულო პოეზია ჩნდება. სასიყვარულო ლექსები საოცრად ემოციურია და დღესაც მომხიბვლელია ულამაზესი შედარებებით. სამწუხაროდ, ჩვენს ხელთ არსებული უძველესი ნიმუშები XIX დინასტიით არის და-

თარიღებული, მაგრამ მათი საოცრად დახვეწილი სტილი და რთული ლიტერატურული ხერხების გამოყენება განვითარების ხანგრძლივი გზის დამადასტურებელია. უნდა აღინიშნოს, რომ ე.წ. „პარაკლაუსიტირონი“, ანუ სასიყვარულო სიმღერა საყვარელი ქალის კარებთან, რომელიც ადრე მხოლოდ ანტიკური ლირიკის მონაპოვრად იყო მიჩნეული, ეგვიპტეში ჩვ.წ.-მდე XII საუკუნეშია დაფიქსირებული. აქვე გვხვდება ქალის სახელით დაწერილი ამ ჟანრის უძველესი ნიმუშები (მ.ხვედელიძე, 2009).

პოლიცია – პოლიცია ეგვიპტეში არ იყო ჯარის ნაწილი. ის შექმნილი იყო ქვეყნის შიგნით წესრიგის დასამყარებლად და დაუცველების დასაცავად. სოფლის პოლიცია იცავდა ყანებს და მათ მეპატრონეებს ქურდობისაგან და თავდასხმებისაგან, და ასევე აიძულებდა ურჩ გლეხებს, გადაეხადათ გადასახადები. პოლიციის განსაკუთრებული ძალები, რომლებსაც დამხმარეებად ძაღლები ჰყავდათ, ყარაულობდნენ საზღვრებს, იგერიებდნენ მომთაბარეებს და ეძებდნენ გაქცეულ პატიმრებს. პოლიციელები იცავდნენ წესრიგს ქალაქებში და ნეკროპოლისებში. რამსეს X-ის დროს დააპატიმრეს სამარხების მძარცველების ჯგუფი, ძირითადად დაბალი რანგის მოხელეები, ქურუმები და მათი ცოლები. საგულისხმოა, რომ ეს დანაშაული გამოაშკარავდა იმიტომ, რომ ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა, რომელიც სავარაუდოდ უკმაყოფილო იყო ნილით, რომელიც მას ერგო, დამნაშავეები პოლიციაში დააბეზღა. XVIII დინასტიიდან პოლიციის დიდ ნაწილს შეადგენდნენ მაჯაები, ნუბიელთა მომთაბარე ტომები, რომლებიც უფრო ადრე იბრძოდნენ ეგვიპტის ჯარში ჰიკსოსების წინააღმდეგ. მათ შექმნეს ძალიან ორგანიზებული პოლიციური ნაწილები და ძალიან მალე აითქვიფნენ ეგვიპტურ საზოგადოებაში (David, 1998, 231-232).


პტახი

პტახი – (ეგვ. *Ptḥ*, Wb I, 565), ეგვიპტის ერთ-ერთი დიდი ღვთაება, მემფისის მფარველი, ხელოსნების მფარველი და მემფისის კოსმოგონიური სისტემის დემიურგი. თავისი კავშირით ადგილობრივ ღვთაებასთან, ტატენენთან (ეგვ. *Tꜣnn*, „მინა, რომელიც ზევით იწევა“) პტახი პირველყოფილ ბორცვთან იყო გაიგივებული. მემფისის რაიონის მიცვალებულთა კულტის ღვთაებასთან, სოკართან და შემდეგ ოსირისთან შერწყმით (პტახ-სოკარი, პტახ-სოკარ-ოსირისი) მოხდა მისი დაკავშირება მიცვალებულთა კულტთან. მის კავშირზე ხელოსნობასთან მეტყველებს მისი მთავარი ქურუმის წოდებებიც (*wr ḫrp ḥm w.t,*

„დიდი ხელოსანთა შორის", და *wr ḫrp ḥm.t nb.t* „ყველა ხელობის დიდი მმართველი", Sandman Holmberg, 1946, 25). როგორც დიდი ხელოსანი, ბერძნებმა ჰეფესტოსთან გააიგივეს, მაგრამ მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია აღწერილია მემფისის კოსმოგონიურ სისტემაში, რომელიც პტახს სამყაროს ერთადერთ შემოქმედად ასახელებს. მისი კულტის წარმოშობა, ისევე, როგორც მისი სახელი, დღემდე ბუნდოვანია. ამიტომ ითვლება, რომ პტახი არის მემფისის ქურუმების ქმნილება, რომელიც მათ მემფისის კოსმოგონიასთან ერთად შექმნეს. ამაზე მისი სრულიად ანთროპომორფული სახეც მიუთითებს (Kees, 1980, 144). ეგვიპტის გაერთიანებამდე მემფისის რაიონი მეჩხერად დასახლებული, ჭაობიანი ადგილი იყო და ნაკლებად შესაძლებელია, რომ აქ ჩამოყალიბებულიყო ღვთაების კულტი, რომელსაც რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა ამ რეგიონის ფარგლებს გარეთ. ამდენად, ეგვიპტის გაერთიანებამდე და მემფისის დაარსებამდე პტახი (თუ ის საერთოდ არსებობდა) შეიძლებოდა მხოლოდ პოლიტიკურად უმნიშვნელო ადგილის პატარა, ლოკალური ღვთაება ყოფილიყო (Junker, 1940, 6). პტახის ყველაზე ძველი გამოსახულება მოძიებულია ალებასტრის ჭურჭელზე მემფისის სიახლოვეს და I დინასტიის პერიოდით თარიღდება (Petrie, 1913, pl. III, no.1). მისი უფრო ძველი წარმოშობა საეჭვოდ არის მიჩნეული, რადგან მას, განსხვავებით წინადინასტიური ისტორიის მქონე ღმერთებისაგან, არ ჰქონდა საკუთარი სიმბოლო, რომელიც რაიმე ქალაქთან იყო დაკავშირებული (Mercer, 1949, 150). ქრონოლოგიურად შემდეგი გამოსახულება დაფიქსირებულია პალერმოს ქვაზე. ტექსტი გვამცნობს, რომ ფარაონმა ნეფერირკარამ (V დინასტია) მას საკუთარ ტაძარში ძეგლი დაუდგა (Schäfer, 1902, 41). ძველი და შუა სამეფოს პერიოდებით დათარიღებული პტახის გამოსახულებები საკმაოდ იშვიათია. პირამიდების ტექსტებში პტახი სულ სამჯერ არის მოხსენიებული (PT 560, 566, 1482), და სამივეჯერ არა როგორც დემიურგი, არამედ გარდაცვლილთა ბუნდოვან რიტუალთან დაკავშირებულ კონტექსტში. ერთ-ერთ გამონათქვამში მას „სამზარეულოები ეკუთვნის" (*is.t n Ptḥ*, „პტახის სამზარეულოები", PT 560), და თითქოს გარდაცვლილებს საკვებით ამარაგებს. ეს სავსებით ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირამიდების ტექსტების ჩაწერის დროს ქვეყანაში ოფიციალურ იდეოლოგიას მზის რელიგია და ჰელიოპოლისის კოსმოგონია წარმოადგენდა. პტახმა მისცა სახელი ეგვიპტეს, რომელსაც დღეს ვეძახით. მისი მემფისის ტაძრის სახელი (რომელიც მოგვიანებით

პტახი

ქალაქის მთელ უბანზე გავრცელდა), *ḥ.tk3Ptḥ*, „პტახის კას სახლი", ან „პტახის სულის ნავსაყუდელი" ბერძნულ ენაში „აიგიუპტოსად" გადაიქცა (Aigyptos. ასე მოიხსენიებს ჰომეროსი „ოდისეაში" მიწებს ნილოსის ირგვლივ). თანხმოვნების კომბინაცია „*ptḥ*" ეგვიპტურ ენაში გვხვდება ორ სიტყვაში, („*ptḥ*" — „შენება", დაფიქსირებულია გვიანი პერიდიდან და „*ptḥ* — „გაღება", „გახსნა", დაფიქსირებულია ბერძნული პერიოდიდან, Wb I, 565). მათ პარალელი აქვთ სემიტურ ენებში (მაგ. ასურული „petū", „გაღება" და აქადური „patāḫu", „ბურღვა", „გამოქანდაკება"), ამიტომ, ზოგიერთი ვარაუდით, პტახის სახელი სემიტურიდან არის ნასესხები, მაგრამ უფრო რეალური იქნება დავუშვათ, რომ ეს სიტყვები ეგვიპტურმა ენამ ისესხა მაშინ, როცა ისინი რეალურად ჩნდება ხმარებაში — ახალი სამეფოს პერიოდიდან და უფრო გვიან, როცა კონტაქტები გარე სამყაროსთან ძალიან მჭიდრო გახდა, და შესაბამისად პტახის გამოჩენიდან მრავალი საუკუნის შემდეგ (Sandman Holmberg, 1946, 10). შესაბამისი სიტყვები ძველი სამეფოს ეპოქაში იყო „*ỉmn*" (Wb I, 83), „*msj*" (Wb II, 137) და „*ḳd*" (Wb V, 72) „შენება" და „*wpj*" (Wb I, 2999), „*wn*" (Wb I, 311) „გაღება". ამდენად, პტახის სახელის წარმოშობა დღემდე ბუნდოვანია. უძველეს გამოსახულებებში პტახი წარმოდგენილია მჭიდროდ მომდგარი სამოსით (როგორიც ჩვეულებრივ ფარაონს ხებსედის დღესასწაულის დროს ეცვა), გადაპარსული თავით (ან, შესაძლოა, ეს არის კარგად მორგებული ქუდი), წვერის გარეშე. ხელში უას-სკიპტრა უჭირავს. შუა სამეფოდან მას „უჩნდება" სწორი ფორმის წვერი (განსხვავებით ბოლოში აპრეხილი წვერისაგან, რომლითაც ჩვეულებრივ ღმერთები გამოისახებოდა). ახალი სამეფოდან ხანდახან მუმიის სახესაც იღებს. პტახ-ტატენენს ჩეულებრივ თავზე ედგა ორ რქას შორის მოთავსებული მზის დისკო, რომელსაც ორი ბუმბული ამშვენებდა, და ეგვიპტელი ფარაონის მოკლე ქვედა ბოლო ეცვა. პტახ-სოკარი ხშირად შევარდნის თავით გამოისახებოდა (Sandman Holmberg, 1946, 12-16). მემფისში ეთაყვანებოდნენ ასევე პტახის ტრიადას, რომელიც პტახის, მისი ცოლის, ლომის სახის მქონე სახმეტის და მათი ვაჟიშვილის, ნეფერტუმისაგან შედგებოდა. პტახის კულტი გადაიჯაჭვა ასევე შავი ხარის, აპისის კულტთან, რომელიც მემფისში I დინასტიიდან არის დაფიქსირებული. აპისი მოიხსენიებოდა, როგორც პტახის სული. მართალია, პტახმა ვერ გაუწია კონკურენცია სოლარულ ღვთაებას, რომელიც მეხუთე დინასტიიდან ეგვიპტის პანთეონის უზენაესი ღვთაება გახდა, მაგრამ მან ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე შეინარჩუ-

ნა დიდი შემოქმედი ღვთაების მდგომარეობა. ახალი სამეფოს ტექსტებში ხშირად წავიკითხავთ, რომ „ყველა ღმერთი სამია: ამონი, რა და პტახი". რამესიდების პერიოდში ჩამოყალიბდა ტრიადა ამონ-რა-პტახი, რომელშიც ეგვიპტის სამი ინტელექტუალური ცენტრის სამი დიდი ღვთაება იყო გაერთიანებული (Hart, 2005, 61). ეგვიპტეში ღვთაების მდგომარეობა ხშირად მისი ქალაქის სტატუსზეც იყო დამოკიდებული. პტოლემაიოსების დროს, როცა ქვეყნის მთავარი ქალაქი ალექსანდრია გახდა, მემფისმა კი მის შემდეგ მნიშვნელობით მეორე ქალაქის მდგომარეობა შეინარჩუნა, ვითარება შეიცვალა ეგვიპტის პანთეონშიც: პტახი უფრო მნიშვნელოვანი ღვთაება გახდა, ვიდრე ამონი (*იხ. ასევე „მემფისის კოსმოგონია"*).

პტოლემაიოსები — მაკედონიური წარმოშობის სამეფო დინასტია, რომელიც მართავდა ეგვიპტეს ჩვ.წ.-მდე 305-30 წლებში (ელინისტირი პერიოდი). დააარსა პტოლემაიოსმა, ლაგის შვილმა, რომელმაც ხელში ჩაიგდო ეგვიპტე ალექსანდრე მაკედონელის გარდაცვალების შემდეგ (ჩვ.წ.-მდე 323 წ.), როცა მისმა გენერლებმა იმპერია დაინაწილეს. პტოლემაიოსი არ იყო გამორჩეული ალექსანდრეს გენერლებს შორის, მაგრამ მათ ბავშვობის მეგობრობა აკავშირებდათ. პტოლემაიოსი ყველანაირად ცდილობდა, ალექსანდრესთან ასოცირებული ყოფილიყო. მან აღწერა ალექსანდრეს ცხოვრება. თუმცა ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მან დიდი ზეგავლენა მოახდინა იმდროინდელ ბიოგრაფებზე. პტოლემაიოსმა ასევე მოახერხა ალექსანდრე დიდის ეგვიპტეში ჩამოსვენება. ალექსანდრე დაკრძალა მემფისში, მაკედონიური წესის მიხედვით (ზოგიერთ გენერალს ალექსანდრეს მაკედონიაში ჩასვენება უნდოდა). თავისი მიზნის მისაღწევად პტოლემაიოსმა მოაკვლევინა კლეომენესი, რომელიც ეგვიპტის მმართველად თავად ალექსანდრემ დანიშნა (Jones, 2006(b), 3). ჩვ.წ.-მდე 305 წლამდე ის მართავდა ეგვიპტეს ჯერ როგორც ალექსანრე დიდის ნახევარი ძმის, ფილიპე არიდეოსის, შემდეგ კი მისი შვილის, ალექსანდრე IV-ის ნაცვალი, 305 წელს კი ავიდა ეგვიპტის ტახტზე, როგორც პტოლემაიოს I სოტერი (Otto und Helck, 1956, 276). პტოლემაიოსების პერიოდს სხვადასხვაგვარად განიხილავენ. ეგვიპტოლოგიაში ის ხანდახან საკუთრივ ეგვიპტის ისტორიის დასასრულად არის მიჩნეული (*იქვე*), მაგრამ ზოგიერთი თვალსაზრისით ეს იყო ეგვიპტის ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე პერიოდი, რადგან პტოლემაიოს I არა მარტო ცდილობდა, ალექსანდრესთან ასოცირებუ-

ლი ყოფილიყო, ის აგრძელებდა ალექსანდრეს მიერ დაწყებულ ტრადიციას, რაც მაკედონელების დაპყრობილი ტერიტორიების ინტეგრირებაში გამოიხატებოდა. თუმცა პოლიტიკური დამოუკიდებლობა საბოლოოდ დასრულდა, ეგვიპტური კულტურა აგრძელებდა განვითარებას ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, და ორი დიდი კულტურის ურთიერთზეგავლენის პროცესში მრავალი შედეგი შეიქმნა (Burstein, 2004, 1). პტოლემაიოსებმა ალექსანდრია იმდროინდელი სამყაროს ერთ-ერთ უმნიშველოვანეს კულტურულ ცენტრად გადააქციეს. ამ პროცესში უდიდესი როლი ითამაშა პტოლემაიოს I-ის მიერ ალექსანდრიის ბიბლიოთეკის და აკადემიის დაარსებამ და ალექსანდრიაში ცნობილი ინტულექტუალების მოზიდვამ – ტრადიცია, რომელიც შემდეგმა პტოლემაიოსებმაც გააგრძელეს. პტოლემაიოსების დინასტია შემდეგი მეფეებისაგან შედგება: პტოლემაიოს I სოტერი (ჩვ.წ.-მდე 305-282 წწ.), პტოლემაიოს II ფილადელფოსი (ჩვ.წ.-მდე 282-246 წწ.), პტოლემაიოს III ევერგეტოსი (ჩვ.წ.-მდე 246-222 წწ.), პტოლემაიოს IV ფილოპატორი (ჩვ.წ.-მდე 222-205 წწ.), პტოლემაიოს V ეპიფანოსი (ჩვ.წ.-მდე 205-180 წწ.), პტოლემაიოს VI ფილომეტორი (ჩვ.წ.-მდე 180-145 წწ.), პტოლემაიოს VII ნეოს ფილოპატორი (ჩვ.წ.-მდე 145-144 წწ.), პტოლემაიოს VIII ევერგეტოს II (ჩვ.წ.-მდე 145-116 წწ.), კლეოპატრა III და პტოლემაიოს IX სოტერი II (ჩვ.წ.-მდე 116-107 წწ.), კლეოპატრა III და პტოლემაიოს X ალექსანდრე I (ჩვ.წ.-მდე 107-101 წწ.), პტოლემაიოს X ალექსანდრე I და კლეოპატრა ბერენიკე (ჩვ.წ.-მდე 101-88 წწ.), პტოლემაიოს IX სოტერი II (ჩვ.წ.-მდე 88-81 წწ.), კლეოპატრა ბერენიკე და პტოლემაიოს XI ალექსანდრე II (ჩვ.წ.-მდე 80 წ.), პტოლემაიოს XII თეოს ფილოპატორ ფილადელფოს ნეოს დიონისიოსი (ასევე აულეტოსი, „ფლეიტისტი"), (ჩვ.წ.-მდე 80-58წწ), კლეოპატრა ტრიფანია და ბერენიკე IV (ჩვ.წ.-მდე 58-57 წწ), ბერენიკე V (ჩვ.წ.-მდე 57-55 წწ.), პტოლემაიოს XII (ჩვ.წ.-მდე 55-51), კლეოპატრა VII და პტოლემაიოს XIII (ჩვ.წ.-მდე 51-47 წწ.), კლეოპატრა VII და პტოლემაიოს XIV (ჩვ.წ.-მდე 47-44), კლეოპატრა VII და პტოლემაიოს XV (ცეზარიონი), (ჩვ.წ.-მდე 44-30 წწ.) (Burstein, 2004, 155). კლეოპატრას გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტე რომის პროვინცია ხდება. მისი გარდაცვალებით სრულდება ასევე ელინიზმის პერიოდი.

პუნტი – (ეგვ. *Pwnt,* Wb I, 506), ტერიტორია, რომელიც საკარაუდოდ აღმოსავლეთ სუდანის და ჩრდილოეთ ერიტრეას შორის მდებარეობდა. ეგვიპტელები აღწერდნენ პუნტს, რო-

გორც „ღმერთის ქვეყანას“ (*ꜣ nṯr*; Wb V, 225). მათ იქიდან ჩამოჰქონდათ ეგზოტიკური საქონელი: მირრა, საკმეველი, ელექტრუმი (ოქროს და ვერცხლის შენადნობი), ოქრო, სპილოს ძვალი, გუმფისი, ლეოპარდის ტყავები, ჟირაფის კუდები და სხვ. ეგვიპტელებმა პუნტში ექსპედიციების გაგზავნა სავარაუდოდ V დინასტიიდან დაიწყეს. განსაკუთრებით გახშირდა ექსპედიციები შუა სამეფოდან, მაგრამ რამსეს III-ის შემდეგ ისინი შეწყდა და გვიანი პერიოდის ეგვიპტელები მათ მითიური მოვლენებივით მოიხსენიებდნენ. სავარუდოდ, ექსპედიციების მარშრუტი თებეს რეგიონიდან იწყებოდა და ვადი ჰამამატის გავლით აღწევდა მერსა გავასისამდე წითელი ზღვის სანაპიროზე, სადაც ალექსანდრიის უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აღმოაჩინა ძველეგვიპტური პორტის ნარჩენები, რომლებიც შუა სამეფოს პერიოდით დათარიღდა. აქედან უკვე გემებით მიცურავდნენ დაახლოებით თანამედროვე პორტ სუდანის მიდამოებამდე, სადაც კვლავ ჩადიოდნენ ხმელეთზე და კონტინენტის სიღრმეში შედიოდნენ. ეს ექსპედიციები სავარაუდოდ ნილოსის მეხუთე ჭორომის სამხრეთით მდებარე ტერიტორიამდე აღწევდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ზღვით მოგზაურობის მარშრუტის რეკონსტრუქცია ხერხდება ხატშეპსუტის დეირ ელ-ბაჰარის ტაძრის რელიეფების მიხედვით. დედოფალმა პუნტში დიდი ექსპედიცია გააგზავნა და მისი სცენები თავისი ტაძრის კედლებზე მოათავსებინა (Grimal, 2003, 77).

ავეჯი: ბეღოვნის დივანი, ბერძენ მეფეების სარეზერვო ფოთლებისა [illegible] ფოთლებიანი, ოქრომოვარაყებული ტაბლა ფიფქებიანი ალვისფერ ატლასზე, ლუი XVI-ის ხანა (XVIII ს. ბ-ნ ... ძველ)



[illegible] XVIII [illegible] XV [illegible]

[illegible]

რა – (ეგვ. *Rꜥ*, Wb II, 401), გაღმერთებული ციური მნათობი, ეგვიპტის ყველაზე დიდი ღვთაება. რას კულტის ცენტრი იყო ქალაქი იუნუ (*Ꜣwnw*, Wb I, 54) ჩრდილოეთ ეგვიპტეში, რომელსაც ბერძნებმა ჰელიოპოლისი დაარქვეს. ჰელიოპოლისის კოსმოგონიური სისტემის (ენეადის) უძველესი დემიურგი ხტონიური ატუმი იყო, მაგრამ თანდათან აქ რას კულტის აღზევება დაიწყო. ეს პროცესი ეგვიპტური რელიგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და (არქეოლოგიური და ლინგვისტური მასალის სიმცირის გამო) ერთ-ერთი ბუნდოვანი საკითხია. „რა" ეგვიპტურად ნიშნავს „მზეს" თავისი შინაარსით სიტყვა ეგვიპტური ენის ერთ-ერთი უძველესი სიტყვა უნდა იყოს, მაგრამ მისი ფუძის იდენტიფიცირება რომელიმე ეგვიპტურ სიტყვასთან ვერ ხერხდება (Mercer, 1949, 125). მზის რელიგია V დინასტიიდან ეგვიპტის ოფიციალური რელიგია ხდება, მაგრამ მზის ბარკები I დინასტიის სამარხებში მიუთითებს სოლარული კულტის არსებობაზე უკვე ამ დროს. I დინასტიით თარიღდება ასევე მზის ფრთოსანი დისკოს უძველესი გამოსახულება სპილოს ძვლის საკვარცხელზე (Petrie, 1925, pl.XII.5; II.6; Bissing, 1929, 112). მზის დისკო ნომის ერთ-ერთი უძველესი ემბლემაა (ნაპოვნია გერ-

რას მგზავრობა ცაში თავისი ბარკით.



ზეულ ფენაში, Petrie, 1939, pl.27, 118, E 16), რის გამოც ითვლება, რომ მზის დისკოს შემოქმედებითი ძალით დაჯილდოება ჯერ კიდევ წინადინასტიურ ეპოქაში მოხდა (Антес, 1977, 70). ფარაონის სახელში კომპონენტი „რა" პირველად II დინასტიაში ჩნდება (ნებრა, ეგვ. *Nb-R*ʿ შეიძლება ითარგმნოს, როგორც „რას ბატონი", ან „რა ბატონია"). IV დინასტიას მოაქვს უდიდესი ცვლილება, როცა ფარაონის ტიტულატურაში ჩნდება ელემენტი „რას ვაჟიშვილი", რომელიც V დინასტიიდან უკვე ტიტულატურის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ ფარაონი, რომელიც აქამდე ქვეყნის უზენაეს ღვთაებად იყო აღიარებული, სხვა ღვთაების შვილად ცხადდება. არსებობს ჰიპოთეზა, რომ პირამიდების ზომის საოცარი ზრდა III-IV დინასტიების დროს მიუთითებს ბრძოლაზე ფარაონსა და რას შორის ქვეყნის უზენაესი ღვთაების ტახტისათვის, რომელიც რას გამარჯვებით დასრულდა. V დინასტიის დროს, როცა მზის რელიგია უკვე სახელმწიფო რელიგია ხდება (მან ეს მდგომარეობა პრაქტიკულად ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებამდე შეინარჩუნა), პირამიდები ერთბაშად იკლებს ზომაში და იწყება ახალი ტიპის ტაძრების — მზის ტაძრების შენება. ეს ტრადიცია მხოლოდ V დინასტიის დროს გვხვდება და შემდეგ აღარ მეორდება (Helck, 1968, 97). რას სიდიადე მრავალმა ფაქტორმა განაპირობა, და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისი მრავალსახოვნება იყო. ჰელიოპოლისის კოსმოგონიის უძველესი დემიურგი იყო ატუმი — უძველესი ტრადიციების მქონე ხტონიური ღვთაება. რას აღზევების შემდეგ მას ბუნებრივად უნდა დაეკავებინა ატუმის ადგილი, მაგრამ ეგვიპტეში ეს შეუძლებელი იყო. რამ მხოლოდ „შეავინროვა" ატუმი, მოხდა ორი ღვთაების შერწყმა რა-ატუმის სახით და რა ჰელიოპოლისის კოსმოგონიაში მკვიდრდება, როგორც სამყარის შემოქმედი. ამ პროცესმა ხტონიური ატუმის სოლარიზაცია გამოიწვია და ეს უძველესი დემიურგი რას ერთ-ერთი სახე გახდა, რამ კი შეიძინა ატუმისათვის დამახასიათებელი მდედრობითი და მამრობითი თვისებები: „N რას ჩასახულია, როცა ის ამოდის და მიემართება ზეცისაკენ, N რას შობილია, როცა ის ამოდის და მიემართება ზეცისაკენ" (PT 539, 1316c). ერთ-ერთი უძველესი ციური და სოლარული კულტი დაკავშირებული იყო ხორთან, ურთულეს სინკრეტულ ღვთაებასთან, რომელმაც უკვე უძველეს დროში მრავალი ლოკალური შევარდნის კულტი „შთანთქა". დღეს ბნელია იმის თქმა, თუ როდის მოხდა სამეფო ძალაუფლების დაკავშირება ხორთან, მაგრამ უკვე პირველი დინასტიის ფარაონები

ითვლებოდნენ ხორის განსახიერებად დედამიწაზე. ჰელიოპოლისის ქურუმებმა ხორის ერთ-ერთი ფორმა (ხორახტი, „ჰორიზონტის ხორი“) ასევე რას დაუკავშირეს: „შენ გაიარე შენი გზა დილის ცაში რა-ხორახტის კვალზე“ (PT 1049a). ძველი სამეფოს დროს რამ შეისისხლხორცა კიდევ ერთი უძველესი ღვთაება — სკარაბეოსის სახის ხეპრი, რომელიც „რამედ გახდომასთან“, „ნარმოშობასთან“ (becoming) იყო დაკავშირებული. ხეპრი გახდა რას სახე. რა ევლინებოდა სამყაროს ხეპრის სახით ყოველ გარიჟრაჟზე, როცა ღამის საათებში მიწისქვეშეთის ურჩხულებთან ბრძოლის შემდეგ განახლებული მოევლინებოდა სამყაროს. ეს მომენტი უმნიშვნელოვანესი იყო ეგვიპტელისათვის, რადგან სამყაროს შექმნის ყოველდღიურ გამეორებად იყო მიჩნეული (Clark, 1959, 40). თანდათან ჩამოყალიბდა წარმოდგენა, რომ რა დილით ამოდის ცაზე ხეპრის სახით, დღის განმავლობაში ბრნყინავს რას (ან რა-ხორახტის) სახით და საღამოს ჩაესვენება ჰორიზონტზე ხანდაზმული მამაკაცის სახით, როგორც ატუმი. ამგვარად, უკვე ძველი სამეფოს პერიოდში ჰელიოპოლისში ჩამოყალიბდა რთული, მრავალი სახის მქონე სოლარული ღვთაება, და მის ნამდვილ არსებას მხოლოდ ამ სიმრავლის ერთობა წარმოადგენდა (Hornung, 1971, 96). შედეგად, ერთ ღვთაებაში რამდენიმე განსხვავებული ღვთაების თვისება შეირწყა — უძველესი ხტონიური დემიურგის, ატუმის, რომელსაც პირველყოფილ ბორცვთანაც კი აიგივებდნენ; ხეპრის, რომელსაც ნარმოქმნის, გაახალგაზრდავების უდიდესი პოტენცია ჰქონდა; კოსმიური რას და ხორის, რომელთანაც ქვეყნის უმაღლესი ძალაუფლება ასოცირდებოდა. ასეთი ერთობით ეგვიპტეში შეიქმნა უნივერსალური ღმერთის იდეა, რომელიც ერთდროულად იყო სამყაროს და წესრიგის შემოქმედი და პოლიტიკური ძალაუფლების წყარო (Франк-Каменецкий, 1928, 7). უმნიშვნელო ადგილი ეკავა რას საიქიო სამყაროსთან მიმართებაში. პირამიდების ტექსტებიდან გამომდინარე, ფარაონი იყო ხორი, რას შვილი, რომელიც გარდაცვალების შემდეგ ზეცაში, მამასთან უნდა აღზევებულიყო. V-VI დინასტიებიდან თანდათან ძალას იერებს ოსირისის კულტიც, რომელმაც მალე მოიხვეჭა საიქიო სამყაროს ბატონის მდგომარეობა. ადრე ეგონათ, რომ რას და ოსირისის უკან იდგა საიქიო სამყაროს ორი განსხვავებული ხედვა, რომლებიც პირამიდების ტექსტებში გადაიჯაჭვა, მაგრამ უახლესმა კვლევებმა გამოაჩინა, რომ ორივე გარდაცვალების შემდეგ მარადიული არსებობის ერთსა და იმავე წარმოდგენას ეკუთვნის. მარადიულობის მისაღწევად გარდაცვლილის სული

რა



მზის ყოველდღიური დაბადება

ახად (ეგვ. *3ḫ*) უნდა გარდასახულიყო. პირამიდების ტექსტების, ისევე, როგორც მომდევნო პერიოდების მიცვალებულთა ტექსტების ძირითად დანიშნულებას სწორედ ამ გარდასახვის პროცესში მიცვალებულის „დახმარება" წარმოადგენდა (მათ ეგვიპტურ ენაში *„sꜣḫw."*, „ახად გარდამსახველები" ერქვათ). ამ გარდასახვის წყარო, ეგვიპტელთა წარმოდგენით, ორ ღვთაებაში — რასა და ოსირისში იყო ინკორპორირებული. რა სიცოცხლის პირველადი (სამყაროს შექმნისას) და ყოველდღიური წყარო იყო. ყოველ დილას ის თავიდან იბადებოდა, როგორც ხეპრი, და შესაძლებელს ხდიდა სიცოცხლეს მიწაზე. მისი ყოველდღიური მოგზაურობა ზეცაში აღიქმებოდა, როგორც მოგზაურობა დაბადებიდან სიკვდილისაკენ, და მისი ხელახალი დაბადება მხოლოდ ოსირისის საშუალებით იყო შესაძლებელი, რომელიც წარმოიდგინებოდა, როგორც ახალი სიცოცხლის ძალა. გარდაცვლილთა ლიტერატურის ნაწარმოებთა კულმინაციას წარმოადგენდა მომენტი, როცა შუაგულ ღამეში რას სხეული ოსირისის სხეულს უერთდებოდა. ამ ერთობის წყალობით რა ახალ სასიცოცხლო ძალას იძენდა, ოსირისი კი მზის სხეულში თავიდან იბადებოდა (Allen, 2005, 7-8). პირველი გარდამავალი პერიოდიდან, როცა ეგვიპტის ახალ გამაერთიანებლებთან — თებეს ნომარქებთან ერთად აღზევდა იქმდე უცნობი თებე, და მათი ღმერთი — ამონი, იდუმალი ჰაერის ღმერთი, უკვე ამონის აპოლოგეტების წყალობით მოხდა ამონის შერწყმა რასთან, რის შედეგად სოლარული ღვთაება კვლავ ახალი ძალებით შეივსო და კიდევ უფრო გაძლიერდა. ომის მოყვარული ამონ-რას კურთხევით იბრძოდნენ ახალი სამეფოს ფარაონები თავიანთი იმპერიის შესაქმნელად (Shafer (ed.), 1991, 106). რა გამოისახებოდა უფრო ხშირად შევარდნის თავით და თავზე მზის დისკოთი. ღამის მოგზაურობების დროს მას ხშირად ვერძის თავით გამოსახავდნენ. რასთან ასოცირდებოდა ასევე ჰელიოპოლისის საკრალური მნევისის ხარი, რომელიც შავი ფერის უნდა ყოფილიყო და გამოისახებოდა მზის დისკოთი რქებს შორის.

რამესეუმი — რამსეს II-ის მოსახსენიებელი ტაძარი ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, თებეს მოპირდაპირე მხარეს (აღნერილია დიოდორეს მიერ, I.47-9). ტაძრის პირველი ეზოს სამხრეთით მდებარეობდა ფარაონის სასახლე. ნანგრევები მდებარეობს შეიხ აბდ ელ-კურნას ბორცვის ძირში. კედლებზე ძირითადად ქადეშის ბრძოლის ეპიზოდებია წარმოდგენილი (Helck und Otto, 1956, 290).

რამესიდების ხანა — *იხ. რამსესი*

რამოსე — ამონხეტეპ III-ის ბოლო და ეხნატონის მეფობის პირველი ვეზირი. ცნობილია თავისი არაჩვეულებრივი სამარხით გურნას ნეკროპოლისში. სამარხის მოხატულობა, სადაც წარმოდგენილია ეხნატონისა და ატონის უძველესი გამოსახულებები, იმდროინდელი ხელოვნების უმშვენიერეს ნიმუშად ითვლება (Posener, 1959, 243).

რამსესი — (ეგვ. *Rʿ-mśśw*, „რას შობილი") XIX და XX დინასტიების II ფარაონის სახელი. **რამსეს I** (ჩვ.წ.-მდე 1307-1306 წწ.), ხორემხების გენერალი, რომელიც მან თავის მემკვიდრედ გამოაცხადა. მისი გამეფებით იწყება XIX დინასტია. წარმომავლობით მიეკუთვნებოდა სამხედრო არისტოკრატიას (მისი მამა, სეტი, ასევე სამხედრო მეთაური იყო). რამსესმა თანამმართველად დანიშნა თავისი შვილი, სეტი I, რაც წინდახედული გადაწყვეტილება გამოდგა, რამსესის ხანდაზმული ასაკის და ოჯახის არასამეფო წარმოშობის გათვალისწინებით. თუმცა XIX დინასტიის დროს თებემ შეინარჩუნა სამეფო ნეკროპოლისის სტატუსი, მისმა ღმერთმა — ამონმა (ამონ-რამ) კი ქვეყნის მთავარი ღვთაების მდგომარეობა, სამეფო რეზიდენცია ახალი სამეფო ოჯახის სამშობლოში — ჩრდილო-აღმოსავლეთ დელტაში გადაიტანეს, ჰიკსოსების ყოფილი დედაქალაქის — ავარისის სიახლოვეს, რის გამოც მნიშვნელოვანი მდგომარეობა მოიპოვეს ამ რეგიონის ღვთაებებმა, განსაკუთრებით კი სეტხმა (Hayes, 1959, 3266). ცნობილია რამსეს I-ის მეუღლე და სეტი I-ის დედა, სიტრა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მან დაარღვია ტრადიცია, როცა დედოფლები თავიანთი ფარაონების სამარხებში იკრძალებოდნენ და მოინყო სამარხი მეფეთა ველიდან ცოტა მოშორებით, ადგილზე, რომელიც დღეს დედოფალთა ველის სახელით არის ცნობილი (J.Dunn, http://www.touregypt.featurestoies/ramessesi.htm). **რამსეს II** (ჩვ.წ.-მდე 1290-1224 წწ.) სეტი I-ის შვილი და რამსეს I-ის შვილიშვილი იყო. ბერძნული წყაროებიდან ცნობილია ასევე, როგორც ოზიმანდიასი, რაც მისი სატახტო სახელიდან (*Wśr mɜʿ.t Rʿ*, „ძლევამოსილია რას სიმართლე") მომდინარეობს. ტახტზე დაახლ. ოცი წლის ასაკში ავიდა და 66 წელზე მეტ ხანს იმეფა. თუმცა ეგვიპტეს ჰყოლია რამსესზე უკეთესი მხედართმთავრები (მაგ. თოტმეს I და III), მას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ეგვიპტის ყველაზე ბრნყინვალე ფარაონს, მისი შთამომავლები კი „დიდ წინაპარს"

რამსეს II

ეძახდნენ. თავისი ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში რამსეს II-ს რვა მთავარი დედოფალი, დაახლ. 50 ვაჟიშვილი და ამდენივე ქალიშვილი ჰყავდა, რომლებიც ფართოდ არიან წარმოდგენილი თავიანთი მამის მიერ აგებული მრავალრიცხოვანი ტაძრის კედლებზე (Kitchen, 1996, XXVI). მისი ყველაზე საყვარელი დედოფალი იყო ნეფერტარი, რომელსაც მიუძღვნა ულამაზესი ტაძარი აბუ სიმბლში (ტაძრის წარწერებში მან თითქოს კიდევ ერთხელ აუხსნა სიყვარული ნეფერტარის), ყველაზე გამორჩეული შვილი კი ხაემუასეტი. რამსესის ხანგრძლივი სიცოცხლის (დაახლ. 90 წელი) დასასრულისათვის ორივე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, და ტახტზე მისი რიგით მეცამეტე ვაჟიშვილი, მერნეპტახი ავიდა (Rice, 1999, 165). მეფობის პირველი ნახევარი რამსესმა ბრძოლებში გაატარა. გამეფების მეორე წელს მან დაამარცხა ზღვის ხალხების (კერძოდ, შერდენის, ლუკას და შეკელეშის) შემოტევა, რომლებიც აყაჩაღებდნენ ეგვიპტურ გემებს სავაჭრო მარშრუტებზე. ბრძოლა, რომლის შესახებ მოგვითხრობს ტანისთან ნაპოვნი სტელა, სავარაუდოდ ზღვაზე, ნილოსის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართა (Grimal, 2003, 250). უკვე სეტი I-ის დროს დაიძაბა ურთიერთობა ხეთების სამეფოსა და ეგვიპტეს შორის, რაც სავსებით ბუნებრივი იყო, რადგან ეხნატონის მეფობის დროს და მის შემდეგ, როცა ეგვიპტეს არ ეცალა საგარეო ურთიერთობებისათვის, ხეთები აზიაში დომინირებული ძალა გახდა. რამსეს II-ის დროს ეს დაძაბულობა სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდა. ხეთების სამეფოში ამ დროს გარდაიცვალა მურსილი II, რომელიც მუვათალი II-მ შეცვალა. როცა მეფობის მეოთხე წელს რამსესმა ჩაატარა სამხედრო კამპანია აღმოსავლეთში და დადგა თავისი პირველი გამარჯვების სტელა ბიბლოსის სამხრეთით, ამურუს მეფემ, დიდი ხნის განმავლობაში ხეთების მოკავშირემ, ჩათვალა, რომ მისთვის უფრო მომგებიანი იქნებოდა ეგვიპტესთან დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობა. შედარებით ადვილად მიღწეული წარმატებით ნახალისებულმა რამსესმა მიიღო გადაწყვეტილება, მოეწყო დიდი კამპანია სირიაში. კამპანიის მასშტაბებიდან ჩანს, რომ მას გრანდიოზული მიზნები ამოძრავებდა (Helck, 1968, 185-186). სწორედ ამ მიზნების მისაღწევად შედგა ქადეშის ბრძოლა. რამსესის ჯარი სავარაუდოდ 20 000 კაცისაგან შედგებოდა და ოთხ დანაყოფად იყო დაყოფილი. ამონის დანაყოფი ავანგარდს წარმოადგენდა და მას თავად ფარაონი ედგა სათავეში. მას რას, პტახის და სეტხის დანაყოფები მიჰყვებოდნენ. ჯარი დაიძრა ჩრდილოეთ-

საკენ ეგვიპტის სასაზღვრო ფორტ ტარუდან, და პალესტინის და ფინიკიის გავლით მიადგა ამაღლებას მდინარე ორონტის აღმოსავლეთ მხარეს, საიდანაც ფერდობი ეშვება და ქმნის დაბლობს ქადეშის ირგვლივ. რამსესი, რომელსაც აქამდე მოწინააღმდეგე არ შეხვედრია, აქ დაბანაკდა, და მეორე დღეს მიაღწია რიბლეს, პატარა ქალაქს ქადეშიდან თხუთმეტი კმ. სამხრეთით. ქალაქთან მას დახვდა ორი ბედუინი (ხეთების მეფის მსტოვრები), რომლებმაც მოახსენეს, რომ აზიელებმა დაიხიეს ჩრდილოეთით, ალეპოს მიმართულებით, და ტუნიპს იქით იმყოფებიან. მოტყუებულმა რამსესმა გადაკვეთა ორონტი თავის დანაყოფთან ერთად, მაშინ, როცა მისი ჯარის სხვა დანაყოფები ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყო. ამ დროს ხეთების ჯარი (სავარაუდოდ ასევე 20 000), გაძლიერებული სირიელი მოკავშირეების ძალებით, ქადეშში იყო გამაგრებული და შესანიშნავად ხედავდა რამსესის გადაადგილებას. როცა ეგვიპტელი დაიძრა ქალაქისაკენ დასავლეთის მიმართულებით, ხეთებმა სასწრაფოდ მოახდინეს თავიანთი ძალების დისლოკაცია აღმოსავლეთით და სამხრეთით ისე, რომ ქალაქი მათ და ეგვიპტურ ძალებს შორის ყოფილიყო მოქცეული. ამისათვის ხეთებს მოუხდათ ძალების ნაწილის ორონტზე გადყვანა, მაგრამ მათი გადანაცვლება ქალაქით იყო შენიღბული. რამსესი, სავარაუდოდ სავსებით დარწმუნებული, რომ მოწინააღმდეგე შორსაა, დაბანაკდა შედარებით მცირე რაზმით ქალაქის ჩრდილოეთით. ამგვარად ხეთებმა, ოსტატური მანევრირებით, დაიკავეს საუკეთესო პოზიცია, რომლის ოპტიმალურად გამოყენებით რამსესის სრული განადგურება სავსებით რეალური იყო. ამ დროისათვის ფარაონს წამოეწია თავისი ამონის დანაყოფი, მაგრამ ჯარისკაცებმა დაიჭირეს ხეთების ორი მსტოვარი, რომლებიც ცემით აიძულეს ეთქვათ სიმართლე. შეშფოთებული, რამსესი სასწრაფოდ აგზავნის ვეზირს თავისი დანაყოფებისაკენ ბრძანებით, რომ მათ ნაბიჯს აუჩქარონ, მაგრამ ამ დროს ხეთები იწყებენ შეტევას ეტლოსნებით, რომლებიც შეიჭრნენ რას დანაყოფის შუაგულში მაშინ, როცა ჯარისკაცები ჯერ კიდევ მარშით მოდიოდნენ და არ იყვნენ მზად საბრძოლველად. ჯარისკაცები გარბიან ჩრდილოეთისაკენ და ირევიან ამონის დანაყოფში. ამ დროს ხეთების ეტლოსნები იჭრებიან თავად რამსესის ბანაკში, ფარაონი რაღაც მომენტში სრულიად მოწყვეტილია თავისი დანაყოფიდან, და უკვე ხედავს მოწინააღმდეგეს, რომელიც მისკენ ოთხი მხრიდან მოიწევს. დღევანდელი გადასახედიდანაც ადვილი წარმოსადგენია ის

ტოტალური არეულობა, რომელმაც შეიძლება დაისადგუროს ჯარში, როცა ასეთი მასშტაბური ბრძოლა სრულიად მოულოდნელად იწყება. მხოლოდ რამსესის პირადმა ვაჟკაცობამ გადაარჩინა ეგვიპტელების ჯარი სრული განადგურებისაგან (Breasted, 1962, III, §§ 298-300). ქადეშის ბრძოლა არა მარტო ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ბრძოლაა მსოფლიო ისტორიაში. ის საინტერესოა იმითაც, რომ ეს არის ქრონოლოგიურად პირველი ბრძოლა, სადაც შეიძლება თვალი გავადევნოთ მოწინააღმდეგეების გადაადგილებას და ბრძოლის ტაქტიკას. რამსესი არ აღმოჩნდა დიდი სტრატეგი ან განჭვრეტის უნარით დაჯილდოებული მხედართმთავარი, მაგრამ მისი პირადი გამბედაობა და ვაჟკაცობა პატივისცემას იმსახურებს, რადგან მხოლოდ ამ თვისებების წყალობით მოახერხა თავისი თავის და ჯარის გადარჩენა. რადგან მის მთავარ მიზეზს ქადეშის აღება და ხეთების მცირე აზიაში გაძევება წარმადგენდა, შეიძლება ითქვას, რომ რამსესი საბოლოო ჯამში დამარცხდა, მაგრამ ის დაბრუნდა ეგვიპტეში, როგორც გამარჯვებული. მან მოათავსებინა ბრძოლის აღწერა მრავალი ტაძრის კედელზე (არც ერთ მოვლენას არა აქვს დათმობილი ეგვიპტეში ამდენი კედლის სივრცე კარნაკში, ლუქსორში, დასავლეთ თებეში, აბიდოსში, აბუ სიმბელში, და სავარაუდოდ დელტის იმ ტაძრებში, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია). წარწერები გვამცნობს, თუ როგორ იბრძოდა რამსესი მტრების შუაგულში და როგორ ამხნევებდა ჯარს პირადი მაგალითით, თუ როგორ სთხოვა ამონს დახმარება, და ღმერთის წყალობით გაანადგურა 2500 ეტლისაგან შემდგარი ხეთების ავანგარდი. ეგვიპტური ტექსტებიდან იკვეთება საოცარი კონტრასტი მებრძოლ რამსესს და მუვათალის შორის, რომელიც თვითონ არც ერთხელ არ ჩაბმულა ბრძოლაში. რასაკვირველია, შეუძლებელია დავიჯეროთ, რომ ერთმა მეომარმა ასეთი სასწაული მოახდინა, მაგრამ აშკარაა ისიც, რომ მახეში გაბმულმა და ალყაშემორტყმულმა რამსესის ჯარმა მოახერხა თავის დაღწევა ისე, რომ ვერც მუვათალიმ იზეიმა სრული გამარჯვება, და ამაში უდავოდ რამსესის დამსახურებაც უნდა დავინახოთ. მომდევნო წლებში რამსესმა მოანყო კიდევ რამდენიმე კამპანია პალესტინასა და სირიაში, დაიპყრო ასკალონი, მაგრამ საბოლოოდ ორივე სახელმწიფომ გაიაზრა, რომ უპრიანი იყო დაზავება და ძალის დაზოგვა ზღვის ხალხების მზარდი იერიშების მოსაგერიებლად. რამსესის მეფობის დაახლ. ოცდამეერთე წელს ეგვიპტემ და ხეთებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომელიც ურთიერთ-

დახმარებასაც ითვალისწინებდა. დღეს ჩვენს ხელთ არის ხელშეკრულების როგორც ხეთური, ასევე ეგვიპტური ვარიანტი. ორივე მათგანის თანახმად, დაზავების ინიციატივა მოპირდაპირე მხრიდან მოდიოდა. რამდენადაც ცნობილია, შეთანხმება არც ერთ მხარეს არ დაურღვევია. დაახლ. ორმოცდაათი წლის შემდეგ მერნეპტახმა გააგზავნა ხორბალი ხეთების ქვეყანაში, როცა იქ შიმშილი იყო, რაც მიუთითებს, რომ ხელშეკრულება კიდევ მოქმედებდა. შეთანხმების კიდევ უფრო განსამტკიცებლად, მეფობის ოცდამეთოთხმეტე წელს რამსეს II დაქორწინდა ხეთების მეფის (ამ დროისათვის ხატუსილის) ქალიშვილზე (Wilson, 1957, 245-250). რამსესის ბოლო წლები მშვიდობიანი იყო, და ის ძალიან ბევრს აშენებდა. ნუბია, სადაც რამსესმა კამპანია მეფობის დასაწყისში ჩაატარა, დაწყნარებული იყო. აქ თხრიდნენ ახალ ჭებს ოქროს მოსაპოვებლად და ბევრს აშენებდნენ (ცნობილი აბუ სიმბელის გარდა, რამსესმა ნუბიაში დერის, ბეტ ელ-ვალის, ვადი ეს-სებუას, გერფ ჰუსეინის და აკშეს ტაძრები ააგო). კარნაკში მან დაასრულა ჰიპოსტილური დარბაზის მშენებლობა, გაადიდა ლუქსორის ტაძარი (მიუშენა წინა ეზო პილონებით), დასავლეთ თებეში აიგო გრანდიოზული მოსახსენიებელი ტაძარი, რომელიც რამესეუმის სახელით არის ცნობილი. მამის მსგავსად, აიგო მოსახსენიებელი ტაძარი აბიდოსშიც. იმდროინდელი მსოფლიოს პოლიტიკური რუკის გათვალისწინებით, სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილას, აღმოსავლეთ დელტაში დაიწყო ახალი დედაქალაქის, პირამსესის მშენებლობა, სადაც სამეფო რეზიდენცია გადაიტანა (Helck, 1968, 188). ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში მან იზეიმა 14 ხებსედი — მეტი, ვიდრე ნებისმიერმა სხვა ფარაონმა. დაიკრძალა რამსეს II მეფეთა ველზე, მაგრამ მოგვიანებით მისი მუმია გადაიტანეს ცნობილ დეირ-ელ-ბაჰარის სამალავში, სადაც აღმოაჩინეს 1881 წელს. 1995 წელს მეფეთა ველზე აღმოჩენილი იქნა გრანდიოზული სამარხი (KV 5, დაახლ. 200 კორიდორით და ოთახით), სადაც რამსესის ვაჟიშვილებია დაკრძალული (http://www.narmer.pl/kv/kv05en.htm). **რამსეს III** (ჩვ.წ.-მდე 1194-1163 წწ.) XX დინასტიის მეორე ფარაონია. მისი მამა, ნაკლებად ცნობილი ფარაონი სეტნახტი, რომელიც XX დინასტიის დამაარსებლად ითვლება, შესაძლოა რამსეს II-ის შვილიშვილი იყო. რამსეს III ეგვიპტის უკანასკნელ დიდ ფარაონად და საუკეთესო სტრატეგად არის მიჩნეული, რადგან საბრძოლო გამარჯვებებს იხვეჭდა იქ, სადაც მისი ცნობილი სეხნია დიპლომატიას იშველიებდა. მეფობის მეხუთე წელს

წარმატებით ებრძვის ლიბიელებს, მერვე წელს უკუაგდო ზღვის ხალხების გრანდიოზული შემოსევა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეგვიპტის ისტორიისათვის — აქ დამარცხებას ქვეყანა შეიძლება დასასრულამდე მიეყვანა. გაძევების შემდეგ მტერს დასავლეთ აზიის ტერიტორიამდე სდია, რითაც გამორიცხა მისი ხელახალი თავდასხმა. მეთერთმეტე წელს ისევ დაამარცხა ლიბიელები. ამჯერად, მომავალი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, მან აიძულა ათასობით ტყვე, გადმოეკვეთათ ნილოსი და ისინი ეგვიპტის სამხედრო ბანაკებში ჩაასახლა. ეს რამსეს II-ის პილოტიკის გაგრძელება იყო, რომელსაც ასევე ჩამოჰყავდა სამხედრო ტყვეები ეგვიპტეში. ამ პოლიტიკით რამსეს II-მ და III-მ საფუძველი ჩაუყარეს დიდ ლიბიურ დასახლებებს დასავლეთ დელტაში, რომლებმაც შემდგომში ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეგვიპტის ისტორიაში (Kitchen, 1973, § 206). ცნობილია რამსეს III-ის რამდენიმე მთავარი დედოფალი, ერთი ქალიშვილი და ათამდე ვაჟიშვილი, რომელთაგან ორი (რამსეს IV და VI) ფარაონი გახდა. რამსეს III-თან დაკავშირებულია ასევე დიდი შეთქმულება, რომელსაც მისი ერთ-ერთი ცოლი, ტიი ხელმძღვანელობდა. შეთქმულება მიზნად ისახავდა ფარაონის მოკვლას თებეში, ოპეტის დღესასწაულის დროს. სავარაუდოდ, ტიის უნდოდა ტახტზე თავისი შვილის, პენტაურის აყვანა. შეთქმულება გაიხსნა, და მონაწილეები გაასამართლეს. პროცესს, რომელიც აღწერილია ე.წ. „ჰარამხანის შეთქმულების პაპირუსში", თვითონ რამსეს III ხელმძღვანელობდა, მაგრამ ის პროცესის მიმდინარეობის დროს გარდაიცვალა — თავისით, თუ შეთქმულებმა მაინც მიაღწიეს საწადელს, ცნობილი არ არის. თუმცა მის მუმიას არავითარი ძალადობის კვალი არ ატყვია. პროცესის ხელმძღვანელობა რამსესის შვილმა და მემკვიდრემ, რამსეს IV-მ გააგრძელა. შეთქმულები სიკვდილით დასაჯეს (ეგვიპტეში სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მხოლოდ ფარაონს შეეძლო), მათ შორის დედოფალიც, თუმცა ზოგიერთ მათგანს შესთავაზეს თვითმკვლელობა საწამლავის მიღების გზით (Breasted, 1962, IV, §§ 416-456). რამსეს III-ის მეფობის დასასრულს ქვეყანაში დაინყო სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, რაზეც მეტყველებს სამეფო ნეკროპოლისის მსახურების — დეირ ელ-მედინეს მცხოვრებთა გაფიცვა. შესაძლოა, ეს დიდი ბრძოლების და მშენებლობების შედეგიც იყო. რამსეს III ბევრს აშენებდა. ყველაზე ცნობილია მისი მედინეტ-ჰაბუს მოსახსენიებელი ტაძარი, შესანიშნავი ბრძოლის სცენებით ლიბიელებთან და

ზღვის ხალხებთან. მან ასევე დაიწყო ხონსუს ტაძრის რეკონსტრუქცია ამონის კარნაკის ტაძარში. რამსეს III-ის სამარხი მეფეთა ველზე ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამარხია. **რამსეს IV** (ჩვ.წ.-მდე 1156-1151 წწ.) რამსეს III-ის მეხუთე ვაჟიშვილი იყო. რამსეს III-მ ის დანიშნა თავის მემკვიდრედ თავისი მეფობის ოცდამეორე წელს, მეოთხე უფროსი ვაჟიშვილის გარდაცვალების შემდეგ (Clayton, 1994, 167). სავარაუდოდ, ტახტზე ასვლის დროისათვის ის დაახლოებით ორმოცი წლის იყო. მან არა მარტო მოაგვარა დეირ ელ-მედინეს პრობლემა, არამედ გააორმაგა მისი მოსახლეობა, რადგან ტახტზე ასვლისთანავე დაიწყო გრანდიოზული სამშენებლო პროექტები. მან საგრძნობლად გაზარდა მამის მიერ დაწყებული ხონსუს ტაძარი და დაიწყო გრანდიოზული მოსახსენიებელი ტაძრის მშენებლობა ხატშეპსუტის დეირ ელ-ბაჰარის ტაძრის სიახლოვეს. შემონახულია ორი სტელა ვადი ჰამამატის ქვის სამტეხლოებიდან. პირველზე ის გვამცნობს, რომ თავად იმოგზაურა სამტეხლოებისაკენ, რადგან ჰქონდა ზმანება. მეორე სტელიდან ვიგებთ, რომ მეფობის მესამე წელს სამტეხლოებში 8368 კაცისაგან შემდგარი ექსპედიცია გაგზავნა (Breasted, 1962, IV, §§457-468). ჩვენამდე მოაღწია ასევე უაღრესად საინტერესო დოკუმენტმა (აბიდოსის სტელა), რამსეს IV-ის ლოცვამ, რომელშიც ის ეევედრება ღმერთს, მისცეს მეფობის მეტი წლები, ვიდრე მის ცნობილ სეხნიას, რამსეს II-ს ჰქონდა (Breasted, 1962, IV, §§ 468-471). მიუხედავად ასეთი ვედრებისა, რამსეს IV მეფობის მეექვსე წელს გარდაიცვალა. **რამსეს V** (ჩვ.წ.-მდე 1151-1147 წწ.) რამსეს IV-ის ვაჟიშვილი იყო. მისი მეფობის დროს საგრძნობლად გაიზარდა ამონის ქურუმების ძალაუფლება, რომლებსაც ქვეყნის სატაძრო მიწების უდიდესი ნაწილი ეკუთვნოდა. ამას გარდა, ისინი სახელმწიფო ფინანსებსაც აკონტროლებდნენ და სავარაუდოდ გადასახების დიდი ნაწილი ხაზინის ნაცვლად მათთან მიედინებოდა (Gardiner, 1961, 297). ბუნდოვანია მისი სიკვდილის გარემოება, რადგან ზოგიერთი ვარაუდით, ის მოაკვლევინა ბიძამ, რამსეს VI-მ, და ტახტის უზურპირება მოახდინა. ამის ეჭვს ბადებს ისიც, რომ რამსესმა მიითვისა სამარხი (KV 9), რომელიც რამსეს V-თვის მზადდებოდა, და ის სხვა სამარხში (KV 35) დაკრძალა (Rice, 1999, 167). მეორე მხრივ, რამსეს V-ის მუმიაზე აღმოაჩინეს ყვავილით დაავადების ნიშნები, ასე რომ ის შესაძლოა, დაავადების მსხვერპლი გახდა (Hornung in: Donadoni (ed), 1997, 297). **რამსეს VI** (ჩვ.წ.-მდე 1147-1143 წწ.) რამსეს III-ის შვილი და რამსეს V-ის ბიძა იყო. მის შესახებ ცოტა

რამ არის ცნობილი. მისი მეფობის დროს უმაღლესი ძალაუფლება რეალურად ამონის მთავარი ქურუმის ხელშია. **რამსეს VI** არის ახალი სამეფოს უკანასკნელი ფარაონი, რომლის სახელი ნაპოვნია სინაის მაღაროებთან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მის შემდეგ მაღაროების დამუშავება წყდება (Grimal, 2003, 288). დაკრძალვის შემდეგ ძალიან მალე მისი სამარხი გაძარცვეს, რის შემდეგაც ფარაონის მუმია რამსეს V-ის სამარხში (KV 35) გადაასვენეს. ძვირფასეულობის აგლეჯის მიზნით მძარცველებმა მუმიას მოკვეთეს ტერფები და ხელის მტევნები, და რამდენიმე ადგილას გადაამტვრიეს. **რამსეს VII** (ჩვ.წ.-მდე 1143-1136 წწ.) რამსეს VI-ის შვილი იყო. მისი მეფობის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი, თუმცა სავარაუდოდ მდგომარეობა ქვეყანაში სულ უარესდებოდა, რადგან ძალიან ავარდა ფასები ხორბალზე (Shaw (ed.), 2000, 301). **რამსეს VIII** (ჩვ.წ.-მდე 1136-1131 წწ.) რამსეს VII-ის ძმა იყო. მისი მეფობა ბუნდოვანია, სამარხი ნაპოვნი არ არის. **რამსეს IX** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1131-1112 წ. წ.) საკმაოდ ბევრს აშენებდა, განსაკუთრებით ჰელიოპოლისის მიდამოებში, მაგრამ მდგომარეობა ქვეყანაში სულ უარესდებოდა. მისი მეფობის მეათე-მეთხუთმეტე წლებში აღინიშნებოდა ლიბიელების თარეში დასავლეთ რეგიონებში, რაც მოსახლეობაში შიშს იწვევდა. მეცამეტე წლიდან ავორდა საშინელი სკანდალი, დაკავშირებული სამეფო სამარხების ძარცვასთან (Kitchen, 1973, § 207). რამსეს IX-მ გამოყო სპეციალური კომისია საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ სიტუაცია იმდენად უმართავი გახდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ უკეთ დაცვის მიზნით ფარაონების მუმიები, მათ შორის თავად რამსეს IX-ის, ქურუმებმა დეირ ელ-ბაჰარის ერთ დიდ სამარხში გადაასვენეს, თუმცა რამსეს IX-მ გაიმზადა თავისთვის სამარხი მეფეთა ველში, რამსეს II-ის სამარხის პირდაპირ (Rice, 1999, 168). **რამსეს X**-ის დაახლ. ათწლიანი მეფობის შესახებ (ჩვ.წ.-მდე 1112-1100) არაფერია ცნობილი. ცნობილი არ არის მისი წარმომავლობაც, თუმცა შესაძლოა ის რამსეს IX-ის ვაჟიშვილი იყო. ჯერჯერობით არ არის მოპოვებული არავითარი მასალა, რომელიც დაასაბუთებდა რამსეს IX-ის, X-ის და XI-ის ნათესავობას (Dodson-Hilton, 2004, 191). რამსეს X არის ახალი სამეფოს უკანასკნელი ფარაონი, რომლის ბატონობა ნუბიაზე დაფიქსირებულია ანიბაში მოძიებულ წარწერაში (Grimal, 2003, 291). **რამსეს XI** (ჩვ.წ.-მდე 1100-1070 წწ.) იყო უკანასკნელი რამესიდი და XX დინასტიის უკანასკნელი ფარაონი. მისი მეფობის დროს კულმინაციას მიაღწია კრიზისმა, რომელიც თანდათან

იკრებდა ძალას წინა რამესიდების დროს. ეგვიპტის გეოგრაფიული დაყოფა ორ ნაწილად (გაშლილი დელტა ჩრდილოეთში და ნაყოფიერი მინის ვიწრო დაბლობი სამხრეთში), რომელიც ძლიერი ფარაონების ხელში ქვეყნის უკეთესად ადმინისტრირებას უწყობდა ხელს (მაგ. ქვეყანას ჰყავდა ორი ვეზირი, ჩრდილოეთში და სამხრეთში), ასეთ პერიოდებში, პირიქით, ქვეყნის დაშლას აადვილებდა. ამას ემატებოდა ნუბია, რომელსაც ასევე საკუთარი მეფისნაცვალი ჰყავდა. რამსესის XI-ის მეფობის პირველ წლებში ამონის მთავარი ქურუმი თებეში, ამონემხატი, ფაქტიბრივად აღარ ემორჩილებოდა ფარაონს, და რამსესმა მისი გადასახლებაც კი ბრძანა. ამ საქმეში დასახმარებლად მან მიმართა ნუბიის ნაცვალს, პანეხსის. რამსესმა პანეხსის სთხოვა ასევე, დაემყარებინა წესრიგი თებეს რაიონში და უფრო ჩრდილოეთით, კინოპოლისამდე. ყველაფერმა ამან მომავალში საკმაოდ გაართულა საქმე. ამონემხატი გარკვეული დროის შემდეგ კვლავ იბრუნებს თანამდებობას, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ამონის მთავარი ქურუმი ხდება რამსეს-ნახტი, სავარაუდოდ ამონემხატის შვილი. რამსესის მეფობის მეცხრამეტე წელს თებეში ჩნდება სრულიად ახალი მთავარი ქურუმი, ხერიხორი. მისი წარმომავლობა უცნობია, მაგრამ ეს ადამიანი იქამდე უპრეცედენტო ძალაუფლებას იხვეჭს. ამონის მთავარი ქურუმის გარდა, ის თავს სამხრეთ ეგვიპტის ვეზირად, ნუბიის ნაცვალად და მთავარსარდლად აცხადებს, და თავიდან იწყებს წლების ათვლას, რის უფლებასაც ადრე მხოლოდ ფარაონები აძლევდნენ თავს. ხერიხორს ებრძვის პანეხსი, რომელსაც თავი ასევე სამხრეთ ეგვიპტის თავისებურ ბატონად მიაჩნია, და ეს ყველაფერი უფრო ამძიმებს სიტუაციას ქვეყანაში, რომელსაც აღარ ჰყავს რეალური მმართველი. სიტუაციას ამძაფრებს ლიბიელების თარეშიც დასავლეთ რეგიონებში. ასეთ ვითარებაში ჩრდილოეთში რეალურ ძალაუფლებას ხელში იგდებს ვინმე სმენდესი (ნესიბანებჯები), რომლის წარმომავლობა ასევე ბუნდოვანია. ჩვენამდე მოაღწია ამ დროის პაპირუსმა, სადაც აღნერილია ვინმე უნამუნის მოგზაურობა ბიბილოსში ამონის ახალი საზეიმო ბარკისათვის კედარის ჩამოსატანად. მას თებედან ისტუმრებს ხერიხორი, ჩრდილოეთში კი ხვდება არა ფარაონი, არამედ სმენდესი, რომელიც მას ტანისიდან ამგზავრებს. ამდენად, უკვე რამსესის სიცოცხლეში ქვეყანა რეალურად ორმა ძლიერმა ადამიანმა გაიყო. რამსესის გარდაცვალების შემდეგ სმენდესმა თავი ფარაონად გამოაცხადა, მაგრამ მისი უფლებამოსილება არ სცილდებოდა ჩრდილოეთ ეგვიპტეს. სამხრეთის მბრძა-

ნებლები ამონის ქურუმები იყვნენ, რომლებმაც ეს თანამდებობა მემკვიდრეობითად გამოაცხადეს (Kitchen, 1973, § 208-212). რამსესმა დაიწყო თავისი სამარხის აგება თებეში (KV 4), მაგრამ ის არ არის დასრულებული და ფარაონი იქ არ დაუკრძალავთ. მისი სამარხი დღემდე არ არის ნაპოვნი ((Rice, 1999, 168).

რაბი — (ეგვ. *Rʿj.t,* Wb II, 402). ახალი სამეფოდან ჩნდება რას სახელზე დაშენებული მდედრობითი ვარიანტი („-t" დაბოლოება ეგვიპტურ ენაში მდედრობითი სქესის ნიშანს წარმოადგენს). იგი იხმარება, როგორც ეპითეტი ქალღმერთებისათვის, რომლებიც ზეცის და მზის დედები იყვნენ — მაგ. ნუტი, ნეიტი და ხატხორი. მაგრამ არსებობდა ქალღმერთი, რომლისათვისაც „რატ" კომპონენტი საკუთარი სახელის შემადგენელი ნაწილი იყო — რატ-ტაუი — „ორივე ქვეყნის რატი" (ეგვ. *Rʿtꜣwj,* Wb II, 402). იყო მონტუს მეუღლე. ჰქონდა ანთროპომორფული იკონოგრაფია, მისი თავსაფარი სვავის თავის, ძროხის რქებისა და მზის დისკოს კომბინაციას წარმოადგენდა.

რაპოტეპი — (*Rʿ-ḥtp,* „რა მშვიდადაა", დაახლ. დადგენილი თარიღი — ჩვ.წ.-მდე 1650 წ.), ფარაონი. მეორე გარდამავალი პერიოდის დროს თებეში აღზევდა ნომარქების ოჯახი, რომელიც თავს XIII დინასტიის ფარაონების შთამომავლად აცხადებდა. რაპოტეპი იყო ამ ოჯახის პირველი წარმომადგენელი, რომელმაც სამეფო ტიტულატურა მიიღო. ამდენად, ის ითვლება იმ დინასტიის (XVII) დამაარსებლად, რომელმაც დაახლ. ერთი საუკუნის შემდეგ ქვეყნიდან ჰიკსოსები განდევნა. ცნობილია, რომ რაპოტეპმა მოახდინა ტაძრების რესტავრაცია კოპტოსსა და აბიდოსში, და მისი ძალაუფლება თითქმის მთელ სამხრეთზე ვრცელდებოდა (Rice, 1999, 164).

რედესია — სეტი I-მა აქ მდებარე მაღაროების უკეთ გასაკონტროლებლად ვადი აბადთან დააარსა საცხოვრებელი დაბა და ააგო ტაძარი, რომელიც მიუძღვნა „ენეადას". ამ „ენეადის" წევრები იყვნენ ამონი, რა, პტახი, ოსირისი, ხორი და თავად სეტი I — იგივე ღმერთები, რომლებსაც სეტი I-მა მიუძღვნა თავისი ტაძარი აბიდოსში. რედესიას ტაძარი აბიდოსის ტაძრის პატრონაჟის ქვეშ იმყოფებოდა (Bonnet, 1952, 630).

რენენუტეტი — (ეგვ. *Rnn.t, Rnnwt.t,* Wb II, 437), გველის სახის მქონე მოსავლის, საკვების და სამოსის ქალღმერთი. გამოისა-

ხებოდა მოსავალის აღების და ღვინის დაწურვის სცენებთან გველის ან გველისთავიანი ქალის სახით ძველი სამეფოს დრიდან. ბერძნები ეძახდნენ Thermuthis. მისი სახელი ერქვა ეგვიპტური კალენდრის მერვე თვეს (Pharmuthis, Wb II, 437). ითვლებოდა, რომ მოსავალი მისი კურთხევით მოიწეოდა, რადან „ნაყოფიერი მიწის" და „ბეღლების ქალბატონი" იყო. რენენუტეტი იყო ასევე „ქსოვილების და ტანსაცმლის დამზადების ზედამხედველი" ტაძრებში და ითვლებოდა, რომ ღმერთებს და მეფეებს რენენუტეტის ტანსაცმელი ეცვათ. მისი ეს ფუნქციაც მოსავალთან იყო დაკავშირებული, რადგან ეს განსაკუთრებით თხელი ქსოვილი სელისაგან მზადდებოდა (Bonnet, 1952, 803). თერმუტისის ქსოვილს მაგიური ძალა მიეწერებოდა. იყო ასევე სიხარულის და კეთილდღეობის პერსონიფიკაცია. მოგვიანებით მას ადამიანის ბედის განმსაზღვრელადაც მიიჩნევდნენ, რომელიც იხედებოდა დროში და ადამიანის ცხოვრების წლების რაოდენობას ადგენდა. ამიტომ მოხდა მისი დაახლოება ბედის ღმერთთან, შაისთან. ითვლებოდა ასევე, რომ მესხენტთან ერთად ეხმარებოდა ბავშვს დაბადებისას და მასში ცხოვრების სურვილს აძლიერებდა (Hart, 2005, 136). პირამიდების ტექსტებში ფარაონის ურეუსთან არის იდენტიფიცირებული (PT 302, 454). რენენუნეტი საერთო ეგვიპტური ქალღმერთი იყო და საკულტო ადგილები სხვადასხვაგან ჰქონდა. მისი დღესასწაული იყო მერვე, მისივე სახელის მქონე თვეში, როცა მოსავალს იღებდნენ. ეს დღესასწაული ასევე მარცვლის ღმერთის, ბავშვის იკონოგრაფიის მქონე ნეპერის დაბადების დღედ იყო მიჩნეული (Bonnet, 1952, 803). რენენუტეტი ხშირად გამოისახებოდა ჩვილი ნეპერით კალთაში და ამ სახით ხანდახან ისიდასთან და ჩვილ ხორთან იყო გაიგივებული (Коростовцев, 1976, 139).

რეშეპი

რეშეპი — (ეგვ. *Ršp,* Wb II, 455), სირიული წარმოშობის მებრძოლი ღვთაება. მისი კულტი ეგვიპტეში XVIII დინასტიიდან ვრცელდება. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, ზემო ეგვიპტის თეთრი გვირგვინით, რომელზეც ურეუსის ნაცვლად გაზელის თავი იყო მიმაგრებული. მისი ატრიბუტები იყო საბრძოლო ნაჯახი, შუბი და ფარი. დინასტიის და მისი ფარაონების საბრძოლო ხასიათზე მეტყველებს გიზესთან ნაპოვნი ამონხეტეპ II-ის სტელა. მისი ტექსტის თანახმად, რეშეპი და ასტარტა მხიარულობენ, რადგან ფარაონი ძალიან კარგად უელის თავის საბრძოლო ცხენებს. ითვლებოდა, რომ რეშეპი ანადგურებდა ფარაონის მტრებს. საჭირო იყო უბრალო ხალ-

ხისათვისაც, რადგან თავისი ძალით და იარაღით შეეძლო ავადმყოფობის განდევნა. მოგვიანებით შეერწყა მინს (Bonnet, 1952, 638; Hart, 2005, 137).

რეხმირა — თოტმეს III-ის და ამონხეტეპ II-ის ვეზირი და პელიოპოლისის მთავარი ქურუმი. ცნობილია თავისი შესანიშნავი სამარხით შეიხ აბდ ელ-ქურნაში (თებეს ნეკროპოლისი), რომელიც უმნიშვნელოვანესად ითვლება ახალი სამეფოს სამარხებს შორის. სამარხის კედლებზე ხატოვნად არის გადმოცემული ქვეყნის მთავარი ვეზირის ყოველდღიური საქმიანობა — ელჩების მიღება, საქონლის აღწერა, ეგზოტიკური ხარკის მიღება და ოჯახური სადილი. მაგრამ ყველაფერზე მნიშვნელოვანია სამარხის კედლებზე მოთავსებული გრძელი ტექსტი, რომელშიც, თავად რეხმირას ბიოგრაფიის გარდა, ვრცლად არის მოთხრობილი ვეზირის მოვალეობების შესახებ. ტექსტი შუქს ჰფენს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქვეყნის მართვის ორგანიზაცია, ურთიერთობა ფარაონთან, საზღვრების კონტროლი, კანონდამრღვევებთან ურთიერთობა, ნომების მართვა და სხვ (Breasted, 1962, II, §§663-759).

რკინა — ყველაზე ადრეული რკინის ნივთები, აღმოჩენილი ეგვიპტეში, არის 9 მძივის მარცვალი, რომლებიც ნაპოვნია ბადარიულ სამარხებში გერზასთან. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ისინი მეტეორიტული რკინისაგან იყო დამზადებული. თუმცა ითვლება, რომ ყველა ადრეული რკინის საგანი მეტეორიტული რკინისაგან იყო დამზადებული, ხანდახან რკინას შემთხვევით იღებდნენ სპილენძის გამოდნობის პროცესში. სავარაუდოდ, სწორედ ასეთი რკინისაგან არის დამზადებული ახალი სამეფოს პერიოდით დათარიღებული რკინის ნივთები. ეგვიპტელები ასხვავებდნენ მეტეორიტულ და გამოდნობის შედეგად მიღებულ რკინას, რადგან ახალი სამეფოდან, როცა ამ პროცესით მიღებული რკინა უფრო ხელმისაწვდომი გახდა, გაჩნდა ტერმინი „ცის რკინა" (ეგვ. *biꜣ n pt*). ხელსაწყო, რომელიც გამოიყენებოდა მუმიაზე პირის გაღების რიტუალის ჩატარების დროს, ყოველთვის მეტეორიტული რკინისაგან მზადდებოდა. თანამედროვე არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, ეგვიპტეში რკინის ხანა რეალურად დაახლ. ჩვ.წ.-მდე 700 წელს დაიწყო, რადგან რკინის მიღებისათვის საჭირო ტექნოლოგიის არსებობა მხოლოდ ამ დროიდან არის დაფიქსირებული (Bard (ed.), 1999, 526).

როზეტას ძვა — ბილინგვა, რომელიც ეგვიპტური იეროგლიფების წაკითხვის გასაღები გახდა. აღმოჩენილია 1799 წლის აგვისტოში ნაპოლეონის ჯარების ოფიცრის მიერ პატარა სოფელ რაშიდ-როზეტასთან, ალექსანდრიიდან 70 კმ. დაშორებით, საფორტიფიკაციო სამუშაოების დროს. შავი გრანიტის ფილა, რომელზეც აღმოჩნდა წარწერები ბერძნულად, ეგვიპტური იეროგლიფებით და დემოტიური შრიფტით, მაშინვე გაიგზავნა ნაპოლეონის მიერ ახლად დაარსებულ „ეგვიპტის ინსტიტუტში" კაიროში. მან უდიდესი ინტერესი გამოიწვია, და თავად ნაპოლეონმა ბრძანა მისი სასწრაფოდ კოპირება და გამოცემა, რის შემდეგაც პირველი სახელდახელო ასლი გადაეცა ფრანგულ ეროვნულ ინსტიტუტს (Institut National). 1801 წ. ინგლისის მიერ საფრანგეთის დამარცხების შემდეგ პოლიტიკურ გამარჯვებასთან ერთად ინგლისმა მოიპოვა უფლება ყველა იმ არტეფაქტზე, რომელიც ნაპოლეონის ექსპედიციის მიერ იქნა მოძიებული. მათ შორის იყო როზეტას ქვაც, რომელიც ჩავიდა ინგლისში 1802 წ., სადაც დღეს ბრიტანეთის მუზეუმშია გამოფენილი. მეცნიერებმა საფრანგეთსა და ინგლისში ერთდროულად დაიწყეს ქვაზე მუშაობა. სიძნელე წარმოიშვა ბერძნული ტექსტის თარგმანთან დაკავშირებითაც, რადგან ის შესრულებული იყო იმ დროისათვის ნაკლებად ცნობილ პტოლემაიოსების სამეფო კარის ენაზე. ტექსტი გაეგზავნა ევროპის ცნობილ სამეცნიერო საზოგადოებებს, და მისი შინაარსი საბოლოოდ დადგენილი იქნა. აღმოჩნდა, რომ ქვაზე მოთავსებულია ჩვ.წ.-მდე 196 წ. მემფისში ეგვიპტის ქურუმების კრების მიერ პტოლემაიოს V ეპიფანეს (ჩვ.წ.-მდე 203-181) პატივსაცემად მიღებული დეკრეტის ტექსტი. ქურუმები მადლიერებას გამოხატავდნენ მეფისადმი იმ პრივილეგიებისათვის, რომლებიც მან ეგვიპტელ ქურუმებს მიანიჭა. შემდგომი კვლევისათვის უმნიშვნელოვანესი იყო კოლოფონი, რადგან ის იუწყებოდა, რომ დეკრეტის ტექსტი უნდა შესრულებულიყო იეროგლიფებით, დემოტიური დამწერლობით და ბერძნულად, და აღმართულიყო ეგვიპტის ყველა მნიშვნელოვანი ტაძრის ეზოში, რაც ნიშნავდა, რომ როზეტას ქვა შეიცავდა ერთსა და იმავე ტექსტს, შესრულებულს ბერძნულ და ეგვიპტურ ენებზე (ორი სხვადასხვა დამწერლობით). რადგან იმ დროისათვის ჯერ კიდევ გავრცელებული იყო აზრი იეროგლიფების სიმბოლური ბუნების შესახებ, დემოტიური დამწერლობა კი ალფაბეტური ეგონათ, ეგვიპტური ტექსტის წაკითხვის მცდელობა ბუნებრივად დემოტიური ტექსტით დაიწყო. პირველი მკვლევარი, რომელიც „შეებრძო-

ლა" ეგვიპტურ ტექსტს, იყო იმ დროისათვის ევროპის ნამყვანი ორიენტალისტი, ფრანგი მეცნიერი სილვესტრ დე სასი. ის შეეცადა დემოტიურ ტექსტში ამოეცნო ბერძნულ ტექსტში მოხსენიებული საკუთარი სახელები, რომ შემდეგ ამოკითხული ალფაბეტური ნიშნები ცალკეული ეგვიპტური სიტყვების წასაკითხად გამოეყენებინა და კოპტურის დახმარებით დაედგინა მათი მნიშვნელობა. მან დაახლოებით ნაიკითხა სახელები „ალექსანდრე" და „პტოლემაიოსი", მაგრამ უფრო შორს ვეღარ წავიდა, და თავისი შრომის შედეგები დანიელ მეცნიერს და დიპლომატს, იოჰან დ. აკერბალდს გადასცა. აკერბალდმა მოახერხა, დაედგინა ტექსტში მოხსენიებული საკუთარი სახელების უმრავლესობა (ალექსანდრე, არსინოე, ბერენიკა, აიეტი) და დემოტიური დამწერლობის 29 ნიშანი, რომელთაგან უმეტესობა სწორი აღმოჩნდა. მან ასევე დაადგინა, რომ ბგერა „f", რომელიც კოპტურში მესამე პირის, მხოლობითი რიცხვის, მამრობითი სქესის ნაცვალსახელის აღმნიშვნელი იყო, იგივეს ნიშნავდა დემოტიურ ტექსტში. ამას გარდა, მან ამოიკითხა რამდენიმე სიტყვა (მაგ. „ტაძარი", „სიყვარული", „სიმრავლე"), რომლებიც ასევე შესაბამისი კოპტური სიტყვების იდენტური აღმოჩნდა. აკერბალდის აღმოჩენა დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან მან დაამტკიცა, რომ კოპტური ძველი ეგვიპტელების ენა იყო. მაგრამ მან ვერ მოახერხა უფრო შორს წასვლა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ დემოტიური დამწერლობა მხოლოდ ალფავიტური ნიშნებისაგან შედგებოდა. შემდეგი ნაბიჯი რიზეტას ქვის წაკითხვაში ეკუთვნის ცნობილ ფიზიკოსს თომას იუნგს. 1814 წლის ზაფხულში მან დაიწყო დემოტიური და იეროგლიფური წარწერების შესწავლა, შეადარა ერთმანეთს როზეტას ქვის დემოტიური და იეროგლიფური წარწერები ადრე მოძიებულ იერატიული პაპირუსებს და მივიდა დასკვნამდე, რომ დემოტიური დამწერლობა იერატიული დამწერლობის განვითარების შემდეგ სტადიას წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, იეროგლიფების სწრაფი წერის შედეგად ჩამოყალიბდა. ამგვარად, იუნგმა დაამტკიცა, რომ იეროგლიფური, იერატიული და დემოტიური დამწერლობები რეალურად ერთი (იეროგლიფური) დამწერლობის განვითარების სხვადასხვა სტადიას წარმოადგენს. მან ასევე მიუსადაგა ერთმანეთს როზეტას ქვის ბერძნულ და დემოტიურ წარწერებში მოხსენიებული საკუთარი სახელები და მათგან ერთი („პტოლემაიოსი") ამოიკითხა იეროგლიფურ ტექსტშიც, სადაც ის კარტუშში იყო ჩასმული. ეს იყო პირველი წაკითხული იეროგლიფები, რომლებმაც ცხადყო, რომ საკუ-

კარტუშები, რომელთა დახმარებითაც შამპოლიონმა გამიფრა როზეტას ქვა:

პტოლემაიოსი



თოტმესი

კლეოპატრა

თარი სახელი ამ დამწერლობაშიც ყოველი სიმბოლიზმის გარეშე, ალფაბეტური ნიშნებით იყო შედგენილი. მან ასევე დაადგინა იეროგლიფური დამწერლობით შესრულებული რამდენიმე სიტყვა (მაგ. „პტახი", „ღმერთი", „ქურუმი"), მაგრამ მოექცა მცდარი წარმოდგენის ქვეშ, რომ ფონეტიკურად იეროგლიფებით მხოლოდ უცხოურ სახელებს წერდნენ. შემდეგი და უკვე გადამწყვეტი ნაბიჯი ეკუთვნის ფრანგ მეცნიერს ჟ. ფ. შამპოლიონს. განსხვავებით იუნგისაგან, რომლისათვის ეგვიპტური დამწერლობის წაკითხვა, მისივე სიტყვებით, წარმოადგენდა გასართობს და დასვენებას ფიზიკაში სერიოზულ კვლევებს შორის, შამპოლიონისათვის ეს მთელი სიცოცხლის საქმე იყო (Iversen, 1961, 137). იუნგის მიღწევებიდან მან იცოდა, რომ იეროგლიფური ნიშნები შეიძლებოდა ფონეტიკური ყოფილიყო, და დაიწყო მეფეების სახელების სიების შედგენა. მათი იდენტიფიცირება ადვილად იყო შესაძლებელი, რადგან კარტუშებში იყო ჩასმული. როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ დემოტიური, იერატიული და იეროგლიფური ერთი დამწერლობის განვითარების სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენდა და მათ შორის არ იყო სისტემური განსხვავება, დაიწყო დემოტიური დამწერლობით შედგენილი სახელების გადაყვანა იერატიულ, შემდეგ კი იეროგლიფურ დამწერლობაზე. „პტოლემაიოსის" ამგვარი ტრანსფორმირების შემდეგ, მან „კლეოპატრა" იეროგლიფურ დამწერლობაში გადაიყვანა. კლეოპატრას დემოტიური დაწერილობა ცნობილი იყო ე.წ. კასატის პაპირუსიდან (Pap. Casatti), მაგრამ სჭირდებოდა ორიგინალური იეროგლიფური ტექსტი დედოფლის სახელით, რომ თავის სისწორეში დარწმუნებულიყო. ამაში მას დაეხმარა 1815 წ. ინგლისელი მოგზაურის ვ. ბენკსის მიერ კუნძულ ფილეზე აღმოჩენილი ობელისკი ეგვიპტური წარწერით, რომლის ფუნდამენტზე მოთავსებულ ბერძნულ წარწერაში მოხსენიებული იყვნენ პტოლემაიოსი და კლეოპატრა. ობელისკი მოგზაურმა ევროპაში გადმოიტანა, სადაც დღემდე მისი ოჯახის პარკს ამშვენებს. ობელისკის რეპროდუქციებმა, რომლებიც შამპოლიონს 1822 წ. ჩაუვარდა ხელში, სრულად დაადასტურა მისი კვლევის სისწორე. შემდეგი გარღვევა მოხდა ასევე 1822 წ., როცა შამპოლიონმა ცნობილი აბუ სიმბელის ტაძრის იეროგლიფური წარწერების ასლები მიიღო, სადაც მისი ყურადღება მიიპყრო კარტუშში ჩასმულმა სახელმა, რომელიც შეიცავდა „მზის" ნიშანს და სრულდებოდა უკვე ცნობილი, „ს"-ს აღმნიშვნელი ნიშნით, მათ შორის კი უცნობი ნიშანი იყო გამოწერილი. კოპტურად მზე დაახლოებით ჟღერდა, როგორც



რამსესი

„რა“, და იმ გენიალური მიხვედრით, რომელიც ჩვეულებრივ მრავალწლიანი დაუღალავი შრომის შედეგს წარმოადგენს, შამპოლიონმა დაასკვნა, რომ უცნობი ნიშანი დაახლოებით იკითხება, როგორც კოპტური „დაბადების“ აღმნიშვნელი სიტყვა („mise“), და რომ მან ეგვიპტური სახელი „რამსესი“ ამოიკითხა. მის მიგნებას ამყარებდა ისიც, რომ როზეტას ტექსტში იგივე იეროგლიფი დაახლოებით იგივე კონტექსტში იყო მოთავსებული. ამგვარად, შამპოლიონმა საბოლოოდ დაადგინა, რომ ეგვიპტური იეროგლიფები არა სიმბოლურ, არამედ ჩვეულებრივ დამწერლობას წარმოადგენდა და ისინი ფონოგრამებისა და იდეოგრამებისაგან შედგებოდა. მისი ძიების შედეგის ოფიციალური გაცხადების თარიღი, 1822 წლის 27 სექტემბერი, დღეს ეგვიპტოლოგიის, როგორც მეცნიერების დაბადების თარიღად ითვლება. მაგრამ შამპოლიონი ბოლომდე დარწმუნებული იყო ეგვიპტური და კოპტური ენების სრულ იდენტურობაში, რამაც ბევრი სიტყვის მცდარ წაკითხვამდე მიიყვანა. კოპტური ეგვიპტური ენის განვითარების ბოლო საფეხურს წარმოადგენს და როგორც ყველა ენაში, აქაც საქმე გვაქვს ცვლილებებთან, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში ყველა ენა განიცდის. ამას გარდა, მან ვერ შეიგრძნო განსხვავება ერთ, ორ და სამბგერიან იეროგლიფებს შორის და ყველა ისინი ერთბგერიანი ეგონა. მაგ. „*mn*“, „*ms*“, „*mj*“ და „*mr*“ ორბგერიან ნიშნებს ყველას ერთნაირად კითხულობდა, როგორც „*m*“-ს, რამაც საოცრად გაზარდა ალფაბეტური ნიშნების რიცხვი და შეაჩერა ეგვიპტური ნიშნების წაკითხვა, სანამ გერმანელმა მეცნიერმა რიხარდ ლეფსიუსმა მოახდინა მათი დიფერენცირება. მანვე დაადგინა, რომ ეგვიპტურ დამწერლობაში, თანამედროვე არაბულის მსგავსად, არ ხდებოდა ხმოვნების დაფიქსირება. მის შემდეგ, კიდევ ბევრი მეცნიერის შრომის შედეგად, დღეს შესაძლებელია ყველა ეგვიპტური დამწერლობით შესრულებული ტექსტის წაკითხვა (Iversen, 1961, 124-146).

როსეტაუ — (ეგვ. *r-stꜣw*, Wb II, 398), ადგილი, რომელიც ხშირად მოიხსენიება გარდაცვლილთა ლიტერატურაში. სიტყვა-სიტყვით „როსეტაუ“ ნიშნავს „თრევის ადგილს“, და ასე მოიხსენიებდნენ სამარხში მიმავალ დაქანებულ კორიდორს. თანდათან ამ სიტყვამ უფრო ფართე მნიშვნელობა მოიპოვა, და „როსეტაუს“ ეძახდნენ ნეკროპოლისებს და ასევე სამყაროს, რომელიც ნეკროპოლისების მილმა იყო (Lesko in:Shafer(ed.), 1991, 120. „ორი გზის წიგნში“ (12-14 თავები) და „ამდუატში“(4-5

საათები) როსეტაუ იმქვეყნიური სამყაროს ნანილად სახელ-დება. მემფისის გარდაცვლილთა ღმერთის, სოკარის ეპითეტი იყო „ის, ვინც როსეტაუშია“ (PT 445). ეს სახელი ჰქონდა ასევე სოკარის ტაძარს გიზეში. ოსირისის კულტის აღზევების შემდეგ როსეტაუ ოსირისსაც უკავშირდება.

რუტი – (ეგვ *rw.tj*, Wb II, 403), ლომების წყვილი, რომელსაც ლეონტოპოლისში, ჰელიოპოლისის ჩრდილო-დასავლეთით (თანამედრ. თელ ელ-იაჰუდიე) ეთაყვანებოდნენ. ძალიან ადრე მოხდა მათი გაიგივება ატუმის შვილების პირველ წყვილთან – შუსთან და ტეფნუტთან. უკვე პირამიდების ტექსტებში ვკით-ხულობთ, რომ ლომების წყვილი შუ და ტეფნუტია (PT 447). ამ წყვილს ექვემდებარებოდა შიმშილი და წყურვილი, და იგი გარდაცვლილთა მსხვერპლშეწირვას განაგებდა (Kees, 1980, 7, 221).

რძე – ითვლებოდა მედიუმად, რომელიც დედის სასიცოცხ-ლო ძალას ბავშვს გადასცემდა, ამიტომ ღმერთებისათვის და გარდაცვლილთათვის რძის შესაწირად მიტანა მხოლოდ წყურ-ვილის მოსაკლავად არ ხდებოდა. ითვლებოდა, რომ ფარაონი იგივე სასიცოცხლო ძალას ქალღმერთებისაგან იღებდა, ამი-ტომ ხშირია გამოსახულებები, როცა ის ქალღმერთის ძუძუს ან ღვთაებრივი ძროხის ჯიქანს წოვს. რძე ინკორპორირებული იყო ღვთაება იატში (*Ꜣ.t*), რომელიც გამოისახებოდა რძის დოქით თავზე (Bonnet, 1952, 459-460).

საათის ქალღმერთები — ეგვიპტელები დღესაც და ღამესაც 12 საათად ყოფდნენ. საათები უკვე პირამიდების ტექსტებშია დაფიქსირებული (PT 515). თითოეულ საათს სახელი ჰქონდა (სხვადასხვა დროს ეს სახელები იცვლებოდა) და ქალღმერთად იყო პერსონიფიცირებული, რადგან საათი (ეგვ. *wn w.t,* Wb I, 316) ეგვიპტურ ენაში მდედრობითი სქესის სიტყვაა. დღის საათების ქალღმერთებს თავზე მზის დისკოთი, ღამის კი ვარსკვლავით გამოსახავდნენ. მათ გვერდით ყოველთვის მცველი ღვთაება იდგა, ხანდახან ეს ხორის ან ლეტოპოლისის ხორის შვილები შეიძლებოდა ყოფილიყო.

საათისი

საათისი — (ეგვ. *Śtj.t,* Wb IV, 348), ანთროპომორფული სახის ქალღმერთი. გამოისახებოდა ქვემო ეგვიპტის მაღალი თეთრი გვირგვინით, რომელზეც ანტილოპას რქები იყო მიმაგრებული. მისი სამშობლო კუნძული სეხელია, მაგრამ უკვე ძველი სამეფოს დროს მისი კულტი გავრცელდა ელეფანტინაზე (PT 1116) და შუა სამეფოდან „ელეფანტინას ქალბატონი" და ხნუმის მეუღლე ხდება. ელეფანტინას ტაძარში ეთაყვანებოდნენ ასევე ტრიადას, რომელიც ხნუმის, სათისის და ანუკეტისაგან შედგებოდა (Kees, 1980, 151). ანუკეტთან გადახლართვის გამო ხდება „საზღვრების დამცველი" და „ნუბიის ქალბატონი". მისი თეთრი სამეფო გვირგვინი შესაძლოა დაკავშირებულია პირამიდების ტექსტების გამონათქვამთან, სადაც სათისი „ორივე მიწის" მფლობელად არის გამოცხადებული (PT 439), რაც ალბათ მის უძველეს პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიუთითებს (Sethe, 1930, § 204). ახალი სამეფოდან ასოცირდებოდა „რას თვალთან", ანადგურებდა მეფის მტრებს თავისი ისრებით. მაგრამ ამ რეგიონის ქალღმერთების მსგავსად, სათისი ძირითადად არის „ის, ვინც გრილ წყლებს გაიღებს". უკვე პირამიდების ტექსტებში სათისს ჭურჭლით მოაქვს ელეფანტინადან გამაგრილებელი სითხე გარდაცვლილი ფარაონის განსაწმენდად (Hart, 2005, 140).

საისი – (ეგვ. *Sꜣw*, Wb III, 420, თანამედრ. სა ელ-ჰაგარი), დასავლეთ დელტის მეხუთე ქვემოეგვიპტური ნომის მთავარი ქალაქი ნილოსის კანოპის ტოტთან. საისი ერთ-ერთი უძველესი ეგვიპტური ქალაქია, რომელიც შესაძლოა ჯერ კიდევ წინადინასტიურ პერიოდში პოლიტიკური გაერთიანების ცენტრს წარმოადგენდა (Baines in: O'Connor and Silverman (ed.), 1994, 103). ქალაქი ცნობილია ასევე ფარაონ ხორ-ახას (I დინასტია) ხის ფირფიტებიდან. ადგილობრივი ღვთაება იყო ნეიტი, რომელიც ერთ-ერთ უძველეს ღვთაებად არის მიჩნეული. დინასტიურ პერიოდში საისი არ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში ჩვ.წ.-მდე VIII საუკუნის შუახანებამდე, როცა XXIV დინასტიის ერთადერთმა ფარაონმა ტეფნახტმა საისიდან ბრძოლა გამოუცხადა ნუბიელ ფარაონებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ქალაქმა ჩვ.წ.-მდე VII საუკუნეში მოიხვეჭა, როცა საისელმა ფსამტიხ I-მა მოახერხა ქვეყნის გაერთიანება და უკანასკნელი ეგვიპტური (XXVI) დინასტია დააარსა.

საისური ეპოქა – რენესანსის ეპოქა და უკანასკნელი ბრნყინვალე პერიოდი ეგვიპტის ისტორიაში (672-525). ჩრდილოეთში ასურელების, სამხრეთში კი ნუბიელების ბატონობის დროს ინიციატივას ხელში იგდებს საისის ნომარქი ნეხო. იგი იღუპება ნუბიელებთან ბრძოლის დროს, მაგრამ მისი შვილი ფსამტიხი წარმატებით ასრულებს მამის საქმეს. ამ საკმაოდ არეულ პერიოდში, როცა აღმოსავლეთში ასურეთთან კონფლიქტის რეალური საშიშროება არსებობდა, სამხრეთი და თებე კი ნუბიელების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, მან დაიწყო ბრძოლა ეგვიპტის ნომარქების წინააღმდეგ და მიაღწია შეუძლებელს – კიდევ ერთხელ გააერთიანა ქვეყანა. მისი გამეფებით იწყება XXVI დინასტია (ფსამტიხ I, ნეხო II, ფსამტიხ II, აპრიესი და ამასისი). საისური პერიოდი ქრონოლოგიურად ემთხვევა უდიდეს ცვლილებებს ეგვიპტის მეზობელ ახლო აღმოსავლეთში, როცა ასურეთის დაპყრობითმა ომებმა მოსახლეობის დიდი მასები დაძრა საცხოვრებელი ადგილებიდან. ბერძნების და კარიელების გარდა, ეგვიპტეს ბევრმა ფინიკიელმა, სირიელმა და ებრაელმა შეაფარა თავი, რომლებიც ძირითადად დაქირავებულ ჯარისკაცებად მსახურობდნენ, მაგრამ ჯარისკაცებს მალე მოყვნენ ვაჭრები და ეგვიპტე თანდათან გაიხსნა უცხოელებისათვის. დელტაში დაარსდა ბერძნული და კარიული კოლონიები, სადაც გაცხოველებული ვაჭრობა მიმდინარე-

ობდა. ცოტა მოგვიანებით დაარსდა ასევე ებრაული კოლონია ელეფანტინაზე. ეგვიპტე თანდათან ჩაერთო სავაჭრო ურთიერთობების ქსელში, რომელიც მოიცავდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მცირე აზიიდან ეგეიდამდე (Grimal, 2003, 255). უცხოეთთან ასეთი მჭიდრო ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო რკინის პერიოდის დაწყება ეგვიპტეში, რაც სავარაუდოდ ბერძნების დამსახურებაა, რადგან რკინის გადასამუშავებელი უძველესი ღუმელები სწორედ საისური პერიოდით თარიღდება და აღმოჩენილია ნავკრატისში და ბერძნულ სავაჭრო ფორტში დაფნაში. თავის მხრივ, ეგვიპტე გამოდგა უდიდესი კატალიზატორი ბერძნული ცივილიზაციის შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ეგვიპტური მოდელები იყო უდიდესი სტიმული იმისათვის, რომ საბერძნეთში, ჩვ.წ.-მდე მეშვიდე საუკუნის დასასრულისათვის, დაიწყეს მონუმენტური ქვის ქანდაკებების შექმნა და გაჩნდა ქვის კოლონები დაჭრილი კაპიტელებით (Law, 2002, 94). ამ ვითარებაში ეგვიპტე ღია იყო უცხოური გავლენისათვის ხელოვნებაშიც, მაგრამ ამ სფეროში, პირიქით, იდეალურ მოდელად საისური ფარაონები ძველი სამეფოს ეგვიპტეს ირჩევენ. არქაული ტენდენციები იგრძნობა ლიტერატურაშიც, ხდება ძველი თანამდებობების და წოდებების აღდგენა. საისის ფარაონების თავისებურ გავლენაზე ქვეყანაში მიუთითებს ის ფაქტიც, რომ თებე, ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, აღარ იყო ტონის მიმცემი რელიგიაში და ხელოვნებაში, და აღორძინდა მემფისის ტრადიციები, რომელიც ამ დროს კვლავ ქვეყნის პოლიტიკური დედაქალაქი გახდა. XXVI დინასტიის დროს ძირითადი დამწერლობის ფუნქცია (არალიტერატურული ტექსტებისათვის) იტვირთა დემოტიურმა, და ე.წ. „თებეს აბნორმალური ჰიერატიული" თანდათან დავიწყებას მიეცა. ფსამტიხმა ქვეყნის ადმინისტრაციული რეორგანიზაციაც მოახდინა. თავიდან ის არ ეხებოდა სამხრეთ ეგვიპტის მმართველობას, მაგრამ საკმაოდ შემპარავად დაიწყო სამხრეთში ჩრდილოელი მოხელეების დანიშვნა, რომლებსაც უფრო ენდობოდა. იმავდროულად, საისის მეფეები არ შეხებიან ძველი ტრადიციის მქონე ფეოდალურ სამფლობელოებს, როგორიც იყო ჰერაკლეოპოლისი, და რომლებიც გახდა მათი საყრდენი ცენტრალური მმართველობის შესანარჩუნებლად. რაც შეეხება საერთაშორისო პოზიციებს, მიუხედავად იმისა, რომ ძველი იმპერიული დიდება აღარ დაბრუნებულა, ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროში ეგვიპტე მაინც სერიოზულ ძალად რჩებოდა. საისური პერიოდი ხელოვნების საოცარი გა-

ფურჩქვნის და ეკონომიკური ბრწყინვალების ხანა იყო, მაგრამ რესტავრაცია ხანმოკლე გამოდგა — 525 წ. სპარსეთის მეფის კამბიზის არმიამ აიღო მემფისი და სიკვდილით დასაჯა დინასტიის უკანასკნელი ფარაონი ფსამტიხ III, რომელმაც მხოლოდ ექვსი თვე იმეფა და მეფედ კურთხევაც კი ვერ მოასწრო (Grimal, 2003, 355-357).

საკმეველი — საკმეველის კმევას ეგვიპტურ საკულტო მსახურებაში უდიდესი როლი ენიჭებოდა, რადგან ითვლებოდა, რომ მას ბოროტი სულების განდევნა შეეძლო. ლიბაციასთან ერთად, ის განწმენდის რიტუალის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა. საკმეველის ძალით ბოროტი სულების განდევნა ტაძრებიდან და ქალაქებიდანაც ხდებოდა (Breasted, 1962, IV. §§ 865, 871). საკმეველის სურნელი ღმერთების სურნელად იყო მიჩნეული. ითვლება, რომ ეგვ. „*snḏ*“ — „საკმეველი“ „ღმერთების სურნელიდან“ წარმოიშვა („*stjnḏ*“, Sethe, 1928,.206).

საკრალური ქორწინება — წარმოიდგინებოდა, როგორც ქორწინება ღვთაებასა და მოკვდავ ქალს შორის. უკვე პირველი ეგვიპტელი ფარაონი ღვთაებად (ხორად) წარმოიდგინებოდა, მეოთხე დინასტიიდან კი ის „ხორი, რას ვაჟიშვილი“ „ხდება“, რაც ნიშნავდა, რომ ის ღმერთის და მოკვდავი ქალის შვილი იყო. ამიტომ დიდი ღვთაება (რა, ახალი სამეფოდან კი ამონი) წარდგებოდა მოკვდავი დედოფლის წინაშე „თავისი ღვთაებრივი სახით“, და მას მომავალ ფარაონს ჩაუსახავდა. როგორც ჩანს, თანდათან ჩამოყალიბდა ამ მოვლენის ამსახველი ტექსტი და ილუსტრაციები, რომლებმაც სტერეოტიპის სახე მიიღო. ეს იქიდან ჩანს, რომ ჩვენამდე მოღწეული ამ მოვლენის ამსახველი ორი ყველაზე სრული ტექსტი (ხატშეპსუტის დეირ ელ-ბაჰარიში და ამონხეტეპ III-ის ლუქსორში) და ილუსტრაციები, რომლებიც მათ ახლავს, პრაქტიკულად იდენტურია. ხატშეპსუტის დაბადების შესახებ ვკითხულობთ, რომ „ამონ-რამ მიიღო მისი უდიდებულესობის, აა-ხეპერ-კა-რას (თოტმეს I) სახე. მან ნახა ის (დედოფალი) მძინარე სასახლის მშვენიერებაში. მას (დედოფალს) გაეღვიძა სურნელისაგან, რომელიც მისი უდიდებულესობისაგან იგრძნო. ის (ფარაონი-ღვთაება) მიიჭრა მასთან მაშინვე, და აღძრა მასში სურვილი, მან გააკეთა ისე, რომ დედოფალმა ის ღმერთის სახით დაინახა. როცა ის (ღმერთი) მას მიუახლოვდა, დედოფალი გააოცა მისმა სილამაზემ და სურნელმა, რომელიც მისგან იღვრებოდა“ (Breasted, 1962, II, § 196). შემდეგ

საკრალური ქორწინების სცენა

მოთავსებულია ამონის სიტყვები: „ხნემეტ-ამონ-ხატშეპსუტი იქნება სახელი იმ გოგონასი, რომელიც მე შენს სხეულში ჩავსახე. ის შესანიშნავი მეფე იქნება. ჩემი სული მისია, ჩემი გვირგვინი მისია, რომ მან მართოს ორივე ქვეყანა (ე.ი. ეგვიპტე), რომ ის გაუძღვეს ადამიანებს" (*იქვე*, § 198). საკრალური ქორწინება მხოლოდ დედოფალთან იყო შესაძლებელი. დიპლომატიური მოსაზრებებით ფარაონს შეიძლებოდა რამდენიმე ცოლი ჰყოლოდა, მაგრამ მხოლოდ დედოფლისაგან გაჩენილი შვილები ითვლებოდნენ ღვთაების მიერ ჩასახულ, და ამდენად, ღვთაებრიობის მატარებელ ბავშვებად, რადგან, ეგვიპტელის წარმოდგენით, ღვთაებრივი სისხლის „გადაცემა" მხოლოდ ქალის ხაზით იყო შესაძლებელი. შესაბამისად, ტახტის კანონიერი მემკვიდრეებიც მხოლოდ დედოფლის შვილები იყვნენ. თუ ფარაონს კანონიერი მემკვიდრე-ვაჟიშვილი არ ჰყავდა, მისი „მეორე რიგის" ცოლისაგან გაჩენილი ვაჟიშვილის ტახტზე ასვლის ლეგიტიმირება საკრალური ქორწინებით გაჩენილ ქალიშვილზე დაქორწინებით ხდებოდა. ამ წარმოდგენის გამო ეგვიპტეში ხშირად ჰქონდა ადგილი დინასტიურ დაძაბულობას (ხატშეპსუტის „გაფარაონებაც" ამიტომ გახდა შესაძლებელი).



მზის საკურთხეველი

საკურთხეველი — საკურთხეველს ეგვიპტურ კულტმსახურებაში დამოუკიდებელი საკრალური მნიშვნელობა არ გააჩნდა. ის განიხილებოდა, როგორც მხოლოდ ადგილი მსხვერპლშესაწირის მოსათავსებლად. შესაძლოა, გამონაკლისს მზის კულტი წარმოადგენდა, რადგან მზის ტაძრებში საკურთხეველი ყოველთვის მონუმენტურია და შემოლობილია დაბალი ღობით, რომელიც საკურთხეველის მიმდებარე ტერიტორიასაც გამოყოფდა, როგორც წმინდა ადგილს. ზუსტი მნიშვნელობა ბუნდოვანია.

სამართალი — ჩვენამდე მოაღწია მეორე დიდი პირამიდის მფლობელის, ხეფრენის (IV დინასტია) ვაჟის, უფლისწულ ნიკურას ანდერძის ტექსტმა, რომელიც ასე იწყება: „მეფის ვაჟი ნიკურა ბრძანებს შემდეგს, როცა ის არის ჯანმრთელი და საღ გონებაზე" (Breasted, 1962, I, § 193). ამ შესავალს მოჰყვება შვილების ჩამოთვლა და ქონების აღწერა, რომელიც თითოეულს უნდა შეხვდეს. თავისთავად ანდერძის შედგენის ფაქტი და მისი საოცრად თანამედროვე პრეამბულა ცხადყოფს, რომ უკვე მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარში ეგვიპტელებს სამართლებრივი შეგნება ჩამოყალიბებული ჰქონდათ. ეგვიპტელი-

სათვის „სიმართლე“ და „სამართალი“ (*mꜣʿ.t*, Wb II, 18-20) ერთ ცნებას წარმოადგენდა. მაატი იყო საყოველთაო წესრიგი, რომლის გარანტი ფარაონი უნდა ყოფილიყო. მეფის დარიგებაში შვილისადმი ვკითხულობთ: „დაიცავი სამართალი (მაატი), და ხანგრძლივი იქნება შენი ჟამი მიწაზე. სიკვდილით დასაჯე მხოლოდ აჯანყებული... დაიცავი ჩემი დარიგება მეფის ღირსებაზე. არ მოკლა შენი ქვეშევრდომი, რადგან ის შენ ღმერთმა ჩაგაბარა. სიყვარულით აავსე ქვეყანა. კეთილი მეფე ნათელ მოგონებებს ტოვებს“ (Коростовцев, 1978, 209, 221). ეგვიპტელების წარმოდგენით, სამართალი ყველასათვის ერთნაირი უნდა ყოფილიყო. „მაატი“ მოიცავდა როგორც რეალური, ასევე იდეალური სამართლის ცნებას. იდეალური სამართლის მისაღწევად და შესანარჩუნებლად, მაატი მუდმივ ძალისხმევას და კანონების სათანადო გამოყენებას ითხოვდა. სამწუხაროდ, თუმცა ვიცით ეგვიპტური სიტყვა, რომელიც ნიშნავს „კანონს“ (*ḥp*, Wb II, 489), თვითონ „კანონებს“ ჩვენამდე არ მოუღწევია. იმავდროულად ითვლება, რომ ისეთ ცენტრალიზებულ და საოცრად მოწესრიგებულ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი წერილობით ფიქსირდებოდა, შეუძლებელია არ ყოფილიყო ჩანერილი „კანონები“, მით უფრო, რომ ბერძნული ტრადიციის თანახმად, „დანერილი კანონები“ ქვეყანაში თითქმის მისი ისტორიის დასაწყისიდან არსებობდა (Bard (ed.), 1999, 439). ეგვიპტელი ბრძენის, იპუვერის გოდებაში, რომელიც პირველი გარდამავალი პერიოდით არის დათარიღებული, აღწერილია დიდი სოციალური კატაკლიზმები, რომლებიც ეგვიპტეს თავს დაატყდა. მრავალ უბედურებათა შორის ის ასახელებს შემდეგს: „სასამართლო პალატის წიგნები მიმოფანტულია, მათ ხალხი ფეხქვეშ თელავს და გლეჯს“ (Коростовцев, 1978, 232). იმავდროულად ცნობილია ბევრი საქმე, როცა სარჩელი სხვადასხვა კანონის შესაბამისად განიხილებოდა. ეგვიპტეში არ იყო ერთი მოსმართლის ცნება, „სასამართლოს“ ყოველთვის მოსამართლეთა ჯგუფი შეადგენდა, რომელიც სხვადასხვა დონეზე სხვადასხვა შემადგენლობის იყო. ნაკლებად მძიმე დანაშაულებები ან სანოტარო პრობლემები შეიძლებოდა განხილულიყო ადგილობრივი მოსახლეობიდან არჩეული წარმომადგენლებისაგან შედგენილი საბჭოების მიერ. ახალი სამეფოს დროს თებეს ნეკროპოლისში ასეთი საბჭო, „მთავარი ხელოსნის“ თავმჯდომარეობით, ადგილობრივი ხელოსნებისაგან შედგებოდა. მოსმენები ყოველთვის იწერებოდა სპეციალურად გამოყოფილი გადამწერის მიერ. იერარქიულად შედგენილი სასამართლო აღწევდა ფარაონამდე, რომელსაც

ეკუთვნოდა ბოლო სიტყვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საქმეების შემთხვევაში (Bard (ed.), 1999, 440-441).

სამარხი – იმქვეყნიური არსებობის შესახებ ოფიციალური ეგვიპტური წარმოდგენების თანახმად, სამარხს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გარდაცვლილის მარადიული არსებობა წარმოუდგენელი იყო სამარხის გარეშე. აქ იყო დაცული სხეული, გამოსახულებები, რომლებსაც სხეულის დაზიანების შემთხვევაში მისი მაგივრობა უნდა გაეწია და იმქვეყნიური არსებობისათვის აუცილებელი ყოველგვარი აღჭურვილობა; იმავდროულად, ეს გარდაცვლილის კას სახლიც (*ḥw.t kꜣ*) იყო, სადაც მისი კა, სამარხის გარეთ გადანაცვლების შემდეგ, აუცილებლად უნდა დაბრუნებულიყო. აქ უნდა შეწირულიყო გარდაცვლილისათვის მსხვრპლი და წაკითხულიყო ლოცვები. სამარხი საკულტო განყოფილებით იწყებოდა, რომელიც მეფეებთან თანდათან ცალკე მდგომ მოსახსენიებელ ტაძარში გადაიზარდა, მაგრამ კერძო პირების შემთხვევაში ყოველთვის სამარხის შიგნით იყო მოთავსებული. რამდენადაც ეგვიპტელებს სამარხი გარდაცვლილის იმქვეყნიურ საცხოვრისად ჰქონდათ წარმოდგენილი, ის ამქვეყნიური საცხოვრებლის სრულ ასლს წარმოადგენდა. მისი მიწისზედა ნაწილიც სახლის მსგავსად იყო აგებული, კედლებზე კი გარდაცვლილის ყოველდღიური ცხოვრების ამსახველი სცენები თავსდებოდა. დაახლ. XX დინასტიიდან, როცა გარდაცვლილის ადგილსამყოფელად ძირითადად დუატი (მიწისქვეშეთი) წარმოიდგინებოდა, ამგვარი სცენების ადგილს გარდაცვლილითა ლიტერატურის „ილუსტრაციები" იკავებს. სარკოფაგის კამერაში კედლების მოხატულობა გვიანი ძველი სამეფოს დროიდან ჩნდება. ძირითადად ესაა საკვების გამოსახულებები, რომლებსაც სამსხვერპლო სიები ახლავს თან, და ყოველდღიური მოხმარების ნივთები. სხეულის დასაცავად სარკოფაგის კამერის ოთხივე კედელთან თავსდებოდა აგური, რომელზეც მაგიური შელოცვების გარდა, ამოტვიფრული იყო ჯედ-სვეტი (დასავლეთის კედლის აგურზე), ტურის გამოსახულება (აღმოსავლეთით), უშებტის ტიპის ფიგურა (ჩრდილოეთით) და ჩირაღდანი (სამხრეთით). მიცვალებულს სამარხში თავით ჩრდილოეთისაკენ ათავსებდნენ, რომ მზის ამოსვლის „დანახვა" შეძლებოდა (Bonnet, 1952, 257-260). ამგვარად მოწყობილი სამარხი ორ ძირითად დანიშნულებას ასრულებდა: იცავდა გარდაცვალების საიდუმლოს და გარდაცვლილის გახსენებას ემსახურებოდა. თავისი არსებობით,

მას ცოცხლებისთვის გარდაცვლილი უნდა გაეხსენებინა. ამ ფუნქციიდან გამომდინარე, ის ხილული უნდა ყოფილიყო. მეორე მხრივ, სამარხი უნდა ყოფილიყო მუმიის ნავსაყუდელი და შეძლებისდაგვარად დაეცვა ის გარე სამყაროსთან უხეში შეხებისაგან (მაგ. მძარცველებისაგან). ის უნდა ყოფილიყო დამალული და დაცული, ამიტომ ეგვიპტური სამარხი ყოველთვის ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა: მას ჰქონდა განყოფილებები, სადაც შეიძლებოდა შესვლა, და სარკოფაგის კამერა, რომელსაც მიწის ქვეშ, ღრმად აგებდნენ. შახტა, რომელიც მასთან მისასვლელს წარმოადგენდა, ჩვეულებრივ იბლოკებოდა დაკრძალვის შემდეგ. ეს იყო არქიტექტონური მცდელობა, შექმნილიყო იდუმალი, შეუღწევადი და დაცული სივრცე მუმიისათვის, სადაც გარდაცვლილი, გამქრალი ცოცხლების სამყაროდან, გარდაცვალების საიდუმლოს უერთდებოდა (Assmann, 2005, 187).

სამება – ეგვიპტეში დაფიქსირებულია უძველესი სამება, როცა ერთი ღმერთი სამი სხვადასხვა სახით იყო წარმოდგენილი. „შენ წარმოიშობი, როგორც რა, შენს სახელში „ხეპრი“, შენ აღზევდები, როგორც რა, შენს სახელში „რა“, შენ ჩაესვენები ჰორიზონტზე, როგორც „რა“, შენს სახელში „ატუმი“ (PT 1995a-c, დაახლ. XXIV-XXII სს.).

სამსხვერპლო ლიტურგია – გარდაცვლილისათვის მსხვერპლის შეწირვამ თანდათან რიტუალის სახე მიიღო, რომელსაც ეგვიპტოლოგიაში სამსხვერპლო ლიტურგია ეწოდება. რიტუალზე მინიშნებები უკვე სამსხვერპლო სიებში შეიმჩნევა, შედარებით ზუსტი აღწერა პირველად უნისის (V დინასტია) და პეპი II-ის (VI დინასტია) პირამიდების კედლებზეა ჩაწერილი. სავარაუდოდ, ეს რიტუალი უძველეს დროში ჩამოყალიბდა და პრაქტიკულად არ შეცვლილა, რადგან XXVI საუკუნის სამარხში აღმოჩენილი ტექსტი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ძველ ჩანაწერებს. რიტუალი საკმევლის კმევით და ლიბაციით იწყებოდა, შემდეგ იწირებოდა შვიდი ზეთი, მწვანე და შავი კოსმეტიკური საღებავი და ორი თოფი ქსოვილი, რასაც ისევ ლიბაცია და საკმევლის კმევა მოჰყვებოდა. ეს იყო ერთგვარი ალუზია ყოველდღიურ დილის ტუალეტზე. ამას გარდა, საკმევლის, წყლის და ზეთის მაგიურ თვისებებს მიცვალებული ბოროტი, დამანგრეველი ძალებისაგან უნდა დაეცვა. ასევე უნდა დაეცვა ის სამოსსაც, რადგან ქსოვილი ფეიქრობის ქალღმერთის,

ტაიტის ხელდასხმით შექმნილად ითვლებოდა. ტაიტი უტოსთან და ნეიტთან იყო გადაჯაჭვული და ამდენად, მათი ძალების მატარებელიც იყო (PT 567), და ითვლებოდა, რომ ამ ძალებს მიცვალებულსაც გადასცემდა. ამის შემდეგ შემოპქონდათ სამსხვერპლო მაგიდა. საკვებს ჯერ მიწაზე დებდნენ, მიცვალებულის „გამოძახების" შემდეგ ზემოთ ასწევდნენ და ისევ მიწაზე მოათავსებდნენ. ამის შემდეგ იწყებოდა საკვების ჩამოთვლა. გამონათქვამები, რომლებიც ამ პროცესს ახლდა თან, საკვებს მოიხსენიებდა, როგორც „ხორის თვალს". ცერემონიის დასრულების შემდეგ ჭურჭელს ამსხვრევდნენ, მისი საერო მიზნით გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ცერემონიის ჩატარების ადგილი განსაკუთრებული „ნაფეხურების წაშლის ცერემონიით" უნდა განწმენდილიყო. ცერემონიის აღწერას ხშირად ახლავს ქურუმის გამოსახულება, რომელიც ადგილს უკან შეტრიალებული სახით და ცოცხით ხელში ტოვებდა. ხანდახან ცერემონიაში ქურუმი-დეკლამატორიც მონაწილეობდა, რომელიც გამონათქვამებს კითხულობდა. რიტუალს ხელმძღვანელობდა ქურუმი, რომელსაც „მსხვერპლშესაწირის განაწილების უფროსი (*ḥrj wꜣb ḥtp-nṯ* Wb I, 402) ერქვა (Bonnet, 1952, 554-557).

სანახტი — III დინასტიის ფარაონი. მის შესახებ არაფერია ცნობილი. უცნობია მისი ადგილიც III დინასტიის ფარაონების რიგში. შესაძლოა, ის იყო დინასტიის პირველი ან მეორე ფარაონი, ან იგივე ნებკა. სანახტის სახელი დაფიქსირებულია ელეფანტინაზე აღმოჩენილ საბეჭდავებზე, მისი ერთ-ერთი მობეღლის სამარხში აბიდოსში და სინაიზე, ვადი მაგარას ფირუზის მაღაროებში. საბეჭდავები სანახტის სახელით ნაპოვნია ასევე ჯოსერის პირამიდის კომპლექსის დასავლეთით, სადაც, შესაძლოა, მისი სამარხი მდებარეობდა (Grimal, 2003, 64).

მიკერინის სარკოფაგი (ძველი სამეფო)

სარკოფაგი — სარკოფაგს ეგვიპტელები „სიცოცხლის ბატონს" (*nb-ʿnḫ*, Wb I, 199) ეძახდნენ. ეგვიპტელს ჯერ კიდევ ნინადინასტიურ დროში ჩამოუყალბდა წარმოდგენა, რომ სხეულის დაზიანება ავის მომასწავებელი იყო მიცვალებულისათვის, ისტორიული ეგვიპტის წარმოდგენების თანახმად კი სხეულის დაზიანების შემთხვევაში მიცვალებულის სული მიუსაფარი იქნებოდა, რადგან თუმცა სულს სამარხის დატოვება და გადანაცვლება შეეძლო, მისი ნავსაყუდელი სხეული უნდა ყოფილიყო. ამიტომ სარკოფაგის უმნიშვნელოვანეს დანიშნულებას მიცვალებულის სხეულის ყოველგვარი ზიანისაგან დაცვა

წარმოადგენდა. მასზე მაგიურ ტექსტებს, შელოცვებს და ნახატებს ათავსებდნენ.



სარკოფაგების ტექსტები – ჩნდება დაახლ. ძველი სამეფოს დასასრულიდან და ძირითადად არასამეფო წარმოშობის ეგვიპტელების სარკოფაგებზე თავსდებოდა. მათ დანიშნულებას წარმოადგენდა გარდაცვლილის საიქიოში დაცვა და დახმარება, რომ ის აღზევებულიყო ზეცაში და მარადიული არსებობა ღმერთებთან ერთად გაეგრძელებინა, რაც აქამდე მხოლოდ ფარაონის პრეროგატივას წარმოადგენდა. თუმცა სარკოფაგების ტექსტები პრამიდების ტექსტების კორპუსის განვითარების შემდეგ საფეხურს წარმოადგენს და ბევრი რამ იქიდანაც არის გადმოტანილი, მაინც მასალის ძირითადი ნაწილი ახალია, რაც მათი „არასამეფო" წარმოშობითაც არის განპირობებული (Lichtheim, 2006, I, 131). ფარაონს გარდაცვალების შემდეგ შეეძლო მოეპოვებინა ადგილი რას გვერდით, თუ ის პირნათლად შეასრულებდა თავის ღვთაებრივ მისიას ამქვეყნიურ ცხოვრებაში. კერძო პირების შემთხვევაში, ამქვეყნიური მოვალეობებიდან გამომდინარე, ვითარება განსხვავებული იყო და მათი მარადიული საიქიო ცხოვრების ლეგიტიმირებაც განსხვავებულ დონეზე წყდებოდა. ეგვიპტეში ჯერ კიდევ ძველი სამეფოდან დაინყო გარკვეული მორალური წარმოდგენების კოდექსის ჩამოყალიბება, რომელიც საბოლოოდ დაიხვენა მკვდართა წიგნში და „ცოდვების უარყოფის სიით" არის ცნობილი. სამუდამო ნეტარებისათვის რიგით ეგვიპტელს ისე უნდა გაეტარებინა ცხოვრება, რომ არ დაერღვია ეს მორალური ნორმები, სხვა შემთხვევაში ის ვერ შეძლებდა მარადიულ კოსმიურ ციკლში მოხვედრას. ასეთმა წარმოდგენამ წინ წამოსწია საიქიო სამსჯავროს ცნება, რომლის წინაშე ყველა გარდაცვლილი ერთნაირად წარდგებოდა, და სადაც თითოეულ მათგანს თავისი უცოდველობა უნდა დაემტკიცებინა, რაც ჯერ ანონიმური „დიდი ღვთაების" წინაშე ხდებოდა, მაგრამ თანდათან, შუა სამეფოს დროს ოსირისის საოცარ აღზევებასთან ერთად, ოსირისის სამსჯავროს სახეს იღებს (Faulkner, 1999, 12). ამდენად, აქ ოსირისი უფრო მნიშვნელოვანი და გამოკვეთილი ფიგურა ხდება, და „გასამართლების" მიუხედავად, გარდაცვლილი ხან თავად ოსირისად, ხან კი მის მშველელად არის მოვლენილი (Grimal, 1988, 150). ახალია სარკოფაგების ტექსტებში ასევე საყვარელ ადამიანებთან, ძირითადად ოჯახის წევრებთან საიქიოში შეხვედრის მძაფრი სურვილი (Hornung, 1999, 7). ასევე

გვიანი ახალი სამეფოს სარკოფაგები ნარნერებით

ახალია წარმოდგენა, რომ გარდაცვლილს საიქიოს ლელიანის მინდვრებში ყანების დამუშავებაში უნდა მიეღო მონაწილეობა, ამიტომ სწორედ აქ ჩნდება პირველი უშებტის (ან შევაბტის) გამონათქვამები — ფიგურების, რომლებსაც ეს სამუშაოები გარდაცვლილის მაგივრად უნდა ეკეთებინათ (Faulkner, 1999, 12). გარკვეული გამონათქვამების დახმარებით უნდა მომხდარიყო გარდაცვლილის ტრანსფორმირება სხვადასხვა ღმერთად („ნებისმიერ ღმერთად, რომელიც შეიძლება ისურვო", CT 290), ასევე ფრინველად, ცეცხლად და სხვ. მრავალ გამონათქვამში მოხსენიებულია სამყაროს შექმნა, რადგან გარდაცვლილი ხშირად შემოქმედ ღვთაებადაც არის წარმოდგენილი. ზოგადად, სარკოფაგების ტექსტებში საიქიო სამყარო უფრო დრამატული და საშიშროებით სავსეა, ვიდრე პირამიდების ტექსტებში, თუმცა აქაც ციურ განზომილებაშია წარმოდგენილი. აქ პირველად ჩნდება აპოპი — გიგანტური გველი, რომელიც ყოველ ღამე ებრძოდა რას მისი ციკლიური კურსის შესაჩერებლად. სარკოფაგების ტექსტებით ფაქტობრივად გაუქმდა ის ექსკლუზიურობა, რომელიც გარდაცვლილ ფარაონს დანარჩენი მოკვდავებისაგან განასხვავებდა, რადგან ამიერიდან ყველა გარდაცვლილი, რომელსაც მატერიალური მდგომარეობა საშუალებას აძლევდა, შესაბამისი სამარხი და სარკოფაგი შეეკვეთა, შეიძლებოდა გარდაცვალების შემდეგ ოსირისი გამხდარიყო და ღმერთების კოსმიურ ციკლში ყოფილიყო ჩართული (Hornung, 1999, 7). ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სარკოფაგების ტექსტების გამონათქვამი, სადაც რა ამბობს, რომ მან ყველა ადამიანი თანასწორი შექმნა და არ უსნავლებია მათთვის ცუდის ჩადენა, მაგრამ ადამიანები ცუდს საკუთარი სურვილით სჩადიან (Lichtheim, 1006, 131-132). სარკოფაგების ტექსტების ძირითადი მასა შუა ეგვიპტეშია ნაპოვნი და XII დინასტიით არის დათარიღებული, თუმცა გამოიყენებოდა მთელ ქვეყანაში, დელტიდან ასუანამდე, ძირითადად შუა სამეფოს დასასრულამდე (XVII ს.ჩვ.წ.-მდე), როცა ისინი მკვდართა წიგნმა შეცვალა. მიუხედავად ამისა, ცალკეული გამონათქვამები ახალი სამეფოს სარკოფაგებზეც გვხვდება. ამას გარდა, მათ ათავსებდნენ სამარხების კედლებზე, კანოპებზე, სტელებზე, მუმიების ნიღბებზე და პაპირუსებზე. მათი ენა ძირითადად შუა ეგვიპტურია, ხანდახან ძველი ეგვიპტურის იმიტაციით. გამონათქვამებს წერდნენ ვერტიკალური სვეტებით, ე.წ. „კურსივის ტიპის" იეროგლიფებით, ან ადრე-იერატიულით. განსხვავებით პირამიდების ტექსტებისაგან, გამონათქვამები დასათაურებუ-

ლია. ემფატიურობისათვის გამოყენებულია წითელი მელანი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამონათქვამები მთლიანად წითელი მელნით არის შესრულებული. ეგვიპტური ტექსტის გამოცემა, რომელიც 1185 გამონათქვამს შეადგენს და დღემდე ყველაზე სრულყოფილად არის მიჩნეული, ეკუთვნის ა. დე ბუკს (A. de Buck, The Egyptian Coffin Texts, University of Chicago Press, vols.1-7, 1935-1961)

საფუძვლის ჩაყრის რიტუალი – ტაძრის საფუძვლის ჩაყრის რიტუალი უძველეს დროში ჩამოყალიბდა და ჩვენს ხელთ არსებული რიტუალის ამსახველი ტექსტების და ტაძრების კედლებზე მოთავსებული გამოსახულებების თანახმად უცვლელი დარჩა ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე (Bonnet, 1952, 264). იგი მომავალი ტაძრის საზღვრების დადგენას და მიწის კურთხევას გულისხმობდა და დაახლ. შვიდიდან თხუთმეტ დღემდე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. რიტუალს ჩვეულებრივ მეფე (ან, მისი სახელით, უმაღლესი რანგის ქურუმი) ატარებდა. მას თან ახლდა ქურუმი-დეკლამატორი, რომელიც ცერემონიის დროს შესაბამის გამონათქვამებს კითხულობდა (Shafer, 2005, 7). რიტუალი იწყებოდა მეფის (ან მისი „როლის" შემსრულებლის") და ქურუმების მსვლელობით მშენებლობის ადგილამდე. პროცესიას თანდათან ხალხი უერთდებოდა და გზადაგზა მსხვერპლშენირვები ტარდებოდა. წინ პროცესიას მიუძღოდა ის ღვთაება, რომელსაც ტაძარს უგებდნენ (Breasted, 1962, I, §506; II, § 608). მშენებლობის ადგილზე მისვლის შემდეგ მომავალი ტაძრის ადგილის და განლაგების მონიშვნა ხდებოდა. ამ დროს ითვალისწინებდნენ მის მდებარეობას ვარსკვლავებთან მიმართებაში. კუთხეების და კედლების მონიშვნის შემდეგ მეფე ქალღმერთ სეშატის დახმარებით (ქალღმერთის „როლში" ჩვეულებრივ სეშატის რეგალიებით მორთული მისი ქურუმი ქალი გამოდიოდა) ასობდა პალოებს ოთხივე კუთხეში და მათ შორის თოკს ჭიმავდა. ამის შემდეგ, გაჭიმული თოკების გაყოლებით, ითხრებოდა თხრილი. თხრილი საკმაოდ ღრმა უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ გრუნტის წყლებს გამოეჟონათ, რაც პირველყოფილი ნუნის სიმბოლოს წარმოადგენდა. „მიწის თოხნის" ცერემონიას „ქვიშის მობნევის" ცერემონია მოჰყვებოდა. ქვიშა თხრილში იყრებოდა და მას მომავალი ტაძარი გრუნტის (ნუნის) წყლებისაგან უნდა დაეცვა. რასაკვირველია, ორივე ცერემონიას სიმბოლური სახე ჰქონდა, რადგან მას მეფე ატარებდა. მომავალი ტაძრის კუთხეების ადგილას ითხრებოდა შახტები,

სადაც საფუძვლის შესაწირი თავსდებოდა — ეს იყო სამშენებლო იარაღების მოდელები და შეწირული ბატის და ხარის თავები. ამის შემდეგ მზადდებოდა აგურები თიხისაგან, რომლებიც საკმეველით განიწმინდებოდა და მათ მეფე ოთხივე კუთხეში ათავსებდა. ამასაც სიმბოლური ხასიათი ჰქონდა და როგორც ჩანს, იმ უძველესი დროიდან შემორჩა, როცა ეგვიპტელები ტაძრებს ჯერ კიდევ აგურით, და არა ქვით აგებდნენ (Shafer, 2005, 7). აგურების ქვის ბლოკებით შეცვლა მხოლოდ გვიანდელი პერიოდის ცერემონიებში მოხდა (Mariette, 1870, pl. 21). საფუძვლის ჩაყრის ცერემონიას ეგვიპტელები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რასაც ფარაონის უშუალო მონაწილეობა მოწმობს. ის ქურუმები, რომლებიც მას ეხმარებოდნენ, ღმერთების ნიღბებში იყვნენ და ღმერთებს განასახიერებდნენ.

საძძარა — მემფისის ნეკროპოლისის ყველაზე სამხრეთი ნანილი. სახელი მომდინარეობს ღვთაება სოკარიდან, რომელსაც აქ საკულტო ადგილი ჰქონდა (Mariette I, 48). უძველესი სამარხები I დინასტიით თარიღდება, მაგრამ ფარაონებმა სამარხების აგება საქქარაში II დინასტიიდან დაიწყეს. ამ დინასტიის სამარხებიდან განსაკუთრებით ნინეჩერის და ხეტეპსეხემუის მასტაბებია აღსანიშნავი. საქქარას ყველაზე ცნობილ ნაგებობას ჯოსერის საფეხუროვანი პირამიდა წარმოადგენს. აქაა ასევე V და VI დინასტიების ფარაონების — უსერკაფის, უნისის, ტეტის, პეპი I-ის და პეპი II-ის, ასევე პეპი II-ის დედოფლების — ნეიტის, უჯებტენისა და იპუტის პირამიდები. ეს პირამიდები აღსანიშნავია იმით, რომ მათ კედლებზე ე.წ. „პირამიდების ტექსტებია" მოთავსებული. მათ სიახლოვეს იყო ცნობილი პირამიდების ქალაქი. აღსანიშნავია ასევე შედარებით მცირე ზომის (50მ. სიმაღლის) უსერკაფის პირამიდა, რადგან ამ ფარაონმა მშენებლობები აბუსირში გააგრძელა, სადაც თავისი გრანდიოზული მზის ტაძარი ააგო. ის იყო პირველი ფარაონი, რომელმაც მშენებლობები აბუსირში გადაიტანა. შედარებით გვიანი პერიოდიდან აღსანიშნავია ფარაონების იბის (VIII დინასტია) და ხენჯერის (XII დინასტია) პირამიდები. სულ საქქარაში დღეისათვის 16 პირამიდაა აღმოჩენილი, ბოლო მათგანი (III დინასტიის ფარაონის, სეხემხეტის პირამიდა) ზ. გონეიმმა გასული საუკუნის შუახანს აღმოაჩინა (Гоннейм, 1959). პირამიდების გარდა, საქქარაში კიდევ ბევრი გამოცანაა. მაგ. IV დინასტიის ფარაონის, შეპსესკაფის მასტაბა, რადგან დღემდე უცნობია, თუ რატომ უღალატა ამ ფარაონმა უკვე ტრადიციულად ქცეულ პირამიდის ფორმას.

ჯოსერის პირამიდის სიახლოვეს, დაახლ. XVII დინასტიიდან, აპისის ხარების დასაფლავება დაიწყეს. რამსეს II-მ საკრალური ხარებისათვის მიწისქვეშა სამარხების უზარმაზარი კომპლექსი ააგო, სადაც მათ პტოლემაიოსების დროსაც კი ასაფლავებდნენ. ამ კატაკომბების თავზე ნექტანებოს II-მ აპისს დიდი ტაძარი მიუძღვნა. აქვე მდებარეობს ცნობილი 1 კმ. სიგრძის სფინქსების ალეა. სერაპისის კულტის აღზევების და მისი ოსირის-აპისის კულტთან შერწყმის შემდეგ ოსირის-აპისის ტაძარი სერაპეუმი გახდა. სერაპეუმის დასავლეთით მდებარეობდა ანუბისის ტაძარი, მის სიახლოვეს, დედოფალ იპუტის პირამიდის გვერდით კი ნაპოვნია ანუბისის საკრალური ცხოველის — ძაღლების სასაფლაო. ბასტეტის კულტის პოპულარობაზე მეტყველებს კატების სასაფლაო ტეტის პირამიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით, სიბრძნის ღვთაებასთან — თოტთან კი საქქარას ჩრდილოეთით მდებარე იბისების სასაფლაოა დაკავშირებული. გასული საუკუნის დასასრულს აღმოჩენილია ქვის ბლოკების გალავანი (გისრ ელ-მუდირი, 650 მx350მ), რომელიც ჩეხების ექსპედიციამ გათხარა 1990-იან წლებში. მისი მშენებელი და დანიშნულება დადგენილი არ არის, მაგრამ აქ ნაპოვნი კერამიკა II დინასტიით (და შესაძლოა, ხასეხემუის მეფობით) თარიღდება, და ამ ვარაუდის დადასტურების შემთხვევაში ჯოსერის პირამიდა აღარ იქნება მსოფლიოს უძველესი ქვის ნაგებობა. საქქარაში აიგო თავისი სამარხი XVIII დინასტიის ბოლო ფარაონმა ხორემხებმა, როცა ის ჯერ კიდევ ტუტანხამონის გენერალი იყო, თუმცა შემდგომში მეფეთა ველზე იქნა დასაფლავებული. საქქარას და აბუსირის საზღვართან, ცნობილი ბრძენის, იმხოტეპის სამარხთან, რომელიც ბერძნებმა ასკლეპიოსთან გააიგივეს, იყო ასკლეპეიონი, სადაც იმხოტეპს ჩვ.წ. IV საუკუნეშიც კი ეთაყვანებოდნენ. საქქარაში მდებარეობს ასევე დიდებულების მრავალი მასტაბა, რომლებიც 1924 წლამდე ქვიშაში იყო ჩამარხული და ამდენად არა მარტო თავად ნაგებობები, არამედ მათი შიდა მოხატულობაც არაჩვეულებრივად არის შენახული.

პაპირუსი

საწერი მასალა — ეგვიპტელების უდიდეს შენატანს მსოფლიო კულტურაში წარმოადგენს თავისი დროისათვის შესანიშნავი საწერი მასალის — პაპირუსის გამოგონება, რომელიც ფართოდ გავრცელდა მთელ იმდროინდელ სამყაროში. პაპირუსის სიძვირის გამო მას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ტექსტების ჩასაწერად იყენებდნენ. მოკლე საქმიანი დოკუმენტებისათვის ძირითადად ოსტრაკონები გამოიყენებოდა. „ოს-

ტრაკონი" ბერძნული სიტყვაა (ostrakon) და ზღვის ნიჟარას ან თიხის ჭურჭლის ნამსხვრევს ნიშნავს. ეგვიპტოლოგიაში „ოსტრაკონებს" ეძახიან კირქვის ნამსხვრევებს, რომლებიც საკმაოდ მოსახერხებელ საწერ მასალას წარმოადგენდა (Коростовцев, 1963, 19). ძალიან ფართო მოხმარება ჰქონდა ოსტრაკონებს სკოლებში, სადაც ეგვიპტელი მოსწავლეები სწორედ ოსტრაკონებზე ვარჯიშით ეუფლებოდნენ რთულ ეგვიპტურ დამწერლობას. სწორედ „სასკოლო ოსტრაკონებმა", რომლებიც პაპირუსზე გაცილებით უფრო გამძლეა, შემოგვინახა ბევრი ლიტერატურული ნაწარმოები და სხვა მნიშვნელოვანი ტექსტი. საწერ მასალად გამოიყენებოდა ასევე ტყავი, მაგრამ ტყავზე შესრულებული უძველესი ტექსტები ახალი სამეფოს პერიოდით არის დათარიღებული და საკმაოდ ცოტაა. ამას გარდა, ეგვიპტელები წერდნენ სამარხების და ტაძრების კედლებზე, სარკოფაგებზე, სტელებზე. შესაძლოა მათი დამწერლობის უაღრესად დეკორატიული მხარით იყო ნაკარნახები, რომ ეგვიპტელები წერდნენ ასევე ავეჯზე, ჭურჭელზე, სამკაულებზე და საერთოდ „ყველაფერზე, სადაც იყო ამისათვის ადგილი და შესაძლებელი იყო დაწერა" (Тураев, 1920, 32).

სახელი — ეგვიპტელთა რწმენით, სახელი საგნის, ადამიანის და თვით ღვთაების არსების ნაწილი იყო. ასეთი წარმოდგენის შედეგია კოსმოგონიები, სადაც სამყაროს შექმნა ღმერთის მიერ საგნის სახელის ხმამაღლა წარმოთქმით ხდებოდა, რაც ყველაზე თვალნათლად მემფისის კოსმოგონიურ სისტემაშია წარმოდგენილი. ხშირია შემთხვევა, როცა დემიურგი, რომელიც „თავისით" წარმოიშვა, „თავის სახელსაც ქმნის". ბავშვს უკვე დაბადებისას ჩვეულებრივ სახელის წარმოთქმით ეგებებოდნენ. სახელები ან თეოფორული იყო (მაშინ ადამიანი ამ ღვთაების მფარველობის ქვეშ მოიაზრებოდა), ან, საერო სახელის შემთხვევაში, ის ყოველთვის „კეთილი" ან „ბედნიერი" სიტყვებისაგან იყო შემდგარი. ცოცხალი ადამიანისათვის სახელს ამულეტის დანიშნულება ჰქონდა. მნიშვნელოვანი იყო სახელი გარდაცვლილისათვისაც, რადგან მისი „დავიწყების" შემთხვევაში მის მარადიულ არსებობას საშიშროება ემუქრებოდა. ამის საწინააღმდეგოდ მკვდართა წიგნში სპეციალური გამონათქვამებიც კი იყო (Tb. Kap.25) და მიცვალებულს სახელის ამულეტს ატანდნენ, რომელიც კარტუშის გამოსახულებას წარმოადგენდა. მაგრამ სახელი საშიშროების მატარებელიც იყო თავისი მფლობელისათვის — ის შეიძლებოდა ბოროტი

შელოცვების მსხვერპლი გამხდარიყო, რაც მის მფლობელზეც იმოქმედებდა. ეს საშიშროება არა მარტო ადამიანებისათვის, ღმერთებისათვისაც კი რეალური იყო. ამიტომ ღმერთებს საიდუმლო სახელები ჰქონდათ, რომლებიც ყველასათვის უცნობი იყო. ცნობილ მითში ისიდა დიდი ეშმაკობით შეძლებს გამოსტყუოს რას მისი „საიდუმლო სახელი", რომელიც, რასაკვირველია, ტექსტში მოხსენიებული არ არის (Roeder, 1915, 138). ასევე ეგვიპტელს, იმ სახელის გარდა, რომლითაც მას ჩვეულებრივ მიმართავდნენ (ამ სახელს „ლამაზი სახელი", „*rn nfr*" ერქვა), ყოველთვის ჰქონდა მეორე, „დიდი სახელი" ("*rn wr*"), რომელიც მხოლოდ ახლობლებმა იცოდნენ (Bonnet, 1952, 501-504).



სახმეტი

სახმეტი — (ეგვ. *Sḫm.t*, „ძლიერი", Wb IV, 250), ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლომის ქალღმერთებს შორის. გამოისახებოდა ანთროპომორფულად ან ლომის თავით. მთავარი საკულტო ადგილი იყო მემფისი, სადაც ეძახდნენ „ის, ვინც პტახს უყვარს". ახალი სამეფოდან იყო პტახის მეუღლე და ნეფერტუმის დედა. ამ ტრიადის წარმოშობის დრო ბუნდოვანია, რადგან მემფისში არ არის შემონახული არც ერთი ახალ სამეფოზე ძველი ტაძარი (Kees, 1980, 287). თავისი ბუნებიდან და სახელიდან გამომდინარე, სახმეტი მძვინვარე, მებრძოლი და სისხლის მოყვარული ქალღმერთი იყო. „ძროხის წიგნში" სწორედ მას დაეკალა ცოდვილი ადამიანების განადგურება (Roeder, 1915, 143). ასევე მძვინვარედ გვერდში ედგა მეფეს ბრძოლის დროს და მის მტრებს ანადგურებდა. მეფის მძვინვარებას სახმეტის მძვინვარებას ადარებდნენ (Breasted, 1962, I, § 747), რომელიც ცეცხლის ფრქვევით აცამტვერებს მტერს (*იქვე*, III, § 117). ამიტომ სახმეტის ერთ-ერთი წოდება — „წითელი სამოსის ქალბატონი" — დაკავშირებულია როგორც მისი სამშობლოს ფერთან (წითელი ქვემო ეგვიპტის და მისი გვირგვინის ფერი იყო), ასევე მისი მტრების სისხლით გაჟღენთილ ტანსაცმელთან (Hart, 2005, 139). როგორც ცეცხლის მფრქვეველი, ის გაიგივდა სამეფო გვირგვინის ურეუსთან და რას თვალთან, და მოიპოვა წოდება „დიადი მაგიით" (სამეფო გვირგვინების ერთ-ერთი სახელი, Junker, 1917, 52). გაიგივებული იყო სახმეტი მუტთან და ბასტეტთან, მაგრამ განსხვავებით „მშვიდობიანი" ბასტეტისაგან, მას „ველურ ბასტეტს" ეძახდნენ (Kees, 1980, 9). სახმეტს მიეწერებოდა ასევე ეპიდემიების (მაგ. შავი ჭირის) როგორც განდევნის, ასევე გამძვინვარების უნარი, ამიტომ ეგვიპტელი ექიმები, მძვინვარე ქალღმერთის „გულის მოსაგებად" თავიანთ თავს „სახმეტის

ქურუმებს" (*wʿb Sḫm.t.*) ეძახდნენ (*იქვე*, 8). თვითონ სახმეტმა ამის გამო მოიპოვა წოდება „სიცოცხლის ქალბატონი". ებერსის სამედიცინო პაპირუსის თანახმად, სახმეტის ქურუმები გულის მკურნალობის განსაკუთრებული სპეციალისტები იყვნენ.

სახურა — (ეგვ. *Ś̌ḥw-Rʿ*, „ის, ვინც ახლოსაა რასთან", დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2458-2446 წწ.), V დინასტიის მეორე ფარაონი. ტურინის პაპირუსის თანახმად, იმეფა 12 წელს. შესაძლოა, იყო უსერკაფ-ის შვილი. პირველმა აიგო პირამიდა აბუსირში. აქვე ააგო თავ-ისი მზის ტაძარი, მაგრამ ის აღმოჩენილი არ არის. ცნობილია, რომ მოაწყო ექსპედიციები ბიბლოსში, რადგან მისი პირამიდის კედლებზე გამოსახულია გემები, რომლებმაც სავარაუდოდ კე-დარის ხე ჩამოიტანა. ცნობილია მისი ექსპედიციები სინაიზე და დიორიტის სამტეხლოებში, აბუ სიმბელის მიდამოებში. მისი მო-სახსენებელი ტაძრის კედელზე გამოსახული სირიული დათვე-ბი ამ ჯიშის უძველეს გამოსახულებას წარმოადგენს. სახურას პირამიდის დასაკრძალი ოთახის კედლებზე მოთავსებულია ლი-ბიელებთან ბრძოლების სცენები, რაც ახსნილი იყო, როგორც სამხედრო ექსპედიცია ლიბიელების წინააღმდეგ, მაგრამ შემ-დეგ აღმოჩნდა, რომ ეს უფრო რიტუალური გამოსახულებაა და არა რეალური ბრძოლის ასახვა, რადგან ზუსტად იგივე სცენა (იგივე ლიბიელი დიდგვაროვნის სახელით) ნაპოვნია პეპი II-ის ტაძარში. იმ დროის ეგვიპტელებს სწამდათ, რომ სცენის რიტ-უალურმა ასახვამ შეიძლება მისი გამეორება გამოიწვიოს, ამ-იტომ ასეთი სცენების ინტერპრეტაციის დროს სიფრთხილეა საჭირო (Helck, 1968, 65). როგორც ჩანს, გრძელდებოდა კონტაქ-ტი ჩრდილოეთ ხმელთაშუაზღვისპირეთთანაც, რადგან ოქრო-თი მოვარაყებული სკამი სახურას სახელით ნაპოვნია დორაკში, ჩრდილო-დასავლეთ ანატოლიაში, ზღვის სანაპიროდან 200 კმ. დაშორებით. პალერმოს ქვაზე მისი მეფობის დროს დაფიქსირე-ბულია ასევე დღეისათვის ცნობილი ყველაზე ძველი ექსპედი-ცია პუნტში, საიდანაც საკმეველი და ელექტრუმი ჩამოიტანეს (Kemp in Trigger at All, 148, 136).

სებენიტოსი — მეთორმეტე ქვემოეგვიპტური ნომის მთა-ვარი ქალაქი ნილოსის დელტის დამიეტის ტოტის მარცხენა ნა-პირზე (დღევანდელი სამანუდი). ეგვ. სახელი — *Ṯb-nṯr* (Wb V, 361, „ღმერთის ხბო") მიგვანიშნებს ზეციური ძროხის და მისი ხბოს თაყვანისცემაზე უძველეს დროში, რაც ნომის ნიშანშიც (ძროხა და ხბო) არის ასახული (Montet, 1957, 103). მოგვიანებით მათი

კულტი ონურისმა და მისმა მეუღლემ, მეხიტმა „შთანთქეს". ქალაქის საკრალური სახელია „ონურისის სახლი" (Bonnet, 1952, 692). სებენიტოსი იყო ნექტანებოს II-ის მშობლიური ქალაქი. ქალაქის ჩრდილოეთით (ბეჰბეიტ ელ-ჰაგართან) ნექტანებოსმა დაიწყო ისიდასა და ოსირისისადმი მიძღვნილი დიდი ტაძრის მშენებლობა (ისეუმი), მაგრამ პროექტის განხორციელებას ხელი შეუშალა სპარსელების დაპყრობამ, და ტაძარის მშენებლობა უკვე პტოლემაიოს ფილადელფოსმა დაასრულა (Saunders, 2007, 194). სებენიტოსი ასევე ითვლება მანეთონის სამშობლოდ. თუმცა ქალაქი ძალიან ძველია, აქ მოძიებული უძველესი არტეფაქტები XIII დინასტიით თარიღდება, უძველესი მოხსენიება ტექსტებში კი სეტი I-ის მეფობით (Montet, 1957, 104).

სებიუმეკერი — ანთროპომორფული სახის მეროიტული შემოქმედი ღვთაება. თაყვანისცემის ცენტრი იყო დიდი სატაძრო კომპლექსი მუსავარატ ეს სუფრა ნილოსის მეექვსე ჭორომის აღმოსავლეთით (Hart, 2005, 141).

სედეინგა — ადგილი ჩრდილოეთ სუდანში, სადაც ამონხეტეპ III-მ თავის ცოლს, ტეიეს აუგო ტაძარი. აქ დედოფალს ეთაყვანებოდნენ, როგორც რას ცოლის, ხატხორის ერთ-ერთ გამოვლინებას. მიჩნეული იყო ასევე, რომ მასში ყველა ქალღმერთი იყო ინკორპორირებული. ტეიეს სახელი შემორჩა მეზობელ სოფელ ადეიში ეგვიპტური hwt Tiyi-დან, „ტეიეს სახლი" (O'Copnnor and Cline (editors), 1998, 6-7, 90).

სელკისი — მორიელის სახის ქალღმერთის, სერკეტის გრეციზირებული ფორმა (Selkis).

სელკეტი — *იხ.* სერკეტი.

სემერხეტი — (ეგვ. *Smr-ḫ.t*, „ღვთაებრივის თანმხლები", დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXVIIIს.), პირველი დინასტიის ფარაონი. პირველი მეფე, რომლის დროსაც დაფიქსირებულია მეფის „ორი ქალღმერთის" სახელი (Grimal, 2003, 57). მეფობდა ანეჯიბის შემდეგ. არსებობდა აზრი, რომ სემერხეტი იყო უზურპატორი, რადგან ის გამოტოვებულია მეფეთა საქქარას სიაში, და მის სამარხში ნაპოვნია ქვის ლარნაკები, რომლებზეც წაშლილია ანეჯიბის სახელი და ზემოდან სემერხეტის სახელია წარწერილი, მაგრამ ჯოსერის საფეხუროვან პირამიდაში ნაპოვნი ლარნაკე-

ბი ოთხი ფარაონის სახელით (დენი-ანეჯიბი-სემერხეტი-კაა) ადასტურებს, რომ ეს ასე არ იყო. მისი მეფობა ყველაზე მოკლეა პირველ დინასტიაში (დაახლ. 9 წელი) და სრულად არის დაფიქსირებული პალერმოს ქვის კაიროს ფრაგმენტზე, მაგრამ ხორის გაცილებების და მეფის რიტუალური გამოჩენების გარდა, არაფერი განსაკუთრებული მოხსენიებული არ არის. მისი აბიდოსის სამარხში ნაპოვნი სირია-პალესტინური ნარმოშობის ჭურჭლის ფრაგმენტები მიუთითებს, რომ ვაჭრობა ამ რეგიონთან გრძელდებოდა. სემერხეტი არის ერთადერთი პირველი დინასტიის ფარაონი, რომლის მეფობით არ თარიღდება არც ერთი ელიტარული სამარხი მემფისის ნეკროპოლისში, რაც მისი მეფობის ხანმოკლეობით აიხსნება. დაფიქსირებულია მაღალი რანგის მოხელე, სახელად ჰენუკა, რომელიც მოღვაწეობდა სემერხეტის და შემდეგ მისი მემკვიდრის, კაას დროს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სემერხეტის სამარხის წყობა, რომელიც განსხვავებულია მისი წინამორბედების სამარხებისაგან. აქ თანმხლები სამარხები უშუალოდ ემიჯნება ფარაონის სარკოფაგის ოთახს და საკარაუდოდ მათ ერთი საერთო მასტაბა ედგათ თავზე, რაც შესაძლოა გულისხმობს ფარაონის ცოლების და მსახურების ფარაონთან ერთად დაკრძალვას და, აქედან გამომდინარე, მათ მოკვდინებას (Wilkinson, 2001, 79-80). ვ. ემერის რეკონსტრუქციით სემერხეტი გაიგივებულია მანეთონის სემემპსესთან (Emery, 1961, 84), რომლის დროსაც, მანეთონის ცნობით, ბევრი უბედურება მოხდა (Manetho, 1960, 33).

სემნა (და კუმა) – ეგვიპტური ფორტები ნუბიაში, ნილოსის მეორე ჭორომის მიდამოებში. ამ ადგილას ნილოსს კვეთს გრანიტის კლდეების ბარიერი. დაბალი წყლის დროს კლდეებს შორის ერთი ვიწრო გასასვლელია. ნილოსის ადიდების პერიოდებში აქ მოედინება რამდენიმე სწრაფი დინება, რომელიც ნავიგაციას ძალიან ართულებს. მდინარის ნაპირებთან კლდე მაღლდება და ქმნის თითქმის ერთმანეთის პირდაპირ მდებარე ორ მაღალ ნახევარკუნძულს. ამ ამაღლებებზე XII დინასტიის დროს ეგვიპტელებმა ააგეს ორი ფორტი – სემნა და კუმა. ისინი ქმნიდნენ ერთგვარ „ჭიშკარს" მდინარეზე და შეეძლოთ, გაეკონტროლებინათ როგორც წყლის ტრანსპორტი, ასევე საქარავნო მარშრუტი დასავლეთ ნაპირზე, რომელიც უშუალოდ სემნას ფორტზე გადიოდა. დასავლეთი (სემნას) ფორტის ეგვიპტური სახელია „ძლევამოსილია ხა-კაუ-რა (სენუსერტ III-ის ერთ-ერთი სახელი), მართალი ხმით" (ეგვ. *ṯḫnt Ḫʿ-kꜣw-Rʿ mꜣʿ*

ḫnw). სახელი „სემნა“ პირველად დაფიქსირებულია აქვე ნაპოვნ კოპტურ წარწერაში. აღმოსავლეთი (კუმას) ფორტის ეგვიპ-ტური სახელი, „მშვილდების მოწინააღმდეგე“ (ეგვ. *Ꜣtnw pḏ.wt*), იყო ხნუმის ეპითეტი ნუბიაში. სახელი „კუმა“ იგივე წარწერაშია დაფიქსირებული. დღეს ადგილობრივი მოსახლეობა ფორტებს მოიხსენიებს, როგორც „Semnet-el-Gharb“ (დასავლეთი სემნა) და „Semnet-el-Sharq“ (აღმოსავლეთი სემნა), მაგრამ რადგან ადრე აღმოსავლეთი ფორტი ცნობილი იყო, როგორც „კუმა“, მეცნიერებაში მათ ეს ორი სახელი შეუნარჩუნდათ. პირველი მოგზაური, რომელმაც ფორტები მოინახულა 1813 წ. იყო ჯ. ლ. ბურკხარდტი. სისტემატური გათხრები ჩაატარა ჰარვარდის უნივერსიტეტის და ბოსტონის ხელოვნების მუზეუმის ექსპედი-ციამ ჯ. ა. რაისნერის ხელმძღვანელობით 1924-1928 წწ. გათხ-რების შედეგები, მისი გარდაცვალების შემდეგ, გამოაქვეყნეს დ. დანჰემმა და ჯ.იანსენმა. სემნა გაცილებით უფრო დიდი ფორტია, და ლათინური „L“-ს ფორმის ნაგებობას წარმოადგენს. მისი მოკლე მხარე მიჰყვება ნილოსს ჩრდილოეთიდან სამხრე-თით, გრძელი – დასავლეთით, უდაბნოსაკენ არის მიმართული. რაისნერის აზრით, ფორტი ააგო ამონემხატ I-მა და საგრძნო-ბლად გაზარდა სენუსერტ III-მ. ფორტს ორი ჭიშკარი ჰქონდა, ჩრდილეთით და სამხრეთით. მათ აერთიანებდა მთავარი, 115 მ. სიგრძის ქუჩა. მისი გადამკვეთი ქუჩის სიგრძე 92.5 მეტრია, მაგრამ ქუჩის ბოლოდან აღმოსავლეთ კედლამდე კიდევ არის 35 მ. მანძილი. მთავარი და მისი გადამკვეთი ქუჩების გარდა, ფორტს სექციებად კიდევ რამდენიმე ქუჩა ყოფდა, რომლებსაც ექსპედიციის წევრებმა სახელები დაარქვეს: ჩრდილოეთის კედ-ლის ქუჩა, სამხრეთის კედლის ქუჩა, აღმოსავლეთის კედლის ქუჩა. წყლის მარაგისათვის, ფორტის აღმოსავლეთ კედელში იყო განსაკუთრებულად დაცული გასასვლელი. მისი 131 საფეხ-ური ნილოსამდე ჩადიოდა. ფორტში სავარაუდოდ სამი საკულ-ტო ადგილი იყო. უძველესი მათგანის ლოკალიზება საეჭვოა. თოტმეს I-მა ააგო აგურის ტაძარი (12.5მ.x10.5მ.) მთავარი ქუ-ჩის აღმოსავლეთით. მის ადგილზე შემდგომში ტაძარი ააგო ტახარკამ. თოტმეს III-მ სემნაში ააგო შესანიშნავი ქვიშაქვის ტაძარი. ფორტის შიგნით განლაგებული იყო საცხოვრებელი სახლები და ბარაკები გარნიზონისათვის. სემნას ფორტთან გათხრილია ორი სასაფლაო. ერთი მათგანი, სავარაუდოდ, ადგილობრივი მოსახლეობის იყო, მეორეზე იკრძალებოდნენ სამოქალაქო მოხელეები და ქურუმები, რომლებიც აქ XVIII დი-ნასტიის დროს მსახურობდნენ. კუმას ფორტი გათხრების და-

საწყისისათვის თანამედროვე სოფელს ჰქონდა დაკავებული, და რაისნერს მისი „გამოსყიდვა“ მოუხდა. კუმას ფორტი ოთხ-კუთხედთან მიახლოებული ფორმისაა და იმეორებს კლდის მოხაზულობას, რომელზეც დგას. ხმელეთის მხარეს ფორტს ჰქონდა ერთი ჭიშკარი ჩრდილო-აღმოსავლეთით, რომელიც მაღალი კოშკით იყო დაცული. წყლისკენ მიმავალი ჭიშკარი, საიდანაც საფეხურებით მდინარემდე ჩასასვლელი გზა იყო, ფორტის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია. ვიწრო დაბლობი ფორ-ტის აღმოსავლეთით, ხმელეთის მხარეს, რომელიც ფორტს და კლდეებს შორის მდებარეობს, დღესაც ერთადერთი გზაა ფორ-ტის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე სოფლებს შორის. სავარაუდოდ, ძველად ის საქარავნო მარშრუტი იყო, რომლის გაკონტროლება ფორტს შეეძლო. ნილოსი აქ დაახლ. 90°-ით შეჭრილია ხმელეთში, და პატარა დაცულ ნავსადგურს ქმნის. კუმა, სემნას მსგავსად, XII დინასტიის დროს არის აშენებული, და გამოიყენებოდა ახალი სამეფოს დროსაც, მაგრამ განსხვავე-ბით სემნასაგან, ის არ ყოფილა რეკონსტრუირებული. ამიტომ, სავარაუდოდ, ახალი სამეფოს დროს აქ არ იყო განლაგებუ-ლი გარნიზონი და ცხოვრობდა სამოქალაქო მოსახლეობა და ქურუმები, რომლებიც „მშვილდების მოწინააღმდეგე ხნუმის“ და სენუსერტ III-ის კულტების მსახურებაში იყვნენ. ფორტის ფართობი დაახლ. 50მ. x 50მ.-ია. ფორტში იყო ტაძარი და სახ-ლების კომპლექსი, რომლებსაც ერთმანეთისაგან ქუჩები ყოფ-და. ქუჩები განლაგებული იყო ოთხივე კედლის გაყოლებით, და, ამას გარდა, ორი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმავალი ქვ-ჩით ფორტი სამ სეგმენტად იყო გაყოფილი. ფორტის კედლების სისქე დაახლ. 5.5 — 6 მეტრია და მათი სიმაღლე, სავარაუდოდ, ათიდან თოთხმეტ მეტრამდე იყო. კუმადან დაახლ 400 მეტრის დაშორებით არის სასაფლაო, სადაც 25 საფლავია აღმოჩენილი (Dunham and Janssen, 1960, 5-127).

სენმუტი — უბრალო წარმოშობის, მაგრამ აშკარად არაორ-დინარული ნიჭის მქონე ეგვიპტელი, რომელიც გახდა დედო-ფალ ხატშეპსუტის ფავორიტი და ყველაზე გავლენიანი პირი მის კარზე. მისი კარიერა ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარია ძველ ეგვიპტეში. მთავარი არქიტექტორის გარდა, სენმუტს 80-ზე მეტი თანამდებობა ჰქონდა. მისი ხელმძღვანელობით დაიდგა ხატშეპსუტის ობელისკები ამონის ტაძარში კარნაკში. მისი პროექტით და ხელმძღვანელობით აიგო ასევე ხატშეპ-სუტის დეირ ელ-ბაჰარის ცნობილი ტაძარი. შემორჩენილია

სპეციფიური დიზაინით (block statue) შესრულებული სენმუტის ქანდაკებები, სადაც ის გამოსახულია ხატშეპსუტის მცირეწლოვან ქალიშვილთან, ნეფრურასთან ერთად. ქანდაკებებში გადმოცემულმა საოცარი სიყვარულის და სიახლოვის განცდამ თანამედროვე მეცნიერებაში წარმოშვა ვარაუდი, რომ სენმუტი ნეფრურას მამა იყო. სენმუტის სამარხი დეირ ელ-ბაჰარიში ღირსშესანიშნავია ჭერზე გამოსახული ასტრონომიული რუკის გამო. როგორც ჩანს, ვარსკვლავები ამ ნიჭიერი ადამიანის მრავალმხრივი ინტერესის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენდა. მის სამარხში ნაპოვნია ასევე ჯუჯა ცხენის და მაიმუნის მუმიები, რომლებიც შესანიშნავ სარკოფაგებში იყვნენ მოთავსებული (Rice, 2002, 182). მის მეორე სამარხში, კურნაში, აღმოჩენილია 150-ზე მეტი ოსტრაკონი ტაძრების ნახაზებით, მოხსენებებით, ანგარიშებით, რელიგიური და ლიტერატურული ტექსტებით, მათ შორის „დარიგებები გადამწერებისათვის" („Satire of the Trades"), „ამბავი სინუხეტის შესახებ" და „ამონემხეტის დარიგება თავისი შვილისადმი" (Grimal, 2003, 211).

სენუსერტი — (ეგვ. *Sn-Wśrt*, „უსრეტი (ღვთაება) მისთვისაა), შუა სამეფოს XII დინასტიის სამი ფარაონის სახელი. **სენუსერტ I**-ს (1971-1926) ხშირად მოიხსენიებენ, როგორც სამხედრო საქმის გენიოსს, რომელმაც ეგვიპტე თანადროული მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად გადააქცია (Murray, 2004, 23). იყო ტახტის უზურპატორის და დინასტიის დამაარსებლის — ამონემხატ I-ის შვილი, რომელმაც მამასთან თანამმართველობის ათი წელი ლიბიელების და ნუბიელების წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა და ტახტზე ერთპიროვნულად დარჩენის შემდეგ ეგვიპტისათვის აქამდე არნახული ექსპანსიური პოლიტიკის გატარება დაიწყო. ექსპედიციების წყალობით, რომლებსაც ხშირად თავად ედგა სათავეში, სენუსერტმა ეგვიპტის საზღვარი ნილოსის მესამე ჭორომამდე გადასწია. ბუხენში, მეორე ჭორომთან, მან აღმართა გამარჯვების სტელა და დატოვა გარნიზონი (Clayton, 1994, 78). სავაჭრო გზებს შორეული სამხრეთისაკენ მთლიანად აკონტროლებდნენ ეგვიპტური გარნიზონები, კერმასთან, მესამე ჭორომის სამხრეთით კი აიგო ფორტიფიცირებული ქალაქი, საიდანაც მარშრუტების და მაღაროების დაცვას მაღალი რანგის ეგვიპტელი მოხელე ხელმძღვანელობდა. ოქრო, სპილოს ძვალი, ძვირფასი ქვები და ხე აურაცხელი რაოდენობით მოედინებოდა ქვეყანაში (Hayes, 1960, 179-80). აბიდოსიდან დიდი ხარგეს ოაზისამდე

საქარავანო მარშრუტების და დელტის დასაცავად, სამხედრო მარშრუტები პერიოდულად ლიბიელების წინააღმდეგაც ტარდებოდა. ჩრდილოეთი სახელმწიფოების მიმართ სენუსერტის ინტერესები საკუთარი საზღვრების დაცვით და ვაჭრობით შემოიფარგლებოდა. ამ დროის ეგვიპტური დასახლებები აღმოჩენილია პალესტინაში და სირიაში, ეგვიპტური ნივთები ჩნდება კრეტაზე (Hayes, 1960, 182). ქვეყნის შიგნით სენუსერტი ფართო სამშენებლო მოღვაწეობას ეწეოდა. ჩრდილოეთიდან სამხრეთამდე, დაახლოებით ოცდათხუთმეტ პუნქტში, შემორჩენილია სენუსერტის ნაგებობები და მისი ხელი თითქმის ყველა მნიშვნელოვან ტაძარს ატყვია. გამეფებიდან მესამე წელს მან თავიდან ააგო ძველი მზის ტაძარი ჰელიოპოლისში, ოცდამეათე წელს კი, საკუთარი ხებსედის იუბილეზე, ტაძრის პილონის წინ ორი გრანიტის ობელისკი აღმართა, რომელთაგან ერთი (21მ. სიმაღლის) დღემდე დგას. სენუსერტმა აღმართა დიდი ობელისკი აბგიგში (ფაიუმი), რაც მიუთუთებს XII დინასტიის ფარაონების ფაიუმის ოაზისით დაინტერესებაზე. ააგო ასევე ულამაზესი ტაძარი აბიდოსში. თავისი პირამიდის კომპლექსისათვის მან შეარჩია გაშლილი პლატო ლიშტში, მამის პირამიდის სამხრეთით. გრანდიოზულობით იგი ბევრად აღემატება ამონემხატ I-ის კომპლექსს. სენუსერტის გაღმერთება მის სიცოცხლეშივე მოხდა და საუკუნეების შემდეგაც, XVIII დინასტიის ორ სტელაზე მოხსენიებულია სამი ქურუმი, რომლებიც გაღმერთებული ფარაონის კულტის მსახურები იყვნენ (Hayes, 1960, 195). **სენუსერტ II** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1897-1878 წწ.) სენუსერტ I-ის შვილიშვილი იყო. მისი მეფობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, სადავოა მისი მეფობის წლებიც, რადგან თუმცა ტურინის პაპირუსი მას 19 წელს ანიჭებს, ტექსტობრივად დაფიქსირებულია მხოლოდ მეფობის მერვე წელი 1932 წ. ტოშკაში ნაპოვნ სტელაზე (http://www.statemaster.com./encyclopedia/Senusret-II). თავისი მამის, ამონემხატ II-ის მსგავსად, მან ნაკლებად აინტერესებდა სამხედრო ექსპედიციები და მთელი თავისი ენერგია ქვეყნის შიგნით მიმართა. მან დაიწყო ფაიუმის ოაზისის საირიგაციო პროექტი, რომელიც მისმა შვილიშვილმა, ამონემხატ III-მ დაასრულა — არხებით დააკავშირა ფაიუმი ნილოსის ბაჰრ იუსუფის ტოტთან და ააგო დამბა წყლის შესაკავებლად. თავისი პირამიდის კომპლექსიც ფაიუმთან ახლოს, ლაჰუნში ააგო. იქვეა ნაპოვნი მისი პირამიდის ქალაქი, სადაც მრავლად აღმოჩნდა ნივთები კრეტადან, რაც ამ კუნძულთან აქტიურ სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს (Murray, 2004,

23). **სენუსერტ III** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე1878-1841? წწ.) სენუსერტ II-ის შვილი იყო. სენუსერტ I-თან ერთად მას მოიხსენიებენ, როგორც არა მარტო XII დინასტიის, არამედ ეგვიპტის ერთ-ერთ უდიდეს ფარაონს და მებრძოლს. ამ ექსტრაორდინარული გარეგნობის მქონე ფარაონის დროს (მანეთონის ცნობით, იგი გოლიათური აღნაგობის იყო, Manetho, 1960, 71) XII დინასტიის წარმატებები კულმინაციას აღწევს. პირველ რიგში მან თავისი ინტერესი ნუბიისაკენ მიმართა, სადაც ეგვიპტური ჯარების სწრაფ გადაადგილებას ხელს უშლიდა ნილოსის გაუვალობა პირველ ჭორომთან. სენუსერტმა კლდეებისაგან განმინდა და გააღრმავა არხი და საკუთარი მეთაურობით ნუბიაში ოთხი სამხედრო რეიდი მოაწყო მეფობის მერვე, მეათე, მეთექვსმეტე და მეცხრამეტე წელს (Breasted, 1960, vol.I, § 642-8). ქვეყნის სრულიად დამორჩილების შემდეგ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ადგილებში ააგო რვა ფორტისაგან შემდგარი ჯაჭვი ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით, ისეთ მანძილებზე, რომ საგანგაშო სიგნალი ერთმანეთისთვის გადაეცათ (ბუხენი, მირგისა, შალფაკი, ურონარტი, ასკუტი, დაბენარტი, სემნა და კუმა, Dunham and Janssen, 1960; Reisner and Wheeler, 1967). ყველაფერ ამით მან ნუბია ეგვიპტის პროვინციად გადააქცია. სემნაში თავისი გამარჯვების აღსანიშნავად აღმართული სტელიდან ასე მიმართა შთამომავლობას: „მე გავწიე საზღვარი ჩემს წინაპრებზე უფრო შორს, მოვიპოვე მეტი, ვიდრე მათგან მქონდა დავალებული. მე ვარ მეფე, რომელიც აკეთებს, რასაც ამბობს. ის შვილი, რომელიც დაიცავს ჩემს მონაპოვარს, ჩემი შვილია, ის, ვინც არ დაიცავს, ჩემი შვილი არ არის" (Breasted, 1960, I, § 652). ქვეყანა ფარაონმა დაყო სამ ადმინისტრაციულ ერთეულად: ჩრდილოეთი, სამხრეთი და „სამხრეთის თავი" (ელეფანტინა და ჩრდ.ნუბია). თითოეულ მათგანს მართავდა „საბჭო" (ეგვ. *ḏꜣḏꜣ.t*, Wb V, 528), რომელიც პასუხისმგებელი იყო ვეზირის მიმართ. ყველაფერ ამით მან წამოსწია საშუალო კლასი, რომელიც ინკორპორირებული იყო ადმინისტრაციაში და აღარ იყო დამოკიდებული ნომარქებზე. ამ ცვლილებებით საბოლოოდ დაიქვემდებარა ნომარქები, გადააქცია ისინი გვირგვინის მსახურებად და პრაქტიკულად გააუქმა მათი ფეოდალური სამფლობელოები (Hayes, 1960, 196). თავისი სამხედრო ლაშქრობებით და ქვეყანაში წესრიგის დამყარებით სენუსერტმა ბიძგი მისცა ეკონომიკური აყვავების, ხელოსნობის და ვაჭრობის აღორძინების და ურბანიზაციის ხანას (Verner, 386-7). მეფობის მეოცე წელს მან თანა-

სენუსერტ (სესოსტრის) III-ს თავი, XII დინასტია

მმართველად აიყვანა თავისი შვილი ამონემხატ III. პირამიდა აიგო დაშურში, სნოფრუს „წითელი პირამიდის“ სამხრეთით. სენუსერტის პირამიდა სიდიდით ბევრად აღემატება XII დინასტიის ფარაონების პირამიდებს (გვერდის სიგრძე – 72მ., სიმაღლე – 78მ). პირამიდების კომპლექსი შეიცავდა ასევე შვიდ პირამიდას დედოფლებისათვის და ორ ტაძარს – ჩრდილოეთით და სამხრეთით. სამხრეთის ტაძარი დანგრეულია (Lehner, 1997, 177-9). სენუსერტმა აიგო ასევე დიდი სამარხი კომპლექსი აბიდოსში – უზარმაზარი მიწისქვეშა სამარხი, ტაძარი და ქალაქი კომპლექსის მოსაველელად, ამიტომ არსებობს აზრი, რომ ის აქ იყო დაკრძალული. სენუსერტ III მიეკუთვნებოდა იმ მცირერიცხოვანი ფარაონების რიცხვს, რომელთა გაღმერთება სიცოცხლეშივე მოხდა (Redford(ed), 2003, 85). სემნაში მისი კულტი გარდაცვალებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგაც არის დაფიქსირებული (Clayton, 1994, 86). იგი ცნობილია ასევე თავისი საოცრად მაღალმხატვრული, რეალისტური პორტრეტებით, რომლებსაც, განსაკუთრებით ცხოვრების მეორე ნახევარში, საოცარი ტრაგიკულობის დაღი აზის. ამიტომ ითვლება, რომ ამ ყოველმხრივ წარმატებულ მეფეს უდიდესი პირადი ტრაგედია ჰქონდა (Murray, 2004, 25; Morkot, 2005, 14).

სეპა

სეპა – (ეგვ. *Śpꜣ*, Wb IV, 100), ღვთაება ასფეხა ცხოველის სახით. უძველესი დროიდან ბოროტი ცხოველებისაგან დამცველად იყო მიჩნეული. უკვე პირამიდების ტექსტებში ეხვდებით სეპას შელოცვებს მათ წინააღმდეგ (PT 425c; 669). თაყვანისცემის ადგილი იყო ჰელიოპოლისიდან გიზეს ნეკროპოლისამდე მდებარე ტერიტორია (Bonnet, 1952, 698). აქ გამავალ გზას გვიანდელ პერიოდში სეპას გზა დაარქვეს (Breasted, 1962, IV, § 870). ამავე პერიოდში, როგორც მიცვალებულების დამცველი, გახდა ოსირისის ერთ-ერთი გამოვლინების ფორმა ოსირის-სეპას სახით (Kees, 1980, 60).

სერაბიტ ელ-ხადიმი – ზღვის დონიდან 735 მეტრზე მდებარე ქვიშაქვის პლატო სამხრეთ სინაიზე, დაახლ. 29 კმ. სუეცის ყურის აღმოსავლეთით, სადაც დაახლ. 20 მაღაროში ეგვიპტელები მოიპოვებდნენ ფირუზს, და სადაც აუგეს ტაძარი ხატხორს, რომელსაც აქ „ფირუზის ქალბატონს“ ეძახდნენ. სერაბიტ ელ-ხადიმდან 6 კმ. დასავლეთით იყო სახელოსნოები, სადაც ადნობდნენ სპილენძს. აქ მოძიებული შუა და ახალი სამეფოს დროინდელი წარწერები გვამცნობს, რომ გადაადგილება

ეგვიპტიდან და უკან ხდებოდა წყლის ტრანსპორტით და ქარავნებით. დავალების შესაბამისად, ქარავნების შემადგენლობაში შეიძლებოდა ყოფილიყო 200-700 ადამიანი და 50-500 ვირი. ექსპედიციებს ჩვეულებრივ ფარაონის ხაზინის მოხელე ხელმძღვანელობდა. სერაბიტ ელ-ხადიმის მაღაროები პირველმა აღმოაჩინა კარსტენ ნიბურმა 1762 წელს (Bard, 1999, 881-885). სერაბიტ ელ-ხადიმი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენის გამო არის აღსანიშნავი: აქაურ მაღაროებში მუშაობდნენ ქანაანელები, სავარაუდოდ ტყვეები, რომლებიც სეზონურად ჩამოჰყავდათ ეგვიპტიდან შეიარაღებული ესკორტის თანხლებით. მათ დაგვიტოვეს ტექსტები, რომლებშიც გასაოცარ გამოგონებას მიაგნეს: ისინი დაწერილია ეგვიპტური იეროგლიფებით, მაგრამ ალფაბეტური პრინციპით: თავიანთი ენის ყოველ ბგერას მათ ერთი ეგვიპტური იეროგლიფი შეუსაბამეს (Wilson, 1957, 191).

სერაპეუმი — *იხ. საქქარა*



სერაპისი

სერაპისი — ანთროპომორფული ეგვიპტურ-ელინისტური ღვთაება, რომელიც პტოლემაიოსების დროს წარმოიშვა. შესაძლოა, პტოლემაიოს I-ს თავისი მიზნებისათვის ესაჭიროებოდა ღმერთი, რომელიც საერთო იქნებოდა ბერძენი და ეგვიპტელი მოსახლეობისათვის. ტაციტის თანახმად, პტოლემაიოსს ეს ღმერთი სიზმარში გამოეცხადა და ზოგიერთი ცნობით, უბრძანა თავისი ქანდაკების სინოპიდან გადმობრძანება, თუმცა, „სხვების ცნობით, იგივე პტოლემაიოსმა ის მემფისიდან გადმოაბრძანა“ (ისტორია, IV, 84). სერაპისის წარმოშობის ისტორია ბუნდოვანია, მაგრამ ითვლება, რომ მასში შერწყმული არიან მემფისის საკრალური ხარი ოსირის-აპისი (ეგვ. *Wsr-hp*, ბერძნ. Oserapis), რომელიც ნაყოფიერების და გარდაცვალების შემდეგ აღდგომის სიმბოლო იყო, და ბერძნული ღმერთები — ზევსი, ჰელიოსი, დიონისე და ასკლეპიოსი. მისი იკონოგრაფია ელინისტური იყო. სერაპისის მეუღლე გახდა ისიდა, ასევე უფრო გრეციზირებული სახით. ალექსანდრიის სერაპეუმი ალექსანდრე დიდის მიერ ისიდასადმი მიძღვნილი ტაძრის ადგილზე აიგო. სერაპეუმებშიც ბერძნული და ეგვიპტური არქიტექტურის ელემენტები იყო შერწყმული. სერაპისის თაყვანისცემის მთავარ საკულტო ადგილს ალექსანდრია წარმოადგენდა, მაგრამ ბერძნულ-რომაულ პერიოდში მისი ტაძრები ძალიან ბევრი იყო მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში (Hart, 2005, 140).

სერდაბი – კამერა სამარხში, სადაც ათავსებდნენ სხეულის შემცველ ქანდაკებებს. საკულტო განყოფილებასთან დაკავშირებული იყო სარკმლით, რომელიც ქანდაკების თვალების დონეზე იჭრებოდა იმისათვის, რომ იქ მოთავსებულ ქანდაკებებს შესაწირი „დაენახათ". სერდაბის როლს თამაშობდა ასევე დასაკრძალი ოთახის ერთ კედელში დატოვებული ამოუშენებელი სივრცე, საიდანაც გარდაცვლილს შესაწირთან მისასვლელი უნდა ჰქონოდა. სერდაბი თავიდან მხოლოდ მეფეებს ჰქონდათ, მაგრამ თანდათან კერძო პირების სამარხებშიც დაიმკვიდრა თავი. სერდაბის საჭიროება წარმოშვა წარმოდგენამ კას შესახებ. კა იყო სასიცოცხლო ძალა, რომელიც ყველა ცოცხალ არსებას გააჩნდა. გარდაცვალების შემდეგ არსებობის გაგრძელებას კა უზრუნველყოფდა, მაგრამ მას ამისათვის მედიუმი სჭირდებოდა. რადგან სხეული, მუმიფიცირების მიუხედავად, შეიძლებოდა დაზიანებულიყო, ეგვიპტელები გარდაცვლილს სამარხში უძველესი დროიდან მის გამოსახულებას ატანდნენ (Grimal, 2003, 105). განსაკუთრებულ შემთხვევაში სერდაბი მრავალი კამერისაგან შედგებოდა (მაგ. ჯოსერთან). ეგვიპტელები სერდაბს „ქანდაკების სახლს" (*pr ḥwt*) ან „კას სახლს" (*pr kꜣ*) ეძახდნენ (Bonnet, 1952.699).

სერეხი I დინასტიის ფარაონის ჯეტის სახელით

სერეხი – გაერთიანებული ეგვიპტის პირველივე ფარაონები უკვე „ხორებად" იყვნენ წარმოდგენილი. მათი სახელები თავსდებოდა არქაული სასახლის სქემატური ნახატის შიგნით (ე.წ. „სერეხში", ეგვ. *srḫ*), რომლის თავზეც ჩვეულებრივ ხორის ფიგურა იყო წარმოდგენილი. ეს სამი ელემენტი (ხორის და სასახლის გამოსახულებები და ფარაონის სახელი) მთლიანობაში წარმოგვიდგება, როგორც იეროგლიფი, რომელიც იკითხება: „მეფობის (ხორის) ღვთაებრივი ძალის ინკარნაციას წარმოადგენს პიროვნება, რომელიც სასახლეშია" (Allen, 2009, 64).

სერკეტი – (ეგვ. *Ṡrḳ.t*, Wb IV, 203). მორიელის სახის ქალღმერთი. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, თავზე მორიელით, რომელსაც კუდი დასაგესლად ჰქონდა მომართული (Hart, 2005, 141). მისი სახელი დაკავშირებულია ზმნასთან „*ṡrḳ*" - „ვინ(ც) გვასუნთქებს" (Wb IV, 201), მისი სრული სახელი იყო *Ṡrḳ.t ḥtj.t* (Wb II, 202), სადაც „*ḥtj.t*" ნიშნავს „ყელს", „ხორხს" (Wb III, 181). ითვლებოდა სიცოცხლის დამცველ ქალღმერთად. ნეიტთან ერთად ეკავა ფარაონის ხელები დაბადების დროს, ეძახდნენ ასევე ფარაონის ძუძუთი გამოსაკვებად, რადგან თავად

სერკეტი

იყო ნეხებკაუს ძიძა (PT 489). დაკავშირებული იყო ისიდასთან, ნეფტიდასთან და ნეიტთან (PT 1375, 1547). ეს ოთხი ქალღმერთი ერთად დარაჯობდა ოსირისის სარეცელს (PT 606). მის სახელს ათავსებდნენ კანოპებზე და ახალი სამეფოდან — სარკოფაგებზე. ეხმარებოდა რას მინისქვეშეთის ბოროტ ძალებთან ბრძოლაში თავისი მაგიური შელოცვებით და გესლით. სერკეტის შელოცვები შველიდა ავადმყოფებს, განსაკუთრებით დაგესლილებს, ამდენად შემლოცველებს და ექიმებს „სერკეტის თანმხლებთ" ეძახდნენ.

სესები — ადგილი ნილოსის მეორე და მესამე ჭორომებს შორის, ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, სადაც მდებარეობდა ახალი სამეფოს პერიოდით დათარიღებული გალავნიანი ქალაქი. 1936-1938 წლებში აქ გათხრები ჩაატარეს ინგლისელებმა (Egypt Exploration Society, ა. მ. ბლეკმენის და ჰ. ვ. ფერმენის ხელმძღვანელობით), მაგრამ გათხრების შედეგები გამოქვეყნებული არ არის. ციხე-სიმაგრე სავარაუდოდ პირველი თოტმესიდების დროს უკვე არსებობდა, მაგრამ გალავნის ფუნდამენტის ქვებზე აღმოჩენილია ამონხეტეპ IV-ის (მომავალი ეხნატონის) სახელი, რაც მიუთითებს, რომ გალავანი მისი მეფობის დასაწყისშია აგებული. მის მიერ არის აგებული ასევე ორი ტაძარი ჩრდილოეთ ნაწილში, რომლებიც შემდგომში სეტი I-მა გააფართოვა. მთავარი ტაძარი, სავარაუდოდ, თებეს ტრიადისადმი იყო მიძღვნილი. ტაძრის ქვეშ არის დიდი კრიპტა, სადაც ეხნატონი სახვადასხვა ღმერთებს შორის არის გამოსახული, რაც ასევე მიუთითებს იმაზე, რომ ტაძარი მისი მეფობის დასაწყისში, რელიგიურ რეფორმამდე არის აგებული. სეტი I-მა, ტაძრების გაფართოების და რესტავრაციის დროს, ნაშალა ეხნატონის გამოსახულებები და მათ თავზე საკუთარი გამოსახულებები მოათავსა. ისინი აღმოაჩინა ჯ. ბრესტედმა 1907 წელს (Blackman, 1937, 145).

სეტი — (ეგვ. *Śtḫj*. „სეტხი", Helck, 1968, 181), XIX დინასტიის ორი ფარაონის სახელი. **სეტი I** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1306-1290 წწ.), XIX დინასტიის მეორე ფარაონი, რამსეს I-ის შვილი და რამსეს II-ის მამა იყო. სეტის ტახტზე ასვლით ეგვიპტის ისტორიის კიდევ ერთი ბრწყინვალე საუკუნე იწყება (Kitchen, 1973, § 206), მისი მეფობა კი ერთ-ერთ გამორჩეულ მეფობად არის აღიარებული. ამონემხატის (XII დინასტია) და მონტუხოტეპის (XVIII დინასტია) მსგავსად, მომდევნო ეგვიპტურმა ტრადიციამ მისი მეფო-

ბა შერაცხა, როგორც „*whm mswt*", რაც ითარგმნება, როგორც „დაბადების გამეორება", ან „რენესანსი" (Hayes, 1959, 327). მან დაიბრუნა ეხნატონის დროს დაკარგული პოზიციები სირიაში, პალესტინაში, დაიბრუნა ქადეში, რაც მტკიცდება აქ ნაპოვნი სტელით; ჩაატარა კამპანია ბედუინების წინააღმდეგ აღმოსავლეთ საზღვართან და მოიგერია ლიბიელების შემოტევა ჩრდილო-დასავლეთში, თუმცა ლიბიელების პრობლემა ამით არ მოგვარდა და მომავალში კელავ იჩინა თავი. აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ ეგვიპტური ტაძრების კედლებზე კვლავ ჩნდება ბრძოლის ამსახველი სცენები. ქვეყნის შიგნით სეტი აგრძელებს ხორემხების საქმეს — ეხნატონის რეფორმის შედეგების ლიკვიდაციას და ტაძრების რესტავრაციას, ის საკუთარ მშენებლობებსაც იწყებს: კარნაკში გააგრძელა ჰიპოსტილური დარბაზის მშენებლობა, აბიდოსში აიგო მონუმენტური მოსახსენიებელი ტაძარი (ცნობილი ასევე მის კედელზე მოთავსებული ფარაონების სიით) და კენოტაფი, რომელიც დღეს ოსირეიონის სახელით არის ცნობილი. მეორე, უფრო მცირე ზომის მოსახსენიებელი ტაძარი სეტიმ თავისი სამარხის სიახლოვეს, დასავლეთ თებეში აიგო (Helck, 1968, 181-185). სეტი I-ის სამარხი მეფეთა ველზე აღმოაჩინა ჯ.ბ. ბელცონიმ 1917 წელს. ბელცონის სამარხის კორიდორის სიგრძე 100 მ. ეგონა, მაგრამ თანამედროვე გათხრების საფუძველზე დადგინდა, რომ ეს მეფეთა ველის ერთ-ერთი უდიდესი სამარხია და მისი კორიდორის სიგრძე 136 მეტრია (http://news.nationalgeographic.com.2008/04/080417-seti-tomb.html). სეტის მუმიის შესწავლამ აჩვენა, რომ ის ორმოც წლამდე გარდაიცვალა. სავარაუდოდ, ის მოულოდნელად გარდაიცვალა, შესაძლოა გულის დაავადებით, რადგან მისი დაწყებული მშენებლობები ძირითადად მისმა შვილმა, რამსეს II-მ დაასრულა. მეფობის მოკლე დროის მიუხედავად (სხვადასხვა აზრით, 15 ან 11 წელი), მისი მეფობა ეგვიპტის ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ მეფობად არის აღიარებული. **სეტი II** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1214-1204 წწ.) მერნეპტახის შვილი იყო. მას საკმაოდ ბუნდოვან დროს მოუნია მეფობა, როცა ბევრი აცხადებდა ტახტზე პრეტენზიას. სიტუაციას ძაბავდა რამსეს II-ის მრავალრიცხოვანი შთამომაელობაც. მისი მეფობის მეორე-მეოთხე წლებში სამხრეთში ტახტს დაეპატრონა ვინმე ამონმესუ, რომელიც, შესაძლოა, სეტი II-ის ნახევარი ძმა იყო. ამონმესუს ძალაუფლება თებეზე და ნუბიაზე ვრცელდებოდა. ამ პერიოდში ამონმესუმ საგულდაგულოდ დაარბია სეტი II-ის სამარხი მეფეთა ველზე და ნაშალ

მისი სახელები (Dodson, 1999, 136-138). სეტი II-მ მოახერხა მოწინააღმდეგის დამარცხება, რაზეც მეტყველებს აღდგენილი წარწერები მის სამარხში. სეტი II-ს სამი ცოლი ჰყავდა — ტაოსრეტი, ტიაა და ტახატი. ტაოსრეტმა ყველაზე დიდხანს იცოცხლა. სეტი II-ის გარდაცვალების შემდეგ ის ტახტის მემკვიდრის და თავისი გერის, მცირეწლოვანი სიპტახის რეგენტი იყო და მისი გარდაცვალების შემდეგ მან თავი მეფედ გამოაცხადა. სეტი II-მ კარნაკში აუგო კაპელები ამონის ტრიადის წევრებს — ამონს, მუტს და ხონსუს. დაიკრძალა მეფეთა ველზე.

სეტნახტი — (ეგვ. *Śtḫnḫt,* „სეტხი ძლიერია", დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1196-1194 წწ.), XX დინასტიის პირველი ფარაონი. მისი წარმოშობა ბუნდოვანია, თუმცა შესაძლოა ჰქონდა ნათესაური კავშირი XIX დინასტიის ფარაონებთან. მისი ტახტზე ასვლისათვის ქვეყანაში არეულობა სუფევდა, მაგრამ მოახერხა ვითარების დარეგულირება იმდენად, რომ ხანმოკლე მეფობის და, საკარაუდოდ, მოულოდნელი გარდაცვალების მიუხედავად, მისი მემკვიდრე, რამსეს III მშვიდობიანად ავიდა ტახტზე. სეტნახტი დაკრძალეს ტაოსრეტის, სეტი II-ის ქვრივის სამარხში, რომელიც სიპტახის გარდაცვალების შემდეგ მეფობდა. თვითონ ტაოსრეტი სხვაგან გადაასვენეს. შემდგომში მისი მუმია გადატანილი იქნა დეირ-ელ-ბაჰარის სამალავში (Rice, 1999, 187).

სეტხი — (ეგვ. *Śtš, Śtḫ, Śwtḫ,* Wb IV, 345), ჰელიოპოლისის კოსმოგონიის წევრი, გების და ნუტის შვილი და ოსირისის, ისიდას და ნეფტიდას ძმა. ეგვიპტის ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე წინააღმდეგობრივი ღვთაება (მისი თავისებურების მაჩვენებელია ისიც, რომ ნუტმა სეთხი, სხვა შვილებისაგან განსხვავებით, „გადმოფურთხებით" გააჩინა, PT 205). თანამედროვე ეტიმოლოგიური სტანდარტებით მისი სახელის მნიშვნელობა დადგენილი არ არის (Velde, 1977, 3), უცნობია მისი ცხოველიც (ეგვ. „*Śš*", Wb IV, 401). ცხოველის უძველესი გამოსახულება II დინასტიით არის დათარიღებული (Petrie, 1901, II, pl.XXII). სხვადასხვა მეცნიერის აზრით, ეს იყო ჟირაფი, ოკაპი, ანტილოპა, ღორი, უძველეს დროში გადაშენებული უდაბნოს თაგვი (Bonnet, 1952, 702) ან ფანტასტიკური ცხოველი (Kees, 1980, 22). გამოისახებოდა ამ ცხოველის სახით, ან ანთროპომორფულად, ან ცხოველის თავით. მთავარი საკულტო ადგილი იყო ომბოსი, ზემო ეგვიპტის მეხუთე ნომში. ომბოსი (ეგვ. *Nwb.t,* Wb II, 242) წინადინასტიური ეგვიპტის უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო, საიდანაც სეტხს



სეტხი

სეტხის ცხოველი

ჰქონდა ეპითეტები „ომბოსელი“ (ეგვ. *Nwb.tj*, PT 370b, 1145b, 1667a, 204) და „ზემო ეგვიპტის ბატონი“ (Kees, 1980, 24). სეტხს ეთაყვანებოდნენ ასევე ქალაქ სუში, ზემო ეგვიპტის XI ნომში (ამ ნომის ნიშანი სეტხის ცხოველი იყო (Montet, 1961, 124). სუ (ეგვ. *Sw*, ჰერაკლეოპოლისთან), ექიშპებოდა კიდეც ომბოსს, რადგან ისიც „იბრალებდა“, რომ სეტხის დაბადების ადგილი იყო (Brit.Mus.Stela no.79: Mercer, 1949, 49). სეტხს ეთაყვანებოდნენ დასავლეთის უდაბნოს ოაზისებში, დახლესა და ხარგეში (Gardiner, 1947, II, 67*; Kees, 1980, 23). ქვემო ეგვიპტეში სეტხის კულტი არსებობდა II დინასტიიდან დელტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და საერთოდ უდაბნოს რეგიონებში (Коростовцев, 1976, 114; Mercer, 1949, 48). როგორც საქარავნო გზებთან დაკავშირებული ღვთაება, სეტხი ადრე გახდა უდაბნოს და ავდრის ღმერთი (PT 261a; 1150; Kees, 1980, 24; Zandee, 1963, 148) და მოიპოვა წოდებები „დიადი ძალით“ და „დიადი მაგიით“. უდაბნოსთან სიახლოვის გამო, ის გააიგივეს უდაბნოს არაეგვიპტური წარმოშობის ღმერთებთან — ლიბიურ აშთან და არაბეთის უდაბნოს „დასავლეთის ბატონთან“, რომლის სახელიც უცნობია (Kees, 1980, 23). უდაბნოსთან კავშირმა სეტხს წითელი ფერიც მიანიჭა — ხშირად ის წითელი თვალებით გამოსახებოდა (Mercer, 1949, 50). სეტხის „უცხოელებთან“ დაკავშირება ეგვიპტეში ჰიკსოსების გაბატონების შემდეგაც მოხდა. მათ სეტხი სირიულ ბაალთან, ასევე ავდრის ღვთაებასთან გააიგივეს და ეთაყვანებოდნენ, როგორც საკუთარ ღმერთს. ჰიკსოსების სეტხს სუტეხად მოიხსენიებდნენ და ბაალის თავის სამოსით გამოატავდნენ (Gardiner, 1964, 165). მისი მეუღლე იყო სირიული ქალღმერთი ანატი, რომელსაც ტაძარი ტანისში, ჰიკსოსების დედაქალაქის, ავარისის სიახლოვეს ჰქონდა (Коростовцев, 1976 6113). ამიტომ სეტხის აღზევება XIX დინასტიის დროსაც მოხდა, რომელიც წარმომავლობით ტანისური იყო. ცნობილ ტანისის სტელაზე მოთხრობილია, რომ ვეზირად ყოფნის დროს მომავალი ფარაონი, რამსეს I-ის შვილი და რამსეს II-ის მამა, სეტი I ჩამოვიდა ტანისში სეტხის მეოთხასე წელს მისთვის პატივის მისაგებად. ცნობილი არ არის, თუ რას ნიშნავს „სეტხის მეოთხასე წელი“ (სეტხი ამ ტექსტში „ომბოსელად“ არის მოხსენიებული), მაგრამ ცხადია, რომ ამ ოჯახისათვის სეტხი მნიშვნელოვანი ღვთაება იყო (Gardiner, 1964, 165). ანასტაზის პაპირუსების (I და II) თანახმად, რამსეს II-ის ქალაქში, პი-რამსესში დასავლეთ ნაწილს „ამონის“, სამხრეთ ნაწილს კი „სეტხის მამულს“ ეძახდნენ (Pap.Anastasi II, 1, 4; IV, 6, 4; Коростовцев.



სუტეხი – ჰიკსოსების სეტხი

1976, 114). რამსეს II-ის არმიის დანაყოფებს ამონის, რას, პტახის და სეტხის ნაწილები ერქვა (Breasted, 1962, §§ 308, 310). თვითონ რამსეს II-ს ადარებდნენ სეტხს (Коростовцев, 1976, 114). სეტხი, როგორც ძლიერი მებრძოლი და ჯადოქარი, გვევლინება რას მხსნელად მისი ღამით მიწისქვეშეთში მოგზაურობის დროს. იგი გადაარჩენს რას და მის ბარკაში მსხდომთ დიდი გველისაგან ვიწრო გასასვლელში დასავლეთის მთასთან (მისი ამ როლში უძველესი მოხსენიებაა „მკვდართა წიგნის" 108 თავში, რომელიც პერაკლეოპოლისური პერიოდით არის დათარიღებული (Kees, 1980, 237). სეტხის ეს სახე ნასესხები აქვს რამსეს III-ს თავისი მოსახსენიებელი ტაძრის კედლის გამოსახულებაში, სადაც ფარაონი ზღვის ხალხებს ამარცხებს (Hart, 2005, 145). როგორც რას მშველელი, სეტხი ხდება „სიციცხლის ბატონი მზის ბარკის წინ", „ის, ვინც რას უყვარს" და „რას შვილი" (Kees, 1980, 237). სეტხს კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი — პოლიტიკური როლი გააჩნდა: იგი იყო ერთადერთი ღმერთი, რომელიც ექიშპებოდა ხორს, როგორც ფარაონთან და სახელმწიფოსთან ასოცირებულ ღვთაებას. ამ ბრძოლაში სეტხი მარცხდება და აქედან გამომდინარეობს მისი უარყოფითი თვისებებიც. როგორც „ზემო ეგვიპტის ბატონი", იგი უპირისპირდება ხორს, რომელთანაც ქვემო ეგვიპტე იყო ასოცირებული. ორ ღმერთს შორის ერთიანი ეგვიპტისათვის ბრძოლა მრავალ ტექსტშია ასახული (ერთ-ერთი ყველაზე სრული ვარიანტისათვის *nb.* Junker, 1941). ეგვიპტის პირველივე ფარაონი „ხორი" იყო, მაგრამ II დინასტიის დროს მომხდარი (დღეს ჩვენთვის ბუნდოვანი) არეულობების დროს დინასტიის მეოთხე ფარაონი პერიბსენი წარმოდგენილია, როგორც „სეტხი" (Newberry, 1922, 40-47; Wolf, 1962, 57; Emery, 1961, 97), ხოლო ბოლო ფარაონი ხასეხემუი — როგორც „ხორი და სეტხი" (Emery, 1961, 98; Helk, 1968, 43). III დინასტიიდან ფარაონი უკვე საბოლოოდ „ხორი" ხდება, მაგრამ ამის შემდგომაც ეგვიპტის დედოფლის ერთ-ერთი წოდება იყო „ის, ვინც ხორს და სეტხს (ე.ი.ფარაონს) ხედავს (Wb IV, 345). ხორს და სეტხს ერთად მოიხსენიებდნენ, როგორც „ორივე ბატონს" (*nb.wj*, Wb II, 231), ისინი ხშირად გამოისახებოდნენ, როგორც ადამიანი ორი — ხორის და სეტხის — თავით (Mercer, 1949, 55). მითოლოგიაში ეს ბრძოლა, რომლის ისტორიულ ასპექტზე პრაქტიკულად არაფერია ცნობილი, უფრო სრულად არის გადმოცემული. პირამიდების ტექსტებში, სადაც ქრონოლოგიურად არაერთგვაროვანი ტექსტების უზარმაზარ ნაკრებთან გვაქვს საქმე, სეტხის, ოსირისის და ხორის „ურთიერთობის" სხვადასხვა ფაზებია

ასახული. ზოგიერთ გამონათქვამში სეტხი და ოსირისი „მეგობრულ“ ურთიერთობაში არიან (მაგ. PT 832, 865); სხვა გამონათქვამებში მოთხრობილია სეტხის მიერ ოსირისის მკვლელობის (PT 972, 1033, 1500) და ხორის მიერ შურისძიების შესახებ (PT 649). იქვე, ღმერთები ასამართლებენ ხორს და სეტხს და მთელ მემკვიდრეობას ხორს გადასცემენ (PT 947, 1543-1549). და მაინც, მთელი ისტორიის მანძილზე, ხორი და სეტხი ერთად მონაწილეობდნენ პოლიტიკური დატვირთვის მქონე რიტუალურ ცერემონიებში (მაგ, „ორი ქვეყნის გაერთიანების ცერემონიაში, Mercer, 1949, 55). არც ერთ სხვა ღმერთს არ ჰქონია ეს პოლიტიკური დატვირთვა და არ ყოფილა გაიგივებული ეგვიპტის რომელიმე ნაწილთან. ახალი სამეფოს დასასრულიდან, როცა მითი ოსირისის და ისიდას შესახებ საოცრად პოპულარული ხდება, სეტხი თანდათან იკრებს უარყოფითი ღმერთის თვისებებს, რაც კიდევ უფრო გამოკვთილი ხდება ეგვიპტის ასურელების და შემდგომ სპარსელების მიერ დაპყრობის დროს. სეტხი, არაეგვიპტურ ღვთაებებთან და უცხო ქვეყნებთან ასოციაციის გამო, არა მარტო ხორის მოწინააღმდეგე და ოსირისის მკვლელი, არამედ სახელმწიფოს მტერი ხდება (Kees, 1980, 412). ტაძრებში შეინირებოდა წითელი ხარი, რომელიც სეტხს განასახიერებდა და ღორი, რომელთანაც სეტხი იყო ასოცირებული, ტაბუდ გადაიქცა ხორის კულტში სეტხის მოხსენიება (Hart, 2005, 145). მიუხედავად ასეთი ვითარებისა, სეტხი ეგვიპტური რელიგიის ისტორიის ბოლომდე ინარჩუნებს დიდი ღვთაების თვისებებს. ჩვ.წ.-მდე IV საუკუნის ე.წ. ბრემნერ-რინდის პაპირუსში სეტხი ისევ აპოპის მკვლელად და რას მხსნელად გვევლინება (Коростовцев, 1976, 115). იგი ბოლომდე რჩება ჰელიოპოლისის ენეადის წევრი (უნდა აღინიშნოს, რომ ხორი ამ კოსმოგონიის წევრი არ იყო). სეტხი იყო ასევე ერთ-ერთი იმ ხუთი დიდი ღმერთიდან, რომლებიც ე.ნ. ეპაგომენალურ დღეებში დაიბადნენ (Brit. Mus.Stela no.79; Mercer, 1949, 49). დიდი დათვის თანავარსკვლავედს ეგვიპტელები „სეტხის ბარკალს“ ეძახდნენ (Kees, 1980, 147).

სეფხეტ-აბუი – (ეგვ. *Sfḫ.t ʿbw,* დაფიქსირებულია XVIII დინასტიიდან, Wb IV, 117), დამწერლობის და სატაძრო ბიბლიოთეკების ქალღმერთი. სახელი ნიშნავს „შვიდრქიანს“. ანთროპომორფული ქალღმერთი, გამოისახებოდა თავზე შვიდქიმიანი ვარსკვლავით. „ესწრებოდა“ ტაძრის საფუძვლის ჩაყრის ცერემონიას ფარაონის მიერ ტაძრის ფართობის მოზომვისას. ფიგურირებს იმ ღმერთებს შორის, რომლებიც ფარაონის

სახელს საკრალური ხის ფოთლებზე წერენ (Hart, 2005, 141). არსებობს აზრი, რომ სეშატის ერთ-ერთი სახე იყო (Коростовцев, 1976, 143).

სეშატი

სეშატი — (ეგვ. *Sšꜣ.t*, „დამწერლობის ქალბატონი", „ქალი-გადამწერი", Wb IV, 280), დამწერლობის, ბიბლიოთეკების და თვლის ქალღმერთი. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, თავზე შვიდქიმიანი ვარსკვლავით და მშვილდის მსგავსი ნიშნით, რომლის მნიშვნელობა დაუდგენელია. ეცვა ლეოპარდის ტყავის სამოსი. II დინასტიით დათარიღებულ გამოსახულებაზე ეხმარება ფარაონ ხასეხემუის სასაზღვრო ჭოკების ჩარჭობაში თოკის გაჭიმვის ცერემონიის დროს, რომელიც ტაძრის ფუნდამენტის ჩაყრის რიტუალის კულმინაციას წარმოადგენდა (Hart, 2005, 142). ითვლიდა ფარაონის მეფობის წლებს. იყო ნაგებობის გეგმების შემდგენელი და მშენებლობების და მშენებლების ქალბატონი (PT 616). გადახლართული იყო ჰერმოპოლისის ოგდოადასთან და ახალი სამეფოდან გახდა თოტის მეუღლე (Mariette, 1869, I.51) ან ქალიშვილი (Mariette, 1870, II.74). ჰელიოპოლისში იყო საკრალური იშედ-ხის კულტი, რომელიც ფარაონის სიცოცხლის ხედ ითვლებოდა. სეშატი და თოტი მის ფოთლებზე ფარაონის მეფობის წლებს და სახელს წერდნენ (Kees, 1980, 87). გაიგივებული იყო ხატხორთან, მაფდეტთან, ნეფტიდასთან. შესაძლოა მისი მეუღლე იყო სეშაუ (PT 426, Wb IV, 280), რომლის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი, გარდა იმისა, რომ გვიანდელ პერიოდში ოსირისის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა ან ეპითეტი გახდა (Bonnet, 1952, 700).

სეშატის შვიდქიმიანი ვარსკვლავი

სეხემი — (ეგვ. *Sḫm*, „ძალა", Wb IV, 249), ძალის პერსონიფიკაცია. ეგვიპტელი ლაპარაკობდა „ღმერთებზე, სეხემზე და ადამიანებზე" (PT 895). ძველი რელიგიური ტექსტები დიდ ღმერთებს და გარდაცვლილ ფარაონს მოიხსენიებდნენ, როგორც „სეხემს". მიცვალებულთა ლიტერატურაში „სეხემს" ეძახდნენ გარდაცვლილებსაც, რომლებიც უფრო მაღალ, ზემინიერ არსებებად იყვნენ მიჩნეული (PT 894). გარდაცვლილს მიმართავდნენ: „შენი კა სუფთაა, შენი სეხემი სუფთაა, ის შენი ახის ქვეშაა, შენი ბა სუფთაა, ის ღმერთების ქვეშაა" (PT 839). სეხემი ძალიან ახლოს იყო ახის ცნებასთან და ხანდახან მის პარალელურადაც იხმარებოდა. იგი ღმერთებსაც ჰქონდათ, მაგრამ ეს განსხვავებული სახის სეხემი იყო — „დიდი" ან „ზეციური სეხემი". ოსირისი იყო „დიდი სეხემი, რომელიც ტინიტის ნომში ცხოვრობდა"

სეხემი

(PT 754). სეხემს საკუთარი სახეც გააჩნდა — იეროგლიფი, რომლითაც ის გამოიწერებოდა — „ძალაუფლების კვერთხი", ძალის სიმბოლო, რომელზეც თვალები იყო გამოსახული. ამ სახით მას საკუთარი კულტიც გააჩნდა. კულტის სამშობლო აბიდოსი იყო. აქ სეხემი ოსირისის ღმერთების წრის ფეტიში გახდა. გამოიყენებოდა, როგორც ანუბისის ნიშანი. იყო ასევე თოტის ფეტიში (Kees, 1980, 99-100).

სეხემხეტი — (ეგვ. *Šḫm-ḫ.t*, „სხეულით ძლიერი", დაახლ. ჩ.ნ.-მდე 2611-2603 წწ.), III დინასტიის ფარაონი, სავარაუდოდ, ჯოსერის მემკვიდრე. უცნობია, ჰქონდა თუ არა რაიმე ნათესაური კავშირი ჯოსერთან, რადგან ჯერჯერობით მხოლოდ ჯოსერის ქალიშვილების სახელებია ცნობილი. ვარაუდობენ, რომ ტახტზე ერთ-ერთ მათგანთან ქორწინებით ავიდა, რადგან ფარაონს მემკვიდრე არ ჰყავდა. სეხემხეტის მეფობა ძალიან ბუნდოვანია. ნაპოვნია მისი ორი წარწერა ვადი მაგარას სამტეხლოებთან სინაის ნახევარკუნძულზე (Pätznick, 2005, 76-79). სავარაუდოდ, მოულოდნელად გარდაიცვალა, რადგან მისი პირამიდა დაუსრულებელია. მაგრამ მასთან თავისებური საიდუმლოა დაკავშირებული. გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ეგვიპტელმა არქეოლოგმა ზ. გონეიმმა აღმოაჩინა სეხემხეტის საფეხუროვანი პირამიდა. პირამიდაც და დიდი გალავანი მის ირგვლივ ქვიშებში იყო ჩაფლული. როცა არქეოლოგებმა მიაღწიეს დასაკრძალ ოთახს, იქ აღმოჩნდა შესანიშნავი ალებასტრის სარკოფაგი, რომელიც დალუქული იყო. სარკოფაგზე ეწყო ყვავილები, რომლებიც, სავარაუდოდ, დაკრძალვის ცერემონიის დროს დააწყვეს. მაგრამ ლუქის ახსნის შემდეგ სარკოფაგი ცარიელი აღმოჩნდა. სეხემხეტის ცარიელ სარკოფაგის საიდუმლო დღემდე ელოდება ახსნას (Гоннейм, 1959).

სვავი

სვავი — დიდი ქალღმერთების — ნეხბეტისა და მუტის ფრინველი. სვავს ეგვიპტელები მდედრობით საწყისს უკავშირებდნენ. სვავის ერთ-ერთი სახელი, „*mt w.t*" ეგვიპტურად „დედასაც" ნიშნავს (WB II, 53); იგივე სიტყვაა დაკავშირებული ზემო ეგვიპტის დიდ ქალღმერთთან, მუტთან. მუტი ანთროპომორფულადაც გამოისახებოდა, მაგრამ მის გამოსახულებაში ყოველთვის იყო სვავის ელემენტები. მეორე დიდი ქალღმერთი, ნეხბეტი, ყოველთვის სვავის სახით იყო გამოსახული ფარაონის ტიტულატურაში, როგორც ზემო ეგვიპტის სიმბოლო. ჯერ კიდევ

ნინადინასტიურ ეგვიპტეში ნეხბეტი ზემოეგვიპტური სამეფოს და ზემო ეგვიპტის თეთრი გვირგვინის მფარველი გახდა, და მას მოიხსენიებდნენ, როგორც „თეთრს ნეხენიდან". ნეხბეტი ფარაონის დედად იყო მიჩნეული (PT 911, 1116-9). ბუდეში მჯდომი სვავი ეგვიპტელისათვის მფარველი დედის ხატოვანი სიმბოლოც იყო (Kees, 1980, 36-37).

სია — (ეგვ. *Sjꜣ*, დაფიქსირებულია პირამიდების დროიდან, WB IV, 31), გონების და შემეცნების გაღმერთებული პერსონიფიკაცია. ანთროპომორფული ღვთაება. ითვლებოდა, რომ სია რას ფალოსიდან დაწვეთებული სისხლიდან შეიქმნა. ძველი სამეფოს დროს ხშირად იყო წარმოდგენილი რას გვერდით წმინდა პაპირუსით ხელში, რომელიც ცოდნის სიმბოლო იყო. მეფეთა ველის სამარხების კედლებზე მოთავსებულ გამოსახულებებში მოგზაურობს რას ბარკაში (Hart, 2005, 147). სია გადახლართული იყო ასევე გაღმერთებულ სიტყვასთან — ხუსთან, რადგან ხუს საშუალებით გადმოიცემოდა სიას ნაფიქრი. მჭიდროდ იყო დაკავშირებული სიბრძნის ღვთაებასთან — თოტთან და ჩვეულებრივ მის გვერდით გამოისახებოდა. როცა თოტი, როგორც ვეზირი, ანგარიშს აბარებს მზის ღვთაებას, სია მის გვერდითაა და ღმერთის ნიგნი უჭირავს (PT 267). ბერძნულ პერიოდში შეერწყა თოტს.

სიამუნი — (ეგვ. *Sꜣ-Imn*, „ამონის ვაჟი", დაახლ. ჩვ.წ.-მდე 978-959 წწ.), XXI დინასტიის ფარაონი. მის ოჯახზე არაფერია ცნობილი. უცნობია ისიც, აკავშირებდა თუ არა მას რაიმე ნათესაური კავშირი თავის წინამორბედებთან ან შთამომავალთან, ფსუსენეს II-თან. სიამუნმა საკმაოდ აქტიური მშენებლობა გააჩაღა. ტანისში მან გაადიდა ფსუსენეს I-ის მიერ აგებული ამონის ტაძარი. სავარაუდოდ, მან ტაძარს მიაშენა კოლონნებიანი ეზოც, რადგან მისი ორი მასიური კოლონის საფუძველი დღემდეა შემორჩენილი. ჩაატარა მშენებლობები ხონსუს სამხრეთ ტაძარში. მემფისში სავარაუდოდ აუგო პატარა ტაძარი ამონის ერთ-ერთ სახეს: „ამონი, ლილაქვის ბატონი". ტაძრის გადარჩენილი კარიბჭეები და კირქვის სვეტები საოცრად დახვენილი ოსტატობით არის შესრულებული. მემფისის სამხრეთით მისი მშენებლობები არ არის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თებეში მისი სახელით დათარიღებული წლები ძალიან ბევრია. სიამუნის ცოლის დაზე დაქორწინდა ედომის უფლისწული ჰადადი, რომელიც ჩვილობაში, ისრაელის მეფის, დავითის ედომზე შეტევისას, ეგვიპტეში გამოაქციეს და ის სიამუნის წინამორბედმა

ამონემოპემ შეიფარა. ჰადადი, როგორც ჩანს, უყვარდა ფარაონს, რადგან როცა დაახლ. ჩვ.წ.-მდე 970 წ. დავითი გარდაიცვალა და ჰადადი ედომში დაბრუნდა, სიამუნმა ძალიან განიცადა (1 მეფეთა II 21-22; Kitchen, 1973, § 236). სიამუნი ცნობილია თავისი სამხედრო კამპანიითაც დასავლეთ აზიაში. მან განახორციელა ნარმატებული შეტევა ფილისტიაზე და აიღო ქალაქი გეზერი. ქალაქი მზითვად გაატანა თავის ქალიშვილს, რომელიც ისრაელის მეფე სოლომონზე დააქორწინა (1 მეფეთა 9:16-24; Mysliwiec, 41). თავისთავად ეს ფაქტი მეტყველებს, თუ როგორ შეიცვალა ვითარება, რადგან ტრადიციულად ეგვიპტის ფარაონებს ცოლად მოჰყავდათ უცხო ქვეყნების მეფის ასულები, მაგრამ ყოველთვის უარს ამბობდნენ საკუთარი ქალიშვილების უცხოელებზე გათხოვებაზე (Shaw (ed.), 2003, 327).

სიენა — (ეგვ. *Śwn.w,* Wb IV, 69), დღევანდელი ასუანი, ელეფანტინას კუნძულის პირდაპირ. მდებარეობდა ნახევარკუნძულზე, ნილოსის აღმოსავლეთ ნაპირზე, პირველ ზემოეგვიპტურ ნომში. სიენასთან გადიოდა ეგვიპტის საზღვარი, და ამიტომ აქ ყოველთვის იყო საბაჟო და სამხედრო გარნიზონი. ქალაქი უშუალოდ ნილოსის პირველი ჭორომის ჩრდილოეთით მდებარეობდა, და სიენადან დელტამდე აღარ იყო არავითარი ბარიერი, რომელსაც ნავიგაციის შეფერხება შეეძლო. ეს ქალაქს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, რადგან გარდა მრავალი სავაჭრო ტვირთისა, რომელიც ქვეყანაში სამხრეთიდან შემოდიოდა, სიენადან ჩრდილოეთისაკენ იგზავნებოდა დიდი რაოდენობით სამშენებლო ქვა. სიენას მიდამოებში, ნილოსის ორივე ნაპირზე, იყო განთქმული ქვის სამტეხლოები. განსაკუთებით ფასობდა აქაური გრანიტი, რომელსაც ეგვიპტელები „სიენურს" ეძახდნენ. თავისი მდებარეობის გამო გვიანდელ პერიოდში გახდა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ნომისაგან დამოუკიდებლად აღიქმებოდა. პლუტარქეს თანახმად (De Iside, 7), ქალაქში განსაკუთრებით ეთაყვანებოდნენ თევზს (Phagros), რომელსაც ნილოსის დროულად ადიდებას ევედრებოდნენ. ეგვიპტელების წარმოდგენით, ნილოსი სწორედ ამ მიდამოებში მოხეთქავდა მიწიდან. სიენაში ეთაყვანებოდნენ ასევე ნომის ღვთაებებს ხნუმს, სატეტს, ისიდას, ოსირისს და ხორს. ყველა ამ ღვთაებებს პტოლემაიოს III-მ და IV-მ დიდი ტაძარი აუგეს (Bonnet, 1952, 762).

სიპა — (ეგვ. *Śly.t-imȝw,* ბერძნ.პერ., Wb IV, 230). ამონის კულტმა

მტკიცე ფესვები გაიდგა სივას ოაზისში, რომელიც მდებარეობს უდაბნოში დაახლ. 500 კმ. ნილოსის დასავლეთით და 300 კმ. ხმელთაშუა ზღვის სამხრეთით (Arnold, 2003, 16). ეგვიპტური კულტურის სივას ოაზისში გავრცელება ჰეროდოტეს (II. 42) მიხედვით ეთიოპური პერიოდიდან იწყება. სივას ამონს ეგვიპტელები „რჩევების ბატონს" ეძახდნენ, რაც მის ორაკულის თვისებებზე მიუთითებს. ამონის კულტის სივაში გავრცელება ბერძნებთან, კერძოდ კირენელებთან იყო დაკავშირებული, რომლებიც მას აქ ზევსს ეძახდნენ (Bonnet, 1952, 23). დღეისათვის შემორჩენილი ამონის ორაკულის ტაძარი ამასისის მიერ არის აგებული დაახლ. ჩვ.წ.-მდე 570 წ. მისი ძირითადად ეგვიპტური მახასითებლების მიუხედავად, კონსტრუქციის გარკვეული დეტალები მიუთითებს მშენებლობაში ბერძენი (კირენელი) ხელოსნების მონაწილეობაზე. ტაძარი მოიცავდა ფართობს 15x51, 6მ. და შედგებოდა პრონაოსის, წინა ეზოს, გადახურული ეზოს, ორსვეტიანი შიდა პალატის და ნმინდათა ნმინდა საკანისაგან, სადაც ჩვეულებრივ ღვთაების ქანდაკება იყო დაბრძანებული. შიდა პალატა და საკანი დასავლეთის მხრიდან დაკავშირებული იყო დარბაზით, საიდანაც ორაკულები წარმოითქმებოდა. ალექსანდრე დიდმა ჩვ.წ.-მდე 331 წ. აქ იზეიმა გამარჯვება და ორაკულისაგან რჩევა მიიღო (Arnold, 2003, 16).

სილე – (ეგვ. *Ꜣbw*, Montet, 1957, 189), ეგვიპტის აღმოსავლეთი სასაზღვრო ციხე-სიმაგრე და მეთოთხმეტე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი (სავარაუდოდ, მდებარეობდა თანამედრ. თელ ელ-ჰაბუასთან (Shaw (ed.), 2003, 200). პ. მონტეს აზრით, ტიარუ არის იგივე მესენი (*იქვე*). მდებარეობდა „ხორის გზის" დასაწყისში (ეგვიპტიდან აზიისაკენ მიმავალი მთავარი გზა, რომელიც უნდა გაეელო ყველა აღმოსავლეთით მიმავალ ჯარს). „სილეს" ან „ზელეს" ეძახდნენ ბერძნები. მოიხსენიება ასევე, როგორც „ჩარუ" და „ჯარუ". ქალაქი მდებარეობდა უდაბნოში, და ამიტომ ხშირად გამოიყენებოდა, როგორც კანონდამრღვევების გადასახლების ადგილი. სწორედ ასეა მოხსენიებული ქალაქი ხორემხების ცნობილ ედიქტში, სადაც ის კანონდამრღვევთ ცხვირების დაჭრით და „ტიარუში გასახლებით" ემუქრება (Breasted, III, §§51, 54). მთავარი ღვთაება, შევარდნის სახის, მჭიდრო კავშირში იყო ედფუს ხორთან და ჰქონდა ეპითეტი „მესენის ბატონი". შესაბამისად, სილე მოიხსენიებოდა, როგორც „ქვემო ეგვიპტის ედფუ". ედფუს ლეგენდის თანახმად, ბეხდეტელი ხორი გადაიქცევა ადამიანისთავიან ლომად, როცა ის იბრძვის

სილეში. საგულისხმოა, რომ სილეში უძველეს დროში ეთაყვანებოდნენ ლომის სახის ღვთაებას, რომელიც შევარდნის სახის ღვთაებას შეერწყა. აქ მდებარეობს ტაძრის ნანგრევები, რომლებიც ააგეს სეტი I-მა და რამსეს II-მ.

სინაი — (ეგვ. *Ḫtjw*, Wb III, 349). როგორც ძვირფასი ნედლეულის წყარო, სინაის ნახევარკუნძული ყოველთვის ეგვიპტის ინტერესების სფეროში იყო მოქცეული. ჯერჯერობით მოძიებული უძველესი წარწერები სინაიზე ეკუთვნის III დინასტიის ნაკლებად ცნობილ ფარაონს სანახტს და მის შემდეგ, მცირე შესვენებებით შიდააშლილობის პერიოდებში, სინაის აღმოსავლეთი ნაწილი ეგვიპტის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მრავალი წარწერა ვადი მაგარას მიდამოებში გვამცნობს, რომ აქაურ მაღაროებში ინტენსიურად ხდებოდა სპილენძის მოპოვება ძველი სამეფოს დროიდან. სერაბიტ-ელ-ქარგადან მოპქონდათ ფირუზი და მალაქიტი. აქ განსაკუთრებით გავრცელებული იყო ხატხორის კულტი, რომელიც აქაურ ტაძარში „ფირუზის ქალბატონად" არის მოხსენიებული. სინაის ნახევარკუნძული მომთაბარე ტომებით იყო დასახლებული, რომლებსაც ეგვიპტე მუდმივად ებრძოდა, მაგრამ ეს მცირე მასშტაბის სამხედრო კამპანიები არ უშლიდა ხელს ეგვიპტელების მიერ მაღაროების აქტიურად დამუშავებას (Grimal, 2003, 69). უკანასკნელი ეგვიპტელი ფარაონის წარწერა სინაიზე რამსეს VI-ს ეკუთვნის (Helck und Otto, 1956, 335).

სინკრეტიზმი — ეგვიპტოლოგიაში ეწოდება მეთოდს, რომლის საშუალებითაც ეგვიპტელები ორ ან მეტ ღვთაებას ერთში აერთიანებდნენ. ის დამყარებული იყო წარმოდგენაზე, რომ ღვთაებას გააჩნია უხილავი, ადამიანისათვის შეუცნობადი, „სულიერი" არსება (Bonnet, 1939, 40-52). უძველეს დროში, აზროვნების განვითარების შედარებით დაბალ საფეხურზე, გამოსახულება და ეს სულიერი არსება ერთმანეთის იდენტურად აღიქმებოდა. თანდათან, რელიგიური აზროვნების განვითარებასთან ერთად, მოხდა სულიერი საწყისის და გამოსახულების დიფერენცირება. სულს მიეწერებოდა გადანაცვლების უნარი და არსებობის ფლუიდური ფორმა: ის შეიძლებოდა შეცვლილიყო, გარდაქმნილიყო ან ჩასახლებულიყო სხვადასხვა მატერიალურ საგანში (Morenz, 1973, 153-154). ღმერთის სულიერი არსების და მისი მატერიალური გამოსახულების განსხვავება კარგად ჩანს მემფისის კოსმოგონიაში, რომლის თანახმად მას

შემდეგ, რაც პტახმა — ამ კოსმოგონიის შემოქმედმა ღმერთმა – შექმნა სხვადასხვა ღმერთი, ისინი შეუერთდნენ თავიანთ სხეულებს „ყოველი ხისაგან, ყოველი ქვისაგან, ყოველი თიხისაგან“ (Хведелидзе, 1979, 44). იგივე ფლუიდური არსება შესაძლებელს ხდიდა სხვადასხვა ღმერთების გაერთიანებას, ერთმანეთთან შერწყმას და იმავდროულად თავისი არსების შენარჩუნებას, ან ერთი სულიერი საწყისის სხვადასხვა სახით გამოვლინებას. ამიტომ ისეთი „ერთობები“, როგორიც იყო ამონ-რა, წარმოიდგინებოდა არა როგორც ორი ღვთაების გაერთიანება, არამედ როგორც ერთი ღვთაებრივი არსების სხვადასხვა გამოვლინების ფორმა. როცა ჰელიოპოლისში მზის ღვთაების, რას აღზევება მოხდა, მას შეეძლო ძველი დემიურგის, ატუმის ტახტი დაეკავებინა, ატუმი კი თანდათან დავინყებას მისცემოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ისინი ორივე ერთი ღვთაებრივი არსების სხვადასხვა გამოვლინებად იქნა წარმოდგენილი. ასეთმა წარმოდგენამ ეგვიპტელები უძველესი სამების შექმნამდე მიიყვანა. უკვე პირამიდების ტექსტებში მზის ღვთაებას მიმართავდნენ: „შენ აღზევდები დილას, როგორც რა, შენს სახელში „ხეპრი“, შენ ბრნყინავ ცის კაბადონზე, როგორც რა, შენს სახელში „რა“, შენ ჩაესვენები ჰორიზონტზე, როგორც „რა“, შენს სახელში „ატუმი“ (PT 1995a-c, დაახლ. XXIV-XXII სს. ჩვ.ნ.-მდე). ჩვეულებრივ, რაც უფრო დიდი იყო ღვთაება, მას მეტი გამოვლინების ფორმა მიეწერებოდა. რაზე, მაგალითად, ვკითხულობთ: „თავის სიდიადეში ის მრავალ ფორმას ღებულობს“, „მისი სახელები მილიონია, მათი ჩამოთვლა შეუძლებელია“ (Budge, 1960, 109-110). იმავდროულად, ეგვიპტელები (რაც ჩვეულებრივ მათი კონსერვატიულობით აიხსნება), ვერ „ელეოდნენ“ თავიანთი ღმერთების იდენტურობას. მათი პრაგმატული ბუნება საშუალებას აძლევდა, დისკრეტულად აღექვათ ღვთაება, როცა მას სპეციფიკური ფუნქციონალური დანიშნულება ჰქონდა, რაიმე მიზნისათვის ორი ან სამი ღვთაება წარმოადგენდათ, როგორც „ერთი“ და იმავდროულად შეენარჩუნებინათ ცალკეული ღვთაებები სხვა მიზნებისათვის. ამონი და რა ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე მზისა და ჰაერის დამოუკიდებელ ღვთაებებად დარჩნენ, მიუხედავად მათი ინკორპორირებისა ერის უზენაეს (ერთ) ღვთაებაში — ამონ-რაში (Wilson, 1957, 209). ასეთი წარმოდგენის გამო, დღემდე საკამათოდ ითვლება ეგვიპტური რელიგიის არსება — ის პოლითეისტური იყო (რაც მრავალი ღმერთის არსებობას გულისხმობს), ჰენოთეისტური (რაც გულისხმობს ერთი ღმერთის თაყვანისცემას, მაგრამ უშვებს სხვა ღმერთების არსებობას) თუ მონოთე-

ისტური, სადაც სხვადასხვა ღვთაებრივი ფორმები ერთი ღვთაების გამოვლინებს წარმოადგენენ (Hari, 1985, 3).

სინუხეტი – მსოფლიოში უძველესი პროზით შესრულებული მოთხრობა, რომელიც მოგვითხრობს არა რომელიმე მეფის, ღმერთის ან გმირის, არამედ რიგითი ადამიანის ამბავს. დათარიღებულია XII დინასტიით. შემოინახა ამავე პერიოდის პაპირუსზე (Pap. Berlin 3022B), მოთხრობის დასაწყისი ნაპოვნია XVIII დინ. პაპირუსზე (Pap. Berlin 10499).

სიპტახი – (ეგვ. *S3-Pth*, „პტახის ვაჟი" დაახლ.ჩვ.წ.-მდე 1204-1198 წწ.), XIX დინასტიის ფარაონი. მისი დედა შესაძლოა იყო აზიური წარმოშობის დედოფალი სუტაილია (ან შოტერაია), შესაძლოა ქანაანიდან. მის შესახებ არაფერია ცნობილი. სიპტახის მამა შესაძლოა იყო ამონმესე (Rice, 1999, 18) ან სეტი II (Clayton, 1994, 158). მაგრამ რამსეს III-ის მოსახსენიებელი ტაძრის (მედინეტ ჰაბუ) ცნობილ ფარაონების პროცესიაში ამონმესე და სიპტახი გამოტოვებული არიან, რაც ბადებს ეჭვს, რომ XX დინასტიის ფარაონები მათ არალეგიტიმურად მიიჩნევდნენ, ამიტომ საეჭვოა, რომ სიპტახი სეტი II-ის ვაჟიშვილი ყოფილიყო. ტახტზე სიპტახი დაახლოებით ათი წლის ასაკში ავიდა და ამიტომ მისი მეფობის დროს მისი დედინაცვალი, სეტი II-ის მთავარი მეუღლე ტაოსრეტი რეგენტის როლს ასრულებდა. სიპტახის გარდაცვალების შემდეგ მან თავი მეფედ გამოაცხადა. სიპტახი დაკრძალეს მეფეთა ველზე (KV 47), მაგრამ მისი მუმია, სხვა 18 მუმიასთან ერთად, აღმოაჩინეს ამონხეტეპ II-ის დიდ სამარხში (KV 35) 1898 წელს, სადაც ისინი მძარცველებისაგან იყვნენ გადამალული. მუმიის შესწავლით დადგინდა, რომ სიპტახს ჰქონდა წითელი ხვეული თმა და მისი ფეხი სავარაუდოდ პოლიომიელიტით იყო დასახიჩრებული (Smith, 1912, 73).



ნალის სახის სისტრუმი

სისტრუმი ხატხორის თაით

სისტრუმი – საკრალური დანიშნულების საჟღარუნო მუსიკალური ინსტრუმენტი და ხატხორის უძველესი ფეტიში. იყო ორი სახის – ნაოსის (ეგვ. *sšš.t*, Wb III, 486) და ნალის (ეგვ. *Šḥm*, Wb IV, 251, ბერძნული პერიოდიდან ასევე *Ib*, Wb I, 61) ფორმის. დღეს ჩვენს ხელთ არსებული უძველესი ნიმუში წარმოადგენს ტეტი II-ის შეწირულობას დენდერას ხატხორისადმი (Bonnet, 1952, 717) სისტრუმი იყო ასევე მეშვიდე ზემოეგვიპტური ნომის სიმბოლო. მის დედაქალაქს (დიოსპოლისი პარვა) სისტრუმის ქალაქს (*Ḥwt sšš.t*) ეძახდნენ (Montet, 1961, 92-93).

სისხლი — თუმცა საკულტო რიტუალებში სისხლის რაიმე ფუნქცია შემჩნეული არ არის, სისხლი სიცოცხლის მატარებელ ელემენტად ითვლებოდა და მითოლოგიაში გარკვეულ როლს თამაშობდა. ბატას სისხლიდან პერსეას ხეები გაიზარდა („ორი ძმის ზღაპარი"), რას სისხლის წვეთიდან გაჩნდნენ ღმერთები ხუ და სია, გების სისხლიდან — კედარის ხე (Lexa, 1925, II, 65). ოსირისმა კი ისიდას და ხორს ღვინოში გარეული თავისი სისხლი დაალევინა, რომ მათთვის თავისი თავი სამუდამოდ შეეყვარებინა.

სიცოცხლის ნიშანი — სიცოცხლის ნიშანს ხშირად „მარყუჟიან ჯვარს" (☥) ეძახიან. მისი მნიშვნელობა ბოლომდე გარკვეული არ არის. დამწერლობაში ის „სიცოცხლის" (*ʿnḫ*) გამოსაწერად გამოიყენებოდა. ხელში ეკავათ ღმერთებს და ფარაონს. შესაძლოა მისი უფრო ძველი და სრული ვარიანტი „ისიდას სისხლის" ნიშანი იყო. ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ქრისტიანი ეგვიპტელები სიცოცხლის ნიშანში ჯვარზე მინიშნებას ხედავდნენ და თავიანთ სიმბოლიკაში შეინარჩუნეს.

სიცოცხლის ნიშანი

სიცოცხლის სახლი — (ეგვ. *pr ʿnḫ*, „განსწავლულთა სახლი", Wb I, 515), კულტურული, საგანმანათლებლო და რელიგიური დანესებულებები, რომლებიც ტაძრებთან არსებობდა. ისინი ბიბლიოთეკების როლსაც ასრულებდნენ. აქ ყველაზე განსწავლული ქურუმები, ე.წ. ჰიეროგრამატები იყვნენ დაკავებული. „სიცოცხლის სახლებში" იქმნებოდა ახალი ნაწარმოებები და ხდებოდა ძველი, არა მარტო რელიგიური, არამედ ასტრონომიული, სამედიცინო, მათემატიკური და მაგიური პაპირუსების კოპირება. ითვლება, რომ სწორედ სიცოცხლის სახლებში იქმნებოდა ისეთი სახის ლიტერატურა, როგორიცაა პირამიდების ტექსტები, სარკოფაგების და მკვდართა წიგნები. აქვე შეიძლებოდა შემდგომი განათლების მიღება და ცოდნის დახვეწა, რადგან განსწავლული ქურუმები სიცოცხლის სახლებში სხვებს უზიარებდნენ თავიანთ ცოდნას. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი იყო ეგვიპტეში, მისი არსება ბოლომდე დადგენილი არ არის. უძველესი მოხსენიება დათარიღებულია პეპი II-ის მეფობით და განსაკუთრებით ხშირი ხდება ბერძნული პერიოდიდან. საკითხი შესწავლილი აქვთ გარდინერს (Gardiner, JEA, 24, 157-181) და ვოლტენს (Volten, 1942.) გარდინერის აზრით, სიცოცხლის სახლებში არ ხდებოდა სწავლება, ვოლტენს კი მიაჩნია, რომ გადამწერი, რომელიც

სკოლაში წერა-კითხვას ისწავლიდა, სიცოცხლის სახლში ხვენდა თავის განათლებას.

სიწმინდე — სიწმინდეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ღვთისმსახურებაში, ასევე გარდაცვლილთა კულტში და ნებისმიერ საკულტო ქმედებაში. საკურთხეველი, შესანირი და საკულტო ქმედების შემსრულებლები — ყველა და ყველაფერი სუფთა უნდა ყოფილიყო. ტაძრების შესასვლელის თავზე წარწერა აფრთხილებდა ყველას, რომ უსუფთაოს ტაძარში შესვლა ეკრძალებოდა. იგივე მოთხოვნა იყო წაყენებული სამარხში შემსვლელთათვის. ძველი სამეფოს სამარხების შესასვლელებთან ეწერა: „ყველა, ვინც სამარხში შემოდის, უნდა იყოს განწმენდილი, როგორც დიდი ღმერთის ტაძარში შესვლის წინ". „სუფთა" (w'b) ეგვიპტეში ქურუმების კრებითი სახელი იყო.



სკარაბეოსი

სკარაბეოსი — (Ateuchus sacer), ხოჭო, რომელსაც ეგვიპტელები პირველქმნილ ძალას უკავშირებენ, რადგან ამ ხოჭოს თვისებაა თავისი კვერცხები დასაცავად მოათავსოს ნაკელის ბურთში, რომელსაც თავის წინ მიაგორებს. ნაკელიდან გამოსული ხოჭოს ჭუპრები ეგვიპტელში მიწიდან დაბადების, თავისი თავის შექმნის ასოციაციას ინვევდა. ეგვიპტელებმა გააღმერთეს ეს ხოჭო, როგორც პირველქმნილი ძალა და „თავისი თავის გამჩენს", „მიწიდან გამოსულს" ეძახდნენ. მისი სახელი ხეპრი (ეგვ. *ḫpr,* Wb III, 267) წარმოშობას, წარმოქმნას ნიშნავს. მზის კულტის აღზევების შემდეგ ხეპრი რას ერთ-ერთი სახე გახდა, დიდი ღმერთი დილის მზედ სკარაბეოსის სახით წარმოიდგინებოდა. სკარაბეოსი სიცოცხლის ძალის მომცემად ითვლებოდა და მას ამულეტის სახით მიცვალებულებსაც ატანდნენ (Helck und Otto, 1956, 337-8) (*იხ. ხეპრი*).



სკიპტრა

სკიპტრა — სკიპტრას ცნების ქვეშ ძირითადად მოიაზრება ძალაუფლების ორი ატრიბუტი, რომლებიც ღმერთებს და ფარაონს ხშირად სკიპტრასავით ეკავათ. ერთ-ერთია მათრახის სახის, წარმოადგენდა მოკლე ჯოხს, ორი ან სამი მათრახივით ზონრით, რომლებიც შეიძლებოდა მარგალიტების ასხმა ყოფილიყო. თავდაპირველად ის ანცტის, შემდეგ კი ოსირისის სიმბოლოც იყო. ოსირისის კულტის სამეფო ინსტიტუტთან დაკავშირების შემდეგ ფარაონის ატრიბუტიც გახდა. თან ახლდა ასევე ღმერთების და საკრალური ცხოველების გამოსახულებებს. მისი დანიშნულება ბუნდოვანია. მეორე, კაუჭის მსგავსი

ატრიბუტი, ასევე ანცტის და შემდეგ ოსირისის სიმბოლო იყო, მოგვიანებით კი ისიც ფარაონის ატრიბუტი გახდა. მისი გამოსახულება გამოიყენებოდა, როგორც იეროგლიფი „ბატონობის", „ძალაუფლების" გამოსანერად (*ḥḳ3*, Wb. III, 170). ორივე ატრიბუტი, ფორმიდან და ანცტისთან კავშირიდან გამომდინარე, შესაძლოა უძველეს დროში მესაქონლეობასთან იყო დაკავშირებული.

სკოლა – წერა-კითხვის ცოდნას ეგვიპტეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. განსხვავებით ბევრი თანადროული ცივილიზაციისაგან, მეფეების აღზრდის აუცილებელ ნაწილს მათთვის წერა-კითხვის სწავლება წარმოადგენდა (უკვე ძველი სამეფოს დროს არსებობდა ტერმინი „მეფის შვილების მასწავლებელი", Wb IV.85). სკოლები ძირითადად ტაძრებთან არსებობდა. დიდგვაროვანთა შვილების გვერდით აქ სწავლა უბრალო წარმოშობის ბავშვებსაც შეეძლოთ.

სმენდესი – (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1070-1044 წწ.), ფარაონი, XXI დინასტიის დამაარსებელი. მისმა ეგვიპტურმა სახელმა „ნესიბანებჯედმა" (*n.s-b3-nb-Ḏd.t*, „წმინდა ვერძი, მენდესის ბატონი", ბერძნულში „სმენდესის" სახე მიიღო და ასეა დამკვიდრებული მეცნიერებაში. სმენდესი ისტორიულ არენაზე ჩნდება დაახლ. იმავე პრიოდში, როცა სამხრეთში ამონის მთავარი ქურუმი იგდებს ხელში ძალაუფლებას. ის უკვე რამსეს XI-ის სიცოცხლეში ფაქტობრივად მართავდა ჩრდილოეთ ეგვიპტეს „ამონის სახელით" და მისი გარდაცვალების შემდეგ თავი ფარაონად გამოაცხადა. მისი წარმომავლობა უცნობია, თუმცა არსებობს აზრი, რომ, შესაძლოა, თებეში ამონის მთავარი ქურუმის, ხერიხორის შვილი იყო (Trigger et Al., 2001, 184;Vernus and Yoyotte, 2003, 80). თავისი მეფობის ლეგიტიმირება მან, შესაძლოა, მოახდინა რამსეს XI-ის ქალიშვილზე, ხენტტაუიზე ქორნინებით (Grimal, 2003, 311). ჯერ კიდევ გამეფებამდე მისი ძალაუფლება ჩრდილოეთში იმდენად დიდი იყო, რომ შეუძლებელია, მას ხერიხორზე ნაკლები თანამდებობები ჰქონოდა. სავარაუდოდ, ის ჩრდილოეთის ვეზირი და ჩრდილოეთის ჯარის მთავარსარდალი იყო. ნებისმიერ შემთხვევაში, თებემ ის აღიარა, რადგან მან შეაკეთა კარნაკის ტაძრის გალავანი, რომელიც ნილოსის ადიდების დროს დაზიანდა. სმენდესმა დედაქალაქი პი-რამსესიდან ტანისში გადაიტანა, მაგრამ რეზიდენცია მემფისშიც ჰქონდა. შესაძლოა, ის ცხოვრობდა მემფისში, რადგან

ტანისში აქტიური მშენებლობები მიმდინარეობდა (Kitchen, 1973, §§209-212).

სმენხკარა – (ეგვ. *Smnḫ-k3-Rʿ*, ძლიერია რას კა"), უაღრესად ბუნდოვანი ფიგურა, რომელსაც, სხვადასხვა აზრით, საერთოდ არ უმეფია დამოუკიდებლად და იყო თანამმართველი ეხნატონის მეფობის ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში, ან შესაძლოა, იმეფა დამოუკიდებლად რამდენიმე თვე ეხნატონის გარდაცვალების შემდეგ, რადგან სმენხკარას მესამე წლით დათარიღებულ ერთ-ერთ გრაფიტოზე ეხნატონი აღარ არის მოხსენიებული. მისი წარმოშობა უცნობია. შესაძლოა, იყო ეხნატონის შვილი მეორე რიგის ცოლისაგან (Helck, 1968, 176). მისი გამოჩენა ემთხვევა ტეიეს ვიზიტს ახეტატონში და ნეფერტიტის გაუჩინარებას. ინტერესს იწვევს ის, რომ თავის ერთ-ერთ სახელად სმენხკარა იღებს „გამქრალი" ნეფერტიტის სახელს „ნეფერ-ნეფრუ-ატონი" (ეგვ. *nfr-nfrw-Itn*, „მშვენიერია ატონის მშვენება"), რაც საშუალებას აძლევს ზოგიერთ მეცნიერს, გამოთქვას ვარაუდი, რომ სმენხკარა იგივე ნეფერტიტი იყო. მომავალი ფარაონის ლეგიტიმირებისათვის მას აქორწინებენ ეხნატონის უფროს ქალიშვილზე მერიტატონზე. სავარაუდოდ, ტეიეს ჩამოსვლას ახეტატონში ეხნატონის მეფობის დაახლ. მეთორმეტე წელს დიპლომატიური მიზანი ჰქონდა, რადგან ვითარებამ ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო არენაზე კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ეხნატონის პოლიტიკის შედეგად, რომელიც არ ინტერესდებოდა არც საგარეო პოლიტიკით და არც ქვეყნის შინაგანი საქმეებით ახეტატონის გარეთ, ეგვიპტემ ფაქტობრივად დაკარგა თავისი აზიური კოლონიები, ქვეყანაში ძალიან არასტაბილური მდგომარეობა ჩამოყალიბდა. ითვლება, რომ დედის ზეგავლენით ეხნატონმა გადაწყვიტა ერთგვარი კონსენსუსის დამყარება ამონის ქურუმებთან და ეს სმენხკარას საშუალებით უნდა განეხორციელებინა, რადგან თავად მრავალჯერ ჰქონდა დაფიცებული, რომ არასოდეს დატოვებდა ახეტატონს (Wilson, 1957, 233). გამეფებიდან დაახლ. ერთ წელიწადში სმენხკარა გაემგზავრა თებეში, როგორც ეხნატონის წარმომადგენელი, და ოფიციალურად აღადგინა ძველი ღმერთების თაყვანისცემა. თავისთვის თებეში ააგო მოსახსენიებელი ტაძარი, სადაც დაანესა მსხვერპლშეწირვა ამონისათვის (Hayes, 1959, 297). როგორც ჩანს, გარდაიცვალა ეხნატონის გარდაცვალებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. შესაძლოა, გახდა შავი ჭირის ეპიდემიის მსხვერპლი, რომელიც მაშინ მთელ იმდროინდელ სამყაროში

მძვინვარებდა (Helck, 1968, 176). არაფერია ცნობილი არც მისი სამარხის შესახებ, თუმცა მის სახელს ერთგვარად უკავშირებენ მეფეთა ველის KV 55 სამარხის საიდუმლოებებს, რომლებიც ასევე არ არის გაშიფრული (http://www.touregypt.net/ featurestories/smenkhkare.htm).

სნოფრუ — (ეგვ. *Snfrw*, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2574-2551 წწ.), IV დინასტიის პირველი ფარაონი. დინასტიურ ცვლილებებზე არაფერია ცნობილი. ვარაუდობენ, რომ იყო III დინასტიის ბოლო ფარაონის, ჰუნის ვაჟიშვილი ერთ-ერთი მეორე რიგის ცოლის, მერისანხისაგან. ამიტომ, თავისი ტახტზე ასვლის ლეგიტიმირებისათვის, მან შეირთო ხეტეპხერეს I, თავისი ნახევარი და და III დინასტიის ბოლო ფარაონის, ჰუნის ქალიშვილი მთავარი დედოფლისაგან, მომავალში ხეოფსის დედა. ასეთ მონაცვლეობას ადასტურებს ეგვიპტელი ბრძენის, კაირესის „დარიგებებიც", სადაც მოთხრობილია, რომ „მისი უდიდებულესობა ჰუნი გარდაიცვალა. შემდეგ აღზევდა მისი უდიდებულესობა სნოფრუ, როგორც მთელი ქვეყნის ბრწყინვალე მეფე" (Lichtheim, 1973, 50; Pap. Prisse 2, 7-9). თავისი წინამორბედების, ნებკას და ჯოსერის მსგავსად, სნოფრუ ეგვიპტეში ლეგენდარული ფიგურა გახდა. ის გააღმერთეს შუა სამეფოს პერიოდში და მეფეები ხშირად საკუთარი თავისათვის მისაბაძ მოდელად წარმოადგენდნენ. სნოფრუ, როგორც ბრძენი და ყველასათვის საყვარელი ფარაონი, ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც არის აღნერილი (Grimal, 2003, 67). საკმაო ინფორმაციაა შემორჩენილი მის შესახებ პალერმოს ქვაზეც. პირველ წლებში მოხსენიებულია მრავალი ხის ნაკეთობის, მათ შორის არფის დამზადების და თვითონ სნოფრუს ბრინჯაოს ქანდაკების დადგმის შესახებ. მნიშვნელოვანია სამხედრო ექსპედიცია ნუბიაში, რომლის შედეგად ჩამოყვანილი იქნა 7000 ტყვე და 200 000 თავი საქონელი. იმავე წელს ლიბანიდან ჩამოვიდა ხის მასალით დატვირთული 40 გემი. მომდევმო წელს ამ მასალით ააგეს გემები. უფრო გვიან აღწერილია სამხედრო კამპანია ლიბიელების წინააღმდეგ, რომლის შედეგად ეგვიპტეში 11 000 ტყვე და 13 100 თავი საქონელი ჩამოვიდა. იმავე წელს დაიდგა სნოფრუს ოქროს ქანდაკება. როგორც ჩანს, სნოფრუმ არაერთი ექსპედიცია ჩაატარა სინაის ბედუინების წინააღმდეგაც, შეძლო იქ წესრიგის დამყარება და დააარსა რამდენიმე მაღარო, რადგან მისი კულტი პოპულარული იყო სინაიზე მომუშავე მაღაროელებს შორის შუა სამეფოს დროსაც. სინაი ყოველთვის იზიდავდა ეგვიპტელებს

სპილენძის, მალაქიტის და ფირუზის საბადოების გამო (Helck, 1968, 52). გარდა მრავალი ფორტის, სასახლის და ტაძრის აშენებისა, სნოფრუ ერთადერთი ფარაონია, რომელმაც სამი პირამიდა აიგო. თავისი პირველი პირამიდის მშენებლობა, რომელიც არქიტექტურულად ჯოსერის პირამიდის ტიპის უნდა ყოფილიყო, მან მეიდუმში დაიწყო (საქქარას სამხრეთით), მაგრამ მიატოვა მეფობის მეცამეტე წელს. ამის შემდეგ დაიწყო ორი პირამიდის აგება დაშურში. ორივე მათგანი, თავდაპირველი გეგმით, უკვე კლასიკური პირამიდის ტიპის ნაგებობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ერთ-ერთის კუთხის დახრა ძალიან შვეული აღმოჩნდა, რამაც დანგრევის საშიშროება წარმოქმნა, და ის ბლაგვი კუთხით იქნა დასრულებული (ე.წ „მოხრილი" ან „მოღუნული" პირამიდა). მესამე პირამიდა (ე.წ. „წითელი პირამიდა"), მოხრილი პირამიდის ჩრდილოეთით, უკვე კლასიკური ფორმისაა. ნარწერები მის ბლოკებზე გვამცნობს, რომ მისი (და ასევე მეიდუმის პირამიდის) დასრულება სნოფრუს მეფობის ბოლო წელს მოხდა (Helck, 1968, 53). სნოფრუს მეფობა საკმაოდ ხანგრძლივი იყო – საავარაუდოდ 24 (Helck, 1968, 52) ან 40 (Grimal, 2003, 67) წელი.

სობეკი

სობეკი – (ეგვ. *Ŝbk*, Wb IV, 95), ნიანგის სახის ღვთაება. გამოსახებოდა, როგორც ნიანგი, ან ადამიანი ნიანგის თავით, ან, იშვიათად, სრულიად ანთროპომორფულად. სობეკი დაფიქსირებულია უკვე ნარმერის დროით დათარიღებულ საბეჭდავზე (Petrie, 1913, pl.2). პირამიდების ტექსტებში მოხსენიებულია, როგორც ნეიტის შვილი (PT 480, 510). მისი ძირითადი საკულტო ადგილი იყო ფაიუმი, სადაც მისი კულტი, დიოდორეს ცნობით, მენესმა დანერგა (I.89). მთავარი ტაძარი ფაიუმის დედაქალაქში, კროკოდილოპოლისში ჰქონდა (ეგვ. შედეტი, *Ŝdjt*, Gardiner, 1947, II, 116*; PT 1564). სხვა საკულტო ადგილებიდან აღსანიშნავია ომბოსი და თებე. ფაიუმში სობეკის ფუნქციას ნყალზე ბატონობა და მინის ნაყოფიერება წარმოადგენდა (Коростовцев, 1976, 103), და მას ეძახდნენ მინდვრების და მცენარეების ბატონს, რომლის სხეულიდან სანოვაგე მოედინება (Bonnet, 1952, 757). რადგანაც XII დინასტიის ფარაონებს რეზიდენცია ფაიუმთან ჰქონდათ, სობეკი სამეფო რეზიდენციის ღმერთიც გახდა, და შედეგად უფრო საერთო-ეგიპტური მნიშვნელობა მოიხვეჭა, რასაც ბუნებრივად მოჰყვა სობეკის დაკავშირება სხვადასხვა მნიშვნელოვან ღმერთებთან – ამონთან, რასთან, ხორთან და სხვ. და მისი დიდი ღვთაებების მითებში ჩართვა, თუმცა საკუთარი მითოლოგიური ციკლი სობეკს არ ჰქონია. სობეკის ბუნება

ორგვარად აღიქმებოდა — კეთილგანწყობილი ღმერთის სახით ის გვევლინება რას მშველელად მინისქვეშეთის ძალებთან ბრძოლაში. ასეთივეა ის ოსირისის მითებში (Коростовцев, 1976, 104). მაგრამ ხანდახან წინა პლანზე წამოწეული იყო მისი, როგორც ნიანგის, დესტრუქციული ბუნება და ამ სახით სეტხთან იყო ასოცირებული (Mercer, 1949, 155). სობეკი პოპულარული იყო ბერძნულ-რომაულ პერიოდში. მას მიმართავდნენ სნეულებისგან განკურნების თხოვნით და თვლიდნენ მიცვალებულთა მფარველად (Коростовцев, 1976, 104).

სობეკნეფრუ — (ან ნეფრუსობეკი, ეგვ. *Śbk-nfrw*, „სობეკი მშვენიერია", დაახლ. ჩვ.წ.-მდე1787-1783 წწ.), ქალი-ფარაონი, რომელიც მეფობდა XII დინასტიის დასასრულს. სავარაუდოდ, ტახტზე ავიდა თავისი ძმის, ამონემხატ IV-ის შემდეგ, რადგან არ იყო მამაკაცი მემკვიდრე. მისი მეფობის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი, მაგრამ ის მეფობდა, როგორც ფარაონი ქალი, რადგან თავის თავს „ქალ-ხორს" ეძახდა. ქანდაკებაზე, რომელიც ლუვრშია დაცული, მას ფარაონის ტანსაცმელი ქალის ტანსაცმელის ზემოთ აცვია (Hornung, 1997, 296).

სოთისი — (ეგვ. *Śpd.t*, Wb IV, 111), ქალღმერთი, სირიუსის პერსონიფიკაცია. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, ვარსკვლავით თავზე. სოთისთან დაკავშირებული იყო ეგვიპტური კალენდარი. ახალი წელი ცაზე სოთისის გამოჩენით ინყებოდა, როცა ის გაუჩინარების ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ კვლავ ჩნდებოდა დილის ცაზე, რასაც ნილოსის ადიდება მოჰყვებოდა. მას „ახალი წლის ქალბატონს" ეძახდნენ. ეგვიპტელთა წარმოდგენით, ნილოსის ადიდება და შესაბამისად, მოსავალიც სოთისს მოჰქონდა. პირამიდების ტექსტებში (PT 363, 822, 1082) სოთისი წარმოდგენილია, როგორც ქალღმერთი, რომელიც ორიონსა და დილის ვარსკვლავთან ერთად გარდაცვლილთა მშველელად გვევლინება. იგი ზრუნავს მათ თავისი წყლებით განნმენდაზე (PT 1428) და გამოკვებაზე (PT 925). ძალიან ადრე მოხდა სოთისის ისიდასთან შერწყმა (PT 632). სოთისი „ისიდას ასტრალური სული" გახდა (Kees, 1980, 147), ისიდა ზეცაში სოთისის სახით წარმოიდგინებოდა (Roeder, 1915, 303).

სოკარი — (ეგვ. *Skr*, Wb III, 487), მემფისის შევარდნის სახის გარდაცვლილთა კულტის ღვთაება. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, შევარდნის თავით, ან როგორც პირველქმნილი

ბორცვი, რომელზეც შევარდნის თავი იყო მოთავსებული, რაც მის უძველეს წარმომავლობაზე მიუთითებს (Mercer, 1949, 154). მისი სახელი დღემდე შემორჩა მემფისის ნეკროპოლისის იმ ნაწილს („საქქარა"), სადაც მისი მთავარი ტაძარი მდებარეობდა (Sethe, 1928, 37). მემფისთან მას კიდევ რამდენიმე ტაძარი ჰქონდა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გიზეში, სადაც ეთაყვანებოდნენ, როგორც „როსეტაუს ბატონს" ("როსეტაუ" იყო საკრალური ადგილი მემფისის ნეკროპოლისში). სოკარის „როსეტაუს" ტაძარი დაფიქსირებულია თოტმეს IV-ის ცნობილ „სფინქსის", ან „სიზმრის სტელაში" (Breasted, 1962, § 814). როგორც „როსეტაუს ბატონი", პატრონობდა საიქიოში შესასვლელს. როცა მოგვიანებით როსეტაუ ეგვიპტურ მიცვალებულთა ლიტერატურაში მიწისქვეშეთის ნანილიც გახდა, სოკარი იქაურობის ბატონად „გადაიქცა". ამდუატის წიგნში მგზავრობის მეოთხე და მეხუთე საათებში მზე „სოკარის მინას" გაივლის (Hornung, 1999, 31). მემფისში მოხდა სოკარის შერწყმა პტახთან (პტახ-სოკარი), რის საფუძველზეც ვარაუდობენ, რომ სოკარი ორიგინალურად, პტახის მსგავსად, ხელოსნების (შესაძლოა, ნეკროპოლისის ხელოსნების) მფარველი ღვთაება იყო და მისი გარდაცვლილთა ღვთაებად გარდასახვა ოსირისთან შერწყმის (სოკარ-ოსირისი) შედეგად მოხდა. შუა სამეფოდან დაფიქსირებულია ასევე ლოცვები პტახ-სოკარ-ოსირისისადმი (Hart, 2005, 148). პირამიდების ტექსტებში (PT 620) სოკარი მოიხსენიება, როგორც ოსირისის ერთ-ერთი გამოვლინების ფორმა, მემფისის ტრაქტატის პოლიტიკურ ნაწილში კი ნათქვამია, რომ „ოსირისი სოკარის სახლშია" (Junker, 1941, 36). სოკარისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომელიც უკვე I-II დინასტიის ანალებშია დაფიქსირებული (Bonnet, 1952, 725), გარდაცვლილთა დიდ დღესასწაულად ითვლებოდა, ისინი ამ დროს განსაკუთრებულ შესაწირს იღებდნენ. ათდღიანი დღესასწაული ხოიაკის თვეში ტარდებოდა და მისი ძირითადი იდეა ღვთაება-ფარაონის მეფობის უწყვეტობა იყო, რაც ღვთაების ციკლური აღდგომის იდეასთან იყო დაკავშირებული (Hart, 2005, 148).

სოლები — ადგილი ნილოსის მეორე და მესამე ჭორომებს შორის, სადაც ამონხეტეპ III-მ აღმართა ციხე-სიმაგრე და ტაძარი, რომლებიც XVIII დინასტიის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნაგებობებად ითვლება. მდებარეობს ამონხეტეპის საყვარელი ცოლის, ტეიესადმი მიძღვნილი სედეინგას ტაძრიდან 15 კმ. სამხრეთით. სავარაუდოდ, ამონხეტეპმა ტაძარი თავისი ხებსედის

დღესასწაულისათვის ააგო, რადგან ტაძრის პილონებზე ხებსედის სცენებია გამოსახული (Breasted, II, § 890). ტაძარში ამონხეტეპ III-ს ეთაყვანებოდნენ, როგორც მზეს, მთვარეს (ხონსუს) და ნუბიის ბატონს. ტაძრის ეგვიპტური სახელია „აღზევებული სიმართლეში" (ეგვ. *ḫꜣ m mꜣʿ.t*). ტაძრიდან ნაღებული განთქმული წითელი გრანიტის ლომები დღეს ბრიტანეთის მუზეუმის კოლექციას ამშვენებს, ვერძები კი ბერლინის და ტურინის მუზეუმებშია დაცული (O'Connor and Cline (editors), 1998, 79-80, 90).

სომტუსი – (ეგვ. *Smꜣ tꜣwj*, „ორი ქვეყნის გამაერთიანებელი"), ღვთაება, რომელიც ძველი სამეფოს პერიოდიდან არის დაფიქსირებული (Bonnet, 1952, 728). გამოისახებოდა ანთროპომორფულად, შევარდნის თავით და თავზე ორი მაღალი ბუმბულით. მოიხსენიებდნენ ხორის ეპითეტით „მაღალი ბუმბულების წყვილის მქონე". სახელის, ეპითეტის და შევარდნის სახის გათვალისწინებით ხორის ერთ-ერთი სახეა. მოგვიანებით ხდება მათი გაერთიანება ხორსომტუსის სახით. სომტუსი შეერწყა ასევე რას, როგორც რა-სომტუსი და ამ კავშირის წყალობით შემოქმედ ღვთაებადაც მოიხსენიება. მისი მთავარი საკულტო ადგილი იყო დენდერა (Junker, 1917, 36).

სოპდუ – (ეგვ. *Śpd.w*, Wb.IV, 111), მეოცე ქვემოეგვიპტური ნომის ღვთაება. გამოისახებოდა მჯდომარე შევარდნის სახით ან ანთროპომორფულად, თავზე მაღალი ბუმბულებით. მისი იეროგლიფით გამოიწერებოდა ნომის სახელი, ნომის დედაქალაქს „*Pr Śpdw*", „სოპდუს სახლი" ერქვა. დღეს მის ადგილზე სოფელი ზაფტ ელ-ჰენე მდებარეობს (Montet, 1957, 206). პირამიდების ტექსტებში (PT148) გაიგივებულია მეფის კბილებთან. იქვე (PT 201) მოხსენიებულია, როგორც „*śpd ibḥw*", – „ბასრკბილებიანი". მისი სახელი დაკავშირებულია სიტყვასთან „*śpd*", – „წვეტიანი, ბასრი" (Wb IV, 108), ამიტომ, თუმცა მისი შევარდნის სახე ძალიან ძველია, სავარაუდოდ თავდაპირველად კბილების (Sethe, 1930, § 19) ან ნიანგის (Kees, 1980, 44) სახით ეთაყვანებოდნენ. მისი ანთროპომორფული სახე აზიური ტიპისაა, რაც ნომის მდებარეობით (ეგვიპტის აღმოსავლეთ საზღვართან) იყო განპირობებული. ეძახდნენ „აღმოსავლეთის ბატონს" (Breasted, 1962, I, § 722). ითვლებოდა აღმოსავლეთი საზღვრების და უცხო ქვეყნებისაკენ მიმავალი გზების დამცველად, რომელიც „აზიელებს ულეტდა". მისი სახელი გვხვდება მრავალ ძეგლზე წითელი ზღვის სანაპიროს გასწვრივ და სინაის ნახევარკუნ-

სოპდუ

სოპდუ

ძულზე (Bonnet, 1952, 741). როგორც შევარდნის სახის ღვთაება, ბუნებრივად შეერწყა ხორს. პირამიდების ტექსტების თანახმად, ფარაონის და სოთისის კავშირის შედეგად იბადება ასტრალური ღვთაება ხორ-სოპდუ (Hart, 2005, 151).

სპარსელები – ჩვ.წ.-მდე 525 წ. ეგვიპტე აქემენიდების სპარსეთის სატრაპია გახდა. საერთაშორისო თვალსაზრისით, ეგვიპტე სპარსელებთან პირისპირ სრულიად იზოლირებული აღმოჩნდა. ის მიატოვა ყველა მოკავშირემ, მათ შორის ბერძნებმა, ეგვიპტეში კი სპარსელებს შეეგება ებრაელთა კოლონია ელეფანტინაზე. სპარსელებს საკმაოდ ძლიერი მოკავშირე ჰყავდათ ეგვიპტის ტრადიციული მოწინააღმდეგის, ბედუინების სახით, რომლებსაც ეგვიპტელები უძველესი დროიდან მოიხსენიებდნენ, როგორც „მათ, ვინც ქვიშაზეა" (*ḥrjwš*, Wb III, 135). ახლა სწორედ ისინი შემოუძღვნენ სპარსეთის ჯარს. ეგვიპტეში კამბიზ II-ს შეეგება ასევე არისტოკრატიის გარკვეული ნაწილი, რაც ეგვიპტის გვიანი პერიოდის ისტორიის განსაკუთრებულ თემას წარმოადგენს. ეგვიპტის არისტოკრატიული და ინტელექტუალური ელიტა იმდენად დაინტერესებული იყო ქვეყნის ერთიანობაში, მართვის უწყვეტობის და კულტურული ტრადიციების შენარჩუნებაში, რომ ისინი მზად იყვნენ, მშვიდობიანად დახვედროდნენ უცხოელებს და ისინი ეგვიპტის კულტურული და პოლიტიკური ტრადიციებისათვის ეზიარებინათ. ასეთივე ვითარება იყო ორი საუკუნით გვიან, როცა ეგვიპტე, ხანმოკლე დამოუკიდებლობის პერიოდის შემდეგ, კვლავ დაიპყრო დარიუს III-მ, და უფრო გვიან, ალექსანდრე დიდის და პტოლემაიოსების დროს (Grimal, 2003, 367). ამიტომ სპარსელების დამკვიდრება ეგვიპტეში გაცილებით უფრო მშვიდობიანი იყო, ვიდრე ამას შემდგომი პერიოდის ტექსტები აღწერს (ბერძენი ავტორების თანახმად, კამბიზმა მოკლა აპისის საკრალური ხარი, ებრაული წყაროები კი ეგვიპტური ქალაქების დარბევაზე და ტაძრების დანგრევაზე მოგვითხრობენ). ეგვიპტის ქალაქების ბარბაროსულ დარბევას არ ადასტურებს არქეოლოგიური მასალა. აპისის ხარი, რომლის მოკვლაც კამბიზს მიეწერება, მშვიდობიანად გარდაიცვალა და სათანადო პატივისცემით დაიკრძალა მისი მეფობის მეხუთე წელს, რასაც ადასტურებს ხარის სარკოფაგი, რომელზეც კამბიზის მეფობის მეხუთე წელია დაფიქსირებული. კამბიზის მრჩეველი ეგვიპტეში გახდა ინტელექტუალთა წრის წარმომადგენელი უჯახორესნეტი. ის იყო კამბიზის პირადი ექიმი, რომელიც მუდმივად თან ახლდა

სპარსელს. უჯაჰორესნეტს ეკუთვნის კამბიზის, როგორც ეგვიპტის ფარაონის, ტიტულატურის რედაქტირება. მანვე გააცნო კამბიზს ეგვიპტური რიტუალები, რომლებიც ეგვიპტის მეომარ ქალღმერთთან, ნეიტთან იყო დაკავშირებული. უჯაჰორესნეტი გვამცნობს ასევე, რომ „ფარაონმა" კამბიზმა გაარესტავრირა ეგვიპტური ღმერთების ტაძრები (Mysliewec, 200, 135). ასეთმა დამოკიდებულებამ თავისი შედეგი გამოიღო. სპარსელებს არ უცდიათ ეგვიპტეზე თავიანთი მმართველობის სტილის მოხვევა. ყველა მმართველი კამბიზ II-ის მსგავსად, იღებდა ეგვიპტის ფარაონის სრულ ტიტულატურას, და ოფიციალურად ეგვიპტელი „წინამორბედების" საქმეს აგრძელებდა. კამბიზის მცდელობა, დაეპყრო ნუბია, წარუმატებელი აღმოჩნდა, თუმცა მან მოახერხა ძალაუფლების გავრცელება ქვედა ნუბიაზე. სრული კატასტროფით დამთავრდა კამბიზის ექსპედიცია სივაში. გადმოცემით, კამბიზმა უდაბნოში მთელი ჯარი დატოვა. შესაძლოა, მას უნდოდა, მიეღო სივას ამონის ორაკულის დადასტურება მის ეგვიპტეში გამეფებაზე – მიზანი, რომელსაც მომავალში წარმატებით მიაღწია ალექსანდრე დიდმა (Grimal, 2003, 367-369). ხარკში, რომელიც ეგვიპტეს უნდა ეხადა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ხორბალი. ასევე, ეგვიპტეს უნდა მიეწოდებინა გემები სპარსელთა ფლოტისათვის და ჯარისკაცები სპარსული არმიისათვის. კირენე თავიდან დამოუკიდებელ პროვინციად რჩებოდა, რომელსაც სპარსელები „პუტაიად" მოიხსენიებდნენ, მოგვიანებით დარიუსმა ისიც ეგვიპტის სატრაპიასთან გააერთიანა. კირენელებიც იხდიდნენ ხარკს და ვალდებული იყვნენ, მიეწოდებინათ ჯარისკაცები, მაგრამ აქ სპარსული მმართველობა განსაკუთრებით სუსტი იყო. ქვედა ნუბია ცალკე პროვინციას წარმოადგენდა, და მას სპარსელები „კუშიად" მოიხსენიებდნენ. მასაც უნდა გაეგზავნა სპარსულ ჯარში ჯარისკაცები. ამას გარდა, ნუბიას უნდა ეხადა ხარკი ოქროს, სპილოს ძვლის, ებენის ხის და მონების სახით. მიუხედავად ხარკისა, ეგვიპტის მდგომარეობა სავარაუდოდ არ იყო მძიმე, რადგან სპარსელებმა მოახერხეს საისური პერიოდის კეთილდღეობის შენარჩუნება. მართალია, არქეოლოგიური მონაცემებით, საბერძნეთთან ვაჭრობა დაპყრობის შემდეგ შეწყდა, მაგრამ ის ისევ განახლდა ჩვ.წ.-მდე 525 წლიდან. მეორე მხრივ, სპარსელებმა გააქტიურეს ეგვიპტის კონტაქტები სხვა ქვეყნებთან, რაც ნეხო II-ის მიერ ნილოსსა და წითელ ზღვას შორის გათხრილი არხის განახლებაშიც გამოიხატა. სავარაუდოდ, სპარსელები დაინტერესებუ-

ლი იყვნენ თავიანთ პროვინციებს შორის კომუნიკაციის გაადვილებასა და გააქტიურებაში, რომელთაგან ეგვიპტე ყველაზე დაშორებული გახდა (Law, 2002, 100). 522 წ. კამბიზი იძულებული იყო, დაეტოვებინა ეგვიპტე გაუტამას აჯანყების გამო, რომელიც ტახტზე აცხადებდა პრეტენზიას. მან ეგვიპტეში დატოვა სატრაპი არიანდესი, რომელიც თავის მეფეზე უფრო საკუთარ თავზე ზრუნავდა. მან დაიწყო მონეტების მოჭრა საკუთარი გამოსახულებით და შეეცადა, დაეპყრო კირენე, როცა ლიბიელები დორიელი მმართველების წინააღმდეგ აჯანყდნენ. დარიუს I, კამბიზ II-ის მემკვიდრე, ტახტზე ასვლისთანავე გამოეშურა ეგვიპტისაკენ. მან სიკვდილით დასაჯა არიანდესი, და ის ფერენდატესით შეცვალა. დარიუსმა გაწმინდა ნეხო II-ის მიერ გაჭრილი არხი ნილოსის დელტის პელუზიურ ტოტს და წითელ ზღვას შორის, რაც დააჩქარებდა სავაჭრო ტრანსპორტის მოძრაობას და კიდევ უფრო აამაღლებდა მის ეკონომიკურ მოგებას ეგვიპტეში, რომელიც ყველაზე მდიდარი ქვეყანა იყო მის სატრაპიებს შორის. უჯაჰორესნეტი კამბიზმა თან წაიყვანა სუსაში. ეგვიპტეში დაბრუნების შემდეგ ამ განსწავლულმა ეგვიპტელმა დაიწყო, როგორც თავად გვამცნობს, კამბიზის ბრძანებით, სიცოცხლის სახლების აღდგენა, რადგან „მისმა უდიდებულესობამ იცის, რა მნიშვნელოვანია ეს ყველასათვის, ვინც ავადაა, იმისათვის, რომ ღმერთების სახელები ცოცხლობდნენ მარად, და მათი დღესასწაულები ტარდებოდეს ისე, როგორც საჭიროა". დარიუსმა აღუდგინა ყველა პრივილეგია სატაძრო კომპლექსებს, ბრძანა ტაძრის აშენება ჰიბისში, ხარგას ოაზისის დედაქალაქში, დაიწყო სარესტავრაციო სამუშაოები ბუსირისში და ელ-ქაბში და გახსნა ვადი ჰამამატის სამტეხლოები. დარიუსის ერთი ქანდაკება, შესრულებული ეგვიპტელი მოქანდაკის მიერ, სუსაშიც არის ნაპოვნი. მან დაიწყო ეგვიპტური სამართლებრივი სისტემის რეორგანიზაცია და მონეტების ბეჭდვა ეგვიპტეში. მომავალში დარიუსს იხსენებენ, როგორც უცხოელ მეფეს, რომელსაც ძალიან კარგად ესმოდა თავისი ეგვიპტელი ქვეშევრდომების, და მისი მეფობის დროს ეგვიპტე. სავარაუდოდ, აყვავებული ქვეყანა იყო. მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა ეგვიპტის გარეთ. ჩვ.წ.-მდე 490 წ. ბერძნებმა დაამარცხეს სპარსელები მარათონთან, და დარიუსი იძულებული გახდა, თავისი ყურადღება სხვა მიმართულებით გადაეტანა. ამის შემდეგ ის მალე გარდაიცვალა. ამ ვითარებაში აჯანყდნენ დელტის ქალაქები. დარიუსის მემკვიდრემ, ქსერქსემ ჩაახშო აჯანყება და სატრაპად თავისი ვაჟიშვილი, აქემენესი დანიშნა.

მან ისე მოუჭირა მარწუხები ქვეყანას, რომ პტოლემაიოსების პერიოდში ეგვიპტელები ქსერქსეს სახელს წერდნენ ყველაზე დამამცირებელი დეტერმინატივით, რომელსაც ჩვეულებრივ დაპყრობილი უცხოელი მტრების სახელების დაწერისას ხმარობდნენ (Grimal, 2003, 370). უნდა აღინიშნოს, რომ ქსერქსეს, განსხვავებით წინამორბედებისაგან, აღარ მიუღია ეგვიპტელი ფარაონის ტიტულატურა და მისი მომდევნო სპარსელი მეფეები აღარასოდეს ჩასულან ეგვიპტეში. მაგრამ სპარსელები კვლავ დამარცხდნენ ბერძნებთან სალამისთან, ქსერქსე კი მოკლული იქნა. ამან კვლავ სტიმული მისცა ეგვიპტელების აჯანყებას ქსერქსეს მემკვიდრის, არტაქსერქსე I-ის ტახტზე ასვლის შემდეგ (ჩვ.წ.-მდე 465 წ.). აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ინაროსი, რომელმაც თავი ეგვიპტის ფარაონად გამოაცხადა. „ინაროსი" ეგვიპტური სახელის, „იენჰეროს" ბერძნული ვერსიაა, და რადგან ინაროსის მამის სახელი იყო ფსამტიხი, სავსებით შესაძლებელია, ის საისის მეფეების შთამომავალი ყოფილიყო. ასევე საისის მეფეების შთამომავალთან, უფლისწულ ამირტეოსთან ერთად, მან შეკრიბა დელტაში ნაციონალისტურად განწყობილი ჯარები და დაიძრა სპარსელების წინააღმდეგ. ეგვიპტელებმა მოახერხეს დელტის დაპყრობა მემფისამდე, მაგრამ მემფისი და მისი „თეთრი ფორტი" სპარსელების ხელში დარჩა. 460 წ. კვიპროსს მიადგა ბერძნების ფლოტი ათენელების მეთაურობით. ინაროსმა მოახერხა ბერძნების დაყოლიება, ბერძნული ფლოტი შეცურდა ნილოსში, და ინაროსის ძალებთან ერთად მათ მოახერხეს მემფისის აღება და აქემენესის მოკვლა. სპარსელებმა თავი შეაფარეს თეთრ ფორტს, სადაც ხანგრძლივ ბლოკადას გაუძლეს. 456 წ. სპარსელებმა მოახერხეს ჯარის გაგზავნა ეგვიპტეში, რომელმაც დაამარცხა ინაროსის და ბერძნების ალიანსი, და დაიბრუნა მემფისი. ბერძნებმა კირენში გაქცევით უშველეს თავს, ინაროსი კი ჩაბარდა სპარსელებს სიცოცხლის შენარჩუნების პირობით. მიუხედავად ამისა, ის წაიყვანეს სუსაში, სადაც ხუთი წლის ტყვეობის შემდეგ ჯვარს აცვეს (Law, 2002, 102). აქემენესი ახალმა სატრაპმა, არსამესმა შეცვალა. ამას დაემთხვა ბერძნების დაზავება სპარსელებთან. გარკვეული პერიოდის მანძილზე ეგვიპტეში მშვიდობამ დაისადგურა. ეს იყო დრო, როცა ეგვიპტეს ეწვია ჰეროდოტე. არსამესმა ნება დართო ინაროსის ვაჟიშვილებს, ყოფილიყვნენ მმართველები თავიანთ ნომებში და ყველანაირად ცდილობდა, თავიდან აეცილებინა ისეთი ზომები, რომლებსაც შეიძლებოდა უკმაყოფილება გამოეწვია. სპარსელი მოხელეებიც სულ უფრო

ინტეგრირებულები ხდებოდნენ ეგვიპტეში, მათი სახელებიც კი უფრო „ეგვიპტურ“ სახეს იძენს. ჩვ.წ.-მდე 424 წ., არტაქსერქსეს გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე ადის დარიუს II. მან გააგრძელა თავისი სეხნიის, დარიუს I-ის მომრიგებლური პოლიტიკა ეგვიპტეში, რაც ასევე ტაძრების რესტავრაციაში და განსაკუთრებით ჰიბისის ტაძრის მშენებლობის გაგრძელებაში გამოიხატა, მაგრამ ელეფანტინაზე ებრაელთა კოლონიის მიერ სპარსელების ზედმეტად აქტიურმა მხარდაჭერამ გააღიზიანა ნაციონალისტურად განწყობილი ეგვიპტელები, და მათ დაანგრიეს ჰიბისის ტაძარი დარიუს II-ის მეფობის მეშვიდე წელს. იმავდროულად, დელტაში ისევ მწიფდებოდა აჯანყება, რომლის ცენტრი კვლავ საისი იყო. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა ინაროსის მოკავშირის, ამირტეოსის შვილიშვილი, ისიც ამირტეოსი (ამიტომ მას ხანდახან ამირტეოს II-აც უწოდებენ). მას კვლავ დაუჭირეს მხარი ბერძნებმა, განსაკუთრებით სპარტელებმა. ჩვ.წ.-მდე 404 წ. დარიუს II გარდაიცვალა, და ამირტეოსმა თავი ფარაონად გამოაცხადა. გასაოცრად მალე, სულ რაღაც ოთხ წელიწადში, ამირტეოსი აღიარა მთელმა ეგვიპტემ ასუანამდე, მათ შორის ებრაელთა კოლონიამ ელეფანტინაზე. არ არის შემორჩენილი ამირტეოსის არც ერთი წარწერა, და პრაქტიკულად არაფერია ცნობილი მისი მეფობის შესახებ, რომელიც 398 წ. დასრულდა, მაგრამ მანეთონთან ამირტეოსი XXVIII დინასტიის ერთადერთ ფარაონად არის დასახელებული (Manetho, 1956, 179). სავარაუდოდ, ამირტეოსის შედარებით ადვილი გამარჯვება გამოწვეული იყო შიდააშლილობით და სამოქალაქო ომით სპარსეთში, სადაც ტახტისათვის იბრძოდნენ დარიუს II-ის შვილები, არტაქსერქსე II და კიროს II. ამირტეოსის მეფობით დაიწყო ეგვიპტის დამოუკიდებლობის უკანასკნელი და ძალიან ხანმოკლე პერიოდი, რომელმაც ჩვ.წ.-მდე 343 წლამდე გასტანა. ამირტეოსის შემდეგ მანეთონი იწყებს ახალ, XXIX დინასტიას, რომელმაც დაახლ. ოც წელიწადს გასტანა (*იქვე*, 179). მის პირველ ფარაონად დასახელებულია ნეფერიტოსი (ნეფერიტოს I). პრაქტიკულად არაფერია ცნობილი დინასტიური ცვლილების შესახებ. უცნობია ასევე თვითონ ნეფერიტოს I-ის წარმომავლობა. რადგან იყო მენდესელი, ვარაუდობენ, რომ იყო ლიბიური წარმოშობის. შემორჩენილია ერთადერთი დოკუმენტი, ე.ნ. ბრუკლინის მუზეუმის არამეული პაპირუსი, რომლის თანახმად დინასტიურ ცვლილებას თან ახლდა ძალადობრივი ქმედებები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ტექსტში ასევე მოთხრობილია ბრძოლაზე ამირტეოსს და ნეფერიტოსს შორის, რომლის

დროსაც ნეფერიტოსმა დაატყვევა ამირტეოსი და სიკვდილით დასაჯა მემფისში, რის შემდეგაც დედაქალაქად მშობლიური მენდესი გამოაცხადა. ეს მონაცემები ერთგვარად მტკიცდება არქეოლოგიური მასალით, რომელიც მოიპოვა ბრუკლინის მუზეუმმა 1980-იან წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად. თუმცა ჯერჯერობით სამეფო ნეკროპოლისი მენდესში აღმოჩენილი არ არის, მოძიებულია ნეფერიტოსის მიერ ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების ნაშთები. მანეთონის მიხედვით, ნეფერიტოსმა ექვს წელიწადს იმეფა, თუმცა დღეისათვის მოპოვებული მისი წარწერებიდან უგვიანესი მეფობის მეოთხე წლით არის დათარიღებული (Grimal, 2003, 372). ნეფერიტოსის გარდაცვალების შემდეგ (ჩვ.წ.-მდე 393 წ.) მისი შვილის ნაცვლად ტახტზე ადის ახალი უზურპატორი, ფსენმუტი, რომელიც ერთ წელიწადში შეცვალა შემდეგმა უზურპატორმა, ჰაკორმა. ჰაკორმა კვიპროსზე გაუგზავნა ჯარი ბერძნებს, რომლებიც ასევე აჯანყებულები იყვნენ სპარსელების წინააღმდეგ, და ჩვ.წ.-მდე 385-383 წლებში მოიგერია სპარსელების შემოტევა ეგვიპტეზე. 380 წელს ჰაკორი შეცვალა შემდეგმა უზურპატორმა, ნეფერიტოს II-მ, რომელიც მოკლული იქნა გამეფებიდან რამდენიმე თვის შემდეგ. ტახტზე ადის ნექტანებოს I სებენიტოსიდან, რომელიც ეგვიპტის უკანასკნელი (XXX) ეგვიპტური დინასტიის დამაარსებლად ითვლება (Law, 2002, 104). სპარსელების მიერ ეგვიპტის მეორე დაპყრობა დინასტიის მესამე და უკანასკნელი ფარაონის, ნექტანებოს II-ის დროს მოხდა. ჩვ.წ.-მდე 343 წ. არტაქსერქსე III თვითონ გაუძღვა ჯარს ეგვიპტისაკენ. ნექტანებოს II მას დახვდა ნილოსის პელუზიურ ტოტზე. მისი ჯარი 100 000 კაცისაგან შედგებოდა, რომელთაგან 40 000 დაქირავებული ბერძენი და ლიბიელი იყო. არტაქსერქსემ კარგად იცოდა ნექტანებოსის საფორტიფიკაციო ნაგებობების შიდა მონყობილობა იმ ბერძენი ვეტერანების წყალობით, რომლებიც არტაქსერქსე II-ის მიერ განხორციელებული 350 წლის წარუმატებელი შემოტევის მონაწილეები იყვნენ. ნექტანებოს I-ის დროს, ჩვ.წ.-მდე 373 წ. განხორციელებული შემოტევისაგან, როცა ეგვიპტელებს ნილოსის ადიდება დაეხმარა, უკეთ იყო შერჩეული წლის დროც. სპარსელებმა მალე აიღეს პელუზიუმი და შეიჭრნენ დელტაში. ნექტანებოსი იძულებული გახდა, დაეხია მემფისში. ეგვიპტურ ჯარში დაიწყო განხეთქილება ბერძნებს და ეგვიპტელებს შორის, რაც ასევე ძალიან დაეხმარა სპარსელებს. მათ დაიპყრეს ბუბასტისი, რის შემდეგაც ნექტანებოსი მიხვდა, რომ ომი წაგებულია, და სამხრეთში გაიქცა

(Grimal, 2003, 380). არტაქსერქსე III სასტიკი მეფე იყო, და მას უკიდურესად ნეგატიურ ფერებში აღწერენ ბერძენი ავტორები. ზედმეტ სახელად მას „ვირსაც" ეძახდნენ. სპარსელების მიერ ეგვიპტის მეორე დაპყრობა ათ წელზე ცოტა მეტ ხანს გაგრძელდა. განსხვავებით XXVII დინასტიის სპარსელი მეფეებისაგან, XXXI დინასტიის სპარსელებს არავითარი მცდელობა არ ჰქონიათ, ჩართულიყვნენ ეგვიპტის ცხოვრებაში და საკმაოდ სასტიკად ეპყრობოდნენ ქვეყანას. ითვლება, რომ ბაგოასი, რომელმაც მოწამლა არტაქსერქსე III და ტახტზე მისი შვილი, არსესი (ჩვ.წ.-მდე 338-336) აიყვანა, ეგვიპტელი იყო. აქემენიდების იმპერიის დარჩენილ ორ წელიწადს ეგვიპტის მეფე დარიუს III (კონდომანი) იყო. ამ ვითარებაში ალექსანდრე დიდმა თითქმის განმათავისუფლებელის როლი ითამაშა. ჩვ.წ.-მდე 334 წ. მან გადაკვეთა ჰელესპონტი, და იმავე წლის შემოდგომაზე დაამარცხა დარიუსი ისოსთან. 333 წ. გადაკვეთა ეგვიპტის საზღვარი პელუზიუმთან, სინაის ნახევარკუნძულზე და რამდენიმე დღის შემდეგ მიადგა მემფისს, სადაც სატრაპმა მასაკესმა მას ქვეყანა უბრძოლველად გადასცა. ალექსანდრე გახდა „ორი ქვეყნის" მეფე, ცოტა ხნის შემდეგ კი, სივას ოაზისში, ამონის ორაკულმა მას დაუდასტურა, რომ ის ღმერთია და უფლება აქვს, მთელ სამყაროზე იმეფოს (Mysliwiec, 2000, 178).

სუხოსი — *იხ. სობეკი*

სული — *იხ. ახი, ბა, კა*

სუნთქვის წიგნი — მიცვალებულთა ლიტერატურის ყველაზე ახალგაზრდა ნაწარმოები, რომელიც მკვდართა წიგნის, ამდუატის და გარდაცვლილთა ლიტერატურის სხვა ნაწარმოებების კომპილაციას წარმოადგენს და რომელსაც ორი განსხვავებული ვარიანტი ჰქონდა (Bonnet, 1952, 59). ყველაზე ძველი ხელნაწერი (Pap. Louvre 3154) XXX დინასტიის დასასრულით არის დათარიღებული (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 350 წ.), ე.წ. „მეორე ვარიანტის" ხელნაწერი კი მხოლოდ რომაული პერიოდიდან შემოინახა. ორივე წიგნში მათი „ღვთაებრივი წარმოშობა" არის ხაზგასმული: პირველი წიგნის შექმნა მიეწერება ისიდას, რომელმაც ის თითქოს ოსირისისათვის დაწერა, მეორე წიგნის „ავტორად" კი თოტი სახელდება. თანამედროვე კვლევით, წიგნები თებეშია შექმნილი ამონის ქურუმების მიერ. პირველი წიგნი დაყოფილია 15 (ან შესაძლოა 12) ნაწილად და მეტ-ნაკლებად შეკრული

ნაწარმოებია, მაშინ, როცა მეორე წიგნი საკმაოდ განსხვავებული შინაარსის ტექსტების ნაკრებს წარმოადგენს. დღეისათვის ცნობილი ყველა ხელნაწერი, დემოტიური დამწერლობით შედგენილი რამდენიმე შემოკლებული ვარიანტის გარდა, იერატიული დამწერლობით არის შესრულებული. ერთადერთ ხელნაწერს (Pap.Louvre 3284) დართული აქვს ილუსტრაციები (Vignettes). ორივე წიგნში განსაკუთრებით არის აღნიშნული სუნთქვის მნიშვნელობა გარდაცვლილისათვის, და ისინი ასევე ემსახურებიან მიზანს, რომ გარდაცვლილის სახელმა რაც შეიძლება დიდხანს იარსებოს, და თავიდან აიცილოს მეორე სიკვდილი, რომელიც შეიძლება წყევლამ მოიტანოს. თუმცა ოსირისი, მკვდართა წიგნის მსგავსად, აქაც უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და გარდაცვლილის „ბას" უკვდავების უზრუნველყოფა მას შეუძლია, სუნთქვის ორივე წიგნში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამონი თავისი ამონემოპეტის სახით (ეგვ. *Ỉmn m Ỉp.t* – „ლუქსორის ამონი"). სუნთქვის წიგნის პირველ ვარიანტში ძირითადი აქცენტი გადატანილია გარდაცვლილის განწმენდაზე, სხეულის დაცვაზე, მის შესაძლებლობაზე, კვლავ ისუნთქოს და დაინახოს, რომ მისთვის ღია იყოს საიქიოს ყველა კარი და მას შეეწიროს მსხვერპლი. ხაზგასმულია ასევე საიქიო სამსჯავროს წარმატებით გადალახვა. მეცამეტე ნაწილში მოცემულია მკვდართა წიგნის „ცოდვების უარყოფის სიის" შემოკლებული ვარიანტი, შემდეგი ნაწილი კი გარდაცვლილის კეთილი თვისებების და დამსახურების ჩამოთვლას წარმოადგენს. მეორე წიგნი ძალიან განსხვავებული შინაარსის ექვსი ტექსტისაგან შედგება: პირველი ეხება გარდაცვლილის სარკოფაგს; მეორე წიგნში მოთავსებულია მიმართვა საიქიოს ჭიშკრების მცველებისადმი, რომ მათ გაატარონ გარდაცვლილი, ამავე ნაწილში ხდება გარდაცვლილის გაღმერთება. მესამე ნაწილი წარმოადგენს მიმართვას ღმერთებისადმი სუნთქვის „დოკუმენტის" მოსაპოვებლად; მეოთხე ნაწილი წარმოადგენს ლითანიას გარდაცვლილის სახლის დასაცავად; მეხუთე წარმოადგენს მკვდართა წიგნის 162-ე გამონათქვამის შეცვლილ ვარიანტს, მიმართვას „თავის დასადებისადმი", რომელიც მუმიის თავის ქვეშ თავსდებოდა და სხეული უნდა დაეცვა; მეექვსე ნაწილში გარდაცვლილი ოსირისად არის გამოცხადებული, ქალღმერთი ნუტი კი მის, როგორც ოსირისის დედად (Hornung, 1999, 23-25).

სფინქსი – ეგვიპტურ წარმოდგენაში მეფის ლომთან გაიგივება უძველეს დროში მოხდა და უკვე წინადინასტიურ გამო-

სახულებებზე მეფე ლომის სახით არის მოცემული. ამ წარმოდგენამ მისცა ბიძგი ფარაონის და მისი დედოფლის ადამიანის თავიან ლომებად გამოსახვას. საგულისხმოა, რომ ამ ფენომენის გამოჩენა დროში ცხოველისთავიანი ანთროპომორფული ღმერთების გამოჩენას ემთხვევა. სფინქსის სახე მეფეს ადამიანების ზემოთ, ღმერთების სამყაროში ათავსებდა (Bonnet, 1952, 746-747). სავარაუდოდ, 1901 წ. ფრანგი არქეოლოგის, ე. შასინატის მიერ IV დინასტიის ფარაონის, ჯედეფრას პირამიდის მიდამოებში აღმოჩენილ ფარაონის ქანდაკებების ნამსხვრევებს შორის მოძიებული ფარაონის ერთ-ერთი თავის გამოსახულება სფინქსის თავს წარმოადგენს, და ამ შემთხვევაში ეს უძველესი სფინქსი იქნებოდა, მაგრამ რეალურად დღეისათვის უძველესი სფინქსი (ე.წ. „დიდი სფინქსი") მის მემკვიდრეს, ხეფრენს ეკუთვნის. ეს გრანდიოზული მჯდომარე ლომის ქანდაკება ადამიანის თავით, რომელიც იმავდროულად ფარაონის პორტრეტს წარმოადგენს, ძველი სამყაროს ყველაზე დიდი ქანდაკებაა (სიგრძე – 72 მ., სიმაღლე – 20 მ.). ხეფრენის სფინქსი მისი პირამიდის კომპლექსის ნაწილი იყო და მოსახსენიებელი ტაძრის ჩრდილოეთით, პირამიდისაკენ მიმავალ გზასთან იდგა. ბერძნული „სფინქსი" სავარაუდოდ წარმოიშვა ეგვიპტური ფრაზიდან „შესეპ ანხ" (*šsp ʿnḫ*, „ცოცხალი სახე"), რომელიც სფინქსზეა გამოწერილი. მრავალი საუკუნის შემდეგ (XVIII დინასტიიდან) ხეფრენის სფინქსი წარმოდგენილი იქნა, როგორც ხორის ადგილობრივი გამოვლინება ("ხორემახეტი", ეგვ. *Ḥr m ꜣḫt*, „ხორი ჰორიზონტზე", ბერძნ. ჰარმახისი), რომელიც ფარაონის, როგორც ატუმის გამოვლინებად ითვლებოდა. ამ დინასტიიდან დაფუძნდა მისი კულტი, და ხეფრენის სფინქსს ეთაყვანებოდნენ, როგორც ღვთაებას (Grimal, 2003, 74; Malek in Shaw (ed), 2003, 90).

ტაიტი — ქვემოეგვიპტური ქალაქი, ცნობილი თავისი საფეიქრო წარმოებით. ზუსტი ადგილმდებარეობა დადგენილი არ არის. ტაიტის ქსოვილებს ეძახდნენ „ხორის თვალს, რომელიც ტაიტიდან მოდის" (PT 737, 1642, 1794). ისინი ითვლებოდა ღმერთის ნამუშევრად, რომელსაც ასევე ტაიტის ეძახდნენ. აქ წარმოებული (Bonnet, 1952, 764) ქსოვილი ღმერთების ქანდაკებების სამოსის შესაკერად გამოიყენებოდა.

ტაკელოტი — (ეგვ. *Tkrt/Tklt; Tkrt*), XXII და XXIII (ლიბიური) დინასტიების რამდენიმე ფარაონის სახელი. **ტაკელოტ I** (დაახლ. ჩვ.წ.მდე 909-? წწ.), იყო ოსორკონ I-ის ვაჟიშვილი მეორე რიგის ცოლისაგან. გამეფდა ტახტის მემკვიდრის, შეშონკ II-ის უდროო გარდაცვალების შემდეგ. დღეისათვის მისი მეფობა ყველაზე ბუნდოვანია ლიბიურ მეფეებს შორის. მისი სახელიც კი დადასტურებულია სტელით, რომლის ტექსტიც რამდენიმე თაობით გვიან არის შედგენილი (Kitchen, 1973, § 270). საკმაოდ ხანგრძლივი მეფობის მიუხედავად, მისგან არავითარი ძეგლი არ არის შემორჩენილი. მისი მეფობა აღსანიშნავია იმიტომ, რომ ამ დროს იწყება იმ თავისებური წონასწორობის რღვევა, რომელიც XXI დინასტიიდან დამყარდა თებეს და სამეფო ტახტს შორის. ტაკელოტის სახელი მოხსენიებულიც კი არ არის თანადროულ თებეს არქივებში, თუმცა ამონის მთავარი ქურუმის მოვალეობას მისი ვაჟიშვილი იუველოტი ასრულებდა; ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ იუველოტის სამხედრო მარშს ჩრდილოეთისაკენ ტახტის დასაპყრობად აკავებდა მხოლოდ ძლიერი გარნიზონი, რომელიც ჯერ კიდევ ოსორკონ I-მა დააბანაკა ჰერაკლეოპოლისის მიდამოებში. ვითარება იმდენად აირია, რომ ტაკელოტის შემდეგ ერთდროულად მეფობდა ორი ბიძაშვილი, ოსორკონ II და ხორსიესე (Grimal, 2003, 324). **ტაკელოტ II** (დაახლ, ჩვ.წ.-მდე 860-835) ოსორკონ II-ის ვაჟი იყო. თავისი სეხნიის, ტაკელოტ I-ის მსგავსად, ტახტზე ადის ტახტის მემკვიდრის, ასევე შეშონკის უდროო გარდაცვალების გამო.

ენერგიული მამისაგან განსხვავებით, ის პრაქტიკულად არ ეწეოდა სამშენებლო სამუშაოებს და სავარაუდოდ მისი სამარხიც კი (მამის სამარხის ტერიტორიაზე) მისმა მემკვიდრემ, შეშონკ III-მ დაასრულა. ჯერ კიდევ უფლისწულად ყოფნისას ოსორკონმა ცოლად შეირთო თებეს მთავარი ქურუმის და თავისი ნახევარი ძმის ქალიშვილი კეროამა, ასე რომ ნიმლოტის სიცოცხლეში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მშვიდობა სუფევდა. კავშირების კიდევ უფრო გასამტკიცებლად, ტაკელოტმა თავისი რამდენიმე ქალიშვილი თებელ დიდგვაროვნებზე გაათხოვა, ერთი ქალიშვილი კი გაგზავნა თებეში, როგორც ამონის ტაძრის მომღერალი. მაგრამ ნიმლოტის გარდაცვალების შემდეგ ტაკელოტმა თებეს მთავარი ქურუმის, მთელი ქვეყნის და სამხრეთის მმართველის თანამდებობებზე თავისი უფროსი შვილი და მემკვიდრე, ოსორკონი დანიშნა, რამაც თებეში უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან მათ ამ პოსტებზე თებელის ნახვა უნდოდათ. ქალაქში ჩასვლისთანავე ოსორკონმა დასაჯა მოწინააღმდეგეები და მათი სხეულები დაწვა. იმავდროულად, მდიდარი შესანირით ამონის ტაძრისადმი და დეკრეტებით, რომლებიც ადასტურებდა ამონის ქურუმების უფლებას ტაძრების მთელ შემოსავალზე, მან თითქოს ქურუმების გული მოიგო, მაგრამ მოწინააღმდეგემ ძალა მოიკრიბა და ტაკელოტის მეფობის მეთხუთმეტე წელს ქვეყანა საშინელმა სამოქალაქო ომმა მოიცვა, რომელმაც დაახლ. ათ წელს გასტანა. ამასობაში ტანისში გარდაიცვალა ტაკელოტ II, და უიღბლო ოსორკონმა, რომელიც ამ დროს თებეში იყო, სამხრეთში თანამდებობებთან ერთად ტახტიც დაკარგა. ტანისში მყოფმა ოსორკონის უმცროსმა ძმამ, შეშონკმა სასწრაფოდ დაკრძალა მამა ბაბუის, ოსორკონ II-ის სამარხის წინა ოთახში და ტახტს დაეუფლა (Kitchen, 1973, §§287-294). **ტაკელოტ III** (764-757) XXIII დინასტიის ფარაონის, ოსორკონ III-ის შვილი იყო. ოსორკონმა თანდათან გააფართოვა თავისი გავლენის არეალი და მოახერხა ელ ჰიბას ფორტიდან XXII დინასტიის ოჯახის წარმომადგენლების გაძევება და იქ ტაკელოტის დასმა, რაც ფაქტობრივად ჰერაკლეოპოლისის მმართველობას ნიშნავდა. მალე ტაკელოტი ამონის მთავარი ქურუმი ხდება, ჩვ.წ.-მდე 765-766 წ. კი მამამისი ტახტის მემკვიდრედ და თანამმართველად აცხადებს. ტაკელოტ III-ს ექვსი წელი იმეფა მამასთან ერთად, და ორი წელი მამის გარდაცვალების შემდეგ. მისი თანამედროვე ფარაონი ტანისში შეშონკ V იყო (*იქვე*, §§317-319).

ტალატატი — მცირე ზომის ქვის ბლოკები, რომლებითაც აშენებდა ფარაონი ამონხეტეპ IV (ეხნატონი). ამ ბლოკებს ეძახიან „ტალატატს" ადგილობრივ ლუქსორულ დიალექტზე, შესაძლოა იტალიური სიტყვიდან „tagliata", „მოჭრილი ქვა", და სიტყვა ეგვიპტოლოგიაშიც დამკვიდრდა. ეხნატონის ტაძრები კარნაკში და ახეტატონში ძალიან სწრაფი ტემპით შენდებოდა, და სავარაუდოდ ამან განაპირობა პატარა ზომის ბლოკებით (52 x 26 x 24) შენება, რომლებიც ერთ ადამიანს შეეძლო გადაეტანა. ტალატატის ბლოკები იჭრებოდა გებელ სილსილაში, თებედან 100 კმ. სამხრეთით, სადაც საუკეთესო ხარისხის ქვიშაქვის სამტეხლოები იყო.

ტანისი — (ეგვ. *Ḏʿnt*, ბერძნ. Tanis, თანამედრ. სან ელ-ჰაგარი, Montet, 1957, 192), ქალაქი აღმოსავლეთ დელტაში, ნილოსის დელტის ტანისური ტოტის აღმოსავლეთით, რომელიც დღეს დამშრალია. რადგან პირველივე გათხრების დროს ქალაქში უამრავი რამსეს II-ის ძეგლი და წარწერა აღმოაჩინეს, ტანისი დიდი ხნის განმავლობაში პი-რამსესი ეგონათ, მაგრამ გასული საუკუნის II ნახევრის გათხრებმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის (Bard, 1999, 755). ტანისი იყო სამეფო რეზიდენცია მესამე გარდამავალი პერიოდის დროს, გვიანი და პტოლემაიოსების პერიოდებში — მეთექვსმეტე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი (*იქვე*, 23). ქალაქი პირველად დაფიქსირებულია „უნ-ამონის მოგზაურობაში ბიბლოსში" (Lichtheim, 2006, II, 224-232) და „ამონემოპეს ონომასტიკონში" (დაახლ XX დინასტიის დასასრული), მაგრამ „ტანისის მინდვრები" მოხსენიებულია რამსეს II-ის მეფობით დათარიღებულ წარწერაში მემფისის ტაძრის კედელზე (Gardiner, 1964, 200). XX და XXI დინასტიებს შორის, „უმეფობის" პერიოდში, ტანისი სმენდესის რეზიდენცია იყო. ცოტა მოგვიანებით მან დააარსა XXI დინასტია, რომელსაც მანეთონი ტანისურს ეძახის (Montet, 1957, 193). უძველესი ნაგებობები ქალაქში სმენდესის შთამომავლის, ფსუსენეს I-ის მეფობით არის დათარიღებული. მან ააგო ამონის ტაძარი, გარშემორტყმული მაღალი აგურის კედლით, და მუტის და ხონსუს ტაძარი. ამონის ტაძრის კედლის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ფსუსენესმა ააგო სამარხი თავისთვის და თავისი დედოფლისათვის, რომლის გვერდითა ოთახებში დიდგვაროვნებია დაკრძალული (Kitchen, 1973, 268). თავისი სამარხით ფსუსენესმა საფუძველი ჩაუყარა მესამე გარდამავალი და გვიანდელი პერიოდების ფარაონთა სამარხების ტაძრის ეზოში აგების ტრადიციას (Bard,

1999, 757). თუმცა ტანისი XXI და XXII დინასტიების ფარაონების რეზიდენცია იყო, უკიდურესი ჩრდილოეთი მდებარეობის გამო ვერ გახდებოდა სრულფასოვანი ადმინისტრაციული ცენტრი მთელი ეგვიპტისათვის, და ეს ფუნქცია უდავოდ მემფისს ჰქონდა შენარჩუნებული, მაგრამ მას მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა ჰქონდა ლევანტთან ურთიერთობისათვის და იყო უაღრესად ხელსაყრელი პორტი აღმოსავლეთთან სავაჭროდ (Kitchen, 1973, 267). ქალაქი მუდმივად შენდებოდა და თავისი მნიშვნელობა პტოლემაიოსების დროსაც შეინარჩუნა, რადგან მათი პერიოდით დათარიღებული ნაგებობების ნანგრევები მრავლად არის შემორჩენილი. არქეოლოგიური გათხრები ტანისში დაიწყო ო. მარიეტმა 1860 წ., შემდეგ აქ მუშაობდა ფ. პიტრი (Petrie, 1883-1904). სისტემატური გათხრები ჩაატარა პ. მონტემ (P.Montet, 1947, 1951, 1960). 1939 წელს, II მსოფლიო ომის დაწყების პირზე, მონტემ აღმოაჩინა სამარხები ამონის ტაძრის ეზოში, მათ შორის ერთი (ფსუსენეს I-ის) სრულიად გაუძარცვავი (Montet, 1947). დღემდე ეს არის ერთადერთი ხელშეუხებელი ფარაონის სამარხი, ნაპოვნი ეგვიპტეში. უძვირფასესი ქვის სარკოფაგები, ვერცხლის კუბო, ოქროს ნიღბები მუმიებზე, გასაოცარი რაოდენობის ოქროს და ვერცხლის სამკაულები და ჭურჭელი ტუტანხამონის სამარხზე არანაკლებ სენსაციას გამოიწვევდა, მაგრამ ცნობები ამ აღმოჩენის შესახებ II მსოფლიო ომის გაჩაღებამ გადაფარა, ამიტომ ტანისის განძი დღეს ნაკლებად არის ცნობილი.

ტანტამანი – (ეგვ. *Tꜣnw ꜣt Ꜣmn*, ჩვ.წ.-მდე 664-657 წწ.), XXV (ნუბიური) დინასტიის უკანასკნელი ფარაონი, ტახარკას ძმისშვილი და მემკვიდრე. ნაპატაში ტახტზე ასვლის პირველივე წელს გაემართა ეგვიპტეში ასურელების დასამარცხებლად, რადგან ესიზმრა, რომ ის ნაპატას და ეგვიპტის მეფე უნდა იყოს. მან გაიარა ელეფანტინა, თებე და მიაღწია მემფისს, სადაც მოუხდა შებრძოლება, როგორც თავად გვამცნობს, „აჯანყების შვილებთან, რომლებიც მისმა უდიდებულესობამ დახოცა დიდი რაოდენობით". ჩრდილოეთისაკენ მარშის და ასურეთის ერთგული დელტის მმართველების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ტანტამანი გვამცნობს თავის ნაპატაში აღმოჩენილ ცნობილ „სიზმრის სტელაზე" (Breasted, 1962, IV, §§919-934). დელტაში ტანტამანისთან ბრძოლის წინამძღოლი იყო საისის მმართველი ნეხო I, რომელიც ნუბიელმა სიკვდილით დასაჯა. განრისხებულმა ასურბანიპალმა იმავე წელს გამოაგზავნა ჯარი ეგვიპტე-

ში, მემფისი კვლავ ასურელების ხელში აღმოჩნდა, ტანტამანი კი ნუბიაში გაიქცა. მაგრამ ამჯერად ასურელები არ დასჯერდნენ დელტის დაბრუნებას. მათ მიაღწიეს თებემდე და ააოხრეს და გაძარცვეს ქალაქი. თებეს დარბევას ისეთი რეზონანსი ჰქონდა იმდროინდელ სამყაროში, რომ ნახევარი საუკუნის შემდეგ ბიბლიური წინასწარმეტყველი ნაუმი იხსენებს მას თავის წინასწარმეტყველებაში ნინევიის საშინელ დასასრულზე და აღწერს, როგორც საშინელ სისასტიკეს, როცა „ჩვილებს ხოცავდნენ ყველა ქუჩის კუთხეში და ყველა დიდებული ბორკილებში იყო" (ნაუმი, 3:8-10). ასურელებმა გაძარცვეს ქალაქი და თან წაიღეს თოთხმეტი საუკუნის მანძილზე ნაგროვები განძეულობა. როგორც ასურეთის ვასალი, საისს, მემფისს და ათრიბს მართავდა ფსამტიხ I, ნეხო I-ის შვილი. თებეში, ყველაფრის მიუხედავად, წლების დათვლას ტანტამანის მეფობით აგრძელებდნენ. მან შეინარჩუნა დამოუკიდებლობა ჩრდილოეთისაგან. თებეს მართავდნენ მისი მმართველი ამონტემხატი და ამონის ცოლი შეპენუპეტ II. ტანტამანიმ დაასრულა თავისი ცხოვრება, როგორც ნაპატას მეფემ და დაიკრძალა პირამიდაში, ელ კურუს ნეკროპოლისში, საყვარელი ცხენების სამარხების გარემოცვაში (Kitchen, 1973, §§ 354-355).

ტაოსრეტი — (ჩვ.წ.-მდე დაახლ. 1198-1196 წწ.), სეტი II-ის მთავარი დედოფალი. სეტი II-ის გარდაცვალების შემდეგ ასრულებდა რეგენტის ფუნქციას სეტი II-ის მემკვიდრის, სიპტახის მეფობის დროს, რომელიც იყო სეტი II-ის ვაჟიშვილი „მეორე რიგის" ცოლიდან. სიპტახის გარდაცვალების შემდეგ მან თავი მეფედ გამოაცხადა, მიიღო ფარაონის ტიტულატურა და აიგო მოსახსენიებელი ტაძარი თებეში. ტაოსრეტის მეფობით სრულდება მეცხრამეტე დინასტია. XX დინასტიის ფარაონები არ ცნობდნენ ამონმესუს, სიპტახს და ტაოსრეტს (Vernus and Yoyotte, 2003, 214). თაოსრეტის სამარხი მეფეთა ველზე (KV 14) მიისაკუთრა XX დინასტიის დამაარსებელმა სეტნახტმა.

ტარიხევტი — მებალზამეს, რომელიც მუმიას ამზადებდა, ერქვა „უტი" (*wt*, Wb I, 379) სიტყვა VI დინასტიიდან გვხვდება და „შემხვევს" ნიშნავს. მას ანუბის-უტსაც ეძახდნენ. ეს მებალზამეები ქურუმების ფენიდან იყვნენ. ახალი სამეფოს დროიდან უტები ტურის ნიღაბს ატარებდნენ. გვიანდელ პერიოდში ეს სამსახური ნაკლებ პატივსაცემი ხდება და ბერძნებმა მათ ტარიხევტები დაარქვეს. ისინი აღარ იყვნენ ქურუმები, მაგრამ

პარაშისტებისაგან განსხვავებით „სუფთებად" ითვლებოდნენ და ტაძარში შესვლა შეეძლოთ (Bonnet, 1952, 768-769).

ტასა — დეირ ტასას მიდამოებში აღმოჩენილია ნეოლითური პერიოდის სამარხები (დაახლ. 5000 წლიდან), რომლებმაც ძალიან დიდი შუქი მოჰფინა ამ დროინდელი ნილოსის დაბლობის მოსახლეობის წარმოდგენებს და ცხოვრების წესს.

ტატენენი

ტატენენი — (ეგვ. *Tꜣnn*, „მინა, რომელიც იწევა", Wb V, 227), მემფისის პირველქმნილი ხტონიური ღვთაება, გაიგივებული პირველყოფილი წყლებიდან ამოსულ ბორცვთან და ნილოსის ნაყოფიერ მიწასთან, რომელიც კვლავ ჩნებოდა ადიდებული მდინარის კალაპოტში დაბრუნების შემდეგ. ასეთი ასოციაციების გამო ტატენენი ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც „ღმერთების მამა, უფრო ძველი, ვიდრე ყველა სხვა სანყისი, ადამიანების შემქმნელი, ღმერთების შემქმნელი, რომელიც პირველად წარმოიქმნა და ყველაფერი, რაც არის, მისგან მომდინარეობს" (Breasted, 1962, IV, § 308). იყო ასევე დროის ბატონი და მეფეებს ოცდაათი წლის დღესასწაულს (ხებსედს) ჩუქნიდა (*იქვე*, §§304, 335, 382). შეერწყა ეგვიპტის პირველი დედაქალაქის — მემფისის მფარველ ღვთაებას და მემფისის კოსმოგონიის დემიურგს პტახს, პტახ-ტატენენის ფორმით. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, თავზე სპეციფიკური გვირგვინით, რომელიც ვერძის რქებზე დასვენებული მზის დისკოსა და ორი დიდი ბუმბულისაგან შედგებოდა (Sandman-Holmberg, 1946, 15). ითვლებოდა ასევე ეგვიპტის პერსონიფიკაციად და სამეფო გარდაცვლილების მფარველად, რომელიც გარდაცვლილ მეფეებს და მათი ოჯახის წევრებს მიუკვლევდა გზას მიწისქვეშეთში. რამსეს III-ის ახალგაზრდა უფლისწულის, ამონხერხოფშეფის სამარხის კედელზე გამოსახულია რამსეს III, რომელიც ეეედრება ტატენენს, გაუადვილოს მის ვაჟიშვილს მიწისქვეშეთში მგზავრობა (Hart, 2005, 154).

ტაძარი — ეგვიპტელთა წარმოდგენით, ღვთაების სახლი მიწაზე. ტაძრის ყველაზე გავრცელებული სახელი იყო „ღმერთის სახლი" (*ḥw.t nṯr*; Wb.III, 4). ეგვიპტელს სწამდა, რომ ღვთაება სახლობდა თავის გამოსახულებებში, რომლებიც ტაძარში იყო და ამდენად ისინი ღვთაების ნაწილი ხდებოდა, რადგან ეგვიპტური რელიგიური აზროვნების თანახმად, ღვთაების უხილავ, ფლუიდურ საწყისს გამოსახულების ურიცხვი ფორმა გააჩნდა და

მათგან ერთ-ერთი მისი ქანდაკება იყო. ღვთაების ქანდაკებებს ძვირფასი ქვების და მეტალისაგან ამზადებდნენ, განსაკუთრებით ოქროსაგან, რადგან ეგვიპტელის წარმოდგენით ღვთაების განსხეულება ოქროში ხდებოდა. მთავარი ქანდაკება ტაძრის წმინდათა წმინდა ოთახში იყო მოთავსებული. ყოველ დილას მას განბანდნენ, საკმეველს აკმევდნენ და სამოსს უცვლიდნენ. ღვთაებას, რომელიც ქანდაკებაში სახლობდა, ქურუმები შესაწირს უბოძებდნენ. რა თქმა უნდა, იმისათვის, რომ ტაძარი ღვთაების სახლი გამხდარიყო, ის ღვთაების არსების თანმხვედრი უნდა ყოფილიყო (Kurth, 2004, 8). უკვე ტაძრის საფუძვლის ჩაყრა სათანადო რიტუალის შესაბამისად ხდებოდა. მშენებლობის დამთავრების შემდეგ, სანამ ის თავის პატრონ ღვთაებას გადაეცემოდა, ნაგებობაში თვეების განმავლობაში ტარდებოდა რიტუალები. ქურუმები განწმენდდნენ ტაძრის ყველა კუთხე-კუნჭულს, ატარებდნენ პირის გახსნის რიტუალს. კულმინაციას წარმოადგენდა პატრონი ღვთაების მთავარი საკულტო გამოსახულების დაბრძანება წმინდათა წმინდა ოთახში (კაპელაში). რიტუალს ასრულებდა ნადიმი, რომელშიც ქურუმებთან ერთად მონაწილეობდა ყველა, ვინც ტაძარი ააგო და მოხატა. უკვე ნაკურთხი ტაძარი წარმოიდგინებოდა, როგორც ქაოსური წყლებიდან ამოსული პირველქმნილი ბორცვის სიმბოლო, სამყაროს შექმნის სიმბოლური ადგილი. ამიტომ ტაძრის ფუნდამენტი გრუნტის წყლებამდე უნდა ჩასულიყო. ის იყო ასევე სიმბოლო ჰორიზონტის, სადაც ცა, მიწა და ქვესკნელი ერთმანეთს ხვდებოდა (Shafer, 2005, 7). რადგან ღვთაების ბუნებას კოსმიური განზომილება ჰქონდა, ტაძარიც სამყაროს თავისებური ასლი იყო. მისი კედლები მცენარეებით და ცხოველებით იყო მოხატული, ჭერი — ვარსკვლავებით (Kurth, 2004, 8). რასაკვირველია, პირველი ეგვიპტური ტაძრები შორს იყო ასეთი გრანდიოზული დაგეგმარებისაგან. ღმერთის უძველესი სახლი, რომელიც ადრედინასტიური გამოსახულებებით არის ცნობილი და დამწერლობაში ტაძრის აღმნიშვნელ იეროგლიფად გამოიყენებოდა, წარმოადგენდა მონნული ღობით შემოღობილ ეზოს, სადაც ერთდარბაზიანი, ასევე მონნული სამლოცველო იდგა. ეს იყო წმინდათა წმინდა ადგილი, სადაც ღვთაების ქანდაკება იყო მოთავსებული. ზოგიერთ შემთხვევაში სამლოცველოს გადახურული შესასვლელი ჰქონდა მიშენებული. ეზოში შესასვლელი ჭიშკრის ორივე მხარეს „ღმერთის“ ნიშანი (𓊹) იდგა. თუ ღვთაებას ცოცხალი ცხოველის სახით ეთაყვანებოდნენ, ის შემოღობილ ეზოში ცხოვრობდა და

ეგვიპტური ტაძრის (ნეიტის ტაძარი) უძველესი გამოსახულება

ქურუმების შიერ ღვთაების ტაძრიდან გამობრძანება.

სამლოცველო მისი ღამის გასათევი იყო (Petrie, 1902, II, pl.7). ამ მოკრძალებული ნაგებობიდან, ეგვიპტური კულტურის განვითარებასთან ერთად, ეგვიპტურმა ტაძრებმა თანდათან გრანდიოზული სახე მიიღეს, და მათი აგება ეგვიპტური არქიტექტურის უმთავრესი ამოცანა გახდა, მაგრამ ეს სამი ელემენტი – წმინდათა წმინდა ოთახი, წინა დარბაზი და შემოღობილი ეზო ქვეყნის ისტორიის ბოლომდე ყველა ტაძრის ძირითად ბირთვს წარმოადგენდა. გამონაკლისს ქმნიდა მხოლოდ მზის ტაძრები, რომლებსაც ძველი სამეფოს დროს აგებდნენ და სადაც შემოღობილ ეზოში ღია ცის ქვეშ მდგომი ობელისკი იდგა. კაპელა ჩვეულებრივ მოგრძო ფორმის ოთხკუთხედი ოთახი იყო, რომლის ცენტრი ტაძრის ცენტრალურ ღერძს ემთხვეოდა. უფრო დიდ ტაძრებში მის ორივე მხარეს შეიძლება ყოფილიყო კიდევ ორი (ან მეტი) უფრო მცირე ზომის კაპელა „სტუმარი" ღვთაებებისათვის. კაპელაში, ნაოსში, რომელიც უფრო ხშირად ხისაგან იყო დამზადებული და ძირითადად უძველესი კაპელის ასლს წარმოადგენდა, დაბრძანებული იყო ღვთაების ქანდაკება. აქვე ინახებოდა ყოველდღიური რიტუალებისათვის აუცილებელი ინვენტარი და ბარკა, რომლითაც ღვთაების გამოსახულებას გამოაბრძანებდნენ ხოლმე ტაძრიდან დღესასწაულების დროს. კაპელაზე მიშენებული წინა დარბაზი თანდათან ორ ნაწილად გაიყო: მან მოიცვა სვეტებიანი დარბაზი (ჰიპოსტილი), რომელიც უშუალოდ კაპელას ესაზღვრებოდა და შემდეგი დარბაზი (პრონაოსი), საიდანაც უკვე ტაძრის ეზოში იყო გასასვლელი. პრონაოსი ჩვეულებრივ სვეტებით იყო გარშემორტყმული. ახალი სამეფოდან დიდ ტაძრებში ჰიპოსტილსა და კაპელას შორის შეიძლებოდა კიდევ ერთი ან ორი დარბაზი ყოფილიყო. დიდ ტაძრებს ასევე ორი, ერთმანეთისაგან პილონებით გამოყოფილი ეზო შეიძლებოდა ჰქონოდა. პილონები ჩნდება ახალი სამეფოდან ტაძრის ეზოში შესასვლელი ჭიშკრის ორივე მხარეს, სადაც უძველეს დროში ღმერთის ნიშნები იყო აღმართული. მათი კომპოზიცია წარმოადგენს ეგვიპტური დამწერლობის იეროგლიფის იმიტაციას, რომელიც „ჰორიზონტს" ნიშნავს (Wilkinson, 2005, 195). მლოცველებს მხოლოდ ტაძრის ეზოში ჰქონდათ შესვლის უფლება. უკვე პრონაოსიდან ინაგებოდა ღვთაების საცხოვრისი, სადაც ჰაერიც კი სუფთა უნდა ყოფილიყო და ამიტომ სათანადოდ განწმენდილი ქურუმები, რომლებიც მუდმივად ზრუნავდნენ ტაძრის სისუფთავეზე, გამუდმებით საკმეველს აკმევდნენ. ღვთაების გამოსახულებაზე ლოცვა და მისთვის რაიმეს თხოვნა ეგვიპტელს შეეძლო



ტაძრის პილონები

დღესასწაულების დროს, როცა მას ქურუმები, ბარკაზე დაბრძანებულს, საზეიმო პროცესიისათვის ტაძრიდან გამოიყვანდნენ (Bonnet, 1952, 778-788). მაგრამ გარდა იმისა, რომ ის ღვთაების სახლი და სამყაროს ასლი იყო, ტაძარი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობდა ქვეყნის ეკონომიკაში. აქ იღებდა გასამრჯელოს ქურუმების, მოხელეების, გადამწერების, მხატვრების, მოქანდაკეების, ხელოსნების, ყასბების, მცხობელების, მეღვინეების, მქსოველების, მესაქონლეების, მეფრინველეების და მეზღვაურების უზარმაზარი არმია. სატაძრო მიწებზე მუშაობა ცხოვრების ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა ბევრი ღარიბი ადამიანისათვის, რომელსაც საკუთარი მინა არ გააჩნდა. შესაბამისად, თავისი უზარმაზარი მიწებით, საკუჭნაოებით, სახელოსნოებით და სატრანსპორტო გემებით, ტაძარი სახელმწიფო ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა (Shafer, 2005, 8). ტაძრის მართვა სახელმწიფოს მართვის პრინციპით ხორციელდებოდა და ეს მაღალი ქურუმების ჯგუფს ჰქონდა დაკისრებული. ამ ჯგუფში შედიოდნენ „ღმერთის სახლის გადამწერი", „საკურთხევლის გადამწერი", „ღმერთის ხაზინის უფროსი", „ბეღლების ზედამხედველი", „საიდუმლო ნივთების ზედამხედველი", „რიტუალების ქურუმი" და სხვ (Breasted, 1962, I, § 550).

ტაძარი (კლდის) — კლდის ტაძრების (სპეოსის) აგება ეგვიპტეში საკმაოდ გვიან დაიწყეს. უძველესი თოტმეს III-ის და ხატშეპსუტის მეფობით არის დათარიღებული. ეს ტაძარი მხოლოდ წინა დარბაზს და საკულტო კამერას შეიცავდა. ხორემხების დროს კლდის ტაძარს სვეტებიანი დარბაზი დაემატა (გებელ ადე). რამსეს II-ის დროს კლდის ტაძარმა განვითარების ახალი ფორმა მიიღო — მისი ტაძრები გერფ ჰუსეინში, სებუაში და დერში კლდის და ჩვეულებრივი ტაძრების კომბინაციას წარმოადგენს (ჰემისპეოსი). აქ ტაძრის მხოლოდ უკანა დარბაზებია კლდეში გამოკვეთილი, პირველი დარბაზი კი თავისუფლად დგას ცის ქვეშ. რამსეს II-მ არც ძველი კლდის ტაძრის არქიტექტურა დაივიწყა, და მაგ. მისი ცნობილი ტაძარი აბუ სიმბელში კლასიკურ სპეოსს წარმოადგენს. ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა, კლდის ტაძრები ძირითადად ნუბიის ტერიტორიაზე მდებარეობს და მათი გაჩენა, როგორც ჩანს, პრაქტიკული (აგების სისწრაფის თვალსაზრისით) და არა რელიგიური მიზნით იყო ნაკარნახები (Bonnet, 1952, 184-185).

ტაძარი (მოსახსენიებელი) — საკულტო განყოფილება, რომელიც ადრე სამარხის შიგნით იყო მოთავსებული, თანდათან მეფეების სამარხებში დამოუკიდებელი მოსახსენიებელი ტაძრის სახეს იღებს. პირველად ჯოსერის პირამიდასთან ჩნდება ცალკე მდგომი საკულტო ნაგებობა, მაგრამ მას ჯერ კაპელის სახე აქვს. იგი თანდათან ვითარდება და ხეფრენთან უკვე შთამბეჭდავი ტაძარის სახით არის წარმოდგენილი. კომპლექსი იწყება ჭიშკრით, რომელიც პირამიდასთან მდგომ ტაძართან შემოღობილი გზით არის დაკავშირებული. მოსახსენიებელი ტაძრის არქიტექტურაზე საკულტო ტაძრის გავლენა იგრძნობა, მხოლოდ XI დინასტიიდან ღებულობს თავისებურ სახეს, რომელიც პირამიდის და კლდის სამარხის არქიტექტურის ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს, რაც ყველაზე ხატოვნად მონტუხეტეპ III-ის მოსახსენიებელ ტაძარში ჩანს. ახალი სამეფოდან ეს ტრადიცია წყდება და ფარაონის სამარხი და მოსახსენიებელი ტაძარი ერთმანეთისაგან დაშორებით იგება (პირველმა ეს ამონხეტეპ I-მა გააკეთა). იმავდროულად, ის იცვლის სახეს იმ თვალსაზრისით, რომ ჩვეულებრივ ხდება სხვა ღმერთებისადმი (ძირითადად ამონისადმი) მიძღვნილი ტაძრის ნაწილი. ტაძარს, სადაც გარდაცვლილი ფარაონის კულტიც იყო, ეგვიპტელები „ფარაონის მილიონი წლის სახლს" ეძახდნენ. თავის მოსახსენიებელ ტაძარში რამსეს III მიმართავს ამონს: „ჩემი მილიონი წლის სახლი მე შენ აგიგე".

ტაჰარკა — (ეგვ. *Tꜣhrḳ,* დაახლ. ჩვ.წ.-მდე 690-664), XXV (ნუბიური) დინასტიის ფარაონი. კავაში აღმოჩენილი მისივე ტექსტის თანახმად, მან „მიიღო გვირგვინი მემფისში, მას შემდეგ რაც შევარდენი (ე.ი. მისი წინამორბედი და ძმა შებიტკუ) აღზევდა ზეცაში" (Kitchen, 1973, § 348). მიუხედავად საკმაოდ ტრაგიკული დასასრულისა, ტაჰარკას მეფობა კუშიტური პერიოდის ყველაზე ბრწყინვალე ფაზად არის მიჩნეული. მისი მეფობის მეექვსე წელს მოხდა ნილოსის განსაკუთრებით დიდი ადიდება, რომელმაც ოსორკონ III-ის დროს, თითქმის ასი წლით ადრე მომხდარ, ავად მოსახსენიებელ ადიდებას გადააჭარბა. მაგრამ ეს მოვლენა, რომელსაც შეიძლებოდა უბედურება გამოეწვია, ეგვიპტის სასიკეთოდ მოტრიალდა, რადგან, როგორც ტაჰარკა თავად გვამცნობს, ამონმა მას ოთხი საოცრება აჩუქა: „მან მომცა გასაოცარი მოსავალი, გაანადგურა ვირთხები და გველები, მან დაიცვა მოსავალი ხარბი კალიისაგან და სამხრეთის ქარებისაგან". შედეგად, ტაჰარკამ არნახული მოსავალი მოინა-

ტექსტი ამ სასწაულის შესახებ მან დაგვიტოვა მემფისში, კოპტოსში და კავაში. იმავე მეექვსე წელს მან დაიწყო ჯერ კიდევ ამონხეტეპ III-ის მიერ აგებული ტაძრის ფუნდამენტური რეკონსტრუქცია კავაში, კერმას სამეფოს გულში. განსხვავებით თავისი წინამორბედი ნუბიელებისაგან, ტაჰარკა ბევრს აგებდა ნუბიაში. ნაპატაში მან ააგო ახალი ტაძარი და გაადიდა ამონის ძველი ტაძარი. ასევე ააგო ტაძრები აბუ დომში, ბუხენში, ქასრ იბრიმთან, სემნაში და ძველ მეროეში (Grimal, 2003, 347). ეგვიპტეში მისი მშენებლობების კვალი ნაკლებია, მაგრამ მან ჩაატარა გრანდიოზული მშენებლობები კარნაკში. აქ მან გააშენა გრანდიოზული ტბა, ტბასა და ამონის ტაძარს შორის ააგო ტაძარი კრიპტებით, და ასევე სვეტებიანი პავილიონები ხონსუს ტაძრის წინ და ამონის ტაძრის აღმოსავლეთ და დასავლეთ შესასვლელებთან (Bard (ed.), 1999, 403). ამონის მთავარმა ცოლმა, შეპენუპეტ II-მ იშვილა ტაჰარკას ქალიშვილი ამენერდის II, რომელიც შეპენუპეტ II-ის მემკვიდრე გახდა. ჩრდილოეთში ადგილობრივი მმართველები აგრძელებდნენ თავიანთი ქალაქების და ტერიტორიების მართვას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საისი, სადაც სტეფანიტე (იგივე ტეფნახტ II) შეცვალა ნეხეფსომ (დაახლ.ჩვ.წ.-მდე 688-672წწ), შემდეგ კი ნეხო I-მა (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 672-664). მაგრამ მალე ვითარება მკვეთრად შეიცვალა (Kitchen, 1973, § 353). ასარქადონმა კარგად იცოდა, რომ ეგვიპტე არ იყო კმაყოფილი მისი დომინირებით დასავლეთ აზიაში, რადგან ეს რეგიონი ეგვიპტის ტრადიციული სავაჭრო არეალი იყო. ამას ემატებოდა ისიც, რომ დელტის მმართველები მხარს უჭერდნენ პალესტინის ქალაქებს ასურეთის წინააღმდეგ ბრძოლაში. 674 წ. ასარქადონმა მიიტანა იერიში ეგვიპტეზე, მაგრამ დამარცხდა. მეორე შეტევა ასარქადონმა 671 წ. განახორციელა. მისმა ჯარმა შემოუარა ეგვიპტის სასაზღვრო ფორტებს მარშით უდაბნოში, ვადი ტუმილატის გავლით, მაგრამ, ასურული ქრონიკის თანახმად, ეგვიპტელები დაესხნენ მათ მესამე, მეთექვსმეტე და მეთვრამეტე დღეს. ტაჰარკა ხუთჯერ დაიჭრა, და მამფისის დაცვის ორგანიზება ვეღარ მოხერხდა. ნახევარდღიანი შტურმის შემდეგ, მარშის ოცდამეორე დღეს, ასარქადონმა აიღო მემფისი. ტაჰარკამ მოახერხა გაქცევა, მაგრამ ასარქადონმა ტყვედ ჩაიგდო მისი ცოლი, მემკვიდრე, და, როგორც თავად გვამცნობს, „მეფის სხვა შვილები". მათ გარდა, ასურეთში წაიყვანეს ბევრი ეგვიპტელი ექიმი, გადამწერი და ხელოსანი. ამას გარდა, მემფისიდან ასურელებმა წაიღეს 55 ქანდაკება, რომლებზეც ასარქადონმა თავისი სა-

ხელი დაწერა. შესაძლოა, სწორედ ამ ქანდაკებებიდან ერთ-ერთია კუიუნჯუკში ნაპოვნი ტაჰარკას ქანდაკება. ამის შემდეგ ასურელებმა დატოვეს ეგვიპტე, მაგრამ ფიცი დაადებინეს ყველა ქალაქის მმართველს, რომ ისინი ასურეთის ერთგულები იქნებოდნენ და არ დაუშვებდნენ ნუბიელების დაბრუნებას ეგვიპტეში. მათ შორის იყო ნეხო საისიდან, რომლის შვილი ფსამტიხი (მომავალი ფსამტიხ I) ნაიყვანეს ასურეთში იქაური წეს-ჩვეულებების შესასწავლად, ვიდრე ის ათრიბის მმართველად დაინიშნებოდა. მაგრამ ასურელებმა ეგვიპტური მმართველობა ასურულით შეცვალეს, და ეგვიპტელ მმართველებს ასურელი „გუბერნატორები" დაუსვეს. ჩვენამდე მოაღწია ამ ქალაქების ჩამონათვალმა, მაგრამ ისინი ასურული სახელებით არიან მოხსენიებული და მათი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება. თავიდან ასურეთს მთელი ეგვიპტე უხდიდა ხარკს, თებაიდის ჩათვლით (Kees, 1968.242-242). ორი ნლის შემდეგ, ტაჰარკამ დაიბრუნა ძალაუფლება, რაც, სავარაუდოდ, გაეგვიპტელებულ ნუბიელებთან შედარებით ასურელების უფრო მკაცრი მმართველობის შედეგიც იყო. დელტის ქალაქების მმართველებმა თვითონაც დაიწყეს მოლაპარაკება ტაჰარკასთან. ამან აიძულა ასარქადონი კვლავ დაძრულიყო ეგვიპტისაკენ, მაგრამ ის გზაში გარდაიცვალა. ასარქადონის ტახტი ნინევიაში დარჩა მის შვილს, ასურბანიპალს, რომელმაც გააგზავნა ჯარი ეგვიპტეში, და ტაჰარკა ისევ დამარცხდა. ეგვიპტელი მმართველები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ტაჰარკას, სიკვდილით დასაჯეს. ამ ვითარებაში მოგებული აღმოჩნდა ნეხო საისიდან. ის არ მონაწილეობდა ტაჰარკას დაბრუნების მცდელობაში, და ჯილდოდ ასურელებისაგან მემფისის მმართველობა მიიღო. ტაჰარკა გარდაიცვალა ნუბიაში, და დაიკრძალა თავის პირამიდაში, ნურიში, ახალ სამეფო ნეკროპოლისში გებელ ბარკალის პირდაპირ. მის შემდეგ ტახტზე ადის მისი ძმისშვილი ტანტამანი (Shaw (ed.), 2003, 353).

ტბა (საკრალური) — ეგვიპტური ტაძრის ეზოში ყოველთვის იყო ტბა. მისი ზუსტი დანიშნულება ნათელი არ არის, მაგრამ ის დაკავშირებული იყო განწმენდის რიტუალთან და ლიბაციასთან (Breasted, 1962, I, §§509, 534; II, §§36, 164, 883). ამ ტბებს ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ წყლის ფრინველები, განსაკუთრებით ბატები, რომლებიც, სუფთა ხორცის გამო, ყველაზე ხშირ შესანირს წარმოადგენდნენ. წყალთან დაკავშირებული იყო ასევე ბევრი ეგვიპტური რიტუალური ქმედება.

ტეიე – (ეგვ. *Tij, Tjj*), ამონხეტეპ III-ის დედოფალი და ამონხეტეპ IV (ეხნატონის) დედა, წარმოშობით იპუდან (თანამედრ. ახმიმი), არასამეფო ოჯახიდან. მისი მამა იუია იყო ღვთაების მისანი მინის ტაძარში ახმიმში (Hayes, 1959, 260). გასაკვირია ფაქტი, რომ ამონხეტეპ III-მ მთავარ დედოფლად უბრალო წარმოშობის ქალი აირჩია. ეგვიპტური წარმოდგენით შეუძლებელი იყო ტეიეს, როგორც „ღვთაების მეუღლის", საკრალური ქორწინება ამონთან (Kees, 1980, 367). ამიტომ ითვლება, რომ ფარაონმა ქორწინებისთანავე შეგნებულად დაამზადებინა ე.წ. „ქორწინების სკარაბეოსები". მათი ტექსტი აცხადებს ფარაონის ქორწინებას ტეიეზე, წოდებების არმქონე იუიას და ტუიას შვილზე და იქვე დასძენს, რომ „ახლა ის დიდი მეფის მეუღლეა" (Hayes, 1959, 231). მგრამ, როგორც ამბობენ, მნიშვნელოვანია არა ის, თუ საიდან მოვიდა ტეიე, არამედ ის, თუ ვინ გახდა ის. შთაბეჭდილება რჩება, რომ ტეიემდე არც ერთ დედოფალს არ ეკავა ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი ფარაონის ცხოვრებაში, როგორც ტეიეს. მას ხშირად გამოსახავდნენ ღვთაებრივი ხატხორის რქებით და მზის დისკოთი. ის იყო პირველი დედოფალი, რომელიც სფინქსის სახით გამოსახეს. ეს ყველაფერი ხაზს უსვამდა, რომ ტეიე ფარაონის არა მარტო მინიერი, არამედ ღვთაებრივი პარტნიორიც იყო (O'Connor and Cline (editors), 1998, 6). ამონხეტეპ III-ს, რომელიც იშვიათად არის გამოსახული თავისი მეუღლის გარეშე, არა მარტო უყვარდა ტეიე, არამედ ენდობოდა კიდეც მას სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში. ამარნას არქივში აღმოჩენილი წერილებიდან ნათელი გახდა, რომ დედოფალი დეტალურად იყო გარკვეული ფარაონის საგარეო პოლიტიკაში და მის ურთიერთობებში მეზობელი ქვეყნების მმართველებთან, და წარმართავდა ქვეყნის პოლიტიკას ამონხეტეპის მეფობის ბოლო წლებში, როცა ფარაონი ძალიან დასნეულდა (Hayes, 1959, 259; Vernus and Yoyotte, 2003, 196). ტეიეს პატივსაცემად ამონხეტეპ III-მ გათხარა დიდი ტბა თებეში და ააგო ტაძარი ნუბიაში (სედეინგასთან), სადაც ტეიეს კულტი დანერგა. ტეიეს აქ ქმართან ერთად ეთაყვანებოდნენ(თვითონ ამონხეტეპ III-ის ტაძარი მეზობელ სოლებთან იყო), როგორც რეგიონის მფარველ ღვთაებებს (Hayes, 1959, 240). ნუბიაში დღემდე შემორჩა ტეიეს სახელი ტოპონიმში „ადეიე" (ეგვ. Hut Teye – „ტეიეს სახლი", Vernus and Yoyotte, 2003, 196). როგორც ჩანს, ტეიეს გავლენა თავის შვილზეც ჰქონდა. ეხნატონის ამარნაში გადასახლების შემდეგ ტეიე რჩება თებეში, რაც ალბათ მიუთითებს იმაზე, რომ იგი არ იზიარებდა თავისი შვილის რელიგიას, მაგრამ ენვია ამარნას ეხნა-

ტონის მეფობის მეთორმეტე წელს, როცა ეგვიპტის საგარეო და საშინაო მდგომარეობა უკვე შერყეული იყო. ძნელია წარმოდგენა, რომ ტეიეს ვიზიტი და საგრძნობი ცვლილებები ახეტატონში და ფარაონის ოჯახში მხოლოდ დამთხვევა იყო. მისი სტუმრობის შემდეგ ქრება ნეფერტიტი, რომელიც, სავარაუდოდ, მთავარი სასახლიდან ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში გადასახლდა. მას ჩამოერთვა სატახტო სახელი (ნეფერ-ნეფრუ-ატონი), რომელიც ეხნატონმა ამარნაში გადასვლის შემდეგ მიანიჭა, და ამ სახელით დააჯილდოვეს დღეს ჩვენთვის ბუნდოვანი ფიგურა სმენხკარა. შესაძლოა, სმენხკარა ეხნატონის თანამმართველი გახდა. ეხნატონის უფროსი ქალიშვილი მერიტატონი დაქორწინდა სმენხკარაზე და იტვირთა დედის, როგორც სასახლის მთავარი ქალბატონის ფუნქცია. ითვლება, რომ პრაგმატული ტეიე შეეცადა შეერბილებინა თავისი ფანატიკოსი შვილის პოლიტიკა (Wilson, 1957, 232).

ტეკენუ — ეგვიპტური დაკრძალვის რიტუალის ერთ-ერთი ყველაზე მისტიური და დღემდე ბუნდოვანი მონაწილე. ბალზამირების სახლში მუმიაზე ჩატარებული ლიტურგიის შემდეგ სამგლოვიარო პროცესია საფლავისაკენ მიემართებოდა. პროცესია მიჰყვებოდა სამ ციგას, რომლებზეც მიცვალებულის სარკოფაგი, კანოპები და ტეკენუ იყო მოთავსებული. ნახატებზე ტეკენუ გამოიყურება, როგორც მოხრილი მძინარე ადამიანი, რომელსაც ცხოველის ტყავი აქვს გადაფარებული. მას ხსნიან, როგორც არქაული დაკრძალვების (Hockerbestattung) რუდიმენტს, როცა მიცვალებულს მოხრილ მდგომარეობაში კრძალავდნენ. გარკვეული ცერემონიები უშუალოდ დაკრძალვის ნინ მოიცავდა რიტუალს, სახელად „ტეკენუს ძილი". მძინარე ტეკენუ გამოსახულია მოხრილი სკამზე ან პატარა ლოგინზე, მისი სხეული, თავის გარდა, ისევ ცხოველის ტყავით არის დაფარული (Willems, 1995, 110-111). ზოგიერთი მოსაზრებით, ისტორიულ დროში ტეკენუ წარმოადგენდა ჩალის და ლერწმისაგან გაკეთებულ ადამიანის ფიგურას, თავით ან უთავოდ. ხარებს, რომლებსაც მიცვალებულის სარკოფაგი და დასაკრძალი ინვენტარი მიჰქონდათ, ჩვეულებრივ სამარხთან კლავდნენ, და იმავდროულად ხდებოდა ტეკენუს ჩალის ფიგურის დანვა. ამ მოსაზრების თანახმად, ეს იყო ეგვიპტის ისტორიის უძველესი პერიოდის ჩვეულების გადმონაშთი, როცა მოხელეებს, ომის ტყვეებს და სხვა პირებს მსხვერპლად სწირავდნენ სამარხის წინ, რომ ისინი გარდაცვლილი მეფის თანმხლებნი საიქიოშიც

ყოფილიყვნენ. ტეკენუს გამოსახულებები რამესიდების პერიოდიდან ქრება (Assman, 2005, 310).

ტეტი – (ეგვ. *Tti*, დაახლ. ჩვ.წ.მდე 2323-2291), მეექვსე დინასტიის პირველი ფარაონი. არ არის ცნობილი, ჰქონდა თუ არა მას რაიმე ნათესაური კავშირი თავის წინამორბედებთან. შესაძლოა, მისი დედოფალი იპუტი V დინასტიის ბოლო ფარაონის, უნისის ქალიშვილია. ნებისმიერ შემთხვევაში, დინასტიური ცვლა მშვიდად მოხდა, რადგან ტეტის ვეზირმა კაგემნიმ თავისი კარიერა წინა დინასტიის ფარაონების, ჯედკარას და უნისის დროს დაიწყო (Malek in Shaw (ed.), 2003, 103). მისი დროისათვის უკვე ჩამოყლიბებულ არისტოკრატიულ ფენასთან ერთგვარი თანამშრომლობის მიზნით მან თავისი ქალიშვილი სეშეშეტი დააქორწინა თავის ვეზირზე მერერუკაზე, რომელიც შემდეგში ტეტის პირამიდის კომპლექსის მთავარი ქურუმი იყო და თავისი ბრწყინვალე, 33 ოთახისაგან შემდგარი მასტაბა ტეტის პირამიდის სიახლოვეს, ჩრდილოეთ საქქარაში ააგო. იგივე მომრიგებლურ პოლიტიკას უნდა ემსახურებოდეს აბიდოსში ნაპოვნი ტეტის დეკრეტის ტექსტი, რომელიც ტაძარს გადასახადებისაგან ათავისუფლებდა (Grimal, 2003, 81). ტეტი აგრძელებდა სავაჭრო ურთიერთობებს ბიბლოსთან, მაგრამ სინაიზე მისი წარწერა აღმოჩენილი არ არის (Helck, 1968, 71). მანეთონის ცნობით, ტეტი მოკლული იქნა თავისი მცველის მიერ (Manetho, 1960, 53). თუმცა თანადროული საბუთი ამის თაობაზე არ არსებობს, ტეტი შესაძლოა უზურპატორის, უსერკარას შეთქმულების მსხვერპლი გახდა (Kanavati, Conspiracies, p. 157), რადგან როგორც პალერმოს, ასევე აბიდოსის მეფეთა სიებში მისი და პეპი I-ის მეფობას შორის დასახელებულია უსერკარას ორწლიანი მეფობა (სახელი შემონახულია აბიდოსის სიაში). უსერკარას სახელის საოცარი მსგავსება V დინასტიის ფარაონების სახელებთან (ეგვ. *Wsrk3R<*, „ძლიერია რას კა“) ბადებს ეჭვს, რომ ის ახალი დინასტიის მოწინააღმდეგეების წარმომადგენელი იყო, ან, შესაძლოა, ეს იყო ხანმოკლე მეფობა დედოფალ იპუტის რეგენტობის დროს, სანამ ტეტის ვაჟიშვილი, მომავალი პეპი I პატარა იყო (Grimal, 2003, 81). ტეტი იყო მეორე ფარაონი (უნისის შემდეგ), რომელმაც თავისი პირამიდის კედლებზე პირამიდების ტექსტები მოათავსა.

ტეშნახტი – (ეგვ. *T3fnḫt*, ჩვ.წ.-მდე 724-717 წწ.), XXIV დინასტიის დამაარსებელი. შეშონკ V-ის მეფობის ოცდამეთექვსმეტე წელს

ტეფნახტი იყო „მას (ლიბიელების) დიდი ბელადი" და ჯარის მთავარსარდალი. მისი რეზიდენცია იყო საისში. შეშონკის ოცდამეთვრამეტე წელს მის წოდებებს ემატება „მთელი ქვეყნის დიდი ბელადი" და „დასავლეთის ნომების მმართველი". პიანხის სტელაზე ჩამოთვლილი პროვინციები, რომლებიც ტეფნახტს ექვემდებარებოდნენ, ადასტურებს, რომ მისი გავლენის ქვეშ იყო მთელი დასავლეთი დელტა ხმელთაშუა ზღვამდე და მემფისი, სადაც ის სემ-ქურუმიც იყო. ეს ტერიტორია ტეფნახტმა რეალურად თავის სამეფოდ გადააქცია და მისი გაფართოება დაიწყო. მან შეუტია ჰერაკლეოპოლისს და ჰერმოპოლისს. აბიდოსის, და შემდეგ თებეს დაპყრობაც უკვე რეალურად გამოიყურებოდა, რომ არაფერი ვთქვათ აღმოსავლეთ დელტაზე, სადაც ტანისში XXII დინასტიის ფარაონების მეფობა უკვე ნომინალურად გადაიქცა. მაგრამ ამ ცნობებმა მიაღწია პიანხიმდე, რომელსაც თებეს რაიონი ექვემდებარებოდა, და ის დაიძრა ეგვიპტისაკენ, რასაც მოჰყვა პიანხის მიერ ეგვიპტის სრული დაპყრობა და ტეფნახტის ჯარის და ფლოტის განადგურება. თვითონ ტეფნახტმა მოახერხა გაქცევა და პიანხის დანებების შესახებ აცნობა. მაგრამ პიანხი დაბრუნდა ნაპატაში ისე, რომ არ დატოვა თავისი ადმინისტრაცია, ის აშკარად არ აპირებდა ქვეყნის მართვას მემფისიდან და არც უკან დაბრუნებას. ძალაუფლების ვაკუუმი მაშინვე საგრძნობი გახდა დელტაში. ძველი, XXII (ტანისური) და XXIII (ლეონტოპოლისის) დინასტიების ნომინალურ ფარაონებს და ბელადებს, რომლებსაც ყველას აღმოსავლეთ დელტის თავისი მცირე ტერიტორია ექვემდებარებოდა, ბუნებრივად აჯობა ტეფნახტმა, მიიღო ფარაონის ოფიციალური ტიტულატურა და თავი ფარაონად გამოაცხადა. მის სამეფოში შედიოდა მთელი დასავლეთ დელტა მემფისიდან ჩრდილოეთით. მაგრამ მას არ ჰქონია მცდელობა, შებრძოლებოდა ოსორკონ IV-ს (XXII დინასტიის ბოლო ფარაონი) ან იუპუტ II-ს (XXIII დინასტიის ბოლო ან ბოლოს წინა ფარაონი). სავარაუდოდ, ნუბიიდან ახალი შემოტევის შიშით, მას არც სამხრეთისაკენ დაძვრა უცდია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გვიანდელი ტრადიცია (Manetho, 1960, 65) XXIV დინასტიის ერთადერთ ფარაონად მის მემკვიდრეს, ბოკენრანეფს (ჩვ.ნ.-მდე 720-715) ასახელებს. როგორც ჩანს, ტეფნახტი, რომელიც რეალურად მართავდა მემფისიდან, მაინც არ იყო ოფიციალურად აღიარებული. მისი მემკვიდრის, ბოკენრანეფის მეფობაზე ეგვიპტური წყაროებიდან პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. მანეთონის ცნობით, ის დაატყვევა და ცოცხლად დაწვა შაბაკამ (Manetho, 169). დღეს ძნელი სათქმელია, თუ

რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს, მაგრამ ეგვიპტური წყაროებიდან ის ქრება მეფობის მეექვსე წელს და როგორც მთელი ეგვიპტის მეფე, ჩნდება შაბაკა, პიანხის ძმა, რომელიც ერთი წლით ადრე თავისი უფროსი ძმის, პიანხის გარდაცვალების შემდეგ ავიდა ტახტზე (Kitchen, 1973, §§324, 332, 337).

ტეფნუტი – (ეგვ. *Tfn.t*, Wb V, 299), ჰელიოპოლისის კოსმოგონიის (ენეადის) წევრი, ქალღმერთი, რომელიც შექმნა ატუმმა შუსთან ერთად, როგორც ღმერთების პირველი წყვილი. ტეფნუტი იყო სისველის განსახიერება. მისი სახელი დაკავშირებულია სიტყვასთან „*tf*", რაც „ფურთხს", „გადმოფურთხებას" ნიშნავს (*იქვე*, 297). პირამიდების ტექსტების ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ატუმმა, რომელმაც თავისი ენეადის შექმნა მარტომ დაიწყო, ღმერთების პირველი წყვილი სწორედ გადმოფურთხებით შექმნა: „შენ გადმოაფურთხე შუ, გადმოაფურთხე ტეფნუტი, შემოახვიე მათ შენი ხელები, როგორც კა, რომ შენი კა მათშიც ყოფილიყო" (PT 600, 1652a-1653b). შუსთან ერთად ტეფნუტს უჭირავს ზეცა და აცალკევებს მას ხმელეთისაგან (PT 288, 990, 1405, 1443). ძალიან ადრე მოხდა შუს და ტეფნუტის იდენტიფიცირება ლეონტოპოლისში გაღმერთებულ ლომის სახის ღმერთების წყვილთან (*R w:tj*, Wb II, 403). პირამიდების ტექსტებში მოხსენიებულია ატუმი და მისი „ლომების წყვილი", რომლებიც არიან შუ და ტეფნუტი" (PT 447). ლომის თავით არის გამოსახული ტეფნუტი მაშინაც, როცა ის, როგორც რას (რა-ატუმის) ქალიშვილი, რას თვალთან არის გაიგივებული. როგორც რას თვალთან, ტეფნუტთან დაკავშირებულია მითი, რომლის თანახმად ის ბრაზდება თავის მამაზე და ლიბიაში გარბის, მაგრამ რა, რომელსაც ენატრება ქალიშვილი, მის დასაბრუნებლად აგზავნის ბრძენ თოტს, რომელმაც, რასაკვირველია, მოახერხა გამძვინვარებული ქალღმერთის დაბრუნება. ერთ-ერთ გამოვლინებაში ტეფნუტი გველის სახესაც იღებს. გველის სახიანი ტეფნუტი სამეფო სკიპტრის დამცველი იყო. იყო ასევე დილის სუფთა ნამის განსახიერება (Hart, 2005, 156).

ტეფნუტი

ტინისი – (იგივე ტისი, ეგვ. *Ṯn*, Wb V 372), პირველი ორი დინასტიის ფარაონების მშობლიური ქალაქი და ისტორიულ ეგვიპტეში მერვე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი (Montet, 1961, 100). ამ უმნიშვნელოვანესი ქალაქის ადგილმდებარეობა დადგენილი არ არის. სავარაუდოდ, მის ადგილზე დღეს თანამედროვე ქალაქი გირგა მდებარეობს (Wilkinson, 2001, 67).

ტრიადა — ეგვიპტეში ძალიან გავრცელებული იყო ღმერთების „ოჯახებად" დაჯგუფება. ეს ოჯახი ჩვეულებრივ რომელიმე დიდი ღვთაების, მისი ღვთაებრივი მეუღლის და მათი ვაჟიშვილისაგან შედგებოდა. ასეთი იყო მაგ. დიდი ამონის, მუტის და ხონსუსაგან შემდგარი თებეს ტრიადა.

ტურა — ტურის სახე ჰქონდათ გარდაცვლილთა კულტის ღვთაებებს — ხენტი-იმენტიუს, ანუბისს და ნაკლებად პოპულარულ ღვთაებას — უპიუს („გამხსნელს"), რომელსაც ჰელიოპოლისში ეთაყვანებოდნენ, როგორც „გარდაცვლილის სხეულის გამხსნელს". გარდაცვლილთა ღვთაებების ტურა ჩვეულებრივ მუცელზე მჯდომი გამოისახებოდა. მათგან განსხვავებით, დამდგარი გამოისახებოდა ომის ღმერთების — უპუატის და სედის ტურები. უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნები უპუატს, როგორც მგლის, ანუბისს კი როგორც ძაღლის ღვთაებას აღნერდნენ (Hopfner, 1913, 47). ტურის თავებით გამოისახებოდნენ ასევე ჰიერაკონპოლისის სულები და ხორის შვილი დუამუტეფი. გარდაცვლილთა სამყაროში ტურები მზის ბარკას მიაცურებდნენ.

ტუტანხამონი — (ეგვ. *Twt ʿnḫ Ꜥmn,* „ამონის ცოცხალი სახე", დაახლ. ჩვ. წ.-მდე 1333-1323). XVIII დინ. ფარაონი. ტახტზე ავიდა სმენხკარას გარდაცვალების შემდეგ, როგორც ტუტანხატონი. ამ დროისათვის ცხრა ან ათი წლის იყო. მისი წარმომავლობა უცნობია. შესაძლოა, იყო ეხნატონის შვილი მეორე რიგის ცოლის, კიიასაგან. დაქორწინებული იყო ეხნატონის მესამე ქალიშვილზე, ანხესენპაატონზე. ნეფერტიტის მთავარი სასახლიდან განდევნის შემდეგ ტუტანხამონი და ანხესენპაატონი, როგორც ჩანს, ცხოვრობდნენ ნეფერტიტისთან ერთად ჩრდილოეთ სასახლეში, რადგან სწორედ აქ არის ნაპოვნი მათი სახელები (Wilson, 1957, 232). ახალგაზრდა ფარაონის დროს მმართველობის სადავეები ეპყრათ ეხნატონის გენერალს, ხორემხებს და „ღვთაების მამას" — აის (Helck, 1968, 176), რომელიც, შესაძლოა, ნეფერტიტის მამა იყო (Hayes, 1959, 298). გამეფებიდან დაახლ. სამი წლის განმავლობაში ტუტანხამონი აგრძელებს ახეტატონში ცხოვრებას, შემდეგ გადადის თებეში, რასაც ძველი ეგვიპტური რელიგიის სრული რესტავრაცია მოჰყვა. ტუტანხატონი (ეგვ (ეგვ. *Twt ʿnḫ Ꜥtn,* „ატონის ცოცხალი სახე") და მისი მეუღლე ანხესენპაატონი (ეგვ.*ʿnḫ.s.n pꜣ Ꜥtn,* „ცოცხლობს ატონისათვის") იცვლიან სახელებს და ტუტანხამონი და ან-

ხესენპაამონი ხდებიან (Hayes, 1959, 298). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი ე.წ. „რესტავრაციის სტელა", საიდანაც ვიგებთ, რომ „ქვეყანა დაავადებული იყო, ტაძრები დაცარიელდა... თუ ვინმე ილოცებდა ღმერთზე და რჩევას სთხოვდა მას, ღმერთი არ პასუხობდა... მისი უდიდებულესობა გულით ეძებდა გზებს, რომ ემსახურა თავისი მამის, ამონისათვის... დაამზადა მისი ოქროს ქანდაკება..." ტუტანხამონი ასევე გვამცნობს, რომ ტაძრებს დაუბრუნდათ და გაუორმაგდათ ქონება, მათი მომსახურე პერსონალი გაიზარდა ფარაონის ხაზინის ხარჯზე, მისნებად და ქურუმებად კი დაინიშნნენ ძველი ოჯახების წარმომადგენლები, „რომელთა მამების სახელები ყველამ იცოდა". ამით ტუტანხამონმა „აღადგინა მაატი (სამართალი)" (Wilson, 1957, 216, 233). მიუხედავად ასეთი მცდელობისა ძველი რელიგიის აღდგენის საქმეში, ის, როგორც ჩანს, მაინც „ერეტიკოსად" შეირაცხა, რადგან არ იყო შეტანილი არც ერთ მეფეთა სიაში. მის მოსახსენიებელ ტაძარში მსახურობა მალე შეწყდა და ტუტანხამონი დავიწყებას მიეცა (Hayes, 1959, 302). მიუხედავად ამისა, ტუტანხამონი, ან, როგორც მას ეძახიან, „ფარაონი-ბავშვი" ეგვიპტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფარაონი გახდა მას შემდეგ, რაც 1922 წ. ინგლისელმა არქეოლოგმა ჰ.კარტერმა აღმოაჩინა მისი სამარხი, დღეისათვის პრაქტიკულად ერთადერთი ეგვიპტური სამარხი, რომელიც გაუძარცვავი აღმოჩნდა. ეს აღმოჩენა, სამარხში ნაპოვნი განძის გამო, XX საუკუნის ერთ-ერთი სენსაცია გახდა (Картер, 1959). ფარაონის გარდაცვალების შემდეგ მისი ახალგაზრდა მეუღლე შეეცადა ტახტის შენარჩუნებას და დინასტიის გაგრძელებას ხეთების უფლისწულზე ქორნინების გზით. იმ დროისათვის ეს იმდენად უჩვეულო შემთხვევა იყო, რომ მოლაპარაკებები ხეთების მეფესთან, სუფილულიუმასთან, რომელიც, როგორც ჩანს, ყოყმანობდა, ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. საბოლოოდ მეფემ მისცა თავისი თანხმობა, მაგრამ ხეთების უფლისწული, ზანანზა, ეგვიპტის გზაზე, სირიაში შეთქმულების მსხვერპლი გახდა. სუფილულიუმა შურისძიების მიზნით შეიჭრა ირეში (დამასკოს სიახლოვეს), მაგრამ ის და შემდეგ მისი მემკვიდრე არნუვანდა შავი ჭირის ეპიდემიამ შეინირა, და ბრძოლები ირეში შეწყდა (Helck, 1968, 176). ანხესენპაატონი დაქორწინდა ხანდაზმულ აიზე, რომელიც ავიდა ტახტზე, როგორც მეთვრამეტე დინასტიის მეცამეტე ფარაონი, მაგრამ დაახლ. მესამე წელს აი გარდაიცვალა, და ამის შემდეგ ანხესენპაამონზეც არაფერია ცნობილი (Hayes, 1959, 308).

უასეტი, როგორც ქალღმერთი და ნომის ემბლემა

უასეტი — (ეგვ. *wꜣs.t,*), ბუმბულებით დამშვენებული კვერთხი, რომელიც თებეს ნომის (მეოთხე ზემოეგვიპტური ნომის) ნიშანი იყო. იგივე სახელი ერქვა ნომს (Montet, 1961, 55) და მოგვიანებით თებეს (შუა სამეფოს დროიდან, Wb I, 259). ძველი სამეფოს დროს უასეტი ღმერთად იყო წარმოდგენილი. მოგვიანებით, მდედრობითი დაბოლოების გამო, (-t სუფიქსი ეგვიპტურ ენაში მდედრობითი სქესის ნიშანია), მას ქალღმერთის სახით ეთაყვანებოდნენ. მისი ატრიბუტები, უასეტის კვერთხის გარდა, იყო მშვილდი, ისრები და კომბალი, რაც თებელი ფარაონების მებრძოლ ბუნებას შეესაბამებოდა. საკულტო მსახურებაში უასეტივით მორთული ქურუმი ქალი მეფესთან დაკავშირებულ რიტუალებში იღებდა მონაწილეობას (Bonnet, 1952, 839).

უას-სკიპტრა

უას-სკიპტრა — (ეგვ. *wꜣs,* Wb I, 259), ეკავათ ღმერთებს, უფრო ძველ დროში კი ქალღმერთებსაც. მისი ტარის თავზე გამოკვეთილი იყო ძაღლისებრი ოჯახის ცხოველის (შესაძლოა მელიის) თავი, ბოლო კი ორკაპით მთავრდებოდა. თებეს ნომის და ქალაქ თებეს ნიშანი ბუმბულებით და ლენტებით მორთული უას-სკიპტრა იყო. წინადინასტიურ პერიოდში ფეტიშის სახით ეთაყვანებოდნენ. ისტორიულ ეგვიპტეში მკურნალი ძალების მატარებლად და გადამცემად იყო წარმოადგენილი. ითვლებოდა ასევე, რომ ის მეფეს „დაალოცავდა" ღმერთების ძალას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას, კეთილდღეობას. სიცოცხლის ნიშანთან ერთად, ყველაზე პოპულარული რელიგიური სიმბოლო იყო. დაკავშირებული იყო ზეცის სიმბოლიკასთანაც ხშირად ზეცის გამოსახულებას ორივე მხრიდან უას-სკიპტრა ამშვენებდა (Bonnet, 1952, 840). პირამიდების ტექსტებში „ზეცის სკიპტრად" არის წარმოდგენილი (PT. 339, 348, 360).

უაჯეტი — (ეგვ. *Wꜣḏ.t,* Wb I, 268), უძველესი ქვემო ეგვიპტური ქალღმერთი. ეთაყვანებოდნენ კობრას (ურეუსის გველის) სახით. იყო წინადინასტიური ჩრდილოეთ ეგვიპტური სამეფოს

უაჯეტი პაპირუსის მცენარეზე. პაპირუსი ქვემო ეგვიპტის სიმბოლო იყო.

და მისი დედაქალაქის, ბუტოს (ეგვ. „პე", P, Wb I, 489) მფარველი. ბუტოს „უაჯეტის სახლსაც" (ეგვ. *Pr Wꜣḏ.t,* Wb I, 268) ეძახდნენ. ეგვიპტურად „'უაჯეტი" ასევე ნიშნავს პაპირუსს (Wb I, 263), „მწვანეს" (Wb I, 264) „ქვემო ეგვიპტის გვირგვინს" (Wb I, 268), ასე რომ ქალღმერთის სახელი იყო „მწვანე, პაპირუსის ფერისა". პაპირუსი ჩრდილოეთ ეგვიპტური სამეფოს, ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ კი ქვეყნის ჩრდილოეთი ნაწილის სიმბოლო იყო. სახელმწიფოსთან და მეფესთან ასოცირებული ქალღმერთის მნიშვნელობა უაჯეტმა ქვეყნის გაერთიანების შემდეგაც შეინარჩუნა (PT 298, 1287). სამხრეთ ეგვიპტის მფარველთან, ნეხბეტთან ერთად, დაიმკვიდრა ადგილი სამეფო ტიტულატურაში („ორი ქალღმერთის" ელემენტში) და სამეფო გვირგვინზე.

უნეგი – (ეგვ. *Wng.* Wb I, 325), ღვთაება მცენარის სახით. იყო რას თანმხლები და ვაჟიშვილი და ენაცვლებოდა შუს ზეცის დაჭერაში (PT 607d, 952). არსებობს აზრი, რომ ეს თავდაპირველად დამოუკიდებელი ლოტოსის ყვავილის სახის ღვთაება შუს გამოვლინება გახდა (Kees, 1980, 252).

უნისი – (ეგვ. *Wnis,* დაახლ. ჩ.ნ.-მდე 2356-2323 წწ.), V დინასტიის ბოლო ფარაონი. მისი ნათესაური კავშირი წინა ფარაონებთან დადასტურებული არ არის. მანეთონის და ტურინის მეფეთა ცხრილის თანახმად, იმეფა 30 წელიწადს, რასაც იზიარებენ თანამედროვე მეცნიერები. პირამიდა ააგო ჩრდილოეთ საქქარაში. მისი პირამიდის კედლებზე, უკვე ტრადიციულად ქცეული რიტუალების გარდა, მოთავსებულია ისტორიული ხასიათის სცენები, როგორიცაა სვეტების აღმართვა მოსახსენიებელ ტაძარში, ექსპედიცია აზიაში (სავარაუდოდ ბიბლოსში) და ბრძოლები ბედუინებთან აღმოსავლეთ დელტაში. განსაკუთრებით საინტერესოა ჩონჩხისებურად გამხდარი ადამიანების გამოსახულებები, რაც არ არის ტიპიური ეგვიპტისათვის და ინვევს ეჭვს, რომ მის დროს ქვეყანაში შიმშილის პერიოდი იყო (Helck, 1968, 69). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უნისი არის პირველი ფარაონი, რომელმაც თავისი პირამიდის კედლებზე მოათავსა ლოცვების, შელოცვების, ჰიმნების უზარმაზარი კრებული, რომელიც შემდგომში აუცილებელი გახდა საიქიო სამყაროში გამგზავრების და იქ არსებობის გაგრძელებისათვის, და დღეს პირამიდების ტექსტების სახელით არის ცნობილი.

უნუტი – (ეგვ. *Wnw.t,* Wb I, 317), მეთხუთმეტე ზემოეგვიპტური ნომის ქალღმერთი კურდღლის სახით, რომელიც ნომის ნიშანიც იყო (Montet, 1961, 146). მას ეთაყვანებოდნენ, როგორც „უნუტს, უნუს (ჰერმოპოლისის), ქალბატონს (Sethe, 1976, § 69). კურდღელი ბოლომდე დარჩა ამ ნომის ნიშანი, თუმცა თავად უნუტი ძალიან ადრე შეერწყა ლომისსახიან ქალღმერთებს, ლომის სახე მიიღო და კურდღლისყურებიანი ლომის სახით გამოისახებოდა (Bonnet, 1952, 842). დროთა განმავლობაში, სხვა ლომის სახის ქალღმერთების მსგავსად, უნუტი ურეუსთან გაიგივდა და „ურეუსის ქალღმერთი" გახდა.

უპესი – (ეგვ. *Wpš.t,* Wb I, 305), ანთროპომორფული სახის ქალღმერთი, თავზე ურეუსის გველით. ეძახდნენ „ცეცხლის ქალბატონს ბიგეზე". იყო ტეფნუტის ერთ-ერთი სახე. გვხვდება გვიანდელი დროის ტაძრებში, განსაკუთრებით ფილეზე და ჩრდილოეთ ნუბიაში.

უპუატი – (ეგვ. *Wpwȝw.t,* ბერძნ. Ophois, „გზების გამხსნელი", Wb I, 304), უძველესი და ურთულესი მებრძოლი ღვთაება შავი ტურის ან მგლის სახით. ბერძნები უპუატის ქალაქს – ასიუტს ლიკოპოლისს, „მგლის ქალაქს" ეძახდნენ. თვითონ ეგვიპტელები უპუატს მოიხსენიებდნენ, როგორც „ზემო ეგვიპტის ტურას" (ეგვ. *sbȝ šmʿj,* Wb III, 420). შესაძლოა ეს განსხვავება იმით არის გამოწვეული, რომ ეგვიპტური ძაღლისებრი ღმერთები არქაულ, ერთმანეთისაგან ძნელად განსასხვავებელ ჯიშებს წარმოადგენდნენ (Kees, 1980, 27), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მგელი არ იყო ეგვიპტის ბუნებრივი ბინადარი. ცხოველის სახეს სადავოს ისიც ხდის, რომ იშვიათად უპუატი თეთრი ან ეერცხლისფერი თავით გამოისახებოდა (Rice, 2006, 159). განსხვავებით სხვა ძაღლისებრი სახის ღმერთებისაგან, რომლებიც დამჯდარს გამოისახებოდნენ, უპუატი იდგა შტანდარტზე. შტანდარტს თან ახლდა მშვილდი და კომბალი. ამიტომ ითვლება, რომ უპუატმა თავისი სახელი თავდაპირველად მიიღო, როგორც მებრძოლმა ღმერთმა, რომელიც ნინ მიუძღოდა ფარაონს ბრძოლის დროს (Bonnet, 1952, 842). XIII ნომი, სადაც უპუატი მფარველი ღვთაება იყო, ეგვიპტის შუაგულში მდებარეობდა და მას უკვე ეგვიპტის გაერთიანების დროს ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა (Kees, 1980, 28). ნარმერის პალეტზე ფარაონი უპუატის შტანდარტის ქვეშ ათვალიერებს დამარცხებულ მტრებს. უპუატის შტანდარტი მიუძღვის I დინასტიის ფარაონს, დენს სპილოს

ძვლის ფირფიტაზე, რომელიც გვამცნობს „აღმოსავლეთის პირველი დამარცხების" შესახებ. უპუატის მფარველობის ქვეშ ჩატარდა დენის ხებსედიც. პროცესიების დროს უპუატის შტანდარტი ყოველთვის წინ უძღოდა ფარაონს. შტანდარტზე უპუატის წინ გამოისახებოდა კობრა (ურეუსი) და მრგვალი საგანი, რომელიც პირამიდების ტექსტებში მოხსენიებულია, როგორც „შედშედი" (*šdšd,* PT 539) — „ფარაონის პლაცენტა". უპუატი ხშირად მოიხსენიებოდა, როგორც ფარაონის „უფროსი ტყუპისცალი", რომელიც პირველი იბადება და გზას უხსნის ფარაონს საშოში. ასევე ითვლებოდა, რომ ფარაონი გარდაცვალების შემდეგ ღმერთების სამყოფელში უპუატის შტანდარტზე ამხედრებული მიემართებოდა. უპუატის ეჩო გამოიყენებოდა ფარაონის „პირის გაღების" რიტუალის დროს, რომლის დანიშნულებაც ფარაონის ფიზიკური ძალების აღდგენა იყო (Rice, 2006, 161-163). უპუატს მიმართავდნენ ასევე, როგორც „ღმერთების წინამძღოლს", დღესასწაულების დროს უპუატის შტანდარტი წინ უძღოდა სხვა ღმერთების შტანდარტებს (Bonnet, 1952, 843). უპუატის ნიშანი გამოიყენებოდა წინადინასტიური მეფეების, „ხორის მსახურების" დეტერმინატივად (PT 921, 1245). რაღაც პერიოდში, როგორც ჩანს, ორივე ღმერთის ძაღლისებრი სახის გამო, მოხდა უპუატის დაახლოება ანუბისთან, რის შემდეგ უპუატმა მიცვალებულების ღვთაების თვისებებიც შეიძინა და აბიდოსის „ნეკროპოლისის ბატონი" გახდა (Bonnet, 1952, 844). როგორც მიცვალებულების ღმერთს, „გზის გამხსნელის" თვისების გამო მიეწერებოდა მიცვალებულთა წინამძღოლის ფუნქცია გარდაცვლილთა ქვეყანაში (Rice, 2006, 160).

ᲣᲠᲔᲢ-ᲮᲔᲙᲐᲣ — (ეგვ. *Wr.t ḥkꜣw,* „დიადი მაგიით", ერქვა ეგვიპტის ფარაონის გაერთიანებულ (ზემო და ქვემო ეგვიპტის) გვირგვინს (Wb I, 328). პერსონიფიცირებული იყო კორონაციის ქალღმერთში. ითვლებოდა, რომ მეფედ კურთხევის დროს ის ფარაონის გვერდით იდგა.

ᲣᲠᲔᲣᲡᲘ — ითვლება, რომ სიტყვა „ურეუსი" წარმოიშვა ეგვ. სიტყვებიდან „*ỉr.t*", „გველი", „წმინდა გველი", „გველი მეფის შუბლზე" (Wb I 42) და „*ỉꜣr.t*", „გველი რას შუბლზე" (Wb I, 32). ურეუსი იყო ოქროს გველი შეტევაზე გადმოსული კობრას სახით, წინადინასტიური ქალღმერთი უაჯეტი. უძველესი დროიდან შუბლზე ატარებდნენ ღმერთები და ფარაონი. ითვლებოდა, რომ ურეუსს თავისი ცეცხლოვანი სუნთქვით მათი მტრები

უნდა გაეცამტვერებინა. ურეუსს ატარებდნენ შიშველ შუბლზე, სამეფო გვირგვინის ატრიბუტი მხოლოდ შუა სამეფოს დროიდან გახდა. როცა მეფეს ურეუსის დიადემა ჰქონდა გაკეთებული, მას წინ მოუძღოდა ქურუმი, რომელიც კობრას, „დასამშვიდებლად", საკმეველს უკმევდა (Kees, 1980, 53). ეგვიპტის დუალისტური ბუნების გამო ურეუსიც გაორდა – პირამიდების ტექსტებში მეფეზე ნათქვამია, რომ მას მიეცა ორივე თვალი, როგორც ორივე ურეუსი (PT1287).

ᲣᲡᲔᲠᲙᲐᲠᲐ – (ეგვ. *Wśr-kȝ-Rᶜ*, „ძლიერია რას კა"დაახლ. ჩვ.წ.მდე XXIIIს.), VI დინასტიის მეორე ფარაონი. დღეს ბევრი თანამედროვე მეფეთა ცხრილი მას საერთოდ არ მოიხსენიებს, მაგრამ მისი სახელი დაფიქსირებულია აბიდოსის მეფეთა სიაში დინასტიის პირველი და მესამე ფარაონების, ტეტის და პეპი I-ს შორის. ტურინის მეფეთა სიაში იგივე ადგილას ცარიელი კარტუშია. რადგან არსებული ცნობების თანახმად ტეტი შეთქმულების მსხვერპლი გახდა, უსეკარა მიჩნეულია უზურპატორად, რომელიც ამ შეთქმულების უკან იდგა, მაგრამ ტეტის შვილმა, პეპი I-მა მოახერხა ტახტის დაბრუნება. შესაძლოა, იმეფა 3 წელიწადს. მისი სამარხი ნაპოვნი არ არის.

ᲣᲡᲔᲠᲙᲐᲤᲘ – (ეგვ.*Wśr-kȝ.f*, „ძლევამოსილია მისი კა", დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2465-2458 წწ.), V დინასტიის პირველი ფარაონი. ტურინის პაპირუსის თანახმად, იმეფა შვიდ წელიწადს, რაც უფრო დასტურდება ისტორიულად, ვიდრე მანეთონის მიერ დასახელებული ოცდარვა წელი (Manetho, 1960, 51). მისი მეფობის შესახებ არაფერია ცნობილი, არ არის ნათელი ასევე მისი კავშირი წინა დინასტიასთან, თუმცა თვალში საცემია, რომ მისი სახელი შედგენილია იგივე პრინციპით, როგორც შეპსესკაფის და თითქმის იგივე შინაარსისაა. უცნობია დინასტიის სამშობლოც და შეცვლის მიზეზიც. ვარაუდები ჰელიოპოლისური წარმოშობის შესახებ დამყარებულია იმ ფაქტზე, რომ დინასტიასთან არის დაკავშირებული რას კულტის საოცარი აღზევება, მაგრამ დღეს რეალურად არც ის არის ნათელი, არსებობდა თუ არა რას კულტი ჰელიოპოლისში V დინასტიამდე. მაგრამ ბევრი გადაუჭრელი პრობლემის მიუხედავად, აშკარაა, რომ V დინასტიიდან საბოლოოდ დასრულდა ზეღვთაება-ფარაონის რას შვილად, და შესაბამისად, მეორე თაობის ღვთაებად გარდასახვა. თუ აქამდე მხოლოდ უფლისწულები იყვნენ ფარაონთან დაახლოებული პირები, V დინასტიიდან სულ უფრო ხშირი ხდება უბრალო

წარმოშობის ეგვიპტელების გამოჩენა მაღალ თანამდებობებზე (Helck, 1968, 62). თვითონ ეგვიპტელები ზღაპარში, რომელიც შუა სამეფოს დროს შექმნილად არის მიჩნეული, V დინასტიის წარმოშობას ქვეყნის ახალ უზენაეს ღვთაებას, რას უკავშირებდნენ. ბრძენი-წინასწარმეტყველი აუწყებს ფარაონ ხეოფსს, რომ სახბუში (სავარაუდოდ მდებარეობდა ზატ ელ-კომთან, აბუ როაშიდან 10 კმ. ჩრდილოეთით, სადაც ნილოსი დამიეტის და როზეტას ტოტებად იყოფა) რას ქურუმის მეუღლე ფეხმძიმედ არის დიდი რასაგან, სამ ტყუპისცალს გააჩენს და ისინი ეგვიპტის მეფეები იქნებიან (ხვედელიძე, 2004). აშკარაა, რომ ზღაპრის მიზანს დინასტიის „ღვთაებრივი" წარმოშობის დასაბუთება წარმოადგენს. ნიშანდობლივია ისიც, რომ V დინასტიის შვიდიდან პირველმა ექვსმა ფარაონმა რას განსაკუთრებული ტაძრები აუგო – ტრადიცია, რომელიც ეგვიპტეში აღარ გამეორებულა, და ამის პარალელურად პირამიდები ერთბაშად იკლებს ზომაში. ამიტომ ითვლება, რომ მზის ტაძრებმა ერთგვარად პირამიდების ადგილი დაიკავა (Helck, 1968, 63) მნიშვნელოვანია ასევე დედოფლების ჯერ კიდევ გადაუჭრელი პრობლემა. თუ გიზეს და აბუსირის სამარხების მფლობელი ერთი და იგივე პიროვნება (ხენტკაუსი) იყო, მაშინ ზოგიერთი ვარაუდით ის უსერკაფის მომდევნო ფარაონების, სახურას და ნეფერირკარა-კაკაის დედაა (Malek in Shaw (ed), 100). არსებობს ვარაუდი, რომ უსერკაფი მეფის ასულის, ნეფერჰეტეპესის შვილია, და მაშინ ის ჯედეფრას შვილიშვილი, და შესაბამისად, IV დინასტიის უმცროსი შტოს შთამომავალია. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი ნეფერჰეტეპესის მეუღლე. ზოგიერთის ვარაუდით, ის შესაძლოა იყო ზღაპარში მოხსენიებული „რას ქურუმი სახბუში". ამ ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ უსერკაფმა თავისი მზის ტაძარი აბუსირში ააგო, რომელიც ძალიან ახლოს იყო სახბუსთან (Grimal, 2003, 75). თავისი ძალიან მოკრძალებული ზომის პირამიდისათვის (სიმაღლე – 49 მ., კედლის სიგრძე – 73 მ.) მან ადგილი შეარჩია ჩრდილოეთ საქქარაში, ჯოსერის პირამიდის სიახლოვეს. მისი მეფობის დროს დაფიქსირებულია ეგვიპტის პირველი კონტაქტი ეგეოსის სამყაროსთან, რადგან ქვის ჭურჭელი მისი მოსახსენიებელი ტაძრიდან ნაპოვნია კუნძულ კითერაზე (*იქვე*, 76).

უტო – *იხ. უაჯეტი*

უშებტი – (ასევე შევაბტი, ეგვ. *wšb.tj*, „პასუხის გამცემი", Wb I, 373), პატარა, ძირითადად მუმიის ფორმის ფიგურები, რომ-

უშებტის ტიპური ფიგურა

ლებსაც მიცვალებულს სამარხში ატანდნენ. ისინი შეიძლება ყოფილიყო თიხის, ხის, ქაშანურის ან ქვის. უშებტი ჩნდება შუა სამეფოდან, XVIII დინასტიიდან კი მათი რიცხვი ძალიან იზრდება. უშებტის დანიშნულებას ვიგებთ ტექსტიდან, რომელსაც მათ სხეულზე წერდნენ და რომელიც მკვდართა წიგნშიც (VI თავი) გვხვდება: „შენ, უშებტი, როცა მე დამიძახებენ, რომ შევასრულო სამუშაო, რომელიც იმქვეყნიურ სამყაროში სრულდება....შენ მაშინ თქვი: აქა ვარ". ე. ი. უშებტის უნდა შეესრულებინა სამუშაო, რომელსაც გარდაცვლილს იმქვეყნიურ სამყაროში დაავალებდნენ. ამიტომ უშებტის თან ატანდნენ შრომის იარაღს, მოგვიანებით კი ზედ ახატავდნენ. სამარხში უშებტის ათავსებდნენ იგივე ადგილას, სადაც ძველი და შუა სამეფოს დროს მსახურების ფიგურები იყო, მაგრამ ამ ორი ტიპის ფიგურების არსება ძირეულად განსხვავდება: მსახურების ფიგურებს თვით გარდაცვლილის მომსახურება „ევალებოდათ", უშებტის კი იმ სამუშაოს შესრულება, რომელსაც გარდაცვლილს „დაავალებდნენ". უშებტის ფიგურები ჩვეულებრივ სპეციალურ ყუთში თავსდებოდა. ასეთი ყუთები, რომლებიც ხელშეუხებლად იქნა ნაპოვნი, გვამცნობს, რომ მათი იდეალური რიცხვი იყო 401. 365 ფიგურა განკუთვნილი იყო წლის დღეებისათვის, და მათ „ჰყავდათ" 36 ზედამხედველი, ათდღიანი პერიოდისათვის (ეგვიპტური თვე სამ ათდღიან „კვირად" იყო დაყოფილი), როგორც ეს „ამქვეყნიურ" ეგვიპტეში იყო მიღებული (Assmann, 2005, 110).

უჯატ-თვალი

უჯატ-თვალი — შეიძლება ყოფილიყო როგორც რას, ისე ხორის თვალი, რომელიც სეტხმა დააზიანა და თოტმა ისევ მოარჩინა, ასე რომ მას შეიძლებოდა, ჰქონოდა როგორც ხორის „მორჩენილი თვალის" მომარჩენელი ძალა, ასევე მზის თვალთან ასოცირებული ცეცხლოვანი ქალღმერთის დამცავი ძალა. იყო ეგვიპტელების უსაყვარლესი ამულეტი, და რიტუალურად სწირავდნენ ღვთაებებს (Pinch, 1994, 110).

უხი

უხი — (ეგვ. *Wḫ*, Wb I, 352), ფეტიში, მისი სამშობლო იყო კუსა. ეთაყვანებოდნენ ორი ბუმბულით მორთული პაპირუსის ღეროს სახით. ხატხორის კულტში სისტრუმის მსგავსი სიმბოლო იყო. კუსაში უხი ინკორპორირებული იყო ხარში, რომელიც ხატხორის ძროხის მეწყვილედ ითვლებოდა. ედფუში ლომის სახის, დანებით შეიარაღებულ დემონად გამოისახებოდა (Bonnet, 1952, 841).

ფაიუმი – ყველაზე დიდი ეგვიპტის ოაზისებს შორის. საჰარის სხვა ოაზისებისაგან განსხვავებით, ფაიუმის ოაზისი დაკავშირებულია ნილოსის დაბლობთან მდინარის განშტოებით, რომელსაც კოპტებმა „იოსების მდინარე" დაარქვეს, დღეს კი ბაჰრ იუსუფი ჰქვია. ოაზისის ცენტრში მდებარეობს დიდი ტბა ბირკეტ ქარუნი. ანტიკური ავტორები მას მოერისს ეძახდნენ, ეგვიპტელები კი უბრალოდ „ტბას" (*ỉ3ḫ,* Wb V, 226) ან „ზღვას" (*p3jm,* Коростовцев, 1976, 103). ოაზისის თანამედროვე სახელი სნორედ აქედან მომდინარეობს. ოაზისი ერთ-ერთია ეგვიპტის იმ ტერიტორიებს შორის, სადაც უძველესი დასახლებებია აღმოჩენილი. დაახლ. ნაქადა II-ის პერიოდის ფენებში აღმოჩენილი როგორც მაადის, ასევე ნაქადას ტიპის ჭურჭელი საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ სწორედ აქ მოხდა სამხრეთი და ჩრდილოეთის კულტურების შეხვედრა, როცა სამხრეთული კულტურა მიინევდა ჩრდილოეთისაკენ და თანდათან ეგვიპტის მთელი ტერიტორია მოიცვა. ნაქადას ჭურჭელი ნაპოვნია პატარა სასაფლაოზე გერზესთან, საიდანაც ნაქადა II-ის კულტურას ასევე გერზეული დაერქვა, მაადის ჭურჭელი კი ტბის მოპირდაპირე მხარეს, ეს-საფის სასაფლაოზე (Bard (ed.), 1999, 26). ფაიუმის უამრავი ტბები და ხშირი ტყეები სავსე იყო თევზით და ფრინველით და ამიტომ უკვე ისტორიულ პერიოდში ოაზისი ეგვიპტელი ფარაონების და დიდებულების ნადირობის და თევზაობის საყვარელი ადგილი იყო. უამრავი ნიანგის ბინადრობის გამო ეს ცხოველი ფაიუმში ძალიან ადრე გააღმერთეს, რის გამოც მის დედაქალაქს, შედიტს, ბერძნებმა კროკოდილოპოლისი დაარქვეს. ფაიუმის მიწების ჭაობისაგან გამოტაცების დამსახურება ეკუთვნის ამონემხატ III-ს (XII დინასტია), რომელმაც აქ გრანდიოზული სამუშაოები ჩაატარა და ხორბლის მოსავლის აღება დაიწყო. ფაიუმში შესასვლელთან, ჰავარაში, ამონხეტეპ III-მ ააგო თავისი პირამიდა და გრანდიოზული მოსახსენიებელი ტაძარი, რომელსაც ჰეროდოტემ ლაბირინთი უწოდა. დიდი სამუშაოები ჩაატარეს აქ პტოლე-

მაიოსებმაც. პტოლემაიოს ფილადელფოსმა ფაიუმში ჩაასახლა თავისი ბერძენი და მაკედონიელი ვეტერანები, რომლებიც სობეკის (სუხოსის) თაყვანისმცემლები გახდნენ, რაც მიგვანიშნებს, რომ ბერძნები პატივისცემით ეკიდებოდნენ ამ ნიანგის ღვთაებას. ჩვ წ. პირველ საუკუნეებში ეგვიპტეში გავრცელდა ტრადიცია, რომლის თანახმად სახვეევებში გახვეულ მუმიას სახეზე მიცვალებულის პორტრეტს აფარებდნენ. პორტრეტები სრულდებოდა ხეზე ენკაუსტიკური ტექნიკით. ისინი ძირითადად ფაიუმშია აღმოჩენილი და დღეს ფაიუმის პორტრეტის სახელით არის ცნობილი.

ფაიუმის კულტურა — (A ჯგუფი). წინადინასტიური კულტურა, რომელიც ნაპოვნია ფაიუმის ტბის ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირებზე. ქრონოლოგიურად დაახლ. ემთხვევა ბადარიულს (Trigger, 2003, 6). გათხრები აწარმოეს კატონ-ტომსონმა და გარდნერმა 1924-1926 წწ (Caton-Thompson and Gardner, 1934). მოსახლეობა ცხოვრობდა მოწნულ ქოხებში, ნაყოფიერი მიწის გაყოლებით, ტბის კიდესთან. როგორც ჩანს, ნესტისაგან დაცვის გამო, საერთო მიწისქვეშა ბეღლები მდებარეობდა დასახლებიდან მოშორებით, უფრო დიდ სიმაღლეზე. მოშინაურებული ჰყავდათ ცხვარი, თხა და შესაძლოა საქონელი. სოფლის მეურნეობის კულტურებიდან ნაპოვნია ხორბალი და ქერი (Trigger, 2003, 21). მეტალი ნაპოვნი არ არის, რის გამოც თავიდან ფაიუმის A კულტურა ბადარიულზე უფრო ძველი ეგონათ (Kantor, 1965, 4-6). იცოდნენ ქსოვილის ქსოვა. მიცვალებულებს ასაფლავებდნენ დასახლებების შიგნით ან მათთან ახლოს (Gardiner, 1964, 388).

ფარაონი — ოფიციალური დოქტრინის თანახმად, ეგვიპტის ფარაონი ღვთაებად იყო შერაცხული. ეს შეხედულება ჯერ კიდევ წინადინასტიურ ეგვიპტეში ჩამოყალიბდა, რადგან უკვე გვიან წინადინასტიური და პირველი დინასტიური ფარაონები წარმოდგენილები არიან, როგორც ღვთაების ინკარნაცია მიწაზე. ფარაონის ღვთაებრიობა დაკავშირებული იყო არა მის პერსონასთან, არამედ ძალაუფლებასთან. ტახტის მემკვიდრის გაღმერთება მისი წინამორბედის გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა, როცა, ეგვიპტელთა რწმენით, ღვთაების ფლუიდური არსება გარდაცვლილი ფარაონის ხორციელ სხეულს ტოვებდა და ახალი ფარაონის სხეულში იდებდა ბინას. ფარაონი ითვლებოდა ხორის მოვლინებად მიწაზე, ამიტომ ფარაონის ტიტულატურა

ყოველთვის ხორის სახელით იწყებოდა, რასაც მოგვიანებით „ოქროს ხორის“ სახელიც დაემატა. ფარაონში ინკორპორირებული იყო ასევე ეგვიპტე, რადგან ის იყო „ორივე ქალღმერთი“ (ნეხბეტი და ეჯო), რომლებიც ორი (ჩრდილოეთი და სამხრეთი) ეგვიპტის და იმავდროულად სამეფო გვირგვინების პერსონიფიკაციას წარმოადგენდნენ (Silverman in O'Connor and Silverman, 1994, 49). მზის რელიგიის აღზევებამდე (IV-V დინასტიების მიჯნა) ფარაონი, როგორც ხორი, ეგვიპტის უზენაესი ღვთაება იყო. რას აღზევების შემდეგ ფარაონი „ხორი, რას შვილი“ ხდება. ამ ტრანსფორმაციას ორი მხარე ჰქონდა: როგორც „რას შვილი“, იგი იყო „მსგავსი იმის, ვინც ჩასახა“, და მისი სხეული „რას სხეული იყო“ (Breasted, 1962, §§269. 270, 288), მაგრამ, მეორე მხრივ, ის ხდება ღმერთების „მეორე თაობა“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მის ზემოთ უზენაესი ღვთაება, მისი მამა და შემოქმედი იდგა. ფარაონის, როგორც რას შვილის წარმოსახვამ ახალი სამეფოს დროიდან მითის სახე მიიღო. ხატშეპსუტის და ამონხეტეპ III-ს დაბადების აღწერიდან ჩანს, რომ დიდი ამონი (ამონ-რა) ფარაონის მამის სახეს იღებდა და ამგვარად ჩაუსახავდა მთავარ დედოფალს მომავალ ფარაონს (Hornung, 1997, 282). ფარაონის სახის ტრანსფორმაციაში ჩანს ეგვიპტის დინამიურობაც და სტატიურობაც. ფარაონი იყო და დარჩა ღვთაებად ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე. მაგრამ თანდათან, ისტორიული ვითარების მოთხოვნების შესაბამისად, ხდება მისი თანდათანობით დაახლოება ადამიანთან, განსხვავებით ძველი სამეფოს თითქმის მითიური ფარაონებისაგან, რომელთათვისაც უცხო იყო ყოველგვარი ადამიანური ემოცია ან ქმედება (Wilson, 1957, p.197). შემთხვევითი არ არის, რომ ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით ძველი სამეფოს ფარაონებზე, და ამ პერიოდის ისტორიის რეკონსტრუქცია ძირითადად კერძო პირების წარწერებიდან არის შესაძლებელი. ის, როგორც უზენაესი ღვთაება, ვერასოდეს ჩაატარებდა მრავალ ლაშქრობას თავის ჯართან ერთად, როგორც, მაგ. თოტმეს III ან რამსეს II. ფარაონის სახის ამგვარი ტრანსფორმაციით ეგვიპტემ ნებსით თუ უნებლიეთ ქვეყნისათვის სასიცოცხლო ცვლილება განიცადა — მისი მეფე იყო უზენაესი ღვთაება, როცა ქვეყანა ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებოდა, რამაც უდიდესი როლი ითამაშა გეოგრაფიულად დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებაში, მაგრამ უკვე შედუღაბებულმა ეგვიპტურმა სახელმწიფომ მიიღო უფრო „გაადამიანებული“, ძლიერი ფარაონის ინსტიტუტი, რომელსაც ეგვიპტის ასეთ სიცოცხლისუნარიანობაში უდიდესი როლი

მიუძღვის. ფარაონი არა მარტო წერა-კითხვის მცოდნე, განათლებულიც უნდა ყოფილიყო. „მეფის შვილების მასწავლებელი“ უკვე ძველი სამეფოს დროს არის დაფიქსირებული (Wb IV, 85). ტახტის მემკვიდრე სწავლობდა სხვა მეფის შვილებთან და დიდგვაროვანთა შვილებთან, თავის მომავალ მოხელეებთან ერთად, რადგან ითვლებოდა, რომ ერთად გატარებული სწავლის წლების დროს ის უკეთ გაიცნობდა მათ. სამეფო კარის მასწავლებლად ძალიან გამოცდილ მოხელეს ირჩევდნენ. ძველი, უკვე კლასიკურად აღიარებული ნაწერების კითხვა განათლების აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ბრძენი ნეფერტის „წინასწარმეტყველებიდან“ ვიგებთ, რომ ეს ნაწარმოები თავად ფარაონმა სნოფრუმ ჩაიწერა თავისი ხელით. რამსეს IV-ის წარწერები გვამცნობს, რომ ის კითხულობდა პაპირუსებს, რომლებიც მასთან სატაძრო ბიბლიოთეკებიდან მოჰქონდათ. მსგავსი მაგალითები მრავლად არის გაბნეული ეგვიპტურ ტექსტებში. გადამწერის მელანი და კალმები აღმოჩენილია ტუტანხამონის სამარხშიც. დიდი მნიშვნელობა, განსაკუთრებით ახალი სამეფოდან, ენიჭებოდა ასევე ფარაონის ათლეტურ წვრთნას, განსაკუთრებით ცურვაში, მშვილდოსნობაში და ჯირითში. ახალი სამეფოს ფარაონები გვიყვებიან თავიანთ ტექსტებში, თუ როგორ ჯირითობდნენ უდაბნოში, როგორ შეეძლოთ, მოენიათ მშვილდი, რომელსაც ვერ ერეოდა ვერავინ მათ საკუთარ ჯარში და ვერცერთი უცხოელი მეფე. ითვლება, რომ ეს ყველაფერი თვალნათლივ წარმოგვიდგენს ცვლადს და უცვლადს ეგვიპტის სამეფო ინსტიტუტში. ახალგაზრდა, უდაბნოში სიამოვნებისათვის მოჯირითე ღონიერი მეფეები საოცარ კონტრასტს ქმნიან ძველი სამეფოს ფარაონებთან შედარებით, რომლებიც, ადამიანებისაგან დაშორებულნი, ისხდნენ თავიანთ სასახლეებში და მათთვის უცხო იყო ყოველგვარი ადამიანური დროსტარება. იმავდროულად, ამ ახალ თვისებაშიც ფარაონი კვლავ ზეადამიანური თვისებებით დაჯილდოებულ ღვთაებად არის წარმოდგენილი (Wilson, 1957, 197). მაგრამ მიუხედავად ღვთაებრივი არსებისა, ფარაონი იყო ასევე მთავარი ქურუმი, და ამდენად, ადამიანების წარმომადგენელი ღმართების წინაშე. მრავალი ეგვიპტური ტაძრის კედელზე ფარაონები ლოცულობენ უამრავ ღმერთზე. რადგან არ შეეძლო ყველა ტაძარში ყოფნა, ის თავის მოვალეობას სხვა ადამიანებსაც უნაწილებდა. არც ერთი საკულტო ნაგებობა არ შეიძლებოდა აგებულიყო კერძო პირის მიერ, ესეც ფარაონის პრეროგატივა იყო. ბერძნულ და რომაულ პერიოდებშიც კი ყველაფერი ფარაონის სახელით

შენდებოდა. ეგვიპტის მეფობის ინსტიტუტმა 3500 ნელზე მეტ დროს იარსება. მას განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა უცხოელებისათვისაც, რადგან ჰიკსოსებიდან მოყოლებული, მან მრავალ უცხოელ დამპყრობელს გაუძლო. ეგვიპტეში ფარაონები ხდებოდნენ არა მარტო სპარსელები, არამედ პტოლემაიოსები და რომის იმპერატორები, რომლებსაც ეგვიპტეში ეგვიპტელი ფარაონის სამოსიც კი ეცვათ და მისი გვირგვინები ჰქონდათ დადგმული. „ეს ინსტიტუტი მოშალა მხოლოდ ქრისტიანობამ, როცა ადამიანმა ერთი ღმერთის შვილის ნაცვლად მეორე ღმერთის შვილი იწამა, რომელიც უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეფე" (Hornung, 1997, 283).

ხორის გამოსახულება, რომელიც „ხორის სახელის" წინ თავსდებოდა.

ფარაონის ტიტულატურა — ფარაონს რთული ტიტულატურა ჰქონდა, რომელიც წარმოადგენდა მას, როგორც ხორს, ორ ქალღმერთს (ქვემო ეგვიპტის მფარველს, ეჯოს და ზემო ეგვიპტის მფარველს, ნეხბეტს), ოქროს ხორს, ზემო და ქვემო ეგვიპტის ხელმწიფეს და რას ვაჟიშვილს. ფარაონის ტიტულატურაში მისი ღვთაებრივი ბუნებაა ასახული, რადგან ეგვიპტური წარმოდგენით, ფარაონში, რომელიც თვითონ ადამიანი იყო, კორონაციის რიტუალის დროს სახლდებოდა ღვთაებრივი სანყისი, რომელიც გარდაცვლილი ფარაონის სხეულს ტოვებდა, და ამდენად, ფარაონი ეგვიპტეში იყო ერთგვარი მაკავშირებელი რგოლი ადამიანებს და ღმერთებს შორის. ფარაონის უძველესი სახელი იყო ხორის სახელი, რომელიც წარმოგვიდგენს ფარაონს, როგორც ხორის მინიერ განსახიერებას. „ხორის სახელის" წინ ხორის გამოსახულება იყო მოთავსებული. ხორის სახელის სამშობლო, სავარაუდოდ, ჯერ კიდევ მომავალი ერთიანი ეგვიპტის სამხრეთში მდებარე პატარა პოლიტიკური გაერთიანების დედაქალაქი, ჰიერაკონპოლისი იყო. სწორედ ჰიერაკონპოლისშია ნაპოვნი ნარმერის (ნულოვანი ან პირველი დინასტიის ფარაონის) პალეტი, სადაც ფარაონის პირისპირ ხორის გამოსახულება არის მოთავსებული. მიჩნეულია, რომ ფარაონის გაიგივება ხორთან სწორედ აქ მოხდა (Kemp, 1991, 39). ტიტულატურაში მეორე ადგილი ეკავა ორი ქალღმერთის (ან ორი ქალბატონის) სახელს. მას წინ ორი ქალღმერთის გამოსახულება უძღოდა. ეს სახელი ასევე ცნობილია, როგორც „ნებტი" სახელი, რადგან „*nb.t*" ეგვიპტურად ნიშნავს „ქალბატონს", (ასე ხშირად მოიხსენიებოდნენ ქალღმერთებიც), „*-tj*" დაბოლოება კი ორობითი რიცხვის აღმნიშვნელი სუფიქსია. ამ სახელით ფარაონი წარმოგვიდგება მჭიდროდ დაკავშირებული ორ ქალ-

ნებბეტის და ეჯოს გამოსახულებები, რომლებიც „ორი ქალღმერთის" სახელის წინ თავსდებოდა.

ხორი ოქროს აღმნიშვნელი იეროგლიფის თავზე. ეს ნიშანი წინ უძღოდა "ოქროს ხორის" სახელს.



„ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის" ნიშანი, რომელიცსატახტო სახელის წინ თავსდებოდა.

ღმერთთან, რომლებიც უშუალოდ ეგვიპტის გაერთიანებამდე ქვეყნის ორი — სამხრეთი (ნეხბეტი) და ჩრდილოეთი (ეჯო) ნანილების მფარველი ქალღმერთები იყვნენ. მათი გამოსახულებები ამშვენებდა ფარაონის გვირგვინსაც. სახელი უკვე პირველი დინასტიის დროს არის დაფიქსირებული (*იქვე*, 65). შესაძლოა, ეს სახელი მიიღო გაერთიანებული ეგვიპტის პირველივე ფარაონმა, რადგან ამით ხაზი გაუსვა ორივე ეგვიპტის ერთი მმართველობის ქვეშ გაერთიანებას (Gardiner, 1973, 73). უფრო ბუნდოვანია ოქროს ხორის სახელი. ეგვიპტელები მას „ოქროს სახელს" (*rn n nbw*) ეძახდნენ. სახელს წინ უძღოდა ხორის იეროგლიფის გამოსახულება ოქროს იეროგლიფის თავზე. პირველად დაფიქსირებულია მეოთხე დინასტიის დროს. ზოგიერთის აზრით, ამ სახელში სიმბოლური გამოხატულება ჰპოვა ხორის, როგორც სამეფო ძალაუფლებასთან ასოცირებული ღთაების საბოლოო გამარჯვებამ სეტხზე, რადგან „ოქროს" იეროგლიფით (ეგვ. „*nb*", Wb II, 237) გამოიწერებოდა ასევე ომბოსის (ეგვ. ნუბტი, „*Nb.t*", Wb II, 242) სახელი. ომბოსი იყო წინადინასტიური ეგვიპტის მეორე სამხრეთ ეგვიპტური სახელმწიფოს დედაქალაქი, სადაც სეტხს ჯერ კიდევ წინადინასტიურ ეგვიპტეში ეთაყვანებოდნენ, და რომელიც ერთიანი ეგვიპტისათვის ბრძოლაში პიერაკონპოლისის ხორის მიმდევარმა ფარაონებმა დაამარცხეს. რადგან ოქროს ხორის სახელში ხორი ოქროს იეროგლიფის თავზეა მოქცეული, ამ კომბინაციას კითხულობენ, როგორც „ხორი ომბოსელის (ე.ი. სეტხის) ზემოთაა" (Kees, 1980, 41, 195-6). სხვა ვარაუდით, ოქროს ხორის სახელი დაკავშირებულია ფარაონის ღვთაებრიობასთან, რადგან ეგვიპტელები თელიდნენ, რომ ღვთაების სხეული ოქრო იყო. ამის დასადასტურებლად იყენებენ შემთხვევებს, სადაც ფარაონი თავის თავს „ოქროს შევარდენს" (*bjk n nbw*) ეძახის (Gardiner, 1973, 73; Allen, 2009, 65). ფარაონის ტიტულატურის ბოლო ორი სახელი კარტუშის შიგნით გამოიწერებოდა. კარტუშის ეგვიპტური სახელი იყო „*šn*", წრე (Wb IV, 488), რომელიც სამყაროს შემოწერილობის სიმბოლო იყო, და ფარაონის სახელების კომბინაცია ამ წრესთან ფარაონის მთელ სამყაროზე დომინირებაზე მიანიშნებდა (Allen, 2009, 63). იდეაში, კარტუში მრგვალი ფორმის უნდა ყოფილიყო, როგორც ზოგიერთ შემთხვევაში (Quibell, 1900, 38), მაგრამ სახელების სიგრძის გამო მან ოვალური ფორმა მიიღო. ფარაონის მეოთხე (და კარტუშში მოთავსებული პირველი) სახელი იყო მისი სატახტო სახელი (ე.წ. „prenomen"), რომელსაც ის ტახტზე ასვლისას იღებდა. ეს ფარაონის ტიტულატურის ყველაზე



„რას ვაჟის" ნიშანი, რომელიც თავსდებოდა ფარაონის, როგორც რას ვაჟიშვილის სახელის წინ.

ახალგაზრდა ელემენტია, რომელიც პირველად მეხუთე დინასტიის დროს არის დაფიქსირებული. სატახტო სახელის წინ თავსდებოდა სიტყვები *„nswt bitj"*, რომლებიც დღეს ტიტულატურაში ითარგმნება, როგორც „ზემო და ქვემო ეგვიპტის ხელმწიფე", მაგრამ რეალურად აქ ორჯერ არის დაფიქსირებული სიტყვა „მეფე". ჯერ კიდევ ეგვიპტის გაერთიანებამდე *„ns w.t"* ერქვათ სამხრეთ ეგვიპტის მეფეებს (Wb II, 325), *„bi.tj* — ჩრდილოეთის (Wb I, 423). შესაბამისად, ამ სიტყვების კომბინაცია ასახავს ვითარებას, რომ ეგვიპტის ფარაონი ორივე — ზემო და ქვემო ეგვიპტისაგან შემდგარი ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფოს მეფეა. ტიტულატურის მეხუთე (და კარტუშში ჩასმულ მეორე) სახელს (ე.წ. „nomen"), წინ უძღოდა სიტყვების კომბინაცია „რას ვაჟიშვილი" (ეგვ. *sꜣ Rꜥ*), და ის წარმოგვიდგენდა ფარაონს, როგორც მზის ღვთაების ვაჟს. ეს იყო სახელი, რომელსაც ფარაონს დაბადებისას აძლევდნენ. ელემენტი „რას ვაჟიშვილი" პირველად მეოთხე დინასტიის დროს არის დაფიქსირებული. თუმცა ეგვიპტურ ტექსტებში ფარაონები უფრო ხშირად prenomen-ით მოიხსენებიან, დღეს ეგვიპტოლოგიაში მათი nomen-ით მოხსენიებაა მიღებული. სწორედ ესაა ჩვენთვის ცნობილი სახელები, როგორიცაა თოტმესი, ამონხეტეპი, რამსესი და სხვ. ამგვარად, ტიტულატურა წარმოგვიდგენდა ფარაონს, როგორც ხორს, ორ ქალღმერთს, ოქროს ხორს, ზემო და ქვემო ეგვიპტის ხელმწიფეს და რას ვაჟს. სამწუხაროდ, ბევრი ფარაონის სრული ტიტულატურა დღესაც უცნობია. ოფიციალური ხუთსახელიანი სამეფო ტიტულატურის გარდა, ფარაონს კიდევ ბევრი სხვა ტიტული ჰქონდა. ის იყო „ორივე მიწის ბატონი", „გვირგვინების ბატონი", „კულტის ბატონი", „კეთილი ღმერთი" და სხვ. მისი ტიტული „ფარაონი" ხმარებაში შემოდის მხოლოდ ახალი სამეფოდან და ნიშნავს „დიდ სახლს" (ეგვ. *„prꜥꜣ"*). ახალ სამეფომდე ასე მოიხსენიებოდა მხოლოდ მეფის სასახლე, ახალი სამეფოდან კი ამ სახელით თვითონ მეფესაც მიმართავდნენ.

ფარასი — აბუ სიმბელის და ნილოსის მეორე ჭორომს შორის მდებარე ფარასის მიდამოებში ეგვიპტელებმა შუა სამეფოს პერიოდში ააგეს ციხე-სიმაგრე, რომელსაც ნუბიის შემდგომი კოლონიზაციისათვის ბანაკის როლი უნდა ეთამაშა. მას შემდეგ აქ მშენებლობა მუდმივად მიმდინარეობდა და თანდათან ეს ადგილი ადმინისტრაციულ ცენტრად გადაიქცა. ერთ-ერთი ტაძარი, აგებული ადრე XVIII დინასტიის პერიოდში და რესტავრირებული ხატშეპსუტის მიერ, მიძღვნილი იყო „იბ-

შეკის ხატხორისადმი" (იბშეკი აქაური დასახლების ეგვიპტური სახელი უნდა იყოს). მეზობელი ბუხენიდან აქ გავრცელდა ბუხენის ხორის და მასთან დაკავშირებული ქალღმერთების ანუკეტის და სათისის კულტები, რომლებსაც ტაძარი თოტმეს III-მ მიუძღვნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტუტანხამონის ტაძარი, რომელიც ააგო ეგვიპტეში ნუბიის ნაცვალმა, ჰუიმ. ტაძარი აქ ტუტანხამონის, როგორც ეხნატონის რელიგიური რეფორმის კონტრრეფორმატორის კულტის დასანერგად აიგო და მის წარწერებში იგი მოხსენიებულია, როგორც „ღმერთების დამამშვიდებელი" (Bonnet, 1952, 182). ნასერის ტბის გაშენების შემდეგ ფარასი ნილოსის წყლების ქვეშაა მოქცეული.

ფენიქსი

ფარაფრას ოაზისი — ყველაზე პატარა ეგვიპტის ჩრდილოეთ ოაზისებს შორის (10 000კვ.მ). მოიხსენიება ტექსტებში მეხუთე დინასტიიდან. ეგვიპტური სახელი *„T3 Ihw"*, „ძროხების მინა" ასოცირებულია ხატხორთან. დასავლეთიდან ლიბიელების პერიოდული შემოტევის გამო ფარაფრას ოაზისს ყოველთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ ჯერჯერობით მოკვლეული ყველაზე ძველი არქეოლოგიური მასალა რომაული პერიოდით არის დათარიღებული (Bard, 1999, 298).

ფენიქსი — ჰელიოპოლისის საკრალური ჩიტის (ბენუ) ბერძნული სახელი, რომელსაც ეგვიპტელები წეროს სახით ეთაყვანებოდნენ. ითვლება, რომ სიტყვის ეგვიპტურმა წარმოთქმამ (boin) ბერძნულში ფენიქსის სახე მიიღო (Kees, 1980, 217).

ფილე — კუნძული ნილოსის პირველ ჭორომთან (დაახლ. 150×350 მ.), რომელიც ისიდას დიდი რელიგიური ცენტრი ხდება გვიანდელი პერიოდიდან, განსაკუთრებით კი ბერძნულ-რომაულ დროში. ეგვიპტური ტექსტებიდან ცნობილი სახელი „პილაკი" (Pilak) სავარაუდოდ ნუბიური წარმოშობისაა. შესაძლოა, აქ მაგრდებოდნენ ნუბიელები ეგვიპტეში შემოჭრისას. უძველესი ნაგებობა ფილეზე არის საკმაოდ მოკრძალებული კიოსკი XXVI დინასტიის ფარაონის, ფსამტიხ II-ის სახელით (Bard, 1999, 746). უძველესი ტაძარი, მიძღვნილი „ისიდასადმი, რომელიც აბატონს სტუმრობს" და ბიგეს ხატხორისადმი, ნექტანებოსის მეფობით არის დათარიღებული (XXX დინასტია). პტოლემაიოს II-ის დროს დაიწყო ისიდას მთავარი ტაძრის მშენებლობა, რომელიც პტოლემაიოს III-ის დროს დასრულდა. ამ ტაძრის სახურავზე მდებარეობდა ოსირისის კულტისადმი მიძღვნილი

განსაკუთრებული ნაგებობა, სადაც ოსირისის მისტერიები სრულდებოდა. აქ ტარდებოდა მათი გარკვეული ნაწილი, მათი დასრულება კი ხდებოდა მეზობელ კუნძულ ბიგეზე (აბატონში), სადაც ოსირისის წმინდა ნაწილი იყო დაკრძალული. ტაძრის პირველ და მეორე პილონებს შორის მდებარეობდა ხორის დაბადების სცენებით მოხატული დაბადების სახლი, ისიდას ტაძრის აღმოსავლეთით კი ხატხორის ტაძარი, რომელსაც აქ „ფილეს ქალბატონს" ეძახდნენ. ფოლეზე მდებარეობდა ასევე იმხოტეპისადმი მიძღვნილი ტაძარი, რომელიც ბერძნებმა ასკლეპიოსთან გააიგივეს (Bonnet, 1952, 593). ფილე წარმართული ეგვიპტური კულტების უკანასკნელი ციტადელი იყო, სადაც ისინი ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც შემოინახა. თეოდოსიუსის ჩვ.წ. 392 წლის დეკრეტმა ეგვიპტეში წარმართული ტაძრების დახურვის შესახებ ვერ შეაჩერა ეგვიპტელი, ბერძენი და რომაელი პილიგრიმების უნყვეტი ნაკადი ისიდას ტაძრისაკენ, რამაც აიძულა ბიზანტიის იმპერატორი იუსტინიანე ჩვ. წ-ით 535 წ. ადმინისტრაციული წესით მოეხდინა ისიდას კულტის ლიკვიდაცია (Bard, 1999, 746). ამის შემდეგ ისიდას ტაძარი ქრისტიანულ ეკლესიად იქნა გადაკეთებული, წარმართული ღმერთების ქანდაკებები კი კონსტანტინოპოლში წაიღეს. ფილეზე შემოინახა ასევე ეგვიპტური იეროგლიფებით შესრულებული უკანასკნელი წარწერა (Коростовцев, 1976, 289). დღეს კუნძული ფილე, რომელიც დაბალი კლდოვანი კუნძული იყო, ასუანის წყალსაცავის ქვეშ არის მოქცეული. ეგვიპტის სიძველეთა ასოციაციის და იუნესკოს ერთობლივი ძალისხმევით მოხდა ნაგებობების დაშლა და მათი გადატანა, ორიენტაციის გათვალისწინებით, მეზობელ კუნძულ აგილკიაზე, ასე რომ ტურისტების ნაკადი ისიდას ტაძრისაკენ, რომელიც ეგვიპტური არქიტექტურის ერთ-ერთ შედევრად არის მიჩნეული, დღესაც არ წყდება (Bard, 1999, 746).

ᲨᲡᲐᲛᲢᲘᲮᲘ – (ეგვ. *Psmṯk*), XXVI დინასტიის რამდენიმე ფარაონის სახელი. ჩვ.წ.-მდე VIII საუკუნის დასასრულისათვის ეგვიპტის ერთიანობა დარღვეული იყო. სამხრეთ ეგვიპტეს მართავდა ამონის ქურუმი თებედან, ჩრდილოეთში ერთმანეთს ექიშპებოდა რამდენიმე დინასტია, რეალური ძალაუფლება კი ნომის მმართველების ხელში იყო. ამ დროს ეგვიპტის გაერთიანება მოახერხეს ნუბიელმა მეფეებმა, მაგრამ მათი პრეტენზია, სირიაშიც აღედგინათ ეგვიპტის გავლენა, ასურეთთან შეტაკებით და ასურეთის მიერ ჩრდილოეთ ეგვიპტის დაპყრო-

ბით დამთავრდა. დაახლ. ჩვ.წ.-მდე 670 წლიდან ეგვიპტე ასურელებს და ნუბიელებს შორის სამხედრო მოქმედების თეატრად გადაიქცა. 671 წელს ასურელებმა გააძევეს ეგვიპტის ნუბიური დინასტიის ფარაონი, ტაჰარკა ჩრდილოეთ ეგვიპტიდან, და დელტის მმართველები თავიანთ ვასალებად გადააქციეს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ნეხო საისიდან, ცნობილი, როგორც `ნეხო I, რომელიც რეალურად ასურელების მთავარი ნაცვალი იყო ჩრდილოეთ ეგვიპტეში. 669 წ. ტაჰარკამ, დელტის მმართველების დახმარებით, მოახერხა ასურელების დამარცხება, მაგრამ ასურელებმა ის კვლავ დაამარცხეს 666 წ. 664 წ. ჩრდილოეთ ეგვიპტეზე მარშით ნამოვიდა ტაჰარკას მემკვიდრე ტანტამანი. თავიდან მან გარკვეული უპირატესობა მოიპოვა, და მოკლა ნეხო I, სავარაუდოდ, ასურული ორიენტაციის გამო. ტანტამანის გამარჯვება ძალიან ხანმოკლე გამოდგა და ძლიან ძვირად დაუჯდა ეგვიპტეს. ასურელებმა ის სასტიკად დაამარცხეს და სდიეს სამხრეთამდე, რასაც თებეს ცნობილი აოხრება მოჰყვა. ასეთ უიმედო ვითარებაში ნეხო I-ის ვაჟიშვილმა, ფსამტიხმა, მოახერხა ჯერ ჩრდილოეთის გაერთიანება, შემდეგ კი ასურელების განდევნა. **ფსამტიხ I** (ჩვ.წ.-მდე 664-610) იწყებს XXVI, ე.წ. საისურ დინასტიას და ეგვიპტის ისტორიის უკანასკნელ „ბრწყინვალე" საისურ პერიოდს. ბუნდოვანია, თუ როგორ მოახერხა მან ეს. ოფიციალურად ფსამტიხ I თავისი გამეფების წლებს ტახარკას გარდაცვალებიდან ითვლის. სავარაუდოდ, ასურელებმა თვითონ აღიარეს ის მეფისნაცვალად, შესაძლოა, ფარაონის ნომინალური სტატუსით და იმ პირობით, რომ იქნებოდა ლოიალური ასურელების მიმართ და არ მოაწყობდა აჯანყებებს (Law, 2002, 90). თუმცა მან შედარებით ადვილად გაავრცელა თავისი გავლენა ათრიბის და ჰელიოპოლისის „სამეფოებზე", მას არ აღიარებდნენ ლიბიელების ბელადები სებენიტოსში და ბუსირისში, მაგრამ ფსამტიხმა მოახერხა მათი დამორჩილება. გამეფებიდან მერვე წელს ფსამტიხმა თავისი გავლენის ქვეშ მთელი ჩრდილოეთ ეგვიპტე მოაქცია. ჩრდილოეთის „სამეფოებიდან", რომლებმაც ფსამტიხი აღიარეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჰერაკლეოპოლისი, რადგან ჰერაკლეოპოლისთან კავშირის შემდეგ ფსამტიხის ხელში აღმოჩნდა მთელი სამდინარო ტრანსპორტი და საქარავნო მარშრუტების სასტარტო პუნქტები დასავლეთ უდაბნოსაკენ. ამას გარდა, სწორედ ჰერაკლეოპოლისის ნომარქი, სამტუტეფნახტი დაეხმარა ფსამტიხს დიპლომატიური გზებით გაევრცელებინა გავლენა თებეზე. ჩვ.წ.-მდე 656 წ. ფსამ-

ტიხის ქალიშვილი, ნიტოკრისი იშვილეს „ამონის მთავარმა ცოლებმა“ შეპენუპეტ II-მ და ამენერდის II-მ, რაც ავტომატურად თებეს მიერ ფსამტიხის აღიარებას და თებეს ნუბიელების გავლენის სფეროდან გამოსვლას ნიშნავდა. სავარაუდოდ, თებეს ასეთი განწყობისათვის დიდი ბიძგი იყო ნუბიელების უუნარობა, თავი დაეღწიათ ასურელების ბატონობისაგან და ის საშინელი აოხრება, რომელიც თებეს დაატყდა თავს ნუბიელების პოლიტიკის გამო. მეორე მხრივ, გაოცებას იწვევს, რომ ფსამტიხი, რომელსაც ძალაუფლება ასურელების მიერ ჰქონდა მინიჭებული, და რომლის რეალურ საყრდენს ბერძენი დაქირავებული ჯარისკაცების ელიტარული ნაწილები წარმოადგენდა, ქვეყნის გამამთლიანებლად გვევლინება ასეთ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში. ნიტოკრისი თებეში გააცილა უზარმაზარმა ფლოტმა და მისთვის ამონის ცოლის ქალიშვილის სტატუსის მინიჭებას გრანდიოზული დღესასწაული ახლდა თან. მაგრამ ჩრდილოეთში მაინც იყო შემორჩენილი რამდენიმე პატარა სამეფო, რომლებიც არ ცნობდნენ ფსამტიხს და კავშირი ლიბიელებთან ჰქონდათ. აქ ფსამტიხი მოიქცა, როგორც ნამდვილად ენერგიული მმართველი — სასწრაფოდ შეაგროვა ჯარი უკვე გაერთიანებული პროვინციებიდან და ეს უკანასკნელი ბასტიონებიც აიღო. ამ წარმატებული მარშის შესახებ მოგვითხრობს რამდენიმე სტელა, რომელიც მან თავისი სამხედრო მარშის მარშრუტის გაყოლებით აღმართა. ამის შემდეგ ჩააყენა გარნიზონები ეგვიპტის აღმოსავლეთ და დასავლეთ საზღვრებზე, და ასევე ელეფანტინაზე. გარნიზონი ელეფანტინაზე ნიშნავდა აქ საზღვრის დაწესებას ეგვიპტეს და ნუბიას შორის. გარნიზონები ძირითადად უცხოელი დაქირავებული ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული, არა მარტო ბერძნებით და კარიელებით. აქ მრავლად იყო ფინიკიელები, სირიელები, ებრაელები, რომლებიც, ასურელების დაპყრობითი ომების შედეგად, იძულებული იყვნენ, მიეტოვებინათ სამშობლო, რაც თავისთავად რეგიონის რთულ პოლიტიკურ ვითარებაზე მეტყველებს. მართალია, მმართველი პოსტები გარნიზონებში, უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, ლიბიელებს (მაშვაშებს) ეკავათ, მაგრამ უცხოელებმა თანდათან აიძულეს ისინი, გაენაწილებინათ მათთან ძალაუფლება. ამას გარდა, ფსამტიხმა ნება დართო ბერძნებს და კარიელებს, დაეარსებინათ კოლონიები დელტაში, რამაც ერთგვარად შეამცირა ურჩი „სამეფოების“ გავლენა რეგიონში. ფსამტიხის ხანგრძლივი მეფობის დროს ეგვიპტის კარი თანდათან იღებოდა უც-

ხოელებისათვის. ჯარისკაცებს მოჰყვნენ ვაჭრები, და დაიწყო ეკონომიკურ საფუძველზე დიპლომატიური ურთიერთობის ჩამოყალიბება საბერძნეთსა და ეგვიპტეს შორის (Grimal, 2003, 354-354). მეფობის ბოლო წლებში ფსამტიხმა გააგზავნა ჯარი სირიაში. ასურეთის იმპერიას გაუჩნდა საშიში მოწინააღმდეგე ბაბილონის და მედესის კოალიციის სახით, და ძალთა დაბალანსების სურვილმა ეგვიპტელები თავიანთ ყოფილ დამპყრობლებთან დააკავშირა. 616 წელს ეგვიპტელები ასურელებთან ერთად იბრძოდნენ, მაგრამ მათი ერთობლივი ძალისხმევის მიუხედავად, ნინევია ვერ გადარჩა დაპყრობას და დარბევას 612 ნ (Law, 2002, 94-95). **ფსამტიხ II** (ჩვ.წ.-მდე 595-589) ფსამტიხ I-ის შვილიშვილი და ნეხო II-ის ვაჟი იყო. ცნობილია თავისი სამხედრო კამპანიით კუშში. 593 წ. ფსამტიხის ჯარი, რომელშიც მრავლად იყვნენ ბერძენი და კარიელი დაქირავებული ჯარისკაცები, შეიჭრა ნუბიაში, სადაც აიღო და სასტიკად დაარბია დედაქალაქი ნაპატა. სავარაუდოდ, ამ სამხედრო კამპანიის წყალობით ეგვიპტური კონტროლი გავრცელდა მეორე ჭორომამდე, რადგან არქეოლოგიური მასალა ადასტურებს კარიელების გარნიზონის ყოფნას ბუხენში. მრავლად არის ნაპოვნი კარიელი ჯარისკაცების გრაფიტოები აბუ სიმბელშიც. შესაბამისად, ეგვიპტემ დაიბრუნა ვადი ალაკის მაღაროები, რომლებიც ნუბიური ოქროს ძირითად წყაროს წარმოადგენდა. შესაძლოა ასევე, რომ სწორედ ამ კამპანიის შედეგი იყო ნუბიის დედაქალაქის ნაპატადან სამხრეთით, მეროეში გადატანა (Law, 2002, 96). გაუგებარი მიზეზების გამო, ფსამტიხ III-მ თავისი გარნიზონები დააბრუნა ნილოსის პირველ ჭორომამდე. საზღვარი ორ სახელმწიფოს შორის ისევ ელეფანტინაზე გადიოდა, და ტერიტორია ელეფანტინასა და ტაკომპსოს შორის (დოდეკასხოინი) ერთგვარ ნეიტრალურ ტერიტორიად გადაიქცა. ფსამტიხ II-ის ნუბიური კამპანიის მიზეზი გაურკვეველია. ოფიციალური წყაროების თანახმად, ეს იყო პასუხი ნუბიელთა აჯანყებაზე, მაგრამ ამის დასამტკიცებელი არავითარი მასალა არ არსებობს. კამპანიის შემდეგ მან, სადაც ხელი მიუწვდა, გაანადგურა XXV (ნუბიური) დინასტიის ძეგლები ეგვიპტეში. ფსამტიხი ჩაერია ახლო აღმოსავლეთის საქმეებშიც. ჩვ.წ.-მდე 598 წ. ნაბუქოდრეზარ II-მ დაიპყრო და გაძარცვა იერუსალიმი, მისი მეფე იეოახიმი კი წაიყვანა ბაბილონში, სადაც მან ტყვეობაში 37 წელი გაატარა. იეოახიმის ადგილზე ნაბუქოდრეზარმა დასვა მისი ბიძა, ზედეკია. ამ ვითარებაში, ეგვიპტე აქეზებდა იერუსალიმს, რომ აჯანყებულიყო. 591 წ. ფსამტიხმა ჩაატარა მშვიდობიანი მარში

ბიბლოსამდე, და საზეიმო ვითარებაში იზეიმა ეგვიპტეში დაბრუნება, თითქოს წარმატებული სამხედრო კამპანიიდან დაბრუნებულიყო, მაგრამ ძალის ამ დემონსტრაციამ წაახალისა ზედეკია აჯანყებულიყო ბაბილონის წინააღმდეგ, რაც კატასტროფული აღმოჩნდა იერუსალიმისათვის. ამ კატასტროფის შედეგებმა გავლენა მოახდინა ეგვიპტის საშინაო საქმეებზეც, მაგრამ უკვე ფსამტიხის შვილის, აპრიესის დროს. ფსამტიხმა აშვილებინა თავისი ქალიშვილი, ანხენესნეფერიბრა თავისი ბაბუის, ფსამტიხ I-ის ქალიშვილს ნიტოკრისს, რომელიც ამ დროისათვის უკვე ამონის ცოლის თანამდებობაზე იყო. ანხენესნეფერიბრა მომავალში თვითონ გახდა ამონის ცოლი და ასრულებდა თავის მოვალეობას ეგვიპტის სპარსელების მიერ დაპყრობამდე (Grimal, 2003, 361-362). **ფსამტიხ III** (ჩვ.წ.-მდე 525-526), ამასისის ვაჟიშვილი. იმეფა რამდენიმე თვეს. კამბიზ II, რომელიც კიროს II-ის გარდაცვალების შემდეგ ავიდა ტახტზე სუსაში, 525 წ. დაიძრა ეგვიპტეზე და გაანადგურა ფსამტიხ II-ის ჯარები პელუზიუმთან. ფსამტიხმა მოახერხა მემფისში გაქცევა, მაგრამ სპარსელებმა ალყა შემოარტყეს ქალაქს, და მემფისი დაეცა. ფსამტიხი კვლავ გაიქცა თავისი ჯარის ნარჩენებთან ერთად, მაგრამ სპარსელებმა დატყვევეს და წაიყვანეს სუსაში, სადაც სიკვდილით დასაჯეს. ეგვიპტე აქემენიდების იმპერიის პროვინცია გახდა. ამიერიდან, ძალიან ხანმოკლე პერიოდების გამოკლებით, ის აღარ გამხდარა დამოუკიდებელი სახელმწიფო (*იქვე*, 364).

ᲤᲡᲣᲡᲔᲜᲔᲡᲘ — (*Pꜣ-sbꜣ-ḥꜣi-n-*(*niwt*), XXI (ტანისური) დინასტიის ფარაონების სახელი. **ფსუსენეს I** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1040-992 წწ.), დინასტიის მესამე ფარაონი, სავარაუდოდ იყო თებეს მთავარი ქურუმის, პაინოჯემ I-ის შვილი, რომელმაც რამდენიმე ხნით ადრე თავი მეფედ და სამეფო დინასტიის თანამმართველად გამოაცხადა. დინასტიის დამაარსებლის, სმენდესის შვილის და მემკვიდრის, ამონემნესუს გარდაცვალების შემდეგ დინასტიური ვაკუუმი შეიქმნა. ამ ვითარებით ისარგებლა პაინოჯემმა და თავისი ვაჟიშვილი ფსუსენეს დაცარიელებულ ტახტზე აიყვანა. სიახლეს ფსუსენეს I-ის მეფობაში წარმოადგენს ის, რომ მან თავი არა მარტო ფარაონად, არამედ ჩრდილოეთში ამონის მთავარ ქურუმადაც გამოაცხადა. მისი მთავარი დედოფალი იყო მისი და, „მეფის ქალიშვილი, მეფის და, მეფის ცოლი და მისი უდიდებულესობის მთავარი დედოფალი“ მუტნოჯმეტი. მას, თავისი ქმრის მსგავსად, ჰქონდა ქურუმის

სტატუსი. რადგან ფსუსენესი ამონის მთავარი ქურუმი იყო, მუტნოჯმეტი, თებეში ამონის მთავარი ქურუმის ცოლის მსგავსად, გახდა „ამონის ცოლების სახლის უფროსი", ხონსუს და მუტის მისანი, და მუტის ტაძრის მნე. ეს წოდებები, რასაკვირველია, წარმოადგენდა დინასტიის ისეთივე რეალური შემოსავლის წყაროს ამონის, მუტის და ხონსუს ტაძრებიდან ტანისში, როგორსაც იგივე წოდებები ამონის მთავარი ქურუმის და მისი ოჯახის წევრებისათვის თებეში. ფსუსენესმა ტანისში უზარმაზარი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა. მან ააგო ამონის, მუტის და ხონსუს ტაძრები, რომლებსაც გრანდიოზული (18 მ.სისქის) აგურის გალავანი შემოავლო. სამწუხაროდ, ტაძრებიდან პრაქტიკულად არაფერია შემორჩენილი. გალავნის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მან ააგო სამარხი, გრანიტით და კირქვით. ფსუსენესის და მისი დედოფლის ერთნაირი ოთახების გარდა, სამარხი მოიცავდა წინა დარბაზს და გვერდითა ოთახებს, სადაც შემდგომ სამეფო ოჯახის სხვა წევრები და ტანისის დიდებულები დაიკრძალნენ. ჯერჯერობით არ არის აღმოჩენილი არც ერთი ფსუსენესის წარწერა მემფისის სამხრეთით, სადაც, სავარაუდოდ, უკვე თებეს ძალაუფლება ვრცელდებოდა. ფსუსენესის უფროსი ვაჟიშვილი რამსეს-ანხეფენმუტი მის სიცოცხლეში გარდაიცვალა. სავარაუდოდ, მისი მემკვიდრე ამონემოპე ასევე მისი ვაჟი იყო (Kitchen, 1973, §§219-225). ფსუსენესის მიერ აგებული სამარხი, უზარმაზარი ნაგვის გროვის ქვეშ, აღმოაჩინა ფრანგმა არქეოლოგმა პ. მონტემ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე. თვითონ ფსუსენესის დასაკრძალი ოთახი სრულიად ხელშეუხებელი იყო. მის გარდა, აქვე იყო მისი მხედართმთავრის, XXII დინასტიის ფარაონის შეშონკის და სხვა პირების ვერცხლის სარკოფაგები. სამარხში აღმოჩენილი ოქროს ნიღბები, ოქროს და ვერცხლის ჭურჭელი და უამრავი ძვირფასეულობა ტუტანხამონის განძზე არანაკლებ სენსაციური იყო, მაგრამ ეს ცნობა მეორე მსოფლიო ომის დაწყებამ გადაფარა (Posener, 1959, 233). **ფსუსენეს II** (ჩ.ნ.-მდე 959-945), XXI დინასტიის უკანასკნელი ფარაონი იყო. მისი პიროვნება ბუნდოვანია. არსებობს მოსაზრება, რომ ის არის იგივე ე.წ. **ფსუსენეს III**, ამონის მთავარი ქურუმი თებეში, რომელიც ავიდა ტახტზე, როგორც კოლატერალური დინასტიური ხაზის უფროსი წევრი სიამუნის გარდაცვალების შემდეგ, ისე, რომ იმავდროულად შეინარჩუნა ტებეში ამონის მთავარი ქურუმის წოდება. ამ მოსაზრებას ამყარებს აბიდოსში, სეტი I-ის ტაძარში ნაპოვნი გრაფიტო, რომელზეც ფსუსენეს II იმავდროულად

ამონის მთავარ ქურუმად და მთავარსარდლად არის მოხსენიებული (Hornung, Krauss and Warburton (editors), 2006, 222). მისი მეფობის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. კარნაკში ნაპოვნია მის მიერ უზურპირებული თოტმეს III-ის ქანდაკება. ასევე კარნაკშია მოძიებული წარწერა, სადაც ის მოხსენიებულია, როგორც ერთ-ერთი მომდევნო ამონის ქურუმის, შეშონკის ბაბუა. კარნაკის მეშვიდე პილონის ჩრდილოეთ მხარეზე მოთავსებულია დეკრეტი მისი ქალიშვილის, მაატკარას მიერ თებეში მიწის შესყიდვის შესახებ. ფსუსენესის დროს განსაკუთრებულად ძლიერდება ბუბასტისში მრავალი თაობით ადრე ჩასახლებული ლიბიური ოჯახი, რომლის უფროსები ასევე თაობების მანძილზე თავს „მაშვაშების (ან „მას") დიდ ბელადებს ეძახდნენ. ლიბიელები იმდენად დაუახლოვდნენ ტანისის დინასტიას და დიდგვაროვან ოჯახებს, რომ ერთ-ერთმა ბელადმა, შეშონკმა თავისი ქალიშვილი გაათხოვა ფარაონზე (სიამუნზე ან შესაძლოა ფსუსენეს II-ზე). შეშონკის მემკვიდრის, ნიმლოტის ქალიშვილი მემფისში პტახის უმაღლესი ქურუმის ვაჟიშვილზე გათხოვდა. ნიმლოტის ვაჟი, ასევე შეშონკი ნიმლოტის გარდაცვალების შემდეგ „მას ბელადი" გახდა. ის სულ უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება ქვეყანაში. თავისი ვაჟი, ოსორკონი შეშონკმა ფსუსენეს II-ის ქალიშვილზე, მაატკარაზე დააქორწინა. ფსუსენესის გარდაცვალების შემდეგ ძალიან მალე (ან შესაძლოა, უფრო ადრეც) შეშონკი ტანისის ტახტზე ავიდა. მისი გამეფებით უკვე შემდეგი, ე.წ. XXII (ლიბიური) დინასტია იწყება (Kitchen, 1973, §§237-240).

ფსუსენესი – (ე.წ. „ფსუსენეს III"), ამონის მთავარი ქურუმი თებეში, პაინოჯემ II-ის შვილი. თანამდებობას იღებს თავისი მამის გარდაცვალების შემდეგ, სიამუნის მეფობის მეათე წელს. უკვე მთელი საუკუნის განმავლობაში მისი წინამორბედები დაკავებულები იყვნენ გარდასულ დროთა ფარაონების მუმიების დაბინავებით სხვადასხვა ადგილას მათი მძარცველებისაგან დასაცავად. ფსუსენესის დროს გადაწყდა მათი ერთად გადასვენება რომელიმე სამარხში, რადგან ასე უფრო ადვილი იქნებოდა მათი დაცვა. ასე გადაასვენეს საბოლოოდ ამონხეტეპ I, სეტი I, რამსეს II და სხვ (სულ დაახლ. ორმოცი ფარაონის და მათი ნათესავების მუმია) პაინოჯემ II-ის და მისი ცოლის სამარხში დეირ ელ-ბაჰარიში, სადაც ისინი ჩვენს დროში, მეცხრამეტე საუკუნეში აღმოაჩინეს (Kitchen, 1973, § 233)

ფუტკარი – ფუტკარი ქვემო ეგვიპტური სახელმწიფოს სიმბოლო იყო წინადინასტიური პერიოდიდან. „*bj.t*“ ეგვიპტურად ნიშნავს „ფუტკარს“ (Wb I, 434), „*bj.tj*“ კი ქვემო ეგვიპტის მეფეს (Wb I, 435), გამოიწერებოდა ფუტკრის ნიშნით. ზუსტი მიზეზი დადგენილი არ არის.

ქალღმერთი ქადეში

ქადეში — სიყვარულის ქალღმერთი. მისი კულტი ეგვიპტეში ახალი სამეფოს მეორე ნახევრიდან გავრცელდა, როცა ეგვიპტის ფართო დამპყრობლური პოლიტიკის ფონზე ქვეყანაში უცხო ღვთაებების იმპლანტაცია მოხდა. გააიგივეს ხატხორთან და მიანიჭეს მისი ატრიბუტები — ძროხის რქები, მზის დისკო და სისტრუმი.

ძალი — ქალს ეგვიპტეში ძალიან მნიშვნელოვანი მდგომარეობა ეკავა, არა მარტო თანადროული ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, არამედ ძველ საბერძნეთთან და რომთან შედარებით. თუმცა მეფის ინსტიტუტი მამაკაცზე იყო ორიენტირებული, რადგან ჯერ კიდევ წინადინასტიურ ეგვიპტეში მოხდა მეფის გაიგივება მამრ ღვთაებასთან, ხორთან, ის იმდენად მოქნილი აღმოჩნდა, რომ რამდენიმე შემთხვევაში ქალის მეფობაც გახდა დასაშვები. ჩვეულებრივ, სწორედ ქალი ასრულებდა რეგენტის როლს მცირეწლოვანი ფარაონის გამეფების შემთხვევაში, და მემკვიდრის ლეგიტიმირება ქალის ხაზით ხდებოდა, რადგან, ეგვიპტელის წარმოდგენით, თუმცა დედოფალი თვითონ არ იყო ღვთაება, ღვთაებრიობის „გადაცემა“ მხოლოდ მას შეეძლო. სწორედ ამიტომ, უძველესი დროიდან მეფეთა სიებში ფარაონის დედა აუცილებლად სახელდებოდა მამასთან ერთად. ცხოვრების ყველა სხვა სფეროში ქალს მამაკაცთან თანასწორი უფლებები ჰქონდა. უკვე ძველი სამეფოს დროიდან ქალს ეკუთვნოდა მამის ქონების თანაბარი წილი და შესაბამისად, მინიჭებული ჰქონდა კერძო მესაკუთრის ყველა უფლება, რომელსაც გათხოვების შემდეგაც ინარჩუნებდა. ამის დასტურს ჩვენამდე მოღწეული ტექსტები წარმოადგენს. ფარაონ ხეფრენის (IV დინასტია) ვაჟიშვილი ნიკურა თავის ანდერძში თანაბრად განკარგავს თავის ქონებას ვაჟიშვილებს და ქალიშვილებს შორის (Breasted, 1962, I, §§190-199), ხოლო ფარაონ ჯოსერის (III დინასტია) დროს მცხოვრები დიდებული მეჩენი გვამცნობს, რომ მან ვენახები „დედის ანდერძით მიიღო“ (ხვე-

დელიძე, 2004, 147). ქალს შეეძლო, შეედგინა ანდერძი საკუთრი სურვილის მიხედვით, აღეძრა სარჩელი განქორწინებაზე, ქონებრივ დავაზე, ხელი მოეწერა ნებისმიერ კონტრაქტზე და თვითონ გამოცხადებულიყო თავისი ინტერესების დასაცავად სასამართლოში. ქალის განათლებაზე ბევრი არ არის ცნობილი, მაგრამ ეგვიპტურ ენაში არსებობდა „გადამწერის" (ეგვ. „*sš*", Wb III, 479) მდედრობითი ვარიანტები (*sššḥm.t* და *ssj.t*, Wb III, 481). „გადამწერი" ეგვიპტეში არა მარტო წერა-კითხვის მცოდნეს ნიშნავდა, არამედ განათლებული ადამიანის სინონიმიც იყო. დეირ ელ-მედინეში აღმოჩენილ ოსტრაკონებს შორის არის ისეთიც, სადაც დედა ჩივის მეზობელთან თავის ცელქ ვაუიშვილზე, რომელიც სკოლაში მიმავალ გოგონებს კუთხიდან ქვებს ესვრის (Desroches-Noblecourt, 1963, 47). მართალია, ქალის ძირითად დასაქმებას ოჯახის დიასახლისობა და ხელმძღვანელობა წარმოადგენდა (მას „სახლის ქალბატონს" ეძახდნენ), მაგრამ დასაქმების შემთხვევაში ის არ იჩაგრებოდა, რადგან ქურუმი ქალის გასამრჯელო მამაკაცის გასამრჯელოზე ნაკლები არ იყო (Коростовцев, 1976, 167, 170).

ᲫᲚᲝᲘᲡᲘ — (ეგვ. *Ḫꜣsw* ან *Ḫꜣsww*, Gardiner, 1947, I, 182*), ეგვიპტის მეექვსე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი. მდებარეობდა დელტის ცენტრში, ნილოსის სებენიტურ ტოტთან, თანამედრ. სახას სიახლოვეს. ქალაქის ნიშნის მიხედვით, უძველეს დროში ეთაყვანებოდნენ უდაბნოს ხარს (ეგვ. სახელი „ხასუ"). მისი სახელი ქალაქსაც დაერქვა (Bonnet, 1952, 872). ცნობილია, როგორც ბუნდოვანი XIV დინასტიის რეზიდენციის ქალაქი, თუმცა ზოგადად აქ მოძიებული არქეოლოგიური მასალა ძალიან მწირია (James, 2001, 187).

ᲥᲣᲠᲣᲛᲔᲑᲘ — ეგვიპტეში საერო და სასულიერო ხელისუფლება ფარაონის პიროვნებაში იყო გაერთიანებული. დიდი ტაძრების კედლებზე ერთადერთ ქურუმად, რომელიც რელიგიურ რიტუალებს ატარებს, თავად ფარაონი გვევლინება. თეორიულად, მეფე ერთადერთი ქურუმი იყო და ყველა ქურუმის მოვალეობა მას უნდა შეესრულებინა. რეალობაში, მისი სასულიერო ძალაუფლების გამტარებლად ქურუმების დიდი არმია არსებობდა. მეფე „გადასცემდა" თავის მოვალეობებს სხვადასხვა საერო თანამდებობებზე მყოფ მაღალი რანგის მოხელეებს, რომლებიც თავის მხრივ ცდილობდნენ, თავიანთი ქურუმის თანამდებობა შვილებისათვის გადაეცათ. გვიანდელი პერიოდის ქურუმები

ხშირად თავიანთ წინაპრებს მეჩვიდმეტე და მეოცე თაობამდე ასახელებდნენ. ეს ტრადიცია უძველესი დროიდან მოდის, რადგან უკვე ძველი სამეფოს დროს უსერკაფის მიერ ხატხორის ქურუმად დანიშნული კაცი გვამცნობს, რომ რომ ახლა მისი შვილები მსახურობენ მის ადგილას (Breasted, 1962, I, § 219). პეროდოტეს თანახმად (II.37), მამის გარდაცვალების შემდეგ მის სამსახურს შვილი აგრძელებდა. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქურუმები ეგვიპტეში ყოველთვის არ წარმოადგენდნენ ცალკე ფენას. ძველი და შუა სამეფოების პერიოდებში თითქმის ყველა მაღალი მოხელე მსახურობდა ქურუმად წელიწადში რამდენიმე თვეს და დანარჩენ დროს თავის მოვალეობას მაღალ საერო თანამდებობაზე იხდიდა. მხოლოდ ახალი სამეფოდან ჩნდებიან ქურუმები, რომლებიც მთელ დროს ტაძარში მსახურობენ, მაგრამ შეთავსების ძველი წესი მაინც გავრცელებული რჩება. მაგ. ამონის მთავარი ქურუმი თებეში სამხრეთ ეგვიპტის მთავარსარდლის თანამდებობასაც ითავსებდა. იმის გათვალისწინებით, რომ ქურუმს შეეძლო, საერო სამსახურიც ჰქონოდა, ეგვიპტელი ქურუმის ცხოვრება სხვებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა. ქურუმს სხვა მოხელეებისაგან მხოლოდ მისი ტაძარში მოღვაწეობა გამოარჩევდა. ტაძარი ეგვიპტელის წარმოდგენით ღვთაების სახლი იყო, და ამდენად, იქ შესვლის და ღვთაების მსახურების უფლება მხოლოდ ქურუმებს ჰქონდათ. რიგით საერო ადამიანებს ღვთაებაზე შეეძლოთ ელოცათ, როცა მას სადღესასწაულო დღეებში ქურუმები ტაძრიდან გამოაბრძანებდნენ. მაგრამ რელიგიური მოვალეობის შესრულების დროს ქურუმებისაგან სიწმინდე და სისუფთავე მოითხოვებოდა, რაც გულისხმობდა სხეულის დღეში რამდენიმეჯერ განბანვას და არომატული ზეთით დაზელას. გვიანდელ პერიოდში ამას დაემატა თავის და სხეულის გაპარსვა, წინადაცვეთა, მცენარეული ტანსაცმლის ტარება (მაგ. შალი, როგორც ცხოველური წარმოშობის ქსოვილი, ბინძურად ითვლებოდა) და გარკვეული (ასევე „უწმინდური") საკვების აკრძალვა (მაგ. თევზის, თუმცა ჩამონათვალი სხვადასხვა ტაძარში იცვლებოდა) (Shafer, 2005, 9-10). თითოეული ტაძრის ქურუმები დამოუკიდებელ ერთობას წარმოადგენდა, რომელიც საკუთარი მთავარი ქურუმის მიერ იმართებოდა და სრულიად დამოუკიდებელი იყო სხვა, თუნდაც უფრო დიდი ღმერთის ტაძრის ქურუმებისაგან. იმავდროულად, ქურუმს შეეძლო, ყოფილიყო რამდენიმე ღმერთის მსახური, ემსახურა რამდენიმე ტაძარში და რამდენიმე ერთობის წევრი ყოფილიყო. ასეთი ვი-

თარება ეგვიპტის ისტორიული განვითარების თავისებურების შედეგს წარმოადგენდა. აქ თითოეულ ქალაქს თავისი ადგილობრივი ღმერთები ჰყავდა, რომელთა ისტორიას ხშირად წინადინასტიურ დრომდე მივყავართ. ეგვიპტისათვის დამახასიათებელი ტოლერანტობის გამო მისი ისტორიის არც ერთ მომენტში არც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო ლოკალური ღვთაების ქურუმები არასოდეს ყოფილან დაქვემდებარებული ან დამოკიდებული რომელიმე დიდი ღვთაების ქურუმებზე. ერთადერთი, ვინც იდგა ყველაზე მაღლა, როგორც ყველა ღმერთის ქურუმი და შესაბამისად ერთადერთი, რომლის ძალაუფლება ქვეყნის ყველა ტაძარზე ვრცელდებოდა, იყო ფარაონი, რომელიც თავად ითვლებოდა ღვთაებად და ქვეყნის პირველ ქურუმად. ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოს გარდა, ის ქვეყანაში არსებული მრავალი კულტის თავისებური ერთობის სიმბოლოც იყო. ამიტომ სწორედ მეფე ახდენდა უმაღლესი ქურუმების დანიშვნას და მას ქურუმების დინასტიის შეწყვეტაც შეეძლო (Pernigotti, 1997, 133). ქურუმები იერარქიულად ორ, უფრო მაღალ და დაბალ ფენად იყო დაყოფილი. მაღალი, ე.წ. „ღვთის მსახურების" ფენა და უფრო დაბალი, რომლის წარმომადგენლებიც მოიხსენიებოდნენ, როგორც „სუფთა". ამ ორ ფენას შორის იყვნენ ე.ნ. „ღმერთის მამები" (Bonnet, 1952, 598). ტაძრის იერარქიის სათავეში იდგნენ „ღმერთის მსახურები" (ეგვ. *ḥm-nṯr*; Wb III, 88). ეს წოდება უკვე I დინასტიის დასასრულისათვის ჩნდება. ღმერთის მსახურები ამზადებდნენ შესაწირს, ატარებდნენ რიტუალებს, აკონტროლებდნენ ტაძარში შესასვლელს და, რაც მთავარია, მათ ჰქონდათ უფლება, შესულიყვნენ ტაძრის „წმინდათა წმინდა" ოთახში, სადაც ღვთაების ქანდაკება იყო დაბრძანებული. განსაკუთრებით ძველი სამეფოს დროს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ინიშნებოდნენ ამ თანამდებობებზე. ღმერთის მსახურებს ხელმძღვანელობდა უმაღლესი ქურუმი (ეგვ. „ღმერთების მსახურების ზედამხედველი", *imjr ḥmw-nṯr*, Wb III, 413), ეს წოდება ტრადიციულად ითარგმნება, როგორც „მისანი" ბერძნულის გავლენით (prophétēs). უმნიშვნელოვანესი ტაძრების უმაღლესი ქურუმები ხშირად მეფის ვაჟიშვილები ან სიძეები იყვნენ (Shafer, 2005, 10). განსაკუთრებით დიდ საკულტო კომპლექსებში, სადაც ძალიან ბევრი ღმერთის მსახური იყო, შეიძლებოდა ყოფილიყო „პირველი მისანი" (ეგვ. *ḥm-nṯr ꜥpj*, Wb III, 89), მას მოსდევდა მეორე მისანი, რომელიც, სავარაუდოდ, პირველ მისანს ენაცვლებოდა მოვალეობის შესრულებაში. ტაძრის სიდიდის მიხედვით, მას კიდევ მესამე და

მეოთხე მისანი ჰყავდა (Pernigotti, 1997, 138). პატარა ტაძარში ჩვეულებრივ ერთი მისანი იყო (Breasted, 1962, III, § 271). ახალი სამეფოდან უმაღლესი ქურუმის, ასევე მეორე, მესამე და მეოთხე მისნის თანამდებობებზე უკვე მსახურობდნენ ქურუმები, რომლებისთვისაც ეს ერთადერთი სამსახური იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრების მთავარ ქურუმებს გამოკვეთილი წოდებაც ჰქონდათ. ჰელიოპოლისში ეს იყო „მხედველთა შორის უდიდესი" (ეგვ. *Wr mꜣw*, Wb I, 329), ჰერმოპოლისში — „ხუთის დიდი" (ეგვ. *Wr djw*, Wb I, 329), რაც დაკავშირებული იყო აქაურ მთავარ ღვთაებასთან, თოტთან და მასზე დაქვემდებარებული პირველქმნილი ღმერთების ოთხ წყვილთან; მემფისის მთავარი ქურუმი ატარებდა წოდებას „ხელოსანთა შორის პირველი" (ეგვ. *Wr ḫrpw ḥmwt*, Wb I, 329), რადგან მემფისის მფარველის, პტახის ერთ-ერთი ფუნქცია ხელოსნების მფარველობაც იყო. ბუბასტისში, რომელიც ცნობილი სამედიცინო ცენტრი იყო, მთავარ ქურუმს მოიხსენიებდნენ, როგორც „უდიდესს მკურნალებს შორის" (ეგვ. *Wr snww*, Wb I, 329). თუმცა თითოეული ტაძარი დამოუკიდებელ ერთობას წარმოადგენდა, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა მათ შორის გარკვეულ თანამშრომლობას და ასევე არსებობს მინიშნებები რაღაც სახელმწიფო სტრუქტურაზე, რომელიც მათი ქმედებების კოორდინირებას ახდენდა, რაზეც „ზემო ეგვიპტის ყველა ღმერთის მისნების უფროსის" და „ქვემო ეგვიპტის ყველა ღმერთის მისნების უფროსის" თანამდებობების არსებობა მიუთითებს (Pernigotti, 1997, 140). მთავარ ქურუმზე დაქვემდებარებული ღმერთის მსახურები ხუთ ჯგუფად იყვნენ დაჯგუფებული (ეგვ. „*ꜣ*", „ფხიზლები", Wb III, 413), რომლებსაც დღეს ფილეებს უწოდებენ (ბერძნული სიტყვიდან phylāi). ყოველ ფილეს ჰყავდა თავისი წინამძღოლი (ფილარხი) და ორი ქვეჯგუფისაგან შედგებოდა. ქურუმების ეს ათი ჯგუფი ტაძარში როტაციის პრინციპით მსახურობდა (თითო ჯგუფი ერთი თვის ვადით). დანარჩენ დროს ქურუმები საერო სამსახურში ან იგივე ტაძრის სამეურნეო ადმინისტრაციაში მსახურობდნენ (Shafer, 2005, 11). ღმერთების მსახურების ფენის ქვევით იდგნენ ე.წ. „ღმერთის მამები" (ეგვ. *Ꜣt-nṯr*, Wb I, 142). მათი ფუნქცია ბუნდოვანია, მაგრამ იმაზე დაყრდნობით, რომ ეს წოდება საკმაოდ მაღალი რანგის პირებს ჰქონდათ, ისინიც, სავარაუდოდ ქურუმების მაღალ ფენას განეკუთვნებოდნენ. როცა ღვთაების ქანდაკებას გამოაბრძანებდნენ ტაძრიდან, პროცესიას წინ ღმერთის მამები მიუძღოდნენ, რომლებიც ღვთაების წინ გზას წმინდა წყლით

აპკურებდნენ. მათ შემდეგ იდგნენ უაბ-ქურუმები, რომლებიც მოიხსენიებოდნენ საერთო სახელით „წმინდა, სუფთა“ (ეგვ. *Wꜥb*, Wb I, 282), რაც მათ რიტუალურ სისუფთავესთან იყო დაკავშირებული. ისინი უკვე ქურუმების დაბალ ფენას განეკუთვნებოდნენ. უაბ-ქურუმები ასევე ოთხ ფილედ იყვნენ დაყოფილი და სავარაუდოდ მათ შორისაც რაღაც იერარქია არსებობდა. ისინი პირდაპირ არ იყვნენ დაკავშირებული კულტმსახურებასთან და არ ჰქონდათ წმინდათა წმინდა ოთახში შესვლის უფლება, მაგრამ ეხებოდათ საკულტო და რიტუალური ინვენტარის მოვლა და ასევე გააჩნდათ გარკვეული ფუნქციები სხვადასხვა ცერემონიაში (მაგ. ღვთაების ბარკის გამოსვენება ტაძრიდან სადღესასწაულო პროცესიების დროს). ბევრი ქურუმის წოდება შემონახულია პტოლემაიოსების დროინდელი ბერძნული ტექსტებიდან და მათი მისადაგება იეროგლიფურ ტექსტებში მოხსენიებულ გრძელ სახელებთან ხშირად ვერ ხერხდება, მაგრამ ჰიეროსტოლისტები (hierostolistés) აშკარად განეკუთვნებოდნენ მაღალი რანგის ქურუმებს ("ღმერთის მსახურებს"), რომლებიც დაიშვებოდნენ ტაძრის წმინდათა წმინდა ოთახში, აცმევდნენ ღმერთის ქანდაკებას და ემსახურებოდნენ მისნებს. ჰიეროსტოლისტები ატარებდნენ წყლიან ჭურჭელს, რადგან მათი სამსახური ხშირ რიტუალურ განბანვას მოითხოვდა, და მაატის ნიშანს. ჰიეროგრამატებს (hierogrammateus, ეგვ. *sš mḏ-nṯr*; ღმერთის წიგნის გადამწერი", Wb III, 479 ან *sš n pr-ʿnḫ* „სიცოცხლის სახლის გადამწერი“, Bonnet, 1952, 300) განსაკუთრებული ადგილი ეკავათ თავისი გამორჩეული განათლების გამო. ისინი ასევე „ღმერთის მსახურების“ ფენას განეკუთვნებოდნენ, ევალებოდათ წიგნების შედგენა და გადაწერა, თვალის მიდევნება, რომ ტრადიციები დაცული ყოფილიყო ისე, როგორც ეს „წიგნებში ეწერა“. მათვე ევალებოდათ ქურუმობის კანდიდატების გამოცდა და სატაძრო ქონების წარმართვა. მათი საქმიანობა არა მარტო რელიგიურ, ასევე საერო დარგების ცოდნასაც მოითხოვდა. ჰიეროგრამატები ცნობილი იყვნენ მათემატიკის, ასტრონომიის, გეოგრაფიის და ისტორიის ცოდნით და ამიტომ ბერძნებისათვის ეგვიპტური სიბრძნის მატარებლები იყვნენ. პტეროფორასი (pterophórās, ეგვ. *ḫrj-ḥb*, „დეკლამატორი", Wb III, 395) კითხულობდა ხმით სათანადო ტექსტებს სხვადასხვა რელიგიური ცერემონიის დროს. ჰოროლოგები (hōrológos), რომლებიც სავარაუდოდ უაბ-ქურუმების ფენას განეკუთვნებოდნენ, იყვნენ ასტრონომები, რომლებიც ვარსკვლავებზე დაკვირვებით რელიგიური დღესასწაულების

თარიღებს ადგენდნენ. პასტოფორები (pastophóros) განეკუთვნებოდნენ უაბ-ქურუმებს, რომლებიც პროცესიების დროს სხვადასხვა ნივთებს ატარებდნენ (Shafer, 2005, 17). საათის ქურუმებს, როგორც ჩანს, ვარსკვლავებზე დაკვირვების შედეგად, რიტუალების დაწყების საათები უნდა დაედგინათ, ონიროკრიტები (onirokrītai) სიზმრებს ხსნიდნენ, ჰოროსკოპებს (horoskōpoi) უნდა დაედგინათ, რომელი დღე იყო ბოროტი და რომელი — კეთილი (Pernigotti, 1997, 140). სფრაგისტებს (sphragistai) ევალებოდათ შესაწირი ცხოველების სისუფთავეზე ზრუნვა (Bonnet, 1952, 748). ქურუმის ნოდება ლესონისი (ეგვ. *mršn*) ეგვ. ტექსტებში XXII დინასტიიდან არის დაფიქსირებული. მას ტაძრის ზედამხედველობა ევალებოდა (Bonnet, 1952, 423). საათის ქურუმები (ეგვ. *wnw.t n pr nḏ*), რომლებიც ტაძრის მსახურებს შორის მოიხსენიებიან, მონაწილეობას იღებდნენ ოსირისის მისტერიებში და სხვა, საათებთან დაკავშირებულ რიტუალებში. ცალკე უნდა აღინიშნოს ქურუმების ფენა, რომლებიც გარდაცვლილებს ემსახურებოდნენ. ისინი ქურუმების განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენდა და მათ კას ქურუმებს (ეგვ. *ḥm kꜣ*, Wb III, 90) ეძახდნენ. ძველი სამეფოს დროს ისინი იერარქიულად ოთხ რანგად იყვნენ დაყოფილი, სადაც უმაღლესი ზედამხედველის როლს გარდაცვლილის უფროსი ვაჟი ასრულებდა. ამას გარდა, ისინი ოთხ ჯგუფად იყვნენ განაწილებული და თითოეული ჯგუფი სამი თვის განმავლობაში ასრულებდა თავის მოვალეობას. ძველი სამეფოს დროს მათი რიცხვი საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან ერთ-ერთი სამარხის მომსახურე პერსონალი 47 ქურუმისაგან შედგებოდა (Erman, 1934, 254). შუა სამეფოს დროიდან ეს ტრადიცია შეიცვალა და ერთ სამარხს ერთი კას ქურუმი ემსახურებოდა, რომელსაც ჩვეულებრივ ნათესავების წრიდან არჩევდნენ. როგორც ჩანს, ეს წესი ძველი სამეფოს დაშლის შემდეგ, ანარქიის პერიოდში სამარხების მასობრივი ძარცვით იყო ნაკარნახები. იგივე ტრადიცია შენარჩუნდა ახალი სამეფოს დროსაც, რადგან ახალი სამეფოს წარწერებშიც ჩვეულებრივ ერთი კას ქურუმია მოხსენიებული (Breasted, 1962, II, § 996). ახალი სამეფოს დასასრულიდან მიცვალებულთა მსახურება თანდათან ხოიახიტების (khoiakhitai) ხელში გადადის, რომლებმაც საბოლოოდ მიცვალებულთა ქურუმების ახალი ერთობა შექმნეს. „ხოიახიტი", რაც „წყლის დამსხმელს" ნიშნავს, შეესაბამება ეგვიპტურ წოდებას „წყლის შემწირავი" (*wꜣḥ mw*, Wb I, 257), რომელიც ახალი სამეფოდან თანდათან „კას ქურუმების" ნაცვლად გვხვდება. არსე-

ბობდნენ ხოიახიტი ქალებიც. ხოიახიტები დაბალი რანგის მიცვალებულთა ქურუმები იყვნენ, მათი მოვალეობა ლიბაციის შესრულება და მუმიების და სამარხების მოვლა იყო. ხოიახიტები ასევე ჩართული იყვნენ ოფიციალურ ღვთისმსახურებაში. თებეში ისინი ღმერთების (განსაკუთრებით ამონის) პროცესიებში იღებდნენ მონაწილეობას (Bonnet, 1952, 140). პტოლემაიოსების დროს ხოიახიტის წოდებაც ქრება და მათ ადგილს ტარიხევტი იკავებს. ადრე რომაული პერიოდით დათარიღებულ ბრემნერ-რინდის პაპირუსში ხოიახიტები აღარ გვხვდებიან. გარდაცვლილთა კულტთან იყო დაკავშირებული ასევე სემ-ქურუმი (ეგვ. *śm*), რომელიც ტინისური პერიოდიდან არის დაფიქსირებული და თავიდან მემფისის უმაღლესი ქურუმის სახელი იყო, შემდეგ კი სხვაგანაც გავრცელდა (Wb IV, 121). მას სხვა ქურუმებისაგან ჩაცმულობით ლეოპარდის ტყავის მოსასხამი გამოარჩევდა. ეს იყო უმაღლესი რანგის ქურუმი, რომელიც მეფის სახელით მსახურებდა. დღესასწაულებში, სადაც მეფე თავად იღებდა მონაწილეობას, სემ-ქურუმი მის გვერდით იდგა, პირადად მას ემსახურებოდა ან მის მაგივრად მოქმედებდა. განსაკუთრებული როლი ეკისრებოდა მას პირის გაღების რიტუალის დროს. სემ-ქურუმი ჩვეულებრივ მაღალი წარმოშობის ან თანამდებობის პირი იყო (Breasted, 1962, III, 553-554). ეგვიპტურ ტაძრებში საუკუნეების მანძილზე ხდებოდა ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში დაგროვილი ცოდნის აკუმულირება და ეგვიპტელი ქურუმები ამ ცოდნის მატარებლები იყვნენ, ამიტომ ჰქონდათ მათ განსწავლული ადამიანების სახელი, რაც მრავალჯერ არის აღნიშნული კლასიკური ავტორების მიერ.

ქურუმი ქალები — ქურუმი ქალები ეგვიპტეში უძველესი დროიდან არიან დაფიქსირებული, მაგრამ, ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა, მათი გავლენა და ძალაუფლება მამაკაც ქურუმებზე გაცილებით ნაკლები იყო და ნაკლები ფუნქციები ჰქონდათ. ასევე გაცილებით მწირია ინფორმაცია მათ შესახებ (Pernigotti, 1997, 141). მიუხედავად ამისა, ცნობილია, რომ მათი მატერიალური ანაზღაურება ერთნაირი მოვალეობის შესრულებისათვის ისეთივე იყო, როგორც მამაკაცი ქურუმების (Коростовцев, 1976, 167). ქურუმი ქალის ინსტიტუტმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა ეგვიპტის პოლიტიკაში ქვეყნისათვის კრიტიკულ პერიოდში (XXIII-XXVI დინასტიები). ძველი სამეფოს დროს მაღალი წრის ქალებს, მამაკაცების მსგავსად,

ჰქონდათ წოდება „ღმერთის მსახური" (*ḥm.t nṯr*, Wb II, 90), რომელიც ქურუმი მამაკაცების მაღალ ფენას უტოლდება (*ḥm-nṯr*). მათი უმეტესობა ემსახურებოდა ქალღმერთებს ხატხორს და ნეიტს. იშვიათ შემთხვევაში ისინი ღმერთებსაც (მაგ. თოტს) ემსახურებოდნენ, და დედოფლებს და მეფის ასულებს უფლება ჰქონდათ ყოფილიყვნენ გარდაცვლილთა ქურუმები თავიანთი გარდაცვლილი მამების და ქმრების კულტებში (Shafer, 2005, 11). ღმერთის მსახური ქალების ფუნქციების შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი, და შესაძლოა ისინი შეესატყვისებოდა „ღმერთის მსახური" მამაკაცების ფუნქციებს, მაგრამ ხატხორის ტაძარშიც კი ისინი მამაკაცების ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფებოდნენ. „ღმერთის მსახურ" ქალებს მოიხსენიებდნენ ასევე, როგორც „ღვთაების მხევლებს" (*ḫnr.t*, Wb III, 297). მათ უფროსს (ეგვ. *wr.t ḫnr*) ტაძარში საკმაოდ მაღალი მდგომარეობა ეკავა და ხშირად უმაღლესი ქურუმის მეუღლე იყო. ღვთაების მხევლების ძირითად მოვალეობას ღვთაების მუსიკით და ცეკვით გართობა წარმოადგენდა. ქურუმი, რომელიც ატარებდა რიტუალს ღვთაების ქანდაკების წინ, იყო მამაკაცი, მაგრამ რიტუალის მუსიკალური თანხლება ქალების მიერ ხორციელდებოდა. შესაძლოა, მამაკაცი მუსიკოსებიც ქალების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ახალი სამეფოს დროს ღვთის მსახური ქალები აღარ ჩანან, ცნობილია ორი გამონაკლისი, და ორივეს ჰქონდა მაღალი მეორე მისნის წოდება, ერთს მუტის, მეორეს კი (დედოფალ იახმეს ნეფერტარის) ამონის კულტში, მაგრამ ქალი-ქურუმები ტაძრებში ყოველთვის მოღვაწეობდნენ, და ყველა უაბ-ქურუმის მეუღლე ტაძარში გარკვეულ მოვალეობას ასრულებდა, თუმცა ინფორმაცია მათი მოღვაწეობის შესახებ ბუნდოვანია. X დინასტიის დროს ჩნდება „ღმერთის ცოლის" წოდება. X და XII დინასტიების დროს დაფიქსირებულია სამი (არასამეფო წარმოშობის) ქურუმი ქალი ამ წოდებით, რომლებიც მინის, ამონის და პტახის სამსახურში იყვნენ. მათ შემდეგ ღმერთის ცოლის წოდება ჰქონდა იახმეს-ნეფერტარის (იახმეს I-ის ქალიშვილი და ამონხეტეპ I-ის დედა). დღეისათვის ცნობილი წყაროების თანახმად, ის არის ამ წოდების მქონე პირველი სამეფო წარმოშობის ქალი. იახმეს ნეფერტარის შემდეგ ეს წოდება უკვე მხოლოდ ამონთან იყო დაკავშირებული. შემდეგი „ამონის ცოლი" იყო ხატშეპსუტი, და ხატშეპსუტის გამეფების შემდეგ, მისი ქალიშვილი ნეფრურა. თოტმეს III-ის და IV-ის დროს ღმერთის ცოლები სამეფო სახლთან ქორწინებით დაკავშირებული ქალები იყვნენ, ამონხეტეპ III-ის მეფობიდან XVIII

დინასტიის დასასრულამდე კი უკვე არასამეფო წარმოშობის ქალები. შემდეგ, რამსეს VI-ის ქალიშვილით, ასეთით დაწყებული, „ღმერთის ცოლის" წოდება ენიჭებოდა მეფის ან კარნაკის ტაძრის მთავარი ქურუმის გაუთხოვარ ქალიშვილს (Shafer, 2005, 16). XXI დინასტიის დროს სამხრეთ ეგვიპტეს ფაქტობრივად ამონის ქურუმი მართავდა თებედან, სამეფო ძალაუფლება კი მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთზე ვრცელდებოდა. ამ დროს, პაინოჯემის ქალიშვილიდან, მაატკარადან დაწყებული, ამონის ცოლის ინსტიტუტმა ძირეული ცვლილება განიცადა. მას ენიჭებოდა სახელი, დაფუძნებული ამონის ცოლის, მუტის სახელზე, რომელიც ჩვეულებრივ კარტუშში თავსდებოდა. ამონის ცოლი ამიერიდან გაუთხოვარი რჩებოდა (Sauneron and Yoyotte, 2003, 1). XXII დინასტიის ფარაონები შეეცადნენ თავიანთი გავლენის თებეზე გავრცელებას ამონის მთავარი ქურუმის თანამდებობაზე საკუთარი ვაჟიშვილების დანიშვნით, მაგრამ ამ ნაბიჯმა ვერ მოიტანა სასურველი შედეგი, რადგან მეფის ქურუმი ვაჟიშვილების მხრიდან იყო მცდელობა, მოეხდინათ აჯანყებები მამების წინააღმდეგ, ან დაეარსებინათ პარალელური დინასტიები. ამიტომ XXIII დინასტიის მეფეებმა საერთოდ გააუქმეს ამონის მთავარი ქურუმის თანამდებობა და მის ადგილზე ამონის ცოლი დასვეს. ამ ღმერთის მეუღლის გაუთხოვრობა, რომელიც უკვე ან მეფის ქალიშვილი, ან მისი ახლო ნათესავი იყო, იყო ერთგვარი გარანტია, რომ სამხრეთში პარალელური დინასტიის შექმნის მცდელობა აღარ მოხდებოდა (Shafer, 2005, 16). ამის შემდეგ ამონის მეუღლის ინსტიტუტი უდიდეს პოლიტიკურ როლს თამაშობდა. პირველი ასეთი ამონის მეუღლე იყო XXIII დინასტიის ფარაონის, ოსორკონ III-ის ქალიშვილი შეპენოპეტი და აქედან მოყოლებული, თებეს (და პრაქტიკულად მთელ სამხრეთს) ორასზე მეტი წლის განმავლობაში ხუთი ამონის მეუღლე მართავდა (Blackman, 1921, 19). როცა XXVI დინასტიის ფარაონმა ფსამტიხ I-მა მოახერხა ეგვიპტის გაერთიანება, მის დიპლომატიურ ნაბიჯებს შორის ერთ-ერთი თავისი ქალიშვილის, ნიტოკრისის თებეში გაგზავნა იყო, სადაც ის იმდროინდელი ამონის ცოლის მემკვიდრე გახდა (Kitchen, 1973, 403-404). ეგვიპტის სპარსელების მიერ დაპყრობის შემდეგ ამონის ცოლის წოდება ქრება.

ღვინო — ეგვიპტელებისათვის ღვინო, ნელსაცხებლების და თხელი ტანსაცმლის ქსოვილის მსგავსად, ცხოვრების ერთ-ერთ სიამოვნებად ითვლებოდა (PT 1511). იმავდროულად, ღვინოს საკრალური დანიშნულებაც ჰქონდა. უძველესი დროიდან მიცვალებულთა შესაწირ სამსხვერპლო სიაში ღვინის რამდენიმე სახეობა არის მოხსენიებული. გარდაცვლილთათვის ღვინო, სასმელის გარდა, განსაკუთრებული საშუალებაც იყო. პირამიდების ტექსტებში ღვინის მწურავი ღვთაება შეზმუ თავად მიართმევს ღვინოს გარდაცვლილებს (PT 1112, 1552). ოსირისი უკვე პირამიდების ტექსტებში „ღვინის ბატონად" არის დასახელებული (820, 1524).

ღმერთების დინასტიები — ეგვიპტელთა წარმოდგენით, უძველეს დროში ეგვიპტეს ღმერთები მართავდნენ, რომლებმაც ნესრიგი დაამყარეს ქვეყანაში. პალერმოს ქვაზე, რომელიც პირველიდან მეხუთე დინასტიამდე ფარაონების მეფობის აღწერას წარმოადგენს, წინადინასტიური პერიოდი ღმერთების მეფობის წლებით არის შევსებული. ეს ღმერთები იყვნენ პტახი, რა, შუ, გები, ოსირისი, სეტხი, ხორი (ხაროერისი, ან „უფროსი ხორი"), თოტი, მაატი, და ხორი, ისიდას შვილი (Kees, 1980, 380).

ღმერთი ადამიანში — ეგვიპტელთა წარმოდგენით, ადამიანში ღვთაებრივი ძალა სახლობდა. ჯერ კიდევ პირამიდების ტექსტებში (PT 148) გარდაცვლილზე ვკითხულობთ: „შენი თავი დატის ხორია, შენი სახე — ხენტი-ირტი". ამ წარმოდგენის შემდეგ საფეხურს ვხედავთ მემფისის კოსმოგონიაში (ძველი სამეფო), რომლის თანახმად შემოქმედი ღვთაება (ამ შემთხვევაში პტახი) „არის ყველა ღმერთის სხეულსა და ბაგეებში, ყველა ადამიანში, ყველა ცხოველში, ყველა მწერში და ყველაფერში, რაც ცოცხლობს" (60). ახალი სამეფოს სამარხების წარწერებში უკვე ძალიან ხშირად ვკითხულობთ „ღმერთზე, რომელიც არის ადამიანში".

ღორი – ღორი ეგვიპტეში უძველესი დროიდან მოშინაურებული ცხოველი იყო და ღორის ჯოგები, როგორც საკვების წყარო, სატაძრო მეურნეობებსაც ჰყავდათ, თუმცა მისი მოხსენიება ტექსტებში ძალიან იშვიათია იმის გამო, რომ ღორი „უსუფთაო" ცხოველად ითვლებოდა. ღორთან შეხების შემდეგ ტანის დაბანა იყო აუცილებელი. ჰეროდოტე (II. 47) მოგვითხრობს, რომ ღორების მწყემსები განსაკუთრებულ კასტას წარმოადგენდნენ და მათ ტაძარში შესვლა ეკრძალებოდათ. გასაკვირი არაა, რომ ღორი „შეძულებული ღმერთის", სეტხის ცხოველთან გაიგივდა. შუა სამეფოს დროინდელი მითის თანახმად სეტხი შავ ღორად გადაიქცევა. ღორის სახით არის მოცემული სეტხი ასევე ედფუს ტაძარში სეტხისა და ხორის ამსახველ მოხატულობებში.



ბეჭედსაბნევი (ტუტანხამონის სამარხი, XVIII დინასტია, XIV ს. ჩვ.წ.-მდე)

სუნამოს ფლაკონი (ალებასტრი, ტუტანხამონის სამარხი, XVIII დინასტია, XIV ს. ჩვ. წ.-მდე). სხეულის მოყვა. არომატული ზეთების და სუნამოების მოხმარება ეგვიპტეში წარმოიდგენებოდა არა როგორც ფუფუნება, არამედ ცხოვრების წორმა, რადგან არომატული ზეთები ყველაზე დაბალი რანგის მუშებმაც ვასაძრეულობაც რეგულად.

შაბაკა – (ეგვ. *Šꜣbꜣkꜣ*, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 712-698 წწ.), ეგვიპტის ნუბიური (XXV) დინასტიის ფარაონი, პიანხის ძმა. დღეს უცნობია, თუ რატომ ჩავიდა შაბაკა ეგვიპტის თავიდან დასაპყრობად. შესაძლოა, ბეკენრანეფს (XXIV დინასტიის ფარაონი) მამის (ტეფნახტის) მსგავსად, ჰქონდა მცდელობა გაეფართოვებინა თავისი სამფლობელო სამხრეთისაკენ, შესაძლოა ისიც, რომ შაბაკას სურვილი იყო, ემართა ეგვიპტე, როგორც ნამდვილ ფარაონს, და არა მმართველს ნაპატადან. ნებისმიერ შემთხვევაში, თავისი მეფობის მეორე წელს ის უკვე მემფისში იყო და თვითონ დახურა ახლად გარდაცვლილი საკრალური ხარის, აპისის სამარხი (სამარხში ნაპოვნია შაბაკას მეორე წლით დათარიღებული წარწერა), რომლის მუმიფიცირების დროს ბეკენრანეფი ჯერ კიდევ ფარაონი იყო (Kitchen, 1973, §340). მანეთონის თანახმად, (Manetho, 1960, 169), მან დაატყვევა და დაწვა ბეკენრანეფი. შესაძლოა, მან ასევე გაანადგურა ბეკენრანეფის ოჯახის წევრები, რადგან XXIV დინასტია მასთან ერთად წყდება. სავარაუდოდ, მან გაანადგურა ტანისის (ბუბასტისის) XXIII დინასტის წარმომადგენლებიც, რომლის ბოლო მეფე ოსორკონ IV იყო, რადგან ბუბასტისი XXIII დინასტიის გაქრობის შემდეგ აღარასოდეს მოიხსენიება, როგორც ქალაქი, რომელსაც თავისი მმართველი ჰყავდა. სხვა ქალაქებში შაბაკამ მმართველები თავიანთ ადგილებზე დატოვა, და ისინი მართავდნენ თავიანთ ქალაქებს, როგორც ნუბიელი მეფის ხელქვეითები (Helck, 1968, 237). შაბაკამ დაიქვემდებარა მთელი ეგვიპტე აზიასთან საზღვრამდე. ყველაფერ ამის აღსანიშნავად მან გააკეთებინა სკარაბეოსი, რომელზეც გვამცნობს, რომ შაბაკამ, რომელიც ამონს უყვარს ყველა მეფეზე უფრო, დახოცა ყველა, ვინც აჯანყდა მის წინააღმდეგ, ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც. საისში მან სავარაუდოდ ნუბიელი მმართველი დანიშნა. შეინარჩუნა პიანხის მიერ მოპოვებული გავლენა ოაზისებზე, რადგან ბლოკები მისი სახელით ბახრიას ოაზისშია აღმოჩენილი. შაბაკა იქცეოდა, როგორც ტრადიციული ეგვიპტელი ფარაონი და ეგვიპტური

ღმერთების მფარველი. მისი მშენებლობები დაფიქსირებულია მემფისში. შაბაკას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენამდე მოაღწია ეგვიპტელი თეოლოგების უაღრესად საინტერესო ქმნილებამ, ე.წ „მემფისის თეოლოგიის" ტექსტმა, რომელიც შაბაკას ბრძანებით გადატანილი იქნა შესანიშნავი ბაზალტის ფილაზე „ჭიებით შეჭმული პაპირუსიდან", რომელიც „პტახის სახლში" (ტაძარში) იპოვნეს". დენდერაში მოძიებული სტელა გვამცნობს ნეიტის ტაძრისათვის მისი შენირულობების შესახებ. ესნას ტაძარს შაბაკამ შენირა ნაოსი. დასავლეთ თებეში (მედინეტ ჰაბუში) შაბაკამ აუგო პილონი XVIII დინასტიის ტაძარს, მიძღვნილს ჯემეს ამონისადმი. კარნაკში მან ოქროთი მორთო მეოთხე პილონი, ააგო „ოქროს დარბაზი" ამონის ტაძრის ჩრდილოეთ ნაწილში, ჭიშკარი პტახის ტაძართან და ჩაატარა სამუშაოები მონტუს ტაძარში. ლუქსორის ტაძარში შაბაკამ დაუმატა სცენები რამსეს II-ის პილონს და აღმართა სვეტები. თავისი მასშტაბებით ეს მშენებლობები შორს იყო ეგვიპტის ძველი გრანდიოზული ნაგებობებისაგან, მაგრამ ღირსშესანიშნავია იმით, რომ წარმოგვიჩენს ფარაონის სამშენებლო აქტივობის განახლებას თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით. ნუბიაში შაბაკას მცირედი აქტივობა მხოლოდ კავაშია დაფიქსირებული. თვითონ თებეში მართვას აგრძელებდა შაბაკას (და პიანხის) და, ამონის ცოლი ამენერდის I. მისი სახელი ნაპოვნია ვადი ჰამამატშიც და მემფისშიც. მისი სამარხი და მოსახსენიებელი კაპელა ააგეს მედინეტ ჰაბუში, ჯემეს ამონის ტაძრის სიახლოვეს. ამონის მთავარ ქურუმად შაბაკამ დანიშნა თავისი შვილი, ხორემახეტი, თუმცა ამ თანამდებობას ამ დროისათვის აღარ გააჩნდა პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლება, და ის მხოლოდ რელიგიურ საქმეებს განკარგავდა. შაბაკას წყალობით შეირყა თებეს დამოუკიდებლობა, რომლითაც ის რამსეს XI-ის ბოლო წლებიდან (თუ უფრო ადრე არა) სარგებლობდა (Kitchen, 1973, §§339-344). შაბაკა საკმაოდ ფრთხილი და წინდახედული გამოდგა საგარეო საქმეებში. როცა ფილისტიის ქალაქ აშდოდის მმართველმა აზურიმ არ გაუგზავნა ხარკი ასურელებს, სარგონმა ის გადააყენა და მის ნაცვლად ასურეთისადმი ლოიალური მმართველი დასვა. აშდოდის მოსახლეობამ ახალი მმართველი გააძევა, და ის ვინმე იამანით შეცვალა. ასურელებმა აჯანყება ჩაახშეს, აღმართეს გამარჯვების სტელა და ქალაქში კვლავ ასურელებისადმი ლოიალურად განწყობილი მმართველი დასვეს. იამანი ეგვიპტეში გაიქცა, მაგრამ შაბაკამ ის ასურელებს გადასცა. შედეგად, შაბაკამ შეინარჩუნა ნეიტრალ-

ური ურთიერთობა ასურეთთან, რადგან სარგონი გვამცნობს, რომ „ეგვიპტე ახლა ნუბიას ეკუთვნის" (Helck, 1968, 237). თავისი პირამიდა შაბაკამ პიანხის მსგავსად ნაპატასთან, ელ-კურუში ააგო, სადაც ის დაკრძალეს, ასევე პიანხის მსგავსად, თავის საყვარელ ცხენებთან ერთად. მის შემდეგ ტახტზე პიანხის შვილი, შებიტკუ ავიდა (Grimal, 2003, 345).

შაი — (ეგვ. სიტყვიდან *ꜣꜣ* -"ხვედრი", „ბედისწერა", Wb IV, 402) ერთდროულად იყო ბედისწერის ცნებაც და პერსონიფიკაციაც. გამოისახებოდა ანთროპომორფულად. ახლოს იდგა მოსავლის ქალღმერთთან თერმუტისთან. ორივენი განასახიერებდნენ ძალებს, რომელთა საშუალებით შემოქმედი ღვთაება ადამიანებს ბედს გადაულოცავდა, ამიტომ რას მიმართავდნენ: „შენ შაი ხარ, შენ თერმუტისი ხარ" (Bonnet, 1952, 671). თოტი შაის საშუალებით ადამიანს მისი ცხოვრების წლებს განუსაზღვრავდა (Morenz, 1960, 28). „ამონემოპეტის დარიგებებში" (ახალი სამეფო) ნათქვამია, რომ „ამაოა სიმდიდრის ძიება, რადგან ვერ აიცდენ შენს შაის" (Hart, 2005, 146). ბერძნულ-რომაულ დროში შეერწყა ალექსანდრიაში პოპულარულ გველის სახის ბედის ღვთაებას აგათოდაიმონს (*იქვე*; Wb IV, 404).

შამპოლიონი — (ჟან ფრანსუა შამპოლიონი, 1790-1832 წწ.), ფრანგი ეგვიპტოლოგი, რომელმაც როზეტას ქვის ბილინგვას საშუალებით საბოლოო წერტილი დაუსვა ეგვიპტური იეროგლიფების წაკითხვას. ითვლება თანამედროვე ეგვიპტოლოგიის ფუძემდებლად. დაიბადა საფრანგეთში, ქ. ფიჟაკში. 1801 წ. ჩადის თავის უფროს ძმასთან, ჟაკთან გრენობლში განათლების მისაღებად. თავიდან შამპოლიონს გაკვეთილებს თვითონ ჟაკი უტარებდა, 1802 წელს კი მან სწავლა გააგრძელა გრენობლში ცნობილ პედაგოგთან, აბატ დიუსერთან, რომელიც შამპოლიონს ლათინურ, ბერძნულ, ებრაულ, არაბულ და სირიულ ენებს ასწავლიდა. აბატთან გაკვეთილების პარალელურად სწავლობდა გრენობლის სკოლაში. 1804 წ. მან ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდები და სტიპენდიით ჩაირიცხა გრენობლის სამეფო ლიცეუმში, სადაც სწავლობდა 1807 წლამდე. ლიცეუმში სწავლის დროს შამპოლიონი იწყებს კოპტური ენის შესწავლას და ინტერესდება ეგვიპტური იეროგლიფებით. თავისი ნარმატებებით ის ხიბლავს ცნობილ მათემატიკოსს ჟ. ფურიეს. 1807 წ. შამპოლიონი გეგმავს, გამოსცეს ფუნდამენტური ნაშრომი „ეგვიპტე ფარაონების დროს", მაგრამ

ფურიე თვლის, რომ შამპოლიონმა უნდა დახვეწოს თავისი განათლება პარიზში. პარიზში გამგზავრებამდე, 1807 წ. პირველ სექტემბერს ის წარდგა გრენობლის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემიის წინაშე ნაშრომით ეგვიპტის გეოგრაფიის შესახებ ("Essay de description géographique de l'Égypte avant la conquête de Cambyses"), რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად. მას ირჩევენ აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. რამდენიმე დღის შემდეგ შამპოლიონი მიემგზავრება პარიზში, სადაც აგრძელებს სწავლას კოლეჟ დე ფრანსში და პარალელურად აღმოსავლური ენების სასწავლებელში (École Spéciale des Langues Orientales) ს. დე სასის და ლ. მ. ლანგლეს ხელმძღვანელობით. იმავდროულად, ასრულებს ნაშრომის „ეგვიპტე ფარაონების დროს" გეოგრაფიულ ნაწილს (ის მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ გამოიცა), ინტენსიურად სწავლობს კოპტურს და ეგვიპტურ იეროგლიფებს, და 1808 წ. აკეთებს პირველ მნიშვნელოვან აღმოჩენას. მან მიაგნო, რომ სხვადასხვა სახის ეგვიპტურ ნიშნებს შორის (რომლებიც დღეს ცნობილია, როგორც იეროგლიფური, იერატიული და დემოტიური დამწერლობა) მხოლოდ გრაფიკული, და არა სისტემური განსხვავება არსებობდა, თუმცა განსხვავება დემოტურ და იერატიულ დამწერლობებს შორის მან მხოლოდ 1810 წელს დაინახა, და ეგონა, რომ დემოტიური იერატიულზე უფრო ძველი იყო. შამპოლიონი იწყებს კოპტური ენის საიდური დიალექტის გრამატიკაზე მუშაობასაც. ამ დროს მისი პარიზში სწავლა მოულოდნელად დასრულდა, რადგან 1809 წლის ივლისში მიიწვიეს პროფესორის თანამდებობაზე გრენობლის უნივერსიტეტში. 1814 წელს ის აქვეყნებს ნაშრომს „ეგვიპტე ფარაონების დროს" ("L'Égypte pharaonique: description géographique"). ამ დროს შამპოლიონს გაურთულდა მდგომარეობა თავისი პოლიტიკური ორიენტაციის გამო. მას მკვეთრად გამოხატული იაკობინური მისწრაფებები ჰქონდა, „ასი დღის" დროს კი მიემხრო ნაპოლეონს, რაც, რასაკვირველია, გაუხსენეს ბურბონების რესტავრაციის შემდეგ. უკვე 1815 წ. მას უარი ეთქვა კოპტური გრამატიკის გამოცემაზე, შემდეგ კი გაათავისუფლეს პროფესორის თანამდებობიდან და გაასახლეს გრენობლიდან. შამპოლიონი ბრუნდება ფიჟაკში, მამის სახლში. გარკვეული პერიოდის შემდეგ ის აღადგინეს პროფესორის თანამდებობაზე გრენობლის უნივერსიტეტში, რომელიც ახლა „სამეფო კოლეჯის" სახელს ატარებდა, მაგრამ 1821 წელს კვლავ გაათავისუფლეს. ყველაფერ ამან უარყოფითად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე და ფსიქიკაზე. ღრმა

დეპრესიაში, სრულიად უსახსრო, ის ჩადის თავის ძმასთან, ჟაკთან პარიზში, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ აკადემიას ახალ წერილს უგზავნის. წერილში მან დაადასტურა იუნგის ჰიპოთეზა იეროგლიფური და იერატიული დამწერლობის პირდაპირი კავშირის შესახებ, და დააფიქსირა, რომ კურსიული იეროგლიფები იყო მაკავშირებელი რგოლი მათ შორის. შესაბამისად, მან უარყო დემოტიური დამწერლობის სიძველის იდეა და განავითარა დამწერლობის ევოლუციის სწორი თეორია იეროგლიფებიდან იერატიულ და შემდეგ დემოტიურ დამწერლობამდე. თავისი მიგნების სისწორის შესამონმებლად, მან დაიწყო დემოტიური ნიშნების იერატიულში და შემდეგ იეროგლიფურში გადაყვანა, და წაიკითხა სახელები „პტოლემაიოსი", „კლეოპატრა", „რამსესი" და „თოტი". ცნობილია, რომ როცა საბოლოოდ დარწმუნდა თავის სისწორეში (1822 წლის 14 სექტემბერს), გაიქცა ძმასთან, საფრანგეთის ინსტიტუტში (Institut de France), წამოიძახა მასთან, რომ გადაწყვიტა პრობლემა (ცნობილი ფრაზა: Je tiens l'affaire!"), და უგონოდ დაეცა, რის შემდეგაც ხუთი დღის განმავლობაში სრულ ლეტარგიაში იმყოფებოდა. გამოღვიძების შემდეგ მან მისწერა წერილი საფრანგეთის წარწერების და მხატვრული ლიტერატურის აკადემიას (L'Académie des Inscriptions et Belles-lettres), რომელიც დაასათაურა: „წერილი დასიეს ფონეტიკური იეროგლიფების ალფაბეტის შესახებ". ამ წერილის საჯარო წაკითხვს დღე (27 სექტემბერი) შეიძლება მეცნიერული ეგვიპტოლოგიის დაბადების დღედ ჩაითვალოს. ამის შემდეგ შამპოლიონზე მთელი პარიზი ალაპარაკდა, მას შეურიგდა მეფე, და მისი დევნა დასრულდა. თავისი „ეგვიპტური იეროგლიფების მოკლე აღწერა" („Précis du Système Hiérogliphique") შამპოლიონმა ლუი XVIII-ს მიუძღვნა. 1924 წელს უკვე მეფე შარლ X-მ ის ტურინში გააგზავნა იქაური ეგვიპტური არტეფაქტების შესასწავლად. 1828 წელს ის გააგზავნეს ეგვიპტეში, როგორც ერთწლიანი ექსპედიციის უფროსი, რომელშიც შედიოდა ასევე მისი მოწაფე და მეგობარი, ცნობილი მეცნიერი ი. როსელინი. 1830 წელს ის ხდება წარწერების აკადემიის წევრი და ეგვიპტოლოგიის კათედრის გამგე კოლეჟ დე ფრანსში. შამპოლიონის ნაწერები მის თითქმის არაადამიანურ შრომისუნარიანობაზე მეტყველებს, მაგრამ მას არ რჩებოდა დრო მათ გამოსაქვეყნებლად, და ისინი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ იხილა მკითხველმა. ეგვიპტეში მოგზაურობის შედეგები აისახა ნაშრომში „ეგვიპტის და ნუბიის ძეგლები", რომლის გამოქვეყნებაც 1829 წელს

დაიწყო, მაგრამ შემდეგ შეწყდა, და ის საბოლოოდ მხოლოდ 1847 წელს გამოქვეყნდა. „ეგვიპტურ გრამატიკაზე" მუშაობა შამპოლიონმა 1830 წლამდე დაასრულა, ისიც მხოლოდ 1836-46 წლებში გამოიცა. უმძიმესმა შრომამ და მძიმე წლებმა შეარყიეს შამპოლიონის ჯანმრთელობა, და ის გარდაიცვალა 42 წლის ასაკში, პარიზში, 1832 წლის 4 მარტს (*იხ. ასევე „როზეტას ქვა"*).

შებიტკუ – (ეგვ. *Šbitkū*, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 698-690), ეგვიპტის XXV (ნუბიური) დინასტიის ფარაონი, პიანხის შვილი. ტახტზე ავიდა თავისი ბიძის, შაბაკას გარდაცვალების შემდეგ, რომლის მეფობის ბოლო ორი წლის განმავლობაში მისი თანამმართველი იყო. განსხვავებით შაბაკასაგან, შებიტკუ უფრო აგრესიული გამოდგა საგარეო პოლიტიკაში. მან გამოიძახა ნუბიიდან თავისი ძმები, მათ შორის მომავალი ფარაონი ტახარკა, რომელიც მაშინ ოცი წლის იყო. უფლისწულებს, სავარაუდოდ ასევე შებიტკუს ბრძანებით, თან ახლდა ჯარი. ამ დროისათვის სარგონის მემკვიდრე, სინაქერიბი, დაკავებული იყო ასურეთის გავლენის შენარჩუნებით დასავლეთ აზიაში, რასაც ენინაალმდეგებოდნენ პალესტინის მეფეები. სავარაუდოდ, იეზეკია იუდეიდან მოლაპარაკებებს ატარებდა შებიტკუსთან ეგვიპტის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. თავისი ფრთხილი წინამორბედისაგან განსხვავებით, შებიტკუმ გადაწყვიტა, ებრძოლა პალესტინაში ასურელების წინააღმდეგ, და გააგზავნა ჯარი, რომელსაც სათავეში ტახარკა ედგა. სინაქერიბი შეიჭრა ფინიკიაში, ფილისტიასა და იუდეაში. მოკავშირეები, ეგვიპტურ-ნუბიურ ძალებთან ერთად, მოემზადნენ საბრძოველად ელტეკესთან. სინაქერიბმა დაატყვევა ასკალონის მეფე, შემდეგ კი დაამარცხა მოკავშირეები, აიღო ელტეკე, ტიმნა და ეკრონი, და გაემართა ლახიშისაკენ. იმავდროულად, მან გააგზავნა თავისი მთავარსარდალი დიდძალი ჯარით იერუსალიმისაკენ და იეზეკიას, იუდეის მეფეს, დანებება მოსთხოვა. თვითონ სინაქერიბმა დაიპყრო ლახიში და გაემართა ლიბნასკენ. იეზეკიამ გადაიხადა ხარკი, მაგრამ იერუსალიმის ჭიშკარი ასურელებს არ გაუღო. ამ დროისათვის სინაქერიბს მოუვიდა ხმა, რომ ტახარკა და ეგვიპტის ჯარი მასზე თავდასხმას აპირებდნენ, როცა მისი ძალები ორად იყო გაყოფილი, და სასწრაფოდ გამოიძახა ჯარი იერუსალიმიდან. ახალი საფრთხის წინაშე მყოფმა ტახარკამ თავისი ჯარი ეგვიპტეში დასაბრუნებლად გაამზადა. სინაქერიბი თავის მხრივ დაბრუნდა ნინევიაში, სავარაუდოდ ეპიდემიის გამო, რამაც იხსნა იერუსალიმი დარბევისაგან (Kitch-

en, 1973, §§345-346). ბიბლიის თანახმად, იერუსალიმი სასწაულმა გადაარჩინა, რადგან ანგელოზმა ერთ ღამეში სინაქერიბის 185 000 ჯარისკაცი გაანადგურა (ისაია, 37:36). ზოგიერთი მოსაზრებით, სინაქერიბის უკან დახევა ბაბილონიდან წამოსული ახალი მუქარით იყო გამოწვეული. შემდგომში, სინაქერიბი უფრო ელამით იყო დაკავებული, ვიდრე პალესტინით. ჩვ წ.-მდე 689 წ. მან ჩაახშო აჯანყება ელამში და დაარბია ბაბილონი, 681 წ. კი ის ნინევიაში მოკლეს. ტახტზე მისი ვაჟიშვილი, ასარქადონი ადის. მან დაიწყო ბაბილონის აღდგენა, და ჩვ.წ.-მე 677/76 წლამდე ეგვიპტეს და ასურეთს შორის მშვიდობა იყო. შებიტკუს მეფობის დროს საისში გარდაიცვალა ნუბიელების მიერ დასმული მმართველი, და ძალაუფლებას ხელში იგდებს ვინმე სტეფინატე, რომელსაც ხანდახან ტეფნახტ II-ს უწოდებენ. სტეფინატე ადგილობრივი წარმოშობის იყო და შესაძლოა ტეფნახტის (XXIV დინასტია) შთამომავალიც. მეფობდა საისში ჩვ.წ.-მდე 695-688 წწ. მისი მეფობა მომავალი XXVI საისური დინასტიის ერთგვარი წინამორბედი იყო (Grimal, 2003, 347). ქვეყნის შიგნით შებიტკუ აგრძელებდა თავისი წინამორბედის მიერ დაწყებული ტაძრების რეკონსტრუქციის პოლიტიკას. მემფისში მოძიებულია ქანდაკება და ბლოკი მისი ნაგებობიდან. კარნაშკი, ამონის ტაძარში, მან ააგო კაპელა და ამონის ცოლთან, ამენერდის I-თან ერთად, მიუშენა ეზო და ჭიშკარი ოსირისის ტაძარს. ლუქსორში, ტაძრის სამხრეთ კედელზე, მოათავსა ორი სცენა. ამ დროისათვის, სავარაუდოდ, შეპენუპეტ I გარდაცვლილი იყო, და შებიტკუს მამიდა (პიანხის და) ამენერდის I ამონის მთავარი ცოლი იყო. მის გვერდით იყო მისი მემკვიდრე, შებიტკუს და შეპენუპეტ II. შებიტკუ დაიკრძალა თავისი წინამორბედების მსგავსად ნაპატასთან, ელ კურუში აგებულ პირამიდაში, რომელსაც თან ახლდა საყვარელი ცხენების სამარხი.

შედუ – (ეგვ. *Šdw*, „მშველელი“ ან „შემლოცველი“, დაფიქსირებულია ახალი სამეფოდან, Wb IV, 563), ძალიან პოპულარული ხალხური ღვთაება. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, როგორც ახალგაზრდა მონადირე, ყრმობის კულულით (ეგვიპტეში ბავშვების და ძალიან ახალგაზრდების თმის ვარცხნილობა). მშვილდით, ისრით და შუბით შეიარაღებული, იგი ბოროტ ცხოველებს ანადგურებდა. ხანდახან ვხედავთ საბრძოლო ეტლზე ამხედრებულს, რომელსაც გრიფონები მიაჭენებენ. შესაძლოა იყო ახალგაზრდა ხორის (ხარპოკრატოსის) ერთ-ერთი ფორმა, რადგან მას მიმართავდნენ, როგორც „დიდ

ღვთაებას, ზეცის ბატონს, ორივე მიწის (ე.ი. ეგვიპტის) ბატონს". მისი კეთილგანწყობა შელოცვით უნდა ყოფილიყო მოპოვებული, რომელსაც, პატარა ფირფიტებზე დაწერილს, ამულეტის სახით ატარებდნენ (Hart, 2005, 146).

შევარდენი – შევარდნის კულტი მთელ ეგვიპტში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული, რაზეც მეტყველებს მისი გამოსახულებები, ნაპოვნი წინადინასტიურ ფენებში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ითვლება, რომ მაღლა ფრენის და შემტევი ბუნების გამო შევარდენი ძალიან ადრე ასოცირდა ზეცასთან და სახელმწიფო ძალაუფლებასთან. შევარდნის სახით ეთაყვანებოდნენ სამეფო და სახელმწიფო ღვთაებას ხორს, რომელმაც ჯერ კიდევ ადრედინასტიურ პერიოდში უამრავი შევარდნის სახის მქონე ლოკალური ღვთაება „შთანთქა". უკვე პირამიდების ტექსტებში შევარდნის ნიშანი ღმერთის დეტერმინატივის როლს ასრულებს, რაც მის უკან მდგომი კულტების სიმრავლის მაჩვენებელია. შევარდნის სახე ჰქონდათ ასევე დიდ ღვთაებებს – მონტუს, სოკარს და სოპდუს. გვიანდელ პერიოდში ოსირისიც შევარდნის სახით გამოისახებოდა ხოლმე და ხშირად გარდაცვლილზე, როგორც შევარდენად გარდასახულზე ფიქრობდნენ. შევარდნის სახე ჰქონდა გვიანდელ პერიოდში ასევე ღმერთების ბას. შევარდნის კულტი, ისიდას კულტის მსგავსად, ყველაზე სიცოცხლისუნარიანი გამოდგა და ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც აგრძელებდა არსებობას. კუნძულ ფილეზე ჩვ.წ IV საუკუნემდე ეთაყვანებოდნენ ცოცხალ შევარდენს, რომელიც სპეციალურად ჩამოჰყავდათ პუნტიდან და „რას სულად" აღიქვამდნენ. ამ კულტს ბოლო მოუღო ქრისტიანმა არქიეპისკოპოსმა ათანასემ, რომელმაც ჩვ.წ. IV საუკუნეში მოახერხა ტაძარში შეპარვა და „ღვთაებრივი შევარდნის" ფიზიკური განადგურება.

შეზმუ – (ეგვ. *Šsmw*, Wb IV, 537-538), ღვინის და ზეთის საწნეხლის ღვთაება. გამოისახებოდა ხან ანთროპომორფულად, ხან – ლომის თავით, ან როგორც ლომი. სამშობლო, შესაძლოა, იყო მემფისი, რადგან მოხსენიებულია ახალი სამეფოს დროით დათარიღებულ მემფისური ღმერთების ჩამონათვალში. ჰქონდა ორგვაროვანი – „კეთილი" და „საშიში" ბუნება, რაც შესაძლოა სისხლის და ღვინის მსგავსებით იყო გამოწვეული. მაგრამ როგორც „საშიში" ბუნების ღვთაება, ის მხოლოდ ცოდვილების და სიკეთის მოძულეთა წინააღმდეგ იქცეოდა (Bonnet, 1952,

680). მისი ორგვაროვნება უკვე პირამიდების ტექსტებში ჩანს. უძველეს, ე.წ. „კანიბალის“ გამონათქვამში, სადაც ფარაონი შთანთქავს ღმერთებს „ღვთაებრივი ძალის“ მოსაპოვებლად, შეზმუ ყასბად არის მოვლენილი (Hart, 2005, 146). სხვა გამონათქვამში ფიგურირებს, როგორც ფარაონთან ღვინის მიმტანი (PT1552). ცოდვილებს შეზმუ განსასჯელ ქვაზე მიაჯაჭვებდა და მათ სულებს ანადგურებდა, როგორც ოსირისის სამსჯავროს მტანჯველი მსახური. რამესიდების პერიოდის პაპურუსების ნახატებზე (vignettes) ჩანს, თუ როგორ სრესს ის ცოდვილთა თავებს საწნახელში (Bonnet, 1952, 680;Hart, 2005, 147). გვიანდელი პერიოდიდან შეზმუ ძირითადად ზეთების და მალამოების მწარმოებელი და გამანაწილებელია, რომელიც ამარაგებს ღმერთებსაც და გარდაცვლილებსაც (Mariette, 1873, 14) და თანდათან მუმიის დამცველი ღვთაებაც ხდება, რომელიც მუმიაზე ზრუნავს და ღამის მეთორმეტე საათზე ბატონობს. ერთ XXI დინასტიის სარკოფაგზე (დღეს ბრიტანეთის მუზეუმშია) მოხსენიებულია, როგორც უმაღლესი ხარისხის ზეთის მწარმოებელი რასათვის; ედფუს და დენდერას ტაძრებში, სადაც შემორჩენილია საკუჭნაოს ოთახები, მას „პარფიუმერიის ოსტატს“ ეძახიან (Hart, 2005, 147). შეზმუ იყო ასევე ვარსკვლავის ღვთაება, შუა სამეფოს დროიდან ერთ-ერთი დეკანიც ხდება (Bonnet, 1952, 580). უკვე პირამიდების ტექსტებში მას საკუთარი ბარკა ჰქონდა, რომლითაც გარდაცვლილები ზეცის ერთ-ერთ ნაწილში გადაჰყავდა (PT 545).

შეპსესკარა — (ეგვ. *Špss-kꜣ-Rʿ*, „ბრწყინვალეა რას კა“, დაახლ. 2426-2419), V დინასტიის მეოთხე ფარაონი. მეფობდა რამდენიმე წელიწადს (Helck, 1968, 66;Malek in Shaw (ed.), 100), ან, ზოგიერთის აზრით, რამდენიმე თვეს (Verner (B), 2001, 396). მისი მეფობის ერთადერთ არტეფაქტს წარმოადგენს აბუსირში ნაპოვნი საბეჭდავი, სადაც იმყოფება მისი დაუსრულებელი პირამიდა (Grimal, 1968, 77).

შეპსესკაფი — (ეგვ. *Špss-kꜣ.f*, „კეთილშობილია მისი კა“, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2472-2467 წწ.), IV დინ. ბოლო ფარაონი. ტურინის მეფეთა ცხრილის თანახმად, იმეფა ოთხ წელიწადს. მან თავისი სამარხი ააგო არა გიზეში, არამედ ახალ, აუთვისებელ ადგილას (დაშურსა და საქქარას შორის). საინტერესოა, რომ შეპსესკაფმა თავის სამარხს თავისებური ფორმა მისცა — მან უარი თქვა უკვე ტრადიციულად ქცეულ პირამიდაზე და დიდი სარკოფა-

გის ფორმის სამარხი აიგო (სიმაღლე — 18 მ., კედლების სიგრძე ჩრდილოეთიდან სამხრეთით — 100 მ., დასავლეთიდან აღმოსავლეთით — 73 მ.), რომელსაც დღეს „ფარაონის სკამს" (Mastabat el-Fara'un) ეძახიან. მან სრულიად განსხვავებულად გაანაწილა სამარხის შიდა კამერები და იგივე პრინციპით გადააკეთა მამის, მიკერინის პირამიდის კამერების შიდა განლაგება. აშკარაა, რომ საქმე გვაქვს არა მარტო დიდ ძვრასთან რელიგიურ წარმოდგენებში, არამედ სერიოზულ ცვლილებებთან მიცვალებულთა კულტში, მაგრამ ეს ნიუანსები ჩვენთვის აბსოლუტურად ბუნდოვანია. აშკარაა მხოლოდ, რომ შეფსესკაფთან ერთად საბოლოოდ დასრულდა იდეა ფარაონის, როგორც უზენაესი ღვთაების შესახებ (Helck, 1968, 57). სავარაუდოდ, თავისი ქორწინებით ჯედეფხორის ქალიშვილზე, ხენტკაუსიზე შეპსესკაფი შეეცადა, ერთგვარად შეერიგებინა თავისი ოჯახის ორი შტო, თუმცა ეს ქორწინებაც არ შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს. თავის სამარხში, გიზეში ხენტკაუსი მოხსენიებულია, როგორც „ორი მეფის დედა", მაგრამ, არსებობს ვარაუდი, რომ შეფსესკაფს ან არ ჰყავდა მისგან შვილები, ან მათი შვილი იყო მანეთონის ტამპტისი (ჯედეფპტახი, Grimal, 2003, 74). თუმცა, სხვა აზრით, ხენტკაუსი V დინასტიის პირველი ორი ფარაონის დედაა (Helck, 1968, 160). ნებისმიერ შემთხვევაში, ხენტკაუსის მდგომარეობა ძალიან მაღალი უნდა ყოფილიყო, რადგან მას აუგეს არა მარტო შეპსესკაფის ფორმის სამარხი გიზეში, არამედ პატარა პირამიდის კომპლექსი აბუსირში (Malek in Shaw (ed.), 2003, 91). შეპსესკაფი არის პირველი ფარაონი, რომლისგანაც ჩვენამდე დეკრეტმა მოაღწია. ის გარდასულ დროთა მეფეების სამარხთა დაცვას და მოვლას ეხება (Grimal, 2003, 75). IV დინასტიის დასასრული ბუნდოვანია. ტურინის სია ასახელებს ორწლიან მეფობას შეფსესკაფის შემდეგ, მაგრამ სახელი დაკარგულია. შესაძლოა, ეს არის მანეთონის ჯედეფპტახი, მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს მასთან დაკავშირებული არავითარი არქეოლოგიური მასალა (Malek in Shaw (ed.), 2003, 91).

შეპსი — (ეგვ. *Šps, Špsj,* „მშვენიერი" ან „ბრწყინვალე", Wb IV, 445-446), ბევრი ღვთაების ეპითეტი. ჰერმოპოლისში ამ სახელით ეთაყვანებოდნენ მზეს, როგორც ლოკალურ ღვთაებას. მოიაზრებოდა, როგორც ადგილობრივი პირველქმნილი რვა ღვთაების მამაც. გვხვდება XVIII დინასტიიდან. გამოისახებოდა შევარდნის თავით ან ანთროპომორფულად, თაეზე მზის დისკოთი (Sethe, 1976, § 97)

შესემტეტი — (ეგვ. *Šsmt.t,* Wb IV, 538), ლომის სახის მქონე ქალღმერთი, რომელიც უკვე ძველი სამეფოს დროს შეერწყა სახმეტს და ამ სახით შობს მეფეს: „სახმეტმა ჩაისახა უნისი, შესემტეტმა ის შობა" (PT 262b). „შესემტეტი" ერქვა ტერიტორიას, რომელიც ქვემო ეგვიპტის მეოცე ნომის მიდამოებში, აღმოსავლეთ დელტის საზღვართან მდებარეობდა. „შესემტეტი" ერქვა ასევე მარგალიტებით მორთულ ქამარს, რომელსაც ღმერთები და მეფეები ატარებდნენ (PT 1612-3), როგორც სიძლიერის სიმბოლოს. შესაძლოა, ქალღმერთის სახელი ორივე სიტყვასთან არის დაკავშირებული, რადგან სოპდუ, ამ ლოკალობის ღვთაება, „შესემტეტ მხარის ბატონი" იყო და შესემტეტ-ქამარი — მისი აუცილებელი ატრიბუტი (Borchardt, 1913, 62). შესემტეტი ერქვა ასევე მინერალს, რომელიც ამ მხარეში მოიპოვებოდა (Wb IV, 539). ითვლება, რომ ეს ქალღმერთი თავისი მხარის და ღვთაებრივი ძალის პერსონიფიკაცია იყო (Bonnet, 1962, 679). შელოცვაში, რომელიც წლის ბოლო დღეს უნდა წარმოთქმულიყო, მისი სახელი მოიხსენიებოდა, როგორც მაგიური ძალა ბოროტი დემონების წინააღმდეგ (Hart, 2005, 146).

შესემტი — (ეგვ. *Šsm.tj*, „აღმოსავლეთის ქვეყნისა", Wb IV, 538), ხორის ერთ-ერთი ეპითეტი." ნაწარმოებია „აღმოსავლეთის ქვეყნიდან" (ეგვ. *Šsm.t*, იქვე), თუმცა პირამიდების ტექსტებში იგი ხანდახან მოიხსენიება, როგორც დამოუკიდებელი ღვთაება (PT 342, 450, 528, 983-7, 1085, 1409-13). შესემტი გარდაცვლილებს ზეცაში აღზევებისას ან საიქიო სამყაროში გადასვლისას ეხმარებოდა.

შეშონკი — (ეგვ. *Šššnk*), ეგვიპტის XXII და XXIII დინასტიების ლიბიური წარმოშობის რამდენიმე ფარაონის სახელი. **შეშონკ I** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 945-924) ლიბიელების ტომის, მაშვაშის ბელადის შვილი და XXII დინასტიის დამაარსებელი იყო. მისი მშობლები იყვნენ „მას (ლიბიელების ტომი „მაშვაში" ეგვიპტურ ტექსტებში ხშირად მოიხსენიება, როგორც „მა") ბელადი, ღმერთის მამა ნიმლოტი და ღმერთის დედა ტენტსეფეპი" (Kitchen, 1973, 109). მას შემდეგ, რაც ლიბიელებმა ეგვიპტის თითქმის ყველა ძირითადი ქალაქი დაიკავეს, მათი ერთ-ერთი ლიდერი, შეშონკი, შეუძღვა თავის ჯარს თებეში და მალე თავი ეგვიპტის ფარაონად გამოაცხადა. თავდაპირველად, მან ისურვა დაენესებინა ოსირისთან და მიცვალებულებთან ასოცირებულ უძველეს ეგვიპტურ ქალაქში, აბიდოსში, თავისი მამის, ნიმლოტის

კულტი. ამისათვის მან, ეგვიპტური ტრადიციის სრული დაცვით, ნებართვა სთხოვა ამონის ორაკულს. ასევე ტრადიციის შესაბამისად, კითხვა ორაკულს დაუსვა ფარაონმა ფსუსენეს II-მ. რასაკვირველია, ორაკულმა „აღფრთოვანებით" გამოთქვა თანხმობა. კულტის დაწესებისათვის საჭირო ნაგებობის და ქანდაკების თანხა სანახევროდ გაიღეს შეშონკმა, როგორც „მას მმართველმა" და ეგვიპტის ფარაონმა. ასე ჩაეყარა თეოლოგიური საფუძველი შეშონკის ტახტზე ასვლას. ჩვენამდე შემოინახა გრანიტის სტელა, რომელზეც ეს რელიგიით გამართლებული პოლიტიკური ძალადობაა აღწერილი. თავად შეშონკი, რომელსაც ლიბიელთა ტომის ბელადების ხუთი წინაპარი ჰყავდა, უკვე აბსოლუტურად გაეგვიპტელებულია. მის არაეგვიპტურ წარმოშობას ამხელს მხოლოდ ლიბიური ტომის ბელადის წოდება და ბუმბულები თავის მორთულობაზე. ის და მისი შთამომავლები ყველანაირად ცდილობდნენ ეგვიპტური ტრადიციების დაცვას და თავისი მიწისქვეშა სამარხებიც ფარაონების უკვე ტრადიციულად ქცეულ დასაკრძალ ადგილას — ტანისში, ამონის ტაძრის ეზოში აიგეს (Mysliwiec, 42). მანეთონი (Manetho, 1960, 159) XXI დინასტიას ბუბასტისის დინასტიას უწოდებს, რადგან ეგვიპტის ახალი მეფე ქვეყანას ბუბასტისიდან მართავდა. ქალაქი მდებარეობდა დელტაში, ტანისის ჩრდილოეთით და უკვე საკმაო დროის მანძილზე ეგვიპტეში ლიბიელების ბაზას წარმოადგენდა. ეგვიპტის უცხოელი, მაგრამ ფაქტობრივად გაეგვიპტელებული ახალი მეფეების მმართველობა არ ყოფილა წამგებიანი ქვეყნისათვის. პირიქით, ენერგიული ლიბიელების ხელში ქვეყანა ისევ გაერთიანდა და ერთგვარად ძველი დიდებაც დაიბრუნა. არც თებემ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, როგორც ამონ-რას კულტის მთავამა ცენტრმა, მაგრამ ქალაქზე და სამხრეთ ეგვიპტეზე კონტროლისათვის შეშონკმა თავისი ვაჟიშვილი იუპუტი დანიშნა ამონის მთავარ ქურუმად, სამხრეთ ეგიპტის ვეზირად და ჯარის უფროსად. ამონის ქურუმობასთან დიპლომატიური ურთიერთობის დასამყარებლად მან თავისი ქალიშვილი ცოლად გააყოლა ამონის მესამე მისანს თებეში. მაგრამ შეშონკი არც ამით დაკმაყოფილდა და ქვეყანაში სიმშვიდის კიდევ უფრო დასაზღვევად თავისი მეორე ვაჟიშვილი, ნიმლოტი, ჰერაკლეოპოლისის სამხედრო მმართველად დანიშნა, რადგან ამ დროისათვის ეს ქალაქი უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა (Grimal, 2003, 322). შეშონკმა ჩაატარა ასევე ძალიან წარმატებული სამხედრო ექსპედიცია პალესტინაში. სოლომონის წინააღმდეგ იერობოამის

წარუმატებელი აჯანყების შემდეგ შეშონკმა ის შეიფარა. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ (ჩვ.წ.-მდე 930 წ.) იერობოამი დაბრუნდა სამშობლოში და ჩამოაყალიბა დამოუკიდებელი ისრაელის სამეფო ქვეყნის ჩრდილოეთში. სოლომონის სამეფოს მეორე ნახევარს, იუდეას სოლომონის მემკვიდრე, რეჰობოამი მართავდა. შეშონკმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და შეუტია იუდეას. მან გაიარა გაზა, ნეგევი, დაიპყრო იუდეის ქალაქები და დაბანაკდა იერუსალიმთან. რეჰობოამი დანებდა მას და გადასცა სოლომონის მთელი განძი. ამის შემდეგ მან შეუტია ისრაელს. იერობოამმა სცადა გაქცევა, მაგრამ ის დაატყვევეს. შეშონკმა წარმატებული მარში მეგიდოსთან შეწყვიტა, სადაც სტელა აღმართა. შეშონკის კამპანიამ კიდევ ერთხელ აღადგინა ეგვიპტის გავლენა სირია-პალესტინაზე. მისი ბრძოლები აღწერილია ბიბლიაში (1 მეფეთა 14:25-27), მაგრამ მათი ისტორიულობა მტკიცდება მეგიდოში, გეზერში, თელ ბატაშში და სხვა ადგილებში მოძიებული არქეოლოგიური მასალით (Bard (ed.), 1999, 444). კამპანიის აღწერა შეშონკმა მოათავსა რამდენიმე ადგილას კარნაკის კედლებზე, მათ შორის თოტმეს III-ის ანალების გვერდით. შეშონკმა ჩაატარა ასევე გრანდიოზული მშენებლობა კარნაკში. მისი დიდი სამშენებლო პროგრამა აღწერილია სტელაზე, რომელიც ფარაონმა გებელ ელ-სილსილას ხელახლა გახსნილ სამტეხლოებთან აღმართა. **შეშონკ II** (დაახლ. ჩვ.წ.-მდე ? -890) შეშონკ I-ის შვილიშვილი და ოსორკონ I-ის შვილია. მისი დედა იყო ფსუსენეს II-ის ქალიშვილი, მაატკარა, ასე რომ მისი გამეფებით ლიბიური დინასტია ერთგვარად XXI დინასტიის მემკვიდრეც ხდება. ტახტზე ასვლის შემდეგ ოსორკონმა თავისი მემკვიდრე, შეშონკი დანიშნა ამონის მთავარ ქურუმად თავისი ძმის, იუპუტის ნაცვლად, 890 წ. კი თანამმართველად, მაგრამ შეშონკ II მამაზე რამდენიმე თვით ადრე გარდაიცვალა. **შეშონკ III**-ის (835-783) ტახტზე ასვლისათვის XXII დინასტია უკვე საუკუნეზე მეტს მეფობდა. ამ დროისათვის ეგვიპტის პოლიტიკური რუკის ერთფეროვნება უკვე დარღვეული იყო. ეგვიპტის პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრებში ჩამოყალიბდნენ მაშვაშების წარჩინებული ოჯახები, რომლებიც სამეფო ოჯახთან სისხლით ან ქორწინებით იყვნენ დაკავშირებული. ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება ნაკლებად დამოკიდებული ყოფილიყვნენ ტახტისაგან. ამ პროცესს ხელს უწყობდა ისიც, რომ თანამდებობები პროვინციაში მემკვიდრეობითი იყო. პროვინციული არისტოკრატიის გულის მოსაგებად მეფეები მათ დიდი მამულებით ასაჩუქრებდნენ, რაც საბო-

ლოოდ ასევე მათ წინააღმდეგ მოქმედებდა. XXII დინასტიის დასასრულს და XXIII დინასტიის დროს ტახტი რეალურად ფლობდა ორ ქალაქს აღმოსავლეთ დელტაში — ტანისს და ბუბასტისს. ლეონტოპოლისი, მათ სიახლოვეს, ამ დროისათვის სულ უფრო დამოუკიდებელი ხდებოდა. საისი დასავლეთ დელტაში ფაქტობრივად დამოუკიდებელ სამეფოდ გადაიქცა, რომელსაც თითქმის დელტის მესამედი ექვემდებარებოდა. მალე საისის დაქვემდებარეობაში მოექცა მემფისიც. შუა სამეფოზე და თებეზე კონტროლი ჩვეულებრივ მეფის შვილებს ევალებოდათ, რომლებიც იმავდროულად ამონის მთავარი ქურუმის ნოდებასაც ატარებდნენ. მათი რეზიდენცია იყო ფორტი ელ-ჰიბესთან, ჰერაკლეოპოლისის სიახლოვეს, რომელიც თებედან თითქმის ხუთასი კილომეტრით იყო დაშორებული. რა თქმა უნდა, ისინი ჩადიოდნენ თებეში უმნიშვნელოვანეს დღესასწაულებზე, მაგრამ რალურად ამონის უმაღლესი ქურუმის მოვალეობას ადგილობრივი წარჩინებული ოჯახის წარმომადგენელი ასრულებდა, და თანდათან თებეს ქურუმებიც ცდილობდნენ, მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა სამეფო რეზიდენციისაგან. ამდენად, თუმცა ამ დროისათვის ეგვიპტე ოფიციალურად ერთ სახელმწიფოს წარმოადგენდა, XXII დინასტიის დასასრულისათვის აქ უკვე რამდენიმე ადამიანი აცხადებდა პრეტენზიას მეფობაზე (Mysliwiec, 200, 49-50). ამდენად, შეშონკ III-ის ძალაუფლება ცოტათი თუ სცილდებოდა ნილოსის დელტის დამიეტის ტოტს. მისი ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე პედუბასტი (ჩვ.წ.-მდე 818-793) იყო, რომელსაც მანეთონი XXIII დინასტიის დამაარსებლად ასახელებს (Manetho, 1960, 161). ამგვარად, პედუბასტის გამეფებიდან ეგვიპტის დელტას ორი პარალელური დინასტია მართავდა. პედუბასტმა თავი მეფედ შეშონკ III-ის გამეფებიდან დაახლ. მეშვიდე წელს გამოაცხადა. თუმცა მანეთონი მას ტანისურს ეძახის, ტანისში არავითარი მასთან დაკავშირებული მასალა მოძიებული არ არის. ტანისში შეშონკ III-მ მოაწესრიგა ტანისის სამეფო ნეკროპოლისი და თავისთვისაც აქ აიგო სამარხი. ამას გარდა, ის აშენებდა მემფისში და მენდესში. შეშონკ III თავისი ნახევარ საუკუნეზე ხანგრძლივი მეფობის მანძილზე თანადროული XXIII დინასტიის რამდენიმე მეფეს მოესწრო. პედუბასტი, შესაძლოა, XXII დინასტიის ფარაონების ნათესავიც კი იყო. დღეისათვის მისი რეზიდენციის ადგილი უცნობია, მაგრამ ჩვენთვის ბუნდოვანი მიზეზების გამო თებე მას, და არა ტანისელ ფარაონებს, აღიარებდა ეგვიპტის ფარაონად (Shaw (ed)., 2003, 331). აქ პედუბასტის შემდეგ ტახტზე ადის იუპუტი, შემ-

დეგ კი შეშონკი. დღეს მას ითვლიან, როგორც **შეშონკ IV**-ს. მათი ხანმოკლე მეფობის შემდეგ ტახტზე ადის ოსორკონ III, რომელმაც XXII დინასტიის ფარაონის, შეშონკ III-ის პარალელურად ცამეტი წელი იმეფა. **შეშონკ V** (773-735) XXII დინასტიის ფარაონია. ტახტზე თავისი მამის, პიმაის (ჩვ.წ.-მდე 773-735) ეფემერული მეფობის შემდეგ ადის. მისი გამეფების დროისათვის ელ ჰიბას ფორტში ჯერ კიდევ ტანისური დინასტიის ნარმომადგენლები იდგნენ, მაგრამ XXIII დინასტიის მეფეებმა მალე მოახდინეს ფორტის უზურპირება, ასე რომ შეშონკ V-ის ძალაუფლება სავარაუდოდ მხოლოდ ტანისზე და მის რეგიონზე ვრცელდებოდა. ტანისში, ამონის ტაძრის ტერიტორიაზე მან აუგო პატარა ტაძარი ამონის ტრიადას. მან ასევე ააგო საიუბილეო კაპელა, მიძღვნილი თავისი მეფობის ოცდამეათე ნლისთავისათვის. შეშონკ V-ის დროს სიტუაცია დელტაში კიდევ უფრო ირევა. საისის მაშვაშების (ლიბიელების) ბელადებმა თავისი დაქვემდებარების ქვეშ მოაქციეს დასავლეთი დელტა, აღმოსავლეთი დელტა ბუტოს ჩათვლით და დაიწყეს მოძრაობა სამხრეთისაკენ, მემფისის მიმართულებით. შეშონკ V-ის გარდაცვალების დროისათვის საისს მართავდა ვინმე ტეფნახტი, რომელმაც თავი გამოაცხადა „ლიბუს დიდ ბელადად და დასავლეთის დიდ ბატონად" (Grimal, 329-330). ტეფნახტს მანეთონი უკვე XXIV დინასტიას მიათვლის (Manetho, 1960, 165).

შმუნი — *იხ. ჰერმოპოლისი*

ნუტი, როგორც ცა, უკავია შუ. ქვემოთ – გები, როგორც მინის ღმერთი

შუ — (ეგვ. *Šw*, Wb IV, 429; ბერძნები ეძახდნენ Sos. „*šw*" ეგვიპტურად ნიშნავს ასევე „ცარიელს", „სიცარიელეს", Wb IV, 426). უძველესი კოსმიური ანთროპომორფული ღვთაება, ჰელიოპოლისის კოსმოგონიის წევრი. ტურინის მეფეთა პაპირუსში შუ დასახელებულია მესამე მეფედ (პტახის და რას შემდეგ) ეგვიპტის უძველეს, „ღმერთების" დინასტიაში (Helk, 1980, 380). ჰელიოპოლისის კოსმოგონიაში შუ თავის დასთან და მეუღლესთან, ტეფნუტთან ერთად წარმოადგენენ ღმერთების პირველ წყვილს, რომლებიც დემიურგმა (ატუმმა) პირველყოფილი ქაოსიდან გამოყოფის შემდეგ შექმნა (PT 1248). უპირველესად შუ ჰაერის ღვთაებაა და ღრუბლები და ნისლი მის ძვლებად ითვლებოდა (PT 208, 1121). მას შემდაგ, რაც მან და ტეფნუტმა გააჩინეს გები (მინა) და ნუტი (ზეცა), შუმ შეავსო სივრცე მათ შორის და ნუტის სხეული ხელებით დაიჭირა. მისი ამ ფუნქციის გამო ბერძნებმა შუ ჰერაკლესთან გააიგივეს. როცა ჰელიოპოლისის

კოსმოგონიის დემიურგის ადგილს რა (ან რა-ატუმი) იკავებს, შუ ავტომატურად „რას შვილი“ ხდება. ამ ცვლილებების შედეგად შუს არსება „სინათლის“ და „მზის“ თვისებებსაც იძენს (აღსანიშნავია, რომ შუა სამეფოს დროიდან სიტყვა „*šw*“ უკვე „მზეს“ და „სინათლესაც“ ნიშნავს, Wb IV, 430). ქურუმების შემდეგი სპეკულაციის წყალობით შუ იკავებს გების ადგილს, რომელიც, ძველი წარმოდგენების თანახმად, ჰელიოპოლისის ღმერთების ბატონი იყო. პირამიდების ტექსტები გვამცნობს, რომ „რას შვილს ზეცა უჭირავს, მიწას მართავს და ღმერთებს წინამძღოლობს“ (PT 952; Kees, 1980, 252). სოლარულ ღვთაებასთან შუს ასეთი დაახლოების შედეგად შუ და ტეფნუტი „მზის თვალი“ და „მთვარის თვალი“ გახდნენ. როგორც მზის თვალი, შუ ეხმარება თოტს გამქრალი მთვარის დაბრუნებაში და ზეცაში აჰყავს ის (PT 2091). შუ, როგორც რას ვაჟიშვილი, მონაწილეობს რას მტრების განადგურებაში მისი ღამით მიწისქვეშეთში მგზავრობის დროს. შუ განგმირავს აპოპის და ტეფნუტის მხურვალე სუნთქვით, რომელიც გველის დიადემის სახით შუს თავზე ზის, წვავს მამის მტრებს. ამ მებრძოლი სულისკვეთების წყალობით შუ და ტეფნუტი ლეონტოპოლისის ლომების წყვილთან — რუტისთან (*r w:tj*). გააიგივეს, თუმცა ლომების იკონოგრაფიით ძალიან იშვიათად არიან წარმოდგენილი. ყველაზე მძაფრად შუს სოლარული ბუნება ეხნატონის რეფორმის დროს გამოიკვეთა, როცა მან თავის ღმერთს დაარქვა „რა-ხორახტი, რომელიც ზეიმობს ნათელში, თავისი სახელით „შუ“, რომელიც არის „ატონი“ (Kees, 1980, 370).

შუა სამეფო — ამ სახელით დღეს მოიხსენიებენ ეგვიპტის ხელახლა გამთლიანების ხანას პირველი გარდამვალი პერიოდის შემდეგ. ტრადიციულად ის XI-XII დინასტიებს (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2040-1783 წწ.) მოიცავს, მონტუხეტეპ II-ის მიერ ჩრდილოეთის საბოლოოდ დამარცხებიდან ნეფრუსობეკის (XII დინასტიის ბოლო ფარაონი-ქალი) მეფობის დასასრულამდე. დღეს ზოგიერთი მეცნიერი შუა სამეფოს პერიოდს ბუნდოვან XIII-XIV დინასტიებსაც მიაკუთვნებს (O'Connor and Silvermann (editors), 1994, XXX-XXXI) და მეორე გარდამავალი პერიოდის დაწყებას ეგვიპტის ჰიკსოსების მიერ დაპყრობიდან ითვლის. შუა სამეფოს პერიოდი თვისობრივად განსხვავდება გაწონასწორებული ძველი სამეფოს ეგვიპტისაგან, რომელსაც სიმშვიდე და თვითრწმენა ახასიათებდა. ძველი სამეფოს ფარაონები, როგორც რეალური მიწიერი ცხოვრებისაგან დაშორებული

ღმერთები, მხოლოდ უზენაესი უფლებების პასიური მფლობელები იყვნენ. ამ წონასწორობის რღვევის და იმ ანარქიის შემდეგ, რომელიც ქვეყანამ გადაიტანა, ფარაონის პასუხისმგებლობა საკუთარ ქვეყანაზე მის მოვალეობად გადაიქცა (Wilson, 1959, 120, 122). ამიტომ შუა სამეფოს დროის ფარაონებს „საკუთარი ხალხის მწყემსებად" მოიხსენიებენ (*იქვე*, 125). შუა სამეფოს ფარაონები თვითონ მონაწილეობდნენ ექსპედიციებში და ბრძოლებში, რაც წარმოუდგენელი იყო ძველი სამეფოს დროს, ზეღვთაება-ფარაონის ეპოქაში. ანარქიის წლებმა დიდი რღვევა გამოიწვია რიგითი ეგვიპტელის ფსიქოლოგიაშიც, მან კითხვის ქვეშ დააყენა ბევრი ისეთი ჭეშმარიტება, რომელიც ადრე თითქოსდა ურყევად გამოიყურებოდა, და ყველაზე თვალსაჩინოდ ეს გარდაცვლილთა სამყაროსადმი დამოკიდებულებაში ჩანს. ერთი მხრივ, რიგითი ეგვიპტელისათვის ხელმისაწვდომი გახდა თითქმის ყველა ის „პრივილეგია", რომელიც ძველი სამეფოს დროს მხოლოდ ფარაონს „გააჩნდა". მეორე მხრივ, მან ეჭვქვეშ დააყენა თვითონ „სამუდამო ნეტარების" იდეა, რაზეც მეტყველებს მისი ფიქრი, რომ „არავინ დაბრუნებულა გარდაცვლილთა ქვეყნიდან, და შეძლება ის არც არსებობს. ამიტომ უნდა გახარებდეს ყოველი მიწაზე გატარებული დღე და აისრულო, რასაც გული გკარნახობს" (Erman, 1966, 132). ასეთმა ძვრამ აზროვნებაში და ფსიქოლოგიაში ლიტერატურის და ხელოვნების საოცარ გაფურჩქვნას შეუწყო ხელი. შუა სამეფოს ეგვიპტეში საოცრად იხვეწება არქიტექტურა, იქმნება ახალი ლიტერატურული ჟანრები (მაგ. ზღაპარი და მოთხრობა), საოცრად მოქნილი ხდება ენა. დღეს შუა სამეფოს ეგვიპტეს მოიხსენიებენ, როგორც ქვეყნის ისტორიის „კლასიკურ პერიოდს" (*იხ. ასევე: პირველი გარდამავალი პერიოდი; მონტუხეტეპ I, II, III, IV; ამონემხატ I, II, III, IV; სენუსერტ I, II, III; ნეფრუსობეკი*).

ჩრდილი — ეგვიპტელების აღქმაში ჩრდილი ადამიანის არსების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. მის გარდა, ადამიანის არსებას შეადგენდნენ ახი, კა, ბა, სხეული, მაგიური ძალა (ხიკე) და სახელი. ჩრდილი ადამიანის სხეულიდან გამოდიოდა და მას ყოველთვის ახლდა თან. გარდაცვლილთან ჩრდილს შეეძლო სხეულს (მუმიას) ჩანაცვლებოდა. გვიანდელი პერიოდის ტექსტებში გარდაცვლილებს მოიხსენიებენ, როგორც ჩრდილებს. ჩრდილი ღმერთებსაც ჰქონდათ და მათი ჩრდილი მფარველობის სიმბოლო იყო. მართალია, ღმერთების ჩრდილის ქვეშ მყოფი მხოლოდ ფარაონები გვხვდებიან (Breasted, 1962, IV, §§850-4), მაგრამ ითვლებოდა, რომ ქალაქები საკუთარი ღმერთების ჩრდილის მფარველობის ქვეშ იყვნენ (*იქვე*, II, § 814).

ცა – ეგვიპტელებს ცა წარმოდგენილი ჰყავდათ, როგორც ღვთაებრივი არსება, რომელიც ქალღმერთ ნუტში (ეგვ. *Nu.t*, Wb II, 214) იყო ინკორპორირებული. ჰელიოპოლისში ნუტი ენეადის წევრი და გების (მიწა) ცოლი იყო. აქ „მაღალ", „შორეულ" ქალბატონს ეძახდნენ (PT 823). ითვლებოდა, რომ ის ყოველ დილას თავიდან ბადებდა მზეს, რომელსაც საღამოს ყლაპავდა. ის ვარსკვლავების დედაც იყო, და მას „ათას სულიანს", ან „ათას ვარსკვლავიანს" ეძახდნენ (ეგვ. *ḫ3 b3 w.s* PT 785b). ამას გარდა, ცასთან ბევრი მითოლოგიური წარმოდგენა იყო დაკავშირებული. ერთ-ერთი უძველესი წარმოდგენით, ცა იყო უზარმაზარი შევარდენი, მისი თვალები კი მზე და მთვარე. ცის ეს წარმოდგენა ეხმაურება ადრედინასტიურ (ფარაონ ჯეტის ეპოქის) გამოსახულებას სპილოს ძვლის სავარცხელზე, სადაც ცა წარმოდგენილია, როგორც შევარდნის ორი ფრთისაგან შემდგარი სახურავი (Petrie, 1925, pl. 12). უფრო გვიან ამ კომბინაციამ ფრთოსანი დისკოს სახე მიიღო, რომელიც ქვეყნის სიმბოლო გახდა და მას ყველა ტაძრის კედელზე ათავსებდნენ (Kees, 1980, 43). ცა წარმოიდგინებოდა ასევე, როგორც ძროხა, რომელიც პირველყოფილი წყლებიდან ამოცურდა (PT 1029). შევარდნის და ძროხის ციურ ასოციაციებთან არის დაკავირებული დიდი ეგვიპტური ძროხის სახის ქალღმერთის, ხატხორის სახელი, რომელიც ეგვიპტურად „ხორის სახლს" (*Ḥ.t Ḥr*, Wb III, 5) ნიშნავს. ცას წარმოიდგენდნენ ასევე, როგორც სახურავს, რომელიც ოთხ ბოძს ეჭირა ქვეყნიერების დასასრულში, ან ცისფერი წყლის დინებას მიწის თავზე. ეგვიპტელები ასხვავებდნენ ასევე დღის ცას, ღამის ცას, რომელიც გარდაცვლილთა სამყაროსთან და დატთან იყო დაკავშირებული, და მესამე ცას, რომელიც, ამოპირქვავებული, დედამიწას ქვემოდან ეკვროდა (*იხ. ნუნეტი*). მითები ზეცის წარმოშობის შესახებ მოგვითხრობენ დროზე, როცა მიწა და ცა გაერთიანებული იყო. სწორედ მათი გაყოფის შედეგად წარმოიშვა ცა (PT 1208). ჰელიოპოლისში უმნიშვნელოვანესად ითვლებოდა „ცის დღესასწაულები",



ცა, როგორც ძროხა

რომლებიც ახალი და ძველი მთვარის დღეებში ტარდებოდა (Kees, 1980, 225). ცის მნიშვნელობაზე ეგვიპტელის ფსიქოლოგიაში მეტყველებს ისიც, რომ ცის და მისი სხვადასხვა ნაწილის აღსანიშნავად ეგვიპტურ ენაში უამრავი სიტყვა არსებობს.

ცეცხლი — ცეცხლს ეგვიპტელები ორგვარად აღიქვამდნენ — როგორც დამანგრეველ, გამანადგურებელ ძალას და როგორც განმწმენდს და დაცვის საშუალებას. ცეცხლი ასოცირდებოდა მზესთან, ხორის თვალთან, რომელიც ანადგურებდა სიბნელეს და მასთან ერთად ბოროტ ძალებს, რომლებიც წყვდიადში არსებობდნენ, ამიტომ ის ტაძრის განსაწმენდად გამოიყენებოდა. რელიგიური ცერემონიების დროს და ახალი წლის ღამეს ტაძრებში ჩირაღდნებს ანთებდნენ. მნიშვნელოვანი იყო ცეცხლი გარდაცვლილთა კულტშიც. გარდაცვლილი თავს იცავდა ცეცხლით სიბნელისა და ღამის სულებისაგან (PT 605-6). „ცეცხლის დანთებისადმი" ცალკე თავია მიძღვნილი „მკვდართა წიგნში" (BD 137). მუმიის დამცველ სიმბოლოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ლამპარს და ჩირაღდანს. როგორც გამანადგურებელი ძალა, ცეცხლი ურეუსში ბუდობდა და მისი მატარებლის მტრებს ანადგურებდა. გამანადგურებელი ცეცხლით იყვნენ ასევე დაჯილდოებულნი საიქიო სამყაროს დემონები, რომლებიც ცეცხლს „აფურთხებდნენ" მოწინააღმდეგეს. საიქიო სამყაროს ძნელ გზაზე გარდაცვლილს ცეცხლოვანი ნაკადების გადალახვაც უწევდა (ორი გზის წიგნი).

ცეცხლოვანი კუნძული — ერთ-ერთი ეგვიპტური მითის თანახმად, მზის სამშობლო და დაბადების ადგილი იყო „ცეცხლოვანი კუნძული" (*lw nsrsr*; PT 265). ეგვიპტელის წარმოდგენით სად მდებარეობდა ეს კუნძული, დადგენილი არ არის. ჰერმოპოლისში ცეცხლოვანი კუნძული პირველქმნილი ღვთაების ადგილსამყოფელად იყო მიჩნეული, და ამდენად, ის შეიძლება „პირველყოფილი ბორცვის" იქაურ ვარიანტად ჩაითვალოს. თანდათან ჰერმოპოლისის ცეცხლოვანი კუნძული გადაეჯაჭვა მზის დაბადების ცეცხლოვან კუნძულს, და მას მოიხსენიებენ, როგორც ადგილს, „სადაც მზე წარმოიქმნა სამყაროს დასაწყისში, როცა მიწა ჯერ ნუნიდან გამოყოფილი არ იყო". გვიანდელი პერიოდის ტაძრების საკულტო ტოპოგრაფიულ ცხრილებში ცეცხლოვანი ადგილი მოხსენიებულია, როგორც წმინდა ადგილი ჰერმოპოლისში, სადაც იდგა საკრალური ხე, „აკაცია სუფთა სხეულით (Kees, 1980, 309-310).

ცის კიბე — პირამიდების ტექსტებში გარდაცვლილი ფარაონის ზეცაში აღზევების ერთ-ერთ საშუალებად ცის კიბე არის მოხსენიებული. ამ კიბეზე ასვლაში მას ხშირად ღმერთები ეხმარებიან (PT 751, 971, 390, 472, 2078-82). მკვდართა წიგნში ცის კიბე ნაკლებად ხშირად არის მოხსენიებული (BD149, 75; 98, 4).

ცხრა ღვთაება — *იხ. ენეადა*

ძაღლი — ძაღლის გამოსახულებები ეგვიპტეში ნაქადა II-ის პერიოდში ჩნდება (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 3500-3000 წწ.), თუმცა მოშინაურებული ძაღლების ძვლები უკვე მეხუთე ათასწლეულის სამარხებშია აღმოჩენილი. ძაღლებს იყენებდნენ ნადირობისას, პოლიციური და სამხედრო მიზნით, მაგრამ ხშირად უბრალოდ საყვარელი ცხოველი იყო, რადგან ძაღლები ხშირად არიან დასაფლავებული თავიანთ პატრონებთან, ხანდახან ერთ სარკოფაგში; ამას გარდა, ნაპონია მუმიფიცირებული ძაღლების სასაფლაოებიც. ძაღლთან დაკავშირებული იყო მიცვალებულთა ღვთაებებიც. ძაღლის სახე ჰქონდა აბიდოსის მიცვალებულთა ღმერთს, ხენტიიმენტიუს. თუმცა სხვა მიცვალებულთა ღმერთებს ზოგადად „მგლის ოჯახს" მიაკუთვნებენ, ბერძნები ასიუტს (უპუატის ქალაქს) ლიკონპოლისს, ან „მგლის ქალაქს" ეძახდნენ, მაშინ, როცა სხვა მგლის ოჯახის ცხოველების სახის ღმერთების ქალაქებს მოიხსენიებდნენ, როგორც კინოპოლისს, ან „ძაღლის ქალაქს" (Kees, 1980, 27).

ძველი სამეფო — პერიოდი არქაული (ადრედინასტიური) ეპოქის შემდეგ, როცა ეგვიპტური სახელმწიფოს ჩამოყალიბება საბოლოოდ დასრულდა. ტრადიციულად ძველი სამეფო III-VI დინასტიებს (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2575-2134 წწ.) მოიცავს, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი ძველი სამეფოს პერიოდად IV-VIII დინასტიების მონაკვეთს (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2575-2134 წწ.) მიიჩნევს (O'Connor and Silvermann (editors), 1994, XXIX-XXX). ძველი სამეფოს პერიოდი „პირამიდების ხანის" სახელით არის ცნობილი, მაგრამ ეგვიპტოლოგიაში მას „ეგვიპტის დიდების" ხანასაც უწოდებენ, რადგან მომდევნო პერიოდებში ეგვიპტე აღარასოდეს ყოფილა ისეთი განონასწორებული და დაცული, როგორც ამ დროს. ამ დროის ეგვიპტის ადმინისტრაცია ერთიან, საათივით აწყობილ მექანიზმს მოგვაგონებს, რომლის მწვერვალზე ზეღვთაება-ფარაონი, მთელი ამ სიმშვიდის და წესრიგის გარანტი მოიაზრებოდა. რიგით ეგვიპტელს არ ჰქონდა არც გა-

რეშე მტრის და არც შიდააშლილობის შიში, რაც ყველაზე კარგად იმდროინდელი ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ჩანს — ეგვიპტელი ბრძენი ზოგადსაკაცობრიო მორალური ნორმების დაცვაზე ლაპარაკობს, მაშინ, როცა შემდგომი პერიოდების დარიგებები საოცარი პესიმიზმით არის განმსჭვალული. ძველი სამეფოს პირამიდების გრანდიოზულობა არა მარტო იდეალურად აწყობილი სახელმწიფო მანქანის დემონსტრაციაა — რადგან მხოლოდ ასეთ სახელმწიფოში იყო შესაძლებელი მსგავსი გრანდიოზული პროექტების განხორციელება — ისინი თვალნათლივ მეტყველებს, რომ ქვეყნის უზენაესი ღვთაების, ფარაონის მსახურება ქვეყნის ძირითად მიზანს წარმოადგენა. მაგრამ IV-V დინასტიების მიჯნაზე ხდება უდიდესი ცვლილებები ქვეყნის იდეოლოგიაში — ფარაონი თანდათან უთმობს უზენაესი ღვთაების ტახტს მზის ღვთაებას, და თვითონ „მზის ვაჟიშვილად", ანუ მეორე თაობის ღვთაებად „გარდაისახება". ამ ცვლილებას ემთხვევა არა მარტო პირამიდების საოცარი შემცირება ზომაში, არამედ შენების ხარისხშიც. VI დინასტიიდან ამ მოვლენას ემატება ნომარქების საოცარი აღზევება და ფარაონის მიერ ძალაუფლების თანდათან დაკარგვა. ძველი სამეფოს დასასრულისათვის ეგვიპტე უკვე ფაქტობრივად ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენს, სადაც ყველა ნომს თავისი ნომარქი განაგებს (*იხ. ასევე* ფარაონები: *ჯოსერი, სნოფრუ, ხეოფსი, ხეფრენი, მენკაურა, შეპსესკაფი, უსერკაფი, სახურა, ნეფერირკარა, შეპსესკარა, ნეფერეფრა, ნიუსერრა, მენკაუხორი, ჯედკარა, უნისი, ტეტი, პეპი I და II, მერენრა).*

ძროხა — ძროხას განსაკუთრებული ადგილი ეკავა ეგვიპტის ცხოველების კულტებს შორის. ძროხის სახით ეგვიპტელები ცას ეთაყვანებოდნენ. ის იყო ასევე დიდი ქალღმერთების, ხატხორის და ისიდას ცხოველი. ანტიკური ავტორები ძროხის თაყვანისცემის სამ ძირითად ლოკალობას ასახელებენ — მომეფისს, აფროდიტოპოლისს და კუსას (Страбон, 17, 803/9). მომეფისის ძროხას მთელ ეგვიპტეში ეთაყვანებოდნენ, ის მესაქონლეობის მფარველად ითვლებოდა. მისი სახელი სეხატ-ხორი ითარგმნება, როგორც „ის, ვინც ხორს გვაგონებს". მის რძეს წოვდა ხორი, (PT 1375), ამიტომ ასოცირდებოდა ისიდასთანაც, თუმცა მისი ძირითადი ქალღმერთი ხატხორი იყო, რომელსაც მომეფისში საკუთარი კულტი ჰქონდა. ახალი სამეფოს დროს სეხატ-ხორი, რომელიც ხესატის ძროხასთან გააიგივეს, ახალგაზრდა მეფის გამომკვებად გვევლინება. იმავდროულად, ის ანუბისის

და საკრალური ხარების მნევისის და აპისის დედა ხდება. კუსას ძროხის შესახებ არაფერია ცნობილი. მას ცენტეტი ერქვა და ადგილობრივი ხატხორის საკრალური ცხოველი იყო. ძროხა გარდაცვლილისთვისაც ძალიან საჭირო ცხოველად ითვლებოდა — მათ არა მარტო საკვებს აწვდიდა, ზეცაში აღზევებაშიც ეხმარებოდა (PT 550, 1370, 1566; Roeder, 1915, 202). პირამიდების ტექსტებში ვხვდებით ასევე დიდ გარეულ ძროხას (*sm3.t wr.t*), რომელიც მეფის დედად გვევლინება (729, 1566, 2003).

ძროხის წიგნი — განეკუთვნება „იმქვეყნიური ლიტერატურის" სამეფო ნაწარმოებების რიცხვს. ყველაზე ძველი, ძალიან მოკლე ვარიანტი დაფიქსირებულია ტუტანხამონის სამარხში. შედარებით უფრო გრძელი ტექსტი აღმოჩენილია სეტი I-ის, რამსეს II-ის, რამსეს III-ის და რამსეს VI-ის სამარხებში და ასევე პაპირუსზე, რომელიც დღეს ტურინში ინახება (Pap. Turin Cat.1982). ახალი სამეფოს შემდეგ ძროხის წიგნი აღარ გამოიყენებოდა, თუმცა მოხდა მისი ინკორპორირება რომაული პერიოდით დათარიღებულ ე.წ. „ფაიუმის წიგნში". წიგნის ენა ამჟღავნებს გვიანი ეგვიპტურის გავლენას და ამდენად ნაწარმოები არ უნდა იყოს შექმნილი ტუტანხამონის მეფობამდე ბევრად ადრე. თავისი შინაარსით წიგნი შეიძლება დაიყოს ოთხ ნაწილად. ძროხის, როგორც ზეცის სიმბოლოს გარდა, აღსანიშნავია ასევე ორი ილუსტრაცია, რომელიც მესამე ნაწილს ერთვის და სადაც ნეხეხი (*Nḥḥ*) და ჯეტი (*Ḏ.t*) არიან გამოსახულები. ორივე დროის, უფრო კი მარადიულობის პერსონიფიკაციას წარმოადგენს (ეგვიპტურად ორივე სიტყვა „მარადიულობას" ნიშნავს (*nḥḥ*, Wb III, 319 და *ḏ.t*, Wb V, 506). გარკვეული ანალოგიის გამო ბიბლიური წარღვნის მოტივთან, ძროხის წიგნმა აღმოჩენის მომენტიდან მეცნიერების ინტერესი გამოიწვია. წიგნის პირველ ნაწილში მოთხრობილია იმ დროის შესახებ, როცა ღმერთები და ადამიანები ერთნაირად იყვნენ დაცული მზის ღვთაების მიერ და არ არსებობდა სიკვდილი. მზე არ მოგზაურობდა თავის ბარკაში, დღისით ზეცაში და ღამით მიწისქვეშეთში, რადგან არ არსებობდა არც ღამე და არც იმქვეყნიური სამყარო. მაგრამ დიდი რა მოხუცდა. მისი ძვლები გახდა ვერცხლი, მისი ხორცი — ოქრო, თმა კი ლილაქვა. ამიტომ ადამიანებმა, რომლებმაც იგრძნეს რას სისუსტე, გადაწყვიტეს აჯანყებულიყვნენ მის წინააღმდეგ. რამ გაიგო მის წინააღმდეგ შეთქმულების შესახებ და მოიხმო უძველესი ღმერთები — მზის თვალი, შუ, ტეფნუტი, გები, ნუტი, ოგდოადა და ნუნი, რომ ეკ-

ითხა მათთვის რჩევა, თუ როგორ დაესაჯა ადამიანები. ნუნმა, უძველესმა ღვთაებამ, ურჩია, ადამიანების დასასჯელად გაეგზავნა მზის თვალი — ხატხორი. ხატხორმა აჯანყებულები უდაბნოში იპოვა, დახოცა ისინი და შესვა მათი სისხლი. საბოლოოდ, რას მაინც შეებრალა ადამიანები, და გადაწყვიტა, ბოლომდე არ გაეჟლიტა ისინი. რადგან გამძვინვარებული ხატხორის შეჩერება შეუძლებელი აღმოჩნდა, რამ ბრძანა ელეფანტინადან წითელი ქვის ჩამოტანა. ჰელიოპოლისის მთავარმა ქურუმმა ქვა დაფქვა, და ფხვნილით შეღებეს შვიდი ათასი დოქი ლუდი. სისხლისფრად შეღებილი ლუდი მიწაზე დააქციეს, და ყველგან სისხლისფერი გუბეები დადგა. გამთენიისას, როცა ხატხორმა გაიღვიძა, ჩაიხედა სისხლისფერ ტბაში, ხარბად დაეწაფა მას, გაბრუვდა და დაიძინა. თუმცა რამ გადაარჩინა ადამიანების მოდგმა სრული განადგურებისაგან, ადამიანი მოკედავი გახადა. მიწაზე გაჩნდა სიკვდილი და ტკივილი. მეორე ნაწილში ნუნი უბრძანებს ნუტს, რომ ძროხად გადაიქცეს და რა ზეცაში აიყვანოს. რა, ზეციურ ძროხაზე ამხედრებული, ადის ზეცაში, რომელიც ამიერიდან ჰაერის ღვთაებას, შუს უნდა ეჭიროს. თავისი ახალი ადგილსამყოფელიდან რა ინყებს სამყაროს ახლებურად მოწყობას, და პირველ რიგში ქმნის საიქიოს, როგორც გარდაცვლილთა ადგილსამყოფელს. ის ასევე ქმნის სამოთხეს და ვარსკვლავებს. წიგნის მესამე ნაწილში სწორედ საიქიოს შექმნაა აღწერილი. აქ ასახლებენ სხვადასხვა სახის გველებს და სხვა საშიშ დემონებს, რომლებსაც გებმა, მიწის ღმერთმა უნდა უხელმძღვანელოს. წიგნის მეოთხე ნაწილი ძირითადად მაგიურ გამონათქვამებს და „ბას“ თეოლოგიას ეძღვნება. ნიგნში განსაკუთრებით ხაზგასმულია ფარაონის და რას „ნათესაობის“ მოტივი. რას აქვს სამეფო ტიტულატურა და მისი სახელი ფარაონის კარტუშშია ჩასმული. ფარაონი, როგორც რას ვაჟიშვილი და მისი მემკვიდრე, გარდაცვალების შემდეგ რას მსგავსად უნდა აღზევებულიყო ზეცაში ღვთაებრივ ძროხაზე ამხედრებული და მამას შეერთებოდა, რის შემდეგაც მას, როგორც ამას წიგნში ნუნი გვამცნობს, შეუძლია „დარჩეს ზეცაში დროის დასასრულამდე“ (Hornung, 1999, 148-151).

წინადინასტიური პერიოდი — ეგვიპტის ისტორიის საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთი ბინადარი კულტურების გაჩენიდან ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფოს შექმნამდე (დაახლ. 4500-3050 წწ. ჩვ.წ.-მდე), რომლის დროსაც ხდება მეტალის (ნაჭედი სპილენძის) გამოჩენა (Grimal, 1988, 23). წინადინასტიური არქეოლოგიის ფუძემდებელი იყო ინგლისელი არქეოლოგი ვ. მ. ფ. პეტრი, რომელმაც XIX ს. დასასრულს და XX ს. დასაწყისში გათხარა დაახლ. 3000 წინადინასტიური სამარხი ნაქადასა და ბალასთან სამხრეთ ეგვიპტეში და ყველაზე დიდი (ნაქადას) დასახლების მიხედვით ამ კულტურულ ფენას ნაქადას კულტურა (*იხ.*) უნოდა (Petrie and Quibell, 1896). პეტრიმ ასევე ქრონოლოგიურად დაყო ნაქადას კულტურა სამ პერიოდად იმ დასახლებების მიხედვით, სადაც შესაბამისი ფენის უმნიშვნელოვანესი მასალა იქნა მოპოვებული: ამრატიული, გერზეული და სემაინური. გასული საუკუნის II ნახევარში გერმანელმა მეცნიერმა ვ. კაიზერმა უმნიშვნელო ცვლილებებზე დაყრდნობით ნაქადას კულტურის სამ პერიოდს ნაქადა I, II და III დაარქვა (Kaiser, 1957). ნაქადას კულტურა მოიცავს ჩვ.წ-მდე დაახლ. 3800-3050 წწ (Bard, 1999, 23-25). დღეს ხმარებაშია როგორც პეტრის, ისე კაიზერის ტერმინოლოგია. მოგვიანებით, გასული საუკუნის ოციან წლებში სამხრეთში აღმოჩენილი იქნა კიდევ უფრო ადრეული ბინადარი კულტურა — ბადარიული (Brunton and Katon-Thompson, 1928). ცნობები ჩრდილოეთის კულტურაზე უფრო მწირია, რადგან დელტის შუაგული, რომელიც ეგვიპტეში ყოველთვის დასახლების ძირითად არეალს წარმოადგენდა, დღეს ან გრუნტის წყლების, ან თანამედროვე დასახლებების ქვეშაა. აქ უძველესია ფაიუმის A ჯგუფის კულტურა ფაიუმის ტბის მიდამოებში (დაახლ. ბადარიულის თანადროული), დასავლეთ დელტაში ნაპონია ქრონოლოგიურად შემდეგი მერიმდეს ვრცელი დასახლება და მაადის კულტურა დღევანდელი კაიროს სამხრეთით, რომელიც დაახლოებით გვიან გერზეულის (ნაქადა II) თანადროულად არის მიჩნეული. წინადინასტიურ, განსაკუთრებით კი ადრეწინა-

დინასტიურ პერიოდში ჩრდილოეთის კულტურა საგრძნობლად განსხვავდებოდა სამხრეთულისაგან მონოქრომული, ძირითადად არადეკორირებული კერამიკით, სამკაულების სიმცირით და უფრო ღარიბული მორთულობით; ასევე უფრო დიდი დასახლებებით და მიცვალებულთა დასახლებების შიგნით დაკრძალვით. წინადინასტიური პერიოდის დასასრულისათვის ნაქადას კულტურა, რომელიც თანდათან მიიწევს ჩრდილოეთით, ერთადერთი ხდება მთელი ეგვიპტის ტერიტორიაზე. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ თუმცა დელტას უფრო ფართო კონტაქტი ჰქონდა დასავლეთ აზიის თანადროულ კულტურებთან და იდეები და საქონელი ეგვიპტეში უფრო ინტენსიურად აქ შემოდიოდა, ადრედინასტიური ეგვიპტის ძირითადი კულტურული და პოლიტიკური ტრადიციის ფესვები სამხრეთ ეგვიპტეს უკავშირდება (Trigger, 2001, 27).

საიქიოს ჭიშკარი, რომელსაც ცეცხლისმფრქეველი გველები იცავენ.

ჭიშკრის წიგნი – მიცვალებულთა კულტის ლიტერატურის ნაწარმოები, რომელიც ახალი სამეფოს დროის ფარაონების სამარხებში ჩნდება. წიგნმა ჩვენამდე ყოველგვარი სათაურის გარეშე მოაღწია, მისი დასათაურება შინაარსის ლაიტმოტივის მიხედვით მოხდა. წიგნის შინაარსი მოგვითხრობს მზის ღვთაების და მასთან ერთად გარდაცვლილების ქვესკნელში ღამის მგზავრობის შესახებ, დასავლეთიდან აღმოსავლეთით. საერთო შინაარსით ის ამდუატის მსგავსია, მაგრამ აქ ძირითად სიძნელეს წარმოადგენს ჭიშკრების გადალახვა ყოველი საათის დასასრულს. მათ დემონები და ცეცხლის მაფურთხებელი გველები დარაჯობენ და ჭიშკრების გადალახვა, ყოველ შემდეგ საათს, მხოლოდ ვედრების და შელოცვების საშუალებით არის შესაძლებელი. წიგნში განსხვავებულია მზის ღვთაების „ანტურაჟიც". განსხვავებით ამდუატის უამრავი ღმერთისაგან, აქ ბარკაში მასთან მხოლოდ სია და ხეკა არიან. მზის ბარკის კაბინაზე, რომელშიც მზის ღვთაება ზის, შემოხვეულია მფარველი გველი (ის ყოველ საათში იცვლება). წიგნი ძირითადად ნახატებისაგან შედგება, ტექსტი ნახატების განმარტებას წარმოადგენს. მეხუთე და მეექვსე საათებს შორის მგზავრობის მონოტონურობას არღვევს ოსირისის დარბაზი, სადაც თავად ოსირისი ზის მაღალ ტახტზე, უფრო გვიანდელ პერიოდებში კი ფეხზე დგას. მის დარბაზში ხშირად გამოსახულია არა მზის ღვთაება, არამედ ფარაონი, რაც გარდაცვლილი ფარაონის ოსირისთან გაიგივებას ასახავს. წიგნის დასასრულს ნაჩვენებია მზის ამოსვლა პირველყოფილი წყლებიდან. ამდუატთან ერთად, ჭიშკრის წიგნი ახალი სამეფოს პერიოდის სამეფო მიცვალებულთა ტექსტების კრებულს წარმოადგენს. ყველაზე ძველი ტექსტი ნაპოვნია ხორემხების სამარხში და შემდეგ მისი მოთავსება ტრადიციული ხდება XIX და XX დინასტიის ფარაონთა სამარხების კედლებზე და სარკოფაგებზე. გვიანდელ პერიოდში ის ჩვეულებრივი მოკვდავების სარკოფაგებზეც თავსდება (Hornung, 1999, 55-76).

ხა – (ეგვ. *Ḥꜣ*, Kees, 1980, 464), ანთროპომორფული სახის დასავლეთის უდაბნოს ძალიან ძველი ღვთაება, ხანდახან გამოისახებოდა უდაბნოს ნიშნით თავზე. ეძახდნენ „დასავლეთის" ან „ლიბიელების ბატონს". სავარაუდოდ, ხას სამშობლო იყო მეშვიდე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი, რომელსაც გვიანდელი პერიოდის სატაძრო ცხრილებში „დასავლეთის ბატონის, ხას სახლი" (*Pr Ḥꜣ nb imnt*) ჰქვია (Montet, 1957, 70), მაგრამ მისი კულტი მთელ ეგვიპტეში გახდა პოპულარული. ხა ხანდახან იდგა ხორის ადგილზე მეფის განწმენდის რიტუალის დროს (PT 1013). როგორც „დასავლეთის ბატონს", მნიშვნელობა ენიჭებოდა გარდაცვლილების კულტშიც. ჰერაკლეოპოლისური პერიოდის სარკოფაგებზე მას დასავლეთის (უდაბნოს) მხარეს ათავსებდნენ. ითვლებოდა, რომ გარდაცვლილს შიმშილს უკლავდა.

ხაპი – 1. ხორის ერთ-ერთი ვაჟიშვილის სახელი, რომელიც ახალი სამეფოს დროიდან მაიმუნის თავით გამოისახებოდა. 2. ნილოსის და ნილოსის ღვთაების სახელი (ეგვ. *Ḥꜥpj*, Wb III, 42). ხაპი, როგორც ღვთაება, უფრო ნილოსის ადიდების, და არა თვითონ დიდი მდინარის პერსონიფიკაციად იყო მიჩნეული, და ამიტომ, ადიდების სიდიდის შესაბამისად, ხაპი შეიძლებოდა „დიდი" ან „პატარა" ყოფილიყო. გამოისახებოდა ანთროპომორფულად, თავზე წყლის მცენარეებით, განვითარებული მკერდით და დიდი მუცლით, რასაც მისი ნაყოფიერებისათვის უნდა გაესვა ხაზი. ითვლებოდა, რომ ხაპი ბინადრობდა გამოქვაბულებში ნილოსის ჭორომებთან. ხაპის ეძახდნენ „მდინარის ბატონს, რომელსაც მოსავალი მოაქვს". ის ასევე „ფრინველების და თევზების ბატონიც" იყო. თუმცა ნილოსის ადიდებაზე ქვეყნის კეთილდღეობა იყო დამოკიდებული, მას არ ჰქონდა საკუთარი ტაძრები, მაგრამ მისი ქანდაკებები და გამოსახულებები ბევრ ტაძარს ამშვენებდა (Hart, 2005, 61).

ხარგა — დახლასთან ერთად, ქმნიდა დიდ ოაზისს ლიბიის უდაბნოს სამხრეთში. ეგვიპტელები მას მოიხსენიებდნენ, როგორც „*wḥ3.t*" ("ოაზისი", Wb I, 347)), „*wḥ3.t rsj.t*" ("სამხრეთის ოაზისი", იქვე), დახლას და ხარგას ერთად კი „კენემეტს" (*knm.t*, Wb V, 133) ეძახდნენ. ბერძნები და რომაელები მოიხსენიებდნენ, როგორც „დიდ ოაზისს". ოაზისში ბევრია ნაყოფიერი მიწები, რომლებიც წყაროებით ირწყვება, და ის წინაისტორიული პერიოდიდან იყო დასახლებული, მაგრამ არქეოლოგიური მასალა მესამე გარდამავალ პერიოდზე ადრე ძალიან მწირია. ახალი სამეფოს დროს ხარგას ოაზისიდან ეგვიპტეში სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ღვინო შემოჰქონდათ. ხარგას ოაზისი ძალიან მნიშვნელოვანი იყო თავისი ტკბილი წყლის ჭების გამო, და ამიტომ აქ ყველა საქარავნო მარშრუტი გადიოდა. ოაზისის მთავარი ქალაქი ჰიბისი მის ჩრდილოეთ კიდეზე, ასეთი ჭების სიახლოვეს განვითარდა. ჰიბისის ტაძარი ოაზისის ყველაზე დიდი ტაძარია და წარმოადგენს ერთადერთ ნაკლებად დაზიანებულ ნაგებობას, რომელიც საისური და სპარსული პერიოდებიდან შემორჩა. ტაძრის აგება დაიწყო საისურ პერიოდში (XXVI დინასტია, სავარაუდოდ ფსამტიხ II-ის მეფობის დროს), და მისი მშენებლობა გააგრძელეს დარიუს I-მა, ჰაკორმა, ნექტანებოს I-მა და II-მ, და შესაძლოა, პტოლემაიოს IV-მ. ადგილზე ნაპოვნია ბლოკები, რომლებიც გვამცნობს, რომ ტაძარი უფრო ძველი, ახალი სამეფოს პერიოდის ტაძრის ფუნდამენტზეა აგებული. ტაძარი მიძღვნილია სინკრეტული ღვთაებისადმი, „ჰიბისის ამონისადმი" და „კარნაკის ამონ-რასადმი, რომელიც სახლობს ჰიბისში". ხარგას ოაზისში მდებარეობს ასევე რომაული პერიოდის ტაძარი (ჰიბისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით), რომლის ღმერთი ცნობილი არ არის, კასრ ელ-გუიეტას ტაძარი (ჰიბისიდან 17 კმ. სამხრეთით), რომლის ძველი ნაწილი XXV-XXVI დინასტიებით თარიღდება, მაგრამ მას შემდეგ აშენებდნენ ასევე დარიუს I და პტოლემაიოს III, IV და X. ტაძარი მიძღვნილია ამონის, მუტის და ხონსუსადმი (Bard (ed.), 1999, 406-407).

ხარი — ეგვიპტეში ხარის საკრალურ ცხოველად შერაცხვა უძველეს დროში მოხდა. საკრალური ხარების სასაფლაოები უკვე ბადარიულ ფენებშია ნაპოვნი (დაახლ. 4000-3600 ნნ., Brunton and Caton-Thomson, 1928, 12, 38, pl.10). ისტორიულ ეგვიპტეში აპისის, მნევისის და ბუხისის კულტის გვერდით უამრავი ლოკალური ხარის კულტებიც არსებობდა. ხარი სამი ქვემოეგვიპტური ნომის ნიშანი იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ძველად

მთავარი ღვთაების სახით ისინი ხარს ეთაყვანებოდნენ — მე-ექვსე ნომში ხასუს (*იხ. ქსოისი*), მეათე ნომში შავ ხარს კემ-ურს (*იხ. ათრიბი*), მეთერთმეტე ნომში კი ხესბუს და „დიდ ხარს", რომელსაც მინის დღესასწაულებზე დიდი როლი ენიჭებოდა. პირამიდების ტექსტებში გვხვდება ხარი ოთხი რქით, რომელიც ზეცის გზას დარაჯობს (PT 470). ხარი გარდაცვლილებსაც უკვალავდა გზას ზეცაში (PT 470, 914).

ХАРМАХИСИ — ფარაონ ხეოფსის სფინქსს გიზეში ახალი სამეფოდან ეთაყვანებოდნენ, როგორც „ხორს ჰორიზონტზე" (ეგვ. *Ḥr-m-ꜣḫ.t*, Wb III, 123; გრეციზირებული ფორმა — ხარმახისი). მას აღიქვამდნენ, როგორც რა-ხორახტის. პირველი ცნობები ამ კულტის შესახებ, რომელიც ბერძნულ პერიოდში საყოველთაო ხასიათს ატარებდა, ამონხეტეპ II-ის და თოტმესიდების დროით არის დათარიღებული.

ХАРСАФЕСОСИ — (ეგვ. *Ḥrj-s.f*, „ის, ვინც თავის ტბაზეა", Wb III, 135), ჰერაკლეოპოლისის (მაგნა) ღვთაება. გამოისახებოდა ადამიანის ტანით, ვერძის თავით და ფარაონის ჩაცმულობით. მიეკუთვნება ეგვიპტის დიდი და უძველესი ღმერთების რიცხვს. დაფიქსირებულია პალერმოს ქვაზე უკვე I დინასტიის დროს (Schäfer, 1902, 20). მისი აღზევება ჰერაკლეოპოლისურ პერიოდში იწყება (X-XI დინასტიები), როცა ჰერაკლეოპოლისი ქვეყნის დედაქალაქი, ხარსაფესოსი კი სამეფო რეზიდენციის და „ორივე ქვეყნის ბატონი" ღვთაება ხდება. სწორედ ამ პერიოდში მოხდა მისი გადახლართვა ოსირისსა და რასთან. შუა სამეფოს ჰიმნებში ის არის „ოსირისის ბა" და „აბიდოსის ბატონი", ამიტომ ოსირისის ატეფ-გვირგვინი მისი ატრიბუტია. მისი ატრიბუტები ხდება ასევე ურეუსი და მზის დისკო, რადგან ხარსაფესოსი ასევე გვევლინება, როგორც „რას ბა". უფრო გვიანდელ ტექსტებში ის მოხსენიებულია, როგორც ზეცის ბატონი, „რომელიც მინას ანათებს, მისი მარცხენა თვალი მთვარეა და მარჯვენა — მზე" (Kees, 1980 a, 346). ახალი სამეფოდან შეერწყა ამონსაც. ამ სინკრეტული გაერთიანებების გამო ხარსაფესოსის ორიგინალური ბუნება ბუნდოვანია. ბერძნებმა ხარსაფესოსი გააიგივეს ჰერაკლესთან, და ამიტომ მის მშობლიურ ქალაქს (ეგვ. *Nnnjs w.t*, Wb II, 272) ჰერაკლეოპოლისი დაარქვეს.

ХАСЕХЕМУИ — II დინასტიის ბოლო ფარაონი (დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXVII ს. დასასრული). სავარაუდოდ, წარმოშობით ჰიერ-

აკონპოლისიდან იყო, რადგან ძირითადი მასალა მის შესახებ სწორედ აქ არის მოძიებული. შესაძლოა ასევე, რომ მისი მეფობის დასაწყისში ჩრდილოეთში ტახტზე პრეტენზიას სხვა მეფეები აცხადებდნენ. ორი ქვის ლარნაკი და ორი მცირე ზომის ქანდაკება მოგვითხრობს მის ჩრდილოეთზე გამარჯვების შესახებ. ქანდაკებებზე, ჩრდილოეთზე გამარჯვების გარდა, მოცემულია მოწინააღმდეგის დაღუპულთა რაოდენობა (48 205 ადამიანი, Helck, 1968, 43; Quibell, 1900, pl.XXXIX, XLI). ლარნაკებზე ქალღმერთ ნეხბეტს (ზემო ეგვიპტის მფარველი და სიმბოლო) უჭირავს წრე, რომელშიც მოთავსებულია სიტყვა „აჯანყება" და მოთხრობილია „ჩრდილოეთთან ბრძოლის" შესახებ (Wilkinson, 2001, 91; Quibell, 1900, pl.XXXVI, XXXVIII). მიჩნეულია, რომ ამის შემდეგ მან შეიცვალა სახელი, რომელიც ადრე ულერდა, როგორც ხასეხემი (ეგვ. *ḫʿsḫm,* „ძალის ამობრწყინება"), და ხასეხემუი (ეგვ. *ḫʿsḫmwj,* „ორივე ძალის ამობრწყინება") გახდა (Helck, 1968, 43; Grimal, 2003, 56), თუმცა ადრე ეგონათ, რომ ეს ორი სხვადასხვა ფარაონის სახელები იყო (Emery, 1961, 98-103). როგორც „ხასეხემუიმ" მან თავის სერეხზე მოათავსა ხორის და სეტხის გამოსახულებები (როგორც „ხასეხემი", ის მხოლოდ ხორი „იყო"), რაც აღიქმება, როგორც ორი სხვადასხვა ღმერთის და მათი მიმდევრების შერიგების სიმბოლო. ამას ხაზს უსვამს ფარაონის ერთ-ერთი ეპითეტიც, „ორივე ბატონი მასში დაწყნარდა" (ეგვ. *Nbwj ḥtp ỉm.f*). ეს იყო მეორე და უკანასკნელი შემთხვევა ეგვიპტის ისტორიაში, როცა ფარაონმა თავი სეტხთან გააიგივა. მის შემდეგ, ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე, ეგვიპტის ფარაონი მიწაზე მოვლენილ ხორად იყო მიჩნეული. ჰიერაკონპოლისში მოძიებული სტელა მიგვანიშნებს მის ნუბიაში წარმატებულ ექსპედიციაზეც. ხასეხემუი არის პირველი ფარაონი, რომელიც წერილობით არის დაფიქსირებული ბიბლოსში. შესაძლოა, ამ ენერგიული ფარაონის დროს ახალ ელფერს იძენს უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაც, რადგან მის დროს ჩნდება წოდება „უცხო ქვეყნების ზედამხედველი" (ეგვ. *ỉmjr ḫ3st*), რომელიც, თავის მხრივ, უცხო ქვეყნების ეგვიპტური გავლენის ქვეშ მოქცევას გულისხმობს. ამ ვარაუდის გასამართლებლად მეტყველებს ქვის ბლოკი (სამწუხაროდ, დაზიანებული) ჰიერაკონპოლისიდან, უცხო ქვეყნების ჩამონათვალით. ბლოკზე მოთავსებული რიცხვები შეიძლება აღქმული იყოს, როგორც ხარკის გადათვლა ან დაღუპული მოწინააღმდეგეების რიცხვი (Wilkinson, 2001, 92). ხასეხემუიმ დატოვა ძალიან შთამბეჭდავი სამარხი აბიდოსში, სადაც პირველად არის გამოყენებული და-

მუშავებული ქვა (დასაკრძალი კამერის მოსაპირკეთებლად). მისი მოსახსენიებელი ტაძარი არის ასევე პირველი ამ ტიპის ნაგებობა, რომელიც აგურით (და არა ხის მასალით და ლერწმით) არის ნაგები. ხასეხემუი მიჩნეულია ადრედინასტიური პერიოდის ყველაზე ნაყოფიერ მშენებლად. მისი ფართო სამშენებლო მოღვაწეობის ნაშთები აღმოჩენილია ასევე ჰოერაკონპოლისში, გებელენში და ელ ქაბში (Helck, 1968, 44). დღემდე შემორჩენილია ხასეხემუის სამარხის გრანდიოზული აგურის კედელი (ცნობილი შუნეტ ელ ზებიბის სახელით). ხელოვნების საოცარ განვითარებაზე მეტყველებს მის სამარხში ნაპივნი ნივთები – ოქროთი გაწყობილი ქვის ლარნაკები, ბრინჯაოს ტაშტი და დოქი, და ძვირფასი ქვის, ოქროს ლენტებით მორთული კვერთხი (Wilkinson, 2001, 93). სავარაუდოდ, ხასეხემუიმ დაახლ. 25 წელი იმეფა (Helck, 1968, 44). მისი მეფობა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ზღვარს ეგვიპტის ისტორიაში, რადგან ამ არაორდინარული პიროვნებით, რომელმაც შეძლო ქვეყანაში წესრიგის აღდგენა და პოლიტიკური ვითარების რადიკალურად შეცვლა, დასრულდა არა მარტო II დინასტია, არამედ ეგვიპტური სახელმწიფოს ჩამოყალიბების ხანგრძლივი (400 წელზე მეტი) პერიოდი, რომელიც ადრედინასტიური პერიოდის სახელით არის ცნობილი.

ხატმეხიტის თევზი, როგორც ნომის ემბლემა

ხატმეხიტი – (ეგვ. *Ḥꜣ.t mḥj.t*, „თევზებიდან პირველი“, Wb II, 127), მენდესის ქალღმერთი, შესაძლოა უძველეს დროში იგივე სახელი ერქვა ნომს (*იქვე*). გამოისახებოდა ანთროპომორფულად, თევზით თავზე, თევზის სახეობა დღეს უცნობია. იყო მენდესის ვერძის მეუღლე. გვიანდელი პერიოდის ოსირისის მითში ეხმარება ისიდას ოსირისის ნაწილების მოძებნაში, რის გამოც ხდება მისი ისიდასთან გაიგივება. გვხვდება ასევე, როგორც ხატხორის ერთ-ერთი გამოვლინების ფორმა (Bonnet, 1952, 282).

ხატნუბი – (ეგვ. *Ḥ.t nb*, „ოქროს სახლი“, Wb II, 239), ალებასტრის სამტეხლოები შუა ეგვიპტეში, ელ-ამარნადან 18 კმ. სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნილოსიდან დაახლ. ნახევარი დღის სავალზე. ადგილზე აღმოჩენილი წარნერები და გრაფიტო მიუთითებს, რომ სამტეხლოებში უწყვეტად მიმდინარეობდა მუშაობა ძველი სამეფოდან (სავარაუდოდ ხეოფსის დროიდან) რომაულ პერიოდამდე. ხატნუბის სამტეხლოები ძალიან ხშირად არის მოხსენიებული ეგვიპტურ ტექსტებში, მაგრამ მათი

ადგილმდებარეობა უცნობი იყო 1891 წლამდე. ადგილი შემთხვევით აღმოაჩინეს ინგლისელმა ეგვიპტოლოგებმა ჰ. კარტერმა და პ. ნიუბერიმ, რომლებიც ამ მიდამოებში ეხნატონის სამარხს ეძებდნენ. მრავალი წარწერის გარდა, ხატნუბში აღმოჩენილია რამდენიმე საკმაოდ მოზრდილი დასახლება, სადაც ხელოსნები ცხოვრობდნენ ქვის სახლებში, და ასევე ქვის გზა, რომლითაც მოპოვებული ალებასტრის ბლოკები ნილოსამდე მიჰქონდათ. ხატნუბის წარწერები ძალიან საინტერესო მასალა აღმოჩნდა ეგვიპტური სამტეხლოების და მაღაროების ადმინისტრაციული აპარატის შესასწავლად. აქ იყო საკმაოდ რთული იერარქიული სისტემა, რომელიც მოიცავდა დაახლ. ოცდახუთ სახელმწიფო მოხელეს სხვადასხვა სახის მოვალეობის შესასრულებლად, თერთმეტ მაღაროს ზედამხედველს, რომელთაგან თითოეული თავის სპეციფიკურ სფეროს ხელმძღვანელობდა, და ხელოსნების და მუშების უზარმაზარ არმიას (Bard, 1999, 434-436).



ხატშეპსუტის ტერასებიანი მოსახსენებელი ტაძარი დეირ-ელ-ბაჰარიში

ХАТШЕПСУТИ – (ეგვ. *Ḥꜣt-špst*, „პირველი წარჩინებულ ქალბატონებს შორის"), ფარაონი-ქალი (XVIII დინასტია, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1473-1458 წწ.), თოტმეს I-ის ქალიშვილი „ღვთაებრივი მეუღლის", იახმესისაგან. თუმცა ეგვიპტის ფარაონის ინსტიტუტი მამაკაცზე იყო ორიენტირებული, მემკვიდრეობითობის კანონიერება ქალის ხაზით განისაზღვრებოდა, რაც ხშირად წარმოშობდა პრობლემებს. ეს პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა პირველი თოტმესიდების დროს, როცა ფარაონების რამდენიმე თაობას ვაჟიშვილი თავისი „ღვთაებრივი მეუღლისაგან" არ დარჩა. თვითონ თოტმეს I-ის ტახტზე ასვლის ლეგიტიმირება ამონხეტეპ I-ის ქალიშვილზე (ან დაზე), იახმესზე ქორწინებით მოხდა, რადგან თვითონ თოტმესი იყო ამონხეტეპ I-ის ვაჟიშვილი „მეორე რიგის" ცოლისაგან. მამაკაცი მემკვიდრე დედოფლისაგან არც თოტმეს I-ს დარჩა, და შემდეგი ფარაონი, თოტმეს II (თოტმეს I-ის და არასამეფო წარმოშობის ქალის, ნეფრუ-რას ვაჟიშვილი), ტახტზე თავის ნახევარ დასთან, ხატშეპსუტთან ქორწინების წყალობით ავიდა. აქაც იგივე განმეორდა: თოტმეს II-ს და ხატშეპსუტს ვაჟიშვილი არ ეყოლათ, ამიტომ მათი ქალიშვილი ნეფრუ-რა დააქორწინეს თოტმეს II-ის ვაჟიშვილზე, თოტმესზე (მომავალი თოტმეს III), ასევე არასამეფო წარმოშობის ქალის, ისიდასაგან. შესაძლოა, მოვლენები სხვაგვარად წარმართულიყო, რომ არა თოტმეს II-ის ნაადრევი სიკვდილი. მისი გარდაცვალების დროისათვის თოტმეს III ჯერ კიდევ ბავშვი იყო, და მისი დედინაცვალი ხატშეპსუტი, ასევე

ეგვიპტური ტრადიციის თანახმად, თოტმეს III-ის რეგენტი ხდება. ეს ჩანს იმდროინდელი მოხელის წარწერიდანაც, რომელიც გვამცნობს, რომ „ფარაონი აღზევდა ზეცაზე, მისმა ვაჟიშვილმა კი დაიკავა მისი ტახტი, როგორც ორივე ქვეყნის ხელმწიფემ. ღვთაების მეუღლე ხატშეპსუტი მართავს ქვეყანას და გადასახადებს მას უხდიან" (Grimal, 2003, 207). პირველი ორი წლის განმავლობაში ხატშეპსუტი არ ცდება თავის ფუნქციას, მაგრამ რეგენტობის მეორე ან მესამე წლიდან ტახტის უზურპირებას ახდენს, როგორც „ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე", თავს ეგვიპტის „მეფედ" აცხადებს და ფარაონის სრულ ტიტულატურას იღებს. თავიდან ის მეფობდა, როგორც ქალი-ფარაონი თავისი წინაპრის, სობეკნეფრუს მსგავსად, და ტიტულატურაში არ მიიღო ფარაონის უკვე ტრადიციულად ქცეული სახელი „ძლიერი ხარი". თანდათან, თავისი ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში, მისი ატრიბუტები სულ უფრო „მამრობითი" ხდება. ხატშეპსუტის, როგორც „მეფის" გამოსახულებები მამრობითი ატრიბუტებით (მაგ, ნვერით და ფარაონის სამოსით) არის „დამშვენებული" (Hornung, 1997, 296). ხატშეპსუტი თავის მეფობას თავისი „სუფთა" გენეალოგიით ამართლებს. ის საერთოდ „ივიწყებს", რომ იყო დედოფალი თოტმეს II-ის დროს, და აცხადებს, რომ თავის მემკვიდრედ მამამ, თოტმეს I-მა გამოაცხადა, რომლის დროსაც ის რეგენტის როლში იყო. თავისი მოსახსენიებელი ტაძრის კედლებზე დეირ ელ-ბაჰარიში მან მოათავსა თავისი დაბადების აღწერა, საიდანაც გვამცნობს, რომ დიდმა ამონმა აირჩია დედოფალი იახმესი, რომ მისთვის მომავალი მეფე, ხატშეპსუტი ჩაესახა (Shaw (ed.), 2003, 229). მან დაუკავშირა ერთმანეთს მამის და საკუთარი მოსახსენიებელი კულტები, რადგან თოტმეს I-ს დეირ ელ-ბაჰარის ტაძარში სამლოცველო აუგო. მას უნდოდა ასევე, რომ მამასთან ერთად, ერთ სამარხში ყოფილიყო დაკრძალული. თოტმეს I-ის სარკოფაგი ხატშეპსუტის სამარხშია აღმოჩენილი (KV 20), თუმცა თოტმესის კიდევ ერთი სარკოფაგი მის საკუთარ სამარხშიც (KV 38) არის ნაპოვნი. რადგან თოტმეს I-ის მუმია საბოლოოდ დეირ ელ-ბაჰარის ცნობილ სამალავში იპოვეს, დღეს ძნელია იმის თქმა, მოასწრო თუ არა ხატშეპსუტმა მამის საკუთარ სამარხში გადმოსვენება (Grimal, 2003, 209). თავისი მეფობის დროს ხატშეპსუტი ეყრდნობოდა რამდენიმე გამორჩეულ ადამიანს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურას სენმუტი წარმოადგენს. ქვეყნის შიგნით ხატშეპსუტი შუა სამეფოს ეგვიპტის პოლიტიკის რესტავრაციას ცდილობდა. საგარეო პოლიტიკაში მან ძირით-

ადი აქცენტი აფრიკაზე გადაიტანა და სრულ იგნორირებას უწ-ევდა XVIII დინასტიის მძლავრი ფარაონების მიერ მოპოვებულ აზიურ კოლონიებს. თავისი ხანგრძლივი მეფობის დროს ის ძირითადად გრანდიოზული მშენებლობებით იყო დაკავებული (განსაკუთრებით ცნობილია მისი ტერასებიანი ტაძარი დეირ ელ-ბაჰარიში). კარნაკის ტაძარში მან ააგო მერვე პილონი, აღმ-ართა ორი ობელისკი და მოახდინა მუტის ტაძრის რესტავრა-ცია. ბენი ჰასანთან მან აუგო კლდის ტაძარი ქალღმერთ პახეტს, რომელსაც ბერძნებმა არტემიდას ქვაბული (speos Artemidos) უწოდეს. აღსანიშნავია მისი ექსპედიცია პუნტში, რომელსაც დაწვრილებით აღწერს დეირ ელ-ბაჰარის ტაძრის კედლებზე. ეგვიპტიდან გაემგზავრა ხუთი გემი, რომლებმაც ჩამოიტანეს ეგზოტიკური ტვირთი: ძვირვასი ხე, საკმეველი, სპილოს ძვა-ლი, ჯუჯა საქონელი და მაიმუნები. ითვლება, რომ ხატშეპსუტი და თოტმეს III ქვეყნის პოლიტიკაში ორი საპირისპირო, ძველი და ახალი მიმართულების განსახიერებას წარმოადგენდნენ. ხატშეპსუტის ინტერესები ქვეყნის შიგნით იყო მიმართული, ის არ მოგვითხრობს ეგვიპტის სამხედრო გამარჯვებების შესახებ. თოტმესი იყო მხედართმთავარი, რომელმაც უზარმაზარი იმპე-რია შექმნა. ეს იყო კონფლიქტი ძველ და ახალ ეგვიპტეს შორის (Wilson, 1957, 174). ეგვიპტის ასეთი პასიურობა ხელს უმართა-ვდა მითანის სამეფოს, რომელიც იმ დროისათვის ძალზე მომ-ძლავრდა და თანდათან მოიწევდა დასავლეთისაკენ. ხატშეპსუ-ტის მეფობის დასასრულისათვის ეგვიპტეს მხოლოდ შარუხენი შემორჩა, მთელი დანარჩენი ტერიტორია მითანის სამეფოს ხელ-ში გადავიდა. ეგვიპტის მდგომარეობა მართლაც რომ კრიტი-კული გახდა, როცა მითანის მეფემ შეკრიბა უზარმაზარი ჯარი ეგვიპტეზე თავდასასხმელად. ის ეყრდნობოდა აგრეთვე 330 სირიელ მთავარს და ქადეშის მთავრებს. შესაძლოა, ეს საფრთხე აღმოჩნდა ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც საბოლოოდ გა-დაწყვიტა ხატშეპსუტის ბედი. ის ქრება არენიდან, თოტმესს კი (რასაკვირველია, ქურუმების ხელდასხმით), უკვე თავად ამონი „ირჩევს" ეგვიპტის მეფედ (Breasted, 1962, II, §§138-149). შეს-აძლოა, ხატშეპსუტი გარდაიცვალა, მაგრამ ნიშანდობლივია ისიც, რომ ხელმეორედ გამეფებიდან უკვე რამდენიმე კვირის შემდეგ თოტმესი ჯარს აზიისაკენ გაუძღვა. თოტმესს წინ ჰქონდა კიდევ მეფობის 33 წელი, და ამ წლების განმავლობაში მან ეგვიპტე ნუბიის და მცირე აზიის ერთპიროვნულ ბატონად გადააქცია (Grimal, 2003, 212).



ხატხორი ძროხის სახით

ხატხორი — ეგვიპტის ერთ-ერთი უდიდესი და ურთულესი ქალღმერთი, რომელიც მოიაზრებოდა, როგორც სიყვარულის, სილამაზის, დედობის, მუსიკის, ცეკვის და მხიარულების პერსონიფიკაცია. გამოისახებოდა მენატ-მძივით შემკული ძროხის სახით, რქებს შორის მზის დისკოთი, ან ანთროპომორფულად, თავზე მზის დისკოთი და ძროხის რქებით. გვიანდელ (ძირითადად ბერძნულ-რომაულ) პერიოდში ჩნდება მისი გამოსახულებები ქალის ტანით და ძროხის თავით. ხატხორი გამოისახებოდა ასევე, როგორც ქალის თავი ძროხის ყურებით და თავზე სისტრუმით. ხატხორის ეს სახე ჩვეულებრივ სვეტის კაპიტელის როლს ასრულებდა (Bleeker, 1973, 22). ზოგიერთი ვარაუდით, ძროხის გამოსახულება ნარმერის პალეტის თავზე ხატხორის უნდა იყოს, თუმცა დღეისათვის დაფიქსირებული ხატხორის უძველესი ტაძარი გებელენში მესამე დინასტიით არის დათარიღებული. მეოთხე დინასტიიდან ხატხორი ხდება უდიდესი ქალღმერთი, რომელიც ტოლს არ უდებს რას. ის არის მზის თვალი, ყველა ქალღმერთის უფროსი და ფარაონის ღვთაებრივი დედა (Lesko, 1999, 82). ითვლება, რომ მისი სახელი (ეგვ. *Ḥ.tḤr*, Wb III, 5), რომელიც ითარგმნება, როგორც „ხორის სახლი", ნიშნავს ზეცას (რადგან ხორის სახლი ზეცაა). ხატხორის სახელით ზეცა პირამიდების ტექსტებშიც არის მოხსენიებული (PT 1278, 1327). იმავდროულად, ძველი ტექსტის მიხედვით, ხატხორი ხორის დედა და ოსირისის მეუღლეა (PT 466) და ამ შემთხვევაში „ხორის სახლი" შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით იქნას გაგებული. პირამიდების ტექსტებში გაბნეული გამონათქვამებიდან აშკარაა, რომ ხატხორი მოიაზრებოდა, როგორც მთელი ენეადის პერსონიფიკაცია, და ამ თვალსაზრისით, ასევე ხორის დედა (Shafer (ed), 1991, 100). რას კულტის აღზევების შემდეგ ფარაონი, რომელიც ხორის მიწიერ განსახიერებად იყო მიჩნეული, რას ვაჟიშვილი გახდა. საჭირო იყო ქალღმერთი, რომელიც რას ცოლი გახდებოდა, და ქურუმებმა ამ როლისათვის ხატხორი შეარჩიეს. რას ცოლი უნდა ყოფილიყო ქალღმერთი, რომელიც მთელი ენეადის (ანუ მეფის ღვთაებრივი გენეალოგიის) პერსონიფიკაცია იქნებოდა, და ამიტომ ხატხორის სახელში „სახლი" შეიძლება ითარგმნოს, როგორც „გენეალოგია" და ასევე როგორც „საშვილოსნო", რადგან ხატხორი ხორის დედაც იყო. „ხორის სახლის" ადგილმდებარეობაზე თვითონ ეგვიპტური ტექსტები მოგვითხრობს: „ჩვენ აღვზევდებით ხორის სახლში, რომელიც არის ცაში" (PT 485). ამდენად, ხატხორი გახდა რას ცოლი, რომელსაც უნდა გაეჩინა და აღეზარდა ღვთაებრივი ბავშვი, ეგვიპტის მომავალი

ხატხორი

იეროგლიფი, რომლითაც ხატხორის სახელი გამოიყენებოდა: „სახლის" ან „ტაძრის" ნიშანში „ხორის" ნიშანია ჩასმული.

ფარაონი. და მართლაც, სატაძრო არქივების მონაცემებით, რა, ხატხორი და ხორი (ხაროერისი) ძველი სამეფოს ყველაზე დიდი ღვთაებები იყვნენ. ამავე პერიოდში დედოფალი, რომელიც, შესაძლოა, ხატხორის მიწიერ განსახიერებად მოიაზრებოდა, ხატხორის ქურუმის როლს ასრულებდა (Lesko, 1999, 83-85). ხატხორმა უძველეს დროში შთანთქა ეგვიპტეში ძალიან გავრცელებული ძროხის მრავალი კულტი, ამიტომ მისი კულტის წარმოშობის ზუსტი ადგილის დადგენა დღეს შეუძლებელია, მაგრამ ძველი სამეფოს დროს მისი თაყვანისცემის მთავარი ადგილი დენდერა იყო. აქ მისი კულტი გადაეჯაჭვა ედფუს ხორს, რომელსაც დენდერაში ტაძარი ჰქონდა. ყოველ ნელიწადს ხატხორი ორი კვირით „მიბრძანდებოდა" დენდერადან ედფუში, სადაც მისი ჩასვლის დღეს „ლამაზი ჩახუტების" დღესასწაული ტარდებოდა (Junker, 1917, 49, 116). მისი თაყვანისცემის მნიშვნელოვანი ადგილები იყო ასევე დიოსპოლის პარვა, კუსა, ატფიპი, აკორისი. ხატხორმა „შთანთქა" მრავალი ხის ქალღმერთი. ის „ფინიკის პალმის ქალბატონი" იყო, მემფისში კი, როგორც „სიკომორის ქალბატონი", გადაეჯაჭვა პტახს. ახალ სამეფოში რიტუალური პროცესიით პტახს მიაბრძანებდნენ სიკომორის ქალბატონთან, რომელიც მის ქალიშვილად ითვლებოდა (Breasted, 1962, IV, § 331). როგორც ხის ქალღმერთი, ხატხორი გარდაცვლილთა მშველელი იყო და მათ სასმელს აწვდიდა (CT II.199). ხატხორის, როგორც გარდაცვლილთა ქალღმერთის კულტი განსაკუთრებით ძლიერი იყო თებეში, თუმცა მას აქ ძროხის სახე ჰქონდა და „ხატხორს, ოქროს ძროხას" ეძახდნენ. ხატხორის კულტი გატანილი იყო ასევე სინაიზე და ნუბიაში. სინაიზე მას ახალი სამეფოს დროს აუგეს ტაძარი (სერაბიტ ელ-ხადიმში), და ეთაყვანებოდნენ, როგორც „ფირუზის" და „მალაქიტის ქალბატონს". იყო ასევე „ნუბიის" და „პუნტის ქალბატონი". ბერძნებმა ხატხორი აფროდიტასთან, რომაელებმა კი ვენერასთან გააიგივეს.

ხახის სიმბოლო (წლის აღმნიშვნელი იეროგლიფი)

ხატხორები — ახალი სამეფოდან ჩნდება „შვიდი ხატხორის" ერთობა, რომელიც შვიდი ძროხის, ან შვიდი ქალის სახით გამოისახებოდა. ითვლებოდა, რომ „შვიდი ხატხორი" მშობიარობას ესწრებოდა და ახალშობილის ბედს განსაზღვრავდა.

ხახი — (ეგვ. *Ḥḥ*, Kees, 1980, 464), ეგვიპტური ღვთაება, სივრცის და დროის უსასრულობის პერსონიფიკაცია. ეგვიპტელთა წარმოდგენით, ეკავა ზეცა, რის გამოც შუსთან იყო გადახლართული. თანდათან მოხდა მისი „გამრავლება" რვად, რადგან ით-

ელებოდა, რომ რვა ხახი ქვეყნის ოთხ ბოლოში იდგა და ზეცა ეჭირათ (*იქვე*, 226). ხახი გადაიხლართა ჰერმოპოლისის ოგდოადის უსასრულობის ღმერთთან, ხუხთან (Sethe, 1976, 200). მისი გამოსახულებით გამოინერებოდა სიტყვა „მილიონი", განსაკუთრებით „მილიონი წელი". მისი სიმბოლო წლის ნიშანი იყო. გამოისახებოდა ყოველთვის ანთროპომორფულად.

ხახი

ხებენუ — (ეგვ. *Ḥbnw*), მეთექვსმეტე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი. ქალაქისაგან აღარაფერია დარჩენილი, მაგრამ ცნობილია მისი მცირე ზომის ნეკროპოლისი თანამედრ. ზავიეტ ელ-მაიტენთან. ოდესღაც აქ სავარაუდოდ დიდი დაპირისპირება მოხდა ხორის და სეტხის მიმდევრებს შორის, რადგან ქალაქის და ნომის შევარდნის სახის მქონე ღვთაებას, რომელიც ხორს შეერწყა, ერქვა „ის, ვინც დაამარცხა მტრები ხებენუში" (Montet, 1961, 158). ხებენუ უმნიშვნელოვანეს ადგილად არის მოხსენიებული ასევე ფრთიანი დისკოს მითში (Roeder, 1915, 126). ეს იდეა აისახა ხებენუს ნომის ნიშანშიც, რომელიც ანტილოპას ზურგზე დამჯდარ ხორს წარმოადგენს (ანტილოპა, როგორც სეტხის ცხოველი, მტრის სიმბოლო იყო (Junker, 1917, 37).

ხებსედი — (ეგვ. *ḥbsd*, „სედის დღესასწაული", Wb III, 59), დღესასწაული, რომლის დროსაც ფარაონის მეფობის გაგრძელებას ზეიმობდნენ. „სედი" ღვთაება უპუატის ერთ-ერთი სახელი იყო (Shaw, 2003, 53). ხებსედი უკვე პირველი დინასტიის დროს ტარდებოდა (Wilkinson, 2001, 63), მაგრამ, მიუხედავად მისი ხშირი მოხსენიებისა ეგვიპტურ ტექსტებში, ბევრი რამ მის შესახებ ნათელი არ არის. შესაძლოა, მან შეცვალა რიტუალი, რომლის მიმდინარეობისასაც უძველეს დროში კლავდნენ მეფეს, რომელსაც სიბერის გამო მართვა აღარ შეეძლო. ხებსედის ჩატარების დროც არ არის ერთნაირი. ის გამეფებიდან ოცდამეათე წელს უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა უფრო ადრე ტარდებოდა, რადგან ხებსედი ჩატარებული აქვთ ისეთ ფარაონებს, რომლებსაც არ უმეფიათ ოცდაათი წელი (მაგ. ხატშეპსუტი, ამონხეტეპ I, II და IV, თოტმეს IV და სხვ.). მეორე და მესამე ხებსედი ჩვეულებრივ სამი ან ოთხი წლის ინტერვალით ტარდებოდა. ამ მხრივ მასალას იძლევა რამსეს III-ის ხანგრძლივი მეფობა. მისი ხებსედები ჩატარდა მეფობის 30-ე, 34-ე, 36-ე ან 37-ე, 40-ე, 43-ე, 46-ე, 54-ე, 57-ე და 60-ე წლებში. დღესასწაულის ორგანიზება უფლისწულებს ან უმაღლესი რანგის მოხელეებს (მაგ. ვეზირებს) ევალებოდათ. ხებსედი

ფარაონის რიტუალური რბოლა ხებსედის დროს

ალბათ ტახტის მემკვიდრის წარდგენასთანაც იყო დაკავშირებული. ეს იყო მრავალდღიანი დღესასწაული, რომლის დროსაც მეფისათვის თაყვანისსაცემად ჩამოდიოდნენ დიდგვაროვნები მთელი ქვეყნიდან და ჩამოჰქონდათ ღმერთების ქანდაკებები სხვადასხვა ქალაქის ტაძრებიდან. ხებსედთან დაკავშირებით საფუძველი ეყრებოდა ახალ ტაძარს (Bonnet, 1952, 159-160).

ხეკა – (ეგვ. *Ḥkꜣ*, Wb III, 177), ღვთაება, მაგიური ძალის (ეგვ. *ḥkꜣ*, მრავლობითში *ḥkꜣw*, Wb III, 175) და ღვთაებრივი ენერგიის პერსონიფიკაცია. ითვლებოდა საიდუმლო ძალად, რომელსაც არსებობის ფლუიდური ფორმა ჰქონდა და ზებუნებრივ ქმედებებს ჩადიოდა. მოიხსენიებოდა ხან ატუმის, ხან კი ხნუმის და მენხიტის შვილად. პირამიდების ტექსტები გვამცნობს, რომ ღვთაება, რომელიც ხეკას გადაყლაპავს, მისი ჯადოსნური ძალის მფლობელი გახდება (PT 397, 403 – 10). ხანდახან ხეკას აიგივებდნენ შემოქმედ ღვთაებასთანაც, განსაკუთრებით როცა ის, როგორც სიცოცხლის განახლების სიმბოლო, ბავშვის სახით იყო გამოსახული. ხეკა იყო ის ენერგია, რომლის გარეშეც სამყაროს შემოქმედების პროცესი შეუძლებელი იყო (Pinch, 1994, 10). ძველი სამეფოს დროს ითვლებოდა, რომ ხეკა ფარაონსაც გააჩნდა (Shafer (ed), 1991, 65). გარკვეული სიტყვების დახმარებით, ხეკას ძალის გამოყენება ადამიანებსაც შეეძლოთ. ამ სიტყვების ცოდნა ღმერთის საჩუქრად ითვლებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ამ გამონათქვამების ცოდნა გარდაცვლილთათვის, რომლებსაც მხოლოდ ზებუნებრივი, მაგიური ძალების დახმარებით შეეძლოთ არსებობის გაგრძელება (PT 924, 1318). ექიმები, რომლებიც მკურნალობის დროს მაგიურ შელოცვებსაც იყენებდნენ, ხეკას ქურუმებად ითვლებოდნენ. როგორც ყველა პერსონიფიკაცია, ხეკა ყოველთვის ანთროპომორფულად გამოისახებოდა.



ხეკეტი

ხეკეტი – (ეგვ. *Ḥkt*, Wb III, 169), ბაყაყის სახის ეგვიპტური ქალღმერთი, „ხერვერის (ანტინეოპოლისის) ქალბატონი“, სადაც მას ხნუმთან ერთად ეთაყვანებოდნენ. ითვლებოდა, რომ ეს ბაყაყის სახის ქალღმერთი (ბაყაყი ეგვიპტეში სიცოცხლის და წარმოშობის სიმბოლო იყო) ადამიანებს სიცოცხლეს ჩუქნიდა, ფორმას აძლევდა ჩვილს დედის საშოში და მშობიარობისას მფარველობდა მას. კუსში (აპოლინოპოლისი პარვა) ხეკეტი მეფის დედად გვევლინება (Junker, 1917, 34), ამიტომ „ღმერთის დედას“, „რას თვალს“, „ზეცის ქალბატონს“, „ღმერთების ქალ-

ბატონს“ ეძახდნენ. თანდათან მან უძველესი დედის სახელიც მოიპოვა, და ამ როლში გამოსახულია ხნუმთან ერთად, ფარაონის ღვთაებრივი დაბადების სცენებში დეირ ელ-ბაჰარის და ლუქსორის კედლებზე (Kees, 1980, 62). გამოისახებოდა ანთროპომორფულად, ბაყაყის თავით. მისი ატრიბუტი სიცოცხლის ნიშანი იყო.

ხემბისი — ბერძნები ეძახდნენ ხემბისს (ან ხემისს) კუნძულს ბუტოს ტაძრის მახლობლად. ეგვიპტური ტრადიციის თანახმად, ეს „მცურავი“ კუნძული იყო (ჰეროდოტე, II. 156). მისი ეგვიპტური სახელია *„ꜣḫbitj“*, (Wb I, 13), რაც შესაძლოა „ქვემო ეგვიპტის ხელმწიფის პაპირუსის ბარდებს“ ნიშნავს (Lloyd, 1993, 142). ამ კუნძულზე ისიდამ გააჩინა ხორი. იმისათვის, რომ სეტხს ჩვილისათვის არ მიეგნო, ქალღმერთმა უტომ ის მცურავ კუნძულად გადააქცია.



ხემსუტი ჩვილი ფარაონით

ხემსუტი — (ეგვ. *ḥmwš.t,* Wb III, 95), კას შესატყვისი მდედრობითი საწყისი. კას მსგავსად, ისინი სასიცოცხლო ძალების მაგიური დამცველები იყვნენ (PT 396). როგორც დამცველ და ბედის ქალღმერთებს, მათ, კას მსგავსად, ჩვილი ფარაონი ხელში ეჭირათ. ხემსუტის ატრიბუტი — ფარი და ორი გადაჯვარედინებული ისარი საისის ნომის ნიშანი იყო.

ხენტეხტაი — ათრიბის ღვთაების გრეციზირებული ფორმა (ეგვ. *Ḫntḫtj*, Wb III, 310, მნიშვნელობა უცნობია). ბუნდოვანია ასევე მისი პირვანდელი სახე. შუა სამეფოდან შევარდნის სახის ღვთაებაა. შეერწყა ხორს, ხორ-ხენტეხტაის სახით, მაგრამ შესაძლოა მისი პირვანდელი სახე ნიანგი იყო. ეს მოსაზრება ეხმაურება მკვდართა წიგნის 88-ე თავში მოხსენიებულ „ნიანგს ათრიბიდან“. ბერძნულ პერიოდში ხენტეხტაი უმნიშვნელოვანესი ღვთაებების რიცხვს განეკუთვნებოდა (Kees, 1980, 16).

ხენტი-იმენტიუ — აბიდოსის უძველესი გარდაცვლილთა და ნეკროპოლისების ღვთაება. ეთაყვანებოდნენ ძაღლის სახით. მისი ეგვიპტური სახელი *„Ḫntj-imntjw“* ნიშნავს „დასავლეთში მყოფთა (ე.ი. გარდაცვლილთა) წინამძღოლს“ (Wb I, 86), რაც ფაქტობრივად „გარდაცვლილთა მეფის“ ტოლია. შუა სამეფოდან აბიდოსში დაიწყო ოსირისის კულტის გავრცელება, რომელიც შეერწყა ხენტი-იმენტიუს ოსირის-ხენტი-იმენტიუს სახით და თანდათან მისი ადგილი დაიკავა (Mojsow, 2005, 21).

ხენტი-ირტი — (ეგვ. *Ḫntjnlrtj*, Wb.III, 306), შეკარდნის სახის ღვთაება, რომელსაც ლეტოპოლისში ეთაყვანებოდნენ. ძველი სამეფოს დროს შეერწყა ხორს ხორ-ხენტი-ირტის სახით (PT 2078). ამ ღვთაების თავისებურება იყო ის, რომ თვალების გარეშე გამოისახებოდა. შუა სამეფოს პერიოდის სამეფო პაპირუსზე ის სახის გარეშეც არის გამოსახული (Sethe, 1928, 250, Taf.5). ეს დაკავშირებულია მთვარის და მზის თვალთან და ლეტოპოლისის მდებარეობასთან ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, სადაც მზე და მთვარე ჰორიზონტზე „ქრებოდნენ". თვალებთან არის დაკავშირებული მისი სახელიც, რომლის ზუსტი თარგმანი ვერ ხერხდება, მაგრამ „*ir.tj*" ეგვიპტურად „ორივე თვალს" ნიშნავს (Wb I, 106). მისი კულტი ბუნდოვანია, თუმცა პირამიდების ტექსტებში დიდი ღვთაებების გვერდით არის მოხსენიებული (Junker, 1917, 67).

ხეოფსი — (ეგვ. *Ḫnmw ḫwj.f.wt*, „ხნუმი მიცავს", Wb III, 244;381, შემოკლებით — *Ḫwfw*, ხუფუ), IV დინ. მეორე ფარაონი, სნოფრუს და დედოფალ ხეტეპხერეს I-ის ვაჟიშვილი (დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2551-2528 წწ.), ყველაზე დიდი პირამიდის მფლობელი (სიმაღლე — 146, 59მ., კედლის სიგრძე — 230მ). ტურინის პაპირუსის მიხედვით იმეფა 23 წელი, მანეთონი ასახელებს 63 წელს, მაგრამ მის შესახებ ცნობები იმდენად მწირია, რომ არ არის ნათელი, რომელი წყარო უფრო სარწმუნოა. პალერმოს ქვაზე მის შესახებ ინფორმაცია შემორჩენილი არ არის (Grimal, 2003, 71). მისი მეფობის დროს კულმინაციურ წერტილს აღწევს არა მარტო პირამიდის ზომა, არამედ ფარაონის ღვთაებრიობა. ითვლება, რომ ხეოფსის მეფობა „ღვთაების მეფობის" უკანასკნელ ბრწყინვალე პერიოდს წარმოადგენს. უმაღლესი რანგის მოხელეებსაც კი ეკრძალებოდათ სამარხებში საკუთარი ქანდაკებების მოთავსება. ნებადართული იყო მხოლოდ გარდაცვლილის თავის გამოსახულების მოთავსება დასაკრძალი ოთახის შესასვლელთან. ამიტომ ვარაუდობენ, რომ ჰეროდოტეს (II, 124) ცნობა, რომ ხეოფსმა ბრძანა ყველა ტაძრის დახურვა და აკრძალა ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვა, სიმართლის მარცვალს შეიცავს (Helck, 1068, 53). ეგვიპტელების მომდევნო თაობებში ჩამოყალიბებული იყო ტრადიცია ხეოფსზე, როგორც უარყოფით ფარაონზე. ჰეროდოტეს (II, 126) ცნობით, მან საროსკიპოში გააგზავნა თავისი ქალიშვილი, როცა შემოაკლდა ფული პირამიდის მშენებლობისათვის. ქალიშვილი დანებდა მამის ბრძანებას, მაგრამ სთხოვდა ყველა მამაკაცს, რომელიც მასთან მიდიოდა,

მისთვის ერთი ქვა ეჩუქებინა. ამ ქვებით მან თავისთვის პატარა პირამიდა აიგო. ხანდახან არასახარბიელო სახელი, რომელიც ხეოფსმა ეგვიპტელებში მოიხვეჭა, მისი პირამიდის ზომით და მშენებლობასთან დაკავშირებული სიძნელეებით აიხსნება (Shaw, 2003, 89), მაგრამ ამ ვარაუდს ეწინააღმდეგება სრულებით საპირისპირო მოგონებები სნოფრუზე, რომელმაც მართალია უფრო მცირე ზომის, მაგრამ სამი პირამიდა აიგო. ბედის თავისებურ ირონიად არის მიჩნეული ისიც, რომ ეგვიპტის ყველაზე გიგანტური ნაგებობის მფლობელის მხოლოდ 9 სმ. სიმაღლის სპილოს ძვლის ფიგურა არის შემორჩენილი (Grimal, 2003, 71). მისი მეფობის ბრწყინვალებაზე მეტყველებს მისი პირამიდის აღმოსავლეთით აღმოჩენილი სამალავი ფარაონის დედის, ხეტეპხერესის უძვირფასესი ნივთებით და ავეჯით (Shaw, 2003, 89). ხეოფსი არის IV დინასტიის ბოლო ფარაონი, რომელმაც დატოვა წარწერა სინაიზე. შესაძლოა, მისი მეფობის შემდეგ სიტუაცია ქვეყანაში არ უწყობდა ხელს ხანგრძლივი ექსპედიციების მოწყობას. ფარაონი გამოყვანილია შუა სამეფოს დროის ცნობილ ლიტერატურულ ნაწარმოებში „ფარაონ ხეოფსის ვაჟიშვილების ზღაპრები" (Pap. Westcar, Коростовцев, 1978, 21-37), სადაც ერთ-ერთი ბრძენის წინასწარმეტყველებაში ასახულია მისი მეფობის დროს უკვე კარზე მომდგარი უდიდესი რელიგიური ძვრები. ისტორიულად, ამ ცვლილებების შედეგად მოხდა ახალი ღვთაების — რას აღზევება. ძალიან მალე ხეოფსის შემდეგ მზის ღვთაებამ დაიპყრო ქვეყნის უზენაესი ღვთაების ტახტი, რომელიც აქამდე ფარაონს ეკუთვნოდა.



ხეპერი

ХЕПРИ — (ეგვ. *Ḫprr*, მოგვიანებით — *Ḫprj*, Wb III, 267), ხოჭოს სახის (სკარაბეოსი) პირველქმნილი ღვთაება. ეგვიპტელთა წარმოდგენით ეს ხოჭო, რომელიც ნილოსის შლამში ცხოვრობდა, დედამიწის შემქმნელიც იყო (PT 199). მისი სახელი დაკავშირებულია სიტყვასთან „*ḫpr*", „ნარმოქმნა", „შექმნა" (Wb III, 260). ხეპრი ძალიან ადრე გახდა ატუმის გამოვლინების ერთ-ერთი სახე და მას საკუთარი კულტი არ ჰქონია. ატუმის და რას შერწყმის შემდეგ ბუნებრივად მოხდა რას და ხეპრის შერწყმაც, რის შედეგადაც ის ხტონიურიდან სოლარულ ღვთაებად გარდაიქმნა და ამომავალი მზის სახე მიიღო, რაც მისი არსებიდან და სახელიდან გამომდინარეობდა (PT 918, 1695). იმავდროულად, ხეპრი ნუტის შვილიც გახდა, რადგან ზეცის ქალღმერთი მზეს ყოველ დილას ხეპრის სახით შობდა. გამოისახებოდა როგორც ხოჭო, ან ადამიანის ტანით და ხოჭოს თავით.

ხერიხორი — (დაახლ.ჩვ.წ.-მდე 1080-1064), ამონის მთავარი ქურუმი თებეში რამსეს XI-ის დროს. მან დააარსა მმართველობის ინსტიტუტი, რომლის დროსაც ზემო ეგვიპტე ფაქტობრივად დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა (ელ-ჰიბეს ფორტამდე, ჰერაკლეოპოლისის სამხრეთით) და იმართებოდა კარნაკის ტაძრიდან ამონის მთავარი ქურუმის მიერ, რომელიც იმავდროულად ქვეყნის მთავარსარდალიც იყო. ამ საოცრად არაორდინარული ადამიანის წარმოშობა ბუნდოვანია. თუმცა ის თავად ეგვიპტურ სახელს ატარებდა, მისი შვილებიდან ხუთს ლიბიური სახელი ჰქონდა, და ამდენად შესაძლოა ის ლიბიური წარმოშობის იყო. მან ერთმა მოახერხა მოეპოვებინა ოთხი უმაღლესი თანამდებობა, რომლებიც ჩვეულებრივ ოთხ წარჩინებულ მოხელეს ეკუთვნოდა: ერთდროულად იყო ზემო ეგვიპტის ვეზირი, მეფის ნაცვალი ნუბიაში, ამონის მთავარი ქურუმი და „მთელი ეგვიპტის ჯარის წინამძღოლი" (Vernus and Yoyotte, 2003, 80). რამსეს XI-ის მეფობის მეცხრამეტე (ან მეჩვიდმეტე) წლიდან მან მოვლენების დათარიღება თავიდან დაიწყო. ეს მოვლენა დღეს ეგვიპტოლოგიაში „რენესანსის" სახელით არის ცნობილი (ეგვ. *Whm mś w.t,* „დაბადების გამეორება", Wb II, 141). კარნაკში, ხონსუს ტაძრის ჰიპოსტილურ დარბაზში რამსეს XI მოხსენიებულია, როგორც მეფე, ხერიხორი კი უმაღლესი ქურუმი, მაგრამ დარბაზის წინა ეზოს გალავანზე ხერიხორი უკვე „მეფეა", ფარაონის ხუთ ელემენტიანი ტიტულატურით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კარნაკის კედლის მიღმა, ოფიციალურ დოკუმენტებში, ის არასოდეს გამხდარა „მეფე". რენესანსის მეხუთე წელს ის აგზავნის ვინმე უნამონს ბიბლოსში ამონის ახალი ბარკისათვის ხის მასალის ჩამოსატანად. ჩრდილოეთში, ტანისში, უნამონს ხვდება არა რამსეს XI, არამედ ვინმე სმენდესი (შემდგომში ფარაონი), რომელიც მას გემზე აბინავებს. ეს ისტორია მიუთითებს, თუ რა მშვიდობიანად ჰქონდათ გაყოფილი ეგვიპტე ხერიხორს და სმენდესს. რენესანსის მეექვსე წელს ხერიხორს მოუხდა სეტი I-ის და რამსეს II-ის გადასვენება მათი მუმიების მძარცველებისაგან დასაცავად. რენესანსის მეშვიდე წელს ხერიხორი გარდაიცვალა (Kitchen, 1973, §§ 209-210). მისი მემკვიდრე ამონის მთავარი ქურუმის და ეგვიპტის მთავარსარდლის თანამდებობებზე, პიანხი, შესაძლოა მისი შვილი (Trigger et Al., 2001, 231) ან სიძე (Grimal, 2003, 311) იყო. ხერიხორის სამარხი ნაპოვნი არ არის.

ხერტი — (ეგვ. *Ḫrtj*, Wb III, 396), ვერძის სახის მქონე ღვთაება,

რომელიც ხშირად მოიხსენიება ადრე ძველი სამეფოს პერიოდის ტექსტებში და შუა სამეფოს თეოფორულ სახელებში, მაგრამ შემდგომში საკმაოდ იშვიათად გვხვდება. მისი კულტის სამშობლო ლეტოპოლისი იყო (Sethe, 1930, § 11). დაკავშირებული იყო ხენტი-ირტისთან (PT 1547). მოიხსენიებოდა, როგორც „ლეტოპოლისის ბატონი" (PT 1308). პირამიდების ტექსტებში გარდაცვლილთა ღვთაებაც არის (PT 445, 545) და ოსირისთან ერთად არის მოხსენიებული (PT 350, 1264). ხანდახან გარდაცვლილი ფარაონი ორივეს სთხოვს შველას („დამიცავი, ოსირისო! დამიცავი, ხერტი!" PT 534).

ხესატი

ხესატი — თეთრი ღვთაებრივი ძროხა. ზოგიერთი ტექსტის თანახმად, ანუბისის დედა. როგორც ოქროს ძროხამ, გააჩინა მეფე. იყო რძის ღვთაება, რომელიც ადამიანის წყურვილს აკმაყოფილებდა ღვთაებრივი სითხით, რომელსაც „ხესატის ლუდს" ეძახდნენ (Hart, 2005, 69).

ხეტეპეტი — საკულტო ადგილი, რომელიც, პირამიდების ტექსტების თანახმად, (PT 1210) ჰელიოპოლისის ჩრდილოეთით მდებარეობდა. აქ ეთაყვანებოდნენ ქალღმერთს, რომელსაც „ხეტეპეტის ქალბატონი" (ეგვ. *Nb.t Ḥtpt*) ერქვა და ძალიან ადრე მოიხსენიება, როგორც ატუმის ცოლი. ასევე ძალიან ადრე მოხდა მისი შერწყმა ხატხორთან, რომელიც, ზოგიერთი ვარაუდის თანახმად, ატუმის და რას გაიგივების შემდეგ რას ცოლი სწორედ ხეტეპეტთან შერწყმის წყალობით გახდა (Bulletin 2006, 19).

ხეტეპსეხემუი — (ეგვ. *Ḥtp-sḫmwj*, „ორივე ძალა მშვიდადაა", დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXVIIIს.), მეორე დინასტიის პირველი ფარაონი. რატომ დამთავრდა კაას გარდაცვალებით პირველი დინასტია, ნათელი არ არის. ცნობილია, რომ ხეტეპსეხემუიმ პატივი მიაგო თავის წინაპარს, რადგან ნივთები მისი საბეჭდავებით ბევრია აღმოჩენილი კაას სამარხის შესაწირი ოთახის მიდამოებში. თვითონ ხეტეპსეხემუიმ დაარღვია წინაპრების ტრადიცია. ის არის პირველი ფარაონი, რომელიც დაიკრძალა არა აბიდოსის, არამედ მემფისის ნეკროპოლისში. მისი უზარმაზარი სამარხი საქქარაში ცარიელი აღმოჩნდა. მისი მეფობის მცირე რაოდენობის არტეფაქტებიდან განსაკუთრებით ცნობილია ქურუმის, ვინმე ხეტეპდიეფის მცირე ზომის ვარდისფერი გრანიტის ქანდაკება, რომელიც, საეარაუდოდ, ხეტეპსეხემუის

და ორი მომდევნო ფარაონის გარდაცვლილთა კულტის ქურუმად მსახურობდა. პალერმოს ქვაზე მონაცემები მის შესახებ არ არის (Wilkinson, 2001, 83).

ხეფრენი

ხეფრენი — (იგივე ხაფრა, ეგვ. *Ḫᶜf-Rᶜ*, „აღზევდა, როგორც რა"დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2520-2494 წწ.), ხეოფსის ვაჟიშვილი, ტახტზე ავიდა თავისი ძმის, ჯედეფრას ხანმოკლე მეფობის შემდეგ. მისი მეფობის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. თვალში მოსახვედრია, რომ თავისი (სიდიდით მეორე) პირამიდა მან მამის პირამიდის გვერდით ააგო (სიმაღლე — 143,5 მ., კედლის სიგრძე — 215,25 მ.). მას ალბათ უნდოდა, ხაზი გაესვა მამასთან სიახლოვისათვის, რადგან შესაძლოა არ იყო კანონიერი მემკვიდრე, (ეგვიპტური ტრადიციის მიხედვით ტახტზე მისი ძმის, ჯედეფრას შვილი უნდა ასულიყო). ნებისმიერ შემთხვევაში, ხეოფსის გარდაცვალების შემდეგ დინასტიურ დავაზე მის ვაჟიშვილებს შორის არქეოლოგიური წყაროებიც მეტყველებს (*იხ. ჯედეფრა*). მიუხედავად დინასტიური დაპირისპირებისა, იდეოლოგიურად ხეფრენი ჯედეფრას ხაზს აგრძელებს, რადგან ის ასევე ეძახის თავს „რას ვაჟიშვილს" (Helck, 1968, 55). ამიერიდან ეს ფრაზა ფარაონის ტიტულატურის მეხუთე (და უკანასკნელი) შემადგენელი ნაწილი ხდება ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე. ხეფრენის პირამიდის კომპლექსში არის უნიკალური ელემენტი, რომელიც შემდეგ არსად აღარ მეორდება — გიგანტური სფინქსი (სიგრძე — 72 მ., სიმაღლე — 20 მ.), რომელიც, თავისი მდებარეობიდან გამომდინარე (მოსახსენიებელი ტაძრის ჩრდილოეთით, პირამიდისაკენ მიმავალ გზასთან), თითქოს მთელი კომპლექსის მცველად არის წარმოდგენილი. ხეფრენის სფინქსი ამ ტიპის ქანდაკების უძველესი ნიმუში და ძველი სამყაროს ყველაზე დიდი ქანდაკებაა. XVIII დინასტიიდან, როცა სფინქსი წარმოდგენილი იქნა, როგორც ხორის ადგილობრივი სახე (ხორემახეტი, ეგვ. *Ḥr-m-ꜣḫt*, „ხორი ჰორიზონტზე", ბერძნ. ჰარმახისი), მას ეთაყვანებოდნენ, როგორც ამ ღვთაებას და ამ მიდამოებში მისი თაყვანისცემის კულტიც ჩამოყალიბდა. სფინქსის წინ მდებარეობს იმ დროისათვის ასევე უნიკალური ნაგებობა ღია ეზოთი, რომელიც დღეს აღიქმება, როგორც უძველესი მზის ტაძარი (Malek in Shaw (ed), 2003, 91).

ხვლიკი — ხვლიკების სასაფლაოები ეგვიპტეში სხვადასხვა ადგილას არის ნაპოვნი. მათ, სავარაუდოდ, მიეწერებოდათ ისეთივე მშველელის ძალა, როგორც გარკვეულ გველებს,

რადგან მკვდართა წიგნის ნახატებში მათი გამოსახულებები მსგავს კონტექსტებში გვხვდება. ერთ-ერთ სარკოფაგში გველი და ხელიკი ერთადაც კი იყვნენ მოთავსებული (Berlin Inv.Nr.8846). როგორც მიცვალებულისადმი სასურველი ძალების მატარებელი, ის მიცვალებულთა წიგნის ილუსტრაციებშიც გვხვდება (Bonnet, 1952, 165).

ხიკე — *იხ. ხეკა*

ხის კულტი — ეგვიპტელთა წარმოდგენით, ხეებს სული გააჩნდათ. ხეების კულტის უკვე წინადინასტიურ დროში არსებობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ რამდენიმე ნომის ნიშანს სხვადასხვა ხე წარმოადგენს (Montet, 1961, 135, 184, 195). პირამიდების ტექსტებში ვკითხულობთ ორ სიკომორაზე, რომლებიც ზეცის აღმოსავლეთ მხარეს დგას (PT 1433), გარდაცვლილზე, რომელიც „ადის მაღალ სიკომორაზე აღმოსავლეთის ცაზე, სადაც ღმერთები სხედან" (PT 916) და სიკომორაზე, რომელიც ღმერთებს მფარველობს (PT 1485). მკვდართა წიგნში მოხსენიებულია ორი ფირუზის სიკომორა, რომლებიც დგანან ცის აღმოსავლეთ ჭიშკართან, საიდანაც ყოველ დილას მზე ამობრწყინდება (Kees, 1980, 84). პტოლემაიოსების დროინდელი ნომების ცხრილიდან ვგებულობთ, რომ თითქმის ყველა ნეკროპოლისს საკუთარი საკრალური ხეები და საკრალური ხეების ჭალები ჰქონდა. ეს იყო ძირითადად იშედის (ეგვ. *Išd*, Wb I, 136) და კეშებეტის (ეგვ. *Kbš*, Wb V, 118) ხეები (ჩვენთვის უცნობი ხეხილის ხეები), ქრისტეს აკაცია (ეგვ. *Nbš*, Wb II, 245), ნილოსის აკაცია (*šnd*, Wb IV, 520), ფინიკის პალმა (ეგვ. *imȝ*, Wb I, 79) და ტამარისკი (*išr*, Wb I, 130) ზემო ეგვიპტეში და სიკომორა (ეგვ. *Nht*, Wb II, 282) ქვემო ეგვიპტეში. იშედ-ხეს სიცოცხლის ხეს ეძახდნენ. ითვლებოდა, რომ რომ მის ფოთლებზე თოტი და სეშატი მეფის სახელს და მეფობის წლებს ნერდნენ, გარდაცვლილთა სულებს კი იშედის საკრალურ ჭალაში მოსვენება შეეძლოთ. გვიანდელ პერიოდში იშედის მსგავსი ფუნქცია ჰქონდა აკაციას, რომელიც სიცოცხლის და სიკვდილის საკითხს წყვეტდა. ხეების სულებთან გაიგივებული იყვნენ კოსმიური ღმერთებიც, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ხატხორი, რომელსაც სიკომორას და ფინიკის პალმის ქალბატონს ეძახდნენ.

ხის ქალღმერთი საკვებს ანუბის გარდაცვლილებს.

ხნუმი — (ეგვ. *Ḫnm.w*, Wb III, 381), უმნიშვნელოვანესი ვერძის სახის მქონე ღვთაება. ადრეული ძველი სამეფოს პერიოდამ-



ხნუმი

დე ამ ცხოველის სახით ეთაყვანებოდნენ, შემდეგ ძირითადად გამოისახებოდა, როგორც ადამიანი ვერძის თავით. ხნუმის ცხოველი — აფრიკული ნაირსახეობა ovis longipes paleoaegyptiacus, რომელიც ჰორიზონტალურად გაშლილი რქებით გამოიცნობა, უკვე შუა სამეფოს დროისათვის გადაშენებული იყო (Borchardt, 1910, 178). ხნუმის სახელის მნიშვნელობა და წარმოშობის ადგილი ბუნდოვანია, რადგან ხნუმს ეთაყვანებოდნენ მთელ ეგვიპტეში, მაგრამ საკულტო ადგილებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ელეფანტინა, ესნა, ჰიპსელისი, და ხერური (ეგვ. *Ḥr wr*), რომლის ადგილზე მოგვიანებით ანტინოე გაშენდა. სავარაუდოდ, ამ ადგილებში უძველესი დროიდან ვერძის სახის ღმერთების სხვადასხვა კულტი იყო, რომლებიც ხნუმმა ძალიან ადრე შთანთქა (Bonnet, 1952, 136). ხნუმს ორი ძირითადი ფუნქცია ჰქონდა: ის იყო ნილოსის წყლების ბატონი და იმავდროულად შემოქმედი ღვთაება. როგორც ეგვიპტისათვის სიცოცხლის მომცემი ნილოსის წყლების ბატონს, მას ელეფანტინაზე ეთაყვანებოდნენ, სადაც პირველ ჭორომთან დიდი მდინარის წყლები დიდ მორევს ქმნის. ეგვიპტელების წარმოდგენით, ეს იყო ერთ-ერთი ადგილი, სადაც ნილოსი მიწიდან მოჩქეფდა. ელეფანტინაზე ხნუმს „ჭორომის ბატონს" ეძახდნენ, რომელსაც ნილოსის ადიდება მოჰქონდა. ე.წ. „შიმშილის სტელაზე", რომელიც პტოლემაიოსების დროით არის დათარიღებული, მოთხრობილია თითქოსდა ფარაონ ჯოსერის (III დინასტია) დროინდელი ამბავი, როცა ნილოსი შვიდი წლის განმავლობაში არ ადიდდა. ქურუმებმა მოახსენეს ფარაონს, რომ ნილოსი მოედინება ორი გამოქვაბულიდან კუნძულ ელეფანტინას ძირში, და მხოლოდ ხნუმს შეუძლია გახსნას მათი ჭიშკრები. ფარაონმა დიდძალი მსხვერპლი შესწირა ღმერთს, რის შემდეგაც ხნუმი სიზმარში მოევლინა მას და აღუთქვა, რომ გამოქვაბულების ჭიშკრებს გახსნიდა (Коростовцев, 1976, 42). ამ რეგიონში ეთაყვანებოდნენ ტრიადას, რომელიც შედგებოდა ხნუმის და ასევე ნილოსის წყლებთან დაკავშირებული ორი ქალღმერთისაგან — სატეტი მის მეუღლედ, ანუკეტი კი მათ ქალიშვილად იყო მიჩნეული (Bonnet, 1952, 136). 1906 წ. ფრანგმა არქეოლოგებმა ელეფანტინაზე აღმოაჩინეს ბერძნულ-რომაული პერიოდის სასაფლაო, სადაც ვერძის მუმიები ქვის სარკოფაგებში იყო დაკრძალული (Коростовцев, 1976, 22). როგორც შემოქმედ ღვთაებას, ხნუმს ძირითადად ესნაში, ასევე ხერურში ეთაყვანებოდნენ. აქ მას სხვა მეუღლე — ბაყაყის სახის მქონე დაბადების ქალღმერთი, ხეკეტი ჰყავდა, მოგვიანებით კი ხეკე-



ხნუმის ვერძი

ხნუმი ძერწავს ფარაონს და მის კას მეთუნის ბორბალზე

ხნუმი

ტის ადგილს დიდი ქალღმერთი ნეიტი იკავებს. ხნუმს მოიხსენიებდნენ, როგორც „ფორმის მიმცემს, რომელიც სიცოცხლეს იძლევა", და „დიდ მეთუნეს". ითვლებოდა, რომ ხნუმი ძერწავდა ბავშვს, რომელიც მეფე უნდა გამხდარიყო. უკვე პირამიდების ტექსტებში (PT 1238, Badawi, 1937, 57) ფარაონი „ხნუმის ვაჟიშვილად" არის მოხსენიებული. ხატშეპსუტის ცნობილ დეირ ელ-ბაჰარის ტაძარში ხნუმი ქმნის არა მარტო ხატშეპსუტს, არამედ მის კასაც (Kees, 1980, 62). ხნუმი ძერწავდა ასევე ჩვეულებრივ ადამიანებს, ღმერთებს, ცხოველებს და მწერებსაც კი, თვითონ კი „თავისი თავის ხნუმი" იყო. ის იყო ასევე „მამების მამა, დედების დედა, ძიძების ძიძა". ის ბედის ღმერთის თვისებებსაც იძენს, რომელიც მშობიარობის ბედს წყვეტს (Badawi, 1937, 54; Roeder, 1915, 93). ესნაში ხნუმისადმი მიძღვნილი ტაძრის კედლებზე, რომელიც ბერძნულ-რომაულ დროში აიგო, ეკითხულობთ, რომ „ხნუმმა შექმნა ქალაქები, მინდვრები, შექმნა ორივე მიწა (ე.ი. ეგვიპტე), და მეთუნის ბორბალზე შექმნა ხალხი", რომ მიწა დაესახლებინა (Коростовцев, 1976, 99). დაახლ. გვიანი შუა სამეფოს დროს ხდება ხნუმის და რას შერწყმა ხნუმრას სახით. ეს ვერძის სახის ღმერთის კოსმიურ ღმერთთან პირველი დაახლოება იყო. შესაძლოა იმიტომ, რომ „*bꜣ*" ეგვიპტურად „ვერძსაც" და „ბასაც" ნიშნავდა, გვიანი ახალი სამეფოდან ელეფანტინას ხნუმი რას ბა ხდება, ჰიპსელისის ხნუმი — ოსირისის, ესნას ხნუმი — შუს, ხერურის (ანტინოეს) — გების. ამიტომ ხანდახან ხნუმი ოთხი თავით გამოისახებოდა და ის ზეცას (რა), მინას (გები), ჰაერს (შუ) და ქვესკნელს (ოსირისი) მოიცავდა (Kees, 1980, 437-438). ღამის მგზავრობის დროს რა ჩვეულებრივ ვერძის თავით გამოისახებოდა, რადგან ეგვიპტელის წარმოდგენით მიწისქვეშეთში რას სული ეშვებოდა (Pinch, 2002, 154).

ხოიაკის დღესასწაული — (ეგვ. *ḳꜣ ḥr ḳꜣ*, Wb V, 93), დღესასწაული, დაკავშირებული ოსირისთან. მისი მკვდრეთით აღდგომის ამბავი თანდათან გადაიჯაჭვა მოსავლის ყოველწლიურ მოწევასთან. ხოიაკის დღესასწაულის დროს ხდებოდა მარცვლის რიტუალური დათესვა. ახალი სამეფოს დროიდან ამისათვის სპეციალურად მზადდებოდა ოსირისის ფორმის ყალიბი, რომელსაც მიწით ავსებდნენ და მარცვალს ამ ყალიბებში თესავდნენ. რვა დღის შემდეგ ოსირისის სილუეტი ივსებოდა ჯეჯილით, რომელსაც განახლების სიმბოლოდ აღიქვამდნენ. დღესასწაული ტარდებოდა ნილოსის ადიდების სეზონის მეოთხე თვეს, როცა ნილოსის წყლები თანდათან უბრუნდებოდა

ჩვეულ კალაპოტს და ხვნა-თესვის დრო იწყებოდა. გვიანდელი პერიოდიდან ხოიაკის დღესასწაული ეგვიპტის უმნიშვნელოვანესი, შეიძლება ითქვას, ეროვნული დღესასწაული გახდა, რომელიც ქვეყნის ყველა ტაძარში ტარდებოდა. მარცვლის ოსირისის დამზადების გარდა, ტარდებოდა ე.წ. „კანოპების პროცესია". პროცესია შედგებოდა ორმოცდაორი ღვთაებისაგან, რომლებიც ორმოცდაორი ნომის პერსონიფიკაციას წარმოადგენდნენ, და რომლებსაც წინ ეგვიპტის დიდი ღვთაებები მიუძღოდნენ. პერსონიფიკაციებს მოჰქონდათ თავსახურიანი ლარნაკები (კანოპები) ოსირისის სხეულის ნაწილებით. რიტუალის დროს, მათი შეერთებით ოსირისის სხეულის „აღდგენა" ხდებოდა. დენდერას ტაძარში შემონახულია ტექსტები, რომლებშიც მოცემულია ზუსტი ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა დამზადებულიყო ეს ნაწილები. ამისათვის მზადდებოდა განსაკუთრებული ცომი, რომელიც სპეციალურ ხის ყალიბებში ცხვებოდა. დღესასწაული იწყებოდა ამ ნაწილების შეერთებით და ოსირისის დაკრძალვის და ხორის მეფედ კურთხევის ცერემონიებით სრულდებოდა (Assman, 2005, 363-364).

ხონსუ და მისი სიმბოლოები

ᴋᴏɴᴄᴜ – (ეგვ. *Ḫnśw*, Wb III, 300), ანთროპომორფული სახის მქონე მთვარის ღვთაება, ამონის და მუტის ვაჟიშვილი, რომელიც მათთან ერთად თებეს ტრიადას ქმნიდა. მისი თავის სამოსს ნახევარმთვარეზე მოთავსებული სავსე მთვარე წარმოადგენდა. ხანდახან გამოისახებოდა შევარდნის თავით, ან როგორც ბავშვი ახალგაზრდობის ნაწნავით. ხონსუს სახელი დაკავშირებულია ზმნასთან „*ḫnś*" (მოგზაურობა, მგზავრობა, Wb III, 299) და მთვარის ზეცაში გადანაცვლებასთან იყო ასოცირებული. ახალი სამეფოდან მას „მოგზაურს" ეძახდნენ (Bonnet, 1952, 141). ხონსუ მოხსენიებულია უკვე პირამიდების (PT 402) ტექსტებში და ძველი სამეფოს მემფისის ღმერთების სიებში (Kees, 1980, 354). ამ დროს ის საკმაოდ მძვინვარე ღმერთია, რომელიც ხოცავს დაბალი რანგის ღმერთებს და ჭამს გარდაცვლილთა გულებს. მოგვიანებით ასოცირებული იყო ბედთან და განსასჯელთან. ითვლებოდა, რომ მას ებარა „წლის დასასრულის წიგნი", სადაც ეწერა, ვინ უნდა მომკვდარიყო წლის განმავლობაში (Pinch, 2002, 155). როგორც მთვარის ღვთაება, იყო დროის ბატონი, რომელიც მეფეების და ადამიანების ცხოვრების წლებს განსაზღვრავდა. ხონსუ იყო მკურნალი ღვთაებაც, რადგან მისი მძვინვარე და „ბედის განმსაზღვრელის" თვისებები ბოროტი დემონების წინააღმდეგ გამოიყენებოდა. ამ ფუნქციაში მას ნეფერხოტეპს,

„მშვენიერ შემწყალებელს“ ეძახდნენ. რამსეს II-ის დროინდელ ე.წ. „ბენტრეშის სტელაზე“ მოთხრობილია ზღაპარი, სადაც რამსესი აგზავნის „ბედის განმსაზღვრელი“ ხონსუს ქანდაკებას შორეულ ბახტანში, რომ განდევნოს დემონი, ჩასახლებული მისი მეუღლის დის, პრინცესა ბენტრეშის სხეულიდან, რასაც ხონსუ წარმატებით ასრულებს (Roeder, 1915, 55, 169). თებეში ხონსუს, როგორც ამონის შვილს, ეძახდნენ „სახით მშვენიერს“. აქ იგი დაახლოებული იყო შუსთან და რასთან (ხონსუ-რა). ხონსუს ტაძარი კარნაკში, რომელიც რესტავრირებული იყო XX-XXI დინასტიების დროს, დღემდეა შემორჩენილი (Kees, 1980, 355).

ხონსუ შეკარდნის თაკით

ხორ-ახა — (ეგვ. *Ḥr-ʿḥ3*, „მებრძოლი ხორი“, Wb I, 216, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 3100 წ.), ფარაონი, რომელიც მეფობდა ნარმერის შემდეგ. ამდენად, თუ ნარმერი იყო იგივე მენესი, ხორ-ახა პირველი დინასტიის მეორე ფარაონია, მაგრამ შესაძლოა ხორ-ახა თვითონ იყო მენესი. ამ შემთხვევაში ნარმერი ნულოვანი დინასტიის ბოლო, ხორ-ახა კი პირველი დინასტიის პირველი ფარაონია. ამის სასარგებლოდ მეტყველებს ნაქადაში მოძიებული ფირფიტა, სადაც ხორ-ახას სახელის გვერდით გამოწერილია იეროგლიფი „*mn*“. იგივე იეროგლიფია გამოწერილი ხორ-ახას აბიდოსში მოძიებულ ფირფიტაზე. თუმცა შესაძლებელია, რომ ხორ-ახას ნარნერებში „*mn*“ იეროგლიფი მის წინაპართან მიმართებაშია ნახმარი. ყურადსაღებია ეგვიპტური ტრადიციაც, რომელიც ქვეყნის გაერთიანებას და მემფისის დაარსებას ერთი და იგივე ფარაონს უკავშირებდა. ხორ-ახა სავარაუდოდ იყო პირველი ფარაონი, რომელიც მეფობდა მემფისიდან, რადგან უძველესი ელიტარული სამარხი მემფისის ნეკროპოლისში, რომელიც დიდ მოხელეს, შესაძლოა თვითონ მეფის ძმას ეკუთვნოდა, სწორედ მისი მეფობით არის დათარიღებული (Emery, 1961, 36-37). ამ შემთხვევაში სწორედ მას უნდა მივანეროთ ქალაქის დაარსება და პტახის ტაძრის აგება. თუმცა ხორ-ახა აბიდოსის სამარხშია დაკრძალული, მან პირველმა აიგო თავისი მეორე სამარხი (კენოტაფი) მემფისის ნეკროპოლისში. მის დიპლომატიურ ალღოზე მეტყველებს საისში ნეიტის, ჩრდილოეთის უდიდესი ქალღმერთის ტაძრის აგება. მისი მეფობის დროს, როგორც ჩანს, სიტუაცია ქვეყანაში მოწესრიგებული იყო იმდენად, რომ მან შეძლო, ყურადღება მიეპყრო სამხრეთისათვის, სადაც ეგვიპტის საზღვარი ნილოსის პირველ ჭორომამდე გადაიტანა. მოძიებულია ასევე ფირფიტა ნარნერით ნუბიის (*Tštj. Petrie*, 1901, pl.III, 2) წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ. აბიდოსში ხორ-ახას სა-

მარხის სიახლოვეს აღმოჩენილია ასევე ვინმე ბერნერ-იბის (ეგვ. „გულით ტკბილი“) სამარხი, რომელიც, სავარაუდოდ, ხორ-ახას დედოფლად არის მიჩნეული (*იქვე*, 51). მათი სახელები ერთად არის მოთავსებული სპილოს ძვლის ზარდახშის ფრაგმენტზე. დიდ ელიტარულ სამარხში ნაქადაში, რომელიც სამეფო ოჯახის ქალბატონს, ნეიტხეტეპს ეკუთვნის, ასევე ნაპოვნია ხორ-ახას ფირფიტები, რაც საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ სამარხი სწორედ ხორ-ახამ ააგო, ნეიტხეტეპი კი მისი დედა და ნარმერის დედოფალი შეიძლება ყოფილიყო. მაგრამ თუმცა ხორ-ახას არტეფაქტები ნაპოვნია აბუ როაშში, ზავიეტ ელ არიანში, საქქარაში, ჰელვანში, აბიდოსსა და ნაქადაში, ის უფრო მწირად არის წარმოდგენილი, ვიდრე ნარმერი და ეგვიპტის გარეთ მასთან დაკავშირებული დღემდე არაფერია აღმოჩენილი (Wilkinson, 1999, 71). ხორ-ახამ, როგორც ჩანს, საკმაოდ დიდხანს იმეფა (შესაძლოა 63 წელი). მისი მეფობის დროს საგრძნობლად იხვეწება არქიტექტურა და ხელოვნება (Emery, 1961, 52).

ხორემხები – (ეგვ. *Ḥr-m-ḥb*, „ხორი ზეიმობს“, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 1319-130 წწ.), XVIII დინასტიის ბოლო ფარაონი. ხორემხების წარმომავლობა უცნობია, მაგრამ ითვლება, რომ უბრალო წარმოშობის იყო. მიაღწია უმაღლესი რანგის სამხედროს მდგომარეობას და ერთ-ერთ წამყვან როლს თამაშობდა ეხნატონის და ტუტანხამონის კარზე. აის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის ფარაონი ხდება. ტექსტში, სადაც მისი კორონაციაა აღწერილი, იგი თავად აღნიშნავს, რომ „მოღვაწეობდა, როგორც ეგვიპტის ვიცე-რეგენტი მრავალი წლის მანძილზე“ (Hayes, 1959, 308). მართლაც, ხორემხები საკმაოდ წინააღმდეგობრივი ფიგურაა, რადგან ცხოვრების დიდი ნაწილი ამარნაში, ეხნატონის კარზე გაატარა (Helck, 1968, 172), ტახტზე ასვლის შემდეგ კი გასაოცარი ენერგიით შეუდგა ეხნატონის რეფორმის შედეგების საბოლოო ლიკვიდაციას. ამიტომ ზოგი მეცნიერი მას XVIII დინასტიის ბოლო ფარაონად თვლის (O'Connor and Silverman, 1995, 3), ზოგი კი XIX დინასტიის დამწყებად (Helck, 1968, 180). იგი ასევე ერთადერთია ამარნასთან ასოცირებული ფარაონებიდან, რომელიც შთამომავლობამ ლეგიტიმურად აღიარა და შეიტანა მეფეთა სიებში, სადაც ის ამონხეტეპ III-ის შემდეგ არის მოხსენიებული. XIX დინასტიის ტექსტები ხორემხების გამეფების წლებს ეხნატონის გამეფებიდან ითვლიდნენ (Hayes, 1959, 309). ითვლება, რომ მან ეს აღიარება ფარაონის ძალაუფლების დიდი ნაწილის ქურუმების და სამოქალაქო სასამართლოებისათვის

გადაცემის ფასად მიიღო (Wilson, 1957, 239). ამ მხრივ აღსანიშნავია ხორემხების დეკრეტის ტექსტი, რომელიც მან კარნაკში აღმართულ დიდ სტელაზე მოათავსა. დეკრეტის მიზანი ქვეყანაში კორუფციის მოსპობა და წესრიგის აღდგენა იყო. ტექსტიდან ვგებულობთ, რომ წლების განმავლობაში ჯარისკაცები და მოხელეები უკანონოდ იყენებდნენ თავიანთ ძალაუფლებას „ღარიბების" და „რიგითი მოქალაქეების" წინააღმდეგ და რომ წესრიგის დამყარება სასამართლოებს დაეკისრა, სადაც ხორემხებმა გულდასმით შერჩეული ხალხი დანიშნა. მან გაათავისუფლა სასამართლოები გადასახადებისაგან (Breasted, 1962, III, §§45-67). ხორემხებმა საბოლოოდ დაანგრია ამარნა, სადაც შესაძლოა, ხალხი ჯერ კიდევ ცხოვრობდა, და გამოიყენა ატონის დიდი ტაძრის ბლოკები იმ ახალი პილონების მშენებლობაში, რომლებიც კარნაკის ტაძარში ააგო (Hayes, 1959, 309). იგი იმდენად იყო დაკავებული საშინაო საქმეებით, რომ არ ჩაუტარებია არც ერთი სამხედრო კამპანია აზიაში. რადგან რამსეს II-ის ხელშეკრულებაში ხეთებთან მოხსენიებულია ძველი ხელშეკრულებები, არსებობს ვარაუდი, რომ ხორემხებს ჰქონდა რაღაც სახის მოლაპარაკება ხეთებთან, სადაც მის დროს მურსილი III მეფობდა, რადგან მას სჭირდებოდა დრო ქვეყანაში წესრიგის დამყარებისათვის, ხეთებმა კი, რომლებსაც უნდოდათ, გაემყარებინათ თავიანთი გამარჯვება სირიაში, ყურადღება ჩრდილოეთ მესოპოტამიას მიაპყრეს და რაღაც დროის მონაკვეთის განმავლობაში ამ ორ იმპერიების მშენებელ სახელმწიფოს შორის მშვიდობა სუფევდა (Wilson, 1959, 239). ხორემხებს არ ჰყოლია შვილები, და თავის მემკვიდრედ მან შეარჩია ასევე სამხედრო, პა-რამსესი, წარმოშობით ტანისიდან, რომელიც ტახტზე ავიდა ხორემხების გარდაცვალების შემდეგ, როგორც რამსეს I (Helck, 1968, 181). ნებსით თუ უნებლიეთ, ამ არჩევანით მან ბიძგი მისცა ეგვიპტის ახალი დაპყრობითი ომების სერიას, რომლებიც რამსეს I-ის შვილის, სეტი I-ის მეფობით დაიწყო.

ხორი — (ეგვ. *Ḥr*, Wb III, 122), ეგვიპტის ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი შევარდნის სახის ღვთაება. შევარდნის ეგვიპტური სახელები იყო „ბიკ" (*bjk,* Wb I, 444), „შენებტი" (*šnb.tj,* Wb IV, 514), „ჩენეხერი" (*ṯnḥr,* Wb V, 384), „ჯერტი" (*ḏr.t,* Wb V, 596) და სხვ. უკვე სახელების ასეთი სიმრავლე მეტყველებს ამ ფრინველის პოპულარობაზე ეგვიპტეში. იგივეზე მეტყველებს შევარდნის უამრავი გამოსახულება, მოძიებული წინა- და ადრედინასტიურ ფენებში ეგვიპტის მთელ ტერიტორიაზე (James, 1960, 70;

ხორი ეგვიპტის ორმაგი გვირგვინით

ხორი შტანდარტზე – იერიგლიფი, რომელიც ხშირად „ღმერთის" დეტერმინატივად ან თვითონ სიტყვა „ღმერთის" გამოსანერად გამოიყენებოდა.

Petrie, 1939, pl. XXVII, no.18; Petrie, 1901, pl. XVI, 41b; pl.IV; Petrie, 1900, II, pl.XXI, no. 176; Sethe, 1897, 5; Baumgartel, 1955, 27 და სხვ.). ითვლება, რომ მაღალი და მოქნილი ფრენის გამო შევარდენი ეგვიპტელის ცნობიერებაში ცასთან იყო ასოცირებული. სავარაუდოდ, უძველეს დროში უამრავი შევარდნის ლოკალური კულტი არსებობდა, რომლებიც თანდათან „შთანთქა" ხორმა. უკვე პირამიდების ტექსტებში ამ კულტების გამოძახილს ვხვდებით იმ მრავალ ფორმაში, რომლებიც ხორს მიეწერება (PT 1478 b; 1993 c; 1668; 450; 201 a; 1293 a; 195 a, b; 296 a; 1087; 1384 b; 1411 a და სხვ.) ამგვარად, ხორი უკვე წინადინასტიურ დროში შეერწყა მრავალ შევარდნის სახის ლოკალურ ღვთაებას და ჯერ კიდევ ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებამდე სრულიად ეგვიპტური ღვთაება გახდა. თვითონ ღმერთის სახელი დაკავშირებულია ეგვიპტურ თანდებულთან „*ḥr*-", -"ზე", „ზემოთ" (Wb III, 131) და ზედსართავთან „მაღლა", „მაღალი" (*იქვე*, 133) და ითარგმნება, როგორც „შორეული" (Kees, 1980, 252) ან „ის, ვინც ზევითაა" (Kemp, 1991, 37). ხორის ლოკალური სახეები გვხვდება ეგვიპტის გარეთაც, ადგილებში, სადაც ეგვიპტური გავლენა არსებობდა. შესაძლოა, მისი ასეთი პოპულარობის მიზეზს ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ, მაგრამ ის არის ერთადერთი ღვთაება, რომელიც გამოკვეთილად არის დაკავშირებული მეფეებთან უკვე წინადინასტიურ პეროდში. ჰიერაკონპოლისში ნაპოვნ ნარმერის პალეტზე ნარმერის თავზე ხორია გამოსახული. „მებრძოლი ხორი" ერქვა მის შემდგომ (ან წინა) ფარაონს. სხვადასხვა მოსაზრებით, ორივე ფარაონი ან ნულოვანი დინასტიის ბოლო, ან პირველ დინასტიურ მეფეებად არის მიჩნეული. ითვლებოდა, რომ ეგვიპტის ფარაონი ხორის ტახტზე იჯდა და ხორის ერთ-ერთი გამოვლინება იყო, როგორც „ცოცხალი ხორი". ფარაონის „ხორის სახელი" ფარაონის რთული ტიტულატურის უძველესი კომპონენტია. ადრედინასტიურ პერიოდში ხორი ხშირად გამოისახებოდა ე.წ. „სერეხის" თავზე, რომელიც სამეფო სასახლის არქიტექტონულ გამოსახულებას წარმოადგენდა. ცარიელ კვადრატში სასახლის გამოსახულებას და ხორს შორის ჩვეულებრივ ფარაონის სახელი იყო ჩაწერილი. ეს მოტივი, რომელიც სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე, აერთიანებდა ხორს, ფარაონს და სასახლეს. ფარაონის ქანდაკების უკან ხშირად გამოისახებოდა ხორი, რომელიც შემოხვეული ფრთებით თითქოს მას იცავდა. რამესიდების პერიოდიდან ხორის გამოსახულება სამეფო გვირგვინის აუცილებელი ელემენტიც გახდა. ეს ყველაფერი

მიგვითითებს, რომ ეგვიპტელი ფარაონს წარმოიდგენდა, როგორც ხორს საკუთარ სასახლეში (Shafer (ed.), 1991, 69). ამგვარად, ხორის დაკავშირება სამეფო ძალაუფლებასთან ჯერ კიდევ წინადინასტიურ ეგვიპტეში მოხდა და ეს კავშირი ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელებამდე არ დარღვეულა (Kees, 1980, 194). დაახლ. მეოთხე დინასტიიდან ჰიერაკონპოლისმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა, როგორც მსხვილმა ქალაქმა, რადგან მისგან თხუთმეტი კმ. დაშორებით სწრაფად დაინყო ზრდა ახალმა ურბანულმა ცენტრმა — ედფუმ. თუმცა ჰიერაკონპოლისის ხორის ტაძარმა ბოლომდე შეინარჩუნა თავისი მნიშვნელობა და მისი რესტავრირება შუა და ახალი სამეფოების დროსაც მოხდა, უფრო დიდი ქალაქის, ედფუს (ბეხდეტის) ხორის კულტმა თანდათან დაჩრდილა ჰიერაკონპოლისის (ნეხენის) ხორი. სავარუდოდ, ბეხდეტშიც უძველეს დროში არსებობდა შევარდნის სახის ღვთაების კულტი, რომელიც ადრე შეერნყა ხორს (Kemp, 1991, 39-41). ბეხდეტელი ხორი ხორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლოკალური ფორმა გახდა, ის გამარჯვებული გმირის და მეფის დამცველის სიმბოლო და ცის ბატონი იყო. ბეხდეტელი ხორის მეუღლე იყო ხატხორი (დენდერადან), მათი შვილი კი — ასევე ხორის ერთ-ერთი გამოვლინება — ხორსემატაუი — „ხორი, ორი ქვეყნის გამაერთიანებელი" (*Ḥr smꜣ tꜣwj*, Wb III, 123). ედფუს ხორის სიმბოლოს ფრთოსანი დისკო ან სკარაბეოსი წარმოადგენდა (Коростовцев, 1976, 52). ედფუს ტაძრის კედლებზე მოთავსებულია მითი ბეხდეტელი ხორის შესახებ, რომელსაც რელიგიური დრამის სახე აქვს და რომელიც თავისი მოცულობით და მნიშვნელობით აღემატება ამ ჟანრის ყველა ეგვიპტურ ნანარმოებს. დრამა თამაშდებოდა ყოველ წელს ზამთრის მეორე თვის — მეხირის ოცდამეერთე დღეს. მითის თანახმად, ბეხდეტელი ხორი თან ახლავს რა-ხორახტის და მის ურიცხვ ჯარს ნუბიაში, ანადგურებს მტერს, რომელსაც სეტხი მოუძღვის. მას უერთდება ხორი-ისიდას შვილი და ისინი ერთად სდევნიან მტერს (Fairman, 1935; Fairman and Blackman, 1942, 1943, 1944). ბეხდეტელი ხორი მიწაზე მოქმედი ფარაონის ზეციურ არქეტიპად წარმოიდგინებოდა და ითვლებოდა, რომ ის ეგვიპტეს ყველა გარეშე მტრისაგან იცავდა. მტრების განსახიერებას ედფუში სეტხი წარმოადგენდა. ტაძრის კედლებზე მოთავსებულ მრავალ გამოსახულებაზე ხორი ამარცხებს სეტხს, რომელსაც აქ ვირის, ბეჰემოტის ან ნიანგის სახე აქვს. გვიანდელ პერიოდში ბეხდეტელი ხორი ეგვიპტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღვთაება გახდა. მისი სიმბოლო — ფრთოსანი დისკო, რომ-

ხორი მზის დისკოთი

ლის უძველესი გამოსახულება წარწერით „მშვენიერი ღმერთი, ორივე მიწის მფლობელი" V დინასტიით თარიღდება, გადაიქცა ღვთაებრიობის საყოველთაო სიმბოლოდ, რომელსაც ყველა ტაძრის შესასვლელის თავზე ათავსებდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებით ნეხენის ხორისაგან, ბეხდეტელი ხორი არ არის მოხსენიებული პირამიდების ტექსტებში. როცა VI დინასტიიდან ოსირისის კულტის აღზევება დაიწყო, ხორი გახდა ისიდას შვილი, რომელმაც სეტხთან ორთაბრძოლაში მამაზე შური იძია. ხარსიესესს (ეგვ. *Ḥr-sꜣ-Ꜣ.t*, Wb III, 123, „ხორი, ისიდას შვილი") ოსირისის მითში უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. ხარსიესესი, რომელსაც ისიდა უკვე გარდაცვლილი ოსირისისაგან ჩაისახავს, იზრდება, ამარცხებს სეტხს, შურს იძიებს მამაზე და ეგვიპტის მეფე ხდება. ხარსიესესთან დაკავშირებული იყო ხარპოკრატოსიც (ეგვ. *Ḥr-pꜣ-ḫrd*, ხორი-ბავშვი, Wb III, 123). ახალი სამეფოდან მისი კულტი ძალიან პოპულარული ხდება, ბერძნულ-რომაულ დროში კი ის ყველაზე პოპულარული ხალხური ღვთაებაა. მის უამრავ გამოსახულებაში არის ისეთებიც, სადაც სამეფო გვირგვინებით და ურეუსით არის შემკული. ასეთ შემთხვევებში ხარსიესესთან არის გაიგივებული. ამგვარად, თანდათან ხდება მრავალი ხორის კულტის ურთიერთგადაჯაჭვა და შერწყმა, ხორის, როგორც სრულიად ეგვიპტური ღვთაების მდგომარეობა კი უფრო ძლიერდება. მართალია, ოსირისის მითში შეღწევამ გენეალოგიური არეულობა გამოიწვია, რადგან ხორი, როგორც ეგვიპტის ხელმწიფე, რას (და არა ისიდას და ოსირისის) ვაჟი იყო და ამდენად ხორის, ისიდას და ოსირისის ვაჟისაგან (ხარსიესესი) განსხვავებისათვის მას ხაროერისს (ეგვ. *Ḥr-wr*, „უფროსი ხორი", Wb III, 123) ეძახდნენ, რაც აბსოლუტურად მისაღები იყო ეგვიპტელისათვის, რომელსაც ბევრი მრავალსახიანი ღვთაება ჰყავდა. ხაროერისი XVIII დინასტიიდან არის დაფიქსირებული და ერთგვარად ავლებს ზღვარს ძველ ხორსა და ხარსიესესს შორის. ხაროერისი, სამეფო ტიტულატურის თანახმად, რას შვილი იყო. ტურინის სამეფო პაპირუსში ეგვიპტის უძველეს, ღმერთების დინასტიაში ორივე ხორის მეფობაა დაფიქსირებული, ჯერ „უფროსის", შემდეგ კი „უმცროსის" (Kees, 1980, 380). ხორი, როგორც ეგვიპტის ხელმწიფე, ბუნებრივად უნდა ყოფილიყო ორივე ეგვიპტის გამაერთიანებელი. მისი, როგორც ორივე მიწის გამაერთიანებლის სახე, ხარსომტუსი (ეგვ. *Ḥr-smꜣ-tꜣwj*, Wb III, 123), ძველი სამეფოდან გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით ხშირად ის XVIII დინასტიიდან არის მოხსენიებული. ჰელიოპოლისში ხორი ძველ

ტექსტში ატუმის შვილად გვევლინება (PT 874-81), მაგრამ ის არ გამხდარა ენეადის წევრი, თუმცა აქაც არსებობდა მისი ლოკალური კულტი ხორახტის (ეგვ. *Ḥr-ꜣḫtj*, „ჰორიზონტის ხორი", Wb III, 123) სახით. რას კულტის აღზევების შემდეგ მოხდა მისი გაიგივება დღის მზესთან (რა-ხორახტი), და მან რას გამოვლინების ერთ-ერთი სახე მიიღო (Kees, 1980, 152). ხორი იყო ასევე კოსმიური ღვთაება, თავისი ფრთებით მიწაზე გადაფარებული ზეცის სიმბოლო, ცის და სინათლის ღვთაება, რომლის თვალები მზე და მთვარე იყო, რადგან შევარდნისათვის ზეცა ბუნებრივი სამყოფელია. ამგვარად, ხორი, კოსმიური ღმერთი, გადაჯაჭვული სამეფო ძალაუფლებასთან, იყო ასევე მამაზე შურის მაძიებელი, რომელმაც ბრძოლაში მოიპოვა მამის სამეფო ტახტი. ყველა ამ ფუნქციიდან გამომდინარე ხორი იმდენად მნიშვნელოვან მდგომარეობას იხვეჭს, რომ დამწერლობაში მისი შტანდარტზე მოთავსებული გამოსახულება ზოგადად „ღმერთის" ნიშანი ხდება.

ხორი და სეტხი — ალუზიები ხორის და სეტხის ორთაბრძოლაზე მრავლად არის გაბნეული ეგვიპტის რელიგიურ ტექსტებში. სხვა რელიგიური ტექსტები მოგვითხრობს მათი ჰარმონიული თანაცხოვრების შესახებ ეგვიპტურ პანთეონში. ამ ორი განსხვავებული შინაარსის ტექსტებში აირეკლა მათი ურთიერთობის სხვადასხვა პერიოდი, კონფლიქტამდე და მის შემდეგ. მითოლოგიურ დონეზე ხორის და სეტხის ორთაბრძოლაში ერთი მხრივ წარმოჩენილია ბუნების კონფლიქტი, სადაც ერთმანეთს ებრძვიან ნილოსის დაბლობის ნაყოფიერი მინა („კემეტი", ეგვიპტე, შავი მიწა) და მეორე მხრივ, უნაყოფო უდაბნოს ცხელი ქვიშა ("დეშერეტი", „წითელი მიწა"), ან ნილოსის დოვლათის მომტანი ადიდება (ოსირისი) და არასასურველი, გამანადგურებელი შტორმი (სეტხი). მაგრამ სხვა დონეზე ესაა ბრძოლა ორ ანთროპომორფულ მემკვიდრეს შორის, რომელშიც აირეკლა ჩრდილოეთის და სამხრეთის (ან სამხრეთის სხვადასხვა ნაწილების) ბრძოლა მთელ ეგვიპტეზე ბატონობისათვის. შესაძლოა, ეს იყო მითი, რომელსაც უნდა დაეცვა შვილის უფლება მემკვიდრეობაზე მამის ძმისაგან, შესაძლოა ასევე, რომ ეს მითი რეალური ისტორიული მოვლენების გამოძახილს წარმოადგენს (Shafer (ed), 1991, 93). ნინადინასტიურ ეგვიპტეში ორივე ღმერთი დაკავშირებული იყო პატარა პოლიტიკურ ერთობებთან, რომლებიც სამხრეთ ეგვიპტის ერთ სამეფოდ გაერთიანებამდე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ პოლიტი-

კურ ძალებს წარმოადგენდნენ. ერთი მათგანი, თანამედროვე სოფელ ნაქადასთან, ეგვიპტური ნუბტი (ომბოსი), ნაქადა II-ის პერიოდში (დაახლ. 3600 წ. ჩვ.წ.-მდე) ნილოსის დაბლობის ერთ-ერთი უდიდესი დასახლება იყო. ქალაქს გარს ერტყა აგურის გალავანი. ერთ-ერთ სასაფლაოზე, რომელიც აშკარად დიდგვაროვნებისათვის იყო განკუთვნილი, აღმოჩენილია დიდი ზომის, მდიდრულად მორთული სამარხები, რომლებიც (რაც უჩვეულოა ამ პერიოდისათვის), აგურით იყო შემოღობილი. ჯერ კიდევ XVIII დინასტიის დროს აქ იყო სეტხისადმი მიძღვნილი ტაძარი. არქეოლოგიური სურათის და სეტხის გვიანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, გვიან წინადინასტიურ პერიოდში ნაქადა პატარა სახელმწიფოს მთავარი ქალაქი იყო, სეტხის კულტით. ხორის კულტის ისტორიული ფონი უფრო რთულია. შევარდნის კულტი მთელი ეგვიპტის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული, მაგრამ გარკვეულ ადგილებში ის უფრო პოპულარული იყო. წინადინასტიური სამხრეთ ეგვიპტის მეორე უმნიშვნელოვანესი ქალაქი იყო ჰიერაკონპოლისი (ნეხენი). აქ გათხრილია მონუმენტური აგურის კედელი ასეთივე მონუმენტური ჭიშკრით. აქვე ნაპოვნია უძველესი ტაძრის ფუნდამენტი და ცნობილი ნარმერის პალეტი, სადაც ფარაონის პირისპირ ხორის გამოსახულება არის მოთავსებული. აქ სამეფო ძალაუფლება უკვე ამ ადრეულ პერიოდში დაუკავშირდა ხორს. უფრო გვიანდელ ეგვიპტეში ჰიერაკონპოლისში ეთაყვანებოდნენ ხორს, რომელსაც ნეხენის ხორს ეძახდნენ. პირამიდების ტექსტები აღიარებდა ხორის მრავალრიცხოვანი სახეების მხოლოდ მცირე ნაწილს, და ნეხენის ხორი მათ შორისაა. ამგვარად, წინადინასტიურ ზემო ეგვიპტეში იყო ორი მნიშვნელოვანი ქალაქი (ნეხენი და ომბოსი), რომლებიც, სავარაუდოდ, ორი პატარა სახელმწიფოს დედაქალაქები იყო. არქეოლოგიური მონაცემებით, ეს ქალაქები დაკავშირებული იყო იმ ორ ღვთაებასთან, რომლებიც დინასტიურ ეგვიპტეში გაერთიანებული სამეფოს სიმბოლოები გახდნენ (Kemp, 1991, 28-39). იმავდროულად, ხორი და სეტხი უკვე წინადინასტიურ ეგვიპტეში ასოცირდებოდნენ იმ მეფეებთან, რომლებიც მათ ეთაყვანებოდნენ (Антес, 1977, 69). ისტორიის შემდგომი მსვლელობა გვაჩვენებს, რომ ხორის მიმდევრებმა (ჰიერაკონპოლისმა) დაამარცხეს სეტხის მიმდევრები. მათ მოახერხეს ჯერ სამხრეთის, შემდეგ კი ორივე ეგვიპტის თავიანთი მმართველობის ქვეშ გაერთიანება (Kees, 1923-1924; Baumgartel, 1955; 1975). I დინასტიის დროს ახლად გაერთიანებულ ქვეყანაში სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ ბუნ-

დოვანი II დინასტიის დროიდან შემორჩენილი წარწერებიდან ვგებულობთ პოლიტიკურ დაპირისპირებაზე და ბრძოლებზე დინასტიის ფარაონების, ნინეჩერენის და სეხემიბის დროს (Emery, 1961, 93-100; Quibell, 1900, I, pl. 26-8). ამ შიდააშლილობის ფონზე, სეხემიბის მეფობის დროს მოხდა უაღრესად ყურადსაღები რამ, რაც ბოლომდე ახსნილი არ არის: თავისი მეფობის რაღაც მომენტში მან მიიღო ახალი სახელი, პერიბსენი, და უარყო ხორი, რადგან მის ახალ სახელს არა ხორის, არამედ სეტხის გამოსახულებები ახლავს თან (Wolf, 1962, 57; Drioton, 1959, 46). დინასტიას ასრულებს ხასეხემუი (ეგვ. „ორივე ძალის ამობრწყინება"). თავისი მეფობის დასაწყისში ის სავარაუდოდ ჰიერაკონპოლისში მეფობდა და შესაძლოა მის ძალაუფლება მხოლოდ სამხრეთზე ვრცელდებოდა. ამ დროს მას „ხასეხემი" ("ძალის ამობრწყინება") ერქვა, და მის სახელს ხორი ამშვენებდა. სავარაუდოდ, მან ისევ მოახდინა ქვეყნის გაერთიანება, შეიცვალა სახელი, (გახდა „ხასეხემუი", „ორივე ძლის ამობრწყინება"), და მისი სახელის თავზე ხორთან ერთად სეტხიც ჩნდება. ამგვარად, „ორივე ძალაში" ხორი და სეტხია ნაგულისხმევი. ეს იყო სეტხის უკანასკნელი გამოჩენა ფარაონის ტიტულატურაში. ხასეხემუის შემდეგ იწყება მესამე დინასტია და ფარაონი ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე ხორის მინიერ გამოვლინებად იქნება მიჩნეული. მაგრამ სეტხი, ხორთან ერთად, ყოველთვის იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა რიტუალებში, რომლებიც ფარაონთან იყო დაკავშირებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მონაწილეობა „ეგვიპტის გაერთიანების" ამსახველ რიტუალში (Kemp, 1991, 27). მიუხედავად იმისა, რომ სეტხი ოსირისის ციკლთან დაკავშირებულ მითებში ბოროტ ძალად არის გამოყვანილი, რომელიც კლავს ძმას, ებრძვის მის შვილს (ხორს) და უნდა, მას ტახტი წაართვას, სეტხი ეგვიპტის ისტორიის ბოლომდე იყო ჰელიოპოლისის ენეადის წევრი და ეგვიპტის დიდი ღვთაება. ხორის და სეტხის კონფლიქტის ისტორია ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესია ეგვიპტის მითებს შორის. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მას ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პირამიდების ტექსტების გამონათქვამებში. მაგრამ თუმცა უკვე უძველეს ჩაწერილ ვერსიაში მჭიდროდ არის გადახლართული ოსირისის მითთან, თავისი პირვანდელი სახით ის უდავოდ სრულიად დამოუკიდებელ მითს წარმოადგენდა, რომლის სათავეები უფრო ქვეყნის პოლიტიკაში და ისტორიაში უნდა ვეძებოთ (Griffith, 1960, VII).

ხორის თვალი — უძველესი წარმოდგენის თანახმად, ცა იყო შევარდენი-ხორი, ფართოდ გაშლილი ფრთებით, მზე და მთვარე კი მისი თვალები. მზედ მისი ჯანმრთელი თვალი წარმოიდგინებოდა, მთვარედ — სეტხთან ორთაბრძოლაში დაზიანებული. ოსირისის მითში ხორი ებრძვის სეტხს, რომ მამაზე შური იძიოს, კარგავს თვალს (მთვარის თვალს, რაც მითებში მთვარის ღამე გაუჩინარებასთან არის დაკავშირებული), მაგრამ შემდეგ იბრუნებს მას, თოტი კი თვალის მორჩენაში ეხმარება (Shafer (ed.), 1991, 121). მაგრამ უფრო ხშირად მზე როგორც რას, მთვარე კი როგორც ხორის თვალია წარმოდგენილი. ორივე შეიძლება მოხსენიებული იყოს, როგორც უჯატ-თვალი. ხორის „მორჩენილი" თვალი ამულეტად გამოიყენებოდა, როგორც ცოცხლებისათვის, ისე გარდაცვლილთათვის (Pinch, 1994, 29). რადგანაც თვალის დაბრუნების შემდეგ ხორს ის ოსირისთან მიაქვს მისთვის ახალი ძალის ჩასაბერად, ხორის თვალი გახდა მსხვერპლშესაწირის სიმბოლო, ამიტომ ხშირად სხვადასხვა შესაწირს „ხორის თვალს" უწოდებდნენ (Griffith, 1960, 4).

ხორის მიმდევრები — (ეგვ *šmś.w-Ḥr*, „ხორის მიმდევრები", Wb IV, 486), ასე მოიხსენიებს ტურინის სამეფო პაპირუსი მენესის წინამორბედ მეფეებს. უკვე პალერმოს ქვის ანალების შედგენის დროისათვის (V დინასტია) მათ შესახებ აღარაფერი იყო ცნობილი, და შესაბამის გრაფებში მხოლოდ მათი სახელებია ჩაწერილი. ტურინის პაპირუსის შედგენის დროს ალბათ ითვლებოდა, რომ ყველა ისინი ხორის თაყვანისმცემლები იყვნენ და რომ აქ ლაპარაკია ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფეებზე, რომლებიც ხორს ეთაყვანებოდნენ, როგორც თავიანთი სამეფოების მთავარ ღვთაებას (Bonnet, 1952, 315). „ხორის მიმდევრებს" (ან „ღმერთებს, რომლებიც ხორს მიჰყვებიან) ეძახიან ასევე ნარმერის პალეტზე გამოსახულ შტანდარტებს, რომლებზეც ღმერთებია გამოსახული (Kemp, 1991, 42).

ხორის სახელი — *იხ. ტიტულატურა*

ხორის შვილები — ხორის შვილებად ითვლებოდა ოთხი „დაბალი რანგის" ღმერთი — ამსეტი (ადამიანის თავით, ეგვ. *Ꜣmśtj*, Wb I, 88), ხაპი (მაიმუნის თავით, ეგვ. *Ḥpj*, Wb III, 70), დუამუტეფი (ტურის თავით, ეგვ. *Dwꜣ mw.t.f*, Wb V, 429) და კებეხსენუფი (შევარდნის თავით, ეგვ. *Ḳbḥśnw.f*, Wb V, 31). მათი წარმოშობა ბუნდოვანია. უკვე პირამიდების ტექსტებში ისინი ცასთან იყვნენ



ხორუს შვილები

დაკავშირებული და გარდაცვლილ ფარაონს ზეცისაკენ მგზავრობაში „ეხმარებოდნენ“ (PT 1092, 1338/9, 1828, 2078). ისინი ასევე წარმოადგენდნენ ზეცის ოთხ მხარეს — ამსეტი სამხრეთს, ხაპი — ჩრდილოეთს, დუამუტეფი — აღმოსავლეთს და კებეხსენუფი — დასავლეთს. შუა სამეფოს დროის სარკოფაგებზე მათი სურათები ან სახელები შესაბამის ოთხ მხარეზე იყო მოთავსებული. მათ გარდაცვლილისათვის სნორი ორიენტაციის შენარჩუნება „ევალებოდათ“ (Schäfer, 1908, 33). გარდაცვლილის სხეულის შიგთავსზე ზრუნვა და მისი შიმშილისა და წყურვილისაგან დაცვა ხორის შვილებს უკვე პირამიდების ტექსტებში „მოეთხოვებოდათ“ (PT 552), მაგრამ მოგვიანებით ეს მათი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია გახდა. XVIII დინასტიის ბოლომდე კანოპების სახურავებს, რომლებშიც მუმიის შიგნეულობა ინახებოდა, გარდაცვლილის თავის სახეს აძლევდნენ, მასთან პორტრეტული მსგავსებით. XVIII დინასტიის შემდეგ ისინი ხორის შვილების თავებმა შეცვალა. ისინი ამიერიდან კანოპების დამცველები გახდნენ, მაგრამ თითოეულ მათგანს დიდი ქალღმერთი მფარველობდა. ამსეტის კანოპში ინახებოდა ღვიძლი და მას ისიდა მფარველობდა, ხაპი იცავდა ფილტვებს, მას კი — ნეფტიდა, დუამუტეფის კანოპში ინახებოდა კუჭი ნეიტის მფარველობის ქვეშ, კებეხსენუფს კი, რომელსაც სელკეტი მფარველობდა, ნაწლავების დაცვა ჰქონდა დავალებული (Hart, 2005, 150). გვიანი ახალი სამეფოს დროს, მკვდართა წიგნის მეჩვიდმეტე თავში, ხორის შვილები მოხსენიებული არიან, როგორც ჩრდილოეთის ცის ბარკლის (ასე ეძახდნენ ეგვიპტელები დიდი დათვის თანავარსკვლავედს) ოთხი ვარსკვლავი, რომლებსაც ოსირისის სარკოფაგის ყარაულობა აქვთ დავალებული (Kees, 1980, 170).

ხორ-პა-რა — (ეგვ. *Ḥr-pꜣ-Rʿ*, ხორი-მზე), ბავშვი-ღვთაება, რატ-ტაუის და მონტუს შვილი და ჰერმონთისის ტრიადის (მონტუ, რატ-ტაუი, ხორ-პა-რა) წევრი. გამოისახებოდა ბავშვის სახით, როგორც ახალგაზრდა მზე. ითვლებოდა, რომ ფარაონს ავადმყოფობისას მფარველობდა. ეს ფუნქცია მას სავარაუდოდ მონტუსაგან გადმოეცა, რომელიც მკურნალი ღვთაება იყო (Bonnet, 1952, 275).

ხორ-ხეკენუ — ხორის ერთ-ერთი სახე, რომელსაც ბუბასტისში ეთაყვანებოდნენ. ეძახდნენ „დაცვის ბატონს“. იყო მზის დამქანცველი სიცხის განსახიერება, რომელიც თავისი ოხშივ-

არით ბოროტ ძალებს ანადგურებდა. მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქალღმერთ მისისთან, რის გამოც ხანდახან გამოისახებოდა ლომის ტანით და შევარდნის თავით, თუმცა ძირითადად ანთროპომორფულად, ან შევარდნის თავით არის გამოსახული. „ხეკენუს" მნიშვნელობა ბუნდოვანია (Bonnet, 1952, 306).

ხორჯედეფი — *იხ. ჯედეფხორი*

ხოჭო — ხეპრის (სკარაბეოსის) გარდა, ეგვიპტეში ბევრი ხოჭო ითვლებოდა საკრალურად. ხოჭოს ფიგურებით გაკეთებული ჯაჭვები ამულეტების როლს თამაშობდა.

ხუ — (ეგვ. *Ḥw*, დაფიქსირებულია პირამდების ტექსტების ეპოქიდან, Wb III, 44), სიტყვის ძალის, ღვთაებრივი გამონათქვამის და ბრძანების პერსონიფიკაცია (Shafer (ed.), 1991, 65). ითვლებოდა, რომ ის რას ფალოსიდან დაწვეთებული სისხლის წვეთისაგან წარმოიშვა. პირამიდების ეპოქის თეოლოგიის თანახმად, როცა გარდაცვალების შემდეგ ფარაონი მარტოხელა ვარსკვლავად გარდაისახებოდა, ხუ მისი თანამგზავრი იყო და ფარაონის სურვილები სწორედ მისი დახმარებით უნდა ასრულებულიყო. ზოგიერთი ვარაუდით, ხუ ძალიან ჰგავს პტახის ენის ძალას მემფისის კოსმოგონიურ სისტემაში, სადაც სამყარო სწორედ პტახის მიერ საგნების ხმამაღლა დასახელებით შეიქმნა (Hart, 2005, 76).

ხუტნესუტი — (ეგვ. *Ḥw.t nswt*, „მეფის სახლი"), გვიანდელი ნომების ცხრილების თანახმად, ზემო ეგვიპტის XVIII ნომის დედაქალაქი. ნომის ნიშანი იყო შევარდენი, სახელად „დუნანუი" — „გაშლილ ფრთებიანი". პირამიდების ტექსტებში, ხორის და სეტხის მსგავსად, აღმოსავლეთის ღმერთია (PT 17, 27, 1613). მისი ხორთან შერწყმა ბუნებრივად ხდება. სავარაუდოდ, ქალაქი მდებარეობდა თანამედრ. კომ ელ-აჰმართან, რადგან აქ აღმოჩენილ პტოლემაიოს სოტერის ტაძრის ნანგრევებზე მოხსენიებული არიან „ხუტნესუტის ისიდა და ოსირისი". ასევე სავარაუდოდ, ხორემხები (XVIII დინასტიის უკანასკნელი ფარაონი) ხუტნესუტშია დაბადებული (Montet, 1961, 71-72).

ხუხი და ხუხეტი — *იხ. ოგდოადა*

ჯარი — პროფესიონალური ჯარი ეგვიპტეში ახალი სამეფოდან შეიქმნა. თუმცა ეგვიპტე სამხედრო ექსპედიციებს უკვე არქაული პერიოდიდან ანყობდა, და განსაკუთრებით შუა სამეფოს დროს დიდი გამარჯვებები მოიპოვა ნუბიაში ფარაონების მრავალი სამხედრო ექსპედიციის წყალობით, სამხედრო ძალას ჩვეულებრივ დროებით რეკრუტირებული მოსახლეობა წარმოადგენდა. იგივე რესურსი გამოიყენებოდა დასავლეთი და აღმოსავლეთი საზღვრების დასაცავად და უდაბნოს მომთაბარე ტომების შემოტევების მოსაგერიებლად. სავარუდოდ, ჰიკსოსების დაპყრობამ დაანახა ეგვიპტეს გაწვრთნილი პროფესიონალური ჯარის აუცილებლობა. შესაძლოა, ჯარის შექმნის იდეას ბიძგი მისცა უდიდესმა ძერამ ეგვიპტელის ფსიქოლოგიაში, და ამის სტიმული იყო არა მარტო ეგვიპტეზე უცხოელის ბატონობით გამოწვეული მწარე განცდა, არამედ გარე სამყაროში მომხდარი ცვლილებებიც. თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით აქამდე შედარებით იზოლირებულმა ქვეყანამ ნაკლებად დაცულად იგრძნო თავი. ეგვიპტელმა გაიაზრა, რომ თუ არ უნდოდა კვლავ განეცადა დაპყრობილი ქვეყნის სიმწარე, თვითონ უნდა ეწარმოებინა დაპყრობითი ომები. თუ აქამდე ეგვიპტე კმაყოფილდებოდა ვაჭრობაში გავლენის სფეროებით აღმოსავლეთში და დომინიონით ნუბიაში, ახალი სამეფოს დროს ის უდიდეს იმპერიად გადაიქცა. ეგვიპტური პროფესიონალური არმიის შექმნა სავარაუდოდ იახმეს II-მ (ახალი სამეფოს პირველი ფარაონი) დაიწყო. ეგვიპტური ჯარის მთავარსარდალი იყო თავად ფარაონი, რომელიც წინ უძღოდა მას უმნიშვნელოვანესი სამხედრო კამპანიების დროს. ნაკლებად მნიშვნელოვან კამპანიებში ჯარის წინამძღოლის ფუნქციას უფლისწულები და სხვადასხვა მოხელეები ასრულებდნენ. სამხედრო საქმეს განაგებდა ქვეყნის ვეზირი (დღეს მას ხანდახან „სამხედრო მინისტრსაც“ ეძახიან). არსებობდა ასევე სამხედრო საბჭო, რომლის წევრები წარმოადგენდნენ ვეზირის მრჩევლებს სამხედრო საქმეში. ჯარი შედგებოდა დანაყოფებისაგან, რომლებსაც

მთავარი ღმერთების სახელები ერქვა და დაახლ. 5000 კაცისაგან შედგებოდა. დანაყოფში შედიოდა ქვეითები და ეტლოსნები, და ისინი მეფეს ან უფლისწულებს ექვემდებარებოდა. ბრძოლის წინ ფარაონი გადიოდა კონსულტაციას სამხედროებთან, რომლებიც ქმნიდნენ „საომარ საბჭოს". ქვეითები ინვრთნებოდნენ სხვადასხვა სპეციალობის მიხედვით. უმდაბლესი წოდება „ორმოცდაათის უფროსი" იყო. მის ზემოთ მყოფ სამხედროს 200 კაცი ექვემდებარებოდა და უფლება ჰქონდა, ეტარებინა შტანდარტი ღმერთის გამოსახულებებით. მასზე ოდნავ დიდი თანამდებობის პირი 250 კაცს მეთაურობდა. მის ზემოთ მყოფს უკვე ექვემდებარებოდა რამდენიმე ასეთი დანაყოფი, განსაკუთრებულ ვითარებაში კი ფორტიც. ის პასუხისმგებელი იყო გარნიზონების უფროსის წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ფორტების ზედამხედველების დაქვემდებარებაში იყო (ფორტების ზედამხედველი იყო ორი, ნუბიის საზღვარზე და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე). მათ ზემოთ მყოფი სარდალი ექვემდებარებოდა „არმიის ზედამხედველს", რომელიც ფარაონის წინაშე იყო ანგარიშვალდებული. ეტლოსნები დაყოფილი იყო ოცდახუთ ეტლიან დანაყოფებად. ეტლები ორბორბლიანი იყო და მათში ორი ცხენი იყო შებმული. თითოეულ ეტლს ემსახურებოდა მეეტლე და ჯარისკაცი, რომელიც აღჭურვილი იყო მშვილდ-ისრით, ფარით, ხანჯლით და შუბით. „მისი უდიდებულესობის პირველი მეეტლე" სავარაუდოდ ფარაონის ეტლს მართავდა და დიდი ძალაუფლებით იყო აღჭურვილი. მნიშვნელოვანი იყო ასევე სამეფო თავლის უფროსის თანამდებობა, რომელსაც ფარაონის ცხენების გაწვრთნა ევალებოდა. არსებობდა ასევე სპეციალური ჯარები, მაგრამ ინფორმაცია მათ შესახებ ბუნდოვანია. სავარაუდოდ, „მეფის გულადებად" წოდებული დანაყოფი ელიტარულ საბრძოლო დანაყოფს წარმოადგენდა. თუ ქვეყანა არ იმყოფებოდა საომარ მდგომარეობაში, ჯარი ორ კორპუსად იყო დაყოფილი, ჩრდილოეთის და სამხრეთის. ისინი დარაჯობდნენ სასაზღვრო ფორტებს, ახდენდნენ სამეფო პროცესიების ესკორტირებას და იცავდნენ ნესრიგს სახალხო დღესასწაულების დროს. XVIII დინასტიის დასაწყისიდან დაიწყეს რეკრუტების ჩამოყვანა ნუბიიდან, ამონხეტეპ III-ის დროიდან კი ომებიდან ჩამოყვანილმა ტყვეებმა დაიწყეს ეგვიპტურ ჯარში ჩაწერა. თანდათან უცხოელების რიცხვი ჯარში იზრდებოდა, და XXII დინასტიიდან მათმა რიცხვმა ეგვიპტელებს გადააჭარბა. ეგვიპტელისათვის ჯარში სამსახური სავალდებულოც იყო, მაგრამ თანდათან ჯარისკაცის პროფესია იმდენად გავრცელებუ-

ლი გახდა, რომ რამსეს II-ის დროს ყოველი ათი ჯარისკაციდან ცხრა ნებაყოფლობით იყო ჩაწერილი. ძალიან ბევრი მაღალი ფენის წარმომადგენელი ირჩევდა სამხედრო პროფესიას, და პროფესიონალი სამხედრო ხდებოდა. ამას გარდა, მაღალ სამხედრო თანამდებობაზე ინიშნებოდნენ სამხედროები, რომლებმაც ომებში გამოიჩინეს თავი. სამხედრო საქმე საკმაოდ მომგებიანი გახდა. აქ იყო შედარებით სწრაფი გამდიდრების და იმავდროულად, სამსახურეობრივი დაწინაურების პერსპექტივა. ფარაონი, რომელიც სამხედროებს თავის დასაყრდენად მოიაზრებდა, სწორედ სამხედრო ელიტიდან ირჩევდა თავისი შვილების მასწავლებლებს, რადგან ახალი ვითარების გათვალისწინებით, უფლისწულები კარგად უნდა ყოფილიყვნენ გაწერთნილი სამხედრო საქმეში. კართან დაახლოება კი შემდგომი წინსვლის გარანტია იყო. ეგვიპტეში ჯერ კიდევ ძველი სამეფოს დროიდან თანამდებობის პირებს გამოეყოფოდათ მიწები, რომლებიც მათ განკარგულებაში თანამდებობის შესრულების პერიოდში უნდა ყოფილიყო, მაგრამ მოხელეები ყოველთვის ცდილობდნენ, მომგებიანი თანამდებობები მემკვიდრეობითად გადაექციათ, რასაც დიდი წარმატებით აღწევდნენ. სწორედ ამ გზით ჩამოყალიბდა არისტოკრატიული მიწათმფლობელების ფენა, რომელმაც ეგვიპტე ძველი სამეფოს დასასრულისათვის ფეოდალურ სახელმწიფოდ გადააქცია. ახალი სამეფოს დროს უკვე ფარაონისგან მოდიოდა მინიშნება, რომ სამხედროებისათვის გამოყოფილი მიწები მათ შვილებს გადაცემოდათ იმ შემთხვევაში, თუ ისინიც სამხედრო პროფესიას აირჩევდნენ. ვალდებულების, რეკრუტირების და უცხოელი ძალების მოზიდვით ეგვიპტელებმა თანდათან შექმნეს უზარმაზარი არმია, რომელმაც ჯერ შექმნა იმპერია, შემდეგ კი აკონტროლებდა მას. ითვლება, რომ ეგვიპტელებისათვის ეს დიდი მიღწევა იყო, რადგან ისინი თავისი ბუნებით მაინც მშვიდობის მოყვარულ ერად მოიაზრებიან (David, 1998, 228-231).

ჯედეფრა — (ან რაჯედეფი, ეგვ. *Ḏd.f.Rʿ*, „დღეგრძელია, როგორც რა“, Clayton, 1995, 50, დაახლ. ჩვ.ნ.-მდე 2528-2520 წწ.), ხეოფსის ვაჟიშვილი, სავარაუდოდ მეორე რიგის ცოლისაგან. ტახტზე ადის მამის გარდაცვალების შემდეგ, რადგან ამ დროისათვის ხეოფსის და მისი დედოფლის, მერტიოტესის ვაჟიშვილი კავაბი უკვე გარდაცვლილია (Malek in Shaw (ed), 2003, 90). ჯედეფრას შესახებ არაფერია ცნობილი. ტურინის პაპირუსის მიხედვით იმეფა 8 წელიწადს. მისი პირამიდის კომპლექსი, რო-

მელსაც ის იგებდა არა გიზეში, არამედ აბუ როაშში 10 კმ. ჩრდილოეთით, დაუსრულებელია, რაც ასევე მისი მეფობის ხანმოკლე პერიოდზე მეტყველებს, თუმცა ზოგიერთი ვარაუდის თანახმად, პირამიდა მაინც დასრულებული იქნა (Clayton, 1995, 50). პირამიდა, რომელიც ძვირფასი სამშენებლო ქვებით, სიენიტით და წითელი კვარციტით იყო ნაგები, ძალიან გაძარცვულია. პირამიდის მიდამოებში 1901 წელს აღმოჩენილი იქნა ფარაონის დაახლ. ოცი კვარციტის ქანდაკების ნამსხვრევები, რომლებიც დღეს ლუვრშია დაცული და ძველი სამეფოს პერიოდის სამეფო ქანდაკების შედევრებად არის მიჩნეული. სავარაუდოდ, ჯედეფრა დაქორწინდა თავის ნახევარ დაზე, ხეოფსის და მერტიოტესის ქალიშვილზე ხეტეფხერეს II-ზე, რომელიც ადრე კავაბის ცოლი იყო (Grimal, 2003, 72). მიუხედავად მწირი ინფორმაციისა, ჯედეფრას მეფობა განსაკუთრებით აღსანიშნავია იმის გამო, რომ ის იყო პირველი ფარაონი, რომელმაც თავს „რას ვაჟიშვილი" უწოდა, რაც უკვე რას რელიგიის ზეასვლის სერიოზული ნიშანია (Helck, 1968, 55).

ᲯᲔᲓᲔᲤᲮᲝᲠᲘ – (ასევე ხორჯედეფი, ეგვ. *Ḥr.ḏd.f*, „დღეგრძელია, როგორც ხორი"), ხეოფსის ვაჟიშვილი, რომელიც შესაძლოა ცოტა ხანს (რამდენიმე თვე) ეგვიპტის ფარაონიც იყო (Helck, 1968, 56). ხეოფსის უფროსი ვაჟიშვილის, კავაბის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე პრეტენზია სავარაუდოდ რამდენიმე ვაჟიშვილმა განაცხადა, და ჯედეფხორი ჯედეფრას მეტოქედ მოიაზრებოდა. შესაძლებელია, დინასტიურ დაპირისპირებაზე მეტყველებს ასევე ჯედეფხორის დაუსრულებელი და მიზანმიმართულად დანგრეული მასტაბა, აღმოჩენილი კავაბის მასტაბის სიახლოვეს, ხეოფსის პირამიდის აღმოსავლეთით. ჯედეფხორი ითვლება ხენტკაუსის მამად, რომელიც, თავის მხრივ, სავარაუდოდ V დინასტიის პირველი ორი ფარაონის, ნეფერირკარას და სახურას დედა იყო (Grimal 2003, 72). ვადი ჰამამატში ნაპოვნი XII დინასტიით დათარიღებული გრაფიტო ასახელებს ჯედეფხორს და ბაუეფრას (ასევე ხეოფსის ვაჟიშვილი) მეფეებად ხეფრენის შემდეგ, ორი (დაკარგული) სახელია დასახელებული ასევე საქქარას მეფეთა სიაში, მაგრამ რადგან უმეტეს სიებში ხეფრენის შემდეგ პირდაპირ მისი შვილი, მიკერინია მოხსენიებული, სავარაუდოდ მან ტახტზე ასვლის შემდეგ არაკანონიერად გამოაცხადა თავისი მამის ძმები, რომლებიც (შესაძლოა) ხეფრენის შემდეგ მეფობდნენ (Helck, 1968, 56). მიუხედავად ასეთი წინააღმდეგობრივი ინფორმაციისა, ჯე-

დეფრა ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე მოიხსენიებოდა უდიდესი მოწიწებით და პატივისცემით, როგორც გარდასულ დღეთა ბრძენი, თითქმის იმხოტეპის ტოლი, და მისი „დარიგებები“ (Lichtheim, 2006, I, 58) სკოლებში საუკუნეების მანძილზე ისწავლებოდა. ციტატები „დარიგებებიდან“ გვხვდება ეგვიპტის საუკეთესო ავტორებთან, პტახოტეპიდან (ძველი სამეფო) რომაულ პერიოდამდე. ტრადიციის თანახმად, მას მიეწერება „მკვდართა წიგნის“ ოთხი უმნიშვნელოვანესი თავის აღმოჩენა ჰერმოპოლისის ტაძარში, პტახის ქანდაკების ქვეშ (Grimal, 2003, 73). XIX დინასტიით (XIII ს.ჩვ.წ.-მდე) დათარიღებულ ჩესტერ-ბიტის პაპირუსში, რომელიც ნიჭიერი ადამიანების თავისებურ აპოლოგიას წარმოადგენს, ჯედეფხორი ყველაზე ცნობილ ბრწყინვალე ადამიანებს შორის არის დასახელებული (Коростовцев, 1978, 241-242). ჯედეფხორი არის ასევე ცნობილი ვესტკარის პაპირუსის, „ფარაონ ხეოფსის ვაჟიშვილების ზღაპრების“ მთავარი პერსონაჟი. სწორედ ის მოუყვანს ხეოფსს ბრძენს, რომელიც ფარაონს მოუთხრობს, რომ რას ერთ-ერთი ქურუმის ცოლი ფეხმძიმედ არის დიდი რასაგან და მალე სამ ტყუპს გააჩენს, რომლებიც ეგვიპტის მომავალი ფარაონები გახდებიან (ხვედელიძე, 2004). უნდა აღინიშნოს, რომ ჯედეფხორის ქალიშვილი ხენტკაუსი ამ ტყუპების დედის, რაჯედეტის ისტორიულ პროტოტიპად მოიაზრება (Grimal, 2003, 72).

ჯედკარა (ისესი) — (ეგვ. *Ḏd-k3-Rʿ*, „ძლიერია რას კა“, დაახლ. ჩვ.წ.-დე 2388-2356), V დინასტიის მერვე ფარაონი. ტახტზე ადის მენკაუხორის შემდეგ. შესაძლოა იყო მისი შვილი ან ძმა. ტურინის პაპირუსის მიხედვით, იმეფა 28 წელს, მანეთონის მიხედვით — 44. ნებისმიერ შემთხვევაში, მისი მეფობა საკმაოდ ხანგრძლივი იყო, რადგან ნაპოვნია ლარნაკი მისი ხებსედის დამადასტურებელი წარწერით. არის V დინასტიის პირველი ფარაონი, რომელსაც არ აუგია მზის ტაძარი. თავისი პირამიდა ააგო საქქარაში, საფეხუროვანი პირამიდის და სნოფრუს დაშურის ჩრდილოეთ პირამიდებს შორის (Helck, 1968, 69). ჯედკარას ჩამოჰქონდა სპილენძი და ფირუზი სინაიდან, რაზეც მეტყველებს მისი ორი წარწერა (ათი წლის ინტერვალით) ვადი მაგარას მაღაროებთან (Breasted, 1962, I, §§264-266), ამუშავებდა ქვის სამტეხლოებს აბუ სიმბელთან და გააგზავნა ექსპედიციები ბიბლოსში და პუნტში. პუნტში მისი ექსპედიციის დამადასტურებელი გრაფიტო ნაპოვნია ქვედა ნუბიაში. ჯედკარას დროს პროვინციული არისტოკრატია იმდენად ძლიერდება,

რომ ეგვიპტე პრაქტიკულად ფეოდალური სახელმწიფოს სახეს იღებს. აღსანიშნავია ასევე მისი ვეზირების (რაშეპსესის და პტახოტეპის) საქქარას სამარხების გასაოცარი სიმდიდრე (Grimal, 2003, 79).

ანთროპომორფიზირებული ჯედ-სვეტი

ჯედ-სვეტი

ჯედ-სვეტი — უძველესი ფეტიში. მისი არსება ბუნდოვანია. ჯედის ნიშანი შესულია დამწერლობაშიც, მარადიულობას ნიშნავს და „ხანგრძლივი დროის" სიმბოლოა (ეგვ. *ḏd*, Wb V, 626). უძველესი დროიდან გამოიწერებოდა სიცოცხლის და უვნებელობის (უას-სკიპტრა) სიმბოლოებთან ერთად ფარაონის ტიტულატურის ბოლოში. ჯედ-სვეტი შეიძლებოდა ზეცის საყრდენიც ყოფილიყო (PT 389). მემფისში ძველი სამეფოს დროს არსებობდნენ „პატივსაცემი ჯედის" ქურუმები და „ჯედ-სვეტის აღმართვის" სამეფო დღესასწაულსაც ზეიმობდნენ. ჯედ-სვეტის აღმართვა ჩვეულებრივ მეფედ კურთხევის და ხებსედის წინა საღამოს ტარდებოდა მემფისში, სამეფო ოჯახის თანდასწრებით და მეფის მონაწილეობით. დღესასწაულის კულმინაციას წარმოადგენდა მომენტი, როცა მეფე, ქურუმების დახმარებით, რომლებსაც მემფისის მთავარი ქურუმი წინამძღოლობდა, აღმართავდა ჯედ-სვეტს, რაც უდავოდ მეფობის ხანგრძლივობის სიმბოლო უნდა ყოფილიყო (Sethe, 1905, 134). თვითონ მემფისის მთავარი ღვთაება, პტახი, მოიხსენიება, როგორც „პატივსაცემი ჯედი". პტახის გამოსახულებების ზურგს უკან ძალიან ხშირად ვხვდებით ჯედ-სვეტის გამოსახულებას. ახალი სამეფოდან ჯედ-სვეტი მჭიდროდ არის დაკავშირებული ოსირისთან და გარდაცვლილთა კულტთან, რაც ალბათ ბუნებრივი განვითარების შედეგად მოხდა იმის გათვალისწინებით, რომ უკვე შუა სამეფოდან ვხვდებით სინკრეტულ ღვთაებას პტახ-სოკარ-ოსირისს. მკვდართა წიგნის 155-ე თავი შეიცავს სიტყვებს, რომლებიც უნდა წარმოითქვას გარდაცვლილის კისერთან ჯედ-სვეტის მოთავსების დროს. ჯედ-სვეტს ხატავდნენ ასევე სარკოფაგის ფსკერზე იქ, სადაც გარდაცვლილის ხერხემალი თავსდებოდა.

ჯერი — (ეგვ. *Ḏr*, დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXXს.), პირველი დინასტიის ფარაონი, რომელიც მეფობდა ხორ-ახას შემდეგ, სავარაუდოდ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე. მისი მეფობის 9 წელი შემონახულია პალერმოს ქვის კაიროს ფრაგმენტზე. აქ პირველად არის დაფიქსირებული „ხორის გაცილებები", რომლებიც ორ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა და წარმოადგენდა ფარ-

აონის მიერ ქვეყნის ინსპექტირებას; მოხსენიებულია ასევე ექსპედიცია „სეჩეტში“. რადგან ამ სახელს ეგვიპტელები უკვე პირამიდების ეპოქიდან ზოგადად „აზიას“ (*Ꜣṯ*, Wb IV, 348) და „აზიელებს“ (*ꜣṯjw*, Wb IV, 348) ეძახდნენ, ექსპედიციის ლოკალობის ზუსტი დადგენა შეუძლებელია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეგვიპტემ კვლავ მიმართა თავისი ინტერესები აღმოსავლეთით. თვითონ ჯერის სამარხში ნაპოვნია სირია-პალესტინური ნარმოშობის თორმეტზე მეტი ჭურჭლის ფრაგმენტი, რაც აქტიურ ვაჭრობაზე მიუთითებს. ჯერის აბიდოსის სამარხი მისი წინამორბედის სამარხზე გაცილებით დიდია (21, 5x20მ.). მის ირგვლივ განლაგებულია მისი მოხელეების და ცოლების სამარხები. აქ მოძიებული წარწერები, რომლებიც მხოლოდ სამარხის პატრონის სახელისა და ტიტულისაგან შედგება, გვამცნობს, რომ სამეფო კარი ერთგვარად უკვე ჩამოყალიბებული იყო. ჯერის სამარხ კომპლექსში ჩნდება სიახლე — ის გარშემორტყმულია გალავნით, რომელსაც, თავის მხრივ, ასევე გარს არტყია სამარხები. მისი მეფობის დროს განსაკუთრებით ვითარდება მეტალის დამუშავება, რასაც ადასტურებს დიდი რაოდენობის სპილენძის ჭურჭელი, საბრძოლო და შრომის იარაღი, ნაპოვნი საქქარას ერთ-ერთ მასტაბაში. ჯერის მეფობით დათარიღებულია ასევე ელეფანტინაზე ნაპოვნი უთავო ფიგურა, რომელიც, შესაძლოა, სამგანზომილებიანი სამეფო ქანდაკების უძველეს ნიმუშს წარმოადგენს. მისი არტეფაქტები ნაპოვნია საქქარაში, აბიდოსში, ტურასა და ჰელვანში (Wilkinson, 2001, 71-72). არტეფაქტებს შორის საინტერესოა აბიდოსში ნაპოვნი ფირფიტა, რომელიც მოგვითხრობს მეფის მიერ ქვემო ეგვიპტის უმნიშვნელოვანესი რელიგიური ცენტრების — ბუტოს და საისის მონახულების შესახებ (Emery, 1961, 59-60). თუ ვ. ემერის რეკონსტრუქცია სწორია და ხორ-ახა არის მენესი, და შესაბამისად ჯერი მისი შთამომავალი და მემკვიდრე (მანეთონის ატოტი), ის იყო განსწავლული მეფე, რომელმაც დაწერა ტრაქტატები მედიცინაში, ცნობილი ჯერ კიდევ მანეთონის დროს (Manetho, 1960, 31).

ჯეტი — (ასევე უადი, ეგვ. *Ḏt*, დაახლ. ჩვ.წ.-მდე XXXს.), პირველი დინასტიის ფარაონი. მეფობდა ჯერის შემდეგ. დასავლეთ უდაბნოში, ედფუს სამხრეთით, ნაპოვნია კლდის წარწერა ჯეტის სერეხით. სერეხზე მოთავსებულ ხორს ადგას ეგვიპტის ორმაგი გვირგვინი. თუ გამოსახულება სწორად არის წაკითხული, ეს ეგვიპტის ორმაგი გვირგვინის უძველესი გამოსა-

ხულებაა. სავარაუდოდ, მისი მეფობა არ იყო ხანგრძლივი, რადგან დაფიქსირებულია მაღალი რანგის მოხელე (სახელად ამკა), რომელიც მოღვაწეობდა ჯერის მეფობის დროს, შემდეგ ჯეტის, და ასევე ჯეტის მემკვიდრის, დენის მეფობის დასაწყისში, დედოფალ მერ-ნეიტის რეგენტობის პერიოდში (Wilkinson, 2001, 73). ჯერის მეფობიდან შემოინახა ფარაონის მოსახსენიებელი სტელა, მოძიებული მის აბიდოსის სამარხთან, რომელიც დღეს ლუვრში იმყოფება და ეგვიპტური ხელოვნების უძველეს შედევრად არის მიჩნეული (Emery, 1961, 69).

ჯოსერი – (ეგვ. *Ḏsr*; ხშირად მოიხსენიებოდა ძეგლებზე, როგორც ნეჩერიხეტი, თავისი „ხორის" და იმავდროულად „ორი ქალღმერთის" სახელით, დაახლ. ჩვ.წ.-მდე 2630-2611 წწ.), III დინ. მეორე (?) ფარაონი, პირველი (საფეხუროვანი) პირამიდის მფლობელი. III დინასტიის ფარაონებს სავარაუდოდ ნათესაობა აკავშირებდათ II დინასტიის ბოლო ფარაონთან, ხასეხემუისთან, რადგან ვინმე ნიმაატხაპი, რომელიც „მეფის შვილების დედად" მოიხსენიებოდა ხასეხემუის დროს, ჯოსერის დროს „მეფის დედად" არის წარმოდგენილი (Helck, 1968, 47). ამდენად შესაძლოა, რომ ჯოსერი იყო ნებკას ძმა ან შვილი. ჯოსერი ეგვიპტეში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გამორჩეული ფარაონი იყო. ტურინის მეფეთა სიაში მისი სახელი წითელი მელნით არის აღნიშნული. პტოლემაიოს V ეპიფანეს დროს (205-180 წწ.ჩვ.წ-მდე), ჯოსერის მეფობიდან დაახლ. 2500 წლის შემდეგ შედგენილ ტექსტში (ე.წ. „შიმშილის სტელა"), ის გამოყვანილია, როგორც უაღრესად ბრძენი, მწიგნობარი და ღვთისმოსავი ფარაონი, რომელიც ზრუნავს თავის ხალხზე და კითხულობს ძველ არქივებს (Grimal, 2003, 65). უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ სახელი „ჯოსერი" ეგვიპტურად ნიშნავს „წმინდას" (*ḏsr*; Wb V, 610). ჯოსერის დროს მოხდა დიდი ცვლილებები სულიერ და რელიგიურ წარმოდგენებში, რაც განსაკუთრებით მის მიერ ჰელიოპოლისში აგებულ პატარა ტაძარში იგრძნობა. აქ ღმერთები სრულიად ანთროპომორფული სახით არიან წარმოდგენილი, მათ შორის ისეთი ღმერთებიც კი, რომლებიც უფრო გვიანდელ პერიოდში ზოომორფულად, ან ზოომორფული ელემენტებით გამოისახებოდნენ (მაგ. სეტხი). სავარაუდოდ, ამ დროს დაიწყო ბუნების ძალების პერსონიფიცირების და მათი იერარქიული პრინციპით დალაგების პროცესი, რაც ჰელიოპოლისის სისტემაში აისახა, თუმცა დღეს ძნელია ითქვას, არსებობდა თუ არა ეს სისტემა ჯოსერის დროს. მისი ქვის ქანდაკება, აღმოჩენილი მო-

სახსენიებელ ტაძარში, არის დღეისათვის უძველესი ფარაონის ქანდაკება, რომელიც ნატურალურ ზომაშია შესრულებული. ჯოსერი არის დღეისათვის ცნობილი უძველესი ფარაონი, რომლის წარწერა დაფიქსირებულია სინაიზე. როგორც ჩანს, მის დროს ხშირად იგზავნებოდა ექსპედიციები ძვირფასი სპოლენძის მაღაროებისაკენ (Helck, 1968, 49). მაგრამ განსაკუთრებით ცნობილი ჯოსერი თავისი პირამიდის გამოა, რომელიც ერთდროულად არის პირველი პირამიდა და პირველი ქვის ნაგებობა, რომელიც ადამიანმა ააგო. ესაა ექვსი საფეხურისაგან შემდგარი, 60მ. სიმაღლის ნაგებობა, ფუნდამენტით 140მ. x 118მ. და 60მ. პირამიდის გალავანი 547მ. x 277მ. ფართობს მოიცავს (Malek in: Shaw (ed), 2003, 85). ჯოსერი არის III დინასტიის პრაქტიკულად ერთადერთი ფარაონი, რომელზეც დღეს მეტ-ნაკლებად სანდო ინფორმაცია გაგვაჩნია. დინასტიის მომდევნო ფარაონების, მათი თანმიმდევრობის და დინასტიის დასასრულის შესახებ ინფორმაცია უაღრესად ბუნდოვანია. სავარაუდოდ, დინასტიის ბოლო ფარაონი იყო ჰუნი (Grimal, 2003, 67).

ჰავარა — ადგილი ფაიუმის ოაზისის შესასვლელთან, კროკოდილოპოლისის სამხრეთით. აქ მდებარეობს XII დინასტიის ფარაონის, ამონემხატ III-ის მეორე პირამიდა (მას კიდევ ერთი, ე.წ. „შავი პირამიდა“ ჰქონდა დაშურში), რომელიც მის საბოლოო განსასვენებელ ადგილად არის მიჩნეული. აქვე მდებარეობდა მისი გრანდიოზული მოსახსენიებელი ტაძარი (ე.წ. „ლაბირინთი“), რომელმაც აღაფრთოვანა ჰეროდოტე. პირამიდიდან 2 კმ. სამხრეთით ნაპოვნია მისი ქალიშვილის, ნეფრუ-პტახის ხელშეუხებელი პირამიდა. პირველი გათხრები ჰავარაში ჩაატარა კ. ლეფსიუსმა 1843 წ., შემდეგ კი ფ. პეტრიმ. პირამიდის გათხრების გარდა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ნეკროპოლისის გათხრები, სადაც ფ. პეტრის მიერ აღმოჩენილი იქნა 146 ე.წ. „ფაიუმის პორტრეტი“. ჰავარაში პეტრის მიერ მოძიებული იქნა ასევე პაპირუსები, რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პაპირუსის გრაგნილი ჰომეროსის „ილიადის“ პირველი და მეორე თავით (ე.წ. „ჰავარას ჰომეროსი“), რომელიც დღეს ოქსფორდშია დაცული (Bodleian Library).

ჰელიოპოლისი — (ეგვ. *Iwnw,* „სვეტის ქალაქი“, Wb I, 54), მეცამეტე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი, ეგვიპტის უძველესი კოსმოგონიური სისტემის და მზის კულტის სამშობლო. მისი ისტორია, სავარაუდოდ, ნაქადას პერიოდიდან იწყება. მდებარეობდა სოფელ მატარიასთან, კაიროდან 13 კმ. ჩრდილო-აღმოსავლეთით. უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მიუხედავად, ქალაქი არქეოლოგიურად ნაკლებად არის შესწავლილი. შემორჩენილია 30 მ. სისქის კედელი (1000 x 900 მ-ზე), რომელიც გარს ერტყა ატუმის და რა-ხორახტის ტაძრებს. მათ 500 მ. სიგრძის სფინქსების ალეა აკავშირებდა (თითოეული სფინქსი 7 მ. სიგრძისაა). შემოინახა გვიანდელი პერიოდის რა-ხორახტის ტაძრის გეგმა, რომლის თანახმად მას სამი პილონი და სამი ეზო ჰქონდა. აქვე იყო ბენბენის ტაძარი სვეტებიანი დარბაზით და ოთხი ობელისკით. აღმოჩენილია

ასევე ეხნატონის მიერ ატუმისათვის აგებული ტაძრის ბლოკები (ტალატატი), მაგრამ ტაძრის მდებარეობა უცნობია. ატუმის ტაძარი იდგა 600 კვ. მ. ამაღლებაზე, რომელსაც 65 მ. სისქის კედელი ჰქონდა გარშემორტყმული. კედელი, სავარაუდოდ, ძველი სამეფოს დროს აიგო და XX დინასტიამდე იდგა. კედლის შიგნით აღმოჩენილია ჯოსერის (III დინასტია) კაპელის ფრაგმენტები, რომლებზეც ჰელიოპოლისის ენეადის ღმერთების უძველესი გამოსახულებებია მოთავსებული. ქალაქში უძველესი დროიდან სვეტის კულტი იყო. ატუმის ტაძარში 16 ობელისკი იდგა, რომელთაგან უძველესი (3 მ. სიმაღლის) ფარაონ ტეტის (VI დინასტია) ეკუთვნოდა. თავის ხებ-სედის დღესასწაულთან დაკავშირებით, სენუსერტ I-მა ააგო ახალი რა-ხორახტის ტაძარი და გაადიდა ატუმის ტაძარი, რომლის ნინ ორი (20.41 მ. სიმაღლის) ობელისკი დადგა. ერთ-ერთი მათგანი ნაიქცა ჩვ.ნ.-ით 1161 წელს, მეორე კი დღემდე დგას. ამავე ტაძარს ორი ობელისკი მიუძღვნა თოტმეს III-მ. დღეს ისინი „კლეოპატრას ნემსების" (Cleopatra's Needles) სახელით არის ცნობილი და ნიუ იორკში და ლონდონში დგას. ობელისკები ჰელიოპოლისიდან დღეს დგას ასევე რომში (3) და მონტეჩიტორიოში (Arnold, 2003, 106). ქალაქი ძალიან გავერანდა შუა საუკუნეების დროს, როცა მისი შენობების და ტაძრების ბლოკები კაიროს მშენებლობაში გამოიყენეს. ჰელიოპოლისი არასოდეს არ თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ქვეყნის პოლიტიკაში, მაგრამ რელიგიაში ყოველთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა. აქ შექმნილმა თეოლოგიურმა სისტემამ (ენეადა) ფაქრობრივად მიმართულება მისცა ეგვიპტური რელიგიური აზროვნების განვითარებას. ჰელიოპოლისის ქურუმების მცდელობით IV-V დინასტიების მიჯნაზე ძირეულად შეიცვალა ფარაონის სახე, რომელიც ქალაქში აღზევებული ახალი დიდი ღმერთის, რას ვაჟიშვილი გახდა. ჰელიოპოლისი იყო რას თაყვანისცემის მთავარი საკულტო ადგილი, „რას სახლი" (PT 215-17), რის გამოც ბერძნებმა ჰელიოპოლისი დაარქვეს. ქალაქის ეგვიპტური სახელი უძველესი, წინადინასტიური დროის ბოძის სახის ფეტიშიდან მომდინარეობს. ახალი სამეფოს დროს მისი ტაძრები ამონის კარნაკის ტაძრის (თებეში) და მემფისის პტახის ტაძრის შემდეგ არის მოხსენიებული. რეალურად ახალი სამეფოს დროს, ჯერ კიდევ რამესიდების პერიოდში, ჰელიოპოლისის ტაძრების შემოსავალი საგრძნობლად უსწრებდა მემფისისას (Helck-Otto, 1956, 145). შემდგომში ქალაქი თანდათან დაცარიელდა. მისი უკანასკნელი ნაგებობები საისური პერიოდით არის დათარი-

ღებული, რაც ეხმაურება სტრაბონის (XVII. 805-6) მონაცემებს კამბიზის მიერ ქალაქის განადგურების შესახებ.

ჰერაკლეოპოლისი — 1. **ჰერაკლეოპოლისი მაგნა** (ეგვ. *Nn-nsw.t,* Wb II, 272, ან *Nnw šwt,* „ზემო ეგვიპტის მეფის შვილის ქალაქი", Montet, 1961, 186), მეოცე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი. მდებარეობდა ნილოსის ბაპრ-იუსუფის ტოტის მარჯვენა ნაპირზე. ისტორიულ დროში მისი მთავარი ღვთაება ხარსაფესოსი იყო, რომელიც ბერძნებმა ჰერაკლესთან გააიგივეს. მითის თანახმად, მზის თვალმა ადამიანები სწორედ ჰერაკლეოპოლისში გაანადგურა (Roeder, 1915, 143). ითვლებოდა ასევე ხორის და სეტხის ორთაბრძოლის ადგილად (Bonnet, 1952, 287). ხარსაფესოსის ტაძრიდან ნანგრევებია შემორჩენილი. ძირითადი ნაგებობები რამსეს II-ის მეფობით არის დათარიღებული, თუმცა ტაძარი უფრო ძველია, რადგან მოძიებულია ბევრი ბლოკი XII დინასტიის ფარაონების სახელებით. პირველი გარდამავალი პერიოდის დროს, როცა ჰერაკლეოპოლისი წამყვან როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, აქ მოხდა იმდროინდელი თეოლოგიური აზროვნების ორი ძირითადი მიმართულების — რას და ოსირისის რელიგიების შეჯახება და შერწყმა (Коростовцев, 1976, 105). ბევრი სხვა ქალაქის მსგავსად, ითვლებოდა, რომ ჰერაკლეოპოლისშიც იყო ოსირისის წმინდა ნაწილის (მარჯვენა ფეხის) საფლავი. ადგილს, სადაც საფლავი იყო, „ნარეფი" ერქვა. ოსირისი აქ აღიქმებოდა, როგორც რას ერთ-ერთი ასპექტი, ჰერაკლეოპოლისი კი ოსირისის და ხორის მეფედ კურთხევის ადგილად იყო მიჩნეული. „ნარეფის ოსირისთან" მოხდა ასევე ჰერაკლეოპოლისის მთავარი ღვთაების, ხარსაფესოსის შერწყმაც (Bard, 1999, 443). პირველი გარდამავალი პერიოდის ბუნდოვან დროს ჰერაკლეოპოლისი ეგვიპტის ფარაონების რეზიდენცია და იმ ტერიტორიის დედაქალაქი იყო, რომელზეც ჰერაკლეოპოლისელი ფარაონების ძალაუფლება ვრცელდებოდა. ჰერაკლეოპოლისის სამეფო კარის მოკავშირეების, ასიუტის (ლიკოპოლისის) დიდგვაროვანთა ავტობიოგრაფიებიდან ჩანს, რომ ჰერაკლეოპოლისელები თებელებს ქვეყნის გამთლიანებისათვის ებრძოდნენ (Breasted, 1962, §§391-414). ეს ბრძოლა თებელების გამარჯვებით დასრულდა, როცა მონტუხოტეპ II-მ ხელმეორედ გააერთიანა მთელი ეგვიპტე. ჰერაკლეოპოლისმა კიდევ ერთხელ მოიპოვა პოლიტიკური მნიშვნელობა ჩვ.წ.-მდე დაახლ. 950 წლიდან, როცა ჰერაკლეოპოლისის მმართველი, ლიბიელი

შეშონკი ეგვიპტის ფარაონი გახდა (შეშონკ I, XXII ლიბიური დინასტიის დამაასებელი), მაგრამ დედაქალაქი ჰერაკლეოპოლისი აღარ გამხდარა. ქალაქი მემკვიდრეობით ერგოთ სამეფო დინასტიის უმცროსი შტოს წარმომადგენლებს, რომლებიც ხარსაფესოსის ქურუმები იყვნენ. პტოლემაიოსების დროს ჰერაკლეოპოლისის ქურუმებს „ზემო ეგვიპტის მეფეებს" ეძახდნენ. დღეს ქალაქი მთლიანად თანამედროვე დასახლების – იჰნასიას და ასევე მიმდებარე სოფლების ქვეშ არის მოქცეული (Bard, 1999, 442). 2. **ჰერაკლეოპოლისი პარვა** – მდებარეობდა დელტაში. ზუსტი ადგილმდებარეობა დადგენილი არ არის. აქაც მთავარი ღვთაება ხარსაფესოსი იყო (Bonnet, 1952, 289).

ჰერაკლეოპოლისური ეპოქა – პერიოდი, როცა ძალაუფლებას ჰერაკლეოპოლისის მეფეები ფლობდნენ (IX-X დინასტიები, პირველი გარდამავალი პერიოდის მეორე ნახევარი). მათი ძალაუფლება მხოლოდ ჩრდილოეთ და შუა ეგვიპტეზე ვრცელდებოდა. ძველი სამეფოს დაშლის შემდეგ ქვეყანაში დაწყებულ ანარქიას კარგად გადმოსცემს მანეთონის ცნობა, რომ VII დინასტია შედგებოდა 70 მეფისაგან, რომლებმაც 70 დღეს იმეფეს (Manetho, 1956, 57). თანამედროვე რეკონსტრუქციით, VI დინასტიიდან IX დინასტიამდე დაახლ. ორი ათეული წელი გავიდა. ამის შემდეგ ტახტს იპყრობს ვინმე ახტოი ჰერაკლეოპოლისიდან, რომელმაც მოახერხა შუა ეგვიპტის ტერიტორიის დამორჩილება. ის და მისი მომდევნო 17 ფარაონი შეადგენენ IX-X დინასტიებს, რომელთა ძალაუფლება ქვემო და შუა ეგვიპტეზე ვცელდებოდა, სანამ თებეს ნომარქების მცდელობა, გაეერთიანებინათ მთელი ეგვიპტე, ტრიუმფალურად დაასრულა მონტუხეტეპ II-მ და კვლავ გააერთიანა ქვეყანა (მონტუხეტეპი შუა სამეფოს პირველ ფარაონად ითვლება). ჰერაკლეოპოლისური პერიოდი ცნობილია შესანიშნავი მიღწევებით კულტურის, ლიტერატურის და რელიგიური აზროვნების სფეროში. ასევე ითვლება, რომ ჰერაკლეოპოლისის დამსახურებაა ლიტერატურაში, არქიტექტურასა და ხელოვნებაში ძველი სამეფოს საუკეთესო ტრადიციების შენარჩუნება და დახვენა და მათი შუა სამეფოსათვის გადაცემა (Bard, 1999, 44-46).

ჰერმეს ტრისმეგისტოსი – ეგვიპტური თოტის და ბერძნული ჰერმესის სინკრეტიზმის ნაყოფი, ღვთაება, რომელშიც აისახა ის დაძაბულობა, რომელიც ამ ორი უდიდესი კულტურის შეხვედრამ წარმოქმნა. თოტი, რომელიც ბერძნებმა თავიანთ ჰერმეს-

თან გააიგივეს, მათ მისტიციზმის და თეოსოფიის სულის ჩამდგმელად მიაჩნდათ. ეგვიპტელები თავიანთ ღმერთებს „დიდს" ეძახდნენ. ამის გამოძახილია „ტრისმეგისტოსი" — „სამგზის დიდი". პირველად თოტი, როგორც „სამგზის დიდი", მოხსენიებულია დემოტიურ და ბერძნულ ოსტრაკონებზე, რომლებიც შეადგინა ეგვიპტელმა ქურუმმა, ხორმა, სებენიტოსის ნომიდან ჩვ.წ.-მდე 172 წელს (Copenhaver, 1992, XIV). თოტი ერთ-ერთი ურთულესი და მრავალსახოვანია ეგვიპტის დიდ ღვთაებებს შორის. უძველესი დროიდან ის იყო მთვარის ღვთაება, და მისი ბევრი ასპექტი სწორედ მთვარესთან კავშირმა წარმოშვა. როგორც ციური მნათობი, ის დააკავშირეს მზესთან, და თოტმა მზის მდივნის და მრჩევლის ფუნქცია მოიხვეჭა. როგორც მზის მდივანი და მრჩეველი, ის დამწერლობის გამომგონებელი და უდიდესი ბრძენი იყო, რომელსაც ეგვიპტელი ქურუმები ბევრი წმინდა წიგნის ავტორად აცხადებდნენ. რადგანაც ეგვიპტელის წარმოდგენით მთვარეზე იყო დამოკიდებული სეზონების, თვეების და წლების მონაცვლეობა, თოტი დროის ბატონი და ბედის განმსაზღვრელი გახდა. ის ადამიანის ბედთან არა მარტო სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც იყო დაკავშირებული, რადგან მისი სულის განსჯის სამსჯავროს ხელმძღვანელობდა. ითვლებოდა, რომ მასზეა დამოკიდებული კოსმიური წესრიგი, რელიგიური და სამოქალაქო ინსტიტუტები. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა რიტუალებში და მაგიურ შელოცვებში. თანდათან ყველანაირი მეცნიერების და ცოდნის ბატონად და აღქმის და ცოდნის პერსონიფიკაციად გადაიქცა, და მას „იდუმალს" ეძახდნენ. როგორც მაგიის მეფე, ის მედიცინასაც დაუკავშირეს. ჰერმოპოლისში თოტი დაკავშირებული იყო ერთ-ერთ უძველეს კოსმოგონიურ სისტემასთან — ოგდოადასთან. ეგვიპტელი თვლიდა, რომ არაფერი შეიძლება გაკეთდეს თოტის გარეშე, და ის საოცრად პოპულარული იყო ყველა სოციალური ფენის ეგვიპტელებს შორის. ამიტომ ეგვიპტეში დასახლებულ უცხოელებს ბუნებრივად უჩნდებოდათ სურვილი, თოტთან რაიმე კავშირი მოეძებნათ (მაგ. ჩვ.წ.-მდე II საუკუნეში ებრაელმა არტაპანესმა თოტის და მოსეს ასიმილირება მოახდინა), ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ბერძნებმა თოტთან ჰერმესი გააიგივეს. მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. თოტის მსგავსად, კლასიკური ჰერმესი დაკავშირებული იყო მთვარესთან, მედიცინასთან და გარდაცვლილთა სამყაროსთან. ორივეს მიეწერებოდა სხარტი აზროვნება და მოსწრებული ფანდების მოფიქრების უნარი, რომელთა დახმარებითაც აბრუებდ-

ნენ და ამარცხებდნენ მოწინააღმდეგეს. ორივე ითვლებოდა ღმერთების მახარობლად. ელინისტურ სამყაროში ბერძენმა ჰერმესმა ლოგოსის ფუნქციაც იტვირთა, რადგან ითვლებოდა, რომ სწორედ ის აუწყებდა ადამიანებს ღმერთების ნებას. ელინისტური ჰერმესი-ლოგოსი კოსმოპოლიტურ ღმერთად გადაიქცა. ლიკაონელები მიიჩნევდნენ, რომ მოციქული პავლე მიწაზე ჩამოვიდა, როგორც ჰერმესი, რადგანაც ის „მთავარი მოლაპარაკე იყო". სტოიკები ჰერმესს არა მარტო ლოგოსის, არამედ შემოქმედის ფუნქციასაც მიაწერდნენ. სავარაუდოდ, ამაზე თოტის, როგორც დემიურგის თვისებებმა მოახდინა გავლენა. მაგრამ ჰერმეს ტრისმეგისტოსი, კოსმოპოლიტურობის მიუხედავად, „გაეგვიპტელებული" იყო თოტთან ასიმილაციის წყალობით, და ცნობილი იყო რომაულ სამყაროში, როგორც ეგვიპტური ღვთაება par excellence. საბოლოოდ, ეგვიპტური და ბერძნული თეოლოგიის და ელინისტური ფილოსოფიის ასეთმა შერწყმამ წარმოქმნა მთლიანობა, რომელიც მის შემადგენელ ნაწილებს გაცილებით აღემატებოდა (Fowden, 1986, 22-24).

ჰერმეტული ნაწერები — ნაწერები, რომელთა შექმნა ჰერმეს ტრისმეგისტოსს მიეწერებოდა. ეგვიპტეში არსებობდა ტრადიცია, რომ უძველესი რელიგიური, გეოგრაფიული, მათემატიკური და ასტრონომიული ნაწერები, რომლებიც სატაძრო ბიბლიოთეკებში ინახებოდა, თოტის, სიბრძნის და დამწერლობის ღმერთის შექმნილი იყო. თოტთან ასოცირებული უზენაესი ცოდნა და მისტიციზმი მრავალ ეგვიპტურ ტექსტში გვხვდება. ფარაონ ხეოფსს ზღაპარში „ფარაონი ხეოფსი და ჯადოსნები" (7.6) ყველაზე უფრო თოტის საიდუმლო პალატების რიცხვის გაგება აინტერესებს. კლემენს ალექსანდრიელი მოგვითხრობს 42 წიგნზე, რომელიც ქურუმებს უნდა სცოდნოდათ (Strom.VI. 4, 35, 3-37). ორი მათგანი, რომლებიც რელიგიური ჰიმნების და საკულტო ცერემონიების ჩანაწერს წარმოადგენდა, სატაძრო მომღერლებს უნდა ესწავლათ; ოთხი წიგნი ასტრონომიაზე — ჰოროლოგებს; ცხრა, „იეროგლიფიკის" სახელწოდებით, შეიცავდა ეგვიპტის გეოგრაფიას, ტაძრების მშენებლობას და მომარაგებას და ჰიეროგრამატების ცოდნის სფეროს წარმოადგენდა; ცხრა, ღმერთების კულტების შესახებ, სტოლისტებს უნდა სცოდნოდათ, და ორი, ღმერთების და ქურუმების იერარქიის შესახებ — წინასწარმეტყველებს. ამ 36 წიგნს, რომელშიც „ეგვიპტური სიბრძნე" ინახებოდა, ემატებოდა 6 მედიცინაზე, რომლებიც პასტოფორების ცოდნის სფეროში იყო (Bonnet,

1952, 291). ეს აღწერა ეგვიპტეში რეალურად არსებული სიტუაციის გამოძახილია, სადაც ტაძრებთან უძველესი დროიდან არსებობდა ბიბლიოთეკები და ქურუმები მუდმივად დაკავებული იყვნენ პაპირუსების გადაწერით და შევსებით, და მათ „თოტის წიგნებს" ეძახდნენ. ამ ტრადიციამ გაგრძელება პოვა ელინისტურ სამყაროში და უფრო გვიან, რადგან ბერძნებმა ეგვიპტელები, მათი გაუგებარი დამწერლობით მოხატული ტაძრებით, უმაღლესი სიბრძნისა და მისტიციზმის მატარებლებად მიიჩნიეს და თავიანთი საკუთარი თეოსოფიური და მისტიური თხზულებების ავტორად ჰერმეს ტრისმეგისტოსის გამოცხადება დაიწყეს. ჩვ.წ. III საუკუნეში ნეოპლატონისტი იამბლიხუსი წერდა, რომ სელევკოსის თანახმად, ჰერმესმა თავისი სიბრძნე 20 000 წიგნში ჩამოაყალიბა, მანეთონის თანახმად კი 36 555-ში. რეალურად, დღეისათვის ცნობილია 24 ჰერმეტული ნაშრომი, რომელთაგან ყველაზე ძველი ჩვ.წ.-მდე მეოთხე საუკუნით არის დათარიღებული. ჰერმეტისტები აცხადებდნენ, რომ ჰერმეტული ნაწერები, რომლებიც ჰერმეს ტრისმეგისტოსმა შექმნა, ორიგინალურად ეგვიპტურ ენაზე იყო დაწერილი, და შემდეგ თარგმნილი, ამდენად ჰერმეტიზმის სამშობლოც ეგვიპტეა, მაგრამ არა ფარაონების, არამედ ელინისტური ეგვიპტე (Copenhaver, 1992, XVI). რეალურად, პირველი ჰერმეტული ნაწარმოებები დაიწერა ბერძნულად, იმ ბერძნების (და/ან ბერძნულად მოლაპარაკე არაბერძნების) მიერ, რომლებიც ეგვიპტეში ცხოვრობდნენ (Kingsley, 2000, 19). ასე შეიქმნა ჰერმეტული აპოკრიფები ბერძნულ ენაზე, რომლებიც თავიდან ეგვიპტური ნაწერების ბერძნულ ენაზე თარგმანებს წარმოადგენდა. იამბლიხუსი (VIII. 5) ასახელებს ერთ ასეთ მთარგმნელს, ქურუმ ბიტისს. მაგრამ იმდენად დიდი იყო ტრისმეგისტოსის ძალა და ხიბლი, რომ მისი ნაწერების თარგმანები მხოლოდ ღვთაებრივი მთარგმნელის შესრულებული შეიძლებოდა ყოფილიყო, და გაცილებით უფრო გვიანდელ ქრისტიანულ ტრადიციაში გამოჩნდა მეორე ჰერმესი, რომელსაც ამ საქმე მიაწერდნენ. მეცხრე საუკუნეში მცხოვრები ბიზანტიელი ბერი სინკელი თავის ფსევდო-მანეთონის წერილში პტოლემაიოს II-დმი წერდა, რომ მანეთონმა იცოდა ნაწარმოებები, რომლებიც დაწერა წმინდა ენაზე იეროგლიფური ასოებით თოტმა, პირველმა ჰერმესმა, და რომლებიც წარღვნის შემდეგ თარგმნა წმინდა ენიდან ბერძნულად მეორე ჰერმესმა, აგათოდაიმონის შვილმა, ტატის მამამ, ეგვიპტური ტაძრების ყველაზე წმინდა ადგილებში (Copenhaver, 1992, XV). თანდათან გამოჩნდა ამ ტიპის ნაწარმოებთა

კრებულები, რომლებიც შინაარსობრივად ძალიან განსხვავდებოდა ეგვიპტური ნაწერებისაგან. ერთი ასეთი კორპუსი მოხსენიებული აქვს ალქიმიკოს ზოსიმეს (ჩვ.წ. IV ს.), როგორც პოიმანდრეს ქმნილება, კიდევ ერთი — ალექსანდრიის პატრიარქს, კირილეს (Reitzenstein, 1904, 191, 319, 333). დღეისათვის ცნობილი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია თვრამეტი ჰერმეტული ტრაქტატი და logos teleios, ცნობილი „ასკლეპიოსის" სახელით (Copenhaver, 1992). ყველა ამ ნაწარმოებში ეგვიპტური შეხედულებები ჰერმეს-თოტზე, დეკანებზე, სულების გადანაცვლებაზე, ოსირისის წრის ღმერთებზე და სხვ. ელინისტურ ჭრილშია გადამუშავებული. ჰერმეტული კორპუსების შექმნის დრო ზუსტად დადგენილი არ არის.

ჰერმონთისი — (ეგვ. *Ỉwnj*, Wb I, 54, თანამედრ. არმანტთან), თებეს ნომის უძველესი ქალაქი და მონტუს თაყვანისცემის მთავარი საკულტო ადგილი, მდებარეობდა 12 კმ. თებეს სამხრეთით. ჰელიოპოლისის ეგვიპტურ სახელთან მსგავსების გამო (*Ỉwnw*) ამ ორ ქალაქს ახალი სამეფოდან მოიხსენიებდნენ, როგორც „ზემო ეგვიპტის იუნუს" (*Ỉwnw Šmʿw*, ჰერმონთისი), და „ქვემო ეგვიპტის იუნუს" (ეგვ. *Ỉwn Mḥw*, ჰერმოპოლისი). ჰერმონთისს ეძახდნენ ასევე „მონტუს იუნუს" (ეგვ. *Ỉwn Mnṯw*) და „მონტუს სახლს" (ეგვ. *Pr Mnṯw*), საიდანაც წარმოიშვა ბერძნული „Hermonthis" და თანამედროვე „არმანტი" (Gardiner, 1947, II, 22*-23*). ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ნინადინასტიური დასახლება და სასაფლაო, თუმცა დღეისათვის მოძიებული ტაძრის უძველესი ბლოკები XI დინასტიით თარიღდება. ტაძარი მიძღვნილი იყო მონტუს და მისი ცოლის, რატ-ტაუისადმი. ტაძრის ფუნდამენტური რეკონსტრუქცია ჩატარდა თოტმეს III-ის დროს, მოძიებულია ასევე რამსეს II-ის მიერ ტაძრისათვის შეწირული ორი კოლოსი. პტოლემაიოსების დროს ძველი ტაძარი დაანგრიეს და მის ადგილზე ახალი გრანდიოზული ტაძარი ააგეს, მაგრამ ძველი ტაძრის პილონისათვის ხელი არ უხლიათ. კლეოპატრამ აქვე ააგო „დაბადების სახლი" თავისი შვილის, ცეზარიონის დაბადების აღსანიშნავად. ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით გათხრილია კიდევ ერთი ტაძარი, ბუხეუმი. მის შემოგარენში ხდებოდა ბუხისის ხარების მუმიფიცირება და დაკრძალვა, რომლებიც მონტუს კულტთან იყვნენ გადაჯაჭვული (Bard (ed.), 1999, 162-165). როგორც „სამხრეთის იუნუში", აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვა ასევე რას კულტმა, და აქაური ამონის ქურუმი ჰელიოპოლისის მთავარი

ქურუმის წოდებას ("დიდი მხილველი") ატარებდა (Bonnet, 1952, 293). ჰერმონთისს არასოდეს მოუპოვებია განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნის ისტორიაში, მაგრამ ის თავისებურად მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ ეს არის ადგილი, რომელიც ეგვიპტის წინადინასტიური პერიოდიდან დღემდე არის დასახლებული.

ჰერმოპოლისი — ასე მოიხსენიებდნენ ბერძნები ქალაქებს, სადაც ეთაყვანებოდნენ თოტს, რომელიც მათ ჰერმესთან გააიგივეს. ცნობილია რამდენიმე ქალაქი ამ სახელით. 1. **ჰერმოპოლისი მაგნა,** მეთხუთმეტე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი (ეგვ. *Ḫmnw*, Wb III, 315, კოპტ. Shmun — „რვა", თანამედრ. ელ-აშმუნეინი). მისი სახელი „რვის ქალაქი" დაკავშირებულია ჰერმოპოლისის კოსმოგონიურ სისტემასთან, რომელიც რვა ღმერთისაგან (ოგდოადა) იყო შემდგარი. მდებარეობდა შუა ეგვიპტეში, კაიროდან 300 კმ. სამხრეთით. ოგდოადის ღმერთები მოხსენიებული არიან პირამიდების ტექსტებში, მაგრამ ქალაქის სახელი აქ არ გვხვდება. თოტის, როგორც „რვის ქალაქის" ბატონის მოხსენიება პირველად V დინასტიის დროს არის დაფიქსირებული. განსაკუთრებით ხშირად ქალაქი ტექსტებში შუა სამეფოს პერიოდიდან მოიხსენიება (Gardiner, 1947, II, 80*). ქალაქში აღმოჩენილია ახალი სამეფოს დროის ტაძრის, მის სამხრეთით კი რამსეს II-ის პილონის ნანგრევები. წარწერებიდან გამომდინარე, ტაძრის რეკონსტრუქცია მუდმივად ხდებოდა XVIII-XX დინასტიების პერიოდში, განსაკუთრებით ამონხეტეპ II-ის, ხორემხების, რამსეს II-ის და III-ის დროს. აქვე მოძიებულია ამონხეტეპ III-ის მეფობით დათარიღებული პავიანის (თოტის ცხოველი) უზარმაზარი ქანდაკებების ნამსხვრევები. ტაძრის რეკონსტრუქცია მოახდინა ნექტანებოს I-მა. ცენტრალური ტაძრის დასავლეთით აღმოჩენილია კიდევ ერთი ტაძარი, მიძღვნილი თოტის და ამონისადმი. ტაძრის მშენებლობა სავარაუდოდ რამსეს II-ის დროს დაიწყო, რადგან აქვეა ნაპოვნი მისი კოლოსალური ქანდაკების ნამსხვრევები. ქალაქის მთავარი სატაძრო უბანი 637 კვ. მ. მოიცავდა. მისი რეკონსტრუქცია მოხდა XXX დინასტიის დროს. ამავე პერიოდში მთელ უბანს შემოავლეს 15 მ. სისქის კედელი, რომლის პერიმეტრი დაახლ. 2000 მეტრია. გალავნის ჭიშკარი, საიდანაც იწყებოდა ჩრდილოეთისაკენ მიმავალი საპროცესიო გზა, კედლის სამხრეთ ნაწილში იყო გაჭრილი. სატაძრო უბანი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა, მის ირგვლივ განლაგებული იყო საცხოვრებე-

ლი უბნები, რომლებიც დღეს ძირითადად ელ-აშმუნეინის ქვეშ არის მოქცეული. აღმოჩენილია აგურის სახლები, რომლებიც ჩვ.წ.-მდე 900-650 წლებით არის დათარიღებული, და ჩვ.წ.-მდე 2000 წლით დათარიღებული, საკმაოდ ღარიბი სამარხები. ეს სამარხები არის ყველაზე ძველი არქეოლოგიური მასალა, რომელიც დღემდე ჰერმოპოლისის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი (Bard (ed.), 1999, 147-149). ჰერმოპოლისი, სადაც ეგვიპტის ერთ-ერთი კოსმოგონია შეიქმნა, ქვეყნის მნიშვნელოვანი რელიგიური ცენტრი იყო. ის გარკვეულ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, განსაკუთრებით პირველი გარდამავალი პერიოდის დროს, როცა მისი ნომარქები ჰერაკლეოპოლისის ფარაონების მხარეს იბრძოდნენ, და შემდგომ, ახალი სამეფოს დასასრულიდან, როცა ქვეყანა ფაქტობრივად ორად იყო გაყოფილი, რადგან ქალაქი ჩრდილოეთ ეგვიპტის და ამონის სამფლობელოს (თებაიდის) საზღვარზე მდებარეობდა (Helck und Otto, 1956, 147). 2. **ჰერმოპოლისი** (ეგვ. *Bꜣḥ*), მეთხუთმეტე ქვემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი (Gardiner, 1947, II, 197*). ინფორმაცია მის შესახებ მხოლოდ გვიანდელი პერიოდიდან გვაქვს. პიანხის დროინდელ ტექსტში ქალაქის საკულტო სახელი მოხსენიებულია როგორც „თოტის სახლი, რომელიც ორივეს (ე.ი. ხორს და სეტხს) ყოფს". მდებარეობდა მენსურა ბეი ბაკლიეიდან 5 კმ სამხრეთით. შემორჩენილია XXVI დინასტიით დათარიღებული ტაძრის ნანგრევები, რომელსაც აპრიესმა ქვის ნაოსი მიუშენა. ტაძარი მიძღვნილი იყო თოტის და მისი მეუღლის, ნეხმეტ-აუისადმი. ქალაქთან ნაპოვნია საკრალური იბისების სასაფლაო (Bonnet, 1952, 294). 3. **ჰერმოპოლისი პარვა**. მდებარეობდა ნილოსის კანოპის ტოტზე, თანამედროვე დამანჰურის მიდამოებში. კოპტური სახლია Timinhor (Gardiner, 1947, II, 197*). 4. **ჰერმოპოლისი**, რომელიც მდებარეობდა კუნძულზე ბუტოს მიდამოებში. მოხსენიებული აქვს სტრაბონს (XVII. 802). ქალაქი ალბათ ძალიან ძველია, რადგან უკვე პირამიდების ტექსტებში არის მოხსენიებული „თოტის ადგილი" ბუტოს მიდამოებში (Bonnet, 1952, 295).

ჰიერაკონპოლისი — (ეგვ. ნეხენი *Nḫn*, Wb II, 310), ქალაქი მესამე ზემოეგვიპტურ ნომში. ითვლება წინადინასტიური სამხრეთ ეგვიპტური სამეფოს დედაქალაქად. ცნობილია, როგორც „ეგვიპტური სახელმწიფოს აკვანი". ჰიერაკონპოლისის მნიშვნელობაზე მეტყველებს უკვე ის ფართობი, რომელიც მას ეკავა, და მდიდრული სამარხების რიცხვი. თანამედროვე

არქეოლოგიური მონაცემების თანახმად, სწორედ ჰიერაკონ-პოლისის მეფეებმა მოახდინეს ეგვიპტის გაერთიანება და ერთიანი ეგვიპტური სახელმწიფოს შექმნა. სავარაუდოდ, აქვე მოხდა სამეფო ძალაუფლების დაკავშირება ხორთან, რადგან ჰიერაკონპოლისში აღმოჩენილ ცნობილ ნარმერის პალეტზე, რომელზეც აღბეჭდილია ჩრდილოეთზე გამარჯვება, ფარაონი გამოსახულია როგორც ზემო, ასევე ქვემო ეგვიპტის გვირგვინებით და მის პირისპირ ხორის ფიგურაა მოთავსებული. ესაა ფარაონის და ხორის კავშირის აღმნიშვნელი დღეისათვის ცნობილი უძველესი გამოსახულება. თვითონ ნარმერი სავარაუდოდ ნულოვანი დინასტიის უკანასკნელი ან პირველი დინასტიის პირველი ფარაონი იყო (Kemp, 1991, 39-41). ჰიერაკონპოლისი მდებარეობს ნილოსის დასავლეთ ნაპირზე, ედფუდან 17 კმ. ჩრდილო-დასავლეთით, თანამედრ. სოფელ კომ ელ-გემუიასთან. თვითონ ნაქალაქარის თანამედროვე სახელია კომ ელ-აჰმარი. ჰიერაკონპოლისის და მისი შემოგარენის ფართობი 144 კვ. კმ.-ს მოიცავს. ესაა ქალაქის ტერიტორია გალავნის შიგნით, დიდი ტაძრით, და ორი დასახლება გალავანს გარეთ, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით; სასაფლაოები და სამარხები უკვე უდაბნოში, ნაყოფიერი მიწის მიღმა მდებარეობს. აქვე, უდაბნოში, დღემდეა შემორჩენილი 3 705 კვ. მ.-ის ფორტის ტიპის ნაგებობის ნანგრევები, რომელიც ხასეხემუის (II დინასტია) მეფობით არის დათარიღებული (Bard, 1999, 372). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაქადა II-ის პერიოდის მდიდრული სამარხი, ასევე დიდი, ოვალური ზომის ეზო, რომელიც შესაძლოა უძველეს სატაძრო კომპლექსს ეკუთვნოდა. ნაქადა III-ის პერიოდით დათარიღებულია გრანდიოზული სამარხები, რომლებიც უშუალოდ წინადინასტიური პერიოდის ჰიერაკონპოლისის მმართველებს ეკუთვნოდა (*იქვე*, 25). დინასტიური პერიოდის დასასრულისათვის ჰიერაკონპოლისი კლებულობს ზომაში. ფართოდ გაშლილი სოფლის ტიპის დასახლებიდან ის აგურით ნაშენებ და უფრო მჭიდროდ დასახლებულ ქალაქად იქცა. ჰიერაკონპოლისში აღმოჩენილია აგურის კედელი მონუმენტური ჭიშკრით, სავარაუდოდ სასახლის ნანგრევები, (წარმოადგენს ჩვენამდე მოღწეული ადრეული სასახლის ერთადერთ ნიმუშს), ასევე უძველესი ტაძრის ფუნდამენტი. ქალაქი ვითარდებოდა ადრედინასტიური და ძველი სამეფოს პერიოდების დროს, როცა აიგო 320 კვ. მ.-ის გალავანი. ახალი სამეფოს შემდეგ ქალაქი თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას, როგორც ურბანული ცენტრი, და მის ადგილს ახლომდებარე ედფუ იკავებს, მაგ-

რამ ნეხენის ხორის ტაძარი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, როგორც ხორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახის (ნეხენის ხორის) ტაძარი, და მისი რეკონსტრუქცია მოხდა როგორც შუა, ისე ახალი სამეფოების დროს (Kemp, 1999, 39).

ჰიკსოსების ეპოქა — „რაღაც უცნობი დანაშაულისათვის ღმერთებმა დასაჯეს ჩემი ქვეყანა. მოულოდნელად უცნობი წარმომავლობის დამპყრობლები, დარწმუნებულები გამარჯვებაში, შემოიჭრნენ აღმოსავლეთიდან ჩემს ქვეყანაში. მათ ადვილად დაიპყრეს ის, ბრძოლის გარეშე“ — ასე აღწერს მანეთონი ჰიკსოსების გაბატონებას ეგვიპტეში (Booths, 2005, 9). თანამედროვე ეგვიპტელები მათ ბელადებს მოიხსენიებდნენ, როგორც *„ḥkꜣw ḫꜣswt,“* — „უცხო ქვეყნის ბელადებს“, უფრო გვიანდელმა ეგვიპტელებმა ეს სახელი მთელ ეთნოსს დაარქვეს, მანეთონი კი მათ „ჰიკსოსებს“ ეძახდა. ჰიკსოსების მიერ ეგვიპტის დაპყრობა თანდათან და თითქმის უბრძოლველად მოხდა. უკვე მეთორმეტე დინასტიიდან, როცა სავაჭრო კონტაქტი დასავლეთ აზიასთან საკმაოდ ინტენსიური გახდა, ფარაონებმა დაინყეს აღმოსავლეთ დელტაში სავაჭრო ბაზის შექმნა და სირია-პალესტინიდან ჯარისკაცების, მეზღვაურების, გემთმშენებლების ჩამოსახლება. ამ ხალხს დღეს ამორიტელებს ან ქანაანელებს ეძახიან (Bietak, 1999, 377). კოლონიზაციის ნაკადმა ძალიან იმატა XIII დინასტიის დროს, როცა მრავალწლიანი მოუსავლიანობის და ეპიდემიების ფონზე პოლიტიკური სიტუაცია ეგვიპტეში მკვეთრად გაუარესდა, რაზეც უკვე დინასტიის ფარაონების რიცხვი (დაახლ. 50) და მათი მეფობის ეფემერულობა (ძირითადად 2-6 წელი, Hayes, 1960, 340) მეტყველებს. დასუსტებული ცენტრალური მმართველობის პირობებში დასავლეთ დელტა (ქსოისის რეგიონი) პრაქტიკულად ჩამოშორდა დანარჩენ ეგვიპტეს და მას ადგილობრივი მეფეები (ან მმართველები) მართავდნენ, რომლებსაც მანეთონი მოიხსენიებს, როგორც მეთოთხმეტე დინასტიას. არასტაბილურობაზე მიუთითებს ასევე ქსოისის დინასტიის მეფეების რიცხვი (76) და მათი მეფობის ნლების საერთო რაოდენობა (184) (Hayes, 1960, 351). ამ ვითარებაში აზიურმა კოლონისტებმა გამოიჩინეს თავი, როგორც კარგად ორგანიზებულმა მეომრებმა და ხელში ჩაიგდეს დელტის ნაწილი და ავარისი, რომელიც თავისი სამეფოს ბირთვად გადააქციეს (Bietak, 1999, 377). მეცამეტე დინასტიამ შენყვიტა არსებობა და ეგვიპტეში დაინყო უცხოელების ბატონობის დაახლ. ასნლიანი მონაკვეთი (ე.წ. XV „ჰიკსოსური“

დინასტია). პირველი ჰიკსოსი მეფის — სალათისის — კურთხევა მემფისში მოხდა, თუმცა მისი ძალაუფლების ბაზა ავარისში იყო (Bietak, 1999, 377). ჰიკსოსებს კიდევ 20 წელი დასჭირდათ, რომ მიეღწიათ აბიდოსამდე, და კიდევ 30, რომ მოეპოვებინათ გავლენა თებეს რეგიონზე, რაც ადგილობრივი მმართველების მუდმივ წინააღმდეგობაზე მეტყველებს (Booth, 2005, 10), მაგრამ თანდათან მათ მთლიანად დაიკავეს დელტა და შუა ეგვიპტე. ჰიკსოსების მეორე (მანეთონის XVI) დინასტიის რეზიდენციას შარუხენი წარმოადგენდა. შარუხენიდან დინასტია მართავდა პატარა სამეფოს, რომელშიც შარუხენის გარდა შედიოდა სანაპირო ფორტები და ქაბრის მიდამოები ჩრდილოეთ პალესტინაში. დანარჩენი პალესტინა, როგორც ჩანს, დამოუკიდებელი და ჰიკსოსებისადმი მტრულად განწყობილი იყო, რაზეც მიუთითებს უზარმაზარი ფორტიფიკაციები ქვეყნის ძირითად ქალაქებში ამ პერიოდის ბოლო ფაზაში. ჰიკსოსების ეკონომიკა შარუხენი-ავარისის კავშირზე იყო დამყარებული. ეგვიპტელი ჰიკსოსები ეთაყვანებოდნენ ჩრდილოეთ სირიის ქარიშხლის ღმერთს ბაალს, რომელიც ეგვიპტელების სეტხთან გააიგივეს. კამოსეს ორი სტელის და სალიეს პაპირუსის (pap. Sallier I) მონაცემებით, ჰიკსოსების XV დინასტიის პარალელურად ეგვიპტეში კიდევ რამდენიმე მმართველი იყო, რომელთაგან ყველაზე აღსანიშნავი თებეს XVII დინასტიაა (Bietak, 1999, 377-378). თავიდან თებელები დაკავებული იყვნენ სამშენებლო მოღვაწეობით და არ ავლენდნენ აგრესიულ დამოკიდებულებას ჰიკსოსების მიმართ — შესაძლოა მათ ამის ძალა არც ჰქონდათ. შესაძლოა ასევე, რომ დასჭირდათ რაღაც დრო ცხენის და საბრძოლო ეტლის მართვის ტექნიკის ასათვისებლად, რადგან სწორედ ცხენი გამოდგა საბედისწერო ეგვიპტელებისათვის ჰიკსოსებთან ბრძოლაში — აქამდე ეგვიპტეში ცხენი, და მით უმეტეს საბრძოლო ეტლი, ნანახი არ ჰქონდათ. ვითარება იცვლება ჰიკსოსების ბოლო ორი მეფის — აპოპის და ხუდიმუს დროს. დინასტიის ბოლო მეფის, კამოსეს მამა სეკენენრა ტაო II „გულადი" იწყებს აქტიურ ქმედებებს ჰიკსოსების წინააღმდეგ და როგორც ჩანს, ილუპება ბრძოლაში, რასაც ავლენს მძიმე ჭრილობები მის მუმიაზე (Shaw, 2000, 199). კარნაკში ნაპოვნი ორი დიდი სტელის წყალობით უკეთ არის დოკუმენტირებული მისი შვილის, კამოსეს ქმედებები, რომელმაც „გულში ჩაიდო აზიელების განდევნა". მან დაიპყრო ფორტი ნეფერუსუ ჰიკსოსების მიერ მართულ ტერიტორიაზე. მეორე სტელის თანახმად, კამოსემ დაატყვევა ჰიკსოსების გემები და ასევე განდევნა ისინი კინო-

პოლისის ნომიდან (Hayes, 1959, 9). კამოსეს, როგორც ჩანს, ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ ტახტზე მისი უმცროსი ძმა, იახმესი ადის, რომელიც იმ დროისათვის ბავშვი იყო და რეგენტის მოვალეობას დედა, იახხეტეპი ასრულებდა. იახხეტეპმა კარგად გაართვა თავი რეგენტობას, რადგან ამ დროში ჰიკსოსების წარწერები ბუბასტისის სამხრეთით დაფიქსირებული არ არის (Grimal, 1988, 194). ხამუდის მეფობის მეთერთმეტე და თავის მეთვრამეტე წელს (თუმცა მოვლენათა მონაცვლეობა ზუსტად დადგენილი არ არის (Shaw, 2000, 203) ბრძოლაში ერთვება იახმესი, რომელმაც საბოლოოდ განდევნა ჰიკსოსები ეგვიპტიდან. შემდეგი 2-3 წლის განმავლობაში მან დაიპყრო მათი ბაზა შარუხენში და სდია ჰიკსოსებს ჩრდილოეთ სირიის მიღმა, რითაც საბოლოოდ აიცილა მათი ეგვიპტეზე ხელმეორედ თავდასხმა(Redford, 1967, 46-49; Grimal, 1988, 193). ჰიკსოსების ეთნიკური იდენტურობა დღემდე არ არის დადგენილი. ითვლება, რომ ისინი მოვიდნენ პალესტინიდან, რადგან ავარისის მატერიალური კულტურა სირია-პალესტინის რეგიონის შუა ბრინჯაოს ხანა II-ის მსგავსია, თუმცა მათი ცილინდრული საბეჭდავები, თაღიანი სამარხები და სხვ. მესოპოტამიის გავლენასაც ამჟღავნებს (Booth, 2005, 8). შესაძლოა, ისინი ძირითადად სემიტები იყვნენ, მაგრამ არ წარმოადგენდნენ ჰომოგენურ ეთნიკურ ერთობას (Hayes, 1959, 3). არქეოლოგიური მასალა ამჟღავნებს ჰიკსოსების მებრძოლ ბუნებას, რადგან თელ ელ დაბის (ავარისის) სამარხებში უამრავი იარაღია ნაპოვნი (Booth, 2005, 9). შემდეგი თაობების ეგვიპტელები ჰიკსოსების ბატონობას, რომლებიც „მეფობდნენ რას გარეშე", იხსენებდნენ, როგორც თავიანთი ქვეყნის უბნელეს ფურცელს, როცა ინგრეოდა და იბილწებოდა ტაძრები და ნადგურდებოდა სიწმინდეები (Booth, 2005), მაგრამ არქეოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ეს ასე არ იყო. დამპყრობლები, როგორც ჩანს, პატივს სცემდნენ ეგვიპტის ძველ კულტურას, ხმარობდნენ ეგვიპტურ დამწერლობას, მიიღეს ეგვიპტის ფარაონის ტრადიციული ტიტულატურა და განსაკუთრებით მოსწონდათ ეგვიპტური ხელოვნება, რასაც ადასტურებს ავარისში თითქმის მთელი ეგვიპტიდან ჩამოტანილი და ადგილზე ეგვიპტურ ყაიდაზე დამზადებული ურიცხვი ქანდაკება (Hayes, 1959, 4). ჰიკსოსების ეგვიპტური ქანდაკებებისადმი ასეთი სიყვარული, რასაც მათი ტაძრებიდან ძარცვა ახლდა თან, დღეს ჰიკსოსების მიმართ ეგვიპტელების სიძულვილის ერთ-ერთ მიზეზად ითვლება (Bietak, 1999, 379). თვითონ ჰიკსოსებმა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი გამოკვეთილი კულტურა არ

გააჩნდათ, დიდი გავლენა მოახდინეს ეგვიპტეზე. მათ გაუქრეს ეგვიპტელებს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული დაცულობის და თვითკმაყოფილების შეგრძნება და სხვა ერებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება. ჰიკსოსური „ხიდით" იქამდე შედარებით იზოლირებულ ეგვიპტეში აზიიდან შემოვიდა ახალი სისხლი, ახალი რელიგიური და ფილოსოფიური კონცეფციები და უმნიშვნელოვანესი საბრძოლო იარაღი — რთული მშვილდი, რომელიც ხის, ტყავის და რქისაგან იყო დამზადებული, გაუმჯობესებული ისრის თავები და ხანჯლები, ჯაჭვის პერანგი და მეტალის ჩაფხუტი, ცხენი და საბრძოლო ეტლი. ყველაფერ ამით მათ საფუძველი ჩაუყარეს და მიმართულება მისცეს ახალ სამეფოს, რომლის დროსაც ეგვიპტე დიდ იმპერიად გადაიქცა (Hayes, 1959, 4).

ჰიპსელისი — (ეგვ. *Šsḥtp*, „შასხეტეპი", მოგვიანებით *Šḥtp*, „შაჰეტეპი", Gardiner, 1947, II, 67*), მეთერთმეტე ზემოეგვიპტური ნომის დედაქალაქი. რატომ ეძახდნენ ბერძნები ჰიპსელისს (Hypselis), გარკვეული არ არის. მდებარეობდა ასიუტიდან სამხრეთ დასავლეთით, თანამედრ. სოფ. შუტებთან. ნომის ნიშანი სეტხის ცხოველია ჩარჭობილი დანით (Montet, 1961, 124). ხორის და სეტხის მითში ჰიპსელისი მოხსენიებულია, როგორც მათი შერიგების ადგილი. ამის გამოძახილია ნეკროპოლისის სახელი „ორივე ღმერთის ადგილი" და ადგილობრივი ქურუმის წოდება „შემრიგებელი" (Bonnet, 1952, 320). ძალიან ადრე სეტხის, როგორც ქალაქის მთავარი ღვთაების ადგილი ხნუმმა დაიკავა. მისი საკრალური ცხოველის, ცხვრის თავის ქალები ნაპოვნია ჰიპსელისის მოპირდაპირე მხარეს, ელ ბორშასთან (Badawi, 1937, 41).

ჰორაპოლონი — ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი ძველი ნაშრომის („იეროგლიფიკა") ავტორი, სადაც ეგვიპტური იეროგლიფური დამწერლობა არის აღწერილი. „იეროგლიფიკა" ცნიბილი გახდა მას შემდეგ, რაც მისი ბერძნულ ენაზე შესრულებული ხელნაწერი შეიძინა ცნობილმა მოგზაურმა ქრისტეფორე ბუონდელმონტიმ კუნძულ ანდროსზე 1419 წელს. მანუსკრიპტის პირველი სტრიქონები გვამცნობს, რომ წიგნის ორიგინალური ავტორი არის ჰორაპოლონი ნილოპოლისიდან, ბერძნულ ენაზე თარგმანი კი შესრულებულია ვინმე ფილიპეს მიერ. ჰორაპოლონის, და მით უმეტეს მისი მთარგმნელის შესახებ პრაქტიკულად არაფერია ცნობილი. ნაშრომი დაახლოებით

ჩვ.წ.-ის IV საუკუნით არის დათარიღებული. წიგნის პირველი ნაწილი 70 თავისაგან შედგება, მეორე — 120. თითოეული თავი ერთი იეროგლიფის აღწერას ეძღვნება. მიუხედავად იმისა, რომ კავშირი იეროგლიფურ ნიშანს და მის მნიშვნელობას შორის ჰორაპოლონს ყოველთვის ალეგორიულად აქვს ახსნილი, მას უდავოდ ჰქონდა რაღაც კავშირი ცოცხალ იეროგლიფურ ტრადიციასთან, რადგან ხშირ შემთხვევაში თვითონ ნიშნის ახსნა სწორად აქვს მოცემული. ის წერს, რომ სიტყვა „დედას" ეგვიპტელები აღნიშნავდნენ სვავის ნიშნით იმიტომ, რომ სვავები მხოლოდ დედლები არიან. „შევარდნის" ნიშნით ეგვიპტელები აღნიშნავდნენ ღმერთს, ან მშვენიერებას, ან გამარჯვებას, ან სისხლს. „ღმერთს" შევარდნის გამოსახულებით აღნიშნავდნენ იმიტომ, რომ შევარდენი არის ნაყოფიერი ფრინველი და დიდხანს ცოცხლობს. ის არის მზის სიმბოლო თავისი მახვილი მხედველობის და იმ სხივების გამო, რომლებსაც მისი თვალები ასხივებს. „შევარდენი" ნიშნავს მშვენიერებას, რადგან სხვა ფრინველებისაგან განსხვავებით, ის ვერტიკალურად ფრინდება. „გამარჯვებას" შევარდენი ნიშნავს იმიტომ, რომ ის ჯაბნის ყველა ფრინველს, „სისხლს" კი იმიტომ, რომ შევარდენი, სხვა ფრინველებისაგან განსხვავებით, წყლის მაგივრად სისხლს სვამს. ჰორაპოლონის მიხედვით, ბატის ნახატით ეგვიპტელები აღნიშნავდნენ „ვაჟიშვილს", რადგან ბატს ყველა ცოცხალ არსებაზე უფრო უყვარს თავისი შვილები (Horapollo, 1950, 59). ყველა ამ ახსნაში არის სიმართლის მარცვალი. შევარდნის აღმნიშვნელი იეროგლიფით აღინიშნებოდა ღვთაება ხორი, სვავის ნიშნით — დედა და ბატის ნიშნით — ვაჟიშვილი, მაგრამ იმიტომ, რომ „ბატის" და „სვავის" ჟღერადობა „ვაჟის" და „დედის" ჟღერადობას ემთხვეოდა. იგივე ნიშნები გამოიყენებოდა უამრავი, ხშირად ტრივიალური მნიშვნელობის სიტყვების დანერისას, რომლებშიც იგივე ჟღერადობის მარცვალი იყო. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჰორაპოლონს არასოდეს უცდია შეედგინა ფრაზები ან წინადადებები, და მისი ინფორმაციის ძირითადი მასა მცდარია. ის აღწერს, როგორც იეროგლიფურ ნიშნებს, ნახატებს, რომლებიც არასოდეს ყოფილა დამწერლობის ელემენტი, და ასევე აღწერს ისეთ ნიშნებს, რომლებიც არასოდეს არის დაფიქსირებული ეგვიპტურ დამწერლობაში ან მხატვრობაში (მაგ. „ლომი, რომელიც მაიმუნს ჭამს", „ბრმა ხოჭო", „ნიანგის სისხლი" და სხვ.). ასეთი „ნიშნები", სავარაუდოდ, თვითონ ჰორაპოლონის გამოგონებას წარმოადგენს. მაგრამ რენესანსის ტრადიციაში ჰორაპოლონის „იეროგლიფიკა" გახდა

უმაღლესი, დაკანონებული ავტორიტეტი ეგვიპტურ იეროგლიფებთან დაკავშირებულ ყველა საკითხში და ითვლებოდა ერთადერთ წყაროდ იმ სიბრძნის ასახსნელად, რომელიც, როგორც ამ დროს მიაჩნდათ, ეგვიპტურ იეროგლიფებში იყო ჩაქსოვილი. „იეროგლიფიკა" იყო იმ პირველ წიგნებს შორის, რომლებიც დაიბეჭდა ბეჭდვითი ხელოვნების გამოგონების შემდეგ. ევროპის გამოჩენილი მოაზროვნეები და მხატვრები ქმნიდნენ ახალ იეროგლიფებს ჰორაპოლონის ალეგორიული ახსნების მიხედვით და თანდათან შორდებოდნენ ეგვიპტური დამწერლობის რეალურ არსებას. ეგვიპტოლოგიის, როგორც მეცნიერების განვითარებისათვის წიგნის ასეთი პოპულარობა ფატალური აღმოჩნდა, რადგან საუკუნეები დასჭირდა მომხიბვლელი ილუზიებისაგან გათავისუფლებას, და იმის გააზრებას, რომ ეგვიპტური იეროგლიფები სინამდვილეში ჩვეულებრივი, და არა ალეგორიული დამწერლობის ნიშნები იყო (Iversen, 1961, 49).


ხეთასეული ზღვა
სინაი
ნილოსი
ბუბასტისი
ბუტო
ბუსირისი
ბუბასტისი
ბუტო
ბუსირისი
ბუბასტისი
ბუტო
ბუსირის


ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲖᲦᲕᲐ
ᲕᲐᲠᲐᲦᲠᲐᲡ
ᲝᲐᲖᲘᲡᲘ
ᲐᲠᲐᲑᲝᲚᲘᲡᲘ
ᲔᲚ-ᲐᲑᲐᲠᲜᲐ (ᲐᲮᲔᲦᲐᲢᲝᲜᲘ)
ᲐᲢᲜᲔᲑᲘ
ᲥᲣᲡᲐ
ᲐᲡᲘᲣᲢᲘ
ᲚᲘᲙᲝᲠᲝᲚᲘᲡᲘ
ᲑᲐᲓᲐᲠᲘ
ᲐᲜᲗᲘᲝᲠᲝᲚᲘᲡᲘ
ᲐᲮᲛᲘᲛᲘ
ᲡᲝᲤᲐᲑᲘ
ᲗᲘᲜᲘᲡᲘ
ᲐᲑᲘᲓᲝᲡᲘ
ᲔᲚ-ᲐᲛᲠᲐ
ᲙᲣ
ᲓᲔᲜᲓᲠᲐ
ᲙᲝᲤᲢᲝᲡᲘ
ᲝᲛᲑᲝᲡᲘ
ᲥᲣᲡᲘ
ᲜᲐᲥᲐᲓᲐ
ᲛᲔᲓᲐᲛᲔᲓᲘ
ᲗᲔᲑᲔᲡ
ᲙᲠᲝᲙᲝᲓᲘᲚᲝᲠᲝᲚᲘᲡᲘ
ᲙᲐᲠᲜᲐᲙᲘ
ᲑᲔᲑᲔᲚᲔᲜᲘ
ᲚᲣᲥᲡᲝᲠᲘ
ᲚᲐᲢᲝᲠᲝᲚᲘᲡᲘ
ᲔᲡᲜᲐ
ᲞᲘᲔᲠᲐᲙᲝᲜᲝᲚᲘᲡᲘ
(ᲜᲔᲮᲔᲜᲘ)
ᲔᲚ-ᲫᲐᲒᲘ
(ᲔᲘᲚᲘᲗᲘᲗᲘᲐᲠᲝᲚᲘᲡᲘ)
ᲔᲓᲤᲣ
(ᲐᲠᲝᲚᲘᲜᲝᲠᲝᲚᲘᲡᲘ ᲛᲐᲒᲜᲐ)
ᲑᲔᲑᲔᲚ ᲡᲘᲚᲡᲘᲚᲔ
ᲔᲚᲔᲤᲐᲜᲢᲘᲜᲐ
ᲜᲘᲚᲝᲡᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲭᲝᲠᲝᲛᲘ
ᲐᲡᲣᲐᲜᲘ (ᲡᲘᲔᲜᲐ)
ᲡᲔᲔᲚᲘ
ᲕᲐᲓᲘ ᲐᲛᲐᲡᲐᲑᲐᲢᲘ
ᲛᲐᲓᲐᲠᲝᲕᲘᲡ
ᲞᲐᲠᲐᲨᲠᲐᲡ
ᲝᲐᲖᲘᲡᲘ
ᲓᲐᲑᲚᲔᲡ ᲝᲐᲖᲘᲡᲘ
ᲛᲐᲓᲐᲠᲝᲕᲘᲡ
ᲛᲐᲡᲐᲠᲗᲔᲑᲘ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ
ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ


ბაღდადი
ფოთი
ბორჯომი
ბაკურიანი
ახალციხე
ბაკურიანი
ბორჯომ-ციხისი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან


ᲡᲔᲓᲘᲜᲒᲐ
ᲡᲝᲚᲔᲑᲘ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲭᲝᲠᲝᲛᲘ
ᲢᲣᲛᲒᲣᲡᲘ (ᲡᲐᲛᲢᲔᲡᲚᲝᲔᲑᲘ)
ᲥᲔᲠᲛᲐ
ᲥᲐᲠᲒᲣᲡᲘ (ᲗᲝᲢᲛᲔᲡ I-ᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲝᲢᲛᲔᲡ II-ᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲗᲠᲝ ᲡᲢᲔᲚᲔᲑᲘ
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲔᲝᲑᲐ
ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲞᲝᲠᲝᲛᲘ
ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲞᲝᲠᲝᲛᲘ
ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲞᲝᲠᲝᲛᲘ
ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲭᲝᲠᲝᲛᲘ
ᲛᲔᲤᲔᲗᲔᲡᲣᲚᲘ ᲒᲖᲐ
ᲒᲔᲒᲔᲚ ᲑᲐᲠᲥᲐᲚᲘ
ᲔᲚ-ᲥᲣᲠᲗ
ᲜᲣᲠᲘ
ᲛᲐᲠᲯᲕᲔ

ბიბლიოგრაფია

ხვედელიძე მ., „გადამწერები" თუ „მწერლები"?, ოჩხარი (ჯულიეტა რუხაძისადმი მიძღვნილი ეთნოლოგიური, ისტორიული და ფილოლოგიური ძიებანი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2002, გვ. 465-474.

ხვედელიძე მ., „ცოცხლებო, რომლებიც მიწაზე ხართ..." (ეგვიპტის ძველი სამეფოს ავტობიოგრაფიები), მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის XXI, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ.ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2004, 143-149.

ხვედელიძე, მ., ფარაონი ხეოფსი და ახალი აღთქმა?, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XI, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 2004, 124-150.

ხვედელიძე მ., პიროვნული თვითშეგნება და სახელმწიფო ძველ ეგვიპტეში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები IX, თბილისი, 2009, 15-17.

ხვედელიძე მ., ძველი ეგვიპტის სასიყვარულო ლექსები, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული XIII, პროგრამა „ლოგოსი", თბილისი, 2009, 90-107.

ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975, ტ.I.

Антес Р., Мифология в древнем Египте, в кн.: Мифологии Древнего Мира, Москва, Наука, 1977, 55-121.

Гоннейм З., Потерянная пирамида, Москва, 1959.

Еланская А.И., Коптский язык, Москва, 1964.

Еланская А.И., Коптский язык, Языки Азии и Африки IV кн. 2, москва, 1991

Картер Г., Гробница Тутанхамона, Издательство Восточной Литературы, Москва,1959.

Кацнельсон П.С., Напата и Мероэ - Древние Царства Судана,Москва, Наука,1970.

Коростовцев М.А., Из истории V династии в Древнем Египте, Вестник Древней Истории, 1, 1941, 31-44.

Коростовцев М.А., Писцы Древнего Египта, Восточная Литература, Москва, 1962.

Коростовцев М.А., Повесть Петеисе III: Древнеегипетская Проза, Москва,Художествен- ная Литература, 1978.

Коростовцев М.А., Введение в египетскую филологию, Восточная литература, Москва, 1963.

Коростовцев М.А., Музыка в Древнем Египте, в кн. Культура Древнего Египта, «Наука», Москва, 1976, с.416-418.

Перепелкин Ю.Я., Древнейший Египет, Всемирная История, Москва, 1955,т.1, с.144-159.

Плутарх, Сравнительные жизнеописания, Академия наук, Москва, т. II, 1963.

Савельева Т.Н., Материальная культура Древнего Египта, в кн. Культура Древнего Египта, »Наука», Москва,1976,45-179.

Страбон, География, изд. Наука, Москва, 1964.

Стучевский И.А., Астрономия, в кн. Культура Древнего Египта, »Наука», Москва,1976, 265-264.

Стучевский И.А., Медицина, в кн. Культурф Древнего Египта, «Наука», Москва, 1976,

250-259.

Тураев Б.А., Египетская литература, Москва, 1920.

Хведелидзе, М. Мемфиссиий Трактат (Перевод текста и комментарии), macne (istoriis, arqeologiis, eTnografiis da xelovnebis istoriis seria). Tbilisi, no. 1,1979, 142-151.

Четверухин А.С., Хосроев А.Л., Вводная статья, в кн. П. В. Ернштедт, Исследвания по грамматике коптского языка, Москва, 1986.

Abubakr, M.Y., Untersuchungen über die ägyptische Kronen, Glückstadt-Hamburg-New York, 1937.

Adams, W.Y., Nubia: Corridor to Africa, Princeton University press, 1977.

Aldred, C., Akhenaten:King of Egypt, Thames&Hudson, 1991.

Allen, J.P., The Ancient Egyptian Pyramid Texts (Writings from the Ancient World), Society of Biblical Literature, 2005.

Allen, J.P., Middle Egyptian. An Introduction to the Study of Egyptian Hieroglyphs, Cambridge University Press, 2009.

Andrews, C., Amulets of Ancient Egypt,British Museum Press,1994.

Anthes, R., Atum, Nefertum und die kosmogonie von Heliopolis. Ein Versuch. ZÄS, 82, 1957, 1-8.

Arnold, D., The Encyclopedia of Ancient Egyptian Architecture, I. B.Tauris&Co.Ltd, London, 2003.

Assmann, J., Death and Salvation in Ancient Egypt, Cornell University, 2005.

Badawi, A.M., Der Gott Chnum, Glückstadt,1937.

Baines, J., Malek, J., Atlas of Ancient Egypt, Les Livres de France, 1982.

Bard, K.A.(editor), Encyclopedia of the Archaeology of Ancient Egypt, Routledge, 1999.

Baud, M., Dobrev, V., De nouvelles annales de l'Ancien Empire égyptien. Une "Pierre de Palerme" pour la VIe dynastie, BIFAO, 95,1995, 23-92.

Baumgartel, E.J., The Cultures of Prehistoric Egypt, vol I, 2nd ed., Oxford,1955, vol. II, Oxford,1960.

Beckerath, J. von, Chronologie des pharaonischen Ägypten, Verlag Philipp von Zabern, Mainz, 1997.

Belmonte, J.A., Some Open Questions on the Egyptian Calendar: An Astronomer's View, Trabajos de Egiptologia (Papers on Ancient Egypt), 2, (2003), 7-56.

Berman, L.A., Overview of Amenhotep III and His Reign, in: D.O'Connor&E.H.Cline (editors), Amenhotep III: Perspectives on his Reign, University of Michigan press, 2001, 1-26.

Bernard, L., The Vanished Library, The New York Review of Books, 37(14), Sept. 27, 1990.

Bierbrier, M., The Tomb-Builders of the Pharaohs, American University in Cairo Press, 2003.

Bietak, M., Avaris: The Capital of the Hyksos: Recent Excavations at Tell el Dob'a, British Museum Press for the Trustees of British Museum, London, 1996.

Bietak, M., Hyksos, in: Bard K.A (editor), Encyclopedia of the Archaeology of Ancient Egypt, Routledge, 1999, p.377-379.

Blackman, A. M., On the Position of Women in the Ancient Egyptian Hierarchy, JEA, 7, 1921, 8-30.

Blackman, A. M., Preliminary Report on the Excavations at Sesebi, Northern Province, Anglo-Egyptian Sudan, 1936-39, JEA, 1937, 23, 145-160.

Bleeker, C. J., Hathor and Thoth: Two Key Figures of the Egyptian Religion, Leiden, Brill, 1973.

Bleiberg, E., Amenhotep I, The Oxford Encyclopedia of Ancient Egypt, ed. by D. B. Redford, vol.1, Oxford University Press,2000.

Bleiberg, E., Thutmose I, The Oxford Encyclopedia of Ancient Egypt, ed. by D. B. Redford, vol. 3, 2001.

Bonnet, H., Zum Verständnis des Synkretismus, ZÄS, 75, 1939, 40-52.

Bonnet, H...Reallexikon der ägyptischen Religionsgeschichte, Berlin, 1952.

Booth, Ch., The Hyksos Period in Egypt, Shire Books, 2005.

Borchardt,L., Das Grabdenkmal des Königs ¤aAhurea, (Wissenschaftliche Veröffentlichung der Deutschen Orient-Gesellschaft, XIV, XXVI), 2 Bände, Leipzig,1910 - 1913.

Borchardt, L., Bissing, F.W.,Kees, H., Das Re-Heiligtum des Ne-Woser-Re (Rathures), Bände I-III, Berlin-Leipzig.1905-1928.

Boylan, P., Thoth The Hermes of Egypt, Oxford, 1922.

Breasted, J.H., Development of Religion and Thought in Ancient Egypt, New York, Charles Scribner's Sons, 1912.

Breasted, J.H., Ancient Records of Egypt, vols. I-V, NewYork,1962.

Brewer, D.E., Teeter, E., Egypt and the Egyptians, Cambridge University Press, 2003.

Brian, B., The Reign of Thutmose IV, The Johns Hopkins University Press, Baltimore, 1991.

Brunton, G. and Caton-Thomson, G., The Badarian Civilization and Predynastic Remains near Badari, London, British School of Archaeology in Egypt University College, 1928.

Buck, A. de, The Egyptian Coffin Texts,vols I-VII, University of Chicago Press, 1935-1961.

Budge, E.A.W., The Book of the Dead: The Papyrus of Ani in the Britisch Museum, London, British Museum, 1895 (Reprinted: New York, Dover Publications, 1967).

Bulletin of the Egyptian Museum 2006, vol. 3 (Editor-in-Chief Zahi Hawass), Cairo, 2006.

Bunson, M. R., Encyclopedia of Ancient Egypt (Revised Edition), New York, 2002.

Burstein, S.M., The Reign of Cleopatra (Greenwood Guide to Historic Events of the Ancient World), Greenwood Press, USA, 2004.

Burton, A., Diodorus Siculus, Book I: A Commentary, E. J. Brill, Leiden,1972.

Caton-Thompson, G. and Gardner, E.W., The Desert of Fayum, vols. I-II., London,1934.

Černy, J., Paper and Books in Ancient Egypt, London, 1952.

Chandler, T., Four Thousand Years of Urban Growth, St. David's University Press, USA, 1987.

Christensen, H.G., Zur Etymologie des Wortes "Papier", OLZ, 41, 1938, 204-205.

Clagett, M., Ancient Egyptian Science, vol. III: Ancient Egyptian Mathematics, American Philosophical

Society, Philadelphia, 1999.

Clagett, M., Ancient Egyptian Science, vol. II: Calendars, Clocks and Astronomy, American Philosophical Society, Philadelphia, 2004.

Clark, R.T., Myth and Symbol in Ancient Egypt, London, 1959.

Clark, R., Sacred Tradition in Ancient Egypt, Llewellyn Publications, USA, 2004.

Clayton, P.A., Chronicle of the Pharaohs (The Reign-By-Reign Record of the Rulers and Dynasties of Ancient Egypt), Thames and Hudson Ltd., 1994.

Cline E. H., O'Connor, D (editors), Thutmose III: A new Biography, University of Michigan Press, 2006.

Copenhaver, B.P., Hermetica: The Greek Corpus Hermeticum and Latin Asclepius in a New English Translation with Notes and Introduction, Cambridge University Press, 1992.

David, R., Handbook to Life in Ancient Egypt, Oxford University Press, 1998.

Davies, N.de G., The Rock Tombs of el Amarna, (The Egypt Exploration Fund: Archaeological Survey of Egypt, 13th-18th Memoirs), 6 vols. London,1903-1908.

Desroches-Noblecourt, C., Life and Death of a Pharaoh: Tutankhamen, New York Graphic Society, 1963.

Diodorus Siculus, Library of History (translated by C.H. Oldfather), vol. I (books 1-2), Loeb Classical Library no. 279, 1985.

Dodson, A., The Decorative Phases of the Tomb of Sethos II and their Historical Implications, JEA 85, 1999.

Dodson, A., Monarchs of the Nile, American University in Cairo Press, 2002.

Dodson, A., Hilton, D., The Complete Royal Families of Ancient Egypt, Thames & Hudson, 2004.

Drioton, E., L'Égypte pharaonique, Paris, 1999.

Drower,M., Nubia: A Drowning Land, London,1970.

Duhoux, Y., Des Minoens en Egypte? "Keftiu" et "les iles au milieu du Grand Vert", Liege Univ. Press, 2003.

Dunham, D. and Janssen, J.M.A., Second Cataract Forts I: Semna, Kumma (excavated by G.A.Reisner), Museum of Fine Arts, Boston, 1960.

Dupont-Somer, A., La syncretisme religieux des pells d'Elephantine d'aprés un ostracon araméen inédit, RHR, 130, 1945, 16-17.

Ellis, R., Eden in Egypt: A Translation of the Book of Genesis out of the Original Egyptian Text, London, Edfu Books, 2004.

Emery, W.B., Excavations at Saqqara. The Tomb of Hemaka, Cairo, 1938.

Emery,W.B., Excavations at Saqqara. Great Tombs of the First Dynasty, vols. I-II, London, 1954-1958.

Emery,W.B., Archaic Egypt, Baltimore,1961.

Emery, W.B., Egypt in Nubia, London, 1965.

Empereur, J.-I., Alexandria Discovered, publ. George Brazittier, 1998.

Erichsen, W. und Schott, S., Fragmente memphitischer Theologie in demotischer Schrift, Pap. Demot. 13603, Abhandlungen des Geistes und Sozialwissenschaftlichen Klasse, 1954, no.7.

Erman, A., Life in ancient Egypt, Macmillan & Company, London,1894.

Erman, A., Ägypten und ägyptisches Leben im Altertum, (neue Bearbeitung v. H. Ranke), Tübingen,1923.

Erman, A., Die Religion der Ägypter, Berlin and Leipzig,1934.

Erman,A., The Ancient Egyptians: A Sourcebook of Their Writing (translated by A.M. Blackman), New York,1966.

Erskine, A., Culture and Power in Ptolemaic Egypt. The Museum and Library of Alexandria, Greece & Rome, 2nd ser., 42 (1). 38–48.

Evans, J., The History and Practice of Ancient Astronomy, Oxford University Press, 1998.

Fairman, H.W., The Myth of Horus at Edfu - I, JEA, 21, (1935), 26-36.

Fairman, H.W. and Blackman, A.M., The Myth of Horus at Edfu - II, JEA, 28 (1942), 32-38; 29(1943), 2-36; 30(1944), 5-22.

Fairman, H.W., The Triumph of Horus: An Ancient Egyptian Sacred Drama, Berkeley, 1974.

Faulkner, R.O., A Concise Dictionary of Middle Egyptian, Oxford, 1962.

Faulkner, R.O., The Ancient Egyptian Coffin Texts, vols. I-III, London, 1972.

Faulkner, R.O., The Ancient Egyptian Book of the Dead, The Trustees of the British Museum, London, 1985

Fletcher, J., Chronicle of a Pharaoh: The Intimate Life of Amenhotep III, Oxford University Press, 2000.

Forman, W., Quirke S., Hieroglyphs and the Afterlife in Ancient Egypt, University of Oklahoma Press, 1996.

Fowden, G., The Egyptian Hermes: A Historical Approach to the Late Pagan Mind, Cambridge University Press, 1986.

Freud, S., The Standard Edition of the Complete Psychological Works of Sigmund Freud, vol. XXIII, Moses and Monotheism, London, Hogarth press, 1964.

Friedman, R., Meydum (Faiyum, Egypt), in: International Dictionary of Historic Places, vol. 4: Middle East and Africa, London, 1996, 508-511.

Frood, E., Writings from the Ancient World: Biographical Texts from Ramessid Egypt, The Society of Biblical Literature, 2007.

Gardiner, A.H. An Ancient List of Fortresses of Nubia, JEA,3,1916, 184-192.

Gardiner, A.H., The Houses of Life, JEA (1938), 24, 157-181.

Gardiner, A.H., Horus the Behdetite, JEA,30 (1944),23-60.

Gardiner, A.H., Ancient Egyptian Onomastica, vols. I-II,Oxford University Press,1947.

Gardiner, A.H., The Royal Canon of Turin, Oxford, 1959.

Gardiner, A.H., Egypt of the Pharaohs,Oxford University Press,1964.

Gates, Ch., Ancient Cities, Routledge, New York,2003.

Gillings, R. J., Mathematics in the Time of the Pharaohs, General Publishing Company Ltd, Canada, Toronto.1981.

Goyon, J.-C., Rituels funéraires de l'ancienne Égypte, Paris, Éditions du Cerf, 1972.

Griffiths, J.G., The Conflict of Horus and Seth (From Egyptian and Classical Sources), Liverpool University Press, 1960.

Grillmeier, A.(with Heinthaler, T.), Christ in Christian Tradition, vol. 2, London,1996.

Grimal, N., A History of Ancient Egypt, Blackwell Publishing Ltd., 2003.

Haas, C., Alexandria in Late Antiquity: Topography and Social Conflict, John Hopkins University Press, 1997.

Hamblin, W.J., Warfare in the Ancient Near East to 1600 B.C.: Holy Warriors at the Dawn of History, Routledge, 2006.

Hari, R., New Kingdom; Amarna Period: Iconography of Religions, XV,6, Institute of Religions Iconography,

State University,Groningen,Leiden,1985.

Hart, G., The Routledge Dictionary of Egyptian of Egyptian Gods and Goddesses, Routledge, 2005.

Hawass, Z., Pyramids of Ancient Egypt, The Carnegie Museum of Natural History, 1990.

Hayes, W.C., The Scepter of Egypt: A Background for the Study of the Egyptian Antiquities in the Metropolitan Museum of Art, Harvard University Press, vol. I-1960, vol. II-1959.

Hayes, W.C., Royal Sarcophagi of the XVIII Dynasty (Princeton Monographs in Art and Archaeology: Quarto Series XIX), Princeton, 1935.

Helck, W., Geschichte des alten Ägypten, Handbuch der Orientalistik, I Abteilung, 3Abschnitt,

Leiden-Köln, 1968.

Helck, W., Die altägyptische Gaue, Wiesbaden, 1974.

Helck, W., Historisch-biographische Texte der 2. Zwischenzeit und neue Texte der 18. Dynastie, Wiesbaden,1975.

Helck, W., Untersuchungen zur Thinitenzeit, Ägyptologische Abhandlungen, Bd. 45, Wiesbaden, Harrassowitz, 1987.

Helck, W., Otto, E., Kleines Wörterbuch der Aegyptologie, Otto Harrassowitz, Wiesbaden, 1956.

Hickens, R., The Spell of Egypt, Rockville, Maryland, 2008.

Hindley, M., Featured Pharaoh: The God's Father Ay, Ancient Egypt, April/May 2006, 26-28

Hodel-Hoenes, S., Life and Death in Ancient Egypt, Cornell University Press, 2000.

Hope, C.A., Egypt and Lybia: the Excavation at Mut el-Kharab in Egypt's Dakhleh Oasis, The Artefact. The Journal of the Archaeological and Anthropological Society of Victoria, vol.24, 2001, 29-46.

Hopfner,T., Der Tierkult der alten Ägypter, Kaiserliche Akademie der Wissenschaften; Denkschriften, Philosophisch-historische Klasse, LVII,Vienna,1913.

Horapollo, The Hieroglyphics of Horapollo, Translated by George Boas, Bollingen Series XXIII, Pantheon Books, Marchbank Press, New York, 1950.

Hornung, E., Pharaoh, in: S. Donadoni (ed.), The Egyptians, the University of Chicago Press, Chicago, London, 1997, 283-314.

Hornung, E., The Ancient Egyptian Books of the Afterlife, Cornell University Press, 1999

Hornung,E., The Secret Lore of Egypt: Its Impact on the West, Cornell University Press, 2001.

Hornung, E., Krauss, R., Warburton, D (editors), Ancient Egyptian Chronology, Handbook of Oriental Studies, Brill, 2006.

Iversen, E., The Myth of Egypt and its Hieroglyphs in European Tradition, Copenhagen, 1961.

James, E.O., The Ancient Gods, New York, 1960.

James, T. G. H., Howard Carter: the Path to Tutankhamun, New York, 2001.

Jelinkova-Reymond,E., Quelques recherches sur les reforms d'Amasis, ASAE. LIV,1957,251-287.

Jones, P. C., Cleopatra: a sourcebook, the University of Oklahoma Press, 2006.

Jones, P.C., Cleopatra, Haus Publishing Ltd, London, 2006 (a).

Junker, H., Das Götterdekret über das Abaton, Denkschriften der kaiserlichen Akademie der Wissenschaften in Wien, philosophisch-historische Klasse, 1913, Bd.173/4.

Junker, H., Die Onurislegende (Kaiserliche Akademie der Wissenschaften: Denkschriften, Philosophisch-historische Klasse, LIX),Vienna,1917.

Junker, H., Die Götterlehre von Memphis (aus den Abhandlungen der Preussischen Akademie der Wissenschaften.1939). Berlin. 1940.

Junker, H., Die politische Lehre von Memphis (aus den Abhandlungen der Preussischen Akademie der Wissenschaften.1941). Berlin, 1941.

Kaiser, W., Stand und Probleme der ägyptische Vorgeschichtsforschung, ZÄS 1956, 81, 87-109.

Kaiser,W., Zur inneren Chronologie der Nagadakultur, Archaeologia Geographica 1957, 6., 69-77.

Kaiser, W., Einige Bemerkungen zur ägyptischen Früzeit, II, Zur Frage einer über Menes hinausreichenden ägyptischen Geschichtsüberlieferung, ZÄS, 86,1961, 39-61.

Kaiser,W., Elephantina. in: K.Bard, Encyclopedia of the Archaeology of Ancient Egypt, Routledge, 1999, pp.283-288.

Kamil, J., The Ancient Egyptians: Life in the Old Kingdom, The American University in Cairo Press, 1994.

Kaminos,R.A., The New Kingdom Temples of Buhen,Egypt Exploration Sopciety,London,1974.

Kaminos, R.A. and James, T.G.H., Gebel as-Silsila, Egypt Exploration Society, London,1963.

Kantor, H.J., The Relative Chronology of Egypt and its Foreign Correlations before the Late Bronze Age, in: R.W. Schrich (ed.). Chronologies in Old World Archaeology, Chicago,1965.

Kasher, A., The Jews in Hellenistic and Roman Egypt (Texte und Studien zum antiken Yudentum,7), Tübingen. 1985.

Kees, H., Ein alter Götterhymnus als Begleittext zur Opfertafel, ZÄS, 57,1922, 92-116.

Kees, H., Handbuch der Altertumskunde. KulturgeSichte des Alten Orients III Abt.,1. Abschnitt: Ägypten. München, 1933.

Kees,H., Der Götterglaube im alten Ägypten, Akademie-Verlag, Berlin, 1980.

Kees, H., Totenglauben und Jenseitsvorstellungen der alten Ägypter (Grundlagen und Entwicklungen bis zum Ende des Mittleren Reiches), Akademie-Verlag Berlin, 1980a.

Kees, H., Handbuch der Altertumskunde. KulturgeSichte des Alten Orients III Abt.,1. Abschnitt: Ägypten. München, 1933.

Kemp, B.A., Ancient Egypt:Anatomy of a Civilization, Routledge,1991.

Kemp, B.A., Ancient Egypt: Anatomy of a Civilization, Routledge, 2006.

Kendall,T., Gebel-Barkal, in: K.A.Bard (editor), Encyclopedia of the Archaeology of Ancient Egypt, Routledge, 1999,pp.325-327.

Kingsley, P., An Introduction to the Hermetica: Approaching Ancient Esoteric Tradition, in: From Poimandres to Jacob Böhme: Gnosis, Hermetism amd the Christian Tradition, Amsterdam, 2000.

Kitchen, K.A., The Third Intermediate Period in Egypt, Aris&Phillips Ltd, Warminster, England,1973.

Kitchen, K.A., Pharaoh Triumphant: The Life in Times of Ramesses II, King of Egypt, London, Ars&Phillips, 1982.

Kitchen, K.A., The Reliability of the Old Testament, Michigan, William B. Eerdmans Publishing, 2003.

Kitchen, K.A., Ramesside Inscriptions, vol. II, Translated and Annotated Translations: Ramesses II, Blackwell Publishing, USA, 1996.

Kitchen, K.A., Ramesside Inscriptions: Translations, vol. IV: Merenptah and the Late XIX Dynasty, Blackwell Publishing, USA, 2003.

Kozloff, A., Brian, B., Royal and Divine Statuary in Egypt's Dazzling Sun: Amenhotep III and his World, Cleveland, 1992.

Krauss, R., Das Ende der Amarnazeit, Hildesheimer Ägyptologische Beiträge, 1978.

Krauss, R., Das Rätsel Moses – auf den Spuren einer biblischen Erfindung, Ullstein Verlag, München,2001.

Kurt, D., Inschriften aus dem Tempel des Horus von Edfu, Zürich,1994.

Kurt, D., Edfu, in: K. Bard, Encyclopedia of the Archaeology of Ancient Egypt, Routledge, 1999, pp.269-277.

Lacau,P., Sarcophages antérieures au nouvel empire (CCG, nos.28001-28126), 2 vols.,Cairo, vol I-1904,vol II-1906.

LaViolette, P., Genesis of the Cosmos: The Ancient Science of Continuous Creation, Rochester,Vermont,2004.

Law, R.C.C., North Africa in the Period of Phoenician and Greek Colonization, in: The Cambridge History of Africa, vol. 2, Cambridge University Press, 2002, 87-147.

Lehner, M., The Complete Pyramids (Solving The Ancient Mysteries), Thames and Hudson ltd., 2008.

Lemche, N. P., Is it Still Possible to Write a History of Ancient Israel? in: V. Philips Long (editor), Israel's Past in Present Research: Essays on Ancient Israelite Historiography, Eisenbrauns, USA, 1999.

Lepsius, K.L., Das Todtenbuch der Aegypter nach dem hyeroglyphischen Papyrus in Turin, mit einem Vorwort zum ersten Male herausgegeben, Leipzig. G.Wigand, 1842 (Reprinted Osnabrück, Otto Zeller Verlag, 1969).

Lesko,L.H.(ed.), Pharaoh's Workers. The Village of Deir el Medina, Cornell University Press. 1994.

Lesko, B., The Great Goddesses of Egypt, University of Oklahoma press, 1999.

Lexa, Fr., La magie dans l'Égypte antique, vols. I-III, Paris,1925.

Lichtheim, M., Ancient Egyptian Literature,vols.I-III.,University of California Press,2006.

Littleton, Scott C (editor), Gods, Goddesses and Mythology, New York, 2005.

Lloyd, A.B., Herodotus, Book II: Commentary 99-182, E.J. Brill, Leiden, 1993.

Lloyd, A.B., A Companion to Ancient Egypt, vols. I-II, Blackwell Publishers, 2010.

Long, V. Philips (editor), Israel's Past in Present Research: Essays on Ancient Israelite Historiography (Sources for Biblical and Theological Study, vol. 7).

Loprieno, A., Ancient Egyptian. A linguistic Introduction, Cambridge University press. 1995.

Macadam, M.F.L., The Temples of Kawa, II. History and Archaeology of the Site, Published on Behalf of The Griffith Institute Ashmolean Museum, Oxford, by G. Cumberlege, Oxford University Press, London, 1955.

Malek, J., The Original Version of the Royal Canon of Turin. JEA 68, 1982, 93-106.

Manetho (with an English translation by W.G.Weidell), Loeb Classical Library,1956.

Manguel, A.,The Library at Night, New Haven, Yale University Press, 2008.

Manuelian, P., Studies in the Reign of Amenophis II, Hildesheimer ägyptologische Beiträge, Gerstenbeg Verlag, Hildesheim, 1987.

Mariette, A., Denderah, description générale du grand temple de cette ville, tome premier, Paris, 1870; tome deuxieme, Paris, 1870; tome quatrième, Paris, 1873.

Mariette, A., Catalogue général des monuments d'Abydos découverts pendant les fouilles de cette ville, Paris, 1880.

Matthews, W.H., and Benjamin, D.C., Old Testament Parallels: Laws and Stories from the Ancient Near East, Paulist Press, New Jersey, 1997.

McKenzie, J., The Architecture of Alexandria and Egypt, Yale University Press, 2007.

Mercer, S.A.B., The Religion of Ancient Egypt, London.1949.

Mercer, S.A.B.,The Pyramid Texts,vols. I-II, Longman, Green and Co., New York, London, Toronto, 1952.

Midant-Reynes, B., The Prehistory of Egypt: From the First Egyptians to the First Pharaohs, Blackwell Publishers Ltd., 2000.

Mysliwiec, K., The Twilight of Ancient Egypt, Cornell University Press, 2000.

Modrzejewski, J.M., The Jews of Egypt from Ramses II to Hadrian, Princeton University Press, 1995.

Mojsov, B., Osiris: Death and Afterlife of a God, Blackwell Publishing, 2005.

Momigliano, A., Essays on Ancient and Modern Judaism (edited and with introduction of S.Berti), University of Chicago Press, 1994.

Montet, P., Les constructions et le tombeau de Psousennes I à Tanis. La necropole royale de Tanis, I, Paris [Fouilles de Tanis,Mission Montet,1947].

Montet, P., Les constructions et le tombeau d'Osorkon II à Tanis. La necropole royale de Tanis, II, Paris [Fouilles de Tanis, Mission Montet, 1951].

Montet P., Géoographie de L'Égypte ancienne, Paris, vol.I - 1957, vol.II - 1961.

Montet, P., Les constructions et le tombeau de Chechank III à Tanis. La necropole royale de Tanis, III, Paris [Fouilles de Tanis, Mission Montet, 1960].

Moran W.L., The Amarna Letters, Baltimore: Johns Hopkins University Press, 1992.

Morenz S., Untersuchungen zur Rolle des Schicksals in der ägyptischen Religion, Berlin, 1960.

Morenz, S., Egyptian Religion, Cornell University Press, 1973.

Morenz, S. und Schubert, J., Der Gott auf der Blume, Verlag Athribus Asiae, Ascona, Schweiz,1954.

Morkott R.E., The Egyptians: An Introduction, Routledge, 2005.

Munro, P., Nefertem und das Lotos-Emblem, ZÄS, 95, 1968, 34-40.

Murnane, W.J., Texts from Amarna period in Egypt, Georgia: Society of Biblical Literature,1995.

Murray,M.A., The Splendor that Was Egypt, Dover Publications,2004.

Naville, E., Das aegyptische Todtenbuch der XVIII bis XX Dynastie, aus verschiedenen Urkunden zusammengestellt und herausgegeben, 3 vols., Berlin,1886.

Naville, E., Das aegyptische Todtenbuch der XVIII bis XX Dynastie, Bände I-III, Berlin, 1886.

Naville, E., The Temple of Deir el Bahari, vols. I-VI, London, 1895-1908.

Neugebauer, O., and Parker, R.A., Egyptian Astronomical Texts, I:The Early Decans; Providence, RI: Brown University Press,1960.

Neugebauer, O.and Parker,R.A.,Egyptian Astronomical Texts,III:Decans,Planets,Costellations and Zodiacs;Providence,RI:Brown University Press,1969.

Newberry,P., The Set Rebellion of the Second Dynasty, AE,1922,40-47.

Nigosian, S.A., From Ancient Writings to Sacred Texts: The Old Testament and Apokrypha, The Johns Hopkins University Press, 2004.

Nunn, J.F., Ancient Egyptian Medicine, University of Oklakhoma Press, 2002.

Oakes L., Pyramids and Tombs of Ancient Egypt: An Illustrated Atlas of the Lands of the Pharaohs, Hermes House: Annes Publishing ltd., 2004.

O'Connor D., Thutmose III: An Enigmatic Pharaoh, in E.H.Cline&D.O'Connor (editors), Thutmose III: A New Biography, University of Michigan Press, 2006.

O'Connor D. and Cline E., Amenhotep III: Perspectives of his Reign. University of Michigan Press, 1998.

O'Connor, D., and Silverman, D.P., (editors), Ancient Egyptian Kingship, E.J.Brill, Leiden, New-York, Köln, 1994.

Oxford Encyclopedia of Ancient Egypt, The American University in Cairo Press, 2001.

Pain, S., The Pharaohs' Pharmacists, New Scientist, Dec. 15, 2007, 41-43.

Parker, R.A., The Calendars of Ancient Egypt, Chicago, University of Chicago Press,1950.

Parker, R.A., Ancient Egyptian Astronomy, Philosophical Transactions of Royal Society in London, A.276,1975,51-65.

Pätznick, J.-P., Die Siegelabrollungen und Rollsiegel der Stadt Elephantine im 3.Jahrestausend v.Chr., Spurensicherung eines archäologischen Artefaktes, BAR, vol.1339,Oxford, 2005.

Peet,T,E., Frankfort,T., Pendlebury,J.D.S., and others, The City of Akhenaten I-III (The Egypt Exploration Society.38th,40th and 44th memoirs), 4 vols., London.1923-1951.

Pernigotti, S., Priests, in: S.Donadoni (editor), The Egyptians. The University of Chicago Press, Chicago, London, 1997, pp.61-86.

Peterson A., Dictionary of Islamic Architecture, Routledge, 1996.

Petrie, W.M.F., Tanis, vol. I, London, 1883-4.

Petrie, W.M.F., Tanis, vol. II, London. 1886.

Petrie, W.M.F., Naukratis, vols. I-II, London,1888.

Petrie, W. M. F., Kahun, Gurob and Hawara (with chapters by F. Ll. Griffith and P. Newberry, London, 1890.

Petrie, W. M. F., Kahun, Gurob and Hawara (with chapters by F. Ll. Griffith and P. Newberry, London, 1890.

Petrie, W.M.F., Illahun, Kahun and Gurob 1889-1990, London, 1891

Petrie,W.M.F., Tell el Amarna, London,1894.

Petrie,W.M.F., Diospolis Parva. The Cemeteries of Abadiyeh and Hu, 1898-1899, London-Boston, 1901.

Petrie, W.M.F.,The Royal Tombs of the First Dynasty, vols.I-II, London, 1901-1902.

Petrie, W.M.F., Tanis, vol. III, London, 1904

Petrie, W.M.F., Athribis, with chapters by Dr.J.H.Walker and E.B.Knobel, London, 1908.

Petrie, W.M.F., Memphis I, London,1909.

Petrie, W.M.F., The Palace of Apries (Memphis II), London,1909.

Petrie, W.M.F.,The Labyrinth, Gerzeh and Mazghuneh, London,1912.

Petrie, W.M.F., Tarkhan I and Memphis V, London,1913.

Petrie, W.M.F., Amulets. Illustrated by the Egyptian Collection in University College, London, London,1914.

Petrie, W.M.F., Prehistoric Egypt, London,1920.

Petrie, W.M.F., Tombs of the Courtiers and Oxyrhynchos, London, 1925..

Petrie,W,M.F., Antaeopolis:The Tombs of Qau(Egypt).London,1930.

Petrie,W.M.F., The Making of Egypt, London,1939.

Petrie, W.M.F., The Making of Egypt, London, New York, Sheldon Press, Macmillan,1939.

Petrie, W.M.F., and Qibell, J., Naqada and Ballas.1895, London, 1896.

Petrie, W.M.F., Griffith, Fr. Ll., Newberry, P.E., Illahun, Kahun and Gurob, London, 1890.

Piankoff, A., La coeur dans les textes égyptiens depuis l'Ancien jusqu'a la fin du Nouvel Empire, Paris,1930.

Piccione, P.A., In Search of the Meaning of Senet, Archaeology, July/August 1980, 55-58.

Pinch, G., Magic in Ancient Egypt, The Bath Press, Avon, Great Britain, 1994.

Pinch, G., Egyptian Mythology: A Guide to the Gods, Goddesses and Traditions of Ancient Egypt, Oxford University Press, 2002.

Plutarch, De Iside et Osiride, edited with an introduction, translation and commentary by J.G. Griffiths,University of Wales Press, 1970.

Porter, B., and Moss, R., Topographical Bibliography of Ancient Egyptian Hieroglyphic Texts, Reliefs and Paintings, vol V, Oxford, 1939.

Porter, B. and Moss R., Topographical Bibliography of Ancient Egyptian Hieroglyphic Texts, Reliefs and Paintings, vol. I, part I, The Theban Necropolis, (the 2nd ed.), Oxford, 1989.

Porter, B and Moss, R., Topographical Bibliography of Ancient Egyptian Hieroglyphic Texts, Reliefs and Paintings, vol. III, part 2: Saqqara to Dashur, Oxford, 2003.

Posener,G. en collaboration avec Sauneron S. et Yoyotte J., Dictionnaire de la civilisation égyptienne, Paris, 1959.

Quibell, J.E., El Kab, London, 1898.

Quibell, J.E., Hieraconpolis. Plates of Discoveries in 1898.vol.I, London,1900.

Redford, D.B.,History and Chronology of the 18th Dynasty of Egypt: Seven Studies,University of Toronto Press, 1967.

Redford,D.B., Akhenaten: the Heretic King, New Jersey, Princeton University press,1984.

Redford, D.B.,Egypt, Canaan and Israel in Ancient Times, Princeton University Press, 1992.

Redford, D.B.(ed.), The Oxford guide to Egyptian Mythology, Berkley, 2003.

Redford, D.B.,The Wars in Syria and Palestine of Thutmose III.,Boston, 2003.

Reeves, N., Avaris and the Aegean: Minoan Frescoes in Egypt, London, 1987.

Reeves,N., Akhenaten:Egypt's False Prophet, London, Thames&Hudson, 2004.

Reisner,G. and Wheeler,N.F., Second Cataract Forts II: Uronarti, Shalfak, Mirgissa, Boston Museum of Fine Arts, 1967.

Reitzenstein, R., Poimandres, Leipzig, 1904.

Rice,M., Swifter than the Arrow: The Golden Hunting Hounds of Ancient Egypt, I.B.Tauris&Company Ltd.,N.Y..2006.

Rice, M., Who's Who in Ancient Egypt, Routledge, 2002.

Roccati, A.,Scribes, in: S.Donadoni (editor), The Egyptians, The University of Chicago Press, Chicago, London, 1997, pp.61-86.

Roeder,G., Urkunden zur Religion des alten Ägypten (Religiöse Stimmen der Völker), Jena,1915.

Roeder, G., Ägyptische Mythen und Legenden, Zürich-Stuttgart,1960.

Ruggles,C., Ancient Astronomy: An Encyclopedia of Cosmologies and Myth, Santa Barbara,2005.

Sacks, D., A Dictionary of the Ancient Greek World, Oxford University Press, 1995.

Sandman-Holmberg, M., The God Ptah, Lund, 1946.

Sandri, S., Har-Pa-Hered (Harpokrates):Die Genese eines ägyptischen Götterkindes, Peeters Publishers, Louvain (Belgium), 2006.

Saunders, N. J., Alexander's Tomb: The Two Thosand Year Obsession to Find the Lost Conqueror, Basic

Books, New York, 2007.

Sauneron,S., The Priests of Ancient Egypt,(translated from the French by D.Lorton), Cornell University Press,2000.

Sauneron S., Yoyotte J., La naissance du monde selon l'Égypte ancienne. Sources Orientales, Paris, 1959, 9-10.

Schäfer, H., Ein Bruchstück altägytischer Annalen, Berlin,1902.

Schäfer,H., Priestergräber und andere Grabfunde vom Totentempel des Neusere, Leipzig. 1908.

Schäfer,H. und Andrä, W., Die Kunst des alten Orients, 2.Aufl., Berlin, 1929.

Schneider,T.,The Relative Chronology of the Middle Kingdom and the Hyksos period (Dynasties 12-17) in E.Hornung&R.Kraiss&D.Warburton(editors), Ancient Egyptian Chronology (Handbook of Oriental Studies), Brill, 2006.

Scharff, A., Der historische Abschnitt der Lehre für König Merikare,

Schott, S., Mythe und Mythenbildungen im alten Ägypten. Leipzig, 1945.

Selin, H (editor), Mathematics across Cultures: The History of Non-Western Mathematics, Kluwer Academic Publishers, the Netherlands, 2001.

Sethe, K., Die älteste geschichtliche Denkmäler der Ägypter, ZÄS, 35. 1897, 1-6.

Sethe, K., Beiträge zur ältesten Geschichte Ägyptens. Untersuchungen zur Geschichte und Altertumskunde Ägyptens, 3, Leipzig,1905.

Sethe,K., Dramatische Texte zu altägyptischen Mysterienspielen, UGAÄ, Leipzig, 1928

Sethe,K., Urgeschichte und älteste Religion der Ägypter,Leipzig,1930.

Sethe, K., Amun und die acht Urgötter von Hermopolis. Eine Untersuchung über Ursprung und Wesen des ägyptischen Götterkönigs, Zentralantiquariat der deutschen demokratischen Republik, Leipzig, 1976, 281-411.

Shafer, B.E., Temples, Priests and Rituals: an overview, in: B.A.Shafer et al., Temples of Ancient Egypt, J.B.Tauris&Co, New York, 2005, pp.1-30.

Shafer, B.E., (ed), Religion in Ancient Egypt: Gods. Myths and Personal Practice, Cornell Universitu Press, 1991.

Shaw, I.(ed), The Oxford History of Ancient Egypt. Oxford University Press, 2003.

Shaw, I., Exploring Ancient Egypt, Oxford University press, 2003.

Shaw, I. and Nickolson, P., The Dictionary of Ancient Egypt, The British Museum Press,1995.

Shinney, P.L., The Nilotic Sudan and Ethiopia. c.660 BC to AD 600, in: The Cambridge History of Africa, vol. II, Cambridge University Press, 2002, 210-265.

Shinney, P.L., Meroe: A Civilization of the Sudan, Thames and Hudson, 1967.

Siclen, Ch.C.Van, Bubastis, in: International Dictionary of Historic Places,vol.4:Middle East and Africa, London, 1996,137-140.

Silverman, D.P (General Editor), Ancient Egypt, Oxford university press, 2003.

Smith, G.E., The Royal Mummies, Cairo,1912.

Spalinger,A.J., War in Ancient Egypt: the New Kingdom, Blackwell Publishing, 2005.

Sparks, K. L., Ethnicity and Identity in Ancient Israel: Prolegomena to the Study of Ethnic Sentiments and Their Expressions in the Hebrew Bible, Eisenbrauns, USA, 1998.

Steindorff, G., Seele K., When Egypt ruled the East, University of Chicago Press, 1942.

Strudwick, N., Texts from the Pyramid Age. Society of Biblical Literature, Leiden, 2005.

Tait, J (ed.), "Never Had the Like Occurred": Egypt's View of its Past, Institute of Archaeology, University College, London, 2003.

Tarn, W., Ptolemy II, JEA 14(3/4), 1928, 246-260.

Trigger, B.G., Kemp, B.J., O'Connor, D., Lloyd, A.B., Ancient Egypt: A Social History, Cambridge University Press.2001.

Trigger, B. C., Nubia under the Pharaohs, Thames and Hudson, 1976.

Turner, P., Coulter, Ch.R., Dictionary of Ancient Deities, Oxford University Press, 2001.

Tyldeslie, J.A., Hatshepsut, The Female Pharaoh, Penguin Books, 1998.

Tyldeslee, J.A., Chronicles of the Queens of Egypt, Thames &Hudson Limited, 2006.

Van Siclen, Ch.C., Bubastis, in: International Dictionary of Historic Places, vol.4 (Middle East and Africa), Fitzroy Dearborn Publishers, Chicago, 1996, pp.137-140.

Varga, E., Contribution au problème de la cosmogonie égyptienne du lotus, сборник Древний Мир, Москва, 1962б 63-70.

Velde, H. Te. Seth, God of Confusion: A Study of his role in Egyptian Mythology and Religion (Probleme der Ägyptologie, hrsg. von W.Helck), Leiden, E.J.Brill,1977.

Verner, M., (A) The Pyramids:Their Archaeology and History (translated by S.Rendall), Atlantic Books, 2001A.

Verner, M., (B) Archaeological Remarks on the 4th and 5th Dynasty Chronology, Archiv Orientàlni, vol.69, 2001, 395-400.

Vernus, P. and Yoyotte, J., The Book of the Pharaohs, Cornell University Press, 2003.

Volten, A., Demotische Traumdeutung, Kopenhagen, 1942.

Vrettos, Th., Alexandria, City of Western Mind, N.Y., The Free Press, 2001.

Weir, W., 50 Weapons that Changed Warfare, Career Press,2005.

Weill, R., Monuments nouveaux de premieres dynasties; quelques fragments de tombeaux de la IIIe dynastie, Sphinx,1911/1912,1-33.

West, J.A., The Traveler's Key to Ancient Egypt (new edition), 1995.

Wildung, D., L'Âge d'or de l'Égypte ancienne - le Moyen Empire, Office de Livre, 1984.

Wilkinson, T., Early Dynastic Egypt, Routledge,2001.

Wilkinson, T., The Thames and Hudson Dictionary of Ancient Egypt, Thames&Hudson, 2005.

Willems, M., The Coffin of Heqata (Cairo Jde 364118), Orientalia Lovaniensia Analecta, Peeters Publishers, Leuven, 1996.

Wilson, J.A., Signs and Wonders upon Pharaoh: A History of American Egyptology, The University of Chicago Press, 1964.

Wilson J.A., The Culture of Ancient Egypt, The University of Chicago Press, 1957.

Wit, C. de, Le rôle et le sens du lion en Egypte ancienne, Leiden, 1951.

Wolf,W., Kulturgeschichte des alten Ägypten,Stuttgart,1962.

Wolf, W.,Der berliner Ptah-Hymnus (P 3048, II-XII.), ZÄS,Bd. 64,17-44.

Wreszinski, W., Atlas zur altägyptischen Kulturgeschichte, vols.I-III, Leipzig,1923.

Yoyotte, J.,Le jugement des morts dans l'Égypte ancienne, Paris, 1961.

Zandee, J.,Seth als Sturmgott, ZÄS, 90, 1963,144-156.

შემოკლებები

AEAAE – Ancient Egypt and the East, London.

AASAE – Annales du Service des Antiquités de l'Egypte, Kairo.

BBABABBAR – Breasted, Ancient Records of Egypt.

BD – Book of the Dead.

BIFAO – Bulletin de l'Institut Français d'Aechéologie Orientale, Kairo.

CT – Coffin Texts.

JEA – Journal of Egyptian Archaeology, Liverpool.

OLZ – Orientalische Literaturzeitung. Berlin.

PT – Pyramid Texts.

RHR – Revue de l'Histoire des Religions, Paris.

UGAĀ – Untersuchungen zur Geschichte und Altertumskunde Ägyptens. Leipzig.

WB – Wörtebuch der aegyptischen Sprache, herausg. von A.Erman und H.Grapow, Bände I-V, Akademie-Verlag, Berlin, 1955.

ZÄS – Zeitschrift für ägyptische Sprache und Altertumskunde, Berlin.